1-26 სტრ., 1
მკითხველსა-თჳს სიტყუა, ვითარმედ რაჲსა თჳს არს შრომა ესე

იტყჳს ბრძენი პლინი სთოიკი, რამეთუ „ყოველი ჟამი-იგი წარ წყმდეს,რომელნიცა სწავლასა ზედა არა საჴმარ ვიყოთ.“ ჭეშმარიტ არს სიტყვა ესე, ვინაჲთგან ჟამი მლტოლვარე არს. არავის ძა ლუძს მოქცევად, და წარწყმდეს ჩუენგან, უკეთუმცა არა მოვი ღოთ ნაყოფი მისი ჟამსა მისსა: და არა თუ ჟამისა, და წუთი-სა, არამედ თთჳსა და წელიწადისაცა არღა-რა შემძლებელ ვართ ჴელყოფად: ხოლო არს ჟამი ჟამიცა, კუალად დაისახების დღეცა ჟამად, თთუე, წელიწადი, და საუკუნოცა. განა თუმცა მოიქცევის ესენი, არამედ არა იგინივე არიან, რომელნი წარხდენ ჩუენგან, და არა ძალგვიცს მის წინანდელთაებრ ყოფად მათ შინა, რაოდენცა წადიერ ვიყვნეთ. და ესე ვნაჲთგან ჭეშმარიტ არს, ამისთჳს არა ჯერ არს, რათა უქმ ვჰყოთ ჟამი და განუტეოთ ჩუენგან, და დავრჩეთ ურგებნი მის მიერ:

არამედ რაჲ მოგუცემს ნაყოფსა მისსა, თუ შევიკრიბოთ საუნ-ჯე დიდძალი, წარმავალს და არა დაადგების ერთისაცა საუკუნოდ. ხოლო უკეთუ ვჰყოთ სახელნი და დავიპყრათ ქვეყანანი,(ვითარცა მაკედონელმან და სხუთა, არცა ესე დაადგრეს, არამედ წარწმდეს მას ვე წინათ-თქმულსავე დროსა. უკეთუ აღვაშენოთ სახლნი, და ვჰყოთ ქუეყანის-მოქმედებანი, და განვაშუენოთ სავარდითა და წალკოტითა, და წყლათა აღმა აღმცენარითა, და წყაროებითა, წარწყმდეს იგინი ცა მასვე ხენაბსა შინა. უკეთუ განვისუენოთ და განვსცხრეთ შუე ბითა, ნადირობითა, ნადიმობითა, მგოსნითა და მწყობრითა, და სახიობითა, მამანი დედათა თანა და დედანი მამათა თანა, წარვიდეს ესეცა უადრევეს თთჳსა, დღისა და ჟამისა.

1-33 სტრ., 2
ხოლო უკეთუ მივივლტოდეთ ცოდნისა მიმართ, და ესე არს ნაყო-ფი კეთილი, არამედ წარვალს ესეცა, და არა ვითარცა წინათქმულნი იგინი, რამეთუ სწავლა განაბრძნობს, თავისუფალ ჰყოფს, აცნობებს ღმერთსა, და შიშსა მისსა დანერგავს, მოაცურვებს ზღუასა ზედა და ახილვებს მას შინა სრულიადსა, აღაფრენს და წინადაუდებს ყოველ-სა ქმულებასა ცისა და ქვეყანისასა, შეკრებულად თუალთა შინა, აჩვენებს ბუნებასა და ნიშატსა ვარსკულავთა, ცხოველთა და ნერგ-თა. განსდევნის ბოროტსა, შეაყუარებს მოყუასსა, შემოიყუანს კე თილსა, მატებს ქვეყანასა, აღაშენებს და დაამშჳდებს, სულგრძელ ჰყოფს, მეფეთა და დიდებულთა პატივსცემს, და ერთა მოურნე ექმ ნების. მტერთა დაამდაბლებს და მშიშრეულ ჰყოფს, თჳსთა აღამაღ-

ლებს და აკადნიერებს:
არამედ რაჲსაგანმე არს ესეოდენი კეთილი, გარნა არს არა თუ
ჴსოვნისაგან. არამედ ჴსოვნაცა ესე წარწყმდეს სამისა, ანუ ოთხისა,
და არა უფროს ხუთისადმდე ნათესავისა, და ამისთჳს ვიხილავთ უმჯო-
ბესად წერილთა, რომელი გვასწავებს სიბრძნეთა წინათქმულთა და
მოგვაჴსენებს დასაბამითგანთა წამთა, ჟამთა, თთუეთა და წელი
წადთა, და საუკუნოთა, კუალად უმეტესთაცა, და არა წარწყმდების,
არამედ ჰგიეს უკუნისამდე, ვითარცა ვიხილავთ: რამეთუ აღწერა
მოსემ ღუთისმხილველმან შესაქმე, შემდგომად ხუთისა ჴსოვნისა
სულითა წმიდითა, ვინათგან არღარა შესაძლებელ იყო შემდგომად
ჴსოვნად, და გვეუწყების დასაბამითგანი, სრულიად,) და უკეთუმცა
არა მით, წარწყმდა ყოველი ქმნულებანი, ვითარცა წარწყმდენ მრა
ვალნი დიდშემძლები: ხოლო წერილნი ესე მოგუცემენ ნაყოფსა ჟა
მისასა, და არა თუ ჟამისასა, არამედ სრულიადსა მოჴსენებასა, რო-
მელი აღაფრენს გონებასა ღვთისა მიმართ და მოგვანიჭებს ყოველ-
თა წინა-თქმულთა ცნობასა, ჴელოვნებასა და გა-მოცდილებასა, ვი-
თარცა იტყჳს იგივე პლინი სთოიკი. ,,არა არს არცა ერთი ეგრეთი
წიგნი, რომლისა რაჲმე მისგან ნაწილი სარგებლისა არა მოვი
ღოთ,“ და უკეთუ ესრეთ, და რაოდენმე სამღრთონი წერილნი და წმი-
დათა წერილნი, რომელნი მოგვფენენ მადლსა ზეცისასა, და მოგვამად-
ლებენ სოფლისა კეთილობასა, და შემდგომად აღგვიტაცებს წინაშე
ქრისტეს ღვთისა ჩვენისა:

1-34 სტრ., 3
ხოლო კუალად წიგნნი ფილოსოფოსთა მიერ ქმნულნი, აღგვავ-
სებენ სიბრძნითა, ჴელოვნებითა და სიტყჳერებითა. გვაცნობებენ
თავსა, და გვასწავებენ ვითარ ჯერ არს ცხოვრებად, და მილტოლვილ
გვყოფს ღვთისა მიმართ. კუალად მატიანე მოგვაჴსენებს ქმულება-
სა და ყოფათა მეფეთა, მთვართა და დიდებულთა, ვიდრე მცირედ-
მდე, ვითარებათა მათთა, განგვაშორებს ბოროტსა, და შეგვრთავს
კეთილსა. ხოლო წიგნნი დედაბერებული ზღაპართა, განა თუ არა
არს მოსაჴსენებელი, არამედ იგიცა ალხინებს ოდესმე, და გონიერი
მოისთლობს მის-განცა ნაყოფსა:(ვითარცა იტყჳს დამასკელი იოანე,
წიგნსა დ˜ თავსა ი˜ჱ. ,,ამისთჳს ჯერ არს რათა ვიკითხვიდეთ წიგ-
ნთა, რამეთუ მის მიერ მოვისთლობთ სულთა ნაყოფსა და უკეთუმცა
ვერ შევიგნოთ, კუალადცა ჯერ არს კითხვად და არა უგულებელს
ყოფად, რამეთუ ვსცნობთ მის მიერვე. და არა თუ საღვთოთა, არა
მედ გარეშენიცა არა არიან განსაგდებელნი, რათა უმჯობესნი მის-
ნიცა შევიკრიბნოთ, ხოლო უჯერონი ძაღლთა მოიპყრათ:“)

განა თუცა არს ესეოდენ კეთილობანი მის მიერ, არამედ
უგულებელს იქმნებიან და საგმობელ ვიეთთაგანმე. განა ესრეთთა

არა ჯერ არს რიცხვად, არამედ მეცნიერთაგანცა დატევებულ იქმნებიან მიზეზითა უცალოებისათა, და არა თუ უცალოებითა, არამედ უტრფიალობითა წერილისათა, და კნინღა საპოვნელ ძნიად არს ტრფიალი ათასთა შინანი ერთ: (რომლისათჳს მკითხველთა მოუგებ და სოკრატ ბრძენი,ოდეს ჰკითხვიდენ. ,,რასათჳს არა რაჲმე სიბრძნისა წარსწერე?.” მიუგო სოკრატ: ამისთჳს, ვინათგან ვხედავ, რამეთუ ქაღალდი უძჳრეს არს ვიდრეღა წერილი.” ხოლო უკეთუ ქაღალდი უძჳრეს არს, აწცა, რადღა სახმარ არს შრომა და წერა, ვი ნაჲთგან ჩანს მის გამო, რამეთუ არს წიგნი უპატიო;არამედ ჩუენ ვისმინოთ დამასკელისა თქმული და პლინი სტოიკის სიტყუა, ვინაჲთგან არა განსაგდებელ არს გარეშენიცა წიგნნი, და ვითარისა უჯეროსაგანცა მოვიგებთ სარგებელსა, რავდენით უმჯობეს არს რომელნიცა წარმოვსთქვით მათნი კითხვანი, და რაოდენ სასარგებლო და შესაწყნარებელ არს წიგნნი მატიანეთა: რომელისათჳს იტყჳს ბრძენი ციცერონ: ,,უკეთუმცა ყოველი ღვთისმეტყუელება, ფილასოფია, ფიზიკა და რიტორებანი შევიკრძალოთ, და არა მატიანენი ბუნებისანი ნერგთა და ცხოველთა, ვერა რაჲმე შევიგრძნათ.“

1-28 სტრ., 4
რამეთუ მატიანე მოგუაჳსნებს დასაბამითგანსა ჟამსა, წელსა და საუკუნოსა; მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა, და გმობს უკეთურთ ქმნულებასა, მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის, და მოწმობს სხუათა და სხუათა; მატიანე განამჳნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქუეყანისად; მატიანე აცნობებს ნათესავთ შთამომავლობასა, და დასდებს თავსა სარწმინოებისა-თჳს და მოყუარულ ჰყოფს მოყუასსა მოყუასისა მიმართ:

არამედ ესე მატიანე განიყოფების ოთხ წილად: ადგილის აღწერად, ნათესავთ მეტყველებად, წლისმრიცხველობად და მოქმედების აღწერად, და ესეცა განიყოფების ორად- საეკლესიოდ, და სამოქალაქოდ: საეკლესიო არს წმიდათა ცხოვრება, და ქმნულება მათნი, ხოლო სამოქალაქო- ქმნულე-ბა სოფელსა შინანი, დიდთა და მცირეთა, არამედ ვინაჲთგან ესეოდენი კეთილობანი მას შინა მოეპოებიან, არა არს განსაგდებელი, არა თუ უმეცართა მიერ, გარნა სურვილით შეტკბობა:

ხოლო უკეთუ ჩუენ ქართველთა მატიანე შემოიპყრობს სამსა მას წილსა მატიანისასა, არამედ წლის მრიცხველობასა და ნათესავმეტყველებასა მცირედ, ხოლო მოქმედების აღწერასა განავრცელებს. განა ამასაც ეკლესიის მატიანეს შეამოკლებს და სამოქალაქოსა მოგვითხრობს შესხმით და ვრცლად, ადგილით ადგილად და ოდესმე

შემოკლებით ნოედამ ვიდრე ბრწყინვალის მეფის გიორგისამდე.
ხოლო შრომა ჩუენი ამისთჳს არს, ვინაჲთგან ორნი წილნი იგინი
გამოუჩენელ არიან, რათა გამოვაცხადოთ, და მესამისა განვრცელე-
ბული შევამოკლოთ, რათა მკითხველთა არა საწყინოდ და ადრე სა-
ცნობელი იყოს.

ხოლო მოქმედი ვევედრებით, უკეთუ ვისმე სთნდეს კითხვად,
რათა არა შემოვიდეს მრისხანებით და შურითა, რამეთუ მრისხანება

განსდევნის სასჯელსა, და შური დაუტევებს კეთილობასა, არამედ
აღიმაღლოს გო-ნებისა თუალი სიწრფოებით, ვითარცა ორბმან, რო-
მელი ტრფიალებით აღვალს, რათა განიხილოს სრულიადი ქუეყნის
შვენიერება, და ესეოდენ სიმაღლესა ზედა, რომელ ყოველსა სო-
ფელსა გუგათა შინა შემოიკრებს, არამედ ამისი მოქმედი და უგონე-
ბელი განახლდების, და კუალად განჭაბუკდებისცა, ეგრეთვე უზაკუე-
ლი მკითხველი სცნობს შრომასა ჩუენსა და არა საგმობელ ჰყოფს,
და მიიღებს მიზდსა წადიერებისასა.

არამედ ესევითარცა ვამცნებთ მოქმედნი, რათა გონიერად ის-
მინოს თქმული ჩუენი. რამეთუ ვინაჲთგან დავსახენით ქარტა ანუ
რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდნენ მცი-
რედ და არა ჯეროვნად, და ჩუენ სრულიადი წინა დავდევით. გარნა
ამისდა ჯერ იყო სამჭირნოთ, რათა აქუნდეს ღეოღრაფიის აღწერისა-
ცა დადება, (რომელი არს ქუეყანისა მხაზველობა,) რომელი იგიცა
ვქმენით, და კუალად მისდაცა ჯერ იყო მოკლე მატიანე, რათა მკი-
თხველთა სცნან, ვისგან ქმნულ არიან ქმნულებანი, და მეფენი და
მთავარნი, და მას-შინანი კეთილნი და ბოროტნი, არა-თუ დატევე-
ბულ იქმნას მატიანე იგი, არამედ იგივე უმჯობეს სივრცელე, და ამის
განმართლებისათჳს, ხოლო ესე სიმოკლისა და რომლისად აღვსწე-
რეთ საჴმარად მისდა.

გარნა, უწყება ჯერ არს, უკეთუ ცხოვრებასა ჩუენისა ქორონი-
კონნი არიან იშჳთ. არამედ ნოედამ მირიანისამდე რაოდენნი მოი-
პოებიან, უმეტეს მოწმობენ რომაულსა; ხოლო მირიანიდამ ბაგრა-
ტოვანამდე, ბერძნულსა. და მას ქუეითნი, თამარ მეფისამდე. არიან ხუ-
თასიანნი, რომელსა ჩვენ უწოდებთ ქართულსა, და ჩვენცა ეგრეთ-
ვე შემოწმებულ ჩუენთა ცხოვრებათა ზედა ვქმენით. ხოლო თამა-
რითგან ბრწყინვალის გიორგისამდე კუალად უჩინოა. არამედ ვინა-
ჲთგან მცირედად და უჩინო არს, ზეითი და ქვეითი ქორონიკონნი,
ჩუენ ვითარ ვპოვეთ წარმოვაჩინოთ, ამათთა ურწმუნოთა-თჳს.

რამეთუ ნოედამ ნოედამ ნებროთის გამეფებამდე საჩინო არს დაბადე-
ბისაგან. ხოლო ნებროთ რაოდენი წელი მეფა და მოკუდა, იხილვე-

1-32 სტრ., 6
ბის სხუათა მატიანეთაგან, რომელნი მოწმობენ ჩუენთა მატიანეთა.
ხოლო მას ქუეითნი, კერპთათაყვანისცემა და მოსეს ზღჳს გამოსლვა,
დაბადებისაგანვე და სხუანი, სპარსთა მეფეთა, და ნაბუქოდორნოსე-
სა, და ალექსანდრე მაკედონელისათი ვიპოვეთ. ხოლო ვინაჲთგან
ალექსან-დრეს მოსვლა ქართლსა შინა მოვიპოვეთ, ამით ადვილ გვე-
ქმნა გამეფება ფარნაოზ პირველისა მეფისა, ვინაჲთგან მოსლვასა
ალექსანდრესასა, რაოდენის წლისა იყო, და რაოდენისა გამეფდა, და
რაოდენ წელ მეფა, მუნვე წერილ არს: და მის შემდგომად მეფენი
ასურულთა მეფეთა მოწმობითა, ვითარცა მოიჴსენებს მუნვე სა-
ხელებთა, ვიდრე ადრეკის მეფობადმდე:

ხოლო ადრეკის მეფობა იქმნა პირველსა წელსა შობისა ქრის-
ტესსა, და მეფობაცა მისი ცხად არს. არამედ მას ქუეითნი მეფენი
მირიანისადმდე კეისართა, სპარსთა და სომეხთა მეფეთაგან მოწმობი-
თა დავხსენით. ხოლო მირიანის მეფობისა პირველი ქრისტეს მიერ
მოქცევისა, და შემდგომად მოქცევის წელნი, ვინათგან წერილ არს
მისთჳს დღე მო-ქცევისა, კ˜ ივლისის დღე, შაფათი, ეს ვპოვეთ,
რომელი არს. ერთი, ქრისტესით ტ˜ვ, ქართული ნ˜ჱ. მეორე ქრისტესით ტ˜იზ.
ქართ. ჲ˜თ. და მესამე ტ˜კდ. ქართული ო˜ვ. რომელნი შეეტყვებიან მას:
არამედ პირველი იგი არა არს დღე-იგი მოქცევისა, რამეთუ კონსტან-
ტინე დიდი ჯერეთ არა იყო მოქცეულ ქრისტეს მიმართ, და არცა
დაეპყრა რომი და სრუალიადი მეფობა, რამეთუ წერილ არს: „მირიან
ეზრახა ოთხთა წარჩინებულთა თჳსთა კერპთმსახურებისათჳს, ,,უკე-
თუ არა დაუტეოს ნანა დედოფალ-მან სჯული რომთა, ვსტანჯო

იგიცა.“ რამეთუ, უკეთუ მოუქცეველმცა იყო კოსტანტინე, არა
აჴსენებდა რჯულსა რომთასა, ვინაჲთგან რჯული რომთა კერპივე
იყო, და ნინო ქრისტეს ჰქადაგებდა: კუალად მესამეცა არა არს, რა-
მეთუ ერთის წლის შემდგომად იყო კრება ნიკიური პირველი, არა-
მედ ნიკიის კრებისაგან უწინარეს იყო მოქცევა მირიანისა, ვითარცა
ვიხილავთ ცხოვრებასა შინა საჩინოდ: ხოლო მეორე იგი ჭეშმარი-
ტებს, ამისთჳს, რამეთუ კონსტანტინეს ხუთის წლის წინარე დაეპყრა
რომი და სრულიადი მეფობა, და ქრისტეანეცა ქმნულ იყო. ვინაჲთ-
გან მირიან რომისავე მეფობასა შინა მიუვლინა მთხოველი ეპისკო

1-25 სტრ., 7
პოზისა და მღუდლისა, რამეთუ არა დაწყებულ იყო ბიზანტია აღ-
საშენებლად, ვითარცა ვიხილავთ წერილებითა შინა ჩუენთა, და მას

ჟამსა სილიბისტროცა სცოცხლებდა, რომელ-მან მოავლინა დიაკონი თჳსი:

ხოლო ნინოს სიკუდილისა ქორონიკონი არა არს ურთიერთის მოწმობილი,
ვითარცა თამარ მეფესა, რომელი წარმოვაჩინოთ
თჳსსა ადგილსა. რამეთუ უკეთუმცა ქრისტეს აქათი ქორონიკონი ჯუარ-ცმიდამ იყო ტ~ლჱ, ჯერ იყო დასაბამითგანი ყოფილიყო ჩ~ყდ. და უკეთუ დასაბამითგანი იყო ჩ~ყლჱ, ჯერ იყო ქრისტეს აქათი ჯუარ-ცმიდამ ყოფილ იყო ტ~ლ. არამედ არცაღა ჟამსა ამას კონსტანტინე სცოცხლებდა, არამედ შეცდომილ არს მწერალთა-გან. ხოლო ჩვენ ვინაჲთგან ვპოვეთ მირიანის მოქცევისა იგი დღე, აღმოჩენითა მით, ამას ზედა აღვრიცხუეთ მოსლვა ნინოსი მცხე-თას, რომელმან დაჰყო წელი ი~დ, ამისგან სამი წელი უწინარეს მოქ-ცევისა იყო მცხეთას ქალაქსა შინა. რომლისაგან დაშთების ი~ა წე-ლი. ეს მირიანის მოქცევის წელს დავადევით, რომელი იქმნების ქო-რონიკონი ჩუენ მიერ აღწერილი. არამედ ნაკლულევანებს მუნ წე-რილისაგან ესე დასაბამითგანსა ბ~ წლითა, ხოლო ქრისტეს აქათსა, ი წლითა, და სხუანი მირიანის მეფობის წელნი მითვე რიცხვეულ ვყვენით და აღვსწერენით:

ხოლო ბაქარიდამ ვარზაბაქარისამდე, ეგრეთვე კეისართა და სომეხთა მეფეთა შემოწმებით ვყვენით. არამედ ვარზაბაქარ მცი-რე თეოდოსის ჟამსა არა არს, რამეთუ ვარზაბაქარ დიდის თეოდო-სის ჟამსა იყო, და ძე მისი მურვანოს მცირე თეოდოდსის ჟამსა, ესე იცნობის ესრეთ: ვინაჲთგან ყრმა წარიყვანეს მურვანოს, და მუნ

აღიზარდა მოღუაწებით. და შემდგომად განივლტო და მონაზონ იქმნა: კუალად უკეთუმცა ესრეთ არ იყოს, წელნი მირიანიდამ მეო-რეს ფარსმანისამდე, წერილი არა მისწუდების, და არცა ვახ-ტანგ ლეონ კეისრის ჟამსა იქმნების. ესრეთ უსწორო არს, ხო-ლო ესე განასწორებს და რიგოვან ჰყოფს რიცხუსა წელთასა მოწ-მობულებითა: კუალად ვახტანგისამდე მეფენი, რომელნი მუნ წერილ არიან, რამეთუ ვახტანგისამდე მირიანიდამ გარდაჴდნენო წელნი რ~ნზ. ესე არა მდე არს, არამედ სიკვდიდმდე ვახტანგისა, და ამაზედ შევასწორეთ. რამეთუ დაღაცათუ გარდაცუალებადმდე არა იყოს, ყო-ველნი სხუანი უსწორო იქმნებიან, და არცა იგი ს~ წელი მეორეს ფარსმანისამდე სწორე იქმნების, ვინაჲთგან ვახტანგის შემდგომთა მეფეთა მეფობის წელნი წერილ არიან, არამედ ჩუენის რიცხჳთ, რათა ჭეშმარიტი იყოს ს~ წელი. მირიანიდამ ვახტანგის გარდაცვა-ლებამდე, წელნი იგივე არიან, რ~ნზ: ესრეთ ჭეშმარიტ სხუათა მემა-

ტიანეთა მოწმობითა და მუნ წერილთა რიცხჳთა, და მეფენიცა ამას ზედა განვასწორენით, კეისართა და სპარსთა მეფეთა შეთანასწორებითა ვახტანგისამდე.

არამედ ლეონ კეისრისას ვინამენი მემატიანენი სწერენ, მ~ წელს მეფობასა მისსა, და ჩვენიცა მათ ემოწმების. რომლისათჳს ჩუენცა ეგ-რეთვე ვყვენით და შეთანავასწორეთ ვახტანგის და ლეონის მეფობა: ხოლო სხუანი ი~ზ წელს ამტკიცებენ ლეონის მეფობასა, რომელი არცა ესე არს წინააღმდგომ მისსა, დაღაცათუ არა იყო ლეონ დიდი, არამედ მეორე ლეონიცა, იგივე აღწერა ჩვენ-მან ცხოვრებამან, და ზენონიცა იგივე; და შემდგომად სპარსთა მეფისა ბრძოლასა ზედა ზენონად წარმოაჩინა სიყუარულისათჳს: გარნა სხუას ქართლის ცხოვრებაში უსახელოდ კეისარი სწერია, ამითი იქმნება ანასტასი კეისარი, ვითარცა ვიუწყებთ. ხოლო ვახტანგის შემდგომნი მეფენი რაოდენთა წელთა მეფობდნენ, ცხად არიან ვიდრე მეორის ფარსმანისამდე. და ქმნული ესე ჩუენი ჭეშმარიტ არს, ს~ წელნი, შესრულებულნი მირიანიდამ ფარსმანისამდე:

1-24 სტრ., 9
კუალად ბაკურ მეფიდამ, გურამ კურაპალატისამდე საჩინო არს კეისრის მავრიკისაგან, და სპარსთ მეფის ურმუზისა, და ძისა მისისა კოსროსაგან: ხოლო დავით წინასწარმეტყველის ნათესავის გურამის მოსვლა, ცხოვრება და გამეფება მათი აღვსწერეთ თჳსს ადგილს, მით იუწყების. ხოლო სტეფანოზის, გუარამ კურაპალატის ძისა, ერეკლეოს კეისრისა გამო, და ადარნასე ხოსროვიანისა ეგრეთვე: განა ვინაჲთგან ჟამსა ადარნასესასა და ერეკლეოს კეისრისასა გამოჩნდა მაჰმად, მოძღუარი სარკინოზთა, ჩუენ იგი მაჰმადის ქორონიკონი ვპოვეთ, რაოდენი ქრისტეს აქათი ყოფილ არს. ამის მიერ და წლის მრიცხველობით, ვიდრე მოწამის არჩილ მეფის სიკუდილისამდე, და ძეთა მისთა იოვანეს და ჯუანშერის სიკუდილისამდე, და ვიდრე აშოტ კურადპალატისა ძისა ბაგრატისამდე, რომლის გამეფება წერილ არს, რამეთუ მაჰმადის გამოჩინებიდამ ბაგრატის გამეფებამდე, გარდასულ იყვნენ წელნი ს~ით. ამას ზედა შევასწორენით ადარნასედამ ბაგრატისამდე გარდამჴდარნი წელნი ს~ით:

ხოლო აშოტ კურაპალატიდამ ვიდრე, თამარის მეფობამდე, წერილ არს ყოველთა ქართულნი ქორონიკონნი, და ამით გამოვირიცხვეთ ქრისტეს-აქეთნიცა: არამედ დავით აღმაშენებელისა წერილ არს, ი~ვ წლისა მეფე იქმნა, და ლ~ვ წელი მეფა, რომელი იქმნების ნ~ბ წელი. განა მუნავე წერილ არს, ი~ვ წლისა გამეფება და ნ~ზ-სა მოკუდა. ამ რიცხჳთ იქმნების მეფობისა მისისა წელი მ~ა, და ჩუენც ესევე აღვსწერეთ, ვინაჲთგან სხუათა მეფეთა ქორონიკონ-

ნი ამას უმეტეს მოწმობენ, და სიკუდილის დღე შაბათი, იანვარი კ˜დ
ეს ქორონიკონი იქმნების რომელი დავსდევით.

1-28 სტრ., 10
კუალად თამარის გამეფების ქორონიკონი არა არს შეთქმული,
რამეთუ წერილ არს, დასაბამითგანი იყო ხ˜ქპვ. ქრისტე ჩ˜ენვ, ხო-
ლო უკეთუ დასაბამითგანი იგი იყო, ჯერ იყო რათა ქრისტესი ყო-
ფილიმცა იყო ჩ˜როჱ. და თუცა ქრისტესი ჩ˜რნვ იყო, დასაბამითგანი
ჯერ იყო ყოფად ხ˜ქდდ. ესრეთ არა ჭეშმარიტებს: ხოლო ჩვენ ალექსი
ანგაარისა, და ფრანგთა-გან კონსტანტინეპოლის აღების ქორონიკონი
ვპოვეთ, მით მას ზეითი და მას ქუეითი წერილის წლის რიცხ-
ვეულებით ვყვენით, რომელსა სწერს, ი˜ჱ წელს ლაშას გამეფებას,
და თამარის კ˜დ წლის მეფობის აღმავალობას, და მისი სიკუდილი
ქორონიკონსა ზედა, რომელი ვპოვეთ, ვყავთ.ხოლო ძისა თამარის
ლაშას სიკუდილი იქმნა იანვარს ი˜ჱ, დღესა ოთხშაბათსა, ესე ვპოვეთ,
რომელია, პირველი. ქრისტესაქათი ჩ˜სია. ქართ. უ˜ლა, მეორე ქრის-
ტესი ჩ˜სივ, ქარ. ულვ: არამედ ვინაჲთგან ჩინგის ყეენმან დაიპყრა
სრულიად დიდი თათარი ქორონიკონსა ქრისტესით ჩ˜სბ, და ამ ჟანებითა შინა წარმო
ავლინა სპანი განმსტრობად, და დავით მცირე ყრმა დაშთა ლაშას,
და რუსუდანის მეფობის წელი მუნავე წერილითა აღვრიცხეთ. ამის-
თჳს პირველი უმეტეს მოწმობილი არს და არცა შემჭირნებულ ჰყოფს
მას ქუეითთა მეფეთა წელსა. ჩუენცა აღვსწერეთ, განმართლე-
ბისათჳს წერილთასა:

კუალად ლაშადამ დიმიტრი თავდადებულისამდე, აღრიცხჳთა
წელთა და მეფეთა- კეისართა მუნ წერილთათა, გვიქმნიეს: ხოლო დი-
მიტრი თავ-დადებულისა, დაღათუ არა წერილ არს წელი, არამედ წე-
რილ არს თთჳს რიცხჳ და დღე შაბათი მარხვისა მესამე, ამით ვპო-
ვეთ წელიცა იგი, რომელი ყოფილ არს ქრისტესი ჩ˜სპთ, ქარ. ფ˜თ,
ხოლო მეორე, ქრისტესი ჩ˜ტ, ქარ. ფ˜კ. და თჳნიერ ამისა არა არს
სხუა:

არამედ ჩუენ ვპოვეთ ბრწყინვალე გიორგისა და ძის ძისა მისი-
სა ბაგრატის ქორონიკონი ძუელთა ქორონიკებთა შინა, და ამით

1-28 სტრ., 11
გულდებულ ვიქმენით ლანქთემურის, და კონთქრებთაგან, და რიცხ-
ვეულ ვყავით ვახტანგისა და დავითისა, ვახტანგისა და გიორგის, და-
ვითის ძის, მეფობანი. ამისთჳს იგივე პირველი გვეჭეშმარიტა, და
დავსდევით, ხოლო მეორე ესე ფრიად შეამჭივრებს მათ მეფეთა წელ-
სა და არა სწორრიცხვეულ ჰყოფს. ხოლო კუალად ვახტანგ, ნარინ-
დავითის ძისა, დავით მეფისა და ვახტანგ, ძმისა მისისა, წელნი აღ-

ვრიცხვენით მათთა მეფობათათა და მით წარმოვაჩინენით. არამედ ვახტანგის აღსასრული, დაღაცათუ არა საჩინო არს, გარნა იცნობის ესრეთ, რომელნი აღგვიწერია:

ხოლო გიორგისა და ბრწყინვალე გიორგისა, რომელიცა წარმოვაჩინეთ სცნობს გონიერი მუნ წერილსა ზედა-ქუეთა, რამეთუ ესრეთ არიან, ვინაჲთ-გან სწერს: „დაუტევა დავით მეფემან ძე თჳსი გიორგი, წლისა ორისა მეფე ქმნული,“ და მცირე გიორგის, რომელსა მოიჴსენებს, თუცა პირველ მეფობასა მცირე იყო, არამედ აწ არღარა, წელთა რიცხჳსა წარმოაჩენითა. ამის გამო გიორგი დავითის ძე სხვა არს, და დიმიტრის ძე სხუა, არამედ სიგრძე წელიწადებთა ოლჯათ-ყეენის გამო, რამეთუ მან ოლჯათ ყეენმან ი˜გ წელი ყეენა, და ამ წელთა აღრიცხჳთა იქმნებიან ესე ორნი გიორგი ესრეთ. ხოლო შემდგომად ბრწყინვალე გიორგისა მოვიჴსენოთ თჳსსა ადგილს ჯეროვნად.

გარნა სცნობს შემომსვლელნი ამას შინა კითხვისად უზაკველობით, რამეთუ არა რაჲმე თნებისა, ანუ თუალთღებით წარგვიწერიეს, არამედ შეძლება ჩუენი ესეოდენ იყო და ესრეთ მიწდომილ ვიქმნენით. ხოლო უკეთუ უმჯობესი ვისმე ძალ-გიცსთ, ჩუენი ესე ქმნული არა დამაყენებელ არიან, ვინაჲთგან დედანი იგი მატიანისა შეურყეველად ჰგიეს, არა ერთი, არამედ მრავალი. განა შრომა ჩუენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომენ კნინღა წელნი სამნი მარადის წერითა, გამოძიებითა, მატიანეებთა, და ცხოვრებათა ძიებითა, რამე-

თუ არა დაუტევეთ ხონოღრაფნი ბერძნისა, არათუ ერთისა ვირწმუნენით, არამედ სხუათა და სხუათა შემოწმებითა: ეგრეთვე განყრილობისა შემდგომად, რომაულთა კეისართაგან, მეფეთა ევროპიელთა, აწინდელთა სულტნებთა სტამბოლისათა, სპარსთა მეფეთა შიხთათა გამო ვიპოვეთ, შემოწმებულად ვქმენით, რომელნი მოწმობენ ჩუენთა მატიანეთა და ქორონიკონებთა, ამისთჳს სარწმუნო ვართ, რომელმან იხილოს შრომანი ჩვენნი არა საგმობელ გვყოს, არამედ მადრიელ იქმნეს, და მისცეს ლოცვა მიზდისა მოქმედსა: დაღათუ არა იქმნას ესე, ჩვენ სურვიელ ვართ აღსრულებად წმიდისა დამასკელის თქმულისა და პლინი სტოიკის სიტყჳსა, რათა არა განვლოთ ჟამი უქმობით, რომელ არღა მოვიღოთ ნაყოფნი სარგონი მისმიერნი. და თქუენდაცა წინამდებარედ გვიქმნიეს, უკეთუ ვის გინდესთ მიიღოთ. უკეთუ არა, არს ძალი, არამედ უმჯობესისა ჩუენება, და რომელმანცა აღირჩიოს იგი ჰყოს, მადლითა და კაცთმოყუარებითა ღვთისათა, მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისათა ამინ:

ხოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს-აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩ˜ღმე, ქართულსა უ˜ლგ, ოკდონბერსა კ˜, მეფის შვილის ვახუშტის მიერ, სამეუფოსა ქალაქის მოსკოვის პრესნას:

1-26 სტრ., 13

ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი

[წინასიტყვაობა]

ღმერთმან სიბრძნითა თჳსისა მოწყალებისათა, გამოუთქმელითა და მიუწდომელითა, დაბადა კაცი. და ვითარითა მოწყალებითა! რამეთუ მიწისაგან შექმნა ცხოველად, სულიერად, სიტყჳერად, უკუდავად და განაშუენა იგი სახოვანებითა და განაბრწყინვა იგი მადლითა თჳსითა უბრწყინვალეს მზისა, და ვარსკულავთა, და მნათობთა, და შეუმკო ქუეყანა ყოვლისა შუენიერებითა: მრავალთა ნერგთა მყვავილოვანებითა და სურნელთა ფშოთათა, და მდინარე-წყაროთი მომდინარეთა, და უმეტეს ზღუათა სივრცელითა, და მას შინა მრავალთა ჭალაკთა მშუენთა, და ცხოელთა და თევზთა სხუადასხუა გუართა სისავსითა, და ჴმელთა ზედა პირუტყუთა და ნადირთა, და მჴეცთა განთჳთვებულითა, და მფრინველთა უმეტეს გუართა სიმრავლითა და კეკლუცობითა და მშტვენარებითა სასმენელობათათა, კუალად ვარსკულავთა მნათობთა ბრწყინვალებითა; განათუ ამითიცა არა ჴმა ჰყო, არამედ სხუა უქმნა უმაღლეს ქუეყანისა, ვითარცა დაჭილი სამეუფო და უუშუენიერესი ყოველთავე ამათ ქმნულთა, - იგი არს სამოთხე; და დაჰბადა მას შინა ადამ და კუალად მოწყალებითავე გუერდისა მისისაგან უქმნა შემწედ ევა, და დაადგინა სამოთხესა მას შინა უკუდავი, უზრუნველი, ნებსითი და უვნებელი, და დაუმორჩილა მას ყოველნი ქმნულნი ცასა ქუეშენი, ვითარცა მისთჳს ქმნულნი სრულიადი; და დაადგინა მეუფედ მათ ზედა, რათა დაიცვას მცნება მისი და შემდგომად მიიღოს უკუდავი, უკანასკნელი, უდიდესი კუალად დიდება ღვთისა. არამედ მტრისა ბოროტის მაცთურისაგან ურჩებითა ცთომისა მიზეზისათა გამოვარდა სამოთხით და მოეძარცვა მადლი და ბრწყინვალება ღვთისა, და დაშთა ლიტონი კაცი და შეი-

1-28 სტრ., 14

მოსა, მადლისა და ბრწყინვალებისა წილ, ფურცელი ლეღჳსა, ესე იგი არს სიზრქე, სიმძიმე და გემოვნება.და შემოუჴდა ნდომა ანუ წადილი, ვითარცა კაინ მოკლა ძმა თჳსი აბელ. ამიერითგან იწოდნენ ძენი ღვთისანი და ძენი კაცთანი, ესე იგი არს ძენი გულისთქმისანი და ნდომისანი, და ძენი სულიერისა ღვთისა ტრფიალებისანი. და ვიდრე ნოეს ღრღვნისამდე ესე ესრეთ. ხოლო შემდგომად ძეთა ნოესთა, რომელნი ვიდოდნენ კუალთა ძეთა გულისთქმისა და ნდომისათა-

ვე, შესძინეს დატევება დამბადებელისა ღვთისა თჳსისა და ქმნეს ნივთიერნი ღმერთნი: კერპნი უსულონი, უტყუნი და ყრუნი, და თაყვანისცემდენ მას, ვიდრე სრულიად ქუეყანა, ნათესავი ადამისი და ტომნი ნოესნი. ხოლო ესე ქართველთა ტომნი, ვითარცა გვაუწყებს მატიანე ჩუენი, იყვნენ ყოველთა ტომთა და ნათესავთა უუბოროტესნი და უუღთოესნი.

ზნეთათჳს

არამედ ვინაჲთგან აღვსწერეთ ტომობა და ჩამამავლობა ქართველთა ნოეს ძის იეფთაეს თესლისაგან, ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე, და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა, აწ ვიწყოთ ძუელიდამ ახლადმდე საქართველოსათა ზნეთა, ჩუეულებათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა. რამეთუ წესნი მთავრობათა საქართველოსათა არიან დასაწყისითგანვე, ვითარცა ვიუწყებთ: რაჟამს მისცა ჰაოს ძმათა თჳსთა წილნი ქუეყანათა, და შემდგომად ქართლოსის ცოლმან ძეთა თჳსთა, და შემდგომად მცხეთოს, და კუალად ეგროს, ბარდოს, მოვაკან, ჱროს, ლეკოს და კავკასოს, ვითარ წარჩინებულნი მათნი მთავრად ისახელებოდნენ, რამეთუ ცხად არს ადგილითი ადგილთა განყოფილებითა და სახელთა მათთა, რომელნი იწოდნენვე მათ მიერ; და იწოდებოდნენ იგინი ესრეთ მთავრად, არამედ მცხეთას მყოფი უწარჩინებულეს მთავრად, და მამასახლისად, და მოურნედ მათ ყო-

ველთა ისახელებოდა. არამედ სარწმუნოება მათი იყო ერთისა დამბადებელისა ღვთისა თაყვანისცემა, და ფუცვიდიან ქართლოსის საფლავსა. ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათჳს მჴნედ ბრძოლა, მაგრად ქუეყანისა, ერთისა ცოლისა ქრმობა, რამეთუ მოიყვანიან თჳს-თჳსთა თანასწორთა: მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა; და ამის მიერ არა იყო მრავალცოლობა, ვითარცა ვიხილავთ ქართლოსისასა და სხუათაცა. არამედ, გარნა თუ მრავალ მთავარ იყვნენ და ოდეს-მე განდგიან თჳს-თჳსად, გარნა მარადის გარე მტერთა თჳსთა ზედა ერთობდენ და მორჩილებდნენ მცხეთელ მამასახლისსა და, შეერთბამებულნი, თჳსთა ქუეყანისათჳს მჴნედ იბრძოდიან. და იყვნენ მრავალთა წელთა წესთა ამათ ზედა. ხოლო შემდგომად დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თჳსი და თაყვანის სცემდნენ მზედა, მთოვარესა, ვარსკულავთა და ნივთიერთა და პირუტყუთა, და შემოერიათ გარეგანნი წარმართნი: სპარსნი, თურქნი, ასურნი და ბერძენნი, და შემდგომად ურიანი, და იტყოდიან ესეოდენითა ენითა; და უმეტეს დაივიწყეს დამბადებელი თჳსი და წესნი და ჩუეულებანი თჳსნი, და იქმ-

ნენ ყოველთა წარმართთა იწარმართესნი და უუსჯულოესნი, რამეთუ არღარა უწყოდნენ ნათესაობანი და შერეულ იყვნენ შეყოფითა, ვიდრე წარწერადცა უცხოთა. და კუალად შესძინეს ამას ზედა, რამეთუ, და მოკუდის ვინმე კაცი ანუ ბრძოლასა, - მეორე ივასხის და შესჭამდიან, ხოლო უკუეთუ არა, თჳთ შესჭამდიან, ვითარცა იტყჳს: „კარსნელთა მართებს კოდმანელთა ხუთი მკუდარი დღედმდე“. კუალად სჭამდიან ყოველსა ცხოველსა სულიერსა არაწმიდასა. გარნა იყვნენ მცხეთელ მამასახლისის მორჩილებასა ქუეშე და ერთობდენ მტერთა თჳსთა ზედა მრავალსა წელსა.

1-24 სტრ., 16
ხოლო შემდგომად შემოვიდა ალექსანდრე მაკედონელი. ამან მოსრნა შემოსრულნი წარმართნი სრულიად, თჳნიერ ქართლოსიანთა და ურიათა გუართა, არამედ ურჩი თჳსნი ქართლოსიანნიცა, ვითარცა ფარნაოზის მამა, ბიძა და სხუანიცა, და განწმიდა საქართველო ესევითართა უკეთურებათაგან, რამეთუ გვაცნობებენ სარკინოზით ლტოლვილნი დიდონი, რომელნი აწამდე წესსა მას ზედა დგანან, თჳნიერ კაცის ჭამისა. ხოლო ალექსანდრემ დაუდვა რჯული საქართველოთა ერთისა დამბადებელისა ღვთისა თაყვანისცემა, და მზისა, და მთოვარისა, და ვარსკულა/ვთა პატივი.

კერპთათჳს

არამედ შემდგომად ალექსანდრესა დაუტევა რჯული იგი ერისთავმან მისმან აზონ და აღმართნა კერპნი გაც და გაიმა, და ათაყვანა სრულიად საქართველოსანი, და ასწავებდა ზნესა და ჩუეულებასა თჳსსა.

ხოლო მოიკლა აზონ ფარნაოზისაგან, და გამეფდა ფარნაოზ.
ამან საშუალსა გაც და გაიმისა ამართა სახელისა თჳსისა კერპი არმაზ მთასა ზედა და ჴევსა შინა, ქართლოსის საფლავსა ზედა, რვალისა, დიდი, ცმული ოქროს ჯავშნითა, რომელსა სხდნენ თუალნი ქვათა ძვირფასთა მნათობელთა და გჳრგჳნი თავსა მისსა ეგრეთვე მნათობელთა ქვათა, და ათაყვანა მას საქართველოსანი და დაუდვა დღესასწაული მისი, რომელი ქუემორე ითქმის, ხოლო შემდგომთა მეფეთა შესძინნეს კერპნი ზადენ, და აფროდიტე, და სხუანი. არამედ ესე არმაზ უდიდესი იყო ყოველთა ღმერთთა. ხოლო მეფისა განწესებისა შემდგომად აქუნდათ სარწმუნოდ ღმერთნი ესენი, და მტკი-

1-29 სტრ., 17
ცედ დგნენ სარწმუნოებასა სიყუარულსა ზედა, და არა თაყვანისსციან სხუათა ვიეთთამე ღმერთთა (რომლისათჳს გაუწყებს მაიჟან

სპასპეტი, და მეფე მირიან, ოდეს ეზრახვის დიდებულთა თჳსთა წმიდის ნინოს შეურაცხებისათჳს).

მეფეთათჳს

ხოლო ჩუეულება აქუნდათ ერთისა მეფისა მორჩილება და სარწმუნოდ მის მიმართ ყოფა, ჩამომავალთა და გუართა მეფეთათა შემდგომად მისა გამეფებად, რამეთუ შემდგომად მამისა ძე და არა სხუა გუარი, არცაღა თუ გამორჩევით; არავისა მონებდნენ თჳნიერ მათთა ანუ წულთაგან ანუ ასულთაგან, უკეთუ არა დაეტევის წული (ვითარცა იტყჳს იგივე მაიჟან სპასპეტი, და იხილვების მატიანესა ჩუენსა).

წესთათჳს

ხოლო წესნი აქუნდათ: რამეთუ კერპთა მღუდელთა პატივნი და რიგნი იყვნენ ცალკერძად, ვითარცა სულიერთა. ხოლო სოფლიერნი: პირველი ერისთავნი, ბ˜ მთავარნი, გ˜ აზნაურნი, დ˜ ვაჭარნი, ე˜ მსახურნი, ვ˜ მუშაკნი-გლეხნი.

წესი ერისთავთა იყო მეფისა მიერ განწესება ქუეყანათა მიმართ და მის მიერ მოურნეობა. სამართალი და ლაშკარნი მის ქუეყნისანი მის ქუეშევე იყვნენ, და იგინი მოჰკრეფდნენ ხარკთა სამეფოთა. ხოლო ესე ერისთავნი დაიდგინებოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი, და ძენი მათნი შეცვალებით.

ხოლო წესი მთავართა იყო გუარი და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი. ხოლო უკეთუ მეფისა წესსა შინა იყო იგი, უმეტეს პატივ-იცემოდა. არამედ მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გუარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ჴეობანი, და თჳნიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად.

ხოლო აზნაურსა აქუნდა გუარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაჲმე მთათა ანუ ბართა, და დაბნებნი, და ძალ-ედვას გამო-

სლვა მარქაფითა, კარავითა და მათითა განწყობილებითა, და თჳნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურად.

ხოლო ვაჭართა პატივი იყო აზნაურისა ქუემორე და ვიეთთამე სწორი.

და შემდგომად პატივი მსახურთა მეფისათა, გლეხთა ძეთა, და მერმე ჩინებულთა მათთა წესისა მიერ პატივი მსახურთა მათთა.

და შემდგომად ამათთა - მუშაკთა - გლეხთა. რამეთუ სისხლნიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ: ზეიდამ ქუეით ნახევრად ანუ ქუეიდამ ზევით ერთორად.

ლაშკართათჳს

ხოლო ლაშკართა წესნი აქუნდათ: მეფეთა ჰყვა როქითა, რაოდენი ძალ-ედვა, სპანი მცველად თჳსად, ვითარცა იტყჳს მირიანისასა და აღმაშენებელისასა ჲ ~ ათასსა მარადის მცველად მისად, და დავითთასა, არღარა განიყოფოდა საჭურჭლე სპათა ზედა, და პატივი ამათი იყო სხუა. ხოლო სხუანი სპანი იყვნენ ქუეყანათაგან და ერისთავთა ქუეშე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდიან ჟამად.

საჭურველთათჳს

ხოლო საომარნი საჭურველნი აქუნათ: ჯავშანი, ხვაფთანი, პოლოტიკნი, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, ჴმალნი, ხანჯალნი, ლახტნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუბნი, ხიშტნი და მშჳლდისარნი. არამედ ისარი ბოძალი დიდთა ნადირთათჳს, ქეიბური მჴეცთათჳს, სარჩა და ქიბოჯი წვრილთა ნადირთათჳს, და სამუდამოდ აქუნდათ; ხოლო კაპარჭის ისარი, რომელ არს საყალნი, ომსა-ბრძოლასა შინა.

სამართლისათჳს

ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათჳს აქუნდათ: სისხლი, ჯრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი.

1-31 სტრ., 19
სისხლს უწოდებდენ ოდეს სწორმან მოკლის ვინ ვინმე სწორი. მეფისაგან შერისხვა იყო ანუ სიკუდილი, ანუ გუემა და პატიმრობა, ხოლო მკულელისა მის თანამდებ იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი. ხოლო უკეთუ უმაღლესმან მოკლის უმცირესი, დაუურვის სისხლი, ხოლო უმდაბლესმან თუ მოკლის უმაღლესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა; ეგრეთვე დაწინდულთა ქალთა წართმისა ანუ დატევებისათჳს ჩინებისა მიერვე დაუურვის სისხლი. ხოლო სულიერთაგან ამის მოქმედთა ზედა სხუა იყო შერისხვანი.

ხოლო ჴმალი მეფეთა ღალატისა შეწაამებისა ანუ კერპთა ანუ, შემდგომად, ეკლესიისა მკრეხელთათჳს. შემწამებელს და შეწამებულს ალოცვიდიან მ~ დღე, შემდგომად შესჭურვიდიან ყოვლითა საჭურველითა და შესხნიან ცხენთა ზედა და მისცემდიან თჳთოსა ცხენოსანსა უსაჭურველოთა, თჳნიერ მათრაჴისა, რომელთა უწოდნენ მემათრაჴეთ, ჩაგზავნიდიან ასპარეზსა შინა, და იწყიან ბრძოლად შემწამებელმან და შეწამებულმან, და მემათრაჴენი იგინი მოაჴსენებდენ თჳსთა ჟამთა შინა ბრძოლასა და საჭურველისა ჴმარებათა, და რომელი ჩამოვარდის, განმტყუნდისცა. ხოლო რისხვა მისი: მოკუეთა თავისა და იავარი მამულით და სახლით, არამედ შეწყალებისათჳს აღმოჴდა თუალთა.

ხოლო შანთი ქურდთა განმართლებისათჳს: გააჴურვიან საჴნისი, ვითარცა ნაკუერცხალი, და დასდვიან მაღალთა ზედა, რათა მალიად შეედვად ჴელნი ქუეშე მისსა, და დასდვიან შეწამებულსა ტილო ანუ ქაღალდი ჴელთა ზედა; იგი მივიდის და აღიღის საჴნისი, და წარდგის სამი ბიჯი, და გარდააგდის. მასვე წამს შეუხვივიან ჴელნი სამ დღემდე და შემდგომად სამისა დღისა გაუჴსნიან და, უკეთუ დაუწვავ არს, განმართლდის, უკეთუ დამწვარი, მტყუარ.

ხოლო მდუღარეცა ეგრეთვე მისთჳს: გაადუღიან წყალი ქუაბსა შინა, შთააგდიან მცირე რკინა მას შინა, მოვიდის შეწამებული შიშულითა მკლავითა და აღმოიღის რკინა იგი, და წამს შეუხვივიან, ვითარცა შანთისასა, ეგრეთვე ამისიცა მართალი და მტყუანი.

1-24 სტრ., 20
ხოლო ფიცი მამულის ცილებისათჳს, მცირე ქურდობისათჳს და სხუათათჳსცა. დააფიციან მოწმითა რაოდენნი შეხუდის, ხოლო ქურდსა, ავაზაკსა და მძარცველსა ერთისა წილ შჳდი მიაცემინიან და, უკეთუ ვინ მესამედ ჰყო, აღმოჴდიან თუალთა და მცირედისათჳს მოჰკუეთიან ფერჴნი. კუალად, უკეთუ ვინ იჴადის მახჳლი ბჭესა მეფისასა ანუ ერისთავსა ზედა და წარჩინებულთა, მოჰკუეთიან ჴელნი, და სხუანიცა მრავალნი იყვნენ.

ჴელისუფალნი

ხოლო ჴელისუფალნი იყვნენ მეფისანი ესენი კარსა ზედა: სპასალარი ანუ სპასპეტი, და ამისი ჴელისანი იყვნენ ყოველთა სავაჭიროთა თათბირთა პირველობა და ყოველთა ერისთავთა უხუცესობა.

სპასალარისათჳს

ესევე შეჰკრებდა ლაშკართა და ხარკსა სამეფოსა ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა.

სალთხუცესისათჳს

აბრამადი ანუ სალთხუცესი, და ამისი ჴელისა იყო სამეფო შემოსავალი და გასავალი; ამან უწყოდა წესნი და რიგნი სახლისა მეფისანი და თათბირობა სამეფოსი, და სახასონი მეფისანი. და ამას ქუეითნი ჴელისუფალნი ამისი დასახედნი იყვნენ, არამედ უმეტეს ეჯიბს ქუემორენი.

მსახურთუხუცესისათჳს

მსახურთუხუცესის ჴელისა იყვნენ: სალაშკრო საჭურველისა და იარაღისა მსახურნი მეფისანი და ციხე-ქალაქთა მცველნი სპანი მეფისანი.

1-18 სტრ., 21

მონათუხუცესისათჳს

მონათუხუცესისა ჴელისა იყვნენ ყოველნი მეფის როქის სპანი, თჳნიერ ციხე-ქალაქთა.

მანდატურთუხუცესისათჳს

მანდატურთუხუცესის ჴელისა იყო: მანდატურნი, ბოქოულთხუცესნი, ბოქოულნი, მანდატურნი, მებჭენი, მეკრენი, ქონდაქარნი, სარანგანი და ნადიმობის წესი, და წინაძღოლა მეფისა, მოჴსენება ნადიმსა და ამჴედრებულისა ამის მიერ იყო მეფისა.

მეჭურჭლეთუხუცესისათჳს

მეჭურჭლეთუხუცესი, ამისი ჴელისა იყო ყოველნი საჭურჭლენი და საუნჯენი მეფისანი, და მას შინა დაწესებულნი.

მსაჯულთუხუცესისათჳს

ამისი ჴელისა იყვნენ ყოველნი მსაჯულნი, ბჭენი და ჴევისბერნი, ჴევის-თავნი, და ესევე სჯიდა საბრძანოსა მეფისასა.

მეჯინიბეთუხუცესისათჳს

მეჯინიბეთუხუცესი შემდგომად იწოდა ამილახორი. ამის ქვეშ-
ლისანი იყვნენ: ყოველნი მეჯინიბენი, შიკრიკნი, პაიჭნი, ჯინიბნი,
ჰუნენი, ჯოგნი, რემანი მეფისანი.

1-24 სტრ., 22

ბაზიერთუხუცესისათჳს

ბაზიერთუხუცესი, ამისი ქვეშისა იყო: სრულიად ბაზნი, ბაზი-
ერნი, მეძაღლენი, ძაღლნი, ტყეთა და ველთა მცველნი, სანადიროთა
მეფისათა.

ეჯიბისათჳს

ეჯიბი, ამისი ქვეშისა იყვნენ ყოველნი ტაძრეულნი მეფისანი,
და ნადიმსა იგივე მიუგებდა მეფისა წილ, და მასეტყოდნენ დარბაზის
ერნი რაჲ ენებათ მეფისა მოჴსენებად, და თავისწინაობასა შინა ვერ-
ვინ შევიდის მეფისა, თჳნიერ მისსა.

ეზოსმოძღურისათჳს

ეზოსმოძღუარი, ამისი ქვეშისა იყო: ყოველნი საგანგიონი, მე-
ფისა ხარჯნი და წარსაგებელნი, წესნი და რიგნი დარბაზისა, მეფის
ტაბლისა და სანოვაგისა, ანუ სხუათა.

ჩუნჩერახისათჳს

ჩუნჩერახი, ამის ქვეშისა იყო: მზარეულთუხუცესნი, მეტაბლენი,
მზარეულნი, მეპურენი, მერწყულნი, მგოსანნი, მემწყობრენი, ბუკ-
ტაბლაკთა და სხუათა მცემელნი.

მეღჳნეთუხუცესისათჳს

მეღჳნეთუხუცესი, ამისი ქვეშისა იყო: მეწდენი და მესასმისენი
მეფისა და ღჳნის მნენი.

მოლარეთუხუცესისათჳს

მოლარეთუხუცესი, ამისი ქვეშისა იყო: რაჲცა მეფის თეთრნი
ანუ ლარნი თჳსთა საკუთართა ზედა ანუ ქუელის საქმისად უჴმდა,
და მის ქუეშე დაწესებულნი მოლარენი.

1-26 სტრ., 23

მესტუმრეთუხუცესისათჳს

მესტუმრეთუხუცესი, ამისი ჴელისა იყო: მესტუმრენი. ესენი მო-აწვევდნენ დარბაზის ერთა, ესენი მოურნეობდენ სტუმართა.

ჯუარისმტჳრთველისათჳს

ჯუარისმტჳრთველი, ესე მოაწვევდა კათალიკოზთა და ეპისკო-პოზთა, და შერისხვაცა ამის მიერ იყო მეფისაგან.

მდივანთათჳს

მდივანნი, ესენი იყვნენ წესითა უმაღლენი და უმდაბლესნი: მეფის-თანანი პატივითა უმაღლესნი (ვითარცა იტყჳს: „მდივანსა ჩუენსა ჩოლაყაშვილს არა რაჲ ეკადროს, თჳნიერ დიდისაა შეცოდე-ბისათჳს მეფისა მარჯუენა ცერი მოეჭრას, ამისგან კიდე არა რაჲ“), სპასალარისა თანასა სხუა, სალთხუცისა თანასა სხუა, მონათუხუ-ცესისა, მსახურთუხუცესისა, მსაჯულთუხუცესისა, მეჭურჭლეთუხუ-ცესისა, და ეზოსმოძღურისა თანათა სხუა. ესენი სწერდენ: უს-ტარსა, იერლაყსა, პიტაკსა, ენდალმასა, პატრუცაგსა, როარტაგსა, გუჯართა, სიგელთა, ბრძანებათა, განაჩენთა და სხუათა.

ფარეშთუხუცესისათჳს

ფარეშთუხუცესი, ამისი ჴელისა იყო: ფარეშნი, ნოხნი, კარავნი, ოთახნი, მნათენი და ყოველნი საგებელნი, დალიჭნი, სკამნი, სავარ-ძელნი, სრა-ფარდაგნი, ფარდანი და მნენი მისნი, და მერწყულნი.

ხუროთმოძღურისათჳს

ხუროთმოძღუარი, ამისი ჴელისა იყო სრულიად ჴელოსანნი და შენობა-სასახლეთა და ეკლესიათა, ჯიდთა, ფუნდუკთა.

მწერალთათჳს

მწერალნი იყვნენ, რომელნი სწერდნენ შემოსავალსა და წარსა-გებელსა ყოველსავე, და ტომართა, და სხუათა.

1-32 სტრ., 24

ჩუეულებისათჳს

ხოლო წესნი ესენი და ჩუეულებანი აქუნდათ, რომელნი ვთქვით, და განუხეთქელობისათჳს სამეფოსა მცდელობდნენ და, უკეთუ მიუღიან საზღვარნი თჳსნი, ყოველნი მწუხარებდენ და იჭირვოდნენ კუალად-გებასავე, და მეფეთა თჳსთა მიუდრეკელად ერთგულებდენ, გარნა და სძლიან ვინმე მძლავრთაგანმან, არა დაემორჩილიან, არამედ კუალად იპყრიან თჳსნივე წესნი, და არა დაუტევიან ღმერთნი, და მეფე, და ჩუეულებანი თჳსნი. ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდნენ, სკამთა ზედა სხდიან, ბოდიშობდიან ქუდის მოჴდით, ვითარცა აწ მთის კაცნიცა, სმიდიან ღჳნოსა, სჭამდენ ჴორცთა პირუტყუთა და ნადირთათა, ნადიმობდნენ მეფისა თანა და ურთიერთთა თანა. მეფეთა გამეფებათა ზედა გარდააყრიდიან დიდნი და მცირენი სრულიად ოქროსა და ვეცხლისა ტაბაკთა, ვის რა ძალ-ედვა. ცოლნი თჳსთა თანასწორთა ერთი და არა სხუათაებრ მრავალნი. ამისთჳს უწყოდენ მოყუსობა, ნათესაობა, ურთიერთთა მტერობა და მოყურობა, ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა. არამედ ქორწილის ჟამსაცა გარდააყრიდიან, ვითარცა მეფესა, ოქროსა და ვეცხლსა ყოველნი მოწვეულნი და მწვეველნი, ვის რა ძალ-ედვა, და არა სიძერძლი იყო იგინი, არამედ მეწდისა მათისა. მკუდარსა დაჰფლვიდიან ყოვლითა შესამოსლითა, და საჭურველითა, და სამკაულითა თჳსითა (ამის გამო არს აწ ნიშანი ეპისკოპოზთა), ტიროდიან და საბნელოსა სხდიან მ˜ დღე, აღიპარსიან თავნი, წუერ-ულვაშნი, წარბნი, წამწამნი, და ჩაიჴდიდიან წელამდე სამოსელთა მამრნი და მდედრნი, იცემდიან, ვიდრე სისხლდინებისადმდე, არა სჭამდიან ჴორცსა და ცხოელსა წლამდე, გარნა მაშინც იძულებითა დიდითა; შთაიცვიან ძაძაფლასნი და დაიბურიან თავსა თხისურნი ჩაჩნი; განჰყვიან საფლავამდე ცოლნი ქმარსა და ქმარნი ცოლთა, და სხუათა ახლოს მოყუასთაცა, ჯინსა შინა მსხდომარენი ბნელსა, ძაძითა მოკრულითა, იმღერდიან მწუხარისა ჴმითა ტყებისა ჟამსა არა ჭირისუფალნი, არამედ სხუანი მუნმყოფნი (ხოლო წესნი ესენი მოშალა ჟ˜ა მეფემან გიორგიმ, რაჟამს მოვიდა მისა პატრიაქი იერუსალიმისა, მის გამო, თჳნიერ შავის ჩაცმისა, ჴორცის უჭმელობისა და ტყება-ტირილისა).

1-29 სტრ., 25

კერპთა დღესასწაულთათჳს

კუალად უწყოდიან დღესასწაული კერპთა, ღმერთთა თჳსთა: განვიდის თჳთ მეფეთა და დიდებულნი და მცირებულნი ბუკ-დაბდაბითა და ყოვლითა ძნობითა და სახიობითა; შესწირვიდიან ძროხათა, ჴართა, ცხოვართა და ნადირთა. თაყვანისცემდნენ არმაზს, შემდგომად ზადნეს და მერმე სხუათა ღმერთთა. არამედ უმეტეს დიდი იყო დღესასწაული არმაზისა, და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღჳნის სმითა, როკვითა

ფერჴისათა, პირობითა, სახიობითა და ძნობითა სამ დღე და მოიქ-
ციან თჳს-თჳსად სახიდ. არამედ ოდითგან დაატევებინა ალექსან-
დრემ ჭამა მკუდართა, მიერ ჟამითგან შესწირვიდნენ კერპთა ძეთა და
ასულთა თჳსთა, და იყო ესე ბოროტება მრავალსა წელსა; არამედ
შემდგომად დააყენა დაკლვა ძეთა და ასულთა შეწირვად კერპთა მე-
ფემან რევ და უბრძანა კუალად პირუტყუთა შეწირვად (ხოლო ჟამ-
სა ქრისტეანობისასა ნაკერპავთა მათ მთათა მაღალთა და ბორცუთა
ზედა ესევითარივე იყო განცხრომა-როკვანი; ამისთჳს აღაშენეს მათ
ზედა ეკლესიანი და ჯუარებობდიან მუნ, ვითარცა აწ ფერჴისა სიმ-
ღერითა გაათენიან). და ესენი ესრეთ.

შემდგომად კერპთა

ხოლო შემუსრა ძალითა ზეგარდამოთ წმიდამან ნინომ არმაზ,
უდიდესი ღმერთი ქართველთა, და გაც და გაიმა, და იქმნა მეფე მი-
რიან წმიდის ნინოს მიერ ქრისტეანი, და აღიარეს სრულიად საქარ-
თველოსათა ძედ ღვთისად მარიამ ქალწულისაგან განჴორციელებუ-
ლი, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. და შემუსრნა შემდგომად მირიან
ყოველნი კერპნი საბრძანებელსა თჳსსა და მათ წილ აღმართნა ცხო-
ველსმყოფელნი ჯუარნი ქრისტეს მეუფისა დასამჴობელად მტერთა.

ეპისკოპოზ-მღუდელთათჳს

გარნა აქუნდათ წესნი და ჩუეულებანი ესენივე წინათქმულნი,
არამედ კერპთა მღუდელთა წილ დასუა მირიან მცხეთას, ზემო ეკლე-

სიასა შინა, მთავარ-ეფისკოპოზი, და ქალაქთა და დაბნებთა - მღუ-
დელნი ჭეშმარიტნი ქრისტეს სარწმუნოებისანი, რომელთა აქუნდათ
პატივი - ეპისკოპოზსა მეფისა თანა, ხოლო მღუდელთა-მთავარ-
თა თანა.

მეფეთა კურთხევისათჳს

ესევე ეპისკოპოზი აკურთხევდა მეფესა და დაადგმიდა გჳრგჳნ-
სა, ხოლო დადგინებისა კათალიკოზისა - კათალიკოზი. და ჟამსა
ბაგრატიონთასა ვინაჲთგან ლიხთ-იმერთა იყო დადგმა გჳრგჳნისა:
ქართლისა და აფხაზთა კათალიკოზნი აკურთხევდენ, არამედ გჳრგ-
ჳნსა დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთათისის ტახტისათჳს. ხოლო
შემდგომად განყოფისა იმერეთსა - კათალიკოზი იმერთა, ქართლს -
კათალიკოზი ქართლისა და კახეთს - ბოდბელი.

კათალიკოზისა, ეპისკოპოზისა,
წინამძღურისათჳს.

ხოლო ვახტანგ გორგასალ დასუა კათალიკოზი და ეპისკოპოზნი ყოველსა საქართველოსა შინა. ამათ მიეცა პატივი - კათალიკოზსა მეფისა თანა და ეპისკოპოზს-ერისთავისა თანა, ხოლო მღუდელთა- აზნაურთა თანა. ხოლო შემდგომად მოსლვისა ი˜გ წმიდათა მამათა იქმნენ ამათ მიერ მონასტერნი და უდაბნონი, და ამათ მონასტერთა მამათა და წინამძღუართა მიეცათ პატივი მთავართა თანა.

შეძინებული წესი მთავართათჳს

ხოლო ამათ მთავრობისა წინათქმულსა წესსა შეეძინა, რათა აქუნდეს მათ წესთა თანა სასაფლაოდ საეპისკოპოზო ანუ მონასტრის ეკლესია, კუალად საყდარი კარისა მღუდლითურთ. ეგრეთვე აზნაურსა სასაფლაოდ მონასტერი და ეკლესია სახლსა თჳსსა მღუდლით. ხოლო წინათქმულითა და ამით იწოდებოდნენ მთავარნი და აზნაურნი, და თჳნიერ ამათსა არა.

1-29 სტრ., 27
ჭყონდიდელისათჳს

შემდგომად კუალად შესძინეს ჭყონდიდელი. და იყო ამისი ჴელისანი ქურივ-ობოლნი, და დავრდომილნი, უსამართლო-ქმნილნი, შეწუხებულნი და შეჭირვებულნი. ესე აუწყებდა ამათთა ყოველსავე მეფესა. ესევე იყო მწიგნობართუხუცესი ყოველთა სამეფოთა მწერალთა ზეით თქმულთა. ესე მისცემდა მეფისაგან ბრძანებასა ეკლესია-მონასტერთა და ლაშკართა მოწუევად, და მათთა სამჭირნოთა მოჴსენებად მეფისა. ესევე იყო ლაშკრობისა ჟამსა პატიოსნისა ჯუარისა მძღუანებელი წინაშე სპათა და ბრძოლისა ჟამსა უკან მსვლელი ანუ ჩახთაული, და ახალ წელს მაკვლევი მეფისა.

ათაბაგისათჳს

კუალად შესძინეს ათაბაგობა, რამეთუ არღარა იწოდებოდა სპასალარი სპასალარად, არამედ ათაბაგად.

მეფეთა გუართათჳს

ხოლო გუარნი მეფეთანი იყვნენ: პირველი ქართლოსიანნი, და ნებროთიანნი, და არშაკუნიანნი, და მეფობდნენ ესენი ფ˜ ჲვ წელთა, და მეფენი ისხდნენ კ˜ჱ. შემდგომად ამათთა იყო გუარი ხოსროვან-

თა, და მეფობდნენ ესენი უ˜ნდ წელთა, და მეფენი ისხდნენ ი˜ზ და მთავარნი გ˜. შემდგომად ამათთა ბაგრატიონნი, რომელნი გამეფ-დნენ ქრისტესსა ფ˜ოე წელთა და არიან აწამდე. არამედ სიტყუა იყო ივერიასა შინა მეფეთა ამათთჳს, რამეთუ იცნობის ქართლო-სიან-ნებროთიან-არშაკუნიანნი გმიროზითა, ხოლო ხოსროვანნი გოლიათობითა, ახოვნებითა, შემმართებელობითა, ხოლო ბაგრა-ტიონი მჴნეობითა, სიბრძნე-ქუელობითა და ქუეყნისათჳს თავდადე-ბულობითა.

მთავართა გუართათჳს

ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთანი ესენი არიან: ქობუ-ლისძე, დონაური, არელმანელი, ბაღუში, რომელი იყო ლიპარიტის-ძე, მარუშისძე, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი, მჴარგრძელი,

ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, მარუშისძე, ძაგა-ნისძე, ასათისძე, კარიჭისძე, გაგელი, სამძივარი, ფარჯანიანი, ნერ-სიანი, ადარნასიანი, ჯუანშერიანი, კავკასიძე, ჯაყელი, ირუფაქისძე, ჩოლოყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შარვაში-ძე, ქუენაფლაველი, ჯავახისშვილი, ბურსელი და სხუანი მრავალნი, რომელნი ერისთაობით იწერვიან და გუარნი არა წარიწერებიან ცხა-დად სახნობელად, ვითარცა იტყჳს ყუთლუღ-არსაღისას და ყუბასა-რისასა და ქართლის ერისთავი გრიგოლ, და სურამელი რატი და გრი-გოლი. კახეთს ხონაბუჯის ერისთავი, მაჭის ერისთავი, პანკისის ერისთავი, და სამცხეს გუზანის და არტანუჯის ერისთავი, კალმახის ერისთავი, წუნის ერისთავი, ხოლო სომხითს მანკაბერ-სადუნი და არა გუარი მისი. ხოლო იმერეთს ბედიელი, დადიანი და სხუანი, და არა გუარნი მათნი წარწერილნი. არამედ დადიანობა არა არს გუარი, გარნა წესი ჴელობისა, არა იყო ესე ოდიშს, არამედ კარის მჴარესა ზედა დადიანობდა, ხოლო შემდგომად მეფისა თამარისა იქმნა ოდიშს დადიანად, და იყვნენ ერისთავად, ვითარცა ცოტნე დადიანი, და არა გუარი მისი საჩინო არს. გარნა შემდგომნი დადიანნი ამ ცოტნესაგან ჩამომავლობენ, ვითარცა აღვსწერეთ.

ახალწლისათჳს

არამედ კუალად ქრისტეანობის ჟამსა შესძინეს წესნი ესენი: რა-მეთუ ახალწელს, ერთს იანვარს, უწინარეს ცისკრის ლოცვისა, უკუ-ლევდა მეფეს ჭყონდიდელი ჯუარსა და ხატსა, და სამკაულსა მეფესა და დედოფალსა, და სანუკარსა შაქრისასა, ხოლო შემდგომად წირ-ვისა სრულიად ერისთავნი, ჴელისუფალნი და დარბაზის ერნი თჳს-

თჳსთა ბარებულთა, ესე იგი არს: ბაზიერთხუცესი - შავარდენ-ქორ-
სა და თავსა ველურის ეშჳსასა მოოქრობილსა; მეჯინიბეთხუცესი -
ცხენსა აკაზმულსა ოქროთ-მოოჭვილითა, და სხუანი ოფიკალნი

1-26 სტრ., 29
თჳს-თჳსთა შესატყჳსთა. ხოლო ერისთავნი - ცხენთა არაკეთილ-
თა, და კუალად ესენიცა და სხუანი სრულიად ისარსა, და შეაჩუენიან
კრულვით ორგულსა მეფისასა მეტყუელნი: „მრავალჟამიერ ყოს
ღმერთმან მეფობა თქუენი მრავალ წელს, და ისარი ესე გულსა შინა
განერთხას მეფობისა თქუენისა ორგულსა“. და შემდგომად სრუ-
ლიად სპათა მოლოცვისა შექმნიან პურობა დიდი, განცხრობითა და
სახიობითა. ხოლო ცხენთა მათ ერისთავთა მორთმეულთა განიყვა-
ნის ბაზიერთხუცესი, სადა იყო სანადირო მეფისა შემოღობილი ახ-
ლოს მეფის სამყოფისა, და დაჴოცნის ცხენნი იგინი მწუხრსა მას შე-
მოღობილსა მას შინა, და მას ღამესა აღივსის შემოღობილი იგი
მელითა, ტურითა, მგლითა, და დილასა მცველმან მისმან ჩამოხურ-
ნის კარნი და დაამწყვდივის მას შინა. ხოლო მეორესა დღესა შეჯ-
დის მეფე წარჩინებულითა თჳსითა და მივიდის ადრიან მუნ, მაშინ
გამოუშვიან მჴეცნი იგინი და დაუწყიან ისრითა სროლა და სიკუ-
დილი მათი. ესრეთ იკულევდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანა-
დიმოდ.

აღდგომისათჳს

ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემ-
დგომად წირვისა მცირედითა სანობაგითა ჴორცთათა აღიჴსნიდიან
პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე, და ყო-
ველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა, და დასვიან
სამეფო თასი ოქროსი ანუ ვეცხლისა ყაბახსა ზედა, დაუწყიან სრო-
ლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა და, რომელი ჩამოაგდის
ისრითა, მას მისციან თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურ-
თობა და, რომელმან მჴარემან აჯობის, იყო მჴარე-თალარნი სამე-
ფონი, და მისციან მათ თჳთოთა თჳთო (ეგრეთვე ქორწილისა, დიდ-

1-27 სტრ., 30
გამომჩუენებისა დღესა შინა ყვიან ესე ასპარეზსა ზედა), მერმე შე-
მოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი
მგოსან-სახიობითა. არამედ კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემ-
დის იყვნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ გალობა-
ნი. ხოლო შემდგომად წარსლვისა მათისა იყო მგოსანთა, მომღე-
რალთა და ყოველთა სახიობათა ცემანი.

დროშისათჳს

ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშოდ განყოფილი, რამეთუ წინამბრძოლნი იყვნენ თორელნი, ციხისჯუარელნი და ახალციხელნი, და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხითისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯუნე მიმსულელ-მცემელნი სრულიად ლიხთ-იქით აფხაზ-ჯიქითურთ; მემარცხენეთ მიმსულელ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი; ხოლო მეფისა ალმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა, გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხუა რიგ მიიყვანდიან, ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი.

შერეულთა წესთათჳს

არამედ წესნი ესენი რომელნიმე ფლობასა თათართა ყეენობისასა შეიშლებოდნენ, ვითარცა დაბლა ნოხთა ზედა სხდომანი, ეკლესიასა შინა მოუჯდელობა ქუდისა თუ არა ჟამად, რამეთუ საუფლოთა სიტყუათა ზედა მოიჯდიდიან, თჳნიერ მისსა არა, არცაღა ბოდიშობდიან ქუდის მოჯდით, და სხუანიცა უჯერონი მრავალნი, ვითარცა იტყჳს ორცოლიანობასა და სამცოლიანობასა, და მეფეთა წინააღმდგომობასა, და განდგომილებასა. ხოლო შემდგომად ბრწყინვალემან მეფემან გიორგი კუალად აგო წესსავე მას ძუელსა ზედა, და შემდგომთა მისთა მეფეთა, ვიდრე შიხთა მეფისა სპარსთათა გამოჩინებისამდე.

1-31 სტრ., 31

შემდგომად განყოფილებისა
სამეფოსათჳს

ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა აქუნდათ თჳს-თჳსად წესნი ესენივე, გარნა ერისთავთა ცვალებანი არღარა. გარნა მთავარნიცა არღარა იწოდებოდნენ მთავრად, არამედ თავადად, და არღაცა იყვნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი ჴეობათაგან იყვნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოჴევე-მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოდ. ხოლო იმერთა - რაჭა და სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა - ქისიყი. ხოლო ლაშკრობისა ჟამსა ერისთავთა და მთავართა მინაწერნი იყვნენ მოყვანებად, გარნა იყვნენ ოთხ სადროშოდვე კუალადცა, ვითარცა აღვსწერეთ ქართლი, იმერეთი და კახეთი. არამედ ესე ყვეს მეფეთა, ვინაჲთგან არღარა იყვნენ ეგოდენნი შემოსავალნი, რათამცა დაეპყრათ სპანი ეგდენნი, რათა ეპირისპირათ, ანუ გამაგრებოდენ მტერთა თჳსთა. ამისთჳს შეჰკუე-

თეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა-სრულიად რაოდენნი სახლსა შინა არიან - წარსლვად ლაშკარსა შინა, ხოლო გლეხთა მგზავსად შეწერილებისად. ხოლო როსტომისამდე ესენი ესრეთ იყვნენ.

აწინდელისა წესისათჳს

გარნა თუმცა სამცხეს და კახეთს შემოერიათ-მათ ურუმთა-გან და ამათ ყიზილბაშთაგან, - წესნი რაჲმე მათნი, არამედ ქართველნი დაიმერელნი ეგნენ ზნეთა მათ ზედავე. ხოლო აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე და შერეულნი ყიზილბაშთა ესენი, რამეთუ სხდიან ნოხთა უსკამოდ, ჴელითა სჭამდიან. სანოვაგე ქართველთა და კახთა უმეტეს ყიზილბაშთა რიგისა, ხოლო მესხთა - ურუმთა და იმერთა - ურუმულთაგან შერეული; და სასახლეთა შენებანი მათივე რიგისა და არღარა ქართული, თჳნიერ დარბაზისა, და მესხთა ურუმთა რიგისა. და არღაცა იყო ერისთავთა ცვალებანი, არამედ მკჳდრადნი. რამეთუ ძუელთგანვე იყო წესი ესე: რა ჟამს მოკუდის ერისთავი, ანუ მთავარი, ანუ ჴელისუფალნი, ანუ აზ-

ნაურნი ჩინებულნი, მოართვიან მეფესა მის მომკუდრისა ჯრმალი, ცხენი და უხუცესი ძე მისი, ხოლო მეფე ჴელისუფლობისა და ერისთობისა წესსა, ვისიცა ენება, ღირსებისაებრ მიუბოძის და ოდესმე ძესაცა, უკეთუ ღირს იყო ანუ ძალ-ედვა მოურნეობა მისი. ხოლო ცხენი წარიყვანიან სამეფოთ, და ჯრმალსა მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთუხუცესი ძესა მის მომკუდრისასა, და დააწესიან ტაძრეულად ანუ სხუათა სამეფოთა მსახურებათა შინა ღირსებისაებრ. ხოლო აწინდელსა ჟამსა ჴელისუფალნი ეგრეთვე ყვნიან, ვითარცა ზემო ითქუა, და ცხენიცა და ჯრმალიცა ეგრეთვე. არამედ ერისთობა და მთავრობა არღარა, და რომელნიმე სპასპეტნიცა, რამეთუ შვულთავე მისთა ანუ სახლისკაცთა მისთავე მიუბოძიან, ეგრეთვე მთავართაცა.

აწინდელთა ჴელისუფალთა შეცვლილთა სახელთათჳს.

ხოლო როსტომ ჴელისუფალთა უწოდა: მსახურთუხუცესსა - ყორჩიბაში, მონათუხუცესსა - ყოლარ-აღასი, სპასპეტსა - სარდარი, მეჭურჭლეთუხუცესსა - მოლარეთხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი არღარა, არცა იგი წინათი მოლარეთხუცესი; ჩუნჩერახსა - სუფრაჩი, ჩაჩნაგირს - სუფრაქეში, მანდატურთუხუცესსა - ეშიყაღასი, მანდატურსა - სოჭბათიასაული, ბოქოულსა - ელიაღაჯი,

მსაჯულთუხუცესსა - მდივანბეგი, ეზოს მოძღუარსა - ნაზირი, მეს-
ტუმრეთუხუცესსა - მეჰმანდარი, მწერალსა - მუშრიბი, ხუროთ-
მოძღუარსა - სარაიდარი, და ეჯიბი არღარა, არამედ მგზავსი მისი
მეითარი. ხოლო სხუანი ჴელისუფალნი იყვნენ ეგრეთვე. არამედ
კუალად ყიზილბაშთა რიგის შესძინა ვეზირი, მუსტოფი და მუნში.
კუალად მეკარესა - ყაფიჩი და ასისთავსა - უზბაში. და კახთაცა
განაწესეს ეგრეთ; ხოლო იმერეთს მეფის ალექსანდრეს გიორგის ძი-
სამდე იყვნენ წესნი ეგრეთვე და შემდგომად მისსა არღარა, არამედ

მთავარნი თჳს-თჳსითა სპითა შეკრბიან, და არღაცა ჴელისუფალნი
მეფისანი არიანღა. ხოლო სამცხეს, ვითარცა ოსმანთა რიგნი, ეგ-
რეთ იმყოფიან ჩუეულებითა და წესითა.

აწინდელთა მთავართა გუართათჳს

ხოლო აწინდელთა მთავართა და წარჩინებულთა გუარნი ესენი
არიან: ბარათაშვილი, რომელთა უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბანისა
საერისთონი ტფილისის სამჴრით, ვიდრე ლორე-ფანავრამდე, თჳნიერ
მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიათათა. ხოლო იტყჳან
ესენი ჩამომავლობასა ქაჩიბაძისასა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და
სიგელნი მათნი მეფეთაგან წყალობისანი. კუალად ყაფლანისშვილი და
აბაშისშვილი სამთა ძმათა შვილობასა, არამედ ყაფლანისშვილი
იტყჳს გუარობასა მათსა გინა ორბელიანობასა, გარნა იყო ორბე-
ლიანი სხუა და ქაჩიბაძე სხუა გუარი, არამედ ოდეს განიყვნენ ძმანი,
ბარათასაგან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ეწოდა ადგილთა
მათ საბარათიანოდ, ხოლო აბაშისაგან აბაშისშვილნი და ეგრეთვე
სხუანი, რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე. გარნა საგონებელ არს
ყაფლანიანთაცა მესამესა ძმასა ეწოდა ორბელი, და მის მიერ ორბე-
ლიანნი იწოდნენ, თვარე წინათქმულნი არა განმართლდებიან. ხო-
ლო ბარათანთ გუჯარსა შინა, რომელ არს ბეთენიას, წერილ არს:
მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან, გაჰყარნა სამნი ძმა-
ნი - აბაში, გუგუნა და დავით. აბაშისგან აბაშიშვილნი, გუგუნა-
საგან ბარათიანნი და დავითისაგან ყაფლანიშვილნი არიან. ხოლო
სომხითის მელიქი არა არს გუარი, არამედ სომეხსა ვისმე პატივსცა
შააბაზ გამოჰმადიანებისათჳს. არღუთაშვილი აწ აზნაური, გარნა

მჴარგრძელნი არიან. ხოლო ზურაბისშვილს, იარალისშვილს და სო-
ლაღაშვილს იტყჳან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასა-
ფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა. კუალად დოლენჯისშვილი აწ
ჩამოსულნი მესხიდამ. ყარაბუდაღისშვილი მოვიდა მარიამ-ჯუა-

რის კახეთიდამ. ხოლო მცხეთის დასავლით და მტკურის სამჴრით ციციშვილი, რომელი ძუელადვე მოვიდა ფანასკეთიდამ, ჯავახის-შვილი; ხოლო მოურავისშვილი არს სააკაძე და მეფისაგან გამთავ-რებული; როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდამ. ხო-ლო შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არა არს გუარი, გარნა წესი მეჯინიბეთუხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გუარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი. აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი. ამათ ერთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა, და შემდგომად განყოფისა სამეფოსა, ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთნენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი. ავალისშვი-ლი, რა დაშთა ჴეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა და დაშ-თა აქ და მეორე სამცხეს. მაჩაბელი იტყჳს ანჩაფიძეობას, აფხაზე-თიდამ მოსლვას, გარნა ახალი არს. ხერხეულისძე იყო სამცხეს და იტყჳს ოსობას, არამედ არს მოსლვა მისი შემდგომად გაყრილებისა. ფავლენისშვილი იტყჳს მჴარგრძელობასა. ხოლო კუალად მესხი ამილახორისშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდამ; ჩხეიძე მოვიდა იმე-რეთიდამ. ხოლო რამაზისშვილი და დავითისშვილი არიან ავგიორ-გის ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩინა მეფემან, და არიან მიერით-გან აქა. ხოლო იალბუზის კალთათა ქსნის ერისთავი და არა ქვენა-ფლაველისაგან, არამედ იტყჳს ბიბილურობასა. ხოლო არაგჳს ერის-თავი და აღვსწერეთცა, ვითარცა არიან, არამედ გუარსა სიდამო-ნობასა იტყჳს. ხოლო მუხრანის ბატონი და გოჩაშვილი, აწ მთავარ-ნი, არამედ გუარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან, ვითარცა აღწერილ-ნი არიან.

1-25 სტრ., 35

წარჩინებულთათჳს

გარნა ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებუ-ლესნი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნ-დათ: პირველი მუხრანის ბატონი, არაგჳს ერის-თავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციცისშვილი, ოდეს გა-უყრელი იყო, და სამოხითის მელიქი. ხოლო აზნაურნი მრავალნი არი-ან, სიგრძისათჳს დავიდუმეთ, ვიეთნი ძუელის გუარისანი, ვითარცა აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, არღუთაშვილი, გოგიბაშვილი, ნა-სიძე, ღაზნელი. გააზნაურშვილებულნი: ვითარცა რატისშვილი, ქსნის ერისთავის განაყოფი, ვით იხილვების მამულითა, ხოლო აწ დამცირებულნი. ხოლო ზედგინიძე, სააკაძე, ელიოზიშვილი, ამათგან გამთავრებულნი ესრეთ, რომელნიმე ამაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმათათა.

კახთათჳს

ხოლო კახეთს ჩოლოყაშვილი და მაყასშვილი იტყჳან ირუფა-
ქიძობას; ენდრონიკასშვილი იტყჳს ანდრონიკესაგან, რომელი მო-
ვიდა პირველივე კეისართა გუარისა. ჯორჯაძე, ჭავჭავაძე, ვაჩნაძე,
ვახვახისშვილი, რუსისშვილი, ჯანდიერისშვილი, ავალისშვილი და
ჩერქეზი. ეს ორნი მოსულნი არიან გაყრილების შემდგომად. გურა-
მისშვილი და ტუსისშვილი - ზედგინიძენი, რომელთა გამოაჩენს
სასაფლაო მათი დღესეც მღჳმეს, და აზნაურნი უფროს მცირედ.

სამცხისათჳს

ხოლო სამცხეს: ჯაყელი, ესე არს აწ ათაბაგი და ფაშა ახალ-
ციხესა; შალიკაშვილი, თადგირიძე, დიასამიძე, ქობულისძე, გოგი-
ბაშვილი, ამილახორი, ავალისშვილი, სუმბატისშვილი, გოგორის-

შვილი, თუხარელი, ღაღანიძე და სხუანი, არღარა იწოდებიან გუა-
რითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად, და აზნაურნიცა ეგრეთვე
მრავალ, გარნა დავიდუმეთ.

იმერეთისათჳს

ხოლო იმერეთს: არგუეთსა შინა აბაშიძე, ფხეიძე, წერეთელი
და ჩხეიძე [ამავე ჩხეიძის გუარი არს აწინდელი რაჭის ერისთავი და
სპასპეტი რაჭისა], ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე და ღოღობერიძე, აზ-
ნაურნი და მთავრობით პატივცემულნი მეფეთაგან. ხოლო რაჭას
წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლაშხისშვილი. ხოლო
სუანეთს გელობანი, და არღარა ეგოდენისა ძალისა და უფლებისა
მქონე სუანთა ზედა.

კუალად ვაკესაშინა ჭილაძე და მიქელაძე და ჩიჯავაძე, ხოლო
აზნაურნი მრავალნი და კეთილნი ყოვლითა ზნითა აზნაურთათა [ვი-
თარცა ძუელად სიტყუა იყო ივერიასა შინა: დარბაისლად მესხნი,
თავადი ქართლისა, აზნაური იმერეთისა და ვაჭარი კახეთისა], არა-
მედ სიგრძისათჳს არღარა აღვსწერეთ. გარნა უწარჩინებულესი და
შემძლებელი იყო აწისა ჟამსა შინა რაჭის ერისთავი და აბაშიძე.

ოდიშისათჳს

ხოლო ოდიშს დადიანი და თავადი თჳთ-თჳსად მფლობელი

ოდიშისა შემდგომად გაყრილებისა. არამედ აწ არს ჩიქოვანი, რო-
მელმან მოწყჳდნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი, და მცირე
აზნაურობისაგან იქმნა დადიანად აღწერილებისაებრ. არამედ კუა-
ლადცა არიან მთავარნი ესენი: გოშაძე, ფაღავა, ჯაიანი, ჩიჩუა და
სხუანიცა, და აზნაურნიცა მრავალნი.

აფხაზეთისათჳს

ხოლო აფხაზეთს იგივე შარვაშიძე, მფლობელი აფხაზთა თჳთ,
და უმდაბლესი ანჩაფაძე.

1-26 სტრ., 37
გურიისათჳს

ხოლო გურიას გურიელი, იგიცა თჳთ ჰფლობს და იტყჳს ვარ-
დანის ძეობასა, და სხუანი მის ქუეშენი არიან ესენი: თადგირიძე და
ამილახორი ჩავიდნენ სამცხიდამ, შარვაშისძე მოვიდა აფხაზეთიდამ,
ბერიძე, კვერღელისძე, ბერეჟიანი, ნაკაშიძე და სხუანი, ეგრეთვე აზ-
ნაურნიცა.

მეფეთა წერილისათჳს

ხოლო მეფენი ამათ ყოველთა ზედა იწერებოდნენ ესრეთ: „ჩუე-
ნი ბრძანება არს, მესტუმრეო თუ მანდატურო, ესრეთ უამბე“, და
შემდგომად რაჲ ჯერ იყო. ხოლო სიგელსა და გუჯარსა შინა: „ჩუენ,
მეფეთ-მეფემან, ღვთით წყალობით ცხებულმან, თჳთმპყრობელმან
და თჳთჴელმწიფემან, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონ-
მან, შჳდთავე სამეფოთა მპყრობელმან [სახელი] გიწყალობეთ“.
ხოლო აწინდელთა ჟამთა: „მესტუმრეო, ჩუენ მაგიერად ჩუენს დიდს
იმედს დარვას-ბატონს [სახელი] ასრე უანბეთ“. და მდაბალთა ზედა:
„ჩუენი ბრძანება არს“, ხოლო გუჯართა და სიგელთა: „ჩუენ,
მეფემან ღვთივ-ცხებით გჳრგჳნოსანმან, იესიან, დავითიან, სო-
ლომონიან, ბაგრატიონმან [სახელი] გიწყალობეთ“! ესრეთვე
იმერნი და კახნი, არამედ მეფე ქართლისა კუალადცა მეფეთ-მეფო-
ბით სწერდა წინავეთავე ჩუეულებითა.

ეპისკოპოზთა ლაშკრად
წასლვისათჳს

არამედ ეპისკოპოზთა სლვა ლაშკართა, ნადირობათა და ბრძო-
ლათა შინა ამის მიერ ჩუეულება იქმნა: რაჟამს უწყეს მოჰმადიანთა
შემდგომად დავით პ˜მეფისა დაუცხრომელი ბრძოლა და კირთე-

ბა, და იხილეს ღაფლობა-უღონოება ქუეყნისა ერთა ეპისკოპოზთა,

1-15 სტრ., 38
მაშინ ეტყოდიან ეპისკოპოზნი: „ნუ მოღაფლდებით და ნუ მოუღონოვდებით ბრძოლად მათდა, ნუ დაუტევებთ სარწმუნოებასა, რჯულსა და ჩუეულებასა თქუენსა, და ჩუენ ვიქნებით წინამბრძოლნი თქუენნი“, და ჰყოფდენცა ეგრეთ ვითარცა მარაბდის ომსა ზედა მროველმან ავალიშვილმან, რა მოიღო ზიარება ეტყოდენ: „უკეთუ დღეს აღიღებ მახჳლსა ბრძოლად, უბრძანე, რათა გვაზიაროს სხუამან, და უკეთუ არა, უმჯობეს არს შენ მიერ.“ ხოლო იგი იტყოდა: „დღეს ბრძოლა არს სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა და არა მხოლოდ ჩემ ზედა; ამისთჳს არა ვყო, უკეთუ უწინარეს თქუენსა არა დავსთხიო სისხლი ჩემი მახჳლის ამღებმან.“ ხოლო
მეორე მიზეზი: ვინაჲთგან შეწერით იყო ლაშკრობანი, და ჰყავთ ეპისკოპოზთა აზნაურნი, და მსახურნი, და შეწერილნი გლეხნი წარსლვად ბრძოლასა შინა, ამისთჳს მათთა მოურნეთა თანამდებ იყვნენ წარსვლად, და არს მიერ ჟამითგან ეგრეთ აწამდე. ხოლო სხუათა თჳნიერ ამისა აჩენს ცხორება ანუ მატიანე ქუემორე აღწერილი ყოველსავე ამას ქარტასა შინა. და იმყოფოდა ესენი ესრეთ აწისამე, ხოლო წაღმართი უწყის ღმერთმან, და ვითარცა ნებავს, იყავნ.

1-25 სტრ., 39
აღწერა სამეფოსა საქართველოსა

სახელით ეწოდა

ხოლო ქუეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა პირველად საქართველო, მეორედ-ივერია, მესამედ -გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხუდა ქუეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თჳსითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილჴდომილთა მისთა ეწოდა საქართველო. გინა შემდგომად მისსა, რომელ ფუცვიდნენ ძენი და ძენი ძეთა მისთანი საფლავსა მისსა, ეწოდა საქართველო.

ხოლო მეორე სახელი, უვერია, ენითავე ქართულითა მიეცა, რამეთუ „იი“ არს შორისყრილი, რომელი არს სასიხარულო ჴმა ზახილისა, ხოლო „ვერიე“- მოვერივე, არამედ წყობისათჳს შეთხზულად „ივერია“, რამეთუ ოდეს ი˜ მეფემან ადერკიმ მოკლა არშაკ, მეფე ქართლისა, გოლიათობითა თჳსითა, მაშინ აღუტევა ჴმა სპათა მიმართ თჳსთა: „იი, ვერიე!“ და განჴდა ჴმა ესე, და იტყოდიან ყოველნი სიმჴნისა მისისათჳს; ამის გამო იწოდა ივერია. არამედ წოდება სასიხარულოს ჴმისა მოასწავებდა სიხარულსა დიდსა, რამეთუ

პირველსა მეფობასა ადერკისასა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე, და მოასწავებდა ჴმა სახარებისა ხარებასა და სიხარულსა სასუფეველისასა, ხოლო „ვერიე“- მორევნასა კერპთა ზედა ძალსა ჯუარისასა და ჴსნასა ეშმაკისაგან საქართველოსასა.

კუალად გიორგიაცა მჴნედ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმანის. კუალად ვინაჲთგან იცნეს სამება- ერთარსება, ჭეშმარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ, და ესე ზაბი-

ლონ იყო კაბადუკიელი, ნათესავი წმიდისა დიდისა მოწამის გიორგისა, ამისთჳს მიერ ჟამითგან ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამისა გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინა, რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმინდისა გიორგისანი, და ესეცა ამის მიერ იწოდა. არამედ ევროპელნი და ბერძენნი უჴმობენ ჯორჯიანსა, და რუსნი გრუზსა, და მოჰმედიანნი გურჯსა მათითა ირფოღრაფიის გამო,
არამედ იგივე გიორგიავე არს.

ხოლო არს სიგრძე ქუეყანისა ამის პ˜ ეჯი, ხოლო განი სპერის ზღჳსაკენ ჲ˜ეჯი, შუა ადგილი ლ˜ბ ეჯი, ხოლო ბოლოთ კერძი ლ˜ე ეჯი, და მდებარებს კასპიის და პონტოს ზღუას შორის. გარნა არს ქუეყანა შუენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთის მიერ, და არა ჴელოვნებითა კაცთათა, რამეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი კაცთა საზრდელნი: ბრინჯნი, ხორბალი, ქრთილი, შვრივა, სიმინდი, ღომი, ფეტვი, მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრეხელი, კანაფი, სელი და სხუანიცა.

აბრეშუმისათჳს

კუალად ჰყოფენ აბრეშუმსა, არამედ ქუხილის გამო ვერა მრავალსა, რამეთუ სასტიკად მქუხარებს, და მის გამო მოსწყდებიან ჭიანი. კუალად ბამბას სთესენ, გარნა სხუაგნებური უმჯობეს არს, არამედ მრავალნაყოფიერებს,

ხილთათჳს

ხოლო ხილნი წალკოტთა მრავალნი: ნარინჯნი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ვაშლ-ატამი, ყაისი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ბუსტუღი,

1-21 სტრ., 41
ქლიავი მრავალგუარი, ლეღჳ, მბალი, ალუბალი, სხალი და ვაშლი,
მრავალგუარი, კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი, ნესვი,მელსაპეპონი,
პუმპულა, კიტრი. ხოლო ტყისანი არიან: თხილი, ტყე-
მალი, ზღმარტლი, ფშატი, ხურმა, წაბლი, კრიკინა, ალუბალი,ბა-
ლამწარა, ბალღოჯი, მაჟაველი, პანტა, კუნელი, ჯახველი, მჭნავი,
მწიფელი, დათჳს-სხალა, დათჳს-ბაბა, დათჳს-თხილა, კოწახური,
მაყუალი მრავალგუარი, ნიგოზი და სხუანიცა. ხოლო მთისანი არიან:
მოცხარი, კლდის-მერსენი, ჟოლო, უელი, მოცვი, და სხუანიცა მრა-
ვალნი.

სავარდისათჳს

სავარდეთა ყუავილნი მრავალნი: ვარდნი წითელი, ყვითელი და
თეთრი, მიხაკი, სუნბული, ნარგისი, ზამბახი, ყაყაჩონი მრავალ-
გუარნი, და კუალად სხუანი მრავალნი ყუავილნი სხუა-სხუა გუ-
არნი და ფერნი. ხოლო ველთა: ია, კოჩივარდა, ნეგრო, მიხაკი, შრო-
შანა და სხუანი მრავალნი, ვიდრე ას ფერამდე და ას გუართამდე.

მტილოვანთათჳს

მტილთა: ბადრიჯანი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური,
ქონდარი, ხახვი, პრასა, ბოლოკი, პეტრუშკა, სტაფილო, ქინძიჯორა,
ოხრახუში, მაკედონი, კომბოსტო, ლახანა, ყრდელი, და სხუანიცა.
ხოლო ტყეთა და ველთა არიან მრავალნი სურნელნი საზამთროდ საჴმარნი ბალახნი,
მხლად წოდებულნი, და თესლნი, ვითარცა: სა-
ტაცური, ასპანახი და სხუანი, და ვითარცა კვლიავი, და ტყიურა,
და მისთანანი მრავალნი.

1-24 სტრ., 42
ტყეთა და ველთა: ირემი, ქურციკი, ჯიხვი, მშუელი, არჩჳ, თხა,
კურდღელი, ვეფხვი, დათჳ, მგელი, აფთარი, ფოცხუერი, ღორი, მელი,
მაჩჳ, მწავი, მთახჳ, ძღარბი, და სხუანი. კუალად ფრინველნი:
ქათამი, ბატი, იხჳ, ინდორი, ქათამი, ტრედი; ამათ შინ იპყრობენ.
ხოლო ველთა და ტყეთა: წერო, ყარახილა, ბატი, შავი ბატი, იხჳ,
აკაური, ვარხვი, ღალღა, ლაინა, ესენი ზამთარ არიან, ზოგნი გაზაფ-
ხულ- შემოდგომას, თჳნიერ არა; ჴოჴობი, დურეჯი, გნოლი,
როჭო, შურთხი, მწყერი, ასკატა, ჩახრუხი, კიოტი, ტყის ქათამი,
გარიელი, სავათი, ტრედი მრავალგუარი, გვრიტი, გუგული, ოფო-
ფი, შაშვი, ჩხარეთი, შროშანი, ტარბი, კოლინბური, ბულბული,
ყაზალახი, მალაღური, ჩიტნი და სირნი მრავალგუარნი, შუენიერ-
ჭრელნი და მომღერალნი მრავალნი. ხოლო ჴორცისმჭამელნი: ყა-

ჯირი, სუავი, ორბი, არწივი, შავარდენი, გავაზი, ბარი, ქორი თეთ-
რი და წითელი, ქორი შაბარდუხი, მიმინო, მარჯანი, თუალშავი, ალალი, კირკიტა,
ბაბაყველი, ბოლო-ბეჭედა, ჭარო, ყორანი,
მახარა, შავი ყუავი, მაღრანი, ყუავი, ბუ. ზარნაშო, წოტი, ჭკა, ჭილ-
ყუავი, ყაპყაპი, კაჭკაჭი, ჩხიკჳ, ყოდალა, ოყარი, ლაკლაკი, ყარა-
ულა, და სხუანიცა.

მთათათჳს

ხოლო არს მთანი და ტყენი აურაცხელითა ყუავილებითა, მწუ-
ნითა და სურნელითა აღსავსე, ტყენი სხუადასხუა ხითა შუენიერი-
თა ჭალათა და მთათა შინა. კუალად არაინ მთანი დიდროვანნი, რა-
მეთუ ჩღდილოთ უძეს კავკასი შავის ზღჳდამ ვიდრე კასპიამდე, რომ-
ლისა სიმაღლე დღეს ერთისა სავალ, და მარადის მყინვარე უმაღლეს-
თა ზედა, რომლისა სიზრქე ყინულისა არს კ˜, ლ˜ მჳარი, და ჟამსა

1-23 სტრ., 43
ზაფხულისასა გასქდებუს და, თუ შთაუტეო კაცი, მცირეს ჟამს ვერ
ძალ-უცს დათმენად სიცივისა; და ქუეშე მისსა დის მდინარენი, და
არს ყინულნი მწუანე და წითელი, ვითარცა კლდე, სიძუელის გამო.
ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი იმიერ და ამიერ მრავალნი, და
შორის მთისა ამის სცხოვრებენ კაცნი. სხუა არს მთა სამჴრით,
რომელი იწყების შავი ზღჳთვე და განვლის აზრუმს, ბასიანს და
მოვალს ბარდა-არაზარამდე, და არა ეგრე მყინვარე და მაღალი, არა-
მედ თოვლნი მარადის აუღებელად, გარნა ადგილ-ადგილს. და ეგ-
რეთვე მდინარენი დიან იმიერ და ამიერ. კუალად არაიან საშორის მათსა მთანი
დიდროვანნი და მცირენი, და კლდენი საშინელნი და
შუენიერებით აღმატებულნი, არამედ თჳს-თჳს ადგილს იწეროდენ.

მდინარეთა და ტბათათჳს

კუალად მდინარენი მრავალნი და წყარონი დიდ-დიდნი, ცივნი,
გემოიანნი და შემრგონი, და მკურნალნი, სენთანი, და ტბანი დიდნი
და მცირენი, არამედ ვიეთნი თევზითა ტკბილითა სავსენი და ვიეთ-
ნი უჴმარნი.

თევზთათჳს

ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდა-
კია, გიჭა, ჭანარი, ლოქო, კაპოეტი, კარჩხანა, მწერი, კალმახი,
ფიჩხული და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხუანიცა.

მძრომთათჳს

ხოლო არიან მძრომნი მაწყინარნი: გუელნი მკბენელნი, ღრი-
ანკელნი გესლიანნი, გუელ- ხოკერა, ჯოჯო, ფსუენი, ხულიკი, კუ,
თაგჳ და სხუანიცა.

1-28 სტრ., 44
მწერთათჳს

ხოლო მწერნი: კოღო, ბუზი, ბორა, კრაზანა, კაცთა და პი-
რუტყუთა მაწყინარნი, და სხუანიცა დიდნი და მცირენი მრავალნი.
არამედ ფუტკარი სარგებლიანი, რომლისა თაფლი ვიეთთა ადგილ-
თა, ვითარცა შაქარი შეყინებული და სპეტაკი, და ცჳლთა და თაფ-
ლთა სიმრავლე არს: ხოლო არს შემკობილი მთითა და ბარითა,
რამეთუ არა არს ადგილი, რომელისა მთა-ბარი არა იყოს ესრეთ,
რამეთუ, ბ˜, გ˜, ვ˜ ჟამსა მთიდამ ბარს და ბარიდამ მთას არა მიიწე-
ოდეს. არამედ მთათა ხორბალი, ქრთილი, შვრია, სელი და ხილნი, რომელნი
დავსწერეთ, მთისანი ნაყოფიერებს და სხუანი არარაჲ,
ხოლო ბართა ყოველნივე ზეითწერილნი.

კაცთათჳს

ხოლო კაცნი ამის ქუეყანისანი არიან სარწმუნოებით ჩქრისტია-
ნენი, რომელთა მოოღეს ჰრომით ჟამსა დიდის კონსტანტინესასა და
სილიბისტროსსა წესნი და რიგნი ძუელნი ბერძენთა ბასილის კაბა-
დუკიელისათა და შჳდის კრებისა უპყრავთ მტკიცედ, არამედ
მძლავრებით უკეთუ ვინმე მიიქცის, ოდეს იცის ჟამი, კუალად ეგე-
ბის ქრისტეანედ შემნანე. ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი
შეუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თუალ- წარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზ-
ნი, იშჳთ შავგურემან და მოყვითან, იშჳთ თუალჭრელ და გრემანი,
და მწითურ, ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშუებული და დაწნული.
ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკუეცილნი;წერწეტნი, უმეტეს ქალ-
ნი, იშჳთ სქელნი, მჳნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენთა ზედა
და მჳედრობათა შინა კადნიერნი, მკჳრცხლნი, მსწრაფლნი, რამეთუ
ვიეთნი ლ˜გ ეჯს ი˜დ ჟამს გაირბენს. სალაშკროთა შინა ახოვანნი,
საჭურველთ მოყუარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი ეს-
რეთ, რამეთუ თჳსთა სახელთათჳს არა რიდებენ ქუეყანასა და მე-
ფესა თჳსსა, სტუმართა და უცხოთ მოყუარენი; მხიარულნი, უკე-
თი ორნი ანუ სამნი არიან, არარაჲ შეიჭირვიან; უხუნი, არცა თჳსსა

1-24 სტრ., 45
და სხჳსას კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიენი,

მსწრაფლ-მიმჴდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყუარენი. არამედ
არს ჟამი რაოდენიმე, არღარა ისახელების ცოდნა, თჳნიერ წიგნის
კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამჴედროსაკენ კიდე,
და ჰგონებენ დიდ-მცოდინარობად. ურთიერთის მიმყოლნი, სიკე-
თის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-
ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავჴედნი, დიდების მოყუარენი, თუალ-მგებნი და
მოთაკილენი. ხოლო რომელნი მთათა შინა სცხოვრე-
ბენ, მგზავსნი ნადირთა, გარნა გონიერნი.

ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთრიგად:
თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწვებუ-
ლი, აფროსანი; ტანს კაბა ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა მუჴლთ
ქუემომდე, მაზედ სარტყელი, შიგნით საგულე ბამბიანი კაბის უმიკ-
ლე, პერანგი აბრეშუმისა, ბამბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა,
და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბამბისაგან,
ანუ ტილოსა. არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული და
მოგუნი, თჳნიერ მისსა-არა; ფერჴთა პაიჭი და წუღა ტყავისა ანუ
სკლატისა, ხოლო მაშია სპარსული; უმცირესთა ჩუსტი და ქალა-
მანი. კუალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დი-
დი არამედ პირველ ერთმეფობასა შინა სცმიათ სხუაგუარ: თავს
ქუდი გრძელი, რომელისა კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელი და გრძელ-
ბეწოსანი , პერანგი ბერული ტილოსი, საგულე და კაბა გრძელი კო-
ჭამდე უღილოდ, მას ზედა სარტყელი ფოჩჩაშუებული, ტყავი დიდი
საჴელ- ვიწრო და ფერჴთა ზედა მოგჳ, ვითარცა იცნობიან ნახატებ-
თა ზედა. ქალთაცა მგზავსად, გარნა სარტყელთა წუერნი ჩაშუე-

ბულნი და მას ზეით კაბა-ახალუხი ამოჭრილი, და თჳნიერ პერან-
გისაგან კიდე არარაჲ ჰფარავს, და პერანგი მჭრვალი, ჴორცის მჩე-
ნელი, უპაიჭოთ ნიფხავი და ფეჴზედ წუღა-მაშია; ხოლო თავი
ქალწულათა: კავნი თჳსისავე თმისა ღაწუთა ზედა და ქუდი ანუ ლე-
ჩაქი, არამედ ქრმოსანთა კავსა ზედა აძესთ თმა შეწნული,
მსხვილი, იმიერ და ამიერ, და ყბასა ქუეშ მარგალიტით შემზადე-
ბულს ამოიდებენ და თხემსა ზედა შეკურნენ, და ჰბურავთ მასზედ
ლეჩაქი, კუალად სამკაულნი იციან მრავალგუარნი, ზოგნი თჳსნი და
ზოგნი სპარსთანი; ზამთარ კაცთა და ქალთა ქათიბი, ტყავი და ტო-
ლომა ბეწულნი; გარნა ქალთა კაბა და ტყავი ვიდრე მიწადმდე. ხო-
ლო იმერთა მცირედ რაჲმე განიყოფების, არამედ ქუდი მცირე ნაჭ-
რისაგან, რომელი არა ბურვით, გარნა მდებარე არს თხემსა ზედა,
და ზამთარს მოსიათ ტოლომა ოსმალური. ხოლო მესხთა დი-
დებულთა ვითარცა ოსმალთა, და გლეხთა რომელთამე ვითარცა
ბერძენთა, და რომელთამე ვითარცა ქართველთა გლეხთა.

საქართველოს ძველი ისტორია

ნათესავთ აღწერისა და წილთათჳს

ხოლო ქართლოს იყო ნოეს ძის იაფეთისაგან, რამეთუ იაფეთ შვა ავანან, ავანან შვა თარში, თარშმა შვა თარგამოს, თარგამოს შვა რვანი გმირნი ესე: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკანოს, ლევანოს. ჰეროს, კავკასის და ეგროს. არა,ედ რა ჟამს განიყვნენ ძენი ნიესნი, დასაბამითგან ჩ˜ღნჱ, ბერძნულსა ც˜ღპე, ქართულსა ს˜კა, მაშინ თარგამოსს წილად ხუდა ქუეყანა ესე სამზღვრული: აღმოსავლით ზღუა გურგანისა, დასავლით ზღუა პონტოსი, სამჴრით მთა ორეთისა გინა ქურთისა, ჩრდილოდ მთა კავკასიისა, და მორჩილებდენ ნებროთს. ხოლო შემდგომად განუყო რა თარგამოს წილი თჳსი ქუეყანა ძეთა თჳსთა და მისცა ხუედრნი მათნი, ამათ რვათა ძმათა არღარა ინებეს მორჩილება ნებროთისა თჳსისა გმირობისათვის რამეთუ იყვნენ ფრიად გმირნი; მსმენელი ნებროთ განწყრა, მოუჴდა და ბრძოდენ მრავალ დღე; არამედ შემდგომად მოიკლა ნებროთ ჰაოსისაგან ისრითა მთასა ზედა არარატსა დასაბამითგან ჩ˜ყკთ, ბერძნულს ც˜ყნვ, ქართულს ს˜ჟბ, და განთავისუფლდნენ მონებისაგან. ხოლო პირველვე განთავისუფლებისა თარგამოს განუყო რა ძეთა თჳსთა, ესენი არიან წილნი მათ რვათა ძმათანი ქუეყანანი და საზღვარნი ხვედრთა მათთანი.

ჰაოსის წილისათჳს

ჰაოსს მისცა აღმოსავლით საზღვარი ზღუა კასპიისა, სამჴრით მთა ორეთისა, ჩრდილოთ მთა, რომელი წარმოივლის პონტოს ზღჳსაგან და გამოვლის ბასიანის კარს და მოვალს ბარდა არაზადმდე, და

დასავლით ზღუა პონტოსი. ხოლო სხუა სუედრი თჳსი ესე: აღმოსავლით ზღვა კასპიისა, სამჴრით არაზი და მთა წინა- ჴსენებული, რომელსა მოსდის მდინარენი ამიერ მომრთველნი მტკურისანი და პონტოს ზღჳსანი, და იმიერ რახსისანი, ჩრდილოდ მთა დიდი კავკასისა, სამჴრით ჩრდილოთ კერძი და დასავლით ზღუა პონტოსი, და ორთა ამათ მთათა რომელნი მდინარენი გამოსდიან და მიერთვიან ზღუათაამათ, განუყო შჳდთა ძეთა თჳსთა.

ქართლოსის წილისათჳს

ხოლო საზღვარი ქართლოსისა არს: აღმოსავლიტ ბერდუჯის
აღმოსავლით ბერდუჯის მდინარის მცირე მთა და გამართებით ხუნანისა ვიდრე
გულგულა
ტყე-ტბადმდე მიდგმით კავკასისა, სამჴრით მთა წინა-ჴსენებული, რომელი განვლის
არაზიდამ პონტოს ზღუადმდე და გამომდინარენი
მდინარენი ერთვიან მტკუარსა და შავ ზღუასა, და ჩრდილოთ მთა
კავკასი და მთა ღადოსი ვიდრე ზღუამდე სპერისა, და დასავლით
მთა მცირე- ლიხი და მთა, რომელი განვლის ტაოსა და კლარჯეთს
შორის და მივალს ზღუადმდე, და იგივე ზღუა პონტოსი, და ამათ
შოვრისი ქუეყანა არს წილი ქართლოსისა.

ბარდოსის წილისათჳს

ხოლო ბარდოსის წილი არს: აღმოსავლით მდინარე რახსი,
სამჴრით მთა წინათივე, რომელსა მოსდიან მდინარენი და ერთვიან
მტკუარსა, დასავლით ბერდუჯის მდინარის მცირე მთა და ჩრდილოთ
მდინარე მტკუარი.

მოვაკანოს წილისათჳს

ხოლო ნაწილი მოვაკანისა არს: აღმოსავლით ზღუა გურგანი-
სა, სამჴრით მტკუარი, ჩრდილოთ მთა კავკასი და დასავლით მცირე
და დიდი ალაზნის შესართავიდამ ვიდრე მტკუარადმდე და გამართე-
ბით კავკასამდე.

1-25 სტრ., 49
ჰეროსის წილისათჳს

ხოლო ნაწილი ჰეროსისა არს: სამჴრით საზღვარი მოვაკანისა,
დასავლით მტკუარი, აღმოსავლით კავკასი და ჩრდილოდ ხუნანიდამ
განვლილი გულგულა ტყე-ტბა კავკასადმდე.

ეგროსის წილისათჳს

ხოლო ეგრისის წილი არს: აღმოსავლით მთა მცირე ლიხისა,
სამჴრით მთა ღადოსი, ჩრდილოთ კავკასი, დასავლით შავი ზღუა ანუ
პონტოსი.

ლეკანის წილისათჳს

ხოლო ლეკანის წილი არს: აღმოსავლით ზღუა კასპიისა, სამ-
ჴრით და დასავლით მთა კავკასია და საზღვარი კავკასოსი, ჩრდილოდ

მდინარე დიდი ხაზარეთისა.

კავკასოს წილისათჳს

ხოლო კავკასოს წილი არს: კავკასიის მთის ჩრდილოდ კერძი,
ლეკნის საზღვრიდამ ვიდრე ძღუამდე პონტოსი ანუ შავისა.

შენობისა და კ˜დ განყოფისათჳს

ხოლო ოდეს მოიწივნენ შჳდნი ესე ძმანი თჳს-თჳსთა ხუედრ
თა ქუეყანათა, იწყეს შენობად: არამედ ქართლოს უხუცესი და მთა-
ვარი მათი მოვიდა, სად ერთვის მტკუარს არაგჳ და ამის დასავ-
ლით, სადაცა ერთვის მცირე მდინარე მტკუარსავე სამჴრიდამ, მის
მდინარის ორს მთასა შორის აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი
თჳსი ქალაქსა მას ქართლოს რომლისა გამო ეწოდა ქუეყანასა ამას
ქართლი, და დაიპყრა ქუეყანა ბერდუჯით ტყე-ტბიდამ ზღუადმდე
სპერისა წილ-ჴდომილი თჳსი: ხოლო შვილთა შორის ქართლო-სისათა გამოჩნდენ
ხუთი გმირნი: მცხეთოს, გაჩიოს, გარდაბანოს,
კახოს და კუხოს; არამედ გმიროზით უწარჩინებულესი და უხუცესი

1-23 სტრ., 50
იყო მცხეთოს; და შემდგომად სიკუდილისა ქართლისასა დედმან
მათმან წილი ქართლოსისა განუყო ხუთთა მათ ძმათა და მისცა
გარდაბანოს ხუნანი და გარდაბანი, გაჩიოს მისცა ობის(ორბის)
ციხე და გარდაბანს სკჳრეთს ზეითი აბოცის მთამდე და ფანავარამ-
დე და კახოს მისცა კახეთი და კუხეთი. ხოლო მცხეთოსს უწარჩინებულესს ძესა მისცა
ტფილისისა და არაგჳს დასავლეთი
ლიხის მთამდე და ზღუადმდე სპერისა და საზღვარი ქართლოსისა
ტაო კლარჯეთს შორისი მთა ზღუადმდე და მთა, რომელსა სდიან
მდინარენი და ერთვიან შავ ზღუას და მტკუარსა, ხოლო შემდგო-
მად ამისა მცხეთოსის ძეთა შორის უმეტეს წარჩინებულნი იყვნენ სამნი ესე გმირნი:
უფლოს, მეორე ოძრახოს და მესამე ჯა-
ვახოს, რომელთა მცხეთოსვე განუყვნა ქუეყანა და ნათესავნი თჳს-
ნი, და უფლოსს მისცა ტფილის-არაგჳს მდინარის დასაველთი ტა-
შისკარ ლიხის მთამდე და ფანავრამდე თრიალეთი. ხოლო ოძრა-
ხოსს მისცა ტაშისკარს ზეითი და მტკურის დასავლეთი ზღვამდე
პონტოსა და ადგილი კლდოვანი ქართლოსის საზღვრამდე; და ჯავახოს მისცა
მტკურის აღმოსავლეთით ფანავრამდე და თავადმდე
მტკურისა, და მორჩილებდენ ყოველნი ქართლისიანნი ამას ჟამადმ-
დე; არამედ შემდგომად, მოკუდა რა მცხეთოს, არღარა მორჩილ
ექმნენ უფლოსს და იწყეს შფოთებად და ჴდომად ურთიერთთა და განძლიერდა მათ
შორის ესევითარი შური და ჴდომა, ვიდრე ღმერ-

თიცა დამბადებელი თჳსი დაუტევეს და მსახურებდენ მზესა, მთო-
ვარესა და ვარსკულავთა, და უმეტეს იყო მათდა საფიცველად საფ-
ლავი ქართლოსისა დასაბამითგან ც˜სჲზ, ქართულსა რ˜ჟჱ. არამედ
ოდესცა დაიზავიან, ეგრეთვე იყო მათდა უწარჩინებულესი და უფა-
ლი მცხეთას ქალაქსა შინა მჯდომარე, რამეთუ განდიდებულ იყო
ფრიად მცხეთა, გარნა არა უჴმობდენ მეფედ მუნ მჯდომსა, არცა

1-21 სტრ., 51
მთავრად, არამედ მამასახლისად, გარნა მორჩილებდნენ ყოველნი
მას. კუალად უკეთუ შეშფოთდიან და ჴდომა იწყიან, თჳს -თჳსნი მთა-
ვარნი ისხნიან და იყვნენ ჟამამდე. ხოლო ამისა შემდგომად განძლიერდენ
ხაზარნი და უწყეს ბრძოლა ძეთა კავკასოსთა; არამედ ძეთა შორის კავკასო-
სათა უწარ-
ჩინებულესი იყო პირველად ძურძუკოს ძე ტინენისა. ესე ეზრახა
ექუსთა ნათესავთა ძმათა რამეთუ მაშინ იყვნენ სიყუარულსა ზედა ურთიერ-
თსა და მორჩილებასა მცხეთელ მამასახლისისასა, რათა მწე ეყვნენ. მაშინ შეით-
ქუნენ შვიდნივე ნათესავნი ესე, შეკრბნენ და გარდავლეს მთა კავკასი, მოსრნეს
და მოსტყუვნეს ხაზარეთუ და აღაშენეს პირსა ხაზარეთისასა ციხე (ბერძნულსა
ძ˜ყჲა, რამეთუ ხაზარეთის მდინარე არს დონის წყალი და ხაზარეთუ დონის
წყლიდამ დნესტრამდე შავი ზღვის პირი ლიტოვამდე და რუსეთამდე და წარ-
მოვიდენ თჳს-ტჳსად დასაბამითგან ც˜ტბ, ქართულსა ს˜ლგ. შემ-
დგომად ამისა იჩინეს ხაზართა მეფე და შეკრბნენ მის ქუეშე და გა-
მოვლეს გზა დარუბანდისა. ამათ ვერ წინა აღუდგენ თარგამოსიან-
ნი, შემოვიდენ, მოსრნეს და მოსტყუევნეს თარგამოსიანნი დასაბა-
მითგა ც˜ტი ქართულსა ს˜მა, და დაისწავეს გზა დარუბანდისა და არაგჳსა, და
განამრავლეს შემოსვლა თარგამოსიანთა ზედა და იყვნეს მოხარკედ მათდა ჟამ
რაოდენმე.

სპარსთა მეფე ფრიდონ

კუალად ამისა შემდგომად განძლიერდენ სპარსნი და წარმოგზავნა სპარსთა მეფემან
აფრიდონ ერისთავი თჳსი არდამ, ამან შეკრა გზა ზღჳსა და ეწოდა დარუბანდი, ესე
იგი „დაჴშა კარი,“
ამანვე იწყო მცხეთას ქვითკირი დასაბამით ც˜ტმბ, ქართულსა
ს˜ოგ და დაიპყრა ამან არდამ შჳდნივე ესე ნათესავნი; არამედ შემდგომად, რაჟამს
განიყვნენ ძენი სპარსთა მეფის აფრიდონისანი

სტრ., 52
და იწყეს ჴდომად ურთიერთთა, მაშინ შეიზრახნენ შჳდნივე ესე ნათესავნი

და მოსწყჳდნეს ერისთავნი სპარსთანი და დაემორჩილნენ მცხეთელ

მამასახლისსა; არამედ ეგრის-წყალს იქითნი მიერთნენ ბერძენთა; რამეთუ

მათ მიერ იცეს ძალი სპარსთა ზედა და არღარა ერჩდენ მცხეთელ მამასახლ-

ისსა; ეგრეთვე რანი და მოვაკანი დაშ-
თა სპარსთა და ნეშტნი მცხეთელ
მამასახლისსა მორჩილებასა შინა.

ქექეოს მეფე სპარსთა

ხოლო შემდგომად განძლიერდენ სპარსნი და ქექეოს მეფე სპარსთა

ლეკეთს და ვერ შევიდა, რამეთუ ბრმა ჰყო ლეკმან ვინმე, ამან კუალად

მოხარკე ჰყო ქართლი და წარვიდა დასაბამით ც˜ულდ, ქართულსა ტ˜ჲე

ისრაილთა გაოსვლა ზღჳსა

ამის შემდგომად მოვიდა ამბავი, ვითარ ისრაელთა განვლეს ზღუა

დასაბამითგან ც˜უნდ, ქართულს ტ˜პე და აქეს ყოველთა წარ-

მართთა ღმერთი ისრაილთა. ამისა შემდგომად უცალო იქმნენ

სპარსნი და ისეც ჟამი ქართველთა და განდგნენ, და მორჩილებდენ
მცხეთელ მამასახლისსა.

ფარემუზ მეფე სპარსთა

მცნობმან სპარსთა მეფემან ფარშოტ წარმოგზავნა ძე თჳსი თარგამოსიანთა

ზედა; არამედ შეკრბენ ესენიცა და მიეგებნენ ად-
რაბაგანსა; მუნ ეწყუნენ

და აოტნეს სპარსნი და მოსრნეს ურიცხუნი დასაბამით ც˜უპბ, ქართულსა

უ˜იგ და მოვიდენ გამარჯჳრებულნი თჳსად.

ქაიხოსრო მეფე სპარსთა

შემდგომად კუალად წარმოგზავნა ძე თჳსი სპარსთა მეფემან ხოსრომ;

შემოვიდენ და შემუსრნეს ციხე-ქალაქნი და მოსტყუევ-
ნეს, მოხარკე ყვეს და წარვიდენ დასაბამი ც˜უჟ ქართულსა უ˜კა

1-23 სტრ., 53
კუალად უცალო იქმნენ სპარსნი თურქთაგან და განთავისუფლდენ
ქართველნი დასაბამით ც˜ფკე, ქართულსა უ˜ნვ მოხარკეობისაგან სპარსთასა და
ერჩდნენ მცხეთელ მამასახლისსა მრავალ წელ.

ხოლო ამათ ჟამთა შინა შემოვიდნენ თურქნი სახლნი ვითარ ც˜ყ˜ 2800
ლტოლვილნი სპარსთაგან და უჩინა მცხეთელ მამასახ-
ლისმან ადგილნი და დასხნა იგინი; რამეთუ ამათ ჟამთავე შინა ვინ-
ცა ვინ მოვიდიან -ასურნი, ბერძენნი, ხაზარნი, ყოველტა ემეგობ-
რებოდიან ქართველნნი შიშისათჳს სპარსთა და შეიწყნარიან თჳსთა ქუეყანათა და
ამაგრებდიან ციხე-ქალაქთა მოლოდინისათჳს სპარს-თასა.

ნაბუქოდონოსორ მეფე სპარსთა

შემდგომად კუალად მოვიდნენ ლტოლვილნი ურანი ნაბუქოდონოსო-
რორისაგან დასაბამით ძ˜ტჲგ, ქართულსა ს˜ლ და დაასხნა იგინიცა მცხეთელ
მამასახლ-
ისმან ხერკს, არაგჳს ჩრდილოდ კერ-
ძოდ. გარნა ამ ჟამამდე იყო საქართველოს ენა
სომხური და ესოდენ-
თა ნათესავთაგან იწყეს ენისა ქართულისა თქმად და აქუნდათ სჯუ-
ლიცა უბოროტესი ყოველთა, რამეთუ არა იცოდენ ნათესავი, არცა
ცოლ-ქმრობა, ყოველსა სულიერსა სჭამდენ შეგინებულისადმდე,
მკუდარსა კაცსა სჭამდენ.

გოსტასაბ მეფე სპარსთა

არამედ შემდგომად კუალად მოცალე იქმნენ სპარსნი და გვას-
ტასაბ მეფემან წარმოავლინა ძე თჳსი სპანდიერ რვალი და მოვიდა
ადრაბაგანს; ამას შეუშინდნენ ქართველნი და განამაგრებდენ
ციხე-ქალაქებთა, რამეთუ არა ძალ-ედვათ წინააღმდეგობა; არამეფ

1-23 სტრ., 54
ეწია ამბავი ძესა სპარსთა მეფისასა სპანდიერს და გარე უკუნ იქცა
სპარსეთადვე დასაბამით ძ˜უზ, ბერძნულსა წ˜შჲვ, ქართულსა ს˜ოდ
და დაშთნენ მშჯდობით ქართველნი. არამედ შემდგომად კუალად
განძლიერდენ სპარსნი და სპარსთა მეფემან ბაამან ბერძენნი და
რომნი მოხარკე ყვნა და ყოველნი ნათესავნიცა ესენი თჳსად მო-
ხარკედ ჰყო დასაბამითგან ძ˜უით, ქართულსა ს˜პვ. არამედ ესო-

დენთა ნათესავთაგან იზრახებოდა საქართველოსა შინა ექუსნი ენა-
ნი-სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ბერძნული, ებრა-ული და
უბნობდიან მამანი და დედანი ყოველნი.

ალექსანდრე მაკედონელი

ხოლო ოდეს გამოჩნდა ალექსანდრე ბერძენი მაკედონელი და
დაიპყრა დასავლეთი, შემდგომად დაიპყრა ეგჳპტე და შემოვიდა აღ-
მოსავლეთს, სძლო სპარსთა და მეფესა მათსა. მერმე მოვიდა
ქართლს დასაბამითგან ძ~ქკგ, ქართულსა უ~ჟ, და იხილა ნათესავი
ესე უუბოროტეს ყოველთა წარმართთა. ხოლო ამან ალექსანდრემ
მოსწყჳდნა ყოველნი ნათესავნი შერეულნი, თჳნიერ ქართლოსი-
ანთა და ურიათა, და დაიპყრა საქართველო და დაუტევნა ლაშქარ-
ნი რჩ(ასი ათასნი), და მათ ზედა მთავარი აზონ ძე იარედისა მეკე-
დონელი; არამედ მოსპო ჭამაცა მკუდართა და სჯულად დაუდვა
დამბადებელისა ერთისა ღვთისა თაყვანისცემა და მზისა და მთოვა-
რისა და ვარსკულავთა პატივი და თჳთ წარვიდა. ხოლო ესე აზონ იყო კაცი მესისხლე
და მეშურნე, და უკეთუ ვინ კეთილ-ჰასაკოვანი გა-
მოჩნდის საქართველოსანი, მოაკუდინებდა და თჳსთა ლაშკართაცა
ეგრეთ უყოფდა. ამით ჭირი დიდი საქართველოსა შინა აზონის
გამო. ხოლო ოდეს მოკუდა ალექსანდრე მაკედონელი და განიყვეს

1-25 სტრ., 55
მთავართა მისთა ქუეყანანი ესე, აზონ დაშთა ბერძენთა, მაშინ დაუ-
ტევა აზონ სჯული ალექსანდრესი და ქმნა კერპი დიდნი- გაცი
ოქროსა და გაიმ ვერცხლისა და მსახურებდა მეფესა მცირისა ასიისასა.
ამის აზონის ჟამს იწყეს ქართველთა შვილთა თჳსთა კერპთა შეწირ-
ვად და არა აყენებდა აზონ, ვინაჲთგან თჳთცა ჰკლვიდა

ამბავი ფარნავაზისა

ჟამთა ამათ შინა იყო ჭაბუკი სახელით ფარნაოზ ნათესავით
ქართლოსიანი და ბიძა ფარნაოზისა სახელით სამარა მოსლვასა ში-
ნა ალექსანდრე მაკედონელისასა მცხეთას მამასახლისობდა. ხოლო მოიკლა სამარა და
მამა ფარნაოზისა და ძმა სამარასი ალექსანდრე-
საგან, და ესე ფარნაოზ სამის წლისა წარეტაცა დედასა თჳსსა რომელი იყო ნათესავით
სპარსი კავკასიად და მუნ აღეზარდა, და შემ-
დგომად კუალად მოსრულ იყო ,ცხეთადვე. ესე ფარნაოზ იყო მჴნე,
ახოვანი და შუენიერი, მონადირე და კისკასი და ჩაუქი: არამედ ამას
აკრძალვიდა დედა თჳსი აზონისაგან და უთქმიდს წარსვლად სპარსე-
თად; გარნა ძნიად აღუჩნდებოდს ფარნავაზს დატევებანი მამული-
სანი. ხოლო დღესა ერთსა იხილა სიზმრად ფარნაოზ რათა განვი-

დეს სახლიდამ და ვერ შეუძლო; მაშინ შემოადგა სარკმლითგან მზე
დამოერტყა წელსა მისსა, განზიდა და განიყვანა გარე და იხილა მზე
მდებარე ქუეშე თჳსსა, მოჴოცა ცუარი მზესა მას და იცხო პირსა
ზედა თჳსსა. ხოლო განიფრთხო რა, თქუა: „წარვიდე სპარსეთად და მოვიპოვო მუნვე
კეთილნი.“ ამისა შემდგომად ჩუეულებისაებრ გან-
ვიდა ნადირობად სანახებსა დიღმისასა, ტყორცა ისარი ირემსა და
მოწყლული ირემი ივლტოდა ტფილისის კერძოთ, მიჰყვა და გარ-
დაჴდა და ცემულსა ირემსა ჰკლვიდა რა, ესწრა ბინდი და წჴმა
მძაფრი და ეძიებდა სავანესა; მაშინ პოვა ქუაბი, რომლისა კარი აღ-
მოქოლვილ იყო, იჴადა ჩუგლუგი და გამოჰკოდა კარი; ხოლო შეს-
რულმან მას შინა იხილა საუნჯე დიდი ოქროსა და ვერცხლისა, და

განიხარა ფრიად. დილასა აღმოჰქოლა კარი მისი, და წარმოვიდა
მცხეთას და იწყო მუნით გამოკრებად ღამით საუნჯისა მის და დაფ-
ლვად სიმარჯუედ თჳსად. მაშინ იყო ნათესავი ქართლოსანი, სა-
ხელით ქუჯი; ამის თანა წარგზავნა კაცი, რათა შეეწიოს განძითა
ამით და უმტერონ აზონს. ხოლო მან განიხარა და მიიყვანა თჳსთა-
ნა ფარნაოზ; ამათ შეკრიბნეს ოსნი და ლეკნი (რამეთუ სიბოროტი-
სათჳს აზონისა სძულობდნენ იგინიცა და არა ენებათ მიცემა ხარკთა.)
შეკრებულნი ესე ყოველნი წარმოემართნენ აზონს ზედა. ესე რა სცნა აზონ, შეკრბა
ესეცა სპითა დწყობად მათდა, არამედ განევლტ-
ნენ აზონს ჰრომნიცა იგი ათასნი მჴედარნი და მიერთნენ ფარნაოზს.
ამისი მხილველი აზონ შეშინდა სპათაგან თჳსთა, წარვიდა და
განამაგრა კლარჯეთი.

ა˜. მეფე ფარნავაზ ჲ˜ე წელი მეფა

ხოლო დაიპყრა ყოველი საქართველო ფარნაოზ დასაბამით-
გან ძ˜ქმზ, ქართულისა ფ˜იდ, ბერძნულსა ჭ˜სვ, შეოვიდა მცხეთას,
იქმნა მეფედ და დაემორჩილნენ ყოველნი საქართველოსანი; არამედ წარავლინა
დესპანი წინაშე ასურეთის მეფისა და აღუთქუა მორჩი-
ლება, რათა შეეწიოს აზონსა ზედა. ხოლო მან წარმოსცა გჳრგჳნი
სამეფო და უწოდა ძედ და მოუწერა ერისთავთა სომხითისათა, რა-
თა შეეწეოდეს ფარნაოზს აზონსა ზედა, და შემდგომად ორისა წლი-სა მოირთო
ფარნაოზ შემოკრიბნა საქართველოსანი, და მოირთო ერისთავ-
ნი სომხითისანიცა. ეწყო აზონს ნაქალაქევსა ერუშეთისასა, არამედ
ძლიერისა ბრძოლისა შემდგომად ივლტოდა ბანაკი აზონისა და მო-
იკლა აზონცა, და მოსწყდა სპა მისი. მაშინ ფარნაოზ დაიპყრა კლარ-ჯეთიცა, მუნით
შევიდა და მოსტყუევნა საზღვარი საბერძნეთისა
ანძიაძორი და ეკლეცი და დაირთო საუნჯე და ქონება აზონისა და

გარდაემატა სიმდიდრითა. ფარნაოზ მოქცეული შემოვიდა მცხეთას
და განაგო სამეფო თჳსი; მოიყვანა ქალი ძურძუკით და შეირთო
ცოლად და ქმნა საქართველო ცხრა საერისთოდ.

საერისთოთათჳს

პირველს ქუჯის მისცა ქუეყანა რიონის დასავლეთუ ზღუამ-
დე და ეგრისის წყლამდე სუანეთით და დაჲ თჳსი ცოლად; ხოლო ეგ-
რისს იქითთა არა ინებეს განდგომა ბერძენთა, და კუალად მეორე დაჲ
მისცა ოვსთა მეფესა ცოლად. მეორე ერისთავი დასუა მარგუეთ-
სა შორაპანს და მისცა მცირე ლიხიდამ ვიდრე ზღუამდე ღადოს მთისა
და რიონს შუათი. მესამე დასუა კახეთს, კუხეთს და ჰერეთს. მეო-
თხე დასუა ხუნანს და მისცა ბერდუჯსა და მტკუარსა შუა ტფილი-
სამდე გარდაბანითურთ. მეხუთე დასუა სამშჳლდესა და მისცა სკჳრეთის
მდინარიდამ გაჩიანს ზეითი ფანავრამდე აბოცითურთ.
მეექუსე დასუა წუნდას და მისცა მტკურის აღმოსავლეთი ფა-
ნავრამდე და თავამდე მტკურუსა: მეშჳდე ოძრახოს და მისცა ტა-
შის- კარს ზეითი ზღუამდე პონტოსა და ჭოროხამდე. მერვე კლარ-
ჯეთსა და მისცა რომელი თჳთ დაიპყრა საზღვრით მისით ზღუამდე
პონტოსა. მეცხრე დაადგინა შიდა ქართლს და სპასპეტად ყოველთა ერისთავთა და
სპათა ზედა, და ესევე მოიღებდა ამათ მიერ ხარკთა
ქუეყანისაგან. ხოლო რომნი იგი ათასნი განყო ადგილთა და ჴეობა-
თა შინა და დასხნა და უწოდა აზნაურნი. არამედ ესე ფარნაოზ იყო
პირველი მეფე ქართლისა; მან აღაშენა და განავსნა ქუეყანა თჳსი,
მოზღუდნა ქალაქნი და ციხენი განამაგრნა, და შექმნა წიგნი ქართუ-
ლი და განავრცელა ენა ქართული, და უბრძანა რათა არღა-რა ზრახ-
ვიდნენ ენათა სხუათა თჳნიერ ქართულისა, და ქმნა კერპი დიდი სა-

ხელისა თჳსისა არმაზ (რამეთუ პირველად არმაზ ეწოდებოდა ფარ-
ნაოზს,) და აღმართა საფლავსა ზედა ქართლოსისასა გაცის და გაიმს
კერპთა შორის. ესე ფარნაოზ 27 წლისა მეფე იქმნა და ჲ˜ე წელი
მეფა მშჳდობით და უშფოთველად; შემდგომად მოკუდა დასაბა-
მით ძ˜ღიბ, ბერძნულსა ჭ˜სოა, ქართულსა მ˜ზ და დაფლეს წინაშე
კერპისა თჳსისა არმაზისა, მთასა ქართლს.

ბ˜ მეფე საურმაგ ო˜ე წელი მეფა

შემდგომად მისა დაჯდა ძე მისი საურმაგ მეფედ, არამედ მეფო-
ბა მისი არა სთნდათ ქართველტა, რათა არა მონონ მონათესავესა-
ვე თჳსთა და ამისთჳს შეიზრახნენ მოკლვად საურმაგისა. სცნა სა-

ურმაგ და ივლტოდა ძურძუკეთს დედეულთა თჳსთა თანა; გარნა ჰრომნიცა იგი მიივლტოდნენ ყოველნი საურმაგისა თანა კეთილ-ყოფისათჳს ფარნავაზისა; მაშინ შემოიკრიბნა საურმაგ ძურძუკნი და ოვსნი, შთამოვიდა და დაიპყრა კუალად საქართველო. ამისთჳს დაამდაბლნა ქართველნი და აღამაღლნა დედეულნი თჳსნი და აზნა-ურნი ჰრომაელნი იგი. მაშინ ძურძუკეთი ვერღა-რა იტევდა კაცთა სიმრავლისაგან, აჰყარა კავკასითურთ საურმაგ და დასხნა დიდოეთს და სუანეთს ეგრისამდე, და დაიპყრნა ესენი მისანდობელად.ამან აღმართნა კერპნი ანიან და დანიან გზასა ზედა მცხეთისასა; არამედ არა ესუა ძე, ამისთჳს მოიყვანა ცოლის დედის დისწულის შვილი სახელით მირვანმემკჳდრედ სამეფოსა თჳსისა და მისცა გაჩიანი და საერისთოდ სამშჳლდე და კუალად მისცა ასული თჳსი და მეორე ასული მისცა ძესა ქუჯისასა; შემდგომად მოკუდა საურმაგ დასაბა-მით ძ˜ღპზ, ქართულსა რ˜კბ.

გ˜ მეფე მირვან ნ˜ წელი მეფა

ხოლო დაჯდა მის წილ მირვან სიძე და შვილებული მისი. შემ-დგომად მცირედისა ჟამისა დაივიწყეს სიყუარული ფარნავაზისა ძურძუკთა, გარდმოვიდენ და მოსტყუევნნეს კახეთი და ბაზალეთი

და წარვიდენ ნატყუენავითა. მაშინ მირვან შეიკრიბნა სპანი, მივიდა და შეუჴდა ძურძუკეთს, რამეთუ იყო გმირი და გოლიათი, რომელსა ვერ ჰკუეთდა მახჳლი ძურძუკთა, ვითარცა კლდესა მყარსა, სძლო, მოსრნა და მოსტყუევნა და მოვიდა გამარჯუებული მცხეთას. შემ-დგომად ეზრახა სომეხთა მეფესა არშაკს და მისცა ასული თჳსი ძესა მისსა არშაკსვე. ხოლო იყო ესე მირვან ნებროთიანი უხჳ და კეთი-ლის-მოყუარე და შეიყუარეს ქართველთაცა სიკეთისა მისისათჳს და მეფობდა კეთილად. შემდგომად მოკუდა დასაბამითგან ძ˜ყლზ, ქართულსა რ˜ობ

დ˜ მეფე ფარნაჯომ ი˜თ წელი მეფა

და მეფე იქმნა ძე მისი ფარნაჯომ. ამან შეიყუარა სპარ-სთა და მოიძულნა კერპნი ქართველთანი და ქმნა საცეცხლე მცხე-თას; ამისთჳს მოიძულეს ქართველთა, რამეთუ სასოება დიდი აქუნ-დათ კერპთა თჳსთა ზედა და ეზრახნენ სომეხთა მეფსა ქართველ-ნი, რათა მოსცეს ძე თჳსი, რომელსა ჰყვა ასული მირვანისა. ხოლო მან მოსცა ძე თჳსი და სპანი თჳსნი. ამისმან მცნობმან ფარნაჯომ მოირთო ძალი სპარსთა და ეწყუნენ ურთიერთს ტაშირსა ზედა; მაშინ იძლია ფარნაჯომ და მოისრნენ სპანი მისნი პირითა მახჳლი-

სათა და მოკლეს თჳთ მეფე ფარნაჯომცა დასაბამით ძ˜ყნვ, ქართულსა რ˜ჟა

ე, მეფე არშაკ, ი˜ბ წელი მეფა

მოიყვანეს და დასუეს ძე სომეხთა მეფისა არშაკ არშაკუნიანი მეფედ ყოვლისა საქართველოჲსად; ხოლო ძე ფარნაჯომისა წარიყვანეს წლისა ერთისა სპარსეთად; არამედ ამან არშაკ მეფა უშფოთველად და მატა ციხეთა და ქალაქთა და სიმაგრეტა ყოველთა საქართველოთა შინა; შემდგომად მოკუდა დასაბამითგან ძ˜ყჲზ ქართულსა ს˜გ.

1-31 სტრ., 60

ვ˜. მეფე არტაგ, ი˜ე წელი მეფა

შემდგომად მისა დაჯდა ძე მისი არტაგ მეფედ. ხოლო შემდგომად ორისა წლისა არტაგის მეფობისასა მოვიდნენ სპარსნი ძიებად სისხლთათჳს სპათა თჳსთა; ამათ ვერ წინააღუდგა არტაგ და განამაგრნა ციხე-ქალაქნი. მაშინ სპარსთა მოსტყუევნნეს ქართლი, ციხე-ქალაქთაგან კიდე, და წარვიდნენ. არამედ შემდგომად ჟამ რაოდენმე მეფობისა მოკუდა არტაგ დასაბამითგან ძ˜ყპგ, ქართულსა ს˜იზ.

ზ˜. მეფე ბარტომ. ლ˜გ წელი მეფა.

გამეფდა ბარტომ ძე მისი და შეირთო ცოლად ქალი არშაკუნიანი, და მატა სიმაგრე-ქალაქთა საქართველოსათა; არამედ არა ესუა ძე, ამისთჳს მოიყვანეს ქუჯის ძის წულისაგანი ქართამ, და ასულის წულისაგან საურმაგ მეფისა, და მისცა ასული თჳსი ცოლად, და გაიშვილა მეფობის მემკჳდრედ. (ამისთჳს ჰყო ესე, რამეთუ არა უნდათ ქართველთა მეფედ თჳსად თჳნიერ ფარნავაზიანთაგანი, და ამას შესდგმიდა ფარნავაზიანობა ქუჯის ცოლისაგან და საურმაგის ასულისაგან). ხოლო რაჟამს აღიზარდა მირვან ძე ფარნაჯომ მეფისა სპარსეთს, რამეთუ იყო გმირი და გოლიათი და გამოცდილი ბრძოლათა და წყობათა შინა, ამან შეიკრიბნა სპანი სპარსეთისანი, მოვიდა და მოუგზავნა ქართველთა: „რამეთუ მამა ჩემი მოიკლა სამართლად უსჯულოებისათჳს, არამედ მე ვარ რჯულსა ზედა თქუენსა და შვილი მეფეთა თქუენთა; აწ მოვედით ჩემთანა და მიიღეთ ნიჭი დიდი ჩემგან“. ხოლო ესე არა ინებეს ქართველთა, რამეთუ ერთგულებასა ზედა სდგნენ ბარტომ მეფისასა, გარნა მცირენი არა წარჩინებულთაგანნი მიერთნენ; მაშინ ბარტომ შემოიკრიბნა სპანი და მოირთო ძალი სომხითით და დაადგრა ხუნანს და დაიპყრა ზურ-

გად ციხე. ხოლო გამოჩნდნენ ორთავე სპათა შორის ბუნბერაზნი და იბრძოდნენ თთუე ერთ; არამედ მოკლა მირვან ათორმეტი ბუნბერაზი თავით თჳსით და არღარავინ გამოჩნდა მბრძოლი მისი (და თჳთ ბარტომ მეფეცა არა იყო გოლიათობითა დარი მისი). შემდგომად ყოვლითა სპითა დაესხა დილას ბარტომ მირვანს და იქმნა

ბრძოლა ძლიერი და იძლია ბარტომ მეფევე და მოისრა სპა მისი და მოიკლა ბარტომცა და შვილებულიცა ბარტომისა ქართამ მოიკოლა მუნვე ბრძოლასა შინა დასაბამითგან ძ~შივ, ქართულსა ს~ნა.

ჱ. მეფე მირვანი ~ წელი მეფა

მაშინ შემოვიდა მირვან და დაიპყრა საქართველო, მოინდო ყოველნი ქართველნი ფიცითა და მეფე იქმნა; კუალად გამოიყვანა ცოლი ბარტომისა სამშჳლდისაგან და შეირთო ცოლად (არამედ ცოლი ქართამისა წარიყვანეს უძლები მიდგომილი სომხითს და მუნ შვა ძე ადერკი). ხოლო ამან მირვან იმეფა კეთილად ჟამ რაოდენმე, შემდგომად მოკუდა დასაბამითგან ძ~შკზ, ქართულსა ს~ჲბ.

თ~. მეფე არშაკ კ~წელი მეფა

და გამეფდა ძე მისი არშაკ; არამედ იყო ესე შუენიერი, ახოვანი, ძლიერი და გოლიათი. ხოლო რაჟამს აღიზარდა ადერკი სომხითს, შემოიკრიბა სპანი სომხითისა, რამეთუ იყო ჰაეროვანი, ფრიად შუენიერ, გმირ, ახოვან და მოეკლნა მრავალნი გოლიათნი სპარსთა, ბერძენთა, არაბთა, და გამოცდილ იყო ლაშკრობათა შინა დიდად. წელსა კ~მეფობასა არშაკისასა მოვიდა თრიალეთს. სცნა რა არშაკ, შეკრიბნა სპანი და მოირთო ძალი სპარსთა და მივიდა ესეცა მუნ. მაშინ ადერკიმ გამოითხოვა არშაკ ბრძოლად თავისად, რამეთუ რომელმანცა სძლოს, იგი მეფობდესო. განიხარა არშაკ, აღიჭურვა და წარვიდა და ადერკიცა ეგრეთვე გამოვიდა: ეკუეთნენ ერთი ერთსა და იბრძოლეს შუბითა, ლახტითა, ჴრმლითა და ჩუგლუგითა სასტიკად; გარნა ვერა რომელმან აჯობა დღესა მას შინა და მიმწუხრს უკუდგნენ. მეორესა დღესა კუალად გამოვიდნენ შეჭურვილნი და დაასხნეს ისარნი ერთმანერთსა; არამედ განფიცხდა ადერკი და ჰკრა ისარი ადერკიმ მკერდსა არშაკს; ვერ უფარა საჭურველმან და განვლო იქით, ჩამოვარდა ცხენიდამ და მოკუდა არშაკ მეფე. ხოლო ადერკიმ აღიზახა ჴმა „იი ვერიე“ და მიიქცა სპათა თჳსთა მიმართ და ევედრა, რათა

არა განმარტონ მახჳლი ქართველთა ზედა. კუალად მოიქცა და ეტ-

ყოდა ქართველთა: „მე ვარ ძე მეფისა თქუენისა; აჰა, არა მოუშუნი სპანი სომეხთანი მოწყუედად თქუენდა“. მაშინ ქართველთა მოიღეს გჳრგჳნი არშაკისა და დაადგეს ყოველთა თავსა ადერკის და ყვეს მეფედ დასაბამითგან ჰრომაულსა ძ˜შმზ, ბერძულსა ჭ˜ფვ, ქართულსა ს˜პბ, ინდიკტიონსა პირველსა.

ი˜. მეფე ადერკი ნ˜ზ წელი მეფა

და დაიპყრა ადერკიმ ყოველი საქართველო და შეირთო ასული სომეხთა მეფისა ცოლად. ხოლო ამის მეფობის პირველსა წელსა იშვა უფალი ჩუენი იესო ქრისტე და მოვიდა ამბავი, ვითარ შევიდნენ სპარსნი იერუსალიმს მოტყუენვად და შეწუხდენ ურიანი მცხეთელნი; არამედ კუალად მოვიდა ამბავი ვითარმედ არა მოტყუენვად, არამედ ყრმისა ახალშობილისა თაყვანისცემად. შემდგომად მეოცდაათესა წელსა მოითხოვეს მცხეთელთა ურიათა იერუსალიმიდამ განკითხვისა და ჯუარ-ცმისათვის იესოს ქრისტესა. ხოლო წარვიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოს კარსნელი ურიანი და ამათ მოიღეს კუართი უფლისა მცხეთას. და კუალად ლ˜Ე წელსა მოვიდნენ მოციქულნი ანდრია პირველწოდებული და სჳმონ კანანელი. ანდრიამ მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა. ხოლო სჳმონ მოკუდა მუნ და დაფლეს ნიკოფსიას. სცნა რა ადერკიმ, შერისხნა მეგრელთა და მათ დამალნეს ხატნი და ჯუარნი; კუალად შერისხნა ერისთავსა კლარჯეთისასა მშჳდობით განტევებისათჳს ანდრიასსა. კუალად ამისვე ჟამსა იწყო მეფობად სპარსეთს აჟღალან (რამეთუ ოდით შესრულ იყო ალექსანდრე დიდი, არღარა იყო მეფობა სპარსთა), და მორჩილებდნენ სომეხნი და ქართველნი. ხოლო ადერკის ესხნეს ორნი ძენი - ბარტომ და ქართამ; ამათ განუყო სამეფო: ბარტომს

მისცა მცხეთა და ჩრდილო-კერძი ჰერეთით ვიდრე ეგრისით ზღუამდე; ხოლო ქართამს- არმაზი და სამჴრით კერძი ბერდუჯითგან ვიდრე ზღუადმდე პონტოსა.
რამეთუ ამის მეფობამდე რაოდენნი
ჰყვნენ ძენი მეფეთა, იყვის მეფე ერთი; ხოლო ამან განყო ესრეთ, არამედ თჳთ გამეფდა ლ˜წლისა და მეფე ნ˜ზ წელი მშჳდობით და ნებიერად; შემდგომად მოკუდა, დასაბამით წ˜დ, ქ˜ესა ნ˜ე, ქართულსა ტ˜ლთ.

ი˜ა. მეფენი ბარტომ და ქართამ ი˜ზ
წელი მეფეს

და გამეფდნენ ძენი ადერკისანი - მცხეთას ბარტომ, ხოლო არ-

მაზს ქართამ. არამედ ამათ მეფობასა შინა წარმოსტყუევნა იერუსა-
ლიმი ტიტე ვესპასიანემ, და მოვიდნენ ურიანი ლტოლვილნი, რო-
მელთა თანა ერთო ძე ბარბასი, რომელი განუტევეს ჯუარცმასა
უფლისასა, და დასხნეს სხუათა ურიათა თანა. გარნა იმეფეს ამათ
სიყუარულსა ზედა ერთმანეთისასა; შემდგომად მოკუდნენ დასაბა-
მითგან წ˜კა, ქ˜ესა ო˜ბ, ქართულსა ტ˜ნვ.

ი˜ბ. მეფენი კაოს და ფარსმან
ი˜ე წელი მეფეს

შემდგომად მათსა დასხდნენ ძენი მათნი, ბარტომის ძე კაოს
მცხეთას და ქართამის ძე ფარსმან - არმაზს; არამედ იყვნენ ზემო-
თნი მეფენი სიყუარულსა ზედა სომეხთასა. ხოლო მირვან მეფემან
სომეხთამან დაივიწყა სიყუარული მათი და მიუღო საზღვარი ქარ-
თლისა წუნა და არტანი მტკურამდე და უწოდა წუნას ქაჯთა-ტუნი,
(რომელ არს დევთა სახლი); არამედ ვერ უძლეს ძიებად საზღვარნი
თჳსნი ამათ მეფეთა და შემდგომად მწუხარენი მოკუდნენ დასაბა-
მითგან წ˜ლვ, ქ˜ესა პ˜ზ, ქართულსა ტ˜ოა.

1-28 სტრ., 64

ი˜გ. მეფენი არმაზელ და აზორკ
ი˜ვ წელი მეფეს

გამეფდნენ - მცხეთას კაოსის ძე არმაზელ და არმაზს-ფარ-
სმანის ძე აზორკ; არამედ ესენი იყვნენ მჴნე-ახოვანნი და შემმარ-
თებელნი. მაშინ შეიზრახნენ, რათა იძიონ საზღვარი ქართლისა და
მოიყვანეს ოვსთ მეფე ორნი ძმანი ბაზუკ და ამბაზუკ სპითურთ, და
კუალად ლეკნი; შევიდნენ და მოსწყჳდნეს სომხითი უგრძნეულოდ
მათდა; გამოვლეს მტკუარი და მოვიდნენ კანბეჩოვანს. ხოლო მცნო-
ბელი სუმბატ ბივრიტიანი მოუდგა უკანით სპითა მცირითა და მო-
უმცნო მეფეთა, რათა უკუ სცენ ტყუენი; ხოლო ნაალაფევი თქუენ-
და იყოს და უკუნ ვიქცე. მაშინ ჩრდილოსათა მიუგეს: „შენ გეძიებ-
დით და ვერ გპოვეთ; აწ გამოვედ, რათა ადრე მოიკლა ჩუენ მიერ“.
ესმა რა სუმბატს, აღიჭურა და გამოვიდა; აქათ გაუჴდა ბაზუკ. სცა
ოროლი სუმბატ ბაზუკს და განავლო იქით; აღიღო უნაგირისაგან
და დასცა ქუეყანასა ზედა და მოკლა. იხილა ამბაზუკ და მიეტევა;
ხოლო სუმბატ მოსწოდა ოროლი ბაზუკს, სცა ამბაზუკს, აღიღო
იგიცა და სცა ქუეყანასა ზედა და მოკლა და ჴმა ჰყო: „ესე სისხლ-
თათჳს სომეხთა“. მაშინ ყოველთა ჩრდილოსათა ერთჴმობით შე-
უტივნეს და მოსწყდეს ორგნითვე ურიცხუნი; არამედ იძლივნენ
ჩრდილოსანი და შემოიხვეწნენ მეფენი მცხეთას და არმაზს და განამა-
გრნეს ციხე-ქალაქნი. ხოლო სუმბატ შემოვიდა ქართლს და მოს-

ტყუევნა, რამეთუ არა განმზადებულ იყო მოდგომად ციხეთა, და დემოთს სამცხეს დაუტევნა სპანი მწედ წუნისა და შურად ოძრახოსსა და წარვიდა. გარნა მეფენი ესენი არა შეშინდნენ სიმჴნითა თჳსითა და დაემეგობრნენ ოვსნიცა სისხლისათჳს მეფეთამათთასა, რომელნი მოიკლნენ, და ეკირთებოდნენ მარადის სომხითს რამეთუ ერისთავნი კლარჯეთისა და ოძრახეს მტკიცედ დგნენ ერთგულებასა ზედა არმაზელისასა, ემწნენ ამათ ეგრისელნი და ეკირთებოდნენ

სომხითს. შემდგომად მოვიდა არტაშან მეფე სომეხთა და სუმბატ მის თანა და ვერ წინააღუდგნენ ქართველნი, არამედ განამაგრნეს ციხე-ქალაქნი, და მოადგა მცხეთას ოთხ თთუე ოდენ; შემჭირდნენ ქართველნი და ზავ-ყვეს და წარვიდნენ სომეხნი. შემდგომად იწყეს ბრძოლა სომეხთა სპარსთა ზედა და ქართველთა იცეს ჟამი და იწყეს რბევად სომხითისა. მაშინ წარმოგზავნა სომეხთა მეფენი ძე თჳსი ზარდე სპითა; ეწყუნენ ქართველნი და ოვსნი, აოტნეს სპანი ზარდესნი და შეიპყრეს ზარდე; არამედ ოვსნი ლამოდნენ სიკუდილსა სისხლისათჳს; გარნა არა აუფლეს ქართველთა და პატიმარ-ყვეს დარიელასა შინა. შემდგომად სამისა წლისა მოიქცნენ სომეხნი გამარჯუებულნი სპარსთაგან; მცნობთა ქართველთა განამაგრნეს ციხე-ქალაქნი. მაშინ მოვიდნენ ორნი ძენი სომეხთა მეფისანი და სუმბატცა თრიალეთს და ჰყვეს მოციქულობა. შემდგომად ზავ-ყვეს და უკმოსცეს სომეხთა საზღვარი ქართლისა. ხოლო ქართველთა მისცეს ძე მეფისა ზარდე და აღუთქუეს მტერ-ყოფა მტერთა მათთა და დრამაცა ხატითა სომეხთა მეფისათა დავსცეთო, და წარვიდნენ სომეხნი; არამედ იხარებდნენ ესე მეფენი უკ-მოხმისათჳს საზღვართა ქართლისათა სიმჴნითა თჳსითა. ამან არმაზელ ძიება ყო კუართისა უფლისა; არამედ ვერ უძლო პოვნად, რათა არა შეიმწიკულოს წარმართისა მიერ. შემდგომად მეფეს ამათ მეფეთა მშჳდობით და მოკუდნენ დასაბამით წ˜ნბ, ქ˜ესა რ˜გ, ქართულსა ტ˜პზ.

ი˜დ. მეფენი ამზასპ და დეროკ
ი˜წელი მეფეს

და მეფენი იქმნენ მცხეთას არმაზელის ძე ამზასპ და არმაზს აზორკის ძე დეროკ. ხოლო მეფობდნენ ესენი უშფოთველად და შემდგომად მოკუდნენ დასაბამით წ˜ჲბ, ქ˜ესა რ˜იგ, ქარ. ტ˜ჟზ.

ი˜ე. მეფენი მირდატ და ფარსმან ი˜ვ წელი მეფეს

შემდგომად გამეფდნენ მცხეთას ამზასპის ძე მირდატ, ხოლო არმაზს დეროკის ძე ფარსმან; არამედ მირდატ და ფარსმანისამდე

1-31 სტრ., 66
ზემოჴსენებულნი მეფენი იყვნენ სიყუარულსა ზედა ურთიერთისასა;
არამედ მირდატ იწყო მტერობა ფარსმანისა, რამეთუ მირდატ მე-
სისხლე და მედგარი იყო, ხოლო ფარსმან ქუელი, გონიერი, ახოვანი
და გოლიათი. დღესა ერთსა ხადა მირდატ ფარსმანს ნადიმობად, რა-
თა მოკლას ღალატად; არამედ ვინამემ ამხილა სიკეთისათჳს ფარს-
მანისსა ფარსმანს, რამეთუ მას ჰყუარობდნენ ქართველნი და მირ-
დატს სძულობდნენ. აგრძნა რა ფარსმან, არღარა მივიდა და იქმნა
შური მათ შორის. მაშინ დაუტევებნდნენ მირდატს და მიერთოდიან
ფარსმანს. შემდგომად ივლტოდა მირდატ სპარსეთად, რამეთუ ცო-
ლი ესუა სპარსთა მეფისა მონათესავე, და შეიკრიბა მუნ სპა სპარსთა
მრავალი მირდატ და მოვიდა რკინის ჴევთა, ხოლო ფარსმან სპი-
თა ქართლისათა და შეიწია სომეხნიცა და მიეგება მუნ და ბრძოდ-
ნენ ძლიერად ბუმბერაზნი, არამედ ფარსმან მოკლნა ათჩვიდმეტნი
ბუმბერაზნი და სპასპეტმან მისმან ფარნავაზ მოკლა ოც და სამი
(რომელი იყო ძუძუსმტე ფარსმანისა) ამას წყობასა შინა; შემდგომად
სთხოვა მუქარა სპარსმან ბუმბერაზმან ჯუანშერ (რომელი ლომსა
ჴელითა შეიპყრობდა) და ეძიებდა ფარსმანს; ხოლო ფარსმან განვი-
და სიხარულითა, კუეთებასავე მოკლა სპარსი ფარსმან და არღარა
შემოიქცა, აღუზახნა სპათა თჳსთა და მიეტევნენ, სძლიეს და აოტ-
ნეს და მოსწყჳდნეს მრავალნი და წარვიდა მირდატ კუალად სპარ-
სეთს მეოტი. კუალად წელსა მესამესა მოვიდა მირდატ უუმრავლე-
სითა ლაშკრითა და დადგა ჯაჭუს. ხოლო ფარსმან მცხეთას მყოფ-
მან არა ეგოდენისა სპისა მყოლემან იწყო ბრძოლად ბუნბე-
რაზთა და მოკლა ფარსმან ათორმეტი ბუნბერაზი, ხოლო სპასპეტ-
მან მისმან ფარნავაზ ათექუსმეტი. შემდგომად კუალად დაესხა
ფარსმან და მოსრნა მირდატის სპანი სპარსნი და აოტნა და წარვიდა
მირდატ კუალად სპარსეთადვე. არამედ მიერითგან ვერღარა იკადრეს
წყინებად ფარსმანისა სპარსთა. მაშინ განისმა სიმჴნე ფარსმანისა
და უწყო ფარსმან ტყუენვა და ოჴრება სპარსეთსა მრავლად; ამის-
თჳს სპარსთა მოიყიდეს მზარეული, რათა შეეწყნაროს ფარსმანს და
მოკლას იგი წამლითა; ხოლო მზარეულმან ჰყო ეგრეთ და მოკლა

1-26 სტრ., 67
ფარსმან ქუელი დასაბამითგან წ˜ა, ქ˜სა რ˜კბ, ქარ. უ˜ვ. მაშინ ფარნა-
ვაზ სპასპეტმან წარიტაცა ცოლი და ძე ფარსმანისა სომხითს. ხოლო
მირდატ გამოიყვანეს სპარსთა და დაიპყრეს ქართლი ფარსმანის წი-
ლი სპარსთა და მირდატს უკუ-სცეს წილი თჳსი. შემდგომად რა იქმ-
ნა ძე ფარსმანისა სრული ჰასაკსა ზედა სახელით ადამ, ამან მოირთო
სომეხნი და ბერძენნი და მოვიდა ქართლს. აქათ მირდატ ქართლისა
და სპარსთა სპითა შეიბნენ რეხსა ზედა; იძლია მირდატ და მოსწყდა

სპანი მისნი და მოკლედ მირდატცა დასაბამით წ˜ჱ, ქ˜სა, რ˜კთ, ქარ. უ˜იგ.

ი˜ვ. მეფე ადამ

მაშინ დაიპყრა ყოველი ივერია (ორთავე მეფეთა) ძემან ფარსმან ქუელისამან ადამ და მეფობდა კეთილად სამ წელ და მოკუდა და დაუტევა ძე წლისა ერთისა სახელით ფარსმან, და აღზრდამდე მისა მეფობდა ცოლი ფარსმან ქუელისა სახელით ღადან. ხოლო შემდგომად ჰასაკისა დაჯდა მეფედ ფარსმან ძე ადამისა. დასაბამით წ˜ჟე, ქ˜სა რ˜მვ, ქარ. უ˜ლ.

ი˜ზ. მეფე ფარსმან ლ˜ვ წელი მეფა

ხოლო ესე ფარსმან მეფობდა ყოველსა ივერიასა ზედა მშჳდობით და უშფოთველად დღეთა თჳსთა. შემდგომად მოკუდა დასაბამითგან წ˜რლა, ქ˜სა რ˜ჰბ, ქარ. უ˜ჲვ.

ი˜ჱ. მეფე ამზასპ დ˜წელი მეფა

დაჯდა ძე ფარსმანისა ამზასპ მეფედ. ესე იყო მჴნე, ახოვანი და გოლიათი, ვითარცა ფარსმან ქუელი. ხოლო ჟამსა ამისსა გარდამოვიდნენ ოვსნი უგრძნეულოდ გარდამომსვლელნი გზისა დვალეთისა და დადგნენ შინა ქართლს შემუსრვად მცხეთისად. ხოლო ამზასპ განამაგრა ქალაქი და განვიდა საფურცლეს; მაშინ წყობათა შინა შო-

რად ჰკლვიდა ამზასპ ისრითა, რომელ ძნიად სახილველ იყო, და მას დღესა მოკლა ბუნბერაზი ოვსთა ათხუთმეტი და შემოვიდა მცხეთას. კუალად მეორესა დღესა განვიდა ამზასპ და მისლვასავე მოეტევა ბუნბერაზი ოვსთა სახელით ხუხუ; არამედ კუეთებასავე სცა ამზასპ ოროლი ხუხუს და განავლო იქით და მოკლა. მერმე მიეტევა ამზასპ და მოკლნა ორნი სხუანი ბუნბერაზნი ოვსთანი და შემოვიდა მცხეთასვე; მეორეს დილას გამოიტანნა სპანი თჳსნი და დაესხა ოვსთა, მოსწყჳდნა, აოტნა და მოკლა მეფე მათი და შემოვიდა გამარჯუებული მცხეთას. წელსა მეორესა შემოიკრიბნა სპანი ამზასპ. გარდავლო კავკასი და შთავიდა ოვსეთს; ხოლო იგინი ვერ წინააღუდგნენ; ამან მოსწყჳდნა, მოსტყუევნნა და ალაფითა სავსე მოვიდა მცხეთას. ამის მიერ იწყო ამზასპ განლაღებად და მოსწყჳდნა მრავალნი წარჩინებულნი საქართველოსანი და შეიყუარნასპარსნი; ამისთჳს უკუდგნენ ერისთავნი ოძრახისა, კლარჯეთისა და ეგრისისანი და შეეზრახნენ მეფესა სომხეთისასა, რათა მოსცეს ძე მისი რევ მეფედ (რო-

მელი იყო დისწული ამზასპისა). მან მოსცა ძე თჳსი და შეკრბნენ სომეხნი და ერისთავნი წინათქუმულნი და მოუწოდეს ოვსთა; ხოლო ოვსთა სიხარულით გარდმოვლეს გზა თაკუერისა (ვინაჲთგან მესისხლენი იყვნენ ამზასპისა) და შეიკრიბნენ მათ თანა. ამისმან მცნობმან ამზასპ შემოიკრიბნა სპანი და მოირთო ძალი სპარსთაგან და მივიდა გუთის ჴევს და მოვიდნენ იგინიცა მუნვე; არამედ არავინ იყო მარტოდ-მბრძოლი ამზასპისა სპათა მათთა შორის და ეწყუნენ ურთიერთს. შემდგომად ძლიერისა ბრძოლისა იძლივნენ სპანი ამზასპისანი და ლტოლვასა მოკლეს ამზასპ და სპანი მისნი მოსწყჳდნეს დასაბამითგან წ˜რლე, ქ˜სა რ˜პვ, ქართ. უ˜ო.

ი˜თ. მეფე რევ კ˜ზ წელი მეფა

მაშინ მოიყვანეს ძე სომეხთა მეფისა რევ და ყვეს მეფედ არშაკუნიანი. ამან მოიყვანა ასული ლოღოთელისა საბერძნეთით სახელით სეფორა. არამედ იყო ესე რევ მოწყალე და ნუგეშინის-მცემე-

ლი ჭირვეულთა (რამეთუ სმენოდა მცირედ რაჲმე სახარება უფლისა ჩუენისა იჳსო ქრისტესი). ხოლო ოდეს ალექსანდრე დიდმან მოუკუეთნა ჭამანი მკუდართა, მიერით დაუკლვიდნენ ძეთა და ასულთა თჳსთა შეწირვად კერპთა თჳსთა ქართველნი და ამან რევ არღარა აუფლნა დაკლვად შვილთა მათთა, არამედ ნაცვლად მათდა ძროხაცხოვართა უბრძანა შეწირვად და ამისთჳს უწოდეს რევ მართალი; გარნა მეფა ყოველსა ივერიასა ზედა მშჳდობით და უშფოთველად; შემდგომად მოკუდა დასაბამით წ˜რჲბ, ქ˜სა ს˜იგ, ქარ. უ˜ჟზ.

კ˜. მეფე ვაჩეიწ წელი მეფა

შემდგომად გამეფდა ძე მისი ვაჩე. ამანცა იმეფა ყოველსა ივერიასა ზედა მშჳდობით და უშფოთველად, მერმე მოკუდა დასაბამითგან წ˜რპ, ქ˜სა ს˜ლა, ქარ. ფ˜იე.

კ˜ა. მეფე ბაკურ. ი˜ე წელი მეფა

მეფე იქმნა ძე ვაჩესი ბაკურ და მეფობდა ყოველსა ივერიასა ზედა, ვითარცა მამა მისი; შემდგომად მოკუდა დასაბამითგან წ˜რჟე, ქ˜სა ს˜მვ, ქარ. ფ˜ლ.

კ˜ბ. მეფე მირდატ ი˜ვ წელი მეფა

და იქმნა მეფედ ძე ბაკურისა მირდატ და დაიპყრა ყოველი ივე-

რია და მეფა სიწყნარესა შინა და მოკუდა დასაბამით წ˜სია, ქ˜სა ს˜ჲბ, ქარ. ი˜დ.

კ˜გ. მეფე ასფაგურ გ˜წელი მეფა

გამეფდა ძე მირდატისა ასფაგურ. ამ ასფაგურის ჟამსა შინა მოსრა მეფე სპარსთა ქასრე სასანიანმან და გამეფდა თჳთ. ხოლო სომეხთა ზედა იქმნა მეფედ კოსორ. ამან მეფემან კოსორ უწყო ბრძო-

1-29 სტრ., 70
ლა ქასრე მეფესა და მწედ ჰყვა მეფე ასფაგურ; ხოლო ასფაგურ განახუნა კარნი დარიელასი და გამოიყვანა ოვსნი და ლეკნი, და შეკრბნენ სომეხთა თანა, ეწყუნენ სპარსთა, აოტნეს და მოსწყჳდნენ უმრავლესნი.ხოლო შემდგომად ამისა ვერღარა წინააღუდგნენ სპარსნი და მარადის აოჴრებდნენ და ეკირთებოდნენ სპარსეთს. ამისთჳს მწუხარემან ქასრე მეფემან ზრახვა ჰყო წარჩინებულთა თჳსთა თანა; მაშინ მუნ იყო ანაკ ნათესავი სომეხთა მეფისა ლტოლვილი; ამან ამცნო იდუმალ ქასრეს: „მე წარვიდე განდგომილი შენგან და შევეწყნარო კოსორს და სჳთა შენითა ვიცე ჟამი და მოვჰკლა იგი“; და განიხარა ქასრემ ფრიად და აღუთქუა ნიჭი დიდი. ესრეთ წარმოვიდა ანაკ და მოსრულ შეწყნარებულმან მოკლა მეფე კოსორ ნადიროზასა შინა და ივლტოდა, არამედ ეწივნენ სომეხნი და მოკლეს ანაკცა. ხოლო ძე კოსორ მეფისა ყრმა თრდატ წარიტაცეს საბერძნეთს. მსმენელმან ქასრე მეფემან სპარსთამან შემოიკრიბნა სპანი ურიცხუნი და შემოვიდა სომხითს; ამისთჳს ასაფაგურ მეფემან განამაგრნა ციხე-ქალაქნი და წარვიდა ოვსეთად, რათა განიმრავლოს სპანი, არამედ ეწია მუნ სუკუდილიდა მოკუდა დასაბამით წ˜სიდ, ქ˜სა ს˜ჲე, ქარ. ი˜ზ და არა დაუტევა ძე, გარნა ასული ერთი სახელით აბეშურა. ამის მიერ მწუხარენი ქართველნი შემოკრბნენ მცხეთას და განიზრახვიდნენ თუ რაჲ ჰყონ. მაშინ აღდგა მათ შორის მაიჟან სპასპეტი და თქუა: „თუ გვყვეს მკჳდრი ძე მეფეთა ჩუენთა, მოვსწყდეთ და არა ვერჩდეთ სხუასა; ვითარცა სჭამდენ მამანი ჩუენნი მკუდართა, ვჰყოთ ეგრეთვე ჩუენცა; გარნა არა გვივის ძე, არამედ ასული და იგიცა მცირე, და აწ ესე არს განზრახვა ჩემი, რამეთუ მასმიეს, ვითარმედ უვის სპარსთა მეფესა ძე; წარვავლინოთ დესპანი და ვთხოვოთ ძე თჳსი მეფედ ჩუენდა, და შევრთოთ მას ასული მეფისა ჩუენისა, და უკეთუ არა გვაუფლნოს სპარსნი და არცა სჯული და კერპნი ჩუენნი შლად ჴელ-ყოს, კეთილ; ხოლო უკეთუ არა ყოს, მოვსწყდეთ და ნუ თავსვიდებთ“. მსმენელთა ყოველთა სთნდათ განზრახვა ესე და მიუმცნეს

1-27 სტრ., 71
ქასრე მეფესა. მან კეთილად შეიწყნარა და აღუსრულნა თხოვანი

მათნი ფიცით და მოვიდა მცხეთას, შერთო ძესა თჳსსა აბეშურა და დაუტევა მცველად ძესა თჳსისა ჴ˜მჴედარნი სპარსნი, რამეთუ იყო მირვან ყრმა ზ˜ წლისა, ნაშობი მჴევლისა; და კუალად დაუტევა ოცდაცამეტი ათასი მჴედარი სომხითს, რანს, მოვაკანს შუელად და მწედ მირვანისად, ხოლო დაიპყრნა კავკასელნიცა და წარვიდა სპარსეთად მეფე ქასრე.

მეფე მირიან ო˜ზ წელი მეფა

ხოლო გამეფდა მირვან, რომელსა უწოდეს მირიან, დასაბამით წ˜სიდ, ბურძულსა ჭ˜ღოგ, ქ˜სა ს˜ჲე, ქართულსა ი˜ზ, ინდიკტიონსა ი˜გ ივერიასა, რანსა, მოვაკანსა და სომხითსა ზედა. არამედ რაჟამს იქმნა ი˜ე წლისა, მოკუდა აბეშურა და მოსწყდა ნათესავი თარგამოს-ნებროთიან-არშაკუნიანთა. გარნა მირიან შეიყუარეს ქართველთა და მირიან უმეტეს ქართველნი. შემდგომად მოიყვანა მირიან ასული ულიოტორისა პონტოდამ სახელით ნანა, და შეირთო ცოლად და ბრძოდა მარადის ხაზართა, რამეთუ ხაზარნი ბრძოდენ დარუბანდს, რათა დაიპყრან თჳსად, და ეკირთებოდნენ სპარსეთს; ამისთჳს მირიან ბრძოდა და მარადის სძლევდაცა. შემდგომად იქმნა რა მირიან მ˜წლისა, მოკუდა მამა მირიანისა ქასრე და დასუეს ძე მისი ბარტომ სპარსთა მეფედ. მსმენელმან მირიან შემოიკრიბნა სპანი თჳსნი და წარვიდა, რათა იქმნეს თჳთ მეფედ. მაშინ ბარტომცა მოვიდა ჴევსა ნასიბისასა სპითა; არამედ მოხუცებულთა სპარსთაგან იქმნა მათ შორის ბჭობა და არღარა ბრძოლა; რამეთუ იტყოდა მირიან: „ მე ვარ პირმშო ძე, ამისთჳს ჩემდა ჯერ არს ტახტი, ვინაჲთგან მრავალგზისცა დამიცავს სპარსეთი სიმჴნითა ჩემითა ხაზართაგან“. ხოლო ბარტომ იტყოდა: „გარნა თუ პირმშო ხარ, არამედ ხარ მჴევლისა შობილი და მე ინდოთა მეფის ასულისა, რომელსა დამად-

გა თჳსითა ჴელითა მამამან ჩემმან გჳრგჳნი“. მაშინ განსაჯეს სპარსთა უხუცესთა და დაუმტკიცეს ბარტომს მეფობა სპარსთა და მირიანს რაჲცა ეპყრა, დაურთეს მას ზედა შამი, ჯაზირა და ადრაბაგანი, ზავ-ყვეს ძმათა შორის და შეიქცნენ თჳს-თჳსად. ხოლო მირიანის მუნ ყოფასა შინა გარდმოვიდნენ ოვსნი, მოსტყუევნეს ქართლი და წარვიდნენ. მოსრულმან მირიან მცხეთას შემოიკრიბნა სპანი და გარდავიდა ოვსეთად; ვერ წინააღუდგნენ ოვსნი; მოსწყჳდნა, მოსტყუევნნა და მოწვა ვიდრე ხაზარეთამდე და შემოვლო გზა დარუბანდისა და მოვიდა მცხეთას გამარჯუებული. შემდგომად მოვიდნენ ხაზარნი წარღებად დარუბანდისა და მირიან წარვიდა შუელად, და მუნ ბრძოლასა შინა მოვიდა ძე კოსორისა თრდატ სომხითს მამულსა თჳსსა სპითა ბერძნისათა და დაიპყრა სომხითი (რამეთუ ამან

თრდატ გოლიათობითა თჳსითა მოკლა მეფე გუთთა მბრძოლი კეი-
სრისა და ამისთჳს მოსცა კეისარმან სპანი). ამისმან მცნობმან მი-
რიან დაუტევა ბრძოლდა ხაზართა და მოიყვანა სპარსეთით ტომი მე-
ფეთა ფეროზ და მისცა ასული თჳსი და ერისთაობა რანისა; კუალად
მოირთო სხუაცა ძალი სპარსთაგან და მარადის ბრძოდა თრდატს;
არამედ უკეთუ მოირთვის თრდატ ძალი ბერძენთაგან, სძლევდის მი-
რიანს, ხოლო უკეთუ მირიან მოირთვის ძალი სპარსთაგან, სძლევ-
და თრდატს, და არავინ იყო მარტოდ-მბრძოლი თრდატისა და იყო
მარადის ბრძოლა მათ შორის.

ხოლო ჟამსა ამას მოვიდა წმიდა ნინო მცხეთას ქადაგებად
ქრისტეს სახარებისად წელსა დასაბამით წ˜სჲგ, ბერძულსა ჻˜ყკბ,
ქ˜სა ტ˜იდ, ქართულსაჲ˜ვ, აგვისტოს დღესა ე˜. რამეთუ რაჟამს დიდი
მთავარ-მოწამე გიორგი იწამა ქრისტესთჳს კაბადოკიას, იყო კაცი
კაბადოკიას ნათესავი წმიდის გიორგისა, მთავარი და მონა ღვთისა
ზაბილონ; ესე წარვიდა რომედ წინაშე მაქსიმიანე კეისრისა ნიჭისა

მოღებად. კუალად კაცი ვინმე იყო კოსტრა ქალაქსა შინა და ესხნენ
ძე სახელით იობენალი და ასული სოსანა, ხოლო აღსრულდნენ რა
მშობელნი მათნი, დაშთნენ ობლად; შემდგომად წარვიდნენ და-ძმა-
ნი იერუსალიმსა შინა მსასოებელნი მისნი და მუნ იობენალ მიემთხ-
ვია დევტალარობასა; ხოლო დაჲ მისი მსახურებდა ნიაფორას სარა
ბეთლემელსა; ხოლო ზაბილონ წინაშე კეისრისა ნიჭებულ იქმნა და
განდგნენ კეისრისაგან ბრანჯნი. მაშინ წარვლინებულმან მათ ზედა
ზაბილონ სძლო მათ ველსა ზედა პატალონისასა და შეიპყრა მეფე
მათი მთავრებითურთ და მოიყვანა წინაშე კეისრისა. განმხილველ-
მან კეისარმან განაწესნა იგინი მოსიკუდიდ; მაშინ ტიროდნენ ბრან-
ჯნი და ევედრებოდნენ ზაბილონს, რათა ნათელ-სცეს და მისცეს
სჯული ქრისტესი და შემდგომად მოსწყდნენ. შეეწყალნეს ზაბილონს
და აუწყა პატრიაქსა; მან ნათელ-სცა და აზიარნა სისხლსა და ჴორცსა
უფლისასა, ასწავა და განამტკიცა სარწმუნოებასა ზედა. მმადლო-
ბელნი ღვთისა ბრანჯნი სიხარულით განვიდნენ საკილმოთა ზედა და
ღაღადებდნენ: „მოვედინ მეჯრმლე და აღიხუნეს თავნი ჩუენნი ჩუ-
ენგან“. ამისი მხილველი ზაბილონი შევიდა წინაშე კეისრისა და იურ-
ვა მათ-თჳს; ხოლო კეისარმან მიანიჭნა იგინი ზაბილონს და მან გა-
ნუტევნა. მაშინ ვედრებით წარიყვანეს ზაბილონ, რათა ნათელ-სცეს
ქუეყანათაცა მათთა. ხოლო მისრულთა დღისა სავალთა, მოეგებნენ
სრულიად ბრანჯნი, ვინაჲთგან სცნეს ცოცხლება მეფისა და მთა-
ვართა; მაშინ ნთელ-სცა ყოველთა წყალსა ღრმასა მას შინა და
დაუდგინა მღუდელი და ესრეთ იქმნა ნათლის-მცემელი ბრანჯთა და
თჳთ წარმოვიდა რომედვე. შემდგომად განყიდა ყოველი მონაგები

1-30 სტრ., 74
თჳსი და მისცა გლახაკთა და თჳთ წარმოსრული მოვიდა იერუსა-
ლიმს.

ხოლო ჟამსა ამას დევტალარიიგი პატრიაქ ქმნულ იყო და მე-
გობარ იქმნენ ფრიად პატრიაქი და ზაბილონ. მხედველი სარა ნია-
ფორ ეტყოდა პატრიაქსა ქმნულსა ზაბილონისასა და სიკეთესა და
განუზრახვიდა, რათა მისცეს სოსანა (ზაბილონს) დაჲ თჳსი ცო-
ლად. ესე სთნდა პატრიაქსა, აქორწინა და წარვიდა ზაბილონ კოს-
ტრადვე. ხოლო ესე წმიდა ნინო ამათგან იშვა და აღზარდა დედამან
მსახურებასა შინა გლახაკთასა. შემდგომად იქმნა რა ნინო ი˜ბ წლი-
სა, მშობელთა მისთა განყიდეს ყოველნი ქონებანი და მოვიდნენ იე-
რუსალიმს. ზაბილონ იჯმნა სოფლისაგან, იკურთხა პატრიაქისაგან
და მიათუალა ღმერთსა და პატრიაქსა ასული თჳსი სულთქმითა და
ტირილითა დიდითა; თჳთ განვიდა იორდანეს და აღსასრული მისი
უწყის თჳთ ღმერთმან. ხოლო ცოლი მისი სოსანა მისცა პატრიაქ-
მან მსახურებად გლახაკთა დედათა; არამედ წმიდა ნინო მსახურე-
ბდა ნიაფორს დვინელსა სომეხსა ორ წელ, ჰკითხვიდა და ისწავებდა
სარწმუნოებასა, ქმნულებასა ქრისტესსა და ვნებასა მისსა. ხოლო
ისმინა რა, რამეთუ კუართი უფლისა მცხეთელთა ურიაათაგან წარღე-
ბულ არს, გამოჰკითხვიდა ნინო: „სადა არს მცხეთა?“ მიუგო ნიაფორ-
მან: „არს ქუეყანა ჩრდილოეთისა საწარმართო მთიულეთი, რომელი
ჟამსა ამას იქმნა უჟიკთა საჯელმწიფოდ“. ამის დამმარხველი ნინო
გულსა შინა მადლობდა ღმერთსა. მათ დღეთა შინა მოვიდა დედაკა-
ცი ვინმე ეფესოთ თაყვანის-ცემად წმიდათა ადგილთა, რომელსა
ჰკითხა ნიაფორმან: „ჯერეთ ცთომათავე შინა არსა დედოფალი
ელენე?“; ხოლო იგი ეტყოდა: „ვარ მჴევალი მათი და უწყი, რამე-
თუ დიდი წადიერება აქუს ქრისტეს სარწმუნოებისათჳს“. ამისი
მსმენელი ნინო ეტყოდა ნიაფორს: „წარმგზავნე ელენე დედოფლისა
მიმართ, ნუ თუ უკუე მივემთხვიო სიტყვის გებად ქრისტესთჳს“.

ესე ნიაფორმან აუწყა პატრიაქსა; ხოლო პატრიაქმან მოუწო-
და დისწულსა თჳსსა ნინოს და დაადგინა წინაშე საკურთხეველისა,

1-24 სტრ., 75
დაასხნა ჴელნი, აკურთხა ცრემლით მადლობისა ღვთისადმი აღ-
მვლენმან და რქუა: „წარგავლენ შენ, ვითარცა ცხოვარსა შორის
მგელთა, ვითარცა წარვლინებულთა ქრისტესთა“. შემდგომად უჯმნა
დედისაგანცა და განუტევა. მაშინ წარჰყვა წმიდა ნინო დედაკაცსა
მას და მიიწივნენ რომედ სახლსა დედაკაცისა ეფესელისასა და იხი-
ლეს მუნ დედოფალი ტომისაგან მეფეთასა რიფსიმე და დედა-მძუ-

ძე მისი გაიანე, რომელნი იყოფოდნენ მონასტერსა შინა ქალწულ-
თა სავანისასა მომლოდნენი ნათლის-ცემად იერუსალიმით. ამას
აუწყა დედაკაცმან საქმენი ნინოსნი და რიფსიმემ მოწლედ შეიწყნა-
რა ნინო და მასვე წელსა ნათელ-იღო რიფსიმემ და გაიანემ და სახ-
ლეულთა მისთა რიცხჳთ ნ˜სულთა ჴელთა შინა წმიდისა ნინოსათა
და იყოფოდა მუნ წელსა ბ˜.

მათ დღეთა შინა წარმოევლინა კეისარსა, რათა პოვონ მის-
თჳს საცოლედ ქალი კეთილ-ქმნული შუენება-კეკლუცებითა და მო-
ვიდნენ მონასტერსა მას. ხოლო გან-რა-იხილეს რიფსიმე და გამო-
კითხეს გუარი მისი და სცნეს მეფეთა ნათესაობა, სთნდათ შუენიერე-
ბისა მისისათჳს და გამოსახეს ხატი მისი და მიართუეს კეისარსა,
რომელმან იხილა, ეტრფიალა და განაწესა ქორწილი. ხოლო გან-
მხილველი რიფსიმე მანქანებისა მტრისასა იურვოდა და ევედრებოდა
ღმერთსა განრომასა; შემდგომად განივლტო ნ˜გ სულითა და მოი-
წივნენ სომხითის ახალქალაქს დვინს, საყოფელსა სომეხთა მეფე-
თასა, და შევიდნენ საწნახლის ტალავარსა ჩდილოთ აღმოსავლით
კერძოთა და იზრდებოდნენ მუნ ფარულად ჴელ-მოქმედებითა
თჳსითა.

1-25 სტრ., 76
ხოლო კეისარი რა ვერღარა ეწია ნებასა თჳსსა, წარავლინ-
ნა ყოველგნით მეძიებელნი და მოუწერა თრდატს, ვითარმედ „ქრი-
სტიანენი, რომელნი ჯუარ-ცმულსა ესუენ, ხოლო ღმერთთა და მე-
ფობათა ჩუენთა ჰგმობენ, მათგან ქალი ვინებე ცოლად ჩემდა, არა-
მედ მან შეურაცხ-მყო და განმევლტვა. აწ ძმობით მომიძიე და რა-
ჟამს ჰპოვო რიფსიმე, წარმომივლინე და, უკეთუ გთნდეს, შეირთე
შენ, რამეთუ ვერ ჰპოვო მგზავსი მისი იონთა სოფელთა შინა
და მშჳდობითმცა ხარ“. მსმენელმან თრდატ ძიება ყო
და პოვნა იგინი საწნახელსა მას შინა და იწამნენ მისგან რიფ-
სიმე და გაიანე მოყუსებითურთ, ვითარცა მოგვითხრობს ცხოვ-
რება სომეხთა. მაშინ წმიდამან ნინო დამალულმან ვარდის
ეკალსა შორის, რომელსა ჯერეთ არა გამოეღო ყუავილი, აღ-
იხილნა ზეცად თუალნი და იხილა ანგელოზი გარდამომავალი, სიმ-
რავლითა მკმეველი საკმეველისა, რომელთა აღყვანდათ სულნი წმი-
დათა მათ მოწამეთანი ცათა შინა, ამისთჳს სულთ-ითქუნა: „რად
დამიტევებ უფალო ასპიტსა და ვასილისკოთა შორის“? ხოლო ესმა
ჴმა ზეგარდამო: „შენიცა წარყვანა იყოს ეგრეთვე სასუფეველსა ში-
ნა; არამედ აღდეგ და წარვედ ჩდილოთ კერძო, სადა არს სამკალი
ფრიად, ხოლო მუშაკი არა“.წარმოსრული მოიწია ორბანად საზ-
ღვარსა სომხეთისასა, და მუნ დაიზამთრა; შემდგომად თთუესა ივ-
ნისსა მოვიდა ჯავახეთს ტბასა ფანავარსა ზედა და იხილნა მთანი

ჩდილოთ კერძო, კრულნი თოვლითა, შეუძნდა და თქუა: „უფალო, მიიღე სული ჩემი“. არამედ მუნ ორ დღე მყოფმა ითხოვა საზრდელი ტბისა მეთევზურაგან; ხოლო მუნვე მწყსიდნენ სამწყსოსა არვე-მროწლეთასა და ჰხადოდენ მწედ არმაზს და ზადენს ღმერთად

და აღუთქმიდნენ შესაწირავთა მშჯდობისათჳს, რომელნი იტყოდნენ ენითა სომხურითა, რომელი ესწავა ნინოს მცირედი ნიაფორასაგან და ჰკითხვიდა მათ სადაურობასა; ხოლო ეტყოდნენ საფურცლისა, ქინძარისა და ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ.მიუგო ნინომ: „სადა არს მცხეთა?“ ჰრქუეს: „გარდამდინარე ამის ტბისა მიმდინარებს ქალაქსა მცხეთას“. შეუძნდა წმიდასა სიგრძე და სიფიცხე გზისა და სულ-მთქმელმან მიიდვა ლოდი გარდასადინელსა ტბისასა და მიერულა. მაშინ ჩუენებასა შინა მოვიდა კაცი, მოსცა წიგნი ნინოს და ეტყოდა: << მიართვი ესე მეფესა მცხეთას>>. მიუგო ნინო: „უფალო, მე დედაკაცი ვითარ მივიდე უცხოთა თემთა და ქუეყანათა შინა?“. ამისთჳს განუჴსნა კაცმან მან წიგნი იგი, რომელი იყო რომაულებრ, და მისცა კითხვად ნინოს, რომელსა შინა იყვნენ ი˜ ესე სიტყუანი:

ი˜ სიტყუანი წ˜ის ნინოს მოცემულნი

ა˜. სადაცა იქადაგოს სახარება ესე, ითქმოდეს დედაკაცი ესე.

ბ˜. არცა მამაკაცება, არცა დედაკაცება, არამედ თქუენ ყოველნი ერთ ხართ.

გ˜. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელთა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

დ˜. ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა.

ე˜. სადაცა იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა, მუნცა ითქმოდეს დედაკაცი ესე ყოველსა სოფელსა.

ვ˜. რომელმან თქუენ შეგიწყნაროს, მე შემიწყნარა და რომელმან მე შემიწყნარა, შეიწყნარა მომავლინებელი ჩემი.

ზ˜. რამეთუ ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენდა სიტყუასა მისსა ჭეშმარიტსა.

1-29 სტრ., 78
ფ~. ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყჳდნეს ჯორცი, ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუედად.

თ~. რქუა მარიამ მაგდალინელსა იესო: წარვედ დედაკაცო და ახარე ძმათა ჩემთა.

ი~. სადაცა ჰქადაგებდეთ სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა.

ხოლო წარმკითხველმან წმიდამან ნინო იუწყა ზეგარდამოსა ყოფად ესე და ითხოვა ღვთისაგან შეწევნა, მიჰყვა მდინარესა მას ურვეული გზისა სიფიცხისა და მშიშარე მჴეცთაგან და მივიდა ქალაქსა ურბნისს. მუნ იხილნა ერნი, რომელნი მსახურებდნენ ღვთად ქვათა, ძელთა და ცეცხლთა; ამისთჳს შეურვებული შევიდა უბანსა ურიათასა და ზრახვიდა მათ ენითა ებრაულითა, სადა დაჰყო მუნ თთუე ერთი. შემდგომად აღიძრნენ ერნი ურბნისით ვაჭრობად და ზორვად არმაზისა და ზადენისა, და წარვიდნენ მცხეთას, რომელთა წარყვა წმიდა ნინო და მისრულმან მცხეთას იხილნა საცთურნი და ცეცხლის მსახურება მათი; ტიროდა წარწყმედასა მათსა და იგლოვდა უცხოობასა თჳსსა. ხოლო დღესა მეორესა იყო ოხვრა საყვირთა და ზარი დიდი და შეიმკუნეს გზანი და ფოლორცნი, ვითარცა ყუავილნი ველთა და გამოვიდნენ ერნი; შემდგომად გამოვიდა ნანა დედოფალი, მერმე მირიან მეფე დიდებით და აქებდნენ ყოველნი მეფესა. მაშინ ჰკითხა ნინო ურიასა ვისმე: რაჲ არს ესე? მიუგო: „ღმერთნი მათნი უწესთ მათ თაყვანის-ცემად“; მსმენელმან ნინო მიისწრაფა და შეასწრა ციხესა შინა არმაზს და შევიდა ზღუდისა ნაპრალსა და მხილველმან კერპთამან, რომელი იყო არმაზ რვალისა ოქროს ჯაჭუ-ცმული, ჴელსა მახჳლი მქცეველი შორის და იმიერ და ამიერ გაიმ და გაციმ ოქროსი და ვეცხლისა და მოვიდიან მეფე და ერნი შიშითა თაყვანის-მცემელნი და კრძალვით მვედრებელნი; სულთითქუნა წმიდამან და მოეჴსენა დედისძმისა თჳსისა, რაჟამს ეტყოდა: „წარგავლენ შენ მამაკაცსა სრულსა და მიიწიო ქუეყანსა უცხოსა

1-26 სტრ., 79
ღვთის-მბრძოლთა და მჴდომთასა; წამს იწყო ვედრებად ღვთისა, რათა გამოიჴსნას ქუეყანა იგი და შემუსრნენ კერპნი.

კერპთ შემუსრვა ნინოსაგან

მყის შემდგომად ლოცვისა მოჰბერა ქარმან მყრალმან ბნელმან

და მძაფრმან თთუესა აგვისტოსა ექვსსა, წელსა ქ˜სა ტ˜იდ, ქართულსა ჲ˜ვ, ივლტოდა მეფე ერითურთ ქალაქად და დაბნებად. მაშინ მოუშვა სეტყუა ძნიად ორის ჴელის სატყორცი და შემუსრნა კერპნი, და აწვლილნა და შთასთხია სიღრმესა. დღესა მეორესა გამოვიდა მირიან ძიებად კერპთა თჳსთა და ვერარასა ჰპოვებდნენ და იტყოდნენ: „ქალდეველური ღმერთი და არმაზ მტერ იყვნენ და ამან ოდესმე მოაქცივა მას ზედა ზღუა; ხოლო მან აწ უქმნა ესე“. სხუანი იტყოდნენ: „რომელსა ღვთისაგან თრდატ ეშუად შეიცვალა და კუალად კაცადვე, მან ღმერთმან ჰყო ესევა“; რამეთუ მიერითგან დიდება ქრისტესი დაუფარველად იყო ქართლს შინა და მადლსა ღვთისასა ეწყო მოფენად. ხოლო ნინო გამოვიდა ნაპრალით და პოვა თუალი იგი ბივრიტი, რომელი უჯდა არმაზს; აღიღო და მოვიდა ბრინჯის ხისა ქუეშე ახლოს მუნვე, რომელი იყო საგრილი ბარტომ მეფისა; გამოსახა ხესა ჯუარი და ევედრებოდა ღმერთსა მუნ ექუსდღე, რათა მოხედოს და იჴსნას ერი იგი ეშმაკისაგან. ხოლო ხესა მას ქუეშე მოვიდა სეფე-ქალი შროშანა და ჰკითხვიდა ვინაობასა და წმიდამან აუწყა ყოველივე თჳნიერ მშობელთა თჳსთა და იჩემა ტყუეობა თჳსი; მაშინ შროშანა აიძულებდა, რათა წარჰყვეს სახლად მეფისად; არამედ არა ინება წმიდამან და წარვიდა შროშანა. შემდგომად სამისა დღისა განვლო ნინომ მტკუარი და მივიდა სამოთხესა სამეფოსა, სადა აწ არს სუეტი-ცხოველი, და შევიდა სახლაკსა მესამოთხისასა, რომლისა ცოლმან ანასტასია მოწყალედ შეი-

1-29 სტრ., 80

წყნარა და დაბანნა ფერჴნი, სცხო ზეთი, დაუგო პური და ღჳნო და განუსუენა და დაჰყო მის თანა თთუენი თ˜. ხოლო მესამოთხენი იყვნენ მწუხარე უშვილობისათჳს; ამისთჳს იხილა წმიდამან ჩუენებასა შინა კაცი, ნათლით მოსილი, რომელი ეტყოდა: „შევედ სამოთხესა და ჰპოვო ნაძჳსა ქუეშე მცირე ბაბილო სურნელი; აღიღე მიწა მისი, აჭამე მეუღლეთა მათ და ესუათ შვილნი. ხოლო წმიდამან მოიღო, ულოცა და შეაჭამა მათ და შვნეს შვილნი და რწმენათ ქრისტე და დაემოწაფნენ ნინოს. შემდგომად წმიდამან პოვა გარე ზღუდისა ქოჩი ბრწამლისა ერთი, სადა აწ არს ზემო-ეკლესიის საკურთხეველი განგებითა ღვთისათა; შევიდა მას შინა და დაასრუენა ჯუარი, რომელი გამოეკუეთა ნასხლევისაგან და იყოფოდა მას შინა ლოცვითა და ვედრებითაღვთისათა ღამე და დღე და განკჯრვებულნი მესამოთხენი ღუაწლისა მისისათჳს მსახურებდნენ მას და ესრეთ მას შინა მყოფი მრავალგზის შევიდოდა უბანთა ურიათასა, რათა გამოიძიოს კუართი უფლისა, რომელი ეუწყა ნიაფორისაგან წარღებული მცხეთას.

ხოლო პოვა აბიათარ ურია მღუდელი და ასული მისი სიდონია,

რომელთა უქადაგა სახარება და დაიმოწაფნა იგინი და მათ თანა ექუ-
სნი სხუანი დედანი ურიათანი დაემოწაფნენ, თჳნიერ ნათლისცემისა,
მრწმუნებელნი ქრისტესნი, ვინაჲთგან ჟამსა არა იყო მღუდელი
და იქმნებოდა სასწაულნი და კურნებანი მრავალნი სენთანი ნინოს
მიერ, რომელი იქცეოდა წლისა სამისა ჟამთა მცხეთას.

აბიათარის ამბავი

მაშინ იტყოდა აბიათარ: „მე ვიყავ წილჴდომილი წელსა მას,
ოდეს წმიდა ნინო მოვიდა მცხეთას. მასვე ჟამსა მომივიდა წიგნი
ანტიოქიითა ურიათა მღუდელთაგან, ვითარ განხეთქა ღმერთმან მე-
ფობა მათი და არღარა მოაქცია მათდა უფლება მიერით, ოდეს მოკ-
ლეს მამათა მათთა ქრისტე და ჯუარს აცვეს, და დაიპყრეს ჰრომთა
ადგილი მათი, და შეურაცხ იქმნენ მიერ ჟამითგან. ხოლო მე ამას

1-30 სტრ., 81
ყოველსა ვკითხავდი წმიდასა ნინოს და იგი მომითხრობდა დასაბა-
მითგან წიგნთაგანვე ჩუენთა ზეპირად და მაუწყებდა ყოველსავე
ქრისტესთჳს და ნათლისცემასა და ზიარებასა, რომელსა ღირს ვიქ-
მენ მე და რომლისა სუროდა წინასწარმეტყუელსა დავითსა და მარ-
წმუნა ჭეშმარიტი ძე ღვთისა და ვიხილვიდი მრავალსა სასწაულსა
და კურნებასა წმიდისა ნინოსაგან. და აწ მე აბიათარ მოგითხრობ,
რომელი მეუწყა მამის-დედისა ჩემისაგან და უწყი წიგნთაგანცა, რა-
მეთუ მათცა პაპათა და მშობელთა თჳსთაგან მოთხრობილ-სმენილი
უწყოდნენ, რამეთუ რაჟამს მეფობდა ჰეროდე იერუსალიმს, მოვიდა
ამბავი მცხეთას, ვითარმედ შევიდნენ სპარსნი დაპყრობად. ხოლო
წარვიდნენ აქედამ მგლოვარენი ურიანი შუელად იერუსალიმს; არა-
მედ შემდგომად მოვიდა ამბავი არა მოტყუენვისათჳს, არამედ ყრმი-
სა ახალშობილისა დავითის ტომისა ძღუენისა შეწირვად მოვიდნენ
სპარსნი, რომელთა უძღუნეს ბეთლემს მწირად შობილსა ოქრო, მუ-
რი და გუნდრუკი და თაყვანისცეს. მსმენელთა ურიათ ყვეს სიხარუ-
ლი დიდი ქართლსა შინა. ხოლო შემდგომად ლ˜წლისა მოეწერა ან-
ნა მღუდელსა იერუსალიმითგან პაპისა ჩემისა ელიოზისა თანა, რომ-
ლისად სპარსნი ძღუენით მოვიდნენ, იგი აღზრდილ არს და იტყჳს
თავსა თჳსსა ძედ ღვთისად, აწ მოვედით სიკუდიდ მისდა, რათა აღვა-
სრულოთ მცნება მოსესი. ამისთჳს წარვიდნენ პაპა ჩემი ელიოზ, რო-
მელსა ჰყვა დედა ტომისაგან ელი მღუდლისა და დაჲ ერთი. მაშინ
ევედრებოდა ელიოზს დედა თჳსი: წარვედ, გარნა ნუ შეეზრახები
ზრახვასა, რომელსა განიზრახვენ; რამეთუ იგი არს თქმული წინას-
წარმეტყუელთა: „მოლოდება წარმართთა, ცხორება საუკუნო“, და
ესრეთ წარვიდა ლონგინოზ კარსნელიცა. ხოლო რაჟამს ჯუარს
აცვეს და ჰკრეს უფალსა სამსჭუალი, ესმა დედასა ელიოზისასა ჴმა

იგი მცხეთას, მყის იკრჩხიალა და თქუა: „მშჳდობით მეფობაო ურიათაო, რამეთუ მოჰკალთ მეუფე თქუენი. ვაჲ ჩემდა! ნეტარმცა სმენადვე მომკუდარმცა ვიყავ“, და მოკუდა. ხოლო კუართი უფლისა წილად ხუდათ ელიოზს და ლონგინოზს და მოვიდნენ მცხეთას; მიე-

1-29 სტრ., 82
გება დაჲ ელიოზს და მოეხვიო ყელსა, გამოუღო კუართი, შეიტკბო მკერდსა და მყისვე სული წარჴდეს სამთა ტკივილთათჳს. ა˜. ქრისტეს ჯუარცმისათჳს, ბ˜. სიკუდილისა დედისათა. გ˜. თანა შერთვისათჳს ძმისა თჳსისა ქრისტეს უარისმყოფელთა. ამისთჳს იქმნა შფოთი დიდი მცხეთას, რამეთუ განკჳრდებოდა დიდი მეფე ადერკიდა ინება კუართი იგი, არამედ საკჳრველებისა მისგან ვერღარა იკადრა გამოღებად, ვინაჲთგან მაგრად და სურვილით შემოემკერდნეს და დამარხა ელიოზ დაჲ თჳსი კუართითავე ადგილსა, რომელი უწყის ღმერთმან. გარნა ესე ვუწყით, რამეთუ არს ხალენი ელიასა ადგილსავე მას და ესეცა მეუწყა მამისა ჩემისაგან, რამეთუ არს ადგილი მახლობელ ნაძჳსა მის ლიბანისა. და ამისთჳს მაბირებდა მე მრავალგზის წმიდა ნინო, რათა გამოვიკითხო მამისა ჩემისაგან; არამედ მან იგივე მომითხრის, რამეთუ არს ადგილსა ამას და არს ვითარცა კიბე იაკობისა ზეცად აღწევნილი. შემდგომად ამისა ძისწულის-წულმან ადერკისამან, მეფემან არმაზელ ძიება ჰყო ურიათა თანა და ვერ უძლო პოვნად კუართი იგი, რამეთუ მასცა ეგრეთვე უთხრობდნენ ნაძჳსა მის მახლობელობასა.

ჩუენება ნინოსი ხისათჳს

ხოლო ჟამთა ამათ იხილა წმიდამან ნინო სამ-ოთხ-გზის ძილსა შინა ჩუენება, რამეთუ მოვიდიან ფრინველნი შავნი, შთასრულნი მტკუარსა შინა იბანიან, განთეთრდებოდიან და შესხდიან ბაბილოსა მას ზედა, მოისთუალიან ნაყოფნი მისნი და მოუღიან წმიდასა ნინოსა და მოკრბიან გარემო მისსა შუენიერად ჟღივილითა. ესე აუწყა წმიდამან აბიათარის ასულსა სიდონიას, რომელმან მოიგო: შენ, ტყუეო, ტყუეთა მჴსნელო, შენ ზედა აღსრულდეს ჩუენება ესე და შენით შეიცვალოს რჯული ქუეყანისა ამის და იცნან გზა ჭეშმარიტი. ჩი იერუსალიმ! ვითარ განგიმარტებიეს ფრთენი და შეჰკრებ ყოველთა და აქაცა მოსრულ არს დედაკაცი ესე, რომელმან შესცვალოს ყოველნი წესნი!“.

1-28 სტრ., 83
შესლვა საბერძნეთს მირიანისა

მათ დღეთა შინა სპარსეთს მოკუდა ბარტომ მეფე, ძმა მირიანი-

სა და დაჯდა ძე მისი მეფედ. ამან მოუმცნო მირიანს, რათა შეიკრიბ-
ნენ და შევიდნენ საბერძნეთს. მსმენელი მირიან სიხარულით წარვი-
და და შეკრბნენ ორნივე ერთად, რომელთა სპათა სიმრავლე, ვითარ-
ცა ფურცელნი ხეთანი. ამათ ვერ წინააღუდგა თრდატ, არამედ განა
მაგრნა ციხე-ქალაქნი. ხოლო ამათ გარდავლეს სომხითი და შევიდ-
ნენ საბერძნეთს. ჟამსა ამას აღეარა ქრისტე დიდსა კოსტანტინეს
და იყო ქრისტიანედ. ესე კოსტანტინე მოვიდა წინამძღუანებელი
ჯუარისა, ეწყო მცირედითა სპითა და კუეთებასავე აოტნა სპარსნი
და მირიანისანი და მოსწყჳდნა; უმრავლესნი სპარსნი შეივლტოდ-
ნენ სპარსეთად. ხოლო მირიან მცხეთას. მოუდგა კოსტანტინე. შეუ-
შინდა მირიან, ეზრახა და მისცა ძე თჳსი ბაქარ მძევლად და ზავ-
ჰყო. მაშინ კოსტანტინემ ამზახლა მირიან და თრდატ და მოსცა
თრდატ ასული თჳსი ძესა მირიანისსა რევს და უჩინა საზღვრად
მთა, რომელსა გასდის იმიერ მდინარენი და მიერთჳს არაზსა, თრდა-
ტის კერძოდ დაყარნა, და ამიე რმრთუელნი მტკურისანი მირია-
ნის კერძად, და აზავნა და წარვიდა კოსტანტინე. მაშინ მოქცევასა
ამას მირიანისასა ჴმამაღლად ჰქადაგებდა ნინო და გამოეჩინეს ჯუა-
რი იგი ნასხლევისა და იქმოდა შეხებითა მისითა კურნებათა მრავალ-
თა. ეგრეთვე მოწაფენი მისნი სიდონია და ვ˜იგინი და ახალი პავლე
აბიათარ ქადაგებდნენ დაუცხრომელად; ამისთჳს აღიძრნენ ურიანი
აბიათარსა ზედა, რათა ქვა დაჰკრიბონ; არამედ მეფემან წარავლინ-
ნა მსახურნი და გამოიტაცა იგი, რამეთუ სმენოდა მირიანს საბერძნე-
თით და სომხითით სასწაულნი მრავალნი ქრისტეს-მიერნი და არა
დააბრკოლებდა ნინოს და მოწაფეთა მისთა; გარნა ბრძოდა მტერი
იგი და ვერ აღეარა ქრისტე, და ნანა დედოფალიცა ფრიად მტერ იყო
ქრისტეს რჯულისა. ხოლო წმიდა ნინო ლოცვით იყოფოდა საყო-

ფელსა თჳსსა, და უკჳრდათ წარმართთა ღუაწლნი მისნი და ჰკითხვი-
დნენ მას; ხოლო იგი აუწყებდა და დაუთესვიდა სიყუარულსა ქრის-
ტესსა გულთა შინა, და დაიმოწაფნა სამსა ამას წელსა მრავალნი.

სასწაულნი ნინოს მიერ ქმნილნი.

იყო ვინმე ყრმა-წული უფალი მძიმისა სენისა და მიმოაქუნდა
დედასა, რათა განჰკურნოს. ესე იყო ყოვლად მოძულე ქრისტიანო-
ბისა; არამედ რაუსასო იქმნა მკურნალთაგან, მოვიდა წინაშე ნი-
ნოსა და ევედრა, ხოლო წმიდამან დადვა კილიკსა ზედა თჳსსა, ულოცა და აღადგინა
და მისცა დედასა თჳსსა, ამისთჳს დედამან ყრმი-
თურთ აღიარა ქრისტე და მადლობდა ღმერთსა.

განკურნება ნანა დედოფლისა

შემდგომად დასნეულდა დედოფალი ნანა და ვითარ ვერა რაჲ
არგეს მკურნალთა, ეტყოდნენ წმიდისა ნინოსთჳს. მან მსწრაფლ
მოუწოდა, არამედ წმიდამან არა ინება მისლვა, გარნა მოუწოდა დე-
დოფალსა და მოიყვანეს იგი ცხედრითა და დადვეს კილიკსა ზედა მისსა, მაშინ ნინომ
შეახო ჯუარი თავსა, ფერჳსა და მჴრებსა ზედა და
ულოცა და აღადგინა ცოცხალი. მიერით იქმნა მეგობარი ნინოსი,
ჰკითხვიდა ქრისტეს სარწმუნოებისათჳს და ისწავებდა გულს-მოდ-
გინედ, ამისთჳს ჰკითხვიდა მეფეცა ნანას განკურნებასა; ხოლო იგი
აუწყებდა, და უკჳრდა მეფესა და გამოეძიებდა რჯულსა ქრისტესსა
და მარადის ჰკითხვიდა აბიათარს ძუელთა და ახალთა წიგნთაგან და
წიგნიცა აქუნდა მეფესა ნებროთისა, რომელი ეწამებოდა, რამეთუ
გოდლის შენებასა ეტყოდა ნებროთს: <<მე ვარ მიქაელ, მდგომარე
მთავრად აღმოსავლეთსა ზედა ღვთისაგან, განვედ ქალაქისა ამის-
გან, რამეთუ ღმერთი დაჰფარავს; ხოლო უკანასკნელ მოვიდეს მეუ-
ფე ცისა, რომლისა შენ გნებავს ხილვად, შეურაცხი ერთა შორის,

1-30 სტრ., 85
და შიშმან მისმან განაქარვოს გემონი სოფლისანი, მან გიჴსნას შენ
ჭირისაგან შენისა“.ამის გამო უმეტეს ირწმუნებდა მეფე ნინოსასა
და შეექმნა სურვილი ქრისტიანობისა, გარნა მტერი დაუთესვიდა
სიყუარულსა კერპთასა და ცეცხლისასა, რომელისა წინააღმდგომ ევე-
დრებოდა დედოფალი ქრისტიანობისათჳს. მაშინ მოგჳ იგი მთავარი
ხვარა სნეული, მონათესავე მეფისა, სულითა უკეთურითა იგვემებო-
და ფიცხელად მოსიკუდიდ, ამისთჳს ევედრნენ მეფე და დედოფალი,
რათა განჰკურნოს იგი; ხოლო მეფე ეტყოდა: „უწყი, რამეთუ ხარ
ასული არმაზისა და შვილი ზადენისა და მით ჰყოფ კურნებასა, ამი-
სთჳს იყავ შენ, ვითარცა მაწოვარი ერთი წინაშე ჩემსა და პატივ-
გცე; არამედ ნურღრა იტყჳ რჯულსა მას რომთასა, გარნა სოფ-
ლისა მპყრობელთა არმაზ და ზადენისა, გაციმ და გაიმისა, მამათა
ჩუენთასა, რომელთაგან არიან მნათობნი მცენარნი და ნაყოფიერე-
ბანი. აწ უკუე განკურნე მთავარი ესე და გყო შენ მკჳდრ მცხეთას და
დაგადგინო შენ მსახურ არმაზისა და ესე კმა გეყავნ შენ“. მაშინ მი-
უგო წმიდამან: „ვევედრები უფალსა იესოს და დედასა მისსა, რათა
გაუწყოს ღვთაება თჳსი და გაცნობოს ქმნულნი თჳსნი, ვინაჲთგან
მოუვლენიეს შენდა მცირედი მადლისა თჳსისა ნაბერწკალი, რომელ
არს უხილავი ღმერთი ცათა შინა მხოლოდ, რომელი გამოჩნდა
ქუეყანასა ზედა და აღასრულნა ყოველნი და აღვიდა მამისად, მის-
გან ახლოს არს მიახლება შენი ღვთისა, რამეთუ კუართი მისი და
ხალენი ელიასი ქალაქსა ამას შინა არს, რომლისათჳს სასწაულნი
მრავალნი ყოფად არიან. ხოლო მე მთავარი შენი განვკურნო ძლიე-
რებითა მისითა და ჯუარისა მისისათა, ვითარცა დედოფალი ნანა,

რათა განბრწყინდეთ სულითა“. მაშინ მოგუარეს მთავარი იგი სამოთხესა ნაძჳსა მის ქუეშე და დაადგინა იგი აღმოსავლით აღპყრობითა ჴელისათა და ათქმია სამგზის: „ ვიჯმნი ეშმაკისაგან და შეუდგები ქრისტესა“, და ტიროდა ნინო და დედოფალი და განვიდა მსწრაფლ სული იგი ბოროტი მისგან, დაემოწაფა ნინოს და ადიდებდა ღმერთსა.

1-23 სტრ., 86
მაშინ მირიან განვიდა თთუესა ივნისსა კ˜, დღესა შაბათსა ნადირობად მუხრანით კერძო, მოუჴდა ბოროტი გულსა და ეტყოდა ოთხთა წარჩინებულთა თჳსთა: „ ღირს ვართ ბოროტის-ყოფად კერპთა ღმერთთა ჩუენთაგან, რამეთუ დაუტევეთ იგინი და ვისმინეთ დედაკაციას მის ჰრომისა, რომელი ქადაგებს ჯუარცმულსა. აწ მნებავს, რათა ვსტანჯო იგი და დედოფალი ნანაცა, უკეთუ არა დაუტევონ სჯული ჰრომთა“. ხოლო მათ წადიერებით დაუმტკიცეს განზრახვა მეფესა; არამედ მოვლეს და აღვიდნენ მთასა ზედა თხოთისასა, რათა მოიხილონ კასპით; მაშინ მყის მოეხვია ბური და იქმნა ბნელი მძაფრი წყუდიადი, რამეთუ მოწყდნენ მეფესა ყოველნი სპანი, და თჳთ მარტო დაბრმალი მუნ ევედრებოდა კერპთ თჳსთა ჟამ რაოდენმე აღხილვად თუალისა და ჩუენებად გზისა და ვერ პოვა ლხინება და ვერცაღა უძლო სლვად. შემდგომად მოეგო გონებასა და თქუა: „ვხალო დედა-კაცისა მის ღმერთსა, უკეთუ მერგოს რაჲ, აღვიარო იგი“: და იტყოდა: „ღმერთო ნინოსო! განმინათლე ბნელი, უკეთუ ხარ ჭეშმარიტი ღმერთი, და აღგიარო შენ“. მყის სიტყვისა თანა განათლდა ყოველი ქუეყანა და თუალნიცა მეფისანი: მაშინ მირბიოდა მეფე ზახილით: „დიდ არს ღმერთი ნინოსი, და გამოეგებოდა ნანა დედოფალი საფურცლეს ერითურთ; არამედ მეფე მივიდა ქოჩსა მას წინაშე ნინოსა, გარდაჴდა ჰუნისაგან და თაყვანისცა ჯუარსა ვაზისა ნინოსსა და აღიარა ქრისტე ღმერთი ჩუენი მან და ერმან მისმან დასაბამითგან წ˜სჲვ, ბერძულსა ჭ˜ყკე, ქართულსა ჲ˜თ, ქ˜სა ტ˜იზ.

1-13 სტრ., 87
მაშინ წარგზავნა დესპანი დიდის კოსტანტინეს წინაშე და მოითხოვა ეპისკოპოსნი და მღუდელნი. შემდგომად მოჰკაფა სამოთხე თჳსი ქმნად ეკლესიისა; არამედ სუეტი ერთი ნაძჳსა მის, ლიბანისაგან გამოკუეთილი, ვერ უძლეს აღმართებად; ხოლო მაშვრალნი წარვიდნენ თჳს-თჳსად მიმწუხრ და ნინო მუნ მთეველი ღამისა ილოცვიდა. ხოლო იყო რა შუა-ღამ, წარმოიქცნენ მთანი არმაზ და ზადენ და დაეყენნენ მდინარენი; გარდამოხეთქა მტკუარმან ქალაქსა და არაგუმან ციხესა და შეიქმნა ტყება, გოდება, ზარი დიდი ჴმოვანი; ამისთჳს მოწაფენი ნინოსნი შეშინდნენ ფრიად; ხო-

ლო იგი ეტყოდა: „ნუ გეშინის, მთანი მუნვე არიან და წყალნი ეგ-
რეთვე სდიან და ერთა სძინავთ, არამედ მთისა დარღუევა ურწმუ-
ნოებისა დარღუევა არს, მდინარისა დაყენება სისხლთა ყრმათა კერპ-
თა შეწირულთა, და ჴმა გოდებისა, ეშმაკნი თავთა თჳსთა იგლო-

1-31 სტრ., 88
ვენ, რამეთუ განჴდად არიან აქით ჯუარითა ქრისტესითა“. მერმე
ლოცვითა დააყუდა მოჩუენება იგი და კუალად არღა ჴმა ეყო ქათამ-
სა, სამთავე კართა ქალაქისათა შემოესია ლაშკარი და იწყეს ზახი-
ლი და მოსრვა, მოწყუედა და იტყოდნენ: „მეფე ხოსრო სპარსთა და
ხვარან ხოსრო ბრძანებს: „ურიანი განარინეთ და სხუანი მოსრე-
ნით“. კუალად იტყოდნენ: „რამეთუ მეფე მირიან შეიპყრესო“. მსმე-
ნელნი მოწაფენი ნინოსნი ივლტოდნენ, ვინაჲთგან მოეახლნენ მჴე-
დარნი; მიხედა წმიდამან და ნუგეშინი-სცა მათ და რქუა: „ესე არს
ნიშანი წარწყმედისა მათისა და ჴსნისა ქართლისა“; მერმე მიექცა და
რქუა მათ: „აჰა მოვიდა, რომელსა თქუენ ევლტვით“. განიპყრნა
ჴელნი სახედ ჯუარისა და შერისხნა, მყის იქმნა დაყუდება დიდი და
უჩინო იქმნეს ყოველნი. კუალად ევედრებოდა ღმერთსა, რათა არა
დაეცადოს საქმე ესე წარმართებული.

ხოლო განთიად გარდამოვიდა ანგელოზი, აღიღო სუეტი იგი
სიმაღლესა და მოვიდოდა მონაკუეთსა თჳსსა ზედა ნელიად და ნა-
თელი დიდი გამობრწყინდა. მხილველნი მეფე და ერნი სრულიად გა-
მორბოდნენ და თაყვანი-სცემდნენ: მოვიდა და დაადგრა ნაკუეთსა
თჳსსა. პირველად მოვიდა ურია ბრმა შობითგან, შეეხო სუეტსა და
მყის აღიხილნეს და ადიდებდა ღმერთსა; მერმე სეფეწული რვა წლი-
სა მდებარე მოიღო დედამან და დადვა წინაშე სუეტისა და ევედრე-
ბოდა ნინოს; ხოლო ნინომ შეახო ჴელი სუეტსა და დასდვა ყრმასა
მას ზედა და განკურნა და ადიდებდნენ ღმერთსა. ესრეთ მრავალნი
სასწაულნი იქმნებოდნენ, ვიდრემდის შეუქმნა მეფემანცა საბურველი
და ეგრეთ შეეხებოდნენ და განიკურნებოდნენ, და განასრულაცა მე-
ფემან ეკლესია სამოთხესა მას შინა. ხოლო მსმენელმან დიდმან
კოსტანტინე განიხარა, რამეთუ ჴელთა შინა მისთა მიეფინა ყოველ-
სა ადგილსა მადლი ღვთისა და მეორე,რამეთუ მოსწყდა მირიან
სპარსთა და ეგო სიყუარულსა ზედა მისსა. წარმოუვლინა ჯუარი და
ხატი მაცხოვრისა, იოანე ეპისკოპოსი, მღუდელნი ორნი და დიაკო-
ნი სამი და მოუწერა წიგნი ძმობისა კოსტანტინემ და ელენემ ლოც-
ვისა და სიყუარულისა.

1-25 სტრ., 89
ნათლისცემა ქართველთა

ხოლო მოსლვასავე მათსა ნათელ-იღეს მეფემან და დედოფალ-
მან და ყოველმან ივერიელმან ჴელითა მათითა მტკუარსა შინა;
არამედ ფეროზ და ერმან მისმან, ურიათა და კავკასიელთა არა, წელ-
სა ქ˜სა ტ˜იწ, ქართულსა ო˜.

ამისა შემდგომად კუალად წარავლინა მეფემან იოანე ეპისკოპო-
ზი და ერთი დიდებული თჳსი წინაშე კოსტანტინესა და ითხოვა წი-
ლი ძელისა ცხოველისა, რომელი ჟამსა მას გამოეჩინა დედოფალსა
ელენეს, კუალად მღუდელნი და მაშენებელნი ეკლესიისანი, რათა
განამრავლოს სარწმუნოება ქრისტესი ყოველსა ივერიასა შინა. მა-
შინ მსმენელმან კეისარმან მოუგზავნა ფიცარი ფერჴისა უფლისა და
სამსჭუალი, მღუდელნი და მაშენებელნი ეკლესიისანი მრავალნი; არა-
მედ შეწუხნა მეფე, რამეთუ არა მოიღეს მცხეთას სამსჭუალი და
ფერჴის ფიცარი, გარნა დაასუენეს ერუშეთს და მანგლისს; ამის-
თჳს ნუგეშინის-სცემდა წმიდა ნინო, რამეთუ არს კუართი უფლისა
ქალაქსა ამას შინა; ხოლო იგინი იყვნენ მუნ, რათა განეფინოს მად-
ლი უფლისა ყოველთა ადგილთა შინა. მერმე მოიყვანა მეფემან აბი-
ათარ მღუდელი და ურიანი მრავალნი და გამოიკითხვიდა მათგან
კუართისა მის სადა-ყოფასა; ხოლო იგინი მიუგებდნენ ყოველსავე,
რომელი ზემორე აღიწერა. მსმენელი მეფე ადიდებდა ღმერთსა და
ნინო ნუგეშინი-სცემდა მადიდებელი უფლისა.

ჯუარის აღმართებისათჳს

ხოლო იყო ხე ერთი ნაძჳსა, მგზავსი ალვისა სურნელისა, კლდე-
სა ზედა ზემორეთ წყაროსა მის ფრიად შუენიერი, რომლისა ფურ-
ცელსა და თესლსა რა ისარ-ცემული ნადირი საკუდავადცა დაჭრი-

ლი შესჭამდა, მყის განიკურნებოდა. ესე დაუკჳრდებოდათ წარმართ-
თა მათ და მოუთხრეს ეპისკოპოზსა იოანეს, ხოლო იგი მმადლობე-
ლი უფლისა ეტყოდა მათ, რამეთუ ღმერთსა პირველითგანვე უნე-
ბიეს ამის ადგილისა მადლისა მოფენად, ამისთჳს ჯერ-არს მის ხისა-
გან ჯუარისა შექმნა“. მაშინ წარვიდა ძე მეფისა რევ და იოანე ეპის-
კოპოზი და მოჰკუეთეს მარტისა დღესა კ˜ე, პარასკევს, და წარმო-
იღეს ათას-ათასეულთა კაცთა,ვითარცა მდგარი და მოიღეს წინაშე
ეკლესიისა კარსა და დადგეს მუნ ეგრეთ, რომლისა ფურცელი არა
დაჭკნა დღეთა ლ˜ზ მოკუეთიღისა მის, ამის შემდგომად შემზადეს
ჯუარი მაისი დღესა ა˜და დღესა ზ˜, აღმართეს ჴელისდადებითა მე-
ფისათა ეკლესიასა მას შინა. ხოლო იყო ხილვა საკჳრველი, რამეთუ
ღამე-ყოველ გარდამოვიდოდა გჳრგჳნი ნათლისა ზეცით და დაად-
გებოდა ეკლესიასა, რომელი იხილვებოდა ყოველთა თემთა და ერ-

თაგან და რიჟრაჟსა გამოჴდიან ვარსკულავნი, ერთი აღმოსავლით
წარვიდის და მეორე დასავლეთით; ხოლო გჳრგჳნი იგი განვიდის
არაგუს და დაადგრის ბორცუსა მას ზედა, წყაროსა მის ზემოთ, რო-
მელი აღმოეცენა წმიდასა ნინოს ცრემლითა და მუნით ამაღლდის
კუალად ზეცადვე. ამისთჳს ჰკითხვიდნენ წმიდასა ნინოს რაიობისა
ყოფად; ხოლო წმიდა ეტყოდა: <<განავლინეთ კაცნი, რათა იხილონ
თუ სადა დაადგრებიან ვარსკულავნი იგი“; მაშინ განმხილველთა
კაცთა მათ მოუთხრეს, ვითარმედ „ერთი დაადგრა მთასა თხოთი-
სასა და მეორე ადგილსა კუხეთს“.

მსმენელმან წმიდამან ნინო უბრძანა წარღებად ორთა მათ ჯუ-
ართა და აღმართვად მათ ადგილებთა ზედა, ხოლო მჴევალმან ქრის-
ტესმან სალომე, ცოლმან რევისმან, რომელთათჳს მიეცა მეფესა კა-
ხეთი საერისთოდ და იყოფოდნენ უჯარმას, წარიღო ჯუარი იგი და
აღმართა უჯარმას, რათა არა წინააღუდგეს ბოდა ქალაქთა მეფეთასა,
და მეორე აღმართეს მთასა თხოთს. ხოლო ჯუარი იგი პირველი სას-
წაული მცხეთისა იპყრეს ჴელითა და მოვიდნენ წყაროსა მას ზედა,
განათენეს ღამე იგი ცრემლით მლოცველთა ყოველთა და ხვალისად

1-30 სტრ., 91
აღვიდნენ კლდესა მას ზედა და მითხრობითა ნინოსათა აკურთხა
ეპისკოპოზმან იოანე ადგილი იგი და აღმართეს ჯუარი, მოდრკენ
სრულიად, თაყვანი-სცეს და ადიდეს ძე ღვთისა ცხოველისა ყოველთა.

ხოლო დიდნი იგი მთავარნი არა განეშორებოდნენ სუეტსა მას
ცხოველსა და მიუთხრობდნენ სასწაულსა, რომელნი იქმნებოდნენ
მის მიერ. ამისთჳს მეფემან განაწესა მსახურება ჯუარისა აღვსები-
სა ზატიკსა, დღესა კჳრიაკესა; ხოლო შემდგომად მარტჳლიისა იხი-/ლეს ყოველთა
სასწაული დიდი დღესა ოთხშაბათსა, რომელი დაად-
გრა ჯუარსა მას ზედა ჯუარი ცეცხლისა, გჳრგჳნითა ათორმეტითა
ვარსკულავისათა და ბორცჳ იგი კმეოდა სურნელად, რომელისა ხილ-
ვითა ნათელს-იღეს მრავალთა სულთა და ადიდებდენ ღმერთსა.
მერმე კუალად იხილეს სასწაული ცეცხლისა, რომელი დაადგრა ჯუ-
არსა მას ზედა შჳდ-წილ უნათლეს მზისა და ანგელოზნი, აღმა-
ვალნი და გარდამომავალნი მას ზედა და ბორცჳ იგი იძროდა ძლი-
ერად; შემდგომად დასცხრა რა, განცჳფრებამან შეიპყრნა ყო-
ველნი ერნი და წლითი-წლად საკჳრველისა სასწაულისათჳს ყო-
ველნი მხედველნი თაყვანის-სცემდნენ და განმრავლდებოდნენ მორ-
წმუნენი, მადიდებელნი ქრისტეს ღვთისა.

მას ჟამსა შინა ძესა მეფისასა რევს ესუა ყრმა წული მხოლოდ
და ესე სნეულებდა მოსიკუდიდ; მოიღო რევ ძე თჳსი და დადვა წი-

ნაშე ჯუარისა და ითხოვდა კურნებასა ცრემლით მავედრებელი და აღუთქმიდა, რათა შეუქმნას კუბო ჯუარსა მას. მცირისა შემდგომად მყის განიკურნა და წარიყვანა ცოცხალი თჳსად რევ ძე თჳსი. მერმე მოვიდა და შეუქმნა კუბო აღმსრულებელმან აღთქმისამან. ამისნი მხილველნი უფრიადეს მოვიდოდნენ ყოველნი უძლურნი სენითა და განიკურნებოდნენ, მადიდებელნი ჯუარისა ქრისტესისა. კუალად იყო ვინმე კაცი ჭაბუკი თუალ-დამდგარი; მოვიდა და იჯდა წინაშე ჯუარისა შჳდ-დღე; ამისა შემდგომად აღიხილნეს და ადიდებდა ღმერთსა. კუალად იყო დედაკაცი სულთა უკეთურთაგან გუემული, რომელი დაიპობდაცა სამოსელსა თჳსსა; ესე მოიყვანეს წინაშე ჯუარისა და შემდგომად ათორმეტისა დღისა შეამთხვიეს ჯუარსა

და მყის განიკურნა და ადიდებდა ჯუარცმულსა.კუალად ყრმა ვინმე დაეცა და მოკუდა; ხოლო დედამან მისმან მოიღო იგი წინაშე ჯუარისა და დადვა მავედრებელმან ლოცვითა და ცრემლითა დილით მწუხრამდე; მხილველნი სხუანი რისხვიდნენ, ვინაჲთგან მკუდარი იყო, რათა დაფლას იგი; არამედ დედაკაცი იგი არა წარიკუეთდა სასოებასა და უმეტეს ტირილით ევედრებოდა ჯუარსა; ხოლო მწუხრისად სულიერ იქმნა და განცოცხლდა ყრმა იგი, აღიპყრა დედამან და ადიდებდა ღმერთსა და წარიყვანა თჳსად. მაშინ ამის სასწაულისა მხილველნი მრავალნი ითხოვდენ შვილიერებასა და შვილიერ იქმნებოდნენ და მრავალნი სენთაგან ურვილნი განიკურნებოდნენ არა თუ მის წინაშე მოსლვითა, არამედ შორით თხოვნითაცა მიიღებდნენ წადიერებასა თჳსსა და მიმძლავრებულნი მტერთაგან მძლე ექმნებოდნენ მტერთა და მრავალნი უღონონი და ჭირთა შინა შთაცვივნულნი ხადოდენ ჯუარსა და განეროდიან ყოველთაგან, მერმე მოვიდიან და შესწირვიდიან შესაწირავსა, ნათელს-იღებდიან და ადიდებდნენ ქრისტესა და ჯუარსა მისსა მუნით დღითგან მოაქამომდე და ადიდებდნენ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა.

ამისა შემდგომად მოვიდა წარმოვლენილი დიაკონი ბრანჯი, რომელსააქუნდა წიგნი წმიდისა პატრიაქისა რომისა მეფისა და ყოვლისა საქართველოსა ქებისად და კურთხევისა მოცემად და ნეტარისა ნინოს ლოცვისა წარღებად და მადლისა ზიარებად. ამას აქუნდა წიგნი ბრანჯთა მეფისაცა ნინოსთანა, ვინაჲთგან ნათელცემულ იყვნენ მეფე და ერნი ნინოს მამისაგან, რამეთუ მისმოდათ იერუსალიმით და კოსტანტინეპოლით მიფენა მზისა სიმართლისა საქართველოსა შინა, რათა სცნან ჭეშმარიტი სასწაული სუეტისა და

ჯუარისა ცხოველისა.მაშინ ესე ყოველნი აღწერილნი სცნა დია-

კონმან ბრანჯმან და წარიღო წიგნები ნინოსი და მეფისა და წარვი-
და წელსა ქ˜სა ტ˜კვ, ქართულსა ო˜ჱ.

მერმე ინება მეფემან მოქცევა მახჯლითა მთიულთა და აუწყა
ნინოს და ეპისკოპოზსა; არამედ წმიდამან არა ნება-სცა, რამეთუ
არა ბრძანებულ არს მახჯლი, არამედ ქადაგება და ეტყოდა მეფესა:
„მე წარვიდე მუნ ქადაგებად“. ხოლო მისრულმან ქადაგა სახარება
ქრისტესი; არამედ უმრავლესთა არა უსმინეს და არა შეიწყნარეს;
ამისთჳს მეფემან დაურთო ხარკსა ზედა ხარკი მთიულთა და ერის-/თავმან მეფისამან
მცირედ წარმართა მახჯლი და შემუსრნა კერპნი
მათნი; ამისთჳს ფხოელნი გარდაეშენნენ თუშეთს და ერწო-თია-
ნელთა ნათელ-იღეს.

შემდგომად ამისა წმიდა ნინო წარემართა რანს მოქცევად ფე-
როზისა და მივიდა დაბასა ბოდას. მუნ მოვიდიან გარემონი ყოველ-
ნი და ასწავებდა მრავალთა ერთა და არწმუნებდა. მაშინ მუნ მყო-
ფი დასნეულდა წმიდა ნინო და ვითარცა ესმა ესე ძესა მეფისასა რევს
და დედოფალსა სალომეს, აცნობეს მეფესა; ხოლო წარმოავლინა
მეფემან ეპისკოპოსი იოანე, რათა წარმოიყვანოს მცხეთას; ესე არა
ინება წმიდამან ნინო, რათა წარეყვანათ მცხეთას; არამედ მცნო-
ბელნი წარუსვლელობისა მეფე და დედოფალი ნანა და მთავარნი
სიმრავლითა ყოველთა ერთათა მოვიდნენ ბოდას და იხილესწმიდა
ნინო განბრწყინვებული, ვითარცა პირი ანგელოზისა და მოეხვეოდ-
ნენ გარემო ამბორებად და მოსწყუედდენ ფესუსა სამოსლისასა,
და ტიროდნენ მწარედ განშორებისა მისისათჳს.

მაშინ გარემო-მსხდომნი მტირალენი დედოფალი სალომე უჯარ-
მელი და პეროჟ ავრისვანელი ეტყოდნენ წმიდასა ნინოს: „შენ,
ტყუეო, ტყუეთა მჴსნელო! გვითხარ, ვინ ხარ ანუ სადაჲთ მოგვფინე
ნათელი ესე ჭეშმარიტებისა“. ხოლო წმიდამან ნინო ისმინა ვედრება

1-23 სტრ., 94
მათი და მიუგო: „მოიხუენით საწერელნი და დაწერენით რომელსა
გეტყოდე თქუენ, რათა უწყოდნენცა შემდგომთა შვილთა თქუენთა
და მომავალთა თქუენთა, ვითარ მოგცათ და მოგფინათ მადლი
თჳსი ღმერთმან მხოლომან“. მაშინ ნინო ეტყოდა ყოველთა და იგი-
ნი სწერდნენ ესრეთ, ვითარცა აღვწერეთ ზემორე.

ამისა შემდგომად შესწირა ეპისკოპოზმან იოანე მსხუერპლი
უსისხლო და აზიარა წმიდა ნინო, და შევედრაცა სული თჳსი ზეცი-
სა მეუფესა წელსა ქ˜სა ტ˜კთ, ქართულსა პ˜ა.

ხოლო ინება მეფემან მიღება მისი მცხეთას; არამედ ვინაჲთგან ეთქუა წმიდასა ნინოს მუნ დაფლვა თჳსი სიმდაბლისათჳს, დაფლეს დაბას ჰერეთისასა ბოდას.

შემდგომად ამისა წარმოუვლინა დიდმან კოსტანტინემ მეფესა მირიანს ძე თჳსი ბაქარ და მოუმცნო; „ვინაჲთგან სცან ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტე, არღა-რა მიჴმს მძევალი შენ-მიერი, არამედ იყოს ქრისტე შუა-მდგომელი ჩუენ შორის“, და განიხარა მირიან ფრიად. შემდგომად მოკუდა ძე მირიან მეფესა რევ, რომლისათჳს მიეცა მეფობა და მწუხარებასა ამას შინა ამასვე წელსა გარდაიცვალა მირიან მეფე, სავსე სარწმუნოებითა და მადლითა, რომელმან ნათელ-სცა ყოველთა ივერიელთა. ხოლო ვინაჲთგან მომკუდარ იყო რევ უხუცესი ძე მისი, ამისთჳს მისცა მეფობა ძესა თჳსსა ბაქარს უმრწამესსა და რევის ძეთა კახეთი საერისთოდ, დასაბამითგან წელთა წ˜სჟა, ბერძნულსა ჶ˜ყნ, ქ˜სა ტ˜მბ, ქართულსა ჟ˜დ; ხოლო წელსა მეორესა მოკუდა ნანა დედოფალიცა.

1-31 სტრ., 95

კ˜ე. მეფე ბაქარ. კ˜ბ წელი მეფა

ხოლო დაჯდა მეფედ ბაქარ ძე მირიანისა. ესე იყო მორწმუნე, ვითარცა მამა მისი მირიან და ამან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი, რომელნი ვერ მოექცივნეს მამასა მისსა; არამედ შთავარდა შური ამისა და სომეხთა შორის, რამეთუ სომეხნი ეძიებდეს რევის ძე თრდატს მეფედ, შვილიშვილობილისათჳს თრდატ სომეხთა მეფისა; ამისთჳს ბაქარ ემოყურა სპარსთა მეფესა მამის ძმისწულსა თჳსსა და გაუცვალა ქუეყანა ფეროზს დის-ქმარსა თჳსსა, რომელსა აქუნდა რანი მირიანისაგან და მისცა სამშჳლდე თავადმდე აბოცისა და ნათელ-სცა და ქრისტეანე ჰყო ერითურთ და ბრძოდა სომეხთა. შემდგომად შეკრებულნი სომეხნი მოვიდნენ თრიალეთს; ხოლო ბაქარს მოერთო ძალი ხოსროვანთაგან; ეწყუნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერითრიალეთს; მერმე სძლეს სპათა ბაქარისათა და მოსწყუეტდენ ოტებულნი სომეხთა. ამისა შემდგომად სპარსთა და ბერძენთა შუამდგომელობითა დაზავდენ პირსა ამას ზედა, რამეთუ უკეთუ იყვნენ ნათესავნი ბაქარისანი, არა ეძიებდნენ ძენი რევისნი მეფობასა. ხოლო ძეთა რევისათა მისცეს ჰერეთი და კახეთი საერისთოდ და იქმნა მშჳდობა. არამედ ამისა მეფის ბაქარისზე მოკუდა ეპისკოპოზი იოანე და დასუა მეფემან იაკობ და აღაშენნა ეკლესიანი, მატა ქრისტიანობასა და მეფობდა კეთილად; შემდგომად გარდაიცვლა წელსა ქ˜სა ტ˜ჲდ, ქართულსა რ˜ივ.

კ˜ვ. მეფე მირდატ. ი˜ე წელი მეფა

დაჯდა მის წილ ძე მისი მირდატ მეფედ. არამედ ამან მეფა კეთილად ყოვლითავე დიდსა სარწმუნოებასა შინა ქრისტესსა და ამის ჟამსა შინა ჰყოფდნენ ქართველნი სუეტისა მის ცხოველისაგან ჯუართა, ვინაჲთგან მრავალნი სასწაულნი იქმნებოდნენ, ვითარცა ჯერ-იჩინა ღირსმან ეპისკოპოზმან იაკობ და განეფინა ყოველსა საქართველოსა შინა ნაწილი სუეტისა მის ცხოველისა კურნებად მათდა. შემდგომად ჟამსავე ამისსა მოკუდა ჭეშმარიტი ეპისკოპოზი იაკობ და ამან მეფემან დასუა იობ სომეხი, დიაკონი ნერსე კათალიკოზისა. შემდგომად გარდაიცვალა მეფე მირდატ ქ˜სა ტ˜ოთ, ქართულსა რ˜ლა.

1-28 სტრ., 96

კ˜ზ. მეფე ვარზა-ბაქარ. ი˜დ წელი მეფა

გამეფთა ძე მისი ვარზა-ბაქარ. ხოლო ამან შეირთო ცოლად რევის ძის თრდატის ასული და ანგელოზის ხარებითა ეშვა ძე და უწოდეს მურვანოს (რომელი იწოდა პეტრე და იქმნა წმიდა და მაიმონის ეპისკოპოსი, რომლისა ცხოვრებასა მოგვითხრობს მეტაფრასი მისი); არამედ ვარზა-ბაქარ კუალად შეირთი მეორე ცოლი ძის-წული ფეროზისა და შეიყუარა სოფელი, ვინაჲთგან იყო ურწმუნო და მოძულე რჯულისა; გარნა ვერ განაცხადებდა შიშისათჳს ქართველთასა, რამეთუ დიდად მორწმუნენი იყვნენ და მტკიცედ დგნე[ს] ქრისტესთჳს. ხოლო შემდგომად იქმნა რა მურვანოს ათორმეტისა წლისა, ძე ვარზა-ბაქარისა, სთხოვა კეისარმან თეოდოსი მძევლად მურვანოს, რათა არა მიერთოს ვარზა-ბაქარ სპარსთა; ამან მისცა და წარიყვანეს კოსტანტინეპოლს. შემდგომად ამისმან მცნობმან სპარსთა მეფემან წარმოავლინა სპანი სომეხთა და ქართველთა ზედა, რათა მოხარკე ჰყოს; მაშინ ამისთჳს ეზრახნენ სომეხნი ვარზა-ბაქარს, რათა შეკრბნენ ორნივე და ეწყუნენ სპარსთა; ამას განუზრახვიდნენ დიდებულნიცა თჳსნი, რათა გამოიყვანონ ოვსნი და ლეკნი და ბრძოდენ სპარსთა სომეხთა თანა; არამედ არა ინება ვარზა-ბაქარ, რამეთუ იყო მოშიშარი და ჩუკენ და უკუ-ჯდა ჴევსა კახეთისასა. მაშინ შემოვიდა ერისთავი სპარსთა, შემუსრა სომხითი, მოაოჴრა და შემოვიდა ქართლსა, აოჴრებდადა სტყუენვიდა. და ჰყო ციხე ტფილისს; ხოლო უღონო-ქმნილი და მოშიში ეზრახა ერისთავსა სპარსთასა მოაჯე ვარზა-ბაქარ, რათა განუკუეთოს ხარკი და დაუტეოს ქუეყანა მშჳდად; ამისთჳს ერისთავმან მიუღო რანი და მოვაკანი, რამეთუ არს წილი სპარსთა მეფისა და თქუენ ვინაჲთგან ხართ ზენი მჴევლისანი, გეკმარვისთ ქართლი და უკუ-სცა ტფილისი ვარზა-ბაქარსვე, მოხარკე ყო და წარვიდა და წარიყვანა ფეროზ ნათესავითურთ სიჯაბნისათჳს ვარზა-ბაქარისა. ხოლო მხილველ-

1-28 სტრ., 97
ნი ამისნი კლარჯნი უკუდგნენ ვარზა-ბაქარისაგან და მიერთვნენ ბერძენთა; არამედ ნეშტთა საქართველოთა ზედა მეფობდა ვარზა-ბაქარ; შემდგომად მოკუდა ქ˜სა ტ˜ჟგ, ქართულსა რ˜მე და დაუტევნა ძენი მცირენი და ვერ დამპყრობელნი მეფობისანი სამნი: ფარსმან ფეროზის ძის ასულისაგან, ხოლო მირდატ და თრდატ რევის ძის თრდატის ასულისაგან.

კ˜ჱ. მეფე თრდატ. ი˜ბ წელი მეფა

ამისთჳს მოიყვანეს რევის ძე თრდატ მოხუცებული და დასუეს მეფედ. არამედ ესე იყო ფრიად მორწმუნე ქრისტეანობისა და ბრძენი და გონიერი. ამან მეცნიერებითა თჳსითა დაამშჳდნა სპარსნი და გამოაჩინნა ხატნი და ჯუარნი და შეამკუნა ყოველნი ეკლესიანი ივერიასა შინა. ჟამსა ამისსა მოკუდა ეპისკოპოზი იობ სომეხი და ამან დასუა ელია და მისცემდა სპარსთა ხარკსა და მეფობდა კეთილ-გონიერად; შემდგომად გარდაიცვალა ქ˜სა უ˜ე, ქართულსა რ˜ნზ.

კ˜თ. მეფე ფარსმან. გ˜ წელი მეფა

შემდგომად მისა დასუეს ძე ვარზა-ბაქარისა ფარსმან მეფედ, აღზრდილი სამშჳლდის ერისთავისაგან, რომელი იყო ძის-წულის-წული ფეროზისა, მირიან მეფის ასულისაგან. ესე ფარსმან იყო მჴნე, ახოვანი და შემმართებელი ბრძოლა-წყობათა შინა და მორწმუნე ქრისტეს მცნებისა ფრიად. ამან მოითხოვა შეწევნა ბერძენთაგან; ხოლო მათ აღუთქუეს, ამისთჳს არღარა მისცა სპარსთა ხარკი და განაახლნა ეკლესიანი. ჟამსა ამისსა მოკუდა ეპისკოპოზი ელია და ამანვე მეფემან დასუა სჳმონ ეპისკოპოზად და მეფობდა კეთილად; შემდგომად ამისა გარდაიცვალა წელსა ქ˜სა უ˜ჱ, ქართულსა რ˜ჲ.

ლ˜. მეფე მირდატ. ბ˜წელი მეფა.

და მეფე იქმნა ძმა ფარსმანისა და ძე ვარზა-ბაქარისა მირდატ, აღზრდილი თრდატ მეფისაგან და ასულის-წული თრდატ მეფისავე; არამედ იყო ესე ურწმუნო, ლაღი, თავჴედი, გარნა მჴნე, ახოვანი

1-29 სტრ., 98
და ძლიერი. ამან არა მსახურა ღმერთსა, არცა მატა ეკლესიასა; არამედ სილაღითა თჳსითა ეძიებდა ბერძენთაგან კლარჯეთსა და სპარსთა არა მისცემდა ხარკთა. ამისათჳს მოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი თჳსი სახელით უბარაბ სპითა დიდითა. მაშინამან მირდატ არა რიდა სიმრავლესა მათსა და მცირითა სპითა ეკუეთა; სძლეს

სპარსთა და მოსწყჳდნეს სპანი მისნი და ოტებული შეიპყრეს მირ-
დატ და მიიყვანეს ბაღდადს და მოკუდა მუნ ტყუეობასა შინა. ხოლო
სპარსნი შემოვიდნენ და დაიპყრეს ქართლი და ქმნეს საცეცხლე მცხე-
თას ქალაქსა შინა და ძენი მირდატისნი დაშთნენ ჴევსა კახეთისასა
წელსა ქ˜სა უ˜ი, ქართულსა რ˜ჲბ.

ლ˜ა. მეფე არჩილ. კ˜დ წელი მეფა

ხოლო შემდგომად სამისა წლისა მოიყვანეს ქართველთა ძე
მირდატისა, ასულის-წულისა თრდატ მეფისა, წარტყუენილისა მის
მეფისა, სახელით არჩილდა ჰყვეს მეფედ. ხოლო ესე არჩილ იყო
ფრიად მორწმუნე და მმატებელი ეკლესიათა. ამან მოიყვანა ცოლად
ივბიმიანოს მეფის ნათესავი საბერძნეთიდამ სახელით მარიამ და
განაცხადა მტერობა სპარსთა და მოსწყჳდნა ყოველნი სპარსნი,
მყოფნი ივერიასა შინა, და განასხნა ცეცხლის-მსახურნი და დაშრი-
ტნა საცეცხლენი მათნი; და უწყო ბრძოლა სპარსთა და შეამკუნა
ყოველნი ეკლესიანი. ამისმან მცნობელმან ერისთავმან სპარსთამან
(რომელი ერისთობად რანს და მოვაკანს; ამისივე განსაგებელი იყო
ქართლიცა), და ვინაჲთგან სპარსთა მეფე იყო უცალო, ამისთჳს ამან
შემოიკრიბნა თჳს-ქუეშეთნი ადრაბაგანითურთ და მოვიდა მდინა-
რესა ბერდუჯისასა. ხოლო არჩილ მინდობილი ღვთისა და სასოები-
თა ჯუარისათა მიეგება შეკრებული სპითა თჳსითა მუნავე და იქმნა
ბრძოლა ძლიერი და სასტიკი; შემდგომად აოტნა სპარსნი და მოს-
წყჳდნა უმრავლესნი; მერმე შევიდა რანს, მოაოჯრა და მოსტყუევნა
და მოსწვნა ცეცხლითა, ციხეთაგან კიდე, და მოვიდა ალაფითა დი-
დითა გამარჯუებული მცხეთას. ხოლო მიერითგან ვერღარა წინა

1-28 სტრ., 99
აღუდგა ერისთავი რანისა და მარადის აოჯრებდა არჩილ რანსა და
მოვაკანსა მრავალთა დღეთა და ჟამთა. შემდგომად ამისა მოესწრა
არჩილს ძე თჳსი მირდატ და ესე მირდატ იყო მჴნე, ახოვანი და შემ-
მართებელი ძლიერი. ამან იწყო შესლვა რანს და მოვაკანს და მრა-
ვალგზის ტყუენვიდა და აოჯრებდა ნიადაგ. ხოლო ყვანდა ერისთავ-
სა რანისასა ასული, ქმნილი სახე-შუენიერებითა კეთილი და მო-
უთხრეს მირდატს კეკლუცობისა მისისათჳს. მაშინ მირდატ ეტრფია-
ლა ქალსა მას და განუზრახვიდა მამასა დაზავებისათჳს რანის ერის-
თვისა და მოთხოვასა მის ქალისასა ცოლად თჳსად და იტყოდა, რა-
მეთუ „უკეთუ აწ ჩუენ ვართ მძლეველნი სპარსთა ზედა, არამედ ოდეს
იქმნენ სპარსნი მოცალენი, არღა-რა ძალ-გვიძს წინა-აღდგომად“
(არამედ ამას ყოველსა იტყოდა სიყუარულისათჳს ქალისა მის). ხო-
ლო განზრახვასა ამას არჩილ არა ინებებდა; გარნა რა მრავალ-გზის
აიძულებდა ძე თჳსი, დართო მანცა ნება და მოითხოვეს ასული

მოსცა მზითვითა დიდითა და მირდატ იქორწინა მისთანა სიხარულითა დიდითა და ყვეს მშჳდობა და ზავი მტკიცე სიყუარულსა ზედა; ამისთჳს მეფემან მისცა მირდატს საერისთოდ სამშჳლდე. ხოლო ამის არჩილისზე გარდაიცვალნენ ეპისკოპოზნი სამნი: იოანე, გრიგოლი და ბასილი. ამან დასუა მობიდა; ხოლო ესე მობიდა იყო მოგჳ სპარსი და იჩემებდა სარწმუნოებასა; არამედ ფარულად წერდა წიგნთა ბოროტთა, რომელნი შემდგომად ამისა დაწუნა წ˜ნ ეპისკოპოზმან მიქელ. ხოლო ამან არჩილ მეფა კეთილად დიდითა სარწმუნოებითა და განამრავლნა ეკლესიანი და საეკლესიონი წესნი; შემდგომად გარდაიცვალა ქ˜სა უ˜ლდ, ქართულსა რ˜პვ.

ლ˜ზ. მეფე მირდატ. ი˜ზ წელი მეფა

გამეფდა ძე მისი მირდატ; არამედ ამას არა ესუა ძე, არცა ასული. შემდგომად ვედრებითა ღვთისათა ეშვა ასული ხუარანძე, კუალად შემდგომად ოთხისა წლისა მიეცა ძე ვახტანგ. ამისთჳ ყვეს

ვედრება დიდი და განცხრომა და ევედროდნენ ღმერთსა აღზრდისათჳს ყრმისა ვახტანგისა. ესე მოითხოვა აღსაზრდელად საურმაგ სპასპეტმან (რამეთუ წელი იყო- მეფეთა ძეთა აღზრდიდნენ დიდებულნი) და მისცეს მას. შემდგომად კუალად მეექუსესა წელსა ეშვა ასული მირანდუხტ და მისცეს აღზრდად სპასპეტსა კასპისასა. ხოლო მეფა მირდატ დიდითა სარწმუნოებითა კეთილად; შემდგომად გარდაიცვალა ქ˜სას უ˜მვ, ქართულსა რ˜ჟზ.

ლ˜გ. მეფე ვახტანგ. ნ˜გ წელი მეფა

მეფედ ჰყვეს ძე მირდატისა ყრმა ვახტანგ წლისა ზ; არამედ შეშინდნენ დიდებულნი და დედოფალი სარანდუხტ შური-ძიებისაგან რანის ერისთვისა მოოჴრებად და განრყვნად ეკლესიათა, ვინაჲთგან სარანდუხტსაცა დაეტევა სჯული სპარსთა და ქრისტიანე იყო; ამისთჳს ეზრახა დედოფალი დიდებულთა წარსლვად თჳთ წინაშე მამისა თჳსისა; ხოლო მათ განუზრახეს და წარვიდა; მისრულმან აღმოიყარნა ძუძუნი და შეუვრდა ფერჴთა მამასა დაცვისათჳს ივერიისა და ეკლესიისათჳს და არა ძიებად სჯულისა, რამეთუ ჭეშმარიტი ღმერთი არს ქრისტე. შეეწყალა მამასა, უსმინა და მიანიჭნა ყოველნი სათხოველნი; არამედ მოგზავნა ცეცხლის მსახურნი მცხეთას და ეპისკოპოსი მათი ბინაქარ, რათა რომელსა ენებოს ცეცხლის მსახურება ქართველთა, არა აყენებდნენ თჳნიერ იძულებისა: მოვიდნენ ცეცხლის-მსახურნი და დასხდნენ ადგილსა მოგუთასა; ხოლო მოსრული დედოფალი განაგებდა სამეფოსა; არამედ ეძჳნებოდა

ცეცხლის-მსახურნი, უკეთუმცა ვერ მიექციენეს წარჩინებულნი, გარნა წვრილნი ვინმენი ერნი. მაშინ დედოფალმან მოიყვანა ჭეშმარიტი მღუდელი მიქელ და დასუა ეპისკოპოსად (რამეთუ მობიდა გარდაცვალებული იყო). ესე მიქელ აღუდგა ბინაქარს მჴნედ და ასწავებდა ერთა ჭეშმარიტებასა ქრისტეანობისასა და მოძღურიდა ვახ-

1-23 სტრ., 101
ტანგს სამღრთოს წერილითა. ხოლო ვახტანგ ისწავებდა გულსმოდგინედ ყოველსავე. შემდგომად იქმნა რა ვახტანგ წლისა 10, გარდამოვიდნენ ოსნი ქართლს და მოსტყუევნნეს, ციხე-ქალაქთაგან კიდე, და შემუსრეს კასპი და გამოიყვანეს დაჲ მეფისა მირანდუხტ, ჩავლეს რანი და მოვაკანი, მოსტყუევნნეს და განვლეს დარუბანდი, რამეთუ გზა სცეს დარუბანდელთა და მივიდნენ ოვსეთს მშჳდობით. კუალად მოგზავნა ბერძენთა მეფემან მარკიანე სპანი და მიიხუნა ეგრისისა ციხე-გოჯამდე ზღჳს კიდენი. მაშინ იყო ურვა დიდი ივერიასა შინა, ვინაჲთგან ვისტაცნეს საზღვარნი მათნი და არა ჰყვათ წინამძღუარი, რათა ირგონ რაიმე. ხოლო ვახტანგ იყო სწავლის მოსწრაფე ფრიად სამღთო-სამჴედროთა; არამედ რა იქმნა წლისა ი˜ე, მოუწოდა დიდებულთა და დაჯდა დალიჭსა ზედა და იწყო სიტყუად: „ეჰა დიდებულნი, მოიწია ჩუენ ზედა მწუხარება ძლიერი, რამეთუ მოგვიხუნეს ჩუენ საზღვარნი ჩუენნი და გვერივნენ მტერნი ცოდვათა ჩუენთათჳს, ვინაჲთგან ვსცოდეთ წინაშე ღვთისა და არა დავიცვენით მცნებანი მისნი; გარნა გვწუართა, ვითარცა მამამან ძე. აწ მიიღეთ ნიჭი ჩემ მიერ უმეტესი მამა-პაპათა ჩემთა და ვიძიოთ შური ოვსთა ზედა, რამეთუ მაქუს სასოება ჯუარცმულისა ძღუანებითა ჯუარისათა, რომელ მრენი ვექმნეთ მტერთა ჩუენთა“. მაშინ აღდგა შორის ჯუანშერ სპასპეტი და თქუა: „მეფეო! ცოდვათა ჩუენ თემთათჳს იქმნა ჭირნი ესე, რამეთუ გარდავჴედით გზათა მისთა; არამედ გვაქუს სასოება ღვთისა მიმართ, რომელ მოგვცა მეფე ეგრეთი, ვითარი შენ ადა ვსძლოთ წინააღმდგომთა ჩუენთა;

1-29 სტრ., 102
გარნა თუმცა ხარ სრული ყოვლითავე, გარნა ჯერეთ ხარ ჰასაკითა უსრული.
აწ გამოირჩიე წარჩინებულთა შენთაგან და
დაგვამონე ჩუენ ყოველნი მას; წარგზავნე და ვსძლიოთ მტერთა წინაძღოლთა ჯარისათა და უკეთუ ვიძლივნეთ, შენ უვნებლად ეგო, რამეთუ არა არს ნაცვალი შენი ყოველი სოფელი“. და დაუმტკიცებდენ ყოველნი დიდებულნი ჯუანშერის განზრახვასა; არამედ მეფე ეტყოდა: „მადლიერ ვარ ერთგულებისათჳს, რომელი შეგჭირსთ ჩუენთჳს; გარნა მე თჳთ მნებავს წარსლვად არა ძალითა ჩემითა, არამედ ჯუარცმულისათა“. მსმენელთა ყოველთა შეუძნ-

დათ და უარ-უთქმიდნენ; გარნა შემდგომად იძულებისათჳს მეფისა დაუმტკიცეს მათცა და ბრძანა კაზმად ლაშკართა და აცნობა დედის ძმასა თჳსსა, ხოლო მან განიხარა და წარმოუვლინა ი~ბ ჩ~ (12,000) მჴედარნი მწედ; მაშინ შემოკრბნენ სპანი ვახტანგისანი მუხრანს და ხერკს და იყო მჴედარი რ~ჩ~ (100,000) და მკვირცხლი ჲ~ ჩ~ (60,000). წარემართა მეფე და დაუტევა ანდერძი წერილითა: „თუმცა მოვკუდე, შეირთოს დაჲ ჩემი ხვარანძე მირიან ცოლად და იგი იქმნეს მეფედ“, (რომელი იყო რევისაგან ვახტანგის მამის ძმისწული). თჳთ მოვიდა თიანეთს სპითა რ~ობ ჩ~ (172,000) და მუნ მოერთნენ მეფენი კავკასთანი მჴედრითა მ~ჩ~ (40,000). მუნით წარვიდა, განვლო დარიელა და დაიბანაკა კიდესა არაგჳსასა ქ~სა უ~ნდ, ქართულსა ს~ვ. ამის მცნობელთა ოვსთა მოერთეს ძალი ხაზართა, მოვიდნენ სპითა და დაიბანაკეს იმიერ კიდესა არაგჳსასა და დადგნენ შჳდ დღე კრძალულნი ტალითა; არამედ იყო ბუმბერაზთა ბრძოლანი, ზოგჯერ მათ აჯობიან და ზოგჯერ ამათ. ხოლო იყო ხაზართა ბუნბერაზი თარხან სახელით. ესე გამოვიდა და ითხოვდა მებრძოლსა ვახტანგის სპისაგან უძლიერესსა. ხოლო იყო სპათა შინა რანისათა გოლიათი ფარსმან ფარუხ, რომელსა მრავალი გოლიათი მოეკლა და ლომსა ჴელითა შეიპყრობდა. ესე განვიდა, იკუეთნენ და იბრძოლეს ძლიერად, არამედ ხაზარმან უხეთქა ჩაბალახსა

1-30 სტრ., 103

ჴრმლითა და განუპო თავი ბეჭამდე და მოკუდა რანელი. მაშინ დაჭმუნდნენ სპანი ვახტანგისანი, რამეთუ არღარავინ იყო მგზავსი მისი; ხოლო დღესა მეორესა კუალად გამოვიდა თარხან და იგივე სიტყუა თქუა; არამედ სპათა ვახტანგისაგანთა ვერავინ იკადრეს განსლვად; მიმოიხილვიდა ვახტანგ და რა ვერღარავინ იხილა გამსვლელად თჳთ განვიდა. მაშინ აყენებდნენ დიდებულნი სიყრმისათჳს და ევედრებოდნენ; გარნა იგი ეტყოდა: „არა ძალითა ჩემითა განვალ, არამედ ძალითა ჯუარცმულისათა იძლიოს ჩემ მიერ“. ხოლო მეფემან ჩავლო კიდური და იკუეთნენ ფიცხელად; გარნა პირველსავე მისლვასა სცა ოროლი ვახტანგ თარხანს სარტყელსა ზედა და განავლო იქით, ჩამოაგდო და მოკუდა; გარდაჴდა ცხენისაგან მეფე თაყვანისცა ღმერთსა, მერმე მოჰკვეთა თავი და მოვიდა სპათა თჳსთა თანა. ხოლო მეორესა დღესა გამოვიდა სხუა უმეტეს გოლიათი მისა, სახელით ბაყათარ ოვსი, რომლისა მშჳლდისა სიგრძე ი~ბ მტკაველი და ისარი ექუსი; იყივლა: ვახტანგ! ნუ გალაღდები, რამეთუ არა ერთო თარხან გოლიათთა შინა; აწ უკეთუ გამოხიდე, მოგხუდეს ჩემ მიერ ნაკრავი ფიცხელი; ხოლო უკეთუ არა, სხუა ვინმე გამოვიდეს სპათა შენთგანი. მაშინ ვახტანგ პასუხ უგო მქუხარედ და განვიდა და გამოიწვია ოვსი მდინარის ამიერ კიდესა: „რამეთუ ხარ მონა და მე მეფე, ამისთჳს არა გამოვიდე; არამედ გამოვედ შენ“. უსმინა

ბაყათარ და გამოვიდა კადნიერად და დაასხნეს ისარნი ერთმანერთს,
არამედ მეფე აცთუნებდა სიფიცხლითა ცხენისათა და სიკისკასითა
თჳსითა და მიუახლოვდებოდა ბაყათარს, ჰკრა ისარი ბაყათარ
ცხენსა ვახტანგისასა ფერდსა და განაგდო იქით; არამედ ვახტანგ
მყის სიფიცხითა ცხენისათა მიუჴდა, ჰკრა ჴრმალი ბაყათარს მჴარსა
და ჩაჰკუეთა გულამდე და მოკლა; ხოლო აღჴდა ცხენსა მისსა და
არღარა გარე-შემოიქცა, არამედ აღუზახნა სპათა თჳსთა; მიეტევნენ
და იქმნა ბრძოლა ძლიერი, რამეთუ დაასხეს ოვსთა ისარნი კმოდი-
დამ. მაშინ მეფე უზახოდა ზურგით კერძო სპათა თჳსთა და მჴნედ
ჰყოფდა; ხოლო აღვიდნენ და ველსა ზედა, უსასტიკესად ეკუეთნენ;

1-27 სტრ., 104
შემდგომად იძლივნენ ოვსნი და ხაზარნი; ძლეულთა მოსწყუედდენ
და მოსრვიდნენ ურიცხუთა, მერმე შემოვიდა ვახტანგ ოვსეთს, შე-
მუსრნა ციხე-ქალაქნი, მოსტყუევნნა და მოაოჴრნა, კუალად მოს-
ტყუევნა პაჭანიგნი და ჯიქეთნი და მოადგა კუალად ოვსეთსავე. მა-
შინ ტყუე-ყვნა ოვსნი ღ˜ჲჩ˜ (76.000) და დისა თჳსისათჳს მისცა ლ˜ ჩ˜ (30.000) და
უკმოხუმისათ<<ს ქართველთა ტყუეთა მისცა ლ˜ვ ჩ˜ (36.000) და მძევალთათჳს მისცა
ლ˜ ჩ˜ (30.000) და ნეშტნი წარ-
მოგზავნნა ქართლს და სპანიცა რანისანი შოებულნი; ხოლო თჳთ
დაეზავა ოვსთა.

ესრეთ წარმოვიდა და შემოვლო კავკასი და მოვიდა აფხაზეთს
და წარუღო ბერძენთა აფხაზეთი და ეგრისის მიხმული ციხე-გო-
ჯამდე სამ წელ ოდენ ციხეებითურთ; შემდგომად მოვიდა მცხეთას
გამარჯჳებული ქრისტესა უ˜ნჲ, ქართულსა ს˜ი; ხოლო წარსცა
არმაღანად დედის-ძმასა თჳსსა მონანი და საჴედარნი ცხენნი და
ჴრდალნი ცხენნი ათას-ათასნი და სპარსთა მეფესა მონანი და საჴე-
დარნი ცხენნი და ჴრდალნი ცხენნი ათიათას-ათიათასნი ჴელითა ბი-
ნაქარ ეპისკოპოსისა მათისათა და მოითხოვა ასული მისი ცოლად.
[ამისთჳს, რამეთუ საზღვარი ქართლისა ეპყრათ ბერძენთა], ხოლო
სპარსთა მეფემან სიხარულით მოსცა ასული თჳსი ცოლად, სომხითი
და კავკასთა მეფემან მზითვად და მოუწერა ბრძოლა ბერძენთა. მა-
შინ ქმნა ვახტანგ ქორწილი ჯეროვანი. შემდგომად მოუწოდა სპა-
თა თჳსთა და შემოკრბნენ ს˜ჩ˜ (200.000) ვახტანგისანი; კუალად
მოერთო დედის-ძმა თჳსი ვარზა-ბაკურ ს˜ჩ˜(200.000) სპითა; არა-
მედ ოდეს შევიდა ვახტანგ საბერძნეთს, იყო წლისა კ˜, რომელი
ირემსა ქუევითი შეიპყრობდა და შეჭურვილი შეჭურვილს ცხენს
აღიყვანდის მჴრითა თჳსითა მცხეთიდამ არმაზს.

შესლვა საბერძნეთს

ხოლო წარვიდა საბერძნეთს ქ˜სა უ˜ჲ, ქართულსა ს˜იბ; განვ-
ლო გზა სომხითისა და მუნ მოერთნენ ერისთავნი სომხითისანი და

1-28 სტრ., 105
მუნით მოადგა კარნუ-ქალაქსა, არამედ ვერ დაიპყრეს და მოუდგინ-
ნეს ერისთავნი ორნი კ˜დ ჩ˜ კაცითა და თჳთ წარსრულნი მოადგნენ
პონტოს ქალაქსა ოთხ-თუე; არამედ მარბიელმან მიუწივეს კოს-
ტანტინეპოლედ.ხოლო სპანი მარბიელნი ჰკლვიდნენ ყოველთა ეკ-
ლესიის მსახურთა. ესე იხილა რა ვახტანგ, შეუძნდა კლავნი შური-
თა სამღთოთა და ამცნო ყოველთა სპათა, რომელნი იყვნენ მის თანა
არა ჯერ-ყოფად ესევითარნი კლვანი და წარმოუთხრა მოწმობა
ძისა ღვთისა ნებროთის წიგნისაგან, რომელი წინარე ვთქჳთ და
ლტოლვა ხოსრო მეფისა და მირიანისა საბერძნეთიდამ და საქმენი
თრდატისა და გრიგოლი პართეველისა და საქმე ივლიანე და ივბი-
მიანესა, რამეთუ მიზეზითა ესევითარითა იქმნეს ყოველნი.

ამისთჳს უბრძანა მოწესეთა ეკლესიისათა არღარა კლვად და
განტევებად ტყუეთაცა და განთავისუფლებად მეეკლესიეთა; ხოლო
იქმნებოდა რა ესრეთ, გამოვიდნენ პონტოს ქალაქიდამ ყოველნი
მოწესენი და მათ თანა ორნი კაცნი: მონაზონი სამოელ და მღუ-
დელი პეტრე მადლობად მეფისა. ხოლო მეფემან იწვივნა იგინი სერსა
ზედა, შემდგომად იდუმალ ეტყოდა: „სთნდეს თუ ღმერთსა საქმე ესე,
რომელი ვჰყავ? და მათ ასწავეს მეფესა და უჩუენეს სათნო-ყოფად
ღვთისა, არამედ მეფე ეტყოდათ:

უკეთუ ეგრეთ არს რათა მახილვოთ ჩუენებით სათნო-
ყოფად ღვთისა; მაშინ მათ აღუთქუეს; განვიდნენ და მლოცველსა
ვახტანგს მიერულა, მოვიდა ნინო და ეტყოდა ვახტანგს: „წარმო-
ვედ, რამეთუ ორნი მეფენი ზეცისა და ქუეყანისანი მოვლენან შენ-
და“. მისრულმან იხილნა ორნი საყდარნი, ერთსა ზედა მჯდომარე
ჭაბუკი შეჭურვილი გჳრგჳნოსანი და მეორესა მოხუცებული ზეწრი-
თა სპეტაკითა და გჳრგჳნოსანი და მეორესა მოხუცებული ზეწრი-
თა სპეტაკითა და გჳრგჳნითა ნათლისათა და ფერჴთა მისთა ნინო
მჯდომარე. ხოლო ეპყრათ ჴელნი ვახტანგისანი პეტრე მღუდელსა

1-29 სტრ., 106
და სამოელ მონაზონსა, რომელნი ეტყოდნენ: „შეუვრდი დიდსა მთა-
ვარსა ზეცისასა გრიგოლის“ და თაყვანი-სცა ვახტანგ; მოუგო გრი-
გოლიმ: „რაჲ ჰქმენ, ბოროტო, რამეთუ მოაოჴრე შეჭმად სამწყსო
ჩემი მჴეცთაგან? უკეთუ ეგენი, რომელნი დგანან, და ნინო, რომელი
მარადის იღუწის წინაშე ღვთისა თქუენთჳს, არა იყვნენ აქა, შური
მეგომცა, ვითარცა მამათა შენთა, რომელნი მსახურებდნენ ცეცხლ-

თა და არა ღმერთსა“. მისცა ჴელი და ამბორს-უყო ვახტანგ; კუა-
ლად მოსცა გჳრგჳნი და რქუა: „დაარქჳ პეტრეს“, მეორე უდარესი
მოსცა პეტრეს და რქუა: „დაადგი სამოელს“. მერმე რქუა ნინომ
ვახტანგს: „აწ მივედ მეფისა და მიიღე ნიჭი შენი“. მისრულსა ამ-
ბორს-უყო და დაისუა საყდარსა თჳსსა, მისცა ბეჭედი ჴელისა
თჳსისა და რქუა: „თუ გნებავს გჳრგჳნი, აღუთქჳ, რათა ბრძო მტერ-
თა მისთა“. მიხედა ვახტანგ და იხილა ჯუარი და ფრთესა მისსა
გჳრგჳნი; არამედ ხილვითა ჯუარისათა შეძრწუნდა ვახტანგ; მაშინ
აღდგა ნინო და მიხედა პეტრეს და სამოელს და ერთითა პირითა თავს-
მდებ ექმნენ ვახტანგს. მერმე კეისარმან მოიღო გჳრგჳნი ჯუარისა-
გან და დაადგა ვახტანგსდა წარმოვიდნენ. ხოლო გრიგოლიმ სამ-
გზის ჴმაუყო ვახტანგს სახელით და რქუა: „უმეტეს მორწმუნე იყო
ყოველთა ნათესავთა შენთა დაშენგან აღშენდნენ ეკლესიანი და გა-
ნიწესნეს ეპისკოპოსნი და მთავარი მათი და მიიღოცა გჳრგჳნი მო-
წამეობათა“.

ხოლო ვახტანგ ძილსავე შინა მოუწოდა პეტრეს და სამოელს
და მიუთხრა ჩუენება ესე და იგინი აღუჴსნიდნენ ესრეთ: „მოხუცებუ-
ლი იგი იყო გრიგოლი პატრიაქი, რომელმან მომცა გჳრგჳნი, მომცა
ეპისკოპოზთა მთავრობა და ძე, რომელი მივეც სამოელს, ჩემ მიერ
იქმნას იგი ეპისკოპოზი; ხოლო ჭურვილი, რომელი იყო დიდი კოს-
ტანტინე, და ბეჭედი ასული კეისრისა, რომელმან მოგცეს ასული და
ყოველნი საზღვარნი ქართლისანი; ხოლო გჳრგჳნი ჯუარისაგან -
ვრცელი ღუაწლი აღასრულო; და სამგზის ჴმობა - სამნი ნიჭნი

1-29 სტრ., 107
არიან შენდა ღვთისაგან, რათა შენ მიერ დაემტკიცოს ჭეშმარიტება
საქართველოსა შინა კათალიკოზ-ეპისკოპოზითა და სძლევდე მტერ-
თა შენთა და არა შევარდე ჴელთა შინა მტერთასა; ხოლო აღსას-
რულსა შინა გჳრგჳნი მოწამეობისა მიიღო“.

და ვითარ დილისად განიფრთხო მეფემან, მოუწოდა პეტრეს
და სამოელს და მათ მოუთხრეს ჩუენება იგი ყოველი თჳნიერ ვახ-
ტანგის თქმისა; ამისთჳს დაირწმუნა მეფემან და წარგზავნა იგინი
წინაშე კეისრისა მშჳდობისათჳს. ამისმან მსმენელმან კეისარმან გა-
ნიხარა ფრიად და სთნდა, არამედ პირველივე წარმოევლინნა სპანი
და მათ შორის სპასპეტი პოლიკარპოს ძლიერი კეისარსა.

პოლიკარპოს მოსლვა

ამისთჳს მიზეზ-ყო ვახტანგ ესე სპარსთა თანა მოსლვა ბერ-
ძენთა და დაფარულისა მშჳდობისათჳს და უკმოეცალა პონტოს ხუ-

თის დღისა სავალსა. მაშინ მოვიდა ზღჳდამ პოლიკარპოს; ხოლო მეფესა არა ენება ბრძოლა წარვლინებულთათჳს კეისრისა თანა; არამედ განწყრა ერისთავი რანისა და აგინებდა ჯუარცმულსა და ეტყოდა მეფესა: „გძლია მამის-დედეულმან შენმან, რომელი იყო ბერძენი და მით არა გნებავს ბრძოლა“. ხოლო მეფემან მიუგო: „აჰა შენ და ბერძენნი და იხილო ძალი ჯუარცმულისა“.

მაშინ იქმნა ბერძენთა და სპარსთა შორის ბრძოლა ძლიერი და იძლივნენ სპარსნი და თჳთ პოლიკარპოს მოკლა ერისთავი რანისა და მოსწყჳდნა სპანი მისნი; არამედ არცა ჰრიდა მეფესა და მოვიდა მას ზედაცა. ამისთჳს მეფემან მოაღებინა ჯუარი, რათა ათაყვანოს სპანი ყოველნი, რომელსაცა არა თაყვანი-სცა ბარუხ მოვაკანელმან მთავარმან და მოკლა იგი ჯუანშერ სპასპეტმან წინაშე ჯუარისა. ამის მხილველთა ყოველთა თაყვანი-სცეს; არამედ მოგინებით მოვიდოდა პოლიკარპოს და არა დაიყოვნა მხილველმან ჯუარისამან. ესე იხილა რა მეფემან, რქუა სპათა თჳსთა: „ვინ არს მბრძოლი ამისი?“ და ვერვინ იკადრა განსვლად. მხილველმან მეფემან შეახო ჯუ-

1-28 სტრ., 108
არსა მახჳლი თჳსი და განვიდა და წამსვე იკუეთნენ სასტიკად; პოლიკარპოს სცა ოროლი ფარსა ვიგრისა მეფისასა და განავლო იქით წყართა ერთი; მიუჴდა ვახტანგ, უხეთქა თავსა ჴრმლითა და განუპო ორად და ნახევარი თავისა მოიღო წინაშე ჯუარისა; მყისვე იძლივნენ ბერძენნი და მოსწყჳდნეს, თჳნიერ რომელნი განერნეს ზღჳსა ნავებითა. შემდგომად ამისა განუტევნა მეფემან ტყუენი ღ˜პ ჩ˜ (780.000) ბერძენნი სპათა თჳსთაგან და წარავლინა ნასრე ერისთავი თჳსი წინაშე კეისრისა, რათა იხილონ ურთიერთნი, ანუ განაგოს საქმენი მათნი მუნითგან, რამეთუ მოსრულ იყო კეისარიცა პონტოს. მაშინ კეისარი ნავებით გამოვიდა ზღჳს კიდესა და ვახტანგცა მივიდა მუნ. ჰყვეს აღთქმა და იმზახლნენ, რამეთუ მისცა ლეონ ასული თჳსი [ელენე] ცოლად ვახტანგს (რამეთუ მომკუდარ იყო ჟამთა ამათ ცოლი ვახტანგისა ასული სპარსთა მეფისა შობასა ზედა ყრმისა დაჩისასა). კუალად აღუთქუა კეისარმან მოცემა კათოლიკოზისა და ეპისკოპოზთა და უკ-მოსცა კლარჯეთიცა, არამედ ეგრისწყალს-იქითი მიუღო კეისარმან ბერძენთა საზღვრებისათჳს (რომელი წარეღო ვახტანგს მკლავითა) და აღუთქუა ფიცით, ოდეს წარიყვანო ასული ჩემი, მივსცე მას ზითვად. მერმე უძღუნეს ურთიერთს ურიცხუნი და წარვიდა კეისარი; ხოლო ვახტანგ განუტევნა სპარსნი უვნოდ და თჳთ წარმოვლო გზა კლარჯეთისა და მოვიდა მცხეთას; არამედ ვერღარა მოიცალა მეფემან მოყვანად ცოლისა, რამეთუ მოელოდა სპარსთა და ამაგრებდა ციხე-ქალაქთა; ამისთჳს განასხნა ცეცხლის-მსახურნი და ეპისკოპოზი მათი ბინაქარ შეაგდო საპყრობილესა;

ხოლო დასუა სხუა ჭეშმარიტი ეპისკოპოზი ღირს მიქელ.

შემოსლვა სპარსთა მეფისა

შემდგომად სამისა წლისა წარმოემართა სპარსთა მეფე, რამეთუ მოკუდა ხუასრო და დაჯდა ძე მისი. ამისმან მცნობმან ვახტანგ წარუვლინა კეისარსა მაცნე, „აჰა, რომელიც აღგითქუ, მოსრულან

სპარსნი სიმარჯუესა; მოვედ და მოვსრნათ ყოველნი“.ხოლო მოვიდაცა სპარსთა მეფე სპითა ტ˜ ჩ˜ (300.000) და დაიბანაკა ცხენისტერფს ჩაღმა ქ˜სა უ˜ჲდ, ქართულსა ს˜ივ.არამედ ვახტანგის სპათა მჴედართა რ˜ჩ˜ (100.000) და მკჳრცხლთა რ˜ ჩ˜ (100.000) დაებანაკათ დიღმითგან ვიდრე ქართლის კარამდე და იყო მათ შორის ბრძოლა მარადის ოთხ თთუე და ბუმბერაზთა კუეთებანი: ზოგჯერ მათ სძლიან და ზოგჯერ ამათ. არამედ ვახტანგს შეექმნა მუზარადსა ზედა წინ მგელი და უკანით ლომი გამოქმნული და საითაც იყვის ბრძოლა ძლიერი, მიუჴდის ვახტანგ და დაფრიწის; ამისთჳს სპარსნი უყიოდნენ ურთიერთს: „მირიდეთ გორგ-ასლანს“ (რომელი მგელლომად ითარგმნების) და მიერითგან იწოდა გორგ-ასლან.

ჟამთა ამათ შეიპყრეს ვახტანგის ცოლის მამამძუმე რაჟდენ, რომელმან მოკლნა მრავალნი გოლიათნი და მჴნედ იბრძოდა. ამას აიძულებდნენ უარყოფად ქრისტესსა, ვინაჲთგან მოქცეულ იყო ცეცხლის-მსახურებისაგან; ხოლო მან არა უარყო ქრისტე და იწამა მათ მიერ ქრისტესთჳს.

შემდგომად მოიწია კეისრის დესპანი და მოეთხრა: „მე შევექეც წყობათა ხაზართასა; ხოლო შენდა წარმომივლენია ლეონ პატრიკი პ˜ ჩ˜ (80.000) მჴედრით და თუ გინებს სხუანიცა, აჰა ყოველი აღმოსავლეთი წინაშე შენსა“.

ამისმან მცნობმან სპარსთა მეფემან იხმია მცბიერობა და მოუთხრა ვახტანგს: „არიან თუ ღმერთნი ჩუენნი ღმერთნი, ეწივნენ თავთა თჳსთა; ხოლო ჩუენ ვართ ძმანი, რის-ძით მოვსწყდებით? არამედ ვჰყოთ მშჳდობა“. სთნდა ესე ვახტანგს და უმეტეს ყოველთა დიდებულთა მისთა და თჳთ ლეონ პატრიკსაცა ფრიადა და ჰყვეს ერთობადა ზავი.

მაშინ იწვია სპარსთა მეფემან ვახტანგ და უძღუნა მრავალნი. მერმე რქუა: „რა გნებავს ჩემგან ითხოვე. ხოლო ვახტანგ ლეონ პატრიკისა განზრახვითა მოითხოვა მშჳდობა ბერძენთა, ესე აღუძნდა

სპარსთა მეფესა და ეტყოდა: <<ამისთჳს ვყავ მშჳდობა შენთანა, რათა

1-26 სტრ., 110
შევიდეთ საბერძნეთს, რამეთუ აქა არს ამისთჳს ჩემთანა დესპანი ხა-
ზართა მეფისა; არამედ აწ აღმისრულებიერ განსაზღვრებითა ივბი-
მიანოსისათა>>.

შემდგომად მოუგზავნა სპარსთა მეფემან ვახტანგს: „ვჰყავ ყო-
ველი სათნო შენი და აწ ვითხოვ, რათა მომცე დაჲ შენი ცოლად და
შენ თჳთ წარმოხვიდე მწედ ჩემდა ინდოეთს, სინდეთს და აბაშთა
ზედა, რამეთუ მათგან დამდაბლებულ არს მეფობა ჩემი“. მსმენელსა
ვახტანგს მძიმედ აღუჩნდა, არამედ აიძულებდა ლეონ ყოფად ამისა,
ამისთჳს დართო ვახტანგ ნება წარსლვად ი˜ჩ˜ (10.000) მჴედრითა,
ხოლო ლეონ დაუტევა ი˜ჩ˜ მჴედარი და თჳთ წარვიდა წინაშე კეის-
რისა და ვახტანგ წარსცა ძღუენი კეისარსა არმაღანნი, სპარსთა მე-
ფისა მოძღუნილნი, ალვა სამასი, ამბარი და მუშკი ხუთას-ხუთასი
ლიტრა; ხოლო გჳრგჳნი და სტავრანი დაიჭირა თავისად.

წარსვლა ვახტანგისა ინდოეთს

მაშინ ვახტანგ დასუა ძე თჳსი დაჩი მეფედ წლისა ხუთისა და
დაჲ თჳსი მირანდუხტ მისცა სპარსთა მეფესა ცოლად და წარიყვან-
ნა თჳსთანი სამნი ერისთავნი: კლარჯეთისა, ოძრახესი და წუნისა,
და ეჯიბი თჳსი; ხოლო დაჩის დაუტევა შჳდნი: ქართლისა, ხუნანი-
სა, სამშჳლდისა, ჰერეთისა, კახეთისა, არგუეთისა და ეგრისისა; კუა-
ლად დედა თჳსი და დაჲ თჳსი ხუარანძე მოლოცვად იერუსალიმი-
სად წარიყვანა და მივიდნენ პირველად ბაღდადს, სადაცა მოერთო
ლეონ პატრიკი ი˜ ჩ˜ (ათი ათასითა) მჴედრითა და ქმნა სპარსთა მეფე-
მან ქორწილი ჯეროვანი ბაღდადს; მუნით მოვიდნენ ჯორჯანეთს,
მოსწყჳდნეს სრულიად და მათთა ადგილთა დასხნეს სპარსნი, ელამ-
ნი და მუნიდამ მოვიდნენ ინდოეთს და შესვლასავე მუნ იქმნა ბუნ-
ბერაზთა ბრძოლანი ძლიერნი, სადაცა ვახტანგ თავით თჳსით მოკლ-

1-29 სტრ., 111
ნა ბუნბერაზნი ათხუთმეტნი, რომელთაცა მოეკლათ მრავალნი ბუნ-
ბერაზნი სპარსთანი, და მოსტყუევნეს ინდოეთი, თჳნიერ ციხე-
ქალაქთაგან კიდე, და წარმოიღეს ალაფი დიდი სამ წელ მუნ მყოფთა
და მოვიდნენ სინდეთს; არამედ სინდთა მეფე იყო გმირი და გოლია-
თი; ამან განავსნა ციხე-ქალაქნი ლაშკრითა და მოუჴდიან სპარსთა
და მოსწყუედდიან ურიცხუთა; გარნა ვახტანგისნი არა-სადა იძ-
ლივნენ; არამედ ამა წყობათა შინა მოკლნა მრავალნი ბუმბერაზნი
სინდთა მეფემან სპარსთანი და ვერა-ოდეს შეხუდნენ ვახტანგი და

სინდი, ხოლო ქმნა ღამით სამალავი სინდმან და წარმოგზავნა ბუნ-
ბერაზი გამოთხოვნად ვახტანგისად, რამეთუ გორგასალის ხუედრი
იყო ქალაქის კართა დაცვა. მაშინ საურმაგ ეჯიბმან უყივლა: „არა
ხარ დარი მეფისა, რამეთუ ხარ მონა; გარნა მეცა მონა მოვიდე შენ-
და“. მიტევებულნი იკუეთნენ და სინდი ივლტოდა; ეწია საურმაგ,
სცა ოროლი ზურგსა და მოკლა; არამედ გამოვიდნენ სამალავით
მჴედარნი ი˜ბ და მოკლეს საურმაგცა (ესე ჰყვეს ვახტანგისათჳს, არა-
მედ ღმერთმან განარინა).

ვახტანგისა და სინდთ მეფის ბრძოლა
და ზრახვა

წყინებულ-მრისხანე ვახტანგ მიეტევა, არამედ იგინი შეივლ-
ტოდნენ ქალაქად. მაშინ სინდმან მეფემან უყივდა ვახტანგს: „უგუ-
ნურო! მგზავს ხარ ყუავისა, რომელმან პოვა ქორი მოწყლული, მი-
იღო ბუდესა თჳსსა და განჰკურნსა; ხოლო ქორმან რა მოიცა ძალი
ფრთითურთ, შეიპყრა ყვავი ბახლებითურთ, მოსწყჳდნა, იგემა და
განძლიერდა უმეტეს. არა იქო ყუავი მოწყალებითა, ვინაჲთგან არა
ყო საქმე გურისა, არცა იძაგა ქორი, რამეთუ ჰყო საქმე გურისა.
არა ჯერ-იყო შენდაცა, რამეთუ არიან სპარსნი მტერნი შენნი, და
განძლიერებულთა გიყონ შენცა ეგრეთ“.

მიუგო ვახტანგ: „ცოფო! მგზავს ხარ თხუნველისა, რომელ-
მან არა იცის ბრწყინვალება მზისა, დაძვრების მიწასა, რამეთუ მე

არა დიდებისა აწინდელისათჳს მსურს, არამედ მერმისა, რამეთუ მოს-
ლვითა ჩემითა განმირინებიეს მრავალნი ქრისტიანენი და მაქუს სა-
სოება ჯუარცმულისა, რათა მისთანაცა ვიდიდო“.მიუგო სინდმან:
<<ვინაჲთგან ესავ მომკუდარსა და შემდგომად სიკუდილისა სუფევად
ხარ მის თანა, ჯერ არს, რათაა მიისწრაფო. აწ ხვალისად გამოვედ და
წარგავლინო შენ, ვითარცა წავავლინე წარჩინებული შენი წინა-
მორბედად შენდა“.

დღესა მეორესა გამოვიდა სინდთა მეფე და აქათ განვიდა ვახ-
ტანგ და აქუნდათ ორსავ ოროლნი; ურბენდნენ ერთი-ერთსა, რათა
ღონისძიებითა უხეთქონ. მაშინ იცა ჟამი სინდმან, რათა სცეს ორო-
ლი ვახტანგს, არამედ ვახტანგ სიკისკასითა წარიცთუნა ოროლი მი-
სი და თჳთ შემოუმრგვალა, სცა სინდსა მას ოროლი მარცხენესა
ბეჭსა და განავლო წინათ წყრთა ერთი და გარდამოვარდა სინდთ მე-
ფე, ჩაყო ჴელი ვახტანგ და მოჰკიდა ფერჴსა მისსა და მოიღო თრე-
ვით წინაშე სპარსთა მეფისა; და შეასხმიდნენ ყოველნი ქებასა დიდ-

სა ვახტანგს, ხოლო სპარსთა მეფემან დაადგინნა მკურნალნი და განჰკურნეს სინდთ მეფე, და ითხოვდა მისგან ციხე-ქალაქთა.

გარნა ძესა მისსა ეპყრა შემდგომად შეპყრობისა მამისა. ამისთჳს ვახტანგ განუზრახა სპარსთა მეფესა, რათა აღიღოს ხარკი და მძევალი სინდთაგან და განუტევოს მეფე მათი. სთნდა ესე მეფესა სპარსთასა და ჰყვეს ეგრეთ ზავი მშჳდობისა. ამისთჳს ემოყუსა ვახტანგს სინდთ მეფე, პირველად რამეთუ არა მოკლა, და მეორედ მისით განტევებულ იქმნა და უძღუნა ურიცხჳ ვახტანგს. შემდგომად მუნით წარმოსრულნი მიიწივნენ აბაშეთს და სულგრძელად ბრძოდნენ რ~ გარდაუგდეს ჩალათა წყალი და შემდგომად განჴმობისა შევიდნენ, მოსწყჳდნეს, მოსტყუევნნე, მოაოჴრნეს და წარმოვიდნენ გამარჯუებულნი; ხოლო ვახტანგ ანტიოქიიდამ მოვიდა ურა ქალაქსა და მუნ დახუდნენ დედა და დაჲ თჳსი, წარმოვიდნენ და მოვიდნენ სომხითს. მუნიდამ განუტევა ლეონ პატრიკი და სპანი ბერძენთა და

წარავლინა დესპანიცა თჳსი მოყვანებად ცოლისა თჳსისა და კათალიკოზისა და ეპისკოპოზთა ი~ბ (რამეთუ ეტყოდა სპარსთა მეფე შერთვასა დისა თჳსისასა ცოლად ვახტანგს, არამედ ვახტანგ აუწყა სმა ცოლისა, რომლისათჳს დამძიმდა სპარსთა მეფე).

მოსლვა ვახტანგისა

ხოლო მცხეთის ეპისკოპოზმან სცნა მოყვანება კათალიკოზისა და მიზეზ-ყო ესე და შესწამა მეფესა დატევება ქრისტესი და დაჰკრულნა მეფე სპითურთ. იხილა მეფემან და იტყოდა: „გარნა თუმცა მართალ ვართ, არამედ ჯერ არს სიმდაბლე“. და მივიდა რათა ამბორს უყოს ფერჴსა; ხოლო მან განმარტა ფერჴი და ფანდაკითა შემუსრა კბილი მეფისა ქ~ესა უ~ობ, ქართულსა ს~კდ. რქუა მეფემან: „შურითა ჰქმენ ესე, რამეთუ მოვალს უხუცესი შენი და ამის ძლით რათა აღმძრა მეცა, არამედ მე არარაჲ გიყო შენ, გარნა წარგავლინო კოსტანტინეპოლედ“. ხოლო კოსტანტინეპოლს განსაჯეს იგი და მრისხანებით სისხლის დათხევისათჳს განკუეთეს არღარა წირვად და კადნიერებისათჳს მეფისა სიკუდილად და წარსცეს მონასტერსა მღჳძარებისასა ექსორიად საუკუნოდ.

შემდგომად მოვიდა ცოლი ვახტანგისა და კათალიკოზი და ეპისკოპოზნი ქ~სა უ~ოგ, ქართულსა ს~კე. მიეგება მეფე, მოიყვანა მცხეთას და ქმნა ქორწილი თჳსთა შემგზავსებული, რომლისა მზით-ვად მოეცა კეისარსა ეგრისწყალს-იქითი ქუეყანა. ხოლო მეფემან კათალიკოზად პეტრე დაადგინა მცხეთას და სამოელ მუნვე ზემო

ეკლესიასა ეპისკოპოსად; ხოლო სხუანი ეპისკოპოსნი დასხნა:

ა~ კლარჯეთს,

ბ~ ერუშეთს,

გ~ წუნას,

დ~ მანგლისს,

ე~ ბოლნისს,

ვ~ რუსთავს,

1-30 სტრ., 114
ზ~ ნინოწმიდას,

ჱ~ ჭერამს,

თ~ ჩელეთს,

ი~ ხორნაბუჯს,

ი~ა აგარაკს,

ი~ბ ნიქოზს წმიდის რაჟდენის საფლავსა ზედა.

ხოლო შემდგომად უშვა ვახტანგს ელენემ ორნი ძენი და ორნი ასულნი; ხოლო მისცა მეფემან დაჩის, ძესა თჳსსა, ქალაქნი ჭერამი, ნეკრესი და ხორნაბუჯი და ყოველი მტკურის აღმოსავლეთი და თჳთ დაჯდა უჯარმას, მოამტკიცა იგი და მატა ივერიასა შინა ციხე-ქალაქთა მაგრებანი მრავალთა წელთა.

შემოსლვა სპარსთა

შემდგომად მოკუდა სპარსთა მეფე და დაჯდა მის წილ ხოსრო, ძე მისი. ესე წარმოემართა ბრძოლად ბერძენთა და მოუმცნო ვახტანგს: „ესრეთ მაუწყეს მოხუცებულთა ჩემთა, რათა მოვიდე შენდა და შენ შემიძღუე საბერძნეთს“. ესმა რა ვახტანგს თქუა: „აღლესე, მჭედელო, მახჳლი, რათა მსწრაფლ განგეწონოს“; არამედ მიუმცნო სპარსთა: „პირველად განემზადე ბრძოლად ჩემდა და მერმეღა შევედ საბერძნეთს“. კუალად წარგზავნა კეისრისა თანა და აცნობა ყო-

ველი; თჳთ დაადგრა უჯარმას და განამაგრნა ციხე-ქალაქნი ივე-
რიისანი და ველისათა უბრძანა შევლტოლვად კავკასიად და მთათა
და სიმაგრეთა.

მოვიდნენ სპარსნი და შემუსრნეს ციხე-ქალაქნი ჰერეთისანი და
დაიბანაკეს იორსა ზედა ღ~მ ჩ~(740, 000) ლაშკრითა ქ~სა უ~ჟო, ქარ-
თულსა ს~ნა. არამედ სამ დღე მარადის იყო ბრძოლა და დაეცემო-
დიან ორ-კერძოვე ურიცხუნი; მაშინ ვახტანგ განჰყო სპა თჳსი,
ქუეითნი კ~ ჩ~ (20,000) მიავლინა მთით კერძო, სპასალარი კ~ჩ~
(20,000) მჴედრითა ერთ კერძ და თჳთ სპითა რ~ჩ~ (100,000) დაესხა
განთიად, შევლო ვახტანგ და შეუჴდა ხოსრო მეფესა, ხოლო ხოს-
რო ივლტოდა და მოკლა ძე მისი; არამედ მუნ ბრძოლასა სპარსმან

ვინმე სცა ისარი ვახტანგ მკერდსა.გარნა იყო ბრძოლა შუადღემდე.
იძლივნენ სპარსნი და მოკუდა მათგანი რ~ლ ჩ~ (130,000) და ვახ-
ტანგისანი კ~ზ ჩ~ (28,000) და წარმოიღეს ნატყუენავი ურიცხუნი.

ხოლო სპარსნი სიდიდისათჳს სპისა ჩადგნენ რუსთავს, რამეთუ
მოსწყლეს რა მეფე, ვერღარა სდევნიდნენ და დამძიმდაცა ვახტანგ
წყლულებითა, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფილტვამდე. ამის მცნო-
ბთა სპარსთა მოაოჴრეს ქართლი; არამედ ციხე-ქალაქნი ვერა რო-
მელნი შემუსრნეს; მაშინ მსმენელი კეისარი სპითა დიდითა წარ-
მომართებულ იყო შუელად ვახტანგისად.

სცნეს სპარსთა მოსლვა კეისრისა და მიეგებნენ კარნიფორას და
ბრძოლასა მათსა მოსწყდა სპანი ურიცხუნი ორგნითვე, რამეთუ
მდინარე სისხლისა დიოდა; ვერა რომელმან სძლო და შეიქცნენ
თჳს-თჳსად; არამედ ვახტანგ დამძიმდა ფრიად სიკუდიდ. მაშინ მის-
ცა ძესა თჳსსა დაჩის მეფობა და კეისრის ასულისაგან ნაშობთა
ტაშისკარს ზეითი ზღუამდე საერისთოდ და ამცნო სიყუარული და
განუშორებლობა ბერძენთა. შემდგომად გარდაიცვალა მჴნე და მო-
წამეობისა ღირსი გორგასალ ქ~სა უ~ჟთ, ქართულსა ს~ნა.

ლ~დ. მეფე დაჩი

ი~ე წელი მეფა

დაჯდა მეფედ დაჩი, ძე მისი, და იწყო შენებად მოოჴრებულისა.
ამას ჟამსა შინა მოკუდა კათალიკოზი პეტრე და დასუა სამოელ. ამან
მეფემან უბრძანა მთიულთა კახეთისათა ქრისტიანე-ყოფად, ხოლო
მათ არა ინებეს და განდგნენ ნოხპატელნი. შემდგომად მოკუდა ძე

ვახტანგისა ლეონ და დაშთა ძმა მისი მირდატ. ხოლო ამ მირდატს

გაუცვალა დაჩიმ ქუეყანა ჯავახეთისა და უკ-მოიხუნა ეგრისწყალს-ქუემოთი ქუეყანა დედეული მირდატისა და ერისთაობდა მირდატ ტაშისკარიდამ ზღვადმდე მორჩილებასა ქუეშე დაჩი მეფისასა. არა-მედ ამან დაჩიმ მეფა კეთილად, შემდგომად გარდაიცვალა ქ˜სა ფ˜იდ, ქართულსა ს˜ჲვ.

ლ˜ე. მეფე ბაკურ ი˜გ წელი მეფა

მეფე იქმნა ძე მისი ბაკურ და მეფობდა კეთილად და უშფოთვე-ლად, რამეთუ არა-სადა აღუჩნდა მტერი დღეთა მისთა. შემდგომად გარდაიცვალა ქ˜სა ფ˜კჱ, ქართულსა ს˜პ.

ლ˜ვ. მეფე ფარსმან

ი˜დ წელი მეფა

გამეფდა ძე მისი ფარსმან და დაიპყრა ყოველი გიორგია. ჟამსა ამისსა მოკუდა კათალიკოზი სამოელ, დასუა თავფეჩაგ. მოკუდა იგი-ცა, დასუა ჩიგირმან; არამედ აქამომდე იყო მშჯდობა და მორჩილებ-დნენ ძენი მირდატისანი ფარსმანს. შემდგომად მოვიდა სპარსთა მე-ფე ქ˜ესა ფლ˜ვ, ქართ. ს˜კჱ და მოაოჴრა ქართლი. მაშინ ამან ფარს-მან ითხოვა მშჯდობა და აღუთქუა მორჩილება. ხოლო მან უსმინა და დაიცვნა ეკლესიანი შეუძვრელად. და წარვიდა, მიერითგან გა-ნიყვნენ ნათესავნი გორგასალისანი: ფარსმან ერჩდა სპარსთა, ხოლო ძენი მირდატისანი ბერძენთა. შემდგომად ამისა გარდაიცვალა ფარს-მან მეფე ქ˜ესა ფ˜მბ, ქართულსა ს˜ჟდ.

ლ˜ზ. მეფე ფარსმან

ი˜ე წელი მეფა

შემდგომად მისა დაჯდა ძმისწული ფარსმან მეფისა ფარსმანვე სახელით მეფედ; არამედ იყო ფრიად მორწმუნე და მატა ეკლესია-თა. ჟამსა ამისსა მოკუდა კათალიკოზი ჩიგირმან. დასუა საბა. ამი-

ერითგან არღარა მოიყვანდიან კათალიკოზსა საბერძნეთიდამ, არა-მედ დასხმიდიან წარჩინებულ-დიდებულთა ძეთა. კუალად მოკუდა კათალიკოზი საბა; ამანვე დასუა ევლავიოზ. ამისვე-ზე მოვიდნენ ი˜გ

მამანი შუამდინარიდამ. მიეგება ევლავიოზ კათალიკოზი და მოი-
კითხა ასურულითა ენითა; ხოლო მათ ქართულ პასუხ-უგეს, რამეთუ
უცნობელნი იყვნენ ორნივ ენათა ურთი-ერთთა, რომელთაცა სა-
ხელები ესენი არიან:

ა~, იოანე ზედაძნელი;

ბ~, დავით გარეჯელი;

გ~, სტეფანე ხირსელი;

დ~, იოსებ ალავერდელი;

ე~, ზენონ იყალთოელი;

ვ~, ანტონი მარტომყოფელი;

ზ~, ისე წილკანელი;

ჱ~, თათე მამებელი;

თ~, შიო მღვიმელი;

ი~, ისიდორე სამთავნელი;

ი~ა, აბიბოს ნეკრესელი;

ი~ბ, მიქელ ულუმბელი;

ი~გ, პიროს ბრეთელი;

ი~დ, და ელია დიაკონი;

განმანათლებელნი და აღმაშენებელნი ეკლესია-მონასტერთა
ქართლისათანი. ხოლო შემდგომად მეფა ამან ფარსმან კეთილად,
და გარდაიცვალა ქ~ესა ფ~ნზ, ქართ. ტ~თ.

ლ~ჱ. მეფა ბაკურ ი~გ წელი მეფა

მის წილ ძე მისი ბაკურ მეფე იქმნა. იყო ფრიად მორწმუნე და
მაშენებელი ეკლესიათა. ამან განწმიდა გიორგია ურწმუნოებისაგან

1-25 სტრ., 118
და განამრავლნა მღუდელნი და დიაკონნი; მოკუდა კათალიკოზი ევლავიოზ და დასუა მაკარი. ხოლო ჟამსა ამისსა იყო სომხითს მთავარი სახელით ვასქენ. ესე წარვიდა წინაშე სპარსთა მეფისა, უარჰყო ქრისტე და იქმნა ცეცხლის-მსახურ; ხოლო სპარსთა მეფემან მისცა ერისთობა რანისა და წარმოგზავნა. ამას ვასქენს ჰყვა ცოლი შუშანიკ და აიძულებდა დატევებად ქრისტესა, არამედ შუშანიკ არა ინება და მან მოკლა იგი ტანჯვითა ფიცხელითა. მცნობმან მეფემან ბაკურ შეკრიბა სპა თჳსი და წარვიდა უგრძნეულად; ხოლო ვასქენ იდგა ველსა ზედა კიდესა მტკურისასა, სადა ერთვის მდინარე ანაკერტისა. მუნ დაესხა ბაკურ მეფე, შეიპყრა ვასქენ და დაჭერილი მოჰკიდა ძელსა; ხოლო გუამი შუშანიკისა წარმოიღო და დადვა ცორტავს. შემდგომად წარგზავნა დესპანი სპარსთა მეფისა წინაშე და მოითხოვა შენდობა; ხოლო სპარსთა მეფესა არა ენება შეერთებსა მეფისა ბერძენთა თანა; ამისთჳს გმო ვასქენ და მოუმცნო ბაკურს კეთილის-ყოფად და წარმოგზავნა სხუა ერისთავი რანს. მერმე მოკუდა კათალიკოზი მაკარი და დასუა სჳმეონ. შემდგომად მოკუდა ბაკურ მეფეცა ქ˜სა ფ˜ო, ქართულსა ტ˜კბ.

შემოსლვა ქასრესი

გუარამ კუროპალატი (575-600)

ხოლო ძენი ბაკურ მეფისანი ვერ იპყრობდნენ მეფობასა სიმცირითა და დაშთნენ კახეთს. მაშინ სპარსთა მეფემან წარმოგზავნა ძე თჳსი ქასრე ერისთავად რანისა და მოვაკანისად. ამან ქასრე წარი-..ბირნა ერისთავნი საქართველოსანი და მანვე მოსცა სამკჳდროდ საერისთონი და ნიჭნი დიდნი. განდგნენ თჳს-თჳსად ერისთავნი ივერიისანი და ხარკსა მისცემდნენ ქასრეს და ძენი ბაკურ მეფისანი იყვნენ მთიულეთს და ძენი მირდატისნი კლარჯეთს. სხუა ყოველი ქარ-

1-16 სტრ., 119
თლი, სომხითი დაიპყრეს სპარსთა და ბრძოდნენ ბერძენთა. შემდგომად ამისა იქმნა შფოთი სპარსეთს და წარვიდა ქასრე შუელად მამისა თჳსისა, რამეთუ უცალო იქმნენ სპარსნი; მაშინ შეიკრიბნენ ყოველნი ივერიის ერისთავნი და ითხოვეს მეფედ თჳსად ბერძენთა კეისრისაგან ნათესავი თჳსთა მეფეთა. ესე მოთხოვნა იყო, ოდეს უფლებდნენ აზნაურნი და მოაკლდა უფლება მათი ბოროტთა მათთაგან.

მასვე ჟამსა მცხეთა აღთხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა; არმაზი შემცირდებოდა და კალა გამდიდრდებოდა. ხოლო კეი-

სარმან მოსცა მეფედ გუარამ ასულის-წულისაგან ვახტანგ გორგა-
სლისა მირდატის დისაგანი და თჳთ ბაგრატოვანი და კეისარმან მოს-
ცა გუარამს კურადპალატობა და პატივ-სცა და შემოკრბნენ ყოველ-
ნი ერისთავნი და სპასპეტნი ივერიისანი, კათალიკოზი სჳმეონ და
ეპისკოპოზნი და აკურთხეს გუარამ მეფედ გიორგიისად დასაბამით
წ˜ფკდ, ბერძულსა ხ˜პგ, ქ˜ესსა ფ˜ოე, ქართულსა ტ˜კზ, ინდიკტიონ-
სა ჱ˜.

1-19 სტრ., 120

საქართველოს ძველი ისტორია: ბაგრატიონთა მეფობა

ბაგრატიონთა გამეფება

ლ˜თ მეფე გუარამ. კ˜ე წელი მეფა

ესე გუარამ მეფე იყო ფრიად მორწმუნე და მაშენებელი ეკლესია-
თა. ამის-ზე მოკუდა კათალიკოზი სჳმეონ და დასუა სამოელ. ხოლო
შვილთა ბაკურ მეფისათა დაიპყრეს კახეთი და ჰერეთი და ერისთობ-
დნენ მუნ მორჩილებასა შინა გუარამ მეფის კურადპალატისასა. შემ-
დგომად კეისარმან წარმოსცა განძი დიდი გუარამს, რათა გამოიყვა-
ნოს ჩრდილოთ ლაშკარი და ბრძოდეს სპარსთა. ხოლო გუარამ გა-
მოიყვანნა ოვსნი, ძურძუკნი და დიდონი, წარუძღუა სპითა საქარ-
თველოსათა; სტყუევნიდა და აოჴრებდა ადრაბაგანსა მრავალსა ჟამ-
სა. არამედ ოდეს ბარამ ჩუბინმან მოკლა თურქთა მეფე და აოტნა
თურქნი, ამით მოცალე იქმნეს სპარსნი. მცნობნი ამისნი ბერძენნი
და ქართველნი უკ-მოიქცნენ თჳსადვე. ხოლო გუარამ ამაგრებდა
ციხე-ქალაქთა მოლოდინისათჳს სპარსთასა; გარნა წყალობა ჰყო
ღმერთმან, შეიპყრა ბარამ ჩუბინმან სპარსთა მეფე ორმუზ ცოლის-
ძმითურთ და დასწუნა თუალნი და ქასრე ძე მისი ბრძოლასა შინა
აოტა. ხოლო ქასრე ლტოლვილი მივიდა წინაშე კეისრის მავრიკისა;
ამას ქასრეს მისცა ასული თჳსი მავრიკ ცოლად და სპანი ძლიერნი

1-28 სტრ., 121

(არამედ იურვა კეისარმან, რათა არა შურ-აგოს ქართლსა, არამედ
იყოს ჩუენ შორის თავისუფლად; ხოლო ქასრემ აღთქმითა დაუმტ-
კიცა და განთავისუფლდა ივერია).

მოვიდა და დაიპყრა სპარსეთი

ქასრემ; არამედ გუარამ კურადპალატი მეფობდა კეთილად; გარნა
ერისთავნი ვერ სცვალნა, ვინაჲთგან გუჯრით აქუნდათ [მფლობე-
ლობა] კეისრისა და სპარსთა მეფისაგან, გარნა მორჩილებასა შინა
გუარამისსა იყვნენ. კუალად მოკუდა კათალიკოზი სამოელ და დას-
უა სამოელვე; შემდგომად თჳთცა გარდაიცვალა ქ˜სა ქ˜, ქართ.
ტ˜ნბ.

მ˜. მთავარი სტეფანოზ. ი˜თ წელი მთავრა

დაჯდა ძე გუარამ კურადპალატისა სტეფანოზ. არამედ ამან ვერ იკადრა წოდებად მეფობის სახელითა სპარსთა და ბერძენთა რიდითა; გარნა ერისთავთ-მთავრად ხადოდენ. ხოლო იყო ესე სტეფანოზ ურწმუნო და უშიში ღვთისა. ამის-ზე მოკუდა კათალიკოსი სამოელ და ამან დასუა ბართლომე. კუალად იქმნა შფოთი საბერძნეთს, რამეთუ ფოკა მჴედარმან შეიპყრა მავრიკ კეისარი და წინაშე თუალთა მისთა მოუსრნა ძენი მისნი, მერმე მოკლა მავრიკცა და იქმნა თჳთ კეისარი. მაშინ ქასრემ იწყო ძიებად სისხლთა სიმამრისა თჳსისათა და ესე სტეფანოს მთავარი განდგა ბერძენთაგან და მიერთო სპარსთა; ხოლო ქასრემ, რომელი არს ხოსრო, მოსტყუევნა და მოწვა საბერძნეთი და იერუსალიმიდამ წარმოიღო ძელი ცხოვრებისა და შეიქცა სპარსეთადვე.

ერეკლე კეისრის მოსლვა

შემდგომად აღდგა ერეკლე და შეიპყრა ფოკა კეისარი და დაწვა იგი ცეცხლითა და თჳთ გაკეისრდა. შეიკრიბნა სპანი ურიცხუნი და წარმოვიდა ძიებად ჯუარისა ცხოველისად და პირველად მოვიდა ქართლს. ხოლო სტეფანოზ არა ინება განდგომა სპარსთაგან და განამაგრნა ციხე-ქალაქნი და ბრძოდა ტფილისით-გამო (რამეთუ

იყო მჴნე, ახოვანი, ძლიერი და მინდობილი თავისა თჳსისა და მოსწყუედდა ბერძენთა დღეთა მრავალთა).

შემდგომად ბრძოლასა შინა ჩამოაგდეს და მოკლეს სტეფანოზ ქ˜სა ქ˜ით, ქართულსა ტ˜ოა; არამედ ციხისთავმან არა მოსცა ციხე კალისა; აგინაცა კეისარსა ერეკლეს ესრეთ: „რომელსა გასხენ წუერნი ვაცისა და კისერი ვაც-ბოტისა“. მსმენელი კეისარი იტყოდა: „არა არს თქმული ესე ცუდ“; მოაღებინა წიგნი დანიელისა და ჰპოვა მას შინა: „გამოვიდეს ვაცი დასავლეთისა და შემუსროს რქა აღმოსავლეთის ვერძისა“. განიხარა წინასწარმეტყუელებისათჳს და წარვიდა სპარსეთად; ხოლო ტფილისს დაუტევა ერისთავი თჳსი ჯიბღუ და მთავრად ქართლისა ადარნასე, ძე ბაკურ მეფისა, რათა ბრძოდნენ ციხესა; გარნა მათ მცირესა ხანსა წარუხუნეს ციხე კალისა და გამოიყვანეს ციხისთავი, განუტენეს პირი დრაჰკნითა წინასწარმეტყუელებისათჳს კეისარისა; შემდგომად განჴადეს ტყავი კადრებისათჳს კეისრისა უშუერთა და მისწიეს კეისარსა ტყავი მისი. მაშინ კუალად წარუხუნეს ბერძენთა საზღვარი ქართლისა სპერი და ბოლო კლარჯეთისა, ზღჳს პირნი და ეგრისის წყალსიქითი,

ხოლო შვილნი სტეფანოზ მთავრისანი დაშთნენ კლარჯეთს და მუნ იზრდებოდნენ და სხუა ყოველი ივერია დაიპყრა ადარნასემ, ძემან ბაკურ მეფისმან.

მ˜ა. მთავარი ადარნასე კ˜წელი მთავრა

ხოლო მთავრობდა ესე ადარნასე ივერიასა ზედა; არამედ ერისთავნი იყვნენ თჳსთ-თჳსთა საერისთოთა შეუცვალებელად და მორჩილებდნენ ადარნასეს. ამის-ზე მოკუდა კათალიკოსი ბართლო-მე და ამან დასუა იოვანე. ამ ადარნასეს მთავრობის მესამის წლის შემდგომად გამოჩნდა მაჰმად მოძღუარი სარკინოზთა. კუალად მო-კუდა კათალიკოზი იოვანეცა და დასუა ბაბილა; ხოლო კეისარმან

1-27 სტრ., 123
მოსტყუევნა სპარსეთი, მოკლა ქასრე და წარმოიღო ჯუარი პა-ტიოსანი და მოვიდა კუალად ქართლს და განავლინნა ქადაგნი, რათა შევიდნენ ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიათა შინა და სხუანი ურწ-მუნონი გარე მოისრნენ; არამედ ურწმუნონიცა შეერივნენ ქრის-ტიანეთა თანა და არა ინებეს ქრისტიანე-ყოფად. მაშინ მიავლინა კეისარმან მახჳლი და მოსრნა, რამეთუ მდინარენი სისხლისანი სდი-ოდნენ ეკლესიით-გამო და განსწმიდა სჯული ურწმუნოთაგან; შევ-ლო და წარიღო მანგლისიდამ ფერჯის ფიცარი უფლისა და ერუშე-თიდამ სამსჭუალი. ამათთჳს ევედრა ადარნასე მათავარი, რათა არა მიუხუნას ნიჭნი ესე, არამედ არა უსმინა და წარუხუნა. შემდგომად მოკუდა კათალიკოზი ბაბილა; ამანვე დასუა თაბორ. შემდგომად მოკუდა ადარნასე ქ˜სა ქ˜ლთ, ქართულსა ტ˜ჟა.

მ˜ბ. მთავარი სტეფანოზ. კ˜დ წელი მთავრა

დაჯდა ძე მისი სტეფანოს მთავრად და ვერცა ამან იკადრა სახელი მეფობისა წოდებად, არამედ იყო მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა და განმწმენდელი სჯულისა; ხოლო გამოჩინებულ იყო მოძღუარი სარკინოზთა მაჰმად (ქ˜ესა ქ˜კბ, ქართ. ტ˜ოდ) და და-ეპყრა ყოველი არაბეთი და იამანეთი. მოკუდა იგი დაჯდა მის წილ აბუბექირ. ესე შევიდა ბაღდადს და დაატევებინა სპარსთა იძულებით ცეცხლის-მსახურება და ყვნა სარკინოზად (რამეთუ შესლვითგან ერეკლე კეისრისა შეავებულ იყვნენ სპარსნი და ვერ-ღარა წინააღუდგნენ). მოკუდა აბუბექირ და დაჯდა ომარ. ესე უმე-ტეს განძლიერდა; ამისთჳს გამოვიდა კეისარი ერეკლე ბრძო-ლად მისა პალესტინეს შინა; არამედ აუწყა მონაზონმან ვინ-მე, რამეთუ „მისცაო ღმერთმან აგარიანთა აღმოსავლეთი; უკუნ იქეც“. ხოლო შექცევასა კეისრისასა დაჰფლვიდნენ საგანძურსა

ბერძენნი; ხოლო სტეფანოზს ესხნენ ორნი ძენი მირ და არჩილ.

ამ ჟამსა განყო საგანძური თჳსი სტეფანოს, ნახევარი მისცა მირს და ნახევარი არჩილს. კუალად საგანძურნი ქართლის ეკლესიათა დაფლეს აჩრდილსა მცხეთისასა. შემდგომად სტეფანოზ და მირ წარვიდნენ ეგრისს; ხოლო არჩილ საგანძური დაფლა უჯარმის ჴევ-სა და საგანძურნი ქართლისა გორს, რომელი კეისარს ერეკლესავე განეჩინა. ამისა შემდგომად არჩილცა შევიდა ეგრისს და მუნ ყო-ფასა შინა მოკუდა სტეფანოზ მთავარი ქ˜სა ქ˜ჲგ, ქართულსა უ˜იე.

მ˜გ. მეფე მირ. 5 წელი მეფა

შემდგომად გამეფდა ძე სტეფანოზისა მირ. ამის მეფობის მე-ოთხესა წელსა, ეგრისს ყოფასა შინა კათალიკოზობასა თაბორის-სა, მოვიდა მურვან ყრუ, დისწული მაჰმადისა სპითა უამრავითა; ვერავინ წინააღუდგა, შემუსრა სომხითი, ქართლი, რანი და ყოვე-ლი კავკასია; ხოლო სცნა რა მეფისა ეგრისს ყოფა, შთავიდა არ-გუეთს და მუნ ეწყუნენ მუნებურნი მთავარნი დავით და კოსტანტი-ნე და მოსწყჳდნეს სპანი მისნი მრავალგზის. შემდგომად მბრძოლნი შეიპყრნეს და მიჰგვარნეს მურვან ყრუს; ხოლო იგი აიძულებდა უარყოფად ქრისტესა; არამედ მათ არა ინებეს და მოსწყჳდნა ტან-ჯვითა ქუთათისს.

მაშინ იყვნენ მირ და არჩილ ანაკოფიას ციხესა შინა, სადაცა არს ხატი ჴელით-უქმნელი დედისა ღვთისა. მივიდა მურვან ყრუ და მო-ადგა გარს. მას ჟამსა იქმნა სასწაული სარკინოზთა შორის, რამე-თუ აღშფოთდნენ და ესმათ მეფეთ ჴმა ზეგარდამო: „განვედით ბრძოლად“; განვიდნენ და მოსწყჳდნეს ურიცხუნი მცირედთა; არა-მედ მოიწყალა მირ, და სარკინოზნი უკუნ იქცნენ მეოტნი; განვლეს გზა გურიისა და მიიწივნენ ბაღდადს; ხოლო მეფეთა წარგზავნეს დესპანი წინაშე კეისრისა კოსტანტინესა და აცნობეს ესე ყოველი; ამის წილ კეისარმან წარმოსცა გჳრგჳნი და შესხმა დიდი, „ვინაჲთ-

გან დაბრკოლებითა თქუენითა უკუნიქცნენ სარკინოზნი“; კუალად ლეონისთჳს მოეცა მკჳდრად ერისთაობა აფხაზთა მსახურებისათჳს მეფეთასა (რამეთუ ესე ლეონ პირველ ერისთავი იყო მუნ კეისრისა-გან); არამედ შემდგომად დამძიმდა წყლულება მირ მეფისა.ამისთჳს აუწყნა ყოველნი საგანძურნი არჩილს და შეჰვედრა სამეფო და ასულნი თჳსნი შჳდნი და ამცნო ასულთა თჳსთათჳს, რამეთუ „შენ უწყი, არა შეგვირთავს ასულნი ჩუენნი ერისთავთათჳს, რამეთუ „ შენ

უწყი, არა შეგვირთავს ასულნი ჩუენნი ერისთავთათჳს, არამედ გარემოთა ჩუენთა მეფეთათჳს, ხოლო აწ მიეც ერისთავთა საქართველოსათა“. კუალად აუწყნა ყოველნი საგანძურნი თჳსნი დაფლულნი. და შემდგომად მცირედისა ჟამისა გარდაიცვალა მირ მეფე ქ˜სა ქ˜ჲ ქართულსა უ˜კ.

მ˜დ. მეფე არჩილ. ნ˜წელი მეფა

გამეფდა ძმა მისი არჩილ; ხოლო მისცა ერთი ასული მირ მეფისა გუარამ კურადპალატის მამის ძმის-წულის ძესა და სხუანი ერისთავთა ქართლისათა, ვითარცა ემცნო მირ მეფესა; არამედ ლეონ ევედრა, რათა მისცეს მასცა ასული მირისა და ჰყოს საუკუნოს მორჩილება-მსახურებასა შინა; მისცა მასცა და გჳრგჳნი წარმოგზავნილი კეისრისა კეთილსტუმრებისა მსახურებისა და საუკუნოდ მორჩილებისათჳს. შემდგომად წარმოვიდა და განაგო ეგრისი, რამეთუ მოსლვასა ყრუსასა არა დაშთა შენებული ივერიასა შინა. კუალად გარდმოვიდა ნაციხარსა ჴიდრისასა; მუნ მოვიდა მისთანა ადარნასე ბაგრატოვანი, ძმისწული ადარნასე ბრმისა, ითხოვა ყმობა მკჳდრობისა და მისცა არჩილ შულავერი და არტანი; შემდგომად მოვიდა კახეთს და მიუბოძა ტაძრეულთა თჳსთა კახეთი და აზნაურ ჰყვნა; მერმე შეირთო ცოლად ასული ძეთა გუარამ კურადპალატისაგანთა, რომელი იყო შვილთა ასულთაგან ვახტანგ გორ-

გასლისათა. კუალად ეპყრა საერისთვოდ თუში და ხუნძახი და მთისა წარმართნი აბუხოსროს, და არა ინება არჩილ წუქეთიცა მისდა, ვინაჲთგან ჰპოვა წუქეთს მთავარი, რომლისათჳს მიებოძა ვახტანგს წუქეთი. კუალად მოესრა ნოხპატელთა სიმრავლე ყრუსა და არჩილ ნათელ-სცა მათ იძულებით. შემდგომად მოიყვანნა ძმისწულნი ადარნასეს ბრმისანი და დასხნა შაკიხათ და დაემკჳდრნენ იგინი გულგულადმდე და მისცა ქურივი აბუხოსროსი და წუქეთი ციხე კარითურთ. ამასვე ჟამსა პატიახშნი, რომელნი არა შეუშუნეს კლარჯეთს, წარვიდნენ ნახევარნი ტაოს და აღაშენეს ციხე კალმახი და დაიპყრეს იგი მათ. ხოლო ეშვა არჩილს ძენი ორნი იოანე და ჯუანშერ და ასულნი ოთხნი. შემდგომად ორმოცდაათი წლის გარდასლვისა თუმცა იყო მშჳდობა, გარნა არა მოგებულ იყო კუალსავე თჳსსა გიორგია, რამეთუ განერყვნა ყრუსა, თუმცა განვლო წელიწადმან მრავალმან. მაშინ მოვიდა ნათესავი მაჰმადისა ჭუმჭუმასიმ და ვერვინ წინააღუდგა, შემოვიდა, შემუსრა ქართლი და იწყო შელსვად კახეთად (ამისაგან იყო შიში დიდი მეფეთა და მთავართა ზედა) ქ˜სა ღ˜იჲ, ქართულსა უ˜ო. ხოლო არჩილ განიზრახა მისლვად მისთანა და დადვა სული დაცვისათჳს ქუეყანისა. მისრულსა არ-

ჩილს მოეგება ასიმ და შეიყუარა ახოვანებისა და შუენიერებისათჳს და პატივ-სცა ფრიად; შემდგომად აიძულებდა დატევებად ქრისტე-სა, არამედ არჩილ აღირჩია სუფევა საუკუნო წარმავალისაგან და იწამა გუემითა და ტანჯვითა; შემდგომად აღესრულა წარკუეთი-თა თავისათა და აწ იხარებს წინაშე ქრისტესა; ხოლო ასიმ უკუნ-იქცა და წარვიდა ამის მყოფელი.

მ˜ე. მთავარნი იოანე და ჯუანშერი.

ჲ˜თ. წელი მთავრეს

შემდგომად მისა ძენი არჩილისანი იოანე წარვიდა ეგრისს და წარიყვანა დედა და ორნი დანი თჳსნი და ჯუანშერ დაშთა ქუეყა-ნასა ქართლ-კახეთისასა; არამედ იყო უმრწემესი დაჲ მისი ფრიად

შუენიერებით კეკლუცი. ესმა ამისათჳს მეფესა ხაზართასა და მან მოითხოვა ცოლად და აღუთქუა შუელა სარკინოზთა ზედა; გარნა ამათ არა ინებეს შეგინება დისა თჳსისა წარმართისაგან. მცნობმან ხაზართა მეფემან წარმოავლინა სპასპეტი თჳსი ბულჩან; გარდა-მოვლეს გზა ლეკეთისა და მოადგნენ სადაცა ციხესა იყო ჯუანშერ; ხანსა მცირესა შინა გამოიყვანეს და შემუსრეს ტფილისი საფუძვე-ლითურთ ქ˜ესა ღ˜ლა, ქართულსა უ˜პგ; წარვლეს გზა დარიელასი; არამედ შუშან აღირჩია სიკუდილი, ვიდრეღა შეიგინოს წარმართი-საგან. აქუნდა სამსალა ბეჭედსა; მოსწოვა იგი და მოკუდა; გარნა სპასპეტმან წარიღო გუამი მისი და ჯუანშერცა წარიყვანა; და მივი-დნენ ხაზარეთს. ხოლო მეფე განწყრა სიკუდილისათჳს შუშანისა და უფთხილობისათჳს სპასპეტისა; მოაბმევინა სპასპეტი ცხენის ძუასა და რბენით დაგლიჯეს; ხოლო ჯუანშერ იყო წინაშე მისა წელი შჳდი, შემდგომად წარმოგზავნა ნიჭითა დიდითა და მოვიდა ქართლს ქ˜სა ღ˜ლჲ, ქართულსა უ˜ჟ. არამედ ჟამთა ამათ შინა განირყუნა ქუეყანა, რამეთუ რომელი გამოჩნდის ღირსი მეფედ ხოსროვანი, აგარიანთაგან შემცირდიან, ვინაჲთგან განდიდნა ძალი სარკინოზთა და დაიპყრეს ქართლი და ტფილისი და განმრავლდნენ მთავარნი; და იქმნა განდგომილება, ურთი-ერთთა ჴდომა და კლვანი; ხოლო ჯუანშერ შეირთო ასული ადარნასესი სტეფანოსის ძის-ძის ძისა ლატავარ, რამეთუ მათ ეპყრათ კლარჯეთი. ამათ ჟამთა შინა მოვი-და ამირ აგარიანი სახელით ხუასრო და მთავრობდა სომხითს, ქართლს და ჰერეთს. ამან აღაშენა ტფილისი მოოჯრებული ხაზარ-თაგან, რამეთუ მოუძლურებულ იყვნენ ბერძენნიცა აგარიანთაგან, ვინაჲთგან მიუღეს ზღჳს-გარეთი. მაშინ ძმისწულმან ლეონ აფხაზ-თა ერისთავისამან მეორემან ლეონ დაიპყრა სრულიად ეგრისი და

იწოდა მეფედ აფხაზთა, ვინაჲთგან მოკუდა იოანე ერისთავი ქ~სა ღ~პვ, ქართულსა ვ~; და ჯუანშერცა დაბერებულ იყო და მოკუდა იგიცა ქ~სა ღ~პზ, ქართულსა ზ~. კუალად განდგა გრიგოლი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი.

1-24 სტრ., 128

მ~ვ მეფე აშოტ კურადპალატი.

ლ~თ წელი მეფა

ხოლო კუალად ამათ ჟამთავე განადიდა უფალმან მეფობა აშოტ კურადპალატისა ბაგრატოვანისა, რამეთუ სახლად აქუნდა ტფილისი და ბარდავი და გარემო ქუეყანანი. მაშინ შევიდა მასლამ საბერძნეთს და უკუ-იქცა გაწბილებული და მოუძლურდნენ სარკინოზნი, ხოლო ტფილისს არღარავინ დაშთნენ სარკინოზნი, თჳნიერ ალიშუაბის ძისა. ამავე ჟამსა შემოიკრიბა აშოტ კურადპალატმან სპანი და მოვიდა ქართლს; ამის მწედ იყო თეოდოსი აფხაზთა მეფე რამეთუ ლეონ გარდაცვალებულ იყო და ესე თეოდოსი სიძე იყო აშოტ კურადპალატისა; ხოლო გრიგოლი კახთა მთავარი მოვიდა და მას უშუელეს მთიულთა და ამირ ტფილელმან. შეიბნენ კსანსა ზედა; შემდგომად ბრძოლისა იძლია გრიგოლი მთავარი და მოისრნენ სპანი მისნი და დაიპყრა აშოტ კურადპალატმან კსნიდამ კლარჯეთამდე. შემდგომად მოვიდა ხალილ იაზითის ძე არაბი ქ~სა ღ~ჟა, ქართულსა ი~გ; და დაიპყრა სომხითი, ქართლი, ჰერეთი და ვერ წინააღუდგა აშოტ კურადპალატი და ეძიებდნენ აშოტს. ხოლო აშოტ წარსრული გარდამჴდარ იყო ტბის პირსა ფანავარისასა დედა-წულითურთ და რა ჭამეს პური, მიირულეს მცირედ; დაესხნეს მძინარეთა სპანი სარკინოზთა. მაშინ შეეწია აშოტს ღმერთი და მცირედითა სპითა მოსწყჳდნეს სარკინოზნი ურიცხუნი და წარიოტნა ყოველნი. შემდგომად წარვიდა შავშეთს; რამეთუ შავშეთი იყო უშენი ყრუსა შემდგომად, ხოლო რომელნი დაშთომილ იყვნეს, მოეგებნენ აშოტსა და შეიყუარეს ფრიად. ამან აშოტ აღაშენა და მოიყიდა დაბნები და

1-30 სტრ., 129

განამრავლა სოფლები და კუალად აჴელმწიფა ღმერთმან შავშკლარჯთა ზედა და მრავალგზის მოსცა ღმერთმან ძლევა ძლიერი სარკინოზთა ზედა და დაიპყრა ქუეყანა ნებითა ბერძენთათა. კუალად გამოვიდა აშოტ, რათა შემოიკრიბოს სპანი; არამედ სპათა შემოკრებამდე დაესხნენ სარკინოზნი და ივლტოდა აშოტ ნიგალით კერძო, რათა ჰპოვოს სპანი თჳსნი; მიუდგნენ სარკინოზნი კუალსა, ხოლო აშოტ შეივლტოდა ციხესა არტანუჯისასა; შეჰყვნენ სარკინოზნი ციხესა შინა; არამედ აშოტ შევიდა ეკლესიასა შინა პეტრე-პავლესსა; შეუჴდნენ სარკინოზნი და დაკლეს აშოტ კურადპალატი

საკურთხეველსა ზედა ქ˜სა ყ˜კვ, ქართულსა მ˜ვ. ამისნი მცნობელნი ერნი აშოტ კურადპალატისანი ეწივნენ სარკინოზთა და მოსწყჳდნეს, რომელ ვერ განერინა ერთიცა; ხოლო შემდგომად აშოტ კურადპალატისა წარუღეს ძეთა მისთა გარემონი ქუეყანანი; არამედ იგინი იზრდებოდნენ შავშეთს და კლარჯეთს და ციხესა არტანუჯისასა. ხოლო სრულ რა იქმნენ ჰასაკითა, დაიპყრეს ნაქონები მათივე მამისა თჳსისა და ხარკსა მისცემდნენ სარკინოზთა.

მაშინ იყო ტფილისს ალი შუაბის ძე, რომელი დაედგინა ხალიღს ამირად. მას ჟამსა განდგნენ გარდაბანელნი და დასუეს ქორიკოზი დაჩი, ძე იოანე ქობულისძისა. მოკუდა დაჩი და დასუეს სამოელ დონაური. შემდგომად მოვიდა ხალიღ არაბი; ეწყუნენ გარდაბანელნი, აოტნეს და მოსწყჳდნეს სარკინოზნი უამრავნი და დაჯდა ტფილისს ამირ სააკ ისმაილის ძე. კუალად შემოვიდა მესამედ ხალიღ და მოკლეს ჯავახეთს. შემდგომად მოვიდა მომედ ძე ხალიღისა ქართლს. ამას მოერთო ბაგრატ ძე აშოტ კურადპალატისა; მისცა ქართლი და ჰყო მეფედ. ხოლო სააკ ტფილისით გამოვიდა და დადგა რეხსა. მივიდნენ მომედ და ბაგრატ და შეიბნენ მუნ; ვერცა მან სძლო და ვერცა ამათ და წარვიდა მომედ ბარდავს ქ˜სა ყ˜მა, ქართულსა ჲ˜ა.

მ˜ზ. მეფე ბაგრატ. 35 წელი მეფა

ხოლო ბაგრატ ძე აშოტ კურადპალატისა მეფე იქმნა ამ ქრონიკონსა ზედა და ამის მეფობისამდე გარდასრულ იყვნენ მაჰმადის გა-

მოჩინებიდამ წელნი ს˜ით. შემდგომად მოვიდა ბუღა თურქი, წარმოვლინებული ბაღდადის ამირ-მუმლისაგან, შემუსრა სომხითი. ტყუე-ჰყვნა მთავარნი მათნი, მოვიდა და მოადგა ტფილისს. მოერთო ამას ბაგრატ მეფეცა, შემუსრა ტფილისი, გამოიყვანა სააკ და მოკლა, რამეთუ არა მორჩილებდა მას.

ამას ზედა გამოვიდა თეოდოსე მეფე აფხაზთა ბრძოლად, ხოლო ბუღამ წარავლინა სპასალარი თჳსი ზირაქი და ბაგრატ მეფე; შეიბნენ აოტეს თეოდოსე მეფე და ივლტოდა დვალეთის გზით; არამედ მოქცეულსა ბუღას გარდაუდგნენ გარდაბანელნი ჯუარის-ბოლოს და ავნეს დიდი სპათა მისთა. ხოლო ბუღა მივიდა და დადგა ჭართალეთს და ლამოდა შესვლასა ოვსეთად, არამედ აზრახნეს მთიულნი აბუბაზ სომხითის ერისთავმან და გუარამ მამფალმან არა შეშუებად ბუღაჲ; ამისთჳს განწირნეს მძევალნი მთიულთა და დაუდგნენ სიმაგრესა; ესწრათ თოვლიცა და მოსწყდნენ ურიცხუნი ბუღასნი. კუალად მოსწყჳდნა ცხენნი მათნი იელმან; შემოიქცა და

დაიზამთრა ბარდავს; შეიპყრა ხუცესი ვისიმე ძე, რომელი მთავარ იყო გარდაბანს და შემუსრა გარდაბანი; განაღო კარი დარუბანდისა, გამოიყვანნა ხაზარნი სახლი სამასი და დასხნა შანქორს; კუალად დარიელით გამოიყვანნა ოვსნი სახლნი სამი ათასნი და დასხნა დბანისს და ენება შესლვა ოვსეთად. ამისმან მცნობელმან ამირ მუმლმან, რამეთუ ბუღა ზრახავს ხაზართა, წარიყვანა ბაღდადს, და მის წილ დაადგინა მომედ ხალილის ძე, შემდგომად გარდაადგინეს მომედ და დაადგინეს ისე შიხის ძე და ქორიკოზი იყო კახეთს გაბრიელ დონაური. კუალად გარდაადგინეს ისე და დაადგინეს ამირ აბრაამ. შემდგომად მოვიდა იგივე მომედ და უფროს ნებიერად დაიპყრა სომხითი, ქართლი და რანი და წარვიდა. დადგა მის წილ ამირად

1-27 სტრ., 131
კაცი სააკის მონათესავეთაგანი გაბუც და განდიდნაცა ფრიად. ესე გაბუც შეიპყრა გურამ ძმამან ბაგრატ მეფის კურადპალატისამან, და წარსცა საბერძნეთს. ამანვე გურამ დაიპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი და ბრძოდა მარადის სარკინოზთა: ზოგჯერ მათ სძლიან და უმეტეს მრავალგზის ამან. ხოლო ამანვე განუყო ძმათა თჳსთა ქუეყანა და სომხითის მეფესა ცოლის ძმასა თჳსსა. შემდგომად მოკუდა ბაგრატ კურადპალატი წელსა ქ˜სა ყ˜ოვ, ქართულსა ჟ˜ვ.

მ˜ზ. მეფე დავით. ე˜ წელი მეფა.

გამეფდა ძე ბაგრატისა დავით. ჟამსა ამას გამოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ტინენ ძე დიმიტრისა. ხოლო შემდგომად, გარდაიცვალა რა გიორგი მეფე აფხაზთა, ცოლმან მისმან მოკლა ტინენ ძე დიმიტრისა და ეცრუა იოანე მთავარსაცა და შთააგდეს ძე დიმიტრისავე ბაგრატ ზღუასა შინა; არამედ ღმერთმან განარინა იგი და მივიდა კოსტანტინეპოლედ. ხოლო მოჰგუარა მეფემან იოანე ძესა თჳსსა ცოლად ასული გუარამ აშოტ კურადპალატის ძისა. შემდგომად მოკუდა იოანე და დაჯდა ძე მისი ადარნასე მეფედ აფხაზთა. მაშინ ეპყრა ლიპარიტს თრიალეთი. ამან მოიყვანა და იპატრონა მეფე დავით ძე ბაგრატ კურადპალატისა; არამედ ამ დავითს აღუდგა მტრად ნარსე ძე გუარამ მამფალისა, რამეთუ ესე ნარსე და გუარამ იყვნენ აფხაზთა კერძოსანი. ხოლო მეფესა დავითს და ლიპარიტს უშუელდნენ სომეხნი და ბრძოდნენ ქართლსა ზედა. დღესა ერთსა მოიტყუა ნარსემ მეფე დავით და მოკლა იგი ღალატით ქ˜სა ყ˜პა, ქართულსა რ˜ა.

მ˜თ. მეფე ადარნასე. მ˜ბ წელი მეფა.

გამეფდა ძე დავითისა ადარნასე. ხოლო შემოკრბნენ სომეხნი
და ქართველნი და აშოტ ძმა დავით მეფისა და სარკინოზნი ამის

1-28 სტრ., 132
ადარნასეს თანა; ეწყუნენ ნარსეს აოტეს და წარუღეს და ციხე და წარვიდა ნარსე კოსტანტინეპოლედ. მაშინ შესრულსა კოსტანტინეპოლეს ძესა დიმიტრისასა ბაგრატს მოსცა კეისარმან სპანი, მოვიდა ზღჳთ და დაიპყრა აფხაზეთი, მოკლა ადარნასე ძე იოანესი და შეირთო ცოლი მისი ასული გუარამ მამფალისა. ამან ბაგრატ გამოიყვანა ნარსე ცოლის-ძმა თჳსი, მისცა სპანი და აშუელნა ოვსნი; გარდამოვიდნენ სამცხეს და დაიპყრნეს ციხენი ოძრახე, ჯუარის-ციხე და ლომსიათი; მუნცა შეიკრიბა ნარსემ ლაშკარი და მომართა ადარნასეს. ხოლო ადარნასეს უშუელა გუარამ და სომეხთა, შეიბნენ მტკუარსა ზედა, ბრძოლასა იძლია ნარსე და ბაყათარ ოვსი; შეიპყრეს ნარსე და მოკლეს ჴევსა შინა ასპინძისასა და აღიჴოცა თესლი მისი.

ხოლო გურგენ კურადპალატი აშოტ დიდის ძისწული წარვიდა ტაო-კალმახით და სცხორებდა შავშეთს და არტანს. შემდგომად შეიმტერნენ გურგენ და ადარნასე მეფე და უშუელა ადარნასეს ბაგრატ არტანუჯელმან; შეიბნენ ჴევსა არტანისასა, ბრძოლასა სწყლეს გურგენ, შეიპყრეს და მოკუდა წყლულებითა მით და დაიპყრა ადარნასემ ნაქონები მისი. შემდგომად განძლიერდა ფადალი ქორიკოზი და დაიმორჩილა გარდაბანი. და შემდგომად მისა დაჯდა კჳრიკე და ქართლს იპყრობდნენ აზნაურნი. დროსა ამას გამოვიდა კოსტანტინე მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი. ამას ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ; მოვიდა და შემუსრა უფლისციხე; არამედ ზავ-ჰყვეს და იმზახლნენ კოსტანტინე და სუმბატ; მოსცა უფლისციხე კოსტანტინეს და წარვიდა სუმბატ.

შემდგომად ამისა მოვიდა ამირ არაბი კასიმის ძე აგარიანი;
ვერ დაუდგა სომეხთა მეფემან სუმბატ, არამედ წარვიდა მთათა აფხაზეთისათა. ხოლო ამირ შემუსრა ყოველი სომხითი და მოვიდა ტფილისს და მუნ იყო ამირ ჯაფარ ალის ძე; ტფილისიდამ მოადგა

1-29 სტრ., 133
უჯარმას, რამეთუ იყვნენ სამასოდენ კაცნი ციხესა შინა და ებრძოლნეს მრავალ-დღე. შემდგომად დაუტევეს მეციხოვნეთა ციხე და წარვიდნენ. იხილეს რა ესე ბოჭორმელთა, დაუტევეს მათცა ციხე და წარვიდნენ; არამედ სარკინოზნი, მხილველნი ბოჭორმისანი, იტყოდნენ: „რომელი იყო ბაკი, ფიცხელად შებმა გვიყვეს; ხოლო ციხე უკაცური არს“. მაშინ მოვიდა კჳრიკე ქორიკოზი ფიცითა ამი-

რისათა წინაშე ამირისა; ხოლო ამირ ეტყოდა: „ვინ გაწვია მოსლ-
ვად ჩემთანა?“ მიუგო კჳრიკემ: „დედამან ჩემმან“; რქუა ამირმან:
„უკეთუ გაწვია დედამან, არა ვატკინო გული“ და განუტევა. არა-
მედ ბოჭორმან თჳთ დაიპყრა; შემოიქცა, მოაოჴრა ქართლი და შე-
ვიდა სამცხეს; მოაოჴრა ჯავახეთი და მოადგა თმოგუს; ვერ დაიპ-
ყრა და მოადგა ყუელს.

მაშინ ციხესა შინა იყო ჭაბუკი ახოვანი სახელით გობრონ. ესე
ბრძოდა დღე-ყოველი მრავალ-ჟამ მოყუსებითურთ თჳსით და ავ-
ნებდა დიდ ფრიადსა. შემდგომად შემუსრეს ყუელის-ციხე და შე-
იპყრეს გობრონ მოყუასებითურთ და აიძულებდნენ დატევებასა ქრის-
ტესსა და არა თავს იდებდნენ და შემდგომად ტანჯვით მოიკლა გობ-
რონ მოყუსებითურთ მათ მიერ და მიიღეს წამებისა გჳრგჳნნი. ხო-
ლო მუნიდამ მოვიდა დვინს; მუნ სცნა, რამეთუ სომეხთა მეფე სუმ-
ბატ არს კაპოეტის ციხესა შინა, მსწრაფლ გარემოდგომილ ჰყო,
მცირეს ხანს გამოიყვანა დედა-წულით და სუმბატ ჩამოჰკიდა ძელ-
სა ზედა დვინს.

შემდგომად ამისა ჟამ-რაოდენმე მოეშენა ქუეყანა; მაშინ უჴმო
კჳრიკე ქორიკოზმან კოსტანტინეს აფხაზთა მეფესა; მივიდნენ ჰე-
რეთს და მოადგნენ ვეჯინს; ამისად მოვიდა ადარნასე პატრიკი, მი-
უპყრა ჯუარი, მოსცა კოსტანტინეს არეში, გავაზი და კჳრიკეს ბო-
ჭორმა; დაიზავნენ და წარმოვიდა კოსტანტინე.

შემდგომად მოკუდა კოსტანტინე მეფე აფხაზთა, დაუტევნა ძე-
ნი გიორგი და ბაგრატ; არამედ ესენი მარადის ბრძოდნენ ურთი-

ერთს; ხოლო უშუელდა ბაგრატს გუარამ ერისთავთ-ერისთავი (რა-
მეთუ სიძე იყო გუარამისა) და ვიდრე არა მოკუდაა ბაგრატ, არა იყო
მათ შორის მშჳდობა.

ხოლო მოკუდა რა ბაგრატ, დაიპყრა აფხაზეთი გიორგიმ. ამას-
ვე ჟამსა გარდაიცვალა ქორიკოზი კჳრიკე და დაჯდა ძე მისი
ფადალა; ამისვე ჟამსა მოვიდნენ სარკინოზნი, რომელთა უჴმობდ-
ნენ საჯობით; დაწვეს ჯუარი დამცხეთა, შეიქცნენ და წარიტანეს
ჯუარი დაჭრილი; არამედ გზასა ზედა შეედვათ სენი და მოსწყდნენ
ურიცხუნი; სცნეს ჯუარისა მიერობა და წარმოგზავნეს ქართლსა-
ვე; ხოლო იშხანიკის ჟამამდე ჰერეთი მწუალებელი იყო, არამედ
იშხანიკ დისწული იყო გუარამ ერისთავთ-ერისთავისა და დედო-
ფალმან დინარ, დამან გუარამისმან, მოაქცივნა მართლმადიდებე-
ლად. მაშინ სალართა დაეპყრათ ბარდავი და ადრაბაგანი, და მოკუ-

და ადარნასე მეფეცა კურადპალატი წელსა შ˜კგ, ქართულსა რ˜მგ.

ნ˜. მეფე სუმბატ ო˜ე წელი მეფა

ხოლო იქმნა მეფედ შემდგომად ძე მისი სუმბატ ქართველთა: ჟამსა ამას გარდამოვიდა გიორგი მეფე აფხაზთა და მისცა ქართლი კოსტანტინეს, ძესა თჳსსა (ხოლო ესე ქართველთა მეფენი ბაგრატიონნი დასხდიან ქართლის მეფედ და ოდეს მტერთა მიერ იძლეოდიან, ეპყრათ სამცხე, რომელ არს ზემო-ქართლი, ტაო, ჯავახეთი, თრიალეთი, სამშჳლდე, ხუნანის საერისთონი, თჳნიერ გარდაბანისა, და კლარჯეთს თჳსნი წელნი ციხე-ადგილნი და ჟამად სომხითიცა და შიდა-ქართლი). არამედ კოსტანტინე აფხაზთა მეფის ძემან მეფაქართლს სამი წელი; შემდგომად იწყო მტერობა მამისა თჳსისა; სცნა გიორგი მეფემან, მოვიდა და ვერ წინააღუდგა ძე მისი, ვინაჲთგან ტაოელნი ყოველნი მეფენი მოიწვია და ემწჷნენ ყო-

ველნი ბოროტებისათჳს კოსტანტინესა; არამედ კოსტანტინემ განამაგრა უფლისციხე; და გარ-მოდგომილმან გიორგი მეფემან ვერ შემუსრა ციხე; შემდგომად აბირნა აზნაურნი გამოტყუებად კოსტანტინესად და ეტყოდნენ კოსტანტინეს: „ვინაჲთგან არს მეფე გარე აფხაზეთისა, გამოვედ, შენ გყოთ მუნ მეფედ“.ხოლო იგი მრწმენელი გამოვიდა ტივით და მიეტევნენ შეპყრობად; ივლტოდა კოსტანტინე და დაიმალა ნაპრალსა კლდისასა; ჰპოვეს და მოჰგუარეს გიორგი მეფესა (ხოლო მან გამოჰყუერა უთესლობისათჳს და შემდგომად მოკუდა); აღიღო ციხეცა და წარვიდა.

მოკუდა ქორიკოზი ფადალა და დაჯდა კჳრიკე. შემდგომად განდგნენ გარდაბანელნი, აწვიეს გიორგი მეფე; მოსრული შთავიდა კახეთს, მოსწყჳდნა და მოწვა და შეიქცა თჳსსავე ქუეყანასა; მერმე მოვიდა ატენს გიორგი შთასვლად კახეთს და ძე მეფისა ლეონ იყო ერისთავი ქართლისა. სცნა კჳრიკემ, რამეთუ ვერ დაუდგრებოდა; მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა და ლამობდა კუალად ზაკჳთ გაპარვასა; აგრძნა მეფემან, შეიპყრა კჳრიკე და წარვიდა კახეთს, რათა აკრიბოს დედაწულითურთ.

სცნეს ესე აზნაურთა ქართველთა, აცნობეს და გარდაიხვეწნენ; არამედ მოერთო ძმა კჳრიკეს შურტა და მოუტანა უჯარმა და მოსცა სხუანიცა ციხენი კახეთისანი, თჳნიერ ნახჭევან-ბოჭორმისა და ლორწობნისა; გარნა ლორწობანს აღუშენა შურის-ციხე და მოუდგინა სპანი; მოადგა მარილისს, შემუსრა იგი, გამოიყვანა არსის ძე და წარგზავნა ჯიქეთს ექსორიად; არამედ ნახჭევანი გამაგრდა და

ვითარ სცნა კჳრიკემ, რომელ არღარა იყო სხუა ღონე, ითხოვა განტევება და დაულოცა გიორგი მეფესა კახეთი; არამედ ლეონ მეფის ძე არა ლამოდა განტევებასა; გარნა აღიღო მეფემან ნახჭევანი და განუტევა კჳრიკე; ხოლო მეფე წარვიდა აფხაზეთს. შემდგომად შეიზრახნენ აზნაურნი კჳრიკეს და წარიღო ყოველნი ციხენი კახეთისანი და კუალად ეუფლა მამულსა თჳსსა.

ესმა გიორგი მეფესა, დაუმძიმდა წარღება კახეთისა; არამედ აბრალა რომელნი განტევებასა უთქმიდეს კჳრიკესსა; გარნა ზამთარ

1-26 სტრ., 136
წარგზავნა ძე თჳსი ლეონ; ესე შევიდა და მოწვა კახეთი; მუნ მოართუეს ლეონს სიკუდილი მამისა თჳსისა. მაშინ მოუწოდა კჳრიკეს ტბასა ზედა ბაზალეთისასა, დაიზავნენ და იმზახლნენ; ხოლო ლეონ შემოიქცა და გამეფდა აფხაზეთს და მცირედისა შემდგომად მოკუდა ასული ლეონისა, რომელი მიეცა კჳრიკეს ძისათვის და კუალად იწყეს მტერობა ლეონ და კჳრიკემ. გამოვიდა ლეონ. ასწყჳდნა მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი. მუნ დასნეულდა, უკუ-იქცადა მოკუდა მეფე ლეონ აფხაზეთსა დაჯდა ძმა მისი დიმიტრი. ამასვე ჟამსა მოკუდა მეფე ქართლისა სუმბატ ქკ˜ნსა შ˜ნწ, ქართულსა რ˜ოწ.

ნ˜ბ. მეფე ბაგრატ ანუ დავით რეგვენი.

ლ˜გ წელი მეფა

დაჯდა მეფედ ქართლისა ძე სუმბატისა დავით ანუ ბაგრატ რეგვენი; ხოლო დიმიტრი მეფემან მოიწყო სამეფო თჳსი აფხაზეთი, გარნა შემდგომად მთავართა აფხაზეთისათა მოიწვიეს თეოდოსი ძმა დიმიტრისა კოსტანტინეპოლიდამ (რომელი მამასვე წარეგზავნა ორნი ძენი მშჳდობისათვის ძმათა). მაშინ გამოვიდა თეოდოსი და მოვიდა სამცხეს და შეიკრებდა სპათა; მცნობმან დიმიტრი წარმოავლინა ლაშკარი და დაესხნენ თეოდოსის უეცრად, ივლტოდა და მოვიდა ძელულ-მთავრისა; მან შეიყვანა ციხესა ძამისასა და მუნიდამ ეძიებდა ღონესა. კუალად წარმოავლინა დიმიტრიმ სპანი; მოადგნენ ძამის ციხესა და ბრძოდნენ სამ თთუე; არამედ შესჭირდათ რა ციხოვანთა, ზავ-ჰყვეს ფიცით და განუტევეს თეოდოსი მშჳდობით, და მივიდა წინაშე დავით კურადპალატისა (ხოლო ესე დავით მეფე იყო ძე ადარნასესი და ადარნასე იყო ძე სუმბატ მეფე კურადპალატისა). არამედ იყო დავით ყოვლითა სიკეთითა სრული, სამღრთო-სამჴედროთი. ამას ეპყრა ბასიანი, ტაო და მიმდგომნი მისნი.

1-24 სტრ., 137

შემდგომად ორისა წლისა წარმოვიდა თეოდოსი დავითისაგან და მოვიდა კახეთს. მაშინ მოუგზავნა დიმიტრიმ კჳრიკეს, რათა მოამშჳდობოს ძმანი; ხოლო კჳრიკემ ფიცით წინაშე კათალიკოსისა მცხეთას და ეპისკოპოსთათა მიათუალა დიმიტრის თეოდოსი; არამედ შემდგომად ჟამსა მცირესა დაივიწყა დიმიტრიმ ფიცი ღვთისა; შეიპყრა ძმა თჳსი თეოდოსი და დასწუნა თუალნი; მაშინ აფხაზთა იძიეს ჩალა მეფედ, გარნა ვერ შეუძლეს, რამეთუ იყო დიმიტრი მჴნე და ახოვანი.

ხოლო შემდგომად, მოკუდა რა დიმიტრი მეფე და არღარა დარჩა მკჳდრი, გამოიყვანეს თეოდოსი და დასუეს მეფედ აფხაზთა; ჟამსა ამას მოადგნენ კახნი უფლისციხეს. მაშინ იყო ერისთავი ქართლისა მარუშისძე იოვანე; ამან აწვია დავით კურადპალატი ტაოდამ, რათა აღიღოს ქართლი ანუ თჳთ ეპყრას ანუ მისცეს ბაგრატს ძესა გურგენისასა, მეფის ბაგრატ რეგვენის ძის-ძესა (რომელი აღეზარდა ამასვე დავითს ძედ თჳსად, რამეთუ მას არა ესუა ძე); ხოლო ესე ბაგრატ იყო ასულის-წული გიორგი აფხაზთა მეფისა და ეყოდა აფხაზეთი დედით. ამისი მსმენელი დავით კურადპალატი წარმოემართა ყოველთა ძალითა თჳსითა და მოვიდა ქართლს; მხილველთა კახთა დაუტევეს უფლისციხე და წარვიდნენ; ხოლო დავით დაადგინა მეფედ ბაგრატ ქ˜კსა ქ˜სა შ˜პ, ქართულსა ს˜.

ნ˜დ. მეფე ბაგრატ. ლ˜დ წელი მეფა

არამედ ესე ბაგრატ არა იყო ჯერეთ ჰასაკითა სრული, ამისთჳს დაუდგინა (დავითმა) მამა თჳსი გურგენ და ამცნო ქართველთა მორჩილება ბაგრატისა და თჳთ წარვიდა ტაოდ. შემდგომად ჟამ-რაო-

დენმე შეითქუნენ აზნაურნი ქართველნი (ვითარცა არს ჩუეულება მათი) და მოიყვანეს კახნი, გასცეს უფლისციხე, შეიპყრეს გურგენ და ძე მისი და დედა ბაგრატისა გურანდუხტ და წარიყვანეს კახეთს. ესმა რა ესე დავით კურადპალატსა, შეკრბა ყოვლითა ძალითა თჳსითა და მოიმწნო სომეხნი; ხოლო მოვიდა რა თრიალეთს შთასლვად კახეთად, მოუგზავნეს ზავისა-პირი კახთა და განუტევეს გურგენ და მეფე ბაგრატ და გურანდუხტ, დედა ბაგრატისა, და უკუ-სცეს უფლისციხეცა; არამედ წირქვალი და გრუვი თჳთ დაიჭირეს და დავით შეიქცა თჳსადვე და ეპყრა უფლისციხე გურანდუხტს.

ხოლო ვითარ გარდაჴდენ წელიწადნი სამნი და მეფობდა აფხაზეთს თეოდოსი მწუხარე და განირყვნა ყოველი წესი აფხაზთა, მაშინ ამანვე მარუშისძემ იოანემ და ყოველთა დიდებულთა ქართლი-

სათა და აფხაზეთისათა მოითხოვეს დავით კურადპალატისაგან მეფედ ბაგრატ აფხაზთა; არამედ მან ძნიად აღუსრულა და შემდგომად მოსცა ბაგრატ და აკურთხეს მეფედ აფხაზთა ქ˜კნსა შ˜პე, ქართულსა ს˜ე.

მაშინ დაჯდა ესე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფედ; არამედ ვინაჲთგან სრულ ქმნილ იყო ჰასაკითა, დაემორჩილნენ ყოველნი აფხაზნი და ორისა წლისა შემდგომად იწყო მან განგებად სამეფოსა თჳსისა მგზავსად პაპისა თჳსისა გიორგისა ანუ დავით აღმზრდელისა თჳსისა; ხოლო წარგზავნა თეოდოსი წინაშე დავით კურადპალატისა, რამეთუ უმჯობესად გამონახა; მერმე გარდამოვიდა ქართლს, რათა განაგოს დაშლილნი საქმენი მანდაურნი, არამედ ქართველთა არა ინებეს, რამეთუ განდგნენ თჳს-თჳსად და იწინამძღურეს ქავთარ ტბელი და დაუდგნენ მუღრისს ბაგრატს. მაშინ მეფემან აღუზახნა სპათა თჳსთა და ბრძოლასა ივლტოდნენ ქართველნი; მოსწყჳდნეს და უმეტესნი შეიპყრნეს და მოართუნეს ბაგრატს. აღიღო მეფემან უფლისციხე და დაჰყომუნ მცირე ხანი, გა-

ნაგო მუნებურნი, ვითარცა ჴელოვანმან მენავეთ-მოძღუარმან, წარმოიყვანა დედა თჳსი და შთავიდა აფხაზეთს.

შემდგომად რაოდენთამე წელთა შეიკრიბნა სპანი თჳსნი ბაგრატ და მოვიდა ქართლს (რამეთუ იყო კლდეკარის ერისთავი რატი; ამას აქუნდა თრიალეთი, მანგლისის-ჴევი, სკჳრეთი და არა მორჩილებდა ბაგრატს), რათა შეირთოს რატი; არამედ აუწყეს დავით კურადპალატსა, რამეთუ სიკუდილად შენდა გამოვიდაო ბაგრატ. მსმენელმან დავით შეიკრიბნა სპანი, იწვია სომეხნიცა და მივიდა მის თანა ბაგრატ რეგვენი, პაპა ბაგრატისა, რამეთუ ეშინოდა ძისა თჳსისა გურგენისაგან მეფობის წარღებისა. ხოლო გურგენ ძემან ბაგრატ რეგვენისამან შეიკრიბნა სპანი და მოვიდა თავსა შავშეთისასა და შეიბნენ დავით და იგი გარდათხრილსა ზედა; იძლია გურგენი და შეიხუეწა ციხესა წეფთისასა. ხოლო ბაგრატ მეფე მოწევნილ იყო თრიალეთს; სცნა, რომელ არა ეგების ძალითა დამართებად დავით კურადპალატისა, დაუტევა ლაშკარი და მივიდა მარტოდ წინაშე დავითისა, და ეტყოდა: „არა-რად გამოველ, გარნა დამორჩილებად რატისა“. ხოლო დავით მიუთხრა: „მითხრეს მე, რამეთუ გამოსრულხარ სიკუდილად ჩემდა, გარნა აწ ვინაჲთგან მართალ ხარ, მითავისუფლებიხარ რატის ზედა“. და წარმოვიდა ბაგრატ აფხაზეთს. შემდგომად გარდაიცვალა ბაგრატ რეგვენი ქ˜ესა შ˜ჟდ, ქართულსა ს˜იდ.

ნ˜გ. მეფეთ-მეფე გურგენ. ი˜დ წელი მეფა

იქმნა მეფედ მამისა მისისა დავითის წილ გურგენ, მამა ბაგრატ აფხაზთა მეფისა (ხოლო ამ გურგენს ამისთჳს ეწოდა მეფეთ-მეფე, რამეთუ ძე ამისი ბაგრატ უწინარესვე მეფე იქმნა). შემდგომად რა მოვიდა ჟამი ზამთრისა, წარმოვიდა ბაგრატ აფხაზეთით ყოვლითა ძალითა თჳსითა და მოადგა რატის; არამედ რატიმ გამოიტანა შვილი თჳსი ლიპარიტ და მოსცა ბაგრატს იგიცა და ციხენიცა თჳსნი; თჳთ წარვიდა და დაჯდა არგვეთს.

1-26 სტრ., 140

გამოსლვა ბასილი კეისრისა

ხოლო გარდაიცვალა რა დავით კურადპალატი, ქ˜სა ჩ˜ა, ქართულსა ს˜კა, მაშინ გამოვიდა ბასილი კეისარი და მისცეს მას ციხენი დავით კურადპალატისანი აზნაურთა მისთა; მაშინ მივიდნენ წინაშე მისსა გურგენ და ბაგრატ მეფენი, არამედ ბასილიმ იძმაცუა მამა-ძესა შორის და მისცა ბაგრატს კურადპალატობა და გურგენს მაგისტროსობა; გარნა ვერ უძლო, რამეთუ გურგენ ჭეშმარიტი კაცი იყო და უკუ-იქცა ბასილი კეისარი; შემდგომად მოკუდა გურგენ მეფეთ-მეფე ქ˜სა ჩ˜ჱ, ქართულსა ს˜კჱ.

ნ˜დ. მეფე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა
ანუ სრულიად გიორგიისა. ლ˜დ წელი მეფა

ხოლო შემდგომად მამისა თჳსისა დაიპყრა ბაგრატ აფხაზთა მეფემან ნაქონები მამისა და მამობილისა დავითისა. მაშინ განაგნა აფხაზეთი და დაადგინნა ბრძანებისა თჳსისა მორჩილნი; მოვიდა ქართლს, მიუგზავნა კახეთს, რათა მოსცენ ციხენი; არამედ დავით ქორიკოზმან მოუმცნო: „უკეთუ გნებავს ციხენი, იყოს დამჯერებელი ჩუენდა ჴრმალი“. მსმენელი მეფე ბაგრატ განწყრა და მოუწოდა აფხაზთა, ტაოელთა, მესხთა და ქართველთა, (რამეთუ მას ეპყრნეს ესე ყოველნი); მან განვლო ჴიდი მცხეთისა და მუნ მოერთნენ სპანი თჳსნი; მივიდა და დადგა თიანეთს; ვერ წინააღუდგა დავით; მეფემან იწყო ბრძოლად ციხეთა, აღიღო ჰერეთი და განაჩინა აბულალ მთავრად მუნ და წარმოვიდა მეფე. შემდგომად კუალად უკუდგნენ ჰერნი და მივიდნენ დავითისადვე.

ხოლო შემდგომად მოკუდა დავით ქორიკოზი; მაშინ გამოვიდა კუალად მეფე ბაგრატ და აღიღო ჰერეთი და დაიჭირა დედოფალი დინარ და ორს წელს აღიღო კახეთიცა და შეაწყუდივა კჳრიკე ბო-

ჭორმას; აღიღო ციხე და დაიპყრა კახეთი და ჰერეთი; არამედ კჳრიკე დაიჭირა კარსა ზედა თჳსსა.

ამ ჟამს განდიდნა ამირ-ფადლონ განძისა და იწყო კირთებად ჰერ-კახეთისა მეკობრობითა და პარვით. იხილა რა ბაგრატ კადნიერება მისი, აცნობა სომეხთა მეფესა გაკის შაჰან-შასა, რათა შური იძიონ ფადლონსა ზედა. გაკიმ განიხარა და მსწრაფლად მოვიდა წინაშე ბაგრატისა ზორტაკეთს და წარვიდნენ ფადლონსა ზედა; ხოლო ფადლონ შეშინდა და შევიდა სიმაგრეთა შინა; მაშინ მეფემან მოსტყუევნა რანი და მოადგა შანქორს და დაულეწნეს ზღუდენი; არამედ ფადლონ ღამე მოგზავნა მეფისა და ითხოვა ზავი; განუკუეთა ხარკი და დღეთა მისთა ლაშკრობა მის თანა; შეიწყნარა ბაგრატ და მისცა ზავი მას პირსა ზედა; გამოვიდა ფადლონ, უძღუნა ურიცხუნი მეფესა.

შემდგომად შემოიქცა ბაგრატ გამარჯუებული (ამის ბაგრატისზე იყო ეფთვიმე ქართველი მთარგმნელი წიგნისა ჩუენისა და ესენიცა: იოანე გრძელისძე, არსენ ნინოწმიდელი, იოანე ხახულელი ოქროპირი, ზაქარია მირდატისძე ანუ შარიტისძე).

ამან ბაგრატ დაიპყრნა ყოველნი კავკასიელნი ჯიქიდამ გურგანის ზღუამდე; ადრაბაგანი და შარვანი მოხარკე ჰყო. სპარსთა მეფე ერთგულად მომსმენელი და ბერძენთა მეფეთაცა შიში აქუნდათ, რამეთუ იყო ღვთის-მსახურ ყოვლითა სათნოებითა. კუალად რაოდენნი მეფენი კურადპალატნი ბაგრატიონთა ჴსენებულნი ზემორე

ზოგნი ქართლს და სამცხეს და ტაო-კლარჯეთს მეფობდნენ ბაგრატისამდე.
ჟამსა ამისსა არღარავინ იყო სუმბატისა და ძისა მისისა გურგენისაგან კიდე, რომელნი მეფობდნენ კლარჯეთს; ხოლო მან ბაგრატ მოიწვივნა იგინი ფანასკეტის ციხესა შინა, შეიპყრნა იგინი და პატიმარ-ჰყო და შვილნი მათნი წარვიდნენ ბასილი კეისრისა წინაშე და იგინი მუნ მოისრნენ, და დაიპყრა ამან ბაგრატ ყოველი ივერია სიბრძნე-ძლიერებითა თჳსითა; შემდგომად მოვლო ყოველი სამეფო თჳსი და კუალად მოვიდა ციხესა შინა ფანასკეტისასა და მუნ გარდაიცვალა მაისსა ზ˜ დღესა, ქ˜სა ჩ˜იდ, ქართულსა ს˜ლდ.

ნ˜ე. მეფე გიორგი ი˜გ წელი მეფა

და დაჯდა ძე მისი გიორგი მეფედ წლისა ი˜ზ, ამან დაიპყრა სა-
მეფო მამისა თჳსისა აფხაზეთი, ქართლი, ჰერ-კახნი, ტაო, სამცხე,
კლარჯეთი. შემდგომად მცირედისა ჟამისა განდგნენ კახნი და გა-
მოაძნეს ერისთავნი გიორგი მეფისანი და იპატრონეს პირველი უფა-
ლი მათი; შემდგომად წელსა მეფობისა გიორგისსა ზ˜სა გამოვიდა
ბასილი კეისარი გიორგი მეფესა ზედა.

მაშინ გიორგი მეფემან შეიკრიბნა სპანი და მივიდა ბასიანს და
დაიბანაკეს ორთავე მუნ; არამედ არა ეწყუნენ ურთიერთსა დღეთა
მრავალთა. შემდგომად შემოიქცა გიორგი მეფე და მოუდგა კუალსა
მისსა კეისარი; ხოლო უკანა-მავალნი გიორგისანი და მეწინავენი
კეისრისანი შეკრბნენ დაბასა შირიმთასა; იქმნა მუნ ბრძოლა ძლიე-
რი, მოისრნენ ორ-კერძოვე უამრავნი და წარჩინებულნიცა მრავალ-
ნი, მიიქცა გიორგი მეფეცა და მოისწრაფა კეისარმანცა. მაშინ იქმნა
უძლიერესი ბრძოლა, რამეთუ მისდრიკნეს გიორგიელთა ბერძენნი
და აღიღეს ალაფი დიდი; გარნა სულმოკლე იქმნენ; შემდგომად გი-
ორგიელნივე დაიძლივნენ; ხოლო გიორგი მეფე წარმოვიდა ნიგა-
ლით; მოუდგა კეისარი, მოაოჯრა ქუეყანა და მოადგა თრიალეთს.
ამისთჳს გიორგი მეფემან მოიყვანა წანარნი და განიმრავლნა სპანი.

1-31 სტრ., 143
მხილველი კეისარი უკუნიქცა და უმეტეს მოაოჯრნა ქუეყანანი და
დაიზამთრა მახლობელად ტრაპიზონისა; და ვიდოდა კეისარსა და
გიორგის შორის დესპანი მშჳდობისათჳს; ხოლო კეისარს ოდეს აღუ-
შფოთდნენ ბერძენნი, ჴელთ იგდო იგინი და ექსორია-ჰყვნა.

გაზაფხულს კუალად წარმოემართა გიორგი მეფესა ზედა; ხოლო
გიორგიმ წარავლინა ზვიადა ერისთავი ზავისა ყოფად და თჳთცა
წარუდგა სპითა დიდითა მეტყუელი: „უკეთუ ჰყოს მშჳდობა, კე-
თილ; უკეთუ არა, ვბრძოდე“. ხოლო რომელთა არა ენებათ მშჳდო-
ბა, იწყეს ბრძოლა და აოტნეს სპანი კეისრისანი. მაშინ კეისარმან
მოიღო წიგნი გიორგი მეფისა, მოჰკიდა შუბის წუერსა და ჯუარი პა-
ტიოსანი დასვა მანდილითა მიწასა ზედა და თქუა: „არღარა თაყ-
ვანის-გცე, უკეთუ მიმცე ჴელთა მტერთასა“. შემდგომად აღუზახნა
სპათა და იქმნა ბრძოლა ძლიერ ფიცხელი, და ვითარ გიორგი მეფე
უძლიერესითა სპითა არღარა მისრულიყო, იძლივნენ გიორგიისანი
და მოისრნენ ყოველნი, რომელთა არა ენებათ მშჳდობა; მოუდგა
კეისარი და მოაოჯრნა ქუეყანანი. კუალად იწყეს ზავი (რამეთუ შიში
აქუნდა კეისარსა განდგომილებისა ბერძენთასა) და მისცა გიორგი
მეფემან მძევლად ძე თჳსი ბაგრატ კეისარსა და ციხენი გუარამ კუ-
რადპალატისანი, რომელნი პირველ დაიპყრნა ბაგრატ მეფემან, და
წარვიდა კეისარი; არამედ აღუთქუა შემდგომად სამისა წლისა წარ-

მოგზავნად ძე მეფისა.

ხოლო პაემანსა წარმოგზავნა ბასილი კეისარმან ძე მეფისა, არამედ მოვიდა რა ტაოს მამულსა თჳსსა, ეწია წიგნი კატაბანსა კეისრისა შექცევად კუალად მუნვე ბაგრატისა (რამეთუ ბასილი მომკუდარიყო და კოსტანტინე ქმნილ იყო კეისრად). მაშინ კატაბანსა არღარა ძალ-ედვა შექცევა მისი და თჳთ მიიქცა უქმი; ხოლო ბაგრატ მოვიდა მამისა თანა და იქმნა სიხარული დიდი და უმეტეს საკჳრველებისათჳს, ვითარ იჴსნა ღმერთმან ბაგრატ. შემდგომად ორისა წლისა გარდაიცვალა მეფე გიორგი ყოვლითა სიკეთე-ახოვნებითა აღმატებით სრული ქ˜სა ჩ˜კზ, ქართულსა ს˜მზ, აგვისტოსა თთუესა ი˜ვ თრიალეთს, ადგილსა მყინვარსა.

1-25 სტრ., 144

ნ˜ვ. მეფე ბაგრატ მ˜ე წელი მეფა

შემდგომად მისა წლისა თ˜ გამეფდა ძე გიორგისა ბაგრატ. მაშინ განდგნენ ტაოელნი ვაჩე კარიჭისძე, ბანელი იოანე, მათ თანავე აზნაურნი ციხოვან-უციხონი და წარვიდნენ კოსტანტინეპოლედ; ხოლო კეისარმან კოსტანტინემ მოსცა სპანი უფროს ბასილისა, მოვიდნენ და მოაოჴრნეს ქუეყანანი იგინივე; შემდგომად მოადგნენ კლდეკარს, არამედ ლიპარიტ ეწყო ძლიერად, უკუნ-იქცნენ და დაიპყრეს ციხე გარყლობისა და წეფთისა; ხოლო მტბევარმან საბამ აღაშენა ციხე და დაიჭირა შავშეთი, და ერდგულად დაადგრა ბაგრატის კერძოდ, არა მისცა ციხე და ქუეყანა გარმოდგომილთა ბერძენთა მათგან ფრიად შეიწროებასა შინა; არამედ შურ-აგო ღმერთმან ბაგრატის ქუეყანის მოოჴრებისათვის კეისარსა და მიუწოდა სპათა თჳსთა სალმობიერმან და, მივიდნენ რა, მოკუდა კოსტანტინე. ამან დასუა რომანოზ კეისრად და მისცა ასული თჳსი ზოია ცოლად.

შემდგომად სამისა წლისა წარვიდა დედოფალი დედა ბაგრატისა ელენე, ასული არშაკუნიანთა, წინაშე რომანოზისა მომშჳდობისა, მზახლობისა და კურადპალატობისათჳს. ხოლო კეისარმან აღუსრულა სათხოველი, მოსცა ელენე ასული თჳსი ცოლად ბაგრატს, სამსჭუალე უფლისა და ხატი ოქონისა და საუნჯე მრავალი ზითვად (მთარგმნელნი ამ ჟამთა იყვნენ: ბერი გრძელი, ახალი აბრამ, არსენი, ანტონი მნათე, ბასილი ბაგრატის ძე; ეფთვიმესაცა და მთაწმიდელსაც მოესწრნენ). ხოლო მოიწია რა დედოფალი ტაოს, მიეგება ბაგრატ მეფე, მოიყვანა და ჰქმნა ქორწილი. შემგზავსებული. შემდგომად გარდაჴდა რაოდენიმე ხანი, მოკუდა ელენე, ცოლი ბაგრატ მეფისა, ქუთათისს; ხოლო მეფემან შეირთო ასული ოვსთა მეფისა

1-31 სტრ., 145
ბორენა. და შემდგომად ეუფლა ბაგრატ ყოველთა სამეფოთა მისთა
ზემო-ქუემოთადა მოირჭმა ფრიად.

ჟ˜მსა ამას ფადლონ განძელი ავად ექცეოდა სამეფოსა ამას; შე-
მოიკრბნენ ბაგრატ მეფისა თანა ლიპარიტ, იოვანე აბაზაძე, კჳრიკე
კახთა მეფე და ჰერთა, და სომეხთა მეფე დავით და ამირ ტფილე-
ლი, მიუჴდნენ ფადლონს ეკლეცს, მუნ ბრძოლა ჰყვეს; ივლტოდა
ფადლონ; მოსწყჳდნეს სპანი მისნი, მოსტყუევნეს რანი და წარმო-
იღეს იავერი. მიერით ვერღარა იკადრა ფადლონ წყინება. (ესენი
მთარგმნელნი ამ ჟამებთა იყვნენ: იოანე ანუ ილარიონ თუალელი,
მოძღუარი გიორგი მთაწმიდელისა, გიორგი შეყენებული, მოძღუა-
რი გიორგისავე გიორგი და გიორგი ოლთისელი).

შემდგომად ლიპარიტ და იოანე აბაზაძემ გამოიტყუეს მუხათ-
გუერდს ამირ-ჯაფარ ტფილისელი, შეიპყრეს და პატიმარ ჰყვეს ჟამ-
რაოდენმე და წარუღეს ბირთვისი; არამედ მეფემან ბაგრატ შეიწყა-
ლა ჯაფარ და განუტევა ტფილისსავე. ამისთჳს შეიქმნა მტერობა
ჯაფარსა და ლიპარიტს შორის; ხოლო კუალად სხუა ძე ჰყვა გიორ-
გი მეფესა ოვსთა მეფის ასულისა თანა დიმიტრი და იყო იგი ანაკო-
ფიას. ამისი ინებეს მთავართა ამათ გამეფებად; გარნა ვერ იკადრეს
და ვერცა ბაგრატ მეფემან გამოიყვანა ძმა თჳსი თჳს-თანა. ესე წარ-
ვიდა შემდგომად კოსტანტინეპოლეს და წარიტანა ანაკოფიაცა.

ჟამსა ამას ლიპარიტ აზრახა ბაგრატ მეფესა წარღება ტფილი-
სისა და მოადგნენ ტფილისს; ხოლო ემწენ ჰერ-კახნი და მოადგნენ
ისნით, რამეთუ მან ჟამსა მოეკლა დიდი კჳრიკე ოვსსა ვისმე სისხლი-
სათჳს მეფისა, რომელი ბრძოლასა კჳრიკესსა მომკუდარ-იყო. მაშინ
იყო კახთ მეფე გაკი, ძე სომეხთა მეფისა, სამშჳლდელისა, არამედ
შეამჭირვეს ტფილისი ფრიად, რამეთუ ჴორცი ვირისა ლიტრა იყო
ხუთ დრამად, ვინაჲთგან ორ წელს ადგნენ და მოსტყუევნეს სპათა
ბაგრატისათა ციხე ორბეთისა და ფარცხისისა. შემდგომად აღუთქუ-
ეს ტფილისელთა მოცემა ქალაქისა, ამისთჳს ამირ შექმნა ტივი და
ნავი სპითა თჳსითა წარსვლად ღამით განძას; არამედ რომელთამე
აზრახეს მეფე არა განდიდებისათჳს ლიპარიტისა, რათა ეგოს ამირ

1-28 სტრ., 146
ტფილისსავე და დაამტკიცა მეფემან ამირ ტფილისსავე და იბირნა
მეფემან ბაგრატ მთავარი მარილელი სიძე კჳრიკესი აშორ, და ხა-
ხულ-გურთა ჯუარის ციხისა, მოეყარა ტფილისს და ემტერა კახეთს
(და იქმნა ლიპარიტ ქუე-განმხედველი მეფის ბაგრატისა).

მაშინ ბრძოლა უყო ბაგრატ კახთა მთასა მიქელ გაბრიელისასა, სძლო და შეიპყრა სტეფანოს პანკისის ერისთავი, ვაჩე ხორნაბუჯის ერისთავი, დაჯე მაჭის ერისთავი და გარდავიდა თიანეთს, დაწვა დარბაზი კჳრიკესი სახელოვანი. ხოლო ერისთავნი ესენი ვედრებით აძლევდნენ ციხეებთა მეფესა, არამედ განდგა ლიპარიტ; ამისთჳს ვერღარა შთავიდა მეფე კახეთს და უკუ-მოიქცა. მაშინ გამოიყვანა ლიპარიტ დიმიტრი ძმა ბაგრატისა სპითა ბერძნისათა და მიერთნენ აზნაურნიცა ვიეთნიმე და კახნი მას, მოვიდნენ არე-არე, მოწვნეს ქუეყანანი, მოადგნენ ატენს, არამედ ციხე ვერ დაიპყრეს; ხოლო ბაგრატ მეფე მოვიდა ჯავახეთს, განამაგრა ახალქალაქი. უკუნ იქცა ლიპარიტ და წარვიდნენ ბერძენნიცა და წარიყვანეს დიმიტრი.

შემდგომად განძლიერდა ბაგრატ მეფე, მოერთო ვესტი ცხრა ციხითა და ანისი მოსცეს დედასა ბაგრატისასა, ხოლო გაზაფხულ მეფე ბაგრატ მოსდგომოდა გარს ანაკოფიას და მიეწურა წაღებასა; მაშინ მომკუდარ-იყო ამირ ტფილელი, ანაკოფიას მოვიდნენ ტფილისელნი და მიაწვივეს მეფე; მუნ დაუტევა სპანი მოდგომილნი ანაკოფიას და თჳთ მოვიდა ქუთათისს, მოუყენნა ლაშკარნი და ფელაკონნი. მუნიდამ თჳთ მოვიდა ტფილისს; მოეგებნენ ტფილელნი, მოაართვეს კლიტენი, შევიდა და დაჯდა სახლსა საამიროსა და დაიპყრა კალა-ტფილისი; არამედ ისანი არა მოსცეს და ბრძოდნენ ძლიერად.

მაშინ მოვიდა კახთა მეფე გაკი და ყოველნი კახნი დარბაზობად ბაგრატისა; განვიდა ბაგრატ ველსა ისნისასა, ითაყვანნა იგინი და განუტევა მშვიდობით; არამედ გაზაფხულს კუალად იწყო ლი-

პარიტ ქუე-გამხედველობა, გამოიტყუა დედოფლისაგან ანისი და შეიპყრნა აბუსერი არტანუჯის ერისთავი, ხიხა ციხისჯვარისა, იოვანე ერისთავი, იოანე დადიანი, გურამ ბეჭის-ციხისა და აწყურის ციხის პატრონი. მსმენელმან ბაგრატ დაუტევა ტფილისი და მოვიდა ჯავახეთს, მოერთო მაწყუერელი მესხით მეფესა; ხოლო ლიპარიტ მოვიდა კახითურთ ფოკას და მიერთო მაწყუერელიცა ლიპარიტს. მხილველმან ბაგრატ მეფემან გარდაიარა შავშეთი ბუქთა შინა ძლიერთა და შთავიდა ქართლს; მაშინ ლიპარიტ კუალად გამოიყვანა დიმიტრი და მიერთნენ ზოგნი ბაგრატისანიცა; არამედ ჰყვანდა მძევლად ბაგრატს ძე ლიპარიტისა; ითხოვა ლიპარიტ და განუტევა აბუსერი ციხითურთ და მიიღო ძე თჳსი. ხოლო ბაგრატს მოერთნენ სამი ათასნი ვარანგნი; მოიტანა მეფემან შჳდასი მათგანი და შიდა-ქართველნი, გარნა მესხნი ვერღარა მოიცადა და ლიპარიტცა მოვიდა კახით და სომეხთა მეფით დავითით;

შეიბნენ სასირეთის ჭალასა შინა; არამედ იძლივნენ ბაგრატისანი და შეიპყრეს კუალად აბუსერი და სხუანი დიდებულნიცა და ვარანგთა ვერღარა უყვეს ბრძოლა. მისცა ლიპარიტ პაშტანი. მათ გარდავლეს ეგრეთვე ლიხნი; არამედ ამ ბრძოლის წინარე მოკუდარ-იყო დიმიტრი და გაქცევისათჳს შეშინდა ბაგრატ მეფე და განხეთქისათჳს სამეფოჲსა, წარვიდა ლიპარიტისა თანა. ხოლო ლიპარიტ არა იხილა, არამედ მიჰრიდა და ბაგრატ უკუნ-იქცა აფხაზეთს.

შემდგომად ერისთავმან კალმახისამან და გრიგოლი ერისთავმან აწვივეს ბაგრატ; ხოლო ბაგრატ გარდავლო გზა რკინის-ჯუარისა სპითა შეკრბნენ არყის-ციხეს. მცნობმან ლიპარიტ შეიკრიბნა სპანი და მწენი თჳსნი კახნი და სომეხნი და ბერძენნი; დაესხა მეფეს და იქმნა ბრძოლა ძლიერი; არამედ კუალად იძლია მეფე; შეიპყრა ლიპარიტ სულა, სთხოვა კალმახი; მან არ მისცა, ხოლო გრიგოლიმ

1-29 სტრ., 148
მისცა არტანუჯი. შემდგომად ულაშკრა ლიპარიტბერძენთა დვინს და შემოიქცა მუნიდამ. ხოლო მოქცევასა წლისასა გამოჩნდნენ თურქნი ბასიანს, მოვიდნენ ბერძენნი, მიუწოდეს ლიპარიტს, ეწყუნენ თურქთა უკუმიას ქუევით, იძლივნენ თურქთაგან და შეიპყრეს ლიპარიტ და წარიყვანეს ხურასანს. მაშინ დიდებულთა და ძეთა ლიპარიტისთა გამოიყვანეს მეფე ბაგრატ და განდიდნა კუალად და დაიპყრნა ყოველნი. ხოლო მოადგნენ განძას თურქნი და მიეწურათ წარღებად; მოვიდნენ ბერძენნი შუელად მისა; აწვივეს ბაგრატ მეფე და უშუელა მეფემან. ამათ მისლვასა უკუ-რიდეს თურქთა განძას და დაშთა მშჳდობით. მუნიდამ მოქცეულს მოსცეს ტფილისი ბაგრატ მეფესა, შევიდა და დაიპყრა ციხე-ქალაქი. შემდგომად დაეხწა ლიპარიტ თურქთა, მოვიდა და დაიპყრნა თჳსნი ყოველნი; ხოლო სცნა რა განდიდება ბაგრატ მეფისა, წარვიდა კოსტანტინეპოლედ, რამეთუ მსახურებისა მათისათჳს ტყუე იქმნა; მოიცა მუნიდამ ძალი სპითა, ვერღარა დაუდგა ბაგრატ მეფე, დაუტევა ძე თჳსი გიორგი მეფედ აფხაზთა ქუთათისს და თჳთ წარვიდა კოსტანტინეპოლედ, არამედ კეისარმან სათნოებისათჳს ლიპარიტისა არღარა გამოუტევა სამ წელ დიდსა დიდებასა შინა მყოფი მუნ კოსტანტინე მონომახისაგან,

აქა ყოფასა შინა მეფისა თანა იყო გიორგი მთაწმიდელი, ხოლო ლიპარიტ მოითხოვა ძე ბაგრატ მეფისა გიორგი მეფედ. მოსცეს დიდებულთა აფხაზთა და აკურთხა რუისს მეფედ და მოუდგინა დაჲ ბაგრატ მეფისა გურანდუხტ მზრდელად. შემდგომად გურანდუხტ მოითხოვა მეფე ბაგრატ კეისრისაგან და მან წარმოავლინა დიდითა დიდებითა და ნიჭითა; მოვიდა ზღჳთ, შემოვიდა ქუთათისს, მეფობდა ლიხს იქით მიწყობით; ხოლო ძესა მისსა გიორგის ზრდიდა ლი-

პარიტ სახელით ოდენ მეფობისად.

შემდგომად მოეწყინათ უფლება ლიპარიტისა მთავართა; შეითქუნენ სულა კალმახელი და მესხნი; შეიპყრეს ლიპარიტ და ძე მისი იოვანე ქ˜სა ჩ˜ნთ, ქართულსა ს˜ოთ (ამავ წელსა მოწოდებითა მეფი-

სათა მოვიდა გიორგი მთაწმიდელი ქართლს); ხოლო ნიანიამ მიმართა კლდეკარს და არა შეუშუნეს მეციხოვნეთა მამისათა და წარვიდა საბერძნეთს. ესე აუწყეს ბაგრატ მეფესა; წარსრულსა მოერთნენ დაჲ და ძე თჳსი გიორგი ახალქალაქს და მუნ მოართუეს ლიპარიტცა და იოანე ძე მისი (ამის წილ სულას უბოძა მეფემან მამულნი დიდდიდნი). მერმე მოსცეს მეფესა არტანუჯი და ყოველნი ლიპარიტისანი და მოადგნენ კლდეკარს, განსუეს ლიპარიტ და იოანე ძელსა; ამით მოსცეს ციხე და გამოიღო საჭურჭლე ლიპარიტისა, მხილველი ლიპარიტ ეფუცა მეფესა და შეიმოსა ჩოჴა მონაზონებისა; ხოლო იოანეს უბოძა მეფემან არგუეთი. შემდგომად გაიპარნენ მამაძენი და მივიდნენ კოსტანტინეპოლედ და ნიანია მოკუდა ანისს ბერძენთა თანა; ხოლო იოანე კუალად გამოიყვანა მეფემან, მისცა არგუეთივე და შერთო დიდებულთა თჳსთა თანა და ლიპარიტ მოკუდა კოსტანტინეპოლის, წარმოიღეს აღზრდილთა მისთა და დაფლეს საფლავსა მათსა კაცხს.

ამისა შემდგომად გამოვიდა სპარსთა მეფე უეცრად დასხმის გუარ ქ˜ესა ჩ˜ჲდ, ქართულსა ს˜ჳდ. შემოიარა კანგარი, თრიალეთი და დღესა ერთსა მოვიდა მარბიელი მისი ყუელის-ყურს, ტაოს, შავშეთს, კლარჯეთს, თორს, და ღვიის-ჴევს და თჳთ დაადგრა თრიალეთს.

ხოლო მეფე დედით, დით და ძით გიორგით მომავალი ტაოდამ იდგა ხეკრებულთა, აყრილსა. ეწივნენ სპანი სპარსნილ არამედ მეფე შთაესწრა ქართლს და სპარსნი მიიქცნენ, შემუსრეს ახალქალაქი, მოსწყჳდნეს მუნ-მყოფნი ესრეთ, რამეთუ შეიღება მდინარე იგი სისხლითა. მაშინ ითხოვა სპარსთა მეფემან ზავი ბაგრატისაგან და მზახლობა; ესენი აღუსრულა ბაგრატ და მიიქცა სულტანი, შემუსრა ანი და მისცა მანუჩარს; არამედ დისწული ბაგრატისა, რომელსა ითხოვდა სულტანი, იყო ძმისწული სომეხთა მეფისა კჳრიკესი და არა მოსცა იგი ბაგრატს; ამისთჳს აბირნა ბაგრატ კაცნი და სამ-

შჳლდეს შემომავალნი შეიპყრნეს კჳრიკე და ძმა მისი სუმბატ, მოართუეს ბაგრატ მეფესა; მოადგა მეფე სამშჳლდეს; მოსცეს სამ-

შჳლდე, ოფრეთი და სხუანი ციხენიცა; არამედ ბაგრატ შეიწყალა კჳრიკე და მისცნა ყოველნი, სამშჳლდისაგან კიდე; გარნა იგი დაიპყრა სახლად თჳსად; შემდგომად მისცა ასული თჳსი მარიამ ბერძენთა მეფესა ცოლად ქ˜ესა ჩ˜ჲე, ქართულსა ს˜პე, და დისწული მისცა სპარსთა მეფესა ცოლად (ამასვე ქ˜კნს წარვიდა გიორგი მთაწმიდელი მთაწმიდასა).

შემდგომად სამისა წლისა გამოვიდა სულტანი, შემუსრა რანი; მაშინ ერთგულად დგნენ ჰერ-კახნი ბაგრატ მეფისად და სპანი ბაგრატ მეფისად და სპანი ბაგ-
რატისანი იყვნენ მუნ მდგომარენი ვიეთთა ციხეთა ზედა, რამეთუ თჳთცა შთასლვად იყო. მცნობნი სულტანის მოსლვისანი მოიქცნენ და აუწყეს ბაგრატს. მაშინ უკ-მოიქცა მეფეცა ქართლს; ხოლო აღსართან მივიდა წინაშე სულტნისა და მიიქცა სარკინოზად და წინადაიცვითა. ამისთჳს მისცნა სულტანმან ციხენი ჰერ-კახთა ბაგრატის ნაქონებნი; მერმე მოვიდა სულტანი ჯაჭუს და განუტევა მუნიდამ მარბიელი ცისკრისად და მწუხრამდე აღივსო ყოველი ქართლი და გარდავიდნენ არგუეთს, მიუწივეს სვირამდე ქ˜ესა ჩ˜ჲთ, ქართულსა ს˜პთ, დეკემბერს ი˜ ოთხშაბათს, და მოისრნეს ურიცხუნი ქრისტიანენი და იქმნა დღე ბნელი, ვითარცა წყუდიადი და წჳმა სისხლისა. კუალად იყო ზამთარი სასტიკი, რამეთუ რომელი განერა, მოისრნენ ყინვისაგან.

მაშინ მიგზავნა ბაგრატ მეფემან ლიპარიტის ძე იოანე წინაშე სულტანისა მშჳდობისა ზავისათჳს; ხოლო მან ითხოვა ხარკი და ყინელისაგან ვერღარა დაადგრა, უკუნ-იქცა, შემუსრა ტფილისი და მისცა განძის პატრონს (ესე არა მტერობისათვის ბაგრატისა ჰყო სულტანმან, არამედ იყო ვერაგი, რამეთუ კეთილისათჳს მიაგის ბოროტი უღმრთოობითა, და ლაშკრობასა ამას შინა იყო სპა მისი ხუთასი ათასი), და მერმე წარვიდა სპარსეთად.

1-28 სტრ., 151
კუალად გაზაფხულს იქმნა ესეოდენი სიმდიდრე მდინარე-წყალთა, რომელ გარდავიდა ნადინებთაგან და წარიღო მრავალნი სულნი, რომელნი დაუშთნენ სულტანსა. ამასვე ჟამსა განდიდდნა ფადლონ, შემოვიდა ტფილისს, გამოიყვანა ჴელოსანნი; ხოლო მეფე ბაგრატ იდგა დიდგორსა ზედა, არა-რაჲ რიდა ფადლონ მეფესა და დაიბანაკა ისნის ველსა ზედა ლ˜ჩ˜ (30.000) სპითა. მუნ დაუტევნა კარავნი, შემოვლო მუხრანი დარბევად ქართლისა. აქადგან ბაგრატ წარავლინნა სპანი თჳსნი მესხნი; ვერღარა გაუსწრეს ფადლონს და განვიდნენ წილკნის გორასა ზედა და მოვიდნენ სპანი ფადლონისანი, ეკუეთნენ და პირველსავე ჴრმლის მოკიდებასა აოტნეს სპანი ფად-

ლონისანი, მიჰყვნენ ხერკის მთამდე, მოსწყჳდნეს რომელ აღივსნეს ჴევნი მძორითა მათითა; არამედ ფადლონ ხუთითა ცხენოსნითა წარივლტოდა კახეთს და ჰყო თავი თჳსი დესპანად ფადლონისა; იხილა იგი ნიანიამ, წარიყვანადა მიგუარა იგი ისააკს; გარნა ისააკ არა მოიჴსენა, რამეთუ აზნაური მესხი იყო, რათამცა მოეყვანა მემკჳდრისა თჳსისა ბაგრატ მეფისა; გარნა მიგუარა თელავს აღსართანს; ხოლო აღსართან გამოუხუნა ხორნაბუჯი და არადეთი; ესე შეუძნდა ბაგრატს, მისცა ბოჭორმა და უჯარმა კახთა განუტევებლობისათჳს ფადლონისა. მაშინ მოსცეს ფადლონ მეფესა, გასუეს ძელსა ფადლონ და მოსცეს ტფილისი, და არა დაიმჭირა თავისად მეფემან, არამედ მისცა სითლარბს და თჳთ აღიღო რუსთავი, ფარცხისი, აგარა, გრიგოლ-წმიდა, ქავაზანი, მ˜დ ჩ˜ (44.000) დრაჰკანი და მძევალნი თავალთა განძისათანი (მთარგმნელნი ამ ჟამთა იყვნენ: იოვანე პატრიკ-ყოფილი, პეტრიწი ფილოსოფოსი და სტეფანე).

შემდგომად გაგზავნა სულტანმან სარანგი შუამდგომელობისათჳს ფადლონისა, განუტევა ფადლონ და კუალად აღიღო გაკი ბაგრატ მეფემან. შემდგომად ეცრუა ფადლონ ფიცსა, წარიღო ქავაზანი, მოადგა აგარათა, გასცა ციხისთავმან და დაიპყრა ფადლონ. მცნო-

ბელი ბაგრატ გამოვიდა, წარუხუნა აგარანი, გამოიყვანა დურღულელი ოვსთა მეფე მ˜ჩ˜ (400 000) მჴედრითა, წარუძღუანა ძე თჳსი გიორგი, მოაოჯრეს განძა, აღიღეს ტყუენი და ნატყუენავი და ალაფი, შემოიქცნენ გამარჯუებულნი; მერმე წარვიდნენ ოვსნი თჳსად.

შემდგომად მოვიდა ოვსთა მეფე დარბაზობად ბაგრატისა და ხილვად ასულისა თჳსისა; გაეგება ბაგრატ მეფე მყოფი ნაჭარმაგევს, ისტუმრა ი˜ბ დღეს; უძღუნა ურიცხუნი და განუტევა. არამედ ავლინებდა სულტანი ძღუენსა მეფისა თანა და ითხოვდა ხარკსა; ეგრეთვე ბაგრატ სძღნობდა და არა მისცემდა ხარკსა.

შემდგომად დასნეულთა ბაგრატ მეფე სამშჳლდის ბარს მდგომი და წარმოიყვანეს ქართლს ჰორლეთი; მოვიდნენ ცოლი, დედა და დაჲ მისნი; რქუა დედასა: „დედაო, მეწყალვი, რამეთუ წარიქციენ ყოველნი ნაშობნი შენნი პირველ შენსა და მერმეღა მოკუდები შენ“. და გარდაიცვალა ქ˜სა ჩ˜ობ, ქართულსა ს˜ჟბ. და ვერა სცნა დიდმან სულტანმან და ბაგრატ სიკუდილი ურთი-ერთისანი, რამეთუ იგი შესრული სამარყანდად ღ˜ჩ˜ (700.000) სპითა მოიკლა ხარგასა თურქისა ვისგანმე.

არამედ ესე იყო ბაგრატ პირველად კურადპალატი, შემდგომად

ნოველისიმოსი, მერმე სევასტოსი და უშუენიერესი ყოველთა კაცთა, სიბრძნითა ფილოსოფოსი, ენითა სვიანი, უმდიდრესი ყოველთა მეფეთა აფხაზეთისათა, მოწყალე, უხჯ, შემცოდეთა შემნდობელი; არამედ ქუეყანათა ჟამსა ამისსა დაწყნარება არა აქუნდა; ეკლესიანი, გლახაკნი აზნაურნი ვერ იკადრებდნენ მოცალებად.

ნ˜ზ. მეფე გიორგი. ი˜ზ წელი მეფა

შემდგომად მისსა გამეფდა ძე მისი გიორგი; განვლო შჳდი თთუე მშჳდობით. შემდგომად განდგნენ ერისთავნი: იოვანე ლიპარიტის ძემ მოირთო კახნი და დადგა ქსნის პირსა; ნიანიამ წარიღო ქუთათისი და საჭურჭლე; ვარდან განადგინნა სუანნი და აღსწყჳდა

1-29 სტრ., 153
საეგრო. მაშინ მეფემან გიორგი სიმჴნე-ახოვნებითა თჳსითა სძლო მათ ყოველთა და წარუღო ყოველნი, არამედ არა მიაგო ბოროტისა წილ, გარნა მიანიჭნა ნიჭ-ქუეყანანი და დაჰფარნა ერთგულ-ორგულნი წყალობითა და დაიმორჩილნა სრულიად; კუალად განდგა იოვანე ლიპარიტის ძე; მიუჴდა გიორგი მეფე მორთული მესხით და აღსართან მოიყვანა კახეთით. ვერღა დაუდგა იოვანე, ივლტოდა სომხითს; წარუღო ლორწობანი მეფემან აღსართანს; მერმე მოეყარა მეფე სამშჳლდეს, მოიყვანა იოვანე ჯავახეთს, აფუცა ერთგულობასა ზედა, მისცა კუალად სამშჳლდე და კლდეკარი. შემდგომად კუალად განდგა იოვანე, წარიღო გაგი და მიჰყიდა ფადლონ განძელსა.

შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქ-შაჲ მტერად ყოველთა ქრისტეანეთა; მიეგება იოვანე; მცირედისა შემდგომად გამოეპარა სულტანს და შევიდა სამშჳლდეს. მოადგა სულტანი, აღიღო, გამოიყვანა იოვანე ცოლშვილით და აზნაურნი დედაწულით ტყუე-ჰყვნა; მუნიდამ მოარბია ქართლი, უკუნ-იქცა და აღიღო განძა და დააგდო სარანგი მუნ მ˜ჱ ჩ˜ (48.000) კაცითა ბრძოლად ქუეყანათა ამათთჳს; ხოლო ფადლონ პატიმარ ჰყო და წარვიდა.

შემდგომად შეკრბა სარანგი და მოჰმართა გიორგი მეფესა; ხოლო გიორგი ყოვლითა სპითა თჳსითა მიეგება და მოირთო აღსართან კახთა მეფეცა. შეიბნენ ფარცხისს, ძალითა ჯუარისათა სძლო გიორგი მეფემან და მოსწყჳდნა სპანი სარანგისანი ურიცხუნი; გარნა ნეშტი დაარჩინა სიღამემან; შემდგომად წარუღო გიორგიმ ბერძენთა ანაკოფია, კუალად კლარჯეთი, შავშეთი, ჯავახეთი, არტანუჯი და აღიღოცა ქალაქი კარი, ვანანდი, ანი და იოტნა თურქნი მის ქუეყანისანი შეწევნითა ღვთისათა.

შემდგომად კუალად მოვიდა სულტანი მალიქ-შა, შემუსრა სამ-
შჳლდე, კუალად ტყუე-ჰყო იოანე ლიპარიტის ძე, მოაოჴრა სომხი-
თი და წარვიდა. ამასვე წელსა მოვიდა კუალად სარანგი ძალითა
სულტანისათა და ჩამოდგა სამშჳლდის ბარს; მოუჴდნენ სპანი გი-

1-27 სტრ., 154
ორგი მეფისანი, ეკუეთნენ, აოტეს სარანგი დიდითა ძლევითა და მოს-
წყჳდნეს სპანი მისნი.

შემდგომად წარვიდა მეფე გიორგი ტაოდ, მუნ მოერთო გრი-
გოლი ბაკურისძე, რომელსა აქუნდა ოლთისი და კარნუ-ქალაქი,
მოსცა მეფესა კარი და მიმდგომი მისი და წარვიდა.მაშინ მეფემან
დაუტევნა კარს აზნაურნი შავშელნი და თჳთ წარმოვიდა.

დიდი თურქობა

არამედ ამ ჟამად განძლიერდნენ თურქნი, რამეთუ დაუტევებ-
დნენ ბერძენნი აღმოსავლეთსა და წარვიდოდნენ; ხოლო თურქნი
დაიპყრობდნენ მათთა ნაქონებთა ქუეყანათა. ამათ იწყეს რბევად
ქრისტიანეთა ცოდვათა ჩუენთათჳს; გარნა განცემითა ქრისტია-
ნეთაგანვე დაესხნენ მეფესა ყუელსა მდგომს აჰმად ამირ სპითა თჳსი-
თა, რომელსა მას ჟამს აღეღო კარიცა, და აოტეს მეფე გიორგი და
წარვიდა გზით აჭარისათა აფხაზეთს. ხოლო თურქთა წარიღეს სიმ-
დიდრე მეფისა უზომო სამსახურებელნი ბაგრატოვანულნი, გარნა
უკუნქცეულთა მათ ემთხვიათ სხუანი თურქნი, რომელნი მოვიდო-
დნენ საბერძნეთს სახელით იასი და ბუჟღობა. ამათ რა იხილეს სიმ-
დიდრე და ლტოლვა მეფისა, რქუეს: „აჰა ქართლი უკაცური და სავ-
სე ესევითარითა. რად მიხვალთ საბერძნეთს?“ და მსწრაფლ მო-
იქცნენ იგინი და მოვიდნენ ქ˜სა ჩ˜პ, ქართულსა ტ˜, ივნისსა კ˜დ,
და აღივსო ყოველი გიორგია. ამავ დღეს დაწვეს ქუთათისი, არტანი,
კლარჯეთის უდაბნონი, ჭყონდიდი და ქართლი. არამედ დაჰყვეს
ზამთარიცა, მოსწყჳდეს ქუეყანა, მოჭამეს და წარვიდნენ.

ესე იყო დიდი თურქობა და თუ ვინმე დაშთნენ კლდეთა, ქუაბ-
თა, მთათა და სიმაგრეთა, იგინიცა მოსწყდნენ ზამთრისაგან; ხოლო
განძლიერდა ჭირი ესე, რამეთუ ზაფხულს მოიქციან და ეგრეთვე
ყვიან; გატყევდა ქუეყანა და არღარა იყო მუშაკობა, რამეთუ წმი-

1-26 სტრ., 155
დანი ეკლესიანიცა სახლად პირუტყუთა იქმნენ და არა სადა იყო
ღონისძიება, ვინაჲთგან ბერძენთაცა მოღებოდათ ძალი; ამისთჳს
განიზრახა გიორგი მეფემან წარსლვა წინაშე სულტანისა, რათა და-

დვას სული თჳსი ერისა თჳსისათჳს და მივიდა ასპანად; ხოლო სულ-
ტანმან შეიტკბო და პატივ-სცა დიდად, რამეთუ იყო სულტანი კაცი
სიკეთით სრული და ყოველთა ზედა აქუნდა უბოროტება: აღუსრუ-
ლა მეფესა ყოველი სათხოველი, ათავისუფლა ქუეყნითურთ, მოსცა
ჰერეთი და კახეთი და სპანი, რათა აღართუან ჰერ-კახნი, კუალად სა-
ბოძვარნი დიდნი და წარმოავლინა; არამედ ხარკი ითხოვა; მოვიდა
მეფე სპითა სულტნისათა, მოადგა ვეჯინის ციხესა. მაშინ გარ-მო-
დგომასა შინა მოვიდა თოვლი, მოაგონდა მეფესა ნადირობა აჯამე-
თისა, განუტევნა სპანი ბოძითა და მისცა იორის პირი სადგურად და
თჳთ მოვიდა აჯამეთს.

ამისი მხილველი აღსართან წარვიდა მალიქ-შასა წინაშე, დაუ-
ტევა ქრისტე და იქმნა სარკინოზი, ამისთჳს მოსცა კუალად მასვე
კახეთი და ჰერეთი. ხოლო გარნა არავე დასცხრა რისხვა ღვთისა
ცოდვათა ჩუენთათჳს, და დღესა აღდგომისასა ესეოდენ შეიძრა
ქუეყანა, რამეთუ დაირღუნენ კლდენი, ქალაქნი, ციხენი, ნაშენებნი
და მრავალნი მოსწყდნენ ქ~ეს ჩ~პწ, ქართულსა ტ~წ, რათა არა
იტყოდნენ, რამეთუ სოფლისა ქცევათა მიერ არს ოჴრება და არა
ცოდვათა ჩუენთათჳს, რამეთუ განირყუნა ქუეყანა, არამედ იყო
ესევითარი ძრვა ერთ წილ. შემდგომად მიიცვალა მეფე გიორგი
ქ~ესა ჩ~პთ, ქართულსა ტ~თ.

ნ~წ. მეფე დავით. მ~ა წელი მეფა

დაჯდა ძე გიორგისა მეფედ დავით წლისა ი~ვ; არამედ იყო გი-
ორგია ოჴერ. თჳნიერ ციხეთაგან, მთათა და კლდეთა, არა იყო კაცი,

რამეთუ წარჩინებულნიცა ჟამად-ჟამად იყვნენ წინაშე მეფისა; ხოლო
სადგური იყო მეფისა წაღვლის თავი, არამედ სიმრავლე ნადირთა
ესეოდენი იყო, რამეთუ ოდესცა ენება მეფესა მონადირება ნაჭარმა-
გევისა ანუ სხუათა, წარავლინიან მაფრთხედ მჴედარნი და შემდგო-
მად თჳთ მოინადირის; ხოლო გარდაჴდა რა წელიწადი ოთხი, მო-
კუდა სულტანი მელიქ-შა. კუალად იწყო ლიპარიტ მამა-პაპურთა
კუალთა სლვა; შეიპყრა მეფემან, სწუართა და განუტევა, არამედ
კუალად მიიქცა ძაღლი ნათხევარსა, ვინაჲთგან კუდიცა ძაღლისა
არა განიმართების, ეგრეთ გული ბაღუშთა მეფეთა ზედა. ამისთჳს
კუალად შეიპყრა მეფემან, და წარსცა კოსტანტინეპოლედ და მო-
კუდა მუნ. ხოლო მამული მისი აღიღო მეფემან. ამას შინა მოშენდა
ქუეყანა და განიმრავლა სპანი მეფემან და არღარა მისცა ხარკი
სპარსთა. შემდგომად გამოვიდნენ ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი
ქ~ესა ჩ~რა, ქართულსა ტ~კა.

ამავ ქ˜კნს აღიღო ციხე ზედაძენი მეფემან კჳრიკე მეფისაგან, არამედ იყო ესე კჳრიკე ყოვლითა სიკეთითა სრული და ჭეშმარიტი ქრისტეანე. შემდგომად წელიწადისა მიიცვალა კჳრიკე და დასუეს ძმისწული მისი აღსართან, კაცი უმგზავსი და ცუნდრუკი; არამედ განიხილა მეფემან, რამეთუ სახლნი ღვთისანი ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნენ, მწყემსნი არა მწყემსნი, გარნა მგელნი.

ამისთჳს შეკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოზნი და სამღვდელონი მამულისა თჳსისანი და სხუა-კერძონიცა; ქმნა კრება ქ˜სა ჩ˜რგ, ქართულსა ტ˜კგ, და თჳთცა მუნ მჯდომი არა ვითარცა მეფე, არა-მედ ვითარცა მონა: განამტკიცეს ი˜ბ კრებათა დამტკიცებული ჭეშ-მარიტი სარწმუნოება; უღირსნი განკუეთნეს და დააწესეს ერად, ხო-ლო ღირსნი საყდართა მათთა დასხნეს. ჟამსა ამას შეიპყრეს წარჩინე-ბულთა ჰერ-კახთა აღსართან და მოსცეს მეფესა დავითს და და-იპყრნა ჰერ-კახნი მეფემან ნებიერად; არამედ ვიეთთამე არა ინებეს

და შეკრბნენ სულტანის სპითურთ და განძელის ათაბაგისა თანა და სხჳთაცა მწეობითა უქმნეს წყობა ერწუხს მეფესა; გარნა მცირე-დითა სპითა მეფემან მოსწყჳდნა სიმრავლე მათი სიმჴნე-გოლიათო-ბითა თჳსითა, [რამეთუ რაჟამს აღიჴადა აბჯარი, ეგოდენი შეყინე-ბულნი სისხლნი გამოჴდენ წიაღით მისით მისის ჴრმლის ნაცემობი-საგან ჩანაწუეთნი სხჳსანი, რომელსა ჩუენ ვგონებდით მის-მიერო-ბასა].

მაშინ უმეტეს დაიპყრნა ჰერ-კახნი ნებიერად, არამედ ჟამთა ამათ შინა ტფილისი, რუსთავი, სომხითი, სამშჳლდე და ყოველნი აგარანი ეპყრათ თურქთა; ხოლო თრიალეთი აქუნდა ჭყონდიდლის დისწულსა თეოდორეს. გარნა მეფე რა გარდავიდის იმერეთს, უმ-ცროსი შიში აქუნდათ ციხოვანთა და მეფე იყო აფხაზეთს, შეკრბნენ გიორგი ჭყონდიდელისა თანა თეოდორე აბულელი და იოვანე ორ-ბელი და სიმარჯჳთ მოიპარეს სამშჳლდე და ძერანი ქ˜ესა 1110, ქართულსა ტ˜ლ. მაშინ თურქთა დაუტევეს სხუანიცა ციხენი და ღა-მე ივლტოდნენ და დაიპყრნეს ჩუენთა იგინიცა.

ჟამსა ამას ჩამოდგიან თურქნი მტკურისა და იორის პირსა დიღმითგან განძამდე დედაწულითურთ [ვინაჲთგან არს ადგილი იგი ზამთარ ბალახიან-ტყიანი და ნადირითა სავსე]. განისუენებდნენ; ხოლო ზაფხულს არარატს და აბოცს იყვნიან. შემდგომად თრია-ლეთს მოვიდა თურქობა სულტნისა ს˜ჩ˜ (200,000) სპანი ქ˜სა ჩ˜რიე, ქართულსა ტ˜ლე. სცნა მეფემან ნაჭარმაგევს მდგომმან, ჩ˜ფ˜

(1500) ტაძრეულითა სპითა მიეგება და პირველსავე ბრძოლასა
ივლტოდნენ თურქნი; არამედ მეფე და ერნი ურწმუნებელნი ლტოლ-
ვისათჳს ვერ სდევნიდნენ ჟამადმდე. სცნეს რა ჭეშმარიტი, ეწივ-
ნენ, მოსრნეს, მოსწყჳდნეს უამრავნი და აღიღეს ალაფნი დიდნი.
კუალად ჭყონდიდელმან გიორგი აღიღო რუსთავი, რომლისაგან
ზარ-ცემულ იქმნენ თურქნი; მაშინ მეფეცა მოიმსტრობდა თურქ-

თა, ჩამომდგართა მტკუარსა და იორსა ზედა, დაესხმოდის და მოსრ-
ნის უმრავლესნი არა ერთგზის, არამედ მრავალგზის; მერმე ჩამო-
დგნენ თურქნი ტაოს მინდობილნი სიმაგრეთა ზამთართა და თოვლ-
თა, ხოლო მეფემან, ქუთათისს მყოფმან, იპირნა სპანი თჳსნი სი-
მარჯუესა და თჳთ შევლო ჭოროხის პირი, მოერთნენ სპანი მისნი-
ცა და დაესხა ტაოს თურქთა, მოსწყჳდნა დედაწულითურთ, ვიდრე
ბასიან-კარნიფორამდე, წარმოიღო ალაფი, რომლითა აღივსო ყო-
ველი გიორგი ქ˜სა ჩ˜რივ, ქართულსა ტ˜ლვ, თებერვალსა.

ამასვე წელსა შერთო ასული თჳსი კატა ბერძენთა მეფესა; მე-
ორე ასული თამარ შერთო შარვანსა (ამის ჟამს იყვნენ მთარგმნელ-
ნი: ეფრემ მცირე, თეოფილე, არსენი იყალთოელი და იოვანე ტარი-
ჭის ძე).

კუალად დაიპყრა მეფემან ასამ გრიგოლის ძე და შოთა ქ˜სა
ჩ˜რიზ, ქართულსა ტ˜ლზ. შემდგომად აღიღო გიში. კუალად წარ-
გზავნა ძე თჳსი დიმიტრი შარვანს, რომელმანცა ქმნა ბრძოლა ძლი-
ერი და აღიღო ქალაძორი და გამარჯუებული შემოიქცა მამისა თანა
ალაფითა დიდითა.

შემდგომად წარვიდა მეფე ღანუხიდამ რახსის პირს, ზატიკი
გარდაიჴადა ნაჴიდურს; არამედ მუნ მოართუეს ამბავი სიკვდილი
ბეშკენ ჯაყელისა თრიალეთს შინა თურქთაგან. ამისთჳს უშლიდნენ
დიდებულნი წარსლვასა, გარნა წარვიდა მეფე და დაესხა რახსის
პირს თურქთა, მოსრნა სიმრავლენი მათნი და წარმოიღო ტყუე და
ალაფი დიდი.

შემდგომად აღიღო ციხე ლორე და აგარანი, მერმე მოკუდა ძე
მალიქშასი მელიქ-სულტანი და ალექსანდრე მეფე ბერძენთა და
ვერა სცნეს ერთმანცა ქ˜სა ჩ˜რიზ, ქართულსა ტ˜ლზ.

მაშინ განიხილა მეფემან, რამეთუ არა კმა-ეყოფის სპანი მისნი
ესეოდენთა ციხეთა და ქუეყანათა დაპყრობად, განიზრახა გონიე-
რებითა და წარვიდა ოვსეთად, რათა გამოიყვანოს სიმრავლე მათი,

ვინაჲთგან მოეყვანა ასული ყივჩაყთა მეფისა ცოლად თჳსად გუ-

1-28 სტრ., 159
რანდუხტ დედოფალად გიორგიისა. მისრულსა მოეგებნენ ყოველ-
ნი მეფენი ოვსთანი და აღიხუნა მძევალნი მათნი მეფემან და კარი
დარიელისა და შეაერთნა ყივჩაყნი და ოვსნი, გამოიყვანა სიმრავ-
ლით სიმამრი და ცოლის-ძმა თჳსი, ქმნა გზა მშჳდობისა; არამედ
მოკუდა მუნ ყოფასა გიორგი ჭყონდიდელი, გამზრდელი მეფისა;
იგლოვეს, ვიდრემდის იშვა ვახტანგ და მით დაიჴსნა გლოვა. ხოლო
ყივჩაყთა დაუდგინა სპასალარი-მთავარნი დას-დასად და შეიძინე-
ბოდნენ მრავალნი ქრისტეანედ; გარნა არა ცუდად დაშურა, რამეთუ
მათით მოსრნა სიმრავლე თურქთა; არამედ აქუნდა ჩუეულება მე-
ფესა - გარდავიდის აფხაზეთს, ჩამოიტყუვის თურქნი სადგურთა
მათთა, უეცრად მოვიდის და მოსწყჳდნის. ჟამსა ერთსა გარდავიდა
მეფე გეგუთს და მუნით ხობს; სცნეს თურქთა მეფის შორს ყოფაჲ და
ჩამოვიდნენ საზამთროსა მათსა თებერვალსა ი˜დ. უცნაურად გარ-
დმოფრინდა მეფე და დაესხა თურქთა. გარნა თუ ვინმე ცნეს შემს-
წრენი ივლტოდნენ; სხუანი ყოველნი მოსწყჳდნა და ტყუე-ყო ქ˜ესა
ჩ˜რკ, ქართ. ტ˜მ.

ამასვე პირ-მარხუას აღიღო ქალაქი ყაბალა და მოვიდა ქართ-
ლსა სავსე ალაფითა. კუალად თთუესა მაისსა მოსტყუევნა შარ-
ვანი, ქურდევანი შიმშატამდე და შემოიქცა ქართლს. ჟამსა ამასვე
შეიბნენ შარვან-დარუბანდელნი, მოკლეს აფრიდონ და მოსწყჳდ-
ნეს შარვანელნი; ხოლო ნოენბერს წარვიდა მეფე აშორანს, დაესხა
თურქთა და მოსწყჳდნა ყოველნი; მგზავრად ჩამოვლო, დაესხა
თურქთა სევგელამენჯს და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათ-
თა.

ამასვე ზამთარს ჩავიდა მეფე ბიჭვინტას, განაგო მუნებურნი,
შემცოდენი სტანჯნა და ერთგულთა პატივ-სცა. სცნეს თურქთა
შორს ყოფა მეფისა, ჩამოდგნენ მტკუარსა და იორსა ზედა; მაშინ
გარდმოსთხრა მეფემან მთა ლიხი, რომელ თოვლისა სიმაღლე იყო

1-27 სტრ., 160
სამი მჯარი, დაესხა თურქთა, მოსწყჳდნა რომელ არღარა დაშთნენ
მომთხრობელნი ერთიცა და აღივსნენ ლაშკარნი ნატყუენავითა ქ˜სა
ჩ˜რკა, ქართულსა ტ˜მა.

კუალად გაზაფხულს, განდიდნა რა მდინარე, ნადინებთა არღა-
რა ეტყოდა, ჩამოდგნენ თურქნი ბარდას, გულდებით განცურა მე-
ფემან ალონს მტკუარი და დაესხა თურქთა, მოსრნა, მოსწყჳდნა

ყოველნი, დაარბივა ბარდა, დაყო მუნ დღე ორი, რამეთუ თთუე იყო ივნისი, და მოვიდა შინ მძლეველი. ხოლო ამა ჭირთა შინა მყოფთა თურქთა განძელთა, ტფილელთა და ბანელთა შეიღებნეს პირნი და ჴელნი, შეიმოსნეს შავნი, წარვიდნენ და აუწყეს სულტანსა. ამისთჳს სულტანმან მოაწვია არაბთა მეფე დურბეზ, და მან წარმოუვლინა ძე თჳსი მელიქი ყოვლითა ძალითა თჳსითა. ხოლო სულტანმან აჩინა სპასალარად იელღუზი ძე არდუხისა, კაცი მრავალ-ღონე; ამას უბოძა ყოველი თურქობა დამასკოსი, ალაბისა და სხუანი ყოველნი დიდ-შემძლენი, ათაბაგი განძისა და სომხითისა ამირნი. ესენი შეკრბნენ და მოვიდნენ აგვისტოს ი~ზ, ვითარცა ქჳშანი ზღჳსა თრიალეთს, მანგლისს, დიდგორს კნინღა და არა ეტყოდნენ ადგილებთა ამათ შინა.

ხოლო მეფემან დავით განაწყო სპანი თჳსნი უშიშრად, და ვითარ გონიერად და ვითარ შუენიერად ეწყო და იქმნა ბრძოლა რამეთუ თჳთვე სარკინოზნი აღიარებდნენ, რომელ წმიდა მთავარმოწამე გიორგი იბრძოდა წინაშე სპათა მეფისათა, რომელი იხილეს ყოველთა განცხადებულად, რამეთუ ლტოლვილნი ძეძვთაგან ნაპრალთა და ტყეთაგან გამოჰყვანდათ სამ დღემდე, არამედ გეხილამცა ოდეს არაბთა და სპარსთა მთავარნი. ჩუენთა გლეხთა მოჰყვანდათ წინაშე დავით მეფისა; გარნა ალაფთა ურიცხუელობასა ვდუმებ, ვინაჲთგან გლეხნიცა თჳნიერ ოქრო-ვეცხლთასა არა რასავე

აღიღებდნენ, ქ~სა ჩ~რკგ, ქართულსა ტ~მგ. შემდგომად აღიღო ქალაქი ტფილისი უ~ წელთა სპარსთა ნაქონები და დაუმკჳდრა ძეთა თჳსთა ქ~სა ჩ~რკე, ქართულსა ტ~მე.

მოსლვა სულტნისა

ხოლო შემდგომად ამისა მეორესა წელსა მოვიდა სულტანი შარვანს, შეიპყრა შარვანშა, აღიღო შამახია და მოგზავნა დავით მეფისა: << შენ ტყეთა მეფე ხარ, ანუ წარმოგზავნე ძღუენი საკადრო, ანუ გამოვედ ნახვად ჩემდა>>. მსმენელმან მეფემან იჴმო სპანი და წამსავე შემოკრბნენ, და იყო ყივჩაყი, თჳნიერ გიორგიელთა, ნ~ჩ~ (50.000) და წარემართა სულტანსა ზედა. სცნა რა სულტანმან მიმავალობა მეფისა და სპათა სიმრავლე, შეშინდა და მირიდა შამახიას, სადაცა ცალ-კერძ ზღუდითა ქალაქისათა და ცალ-კერძ ხანდაკითა მოიმტკიცა და დადგა შეძრწუნებული; მცნობი დავით არღარა მივიდა, არამედ დავარდა მიწასა და შესწირა ღმერთსა მადლობა და დაადგრა მუნვე. ხოლო სულტანმან არღარა ძღუენისა მთხოველმან, არღარა სულტანურისა სიამაყითა, არამედ მოაჯემ მოუმ-

ცნო დავითს, რათა მისცეს გზა და განუტეოს, რამეთუ შესჭირდა ფრიად უსაზრდელობითა.

ხოლო ამასვე დღესა სულტნისა თანა მომავალი ათაბაგი რანი-სა სპითა მრავლითა ემთხვია სპათა მცირეთა მეფისათა, ბრძვეს და მოსწყჳდეს სპათა ჩუენთა წ˜ (4.000) კაცნი; ხოლო ათაბაგი მლტოლვარე შეშინებული მივიდა წინაშე სულტნისა. მხილველი სულტანი ღამესა მას გაპარვით წარვიდა შეძრწუნებული სპარსე-თად; ხოლო დავით ძლევა-შემოსილი უკ-მოიქცა, განისუენა მცი-რედ, შემდგომად კუალად წარვიდა შირვანს ივნისსა, აღიღო გულის-ტანი, სახლი შარვანისა და აღავსნა სპანი კეთილითა; სთუელს გარ-დამოვიდა გეგუთს და განაგნა მანდაურნი; მარტს წარმოვიდა და აღიღო ქალაქი დბანისი; აპრილს დაესხა ბაბურს დარუბანდს და მოსწყჳდნა ქურდნი, ლეკნი და დარუბანდის ყივჩაყნი; აღიღო ციხე

ღისანნი, ხოზაონდი და მიმდგომნი მისნი ქუეყანანი; მაისს აღიმს-თო ვითარცა არწივმან, აღიღო ციხენი სომხითისანი გაგი, ტერნა-კალი, ქავაზანი, ნორბედი, მანასგომი და ტალინჯაქარი; ივნისს წარვლო ჯავახეთი, კოლა, კარნიფორა, ბასიანი ვიდრე სპერამდე და მოსრნა თურქობა, სადა ვინ პოვნა და ტყუე-ყვნა, მუნით ჩამოვლო ბუიათ-ყური, დაწვა ოლთისი და მოვიდა თრიალეთს გამარჯუე-ბული.

მაშინ აგვისტოს კ˜ბოჭანოს მდგომს მეფეს მოერთო ანისის ქალაქის მოცემა, მყის აწვივნა სპანი თჳსნი და თჳთ წარემართა, რამეთუ მარადის ჲ˜ჩ˜ მჴედარნი კარსა ზედა უდგიან. მისრულმან ანისს სამ დღე აღიღო ქალაქი, ციხე და დაბნები მისი უჭიროდ, შე-იპყრნა ალფასარიანნი და მოსწყჳდნა რომელთა ეკლესია ანისისა მიზგითად ექმნათ (რომელი აღეშენა ბერძენთ მეფის ასულს დე-დოფალს კატრონიკეს და მუნვე დაფლულ იყო). შემოკრიბნა მეფე-მან კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და განაახლა კურთხევა. მაშინ მეფე-მან უყივლა კატრონიკეს საფლავსა: „გიხაროდენ, დედოფალო, რა-მეთუ იჴსნა ღმერთმან ეკლესია შენი აგარიანთაგან“; ხოლო საფ-ლავით ჴმა უყო მან: „მადლობა ღმერთსა“ და განცჳფრდებოდნენ მსმენელნი, ქ˜სა ჩ˜რკთ, ქართულსა ტ˜მთ. დაუტევნა ანისს აზნაურ-ნი, წაარმოიყვანა ბულასვარ წ˜ ძითა, რძლითა, მჴევლებითა და ჩაგ-ზავნნა აფხაზეთს და მეფე თჳთ მოვიდა ქართლა. შემდგომად წარ-ვიდა მეფე შირვანს, აღიღო შამახია, ციხე ბივრიტი და ყოველი შარვანი და დაუტევნა მუნ ჰერ-კახნი, უჩინა ზედამხედველად მწიგ-ნობართ-უხუცესი სჳმონ ჭყონდიდელი, დაამშჳდნა ქურდნი, ლეკნი, თარასნი და მოვიდა ქართლს; მაშინ უჩინა ყივჩაყთა საზამთრო ად-

გილნი და დასხნა იგინი.

1-28 სტრ., 163
ხოლო მეფესა დავითს ამისთჳს ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქუეყანა ესე სრულიად ოჯერ; ამან განავსნა და აღაშენნა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყუარე ღვთისა, გლახაკთა, ქურივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თჳთმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი, სამღუდელოთა მოპატივე, წერილთა სამღთოთა მოყუარე, რამეთუ ზიდვიდა მისთანა ჯორ-აქლემთა ყათარნი და მკითხველი მარადის ნადირობა-ლაშკრობასა შინა, არამედ რა ჟამი იყვის, მისცის წიგნი, თჳთ მიეტევის და აღასრულის საწადელი. რამეთუ წელსა ერთსა, თჳნიერ სხუათა წერილთა, სამოციქულო კ˜დ გზის წარეკითსა, გარნა ვთქუათ ერთი: არღარა აღეღო ტფილისი ჯერეთ, ავჭალას დაუტევნა სამასნი და წარიყვანნა ი˜ბ მჴედარნი მოხილვად ტფილისისად; ხოლო მჴედარნი წარავლინნა წარმოღებად მროწლეთა ტფილისათა და თჳთ იკითხვიდა ღვთისმეტყუელსა, არამედ მჴედართა აღმასრულებელთა ეწივნენ ასნი ტფილისელნი და დაუჴოცნეს ცხენნი და კუალად ქუეითნი ბრძოდნენ მჴედარნი. ხოლო მეფესა, შემქცევსა წიგნისასა, ესმა ჴმა ზახილისა, შეკრა წიგნი და წარადგა მჴედართა ფიცხლად მბრძოლთა, მიეტევა და მოსრნა, რომელ აღჴსნა ი˜ბ ცხენთა ზედავე, შემდგომად წარიქცივნა და მიჰყვნენ კარადმდე ქალაქისა. იხილე რამეთუ მაშინდელმან ჴრმალმან დავითისამან სიღვლარჭნით უარ-ჰყო ქარქაში; აჰა სიმჴნე! ხოლო ნიჭი ღვთისა მის ზედა, რამეთუ სცნის, კეთილნი თუ ბოროტნი თქჳან სპათა შორის მისთა, ანუ სამღუდელოთა წესიერ-უწესურობანი.

კუალად ჟამსა რომელსამე ინებეს სომეხთა შეერთება სარწმუნოებისა ქართველთა თანა და შეკრბნენ კათალიკოზი ქართლისა იოვანე, ეპისკოპოზნი და მეუდაბნოენი და სომეხნი ყოვლითა თჳსითა და იწყეს ზრახვა ვიდრე თ˜ ჟამამდე, რამეთუ შევიდიან შეუვალსა და ძნიად გამოვიდიან.

1-28 სტრ., 164
იხილა ესე მეფემან და იწყო ზრახვად მათდა და დაუყვნა პირნი, რამეთუ იგინივე ეტყოდნენ: „მეფეო! ვგონებდით თქუენსა ამათ თანა მოწაფეობასა, გარნა ვსცანით, რამეთუ შენ ხარ მოძღუარი ამათი“, რომელი განადიდა ღმერთმან ესრეთ, რამეთუ სულტანი შიშით ძღუენსა უკრებდა მშჳდობისათჳს; კეისარი მეგობრობდა სათნოდ; არაბნი მეოტად; ისმაიტელნი იავარად; სპარსნი მტუერად; ჴელმწიფენი მონად ყვნეს. განავსნა ქუეყანანი და განამდიდრნა ეკლესიანი, არა გარნა თჳსნი ეკლესიანი, არამედ საბერძნეთისა-

ცა ეკლესია-მონასტერნი მრავალნი დაიჴსნნა და განაშუენნა.

ხოლო არიანცა რომელნი აბრალებენ მეფესა განუსუენებლობა-
სა სპათასა და ამაღლებასა უაზნოთასა და დამდაბლებასა გუარიან-
თასა; არამედ ვინაჲთგან ნათესავნი ქართველნი ორგულ-ბუნება
არიან პირველითგანვე თჳსთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდ-
ნიან, განსუქდიან და განისუენიან, იწყებენ განზრახვასა ბოროტსა,
ვითარცა მოგვითხრობს მატიანე ქართლისა ძუელი და ახალი; ამის-
თჳსცა მეფე დავით არა სცემდა სპათა თჳსთა განსუენებასა. ხოლო
დამდაბლება-ამაღლებისათჳს არა უწყი, უგუნურო! რამეთუ ღმერ-
თიცა სათნოთა თჳსთა მისცემს სუფევასა, ხოლო ურჩთა ჯოჯო-
ხეთს და უკეთუ ამასაც ეგრეთვე არა ექმნა, რომელსა არა ჰყვა სპა,
თჳნიერ მცირედი გუნდი აფხაზთა და იგიცა ფრიად მოუძლურე-
ბულნი უცხენო-უსაჭურველონი და ფრიად მოშიშარნი თურქთა
წყობისანი, ვითარ განემართა მოუძლურებულნი ქუეყანა და განემ-
ჴნო სპანი თჳსნი? ამისთჳს დაიყვნა პირნი, ვითარცა ღმერთსა ზედა-
ცა ბოროტ-მზრახველთა. არამედ მეფესა ამას ენება გაზაფხულს
უდიდესი ლაშკრობა, გარნა მას ზედაცა მოიწია ბუნებისა იგი ვალი,
რამეთუ რაოდენთა ბრძოლათა, განსაცდელთა და ჭირთა და ღალატ-
თა ყივჩაყთაგან და სხუათა განერა, ვითარცა ოდეს მუხრანს ნადი-
რობასა შინა ირემსა ზედა მორბედისა ცხენი დაეცა, და სამ დღე

უსულთქმო იდვა, ვიდრე არა წარმოანთხია სისხლნი შეყინებულნი
ნაკუეთ-ნაკუეთნი და განერა მისგან.

კუალად ციხისა რომლისამე მომდგარი იდგა პერანგით წინა-
შე კარვისა და სტყორცეს ისარი ციხიდამ, რომელი განგებით მო-
ხუდა ხატსა ყელსა ზედა მკიდარესა მისსა და განერა უვნებელად
მადლითა ღვთისათა ყოველსავე ესეოდენთა და უმრავლესთა სხუა-
თა; ხოლო აწ გარდაიცვალა დასაბამითგან ჭ~ოთ, ბერძნულსა ხქ~ლ
ქ~სა ჩ~რლ, ქართულსა ტ~ნ, იანვარსა კ~დ, დღესა შაბათსა და იხა-
რებს აწ წინაშე წმიდისა სამებისა, ინდიკტიონს ფ~ს.

ნ~თ. მეფე დიმიტრი კ~ წელი მეფა

მეფე იქმნა მის წილ ძე მისი დიმიტრი და ამასვე წელსა მოადგა
დიმიტრი მეფე დბანისს და აღიღო იგი ციხითურთ და მოსტყუევნნა
ყარასუნღულიანნი. შემდგომად ამისა მოუჴდა სალდუხ ყეენი ანისის
ქალაქს და გარმოდგომილ ყო. ამისი მცნობი დიმიტრი მეფე მოუჴ-
და სპითა თჳსითა და იკუეთნენ და იკუეთნენ ძლიერად და აოტნა სალდუხ და სპა-
ნი მისნი და მოსრნა პირითა მახჳლისათა უმრავლესნი; აღიღო ალა-

ფნი მათნი და შემოიქცა გამარჯუებული. არამედ ესე დიმიტრი მეფე მიემგზავსა ყოვლითურთ მამასა თჳსსა და მეფობდა კეთილად; შემდგომად დასუა ძე თჳსი დავით მეფედ და თჳთ მონაზონ იქმნა ქ˜სა ჩ˜რნ, ქართულსა ტ˜ო.

ჲ. მეფე დავით. ვ˜ თვე მეფა

ხოლო ამან ძემან დიმიტრი მეფისამან დავით იმეფა თთუე ექუსი ნებიერ, უშფოთველად; შემდგომად მოკუდა ქ˜სა ჩ˜რნ, ქართულსა ტ˜ო. ამასვე ქორონიკონსა მიიცვალა დიმიტრი მეფეცა შემონაზონებული, და თამარ დაჲ მისი თიღვას აღმაშენებელი ეკლესიისა, და კატა დაჲ მათივე ბერძენთა მეფის ცოლი.

ჲ˜ა. მეფე გიორგი. კ˜დ წელი მეფა

გამეფდა ძმა დავით მეფისა და ძე დიმიტრი მეფისა გიორგი (რამეთუ ძე დავით მეფისა დიმიტრი მცირე ყრმა იყო). ხოლო ესე

გიორგი იყო მშჳდ, უხჳ, მოწყალე, ქურივ-ობოლთა შეწყნარე, ეკლესიათა მაშენებელი, მჴნე, ახოვანი, მოისარ-მონადირე უდარო; არამედ მამასავე სიცოცხლესა შინა თჳსსა მოეყვანა ამისთჳს ოვსთა მეფისა ქალი ბურდუხან ცოლად, სახითა კეკლუც-შუენიერებითა ზე-აღმატებული.

ხოლო ამან გიორგიმ, დაიპყრა რა სამეფო თჳსი სპერის ზღჳთ კასპიისამდე, აღიჭურა მოსლვად აგარიანთა და პირველად მიჰფინა წყალობა ამერ-იმერთა, ზემო-ქუემოთა და მერმე მიმარათა ქალაქს კათირევანს და წარმოსტყუევნა ჴევნები კლდოანი და ქალაქი აშორანი სომეხთა მეფედ წოდებულისა; შემდგომად წარვიდა ქალაქად არარატის ძირს მყოფისა, აღიღო ქალაქი ბრძოლითა, მოსტყუევნა და წარმოიღო ტყუენი და ალაფნი დიდნი, რამეთუ ტფილისს ტყუე დრამა იყიდებოდა. შემდგომად ამისა იშუებდა და ნადირობდა, რამეთუ იყო მშჳლდოსანი რჩეული.

შემდგომად გაილაშკრა ანისის კარს, რამეთუ მას ჟამსა შანშე დადიანისა თანა განდგომილ იყო იგი, მოადგა და შანშე დადიანითურთ ჴელთ-იგდო ქალაქი, განაგნა მუნებურნი და დაუტევა მუნ იოვანე ორბელის ძე და თჳთ მოვიდა თჳსსა სანადიროსა შინა. ამისთჳს აღიძრნენ აგარიანნი ისმაიტელნი და შარიერად სულტნად წოდებული იასი; ესე მაწუეველ ექმნა შამსა ჯაზირასა დაირბექირსა თურქთა თანა გარმიანელთა. და დიდთა ამპარიანთა ფაშაბაშთა

სპარსეთისა თანა ამათ ყოველთა აღილესნეს კბილნი მათნი, წარ-
მოემართნენ და მოადგნენ ანისს. ესმა რა ესე გიორგი მეფისა ნაჭარ-
მაგევს მდგომსა, და მოუწოდა სპათა დას-დასთა და არღარა მოი-
ცადნა იმერნი ლომნი ჭაბუკნი და წარმომართებული მოვიდა შირა-
კად. მაშინ განმხილველმან აგარიანთამან იოვანე მწიგნობართ-უხუ-
ცესმან და სუმბატ სჯმონ ქმნილმან მოაჯსნეს მეფესა სპათა თჯსთა

1-28 სტრ., 167
სიმცირისათჯს არა-მისლვა ისმაიტელთა ზედა. მსმენელი მეფე გარ-
დაჯდა ცხენიდამ და ევედრა ღმერთსა ცრემლით, შემდგომად აღ-
მჯედრდა და განამჯნო სპანი თჯსნი მხიარულითა პირითა; მერმე
განყო სპანი, მისცა სუმბატ ამილახორსა და ბეშკენს სურამელსა
სამ-სამი ათასნი მჯედარნი, და სხუანი თჯთ დაიმჭირნა და რქუა მათ:
„ჩუენ სამთაგან რომელმან უხეთქოთ პირველად დროშასა მათსა, იგი
ვსჯობთ“. მყის ამჯედრდნენ და ეკუეთნენ სამად.

მაშინ მეფემან შევლო სიმჯნითა თჯსითა რაზმნი და უხეთქა მე-
დროშესა და დაეცა დროშითურთ. მხილველნი აგარიანნი დროშისა
დაცემისა თანა წამს შინავე ივლტოდნენ, ხოლო გიორგიანნი მოს-
რვიდნენ მახჯლითა და მზის დასვლისამდე სდევნიდნენ; შემდგომად
შემოიქცნენ კარავთა შინა აგარიანთასა, რომელნი სავსენი იყვნენ
ოქრო-ვეცხლითა, თუალ-მარგალიტითა და ლარითა ძჯრფასითა,
რომელთათჯს სხუათა არღარა მოვიჯსენებ ნაალაფევთა მათთა მა-
შინდელთა, ხოლო მეფე მადლობისა შემწირველი ღვთისა მიმართ
და არა მკლავისა თჯსისა მსასოებელი შემოიქცა სახლად თჯსად;
არამედ ესე შემუსრვა აგარიანთა განისმა ყოველგნით და მიესმა
სულტანსა ხვარასნისა და ერაყისასა და ხალიფასა ბაღდადისასა და
ვარაგ ათაბაგსა სპარსეთისასა. ამათ ყოველთა მოაწვივნეს ყოვე-
ლი ცრუ-რჯულობა, ისმაილთა; შეკრებულნი წარმოემართნენ და მო-
ადგნენ სომხითს, აღიღეს გაგი და მოაოჯრნეს საზღვარნი მისნი.

სცნა გიორგი მეფემან, შემოიკრიბნა სპანი თჯსნი იმერ-ამერნი,
ზემო-ქუემონი; გამოიყვანნა ოვსნი დიდძალნი და გარდავლო მთა
ბუბაქარისა. ესე მისლვა მეფისა სცნეს და ისმაიტელ-აგარიანთა,
შეძრწუნდნენ და იტყოდიან: „არა არს დღეს კაცი ქუეყანასა ზედა
შემბმელი გიორგი მეფისა; არამედ მივრიდოთ“. და დამყრელნი
სამსახურებელთა და საჯმართანი აღიძრნენ გაგიდამ და წარვიდნენ.
ამათ განმსლველთა ეკლეცის წყლისა ეწივნენ სპანი მეფისანი და
რომელთამე ჩამოჰყრიდნენ და დაჯოცდნენ აგარიანთა.

1-28 სტრ., 168
ამისი მხილველი მეფე მიეტევა, არამედ არა უტევებდნენ დიდე-

ბულნი მეტყუელნი: „ესევითარი სულტანი მოსლვითა შენითა ივლტვის, არღარა ჯერ-არს დევნად შენგან,რამეთუ ზუაობა არს წინაშე ღვთისა“. არა მნებებელმან მეფემან, გარნა ფრიად ამაიძულებელთა უსმინა (გარნა არა იყო ზრახვა არცა საქმე საქნელი) და შემოიქცა მეფე; ხოლო ისმაილნი აღვიდნენ გელაქუნს და მუნიდამ მოადგნენ ანისის კარს სულტანი, ათაბაგი და არაბნი. და ანისს ამაგრებდა თორელი დიდი ყოვლითა მანქანებითა; ხოლო მეფე იდგა ტაშირს და დესპანი სულტნისა მშჯდობისათჳს წინაშე იყო მეფისა თანა.

მაშინ განმხილველმან სპისამან დესპანმან მან მოისხნა ფრთენი, ვითარცა არს ბუ-ყვავისა არაკი ქილილა-დამანასა შინა, და მივიდა სულტნისა თანა და ეტყოდა: „აჰა ჟამი მეფისა ჴელთ-გდებისა და თჳნიერ ამისა ცუდ არს შრომა თქუენი“. მყის წარმოემართნენ და დაესხნენ მძინარესა მეფესა, ვითარ ძლივღა შეჭურვით შეასწრნეს ცხენთა აღმჴედრებად; გარნა არა ივლტოდა მეფე მბრძოლი ძლიერად. ამისთჳს ეტყოდნენ დიდებულნი: „მეფეო, ჟამი არს ლტოლვისა და არა ჟამი ბრძოლისა“. ეჰა საკჳრველება ღვთისა! რამეთუ არცა ერთი ვინ დამკლე ექმნენ, თჳნიერ ჯუარის-მტჳრთველისა, გარნა ჯუარიცა წარმოსუენებულ იქმნა; ხოლო ისმაიტელთა რა იხილეს ესევითარი უვნებელობა მეფისა, მსწრაფლ უკუნ იქცნენ ანიდამცა და წარვიდნენ თჳსად; მერმე მეფემან უბოძა ანი თჳსსა მემამულესა და იყმო; შემდგომად შუამდგომელობითა დისა მეფისა რუსუდანისათა, სულტნის ცოლ-ყოფილისათა, იქმნა მშჯდობა ათაბაგისა, სულტნისა და გიორგი მეფისა ჟამამდე.

ხოლო ამათ შინა მოვლიდა მეფე აფხაზეთს, ალანთა, გურიასპერამდე, იმერ-ამერთა, ზემო-ქუემოთა ზღუად პონტო-კასპიამდე და იშუებდა და ნადირობდა და განაგებდა მუნებურთა.

1-29 სტრ., 169
მერმე კუალად ითხოვეს სპათა მეფისათა ლაშკრობა. უსმინა მეფემან დამასკუნელმან დღესა ერთსა ტაო-კლარჯ-შავშთა მორბევად ოლთისისა, მესხთა, თორელთა, კარისა და აშორანისა, ამირსპასალარს, სომხითელთა მტკურის სამჴრით ვიდრე განძამდე, ჰერკახთა ალაზნის შესართავიდამ შარვანამდის და თჳთ მეფე ამერიმერითა გელაქუნ-მასისისა და იქმნა უცხო ესე ლაშკრობა ბრძანებისაებრ და შოებულნი და გამარჯუებულნი ურიცხჳთა ალაფითა მოიქცნენ და წამსა შინა იპოვა მეფე გეგუთს.

ამ ჟამთა მოვიდა ანდრონიკე კომნინოსი სახლეულითა, მამის ძმისწული მანოელ კეისრისა, რომელსა განსუენა მეფემან და მის-

ცა ცხენი და დაბანი და დაუდგა საყდარი პირისპირ თჳსსა, ახლოს აღსართან დისწულისა თჳსისა, რამეთუ იყო ესეცა შემოხუეწილი დარუბანდელთაგან.

ამასვე ჟამსა წარვიდა მეფე და წარიყვანა ანდრონიკე და მივიდნენ კარსა დარუბანდისასა, მოაოჴრა მუსკური და შაბრანი, აღიღო ქალაქი შაბურანი (რომლისა კარსა მჴნედ იხილა მეფემან ანდრონიკე) და მისცა მამის დისწულსა თჳსსა ქუეყანა ესე. და წარმოსრულმან მუნით მოარბია ბასიანი, რომელიცა საკჳრველი იყო კაცთაგან, და მოვიდა გამარჯუებული, არამედ ჟამითი-ჟამად წარგზავნიდის სპათა და მიუწივიან ნახჭევნამდე, კარ-მასისამდე, ღაღუამდე, ბარდაბალყუნამდე და შემოიქციან გამარჯუებულნი. არამედ განიმრავლა საჭურჭლეცა და დასდვა ციხესა უჯარმასა; ხოლო ჟამთა ამათ მოიწიფა ძე დავით მეფისა დიმიტრი; გარნა თუმცა იყო სიკეთითა სრული, არამედ ცუდ იქმნა მისთჳს ვიეთთა კაცთა მიერ, რამეთუ ვითარცა მამამან მისმან, ოდეს განდგომილებისათჳს მამისა თჳსისა მოსწყჳდნა დიდებულ-აზნაურნი მრავალნი და რომელნიმე ექსორია ჰყვნა წელსა ქ˜სა ჩ˜რმდ, ქართულსა ტ˜ჲდ, ეგრეთვე ამანცა ჰყო ბიძასა თჳსსა ზედა, მიჰყვნენ ორბელიანნი, ტაოელნი, სამცხელნი, ჰერ-კახნი და იწყეს რბევა და ტყუევნა ქუეყანათა.

1-32 სტრ., 170
მცნობმან გიორგი მეფემან, ტფილისს მყოფმან, შემოიკრიბნა სპანი, ეკუეთა დიმიტრის და სამართალმან ღვთისამან აოტა დიმიტრი და ლტოლვილი შეიხუეწა ციხესა ლორეს, ხოლო მეფემან წარუხუნა ყოველნი, რომელნიცა დაეპყრა, და მეფე დადგა აგარათა. აქა მოერთვნენ სარგის მჴარგრძელი ძმისწულითა თჳსით და საყუარელი ორბელი, არამედ დიმიტრიმ კუალად წარავლინნა მეჭურჭლეთუხუცესი და სპანი შეკრიბნა: ჰერ-კახნი, ლეკნი და კავკასნი და მოჰმართეს მეფესა, ხოლო მკუეთელმან ზე-გარდამომან ძალითა ზესთათი აოტნეს მეფისათა იგინიცა, მოსრნეს, მოსწყჳდნეს და შეიპყრნეს დიდებულნი მრავალნი. მერმე აიყარა აგარიდამ და მოადგა ციხესა ლორეს. მაშინ წარავლინა დიმიტრიმ ერისთავი ლიპარიტის ძე სუმბატ და ქავთარ იოვანეს ძე შაერმანისა თანა და ელდიგუზის ძეთა თანა, რათა მოსცენ შეწევნა; ხოლო მათ აღუთქუეს, არამედ ღმერთმან დააცადა ესეცა, ვინაჲთგან უღონო იქმნენ ციხოვანნი და შემჭიდრდნენ, ამისათჳსმოივა საბელი დიმიტრიმ, გარდმოეშუა ციხიდამ და მოჰმართა ბიძასავე. ამისა შემდგომად სხუანიცა ყოველნი გამოიყვანნეს, აღიღო ციხე და დაიჭირა თავისად; ხოლო ორბელნი მოსწყჳდნა და შემცოდენი სხუანი ექსორია-ყო სხუათა ქუეყანათა შინა და დიმიტრი შეაყენეს კლდეკარს (შემდგომად დასწუნეს თუალნი და მოკუდა და დაფლეს მცხეთას), და მეფე მოვიდა ნაჭარმაგევს.

ამისა შემდგომად განეზრახა დედოფალსა, რათა დასუას ასული თჳსი თამარ მეფედ. მოიყვანნა კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი და ყოველთა დიდებულთა განზრახვითა დასუეს თამარ მეფედ ქ˜სა ჩ˜როა, ქართულსა ტ˜ჟა; ფიცითა და აღთქმითა სამეფოსათა აკურთხეს, ამისთჳს იყო შუება და სიხარული დიდი.

შემდგომად ერთისა წლისა მოკუდა დედოფალი დედა თამარისა და მოქცევასა წლისასა იქმნა განჴსნა გლოვისა, არამედ მეფობდა ესე გიორგი კეთილად, რამეთუ ჰრომთა და ბერძენთა მეფენი მეგობრობდნენ, სპარსნი და არაბნი სძღუნობდნენ და ძრწოდნენ. გარნა მოკლედ თქუა ქება ამის აღმწერელმან, რამეთუ წმიდის გიორგის შედარებით, უკეთუ მან ერთი მოკლა ვეშაპი, რავდენით ამან ვეშაპთა უბოროტესნი წარმართნი მოსრნა; არამედ შემდგომად აღირჩია

1-24 სტრ., 171
ზეციერი საწუთოჲსა ამისგან და გარდაიცვალა მგზეფსსა ვნებისასა, წელსა ქ˜სა ჩ˜როდ, ქართულსა ტ˜ჟდ.ამას იგლოვდნენ კათალიკოზი მიქელ, ეპისკოპოზნი და დიდებულნი ყოველნი.

ჲ˜ბ. მეფე თამან კ˜ზ წელი მეფა

დაჯდა მეფედ ასული გიორგი მეფისა თამარ. ხოლო გარდაჴდა რა ჟამი გლოვისა, შემოიკრიბნენ ნიკოფსიით დარუბანდითურთ კათალიკოზნი, ეპისკოპოზნი, დიდებულნი და აკურთხეს კ˜დ თამარ მეფედ; მერმე განსცა საუნჯე გლახაკთა და დავრდომილთა ზედა; კუალად აღავსნა სპანი საბოძვრითა; ხოლო ყუთლუღ-არსლან მისტაცა სპასალაროზა ყუბასარს, რომელი განდიდებული იყო ფრიად მეფეთაგან და სნეულებდა ასოთა მოღებითა ფილენჯისაგან და იტყოდა ყოვლისა ამის დაკლებასა და სხუათა მრავალთა დამდაბლებასა, რამეთუ არიან უაზნონი. კუალად ინება ყოვლისა საქმისა თჳთ განგებად და მერმე თამარის მოჴსენებად და, ენებოს თუ არა ენებოს, თამარ დაამტკიცოს. ამისმა არა სათნო-მყოფელმან თამარ შეიპყრა ყუთლუღ-არსლან და არა რაჲ დააკლო სხუათა მათ შესმენილთა. ამისთჳს განდგნენ მიმდგომნი მისნი და სხუანიცა დიდებულნი დამცირებულნი. არამედ თამარ სიბრძნითა თჳსითა დაამშჳდნა და დაიმორჩილნა ყოველნი, ვითარცა მოსწყჳდნეს კახაბერის ძეთა ანტონი ჭყონდიდელის ორნი ძმანი; არამედ თამარ შეიპყრნა იგინი და შესხნა ციხესა; შემდგომად წარგზავნნა მაკედონიას და მუნ მოსწყდნენ ბრძოლასა შინა. ამისა შემდგომად ქმნა კრება და ყოველნი შეშლილნი განაგნეს და დაამტკიცეს მართლმადიდებლობა; ხოლო მოკუდა ყუბასარ სპასალარი და მისცეს სარგის მჴარგრძელსა.

1-25 სტრ., 172
არამედ ჴელისუფალნი თამარის პირველ მეფობასა ესენი იყვნენ: სპასალარი სარგის მჴარგრძელი; მანდატურთუხუცესი ჭიაბერი; მეჭურჭლეთუხუცესი კახაბერ ვარდანისძე; მსახურთუხუცესი ვარდან დიდი; ჩუნჩერახი მარუშის ძე; ამილახორი თორელი გამრეკელი. და ერისთავნი ესენი: ბარამ ვარდანისძე სუანთა; კახაბერი კახაბერისძე რაჭისა; დაღათო შარვაშისძე აფხაზთა; ამუნელის ძე ცხომისა; ბედიელი ოდიშისა; ლიხთიმერ-ამერთა რატი სურამელი; ბაკურ ძაგანისძე კახეთისა; გრიგოლ ასათისძე ჰერეთისა; ბოცო ჯაყელი სამცხისა და სპასალარი მუნებურთა სხუათა ერისთავთა.

შემდგომად წელიწადისა იყო შუება და განსუენება და არავინ იყო წინააღმდეგი, არამედ შემოკრბნენ ყოველნი სამღუდელონი და დიდებულნი და მოაჴსენებდიან, რათა იქორწინოს თამარ, ხოლო მეფესა არა ენება, გარნა არცაღათუ ვინ იყო შესატყჳსი მისი, უკეთუ ალექსი ნათესავი მანუილ კეისრისა (რომელი აქა იყოფებოდა), მას იტყოდნენ, არამედ თამარ უბრძანებდა დაცადებასა, რამეთუ იყო თამარ ფრიად უმეტეს ზესთა შუენიერებით აღმატებული და საღმრთოთა მუშაკობითა წარმატებული,რამეთუ ლოცვა-მოწყალებათაგან კიდე ჴელითაცა თჳსითა იჭირვოდა, ვითარცა ესე: რამეთუ იხილა სიზმარ სახლი შუენიერი და საყდარი აღმკული; წარვლო, რათა დაჯდეს მას ზედა, არამედ აყენებდნენ მსახურნი; ეტყოდა თამარ: „ვარ მეფე; უკეთუ ჩემდა არა ჯერ-არს, ვისი არს საჯდომი?“ ეტყოდნენ: „არს მოჯალაბისა შენისა, რომელმან ათორმეტთა მღუდელთა შესამოსნი წირვისანი თითითა თჳსითა მატყლისაგან სთული უქსოვნა“. განიფრთხო თამარ და მოუწოდა მოჯალაბესა და მან აღიარა ჭეშმარიტ-ყოფად ამისი; მაშინ თამარცა იწყო სთუად

1-27 სტრ., 173
და აღასრულა ეგრეთვე და შემოსნა მღუდელნი.ამის მიმართ იცნობების სათნოება.

ხოლო მჭმუნვარეთა დიდებულთა ვერ მპოვნელთა საქმროჲსა თამარისათა წარმოუდგათ კაცი ვაჭარი ტფილელი მეტყუელი: „მე საქრმო უწყი შესატყჳსი თამარისა, რომელი არს სვიაჯა ქალაქსა შინ ყივჩაყეთა, ძე რუსთა მეფისა, ბიძისა თჳსისაგან ვსევოლოდისა მცირე ექსორია-ქმნილი და აწ ჰასაკითა სრული“. მსმენელთა მსწრაფლ წარავლინეს ვაჭარი იგი და მოიყვანეს. ხოლო იყო ესე ხილვითა შუენიერი და ახოვანი; სთნდა ყოველთა და აწუევდნენ თამარს ქორწინებად, არამედ თამარი იტყოდა: „უკეთუ შუენიერ არს, გარნა განიცადენითცა შინაგანნიცა შუენიერებანი“. ხოლო

იგინი მიზეზ უყოფდნენ უძეობასა და ითხოვდნენ წინამძღუარსა სპათასა და აიძულებდნენ ყოფად ამისსა. გარნა თამარ ვერ დაჰყარნეს; მერმე დაიმოწმეს დედოფალი რუსუდან, მამიდა და გამზრდელი თამარისა, და ამას უსმინა თამარ და ქმნეს ქორწილი შემგზავსებული მათი ქ~სა ჩ~როზ, ქართულსა ტ~ჟზ. მაშინ იწინამძღურეს რუსი მეფე, და უმეტეს გიორგიისა, ილაშკრეს ქუეყანასა კარისა და კარნიფორისასა, მოარაბივეს და მოვიდნენ გამარჯუებულნი. არამედ პირველვე მოვიდნენ თურქნი გელაქუნისანი და მოარბივეს პალაკაციოს ძაღლის-ჴევად წოდებული. ამათ ეწიათ გამრეკელი კახას ძე მცირითა სპითა, მოსწყჳდნა და მოიღო არმაღანი წინაშე მეფისა.

ამასვე ჟამსა კარნუქალაქ[ელ]ნი, შამელნი თურქ-გარმიანელნი ცხენოსან-ქუეითნი მოვიდნენ და აღიღეს შავშ-კლარჯნი. შეიკრიბნა გუზან ტაოელმან მის ქუეყანისა ლაშკარნი. ამას მიესწრნენ მესხნიცა და მათ მარბიელ-გაშუებულთა შეებნენესენი. მისლვასავე აოტნეს, მოსწყჳდნეს და მოიღეს ნატყუენავი წინაშე მეფისა.

შემდგომად წარვიდა მჴარგრძელის სარგისის ძე და ილაშკრა

1-28 სტრ., 174
დვინს, მოსწყჳდნა და წარმოვიდა ალაფითა. ამათ ეწივნენ ლაშკარნი დვინელნი, სურმანელნი, მიექცნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი; შემდგომად აოტნეს, მოსწყჳდნეს და შემოიქცნენ გამარჯუებულნი. კუალად ლაშკრობდნენ ქუემონი ქუემოთ და ზემონი ზემოთ და შუანი შუათ, და არავინ იყო წინააღმდგომი, რომელთაცა არა სძლიან გიორგიანთა.

შემდგომად შეიკრიბნა მეფემან სპანი და მიმართა დვინად, მოაოჯრა ქუეყანა პართთა, წარუხუნა ქალაქნი და წარმოიღეს საუნჯე დიდი და მოვიდნენ წინაშე თამარისა. ხოლო ჟამად მოვლიდიან ქუეყანათა თჳსთა იმერ-ამერთა, ზემო-ქუემოთა, ნადირობდიან და განისუენებდიან.

შემდგომად შემოიკრიბნა სპანი მეფემან და მიმართა გელაქუნს სიმრავლეთა თურქთათა, მოსწყჳდნეს თურქობა და წარმოიღეს ნატყუენავნი დიდნი. მაშინ მოეწიათ ყოველი თურქობა შამელთა როსტომ და იალღუზ-ალფესთა; უკუნ-იქცნენ ქართველნი და ბრძვეს ძლიერად. აოტნეს და მოსწყჳდნეს სიმრავლე მათი და შემოიქცნენ წინაშე თამარისა მხიარულნი. მერმე აწვივა გრიგოლ ასათის ძემან და ყვეს ლაშკრობა დიდი განძას, ქუემორე ბალღუნდს რახსის პირს ზემორე მასისამდე ვარდან დიდმან, ოთხთავე მჴარგრძელთა და დიდებულ-აზნაურთა და ძლიერად გამარჯუებულნი და ალაფითა დი-

დითა შემოიქცნენ.

ხოლო ესენი ესრეთ; არამედ არა მრავალთა ჟამთა მოიღო აღ-
სასრული უარ-თქმამან თამარისამან, რამეთუ იწყო რუსმან მან
სიმთვრალე, სიღოდა და მრავალთა უგუანთა ქმნად, ვიდრე მამად-
მავლობისაცა ჴელმყოფელი. ამასითმენდა თამარ მწურთნელი რუ-
სისა განყენებად უგუანთა წელსა ორ-ნახევარსა; გარნა განცხადნა
ბოროტნი მისნი თჳნიერ თამარისა; ამის მცნობელთა სამღუდელო-
თა და დიდებულთა შეუძნდათ და სირცხჳლეულ იქმნენ თამარისა-

გან; არამედ თამარ ეტყოდა წურთნასა მისსა და განყენებასა უჯე-
როჲსაგან; ხოლო რუსმან არა ინება, გარნა ეგო უკურნებელად. შე-
მდგომად მოუწოდა თამარ კათალიკოზთა, ეპისკოპოზთა და დიდე-
ბულთა და ეტყოდა რუსსა წინაშე ყოველთა: „უკეთუ გვებრძანების
არა განყენებად მეუღლისაგან, არამედ ბრძანებულცა არს არა შეგი-
ნებად ტაძარი ჴორცთა, და ოდესცა ვსცან ესე, არღარა შემიგინე-
ბიეს ტაძარი მაგისგან; გარნა თუ განეყენოს უსჯულოებასა, ვეგო
მისთანა; ხოლო უკეთუ არა, აჰა მტუერი ფერჴისა განვიყარო მის-
გან“. და წარვიდა თამარ; ხოლო რუსი იგი რაოდენ სწუართეს, არა
ინება განყენებად უგუნურებისა; არამედ განეხუა მშუენიერებისა-
გან თამარისა და განაძეს იგი სიკუდიდ დასჯილი ქ˜სა ჩ˜რპ, ქარ-
თულსა უ˜; გარნა თამარ მოწყალებითა მიუბოძა ოქრო მრავალი,
შთასუეს ნავსა და განუტევეს და მივიდა კოსტანტინეპოლედ.

ხოლო ამისა შემდგომად უმეტეს წარემატებოდა საქმენი თამა-
რისნი ძალითა ზეგარდამოთი. ამას სძღუნობდიან მეფენი აღმოსავ-
ლეთ-დასავლეთისანი და მეტრფედ ექმნენ მრავალნი, რამეთუ მო-
ვიდნენ ოვსთა მეფენი ძმანი ორნი, შუენიერებითა და ახოვნებითა
წარმატებულნი და ჭაბუკობისა მინდობილნი და ბედისა მეცადუნენი,
უკეთუ ინებოს რომელიმე თამარ და ღირს იქმნენ მისსა; არამედ
უქმ იქმნა წადილი მათი და წარვიდნენ; ერთი მათგანი მოუთმენე-
ლისა სურვილისა სენითა მოკუდა ნიქოზს და დაფლეს მუნ ეკლესია-
სა შინა და კუალად თჳთ ევმანოელ კეისრის ძე, არა თუმცა ანდრო-
ნიკეს მოეწყჳდნა, კუალად ასურასტანისა, შუამდინარისა, ანტიო-
ქიის მეფეთა ძენი და სულტნის ყიასდინის ძე, რომელი მამისა მიერ
შეპყრობილ იქმნა რჯულისა დატევებისათჳს. კუალად სალდუხის
ძის ძე მუტაფრადინ, ურჩ-მყოფელი მშობელთა და დამგდები მაჰმა-
დის რჯულის სიტკბოსი, მოვიდა მრავლისა დიდებითა მეტრფედ
თამარისა; ისტუმრა და პატივ-სცა მგზავსი მათი. შემდგომად მტი-

რალმან არა ღირს-ყოფისა თამარისმან შეირთო ხარჭისაგან ნაშო-
ბი მეფისა; უქმნეს ქორწილი და დიდითა ნიჭითა წარგზავნეს. კუა-
ლად მოვიდა დარბაზობის სახითა შარვანი აღსართან მეტრფედ
(რომელი ეყოდაცა თამარს დავითის ძეობით), ინება დატევება რჯუ-
ლისა, თუმცა ეწიოს ნებასა თჳსსა; არამედ უქმ იქმნა წადილი მისი,
რამეთუ ეტყოდნენ არღარა თქმასა და წარვიდა მწუხარე ნიჭითა
დიდითა.

ხოლო აწ ამიერითგან იწყების საქმენი თამარისნი, რამეთუ ვი-
თარცა ლომი ტოტთაგან, ეგრეთ თამარ ამბავთაგან იცნობების, რო-
მელმან შემუსრნა და მოხარკე ყვნა გარემონი მეფენი. არამედ წარ-
ჩინებულნი მისნი ჭმუნვიდნენ უძეობასა მისსა; გარნა მაშინ პოვეს
ყრმა ეფრემის ძისაგან ოვსთა მეფისა, რომელი აღეზარდა რუსუ-
დანს მამიდასა თამარისასა. არამედ ესე დავით იყო მეფის გიორგის
ძისა დიმიტრისაგან, რომელი წინარევე ვაჴსენეთ; რამეთუ დიმიტრის
ანაკოფიას აფხაზეთს დაშთა ძე და ივლტოდა ბებიით ოვსეთს; მუნ
შვილებულმან იქორწინა ოვსთა მეფის ასულსა ზედა და ძე იგი მისი
ოვსეთს მყოფი მამულით იწოდა მეფედ ოვსთა და ძის-ძე დი-
მიტრისა, და ამ დავითის მამა შერთეს რუსუდანს, რომელმან შეი-
ყუარა ქალწულება ოთხმოცისა წლისა დღეთა, ხოლო ესე ნუ გი-
კჳრნ, რამეთუ ორნი ესე რუსუდან დანი იყვნენ: თამარის გამზრდე-
ლი ხვარასნის სულტნის ცოლი იყო, და დაჲ მისი რუსუდანვე შემ-
ყუარე ქალწულებისა ოვსთა მეფის რძალი იყო; ორნივე დანი იმ-
ყოფებოდნენ სახლსა თჳსსა. ხოლო ქმარსა ამისსა სხუას ცოლთან
ესუა ძე დავით, რომელი წარმოიყვანა ამან რუსუდან და აღზარდა
ძედ თჳსად, არამედ ეყოდა თამარს დედით, რამეთუ დედა თამარისა
ოვსთა მეფის ქალი იყო. რამეთუ დედით მესამე ნათესავი იყო, ხო-
ლო დიმიტრით მეხუთე, და იყო წარჩინებული მშუენიერებითა და
ახოვნებითა და საღმთო- სამჴედროთი სრული. ინებეს ამისი შერ-

თვა თამარისა და ჰკადრეს რუსუდანს, ხოლო მან განაღამცა სათნო
იყო და მოაჴსენებდნენ თამარს: „უკეთუმცა არა ღმერთსა სათნო
ეყო არამცა გამოჩენილ-იყო ესე ესრეთ, რამეთუ რაოდენნი მეტრ-
ფენი მოიწივნენ და არა ინება ღმერთმან“. მცნობმან თამარ ამის
ყოვლისავესათჳს ნება სცა და ქმნეს ქორწილი სახლსა დიდუბისასა
დიდებითა დიდითა; მერმე შემოვიდნენ ტფილისს და დასხდნენ
ტახტსა ზედა ქ˜სა ჩ˜რპა, ქართულსა უ˜ა.

შემდგომად მოკუდა კათალიკოზი ქართლისა და ჭყონდიდელი
მწიგნობართ-უხუცესი მიქელ; დასუა თეოდორე კათალიკოზად და
ჭყონდიდლად ანტონი, რომლისათჳს მიქელს მიეტაცა ჭყონდი-

დელ-მწიგნობროზა. ესე იყო გარეჯელი; გარნა ქება ანტონისა არ-
ღარა მოვიჴსენოთ, რამეთუ ქმნულნი მისნი წამებენ ეკლესია-მო-
ნასტერთა ზედა.

შემდგომად მოიწია რუსი იგი კარნუ-ქალაქს. პირველად მიერ-
თო მას კლარჯთა ერისთავი, მერმე მესხნი და ლიხთ-იქითნი; მო-
იყვანეს და დასუეს ქუთათისს. ეჰა საკჳრველი! რამეთუ რომელნი
უმეტეს განდიდებულ იყვნენ თამარისაგან, მათ ჰყვეს ესრეთ. ამის-
მან მცნობმან თამარ მოუწოდა ქართველთა, ჰერ-კახთა, სომხითარ-
თა და დაირწმუნა მათგან ფიცითა ძლიერითა არა შეერთებად მათ-
თანა; გარნა კათალიკოსი აფხაზეთისა და ქუთათელი არა შეერთე-
ბულ იყვნენ ზრახვასა მას ბოროტსა და წინაშე იყვნენ თამარისა
და წარავლინნა ესენი მათდა არა ყოფად ზრახვისა მის; არამედ მათ
არა ინებეს გარდამოვიდნენ, მოსტყუევნნეს ნაჭარმაგევი გორამ-
დე; ხოლო დადიან-ბედიელმან გარდავლეს რკინის-ჯუარი და დაწ-

ვეს ომრაჯე; ჰლამოდნენ აღებად ჯავახეთისა, თრიალეთისა, სომ-
ხითისა და მოსლვად თამარსა ზედა. მაშინ თამარ უბრძანა ამირ-
სპასალარსა გამრეკელსა, თორელს და სპათა თჳსთა მიგებებად ჯა-
ვახეთს, და განამჴნო იგინი შევედრებითა ღვთისათა; წარავლინა
და მიეგებნენ ესენი მათ ორთავე კრებულთა მტკუარსა ზედა და ერთ-
გულნიცა თამარისანი მესხნი, ვინცა იყვნენ, მოერთნენ მათ. მაშინ
შეიბნენ ჯიდსა ზედა, არამედ წყალთა შუალობამან სიღამით გან-
ჰყარნა. გარნა სცნეს რა სიმჴნე-მომჭირნეობა სპისა თამარისა მათ,
უკუნ იქცნენ იგინი სიმაგრეთა; ხოლო მათ არა დააცადნეს და მიჰყვ-
ნენ განგებითა ზეგარდამოჲთა, არამედ განჴდნენ რა ჯიდსა, ვერღა-
რა დაუდგნენ; და მივიდნენ მდინარესა ხანგისასა ერუშეთსა და
თმოგუს შუა, მიჰყვნენ და მუნ ჰყვეს ბრძოლა, რომელი ხუდებო-
დათ იმერთ-ამერთა ჭაბუკობასა, ვითარცა ძუელთა გოლიათთა
სძლეს სპათა თამარისთა და მოსწყჳდნეს და ტყუე-ჰყვნეს მრავალ-
ნი, არამედ იხილე შეწევნა ღვთისა, რამეთუ არა დააკლდა კაციცა
ერთი სპათა თამარისათა, გარნა დაიჭრა იოვანე ძე სარგისისა და
არღარა სდევნეს, რათა არა დამკლე ექმნას თამარს ბრწყინვალესავე
და შემოიქცნენ მხიარულნი წინაშე თამარისა. ხოლო სცნეს ესე
ჭიაბერ, ჰერ-კახთა დიდებულთა და ყივჩაყ-ოვსთა ქართლს მყოფ-
თა, რომელთა ენებათ თამარის თავს-დასხმა; ხოლო ამის გამო ვერ-
ღარა იკადრეს, არამედ ითხოვეს წინააღმდგომთა ზედა ლაშკრობა
და ნება ჰსცა თამარცა. შემდგომად სპათა თჳსთა მიანიჭნა ურიცხუ-
ნი საბოძვარნი და ღირსთა ქალაქნი და ციხენი; არამედ მერმე გან-
დგომილნიცა რომელნიმე ყელ-თოკოსანნი, რომელნიმე მჴარ-
კრულნი, ზოგნი ბიძა-ძმათა მკლველნი განდგომილებისა ამისთჳს,

მოვიდნენ წინაშე თამარისა შენდობისა მთხოველნი და ფიცით აღ-
მთქმელნი შუამდგომელობითა რუსუდანისათა, ხოლო თამარ მია-
ნიჭა მათ შენდობა და ითაყვანნა ნაჭარმაგევს მდგომმან, გარნა რუ-
სი კუალად განუტევეს.

1-27 სტრ., 179
არამედ შემდგომად კუალად იყო შუება, განცხრომა და გან-
სუენება და სადა თუ ილაშკრის დავით, განემარჯვის ყოველთა ზედა.

ხოლო მოკუდა გამრეკელი ამირსპასალარი და უბოძეს ამირ-
სპასალარობა ზაქარია მჯარგრძელსა. ამ ჟამს განდგა გუზან, წარი-
ტაცა ტაო, კარი, ვაშლოვნი და ციხენი მრავალნი და წარვიდა
ქუეყანასა შაერმანისასა. ამისა მცნობმან თამარ წარგზავნა სარგის
თმოგველი, კახა სამძივარი და აზნაურნი. ამათ მოსრულთა მოეგება
ფანასკეტელი ზაქარია და კალმახელნი; ხოლო ლაშკარი გუზანი-
სა მის ცოლ-შვილისა წასაყვანად და აღებად ციხეთა მოსრულ იყვ-
ნენ; გარნა თუ მცირენი იყვნენ თამარისანი და იგინი ი˜ბ დროშო-
სანნი, არამედ სჯთა თამარისათა არა ჰრიდეს და მსწრაფლ მიეტევ-
ნენ, მოსრნეს სიმრავლით, აოტნეს და ჴელთ-იგდეს ცოლ-შვილი
გუზანისა და დაიპყრნეს ციხენიცა ყოველნი, და კუალად აგეს სამე-
ფოსავე და მოვიდნენ წინაშე თამარისა.

ხოლო ამას წყალობასა შინა ღვთისასა იშუებდნენ; არამედ
ჭმუნვიდნენ უნაყოფოებასა თამარისასა; გარნა ჰყო წყალობა ღმერ-
თმან, მიუდგა და შვა ძე გიორგი ქ˜სა ჩ˜რპგ, ქართულსა უ˜გ და
დაურთეს კუალად ლაშა (რომელ არს განმანათლებელი); ჰყვეს მად-
ლობა ღვთისა და სიხარული გამოუთქმელი. კუალად ერთისა წლისა
შემდგომად შვა ასული რუსუდან. მაშინ სუეს ზედა ლაშასსა გაი-
ლაშქრეს პირველად ბარდას ქალაქსა ზედა, მოსწყჳდნეს რანი, აღი-
ღეს ბარდა, აღივსნენ ტყჳთა და საუნჯითა; გარნა განუტევნეს
ტყუენი ლ˜ჩ˜ (30.000) დღეგრძელობისათჳს თამარისა და ლაშა-
სათჳს. მუნითგან მოსრულთა მსწრაფლ ილაშკრეს აზრუმსა ზედა,
კარნუ-ქალაქსა; არამედ იყო მუნ ომთა სიმრავლენი; ხოლო მათ-
ნი მეშუელნი იყვნენ სურმანელნი, კარელნი, სპერელნი და სალდუ-
ხის ძე ნასრადინ ორითა ძმითა თჳსითა. ხოლო ცისკრით ბინდამდე

1-28 სტრ., 180
იყო ბრძოლა, სძლეს ჩუენთა და წარმოიღეს ალაფი უზომო; არა-
მედ ქალაქ-შინანი იტყოდიან ღრჭენითა კბილთა; „ვითარ ვიძლივ-
ნეთ ქრისტიანეთაგან, რომელ აღგვითქუა მაჰმედ ჯრმალი“. განთიად
კუალად გამოვიდნენ ბუკ-ცემითა და ზღუდეთა ქალაქისათა სდგნენ
მოისარ-მეშურდულენი. მხილველი მეფე დავით ეწყო სპითა თჳსი-

თა, პირველსავე მისლვასა ჰსძლეს და აოტნეს, შესჯარნეს კართა ქა-
ლაქისათა და მოისრვოდენ თჳსითავე ფერჴითა ურიცხუნი და ბას-
რობდნენ მაჰმადს აღმთქმელსა მათსა ამისთჳს. შემდგომად შემო-
იქცნენ და მოვიდნენ წინაშე თამარისა მძლეველნი ალაფითა დიდი-
თა. კუალად შეკრბნენ და განვიდნენ გეელაქუნად, ჩავლეს ხაჩინი, ჩა-
ვიდნენ ყარაყარს და მიიწივნენ ბალყუნამდე, მოარბიეს და მოს-
ტყუევნნეს; შემოიქცნენ, შემოვლეს კარი განძისა, მუნცა ძლიერი
ბრძოლა ჰყვეს, აოტნეს და მოწყჳდნეს, გარნა ყარყურიდამ შანქო-
რადმდე ექუს დღე მარადის იყო ბრძოლანი; არამედ ესენი ყოველ-
ჟამ მძლე ექმნებოდნენ და მოვიდნენ გამარჯუებულნი წინაშე მეფი-
სა. კუალად ლორიდამ წარვიდნენ ორნი ძმანი სარგისის ძენი ზაქა-
რია და იოვანე მორბევად რახსის პირისა, არამედ მოსრულ იყვნენ
ლაშკარნი დვინელნი, ბიჯნელნი და ამბერდელნი, მეკობრენი მზი-
რად ქარავანთა: ამათ ემთხვივნენ საშუალსა გზასა ზედა ესენი და
ეკუეთნენ ფიცხელად, გარნა მცირედთა სპათა თამარისათა წარიქ-
ცივნეს იგინი, მოსწყჳდნეს და ალაფითა სავსენი მოვიდნენ თამარ
ღვთივ დაცულისა. შემდგომად ჰკადრა კაენის პატრონმან დავითს
მორბევა გელაქინისა, სპარსი ბაზირისა და გორალაუქისა, უსმინა
და მყის მივიდნენ, მოსრნეს და აღიღეს ტყუენი და ხვასტაგნი ური-
ცხუნი და სადაცა ლაშკარნი ემთხჳვნენ, მოსწყჳდნეს, ხოლო ესე
საკჳრველი, რამეთუ სულტნის ასპარეზსა შინა იწყეს ასპარეზობად
და მუნით უკმოქცეულნი მოვიდნენ წინაშე თამარისა; არამედ კუა-
ლად იგივე ექსორია ქმნილი რუსი კოსტანტინეპოლიდამ მოვიდა

1-27 სტრ., 181
სპარსეთის ათაბაგისა თანა და მისგან აღიღო რანის ქვეყანა; შეკრე-
ბული სპითა მოვიდა და მოარბია კამბეჩოვანის მინდორი და აღიღო
ნატყუენავი დიდი.
მაშინ ხორნაბუჯელმან საღირ მახატლის ძემან
სამითა ძითა თჳსითა განწირა თავი, მიეწია მცირედითა სპითა, წა-
რიქცივნა და მოსრნა მახჳლითა, უკ-მოიხუნა ყოველნი ტყუენი და
ნაალაფევნი; გარნა რუსი ივლტოდა ორითა მონითა საძაგელი.

ხოლო ესოდენთა საქმეთა ესე უმეტეს საცჳფრებელ რამეთუ
ოდესმე ლომის ბოკუერი წარმოევლინა შარვან-შას და იქმნა იგი
დიდ, რომელ არცა ვის ველური უხილავს ეგრეთ. ამან რა ნახის
თამარ, იწყის ტირილი და იქმნის მშჳდ, ვითარცა ციცა, მოვიდის და
ჩაუდვის თავი უბესა და ლოშნიდის; არამედ რა განაშორიან, კუა-
ლად იწყის ტირილი; ამისნი მხედველნი და მსმენელნი უმეტეს
ძრწოდიან ესევითარისა მჴეცისა მომშჳდებისათჳს.

ამ ჟამებთა მოიკლა ყიზილ-არსლან ათაბაგი და დაშთნენ სამ-

ნი ძენი ფალავანდისნი. ამათ განუყვნა ქუეყანა: უხუცესს სუტლუ ინანჩის მისცა ერაყი, ხვარასანი და ბაბილოვანი, ბუბაქარს - ადრაბაგანი და სომხითი, ამირ-მირს გურგენის ზღჳდამ გელაქუნამდე. არამედ საშუალმან ამირ-ბუბაქარ სძლო და დაჴდა სულტნად, ამირ-მირან შეესია შარვანს; შეიბნენ და სძლო მანვე. ხოლო ამათ უღონო-ქმნილთა იზრახეს წინაშე თამარისა მოსლვა მოაჴეთ. ამასვე ჟამსა იქმნა დიდი ძრვა, დაიქცა ქალაქი შამახია, მოსწყდეს ყოველნი მყოფნი მას შინა და ცოლ-შვილნიცა შარვანისნი. ამათ მოგზავნეს დესპანი და მოითხოვეს ასული თამარისა და შუელა მტერთა ზედა. არამედ თამარ არა-მკადრებელმან სიძობისამან, ხოლო მისცა შუელის პირი და მოიწვივნა თჳს წინაშე და მოუწოდა სპათა თჳსთაცა; მაშინ მოსრულთა სპათაგან აღივსო ოთხნი ესე მდინარენი; მტკუარი, ალგეთი, ქცია და ბერდუჴი. შემდგომად მოვიდნენ ამირ-

1-25 სტრ., 182
მირან და აღსართან შარვანი; ხოლო თამარ ითაყვანნა იგინი, პირველ აღსართან აგარას მდგომმან შინაურობისათჳს, და მერმე ამირ-მირ და მისცეს პატივი შემგზავსებული, შეუკაზმეს პური და ინადიმეს და მიანიჭნეს ურიცხუნი და დაასადგურეს დამსკუნელთა შუელის პირთა ზედა და ეკაზმოდენცა. ჟამსა ამასვე შეკრბა ისმაილობა, შეიღებნენ შავითა და აუწყნეს ჭირსნი თჳსნი სულტანსა; ხოლო მან წარუვლინა ყოველთა სპარსეთთა საუნჯე და შეკრიბნა ინდოეთითგან ვიდრე დარუბანდამდე და მოვიდნენ ადრაბაგანს დროშითა ხალიფისათა. ამისმან მცნობმან თამარ უბრძანა ჭყონდიდელს მოწვევად ლაშქართა და მონასტერთა მოცალებად ლოცვისად; მოკრბნენ სპანი და დაიბანაკეს წინაჴსენებულთავე მდინარეთა ზედა. განიხილვა თამარ, მოეწონნეს და თჳთ ამირ-მირს და აღსართანს უმეტესად მისცნა სპანი მეფისანი. მაშინ ძმა ყივჩაყთა მეფისა სევინჩი წინაშე თამარისა იყო სპითა დიდითა წვეული. განმხილველმან თამარ განამჴნო სპანი თჳსნი, წარუძღუანა ჯუარი პატიოსანი და ანტონი ჭყონდიდელი, ხოლო თჳთ ფერჴ-შიშვლივ მოვიდა მეტეხს და მარადის ევედრა ცრემლითა ღმერთსა ძლევისათჳს სპათა თჳსთასა. არამედ თთუესა ივნისსა მიიწია დავით ეკლეცის მდინარესა ზედა, მუნ ემთხვია განმსტრობელი, რომელი იტყოდა: „არიან სპანი უამრავნი, რომელთა უპყრავთ შანქორითგან ვიდრე მთამდე შოფისა და ვარდანაშტისა განძის კარამდე“. ხოლო ხვალისად განთენდებოდა დღე პარასკევი (რომელსა შინა მოკლა სიკუდილი მჴსნელმან ჩუენმან), აღიჭურნენ და შეჯდა მეფე ზერდაგსა და ბრძანა წარძღუანება ჯუარისა და მიიწივნენ შანქორს. მუნ იქმნა ბრძოლა ძლიერი; არამედ მოსწრაფე მეფე განსლვად მდინარისა ადრედ და განჴდნენ

1-25 სტრ., 183

რა, უმეტეს ეკუეთნენ და განძლიერდა ბრძოლა, რამეთუ მტილთა და გზათა სივიწრობისაგან მალიად ვერ განვიდა დავით; გარნა დავითის მისლვადმდე მოისრნენ წინამბრძოლნი კნინღა არა უკუნქცევად.

მხილველმან ამირსპასალარმან ზაქარიამ ძმით იოვანეთი მიისწრაფა და მიესწრაცა რაზმი მეფისა, ეკუეთნენ სასტიკად და მყის დაეცათ რისხვა ღვთისა აგარიანთა და განსქდა რაზმი მათი და ივლტოდნენ; ხოლო მოსრვიდნენ თამარისნი; მიაწივეს მდევართა განძისკარ-გელაქუნამდე, იპყრობდნენ დიდთა ამირთა, ვითარცა ქათამთა, ქ˜ესა ჩ˜რჟგ, ქართულსა უ˜იგ; არამედ განერა ათაბაგი მხოლოდ და ამათ დაიონარეს სამნი ქალაქნი: ათაბაგისა, ათაბაგის ძისა და სათამაზ-ედ-დინის ძისა. მაშინ მოართუეს სოსლან-დავითს დროშა ათაბაგისა და აღივსნენ ოქრო-ვერცხლითა თუალ-გოვარითა, ჯორ-აქლემ-ცხენ-ტჯრთულითა, რომლისა არა იყო შეგება, მუყართა წილ რეკეს ძელთა, მიზგითნი ეკლესიად იქმნებოდნენ; მოართუეს შანქორელთა კლიტენი ქალაქისანი და დაიპყრეს ამათ. შემდგომად მოსცეს განძა, შევიდა სოსლან-დავით და დაჯდა სასულტნოსა ტახტსა ზედა და იყო ზარი და ზეიმი, და ჰქმნეს პუროზა ღორითა. ხოლო ჰყვეს დავით და ზაქარიამ უთამაროდ თხოვნითა ამირ-მირისათა და მიათვალეს განჯა მას. არამედ წარმოვიდნენ რა, გამოვიდა ლტოლვილი მიწასა შინა მალული ბუბაქარ ათაბაგი; მისცეს მასვე განჯა და განაძეს ამირ-მირან. შემდგომად წარმოგზავნეს მახარებელი წინაშე თამარისა, ხოლო თქმულ არს, რამეთუ მეტეხს წირვასა ზედა თქუა რა მღვდელმან <<შიშითა ღვთისათა“, ეტყოდა თამარს: „გიხაროდენ მეფეო, რამეთუ მისცა ღმერთმან ძლევა სპათა შენთა“. მერმეღა მცირედ მახარებელისა მოვიდნენ იგინიცა სავ-

სენი ალაფითა. მაშინ მადლობის შემწირველი ღვთისა თამარ მიეგება მათ და მათ მიუძღუნეს ძღუენნი ურიცხუნი; არამედ თამარცა მიანიჭნა შემგზავსებულნი მათნი. ხოლო წარგზავნა დროშა ათაბაგისა ხახულის ღვთის-მშობელისა წინაშე, ვითარცა პაპამან მისმან მანიაკი ყიასის ძისა. თამარ მეფემ რომ ხალიფაზედ გაიმარჯუა, ხახულისა ღვთისმშობელს დროშაჲ და მანიაკი მიართვა. ესე იამბიკონი ხუთმუჴლედნი ოცდახუთ ლექსად წარსწერაო:

ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა,

ძე საუკუნობს პირველივე და კუალადცა;

სულმან ღვთისამან სრულ-ჰყო არ ოდეს ქმნადი.

სამებით სრულმან, ერთითა ღვთაებითა,

მიწით პირველის, პირმშოისა კაცისა

შენ მიერ მისთვის დრკუჲსა მის განმგები,

როს დრკუჲ მისდრკა, უვნები ვნებისადმი

ივნო და ვნება პირველი უვნებელ ჰყო

შენგან შობილმან; ჩუენ ღირს გვყნა აღმოშობად

ბნელით ნათელსა, ნათლითა მხედველობად,

შენგან ქალწულო, რომელსა შენთვის დავით

როკვიდა ძისა ღვთისა ძედ შენდა ყოფად.

მე, თამარ, მიწა ესე შენი და მიერვე (?)

ცხებულობასა ღირს მყავ და თვისობასა

ედემს ღადირად, სამხრით უკუე და ჩრდილოთ

შუამფლობელი იავარ შენდა ვმრთმელობ.

ხალიფას დროშას თანავე მანიაკსა

შევრთე ცრუ-რჯულთა მოძღურისა ღაზოდ მძღუანი;

დავით ეფრემის ძეებრმან მოისარმან

მოირთხნა, მოსრნა სულტნითა ათაბაგი;

ირანს ებრძოლნეს ჩუენ მიერ მისთა სპათა

ჩუენნი მხედარნი მოსავნი შენნი, სძალო!

1-29 სტრ., 185
მოსწყლნეს, მოსწყვიდნეს აგარის ნათესავნი.

მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას

შენდა შევსწირავ, მიოხე ძეებრ, ღმერთო!

შემდგომად ამისა იქმნა სასწაული დიდი, რამეთუ ოდეს აღასრულა წირვა იოვანე კათალიკოზმან, ინება ამირსპასალარმან ზაქარიამ სეფის მიღება, არამედ არა მისცა კათალიკოსმან, რამეთუ იყო იგი სარწმუნოებით სომეხი. შეუძნდა ზაქარიას და წინააღუდგა კათალიკოზსა. ხოლო იგი ამხილებდა ძლიერად და ვერღარა სცა სიტყვა; მოიყვანა კათალიკოზი სომხითისა და რჯულის მეცნიერნი მათნი და შეკრებულთა იუბნეს მრავალ-დღე; არამედ გარდამწყუედელი იოვანე კათალიკოზი ეტყოდა სომეხთა: „ვყოთ წირვა და ვიყოლიოთ სადგურსა ძაღლნი მომყმარნი სამ-დღე მე და შენ, და სამღთო იგი კრავი ჩემი მიუგდო ძაღლსა შენსა და შენ მიუგდე ჩემსა და რომელიცა დაიცვას მიუახლებელი ძაღლისაგან, იგი არს ჭეშმარიტება“.

მსმენელთა შეუძნდათ ყოველთა; გარნა მაიძულებელი მათი იოვანე დაამტკიცებდა; ხოლო სომეხნიცა არა-მნებებელნი ძლით ნებასა სცემდნენ და ჰყვნეს ეგრეთ თქმულისაებრ. შემდგომად იოვანე აღმასრულებელმა წირვისმან მოიღო კრავი და მიუგდო ძაღლსა სომეხთასა; ხოლო ძაღლი იგი მიეტევა, და მიახლებული მყის უკუნ იქცა, ვითარცა ნაცემი ცხვირსა ზედა მწკავწკავებული და ივლტოდა გარე; მერმე სომეხთააცა აიძულებდა იოვანე და მიუგდეს მათცა უნებსიოთ; მყის მიეტევა, აღიტაცა, შთანთქა ძაღლმან და ივლტოდა; ამისთჳს იოვანე შესწირვიდა მადლობასა ღმერთსა; აღიღო კრავი იგი და მოვლო ყოველი ლაშკარი ლიტანიობითა შედგომილმან ერითურთ; ხოლო სომეხნი წარვიდნენ სირცხვილეულნი; არამედ ზაქარია დაადგრა ურწმუნოებასავე მეტყუელი: „მან ჰსცეს ღმერთსა სიტყუა, ვინცა ჰყო განწუალება“. გარნა იოვანე ძმამან მისმან აღიარა ჭეშმარიტება.

1-27 სტრ., 186
ამ ჟამებთა იყო კარი ჯერეთ თურქთა პყრობილი. წარავლინნა თამარ სპანი და განივლტნენ თურქნი; ხოლო მუნ დაადგინეს ახალციხელი იოვანე და დაიპყრა მან გარემონი ქუეყანანი და მოსრნა ყოველნი;მისცა მასვე მეფემანცა კარი და ათაბაგობა.

კუალად შეკრბნენ მაჰმადიანნი და მივიდნენ მაღლისა ხალიფისა არღარა ზუავად, არამედ მდაბლად ეტყოდიან, რათა ევედროს თამარს დადებად ხარკისა და არღარა სრვად მათდა; ამისთჳს ხალიფამან მოუგზავნა დესპანი და ძღუენი დიდი ამისა ვედრებით. უსმინა თამარ და შეჰკუეთნა ხარკი და აღუსრულა თხოვა მისი; არამედ

ყოვლისა აღმოსავლეთისა სულტანი, რომელსა ეპყრა ეგჳპტიდამ პონტომდე ჩარასლანის ძე ნუქარდინ უკრებდა დესპანითა თამარს ძღუენსა, აგრეთვე თამარ მას; გარნა ზაკჳთ და განმსტრობით ჰყოფდა.

ამან რა ისმინა დადება ხარკთა მოჰმადიანთა ზედა, განახუნა საუნჯენი მამა-პაპათანი და განსცა როქნი ორ-წილად და შეკრიბნა სპანი უ˜ჩ (400.000). მაშინ მოუვლინა თამარს წიგნი, ვითარ „დია-ცთა უგუნურებითა გიბრძანებიეს ჯრმალი და დადებად ხარკი მოჰ-მედიანთა ზედა, რომელი ბრძანებულ არს ჩუენ მოჰმადიანთა მიერ. აწ მოვსრულვარ მე მგზავსი ღვთისა და უკეთუ უარ-ჰყო ქრისტე და დამუსრო ხატ-ჯუარნი და თაყვანი-სცე წინაშე ჩემსა მოჰმადს, ცოცხალ იქმნა და უკეთუ არა, მოსწყდეთ ყოველნი“. ხოლო მოიწია დესპანი იგი და წარმოდგა წინაშე თამარისა მკადრე: „უკეთუ დაუ-ტეო ქრისტე, იქმნე ხარჭი სულტანისა და თუცა არა , მოისრნეთ“. მყის აღხლტა ამირსპასალარი ზაქარია, სცა პირსა დესპანსა ესრე-თი, რამეთუ დაეცა მყის ქუეყანასა ზედა, ვითარცა მკუდარი; ხოლო ოდეს სულებულ იქმნა, რქუა: „ჯერ-იყო სიკუდილი შენი, არამედ დესპანთა არა ჴამს; წარვედ, აცნობე სულტანსა: მოგეგებით წინა

და ვსცნათ ვისი არს ღმერთი ძლიერი“. მსწრაფლად მოკრბნენ სპა-ნი თამარისანი სამცხეს; ხოლო თამარ წარუძღუანა სოსლან-დავით და მუხლ-მოდრეკით აკურთხნა სპანი და მინდობილნი ღვთისანი წარავლინნა და თჳთ მოვიდა ოძრაჴესა კათალიკოზით თეოდოსით, ეპისკოპოსებით და წინამძღურებით, და ჰყოფდნენ მარადის ლოც-ვასა, მღჳძარებასა და ვედრებასა ღვთისასა.

ხოლო დავით მისრულმან ბასიანს იხილა სპანი სულტნისა და-ბანაკებულნი ბოლოკერტს, რომელნი თვალუწდომელნი და დაუტე-ველნი იყვნენ მუნ, არამედ ესრეთ ლაღნი, რამეთუ არა ჰყვათ და-რაჯა-ტალანი, მაშინ აჩინა დავით მჴარგრძელი ზაქარია, შალვა და იოვანე ახალციხელნი და თორელნი. ხოლო ერთკერძ იმერ-აფხაზ-ნი, ერთკერძ ამერნი ჰერ-კახნი და მიმართეს ცხენ-ჩქარად; არამედ მათ რა იხილნეს ფიცხლად მიმავალნი, და სცათ ღმერთმან ზარი და მირიდნეს სიმაგრეთა. ამას ზედა განმჴნდნენ სპანი თამარისანი, მიე-ტევნენ და მოსწყდნენ ურიცხუნი ბრძოლასა იმიერ და ამიერ და დაუჴოცნეს ცხენნი ზაქარიას, შალვას, იოვანეს, გრიგოლის, მათ-თანანი სხუანიცა; გარდაჴდნენ და ბრძოდნენ ქუეითნი ძლიერად, გარნა ესრეთ განძლიერდა რამეთუ კნინღა და არა მისდრკნენ სპანი თამარისანი, არამედ მხილველთა დავით და ამირსპასალარმან ზაქა-რია მირიდნეს ქუეითთა მათ ამიერ და იმიერ, რათა არა დაითრგუ-

ნონ და მოუჴდნენ სიმრავლესა მას, და სცეს რისხვა ღვთისა, გან-
ხეთქნეს რაზმნი მათნი და ივლტოდნენ სულტანისანი. მაშინ აღსხდ-
ნენ ქუეითნიცა იგინი და მიეტევნენ, მოსრვიდნენ, ტყუე-ჰყოფდიან
და იპყრობდიან, რომელ ასსა ერთი მოიყვანებდა (ქ˜სა ჩ˜რჟკ, ქარ-
თულსა უ˜ივ), და შემოიქცნენ ბარგითა მათითა, რომლისა არა იყო
რიცხჳ და შეგება ოქრო-ვერცხლთა, თუალ-გოვართა, რამეთუ
სხჳსაღა თქმა არა საჴმარღა არს სიმრავლისათჳს და წარმოიღეს
საკიდარითავე მათითა (არამედ ევლოგი სალოსი წინაშე იყო თამა-
რისა მწირველი. განცჳფრებულმან აღიტყუელნა ჴელნი და დაეცა
სამგზის; მერმე აღხლტა და შესწირა კურთხევა ღმერთსა. შემდგო-

1-27 სტრ., 188
მად მის მკითხველს იოვანეს გამოუცხადებდა ევლოგი: „რაჟამს და-
ვეცემოდი, კნინღა მიდრკენდა სპანი ჩუენნი; ხოლო აღვხლტი რა,
მოსცა ღმერთმან ძლევა სპათა ჩუენთა“. შემდგომად მოვიდა მახა-
რობელი წინაშე თამარისა, მერმეღა სპანი მისნი ოძრაჴეს შემოვიდ-
ნენ მხიარულნი, მუნიდამ ტფილისს დიდითა შუება-სიხარულითა;
ხოლო დიდებულნი სულტანისანი განყიდნა ნალსა ზედა თამარ დი-
დებად სახლისა თჳსისა. (კუალად ესეცა თქმულ არს: „მოყვანებუ-
ლი დიდებული სულტნისა წინაშე თამარისა დაეცა და იღვლარჭნო-
და, ვითარცა გუელი და უტყუ-ქმნილი; ამისთჳს განიყვანეს გარე
და რა იქმნა მრთელ-გონიერ, ჰკითხვიდნენ, რასათჳს ყოფასა ეგ-
რეთ; ხოლო იგი იტყოდა, „რომელი არს თავსა ზედა თამარისასა,
მან ჰყო ძლევა ესე ჩუენ ზედა და აწცა შევშინდი მის მიერ“. ხოლო
ჟამსა მას იყო ხატი მთავრანგელოზის მიქაელისა თავსა თამარი-
სასა მკიდარე. ამით იუწყეს მის-მიერობა და შესწირეს უმეტესი
მადლობა ღმერთსა).

ხოლო წყალობათა ამათ შინა ღ˜ისათა თამარცა მწყალობელი
არა გარნა სამეფოთათჳსთა, არამედ საბერძნეთისათაცა მრავალნი
მონასტერნი განამდიდრნა და ობოლ-ქურივნი აღავსნა, რამეთუ
არავინ სიკუდილითა და ასოთა მოკლებითა დაისაჯა ჟამსა მისსა,
თჳნიერ გუზანისა, რომელი მეკობრობდა მთასა კოლისასა. ესე შე-
იპყრეს მთიბავთა და მოართუეს დავითს მეფესა; ხოლო ამან უცნო-
ბელად თამარისა დასწუნა თუალნი სისხლთათჳს ქრისტიანეთა.

კუალად მოვიდნენ შავის-მთის მონაზონნი. ამათ მისცნა ური-
ცხუნი ოქრონი და წარავლინნა. არამედ კეისარმან ალექსი ანგარმან
და ძმის მკულელმან შეიპყრნა იგინი და წარუხუნა ოქრონი. მცნობ-
მან თამარ მიუმცნო კეისარსა, რათა უკუნ-სცეს და მან არა ინება.
არამედ თამარ მისცა კუალად მონაზონთა მათ უმეტესი, და წარავ-

1-28 სტრ., 189
ლინნა იმერნი და წარუღო კეისარსა ტრაპიზონი და მიმდგომნი მის-
ნი, და მისცა ალექსი კომონიანოსს ანდრონიკეს ძესა, რომელი იყო
წინაშე თამარისა. ესე სცნეს ევროპელთა, რამეთუ მიეღო ძალი აღ-
მოსავლით კეისარსა, მოვიდნენ და წარუღეს კოსტანტინეპოლი ქ˜სა
ჩ˜რჟჲ, ქართულსა უ˜იჲ, და მოკუდა ალექსი ანგარი ოქროს საუნ-
ჯესა შინა სიყმილით სიმამრისაგან თჳსისა.

ჟამთა ამათ იკითხა თამარ საქმე კარისა, რომელ თამარის მე-
ფობის წელი აღვიდოდა ოცდა ოთხად, რამეთუ მრავალგზის ბრძო-
დნენ მჴარგრძელნი და ვერ წარუღნეს, ამისთჳს წარავლინა სოსლან-
დავით და თჳთ დადგა ჯავახეთს. მისრული დავით მოადგა კარსა და
ჰბრძო ძლიერად. შემდგომად შემჭირდნენ ციხოვანნი და იტყოდნენ:
„მოვიდეს თამარ და მივეცეთ მას“, რამეთუ სხუათაგან აქუნდათ
შიში. მცნობი ამისი თამარ მოვიდა და მოსცეს ციხე და თამარ მისცა
ძესა თჳსსა გიორგის ვედრებითა კარელთათვე და დაიპყრა რახსი-
დამ სპერადმდე და განძლიერდა ფრიად სათნოებისა მისისათჳს; არა-
მედ სიხარულსა ამას შინა მოკუდა ქმარი თამარისა სოსლან-დავით
ყოვლითა სიკეთითა აღმატებული ქ˜სა ჩ˜რჟთ, ქართულსა უ˜ით,
და დაუტევა გლოვა ძლიერი. შემდგომად ზამთრისა ჟამსა იყო მე-
ფე გეგუთს; აღძრა ეშმაკმან არდავლის სულტანი; ესე მოვიდა
ბრწყინვალესა კჳრიაკესა ანისს ქალაქსა ზედა; მზა-ყოფილთა ან-
ელთა განცხრომა-სიხარულად დღესასწაულისად უგრძნეულოდ შე-
უჴდა ცისკრისად სულტანი და მოსრნა ურიცხუნი ქრისტიანენი,
თჳნიერ რომელნი დაიმალნენ ქუაბთა, კლდეთა, ჴურელთა და გა-
ნერნეს მუნ; რამეთუ˜ბ ჩ˜ (12.000) ეკლესიათა შინა მოსწყჳდნეს
და წარვიდა სულტანი ტყუე-ალაფითა სავსე. ამისი მსმენი მეფე მწუ-
ხარე მარადის ეძიებდა შურსა მის ზედა. ხოლო შემდგომად საძაგსა
მარხუასა მათსა რამაზანად წოდებულსა ამირ-სპასალარმან ზაქა-
რია შეკრიბნა ჰერ-კახ-სომხითარნი, ჩავლო გელაქუნი და უცნობ

1-28 სტრ., 190
მივიდა ჟამსა ცისკრისასა. და რა ჴმა-ჰყო ბილწმან მუყრმან აზანი,
რომელ განთენდებოდა აიდი მათი აღვსება, მოერტყა არდაველს
და გამაგრდა ქალაქი ძლიერად.

იხილა რა ზაქარიამ, გარდაჴდა ცხენით და ყოველნი სპანიცა
მის თანა, ბრძვეს ქუეითად, შეუჴდნენ და მიზგითსა მათსა ი“ბ ჩ“
(12.000) მოსწყჳდნეს უწყალოდ და მოსრნეს სულტანი ცოლშვილ-
ნათესავითა და მოქალაქენი არცა ერთი დაუტევეს ცოცხალი. აღი-
ღეს ალაფი დიდძალი და წარმოვიდნენ და მოვიდნენ წინაშე თამარი-

სა გამარჯუებულნი. შემდგომად მოწევნილსა შემოდგომას ითხოვა ზაქარიამ ლაშქრობა ხვარასანს და დართო ნება მეფემანაცა. მაშინ შემოკრბა ყოველი გიორგია; წარსრულთა ჩავლეს მარანდი და მუნ ვერ პოვნეს კაცნი, ჰგონებდენ მთასა მას შინა სპათა, ამისთჳს წარავლინა ზაქარიამ ფ˜ (500) მჴედარნი ტალად. ესენი აღვიდნენ მთასა ზედა. იცოტავეს მარანდელთა; მოუჴდნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი, არამედ სძლეს ჩუენთა და მოსწყჳდნეს. ხოლო ზაქარია ვერა რისა მცნობი მათი, აღვიდა მთასა და იხილა ნაომარი, სადა ფ˜ შუბი ფ˜ კაცთა ზედა ესო. გარნა შეწუხნა, რამეთუ არა-სადა იყვნენ. მცირედისა შემდგომად მოეგებნენ იგინიცა გამარჯუებულნი ალაფითა; მუნით წარმოსრულთა დაიმორჩილეს თავრიზი და მიანა, რამეთუ იგინი მოერთუნენ სულტნითურთ; არამედ ზანგანა არა ერჩდათ გარ-მოდგომასა, შეუთხარეს მესხთა, რამეთუ აქუნდა ზღუდე ალიზისა, შევიდნენ და მოსრნეს სრულიად; მუნით მივიდნენ ყაზმინს და არცა იგინი ერჩდნენ, არამედ ივლტოდნენ მთად, ეწივნენ, მოსრნეს იგინი და ქალაქი ტყუე-ჰყვეს და წარვიდნენ ხუარასანს, სრულიად მოსტყუევნნეს და აღიღეს ალაფი დიდი, ვიდრე გურგანამდე მოაოჴრეს, არამედ ვერღარა ზიდვისათჳს ალაფთასა შემოიქცნენ, წარმოვლნეს იგივე გზანი და ვერვინ წინააღუდგა ესოდენთა ქუეყანათა შინა. ხოლო მოიწივნენ რა მიანას, მოეწყჳდა მათ მცველნი

ქართველნი. ესე მათგან განრომილმან ერთმან აუწყა ზაქარიას, ამისთჳს მოსრნა იგინი სულტანითურთ სრულიად მოქალაქითა. არამედ მუნით წარმოსრულთა სძღუნობდიან ყოველნი ქალაქნი საფასეთა დიდ-დიდთა. შემდგომად მოვიდა ტფილისს წინაშე თამარ მეფისა დიდითა ალაფითა, რომელ განკჳრდებოდნენ ყოველნი მხილველნი.

ამისა შემდგომად მოკუდა ამირსპასალარი ზაქარია და მისცა მეფემან ამირსპასალარობა ძმასა მისსა იოვანეს; არამედ მან არა ინება ამირსპასალარობით წოდება, არამედ ათაბაგობით.

ამათ ჟამთა განდგნენ მთიულნი, ფხოელნი და დიდონი და იწყეს რბევა და ტყუენვა. მაშინ წარავლინა მათ ზედა მეფემან თამარ ათაბაგი იოვანე სპითა. ხოლო იოვანე აღვიდა მთასა ჯადისასა და წარვლო წუერ-წუერად და წარადგა ფხოელთა, დიდოთა, ძურძუკთა, და უწყო რბევანი, ტყუენვა და სრვანი. ხოლო ძურძუკნი მოერთნენ სრულიად ძღუენითა დიდითა; არამედ იოვანემ დაჰყო მუნ თთუე სამი, აღიხუნა მძევალნი ნებიერად, დაიმორჩილნა მოხარკედ, უკ-მოიქცა და მოვიდა წინაშე თამარისა გამარჯუებული.

ხოლო აწ ესოდენდა სიხარულსა შეუდგების მწუხარება, რამეთუ ნაჭარმაგევს მდგომი თამარ დასნეულდა და არღარა იქმნა კურნება, დაღაცათუ ჰაერ-ცვლილობისათჳს მიიყვანეს ტფილისს, მერმე დასოდ და აგარათა; გარნა არა რაჲ ერგო; არამედ განვიდა ამიერით და მივიდა წინაშე ქრისტესა წელსა ქ~სა ჩ~სა, ქართულსა

1-29 სტრ., 192
უ~კა, იანვარს ი~ზ. ხოლო სანატრელსა თამარს თჳსითა ჴელითა დაედგა გჳრგჳნი ძისა თჳსისა გიორგისათჳს ქ~სა ჩ~რჟვ, ქართულსა უ~ივ.

მეფაჲს თამარის შესხმად თქმულნი იროიკონი

სრულიად საქართუზლოჲსა, ანუ სრულიად გიორგიისა და ივერიისა, თჳთ მფლობელ-მპყრობელისა, დიდისა მეფაჲსა თამარისა. დავითიან-ბაღვრატოვანისა მეფისა გიორგისა ასულისათჳს:

შესხმად თქმული იროიკონი ესე ოცდა ათ მუხლედნი, თითოჲნი ხუთ-ტაეპოვანი ათორმეტ-მარცვლოვანნი:

სიბრძნისა-მოყუარისა. კეთილშობილის ალექსისძის და სრულიად კახეთის სამეფოს რეკტორისა და სამეცნოთა მოძღუარად მასწავლელისა დავითის მიერ:

წელსა ქრისტესა - 1811: თთუზსა აპრილსა: 12:

ჴმა. დ: სამ-სახეობა:

1. ატლანტიკოსთა, ყოვლადუზ მრუმოანთა,

პსიხებითა ორბით, მცურუზლთა პელეღოდმი,

მარტივთ კამპაზით, შეუდმელ-მოძრაობით,

მიუწდომსაცა, მიწთომად მეუფსკრულნი,

სულის-ფიცართა, დამტჳფრნი ნამდვილ-ყოფით:

2.დოღმატუზნ ეს-ფერ, ურღუავთა აქსიომთა,

ნამდჳლ ხედჳთა აღმცის-მკარებელნი,

ერთსარე წარჰსთქმენ, მეორეს აქსიომად,

ხოლო მესამეს, შეუდგმენ მცნობელობას.

და მეოთხითა შეუძლოდ დარღუწვასა:

3. ძლიერად ნესტუწნ, უნამდჳლეს ყოფითა,

რომელი იგი წინააღმდგომ-თქმობითსა,

იპყრობს თჳს შორის, სრულიად საჭიროსებრ,

არა განაგდებს, არცა ერთსა პუროზითა,

სამად წარჰსწერენ, სოფისტთა გონებისთა.

1-40 სტრ., 193

4. ხოლო აქარე, მარტივთა მოგონებათ,

არ შენაზავთა, ვით მყოფთა გონებისთა,

საჭიროდ შეუდგს, ჴმითარე წარმოდგომა,

რომელ კერპთაგან ჴმათ შინა ხატულება,

ქადაგად იქმნეს წევროან დათხზულებით:

5. განკუეთა სამად, ერთისა განუკუწთლის

რომელსა ზედან, სამნივე განწუალუანი,

ერთსა ქუწდებულსა, შეეხნენ შესმენითა

ვითა მოჰაზრე, მისთარე ორობისა

ორთა სამად ქმნას, წარუწერ რომელი აწ:

6. ხოლო სამთაცა, მისთაუწ განწუალუასა,

ორობად უკუწ ძუწლთაებრ სხოლასტიკოსთ

რომელნი ერთსა, შეუდგენენ ეს-გუარად,

მეტაფისიკებრს, საზოგადო ყოვლადსა,

და ორთა ერთსა, ფისიკებრ სხეულად ჰსთქმენ:

7. მეორე იგი ფისიკებრი სხეული,

სხუათა და სხუათა, ნათესავთა ქუჱშეი

სხუადასხუად კერძოდ, განაღა თანა-ჴმობილი,

უწინა-აღმდგოდ, არამჰხრწნელ ერთი ერთსა,

ეგრეთ მესამეც კერძოი ყოვლითურთი:

8. შემადგნი მეფავ, შენისა ყოვლადისა,

არ შენაზავნი, განაღა შემაზავნი,

პსიხის რომელი, წარმოებს არსებისგან,

ხოლო მეორე, კერძოი განყოფილებ

გულის-ხმის ყოფა, და ნება ნიჭებული:

9. ორნივე ესე, შემაზავნი შენისა,

ვითა სამყარო, უბრყჳლოდ მოელუარე,

მუნით განვლილი ღრუბელთა სიტყჳერთა,

სკიპტრათ რომელნი, მოგეცნეს სავლინონი,

გონიერების, სამარადოთ მაარნი,

10. მუნით მძოვარნი, არგნითა შენ სიბრძნისათ,

რომელსა მოგაქუს, არსებისგან ძალ-ყოფა,

ხოლო სიბრძნითა, მადლითებრ მოქმედება,

და განნერგუანი. სიტყჳთა მცენარეთა

განკარგულებით, ერთსარე ზოგადობას:

11. ამას გიყოფეს, ორნი იგი კერძონი,

გზავენ რა ესგუარ, ზოგადად ყოვლადობით,

რომელნი დაგდგმენ, თხემთარე დიადიმას,

ყოვლთა საჩინოდ. ϑ თამარ მეფავ დიდო,

და სიბრძნის კალმით, დაგბეჭდვენ გულთა შინა:

1-38 სტრ., 194

12. გიქმნა რა ორთა, ფისიკებრთა ყოვლადთა,

სხუადა სხუაობა, კერძოთა განწუალულთა,

კნინღა ურიცხუთა, შენ შორისთა სარაცხთა

ითქმიან რაჲ შემადგნი დიდებისა,

აფიკარობის, ცხოვლადრე წარმომდგენნი:

13. ვიეთთ რაჲთმე, აქა წინადებულ-ვჰყოფ,

მოვიხსენებ რა, ძუწლთა შინა საქმეთა,

ოდენ მას გიტყჳ, და ოდენმე სხუად ვინმედ,

სიმშჳდეს რაჲ, შეაუღლენ სიმდაბლე,

დავით მამისებრ, შენისა მსირავისა:

14. ხოლო გონების, შერავანდის ხედჳთა,

ივერიელთა, ჰსჯულნი ეც სოლონისებრ

და განაშუწნენ, ზევიათან მღელუარის,

შინა მავალნი, დიდებულნი სიტყჳთნი,

სოლომონისებრ, შენისა მაწარმის.

15. იქმნენ რა ლომთა, მძჭნუარეთა განმბძარვი,

ყბათა განპებით, სიმჴნისა სეფურითა,

ხალიფას ცრუსა, ანუ მძლავრ ნუქარდინის.

მტერთა ქრისტესთა და შენდამო წინ მეწყუთა

რომელთ ჰმუსრვიდი, ერთი ბევრთ წარმაქცევი:

16. ეჰმსგავსე ამით, ძლიერსა ძლიერიუწ,

და დაეც შემთქრნი, ძლიერად სპარაზენნი,

ბევრგზის დაანთქენ გუნდნი რა უარმქმნელთა

ქრისტეს სახელის, შენ ჯუარით განმლახურელი,

ამით დაიცევ, ქართუწლნი ჭირუწულნი:

17. სხუა ვინ იუდა მაკაბელი იპოვე

ვინ იივდითე, სიმჴნეთა შინა დიდთა,

რომლითა ჰსძლიენ, დიდ-დიდნი ბევრეულნი

და დაეც ლახურით, აზიით გოლიათნი

კნინღა შესაძლოდ, და მანთქი ერის შენის:

18. სხუათა რომელთა შემაზავთ კერძონი

ითქმიან მისუწ ყოვლითურთთა ყოვლადის.

მისუწ სახისა ქუწშე დაწესებულნი,

მოიღებიან რომელნიცა შენდამო

ყოვლითურთ კერძოდ უწოდენ რომელს ბრძენნი:

19. ამათ სამთაუწ, მაღალთა ფილოსოფოსთ

ესგუარ განმწუალუწლ, რომელიცა წარწერით

სიმაღლისადმი, ესეგუარად აღვიყუანენ,

1-39 სტრ., 195
რიტორებითთა ჴელყოფისა გუარებითა

ათ-სამეულთა, გამოთქმისა სტიხებთა:

20. იგი ჰყოფს ამას, სადითცა გონებაჲ,

არა დამბრმალი, ხუთთაგან ხუთითავე

რვათა აღჳრ-სხამს, სამთა შინა და ბეჭდჳთ:

რომელმან ესე, მოიგენ ანაგებად,

და დაჰსდუწნ შინა კაცსავე შინა ყოფით.

21. კნინღა შეუძლო თქუწნდამო შესმენანი,

დიდებულების, სიმჴნეთა ქუწლობისა

მოიგენ ვინა შემთხუწვანი შუწნიერ,

რათამცა ჰრიცხუდეს მკობით ანუ ქებითა

და დასაბამსა, საშუალ დასრულვიდეს:

22. მდედრმან რა მამრი, მოქადულნი და მჴდომნი,

დააკუწთენ რა, წარქცევითა ძლიერად,

ვით იაილმან, უცხოთესლი გამანვით

აგარიანთა, შემოსრულთა ბანაკნი,

ლახვრით განგმირენ, მეფაო სახელდიდო:

23. ივერიელთა, მიერ ჟამით საჴსენად,

გიციან ყოვლთა, და შენით მოქადულან,

სპარსნი მძრწოლარნი, ინდია არაბადმდე,

თჳთ კეისარი, ჰანგარად წოდებული

ვით შეაძრწუნენ, წარტყუჱნვით ქუჱყანათა:

24. თჳთოულნი, აღრიცხუად შეუძლონ,

შინანი ქმნილნი, შესრულნი არ საჭირო,

არა მიმართნი, განაღა ვითარ ყოფა,

რომელი იგი, სხუაობა სხუაობათა,

მოგვეთხრობისუჱ, შენთჳსვე მეცნთაგანთა:

25. თჳთმოქმედება, მრავალ-სახელობითად,

მიგიწოდს ეს გუარ, ვით კერძო შემაზავნი,

სამფლობელოთა, კიროსებრ განვრცელებით

იგი ჰყავ ვით მან, ისრაილნი ტყუჱ-ქმნილნი,

ივერნი შენცა, განათავისუფლენვე:

26. ხოლო მე გიტყჳ, დიდისა ალექსანდრებრ,

ზარის დამცემსა, რაზმებთა შენაკეცთა,

ან აგჳსტოსებრ, კესარისა ჰრომისა,

კეთილმოქმედსა, სახლთა ღ˜ისა ტაძართა:

შემამკობელსა და უნჯთა წარმგებელსა:

27. მაწუჱვს გონება, რათამცა ესთერებრად,

გთქმიდე გონებით, და საქმისა ხედჳთურთ,

1-31 სტრ., 196
დამოჰკიდა რა, ამან ძელსა მოშთობით,

ეგრეთუჱ შენთა სპასალარ და მჴნე სპათა,

დამოკიდესუჱ, სულტანი უღმერთო თესლი:

28. კოსტანტინესად, სხუად გიტყჳ ნამდჳლადუჱ,

რომელმან მარად, აღმართენ გულთა შინა,

ხე რა ცხოველი, შობითა მის ზედითუჱ,

და შემოსრულნი, აგარის უცხოთესლნი,

ჯუარით განლახურენ, რა წინა უბავრაყენ:

29. სახელნი ზესთა, განფენილნი მარადის,

ჰოი მეფაო თამარ ქუჱლ-დიდებულო,

ყოვლ სიკეთითა, ბუნებრიც შუჱნიერო,

სად და ჰხდა ხატი, ელუარე ეთერებრი,

ვჰძრწი თქმად და სიტყუად, უმჯობეს მდუმარება:

30. ესე რა ითქუნეს, არ აჩრდილთ შესაბამნი,

გლახაკ გონების, ჩემ მიერ ნასიტყულნი,

ჰსდგა რა შენ ღ˜ისა, მცირენი ესე მწულილნი,

ალექსის ძისგან, რექტორის დავითისნი,

შეიწირენ და, მიითუალენ კნინად:

ჲ˜გ მეფე ლაშა გიორგი ი˜ წელი მეფა

ხოლო შემდგომად დედისა თჳსისა იქმნა მეფედ ლაშა გიორგი,
ძე თამარ მეფისა, წლისა ი˜ჱ და იყო ესე ტანითა ძლიერი, ძალითა

მჴნე-ახოვანი, მოისარი რჩეული, მჴედრობასა შინა შემმართებელი,
ლაღი, თჳთ-ბუნება. ამან დაიპყრა სამეფო დედისა თჳსისა და გარე-
მონი ყოველნი მოართმიდიან ხარკთა და შემდგომად გლოვისა იყო
შუება სიხარულსა შინა. მერმე განდგნენ განძელნი და არღარა მოს-
ცეს ხარკი; ამისთჳს შემოიკრიბნა მეფემან წარჩინებულნი და სპანი
თჳსნი და ეტყოდა მეფე: „დამძიმებულ ვარ განდგომილებისა ამის-
თჳს და აწ მიიღეთ ჩემგან, ვითარცა დედისა ჩემისაგან, ნიჭი და ნუ
ვიქმნებით მათგან დაწუნებულნი“. ხოლო მათ განიხარეს და შემო-
კრებულნი სრულიად წარემართნენ განძას. მაშინ განძელნი ვერ
წინააღუდგნენ ველთა ზედა და განმაგრდნენ ქალაქსა შინა, და მე-

1-29 სტრ., 197
ფემან მოადგინა გარემო სპანი, ერთ-კერძ მესხნი და მჴარგრძელნი,
ერთ-კერძ ჰერ-კახნი, ერთ-კერძ ქართველ-სომხითელ-თორელნი,
ერთ-კერძ ლიხთ-იქითნი ბედიელ-დადიანით. ხოლო დღესა ერთსა
ინება მეფემან გარ-მოვლა და მოთუალვა ქალაქისა და გარ-მომვლე-/ლი იხილეს
მოქალაქეთა და სცნეს მეფედ. მყის განახუნეს კარნი,
რამეთუ აღუჩნდათ მცირედ და მოეტევნენ მეფესა. მაშინ თანმყოლ-
ნი სპანი ეტყოდნენ მეფესა: „განვსწიროთ თავნი ჩუენნი და არა
ვარცხვინოთ დღეს პირველსა მეფობასა შენსა“. მიეტევნენ მეფი-
თურთ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. შემდგომად წარიქცივნეს სრვი-
თა, შესჯარნეს კართა ქალაქისათა და მოსრვიდნენ, ხოლო გარ-
მოდგომილთა სპათა ესმათ ჴმა ტყებისა დედათა მათთაგან ქალაქი-
დამ და მიისწრაფოდნენ მეფისა; არამედ მეფე გამარჯუებული მოე-
გება სპათა თჳსთა. გარნა აღუძნდათ დიდებულთა და ამხილებდნენ
მეფესა. ესე მეფემან თავს-იდვა უგონებელ-ყოფად და დაამშჳდნა
იგინი. შემდგომად მცირედთა დღეთა შემჭირდა ქალაქი და მო-
ითხოვეს მშჳდობა ვედრებით და აღუთქუეს ხარკი. შეიწყალა მეფე-
მან და დაიმორჩილნა მოხარკედ და წარმოვიდა მძლეველი.

ხოლო ვინაჲთგან დამორჩილებულ იყვნენ ყოველნი გარემონი
თამარისაგან და მისცემდნენ ხარკსა ხლათნი და ძღუენსა სძღუენობ-
დნენ ბერძენნი და არა-სადა იყო მტერი, ამისთჳს იშუებდნენ და
იხარებდნენ და მიდრკა მეფე სიბოროტედ და განიშორნა ვაზირნი
დედისანი და შეიყუარნა თანამოასაკე-აღზრდილნი თჳს თანა და
საქმენი მათნი: მღერანი, როკვანი, დედათა თანა აღრევანი, რამე-
თუ ღამე ვიდოდა, რათა განიძღოს სიბოროტე. ვერ მცნობელთა
რაინდთა შეიპყრეს მეფე და ეგოდენ ჰგუემეს, ვიდრე თუალი მარ-
ჯუენე ხედვისაგან დაკლებულ ჰყვეს. კუალად შეუდგინა, რამეთუ
არა ისუა ცოლი, რამეთუ თუმცა აიძულებდნენ წარჩინებულნი, არა-
მედ არა ჰყო, ხოლო კახეთს ველისციხეს მყოფმან იხილა დედაკაცი
და ეტრფიალა მეფე, წაჰგუარა ქმარსა და მოიყვანა თჳსად, მიუდგა

და შვა წული სახელით დავით.

1-22 სტრ., 198
მხილველნი დიდებულნი, კათალიკოზნი, ეპისკოპოზნი ეტყოდ-
ნენ არა-ყოფად ესრეთ; წაგუარეს დედა დავითისა, რათა იქორწი-
ნოს სხუასა ზედა, ანუ მას ზედავე და განეყენოს უჯეროსა. მაშინ
მეფემან აღმთქმელმან არწმუნათ თჳნიერ მათსა არა რაჲსა ყოფად,
გარნა ცოლისა სმა და ქორწინება ვერ დაარწმუნეს და კუალად მის-
ცეს ქალი იგი დედა დავითისა და არცა მას ზედა ქმნა ქორწილი.

შემოსლვა თათართა

ხოლო ჟამსა ამას გამოჩინებულ იყო აღმოსავლეთით თათარ-
თა გუარისა ყიაზდინ თემურჩი, ჩინგის-ყაენად წოდებული. ამან და-
იპყრა ჩინ-მაჩინი და დიდი თათარი წელსა ჩ˜სბ, შემდგომად ამან-
ვე წარმოავლინნა ორნი მთავარნი ი˜ბ ჩ˜ (12,000) მჴედრითა გან-
მსტრობად ქუეყანისად, რომელნი იყვნენ უცხო-სახენი, უცხო-ენა-
ნი და რჯულად დაედვა ჩინგიზსავე ერთისა ღ˜ისა თაყვანისცემა.
ამათ გამოვლეს თურქეთი, ჯეონი, სპარსეთი, სძლეს ყოველთა წი-
ნააღმდგომთა და მოიწივნენ საზღვართა ქართლისათა და აოჴრებ-
დნენ სომხითს, გაგს. ესე მოსლვა თათართა აცნობეს მეფესა. მაშინ
მეფემან შემოიკრიბნა სპანი ჟ˜ჩ˜ მჴედარნი და წარვიდა მათ ზე-
და. ხოლო გზასა ზედა მოერთო ათაბაგი იოვანე დიდითა ლაშ-
კრითა; ხოლო თათარნი დგნენ წყალსა ზედასაგიმს და მუნ ეწყუ-
ნენ ურთიერთს. მაშინ თათარნი ნახევარნი ივლტოდნენ და ნახე-
ვარნი მზირ-უყოფდნენ, მოეტევნენ ზურგით-კერძო და ეკუეთნენ
ქართველთა და იქმნაცა რისხვა ღ˜ისა, რამეთუ სახელოვანი დრო-

1-31 სტრ., 199
შა დავითისაგან ამ ჟამამდე უძლეველი იძლივა და ივლტოდნენ
ქართველნი მეფითურთ და მოისრვოდნენ მჴნენი და ძლიერნი
მბრძოლნი თათართაგან ურიცხუნი და შემოვიდნენ ტფილისს მწუ-
ხარენი და მეტყუელნი: „ვინაჲთგან შევაწუხეთ ღმერთი, შეგვაწუხა
ჩუენცა და სირცხვილეულ გვყვნა წინაშე მტერთა ჩუენთა“ ქ˜სა ჩ˜სთ,
ქართულსა უ˜კთ. ხოლო თათარნი მოვიდნენ სამშჯლდედმდე, უკუ-
იქცნენ, განვლეს კარი დარუბანდისა, შემოვლეს ზღუა კასპიისა და
მივიდნენ წინაშე ჩინგიზ-ყეენისა. ეჰა უცხო! რამეთი უჭედელითა
ცხენითა და მხოლოდ მშჯლდ-ისრისაგან კიდე არა რაჲსა საჭურვე-
ლისა მქონებელთა ყოველგან ბრძოლით ჰყვეს ესრეთ.

ხოლო შემდგომად ამისა კუალად მშჯდობასა შინა იშუებდნენ
და იხარებდნენ. ამას შინა მოითხოვა დაჲ მეფისა რუსუდან ხალათის

სულტანმან, რომელსა ეპყრა ეგჳპტეცა, არამედ დააყენა მოწყალე-
ბამან ღ˜ისამან. კუალად რაოდენისამე ჟამისა შემდგომად მოითხო-
ვა შარვან-შამ და მისცეს პირი; ამისთჳს წარვიდა მეფე ბაგავს,
რათა მისცეს მუნიდამ, არამედ აქაცა არა დასცხრა გულისწყრომა
ღ˜ისა, რამეთუ დასნეულდა ლაშა გიორგი მეფე; გარნა სცნა რა
სიკუდილი თჳსი, შემოკრიბნა ყოველნი დიდებულნი და მიათუალა
დაჲ თჳსი რუსუდან და ძე თჳსი დავით და უბრძანა დისა რუსუდა-
ნისა დასმა მეფედ, ვინაჲთგან დიდად მოყუარულ იყვნენ და აქუნდა
სასოება აღთქმის აღსრულებისა. ხოლო რუსუდანს ამცნო დიდე-
ბულთა მოწმობითა, ფიცითა და შეხედებითა ღ˜ისათა, რაჟამს მოი-
წიფოს დავით ძე ჩემი, ჰყავ მეფედ და დიდებულთაცა ესე ეს-
რეთ ყოფად. შემდგომად შეისუენა მეფემან ლაშა გიორგიმ ქ˜სა
ჩ˜სია, ქართულსა უ˜ლა, იანვარსა ი˜ზ, დღესა ოთხშაბათსა, და მო-
იღეს მუნიდამ ტფილისს და ტფილისიდამ გელათს.

ჲ˜დ. მეფე რუსუდან კ˜ვ წელ იმეფა

შემდგომად შემოკრბნენ ყოველნი დიდებულნი, კათალიკოზნი
და ეპისკოპოზნი ნიკოფსიით დაღუბანდამდე და აკურთხეს რუსუ-
დან ტფილისს და დასუეს მეფედ. ხოლო იყო ესე რუსუდან ხილვი-
თა შუენიერი, ვითარცა დედა თჳსი, სამღუდელოთა და დიდებულ-

თა პატივისმცემელი და უხჯ. ამან მოიწყო ყოველნი საბრძანებელ-
ნი დედისა თჳსისანი და იყო განცხრომასა, შუებასა და სიმღერასა
შინა, ვითარცა ძმა მისი, არამედ ვინაჲთგან დაუტევეთ ღმერთი,
მანცა დაგვიტევა. და წინაჴსენებულნი თათარნი რა მიიწივნენ წი-
ნაშე ჩინგიზისა და სცნა რა ვერავისი წინააღმდგომობა სპათა მის-
თა, განყო სპანი თჳსნი დედაწულითურთ და წარავლინა სპარსეთს,
რუსეთს, ინდოეთს.

შემოსლვა სულტნის ჯალალდინისა

მაშინ იყო სულტან ხუარასნისა, რომელსა ეპყრა ინდოეთით-
გან სრულიად სპარსეთი ჯეონამდე, სახელით ჯალალდინ. ესე მრა-
ვალგზის ეწყო თათართა ჯეონს იქით და აქათ, არამედ მარადის მათ
სძლიან. ამან ძლეულმან მათგან განიზრახა დედაწულით წარმოსლ-
ვა ჩუენ კერძოდ. წარმოვიდა და მოვიდა ადარბაგანს სპითა რ˜მ ჩ˜
(140.000) და დაუწყო რბევა სომხითს, გაგს და მოსრვიდა ვიდრე
ჩჩჳლთაცა. მცნობელმან რუსუდან შეკრიბნა სპანი, უჩინა იოვანე
ათაბაგი, მისცა სეფა-დროშა და წარავლინა სულტანსა ზედა. მი-
იწივნენ დვინს ესენი.

ხოლო ხუარასნელთა დაებანაკათ გარნისს. განაწყუეს რაზმი
და აჩინეს მეწინავეს შალვა და იოვანე ახალციხელნი და თორელ-
ნი. მუნიდამ მოვიდა სულტანი ჯალალდინ, რომელი იყო მჯნე, ახო-
ვანი და გამოცდილი ბრძოლათა შინა. არამედ მიეახლნენ რა მეწინა-
ვენი, არღარა წარდგა ათაბაგი შუელად მათდა; ხოლო შალვა და
იოვანე უვლინებდნენ კაცთა, რათა იყოს შეწევნა, რამეთუ დაახ-
ლოებულ ვართო, და არა ინება ათაბაგმა შეწევნა, რამეთუ ჰყო შუ-
რითა და არა შიშითა, არამედ ვითარ არღარა იყო ღონე, მიეტევნენ
შალვა და იოვნე, იქმნა ბრძოლა და მოწყდნენ ორგნითვე ურიცხუ-
ნი; კუალად არავე მწე იყო ათაბაგი. ჱი, შური ბოროტი! რამეთუ
მონათესავეთა თჳსთა სჭურეტდა მოწყუედად და არა რაჲვე თავს-
იდვა, არამედ ეგო უძრავად. შემდგომად ივლტოდნენ რა მეწინავე-
ნი, შეიპყრეს შალვა მჯნედ მბრძოლი, რამეთუ ჯრმალიცა ჩაბალახსა

1-28 სტრ., 201
ზედა გასტეხოდა; ხოლო იოვანე ქუეითი კლდესა შინა მლტოლვარე
ქვითა მოკლეს. გარნა ათაბაგი სპითა უვნოდ წარმოვიდა მოსწრა-
ფედ ქ˜სა ჩ˜სიგ, ქართულსა უ˜ლგ, და სულტანიცა უკუნ-იქცა; გარ-
ნა მარადის სრვიდა და აოჯრებდა საზღვარსა ქართლისასა და არა-
ვინ იყო ნუგეშინისმცემელი. არამედ სულტანი პყრობილს შალვას
აიძულებდა დატევებისათჳს ქრისტესა, გარნა იგი არა ერჩდა და
სიმჯნე-ახოვნებისა მისისათჳს შეიყუარა, და ლიქნიდა ნიჭითა მრა-
ვლითა; და ვითარ არა თავს-იდვა, მოკლა იგი ფიცხელითა ტანჯვი-
თა და შეირაცხა წმიდათა მოწამეთა შორის. შემდგომად მოკუდა
ფარულად შემონაზონებული და მის საქმისა მყოფელი იოვანე ათა-
ბაგი ქ˜სა ჩ˜სიდ, ქართულსა უ˜ ლდ.

ამასვე წელსა იქორწინა რუსუდან ტუღრულის ძესა ზედა, რო-
მელი მძევლად ჰყვანსა, სიშუენიერე-ჰაეროვნებისათჳს და სიმჯნე-
ახოვნებისა. მიუდგა და შვა ასული თამარ. შემდგომად მიუდგა და
შვა ძე დავით. ამისა შემდგომად მოიწია უდიდესი ბოროტი,
რამეთუ მოვიდა იგივე სულტანი ტყუენვად და ოჯრებად საქართვე-
ლოჲსა და ენება თავისა თჳსისა მეფედ ყოფად აქა და აოჯრებდა
დვინს, ანისს და გარემოთა. ხოლო რუსუდან შესძინა ბოროტსა ბო-
როტი და არღარა მოიჯსენა ანდერძი და აღთქმა ძმისა თჳსისა, და
რა იქმნა ძე მისი დავით წლისა ვ˜, ინება მეფობა მისი და შემო-
იკრიბნა იმერნი, კათალიკოზი, ეპისკოპოსნი, წარჩინებულნი და
აკურთხა მეფედ ქ˜სა ჩ˜სკბ, ქართულსა უ˜მბ; არამედ ამერნი დი-
დებულნი უცალოებისათჳს არავინ იყვნენ მუნ და არავე შეიშინა,
რამეთუ ბოროტისათჳს მოუშვა ღმერთმან სულტანი. მერმე აღი-
ზარდა რა თამარ, მოითხოვა სულტანმან ყიასდინ ცოლად, აღ-

მთქმელმან არა დატევებად რჯულისა ქრისტესა. ამა პირსა ზედა მისცა რუსუდან ასული თჳსი და მზითვად აწყუერი ქ˜სა ჩ˜სკჱ, ქართულსა უ˜მჱ.

1-28 სტრ., 202
შემდგომად მცირედისა ჟამისა წარუვლინა ძე ლაშასი დავით სულტანსა სიძესა თჳსსა, რათა მოკლას იგი, არამედ იგი კეთილსა უყოფდა. ხოლო სულტანმან ჯალალდინ ამცნო ავაგ ათაბაგის ვაზირ-ყოფა მეფისა. ამას მიუწოდა და აღიჭურნენ ორნივ: იქით მოადგა ჴევის-პირს სულტანი ერთითა მონითა და აქათ ავაგ ეგრეთვე. მაშინ ეტყოდა სულტანი ავაგს: „მე არა მტრად თქუენდა მოვსრულვარ, გარნა ფიცხლად შემომებენით; აწ ვინაჲთგან გამოჩნდნენ თათარნი და ვერვინ წინააღუდეგით, მოველ მე, რათა შემრთოთ მეფე თქუენი, ვინაჲთგან არს ქალი და შევკრბეთ ორნივე და ვსძლოთ თათართა, რამეთუ არა ძალ-გიცთ მარტოდ ბრძოლა და არცა მე; ხოლო უკეთუ არა ჰყოთ, პირველად მოგაოჴრო თქუენ და მერმე ვბრძო თათართა. „ესე ყოველი ამცნო ავაგ რუსუდანს; არამედ რუსუდან არცაღა თუ სმენად ინება. ხოლო სულტანმან რა სცნა ავაგისაგან, შემოვიდა სომხითს, მოსრნა, რომელ არა დაუტევა მამაკაცი, და მუნით მოადგა ტფილისს რამეთუ რუსუდან პირველვე წარსრულ იყო ქუთათისს და ტფილისს მცველნი დაედგინნა; არამედ მცველთა ტფილისისათა ძლიერი ბრძოლა უჩვენეს სულტანსა, რამეთუ აღებადცა უსასო იქმნა. გარნა განსცეს სპარსთავე ტფილისს მყოფთა, რამეთუ მემნას განსლვასა საბრძოლად კარსა ქალაქისასა უხეთქეს ძლიერად აფთითა თავსა და მოკუდა და განუხუნეს კარნი. მაშინ მოიწია რისხვა ღვთისა: შემოვიდნენ და მოსრვიდნენ ქ˜სა ჩ˜სკჱ, ქართულსა უ˜მჱ. კუალად მოარღვივა სულტანმან სიონს გუმბათი, და დაიდგა საჯდომი და დაჯდა მას ზედა, და მუნიდამ სრვიდა, რომელ მდინარე სისხლისა დიოდა, რამეთუ პირველვე ნებითა რუსუდანისათა დაუტევა ბოცომ ციხე კალისა და ისნისა და წარმოვიდა. კუალად სულტანმან მოიღო ხატი სიონისა ყოვლად-წმიდისა და დაასუენა ჴიდსა ზედა, და რომელი არა ნერწყვიდა, მოჰკლვიდნენ. მაშინ მრავალთა მოწამეობისა გჯრგჯნი აღსარებით მოიგეს, არამედ

1-27 სტრ., 203
მოსრვილნი ტფილისისანი რ˜ჩ˜ (100.000) აღიწივნენ. შემდგომად იწყო რბევად და ტყუენვად ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა, ჯავახეთისა, ტაოსი, არტანისა, სამცხისა, ანისა, კარნიფორისა და განმრავლდა და განგრძელდა ესევითარი ტყუენვა ხუთ წელს. არამედ რუსუდან ჭირსა და იწროებასა ამას შინა მყოფმან არა მოიჴსენა ღმერთნი და არა შეიშინა, და ვითარ სცნა, რამეთუ არა მოკლა სულტანმან დავით ძე ლაშასი, ჱი სოფლის-მოყუარება ბოროტი! მიუ-

წერა სულტანსა: „ასული ჩემი თანაეყოფის დავითს და მის გამო უყოფს კეთილსა“. მსმენელმან ამისმან განრისხებულმან სულტანმან შეიპყრა თამარ, გუემა მწარედ და შეუმუსრნა ხატნი და ჯუარნი წინაშე თუალთა მისთა და დაატევებინა ქრისტე, ხოლო დავით შთააგდო ზღუასა და ღმერთმან განარინა იგი, რომელი პოვა ვაჭარმან ვინმე ზღჳს-კიდესა და მიიყვანა სახიდ თჳსად. კუალად მცნობმან სულტანმან წაგვარა ვაჭარსა და შთააგდო მღჳმესა გუელგესლიანთა თანა, რომელსა უცა გუელმან ერთმან, ხოლო სხუათა მათ გუელთა შესჭამეს გუელი იგი და დავითს მოსწოვეს გესლი იგი კბენილისა და განჰკურნეს მქონებელსა ხატისა ყოვლად-წმიდისა ღვთისა დედისა სასოდ თჳსად, რომელი მის მიერ დაცული იმყოფოდა შჳდისა წელისა განსაცდელსა მავედრებელი ღვთისა და მონა ერთი მიართმიდა მოთხოვილსა პურსა და წყალსა დღიურად.

ხოლო მათ მოჴსენებულთა თათართა გამოვლეს ჯეონი და ადვილად ჴელთ იგდეს სასულტნო. ესენი მოსრვიდნენ ურჩთა და მინდობილთა კეთილსა უყოფდნენ. ამისი მცნობელი ჯალალდინ აიყარა ტფილისიდამ ქ˜სა ჩ˜სლგ, ქართულსა უ˜ნგ, და მივიდა ადრაბაგანს; მუნიდამ წარუვლინა დესპანი ბაღდადის ხალიფასა და სულტანს ხალადინს, რათა სცენ შეწევნა თათართა ზედა; არამედ მათ არა ინებეს.

1-27 სტრ., 204

მეორედ შემოსლვა ჯალალდინისა

ამისი მსმენელი უიმედო-ქმნილი ჯალალდინ მწეობისა მათისა და მოახლებული თათართა წარმოემართა კუალად ტფილისსავე. მაშინ რუსუდან შეჰკრიბნა იმერნი-ამერნი, ზემო-ქუემონი და გამოიყვანა ოვსნი და მთიულნი, ესე ყოველნი შეიყარნენ ნაჭარმაგევს; ხოლო სულტანი დაბანაკებული იყო ბოლნისს; მივიდნენ გიორგიელნი და ეწყუნენ მუნ. პირველსა ბრძოლასა სძლეს და მიდრიკნეს სივლტოლვად სულტანისანნი, გარნა კუალად მოჰხედნა ღმერთმან რისხვით ცოდვათა ჩუენთათჳს, უკ-მოიქცნენ და მოისრვოდენ ივერიელნი და შემოვიდა კიდევ სულტანი ტფილის ქ˜სა ჩ˜სლდ, ქართულს უ˜ნდ. ეგრეთვე მყოფი აოჴრებდა ქრისტიანეთა.

არამედ მოიწივნენ თათარნიცა და მთავარნი მათნი ოთხნი ნოინნი: ჭარმაღან, ჭაღატარ, იოსერ და ბიჩვის. ამათ გამოვლეს ყოველი სპარსეთი და გამოვიდნენ რახსს და მოადგნენ განძას მ˜ჩ˜ (40.000) მჴედრითა და დედაწულითა თჳსითა. მესამესა დღესა ჴელთიგდეს განძა და მოსრნეს ყოველნი, რამეთუ საძაგელ უჩნდათ სჯული მაჰმადისა, ქ˜სა ჩ˜სლდ, ქართულსა უ˜ნდ. ესე რა ესმა ჯალალდინს,

მსწრაფლ აიყარა ტფილისიდამ და წარვიდა საბერძნეთს. მცნობელთა თათართა დევნა-უყვეს და მიეწივნენ ბასიანს და განეფანტნენ სპანი თჳსნი ჯალალდინს და დაშთა მარტოდ. იხილა იგი მძინარე მეცხვარემან ვინმე, მოკლა და აღიღო სამკაული მისი ცხენისა და კაცისა, რომელი იყო ძვირფასი. ესე სცნა სულტანმან ყიასდინ, შეიპყრა მეცხვარე იგი და მოაღებინა სამკაული იგი. მხილველი ყიასდინ განჰკჳრდა თუალ-გოვარის კეთილობისათჳს და კაცი იგი დასწუა კადრებისათჳს ჯალალდინისა.

ამისნი მცნობელნი თათარნიცა უკ-მოიქცნენ, მოაოჯრნეს ხალათი, ვალაშკერტი და მივიდნენ თავრიჟს და დაიპყრეს იგიცა. მერ-

მე წელსა მეორესა მოვიდნენ ბარდას და იწყეს ოჯრებად სომხითისა, ქართლისა, დარუბანდისა, რანისა, ჰერ-კახეთისა და დვინისა. ესრეთ თათართა მოახლებისა მცნობელმან რუსუდან დაუტევა ტფილისი და წარვიდა ქუთათისს; არამედ ამცნო მჯარგრძელს გოჭას, თუცაღა მოვიდეს თათარნი, მოწუას ტფილისი, რათა არა იპყრან მათ სადგურად, და რა მივიდნენ თათარნი, მოსწუა ტფილისი გოჭამან და მოოჯრდა ჟამადმდე.

მაშინ შემოვიდნენ თათარნი, თჳნიერ იმერეთისა, ყოველსა გიორგიასა შინა და სომხითსა, და მოეფინნენ, ვითარცა მკალნი მსრველნი უწყალოდ, ხოლო დიდებულნი შევიდნენ სიმაგრეთა, მთათა და ციხეთა; ხოლო ჰერ-კახნი და ქართველნი კავკას-მთიულთა შინა. არამედ განგრძელდა რა ესევითარი ოჯრება და არა იყო ღონე რაჲ, არცა ერთი შეწევნა რისამე, მიენდვნენ წარჩინებულნი ყოველნი ნებითავე რუსუდანისათა ამერნი და ზემო-ქუემონი, ვინაჲთგან არა-არს ავნებდნენ მინდობილთა, რამეთუ განბრძმედილს ოქროს წყალსა შინა გაავლებდიან და შესვიან, რომელი ფიცად ესე აქუნდათ; ამით არავითარ უტყუიან და ტყუილი არა აღმოჯდის პირთა მათთა.

ხოლო ოთხთა მათ ნოინთა განიყვეს ესე ყოველი ქუეყანა და აღიღებდნენ ხარკსა. სცნა რა რუსუდან სიმტკიცე პირის თათართა, წარმოუვლინა დესპანი მინდობისათჳს ძისა თჳსისა დავითისა, რათა მისცენ მეფობა. ამის მსმენელთა ნოინთა განიხარეს და აღუთქუეს ყოველი; გარნა იყვნენ ზამთარ ბარს და ზაფხულ მთასა და არავინ იყო წინააღმდგომი მათი.

ჟამსა ამას ინებეს აღმჴედრება სულტანსა ზედა ყიასდინსა და წარიტანეს ქართველნი სრულიად. სცნა რა სულტანმან მისლვა ამა-

თი, შეიკრიბნა უ˜ჩ˜ (400.000) კაცნი და წარმოემართა. ამისი მსმე-
ნელი ბიჩვის ნოინი მოვიდა ქართველთა თანა და ეტყოდა: ვარ მა-
ხაროზელი და რაჲ არს ნიჭი ჩემი, რამეთუ მოვალს სულტანი უ˜ჩ˜

1-27 სტრ., 206
(400.000) მჴედრითა? ხოლო სარგის ეტყოდა: „უწყით სიმჴნე თქუ-
ენი, გარნა სიმრავლისათჳს არა გიჴმთ სიხარული“. მაშინ ბიჩვის ეტყოდა; „არა თურე
იცით ჩუენ მოლიდთათჳს, რამეთუ ვინაჲთ
მოგვცა ძლევა ღმერთმან, რაოდენ სხუანი უმრავლეს არიან, ესე
უმჯობეს ჩუენდა არს, რამეთუ უმეტეს აღვივსებით ნიჭ-ქონებითა“.
და ესრეთ განლაღებულ იყვნენ ყოველთა ზედა.

ხოლო დღესა მეორესა ეწყუნენ სულტანსა და პირველსავე მისლ-
ვასა იწყეს ალა, ალა, ალა! სამგზის და მოუჴდნენ მარცხნივ, განხეთ-
ქეს რაზმი მათი, აოტნეს, მოსწყჳდნეს და მოსრნეს ბრძოლასა მას
შინა. ვინაჲთგან ქართველნი მჴნედ ბრძოდნენ, მოეწონათ სიმჴნე მათი
და შეიყუარეს ფრიად. მერმე მოადგნენ ქალაქსა სულტანისასა გარე-
მოს და ბრძოდნენ ძლიერად. შემდგომად შემჭირვებულმან ყიასდინ
ზავ-უყო და აღუთქუა მორჩილება და ხარკი. მუნით წამოსრულთა
მოეგება ხალათის სულტანი აღმთქმელი ხარკისა და უძღუნა ური-
ცხუნი და მას დაუდგინეს შანა. წარმოვიდნენ და მოვიდნენ გელაქუნს
სავსენი ალაფითა.მაშინ წარმოავლინნეს რუსუდანისა თანა, რათა
ქმნას ზავი მათ შორის; არამედ რა დაიპყრნეს ესე ყოველნი, აცნო-
ბეს ყეენსა, რამეთუ მომკუდარ იყო ჩინგიზი და ძე მისი ოქროფა და
ძე ოქროფასი ქუქ; ხოლო აწ იჯდა მანგუ. ამას მიუმცნეს ქარ-
თველთა კეთილობა და სიმჴნე ბრძოლათა შინა და სპარსთა გარ-
დამატებული სიბოროტე. ამისთჳს უბრძანა ქართველთა პატივის-
ცემა და ბრძოლასა მათ თანა დაპყრობად, ხოლო სპარსთა სრუ-
ლიად მოწყუედა და წარჩინებულთა მის წინაშე წარგზავნა.

ამას ჟამსავე წარგზავნეს ძე იოვანე ათაბაგისა ავაგ ათაბაგი წი-
ნაშე ყეენისა, არამედ მგზავრ დავით ეჯიბი მისი ეტყოდა ავაგს: „მე
ვიყო პატრონად და შენ მონად, რამეთუ არს თემი უცხო და თუმცა
ინებონ სიკუდილი პატრონისა, მე მომკლვენ და შენ ცოცხალ იმყო-
ფი“. და ავაგცა ჰყო ეგრეთ. შემდგომად მივიდნენ მანგუ-ყეენისა

1-28 სტრ., 207
წინაშე. მან შეიწყალა და პატივ-სცა. დღესა ერთსა მიუწოდეს წი-
ნაშე მანგუსა, მაშინ ავაგ წინარე მივიდა და დავით უკანა მისა; შე-
რისხა მანგუ-ყეენმან: „არა ჯერ არს, რომელ პატრონი შენი დგას
უკანის შენსა“. წარმოდგა დავით და აუწყა ყოველი ყოფილი ყეენ-
სა; ხოლო ყეენი განცჳფრდა და ეტყოდა: „ვინაჲთგან ხართ ნათე-

სავნი ქართველნი ეგოდენ კეთილნი, ვბრძანებ, რათა უმეტეს ყოველთა ნათესავთა იყოთ თქუენ წინაშე ჩუენსა“. ხოლო აქა რუსუდან ზავისა მნებელი მოვიდა ტფილისს, წარავლინა ძე თჳსი დავით ნოინთა თანა და წარყვნენ ყოველნი წარჩინებულნი ამერნი, იმერნი, ზემო-ქუემონი. მისრული დავით ნოინთა კეთილად შეიწყნარეს და პატივ-სცეს და უწოდეს ნარინ (ესე არს მოსრული); არამედ ვერ დაუმტკიცეს მეფობა და წარავლინეს ბითუ-ყეენისა წინაშე ქ˜ესა ჩ˜სლზ, ქართულსა უ˜ნზ.

წარვიდა დავით ყარაყურუმს

გარნა ვითარცა ჰყო დავითსა ზედა რუსუდან, ეგრეთცა მიეგო, რამეთუ ძეცა მისი წარგზავნეს უცხოთა ქუეყანათა, ვითარცა ექსორია-ქმნილი. ხოლო დავით წარვიდა მცირედითა კაცითა კუალსა ავაგისასა და სულტანი ხალათისა, რომელი წარეგზავნათ ნოინთა, და სხუანი მივიდნენ წინაშე ბითუ-ყეენისა. მან პატივით შეიწყნარა და დაიპყრნა ორ წელ წინაშე თჳსსა; მერმე წარგზავნა ყარაყურუმს წინაშე მანგუ-ყეენისა და იგიცა კეთილსა უყოფდა.

ხოლო ოთხთა ამათ ნოინთა ინებეს აღმჴედრება ალმულთელთა ზედა და აუწყეს რუსუდანს, რათა წარუვლინოს ქართველთა ლაშკარნი. არამედ მაშინ რუსუდან განილეოდა ძისა თჳსისა მწუხარებითა, დასნეულდა და მოკუდა ტფილისს ქ˜სა ჩ˜სლზ, ქართულსა უ˜ნზ, ხოლო ვინაჲთგან არღარა ვინ იყო მეფეთა ნათესავი, ერთი დავით იყო დაკარგული და ერთი დავით, რომელი წარგზავნეს თათართა, ყარაყურუმს იყო, ამისთჳს განიყვეს ნოინთა

1-28 სტრ., 208

ოთხად და უწოდეს ბევრის-მთავრად ყოველი ესე ივერია; ეგარსლანს ბაკურციხელსა მიათუალეს ლაშკარნი ჰერ-კახთა ტფილისიდამ შამახიის მთამდე; შანშეს მამული თჳსი და ავაგისა; ვარამ გაგელს ყოველი სომხითი; გრიგოლ სურამელს ქართლი; თორელს გამრეკელს ჯავახეთი; სამცხე კარნუქალაქადმდე ცოტნე დადიანს; ხოლო რაჭის ერისთავსა ყოველი ლიხთ-იმერეთი და წარიტანეს ალმუთს, არამედ იყვნენ ნახევარნი ერთს წელსა და ნახევარნი მეორეს წელსა. ამათ ოთხთა ნოინთა ყოფასა შინა ალმუთს მოიყიდეს კაცი გოლიათი, რათა მოკლას ერთი ნოინთაგანი. ესე შევიდა იდუმალ ჩაღატარ ნოინის კარავსა შინა და განაწონა გულსა ლახუარი და მოკლა; ხოლო მხილველთა დილას მსახურთა მისთა მტყებელმტირალთა თქუეს ქართველთაგან სიკუდილი მისი, რამეთუ არიან ჭირსა დიდსა ლაშკრობითა ამით და ლამოდნენ მოსრვასა ქართველთასა, არამედ სხუანი ნოინნი აყენებდნენ და იგინი არა უსმენ-

დნენ და წარმოემართნენ ქართველთა ზედა; ხოლო ქართველნი განკჳრდნენ და იტყოდიან ვიეთნიმე ომსა და ვიეთნიმე აყენებდნენ. მაშინ გრიგოლ სურამელი იტყოდა: „არა არს, ძმანო, ჟამი ბრძოლისა, რამეთუ ვართ მცირენი; არამედ ვგონებ, ჩუენ მთავარნი მოგვწყჳდონ და არა ყოველნი ერნი; გარნა ვედრება ღვთისა და ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობელისა ჯერ არს“, და უბრძანა ყოველთა სამისა მუჴლისა მოდრეკა სავედრებელითურთ. ხოლო ამის აღმასრულებელთა აღიხილნეს და ნახეს, რომელ ლელწმით გამოვიდოდა კაცი ჴელთ-ლახუროსანი მზახებელი ესრეთ: „მან ქუშტემ ჩაღატარ“, რომელ არს: „მე მოვკალ ჩაღატარ“. ხოლო თათართა განცჳფრებულთა შეიპყრეს და ჰკითხვიდნენ მიზეზსა; ხოლო იგი იტყოდა: „დამალულ ვიყავ ლელწმოვანთა; მოვიდა დედაკაცი ბრწყინვალე და მეტყოდა: „შენით მოსწყდებიან სულნი ეგზომნი; აწვე შემომიდეგ და იტყოდი: „მე მოვკალ ჩაღატარ“. განცჳფრდნენ

თათარნი და მოკლეს იგი.

1-30 სტრ., 209
ხოლო ქართველთა პატივ-სცეს და ესრეთ იჴსნა ღმერთმან და ღვთისმშობელმან ერი თჳსი. გარნა განგრძელდა ლაშკრობა ალმუთელთა შჳდ წელ; არამედ განდიდნაცა ეგარსლან, რომელ კნინღა არა მეფედ სახელ-იდვა, რამეთუ იყო მჴნე, ახოვანი და ჰმორჩილებდნენ მას ყოველნი მთავარნი.

ხოლო ვითარ სცნეს თურქთა უმეფობა და ალმუთს ლაშკრობა ქართველთა, შეკრბნენ ჲ˜ჩ˜ (60.000) კაცნი ყარახანისანი და წარმოვიდნენ მოოჯრებად გიორგიისად და მოვიდნენ ვალაშკერტ-რახსს იქით სურმადმდე, რომელი მაშინ ეპყრა შანშე მანდატურთუხუცესსა. შეკრბა თჳთ და ავაგ ათაბაგისათ ლ˜ჩ˜ მჴედრითა. განვლეს რახსი და მივიდნენ ვალაშკერტს, ეწყუნენ მუნ და იქმნა ბრძოლა ძლიერი; ხოლო ძალითა ჯუარისათა აოტნეს და მოსწყჳდნეს ხალათადმდე; აღიღნეს ალაფნი ურიცხუნი და შემოიქცნენ გამარჯუებულნი.

კუალად აღიძრნენ საბერძნეთით და სხუათა ქალაქთაგან თურქნი რბევად საქართველოსა. მცნობთა შავშთა, კლარჯთა , ტაოელთა, კოლაარტანელთა, კარნიფორელთა, აუწყეს ყუარყუარე ციხისჯუარელსა, რათა შეეწიოს. ხოლო მან მოუწოდა მესხთა და შეკრიბა მჴედარი ϐ (10.000) და წარემართა; და თურქნი მოსდგომოდნენ ბანას, ოლთისსა და აოჴრებდნენ ტაოს. ხოლო ამათის მისლვის მცნობელნი თურქნი აღიჭურნენ და ეწყუნენ ავნისის ვაკესა ზედა. მოსცა ღმერთმან ძლევა ივერიელთა და წარიქცივნეს, მოსწყჳდნეს

და აღიღნეს ალაფნი ურიცხუნი. ხოლო ყუარყუარემ წარავლინა პაპა და ძმა მისი სარგის : ამათ აღიღეს ოლთისი, ბულათ-ყური და მოვიდნენ გამარჯუებულნი.

ამათ ჭირთა შინა მყოფნი შეკრბნენ წარჩინებულნი ამის სამეფოსანი კოხტის-თავს და იურვოდნენ უმეფობასა და ჭირთა ესრეთ-თათჳს ; გარნა დაასკუნეს განდგომა თათართა და წარვიდნენ ამა პირსა ზედა იმერნი კაზმად, ხოლო ამერნი უცდიდნენ მუნვე. ესე სცნეს თათართა ბიჩუს და ანგუგ, მოუჴდნენ კოხტის-თავს მდგომთა,

1-28 სტრ., 210
შეიპყრნეს ყოველნი წარჩინებულნი და წარიყვანეს ანისს შირაკუანს და მიიყვანეს ქარმაღანის წინაშე; ხოლო მან მჴარდაკრულთა განშიშულებულთა წარსცხო თაფლი და განსხნა მზის სიცხესა შინა.

ხოლო ცოტნე დადიანი რა მოვიდა კოხტას პაემანსა ზედა, არღარავინ იხილა და სცნა ყოველი ყოფილი. მაშინ წარვიდა თჳთცა ანისს, მისრულმან იხილნა ქართველნი ეგრეთ მყოფნი, მანცა განიძარცვა შესამოსელი თჳსი, შეისუა თაფლი შიშუელმან და დაჯდა მათთანა. ხოლო დარაჯათა თათართა აცნობეს ესე ნოინთა; ამისნი მსმენნი იგინი განკჳრდნენ და მოუწოდეს ცოტნეს და ჰკითხვიდნენ ყოფილსა. გარნა იგი ეტყოდა: „არა თქუენისა განდგომისათჳს ვჰყავით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკნი“. და ვინაჲთგან სხუათაცა იგივე ეთქუათ, განუტევეს პატივით და აქეს სიკეთე მათი და უმეტეს სანდოდ აღუჩნდათ.

ლაშას ძის დავითის ძიება

არამედ მაშინ სირცხჳლ უჩნდათ დიდებულთა ეგარსლანის მთავრობა და შეკრბნენ, თჳნიერ იმერთა, ამის სამეფოსა წარჩინებულნი ყოველნი და ძიება ჰყვეს ლაშას ძის დავითისა: რამეთუ სცნეს ვაჭართაგან, რომელ ცოცხალი გუელთა თანა არს მღჳმესა შინა. ესე ყოველნი ამისთჳს მივიდნენ ნოინთა თანა და აუწყეს ურთიერთთა უმორჩილობა უმეფობით და ნარინ-დავითისა არღარა მოქცევა და ლაშას ძის დავითის სიცოცხლე და გამოითხოვეს იგი მეფედ. ამისნი მსმენელნი თათარნი განკჳრდნენ ყოფილსა რუსუდანისასა და წარგზავნეს ანგურგ და წარატანეს ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი მოსწრაფედ და მიუწერეს სულტანსა და აუწყეს დავითის მოცემა და მსწრაფლ წარმოვლინება. ხოლო მისრულთა უთხრეს რა სულტანსა, არღარა მგონებელ იყო სიცოცხლისა და უარ-ჰყოფდა; არამედ ესენი ეტყოდნენ სიცოცხლესა, რამეთუ მას ჟამსა მოსრულ იყო მონა დავითისა სოსანა, რომელი მიართმიდა

1-28 სტრ., 211
პურსა და წყალსა და ეთქუა სიცოცხლე. ნება-სცა სულტანმან და აღმოიყვანეს დავით გუელთა თანა მყოფი კნინღა სულიერი ხუთსა წელსა; განუსუენეს, განბანეს და შემოსეს სამოსელი სამეფო ქ˜ესა ჩ˜სმ, ქართულსა უ˜ჲ. მაშინ უძღუნა სულტანმან ურიცხჳ და ევედრა არღარა მოჴსენებად მის ზედა ძჳრი. მუნით მოსრულსა მიეგებნენ სრულიად დიდებულნი საქართველოსანი საზღვართა ქართლისათა. მივიდა ნოინთა თანა დავით და მათ კეთილად შეიწყნარეს და პატივ-სცეს; არამედ მეფობა ვერცა ამას დაუმტკიცეს და წარგზავნეს ესეცა წინაშე ბითუსა, და წარჰყვნენ წარჩინებულნი თჳსნი. მისრულსა ბითუს წინაშე მანცა პატივ-სცა ფრიად, გარნა მეფობა ვერცა ამან დაუმტკიცა და წარავლინა მანგუ-ყეენისა წინაშე. მანცა პატივით შეიწყნარა და მუნ დახუდა დავით ძე რუსუდანისა და იყოფებოდნენ მუნ ჟამადმდე.

ხოლო კუალად ნოინთა ამათ მოუწოდეს სულტანსა ყიასდინს; ვერ ურჩ-ექმნა და წარგზავნეს ესეცა ყარაყურუმს, რამეთუ ყოველთა მუნ წარავლენდიან და ბითუ-ყეენი წარავლენდა მანგუ-ყეენისა წინაშე. არამედ მეფენი დაშთნენ ჯერეთ. მაშინ მანგუ-ყეენმან წარავლინნა ძენი თჳსნი: ერთი ინდოეთს სახელით ყუბულ და მეორე ბაღდადს სახელით ულუ. ამან ულუმ გამოვლო ჯეონ, ხუარასანი და მოვიდა ალმუთს. მაშინ მოკუდა მანგუ-ყეენი და დასუეს ძე მისი ყუბულ ყეენად; ხოლო ულუ მოვიდა ადრაბაგანს სპითა ჲ˜ჩ˜ (600.000). მიეგებნენ ოთხნივე ესე ნოინნი და წარჩინებულნი საქართველოსანი; ხოლო ივერიელთა პატივ-სცა ყეენმან უგვანითა პატივითა, ვიეთთა მემაშიობა, ზოგთა მშჳლდის-მტჳრთველობა და ესრეთითა ყოველთა. მერმე მოვიდა აღტაშს და დაჯდა ტახტსა ზედა, და დალოცეს ყოველთა მორჩილთა მისთა: რამეთუ პირველ ოთხნი იგი ნოინნი განაგებდნენ საბერძნეთიდამ ინდოეთადმდე; არამედ აწ ულუ-ყეენობით თჳთ განაგებდა.

1-29 სტრ., 212
ჟამსა ამას არავის მიერ იცვებოდა ეკლესიანი. იზრახა კათალიკოზმან ნიკოლაოზ და წარვიდა წინაშე ყეენისა დაცვისათჳს ეკლესიისა. მისრული ულუ-ყეენმან კეთილად შეიწყნარა, მოსცა იერლაყი და ჯუარი და არგანი ოქროსანი; არამედ განკჳრდა ქცევასა მისსა ზედა და წარმოავლინა შეწყალებული.

ხოლო მეფენი იყვნენ ყუვულ-ყეენისა წინაშე და აქუნდათ ცილობა მეფობისათჳს და დავითისნი იტყოდნენ: „არა ჯერ არს, რათა ეპყრას ძესა დედაკაცისასა მეფობა და არა თჳთმპყრობელისა

მეფისა ძესა“. ხოლო ნარინ დავითისნი იტყოდნენ: „თუცა იყო დე-
დაკაცი, გარნა იყო რუსუდანცა მეფე და ძე მეფისავე არს ნარინ-
დავით; ამით ჯერ არს მეფობა მისი“.

და რა განგრძელდა მათ შორის სიტყუა, წარმოავლინეს ავაგ
ათაბაგი და მოსცეს ცოლად ნათესავი მეფეთა სახელით ესლომ დი-
დითა დიდებითა და მოვიდა წინაშე ულუ-ყეენისა. ამანცა პატივით
წარმოავლინა მამულსა თჳსსა. მიეგებნენ ქართველნი; არამედ ეგარ-
სლან არა გარდაჴდა ცხენიდამ, ვინაჲთგან ფრიად განდიდებულ იყო.
განრისხნა ავაგ და უხეთქა თავსა მათრაჴითა ეგარსლანს, გარდა-
მოაგდო ცხენიდამ და განსძარცვეს მსახურთა ავაგისთა და გან-
კიცხეს უპატიოდ და იქმნა საცინელ მიერითგან.

ხოლო ყეენმან სულტანი ხალათისა და ყიასდინცა წარმოავ-
ლინა და მეფენი დაშთნენ მუნვე. არამედ შემდგომად ინება ყუბულ-
ყეენმან და წარმოგზავნნა ორნივე მეფენი ძმისა თჳსისა თანა ულუ-
ყეენისა და მოუმცნო რომლისათჳსცა ენებოს მისცეს მეფობა, ანუ
ორთავე მისცეს, და მოიწივნენ წინაშე ულუ-ყეენისა. მან ფრიად
პატივ-სცა და მისცა ორთავე მეფობა და წარმოგზავნნა ქართლს.
მაშინ მიეგებნენ ყოველნი წარჩინებულნი ივერიისანი, შემოვიდნენ
ტფილისს მეტეხს ეკლესიასა შინა და დასხდნენ საყდართა ზედა ორ-
ნივე ქ˜სა ჩ˜სმდ, ქართულსა უ˜ჲდ და იკურთხნენ მუნვე ტფილისს
მეფედ.

1-29 სტრ., 213
ჲ˜ე მეფენი დავით და დავით

ხ˜ ლაშას ძემ მეფა წელი კ˜ე,

ნარინ დავით მეფა მ˜თ წელი

ხოლო მეფობდნენ ესე ორნი დავითნი სრულსა სიყუარულ-
სა ზედა, და ნიჭსა თუ სიგელსა ორისავე ჴელმოწერითა მისცემდნენ,
არამედ აქუნდა უპირველესი პატივი დავითს ლაშას ძეობისათჳს და
ჟამითაცა უხუცესი იყო. ხოლო იყო ლაშას ძე ტანითა დიდ და ახო-
ვან, მჴნე მოისარი მაგრითა მშჳლდითა, უმანკო, წრფელი, მალე
მრწმუნებელი და შემდობელი. ხოლო ძე რუსუდანისა იყო ტანითა
ზომიერ, თხელ ფერითა, ენა-ტკბილ უხჳ, მდაბალი, ცხენსა ზედა
მჴნე, ფერჴ-მალე და განმგონე.

არამედ რა განგრძელდა ლაშკრობა ალმუთელთა, წარავლინა
ული-ყეენმან ლაშკარნი და ლაშას ძე დავით მათ თანა; ხოლო მცნო-

ბელნი ამისნი ალმუთელნი დედაწულითა და ხუასტაგითა წარვიდ-
ნენ ეგჯპტეს და ულუ-ყეენმან ჴელთ-იგდო ყოველი ხუარასანი,
აღმჴედრდა თჳთ და სადაცა მივიდეს, ესრეთ მოსრვიდიან ურჩთა,
რამეთუ ი~ბ დღესა ერთსა ადგილსა ვერ დადგის მძორთა სიმყრა-
ლითა, არამედ უმეტეს სპარსთა სრვიდიან, რამეთუ საძაგლად უჩნ-
დისთ სჯული მაჰმადისა. გარნა მარადის იყვნიან დავით და ნარინ
დავით მეფენი წინაშე ულუ-ყეენისა; ხოლო ულუ-ყეენი ლაშას ძის
მოყვარული იყო და რუსუდანის ძისა მოძულე. ხოლო იყვნენ რა
აღტაშს, შეიპყრა ულუ-ყეენმან ნარინ-დავით და წარგზავნა ბარ-
დავს. არამედ მიიწია რა ნახჭევანს, წარივლტოდა დავით აფხაზეთს.
მაშინ ლაშას ძე დავით იყო ტფილისს. მიიწია ნარინ-დავით ქუეყა-
ნასა ავაგისასა და წარიყვანა სუმბატ ორბელიანმან სახიდ თჳსად.
ევედრა მას დავით, რათა არა განსცეს და მისცა თუალიცა იგი სახე-
ლოვანი; მერმე წარავლინა აფხაზეთს და მივიდა ლიპარიტ თორე-
ლისა თანა. ლიპარიტმან უძღუნა ცხენი და შესამოსელი და წარიყ-
ვანა ქუთათისს და ამის მისვლისათჳს განიხარეს იმერთა ფრიად; შე-

1-26 სტრ., 214
მოკრბნენ ყოველნი და აკურთხეს მეფედ. და მიერითგან განიყო1 გიორგია ორ
სამეფოდ, ვინაჲთგან ამერნი დაშთნეს ლაშას ძეს და
იმერნი ნარინ დავითს და იწოდა მეფედ იმერთა და არღარა აფხაზთა
ქ~სა ჩ~სმვ, ქართულსა უ~ჲვ.

ამათ ჟამთა ყეენმან ბითუ, რომელსა ეპყრა ხატაეთი დარუ-
ბანდამდე და რუსეთი ვიდრე სერბადმდე, მიუწოდა ლაშას ძეს და-
ვითს წინაშე თჳსსა. ხოლო დავით წარვიდა და დაუტევა ჯიგრა-ხა-
თუნ დედოფალი და განმგედ ჯიქური. ესე ჯიქური იყო კაცი კეთი-
ლი, რამეთუ ჟამსა ამისსა არა იპოებოდა მპარავი და ავაზაკი. კუა-
ლად შევედრნა ადგილნი ქუეყანათა თჳს-თჳსად მთავართა, რათა
მსახურებდნენ დედოფალსა და მორჩილებდნენ ჯიქურსა.

ხოლო იყო რა მეფე ბითუს წინაშე, ჰგონა პანკისის ერისთავ-
მან თორღულმან არღარა მოსლვა მეფისა, განდგა და არღარა მორ-
ჩილებდა ჯიქურსა. ხოლო ოდეს შეიწყალა ყეენმან დავით მეფე,
მოსცა სურგუჯი, რომელ არს მაჩრდილებელი, რომელსა თჳნიერ
ყეენთაგანი ვერვინ იქონებდა, და მოუმცნო ულუ-ყეენს, რათა პა-
ტივ-სცეს დავითს უმეტეს ყოველთა ნოინთა. მოსრულსა მეფესა
დავითს მიეგებნენ ყოველნი წარჩინებულნი (არამედ თორღული არა
შიშისათჳს) და შემოვიდა დავით ტფილისს ქ~სა ჩ~სმზ, ქართულ-
სა უ~ჲზ.

ხოლო სცნა რა მეფემან, მრავალგზის მოუწოდა თორღულსა;

არამედ მან არა ინება გამოსლვა. ამისთჳს ჯიქურმან წარავლინა ხორნაბუჯელი; ამან წინაშე ალავერდის წმიდის გიორგისა აღუთქუა ფიცით და მოიყვანა ტაბაჯმელას წინაშე მეფისა; არამედ ჯიქურმან განზრახჳთა დედოფლისათა, თჳნიერ მეფისა, შეურაცხ ჰყო ფიცი, წარგზავნეს თორღული და გარდააგდეს კლდეკარსა ზედა.

1-27 სტრ., 215
იხილე, რამეთუ ხორნაბუჯელი ერთს წელს მოსწყდა ორითა ძითა შურის-გებითა წმიდისა გიორგისითა; ხოლო მეფემან განაგნა ყოველნი დაშლილნი და წარვიდა წინაშე ულუ-ყეენისა ძღუნითა დიდითა. მან პატივით შეიწყნარა და დაადგინა ზემოთ ყოველთა ნოინთა.

ჟამსა ამას ამჴედრდა ულუ-ყეენი ბაბილოვნის ხალიფასა ზედა; ხოლო ხალიფა ვერ წინააღმდგომი შევიდა ქალაქსა და მოადგა ქალაქს ერთ-კერძ ულუ-ყეენი, ერთ-კერძ ენგინ ნოინი, ერთ-კერძ დავით მეფე სპითა გიორგიისათა. მაშინ დავით უბრძანა სპათა თჳსთა შეთხრად ზღუდისა. ეგრეთ ჰყვეს ქართველთა და შევიდნენ მეათორმეტესა დღესა, მოსრნეს შინაგანნი და განახუნეს კარნი და მერმე შევიდნენ თათარნი; არამედ ხალიფა ივლტოდა ნავით და რა სცნა ვერ-წასლვა თჳსი, შემოიქცა კუალად პალატადვე თჳსად; ხოლო თათართა მოსრნეს დიდი იგი ქალაქი, რამეთუ ფოლორცნი და გზანი სავსენი იყვნენ მკუდრითა; გამოიყვანეს ხალიფაცა დედაწულითურთ და მოიყვანეს თაყვანისცემად ყეენისა; არამედ მან არა ინება და რაოდენ დახრიდიან, იგი გულაღმა დაეცის მეტყუელი: „უკეთუ განმიტევებს თაყვანის-ვსცემ, და უკეთუ არა, არა“. განიყვანეს გარე და ეტყოდნენ: „შეგიწყალა ყეენმან“. და იგი ჰკითხვიდა ვითარ და ეტყოდნენ: „შენ მოგკლავს თჳთ ყეენი და ძესა შენსა ძე მისი“. მან მიუგო: „უკეთუ მომკლავს, გინა მან, გინა ძაღლმან მომკლას“. შემდგომად მოსწყჳდნის იგინიცა და მოქალაქენიცა და აღივსნენ თათარნი და ქართველნი ალაფითა, რამეთუ თჳნიერ ოქროთა და ვეცხლთა და თუალთა პატიოსანთაგან კიდე არა რასა აღიღებდნენ. მერმე ნეშტი ბაბილოვნისა სრვისაგან დააყენეს და დააცადეს და დაადგინნეს თჳსნი, და წარმოვიდა ყეენი ულუ. ხოლო მეფე ნებითა ყეენისათა მოვიდა ტფილისს ქ˜სა ჩ˜სმჱ, ქართულსა უ˜ჲჱ.

ამასვე წელსა მოვიდა აღმწერელი ქუეყანისა არღუნ, რომელი

1-27 სტრ., 216
წარმოევლინა ბითუს ყეენსა. ამან აღწერა ყოველი საბრძანებელი ყეენისა და მოიწია ულუ-ყეენის წინაშე. მან წარმოგზავნა ქართლს აღწერად ყოვლისავე. მოსრულმან არღუნ აღწერა მიწით, ვენახით, ხუასტანგით, მტილით, წალკოტით და წისქვილით; ხოლო ათსა კუ-

ამლს გლეხზედ მეათე მოლაშკრედ წამსლველი და გამოჴდა დავი-
თის სამეფოსაგან უ˜ჩ˜ წარმსლველი ლაშკარსა შინა, არამედ იქმნა
ჭირი დიდი საქართველოსა შინა, გარნა სამღუდელოთა არარაჲ და-
დვა და არცა სხუათა ვის რჯულის თავთა და წარვიდა საბერძნეთს.

შემდგომად ამისა წარვიდა ყეენიმისრეთს და წარიტანა დავით
მეფე სპითა თჳსითა. მისრულთა უწყეს შუამდინარეს ოჯრება და
შამს; არამედ მოეგება სულტანი ეგჳპტისა მდინარესა ზედა ევ-
ფრატსა; ხოლო თათართა განვლეს ევფრატი და წინამბრძოლნი
იყვნენ მეფე ქართველით. შეიბნენ და მოსრნეს ურიცხუნი და ივლ-
ტოდნენ მეგჳპტელნი, გარნა ულუ-ყეენი დაადგრა მუნვე, სადაცა იყო
ქალაქი მცირე, უკან კლდითა და წინ მდინარითა მომტკიცებული,
და ვითარ უღონო იქმნა ბრძოლად ყეენი, ბრძანა დილისად აღმჴედ-
რება ყოველთა სპათა და გარ-მოდგომად ქალაქისა და ყმუილი
ძაღლთაებრ. ხოლო ყვეს რა ეგრეთ, განსქდა კლდე იგი და ნახევარი
ქალაქი შერთო წყალსა მას და ნეშტსა შეუჴდნენ თათარნი, მოსრ-
ნეს ურჩნი და დაიპყრნეს. მერმე წარმოვიდა ყეენი შამს და შუამდი-
ნარეს; მოეგებნენ სრულიად ძღუნითა დიდითა. მაშინ დავით ევედ-
რა ყეენსა, რათა განუტეოს სამეფოსა თჳსსა. ნება ჰსცა ყეენმან და
მოვიდა სპითა თჳსითა დიდითა შოებულებითა ტფილისს ქ˜სა ჩ˜სმთ,
ქართულსა უ˜ჲთ.

ხოლო მწუხარე იყვნენ ყოველნი წარჩინებულნი, რამეთუ
ჯიგრა-ხათუნ არა უშვა შვილი მეფესა. ამისთჳს მეფემან მოიყვანა
ოვსთა მეფის ქალი კეთილ-სახოვანი, აღმთქმელმან ოდეს უშვას ძე,

არღარა თანა-ეყოს და შემდგომადქორწილისა ოვსთა მეფის ქალ-
მან ალთუნ შვა ძე გიორგი ქ˜სა ჩ˜სნ, ქართულსა უ˜ო.

ესე გიორგი შეიყვანა ჯიგრა-ხათუნ შვილად თჳსად და ზრდიდა
იგი. კუალად ეშვა ალთუნ მეფესა ასული თამარ და მიერთგან განე-
შორა ალთუნს მეფე; შემდგომად მოკუდა დედოფალი ჯიგრა-ხათუნ.
მერმე წარვიდა მეფე წინაშე ყეენისა და დაჰყო მუნ ხანი რაოდენიმე;
მერმე უბრძანა ყეენმან მეფესა მზა-ყოფად სპათა მისრთა ზედა. წარ-
მოვიდა მეფე და მოვიდა სახლსა ავაგ ათაბაგისსა, რამეთუ მომკუ-
დარ იყო ავაგ და არა დაუშთა წული, არამედ ასული ხუაშაგ. ხო-
ლო მტირალმან მეფემან ავაგისამან იხილა ცოლი ავაგისა გუანცა
და ეტრფიალა მას; შემდგომად მოიყვანა და იქორწილა; ხოლო ქა-
ლი ავაგისა შევედრა მანკაბერს სადუნსა და სახლიცა ავაგისა. ხო-
ლო მეფე მიუდგა გუანცას და უშვა ძე დიმიტრი ქ˜სა ჩ˜სნვ, ქარ-
თულსა უ˜ოვ. არამედ გუანცას დედოფლობა მძიმედ უჩნდა ჯიქურ-

სა; ამისთჳს შესმენილ იქმნა წინაშე მეფისა განზრახჳთა სუმბატ ორბელიანისათა. გარნა ვინაჲთგან დავით წრფელი იყო, არღარა გამოიკითხა და გარდააგდო ჯიქური ისნიდამ მტკუარსა შინა. დილასა იხილეს მდებარე რიყესა ზედა და განჰკჳრდნენ ერნი და მოითხოვეს გლახაკთა დაფლვად, რამეთუ არავინ ჰყვა თჳნიერ მათთა და მათდა მას მრავალნი კეთილნი ექმნნეს. მიანიჭა მეფემან და დაფლეს გლახაკთა.

ხოლო ინება რა ულუ-ყეენმან ლაშკრობა მისრეთს, და მოუწერა დავით მეფესა. არამედ ვინაჲთგან იყო ჭირი დიდი ლაშკრობითა და ხარკითა, რომელი დაედვა არღუნს და კუალად დაედგინა ხოჯა აზიზ, რომელი სამზარეულოსაცა ზედა მეფისასა აღიღებდა ხარკსა. ამისთჳს შეიწრებული მეფე მოვიდა ჯავახეთს და განიზრახა უკუ-

დგომა ყეენისა, ანუ-თუ წარვიდეს. ხოლო დიდებულთა ვიეთთამე განუზრახეს წარსლვა და ზოგთა განდგომა. არამედ მეფემან ნებასცა დიდებულთა, რომელთაცა ნებავთ, წარვიდნენ წინაშე ყეენისა და რომელთა სთნავთ, მისთანა დაადგრენ.

უკ-მოიქცა მეფე და მოვიდა სარგის ჯაყელისა ციხისჯუარელისა თანა; ხოლო სხუანი ქართველნი წარვიდნენ წინაშე ყეენისა და იმყოფებოდე მეფე სამცხეს და მასპინძლობდა ყოვლითურთ სარგის. შემდგომად მოვიდა გაზაფხულს ყეენი გამარჯუებული თჳსად მისრეთიდამ, სადა მჴნედ იყვნენ მუნ მყოფნი ქართველნი. მაშინ იკითხა ყეენმან საქმე დავით მეფისა და სცნა განდგომილება: წარმოავლინა არღუნ კ˜ჩ˜(20.000) მჴედრითა და ქართველნიცა მუნ მყოფნი მის თანა. ხოლო მეფემან შეკრიბნა მესხნი, შავშ-კლარჯნი ჯ˜ (8.000) მჴედარნი, წარმოავლინნა და დადგნენ ჴევსა შინა მტკურისასა. მაშინ არღუნ წარმოავლინა ვ˜ჩ˜ (600.000) მჴედარნი, ეწყუნენ მესხნი, აქედამ ფ˜(500) მჴედარნი შოლის პირსა ზედა; აოტეს მესხთა თათარნი, მოსრნეს და ნეშტნი შეიხუეწნენ შინდარას არღუნის სპათა შინა.

მცნობელმან სარგის წარისწრაფა და ესე იხილა რა არღუნ, განემზადა სივლტოლად; არამედ აყენებდნენ ქართველნი, მასთან მყოფნი, მეტყუელნი: „ჩუენ უწყით ბრძოლა მათი“. მოიქცნენ და ყვეს ბრძოლა. გარნა კუალად ივლტოდნენ თათარნი, არამედ სიმცირით სულმოკლე იქმნენ მესხნი; ხოლო თათარნა ჩუეულებისაებრ მათთა უკ-მოიქცნენ და მოსრნეს მესხნი და სარგის მცირედითა სპითა მოვიდა წინაშე მეფისა და არღუნ წარვიდა გამარჯუებული მკსინვარებისაგან ზამთრისა, რამეთუ იყო დეკემბერი. მერმე წარვიდა მე-

ფე შავშეთ-კლარჯეთად და იყოფებოდა მუნ. კუალად მოვიდა არ-
ღუნ ივნისსა შინა, მოაოჯრა სამცხე და მოადგა ციხისჯუარს და ავ-
ნებდნენ ციხით გამო დიდსა თათართა, გარნა ვერ შემუსრეს, არამედ
ესწრათ ამბავიცა ყეენისა, უკუნ-იქცნენ და წარვიდნენ და დაიჴსნა
ღმერთმან მესხნი ოჯრებისაგან.

1-25 სტრ., 219
ხოლო აწ განაზრახა მეფესა სარგის ჯაყელმან ესრეთ: „ვი-
ნაჲთგან ორთავე არს სამეფო იმერეთისა, რათა მივიდეს მუნ“. ხო-
ლო მისრული მუნ დავით მეფე ისტუმრა ნარინ-დავით კეთილად.
არამედ თუცა დიდებით იყო მუნ დავით მეფე, გარნა ვითარცა უცხო
ვიდოდა, ამისთჳს განიყვნენ დიდებულნი იმერნი და ინებეს ზოგთა
დავით მეფედ და ზოგთა ნარინ დავით და იყო შლილობა ჟამ რაო-
დენმე, და არცა განიყოფებოდა საჭურჭლე სპათა ზედა. არამედ ბე-
დიელი დაადგრა ერთგულობასა ზედა ნარინ-დავითისასა. რომელი
იყო კაცი კეთილი, რამეთუ ამის ჟამს არა იპოებოდა მპარავ-ავაზაკი
ოდიშს. ამისთჳს განიყვეს მეფეთა ქუეყანანი და ქალაქნი ქუთა-
თისი და ტფილისი ორად, სამეფო ორად; საჭურჭლე ორად; არამედ
ჴომლის ქუაბსა შინა რაჲცა იყო, მცირედი განყვეს და სხუა დაუტე-
ვეს მუნვე. ხოლო ჯაჭჳ სალამაზო და თუალი იგი პატიოსანი და
მარგალიტი უსასყიდლო დაშთა ნარინ-დავითს და იქმნა ესრეთ ორ
სამეფოდ ქ˜ესა ჩ˜სნთ, ქართულსა უ˜ოთ და დაშთნენ ამერნი უმე-
ფოდ.

მოიშალა ლაშკრობა და მსახურება თათართა.ამისთჳს ინება ზავი მეფისა ყეენმან,
რამეთუ დედოფალი გუანცა ძით თჳსით დი-
მიტრით იყო ურდოსა შინა ტყუედ წარყვანილი და ნოინის ცოლს
აღეყვანა დიმიტრი ყრმა წიაღსა თჳსსა. მყის განჴმოდა საშოჲ, მიდ-
გომილსა ეშვა წული; არამედ ვინაჲთგან იყო დედაკაცი იგი უშვი-
ლო და შვილიერ იქმნა, ამისთჳს პატივსა უყოფდა გუანცას და დი-
მიტრის ფრიადსა და უბრძანა ყეენმან ნოინსა ამას, რათა წარავლი-
ნოს ზავისა პირი მეფისა თანა და წარმოვლინებული მოვიდა წინა-
შე მეფისა. ხოლო მეფემან მიუმცნო: „მიზეზი წარმოსლვისა ჩემი-
სა იყო ხოჯა აზიზ; აწ უკეთუ მომცეთ იგი, წარმოვგზავნო წინა-

1-31 სტრ., 220
შე ყეენისა ძე ჩემი გიორგი და იგი ყოს ყეენმან მეფედ, არამედ მო-
მეცით გუანცა და დიმიტრიცა ძე ჩემი“. მსმენელმან ყეენმან დაუმ-
ტკიცა ფიცით: „უკეთუ მოვიდეს მეფე, მივსცე ხოჯა აზიზ“. და ჰყო
შუამდგომელად ყეენმან ენუქარქუნ, რომელი იყო კაცი კეთილი და
ქრისტეანე. ესე მოვიდა მეფისა თანა და აღუთქუა ფიცით და წა-
რიყვანა ძე მეფისა გიორგი. მისრულსა ტფილისს მოეგებნენ ყოველ-

ნი წარჩინებულნი ამერეთისანი და ბადინ, რომელსა არღუნ შეჰვედრა ტფილისი და კნინღა მეფობა. ამან უძღუნა გიორგის ურიცხუნი, მერმე მივიდნენ ურდოსა ტუნღულ-ხათუნისა თანა რომელი იყო ასული კეისრისა. ამან შეიყუარა და პატივ-სცა გიორგის. შემდგომად შეიყვანა წინაშე ყეენისა. ხოლო ყეენმანცა პატივ-სცა და მისცა მეფობა და წარმოავლინა კუალად, რათა მოვიდეს მეფეცა; არამედ მეფე მიზეზ-ჰყოფდა ხოჯა აზიზს; ამისთჳს განყრა ყეენი განზრახჳთა არღუნისათა, რამეთუ მას მძიმედ უჩნდა მიცემა ხოჯა აზიზისა, და ბრძანა მოკლვა გიორგისა. ამისი მცნობი ენუქარქუნ მსწრაფლ შევიდა ტონღულ-ხათუნისა თანა და აუწყა ესე; ხოლო იგი მყის წარდგა წინაშე ყეენისა მეტყუელი: „რაჲ არს, დიდო ყეენო, რამეთუ სტეხ ფიცსა ერთისა სპარსისათჳს და აღსძრავ შფოთსა? არა უწყია, რამეთუ წინასწარმეტყუელთა, რომელთა ღმერთი ეზრახოდა, ნათესავნი არიან ბაგრატიონნი და აწ სიკუდილი გიბრძანებიეს? უწყოდე, რამეთუ დიდის ბათოს დესპანი წინაშე დავით მეფისა თანა არს და სთხოვს გზასა დარიელასსა და უკეთუ ჰყოს ესე მეფემან, აღდგების შფოთი დიდი“.

მაშინ ყეენმან მოიყვანა გიორგი, მისცა მეფობა და მისცა ტონღულ-ხათუნს მეტყუელმან: „წარავლინე გიორგი, დიმიტრი და გუანცა და მოიყვანეთ დავით მეფე და მიეცით ხოჯა აზიზცა და დაარწმუნეთ ფიცით უვნებელობა მეფესა“. მაშინ ენუქარქუნ წარმოიყვანა ორნი ძენი მეფისანი და მოვიდა ქჳშხეთის ბოლოს, მოართუა მეფესა დავითს ძენი თჳსნი და ხოჯა აზიზცა, და წამსვე მეფემან მოჰკუეთა ხოჯა აზიზს თავი და წარგზავნა ტფილისს და მუნ მოჰკიდეს ძელსა ზედა. ხოლო მეფე წარჰყვა ენუქარქუნს და მო-

1-29 სტრ., 221
ეგებნენ დიდებულნი თჳსნი ყოველნი. არამედ სარგის ჯაყელისა ებრძანა ყეენსა მიუნდობელობა; ხოლო სარგის იტყოდა: „უკეთუ ევნოს რაჲმე მეფესა, ბრალ ჩემდა იქმნეს“ და თქუა: „რამეთუ სარგის ყო განდგომა, აწ მევნოს მის თანა და დავრჩე მის თანა“. და წარჰყვა მეფესა. მადლიერ იქმნა მეფე და მიუბოძა ქუაბლოვანი და ტბეთის ეკლესია. მერმე მივიდნენ ბარდას წინაშე ყეენისა: მისრულსა მეფესა ყეენმან მისცა თასი სავსე ღჳნითა (რამეთუ წესი იყო მათი) და ჰკითხვიდა მიზეზსა განდგომილებისასა, არამედ ვინაჲთგან იყო მეფე ენა-ბრგუნილ, მიჰხედა სარგისს; ხოლო სარგის უშიშრად წარმოდგა და მოაჴსენებდა მიზეზსა განდგომისასა; ხოლო ყეენმან ჰკითხა: „შენ ხარა პაპა სარგის?“ და მან ჰრქუა: „მე ვარ, დიდო ყეენო“.

და ვითარ ჰზრახჳდნენ, და არა უწყოდნენ, თუ რაჲ ეყოფისთ.

გარნა იჴსნა ღმერთმან ერი თჳსი, რამეთუ შემოვიდა მალემსრბოლი მეტყუელი: „არა ჟამი არს ზრახჳსა, რამეთუ გამოვიდა ულუსი დიდი და მოვალს ყენი ბერქა დარუბანდის გზასა“. მსმენელი ულუყენი მსწრაფლ შემკრებელი სპათა თჳსთა წარვიდა და თანა-წარიტანა მეფე დავით ქართველებითურთ; ხოლო მეფე ვედრებითავე წინამბრძოლ იქმნა. არამედ სარგის დაადგინა ყენმან წინაშე თჳსსა და განაწყუეს რა რაზმი და მიმართეს, მაშინ რაზმსა მას შინაწარხლტა კურდღელი; შეჭურვილმან მოკლა სარგის; კუალად წარხლტა მელი, მოკლა იგიცა სარგის; მერმე წარხლტა შუელი, მოკლა სარგისვე. ამას ზედა გაჰკჳრდა ყენი და შეიყუარა ფრიად სარგის. ხოლო ეახლნენ რა რაზმნი ურთიერთს, გამოვიდა მუნიდამ კაცი საშინელი დიდი, რომლისაგან შეშინდნენ სპანი მეფისანი; ხოლო მეფემან განიყენა ცხენი, სტყორცა ისარი კაცსა მას, ჰკრა ცხენსა მისსა მკერდსა და დაეცა ცხენი. მხილველთა ქართველთა შეუტიეს და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ უამრავნი ორგნითვე. ხოლო სადაცა იბრძოდა სარგის ძლიერად წინაშე ყენისა, შემდგომად

1-29 სტრ., 222
ივლტოდნენ სპანი ბერქასნი და დევნასა შინა იყო ყენი ოთხითა კაცითა ოდენ.
მოუჴდნენ შჳდნი შეჭურვილნი მტერთანი ულუყენსა; მიეტევა სარგის სამითა მონითა, ოთხნი მოაკუდინა და სამნი გარდაეხუეწნენ. ამას სჭვრეტდა თჳთ ყენი.

ხოლო მლტოლვარეთა ბერქას სპათა დევნა უყვეს სამ დღე და განვლეს დარუბანდი და მოსწყჳდნეს უამრავნი. შემდგომად შემოიქცნენ და მოვიდნენ ბარდას. ამისთჳს ყენმან მეფესა და სპათა მისთა პატივს-სცა დიდად და ანიჭნა, ხოლო სარგის მისცა კარნი-ქალაქი გარემოთი. ამას შეიშურებდნენ სხუანი და ეტყოდნენ მეფესა: „არღარა იქმნების მორჩილ შენდა სარგის“. ირწმუნა მეფემან, ვინაჲთგან მარტივი იყო და ეტყოდა ენგინ ნოინს: „უკეთუ მისცეს ყენმან სარგისს კარნი, მისცეს მეფობაცა“. განკჳრდა ენგინ ნოინი და ეტყოდა: „მსახურებისა შენისათჳს მისცა და, უკეთუ გნებავს, არღარა მისცემს“, მოჴსენებულმან ყენმან არღარა მიანიჭა სარგისს კარნუ. ხოლო რა იუწყა სარგის ესე, გულკლებულ იქმნა მეფისაგან. შემდგომად წარმოვიდა მეფე სპითა თჳსითა და მოვიდა სახიდ თჳსად.

ჟამსა ამას განდგა ყენისაგან შანშეს ძე ზაქარია და წარვიდა ნარინ დავითის წინაშე; მერმე მოინდო ზაქარია და მოკლა ზაქარია. შემდგომად მოკუდა შანშეცა მწუხარებითა და გუანცა დედოფალიცა მოკუდა თათართა შინა თჳსისა ასულის ხუაშაქის მიერ მოწამლ-

ვითა. ხოლო მეფემან იქორწინა დიდის ნოინის ჭორმაღის ასულსა ესუქანსა ზედა ტფილისს დიდებითა დიდითა ქ~ესა ჩ~სჲგ, ქართულსა უ~პგ.

ამას ჟამსა გარდამოვიდნენ ბერქასაგან ლტოლვილი დედაკაცი საკჳრველი და მოვიდა დავითის წინაშე; ხოლო მეფემან პატივით შეიწყნარა და წარავლინა ულუს ყეენის წინაშე; მანცა პატივ-სცა და კუალად წარმოავლინა მეფისადვე; ხოლო მეფემან განყვნა და დასხნა დბანისს და ჟინვანს ქართლს.

1-29 სტრ., 223
შემდგომად მოიწია რა სთველი, წარვიდა ყეენი შირვანს; თეთრის წყლის პირსა ზედა, შეკრა სიბა, ჰგონებდა გამოსლვასა ბერქა ყეენისასა. ამ ჟამით იწყეს დგომად სიბასა ზედა და გაზაფხულ წარვიდიან გელაქუნს. მაშინ ულუ-ყეენმან შეიპყრნა სამნი ძენი ყეენისანი და მოსწყჳდნა იგინი. მცნობელნი საბერძნეთს მყოფნი სპანი მათნი შეკრბნენ და გამოვლეს საბერძნეთი, ბასიანი, ტაო, არტანი, სამცხე, ჯავახეთი, ქართლი, სომხითი, რანი და შევიდნენ ღუნზუსს; განვლეს იგიცა და მივიდნენ წინაშე ბერქა ყეენისა; არამედ ესეოდენთა ქუეყანათა მარადის ყოველნი ყოველგან ბრძოდიან, გარნა იგინი მრე-ექმნენ ყოველთა. ხოლო მოესმათ გამოსლვა ბერქა ყეენისა განმზადებულთა; გარნა ამათ შეკრეს ღობე თეთრს წყალსა ზედა ბრძანებითა ულუ-ყეენისათა.

ჟამსა ამას განდიდნა ჭყონდიდელი ბასილი და დაიწყო საურავი, ვითარცა მეფემან, და თანა-ეყო ესუქანს დედოფალსა და შესმენილი მყის მოიკლა მეფისაგან და დამოჰკიდეს ძელსა საშუალ ქალაქისა. რამეთუ იყო მეფე წრფელი. შემდგომად სთველსა შინა წარვიდა მეფე სიბასა. მუნიდამ გაზაფხულს გელაქუნს მისრული ევედრა თანგუშს ძესა ულუ-ყეენისასა, რათა განუტეოს ტფილისს. ნება სცა და წარმოვიდა ტფილისს მეფე.

მაშინ მოკუდა ულუ-ყეენი და დასუეს ყეენად აბაღა. არამედ ესე აბაღა ყეენი იყო ფრიად კეთილი, მეტყუელი ესრეთ, რამეთუ ღმერთსა ქუეყნის მპყრობელად დაუდგინებივარ; რასაცა არა მივცემ ვის, არცა რას მოვაკლებ, რამეთუ მრავლთა საჭურჭლისა მპარავთა შეუნდო. ამან დაიმორჩილნა ყოველნი საბრძანებელნი მამისა თჳსისანი და წარვიდა დავით მეფეცა წინაშე მისსა; ხოლო მან პატივით შეიწყნარა.

ჟამსა ამას გამოვიდა ბერქა ყეენი დარუბანდის გზით. მცნობმან აბაღა ყეენმან შემოიკრიბა სპათა თჳსთა სიმრავლე, შეკრა მტკურის

პირი და არაზისა მცხეთამდე. მოვიდა ბერქა, მოაოჴრა მოვაკანი და

1-25 სტრ., 224
ჰერეთი ტფილისამდე; არამედ თჳთ დადგა მთასა ზედა გარესჳისა-
სა. მაშინ შეიწყალა ღმერთმან ქუეყანა ესე და მოკუდა ბერქა ყეენი.
წარიღეს სპათა მისთა და წარვიდნენ.

შემდგომად მოვიდა რა შემოდგომა, მიუწოდეს მეფესა სიბასა
ზედა. ხოლო მოწოდებითა მეფისათა მოვიდა სარგის ჯაყელიცა
ტფილისს; ხოლო მეფემან მგონმან განდგომილებისა მისისამან შე-
იპყრა სარგის და არღარა მოიჴსენა მსახურება და კეთილნი მისნი;
ხოლო აღზრდილნი სარგისისანი ივლტოდნენ წინაშე ყეენისა. მა-
შინ ყეენმან მოუმცნო მეფესა განტევება სარგისისა და განუტევა და
იქმნა მიერ-ჟამითგან განდგომილება მესხთა, ვიდრე მეფის ბრწყინ-
ვალისადმდე გიორგის, არამედ მეფე ჯერეთ არა საწსრულ იყო
სიბასა, დასნეულდა ძე მისი გიორგი ვიდრე სიკუდილად და იდვა, ვი-
თარცა მკუდარი. მაშინ მოეჴსენა მეფესა ხატი დბანისის ღვთის-მშო-
ბელისა; წარვიდა ფერჴთ-შიშუელად და მოიყვანა ხატი იგი და
დასდვა ძესა თჳსსა; მყის განიკურნა და აღდგა; და განკჳრდებოდ-
ნენ ფრიად ამისნი მხილველნი. მერმე წარვიდა სიბას და მოიქცა რა
მუნით დასნეულდა თჳთ მეფე სენითა მუცლისათა, რამეთუ მკურ-
ნალთაგანცა უსასო იქმნდა. მგზავრ მოაყვანინა ხატი მარტყოფისა
ჴელით-უქმნელი და შეხებისა თანა განიკურნა მეფე და მოვიდა ტფი-
ლისს, იხარებდა და მეფობდა კეთილად ყოველთა ზედა. გარნა ერის-
თავთა ვერ სცვლიდა სათნოთა ყეენისათა საქართველოსათა. გარნა
თქმულ არს, რ˜მისდრკა დავით, ვითარცა წერილს არს, სოლომონისა
სიბერისა ჟამსა, რამეთუ ჴელ-ჰყო შლად ეკლესიათა მამულთა და
შეწირულობათა, ამისთჳს სამხილებელ ექმნა ღუთისა მიერ; რამეთუ
კუალად დასნეულდა ძე მისი გიორგი მეფისა სიბას ყოფასა შინა და

1-27 სტრ., 225
მოკუდა ქ˜სა ჩ˜სჲ, ქართულსა უ˜პჲ. ხოლო მოსრული მეფე სიბი-
დამ ფრიად მწუხარე იქმნა ძისა თჳსისათვის, რამეთუ მიერ ჟამით
მარადის სნეულებდა.

ჟამსა ამასვე განდგომილება იქმნა თათართა, რამეთუ თენგუ-
თარ შეიშურა ყეენობა აბაღასი და მიუწერა ძმასა თჳსსა ბარხას,
რომელი იყო თურანს, რათა წარმოემართოს და შემუსროს აბაღა-
ყეენი, და წარგზავნა წიგნი ისრის თავსა შინა დებული; ხოლო ბარ-
ხამ მოუწერა პაემანი, რომელი შესცდა მწერალსა მისსა სამის თთჳთ
და თენგუთარ განდგა სპითა თჳსითა პაემანსა მას შეცთომილსა; მო-
ვიდა და დადგა მთასა ზედა სამცხისასა. მუნიდამ წარავლინნა ი˜ბჩ˜

(12.000) მჴედარნი, რათა შემუსრონ და მოაოჴრონ მონასტერი იო-
ვანე ნათლისმცემელისა, რამეთუ ჰგონებდნენ საუნჯესა ურიცხუსა.
მაშინ მოაწია მათ ზედა წინამორბედმან სიჴშო ბნელისა და კუალად
სეტყუა და წჯმა მძაფრი, რამეთუ აღივსო ჴევი იგი წყლითა და წარი-
ტაცნა მჴედარნი იგი და შერთო სრულიად ზღუასა; არამედ მაცნედ
განერა მხოლოდ ერთი ოდენ კაცი, რომელმან აუწყა თენგუთარს,
რომელ ადგილი ღვთისა არსო და არა ბრძოლად მისა. ხოლო აბაღა-
ყეენმან წარმოავლინა სირმონ ნოინი მჴედართ-მთავრად სპითა და
მოვიდა თენგუთარსა ზედა და ბრძოდა ძლიერად. ვერღარა დაუდგა
თენგუთარს სირმონს; წარვიდა და განვლო ჭოროხი და აჭარის მთა-
სა წარუსქდა მთა და წარიღო ვითარ ჩ˜ (1000) მჴედარი დედაწული-
თურთ და დაინთქნენ სრულიად. ხოლო თენგუთარ შევიდა აფხაზეთს,
მოეგება ნარინ-დავით, ისტუმრა კეთილად და ნადიმსა ზედა დაუდვა
ძროხა ფ˜ (500) თჯნიერ ღორთა და ცხოვართა, და ლაშკართა საზრ-
დელად მისცა ცხენი ექუსასი, ზროხა ჩ˜ფ˜ (1500), ცხვარი ჩ˜ (1000),
ღორი ჩ˜, ხოლო ღჯნო ჭურითა და ურმებითა ურიცხჯ, რომელსა გან-
კჯრდებოდნენ თათარნი, და ცოლმან დავით მეფისამან, რომელი იყო

1-25 სტრ., 226
ასული მიხაილ პოლეოლოღის კეისრისა, ცოლსა თენგუთარისასა გა-
ნუსუენა. მერმე ესმა აბაღა-ყეენსა მოსვლა ბარხა-ყეენისა ხუარასანს,
წარვიდა და წარიყვანა მეფე დავით სპითა თჯსითა, მისრულნი იწყუ-
ნენ ორნივე სპანი, სადა მეფე სპითა თჯსითა წინამბრძოლი იყო;
აოტეს ბარხა-ყეენი და მოსწყჯდნეს სპანი მისნი ურიცხუნი და შე-
მოიქცნენ გამარჯუებულნი. არამედ ბარხა-ყეენის მუნ ყოფასა შინა
გარდამოვიდა თენგუთარ და დადგა ლომისასა თავს ღადოსა ზედა და
არბევდა სამცხესა და ქართლსა. შეკრბნენ ამათ მარბიელთა ზედა
მესხნი და თორელნი; არამედ აოტნეს მესხნი და მოსრნეს მრავალნი
და მოვიდნენ თენგუთარისა თანა. ამისთჯს მოსრული აბაღა-ყეენი
ევედრა ნარინ დავითს და აღუთქუა ნიჭი დიდი, რათა არღარა შეუ-
შუას თენგუთარ აფხაზეთსა შინა. ხოლო დავით აღმთქმელმან ყეენი-
სამან ჩახერგნა გზანი. მაშინ აბაღამ წარმოავლინა იგივე სირმონ ნო-
ინი; მოსრული ეწყო თენგუთარს და სძლევდნენ მრავალჯერ და ვი-
თარ არღარა იყო ღონე თენგუთარისა სხუა, მოვიდა სირმონ ნოინი-
სა თანა დამან მიიყვანა წინაშე აბაღა-ყეენისა; არამედ არა რაჲ ავნო
და წარგზავნა პატიმრად პატივითა; და ნარინ-დავითს მიანიჭნა ური-
ცხუნი ნიჭნი. შემდგომად წარვიდა აბაღა სიბას და წარიყვანა მეფე
სპითა და მოქცევასა ზაფხულისასა წარმოსრულს დავით მეფესა გზა-
სა ზედა შეედვა სალმობა მუცლისა და ვერ უძლეს მკურნალთა კურ-
ნებად; ხოლო მეფემან კუალად მოითხოვა ხატი მარტყოფისა, არა-
მედ არღარა ჰყო ლხინება, ამისთჯს ვინაჲთგან მოაკლო მსახურება
ღვთისა დავითს და გარდაიცვალა მეფე დავით ქ˜სა ჩ˜სჲთ, ქარ-

თულსა უ˜პთ, არამედ თქმულ არს რამეთუ დედოფლის ესუქანის მიერ წამლით მოიკლაო შურისათჳს ბასილისა. ხოლო დაშთა მე-

1-29 სტრ., 227
ფედ ძე დავითისა დიმიტრი ტფილისს. მაშინ აღალურ და რაჭის ერის-თავი კახაბერი შეიზრახნენ და განდგნენ ნარინ-დავითისაგან და მი-ვიდნენ ალიყან ბაადურისა, რომელი იდგა ჯავახეთის მთასა ზედა. ამან ალიყან მიუმცნო ყეენსა და მიიყვანნა იგინი წინაშე ყეენისა, ხოლო ყეენმან პატივით შეიწყნარნა. შემდგომად ჰკადრეს აღალურ და კახაბერ ყეენსა: „ჩუენ უწყით გზა, მოგვეც სპანი და ჴელთ-გიგ-დოთო ნარინ-დავით“. მოხარულმან ამისთჳს ყეენმან წარმოატანა სირმონ ნოინ ლ˜ჩ˜ (30.000) მჴედრითა. ამათ გამოვლეს ჯავახეთი და გარდავლეს მთა ლიხისა, უგრძნეულოდ დაესხნენ ქუთაისს ნა-რინ-დავითს აბანოსა შინა მყოფსა; არამედ მეფე კაბით ცხენსა შემ-სწებელი ივლტოდა. ხოლო თათართა მოაოჴრნეს ეკლესიანი და მრავალნი ტყუე ჰყვნეს, სხუანი მოსწყჳდნეს და შემოიქცნენ უვნე-ბელად წინაშე ყეენისა; გარნა ნარინ-დავით კნინღა საკჳრველებითა ღვთისათა განერა. კუალად წელსა მეორესა დაიმსტრო კახაბერმან ნარინ-დავით მეფე და იჴმო სირმონ ნოინი ზედ დასხმად და მივიდ-ნენ ქუთაისს უეცრად; ხოლო მეფემან გარიდა და შემოიკრებდა სპა-თა. სცნეს რა თათართა თჳსთა ზედა მისვლა მეფისა, მასვე დღესა წარმოვიდნენ ტყჳთა და ალაფითა.

ჟამსა ამას განდიდებულ იყო კახაბერ სადუნი უმეტეს ყოველთა წარჩინებულთა ყეენისა და მეფისაგან. ამ სადუნის მიერ შეკრბნენ ყოველნი დიდებულნი და წარიყვანეს დიმიტრი ძე დავით მეფისა წინაშე ყეენისა და უურვეს და ითხოვეს მეფედ; ხოლო ყეენმან მოს-ცა მეფობა და ყოველი საქართველო, თჳნიერ სარგის ჯაყელისა, და წარმოატანა სადუნი, რომელსა ესუა ცოლად ასული ავაგ ათაბა-გისა ხუაშაგ; ამის გამო განდიდებულ იყო და ყეენმან ჴელთ-უდვა ყოველნი და საბდივანი ავაგისა მას აქუნდა, და მეფეთა მისცეს კა-რი და მისი მიმდეგი ქუეყანა მოევერაგა და ახალციხელის ასული ცოლად მოეყვანა. ამისთჳს დიმიტრიმცა მისცა ათაბაგობა. ხოლო ესე სადუნი იგი არს, რომელმანცა ჰკადრა ყეენსა ურდოსა შინა:

1-27 სტრ., 228
„აჰა აქა ესეოდენნი სპანი და უკეთუ ვინ მერკინების, ანუ მედგინე-ბის, ანუ ისარსა განასრევს ვინ“. და ვერავინ გამოჩნდა დარი მისი, ამისთჳს სცა ყეენმან პატივი. ხოლო მოსრულთა თანა ტფილისს შემოკრიბნენ კათალიკოზი, ეპისკოპოზნი და დიდებულნი სომხითარ-ქართველნი, ჰერ-კახნი, ჯავახ-ტაოელ-კლარჯნი და არა სარგის ჯაყელი მესხით, და აკურთხეს მეფედ დიმიტრი ქ˜სა ჩ˜სობ, ქარ-

თულსა უ˜ჟბ.

ჲ˜ვ. მეფე დიმიტრი ი˜ზ წელი მეფა

ხოლო იყო ესე დიმიტრი მეფე მჴნე, ახოვანი, ჰაეროვანი, შუე-
ნიერი, სამჴედროთი სრული, ღვთის მსახური, მლოცავი დამოწყა-
ლე, რამეთუ ღამე თჳთ-მვლელი ჴელითა თჳსითა მისცემდა საკმა-
როდ გლახაკთა; არამედ იყო ჴელთა შინა სადუნისათა. გარნა სადუ-
ნი კეთილად განაგებდა საქმესა საქართველოსასა, რამეთუ დღეთა
შინა მისთა არა იყო ძალი რაჲმე თათართა: აღშენდა და მოირჭმო
საქართველო. მაშინ ყეენმან აბაღა ინება ამჴედრებად ეგჳპტესა ზე-
და, წარავლინნა სპანი და თანა-წარატანნა ქართველნი და მიუმცნო
სულტანსა საბერძნეთისასა ფარსმანს (რომელსა შემდგომად ყიას-
დინის სიკუდილისა მონასა მისსა მიეტაცა სულტნობა და ასული რუ-
სუდანისა თამარ თჳსად ცოლად ეყო), რათა შეეწიოს სპათა მისთა;
ხოლო მიიწივნენ ევფრატსა ზედა, შეიკრიბნა მეგჳპტელმან სულტან-
მან სპანი და დაესხა მუნ თათართა, მოსრნა უმრავლესნი და აოტნა
თათარნი; არამედ მჴნედ იყვნენ მუნცა ქართველნი, გარნა მოსწყდ-
ნენ სიმრავლით; ამისთჳს შეასმინეს სულტანი ფარსმან ყეენსა, რა-
მეთუ მის მიერიქმნა ლტოლვა ესე; შეიპყრა ყეენმან და მოკლა
ფარსმან და მისცა სულტნობა ერინჯი-ნოინსა, რომელი იყო ყეენის
ონხანის გუარისა, ხოლო აწყუერი მისცეს სარგისს და ძესა მისსა ბე-
ქას.

1-30 სტრ., 229
ამიერითგან იწყო დიმიტრი მეფემან სიბას წარსლვა და აღშენ-
დაცა ქუეყანა მოოჯრებული; ხოლო სიბას მყოფსა მეფესა სთხოვეს
საფასე განზრახვითა სადუნისათა. მაშინ სადუნმან სთხოვა დბანისი
მეფესა და მან მისცა საფასე იგი; ხოლო მეფემან მისცა დბანისი და
სადუნმან გარდაიჴადა საფასე იგი და განდიდნაცა სადუნი უმეტე-
სად. არამედ ამან სადუნმან განათავისუფლნა უდაბნონი გარესჯი-
სანი და სხუანიცა და მსახურებდა მეფესა დიმიტრის მორჩილები-
თა ყოვლითა. ამ ჯამებთავე განდიდნა სამცხის სპასალარი სარგის
ჯაყელი და ძე მისი ბექა და დაიწყრა ტაშისკარიდან კარნუ-ქალაქამ-
დე, რამეთუ იყო ღვთისმსახური ყოვლითავე; გარნა მსახურებდა
ყეენსა და მორჩილებდა დიმიტრი მეფესა.

ხოლო მოიყვანა დიმიტრი მეფემან ტრაპიზონის მეფის ასული
ცოლად, იქორწინა, მიუდგა და შვა ძე დავით ქ˜სა ჩ˜სოზ, ქართულ-
სა უ˜ჟზ. შემდგომად მოვიდა კუალად იგივე არღუნა აღმწერელი, რა-
თა სცნას აღაშენა ანუ აოჯრდა ქუეყანა, არამედ სცნა უფროს აოჯ-
რება და უმეტეს ჰერეთისა (რამეთუ მოოჯრებულ იყო შემოსლვასა

ბერქა-ყეენისასა). ამან არღუნა მოითხოვა დაჲ მეფის დიმიტრისა თამარ ძისა თჳსისათჳს, რომელი აღეთქუა დავით მეფესავე; არამედ დიმიტრი მეფესა მძიმედ აღუჩნდა წარმართის შეგინებისათჳს; გარნა არა იყო ღონე სხუა რამე და მისცა მეფემანცა და ჰქმნეს ქორწილი ჯეროვანი. ხოლო დიმიტრი მეფესა უშვა დედოფალმან ძე ვახტანგ ქ˜სა ჩ˜სოჱ, ქართულსა უ˜ჟჱ.

ამ ჟამთა მოიწყო ნარინ-დავით იმერეთი; ხოლო კახაბერ რაჭის ერისთავი იყოფოდა ატენს, არა რისაცავე პატივითა მქონებელი ყეენისა და მეფისაგან; ევედრა ნარინ-დავითს; მან შეიწყალა და მისცა რაჭა მამული მისივე; არამედ იგი ჟამსა მცირესა მიექცა კუალად წუმპესა და მიუწერა ალიყანს, რათა მივიდეს და ადვილად ჴელთ-უგდოს მეფე დავით; გარნა უქმ იქმნა ზრახვა მისი, ვითარცა აქიტოფელისა. ესე სცნა ნარინ-დავით, შეიპყრა კახაბერი და აღმოჴდნა თულნი; მერმე მოჰკუეთნა ჴელნი და ფერჴნი და ორნი

1-29 სტრ., 230
ძენი მისნი წარავლინნა ექსორიად კონსტანტინეპოლეს და მოკუდა, და აღიჴოცა საჴსენებელი მისი. ხოლო ყეენმან წარგზავნნა გილანს სპანი და წარატანნა ქართველნი და არა მეფე დიმიტრი. სპათა მისრულთა გილანელთა ბრძოლა უყვეს, არამედ აოტნეს გილანელნი და სცნეს თათართა, რამეთუ არა დაიპყრობის სიმაგრისაგან ტყისა და ჭაობითა; შემოიქცნენვე წინაშე ყეენისა გამარჯვებულნი.

ხოლო ჟამთა ამათ რა დამშჳდდა ქუეყანა და იყო საზრდელთა იეფობა უხუად, იწყეს საქართველოსათა შუება-განცხრომა და შლა ეკლესიათა შეწირულებათა, გარნა უმეტესად მესხთა. ამისთჳს ამხილებდა კათალიკოზი ნიკოლაოზ და მაწყუერელი და არავინ მიუსმინებდნენ, არამედ განმრავლდა ბოროტი, ვინაჲთგან მეფემან მოიყვანნა სამნი ცოლნი და ეგრეთვე სადუნმაც; ამისგან მოიწია სამართალი ღვთისა; რამეთუ არღუნ წარმოემართა ხილვად სარგისისა და დაიმჭირვნა ქუეყანანი არა ოჯრებითა, არამედ საზრდელითა და მოვიდააწყურს, მოეგება სარგის და ძე მისი ბექა; გარნა განკჳრდა არღუნ ორისავე მოსლვასა ზედა მისთანა; არამედ სარგის წარიყვანა და ბექა დაუტევა.

ხოლო მოვიდა რა არღუნ სომხითს, შეიძრა ქუეყანა ხუთშაბათსა ვნებისასა სამხილებელად ცოდვათა ჩუენთათჳს; კუალად პარასკევს და შაბათს ეგრეთვე. გარნა არავინ გულისჴმა ჰყო, რათამცა აღსძრა ღმერთი მოწყალებად და დღესა აღდგომისასა ესრეთ შეირყა, რამეთუ დაეცნენ ეკლესიანი, მონასტერნი, მთანი, კლდენი და ციხე-ქალაქნი, რომელ კუპრნიცა აღმოჴდებოდიან, რამეთუ აწყუ-

ერს ლიტანიობისა შემდგომად ესუენა ხატი აწყურისა საშუალსა ეკ-
ლესიისასა, ჩამოიჭრა გუმბათი და დაეხურა, ვითარცა ქუდი ხატსა მას
დაუქცეველად ქ˜სა ჩ˜სპგ, ქართულსა ფ˜გ. არამედ ესევითარი ძრვა
იყო სამცხეს და არა სადა სხუაგან, თჳნიერ დაიქცა მცხეთა. ხოლო
არღუნ რა მივიდა წინაშე ყეენისა, მოკუდა და ძე მისი დიდად მოვი-
და მეფისა თანა, დაუტევა ცოლი თჳსი თამარ მეფისა თანა, არამედ

თამარ წარივლტო მთიულეთს, რამეთუ საძაგელად უჩნდა წარმარ-
თი ქრმად.
ამისი მცნობელი სადუნი წარვიდა წინაშე ყეენისა და
სთხოვა თამარ, რათა მას მოსცეს ცოლად, ვინაჲთგან მას არღარა
ნებავს ძე არღუნისა დიდად ქრმად. ნება სცა ყეენმან, მერმე მეფე-
მანცა, და იქორწინა სადუნმან თამარ და უმეტესად განდიდნა. ამის-
თჳს კრულ-იყო კათალიკოზმან, რამეთუ ესხნეს სამნი ცოლნი და არა
რაჲსა ერჩდა კათალიკოზსა.

ჟამსავე ამას საქმისა რაჲსათჳსმე განდგნა სარგის ჯაყელი თა-
თართაგან. ამას ზედა წარმოგზავნა აბაღა-ყეენმან ბუღას ძმა არუხ
სპითა კ˜ჩ˜ (20.000) მოოჯრებად სამცხისად; ხოლო სარგის მირიდა
მთათა გურიისათა და დახიზნნა ხიზანნი სამცხისა სიმაგრეთა შინა.
და მოვიდნენ თათარნი და ვერა რაჲ პოვეს, უკუ-იქცნენ და წარვიდ-
ნენ. შემდგომად ამისა მოკუდა სარგის ფერჯის ტკივილითა და და-
იპყრა ძემან მისმან ბექამ სამცხე. ხოლო აბაღა-ყეენმან მოუწოდა
სპათა თჳსთა და მეფესა დიმიტრის. ამათ უჩინა ძმა თჳსი მანგუ-დე-
მურ, რათა წარვიდეს ეგჳპტეს, ანუ დაიპყრას, ანუ მოხარკე ჰყოს.
ამან მანგუ-დემურ მოუწოდა ბექას; არამედ ბექა ეტყოდა შიშითა
ვერ მისლვასა; ხოლო მან ფიცით განუმტკიცა უვნებელობისათჳს და
მივიდა მინდობილი მისი მისთანა სპითა სამცხისათა. მაშინ მანგუ-
დემურ ახილვა ბექას აბაღა-ყეენიცა; ხოლო მანცა პატივით შეი-
წყნარა ბექა. შემდგომად წარსრულნი ეგჳტეს მივიდნენ და რუბაკს
გამოვიდნენ ქალაქიდამ და იქმნა ბრძოლა ძლიერი, სადაცა ბექამ და
მესხთა ძლიერი ბრძოლა ჰყვეს, და შესთხივნეს ქალაქადვე. ამისთჳს
დიდად პატივსცა ბექას და სპათა მისთა მანგუ-დემურ. მერმე მივიდ-
ნენ ამასიას. ეწყო მუნ სულტანი ეგჳპტისა ნასრ. ხოლო მეფე ქარ-
თველით წინამბრძოლნი იყვნეს, ამისთჳს ნასრ-სულთანმან ი˜ბ ჩ˜
(12.000) მჴედარნი მჴედართ-მთავრით თავისა თჳსისა თანა და-
იპყრნა, რათა განგრძელებასა ბრძოლისასა მოეტეოს ქართველთა
ზედა. ხოლო იყო რა ბრძოლა ძლიერი და მოისრვოდნენ ორკერ-
ძოვე უმრავლესნი, მაშინ ნასრ-სულთანი მოეტევა მეფესა და სპათა

მისთა სპითა მით და განძლიერდა უმეტესი ბრძოლა, მოუკლეს ჰუნე მეფესა.
ამისნი მხილველნი ქართველნი ერთბამად ყოველნი დაქუე-ითდნენ და იბრძოდნენ ძლიერად; ხოლო მეფე აღსუა ცხენსა ზედა თჳსსა აბაშმან, და შესხდნენ ქართველნიცა ყოველნი და კუალად ეკუეთნენ ძლიერად და მოსწყჳდნეს მჴედართ-მთავარნი და სპანი მე-გჳპტელნი და ივლტოდენცა, არამედ თათარნი სხუათა სპათა მეგჳპ-ტელთაგან ივლტოდნენ და შემდგომად მანგუ-დემურცა.

მხილველნი ამისნი ქართველნი უღონო-ქმნილნი წარმოვიდნენ მოწყუედილნი; არამედ ძალითა ღვთისათა მეფე დაცულ იქმნა; მერ-მე მოვიდნენ აბაღას წინაშე. ხოლო მოლექსე ვინმე თათარი იტყოდა შესხმასა მეფისასა და ქართველთასა ბრძოლისათჳს და ამას ისმენდა ყეენი, ამისთჳს მიანიჭა მეფესა და ქართველთა ურიცხუნი და წარ-მოავლინა ტფილისს. შემდგომად კუალად ეგულებოდა აბაღა-ყეენსა შურისგება ეგჳპტისა, არამედ მოკუდა ძმა მისი მანგუ-დემურ, ხოლო აქა სადუნი ათაბაგი მოკუდა, და მისცა მეფემან ძესა მისსა ხუტლუ-შაჰს პატივი მამისა მისისა. შემდგომად მოკუდა აბაღა-ყეენიცა და დასუეს ძმა აბაღა-ყეენისა აჰმად ყეენად; და წარვიდა მეფე დიმიტ-რი წინაშე მისსა, ხოლო მან პატივ-სცა, მოსცა მეფობა და წარმო-ავლინა. არამედ მეფემან მისცა ასული თჳსი რუსუდან შვილიშვი-ლის შვილს დიდს ბუღასას, რომლისათჳს განრისხდა კათალიკო-ზი ნიკოლაოს წარმართის მიცემისათჳს და აქადებდა ღმერთსა.

არამედ აქამომდე დიმიტრი კეთილად მართებდა სკიპტრასა, ხოლო აწ მიდრკა და ისწავა წესი წარმართთა; შეაცთუნეს დედათა და ესხნეს სამნი ცოლნი. კუალად ამხილა კათალიკოზმან ნიკო-ლაოზ და არა უსმინებდა მეფე. მერმე დაუტევა კათალიკოზობა ნი-კოლაოსმან და აკურთხა ჯუარისმტჳრთველი აბრამ კათალიკოზად და თჳთ წარვიდა უდაბნოსა შინა და მიიცვალა მუნ მოღუაწებით.

ხოლო ურდოს ყოფასა მეფისასა ჰყო ბოროტი აჰმად-ყეენმან:

მოკლა ძმა თჳსი ყორღარდ და მუნიდამ მოსრულსა მეფესა ამხილებ-

და კუალად ბასილი ბიძა ევფემოს კათალიკოზისა განყენებასა ცოლთაგან და უწესოებათა მოვლინებული ღვთისმშობლისა მიერ და თავს-იდებდა: „უკუეთუ განეყენოს მეფე, კეთილად წარემართოს მეფობა მისი და უკუეთუ არა, განგიხეთქოს და მიმოიბნივნენ ძენი შენნი“. არამედ არა უსმინა მეფემან; ეგრეთვე პიმენ სალოსი გარეს-ჯელი ამხილებდა და არცა მას უსმენდა. ხოლო ნოინთა იხილეს რა

აჰმად-ყეენის უწესოება, დასუეს ყეენად ძე აბათა-ყეენისა არღუნ ხუარასანს. მცნობელმან აჰმად მოუწოდა სპათა თჳსთა და მეფესა-ცა ქართველითურთ. მისრულთა ამათ არღუნ ვერ წინააღუდგა და შევიდა ციხესა შინა; ხოლო აჰმად მოადგა და ვითარ უღონო იქმნა არღუნ, მოენდო ფიცით აჰმადს. ჟამსა ამას აღეღო რჯული მაჰმადი-სა აჰმად-ყეენსა და შეკრბნენ კაცნი ცუდნი და ჰკვლიდნენ ქართველ-თა იდუმალ ქრისტიანობისათჳს. ამისი მცნობელი სურამელი ბექას ძე რატი წარვიდა სამოც ოდენ კაცითა და დაესხა სამასთა მათ, მოს-წყჳდნა სრულიად და მოვიდა მეფისა თანა; ხოლო დიმიტრიმ მიანი-ჭა ღირსი ბოძი; მერმე მუნიდამ წარმოსრულთა მადლობდა აჰმად ყეენი მეფესა და მოსცა ყოველი საქართველო და დაუტევა აჰმადმან არღუნ ჰერეთსა და ნიონნი მის თანა, რათა მოჰკლან არღუნ; არა-მედ ნიონთა ძე აბაღასი არღუნვე ჰყვეს ყეენად და წარმოემართნენ აჰმადსა ზედა, ხოლო აჰმად გამარჯუებული და ცოლთა თანა მყოფი შეიპყრეს და მოაშთვეს; გარნა მეფისათჳს პირველვე მოემცნოთ, რათა განეშოროს აჰმადს. მაშინ უკუნ-იქცა მეფე და მივიდა წინაშე არღუნ-ყეენისა. მანცა კეთილად შეიწყნარა და მოსცა მეფობა და მა-მული ავაგ ათაბეგისა, ვინაჲთგან იყო ყეენი ბუღას ჴელთა, და ბუღა მზახალი იყო მეფისა.

ხოლო ტფილისს მოსრულმან მეფემან წარავლინა ძე თჳსი და-ვით სახლსა ავაგ ათაბაგისასა, რეცა საუფლისწულოდ მისცა და მუნ

იზრდებოდა და წარემატებოდა მეფობა დიმიტრისა, და აბრაამ კა-თალიკოზიცა კეთილად ჰმართებდა საჭესა.

ხოლო დიმიტრი მეფესა ესხნეს ტრაპიზონის მეფის ასულისა თანა ძენი: დავით, ვახტანგ და მანოელ და ასული რუსუდან, ხოლო თათრის ასულისა თანა ბაადურ და იედიგარ და ასული ჯიგღა; ბე-ქას ასულისა თანა გიორგი მხოლოდ, ვითარცა მარტორქა, რომლი-საცა აღმატებულება ქუემორე ითქმის.

ამისა შემდგომად განუდგნენ ყეენსა დარუბანდელნი; წარვიდა და მიუწოდა მეფესა დიმიტრის. ხოლო მისრულნი მიადგნენ დარუ-ბანდს, რამეთუ ველსა ზედა რაზმითა ვერ წინააღუდგნენ და ვითარ განგრძელდა ბრძოლა და ვერ აღიღეს ციხე, უბრძანა მეფესა ყეენმან, რათა ბრძოდეს სპითა თჳსითა ციხესა მას.

მყის აღიჭურნა მეფე სპითურთ და შეუჴდნენ დარუბანდს; არა-მედ პირველად განვიდა ციხესა ზედა სურამელის ბექას ძე რატი და მოსწყჳდნეს დედაწულით და აღიღეს ციხე და ალაფი დიდი, რო-

მელსა თჳთ ჰხედვიდა ყეენი. გარნა აქუნდა არღუნ-ყეენსა შური მეფისა, ამისთჳს სთხოვა ჟამსა მას აბჯარი, რომელი იყო სახელოვანი; წამსვე აღიჴადა მეფემან და მისცა და წარმოვიდნენ თჳთ-თჳსად გამარჯუებულნი.

შემდგომად მრავალთა ჟამთა, მოვიდა რა მოქცევა წლისა მათისა, რომელ არს მარტი ი˜ე, წარავლინა ყეენმან არღუნ და შეიპყრა ბუღა და მოსწყჳდნა განუკითხველად ყოვლითა სახლეულითა და ნათესავით მისითურთ. კუალად წარავლინა საბერძნეთს, შამს, ხუარასანს და მოსწყჳდნეს მუნცა ნოინნი მრავალნი და შეიქმნა ესევითარნი სრვანი ნოინთა.

შემდგომად მოუვლინა დესპანი დიმიტრი მეფესა და მიიწვია ურდოსა. ხოლო მეფე მსმენელი სიკუდილსა ზედა ბუღასსა დამძიმდა ფრიად, შემოიკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოზნი და დიდებულ-წარჩინებულნი თჳსნი და დაჯდა ზედა და დასხდნენ ყოველნი

წესისაბრ წარჩინებულნი. მაშინ იწყო სიტყუად მეფემან: „ღმერთმან და უბიწოდ მშობელმან მისმან, რომლისაცა წილჴდომილნი ვართ, წარმართა მეფობა ჩემი და მომაწია აქამომდე მშჳდობით; ხოლო აწ გვესმა, რამეთუ მოუსრავს ყოველნი ნოინნი ყეენსა და მიწვევს მეცა. აწ უკუეთუ წარვიდე, მომკლავს მეცა და უკეთუ არა, მოოჴრდების ეკლესიანი და ქუეყანა ჩემი. გარნა უწყით, რამეთუ ძალითა არა ძალ უძს შეპყრობა ჩემი და ვგონებ, თუ მივიდე მომკლავს მე და დაშრების ქუეყანა უვნებელად“. მაშინ ყოველთა ერთ-ჴმობით ჰრქუეს მეფესა: „ჩუენ მტკიცედ ერთგულებასა შენსა ზედა ვდგევართ. არა არს ნაცვალი შენდა ქუეყანა, და უკეთუ გაჭირდეს, ივლტოდი მთიულეთს ანუ აფხაზეთს, ვითარცა ჰყო მამამან შენმან“. მიუგო მათ მეფემან: „თქუენ ერთგულებისათჳს ჩემისა იტყვით; გარნა თუ დავრჩე მე და ესეოდენნი მოისრნენ, ესე იყოს ტვირთ ჩემდა, რამეთუ არა არს საწუთო ესე ნაცვალი მერმისა მის, ვინაჲთგან წარმავალ არს და იგი წარუალი, აწ წარვალ. უკეთუ დავრჩე, კეთილ, უკეთუ არა, დავდვა სული ჩემი ერისა ჩემისათჳს, ვითარცა მან დადვა ჩუენთჳს.“

ხოლო ესმათ რა კათალიკოზ-ეპისკოპოზთა და მოძღუართა და წარჩინებულთა, ეტყოდენ მეფესა: „ჩუენ თავს-მდებ გექმნეთ წინაშე მეუფისა ქრისტესა, რათა შეგინდოს შენ ყოველნი შეცოდებანი შენნი და მოგანიჭოს ცხოვრება საუკუნო სასუფეველსა მისსა“. ამისი მსმენელი მეფე სიხარულითა დიდითა განემზადა წარსლვად და ძენი თჳსნი წარგზავნა ზოგი კახეთს, ზოგი მთიულეთს; ხოლო გი-

ორგი მცირე ყრმა ტაოს იშხანის ციხესა შინა.

მერმე წარვიდა ურდოსა დიდითა დიდებითა და სიმდიდრითა და წარჰყვა მას კათალიკოზი აბრაამ და მცირედნი ვინამენი; არამედ მგონებელსა ყეენსა არა-მისვლისათვის მეფისა წარმოევლინა სიუქოლ-ნოინი, რათა მიიყვანოს მეფე. ხოლო ნოინი გზასა ზედა შემოემთხვია მეფესა და აღიღო ყოველნი სიმდიდრენი მეფისა და თჳთ

1-28 სტრ., 236
მეფე ჰყო პყრობილი და მიიყვანა წინაშე ყეენისა. მანცა პყრობილ ჰყო მეფე. და განიზრახვიდა ყეენი, უკეთუ მოკლას, არღარავინ არს ღირსი მეფობისა და თუ განუტეოს, ვითარ მომდგომი და მოყუასი ბუღასი? ამას ზედა წარსდგა ხუტლუ-ბუღა მეტყუელი: „მე მოვიყვანო ძე ნარინ-დავითისა და შევაერთო ორნივე სამეფონი ამერნი და იმერნი და ჰყავ იგი მეფედ“; უსმინა ყეენმან და აღწერნეს ქონება დიმიტრი მეფისა ხუასტაგითურთ და მრწოლითა ხუტლუ-ბუღამ. მერმე მოვიდა ნარინ-დავითის თანადა სთხოვა ძე. ხოლო დავით აღუთქუა მას მიცემა ძისა თჳსისა. შემდგომად მოვიდა ხუტლუ-ბუღა წინაშე ყეენისა და მიუღო ყოველი სიმდიდრე მეფესა დიმიტრის, რომელ განკჳრდა თჳთ ყეენიცა ეგზომობასა და არღარა ლამოდა სიკუდილსა მეფისასა. ხოლო მსახურნი მეფისანი ეტყოდნენ მეფესა: „აჰა თავისუფალ ხარ, ვივლტოდეთ“. არამედ მეფე მიუგებდა: „იცით, რამეთუ არავის ძალ-ედვა შეპყრობა ჩემი, გარნა დავსდევ სული ჩემი, ერისა ჩემისათჳს“, და აწ თუცა წარვიდე, კუალადცა მოისრვიან უბრალონი“.

მერმე კუალად მოვიდა ხუტლუ-ბუღა და მოართვა ამბავი ყეენსა ნარინ დავითისა მიერ მიცემა ძისა თჳსისა მეფედ. ამისთჳს ბრძანა ყეენმან კურთხითა ცემა მეფისა და სხეს რა, არღარა ჰგონებდნენ სიკუდილსა მეფისასა, რამეთუ რომელთა ჰგუემდიან, არღარა მოაკუდინებდიან; გარნა არა დასცხრა გულისწყრომა ბოროტებისა და მოიწივნენ მტარვალნი, რათა წარკუეთონ თავი მეფესა. ამისი მცნობელი მეფე ეზიარა ჯორცსა და სისხლსა მჴსნელისა ჩუენისასა ჴელითა აბრაამ კათალიკოზისათა. მერმე აღსუეს ცხენსა ზედა და განიყვანეს ვიდრე ერთს უტევანსა და მცირედისა ლოცვისა შემდგომად მოჰკუეთეს თავი მეფესა ბილწთა მათ, ქ˜სა ჩ˜სპთ, ქართულსა ფ˜თ. იყო ჟამი ი˜, დღე შაბათი, მარხვისა მესამე, თთუე მარტი ი˜ბ. ამისთჳს ეწოდა თავდადებული.

1-29 სტრ., 237
ეჰა საკჳრველი, რამეთუ დაბნელდა მზე ვიდრე მწუხრადმდე, რომლითა განჰკჳრდებოდნენ ყოველნი წარმართნი, რათა საცნაურ

იქმნას, რამეთუ პატიოსან არს წინაშე უფლისა ცხებული უფლისა! არამედ შეუდგნეს სიბოროტე და მოიცვეს ძე დიმიტრი მეფისა დავით, რომელი მეფემანვე ჩაიყვანა თჳსთანა უმეტეს ნდომისათვის, რათა მოკლან იგიცა. მაშინ იდუმალ მივიდა მღუდელი მოსე ტაჩარ ნოინის წინაშე და აუწყა დავითის სიკუდილი, ხოლო იგი შევიდა წინაშე ყეენისა და ევედრა და ყეენმანცა მიანიჭა ტაჩარს დავით და ზრდიდა იგი ჟამამდე. არამედ გუამი მეფისა დიმიტრისა დასცვეს მრავალდღე. მერმე კათალიკოზმან და მოსე მღუდელმან მოიყიდეს კაცი და მოიპარეს გუამი მეფისა და ჰპოეს მეთევზური განგებითა ზენათი ტფილისელი: შთავიდეს ურემსა მისსა და წარმოაგზავნეს ტფილისს. ხოლო დავით დაშთა ტაჩარ მოინისა თანა და სხუანი ცოლშვილნი მიმოიბნივნენ მანუელ და ვახტანგ. ხოლო სორღალ წარვიდა მამისა თჳსისა სახლსა და წარიყვანა ძენიცა თჳსნი ბაადურ და იედიგარ. ესრეთ აღსრულდა თქმული ბასილისა, რომელი უწინასწარმეტყუელა მეფესა.

შემდგომად მოუწოდა ყეენმან ხუტლუ-ბუღას და ეტყოდა: „აჰა მოვსრენ მტერნი ჩემნი და მტერიცა შენი მეფე. აწ მოიყვანე ვახტანგ ძე დავითისა და განაგებდე ქართლსა, ვითარცა გენებოს“. წარმოვიდა ხუტლუ-ბუღა; ხოლო ნარინ-დავით ქვიშხეთს მინდორსა ზედა და მიეგებნენ მუნ ნოინი და ყოველნი წარჩინებულნი ქართლისანი. ყვეს ფიცი და შემდგომად წარავლინა ძე თჳსნი ვახტანგ და წარატანნა დიდებულნი იმერნი, და ქართველნი წარჰყვნენ სრულიად. მისრული ვახტანგ წინაშე ყეენისა შეიყუარა ყეენმან ფრიად შუენიერება-ახოვნებისა მისისათჳს და მოსცა დაჲ თჳსი ოლჯათ ცოლად და საქართველო სამეფოდ; წარმოგზავნა და მოვიდა ტფილისს. შემოკრბნენ კათალიკოზ-ეპისკოპოზნი და დიდებულნი, აკურთხეს მეფედ და დასუეს ტახტსა ზედა ქ˜ესა ჩ˜სპთ, ქართულსა ფ˜თ.

1-27 სტრ., 238

ჲ˜ზ მეფე ვახტანგ გ˜ წელი მეფა

ამან ვახტანგ დაიპყრა კარნიფორითგან დარუბანდამდე, თჳნიერ ბექა ჯაყელისა. არამედ იყო ესე ვახტანგ ყოვლითა სათნოებითა სრული, საღმრთო-სამჴედროთი, და შეიყუარეს ქართველთა თჳსთა მეფეთა გუარობისათჳს. ამან ვახტანგ აღიყვანა ხუტლუ-ბუღა პატივსა ათაბაგობისასა. ხოლო დავით, ძე დიმიტრისა, დაშთა თათართა შინა და დედა დავითისა იყო სკჳრეთს და სხუანი ძენი დიმიტრისანი მიმოიბნივნენ. ხოლო გირგის ზრდიდა პაპა თჳსი ბექა ჯაყელი.

მერმე გარდაჴდა რა წელიწადი, შეედგა სენი არღუნ-ყეენსა და

იქმნა განრღუეული; ამისთჳს ინება ყეენმან და ყოვლითა ნოინთა და-
ვით დიმიტრის ძის გამეფება ქართლს. არამედ არა ჰყვეს ქართველთა
ერდგულობისათჳს ვახტანგისა, რამეთუ ფრიად უყუარდათ, და მერმე
მისცეს დავითს ადგილ-ადგილთა სოფლები. ხოლო განგრძელდა
რა არღუნ-ყეენის განრღუეულება, მოეწყინათ ნოინთა და მოაშთვეს
არღუნ-ყეენი მასვე დღესა წელიწდისასა, რომელსა შინა მან მოკლა
მეფე დიმიტრი და დასუეს ქეღთუქონ ძმა არღუნ-ყეენისა. და კუა-
ლად მოსწყდნენ წელიწადმდე ყოველნი განმზრახნიცა, რომელნი
იყვნენ და ერივნენ სიკუდილსა შინა დიმიტრი მეფისასა. ამან ქეღთუ-
ქონ ყეენმან შეიყუარა მეფე ვახტანგ, ჰგონა არღუნ განრღუეულე-
ბა სიკუდილისათჳს დიმიტრი მეფისა; არამედ შემდგომად სამისა
წლისა მეფობისა შეედვა სენი ვახტანგ მეფისა და მოკუდა ქ˜ესა
ჩ˜სჟბ ქართულსა ფ˜იბ. ხოლო ესმა რა მეფესა ნარინ-დავითს სიკუ-
დილი ძისა თჳსისა, დამძიმდა ფრიად და დასნეულდა მიერითგან.
შემდგომად მოკუდა იგიცა ქ˜სა ჩ˜სჟგ, ქართულსა ფ˜იგ.

შემდგომად ნარინ დავითისა მიიღო უხუცესმან ძემან მისმან
კონსტანტინე მეფობა, არამედ ამას წინააღუდგა უმრწამესი ძმა მისი

მიქელ და დაიპყრა მიქელ რაჭა და არგუეთი და დღეთა მათთა აქუნ-
დათ შლილობანი და შფოთნი და არაოდეს ჰყვეს მშჳდობა. ხოლო
დაჯდა რა ქეღთუქონ ყეენად, განგნენ საბერძნეთს ტონღუზალო,
რამეთუ ჰგონეს უცალოება ყეენისა. ამისმან მსმენელმან ქეღთუქონ-
ყეენმან მოუწოდა სპათა თჳსთა და ძესა დიმიტრი მეფისასა დავითს
და მთავართა ქართლისათა; არამედ ტახტი და ცოლშვილნი შეავედ-
რა ელგინ-ნოინსა და ხუტლუბუღას და დაუტევნა ქართველნიცა მუნ
მათ თანა, ვინაჲთგან ეჭვობდა გამოსვლასა ბექასსა. ხოლო თჳთ
წარვიდა სპითა და დავითცა მის თანა. მისრულთა ტონღუზალოს
მოადგნენ ქალაქსა და ჰბრძოდნენ ოთხ თთუე. მერმე დავით და მცი-
რედნი ქართველნი მისთანანი შეუჴდნენ და წარუღეს ქალაქი. ხოლო
მაშინ მუნ მყოფნი ქრისტიანენი მიკრებულ იყვნენ ყურესა ერთსა ქა-
ლაქისასა და ევედრებოდნენ დავითს, ხოლო დავით დაუდგინნა მათ
მცველნი, თჳთ უურვა წინაშე ყეენისა და ათავისუფლნა იგინი, ხო-
ლო სხუათაგან აღიღეს ალაფი და საჭურჭლე დიდი და ხარკი და წარ-
მოვიდნენ.

არამედ მუნ ყოფასა შინა ფარეჯან ოვსთა მეფის ძისასა იწყეს
ოვსთა ოჴრებად და ტყუევნად ქართლისა და ქალაქი გორი მოსტყუ-
ევნეს და დაიპყრეს თჳთ. ამისთჳს შემოკრბნენ ყოველნი ერისთავნი
ბექა აჰმადის ძის წინაშე და მოადგნენ გორს და მრავალნი ოვსნი
მოსწყდნენ და ქართველნი, და დაწვეს ქართველთა გორი. არამედ

მისჭირდათ ოვსთა და წარავლინეს ციხიდამ კაცი მუხრანს მდგომს თათართა თანა, რათა შეეწიონ. მაშინ თათარნი შუამავალ იქმნენ და ჰყვეს ზავი და მიერითგან შეიქმნა მტერობა ოვსთა და ქართველთა შორის, ვიდრე გიორგის მეფის ბრწყინვალისამდე, რომელმან განასხნა.

ხოლო მოსრულმან ქელთუქონ-ყეენმან მოუწოდა დავითს და მისცა მეფობა და ქართლი მსახურებისათჳს მისისა. და წარმოავლი-

1-25 სტრ., 240
ნა ტფილისს და მოსცნა ყოველნი დიდებულნი საქართველოსანი, რომელიცა ეპყრა მამასა მისსა დიმიტრი მეფესა.

ხოლო მოსრულმან დავით მოუწოდა ბექას სამცხიდამ, გარნა იგი განდიდებულ იყო ფრიად, არა წარვიდოდა წინაშე ყეენისა და არცა მეფისა თანა, არამედ წარმოუგზავნა ძე თჳსი უხუცესი სარგის და ყოველი საჭურჭლე დიმიტრი მეფისა და სარტყელიცა იგი ძჳრფასი და ძღუენი დიდძალი. შემდგომად შემოკრბნენ კათალიკოზი, ეპისკოპოზნი და დიდებულ-წარჩინებულნი, აკურთხეს მეფედ, ტფილისს დავით ქ˜სა ჩ˜სჟდ, ქართულსა ფ˜იდ.

ჲ˜Ჩ მეფე დავით ი˜ვ წელი მეფა

ხოლო ამან დავით დაიპყრა საქართველო, მამისა თჳსისა ნაქონები ყოველი, თჳნიერ ბექა ჯაყელისა, არამედ ბექა ნიჭითა და მსახურებითა პატივ-სცემდა, კუალად მოსცა ყეენმან დავით მეფესა დაჲ თჳსი ოლჯათ ცოლად, რომელი ჰყვა მეფესა ვახტანგს ცოლად. ხოლო ამ ჟამთა თუცა მსახურებდა ფარეჯან ოვსთა მთავარი დავით მეფესა, არამედ მტერობა აქუნდათ ოვსთა და ქართველთა. მაშინ მოვიდნენ ოვსნი სახელით სათხის და უზურბეგ სავაჭროდ ტფილისს, ხოლო უკუნქცეულთა ამათ მისცეს დრამა გლახაკსა, რათა ევედროს ღმერთსა, რომელ სურამელის რატისა და მათი ჴრმალი დღეს შეიყაროს ბრძოლად. არამედ წარვლეს რა მცირედ, ემთხვიათ რატი უსაჭურველოდ და დაუდგათ რატი იწროსა წყლისასა. მიეტევა რატის სათხისი, ხოლო რატიმ უხეთქა მუზარადსა, განუპო თავი ორად და ჩამოვარდა სათხის. ამისი მხილველი უზურბეგ მიუჴდა რატისვე. სცა მასცა რატიმ ჯავშნოსანს მჴარსა და მოჰკუეთა მჴარი და სხუანი მლტოლვარენი მოსწყჳდნეს მონათა რატისათა და დაამჴო ღმერთმან ამპარტავნება ოვსთა მათ ესრეთ.

1-24 სტრ., 241
ხოლო აჰმად ყეენის ძემ თუქალ მოკლა ქელთუქონ-ყეენი და მრავალნი ნოინნი მოსწყჳდნა მის თანა და დაჯდა თჳთ ყეენად და

დაიპყრნა ყოველნი საყეენონი. ამან მიუწოდა დავით მეფესა და წარვიდა დავით. მისრულნი შეიყუარა ფრიად დავით მეფე თუქალ-ყეენმან და ყვეს ორთავ ფიცი და აღთქმა სიყუარულისა. შემდგომად გამოუტევა დავით და მოსცა დბანისი, რომელი აქუნდა ძესა მანგასარისასა. შემდგომად მცირედისა ჟამისა ნოინნი ლტოლვილნი თუქალ-ყეენისაგან, დიდის არღუნის ძე ნავროზ და ალიყანის ძე ყურუმჩი, რომლისა მამა მოეკლა თუქალ-ყეენსა, მივიდნენ ხუარასანს წინაშე ყაზანისა არღუნ-ყეენის ძისა, რომელსა აქუნდა ხუარასანი, რათა მოკლან თუქალ-ყეენი და ყაზან ყონ ყეენად. წარმოემართნენ ესენი თუქალ-ყეენის ძმასა ბაადოს ზედა. მაშინ ბაადოს შეიკრიბნა სპანი და თუქალ-ყეენიცა წარვიდა სწრაფად; არამედ დავით მეფე არა მოიცადეს და დაიცვა ღმერთმან შფოთისა ამისგან. მიეგებნენ ესენი ზანგანს და ყვეს ბრძოლა ძლიერი და ვერა რომელმან აჯობა, რამეთუ ყაზან მუნ არა იყო; ხოლო ნავროზ შეიპყრეს და მოართუეს თუქალ-ყეენსა და ყაზან უკუნქცეული წარვიდა კუალად ხუარასანს. მაშინ ნავროზ ევედრა თუქალ-ყეენსა განტევებისათჳს და აღუთქუა ფიცით წარმოგზავნასა შეკრულისა ყაზანისასა, ესე ირწმუნა თუქალ და განუტევა ნავროზ; ხოლო მისრულმან ნავროზ წინაშე ყაზანისამან შეკრა საბლითა ქუაბი და წარმოუგზავნა თუქალ-ყეენსა, ვინაჲთგან ყაზან ქუაბსა ეწოდების თურქულად, და აღუსრულა ფიცი. დაუმძიმდა თუქალ-ყეენსა ფრიად ესრეთი მომცბიეროზა ნავროზისა.

1-28 სტრ., 242
შემდგომად კუალად წარმოემართა ყაზან და დაესხა უგრძნეულოდ უჟანს ბაადროს, შეიპყრა იგი და მოაშთო და მრავალნი ნოინნი მისთანა. მცნობელი თუქალ-ყეენი ბაადოს ძმისა თჳსისა სიკუდილისა განივლტო და მოვიდა სამცხეს ბექასას და შვილნი წარავლინნა დავით მეფისა თანა. მოსრულმან ყაზან თავრიჟს მოუმცნო დავით მეფესა და ბექას, რათა მისცენ თუქალ-ყეენი. ესე მრავალგზის მოუმცნო ყაზან, არამედ ამათ არა მისცეს, გარნა უურვეს, რათა შეუნდოს. ხოლო ყაზან მოსცა ფიცი და ბეჭედი და მისცეს ამათ თუქალ-ყეენი.

ამისი მცნობელი ყურუმჩი დაესხა ნაჴიდურს დესპანსა მას, რომელსა მიჰყვანდა თუქალ. წაჰგუარა თუქალ-ყეენი და მოკლა იგი ბაადურ ძმისა თჳსისა სიკუდილისათჳს. მერმე მისცა მეფემან დავითცა შვილნი თუქალისანი ყაზანს და საჭურჭლე, რომელი იყო ციხესა ატენისასა ბარებული ფარეჯან ოვსთა მეფისა; და იმადლა ესენი ყაზან-ყეენმან დიდად; არამედ მეფე ვერ გულდებულ იქმნა წარსლვად მისთანა სიყუარულისათჳს თუქალ-ყეენისა; გარნა აქუნდა სხუაცა შიში ნავროზისა, რომელი იყო მტერი ყოველთა ქრისტიანეთა და

დაატევებინებდა რჯულსა ჭეშმარიტსა თჳნიერ ყაზან-ყეენისა, ამის-
თჳს ბოროტადცა წარსწყმდა. ხოლო ესე ნავროზ განდიდნა ფრიად
და იწყო მტერობა ქრისტიანეთა და მოაოჯრებდა ეკლესიაბთა თავ-
რიჟისათა. ამანვე მოიყვანა ეპისკოპოზი მარადისა სარწმუნოებით
ნასრი, რომელი იყო კაცი სახიერი სათნოებიანი და აიძულებდა და-
ტევებად რჯულისა; არამედ იგი ახოვნად წინააღუდგა და დაითმინ-
ნა ყოველნი სატანჯველნი. ხოლო შემდგომად მისა ჰყო ექსორიად,
რამეთუ იყო ფრიად მოხუცებული და პირველთა ყეენთაგან მამად
ჴმობილი. კუალად წარმოგზავნა ნავროზ, რათა მოაოჯრონ პირვე-
ლად ეკლესია ვარძიისა და შემდგომად ყოველნი ეკლესიანი საქარ-
თველოსანი, და სამკაულნი მათნი გამოიღონ, რამეთუ ჰგონებდა

1-26 სტრ., 243
უუმრავლესსა სიმდიდრესა; ხოლო წარმოვლინებული მოიწია რა ნახ-
ჭევანს, შურ-აგო ვარძიისა ღვთისმშობელმან, ეცა მას მეხი და გან-
გალა, რამეთუ ვერა-რაჲ ჰპოვეს მისი. შემდგომად მოიწია ნავროზს
ზედაცა რისხვა ღმრთისა და განუწყრა ყეენი ყაზან უსამართლოები-
სა მისთჳს, ვინაჲთგან ყაზან-ყეენი იყო ფრიად სამართლიანი და
მოყუარე სამართლისა. რამეთუ განება საბელი ეჟვნებ-სხმული ახ-
ლოს თჳსსა და წუერი საბლისა გარეთ ზღუდისა მისისა. ამას ყო-
ველნი დაჭირვებულნი განანძრევდნენ. მყის გამოვიდის ყეენი, უსმი-
ნის და აღესრულის სამჭირნონი და ივლტოდა ნავროზ ხუარასანს.
მიეწია მას ხუტლუ-ბუღა და მოსწყჳდნა შვილით და სახლეულით, და
მოისპო საჴსენებელი მისი. შემდგომად მოუწყო ყაზან-ყეენმან და-
ვით მეფესა ურდოსა შინა და მსმენელი დავით მსწრაფლ განემზადა
წარსლვად და მივიდა ჰერეთს. შემოკრბნენ მუნ ჰერ-კახნი და სხუა-
ნი წარჩინებულნი ყოველნი. მაშინ დავით განიზრახვიდა, რათა წარ-
ვიდეს ურდოსა ანუ თუ უკუ-დგეს. არამედ განმზრახთა ყოველთა
განუზრახეს წარსლვა ურდოსა. გარნა მეფემან არა ინება და არცა
უსმინა და უკუნ-იქცა, რამეთუ შიში რაჲმე აქუნდა თათართაგან
დიდი და შეკრა ჟინვანს სიბა და თჳთ მეფე გარდავიდა მთიულეთს
და წარავლინა ძმა თჳსი ვახტანგ ბათო-ყეენის შვილის-შვილისა
თანა და უქადა გზა ყაზან-ყეენსა ზედა. ხოლო მან ვახტანგ კეთი-
ლად შეიწყნარა და აღუთქუა ქუეყანა და საჭურჭლე. არამედ ვითარ
სცნა ყაზან-ყეენმან დავით მეფის უკუ-დგომა, წარმოავლინა ხუტ-
ლუ-ბუღა სპითა დიდითა ტფილისს. მოსრულმან ხუტლუ-ბუღამ მი-
გზავნა დავით მეფისა თანა და აძლევდა ზავსა, რათა იყოს ერთგულ
ყაზან-ყეენისა და არცა მიიქცეს მტრისა მიმართ. ხოლო მეფემან წა-
რუვლინა კათალიკოზი აბრაამ და ბურსელი იოვანე და ყადი ტფილი-

1-27 სტრ., 244
სისა, ითხოვა ფიცი და მძევალი. მსმენელმან ხუტლუ-ბუღამ მოსცა

ფიცი და ბეჭედი ყეენისა და მძევლად ხუტლუ-ბუღას შვილი და სხუ-
ანი ნოინნი უვნებლობისათჳს მეფისა. ამისთჳს მოვიდა მეფე და-
ვით, და ნახნა იგინი და აღუთქუა მათ წარსლვა წინაშე ყეენისა;
ამის მიერ პატივ-სცა ხუტლუ-ბუღამ მეფესა და განუტევა; არამედ
მეფე მივიდა რა ჟინვანს, გამოუტევნა მძევალნი ნიჭითა დიდითა და,
ვითარ მოიწია გაზაფხული, კუალად აწვივეს დავით მეფე, არამედ
არა ინება წარსლვად ყაზან-ყეენისა თანა და კუალად წარგზავნა
ძმა თჳსი ბაადურ ორხან-ყეენისა წინაშე და ითხოვა შეწევნა. ამის-
მან მცნობმან ყაზან-ყეენმან წარმოავლინა იგივე ხუტლუ-ბუღა სპი-
თა დიდითა. ესე მოვიდა სომხითს და მიუწოდა დავით მეფესა, ხო-
ლო მეფემან წარმოუვლინა კათალიკოზი, ბურსელი და ყადი; არა-
მედ იგრძნეს თათართა, რამეთუ მიზეზობს დავით მეფე და არა მო-
ვალს ჩუენ თანა. წარმოვიდნენ და მომართეს მთიულეთს, მოაოჴ-
რეს სომხითი, ქართლი, ერწო-თიანეთი და დადგნენ მუხრანს და
ხერკს და ერწო-თიანეთს და ბაზალეთს, და სტყუევნიდიან, სადა ვის
მოაჴელიან ამათ ზემო-ჴსენებულთა ადგილებთა შინა ცოდვათა
ჩუენთათჳს.

ხოლო ჟამსა ამას გამოჩნდა ვარსკულავი კჳმატი ლახურის
მგზავსი ჩრდილოთ კერძო ოთხ თთუე მყოფი. იტყოდნენ ლახურის
მომასწავებელ არსო ქ˜ესა ჩ˜სჟჱ, ქართულსა ფ˜იჱ.

არამედ კუალად ინებეს თათართა ზავ-ყოფად, რათა დავით მე-
ფემან არა მისცეს გზა ორხან-ყეენსა, გარნა დავით მეფემანცა წა-
რავლინა ამა პირსა ზედა დედოფალი დედა თჳსი და ოლჯათ ცოლი
თჳსი და ძმა თჳსი მანოელ და კათალიკოზი აბრაამ, რათა იურვონ
საქმე მისი. მაშინ ამათ ზავ-ჰყვეს და მოსცეს მეფესა ტფილისი და
სამეფო თჳსი და წარვიდნენ თათარნი.

1-25 სტრ., 245
ხოლო გაზაფხულს კუალად წარმოავლინა ყაზან-ყეენმან მცნო-
ბელი, რათა სცნას დავით მეფისა ერთგულად ყოფაჲ. და სცნა კაც-
მან მან, რამეთუ წარევლინა დავით მეფესა ბაადურ ძმა თჳსი ორ-
ხან-ყეენის წინაშე; წარვიდა და აუწყა ყაზან-ყეენსა. მაშინ ყაზან
წარმოავლინა ყურუმჩი და ალინჯი და შანშე მჴარგბელი. ხოლო
ამათ მოუწოდეს მცირეს გიორგის, ძმასა დავით მეფისასა, რომელ-
სა ზრდიდა ბექა სამცხისა. რამეთუ ამ ბექას ეპყრა ტაშისკარს ზეით
სპერის ზღვრადმდე; რომლისათჳსცა მიხაილს კეისარს კომნინსა მო-
ეცა ტრაპიზონამდე, რამეთუ ასული ბექასი ცოლად ესუა მას და ესე
ბექა ხარკსა და ლაშქარს აძლევდა ყეენსა, და ჟამად მსახურებდა და-
ვით მეფესაცა.

ამან მოსცა მცირე გირგი, ძე დიმიტრი მეფისა, და ყვეს ესე ტფილისს მეფედ. გარნა თუცა მცირე იყო, არამედ წინათვე დაუსახვიდა ძლიერსა მეფობასა ქ˜სა ჩ˜სჟთ, ქართულსა ფ˜ით.

მერმე კუალად რა მოიწია გაზაფხული, წარმოავლინა ყაზანყეენმან იგივე ხუტლუ-ბუღა და მრავალნი ნოინნი მის თანა. ესენი მოვიდნენ და მოაოჯრნეს ზემორე ჴსენებული ქუეყანანი, უუბორო-ტესად ქართლი. მაშინ ქუენაფლაველი შალვა, რომელი მეფემან დავით აღავსო საბოძვრითა, წარმოვიდა და მოვიდა თათართა თანა და მათ სიხარულითა პატივ-სცეს და განაჩინეს წინამძღუარად და შევიდნენ გზასა ხუარაზმის ჴევისასა და განვიდნენ შორის მთასა ცხაოტისა და ცხრაზმისასა, რომელ არს ლომისა. ხოლო ვითარ სცნა ორგულება ქუენაფლაველისა მეფემან დავით, შევიდა ციკარას და ხუტლუ-ბუღა გარდავიდა ჴადას და მუნიდამ ჴევს და მიჰმართა გელათს, რამეთუ მუნ ჰგონებდნენ მეფესა. მოადგნენ თათარნი სტეფანწმიდას

და ვერ წარიღეს, არამედ ითხოვეს საზრდელი და მისცეს სტეფანწმიდელთა მცირედი. მუნიდამ უკ-მოიქცნენ თათარნი და მოვიდნენ ჴადასვე, რამეთუ ჰყვანდათ წინამძღოლელი ქუენაფლაველი და ოვსთა მთავარი ბაყათარ. მაშინ მეფესა დავითს ციკარას მდგომს აბაზაძემ ჭილამ და აჰმად სურამელმან და აზნაურთა ქართველთა და სომხითარმა უჩვენეს დიდნი ერთგულებანი, რამეთუ განყო ლაშკარი ხუტლუ-ბუღამ და ქუემორე შემომავალთა ცხაოტს მოუჴდნენ სპანი მეფის დავითისანი მცირენი მას ხუთასნი ოდენ რომელნიმე მოსწყჳდნეს და სხუანი მეფესა მოართუეს. მერმე გამოუჴდნენ ჴადისთავს გორასა ზედა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოისრვოდნენ თათარნი, რამეთუ დიდს ავნებდნენ მთიულნი ფერჴმალობითა. გარნა შეეწეოდნენ ფრიადს მესხნი, რომელნი წარმოევლინა ბექას მეფისათჳს. არამედ მწუხრსა უშუელა ღმერთმანცა მეფესა და ცხაოტს შესრულნი თათარნი ივლტოდნენ და ხუტლუ-ბუღასაცა დიდი ევნო. გარნა მცნობი ხუტლუ-ბუღა სიმაგრის შეუვალობისათჳს აიყარა ღამით და დაესხა ქართლს და მოსწყჳდნეს სადა ვინ მოიჴელთეს და ტყუეჰყვეს, და წარვიდა ხუტლუ-ბუღა წინაშე ყაზან ყეენისა.

შემდგომად კუალად მოვიდა გაზაფხულს იგივე ხუტლუ-ბუღა. ამისნი მცნობელნი, შეუშინდნენ ყოველნი ამის ქუეყანისანი და შეკრბნენ მეფისა თანა ქართველნი და ჰერ-კახნი და განუზრახეს, რათა წარვიდეს წინაშე ყეენისა, ვინაჲთგან სარწმუნო კაცი არს ხუტლუ-ბუღა და ვიცით მის მიერ არა-რაჲ გევნებისა. უსმინა მეფემან მათ და დაასკუნა წარსლვა თათართა თანა და იყო ამისი შუამავალი ბურსელი იოვანე ხუტლუ-ბუღას თანა ხოლო ხუტლუ-ბუღამ

განიხარა და აღუთქუა ფიცით უვნებლობა მეფისა და დაცვა ქუეყ-
ანისა. არამედ კუალად არა წარვიდა მეფე, ვინაჲთგან აქუნდა შიში დი-

1-29 სტრ., 247
დი რაჲმე თათართაგან; გარნა ნება-სცა წარჩინებულთა მისლვა თა-
თართა თანა და მივიდნენცა უმრავლესნი და თათართა პატივით შე-
იწყნარეს იგინი, არამედ მოაოჴრეს ზემოჴსენებულნი იგინივე ქუე-
ყანანი კუალად მთიულეთამდე და წარვიდნენ თათარნი. ხოლო ჩა-
მოდგა მეფე დავით სთველსა შინა ცხაოტს და აოჴრებდა მამულსა
ქუენაფლაველისასა. ამისი მხილველი და უღონო-ქმნილი ქუენაფლა-
ველი ევედრა ქართლის ერისთავსა აჰმადს, რათა უურვოს მეფისა თა-
ნა. მის მიერ მოჴსენებულმან მეფემან მიანიჭა მასვე აჰმადს ქუენა-
ფლაველი. მაშინ ქუენაფლაველმან შალვამ გარდაიყარა თავსა ნაცა-
რი ესრეთ მეტყუელმან: „ესემცა არს მისაგებელი მეფეთა ორგულ-
თა“. ამისთჳს მიუტევა მეფემანცა შეცოდებანი. ხოლო მეფესა და-
ვითს შეეპყრა ძმა თჳსი ვახტანგ მცირესა რასმე ზედა და პყრობილი
ჰყვა ჟინვანს ციხესა შინა. ესე განევლტო და მივიდა ბურსელისა თა-
ნა, ევედრა, რათა უურვოს მეფისა თანა უვნებლობისათჳს და მცი-
რედისა სარჩოს მიცემისათჳს და, უკუეთუ უქმნას ესე მეფემან, არა წარ-
ვიდეს ურდოსა. ამან ბურსელმან აცნობა ესე მეფესა, ხოლო მეფემან
განიხარა და აღუთქუა ფიცით უვნებლობა და სარჩო. ამით პირითა
მოვიდა მეფისა თანავე ვახტანგ, არამედ არარაჲთ კეთილად იპყრობ-
და დავით მეფე, ვინაჲთგან ვეხტანგს ესუა ცოლად შაბურის ძმის
ასული; ამის გამო უპატიო ჰყოფდა მეფე.

მხილველი და უიმედო ვახტანგ წარმოვიდა კუალად დავით მე-
ფისაგან და მივიდა ყაზან-ყეენის წინაშე. მან პატივ-სცა წარმო-
ატანა ხუტლუ-ბუღა, მოსცა მეფობა ვახტანგს და მოვიდნენ ტფი-
ლისს თათარნი, ქართველნი და სამცხის ბექას ძე.

ხოლო სცნა რა ესე დავით მეფემან, წარმოუვლინა კუალად ბურ-
სელი ზავისათჳს და, უკუეთუ მოსცენ ფიცი, წარვიდეს ურდოსა. ხო-
ლო ხუტლუ-ბუღამ აღუთქუა ფიცით. ამისთჳს წარმოავლინა მეფე-
მან ოლჯათ ცოლი თჳსი, კათალიკოზი და ბურსელი, და აღუთქუა
ფიცით მისლვა ურდოსა, მოეგება ხუტლუ-ბუღა ოლჯათს და ვითარ-

1-28 სტრ., 248
ცა ყეენსა პატივ-სცა და კუალად წარმოუვლინა დავითს ფიცი და
ჴელმანდილი ყეენისა, რომელიცა წესი აქუნდათ მინდობისათჳს და
ოლჯათ არღარა.
ესე მიზეზ-ჰყო დავით მეფემან ოლჯათის მიუსვ-
ლელობა და მიუმცნო: „უკუეთუ მომცეთ ოლჯათ, მოვიდე ურდოსა“.

ამას ზედა განრისხნა ხუტლუ-ბუღა მცბიერობისათჳს ესრეთიცა, შეიპყრა ბურსელი მეტყუელმან: „კაცო, რაჲ არს სატყუარი? მე ფიცით დაგიმტკიცე და არა ინებეთ“. და მოჰკუეთა თავი ბურსელსა და ოლჯათ წარიყვანეს თათართა. ხოლო ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა ქ˜სა ჩ˜ტა, ქართულსა ფ˜კა და შემოვიდნენ მთიულეთს.

არამედ მეფე დავით იყო გელათს, განრა თათართა დიდ-დიდთა ავნებდნენ მთიულნი; გარნა სიმრავლითა არა-რაჲ აკლდებოდათ. შემდგომად მკსინვარებისაგან და სიმაგრისათჳს ქუეყანისა უკ-მოიქცნენ თათარნი და მოსწყუედდნენ მრავალთა თათართა და უმეტეს ზანდუკლის ჴევს მოსწყჳდნეს. ჩამოვლეს ქართლი, წარვიდნენ და მიგვარეს ოლჯათ ყეენსა.

გარნა ესოდენთა შლილობათა შ˜ა არა იყო თესვა და მკა და უმეტესნი მოსწყდებოდნენ გლეხნი სიყმილითა და წარმოვიდოდნენ სამცხეს, რამეთუ მუნ იყო მცირედი საზრდელი, რომელთა გამოზრდიდნენ ბექა და მეუღლე მისი ვახახი.

ჲ˜თ. მეფე ვახტანგ. გ˜ წელი მეფა

ხოლო დაჯდა რა მეფედ ვახტანგ, ძე დიმიტრისა, ამას მოსცეს ყოველი საქართველო; არამედ არა წინა აღუდგებოდა ძმასა თჳსსა დავით მეფესა, რამეთუ იყო ღვთის მოშიში, სამღუდელოთა პატივისმცემელი, მოწყალე და ყოვლითა კეთილითა სრული და არავისი მოშურნე. ამის ჟამსა შინა უმეტეს განდიდნა ბექა სამცხის სპასალარი. ხოლო მეფემან დავით იხილა, რამეთუ არღარა მოსცემენ ოლჯათს თათარნი, მოიყვანა აჰმადის ასული, ქმნული ფრიად კეკლუც-სახოვანი, კეთილი და იქორწინა მის ზედა ქ˜სა ჩ˜ტბ, ქართულსა ფ˜კბ.

1-26 სტრ., 249
ამასვე ჟამსა გამოჩნდნენ თურქნი, რომელთა მთავარი იყო აზატ-მოსე. ესენი დგიან ზაფხულ მთასა პარხალისასა და ზამთარს პონტოს. ესე აზატ-მოსე წარმოვიდა მოოჯრებად ყოვლისა საქართველოსა და მოიწია ბასიანს და ტაოს და იწყო ოჯრებად მძჳნვარედ, რამეთუ ჩცვილთა დედათა ძუძუთა მოკიდებულთაცა მოჰკლვიდიან, გარნა სხუათა გაღანამცა უმეტეს მოსრვიდნენ. ამათ მოსწყჳდეს ტაო, ვინაჲთგან ტაოელნი არა ჰგონებდნენ მოსვლასა მათსა და შეუძრველად იმყოფებოდნენ. კუალად ჩამოვიდნენ მუღრისს და ნიგალის-ჴევს, მოსრეს აზნაური ხერხეულიძე, არამედ ტაოს ერისთავმან თაყა ფანასკერტელმან ბრძოლა უყო მათ თორთომის ციხისძირს მცირედითა სპითა და ავნო დიდი; გარნა სიმრავლისაგან თურქთა ვერ განასხნა. ამისმან მცნობელმან ბექამ შეიკრიბნა სპანი და წარვი-

და; არამედ ვერღარა ეწია, რამეთუ უკუნქცეულ იყვნენ თურქნი. ესე დაუმძიმდა და უკუ-მოიქცა ბექაცა. გარნა შემოიკრიბა ყოველნი შავშნი, კლარჯნი, მესხნი და თჳსქუეშე დაწესებულნი და ეტყოდა: „ერთსჯულნო და ერთპირნო, ისმინეთ, რამეთუ სკიპტრის-მპყრობელმან მეფემან დავით ოდითგან განასხნა თურქნი საზღვართაგან საქართველოსათა და არღარა ვის გვიხილავს ამის ჟამისამდე; ხოლო აწ ცოდვათა ჩუენთათჳს გამოჩნდნენ და მოსწყჳდნეს ტაო, რამეთუ ვინაჲთგან არღარავინ არს მეფე ჩუენი მძლავრებისაგან თათართა, რომელიცა გვიძღოდეს ჩუენ, და დავრჩომილვართ მარტოდ, რამეთუ მთავარნიცა საქართველოსანი და ქუეყანანი განდგომილნი არიან თჳს-თჳსად, აწ ამისთჳს მნებავს, რათა შევიკრიბნეთ და შევიწიოთ ღმერთი და შურ-ვაგოთ მტერთა ჩუენთა ძალითა ჯუარისათა“.

მაშინ მსმენელთა მესხთა განიხარეს და აღუთქუეს მზა-ყოფად.

მერმე მოიწია ზაფხული და მოვიდნენ თურქნი. მაშინ მოუწოდა ბე-

ქამ ტაშისკარიდამ ბასიანადმდე და შეკრიბნა ი˜ბ ჩ˜ (12.000) მჴედარნი და მიმართა თურქთა; ხოლო თურქნი აღმოსრულ იყვნენ მთასა პარხალისასა და წარმოევლინნეს მჴედარნი ტყუენვად ვაშლოვანისა და თჳთ ლამოდნენ მისლვად სამცხესა, ხოლო მოვიდნენ ი˜ ჩ˜ (10.000) მჴედარნი ვაშლოვანს და წინა-განეწყუნენ მათ ხუთასნი ბექას მჴედარნი სიმაგრეთა შინა, ბრძვეს ძლიერად და აოტნეს თურქნი; არამედ აზატ-მოსემ არა რაჲმე იცოდა ბექასი და მცნობელმან ბექა გაქცევისათჳს თურქთა წარისწრაფა და მიმართა სპერს და შამბერდს, სადაცა იყვნენ თურქნი; ხოლო აზატ-მოსემ უცნობელმან ბექასმან გამოირჩია ლ˜ჩ˜ (30.000) მჴედარნი და წარმოვიდა ვაშლოვანს და დანაშთუნებულთა სპათა ეტყოდა: „თქუენ მივედით ტაოს და ნეშტი მოსწყჳდეთ მუნ და მე მოვიდე გამარჯვებული ბანას. მერმე იქიდამ წარმოვიდეთ ქართლს“. რამეთუ მრისხანებდა მოწყუედისათჳს სპათა თჳსთა ვაშლოვანს. არამედ მიმავალთა ბექას მეწინავეთა ემთხვივნენ ოთხნი თურქნი, შეიპყრეს იგინი და მოართუეს ბექას და ჰკითხვიდნენ ამბავსა; ხოლო იგინი უთხრობდნენ წინთქუმულთა აზატ-მოსეს განმზადებასა. ამისმან მცნობელმან ბექამ განყო ლაშკარი თჳსი და ურჩეულესი მისცა ძესა თჳსსა პირმშოსა სარგისს და წარგზავნა ვაშლოვანს; და თჳთ წარვიდა მუნვე თურქთა ზედა. მოსრულთა თურქთა ვაშლოვანს იხილეს რა მცირე ლაშკარნი, მსწრაფლ მიეტევნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. მაშინ პირველვე ხუთასთა სარგისითა ხუთასი თურქი ჩამოაგდეს რაზმსა შინა და იძლივნენცა თურქნი, რამეთუ ლტოლვილნი ფერჴითა სთრგუნვიდნენ ურთიერთას; არამედ სარგის ბრძოდა ძლიერად, გუარისაებრ ვითარცა მოსდგამდაცა.

ხოლო თურქთა აქეთ რა იხილეს ბექა მიმავალი, მსწრაფლად ივლ-
ტოდნენ და დედაწულნი მათნი მათთანა მთათა, კლდეთა და ღრატე-
თა, რამეთუ დაჰყარნესცა ყოველნი ქონებანი თჳსნი და სპანი ბექას-
ნი მოსწყუედდნენ ურიცხუთა; ხოლო ნეშტი თურქნი შეივლტოდ-

1-27 სტრ., 251
ნენ სპერის ციხესა შინა და ქალაქსა და ნორ-ქალაქსა. არამედ ბექას
სპათა შესჯარნეს იგინი იწროებთა შინა და ვითარცა ცხოვართა
ჴოცდიან და ჰკლვიდიან. ხოლო სარგისის გამოქცეულნიცა თურქნი
ეწივნენ ბექას სპათა; მიიქცნენ და მოსწყჳდნეს იგინიცა; მერმე გა-
რემოადგნენ ქალაქსა სპერს, მცირეს ჟამს აღიღეს ქალაქი თჳნიერ ცი-
ხისა და აღივსნენ ალაფითა, ოქრო-ვერცხლითა, ცხენითა, ჯორითა,
აქლემითა და წარმოვიდნენ გამარჯუებულნი ბექა და ძე მისი სარგის
და მიერითგან ვერღარა იკადრეს თურქთა მოსლვა.

ხოლო შემდგომად მოკუდა ყაზან-ყეენი და დაჯდა ძე მისი ხარ-
ბად ყეენად. და ამან ხარბად-ყეენმან ინება შესლვად გილანს და და-
პყრობა მისი; და მიუწოდა მეფესა ვახტანგს ქართველითურთ და ბე-
ქას სამცხითურთ. ხოლო ბექამ წარგზავნნა სპანი თჳსნი და თჳთ არა
წარვიდა. მაშინ მივიდა ვახტანგ და წარვიდნენ გილანს. მუნ განყო
ყეენმან სპა თჳსი ოთხად: ვახტანგ მეფე დაიპყრა თჳს თანა; ერთ-
კერძ წარავლინა ხუტლუ-ბუღა და სპანი ბექასნი; ერთკერძ ჩოფან
ნოინი და ზოგნი სპანი ვახტანგ მეფისანი და ერთკერძ უსენ-ნოინი და
ოვსნი.

არამედ გილანელთაცა ეგრეთვე ოთხად მომართეს. შეკრეს ხარ-/ხალი და დაუდგნენ
სიმაგრეთა: ერქაბაზ დაუდგა ყეენსა და იქმნა
ბრძოლა ძლიერი, რამეთუ ვახტანგ წინამბრძოლი იყო; არამედ ტყე-
თა და ლამთა და იწროთაგან ძნიად ვიდოდნენ და ყეენი ხარბად თჳთ
სჭვრეტდა, ვითარ მჴნედ იბრძოდნენ ვახტანგ და სპანი მისნი, რამე-
თუ ათისაგან ორნი ძნიად მორჩიან და მოსწყდნენ მრავალნი აზნაურ-
ნი და უმკჳდრო იქმნენ; გარნა არა უკუნ იქცა ვახტანგ და დაიჭრა
თჳთცა მცირედ ბაყუსა ზედა, ხოლო იხილა რა სიმაგრე ყეენმან,
აიყარა ღამე და წარმოვიდა. მოეწივნენ გილანელნი და დიდად ავ-
ნეს. კუალად მეორემან მთავარმან უბაშიმ შეკრა ხარხალი და და-
უდგა ხუტლუ-ბუღას. მაშინ გარდაჴდა ცხენიდამ ხუტლუ-ბუღა, და-

1-29 სტრ., 252
იდგა სკამი და დაჯდა მას ზედა და უბრძანა სპათა ბექასათა მისლვა
. შეუკდნენ მესხნი და სრვიდნენ გილანელთა; არამედ ეცა ისარი ხუტ-
ლუ-ბუღას თავსა შიშუელსა. ჩამოვარდა სკამიდამ და მოკუდა. ამისი
მხილველი ძე მისი ივლტოდა და სპანი მისნი მის თანა და მესხნი დაშ-

თნენ ხარხალსა შინა და მოისრნენ უმეტესნი, ვინაჲთგან გილანელთა ნაბრინჯალთა ჩაეგდოთ წყალი და ვერღარა ვიდოდნენ ცხენნი, ვერცა კაცნი. ეგრეთვე ჩოფანსა განეწყო როსტომ მელიქი ვაკესა ზედა; სძლო მას ჩოფან და არღარა შეჰყვა სიმაგრეთა შინა, და უჩინა სპათა თჳსთა ჯავახიშვილი უკან-მავალად, სადაცა მჴნედ იბრძოდა ჯავახიშვილი და გარდამოვიდა მშჳდობით. ხოლო უსენს და ოვსთა შემოება ისხან და სწორი ძლევა იქმნა და იგიცა გამოქცეული წარმოვიდა. ესენი ყოველნი შემოკრბნენ უჟანს ხარბად-ყეენის წინაშე და განაჩინა ყეენმან ჩოფად მონაცვლედ ხუტლუ-ბუღას ნოინნისა წილ. ხოლო მეფესა ვახტანგს და სპათა მისთა დიდად პატივ-სცა ყეენმან სიმჴნითა მათისათჳს და მისცნა ნიჭნი და ჯილდონი და წარმოავლინნა ქართლს.

ჟამსა ამას მოუჴდნენ ხარბად-ყეენსა კაცნი სარკინოზნი, მტერნი ქრისტიანეთანი, და ეტყოდნენ. „უკუთუმცა არა დაატევებინო ქრისტიანეთა სჯული და არა ჰყო მაჰმადიან და არა მოაოჯრო ეკლესიანი მათნი, ვერაოდეს სძლო მტერთა შენთა და არცა წარგემართოს ჴელმწიფება შენი“. ესე ცბიერება ირწმუნა ყეენმან და წარმოავლინა ნოინი ერთი, რათა დაატევებინოს ქართველთა ქრისტე და მოაოჯროს ეკლესიანი. და ამან ნოინმან იწყოცა შლად ეკლესიათა და მოეწია ნოინი მეფესა ვახტანგს ნახჭევანს სპითურთ. ამისი მსმენელი ვახტანგ არა შეშინდა, არამედ უმეტეს განმჴნდა და განამჴნობდა სპათა თჳსთა მომაჴსენებელი ქრისტეს მცნებათა და აღთქმულთა და მოწამეთა სიმჴნეთა, რათა წარვიდნენ წინაშე ყეენის და მუნ აღიარონ ქრისტე და მოსწყდნენ მისთჳს. მხიარულად უსმინეს სპათა მისთა და წარვიდნენ.

1-27 სტრ., 253
ხოლო მივიდნენ რა წინაშე ყეენისა, განკჳრდა ყეენი მისვლისათჳს მეფისა. მაშინ მეფე ვახტანგ წინააღუდგა დატევებისათჳს ქრისტესა და მოოჯრებისათჳს ეკლესიაბთა. არამედ საქართველოსათაცა უარ-ჰყვეს მოგზავნილი იგი ნოინი. ამისთჳს მოკლა ყეენმან მეფე ვახტანგ ტანჯვითა ანუ ექსორია-ყო სპითურთ და მუნ მოკლა.

ხოლო შემდგომად რისხვითა ღუთისათა სამხილებელ ექმნა სენი ბოროტი ხარბად-ყეენსა, რომელი აიძულებდა ქრისტიანეთა. ამისთჳს უკუნ-იქცა წარმოვლინებული იგი ნოინი და ქართველნი ვახტანგისა თანა ექსორია-ყოფილნი განუტევნა. მერმე მითვე სენითა მცირედისა მოკუდა ხარბად-ყეენი და დააცადა ღმერთმან აღძრვა ეკლესიათა ზედა ამის გამო და დაჯდა ყეენად ულჯათ-სულტანი. ამან ულჯათ-სულტანმან წარმოავლინა ლაშკრითა ურიცხჳთა ჩოფან-ნოინი სამცხის ბექასა ზედა; და კუალად ყოსცა მეფედ ვინმე, ვინა-

ჲთგან უმეფო იყო ქართლი, და დავით მეფე იყო თჳსად უკუ-მდგარი. ესე ჩოფან მოვიდა არსიანის მთამდე და აწვია ბექას; არამედ ბექა არა მივიდა და წარავლინა ძე თჳსი უმრწემესი შალვა, და კუალად ძე დიმიტრი მეფისა გირგი, რომელი წინათცა მეფედ ყვეს, რათა აწ დაუმტკიცონ მეფობა. და რა მივიდნენ ესენი, უკუნ-იქცა ჩოფან სომხეთად და დაშთა ქუეყანა ბექასი მშჳდობით. ხოლო ჩოფან მიიყვანა გიორგი წინაშე ყეენისა და ყეენმან შეიწყნარა და პატივ-სცა; არამედ არა მისცა მეფობა, ვინაჲთგან დავით მეფე იყო უკუმდგარი და სთხოვა დავით მეფესა ყეენმან ძე და მან წარმოუვლინა ძე თჳსი მცირე ურდოსა.

ო˜. მეფე გიორგი დავით მეფის ძე
10 წელი მეფა

ხოლო მისცა ყეენმან ამ მცირესა გიორის მეფობა და ტფილისი, და უჩინა მზრდელად და მოურნედ ძე დიმიტრი მეფისა გიორგი.

1-29 სტრ., 254
ესენი წარმოსულნი მოვიდნენ ტფილისს ქ˜სა ჩ˜ტჱ, ქართულსა ფ˜კჱ. ამასვე წელსა მოკუდა მთავარი სამცხისა ბექა, საღმრთო-საეროთი, სათნოებითა და მოწყალებითა აღმატებული და უმეტეს ვახახი მეუღლე მისი ყოვლითა კეთილითა და დაუტევნა ძენი სამნი: სარგის, ყუარყუარე და შალვა და ამათ სამთა დაიპყრეს სამცხე.

ამისა შემდგომად მესამესა წელსა მოკუდა დავით მეფე მწარისა სენითა გარჯილი ქ˜სა ჩ˜ტი, ქართულსა ფ˜ლ, და დაუტევა ძე თჳსი გირგი ორის წმისა მეფედ ქმნილი.

შემდგომად ინება ყეენმან აღმჴედრებად შამს ციხესა ზედა რაბაშანს, რომელი აქუნდა სულტანსა მისრისასა. მივიდა და მიადგა ყოვლითა ძალითა თჳსითა ხუთ თთუე და ვერარაჲ ავნო მან. მერმე უკმოიქცა და მოგზაურ ჰყუანდა ექუსნი არწივნი დამართულნი, რომლისა ძალი ესოდენი იყო და მოვიდა შინ თავისად. არამედ ამიერით-გან არა სადა ილაშკრა ცამეტ ყეენად მყოფმან.

ამისა შემდგომად კუალად წარმოავლინა ულჯათ-სულტანმან იგივე მცირე გირგი, ძე დავით მეფისა, მეფედ და ზაალ მელქი ხუარასნელი და ხარუნჩი ბიძა ჩოფან-ნოინისა, რათა შეკრიბონ საქართველო გიორგი მეფისად, და ამათ აჩინეს მჴარგრძლი შანშე და ზაქარია ავაგის ასულის ხუაშაგის ნაშობი. ესენი მოვიდნენ კოხტის-თავს და აწვიეს სარგის და ყუარყუარე, არამედ ამათ არა ინებეს გამოსლვა.

ამავ ჟამს განდგა საბერძნეთს კომსი ქალაქი დიდი და ფარსმა-
ნის შვილი. ამისმან მცნობელმან ყეენმან წარავლინა ჩოფან და წარა-
ტანნა მას ქართველნი და წარჰყვა გიორგიცა ძე დიმიტრი მეფისა;
არამედ გოგზალ მელიქ შანშე და ზაქარია არა წარჰყვნენ და შევიდ-
ნენ ტფილისს. ხოლო ჩოფანს მისრულსა ვერ წინააღუდგნენ ფარსამა-
ნის ლაშკარნი. მაშინ ჩოფან მოსცნა ყოველნი მუნ მყოფნი ქართ-
ველნი გიორგის, ძესა დიმიტრი მეფისასა, ჯავახნი და თორელნი; და
სადაცა ბრძოლა ყო გიორგიმ სპითა თჳსითა, მძლეველად გამოჩნდა
ყოველთა ზედა. ხოლო ჩოფან დაიმორჩილნა ურჩნი ერთსა ოდენ

1-22 სტრ., 255
წელსა და მერმე მოიქცა და ჟამსა სთულისასა მოვიდა წინაშე ყეენისა
ჩოფან და დაყო რა თთუე ერთი, მოკუდა ყეენი ოლჯათ-სულტანი.
ამან დაუტევა ძე მუსაით შჳდისა წლისა და ჰყვეს იგი ყეენად. ესე
ესმა რა გიორგის, ძესა დიმიტი მეფისასა, წარვიდა წინაშე ყეენისა.
მისრული ურდოსა იხილა და განიხარა ფრიად ჩოფან-ნოინმან და შე-
იტკბო, ვითარცა შვილი, და მოსცა ყოველი საქართველო და ყო-
ველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და
ძენი ბექა სამცხისანი და მესხნი და წარმოგზავნა ტფილისს. ესე გი-
ორგი მოვიდა და შემოკრბნენ კათალიკოზი, ეპისკოპოზნი და დიდე-
ბულნი წარჩინებულნი და ძენი ბექასნი სამცხე-ტაო-კლარჯ-შავშე-
თითურთ და აკურთხეს ტფილისს მეფედ ქ˜სა ჩ˜ტიჱ, ქართულსა ვ.

ო˜ა. მეფე გიორგი კ˜ჱ წელი მეფა

დაჯდა მეფედ გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა თავდადებულისა, და
დაიწყო მთიებმან აღმობრწყინვებად. ხოლო მე ენისა ვერ ძალ-მიცს
საკჳრველებათა და საშინელებათა თქმად. თუ რაოდენ შუენიერად და
გონიერად განაგებდა და ქმნა ანუ წყობანი და ბრძოლანი, ანუ შემა-
ტებანი სამეფოსანი და ქუეყანისანი; არამედ რაჲ ძალ-გვედგას მოკ-
ლედ ვიტყოდეთ. რამეთუ ამან ბრწყინვალემან გიორგი დაიპყრა სა-
ქართველონი, სომხითი, ჰერ-კახნი, ქართლი, მესხნი, ტაო, შავშ-
კლარჯნი და ვიდრე სპერადმდე და ზღვადმდე. გარნა თუმცა ძენი ბე-
ქასნი ფრიად განდიდებულნი იყვნენ და დაეპყრათ სრულიად სამცხე-
კლარჯეთი, არამედ ვინაჲთგან მოეცნეს მეფესა გიორგის ყეენისაგან,

1-28 სტრ., 256
ამისთჳს ვერღარა ურჩ-ექმნენ ძენი ბექასნი; გარნა ბიძის ძენიცა მე-
ფისანი იყვნენ ამისის განძლიერებისა მცდელნი პირველითვე და სი-
ხარულით მოერთნენ და მორჩილებდნენ მონებრივითა მსახურებითა,
რამეთუ ვინაჲთგან ურჩთა ჩოფან-ნოინის გამო, რომელი მწედ ჰყვან-
და, მრე ექმნებოდა და სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თჳსი-

თა დაიმორჩილებდა. მაშინ იჯდა კათალიკოზად ეფთვიმე, არამედ დიდებულნი და ერისთავნი ვერ სცვალნა ჟამამდინ რიდითა ყეენისათა. ხოლო მძლავრებდნენ ოვსნი ქართლს და დაეპყრათ ადგილ ადგილთა დაბნები და ციხენი. ამან მეფემან განასხნა ძლიერებითა თჳსითა და წარუხუნა ციხენი და დაბნები. მერმე შევიდა და შემუსრნა კავკასსა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა ყოველნი იგინი და დაამშჳდა ქართლი ოვსთაგან, ვინაჲთგან გზანი ყოველნი თჳთ დაიპყრნა.

ხოლო შემდგომად სიკუდილისა ჩოფან-ნოინისა იკლეს რაჲმე ნოინთა მუსაით-ყეენისაგან სიყრმისათჳს მისისა; რამეთუ მოკლეს მუსაით-ყეენი და განდგნენ ნოინნი თჳს-თჳსად და რომელთამე და იპყრეს სპარსეთი, სხუამან ხუარასანი, სხუამან ერაყი, სხუამან ადრაბაგანი და სხუათა საბერძნეთნი.

მაშინ იცა ჟამი ბრწყინვალე გიორგი მეფემანცა და განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსპნა ყოველნი საზღვართაგან თჳსთა. მერმე მოიყვანნა ყოველნი ამის ქუეყანის ერისთავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა ზედა ჰერეთისასა და მოსწყჳდნა მუნ ურჩნი თჳსისა მეფობისანი და დაადგინნა ყოველთა ადგილთა წარვლინებულნი ერისთავნი თჳსნი მორჩილებისანი და დაიპყრნა ამით უმეტეს ყოველნი. მაშინ მიუბოძა სარგის ჯაყელსა ათაბაგობა და ამირსპასალარობა. კუალად შემოიკრიბნა სპანი და შევიდა რანს; ვერვინ წინააღუდგა და მუნიდამ შევიდა შირვანს და

დაიმორჩილნა იგინიცა და მოხარკე-ჰყვნა დარუბანდამდე ქურდის ლეკითურთ. შემდგომად მოიქცა ტფილისს განძლიერებული.

ხოლო იმერეთს, ვითარცა აღვწერეთ, შემდგომად ნარინ-დავით მეფისა, იყო შლილობა ძმათა შორის მრავალთა წელთა და ამის მიერ განდიდნენ მთავარნი და განმკჳდრნენ ერისთავნი მის ქუეყანისანი. ხოლო შემდგომად მოკუდა კოსტანტინეცა და არა დაუტევა ძე, არცა ასული და დაჯდა მის წილ მეფედ ძმა მისი მიქელ. მოკუდა მიქელცა და დაუტევა ძე ყრმა ბაგრატ. ამან ბაგრატ სიყრმით თჳსით და დაუმორჩილებლობითა მთავართათა ვერ იკადრა მეფობა, რამეთუ არღარა მოერთნენ ერისთავნი.

მაშინ იხილა ესევითარება იმერთა ბრწყინვალემან მეფემან გიორგი და ეზრახა იმერთა. ხოლო ამისთჳს სათნო იჩინეს მათცა მეფობა მისი, ვინაჲთგან განძლიერდებოდა. მერმე შემოიკრიბნა სპანი

თჳსნი ძლიერნი, გარდავლო მთა ლიხისა სპითა და ამისი მხილველნი იმერნი ყოველნი მოერთოდნენ სიხარულითა.

ხოლო ბაგრატ ძე მიქელ მეფისა შეიყვანეს აღმზრდელთა და ერთგულთა მისთა ქუთათისს და განამაგრეს ციხე. მცნობი გიორგი მეფე მოადგა ქუთათისს. მაშინ ბაგრატ ვერღარა წინააღმდგომი და შემჭირვებული რაოდენსამე ჟამსა ევედრა მეფესა გიორგის, რათა არა-რაჲ ევნოს სიკუდილითა ანუ პატიმრობითა და სცეს სარჩო იმერეთსავე მეფემან, მივიდეს წინაშე მისსა და მისცეს ყოველნი ციხენი-ცა იმერეთისანი მეფესა, ვინაჲთგან მოგცა ღმერთმან ძლევა. ამისმან მსმენელმან მეფემან განიხარა და აღუთქუა ყოველნივე აღსრულებად საწადელნი მისნი. მსმენელი პირისა ამის გამოვიდა ბაგრატ და მოვი-და წინაშე გიორგი მეფისა და მისცნა ყოველნი ციხე-ქალაქნი და სი-მაგრენი იმერეთისანი. ხოლო გიორგი მეფემან პატივ-სცა, ვითარცა მონათესავესა თჳსსა, და შეიწყნარა იგი ფრიად სიყუარულითა და აღიხუნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანი ბრწყინვალემან მეფემან გიორგი ქ˜სა ჩ˜ტლ, ქართულსა ი˜ზ, და

1-29 სტრ., 258
დასხნა ერისთავნი თჳსნი; ხოლო ბაგრატ მისცა საერისთო შორაპ-ნისა და ჰყო მუნ ერისთავად.

ამისნი მხილველნი დადიანი მამია და გურიელი და სუანთა ერის-თავი და აფხაზეთისა შარვაშიძე მოერთნენ ნიჭითა დიდითა და დაუ-ლოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა. მერმე შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს, განაგნა მუნებურნი და დაიპყრა ციხენი თჳსად და მისცა ცხომის საერისთო ბედიელს, ვითარცა პირველ ცხო-მისა იყო, უკმოიქცა, შემოავლო გურია, განაგნა მუნებურნი და მო-ვიდა სამცხეს. არამედ სამცხეს ყოფასა შინა მეფისასა მოკუდა ათაბა-გი სარგის ქ˜ესსა ჩ˜ტლდ, ქართულსა კ˜ბ. ხოლო მეფემან მიუბოძა ძე-სავე მისსა ყუარყუარეს ათაბაგობა და დასხნა ერისთავნი თჳსნი კლარ-ჯეთს, სპერს, კალმახს, არტანუჯს და სამცხეს არტანისა და წუნისა და საერისთოთაგან რომელიმე მიუბოძა ბიძათა და ბიძის ძეთა ყუარ-ყუარე ათაბაგისათა და იყვნეს ესენი მორჩილებასა ათაბაგისასა. ხო-ლო განაგნა მუნებურნი, ვითარცა კეთილმან ხუროთმოძღუარმან, ყოველნივე და წარმოვიდა და მოვიდა ტფილისს. მერმე კუალად განი-ხილნა მეფემან მთიულთა და კავკასთა საქმენი, რამეთუ მრავალნი უჯეროანი იქმნებოდნენ. რომლისათჳსცა შემოიკრიბნა სპანი, შე-ვიდა და დაიმორჩილნა ყოველნი უმეტეს პირველისა კავკასთა შინა მყოფნი. ხოლო მუნიდამ ჩამოვლო ცხრაზმასა ზედა, მოვიდა მუხრანს და ჩამოიყვანა მუნ რომელნი კავკასიასა შინა ქრისტიანენი იყვნენ თავნი მათნი და ჴევისბერნი. შემოვიდა ტფილისს და შემოიტანნა

იგინიცა და განუჩინა მათ სამართალი და წესნი დაუსხნა წიგნით, რათა ჰყოფდნენ წაღმათ ეგრეთ.

შემდგომად მოკუდა კათალიკოზი ეფთვიმე და დასუა ბასილი. არამედ რომელმან ნოინთაგანმან დაიპყრა ადრაბაგანი, ამანვე იწყო პყრობად სომხითისა, რანისა და მოვაკანისა და მოვიდა განჯას, რათა დაიმორჩილოს გიორგი მეფეცა. ამისი მცნობელი მეფე მიეგება სპითა თჳსითა, ეწყო და იქმნა ძლიერი; გარნა ძალითა

1-26 სტრ., 259
ღუთისათა მოსრნა მეფემან ბანაკნი მათნი და ივლტოდნენ და მოსწყუედდნენ სპანი მეფისანი მახჳლითა და შემოიქცა გამარჯუებული ალაფითა დიდითა. კუალად ეგრეთვე საბერძნეთის სულტანმან ორხან ინება, რათა დაიპყრას კლარჯეთი და მიმდგომნი მისნი. მცნობელმან გიორგი მეფემან მიუვლინა მას ზავისა პირი, ხოლო მან არა ინება და შეკრებული სპითა მეფე ეწყო სულტანსა, მოსცა ღმერთმან ძლევა და მოსრნა ურიცხუნი თურქნი და ივლტოდნენ სულტანითურთ. ხოლო მეფე მხირული ალაფითა მათითა სავსე შემოიქცა გამარჯუებული და მოვიდა კუალად ტფილისს. ამისა შემდგომად უმეტესად დაიმორჩილნა მან რანი და მოვაკანი და სომხითი და მარადის მოსცემდიან ხარკსა და არცაღა იყვნენ თათარნი საბრძანებალსა მისსა. ხოლო ვინაჲთგან დაიმორჩილნა და დაიმონნა ყოველი გიორგია ნებასა შინა თჳსსა და კავსასნიცა მორჩილებასა მისსა იყვნენ ნიკოფსიიდამ დარუბანდამდე; კუალად რანი, მოვაკენი და შარვანში მოხარკედ აქუნდა და არღარავინ იყო წინააღმდეგი და ურჩი მისი, შემოიკრიბნა კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ივერიისანი და განაახლნეს წესნი და რიგნი საეკლესიონი და სამღდელონი განმართნეს, და დაადგინნეს მოწესენი წესსა ზედა თჳსსა და უწესურნი განჰკუეთნეს. ხოლო კუალად ამის მეფობასავე შინა მოკუდა დადიანი მამია და მიუბოძა მეფემან გიორგი ძესა მისსავე გიორგის დადიანობა ქ˜სა ჩ˜ტმე, ქართულსა ლ˜გ.

ხოლო ამისთჳს ეწოდა მეფესა ამას გიორგი ბრწყინვალე, რამეთუ იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვნებითა უებრო, მოწყალე, უხჳ, ობოლთა და ქურივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. მეორედ, ვინაჲთგან იყო ივერია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თჳსითა კუალდ შემოიკრიბნა და იგონა, ვითარცა აღმაშენებელმან,

1-23 სტრ., 260
განავსნა და აღაშენნა ქუეყანანი, რჯული და სამოქალაქო წესნი განაბრწყინვა, ეკლესიანი დარღუეულნი და მოოჴრებულნი აღაშენნა, განაახლნა და განანათლა;

ხოლო რანი, შარვანში და მოვაკანი მოხარ-
კედ ჰყვნა თავისად; სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და
ძლიერებიტა და სადა ჴამდა სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერები-
თა თჳსითა დაამშჳდნა, და მეფობითა კეთილითა ივერიასა
ზედა კ~ზ წელსა, შემდგომად გარდაიცვალა ყოვლითა კეთილითა და
ღუთისმსახურებითა სავსე ტფილისს ქ~სსა ჩ~ტმვ, ქართულსა ლ~დ.

ო~ბ. მეფე დავითი ი~დ წელი მეფა

ხოლო შემდგომად მეფის გიორგისა დაჯდა ძე მისი დავით მეფედ.
შემოკრბნენ კათალიკოზ-ეპისკოპოსნი და დიდებულნი ნიკოფსიით,
სპერით, დარუბანდამდე და აკურთხეს მეფედ. ამან დავით მეფემან
დაიპყრნა ყოველნი საბრძანებელნი მამისა თჳსისა და მატა უმეტეს
შენებასა ეკლესიათა და ციხე-სიმაგრეთა, რომელნი მოოჴრებულ იყვ-
ნენ და დაუშთნეს ბრწყინვალესა მეფესა გიორგის, ვინაჲთგან მოსცნა
ღმერთმან ჟამნიცა მშჳდობისანი. ამის ჟამს მოკუდა კათალიკოსი ბა-
სილი და ამან დასუა კათალიკოზად დორათეოს და ამისვე ჟამსა წე-
ლსა ქ~ესსა ჩ~ტნზ, ქართულსა მ~ე დაბნელდა მზე. კუალად ამავ დავით
მეფის ნებითა შეირთო ბაგრატ ერისთავმან მიქელ მეფის ძემან ასუ-
ლი ყუარყუარე ათაბაგისა. ხოლო ამან დავით მეფემან მეფა კეთილად
დღეთა მისთა მშჳდობით და ღვთისმსახურებით, ვინაჲთგან მეფესა
გიორგის დაემორჩილნეს და დაემშჳდნეს ყოველნი, და მოვლიდა ესე
დავით მეფე სამეფოსა თჳსსა ზემო-ქუემოსა, ამერ-იმერთა და განა-

გებდა, ნადიმობდა, ნადირობდა და იშუებდა; არამედ გეგუთს ყოფასა
შინა გარდაიცვალა ქ~სა ჩ~ტჲ, ქართულსა მ~ზ, დაუტევა დედოფალი
ცოლი თჳსა სინდუხტარ და ძე ბაგრატ. მიმღეს და დაფლეს გელათს.

ო~გ. მეფე ბაგრატ ლ~ე წელი მეფა

გამეფდა შემდგომად დავით მეფისა ძე მისი ბაგრატ. შემოკრბნენ
კათალიკოზ-ეპისკოპოზნი, დიდებულნი და წარჩინებულნი და აკურ-
თხეს ქუთაისს. ამან დაიპყრა ყოველი ივერია საბრძანებელსა შინა.
თჳსსა, რამეთუ იყო მჴნე, ახოვანი, ტანითა ძლიერი, შუენიერებითა
ჰაეროვანი, უცთური მოისარი, სამჴედროთა სრული, სამღუდელოთა
პატივისმცემელი, მშჳდი, მოწყალე, შემმართებელი ძლიერი. არამედ
ამის მეფობისა მეორესა წელსა დაბნელდა მზე და უკუ-დგნენ სუან-
ნი, გარდამოვიდნენ, მოსტყუვნნეს ქუთათისი და მოწუეს. სცნა რა
ესე ბაგრატ მეფემან, მსწრაფლ მოვიდა ქუთათისს. მუნ შემოიკრიბნა
სრულიად სპანი გიორგიისანი და ჰერ-კახთა, წარუძღუანნა რაჭველნი
და უბრძანა რა მათ მისლვა რაჭიდამ და დადიანი, გურიელი და აფხაზნი

და სომხითარნი მოგზავნა ოდიშიდამ ეცერსა ზედა; ხოლო თჳთ წარიძღუანნა ლეჩხუმელნი და მიატანნა მესხნი, კლარჯნი და იმერით-ამერით მიჰყვა თჳთცა და შევიდა ესრეთ. არამედ მხილველნი სუანნი ძლიერებისა მმისისანი ვერღარა წინააღუდგნენ. მაშინ მეფემან ურჩნი და შემცოდენი თჳსნი მოსწყჳდნა, მოსტყუევნნა და დაიმორჩილნა ნებასა შინა თჳსსა, აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი და უმეტეს პირველისა მორჩილ ჰყვნნა (ხოლო იტყჳან, მაშინ იყო ერისთავი სუანთა ვარდანისძე. შეიპყრა იგი მეფემან და პატიმარ ჰყო. შემდგომად რაოდენთამე ჟამთა შეიწყალა და მისცა გურია საერისთოდ და სუანთა ერისთავად დასუა სხუა, რომელსა იტყჳან გელოვანსა), მოხარკედ და მსახურ სასახლისა თჳსისა და უკუ-მოიქცა გამარჯუებული ქუთათისს.

1-25 სტრ., 262
ამავ ჟამთა მოერთუა ამბავი, რამეთუ თურქთა მოარბივეს სამცხე. მსმენელი მეფე მსწრაფლ წარვიდა ი˜ბ ჩ˜ (12.000) რჩეულითა მჴედრითა, გარდავლო ფერსათი და სამ დღე-ღამე მსვლელი მიიწია რასხს იქით; ხოლო თურქთა მათ ემცნოთ ტყუეთაგან მეფისა და სპათა შორის ყოფნა და ვიდოდნენ უშიშრად; არამედ რა იხილნეს სპანი მიმწეველნი მათნი, მოიქცნენ ფიცხლად და ეკუეთნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. შემდგომად ძალითა ღუთისათა სძლო მეფემან ბაგრატ, მოსწყჳდნა ესრეთ, ვითარ მცირედნი გარდაეხუეწნენ, უკ-მოიხუნა ტყუენი და ალაფნი, ვითარ მათნი და მოვიდა სამცხეს.

ამასვე წელსა მოკუდა ათაბაგი ყუარყუარე და მიუბოძა ათაბაგობა მეფემან ბაგრატ ძისა მისსა ბექას, რომელი იყო პირველ მან-დატურთ-უხუცესი. შემდგომად მოვიდა მეფე ბაგრატ ტფილისს. არამედ რა იხილეს სიმჴნე და მომჭირნეობა მეფისა, დამშჳდდა ქუეყანა შიშითა მისითა და არღარა-ვინ იყო მავნებელი, და შენდებოდა და აღშენდებოდა ქუეყანა. გარდა მშჳდობასა ამას შინა იქმნა მომსრველი ჟამი, სრვა და სიკუდილი ძლიერი. და მოისპნენ სულნი ურიცხუნი და მოკუდა ცოლი მეფისა ბაგრატისა დედოფალი ელენე და დაუტევნა ძენი გიორგი და დავით ქ˜სა ჩ˜ტჲვ, ქართულსა ნ˜დ. შემდგომად კუალად დაბნელდა მზე ქ˜ესსა ჩ˜ტობ, ქართულსა ჲ. არამედ ესოდენი დაბნელდა მზისა | მოაუწყებდა ქუემო-თქმულთა ბოროტთა საქართველოსა ზედა.

ამასვე წელსა მოკუდა ბაგრატ ერისთავი იმერთა. ხოლო მეფემან ბაგრატ დაადგინა მის წილ ძე მისვე ბაგრატისა ალექსანდრე ერისთავად. ამისა შემდგომად აქუნდა მეფესა ი˜დ წელნი მშჳდობისა და იყო ყოველი გიორგია შენობასა შინა, შუებასა, ნადიმობასა და ნადირობასა. ხოლო მეფე მოვლიდა ყოველსა საბრძანებელსა თჳსსა

1-26 სტრ., 263
თჳს-თჳსთა ჟამთა ქუეყანათა და, თუმცა ვინ წინააღმდეგომ იქნებოდიან, მცირედითა შერისხჳთა დაიმორჩილებდის. არამედ აქუნდა მას მოხარკედ რანი, მოვაკანი და დვინი. ხოლო მოკუდა კათალიკოსი დოროთეოს და ამან მეფემან დასუა გიორგი.

არამედ შემდგომად წელსა ქ˜სსა ჩ˜ტოე, ქართულსა ჲ˜გ მოსრნა ლანგთემურ თურქთა მეფე და დაიპყრა ყოველი თურქეთი. ესე თემურ იყო ჩინგიზთავე გუარითა და ტომისა. ამან განიმრავლნა სპანი, დაიპყრა თურქეთი, ინდოეთი, სპატსეთი,და მოისმა რა ძლიერება მისი, იწყო მეფემან ბაგრატ ციხეთა, ქალაქთა და სიმაგრეთა განმაგრებად და სპათა განმრავლებად. ხოლო მოკუდა დადიანი გიორგი და ამან მეფემან დასუა ვამიყ. არამედ თემურ დაიპყრა რა სრულიად სპარსეთი, და წარმოემართა ჩუენ კერძოდ და შემოვიდა სომხითს, მოსრნა მოსწყჳდნა, შემუსრნა სიმაგრენი და მოსტყუევნნა. მერმე ნოენბერსა შინა მოადგა კარს, შემუსრა იგიცა და დაადგრა მუნ ზამთარსა მას, რამეთუ იყო მკსინვარება ძლიერი და თოვლი დიდ-ფრიად. მაშინ მეფემან ბაგრატ მკსინვარება ჰაერისათა და სიმრავლისათჳს სპათა თემურისათა ვერღარა იკადრა გარე საზღვართა ბრძოლა. გარნა ამაგრებდა ქუეყანათა და ხიზნვიდა თემთა და თემთა გაზაფხულ ბრძოლისათჳს მზამყოფელი, არამედ ათაბაგმან ბექამ იხილა რა ძლიერება თემურისა, შეუშინდა, უარ-ჰყო მეფე თჳსი და მივიდა თემურის წინაშე; ხოლო მან პატივითა შეიწყნარა, მოსცნა ნიჭნი და განუტევა, რათა არღარა მიერთნენ მესხნი ბაგრატ მეფესა. ამისი მსმენელი მეფე დამძიმდა ფრიად; გარნა წარავლინა ძე თჳსი გიორგი იმერეთს, რათა არა იქმნეს მუნცა განდგომილება, და თჳთ შემოიკრიბნა სპანი იმერთა, ამერთა ჰერ-კახთა და რომელთამე მესხთა; განამაგრა და განამტკიცა ტფილისი და განავსნა სპითა და დაადგრა მათ შინა.

1-26 სტრ., 264
ესმა ლანგ-თემურს მეფისაგან მაგრება და ბრძოლისა მზადება, განძჳნდა და წარმოემართა გაზაფხულს; გამოვლო აბოცი და მოგზაური მოსრვიდა და მოსტყუებნიდა ყოველთავე გარემოთა; მოვიდა და მოადგა ტფილისს. მაშინ გაუჴდის თჳთ მეფეცა და უმრავლესად სპანი მარადის ქალაქისა და ციხისაგან. იტყვის ბრძოლანი ძლიერნი თთუეთ ექუსთა დღე ყოველ და მოისრვოდნენ თემურისანი უამრავნი, ვინაჲთგან საქართველოსანი მარადის გამარჯუებულნი და ალაღებულნი შემოვიდიან. არამედ აღუძნდა ესევითარი თემურს და ვერარისაღა ღონის-მძიებელმან ბრძოლისამან მოიჴელოვნა და ბრძანა შექმნად ჩელტნი რკინისანი მრავალნი და მოუძღუანნა სპათა თჳსთა და მოვიდა. მხილველნი სპანი ბაგრატისანი მიეტევნენ კადნიერად; არა-

მედ ჩელტის გამო ვერღარა შეუძლეს მიახლებად სპათა თემურისათა; ხოლო სპანი თემურისანი მოსრვიდნენ უწყალოდ ქართველთა, აოტნეს და მოჰყვნენ და ვერღარა დაუდგეს სიმრავლეთა მათთა; შემოვიდნენ ქალაქსა შინა, მოსწყჳდნეს მრავალნი და სხუანი მოსტყუევნნეს. გარნა სპანი რომელნიმე ივლტოდნენ, ვითარცა განივლტო ალექსანდრე, ერისთავი იმერთა. შემდგომად მოადგნენ ციხესა და მცირესა ხანსა შინა გამოიყვანეს მეფე ბაგრატ დედოფალით თჳსით ანნათი ქ˜ესა ჩ˜ტპზ, ქართულსა ო˜ე. ხოლო თემურ ტყუე-ჰყვნა მეფე და დედოფალი, შეაყენნა ციხესა შინა მცველნი გუშაგნი თჳსნი და წარვიდა თჳთ, ჩავლო ყარაია ნადიროზბითა და მივიდა ბარდავს. მუნ აიძულებდა მეფესა ბაგრატსა, რათა დაუტეოს ქრისტე და იქმნას მაჰმადიან, რამეთუ თჳთ იყო სუნი. გარნა შეიყუარა მეფე ჰაეროვნებისა და სიმჴნისა მისისათჳს, და არა ენება ბოროტის-ყოფა მის ზედა; არამედ შიშისათჳს, რათა იქმნას მაჰმადიან, აქებდა ტანჯვასა და უპატიობასა და კუალად, თუ ჰყოს ნება მისი, ნიჭსა დიდსა და თავისუფ-

ლებასა აღუთქმიდა სამეფოსავე თჳსსა; გარნა მეფემან არა ინება, არცა ერჩდა.

შემდგომად განვიდა თემურ ბარდავიდამ შირვანს, დაიპყრა იგი და შემუსრნა ლეკნი და დასხნა მთის ძირთა ზედა და კალთათა ელნი მაჰმადიანნი ვიდრე თერგის მდინარემდე. უკმოიქცა მუნიდამ, ჩავლო და დაიპყრა გილანი და მაზანდარანი და თანა ჰყვა ბაგრატ მეფე.

ხოლო ძე მეფის ბაგრატისა გიორგი დამძიმდა ფრიად სმინებითა ესრეთითა, წარმოვიდა იმერეთიდამ და მოვიდა ქართლს. ვერ ბრძოდა ტფილისს, რამეთუ ეშინოდა ვნებისათჳს მამისა თჳსისა; განაგნა და განამაგრნა მუნებურნი; შემოიკრიბნა სპანი, რათა მივიდეს და შემოიმტკიცოს კუალად ათაბაგი ბექა, არამედ ალექსანდრე, იხილა რა გიორგის წარმოსლვა იმერეთიდამ და ვითარებანი ესე, განდგა თჳთცა და ეკურთხა მეფედ იმერთა, და ბრძოდა ციხეთა ბაგრატ მეფისათა. და ვინაჲთგან არა მოერთნენ ერისთავნი, დადიანი, გურიელი, აფხაზთა და სუანთა, ვერ აღიღო ქუთათისი. გარნა სხუანი რომელნიმე ციხენი აღიხუნა.

შემდგომად მოკუდა ალექსანდრე და დაჯდა მის წილ ძმა მისი გიორგი მეფედ. ხოლო ძე მეფისა ბაგრატისა გიორგი ვერც ეკურთხა, ვინაჲთგან ჰყვა მამა პყრობილი და ვერცა ბრძოდა მტერთა და განდგომილთა თჳსთა და ეპყრნა ნეშთნი ქუეყანანი; ამისთჳს ეზრახებოდა, რათა არა ჰყონ განდგომილება, რამეთუ არს მტერი ძლიერი და მძჳნვარე და შეუერთებელნი მოვისრვით ყოველნი. შემდგომად მო-

კუდა ათაბაგი ბექა ქ˜ესა ჩ˜ტჟა, ქართულსა ო˜თ. და ნებითა მეფის ძის გიორგისათა დაჯდა ათაბაგად ძე ბექასი იოვანე. არამედ გიორგი იმერთა ეფესა არ მოერთუნენ მეგრელნი ერთგულებითა ბაგრატ მეფისათა; ამისთჳს შეკრებულითა სპითა მიუჴდა გიორგი მეფე ოდიშს. ეწყო მას დადიანი აფხაზთა შეწევნითა და მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი და ივლტოდნენ სპანი მისნი.

მაშინ მოუწოდა დადიანმან გიორგის, ძესა ბაგრატ მეფისასა, იმერეთს; ხოლო გიორგი წარვიდა სპითა და დაიპყრა იმერეთი სრუ-

ლიად. შემდგომად მოკუდა კათალიკოზი გიორგი და ამან გიორგიმ დასუა კათალიკოზად ელიოზ. ხოლო ბაგრატ მეფე ჰყვა თემურს და მარადის აიძულებდა მაჰმადიანობად. მაშინ უღონო-ქმნილმან ბაგრატ სხჳსა ვერარისაღა ღონისა მძიებელმან, ვინაჲთგან ჰყვა დედოფალიცა მუნ, ჰყო ბოროტი ესე და იქმნა მაჰმადიან, რათა დაეღწეს თემურს და შურ-აგოს ამათთჳს. განიხარა თემურ ფრიად და პატივსცა, ვითარცა ძესა თჳსსა და მიანიჭა ნიჭნი დიდ-დიდნი და ჰყო განმზრახი და მისანდობელი თჳსი. მერმე ეტყოდა ბაგრატ თემურს: ვინაჲთგან ვსცან რჯულთა შენთა კეთილობა, აწ მნებავს, რათა მომცნე სპანი შენნი, მე წარვიდე და ვჰყო ყოველნი სამეფონი ჩემნი მაჰმადიან“.

სთნდა ესე თემურს ფრიად და ჰმადლობდა ბაგრატ, აღავსო ნიჭითა დიდ-დიდითა, მოსცა დედოფალი და ტყუენი ყოველნი საქართველოსანი და სპანი თჳსნი ი˜ბ ჩ˜ (12.000) მჴედარნი და წარმოავლინა ქართლს, თჳთ თემურ უკუნიქცა და წარვიდა სპარსეთად. ხოლო ბაგრატ მოვიდა რა მდინარესა არეზსა ზედა, აცნობა ძესა თჳსსა გიორგის: „მომყავს სპანი თემურისანი და ტყუენი ყოველნი საქართველოსანი. აწვე შეკრიბენ სპანი და მზირ-გვექმნე, რათა მოვსწყჳდოთ ესე ყოველნი“. მაშინ იმერეთს მყოფს გიორგის ესმა რა ესენი, შემოიკრიბნა სპანი იმერთა, გარდამოვლო ლიხი, მუნ მოერთო ათაბაგი იოვანე სპითა სამცხისათა (არა მგონებელი ვნებად თემურის სპისა, არამედ ძალისა მომქონი ბაგრატ მეფისაგან), კუალად ქართველნი და ჰერ-კახნი. ხოლო ბაგრატ მოვიდა და დადგა ხუნანის პირისპირ აღმოსავლით კიდესა ბერდუჯისასა. რიჟრაჟს მოერტყა გიორგი სპითა საქართველოსათა, გარნა შინათ გამო ბრძოლა ბაგრატ ფიცხელად; არამედ მოსრნეს სრულიად, რამეთუ ვე განერა მატყჳცა ერთი და აღიღო ალაფი მათი და მოვიდა გამარჯუებუ;ლნი და მოადგა ტფილისს ქ˜ესა ჩ˜ტჟგ, ქართულსა პ˜ა და ჟამსა მცირესა აღიღო ციხე, მოსრნა

თათარნი და დაიპყრა თჳთ, და იძია შური თემურისა ესრეთ ბაგრატ მეფემან.
არამედ იწყო მაგრებად ციხე-სიმაგრეთა და დახიზნვად ყოველთა მდაბიურთა, რამეთუ მოელოდა თემურს.

შემდგომად მიესმა რა თემურს მოწყუედა სპისა თჳსისა, განრისხებული მოვიდა ბარდავს, და დაუტევნა მუნ სამძიმონი და წარმოემართა ბაგრატსა ზედა, გამოვლო ჴიდის განმდებელმან მტკუარი; ხოლო ბაგრატს დაებანაკა მარტყოფიდამ ავჭალამდე სპითა თჳსითა ამერ-იმერითა, მესხ-კლარჯითა, ჰერ-კახითა და სომხითარითა მგონებელსა თემურისაგან ტფილისის მოდგომისასა. არამედ თემურ მოვიდა პირისპირ ბაგრატ მეფისა. მაშინ განვიდა ბაგრატ ყოვლითა ძალითა თჳსითა და ეწყუნენ ომანის-ჴევს ზემორე და იქმნა ბრძოლა ძლიერი და სასტიკი ქ˜სა ჩ˜ტჟდ, ქართულსა პ˜ბ, ვიდრე შუადღემდე, და მიდრეკასა მზისასა სძლეს ქართველთა და მოსრნეს თემურისანი მრავალნი რაზმნი და მწყობრნი, და სხუანი ურიცხუნი ივლტოდნენ.

იხილა რა თემურ ძლევა ესე თჳსი, განძჳნებული განვიდა საკუთრითა სპითა თჳსითა და მოუჴდა მარცხენეთა კერძოთა ქართველთა, მოსრნა მკჳრცხლნი და შემოუჴდა გუერდით მჴედართაცა შინა. ამით კუალად მოჰხედნა რისხუამან ზენამან ქართველთა, იძლივნენ და ივლტოდნენ; არამედ უმეტეს მორჩებოდნენ და განეროდნენ ჴელთაგან მათთა ტყეთა, ღრატეთა და სიმაგრეთა სიახლოვითა და ბაგრატ მეფეცა წარმოვიდა ზემოთვე. ხოლო თემურ შემოუსია ლაშკარნი. შემუსრნეს მცხეთა და ყოველნი ეკლესიანი, ციხენი და სიმაგრენი ქართლისა სომხითისანი და რომელნიმე მოსწუნეს ცეცხლითა, ვითარცა მჩენარებს დღესაცა ქუაბთა-ჴევს ეკლესიისა იატაკი. გარნა კაცთა ეგდენ ვერ ავნეს სრვითა და ტყუეობითა, რამეთუ განმზადებულ იყვნენ ბრძოლად.

1-25 სტრ., 268
ამისი მყოფელი ლანგთემურ უკუნიქცა, ჩავლო ჰერ-კანი, მოაოჯრნა იგინიცა ყოვლითა შენებულებითა; მერმე კუალად მივიდა და დაიმორჩილა დაღისტანი უმეტეს პირველისა. იტყჳან, რომელ მიერ ჟამითგან იქმნა მუნ მაჰმადიანობა დასხმულითა მისგან ელითა, რამეთუ პირველ იყვნენ შერეულნი ქრისტიანენი, ვითარცა სხუანი კავკასიელნი. და მუნიდამ წავიდა სპარსეთადვე.

ხოლო ბაგრატ მეფემან იწყო კუალად შენებად მოოჯრებულთა ციხეთა და სიამგრეთა მაგრებად და კუალად ეგრეთვე გებად. არამედ წარავლინებდა სპათა თჳსთა და ოდესმე თჳთცა წარვიდის და მოს-

წყუედდა გარემოთა თათართა თემურის დასხმულთა ამის საზღვართა შინა და გარე. გარნა შემდგომად ამისა გარდაიცვალა დიდი მეფე ბაგრატ ქ˜სა ჩ˜ტჟე, ქართულსა პ˜გ. ხოლო ამას დიდი მეფე ბაგრატ იმისთჳს ეწოდა, რამეთუ იყო მძლეველი და გამარჯუებული, თჳნიერ თემურისა, ყოველთა წინააღმდგომთა თჳსთა ზედა, რამეთუ ორასითა მჴედრითა არა ჰრიდებდა ათასთა და უმეტესთა და მოსწყუედდა სრულიად. კუალად არა დაჰმოჩილდა მძლავრსა და იღუაწა ქუეყნისა თჳსისათჳს; არა განხეთქა სამეფო თჳსი, გარნა თუ მცირედ იკადრეს. არამედ შიშითავე მისითა ეგნენვე მორჩილებასა ქუეშე მისსა. კუალად იტყჳან, ვინაჲთგან ბაგრატ მიქელ მეფის ძე იგიცა მეფეთა ჩამომავალი იყო, ამის გამო ეწოდა დიდი ბაგრატ მეფესა ამას.

ო˜დ. მეფე გიორგი ი˜ბ წელი მეფა

შემდგომად ბაგრატისა იქმნა ძე მისი გიორგი წილ მეფედ. შემოჰკრბნენ დიდებულნი, კათალიკოზნი, ეპისკოპოზნი და აკურთხეს. ამან უკუე გიორგიმ პირველად დაიპყრნა ყოველნი საბრძანებელნი მამისა თჳსისანი მორჩილებასა შინა თჳსსა. ხოლო ამის მე-

ფობის მეორესა წელსა მოკუდა დადიანი ვამიყ და ამან მეფემან დასუა მამია დადიანად. ამანვე მეფემან მიუბოძა საერისთო ცხომისა დადიანს მამიას ერთგულებისათჳს თჳსისა, რამეთუ არა მორჩილ ექმნა ძეთა ბაგრატისთა. შემდგომად მოკუდა კათალიკოზი ელიოზ და ამანვე მეფემან დასუა კათალიკოზად მიქელ.

ხოლო ესმა რა თემურს გამეფება გიორგისა თჳნიერ მისსა, შეუძნდა ფრიად და წარმოავლინა სპასპეტი თჳსი ყარალათი და შემდგომად შეუდგა იგიცა კუალსა მისსა და მოვიდა რანს, აწ ყარაბაღად წოდებულსა; მოუვლინა დესპანი გიორგი მეფესა და მოუმცნო: „მე დავიპყარ აღმოსავლეთი და მეფენი მისნი და ვარ მეფეცა შენ ზედა. აწ მოვედ და მორჩილ მექმენ, მოგანიჭებ ნიჭსა დიდსა და ქუეყანასაცა შენსა უვნოდ. უკუეთუ არა ჰყო, მოვსრნა ყოველნი მკჳდრნი ქუეყანისა შენისანი და ტყუე ვჰყო შენითურთ“. მიუგო მეფემან გიორგი: „უკუეთუ ხარ მეფე, გარნა წარმავალი, დღეს მყოფი და ხვალე არღარა, და ვარ მკჳდრი. ამისთჳს პატივ-გცემ, მოგცემ ხარკსა, რათა დაიცვა ქუეყანა მშჳდობით და მე არა მოვიდე წინაშე შენსა. გნებავს ესე არს, უკუეთუ არა, ჰყავ რაჲ ძალ-გიძს და გნებავს“. მსმენელი ამისი თემურ განრისხნა და მოვიდა შიდა ქართლს. ხოლო გიორგი მეფემან პირველვე გამოიყვანა დარიელიდამ ოვსნი დიდძალნი და კავკასნი. და დაჰხუდა თემურს შეკრებული სპითა თჳსითა. ეკუეთნენ ურთიერთს ქ˜ესა ჩ˜ტჟვ, ქართულსა პ˜დ და განძლიერდნენ საქართველო-

სანი ძლიერად, რამეთუ ვინაჲთგან მტუერნიცა სპათა თემურისთა პირთა ეყრებოდა და იყო ბრძოლა მწუხრადმდე. ხოლო მისდრიკნეს ქართველთა: სძლევდნენ და ივლტოდნენ მრავალნი. იხილა რა თემურ სპანი თჳსნი, ესრეთ აღუზახა თჳსთა თანა მყოფთა სპათა: „აჰა დღე სიკუდილისა ჩემისა“ და მოვიდა, ვითარცა გრიგალი, დამაშურალთა ქართველთა ზედა. მაშინ კუალადცა რისხჳთ მოხედნა ღმერთმან ცოდვათა ჩუენთა, და გარე უკუნ-იქცნენ გიორგიელნი და ივლტოდნენ სიმაგრეთა შინა, რამეთუ უსწრათ სიღამემან და განერნენ

1-28 სტრ., 270
უფროს, ვიდრე მოისრნენ. მიიქცა თემურ, მოადგა ტფილისს, ვერ დაუდა და აღიღო იგი; შეაყენნა მცველად ხუარასნელნი. მუნითგან მოვიდა და დადგა მუხრანს და მოაოჴრნა ნეშტნი. არამედ მუნ მიერთოდნენ თემურს რომელნიმე ქართველნი და ჯანდიერ წარჩინებული. გარნა ფრიად მცდელობდა თემურ შეპყრობასა მეფისა გიორგისასა და მიინდობდა ყოველთა, გარნა ვერ შეუძლო შეპყრობა; ამისთჳს თჳთ უკუნ-იქცა ყარაბაღსვე და მუნიდამ წარმოავლინა ხოჯა შიხი და ამირჯან სპასპეტნი თჳსნი სპითა დიდითა მოოჴრებად ურჩთა და განდგომილთა და აღუთქუნა ნიჭნი, უკეთუ ვინმე შეიპყრობს მეფესა გიორგის. შემოვიდნენ ესენი და მოაოჴრნეს სადა-ვინ ჰპოვნეს ქუეყანათა შინა. მერმე უკუნქცეულნი მივიდნენ თემურის წინაშე; არამედ დაჭმუნდა თემურ, ვინაჲთგან არა პყრობილი მიჰგუარეს მეფე გიორგი.

ამ ჟამად განდგა კუალად ძე ბაგრატისავე კონსტანტინე, დაიპყრა იმერეთი და იწოდა მეფედ. ხოლო გიორგი მეფემან არა მიჰხედა მას, არამედ გამოიყვანნა კუალად ოვსნი, კავკასნი და ძურძუკნი. წარუძღუა შეკრებული სპითა თჳსითა და მიუჴდა ციხესა ალიჯანს, შემუსრა იგი და გამოიყვანა სულტანი თირ ჯალათისა პატიმარ-ყოფილი თემურისაგან, მოაოჴრნა და მოსწყჳდნა გარემონი მაჰმადიანნი, აღიღო ალაფი დიდძალი და მოვიდა გამარჯუებული შინავე და განუტევნა ოვსნი, კავკასნი და ძურძუკნი შოებულნი ალაფითა ფრიადითა.

შემდგომად ამისა განიხილა მეფემან გიორგი განდგომილება კუალად იმერთა და ქუეყანათა თჳსთა შეავედრა ესრეთი ოჴრებისა, განიზრახა დიდებულთა თჳსთა თანა, რათა ზავ-ჰყოს თემურისა თანა. მაშინ დაუმტკიცეს დიდებულთა სიხარულით, არამედ თირ სულტანი ჯალადისა უარს თქმიდა ზავსა, რომელიცა ჰყვანდა მეფესა პატივით. გარნა არღარა უსმინეს სულტანსა და წარავლინა მეფემან სახელით

1-28 სტრ., 271

ისმაილ მაჰმადიანი ვინმე წინაშე თემურისა, აღმთქმელი მორჩილებისა პირსა ზედა და ხარკისაცა მიცემად, და არღარა იყოს ქუეყანათა ოჯრებანი. მსმენელმან თემურ განიხარა და მოუმცნო მეფესა: „უკეთუ მოხვიდე ჩემდა, პატივითა და ნიჭითა დიდითა მიგითუალო და დავიცვა ქუეყანა შენი უვნოდ“. არამედ მრისხანებდა ალიჯანის ციხის შემუსვრისათჳს და იტყოდა: „მაცთუნებს გიორგი მეფე მოსლვად წინაშე ჩემსა“. და ამისთჳს წარმოემართა ათაბაგსა იოანეს ზედა, რომელი მტკიცედ სდგა მეფესა ზედა, რათა შემუსროს იგი და ჩამოდგა სამცხესა შინა, მოაოჯრა ქუეყანა და ეკლესიანი ყოველნი, ხატნი და ჯუარნი შემუსრნა, სადა რა ჰპოვნა მოსტყუევნნა და მოვიდა მანგლისსა და დაადგრა მუნ თთუე ორი.

აქა ევედრნენ მაჰმადიანნი მესაზღვრენი ქართლისანი თემურს, რომელსა აოჯრებდნენ ქართველნი, რამეთუ რა ჟამი იციან მოსწყუედდიან და ალაფობდიან. უსმინა თემურ და მისცნა სპანი, მოვიდნენ და მოაოჯრეს კუალად ქართლი. ხოლო მანგლისს ყოფასა შინა თემურს მოართუეს ძე კეისრისა. ამან პატივით შეიწყნარა, მისცა ნიჭი და განუტევა თჳსადვე მშჳდობით.

შემდგომად წარმოემართა თემურ შესლვად მთიულეთს, რამეთუ გამოჰყავს გიორგი მეფესა მუნიდამ შემწენი და კუალად ჰგონებდა მეფესაცა მუნ. შეუჴდა არაგუს, შემუსრნა სიმაგრენი და მოაოჯრნა, არამედ ავნებდნენ დიდ-დიდსა მთიულნი და სპანი მეფისანი მუნ მყოფნი სპათა თემურისათა, რომელთა ვერ-რა ტყუე-ჰყვეს და უკმოიქცნენ.

კუალად წარავლინა თემურ ძენი თჳსნი: სულტანი უსეინ, ფირმაჰმად, ამირ-შიხ და აბუბექირ და სპასპეტნი სხუანი. ესენი მოადგნენ ერიჯანს, რომელი ეპყრა მეფესა გიორგის. ხანსა მცირესა შინა შემუსრეს და მცველნი ციხისანი მოართუეს თემურს მანგლისსავე. მაშინ მეფემან შუამდგომელ ჰყვნა ძენი თემურისანი მამისა თანა.
უსმინა

1-26 სტრ., 272
მათ თემურ ჟამამდდე და წარავნინნა ძენი თჳსნი ბაღდადს და დაიპყრა ბაღდადი; და თჳთ თემურ მოვიდა თავრიზს ხილვად ციხისა ალიჯანისა. შემდგომად მოვიდა გელაქუნს და მუნ ყოფასა შინა წარუვლინა თემურს მეფემან ძმა თჳსი კონსტანტინე ძღუნითა დიდითა, ითხოვა შემდგობა და აღუთქუა მორჩილება. სათნო იყო თემურ და შეიწყნარა ძღუენი, პატივ-სცა კონსტანტინეს და გამოუტევა ნიჭითა და მოუმცნო მეფესა: „იყავ მშჳდობით და ნურღარასამცა ავნებთ მაჰმადიანთა“. ხოლო თჳთ თემურ მოვიდა ბარდავს; მუნიდამ წარავ-

ლინნა სპანი ოვსეთად. განვლეს სპათა მათ დარუბანდი, ლეკეთი და მივიდნენ ოვსეთს, მოსწჯდნეს, ტყუე-ყვნეს და მოიქცნენ წინაშე თე-მურისადვე. ესე ჰყო თემურ რამეთუ ეწყოდა, მეფე ძალს-იცემს მუ-ნიდამ. ხოლო კუალად იტყჳან, მიერითგან იწოდა ჩერქეზი და იქმნა მაჰმადიანობა მათ შორის.

შემდგომად ამისა მოქცევასა წლისასა მოვიდა თემურ მანგლის-სვე, რათა სცნას აღთქმული მეფისა მტკიცე არსა, ანუ არა. ხოლო იყო მუნ წარჩინებული ვინმე სახელით იესე, რომელსა აღეთქუა მი-სლვა წინაშე თემურისა და არღარა მისრულ იყო.მაშინ უღონო-ქმნილმან იესემ აღიღო ძღუენი დიდი და ასული თჳსი ქმნულ-კეთილ-სახოვანი და კეკლუც-შუენიერი და მივიდა თემურის ძის აბუბექირისა თანა და შესძღუნა ყოველნი, ხოლო აბუბექირ შეიყუარა ქალი იგი ფრიად და უურვა მამისა თანა და შეაწყნარა თემურისაცა. იხილა რა ესე ათაბაგმან იოვანე, მივიდა იგიცა ძღუენითა წინაშე თემურისა. მან პატივით შეიწყნარა იგიცა. ამისთჳს მხილველნი მიერთოდიან თე-მურს სომხითარ-ქართველნი. ამისთჳს მეფემან კუალად წარავლინა ძმა თჳსი კონსტანტინე წინაშე თემურისა და ევედრა მას მშჳდობასა. უსმინა თემურ, უკუნ-იქცა და დაიპყრა ქურთისტანი.

1-26 სტრ., 273
გარნა კუალად არა დასცხრა გულის-წყრომად. ვინაჲთგან ენება მოჯრება და მაჰმადიანობა საქართველოსი, წარმოავლინა შიხ-ბა-რამ შირვანშა, რათა სცნას დებულება გლეხთა და შემოსავალი მე-ფისა და თჳთ თემურ მოვიდა კარს. ამისმან მხილველმან მეფემან წა-რუვინა მთავარი იესე სომხითარი ვედრებით, რათა არა მოაოჯროს ქუეყანა, რამეთუ რაცა იგი აღგვითქუამს, აღგვისრულებიეს. განრის-ხნა თემურ და არღარა მიითუალა ძღუენი მეტყუელმან: „შეიკრებს მოსავალთა და მიენდობიან სიმაგრეთა“. არამედ ამისთჳს მოუმცნო მეფესა: „გნებავს თუ რათა იქმენ მაჰმადიან, მაშინ მოგცნე ქუეყანანი და განგათავისუფლო. უკუეთუ არა ჰყო, დავასრულო სპანი და ძლიე-რება ჩემი შენ ზედა, მოვაოჯრო ქუეყანა შენი და ტყუე-ვყვნა ყოველ-ნი სახელეულით შენითურთ და შენცა. გარნა თუ მოხვიდე ჩემდა და ყო ესე, ვფუცავ მაჰმადსა, პატივით განგიტევო ქუეყანითურთ შე-ნით, ვითარცა განვუტევე ძეცა კეისრისა“. და წარმოუვლინა მეფესა და მოუდგა თჳთცა უკან. ხოლო მეფემან უბრძანა შემოტანად ნაშ-რომთა, მომკად და დახიზნვად ყოველთა.

მაშინ მოვიდა თემურ და ჩამოდგა შიდა ქართლს, არამედ რა ვერარაჲღა ჰპოვა, შეიქცა და მოადგა ბირთჳსის ციხესა. რამეთუ მუნ დგნენ მრავალნი წარჩინებულნი და აზნაურნი დედაწულითურთ და მრავალგზის მოეწყჳდათ სპანი თემურისანი, ვითარცა ლომთა თხანი.

მოეტევნენ ციხიდამ სპათა თემურისათა და მოსწყჳდნეს ურიცხუნი და მიაქციეს ლტოლვად. არამედ მუნ მზირ-ეყო თემურს და რა მიიწივნენ მეციხოვნენი სპათა სრვითა, მოეტევა თემურ, გარნა იქმნა უფიცხესი ბრძოლა; არამედ აოტა თემურ მეციხოვნენი და მოსწყჳდნა მრავალნი; ხოლო ნეშტნი შევიდნენ ციხესა შინა და განამაგრეს ციხე. მომხილველმან ციხისამან თემურ სცნა სიმტკიცე ციხისა და

1-25 სტრ., 274
ბრძანა უკუნ-ქცევა ციხისაგან. მაშინ გამოჩნდა კაცი ვინმე მისრელი სახელით ბეგიჯან, რომელი იტყოდა აღებასა ციხისასა. განიხარა თემურ და აღუთქუა ნიჭი დიდი. ხოლო კაცმან მან შექმნა კიბე საბლისა და ჰპოვა კლდესა ზედა აღსავალი, აღვიდა ღამე კლდესა მას ზედა და აღიყვანა თხა ერთი და მოაბნა წუერნი კიბისანი კლდესა ზედა და დააძახა თხა სამგზის; მერმე დაკლა თხა იგი. მაშინ კიკინის მსმენელნი სპანი თემურისანი აღვიდნენ კიბესა მას ზედა; ხოლო სისხლის მხილველნი მეციხოვნენი ჰგობენდნენ მოსრვასა მუნ მყოფთა მეციხოვნეთასა და იწყებდნენ თჳსთა მაგრებათა. გარნა აღივსო რა ციხე სპითა თემურისათა, დაუწყეს ბრძოლა ქუემო-მეციხოვნეთა; არამედ მოსრვიდნენ მათ მეციხოვნენი, მერმე სიმრავლითა მძლე-ექმნენ და განუხუნეს კარნი ქუემორე ციხისანიცა და შემოვიდნენ სპანი ურიცხუნი, მოსრნეს და მოსტყუევნნეს ციხოვანნი და მოართუეს ციხისთავი ნაზარ დედაწულით თემურს და სხუანიცა მრავალნი მთავარნი და აზნაურნი. ხოლო თემურ ყოველთა მათ წარჰკუეთნა თავნი და ცოლი ნაზარისა მისცა შირვანის მპყრობელმა და ბირთჳსს შეაყენნა სპანი თჳსნი და ამცნო ციხისთავსა აჰმადს მოოჴრება ყოველთა გარემოთა ეკლესიათა და ქუეყანათა და თჳთ წარვიდა თემურ, არამედ ამან ლანგთემურ შეიპყრა ბრძოლასა შინა სულტანი ბაიეზით და შთასუა რკინის გალიასა შინა და დაჰყვანდა ეგრეთ სადაცა ვიდოდა.

ხოლო ესე ბაიეზით იყო ძის ძის ძე ოთმანისა და ესე ოთმან იყო, ვითარცა თჳთ იტყჳან, ჩინგიზთა ტომისა, რამეთუ საგონებელ არს ერინჯი-ნოინისაგან ყეენის ონხანის გუარისა, რომელმან დაიპყრა სულტანობა ყიასდინისა, და ოთმან დაიპყრა აღმოსავლეთი ქ˜სა ჩ˜ტგ, და შემდგომად მოკუდა ქ˜სა ჩ˜ტკზ და დაჯდა ძე მისი ორხან. ესე უმეტეს

1-28 სტრ., 275
განძლიერდა და აღიღო ტარსუ. შემდგომად მოკუდა ქ˜სა ჩ˜ტჲზ და დაჯდა ძე მისი მურად. ესე განვიდა ნებითა ბერძენთათა კალიოპოლის და აღიღო ანდრიანე და ფილიპოპელე. შემდგომად მოკუდა ქ˜სა ჩ˜ტოთ და დაჯდა ძე მისი ბაიეზით, ესე მოადგა კონსტანტინეპოლს და მუნ ესმა მას აღება თემურისაგან აღმოსავლეთისა, დაუტევა იგი, მოვიდა და ეწყო თემურს, იძლია და შეპყრობილ იქმნა ბაიეზით თემუ-

რისაგან ქ˜სა ჩ˜ტჟა.

ხოლო ლენგთემურმან დაიპყრა ყოველი აღმოსავლეთი და წარ-
ვიდა სამარყანდს, რათა შევიდეს ჩინეთს, არამედ მოკუდა სამარყანდ-
სვე. ხოლო შემდგომად წარსვლისა თემურისა, დაიპყრა მეფემან
გიორგი ქართლი, სომხითი, ჰერ-კახნი და იწყო შენებად მოოჯრე-
ბულთა და ბრძოდა ციხოვანთა. ხოლო შემდგომად მოკლეს მეფე კოს-
ტანტინე იმერეთს და არა დაშთა ძე, არამედ ძმისწული დიმიტრი. ამი-
სი მხილველი მეფე გიორგი შთავიდა სპითა და დაიპყრა ყოველი იმე-
რეთი. მოერთუნენ ყოველნი წარჩინებულნი: დადიანი მამია, გურიე-
ლი, შარვაშიძე და სუანნი. ხოლო მოსცეს მეფესა დიმიტრი ძე ალექ-
სანდრე მეფისა უმეტეს გულდებისა და ერთგულებისათჳს; არამედ მე-
ფემან არარაჲ ავნო, გარნა წარმოავლინა ქართლის სომხითს და
მისცა საზრდო და ყოველნი სამჭიროჲნი მისნი.

შემდგომად მეფემან გიორგი განაგნა იმერეთი ყოვლითა დამორ-
ჩილებითა თჳსითა. მუნიდამ გარდამოვლო ლომსია და მოვიდა სამ-
ცხეს. მოეგება ათაბაგი იოვანე და ყოველნი მესხნი და კლარჯნი; გა-
ნაგნა მეფემან მუნებურნიცა, ვითარცა განეგნეს ბრწყინვალესა მეფე-
სა გიორგის და უბრძანა მოოჯრებულთა შენებად ეკლესიათა, ციხე-
თა, ქალაქთა და სიმაგრეთა; მერმე მოვიდა ქართლს და ჰბრძოდა მე-
ფე ციხეთა ქართლისათა და უმეტეს ტფილისს. რამეთუ შემდგომად
თემურის სიკუდილისა იწყეს ბრძოლანი ძეთა მისთა ურთიერთთა ზე-
და და დაშთა ქუეყანა და მეფე მათგან მშჳდობით. ხოლო მეფემან გა-

1-22 სტრ., 276
ნასხნა თათარნი და აღხუნა ციხენი ქართლ-სომხითისანი სრულიად;
შთავიდა კახეთს და ჰერეთს, აღაშენნა მოოჯრებულნი მუნებურნიცა
და განაგნა ყოველნი მშჳდობასა და შენობასა შინა.

შემდგომად თემურის წარსვლისა დაადგრა ექუსი წელი ქუეყანა
მშჳდობით და მეფე მოვლიდა, განასხმიდა თათართა საზღვართა
თჳსთაგან და მოსრვიდა მათ და აღიღებდა ალაფთა მათთა დიდ-დიდ-
თა. კუალად მოკუდა კათალიკოზი მიქელ, ამანვე მეფეან დასუა კა-
თალიკოზად დავით. ხოლო ვითარ იყო ჭირი დიდი გიორგი მეფისა-
გან ყოველთა გარემოთა მაჰმადიანთა ზედა, ვიდრე რიხსისა კიდემდე
მორსვითა და ალაფობითა, ამისთჳს შეიკრიბნენ ყოველნი თურქთა
ლაშკარნი დიდძალი, უკუეთუ არა ესუათ ყეენი, არამედ ბილწისა
რჯულისა მათისა მჴურვალებითა წარმოამართნენ ქართლსა ზედა.
მოესმა რა მეფესა მოსვლა მათი და ვითარ გამარჯუებული იყო მათ
ზედა მრავალგზის, სიმწრაფითა არღარა მოიცადნა სხუანი სპანი
თჳსნი, გარნა რაოდენნი ესწრნენ თჳსთანა, მიეგება წინა და იქმნა

ბრძოლა ძლიერი და სასტიკი, რამეთუ მოისრნენ თურქნი უმრავლესნი; არამედ ძლიერსა ბრძოლასა მოიკლა მეფე გიორგი თურქთაგან ქ~სა ჩ~უზ, ქართულსა ჟ~ე და მოსრნეს სრულიად სპანი მისნი. შემოვიდნენ და მოაოჴრეს ქართლი მარბიელობით და წარვიდნენ, ვინაჲთგან იხილეს მცირეთა სპათაგან ბრძოლა ძლიერი და უგონებელცა იყვნენ სიკუდილსა მეფისასა, რათა არა ეწიონ სხუანი სპანი სიდიდითა.

1-25 სტრ., 277

ო~ე. მეფე კოსტანტინე ზ~ წელი მეფა

შემდგომად გიორგი მეფისა დაჯდა მეფედ ძმა მისი კოსტანტინე და დაიპყრა ყოველი გიორგია. ამან მოიღო გუამი გიორგი მეფისა და დაფლა მცხეთას. ამან კუალად იწყო უმეტესი კირთება და სრვანი მაჰმადიანთა და მაგრებად ციხეთა, ქალაქთა, სიმაგრეთა და ქუეყანათა და აღშენებად ეკლესიათა. არამედ ვითარ განმრავლა მან მოსრვითა იავარი მაჰმადიანთა და მრავალგზის დიდ-დიდთა შეკრებულთა ლაშკართა მათ სძლო და მოსწყჳდნა, წარვიდნენ და აუწყეს ვეზირსა ანუ ბეგლარ-ბეგსა ანატოლისასა. ხოლო მან მიუწერა სულტანსა მუსას, რომელი იყო ძის ძე ბაიეზითისა. ხოლო ძემან ბაიეზითისამან სულეიმან ანუ კალეპინ იწყო მეფობად შემდგომად მამისა თჳსისა ქ~სა ჩ~უგ და დაიპყრა მან ედრენა და ფილიპეპოლი და ყოველი აღმოსავლეთი, რომელნი ეპყრნეს მამასა მისსა.

ხოლო მოკუდა კალეპინ ქ~ესა ჩ~უი და დაჯდა მის წილ ძე მისი მუსა. ესე განძლიერდა და დაიპყრა თესალონიკე. ამანვე მოუწერა ბეგლარბეგსა, რათა წარვიდეს სპითა ძლიერითა და დაიპყრას ყოველნი ივერიელნი. მცნობელმან მეფემან კონსტანტინე განამაგრნა ციხე-სიმაგრენი და შემოიკრიბნა სპანი სრულიად გიორგიისანი და მიეგება მას ბრძოლად. ეკუეთნენ ურთიერთსა და მოსწყდნენ ორგნითვე გარნა უმეტეს უმრავლესნი თურქნი, რამეთუ მისდრიკეს სივლტოლად. მაშინ მეფე სიფიცხითა გულისათა შევიდა გუნდთა შინა მათთა და მოსწყუედდა უშიშად, არამედ მოიკლა მათგან მუნ ბრძოლასა შინა თურქთაგან ქ~სა ჩ~უიდ, ქართულსა რ~ბ და იძლივნენ საქართველოსანი. მოჰყვნენ თურქნი, შემოვიდნენ კლარჯეთს, ვერ ჰპოვნნეს ხიზანნი, მოარბივნეს ქუეყანანი. გარნა ციხენი ვერ შემუსრნეს,

1-26 სტრ., 278

ვინაჲთგან გამაგრებულნი იყვნენ; ამისთჳს უკუნ-იქცნენ და წარვიდნენ ფიცხლად, ვინაჲთგან მოსწყდნენ მრავალნი მათგანნი ბრძოლათა და რბევათა შინა.

ო˜ვ. მეფე ალექსანდრე კ˜ჱ წელი მეფა.

შემდგომად მეფის კოსტანტინეს წილ დაჯდა მეფედ ძისწული მისი და ძე გიორგი მეფისა ალექსანდრე. ამან მოიღო გუამი კოსტანტინესი და დაფლა ვარძიას. არამედ იხილა რა მამია დადიანმან ესე-ვითარებანი, ინება დამორჩილება აფხაზთა, ამასვე წელსა შეიკრიბნა სპანი ოდიშარნი მეგრელნი და წარვიდა, მისრულს აფხაზეთს ეწყო შარვაშიძე აფხაზით სიმაგრით გამო. მოსწყჳდნეს მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია და ნეშტი სპანი აოტნეს და ლტოლვილნი მოვიდნენ ოდიშს.

ესმა რა ესე ალექსანდრე მეფესა, შემოიკრიბნა სპანი თჳსნი და წარვიდა; ხოლო შთასრულსა ოდიშს მოეგება მეფესა ძე მამია დადიანისა ლიპარიტ და ითხოვდა შენდობასა, უკუეთუ სცოდა რაჲ მამამან მისმან. შეუნდო მეფემან, რამეთუ იყო ტკბილ და მოწყალე და არარაჲ ვის ავნო; გარნა ლიპარიტ აღიყვანა პატივსა მამისასა.

მერმე წარვიდა აფხაზეთს და წარიყვანა ლიპარიტ დადიანი. მოეგება შარვაშიძე და დაემორჩილა ბრძანებასა მისსა, ვითარცა პირველთა მეფეთასა; განაგნა მუნებურნი და დაამშჳდნა იგინი და მოვიდა ქუთაისს. შემოკრებული იმერ-ამერთა დიდებულთა და კათალიკოზთა და ეპისკოპოსთაგან ეკურთხა მეფედ მუნ. არამედ ვინაჲთგან ათაბაგი მიზეზობდა თურქთაგან ძალ-ყოფასა, და არღარა მოვიდა. ამისთჳს განაგნა საქმენი იმერთანი. კუალად მოიყვანა დიმიტრი ძე ალექსანდრესი და მისცა ერისთოობა იმერეთისა, რამეთუ ამის დიმიტრის დაჲ კოსტანტინე ბიძისა თჳსისა სიცოცხლესა შინა მოეყვანა

ალექსანდრეს ცოლად თამარ და ექმნა ქორწილი და ამით დაამშჳდნა იმერნი, და დიმიტრი ერისთოობდა მორჩილებასა შინა ალექსანდრესსა.

მერმე შემოიკრიბნა სპანი იმერთანი, წარმოვიდა და ქართლს მოერთუნენ ქართველნი, სომხითარნი და ჰერ-კახნი, მივიდა და დადგა თავსა კოხტისასა. ამცნო ათაბაგს, რათა არა ჰყოს გამდგომილება; არამედ ათაბაგმან არა ინება და შემოიკრიბნა მიმდგომნი თჳსნი და ეწყო მეფესა კოხტის-თავს. მაშინ შემდგომად ფიცხელისა ომისა იძლია ათაბაგი და მოსწყდნენ სპანი მისნი. შეიპყრეს ათაბაგი იოვანე და მოართუეს მეფესა ქ˜სა ჩ˜უიე, ქართულსა რ˜გ. ხოლო მეფემან პატიმარ-ჰყო ათაბაგი და შევიდა სამცხეს და დაიპყრა ყოველნი ციხენი და ექსორია-ჰყვნა ურჩნი და რომელნიმე უმკვიდრო-ჰყვნა და დასხნა ერისთავნი თჳსნი. მერმე ევედრა ათაბაგი შემდობასა შეცოდებისასა,

რათა იყოს საუკუნოსა მონებასა შინა, ხოლო მეფე ვინაჲთგან იყო მო-
წყალე და შენმდობელი და კუალად წინა ერთგულობისა მისისათჳს
აფუცა მონებრივსა ერთგულებასა ზედა და აღიყვანა ათაბაგობასავე;
განაგნა და დაამშჳდნა მუნებურნი სიბრძნე-მეცნიერებითა თჳსითა და
მოვიდა ტფილისს.

ხოლო მაშინ ვინაჲთგან დაემშჳდნეს ყოველნი თჳსნი ქუეყანანი,
შემოიკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოზნი და ყოველნი დიდებულნი და
წარჩინებულნი, ერისთავთ-ერისთავნი, ერისთავნი და განიზრახა მათ
თანა აღშენებისათჳს კათოლიკე ეკლესიისა მცხეთისა და რომელთა-
მე მოოჴრებულთა ეკლესიებთა, რამეთუ ვინაჲთგან განმკჳდრებულ
იყვნენ მთავარნი, ვითარცა ათაბაგი, დადიანი, გურიელი, შარვაშიძე
და სუანთა. ხოლო დაღათუ გამოსცვლიდიან და იყვნიან მორჩილე-
ბასა ქუეშე მეფეთასა, არამედ მონათესავეთავე აღიყვანიან პატივთა
ზედა მათთა.

1-25 სტრ., 280
ხოლო მთავართა ესმათ რა ბრძანება ესე მეფისა, განიხარეს ყო-
ველთა და შეჰკუეთეს ყოველთა საბრძენებელთა თჳსთა, თჳნიერ სა-
მეფოსა გამოსაღებისა, ყოველსა გლეხსა ერთსა კუამლსა ზედა სამი
კირმანაული, რომელი არს ექუსი შაური აწინდელი, და მოჰკრებდიან
ამას წლითი-წლად და ამით იწყო შენებანი მცხეთისა, რუისს ღვთაე-
ბისა ეკლესიისა და სხუათა ეკლესიათა. გარნა მოეცაცა მას მშჳდობა
ღუთისაგან ათხუთმეტსა წელსა და შეასრულნა განზრახუანი თჳსნი.

კუალად გარდაიცვალნენ ჟამსა ამისსა კათალიკოზნი სამნი: და-
ვით, ელიოზ და თეოდოსი, და ამანვე მეფემან დასუა შიო. ხოლო
წელსა ქ˜სა ჩ˜ულ, ქართულსა რ˜იჱ იყო მეფე იმერეთს.

მოვიდნენ სარკინოზნი და ანაზდის უცნობლობით აღიღეს ლო-
რე და თჳთ დაიპყრეს, მოარბიეს სომხითისანი სამცხემდე, უკუნ-
იქცნენ და წარვიდნენ, გარნა ავნეს დიდი ქართველთა და აცნობეს მე-
ფესა. წარმომართებული მეფე მოვიდა ქართლს წელსა ქ˜სა ჩ˜ულა,
ქართულსა რ˜ით. შემდგომად შემოიკრიბნა მეფემან სპანი და მოვი-
და ამბერდს, განაგნა მუნებურნი და დაიმორჩილნა თჳსად. კუალად
წელსა ქ˜სა ჩ˜ულბ, ქართულსა რ˜კ მოადგა მეფე ლორეს, აღიღო იგი
და მოსრნა სარკინოზნი და დაიპყრა თჳსად ლორე. კუალად მოახარკე
ჰყვნა რანი, მოვაკანი და შარვანი; მოვლო სამეფო თჳსი და მოვიდა
კუალად ტფილისს.

ხოლო აქამომდე ვინაჲთგან სპარსეთი იყო უმეფო და მრავალად
განყოფილი, არამედ წელსა ქ˜სა ჩ˜ულ ქართულსა რ˜იჱ გამოჩნდა

კაცი შარუხ და ამან დაიპყრნა რომელნიმე სპარსეთისანი. მოვიდა და დაიპყრა ადრიბეჟანიცა და შემოვიდა სომხითს. მაშინ ამისთჳს განი-
ზრახა მეფემან ალექსანდრე შემოკრებულთა დ
იდებულთა თჳსთა თა-

1-26 სტრ., 281
ნა რაჲ ჰყონ: ბრძოლა ანუ ზავი. არამედ დაამტკიცეს ზავი და უკუეთუ არა ინებოს, მერმე ვბრძოთ შეწევნითა თუთისათა. ამისთჳს აღიღო მეფემან ძღუენი დიდი და ძე თჳსი დიმიტრი წარავლინა ქ˜სა ჩ˜ულე, ქართულსა რ˜კგ და მოითხოვა მშჳდობა. ხოლო შარუხ სიხა-
რულით შეიწყნარა და პატივ-სცა ძისაებრ დიმიტრის. შემდგომად ანიჭნა ნიჭნი დიდ-დიდნი და წარმოუვლინა მამასვე მშჳდობით ზავი-
სა მყოფელმან და თჳთ შარუხ უკუნ-იქცა და წარვიდა.

არამედ იხილეს ესე რა განძელთა და შირვანელთა მეფობა სპარ-
სეთისა, არღარა ინებეს მათ ხარკისა მოცემა ალექსანდრე მეფისად. განრისხნა მეფე ალექსანდრე, შემოიკრიბნა სპანი თჳსნი რჩეულნი და შთავიდა ყარაბაღს ქ˜სა ჩ˜ულზ, ქართულსა რ˜კე. ვერ წინააღუდ-
გნენ მას განძელნი; მოსრნა ურჩნი და ჰყვნა კუალადცა მოხარკედვე. ამისნი მხილველნი შირვანელნი და დარუბანდელნი შეშინდნენ ძლიე-
რებითა მისითა და მოერთნენ ყარაბაღსავე ძღუენითა დიდითა. ხოლო მეფემან დაამშჳდნა და განუჩინა მათ ხარკნი და დაიმორჩილნა ყოვ-
ლითავე. მერმე უკმოიქცა და მოვიდა ტფილისსა გამარჯუებული. ამის-
თჳს წარუმართა მას ღმერთმან, რამეთუ იყო მშჳდი, მოწყალე, შემ-
ნდობელი, მიმტევებელი ქურივთა და ობოლთა და დავრდომილთა შემწყანარე, სამღუდელოთა პატივისმცემელი, ეკლესიათა მაშენებე-
ლი და შემამკობელი, მჴნე-ახოვანი, შემმართებელი, შუენიერ-ჰაე-
როვანი. არამედ ესე ალექსანდრე მეფე მოვლიდა ყოველსა სამეფოსა თჳსსა, ზამთარ იმერეთს, ზაფხულ სამცხეს, კლარჯეთს და თრია-
ლეთს, შემოდგომა-გაზაფხულს სომხითს, ქართლს, ჰერ-კახეთს და იყო შუება ნადიროზა-ნადიმობასა შინა და განგებასა შინა ქუეყა-
ნისასა, არამედ ამისა შემდგომად მოკუდა მეფე ალექსანდრე ქ˜სა ჩ˜უმბ, ქართულსა რ˜ლ და დაფლეს მცხეთას.

1-27 სტრ., 282
ო˜ზ. მეფე ვახტანგ გ˜ წელი მეფა

შემდგომად მეფის ალექსანდრეს წილ გამეფდა ძე მისი ვახტანგ. შემოკრებითა კათალიკოზ-ეპისკოპოზთათა და დიდებულ-წარჩინე-
ბულთათა ეკურთხა მცხეთას და დაიპყრნა ყოველნი საბრძანებელ-
ნი მამისა თჳსისანი. რამეთუ იყო ძლიერი, ტანითა ახოვანი, შემმარ-
თებელი, ჰაერვან-შუენიერი, მრისხანე საშინელი, უხჯ, მდაბალი

და სამჴედროთი სრული. მეფესა ამას უთხრეს შუენიერება და სიკეკ-
ლუცე ფანასკერტელის ასულის სითი-ხათუნისა. ეტრფიალა მეფე და
მოიყვანა ცოლად და ჰყო მისთანა ქორწილი ჯეროვანი და შეიყუა-
რა ფრიად.

ხოლო სპარსეთს მოკუდა შარუხ და დაჯდა მის წილ ჯაანშაჰ
ქ˜სა ჩ˜უმ, ქართულსა რ˜კ. ესე ჯაან-შა მცდელობდა დაპყრობასა
სრულიად სპარსეთისასა და გარემოთა ყოველთა. წარმოემართა და
უგრძნეულოდ მოვიდა სამცხეს, მოუჴდა ახალციხეს და ბრძოდა ძლი-
ერად ქ˜სა ჩ˜უმდ, ქართულსა რ˜ლბ. ამისმან მსმენელმან მეფემან ვა-
ხტანგ მოსწრაფედ შემოიკრიბნა სპანი იმერ-ამერთა, ჰერ-კახთა, სომ-
ხითართა და მივიდა სამცხეს და მუნ მოერთნენ მესხნი სრულიად.
ეწყო ჯაან-შას და იქმნა ბრძოლა ძლიერი დლით მწუხრადმდე და
მოსწყდნენ მრავალნი ორგნითვე, გარნა უმსარვესნი ჯაან-შასნი,
არამედ სწორი ძლევა იქმნა და ვერცა ერთმან სძლო და სიღამით უკუ-
დგნენ ბრძოლისაგან და ხვალისად ორნივე მემუქარენი. არამედ მასვე
ღამესა აღიყარა ჯაან-შა ყენი სპითა თჳსითა იდუმალ, რომელი ვე-
რავინ უგრძნა და წარვიდა ფიცხელად. ხოლო დილას იხილა რა მე-
ფემან, ინება დევნა მისი, გარნა დიდებულნი არღარა აუფლებდნენ მე-
ტყუელნი: „აწ ჯერ-არს მადლობა ღუთისა, ვინაჲთგან არა რაჲ წა-
რაქუს ჩუენი, არამედ თჳსისაცა დამტევებელი ივლტის“. უსმინა მე-
ფემან და მოიქცნენ გამარჯუებულნი. შემდგომად მცირედისა ჟამისა

1-25 სტრ., 283
ამავ ქორონიკონსა ზედა მოკუდა იოვანე ათაბაგი და ამანვე მეფემან
აღიყვანა ძე იოვანე ათაბაგისა აღბუღა პატივსა ათაბაგობისასა. კუა-
ლად ამასვე წელსა მოკუდა დედოფალი სითი-ხათუნ და დაფლა მეფე-
მან ბანას. ამისა შემდგომად იმეფა ვახტანგ წელი ერთი მწუხარებით
ცოლისა თჳსისათჳს. გარნა მეფობდა კეთილად განგებითა ქუეყანისა-
თა, მერმე გარდაიცვალა ქ˜სა ჩ˜უმე, ქართულსა რ˜ლგ და არა დაუტე-
ვა ძე, არცა ასული, და დაფლეს ბანასავე ცოლისა თჳსისა თანა.

ო˜. მეფე გიორგი. კ˜დ წელი მეფა

დაჯდა მეფედ ძმა ვახტანგ მეფისა და ძე ალექსანდრე მეფისა გი-
ორგი. ხოლო შემოკრებულთა კათალიკოზ-ეპისკოპოზთა და დიდე-
ბულთა აკურთხეს მეფედ. ხოლო ესე გიორგი მეფე ყოვლითა
სიკეთითა და საღმთო-სამჴედროთი სრული და აღმკული, პირველს
მეფობასა ბედნიერი და წარმატებული და წარმართებული. არამედ
შემდგომად უბრკმა ბრძოლისა სვიანობამან შარავანდედობისამან და
განსქდა ჟამსა ამისსა სამეფო სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ.
არამედ დაჯდა რა ესე გიორგი მეფედ, ამან დაიპყრნა ყოველნი საბრძა-

ნებელნი მამისა და ძმისა თჳსისანი და მართვიდა კეთილად. ამას უკუე მოსცემდნენ ხარკსა შარავანდი, რანი და შირვანი, არამედ ათაბაგი აღბუღა იყო კაცი მშჳდი და უშფოთველი და სამართლის-მოქმედი, ვითარცა გვაუწყებს მის მიერ აღწერილი სამართლის წიგნი, რომელი დაუდვა მესხთა ბრძანებითა მეფისათა.

ხოლო ბიძასა მისსა ყუარყუარეს აქუნდა გულსა მანკიერება, რომელი ქუემორე გამოიცხადების. ამან ყუერყუარემ იხილა რა ესევითარნი აღბურას მოქმედებანი, იწყო გარდაბირვად მესხთა. აგრძნა ესე აღბუღამ და მივიდა, რათა შეიპყრას ყუარყუა-

რე ეწყო ძლიერად ქ˜სა ჩ˜უმზ, ქართულსა რ˜ლე, და იძლია აღბუღა ათაბაგი და მოვიდა წინაშე გიორგი მეფისა. განრისხნა მეფე, წარვიდა და მივიდა სამცხეს. ხოლო ყუარყუარე მოეგება მეფესა და იტყოდა უცოდველ-ყოფასა, არამედ მეფემანაღიყვანა კუალად აღბუღავე პატივსა ათაბაგობისასა და ყუარყუარე დაიმჭირა კარსა თჳსსა ზედა. გარნა მიერითგან იქმნა ყუარყუარე ქუეგამხედველი მეფისა.

შემდგომად წელსა ქ˜სა ჩ˜უნა, ქართულსა რ˜ლთ გამოვიდნენ ორმოცდა ათნი კატარღანი სავსენი სპითა სულტან მურადისა, მაჰმადის ძისა, და აღაოჴრნეს და მოსწყჳდნეს ცხომი და აფხაზეთი და ზღჳს პირნი. უკუნ-იქცნენ და წარვიდნენ. ამისი მცნობელი მეფე გიორგი წარვიდა მოსწრაფედ, არამედ ვერა რაჲსაღა ეწია. გარნა მკჳდრნივე დასხნა და უქმნა სიმაგრენი და განაგნა მუნებურნი და მოვიდა გეგუთს.

ხოლო ამასვე წელსა მოკუდა ათაბაგი აღბუღა და შემდგომად მისსაამან მეფემან გიორგი მიუბოძაბიძასა მისსა ყუარყუარეს მობირებითა ვეზირთათა ათაბაგობა. შემდგომად ნადირობასა შინა მოკლა ცხენმან დიმიტრი ძე ალექსანდრე მეფისა და ძმა გიორგი მეფისა ქ˜სა ჩ˜უნბ, ქართულსა რ˜მ. კუალად უკუ-დგნენ შირვანელნი და არღარა მოსცნეს ხარკნი. ამისთჳს შეიკრიბნა მეფემან სპანი და მივიდა ყაბალას. წარავლინნა სპანი და მოსრნა ურჩნი და დაამშჳდნა სხუანი, შეჰკუეთა ხარკი და მოვიდა თჳსად.

კუალად ამის ჟამსა შინა განრისხნა ღმერთი ქრისტიანეთა ზედა ცოდვათა ჩუენ ქრისტიანეთათჳს და აღიღო სულტამნა მაჰმად კოსტანტინეპოლი ქ˜სა ჩ˜უნგ, ქართულსა რ˜მა, რამეთუ მოკუდა კალეპინ ქ˜სა ჩ˜უი და დაჯდა ძე მისი მუსა. მოკლა მუსა ძმამან თჳსმან მაჰმად ქ˜სა ჩ˜უიგ და დაჯდა თჳთ მაჰმად. მოკუდა მაჰმად ქ˜სა ჩ˜უკბ და

1-27 სტრ., 285
დაჯდა ძე მისი მურად, რომლისა კატარღებმან მოსტყუევნნეს ზღჳს პირნი. მოკუდა მურად ქ˜სა ჩ˜უნა და დაჯდაშემდგომად მისა ძე მისი მაჰმა. ამან მაჰმად მეორესა წელსა მეფობისა თჳსისასა წარიღო სა-მეფო ქალაქი. გარნა წაღება ესე დაუსახვიდა საქართველოს დიდსა ბოროტსა, რომელიცა ქუემორე შეუდგების. ხოლო მოკუდა იმერთ ერისთავი დემეტრე და მეფემან დასუა ბაგრატ ძე მისი, და კუალად გარდაიცვალა ამის გიორგის მეფობისა ჟამსა შინა კათალიკოზი შიო და ამან მეფემან დასუა კათალიკოზად დავით.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜უჲბ ქართულსა რ˜ნ განზრახჳთა ყუარ-ყუარე ათაბაგისათა იწყო ზრახუად იმერთა ერისთავმან ბაგრატ ძე-მან დიმიტრისამან, რათა ჰყონ იგი მეფედ, და აღუთქუა თავისუფლება დადიანსა, გურიელსა, შარვაშიძეს და სუანთა. ესე სთნდათ მთავართა მათ ამისი ესრეთ ყოფა და მისცეს მას პირი მტკიცე და ჰყვეს მეფედ იმერთა. ესმა რა ესე გიორგი მეფესა, აღუძნდა ფრიად და შემოიკრიბ-ნა სპანი ქართლ-სომხითისა და ჰერ-კახთა ა უბრძანა ათაბაგსა შთა-მოსლვა სპითა სამცხისათა ფერსათიდამ იმერთა შინა. და მეფე გი-ორგი შთავიდა იმერეთს სპითა თჳსითა. ხოლო ათაბაგი არღარა მო-ვიდა მჭურეტელი საქმისა, თუ რაჲ იქმნების,და არცა უშუელეს ბაგ-რატს დადიანმან, გურიელმან, აფხაზთა და სუანთა. ხოლო მეფე გი-ორგი და ბაგრატ ეწყუნენ ჩიხორს ურთიერთას და ძლიერისა ბრძო-ლითა მოსწყდნენ მრავალნი იმერნი და ამერნი. შემდგომად იძლია მეფე გიორგი და ივლტოდა ქართლს.

მაშინ ბაგრატ დაიპყრა იმერეთი, აღიღო ქუთათისი და ეკურთხა მუნ მეფედ. შემდგომად მცირედისა ჟამისა შემოიკრიბნა მეფემან გი-ორგი სპანი და მოვიდა სამცხეს, რათა შურ-აგოს ათაბაგსა; ხოლო ათაბაგი ყუარყუარე ვერ წინააღუდგა მუნებურთა ერისთავთა ერთ-გულობისა გამო და წარვიდა იმერეთს ბაგრატისა თანა ლტოლვილი.

1-26 სტრ., 286
მაშინ სამცხეს ყოფასა შინა მევადინეობდა გიორგი მეფე, თუ ვითარ განაგოს მუნებურნი განმსატკიცებლად თავისად.

არამედ ჟამებსა ამათ მომკუდარიყო ჯაან-შა ყეენი და სპარსეთს იჯდა ასანბეგ ყეენად. ამან ასანბეგ წარმოავლინა სპანი და სპასპეტნი ქართლსა ზედა. მაშინ მოერთო ამბავი გიორგი მეფესა სამცხეს ყო-ფასა შინა, ვითარმედ „მოდიდა თავრიჟ გილაქი და თემურ, მოუჴდ-ნენ ქართლს და აოჴრებენ სომხითსაცა“. მსმენელი მეფე უკმოიქცა სამცხიდამ და ეწყო მათ ძლიერად; არამედ იძლია მეფე გიორგი მათ-გან ცოდვათა ჩუენთათჳს და მოსწყდნენ უმრავლესნი სპანი მისნი ქ˜სა

ჩ˜უჲგ, ქართულსა რ˜ნა. ხოლო თავრიჟ გილაქმან და თემურ მოაოჯ-
რეს ქართლი და საგანძურნი მეფისანი, უკუნ-იქცნენ და წარვიდნენ.

ამისნი მხილველნი არღარა მოსცემდნენ რანი, მოვაკანი და შარ
ვანდი ხარკთა. კუალად ამისმან მხილველმან ბაგრატ უშუელა ყუარ-
ყუარე ათაბაგსა; მოვიდნენ და დაიპყა ყუარყუარემ კუალადცა სამ-
ცხე. ამისთჳს მისტაცა ყუარყუარემ აჭარა და რომელნიმე ჭანეთისა
გურიელს კახაბერს, რათა მწე ექმნას ერისთავთა ზედა სამცხისა და
კლარჯეღისათა. ხოლო გურიელმან კახაბერ სიხარულით მიიღო ქუე-
ყანანი და მოჰყვა ყუარყუარეს სპითა, მოსპობდნენ და განასხემდენ
ერისთავთა გიორგი მეფისათა და რომელთამე დაიმორჩილებდა და
აქუნდა ბაგრატცა მარადის მწედ.

კუალად შემდგომად ამისა შემოიკრიბნა მეფემან გიორგი სპანი
ქართველნი, სომხითარნი და ჰერ-კახნი, მივიდა და დადგა ფანავარსა
ზედა, რათა დაიმორჩილოს სამცხე ყუერყუარე ათაბაგითურთ ქ˜ეს
ჩ˜უჲე, ქართულსა რ˜ნგ.

არამედ აქა დგომასა შინა შემოუჩინნეს განდგომილთა მეფისა-
თა გიორგი მეფესა მოღალატენი, რათა მოკლან იგი და ტაძრეულნივე

თჳსნი. ხოლო სცნა ესე იოთამ ზედგენიძემ და ამხილა მეფესა ყოვე-
ლივე; არამედ მეფემან არა ირწმუნა, ვინაჲთგან უგონებელ იყო მათ-
გან ღაატი მეფისა. მაშინ იოთამ ეტყოდა მეფესა: „უკუეთუ ვცბი და
არა ჭეშმარიტ არს სიტყუა ჩემი, აწ გევედრები, რათა არა მოიკლა
თავი ცუდად, არამედ ღამესა ამას მე დავწვე საგებელსა შინა შენსა
და უკუეთუ მომკლან მე მგონებელთა შენთა მეფედ, გარნა ნუ დაივიწ-
ყებ ძეთა ჩემთა“.

უსმინა მეფემან და ჰყვეს ეგრეთ, ვიტარცა იტყოდა იოთამ. ხო-
ლო ღამესა მას შემოვიდნენ მობირებულნი იგი და მოკლეს იოთამ და
განერა მეფე მათგან. დილისად შეიპყრა მეფემან მტერნი თჳსნი და
მოსწყჳდნა ყოველნი და შოთსა ამას შინა დაესხა ყუარ-
ყუარე ათაბაგი ყოვლითა შემწითა თჳსითა გიორგი მეფესა და აოტნა
სპანი მეფისანი და შეიპყრა მეფე გიორგი, წარიყვანა სამცხეს და ჰყო
პატიმრად პატივითა დიდითა.

ამისა შემდგომად მოკუდა ათაბაგიყუარყუარე ქ˜სა ჩ˜უჲვ, ქარ-
თულსა რ˜ნდ, იანვარსა შინა და დაჯდა ძე მისი ბაადურ. არამედ ამას-
ვე ქარონიკონსა იხილა რა შეპყრობა გიორგი მეფისა ბაგრატ იმერ-
თა მეფემან, შემოიკრიბნა სპანი თჳსნი, გარდამოვლო ლიხი და დაიპყ-

რა ქართლი ფებერვალსა შინა. ამისი მხილველი განდგა დავითცა ნებითა ჰერ-კათათა, რათა არა დაიპყრას ბაგრატ ჰერ-კახნიცა და იწყო წოდებად მეფედ კახთა დავით.

მაშინ ამათი განმხილველევი ათაბაგი ბაადურ განიზრახვიდა, უკეთუ დაიპყრას ბაგრატ ქართლი, კუალად ეძიოს თჳსად დაპყრობად სამცხისასაცა და დამორჩილებასა შინა თჳსსა. ამისთჳს ეზრახა მეფესა გიორგის, რათა არღარა მოიჴსენოს შური მას ზედა და არა ეცილოს სამცხეს ათაბაგსა; ხოლო მეფემან დაიპყრას ქართლი, სომხითი, ჰერ-

კახნი და განუტეოს და მიჰყვეს თჳთ ათაბაგი ამათტა დაპყრობისათჳს. მაშინ მეფემან უღონო ქმნილმან აღუთქუნა ყოველნი ნებისაებრ მისისა და გულ-პყრობელმან ათამაგმან ბაადურ გიორგი მეფისაგან შემოიკრიბნა სპანი სამცხისანი და კლარჯეთისანი სრულიად და შთამოიყვანა მეფე გიორგი სომხითს. მუნ მიერთუნენ ყოველნი სოხითარ-ქართველნი მეფესა. ხოლო ესე რა იხილა ბაგრატ მეფემან, არღარა ინება ბრძოლად და წარვიდა იმერეთს. მაშინ დაიპყრა გიორგი მეფემან ქართლი და სომხითი; მერმე განვიდა კახეთს, მიჰყვა ბაადურ ათაბაგიცა. ამისნი მხლველნი ჰერ კახნი მოერთუნენ მეფესა გიორგის. ხოლო დავით ვერ წინააღმდეგი და მოშიშარე მეფისაგან ივლტოდა დედაწულით დიდოეთს და გიორგი მეფემან კუალად დაიპყრა კახეთი. და ვითარცა პირველ იყო ერისთავთა მიერ, ეგრეთვე განაგნა. კუალად ეზრახა დიდოთა, რათა მოსცენ დავით და მიიღონ ნიჭი დიდი, არამედ მათ არა ინებეს დავით მოცემა მეფისა. ხოლო მეფემან ვერღარა იკადრა შერისხუა დიდოთა მათ, რათა არა შეუდგეს უდიდესნი ბოროტნი სიმაგრეთა შინა მათთა. ამისთჳს განიმტკიცნა ჰერ-კახნი სარწმუნოდ ერთგულებასა ზედა თჳსსა და განაგნა მუნებურნი და მოვიდა ტფილისს; ხოლო ათაბაგი ბაადურ წარვიდა სამცხეს.

ხოლო ამისა შემდგომად ეპყრა და განაგებდა მეფე გიორგი ქართლსა, სომხითსა და ჰერ-კახთა. მაშინ მოიყვანაძე იოთამისა, მიუბოძა მას ციხენი და მამულნი და სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და სასაფლაო სამთავისი და კარისა თჳსისა ამილახორობა მსახურებისათჳს მამისა მისისა, ვიტარცა აჩენენ გუჯარნი მათნი. გარნა მეფე გიორგი ამათი მყოფელი და განმგე ნეშტთა ქუეყანათა იყო ფრიად მწუხარე განხეთქილებისათჳს სამეფოსა ესევითარითა. არამედ კუალადცა მცდელობდა შეერთებასა და ეგრეთვე გებასა გიორგიისასა; გარნა ვერღარა ღონის-მძიებელი და მპოებელი გარადიცვალა წელსა ქ˜სა ჩ˜უჲტ, ქართულსა რ˜ნზ მეფე გიორგი. დაფლეს მცხეთას.

ხოლო ძისა მეფისა გიორგის კონსტანტინესასა და მის ქუემო-
რეთა მეფეთა ქმნილებათა ვიწყებთ წარწერასა თჳსთა ქარტათა
ზედა, ვინაჲთგან იქმნენ გამყოფილებანი.

საქართველოს ახალი ისტორია

XIV-XVIII სს.

შემდგომად განყოფისა სამეფოსა
სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ

უწყება მკითხველთათჳს

უწყებულ იყავნ, რამეთუ ბრწყინვალეს მეფის გიორგის ცხორე-
ბა და მას ქუეითთა მეფეთა არღარა მოიპოების. გარნა საგონებელ
არს, რამეთუ ყოფილ არს ცხორება მისიცა და სხუათა მეფეთაცა
განყოფილებისადმდე, ვინაჲთგან ცხორებასა შინა სწერს, რამეთუ
ამან ბრწყინვალემან გიორგი რავდენ გონიერად ჰყო ბრძოლანი ანუ
შემატებანი სამეფოსანი.

კუალად იტყჳს: „განდგა სარგის ჯაყელი და არღარა იქმნა შე-
ერთება მესხთა, ვიდრე ბრწყინვალის გიორგისამდე, და ამან დაიპყრ-
ნა მესხნი. ეგრეთვე კავკასთა და ოვსთათჳს იტყჳს განსხმასა და და-
მორჩილებასა, ამით უკუეთუ არა იყო ცხორება, არა ძალ-ედვა წინათ-
ვე აღწერად ქმნულთა მისთა. გარნა აღწერილნი ესენი შემდგომად
მისსა იხილვებიან, გარნა იყო და წარწყმდა, ვითარცა ნაკლულევან
არს მეფის ვახტანგისა და ბექას-მიერნი თურქთა ზედა ძლევანი და
ყეენებთა შეუსრულებლობანი. კუალად ანუ შურითა ურთიერთთა
შემდგომად განყოფისა უჩინო ჰყვეს გუაროზისათჳს, და ამისთჳს სა-
ჭიროდ იქმნა მას ქუეით მეფეთა
აღწერათა წარმოჩინებანი. გარნა
ერთმეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესენი, ვინაჲთგან
იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქუეშე პყრობასა: პირველი,
უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერკახსა რა
რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი“. მეორედ, არს ამათ ყო-
ველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან
ქმნული: და ჰკითხო რა წინთქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი
უწყი“, მოგიგებს მყის: „ქართული“. რამეთუ არა იტყჳს, არცა რჯუ-

ლსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა. მესამედ: არასადამე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკ-ლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძჳრფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თჳნიერ: „ჩუენ მეფემან საქარ-თველოსმან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან“, რომელთა ზე-და წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა.

კუალად ესეცა ნიშნი არიან, რომელნი უპყრავს მეფესა ქართლი-სასა ჰერკახთა ყარაია და ლილო, იმერთა ლიხის მთას იქითი, სამ-ცხისა, ტაშისკარს ზეითი ტბისყურ-ფანავრისამდე, სომხითისა აბო-ცი და სხუანი, რომელნი შიხის ძეთა მიუღეს. არამედ ესენი საკმაო არიან აღმოჩენად. გარნა გლეხთა უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფისა. გარნა შური-თა ურთიერთთა და გარეშეთა მტერთაგან იქმნა განყოფილება, ვი-თარცა დავითისა და ნარინ-დავითისა და მათ ქუეითთა. ეგრეთვე და ამის მიერ სახილველ არს არღარა წარწერა შემდგომის ცხორებისა მწერალთა მიერ თნებითა მათ მეფეთათა. არამედ თუმცა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და საეკლესიოებთა წიგნებთა შინა ქორონიკო-ნებთა მათთა, რომელი აღუწერიათ ბრწყინვალის გიორგიდამ, ვიდრე ჩუენამდე ყოველთა მეფეთა და მთავართა, და სხუასა ვიუწყებთ ჴსოვ-ნა-მოთხრობათა და მცირეთა ცხორებათა მათთათა წარწერითაცა. არამედ განრჩევა საჭიროდ არს და უჴმს შრომა დიდი. გარნა ამის განრჩევისათჳს წარმოვსთქუათ ბრწყინვალეს გიორგიდამ ვიდრე ჩუენადმდე.

ხოლო აღუწერიათ ცხორებასა სახელითა ლევანის ძის მეფის ვახტანგისათა, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ. გარნა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თჳთ არღარა განუხილავს ვითა-რება მისი, ვინაჲთგან სწერს ბაგრატიონთ ნათესაობა-შთამომავლო-ბასა შინა სხუას ქარონიკონებსა, რომელნი ჩუენი აწ წერილის ქო-რონიკონებისაგან არიან. ხოლო ცხორებასა შინა სწერს ბრწყინვა-ლეს გიორგის თავდადებულის ძედ და ძედ გიორგისად ბაგრატს. და ამ

1-29 სტრ., 293
ბაგრატის ჟამს იტყჳს თემურის მოსვლასა, ამას ქორონიკონს უწერს ქ˜სა ჩ˜ტჟგ, ქარ. ჟ˜ა, და ამ ბაგრატის ძედ გიორგის, და სიკუდილსა ამ გიორგისასა სწერს ქ˜სა ჩ˜ტნე ქარ. მ˜გ. და ნათესაობასა შინა ამასვე ქორონიკონსა ამ გიორგის ძის დავითის მეფობას იტყჳს, და ამ მე-ფეთ ქორონიკონსა და ცხორებასა სხუას არღარაჲსა სწერს, ვინაჲთ-გან ვერრა უპოვნიათ, რამეთუ მუნვე სწერს: „ვერ ვპოვეთ ბრწყინვა-ლე გიორგის ცხორება“. ხოლო გიორგის ძედ დავითს და სიკუდილსა

ამ დავითისასა ქ˜კს ჩ˜ტჲბ,და ამ დავითის ძედ ალექსანდრეს. ხოლო ნათესაობასა შინა ამ ალექსანდრეს მეფობას იტყჳს ქ˜სა ჩ˜ტოზ, ქარ. ჲ, და ცხორებასა შინა სიკუდილსა ამ ალექსანდრესასა ქ˜სა ჩ˜ტჟგ: და ამის ძედ გიორგის და ამ გიორგის მეფობას ნათესაობასა შინა ქ˜სა ჩ˜ტჟგ, ქარ. ჟ˜გ.

არამედ იხილე, ვითარ წინააღმდგომ არიან ურთიერთთა. რამეთუ იტყჳს ნათესაობასა შინა ბაგრატის ძის გიორგისამდე „გარდაჴდენ რუსუდანიდამ წელნი რ˜დკ“. და რუსუდანის მეფობას იტყჳს მუნვე ქ˜სა ჩ˜სპგ, ამას რომ რ˜კდ დავადვათ, იქმნების ჩ˜უზ წელი, რომელი გარდასცილდების ალექსანდრეს სიკუდილს ჩ˜ტჟგ და გიორგის მეფობას ჩ˜ტჟე; ქარ. პ˜გ. ამით ამათნი ზეითნი მეფენი ტყუილნი არიან და უკეთუ რ˜კდ წელი რუსუდანის სიკუდილს დავადვათ იქმნების ქ˜სი ჩ˜ტჲა, ქარ. მ˜თ: ეს მისწუდების დავითის მეფობისწელს ჩ˜ტნე, ქარ. მ˜გ. კუალად გარდასცილდების ექუსი წელი, და კუალად რუსუდანის მეფობის ქორონიკონიდამ დავითის გამეფებამდე დაშთების ო˜ბ წელი, და მეფენი არიან ხუთნი. ეს რომ გაუყოთ, მიხუდების თითოს ი˜დ წელნი, და ესე დაუჯერებელ არს ძეთა სხმად, რამეთუ არიან ძენი ერთი-ერთისა, ხოლო იგივე ქორონიკონი აქ წერილს ქორონიკონს მისწუდების, დიდის ბაგრატისაგან სუანთ მოწყუედასა და თურქთაგან სამცხის მორბევასა.

კუალად ბაგრატის ქორონიკონი თემურის მოსვლისა და ალექსანდრეს სიკუდილისა ქ˜ს ჩ˜ტჟგ წინააღდგომ არიან, რამეთუ ანუ ბაგ-

რატისად ჯერ არს ანუ ალექსანდრესად, ვინაჲთგან პაპის მამისა და ძის-ძის-ძის მეფობის ქორონიკონი ერთბამად ურწმუნო არს, და მათთა ქორონიკონებსაცა წინააღუდგების, რამეთუ ძენი უწინარეს ყოფილან პაპისაგან, არამედ ჩ˜ტჟგ ქორონიკონი, მოწმობითა ყოველთა მემატიანეთათა, თემურისა და დიდის ბაგრატისა არს. და ამ დიდის ბაგრატისა არს. და ამ დიდის ბაგ-
რატის მამა დავით იყო, რომელსა მოწმობს გუჯარი ბარათიანთა ბეთენიასი, და დავითის მამა თავდადებულის ძე ბრწყინვალე გიორგი იყო, რომელსა მოწმობს ნათესაობის რ˜კდ წელი. რუსუდანის გამეფებიდამ რომ დავადვათ, იქნების ქრისტესით ჩ˜ტლე წელი და ბრწყინვალე გიორგის მეფობა.

ხოლო ესე ალექსანდრე, ბაგრატ მიქელ მეფის ძე არს, და ამის მიერ ვერ გაურჩევიათ, ვინაჲთგან ორნი ბაგრატ ერთ ჟამს იყვნენ და ნათესაობის ქორონიკონი ჩ˜ტოზ, ქარ. ჲ˜ ამ ალექსანდრეს მეფობა რომ არს, მიქელ მეფის ძის ბაგრატის სიკუდილისა და ალექსანდრეს

გაერისთავებისა არს, რომელნი იმერეთს აღვსწერეთ, და დიდის ბაგრატის ჟამი არს მეფობისა. ხოლო ამ დიდის ბაგრატის ძე არს გიორგი და არა ალექსანდრე, და რომელი გიორგი მათ ალექსანდრეს ძეს დაუწერიათ და ამ გიორგის სიკუდილის ქორონიკონი ცხორებასა შინა, ქ˜სი ჩ˜უიბ ესევ ალექსანდრეს გამეფებისა, ეს არც გიორგისა და არც ალექსანდრესი არს ქორონიკონი, არამედ კონსტანტინესი გიორგი მეფის ძმისა, დიდის ბაგრატის ძისა და ნათესაობასა შინა წერილი ჩ˜უიდ, ქარ. რ˜ბ გამეფება არს ალექსანდრე მცხეთის აღმაშენებელისა, და ამის მამა გიორგი მოკლეს თურქთა ქ˜სა. ჩ˜უზ, ქარ. ჟ˜ე.

ხოლო კუალად სწერს ცხოვრებაში გიორგის ძედ ალექსანდრეს, და სიკუდილსა ამ ალექსანდრესასა ქ˜სა ჩ˜უით, და ამ ალექსანდრეს ძედ ვახტანგს. ხოლო ნათესაობასა შინა მეფობასა ვახტანგისასა ქ˜სა ჩ˜უმგ, ქარ. რ˜ლა.

და ეს არს ვახტანგის მეფობის მეორე წელი და ცხოვრებასა შინა სიკუდილსა ვახტანგისასა ქ˜სა ჩ˜უმე. მერმე ძმასა ვახტანგისასა გი-

ორგის და ამის მეფობის ნათესაობასა შინა სწერს ქ˜სა ჩ˜უმე. ქარ. რ˜ლგ და ცხოვრებასა შინა გამეფებასა ამასვე. ხოლო სიკუდილსა გიორგისასა ქ˜სა ჩ˜უნე და ამ გიორგის ძედ ბაგრატს; ამას ნათესაობასა შინა მეფობასა უწერს ქ˜სა ჩ˜უნე, ქარ. რ˜მგ, და ცხოვრებაში სიკუდილსა ბაგრატისასა ქ˜სა ჩ˜უდა; და ამ ბაგრატის ძედ კონსტანტინეს და სიკუდილსა კოსტანტინესსა ქ˜სა ჩ˜უდჱ. მერმე კოსტანტინეს ძმად სწერს ალექსანდრეს და სიკუდილსა ამ ალექსანდრესსა ქ˜სა ჩ˜უჟბ. ხოლო ნათესაობასა შინა ამათსა არა რაჲსა, ვინაჲთგან ვერა რაჲ უცნიათ:და ამ ალექსანდრეს ძედ კოსტანტინეს და ნათესაობასა შინა მეფობასა ამისსა ჩ˜უჟბ, ქარ. რ˜პ. ხოლო ცხოვრებაში სიკუდილსა, ჩ˜ფი: და ამ კოსტანტინეს ძედ დავითს და სიკუდილსა დავითისსა ქ˜სა ჩ˜ფმბ და ნათესაობასა შინა არცა ამათსა რაის აღწერს:

მერმე ძესა დავითისასა ლუარსაბს და სიკუდილსა ლუარსაბისასა ქ˜სა ჩ˜ფოდ და ძესა ლუარსაბისასა სჯმონს და ნათესაობაში გამეფებასა ამისსა ქ˜სა ჩ˜ონვ, ქარ. ს˜მვ, რომელი არს სიკუდილი ლუარსაბისა და ცხოვრებაში სიკუდილსა სჯმონისასა ქ˜სა ჩ˜ქ. და ამათ ქუემოთა ქორონიკონთა არღარა სწერს. ხოლო ალექსანდრეს სიკუდილისა და ვახტანგის გამეფების ქორონიკონი ჩ˜უით, არცა ერთისა არს მათი, არამედ ალექსანდრეს მცხეთის აღმაშენებელის მეფობის ჟამი არს. ხოლო ვახტანგის სიკუდილისა და გიორგის გამეფებისა ქორონიკონი ჩ˜უმე სწორე არს, რომელსა ნათესაობის ქორონიკონიცა

ემოწმების. კუალად გიორგის სიკუდილისა და ბაგრატის გამეფების ქორონიკონი ჩ~უნე არა ჭეშმარიტ, რამეთუ ბაგრატ არა გიორგის ძე არს, არამედ დიმიტრისა, იმერთ ერისთავისა. ხოლო ამ გიორგისძე კოსტანტინე იყო და გიორგი მოკუდა და გამეფდა კოსტანტინე ქ~სა ჩ~უჲთ და ქორონიკონი იგი გიორგისა არს.

ხოლო ბაგრატისა და ძისა მისისა ალექსანდრესი და მას ქუეითნი იმერთანი მუნვე მათთანა აღგვიწერიან ქორონიკონნიცა. არამედ გიორგის ძის კოსტანტინეს სიკუდილი და დავითის ძისა მისისა გამეფების ქორონიკონი ჩ~ფდ წერილი ერთ ნაკლები არს და დავითის სიკუ-

დილი და ძმისა მისისა გიორგის გამეფება ქ~სა ჩ~ფკზ არა გამეფება არს, არამედ მეფობის ქორონიკონი.

ეგრეთვე ლუარსაბის ქორონიკონი ჩ~ფმბ არა გამეფება არს, არამედ მეფობა და სჳმონ მეფისა ჩ~ფჲ სჳმონის გამეფების მეორე წელი არს. არამედ ესრეთ ქორონიკონნი ესენი უსწორო და წინააღმდეგნი არიან და არცა განყოფასა ვითარ ქმნასა და არცა იმერთა და კახთა მეპატრონეთა ჩამომავლობასა სწერს. ხოლო ამას რა განვიხილავთ, ფრიად უსწორო არიან, ვინაჲთგან სიკუდილსა თავდადებულისასა ვსცნობთ და მას ქუეითთა მეფეთა ბრწყინვალის გიორგისამდე ცხოვრებისაგან აღრიცხჳთა წელთათა რამეთუ მივსწუდით; გამეფდა ბრწყინვალე გიორგი ქ~სა ჩ~ტიზ, ქარ. ვ~ და ამის ქუეითსა ვიუწყებთ გუჯართა, სიგელთა და ძუელთა ქორონიკონებთაგან, ჩ~ტკგ, ქარ. ი~ასაგან ვიდრე ჩუნდამდე.

ხოლო მეფობასა დავით ბრწყინვალე გიორგის ძისასა და დავითის ძის დიდის ბაგრატისასა და სიკუდილსა ბაგრატისასა და ამ ბაგრატის ჟამსა ორგზის მოსვლასა თემურისასა, რომელი იყო პირველი ქ~სა ჩ~ტპჟ, ქარ. ო~ე და მეორე ქ~სა ჩ~ტჟდ, ქარ. პ~ბ, არამედ ამით ალექსანდრე, რომელი აღუწერიათ ქ~სა ჩ~ტჟგ ქართლის მეფედ. გარნა თუ ერთს ქორონიკონს იყვნენ დიდი ბაგრატ და ალექსანდრე, არა არიან ერთ მეფედ, არამედ შეცთომილად აღწერილი და მის ზეითნი მეფენიცა, რამეთუ ალექსანდრე იყო იმერთა და გიორგიცა ძმა მისი ამისი შემდგომი. ვინაჲთგან ვიხილავთ სიკუდილსა გიორგისასა ქ~სა ჩ~ტჟბ, ქარ. პ~, და დიდისა ბაგრატის სიკუდილსა ქ~სა ჩ~ტჟე ქარ. პ~გ. ესრეთ ალექსანდრე და გიორგი დიდის ბაგრატის ჟამსა შინა იხილვებიან. ამისთჳს არა იქმნებიან ზოგად სამნი მეფენი, ორნი იგი იმერთა და დიდი ბაგრატ ქართლისა. ხოლო არა იგი არს ბრწყინვა-

ლე გიორგი, რომლისად სწერს ძედ მისად ბაგრატს, რომელთათჳს არცა ქორონიკონნი აღუწერიათ, არამედ იგი არს, რომლისა სიკუდილი აღუწერიათ ქ˜სა ჩ˜ტნე, და ძედ მისად დავით. და მას ზეითნი მეფენიცა ტყუვილად არიან. ხოლო ამ დავითის ძე იყო დიდი ბაგრატ, რომლისა ჟამსა შინა მოვიდა თემურ.

და რადგან ამ ქორონიკონსა ზედა მოვიდა მეორედ თემურ, ამით ალექსანდრეს ქორონიკონი იგი მტყუარ არს და სცბის. ხოლო დიდის ბაგრატის ძე იყო გიორგი, ვითარცა ვიხილავთ ქორონიკონთა, გუჯრებთა და სიგლებთა დავითისასა და დიდის ბაგრატისასა და გიორგისასა.

კუალად მოკუდა მეფე ალექსანდრე ქ˜სა ჩ˜ტჟბ, ქარ. ო˜ზ. კუალად მოკლეს მეფე გიორგი მეგრელთა ქ˜სა ჩ˜ტჟბ, ქარ. პ˜. და კუალად მოკლეს მეფე კოსტანტინე ჩალაღანს ქ˜სა ჩ˜უა, ქარ. პ˜თ. და კუალად დიდი ომი იყო, მოკლეს მეფე გიორგი თურქთა და ძმა მისი კოსტანტინე მეფედ იქმნა ქ˜სა ჩ˜უზ, ქარ. ჟ˜ე. და ესრეთ ვიხილავთ ალექსანდრეს და გიორგის მეფეთა დიდის ბაგრატის მეფის ჟამსა შინა. ხოლო კოსტანტინე მეფესა გიორგი მეფის ჟამსა შინა ყოფასა და სიკუდილსაცა, რომელნი ამ ქორონიკონებითა არა არიან ერთ მეფედ. არამედ ალექსანდრე, გიორგი და კოსტანტინე ძენი ბაგრატისანი, მიქელ მეფის ძენი და იმერთა მეფენი. ხოლო გიორგი და კონსტანტინე დიდის ბაგრატის ძენი და ქართლის მეფენი და გიორგის ძე არს ალექსანდრე, მცხეთის აღმაშენებელი, ვითარცა გუჯარსა შინა ბარათიანთასა, რომელი არს ბეთენიას, სწერს: „მეფემან ალექსანდრე, ძემან გიორგი მეფისამან განჰყარნა სამნი ძმანი: აბაში, გუგუნა და დავით“. და უკუეთუ არა ესრეთ იყოს, არა არიან წელიწადნი ეგოდენნი, ვითარმედ ექუსნი მეფენი მეფობდნენ ურთიერთთა ძენი, რამეთუ გამეფდა ბრწყინვალე გიორგი ქ˜სა ჩ˜ტიჱ, ქარ. ვ˜, და ალექსანდრე, მცხეთის აღმაშნებელი, გამეფდა ქ˜სა ჩ˜უიდ, ქარ. რ˜ბ. და ამ ქორონიკონთა შორისნი წელნი არიან ჟ˜ვ. ესე განყოფილი თჳთოთა ამა მეფეთა გიროგის, ბაგრატს, გიორგის, დავითს, ალექსანდრეს და გიორგის მიხუდებიან წელნი ი˜ვ.

და ამათ წელთა არა შესაძლებელ არს შობად ძეთა, და მეორე მეორი-

საგანცა, ვინაჲთგან არიან ყოველნი პირველისა მეორე ძენი და არცა ერთი ძმა ალექსანდრეს მცხეთის აღმაშენებელის ქუეითამდე.

ხოლო კუალად ბრწყინვალეს მეფის გიორგისაგან, ვიდრე სჳმონ მეფისამდე არიან წელნი ს˜კჱ, და მეფენი ი˜გ; რომლისა არა სარწმუნებელ არს შობად ძეთა გონიერიგან, ვინაჲთგან თჳთოთა ამათ

მეფეთა მიხუდების წელნი ი˜ე, რომელნი ერთნი მეორისა ძენი არიან: კუალად უკეთუ ჭეშმარიტობს, რად არა იტყჳს ქმნულებასა მათთა. არამედ იტყჳს: „მეფა და მოკუდა“. და სხუასა არღარა რასა. კუალად არცა მოწმობს ქორონიკონთა და, რომელთა მოწმობს, უსწორონი და წინააღმდგომნი არიან ერთი მეორისა, ვითარცა ვიხილეთ, და ამისთჳს არა ჭეშმარიტ, და რომელნი აღვწერეთ ჩუენ, უკუეთუ არა ესრეთ იყოს, არცა ჭეშმარიტ იქმნებიან გუჯარნი, სიგელნი და ქორონიკონნი, და ამისთჳს უმჯობეს არს რწმუნებად ესრევე, ვიდრეღა წართქმისა უმოწმოსა, ვითარცა მუნ, არცა ერთისა მოწმობისა მომჴსენე არს.

ხოლო ალექსანდრე მცხეთის აღმაშენებელის ქუემოთნი და მისნი ქორონიკონნი, გუჯარნი და სიგელნი მრავალნი არიან, ვითარცა ესენი, რამეთუ შემდგომად მეფის გიორგისა დიდის ბაგრატის ძისა, მოკლეს მეფე კოსტანტინე თურქთა ქ˜სა ჩ˜უიდ, ქარ. რ˜ბ. და დაჯდა ალექსანდრე მეფედ, ძე გიორგი მეფისა. არამედ ქმნულება და სიკუდილი ამ მეფისა იხილვების, რომელმან მეფა წელი კ˜ჱ, ხოლო ცხოვრებაში აღუწერიათ წელი ზ˜, რომელი არა შეეტყუების ქმნულებასა მისსა და არცა გუჯართა მოწმობასა, ვინაჲთგან სწერს: „მეფობისა ჩუენისა ი˜, ი˜ე, კ˜, ინდიკტიონსა, გიწყალობეთ“.

კუალად ძისა მისისა ვახტანგისა: „სამი წელი მეფა და მოკუდაო“. არამედ ქორონიკონი აღუწერიათ კ˜ვ წელი მეფობისა და ნათესაობასა შინა სხუა, და ესრეთ შეუსწორებელი არს.

ხოლო ვახტანგის ძმის და ალექსანდრეს ძის გიორგისასა სწერს ი˜წელს მეფობასა, რომელმან მეფა კ˜დ წელი, ქორონიკონთა და გუ-

ჯართა მოწმობითა, რამეთუ სწერს: „ჩუენ გიორგი მეფემან ი˜ე ინდიკტიონს გიწყალობეთ და ამ გიორგის ძედ ბაგრატს და მეფობასა ბაგრატისასა ვ˜წელსა. არამედ ესენი არა ესრეთ არიან ქორონიკონთა მოწმობითა, ვითარცა ვიხილავთ ამას. მეფე გიორგი და ბაგრატ შეიბნენ ჩიხორს და ბაგრატს გაემარჯუა ქ˜სა ჩ˜უჲბ, ქარ. რ˜ნ. იხილე, რამეთუ ბაგრატს არა იტყჳს მეფედ, ვინაჲთგან ერისთავი იყო.

კუალად გიორგი მეფე თავრიჟ გილაქმან და თემურ მოაოჯრეს ქ˜სა ჩ˜უჲგ, ქარ. რ˜ნა:

კუალად გიორგი მეფე შეიპყრა ყუარყუარე ათაბაგმან ფანავარსა ზედა ქ˜სა ჩ˜უჲე. ქარ. რ˜ნგ.

კუალად ბაგრატ მეფემან ქართლი დაიპყრა ქ˜სა ჩ˜უჲვ, ქარ-
თულსა რ˜ნდ. და კუალად გიორგი მეფე მოკუდა ქ˜სა ჩ˜უ ჲთ, ქარ.
რ˜ნზ.

და კუალად ბაგრატ მეფე მოკუდა ქ˜სა. ჩ˜ოუჱ, ქარ. რ˜ჲვ. ამათ-
გან არა ძ გიორგისა არს ბაგრატ, რამეთუ ერთ ჟამს არიან მჴდომნი
და მბრძოლნი ურთიერთთა. არამედ ბაგრატ ძე არს დიმიტრისა, ალექ-
სანდრეს ძისა იმერთასა. ხოლო ეს გიორგი ძე ალექსანდრე მცხეთის
აღმაშენებელისა და ამ გიორგის ძე არს კოსტანტინე, ვინაჲთგან ცხა-
დად ქორონიკონი სწერს ბაგრატის ძედ ალექსანდრეს. გარნა თუმცა
ვიხილავთ სიგელთა და გუჯართა ვითარმედ: „ჩუენ მეფემან ბაგრატ
ქართლისამან, იმერთა, კახთა, სამცხისა, რანისა, შარვანისა, და შაან-
შისამან“. არამედ, ვინაჲთგან დაიპყრა ქართლი და ერჩდენ კახნი და
მესხნიცა, ამისგან ჩვეულებითა წინათივე სწერდა, ხოლო ბაგრატის
ძედ კოსტანტინეს, და ამ კოსტანტინეს ძმად ალექსანდრეს, და ამ
ალექსანდრეს ძედ კუალად კოსტანტინეს. არამედ ესე მეფე კოსტანტი-
ნე იგივ კოსტანტინე არს, ძე გიორგი მეფისა და მამა დავით მეფისა და
გიორგისა. ხოლო ალექსანდრე ძე ბაგრატისა და ალექსანდრეს ძე ბაგ-
რატ, რომელმან შეიპყრა ყუარყუარე ათაბაგი, ცხადად საჩინო არს.
ხოლო ცხოვრებაცა რომელი აღუწერიათ, ამის კოსტანტინესივე არს
მოსლვანი ყეენებთა, რომელსა სწერს: „მოვიდა კოსტანტინე თათ-
რებთა შინა“.

1-28 სტრ., 300
კუალად ქართლი დაიპყრა კოსტანტინე მეფემან, ქ˜სა ჩ˜უოთ:
ქარ. რ˜ჲზ.

კუალად კოსტანტინე მეფე ჯავახეთის მიუჴდა და დადიანი თანა
ახლდა ქ˜სა ჩ˜უპა, ქარ. რ˜ჲთ. ესე ბაგრატისა და ალექსანდრეს მჴდო-
მი და წინააღმდგომი არს, და ვითარი ძე არს.

და კუალად გამეფდა ალექსანდრე, ქუთათისი აღიღო ქ˜სა ჩ˜უპდ,
ქარ. რ˜ობ. კუალად კოსტანტი მეფემან ქუთაისი აღიღო ქ˜სა
ჩ˜უპზ, ქარ. რ˜ოე. კუალად ქუთათისი დაიპყრა ალექსანდრე მეფემან
ქ˜სა ჩ˜უპთ, ქარ. რ˜ოზ.

და კუალად მეფობდა კოსტანტინე ქ˜სა ჩ˜უჟბ, ქარ. რ˜ჟგ. და კუა-
ლად მოკუდა კოსტანტინე მეფე ქ˜სა ჩ˜ფე, ქარ. რ˜ჟგ. და კუალად ალე-
ქსანდრე მეფემან, ძემან ბაგრატ მეფისამან, გორი დაიპყრა ქ˜სა
ჩ˜ფთ, ქარ. რ˜ჟზ. კუალად მოკუდა მეფე ალექსანდრე და ძე მისი ბაგ-
რატ გამეფდა, ქ˜სა ჩ˜ფი, ქარ. რ˜ჟჱ. და ამისგან ცხადად საჩინო არს,
რამეთუ არა ძე არს, არამედ ამის მამა სხუა და იმისი მამა სხუა. ვი-

თარცა აღვსწერეთ, ეგრეთცა იცნობების ჭეშმარიტად, რამეთუ ბაგრატ და ალექსანდრე იმერთა მეფენი, ხოლო ესე კოსტანტინე ქართლის მეფე.

კუალად მეფის კოსტანტინეს ძეს დავითს სწერს: „გამეფდაო ქ˜სა ჩ˜ფი, რომელი ბაგრატ იმერეთის მეფის გამეფება არს. არამედ ჩუენ ვპოვეთ მეფის კოსტანტინეს სიკუდილის ქორონიკონი და ავ-გიორგისაგან მამისა თჳსისა სიკუდილი, და თჳთ მის ავ-გიორგის სიკუდილი.

და კუალად წარმოვიდა ყეენი ოჯრებად ქართლისა ქ˜სა ჩ˜ფიწ. ქარ. ს˜ვ, და დავით მეფემან ძე თჳსი რამაზ მიაგება და დაიჴსნა ქართლი ოჯრებისაგან. ხოლო ყეენი ესე იყო შაჰ-ისმაილ, რამეთუ სპარსთა აღწერილის ქორონიკონთაგან გამოვირიცხვეთ და შაჰ-ისმაილის გამოჩინება იქმნა ქ˜სა ჩ˜უჟთ, ქარ. რ˜პზ. და სიკუდილი მისი ქ˜სა ჩ˜ფკგ, ქარ. ს˜ია. ამით არა არს იგი ქორონიკონი დავით მეფისა, არა-

მედ სიკუდილი კოსტანტინე მეფისა ქ˜სა ჩ˜ფე, და გამეფება დავით მეფისა.

ხოლო დავით მეფევე კუალად მეფობდა შაჰ-ისმაილის მოსვლის უკან, ვითარცა აჩენს ბარათიანთ გაყრის ქორონიკონი, წელსა ქ˜სა ჩ˜ფკგ, ქარ. ს˜ია.„ზე ადიდნეს ღმერთმან მეფე დავით, ერგო გუგუნას ეს და გერმანოზს ეს“.

ხოლო შემდგომად დავით მეფისა იყო გიორგი მეფე, დავით მეფის ძმა, რამეთუ შაჰ-ისმაილის მოსვლა ლუარსაბ მეფის ჟამს აღუწერიათ. არამედ მეფის ლუარსაბის ზოგი ცხოვრება და სიკუდილი მისი საჩინოდ არს ქორონიკონთა შინა და ამ ქორონიკონებთა რიცხჳთ არა არს ლუარსაბის ჟამსა შაჰ-ისმაილის მოსვლა, ვინაჲთგან გიორგის მეფობა სრულიად არღარა იქმნების დავითისა და ლუარსაბის ქორონიკონებთ გამო, არამედ ჩუენთა ქორონიკონთა შინა შაჰ-ისმაილის მოსვლა წერილ არს: „დევალ მოვიდა, ქართლი და სამცხე მოსტყუევნნა ქ˜სა ჩ˜ფკბ, ქარ. ს˜ი“. გარნა სპარსთა და ზოგთა ჩუენთა შინაცა შაჰ-ისმაილის მოსვლად აღუწერიათ და ჩუენცა ეგრეთვე აღვწერეთ. არამედ თუმცა ლუარსაბ მუნ ბრძოლასა შინა მჴნე-ახოვნად იყო, გარნა დავითვე იყო მეფედ, რამეთუ ლუარსაბის გამეფებას სწერს ქ˜სა ჩ˜ფმბ და სიკუდილსა ქ˜სა ჩ˜ფოდ, რომლისა მეფობა იქმნების ამით ლ˜ბ წელი. არამედ შაჰ-ისმაილ მოვიდა ქართლს ქ˜სა ჩ˜ფკბ: და მოკუდა შაჰ-ისმაილ ქ˜სა ჩ˜ფკგ. ამით არა არს ლუარსაბ ჟამსა შინა შაჰ-ისმაილისასა და შესცთების მეფობისა წელსაცა, რამეთუ მეფე ლუარსაბ მოკუდა, ცხად არს ქ˜სა ჩ˜ფნწ, ქარ. ს˜მვ. და ამ ქორონი-

კონსა და შაჰ-ისმაილს შორის წელნი არიან ლ˜ზ, და ესრეთ წინა-
აღმდგომ არს სპარსთა და ჩუენთა ქორონიკონებთა.

ხოლო დიდის სჳმონ მეფისა და დაუთხანისა და კუალად მისვე
სჳმონ მეფისა და გიორგისა ძისა მისისა და ლუარსაბისა გიორგის ძი-
სა, რომლისა მეფობა ნათესაობასა შინა აღუწერიათ ქ˜სა ჩ˜ქზ, ქარ.
ს˜ჟე და ბაგრატისა, დაუთხანის ძისა, და სჳმონისა, ბაგრატის ძისა,
სრულიად ჩუენთა ქორონიკონებთა სპარსთაგან და გუჯართა და სი-

გელთაგან გვიქმნიეს. ეგრეთვე როსტომ მეფისა და მისი შემდგომი
ჩუენამდე ჴსოვნა ქორონიკონთაგან და ცხოვრებათაგან მათთა შევა-
ზავეთ.

ხოლო იმერთა მეფეთათჳს, რამეთუ ნარინ-დავით მეფის ძენი
კოსტანტინე და მიქელ, ცხადად წერილ არს ცხოვრებასა შინა ჩუენ-
სა, და ძისა მიქელ მეფისასა იტყჳს ქორონიკონი. „მიქელ მეფის ძემ
და არა მეფემან ბაგრატ, ყუარყუარეს ასული შეირთო ცოლად ქ˜სა
ჩ˜ტნჱ, ქარ. მ˜ვ“, არამედ ამის გამო წინჴსენებულთა მეფეთა სხუა-
ობითა მივსწუდით ყოფად ნარინ დავითის ჩამომავლობად. გარნა ეს
მიქელ მეფის ძე ბაგრატ გიორგისა, დავითისა და დიდის ბაგრატის ჟა-
მებთა იყო, და ამ მეფეთა ერთმთავრობით მეფობა ყოვლისა ივერი-
ისა ცხადად საჩინო არს, ვინაჲთგან არცა მეფედ სწერს ბაგრატს.
ამის მიერ ესრეთ აღვწერეთ: ხოლო მეფისა ძის ბაგრატის ძეთა ალექ-
სანდრესი, გიორგისა და კოსტანტინესი ქორონიკონებითა საჩინონი
არიან ეგრეთ, რომელნიცა წარვწერეთ და ძმობა მათი. უკეთუ არა
ძმანი იყვნენ, არა ძალ-უცსთ ძეთა შობად ადრე-ადრე მეფობითა. და
კუალად ალექსანდრეს ძე დიმიტრიცა ცხადად არს და ძე ამისი ბაგრა-
ტი, რომელი მჴდომ იქმნა გიორგი მეფისა, რამეთუ არა იქმნებოდა
მჴდომი, უკეთუმცა არა ძე დიმიტრისა იყოს და ძე ბაგრატისა ალექ-

სანდრე და ძე ამისი ბაგრატ, ვითარცა წარმოვაჩინეთ ქორონიკონე-
ბითა და შემდგომნიცა ამათი იხილვებიან ქორონიკონებითა.

ხოლო კახთა მეპატრონეთაცა აღვწერეთ აღმოჩენითა ამით,
ვინაჲთგან ბრწყინვალის გიორგიდამ, ვიდრე გიორგი ალექსანდრეს
ძისამდე იყო ერთმეფობა, გუჯართა, სიგელთა და ქორონიკონთა მო-
წმობითა და კუალად ბაგრატის და გიორგი მეფისაგან წინააღდგომა
თემურისა, ვითარ ძალ-ედვათ, უკეთუ არამცა იყო ერთმეფობა, ვი-
ნაჲთგან ექუს გზის მოვიდა თემურ და ვერ ჰყო ნება თჳსი და კუალად
ალექსანდრესაგან აღშენება მცხეთისა, რუისის ღუთაებისა სხუათა

მრავალთა მოჯრებულთა არა შესაძლებელ იყო, თუცა არა ეპყრათ ერთს-მეფობასა ქუეშე სრულიად, რამეთუ უწიგნოთა გლეხთაცა უწყიან ალექსანდრე მეფისაგან კომლზედ ექუსის კირმანეულის შეგდება ყოველს წელს და მით აღშენება მცხეთისა ყოველსა გიორგიასა შინა. კუალად, მეორედ, არა სადა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და ქორონიკონთა ამათ მეფეთა წინარეთა, უკეთუმცა იყოს კახთა მეპატრონეთა, ანუ განდგომანი კახთა წერილითა, ანუ სხჳთა ნიშითა რითამე. ხოლო ამათ ქუეითთა ვიხილავთ ვითარცა ვპოვეთ დავითისა, გიორგისა, ალექსანდრესი, და ავგიორგისა და ამათ-ქუეითნი უმეტეს ჩენილ არიან და კნინღა მაჴსოვარნიცა.

ხოლო კახთა განდგომილება გიორგისა და კოსტანტინე მეფის ქორონიკონთა და გუჯრებთა და მცირედთა ცხოვრებათაგან წარმოიჩინების, რამეთუ მათთა ჟამთა შინა იქმნა განდგომილება კახთა, ხოლო ჩამომავლობა ნათესაობისა კახთა მეპატრონეთა მეფეთა წარმოვაჩინეთ თჳსს ადგილსა, რომელსა გულისჴმიერი სცნობს სრულიადს ჩუენს სიმართლესა. არამედ ჩუენი ესე ქმნული და აღწერილი ყოველნი ქორონიკონითა ქმნულ არიან, რომელნი დღესაც იპოვების და იხილვების მეძიებელისაგან, და ვითარცა გვიხილავს ეგრეთცა ჩაგვირთავს ქრისტეს აქეთი და ქართული, რომელი არს ხუთასიანი (რათა ადვილ გექმნათ და არღარა გიჴმდესთ გამორიცხვა ერთი მეორი-

საგან) ბრწყინვალის გიორგიდამ, ვიდრე ქრისტესა ჩ˜ღმე-მდე და ქართულისა უ˜ლგ-მდე.

ხოლო უკეთუ უმჯობესი და უჭეშმარიტესი ჰპოვოს ვინმე გონიერმან და განიხილოს ესეცა და იგიცა, და იგი უკეთილესად აღუჩნდეს, არა არს ჩუენი ესე ქმნული დამაყენებელი უმჯობესისა თქუენისა. გარნა ისმინე და გულისხმა-ჰყავ აღმოჩენა-უწყებულებანი და შეგზავსებულად მისა ჯერ იყავნ ქმნული თქუენნი. ხოლო ჩუენი შრომა ესე ამისთჳს იყო, ვინაჲთგან მეფეს ვახტანგის სახელით აღეწერათ და ვიხილეთ ესოდენნი წინააღმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორენით და განვამართლეთ მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არავინ თქუას მხილველმან ამისმან შეურაცხება რაჲმე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრეთ, ვითარცა აღვსწერეთ, ვინაჲთგან ნათესაობის ქორონიკონსა სწორესა სწერს, გარნა შემწყობი ამისი შეცთომილ არს.

ხოლო ჩუენ შესრულებისათჳს ვმადლობთ ღმერთსა და შევსწირავთ ქებასა, პატივსა და დიდებასა დაუსაბამოსა ერთსა ღ˜რთსა, მამასა და ძესა და სულსა წმიდასა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნი-

სამდე ამინ.

1-23 სტრ., 305

აღწერა აწინდელი ქართლისა

საზღვრით, მთით, მდინარეებით და
ადგილთა და მას შინა შენებულებათა

ვინაჲთგან სახელნი და აღშენებანი ვისით იქმნა ქუეყნისა ამის დავსწერენით, აწ ვიწყოთ თჳთოეულთა წარმოთქმად მთათა, ველთა და წყალთა. არამედ ვინაჲთგან არს ყოველთა აქაურთა მდინარეებთა მტკუარი უდიდესი, რომელი განვლის საშუალ ქუეყანასა ამას, პირველად ვაჴსენოთ მდინარე იგი, რომელი გამოსდის კოლას ყალნუ-მთას, გამოვლის სამცხეს, ქართლს, ჰერეთსა, რანს შორის, განვლის მოვაკანს, მიერთვის რახსს, ჯავათს და სალიანს ქუეით ერთვის კასპიის ზღუას.

ხოლო ქართლსა შინა არს განით მტკუარი ჲ~, ო~ და პ~ მჴარი და ადგილს უმეტესიცა, და სიღრმით ადგილ-ადგილ განისლვების ფონად. სადაცა უმეტეს განვრცელდების, მუნ დის ჩქარადცა და, სადა დამდორდების, არს ფრიად ღრმა. გარნა კიდეთა მტკუარისათა ამიერ და იმიერ კლდენი ქარაფოვანნი, უმეტეს ადგილთა ჭალიანი, ბალახიანი, ჩალიანი, ნადირიანი, ფრინვლიანი. ზის მას შინა თევზნი მრავალნი და გემოიანნი, რომელსა იჳყრობენ ბადით, კონით, ფაცრით, ნევსკავით, საფიჩხულითა და ოჩხითა. ჟამად იჳყრობისცა ზუთხი, რამეთუ განჯას ქუემორ არს ამ მდინარესა შინა ურიცხჳ და აქა სიჩქარისაგან მდინარისა ვერ აღმოვალს. და ჴეობასა შინა მტკუარისასა უმეტეს ჩქარი არს, ვიდრე დვირადმდე, და დვირს ზეით ეგრეთვე, ვითარცა ქართლსა შინა.

1-21 სტრ., 306

ამ მტკუარს ერთვიან ყოველნი მდინარენი კოლისა, არტანისა, ჯავახეთისა, სამცხისა, ქართლისა, კახეთისა, ჰერეთისა, რანისა, მოვაკანისა და თჳთ არაზიცა. არამედ არს მტკუარი სასმელად გემოიანი და შემრგო, უმეტეს ქართლსა და სამცხესა შინა.

ბერდუჯის აღწერა

ხოლო აწ ვინაჲთგან საზღვარი ქართლისა ბერდუჯის მდინარე არს, ვიწყოთ მუნითგან წერად. რამეთუ მდინარე ესე ბერდუჯი გამოსდის მთასა აბოცისასა და დის აღმოსავლით ჭოჭოკანამდე, მერმე მოიქცევის და დის ჩდილოთ კერძ და მიერთვის ქციის მდინა-

რეს. არამედ სახელითა იწოდების სამითა: პირველი ბერდუჯი, ბ˜ საგიმი, გ˜ დებედა. ხოლო ბერდუჯი დაბისაგან ბერდიკი-სა ეწოდა, არამედ საგიმს ვგონებ ინჯას ანუ აღისტევს.

არს ესე მდინარე სარგებლიანი მუნ, სადაცა იწყებს დინებასა ჩდილოთ კერძ, თევზთა სიმრავლითა, ხოლო სახელდობ ორაგუ-ლი, ლოქო, ჭანარი, გოჭა, კაპოეტი და წურილი თევზი სხუადასხუა გუარნი მრავალნი. და სად აღმოსავლეთად დის, მუნ არს კალმახთა სიმრავლე დიდთა და წურილთა. არამედ თევზნი ამისნი არა ეგდენ გემოიანნი, ვითარცა სხუათა მდინარეთანი.

კუალად აღმოიღებენ რუთა, და ირწყვიან ამიერ და იმიერ ველ-ნი, სადაცა ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინ-ჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, ხოლო კა-

1-24 სტრ., 307
ნაფი უმუშაკოთ, ნესვი, მელსაპეპონი, კიტრი, ბადრიჯანი, პუმპუ-ლა. ხოლო მტილოვანნი ყოველნი და წალკოტთა ხეთანი. ამისთჳს იწოდა: „დაბადა ამ მდინარემ ნაყოფნი“, ხოლო აწ დებედა. აბ-რეშუმს აკეთებენ და არა მრავლად. ჰავით არს ზაფხულ ცხელი, გა-უძლისი, ზამთარ კეთილმშუენი, რამეთუ არა დაადგრების თოვლი დღე რრ. ფრინველნი მრავალნი: ჴოჴობი, კაკაბი, იხჳ ურიცხუნი და სხუანიცა ზემოწერილნი მრავალნი.

ხოლო ძუელად ადგილისა ამის სახელი არს ქურდვაჭრის ჴევი, და აწ უწოდებენ აღჯაყალას [თეთრციხე], იაყუფ ყეენისაგან წოდებულს, რომელმან პირველ აღაშენა ციხე ესე და შე-მდგომად, ოდეს მიუხუნა შააბაზ პ˜ე მეფეს გიორგის, მან მოიყვან-ნა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ, ხოლო სადა აღმოსავლეთით დის ბერდუჯი, არს ფრიად მაგარი ტყი-თა და კლდითა, შეუალი კაცთაგან. გარნა მოვალს მუნცა ყოველნი მარცვალნი, ბრინჯ-ბამბისაგან კიდე, ვენახნი, ბროწეული, ლეღჳ და სხუანი ხილნი მრავალნი. არამედ ლორის-ციხეს ზეით ცივი, გარ-ნა ზაფხულს შუენიერი, მრავალყუავილიანი, ცივნი და ტკბილნი წყა-რონი; და ბამბაკის ჴევს არარაჲ, თჳნიერ ხორბლისა, ქრთილისა, სე-ლისა, და თივითა ნაყოფიერებს, ცხოვარი, ძროხა, კამბეჩი, ცხენი, ვირი, თხა. მრავალნი იშობიან ნადირნი: კლდეთა – თხა და არჩჳ (ფსიტი და არჩჳ იგივე არს); ტყეთა – ირემი, შუელი, დათჳ, მგე-ლი, ფოცხუერი, მელა, კურდგელი მრავალნი. აქა თევზნი და ჴორ-ცნი გემოიანნი. ლორის-ციხეს ქუემოთი ცხელი და ზაფხულს გაუძ-ლისი, გარნა ზამთარს, სივიწროეს გარდა, მშუენი.

1-21 სტრ., 308
ხოლო არს ახპატი და სანაინი მეფეთა ქართველთათა აღშენებულნი, ეკლესიანი გუმბათიანნი, კეთილნაშენნი, საეპისკოპოზო. გარნა აწ სხენან სომეხნი, არამედ მეფე ქართლისა დასუამს ეპისკოპოზსა მიწერითა ოქივარტესათა, ვინაჲთგან რავდენნი სომეხნი ქართლს მსახლობელნი არიან, სამწყსონი მისნი არიან. აქა იჴდების გვარჯილათა სიმრავლე არა მიწიდამ, არამედ კლდის ნოტიობიდამ.

ამას ზემორ არს მონასტერი მცირე, გარნა დიდშენი, ქობერისა, უპყრავთ სომეხთა.

კუალად დასავლით ამისა არს მონასტერი ძელი ჭეშმარიტისა შუენიერი, ბერდუჯის მდინარესა ზედა, უპყრავსთ სომეხთავე. აქა არს მაღალს კლდესა შინა ქუაბნი მრავალნი, და მას ქუაბსა შინა მდებარებენ წიგნნი მრავალნი ძუელნი, არამედ კაცთა აუსვლელობით უჴმარ არიან.

დასავლით ამისსა არს ციხე ლორისა და ქალაქი მცირე, ზაფხულს მშუენი, ზამთარ გაუძლისი, ორს მდინარეს შუა, კლდესა ქარაფოვანსა ზედა; დასავლით აქუს მინდორი კლდოვანი, მუნიდამ მრავალჯერ აღებულ არს. აწ უპყრავთ სპარსთა.

ბამბაკის აღწერა

ხოლო ჴევი ბამბაკისა არს მთებრი და შუენიერი ნაყოფიერი. ნაყოფიერებს ხორბალნი, ქრთილი, სელი, შვრივა, სხუა არარაჲ.

1-22 სტრ., 309
თჳთ ბამბაკი არს მცირე ქალაქი, და პირუტყუთა სიმრავლე არს, თჳნიერ აქლემისა; თივათა სიმრავლე, თაფლი მრავალი. სომხითისა, ერევნისა და ამისი გამყოფელი არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი, და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, რომელი წარივლის დასავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შუა განვლის და ვიდრე რახსადმდე მივალს.

მთისა ამის სამჴრის კერძი სომხით-ერევნისა არს, ხოლო ჩდილოთ კერძი ბერდუჯისა და რანისა. არამედ ბერდუჯის მდინარის აღმოსავლეთი კიდე უპყრავთ ბორჩალუთა, და დასავლეთის კიდის კერძი უპყრავს მეფესა ქართლისასა ვიდრე ხუნანამდე. ხოლო მთა მცირე ბერდუჯისა ძეს ჩდილოეთით და სამჴრით, და მიადგების წინთქმულს ერევნის მთას. აღმოსავლეთის კერძი მთისა ამისი არს

რანისა, და დასავლით კერძი არს ბურდუჯისა. გარნა არს ძუელად საე-
რისთო ხუნანისა. შემდგომად აქუნდა თჳსი ერისთავი [რომელსა
იტყჳან აწინდელსა ხანსა, რამეთუ, ოდეს მიიღო შააბაზ, ამისის გან-
ზრახვით მიიღო, რამეთუ: გექმნებისო შესავალ-გამოსავალი ადვი-
ლად ქართლსა შინა].

აღწერა სომხითისა

ხოლო ახპატს ქუეით არს ჴეობა ჭოჭოკანისა ლელვარის მთის
ქუეშ, ვენახიანი, ხილიანი, ნაყოფიერებითა და ჰავითა შემკული. მის
ქუემორ არს ჩდილოთ ეკლესია აგარაკისა [რომელსა შინა
დასუა გორგასალ ეპისკოპოზი, შემდგომად იქმნა მიტროპოლიტი და

მეტოქი სომხითისა, რომლისა სამწყსო იყო ხუნანი, გარდაბანი და
ბერდუჯის მდინარე], გუმბათიანი, დიდშენი. აწ უწოდებენ ახტა-
ლას, გარნა აწ ხუცის სამარ არს. პირისპირ ახტალისა, აღმოსავ-
ლით, ბერდუჯის მთასა შინა არს მონასტერი ორი, რომელი ერთი
ხელს კუალად ჭკვიან ჰყოფს, და მეორეს შინა დის წყარო და უკეთუ
ასუას ბრაზიან-ცოფიანსა მ˜ დღის წინათვე, ვერღარას ავნებს ბრაზი
კბენილსა კაცსა. ხოლო ქუემორ ახტალისა არს ჴეობა ხოჟორნიი-
სა. არს ხოჟორნიას ეკლესია გუნბათიანი, ხოლო წოფას
ციხე მცირე. ჴეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი, ყოვლისა თეს-
ლისა მოსავლიანი. მას ქვემორ სახლობენ ელნი ქციამდე ველსა ზე-
და, და სთესენ ყოველსა მარცვალსა, და თესლთა ზეით წერილთა,
და მტილოვანთა, სავსენი პირუტყჳთა. ხოლო აწ უწოდებენ ალა-
ღაჯს.

კუალად ქციის პირს, სად ერთვის წყალი შულავრისა, მუნ არი-
ან ელნი ყულარად წოდებული, ეგრეთისავე მოქმედნი, და აღმოსავ-
ლით ბერდუჯის კერძოთა მოსახლენი ელნი ბორჩალონი, ეგრეთვე
მოქმედნი, ვიდრე ხუნანადმდე. ხოლო ჴეობა შულავრისა
არს ლელვარის მთის წაკვრით, იმიერ და ამიერ დაბნები. შულა
ვერი არს დაბა დიდი. ქუემორ მისსა ნაქალაქევი არს, შენობა
დიდი, და წყარო ფრიად დიდი დის, ზეით მცირე ციხე. შულავრის
სამჴრით კერძ არს გორულის ჴევი, ეყრების შულავრის ჴევს.
ამას ზეით ოფრეთი, მცირე ქალაქი და ციხე მისი.

ხოლო კუალად, შულავრის დასავლით, არს მანხუტის-ჴე-
ვი და ამის დასავლით ტალავრის ჴევი. ამ ჴევის ბოლოს
ჭაპალა და ციხე მისი [და ამას სწერენ გაჩიანად].
არამედ ჭაპალის

1-27 სტრ., 311
ჩრდილოთ, ქციის კბოდეზედ, არს არქევანი. ამას ეწოდა ქა-
ოზიანი, სადაცა არს დიდ-დიდნი ნაშენებნი. ესევე არს გაჩიანი.
და ჭაპალისა დასავლით არს ჯევი სარკინეთისა. სარკინეთს
ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა, და იპოების მცირე ლაჟ-
ვარდიცა.

ამის დასავლით დის მდინარე ფოლადაური, გამოსდის
ლელვარს და მოერთვის მდინარეს მაშავერს. ამას ზედა არს მცი-
რე ქალაქი ბოლნისი. მას ზემორ ეკლესია დიდი, უგუმბათო,
ბოლნისისა, რომელი აღაშენა კ˜თ მეფემან ფარსმან, და გორგა-
სალ დასუა ეპისკოპოზი. შემდგომად შემუსრვილი აღაშენა პ˜თ
დედოფალმან მარიამ. აწცა ზის ეპისკოპოზი მწყემსი აწინდელის
ქართლის სომხითისა. პირდაპირ ამ ეკლესიისა არს მონასტერი
წუღრუღაშენს, გუმბათიანი, შუენიერად ნაშენი შუენიერს
ადგილს და აწ უქმ არს. ამას ზეით ციხე ბერდიკისა მაღალს
კლდესა ზედა, ფრიად მაგარი. აქა ერთვის დასავლეთიდამ ჯევი
ფოლოდაურს, რომელი გამოსდის ლოქის მთასა და დაბნებით შენი
არს. ამას ზეით არს მონასტერი ჰუჯაბისა, გუმბათიანი, კე-
თილს ადგილსა, და აწ ცარიელ არს. ხოლო განჰყოფს ამ ადგილთა
და ბერდუჯის მდინარეს მთა ლელვარი, რომელი მდება-
რებს აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, და ამის მთისაგანვე გამოსუ-
ლი მცირე მთა, ჩდილოთკენ მდებარე ბოლნისისა. ხოლო ლელ-
ვარი არს მთა მაღალი, თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, და ნა-
დირითა სავსე. ლოქამდე სამჯრეთის კერძი ბერდუჯისა და ჩდი-
ლოთ კერძი სომხითისა. კუალად ლოქის მთა განჰყოფს
ტაშირსა და კაზრეთს, ბალიჭსა და დბანის ჯევსა, და არს იგიცა,
ვითარცა მთა ლელვარისა, და მიადგების აბოცის მთასა, რომელი

არს ირჯანისა. არამედ ამ ადგილთა დებედიდამ ბოლნისის დასავ-

1-25 სტრ., 312
ლის მცირე მთამდე და ქციის მდინარიდამ ლელვარ-ლოქის მთამდე
უწოდებენ აწ სომხითს, ძუელად არს საერისთო ხუნანი-
სა. და არს შემკობილი ყოვლითა, ვენახნი და ხილნი მრავალნი,
არამედ მთის კერძოს არა არს. თესლნი ყოველნი ნაოფიერებენ.
მროწლენი, არვენი, კოლტნი ღორთა, ჯოგნი მრავალნი, ღჳნო მრა-
ვალი, მთათა ნადირნი ურიცხუნი და ფრინველნი, რომელნი აღვს-
წერეთ, უთუალავნი. ჰაერი ქცია-ბერდუჯის მდინარეთ კიდესა ცხე-
ლი, უმშუენი, გაუძლისი, სხუათა ადგილთა კეთილი. ტყენი ბევრ-
ნი, წყარონი ცივნი და მშუენნი უამრავნი. და ქციის სამჯრით ველი

იყო უწყლო. გაიღო ჟ˜დ მეფემან ვახტანგ ძუელი რუ, და აწ ირწყვის მით და ნაყოფიერებს ფრიად. ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა. სახლობენ თავადნი, ხოლო აზნაურნი მრავალნი.

აღწერა ტაშირისა

ხოლო ლოქის მთის სამჴრით კერძოს მდინარენი, რომელნი დიან და მიერთვიან ტაშირის წყალსა, იგი ერთვის ლორის ციხესთან მდინარეს დებედას. არამედ ლორეს ზეით და ლოქის სამჴრით, ვიწმე დებედამდე და არჯანის მთამდე, ეწოდების ამ ადგილს ტაშირი სივაკისათჳს, და არს ნაყოფიერი ხორბლით, ქრთილით, სელით, შვრივით, პირუტყჳს სიმრავლით; ზაფხულს ფრიად შუენიერი, ბალახოვან-ყუავილიანი, წყარონი მრავალნი მშუენნი, ფრინველნი, თჳნიერ ჴოჴბისა და კაკბისა, მრავალნი; მდინარენი კალმახითა სავსენი, არამედ სხუა თევზნი მცირედ. ხილნი და მტილ-წალკოტოვანნი არარაჲ იპოების, თაფლი მრავალი და სპე-

1-25 სტრ., 313
ტაკი, ვითარცა თოვლი, და უწყინარი. სელისაგან ჴდიან ზეთსა მრავალსა, იჴმევენ, სწვენ და ჰყიდიან. ზამთარი ცივი და თოვლიანი, ვითარ ორს ადლად, და ყინვარი, არამედ სცხორებენ უღუმელოდ. არა არს ტყე, არცა ხე, და ზიდვენ ლოქ-დედვარიდამ. უმეტეს ჴმარობენ წივათა საზრდელისა და სითბოსთჳს. აქ მისხანას ითხრების ლითონი სპილენძისა მრავალი. კუალად ითხრების ქვა მიწიდამ წითელი და ფრიად მაგარი, ელვარე და წმინდა. მსახლობელნი არიან სარწმუნოებით სომეხნი. არამედ სამწყსონი არიან დბანისისა, და მოსილნი არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელჩოხიანნი, ავფერუშუერად, გარნა არიან ჰაეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშქრობითა შინა გამოუცდელნი, უჴმარნი.

აღწერა აბოცისა ანუ ყაიყულისა

ხოლო ტაშირს, აბოცსა და ბერდუჯ-ბამბაკსა ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარაღაჯად წოდებული. და არს მარადის თოვლიანი, და უტყეო, და კალთათა ბალახოვანი, ყუავილიანი, წყარონი მრავალნი კეთილნი. მდებარებს სამჴრიდამ ჩდილოთ კერძ. აქა ითხრების თეთრი ქვა, მგზავსი მარმარილოსი. ამ მთის დასავლით კერძ არს აბოცი, აწ ყაიყულად წოდებული, გარმოხვეული სრულიად მთითა და შუაში ვაკე, და მთის კერძად გორიანი, მოსავალ-მოუცდენელი: ხორბალი, ქრთილი, სელი, შვრივა,

სხუა არარაჲ, არცა ხილნი და მტილოვანნი. პირუტყუთა სიმრავლე არს თივის სიბევრისათჳს. თევზი მცირედ, და იგიცა კალმახი. ყაზანჩი იყო ქალაქი მცირე. პალაკოციოსა და აბოცს შორის არს მთა აღბაბასი, და იგი მთა არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა, ვიდრე თეთრ ციხემდე და ტბამდე ტაშაღანისა. ხოლო აბოცი

1-23 სტრ., 314
აოჴრებული აღაშენა ჟ˜ მეფემან ვახტანგ, და აწ ტყუე ჰყო შანადირ. სარწმუნოებით იყვნენ სომეხნი, კაცნი ჰაეროვანნი და ტანოვანნი, არამედ უშუერად მოსილნი, ვითარცა ტაშირელნი, გარნა ბრძოლასა გამოსადეგნი, და ესენიცა მჴდელნი ზეთისანი.

აღწერა დმანისის ჴევისა

ხოლო ყარაღაჯისა და ტაშირის მთის ჩდილოთ კერძო არს

დმანისის ჴეობა, და მდინარე მაშავერი, მიმდინარე მის შორის. ხოლო იწოდა ქციის რთვისათჳს: „მა, შავერიე ქციას“, და აწ მაშავრად წოდებული. არამედ გამოსდის კეჩუთის მთასა, და მიდის აღმოსავლით, და მიერთვის ქციას ნაჴიდურის ბოლოს. ხოლო განჰყოფს ჴეობასა ამას სამჴრით მთა ყარაღაჯი და ლოქისა, აღმოსავლით მცირე მთა ბოლნისისა, ჩდილოთ მთა ლუკუნისა, წავლილი აღმოსავლეთად, ვიდრე ნაჴიდურამდე, დასავლით მთა კეჩუთისა და ბოლოლისა.

და მთა კეჩუთისა და ბოლოლისა არიან უტყეონი, და ჴევთა შინა არს არყნალნი და მთა ბალახოვანნი, შამბნარიანნი, ყუავილოვანნი და წყაროაიანნი. აქა არს ყუავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავსი ნარისა, და მიწასა ზედა განრთხმული, სურნელი, ვითარცა ამბარი, და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი. ჟ˜დ მეფემან ვახტანგ მოიღო სავარდესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი. ხოლო კეჩუთის მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე და ნადირთა. აქა არს უდაბნო კლდისა გამოკუეთილი, ეკლესია-სენაკნი წმიდის დავით გარეჯელისაგან ქმნული და აწ ცარიელი.

1-23 სტრ., 315
არს ტბა ორმოზანისა, არადიდი და უთევზო. ხოლო დბანისამდე, მდინარის იმიერ და ამიერ, მთასა შინა დაბნებიანი და ვითარცა ტაშირისა დავსწერეთ, ნაყოფიერი და პირუტყჳთაცა ეგრეთი, არამედ სარწმუნოებით უმეტესნი ქართველთანი.

ხოლო დბანისს უდის ჩდილოთ მაშავერი, სამჴრით ფი-

ნეზაური, და ეწოდა სახელი ესე დაბნებთა გამო: „დაბანი ისი“. აქ დასხნა ბუღა თურქმან ოსნი. მიერ ჟამითგან იყო ციხე ქალაქი [მის ჟამამდე არა ჴსენებული] პ˜გ მეფის სჳმონისამდე და ამან წარუხუნა ოსმალთა. და მიერით მოოჴრდა. არს ეკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილშუენიერი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ტაშირისა და დბანისის ჴევისა. ჰავით არს მშუენი, არამედ ზამთარს ცივი, ზაფხულს ცხელი, უვენახო, უხილო, შენობა-მრავალი, არამედ შემუსრვილი. არს აქა წყარო, რომელი ჰკურნებს მუწუკთა. აქავ არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა და დააყრევინებს სმითა. აწ შეაშენეს ყაფლანიანთა ციხე სიმაგრისათჳს. ხოლო სამჴრით ფინე ზაურის ჴევი არს მომდინარე ლოქის მთიდამ ეგრეთითავე ნაოფიერებითა, ვითარცა ტაშირი და დბანისის ჴეობა.

დბანისს ქუეით არს ჩდილოთ კერძ ხინწის ჴევი. მას ქუეით დაბა აბულმუგი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა. ამას ქუეით სამჴრიდამ მაშავერს ერთვის ბალიჭის ჴევი, ლოქიდამ გამომდინარე, არს ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი, არამედ ლოქის კერძოს ვითარცა დბანის ჴევი. მას ქუეით ერთვის გეტის ჴევი და ქუეშის

ჴევი; გამოსდის ლუკუნს, ერთვის ჩდილოდამ მაშავერს, ეგრეთითავე ნაოფიერებითა.

ქუეშის ციხე არს მაღალს კლდესა ზედა მდგომი, ჰავითა და თუალთათჳს მშუენი, წყარო კეთილი. მას ქუემოთ ჴეობა კაზრეთისა, სამჴრიდამ მოერთვის მაშავერს, გამომდინარე ლოქისავე, ესეცა ეგრეთივე, ვითარცა ჴეობა ბალიჭისა.

ყორანთას არს ეკლესია, სასუენი ატოცის წმიდის გიორგის ჯუარისა. სატრედოს, მაშავერზედ, შენი არს ჴიდი ქვიტკირისა ზ˜ - თუალი, წყალდიდობისათჳს. აქა არს ჭალა. ამას ზეით არს დისველის მინდორი უწყლო, არამედ ნაოფიერი, ქცია-მაშავერს შუა და მოუცადი მარცვალთა, ბრინჯ-ბამბას გარდა. ხოლო აკაურთას და ტანძიას ქვიტკირის შენებულებანი მრავალნი.

არამედ მთასა ლუკუნისასა ეწოდა სახელი ესე ლუკა მახარებლის ეკლესიისათჳს, რომელი აღშენებულ არს თხემსა ზედა მის მთისასა; და მის ქუემორ არს სამჴრით მონასტერი წითელ- ეკლესია, ქვის წითლით შენებულობისათჳს, შუენიერი, გარემო, შენობანი მრავალნი წითლითა ქვითავე, არამედ აწ ცარიელ არს.

ჯანდირს არს მონასტერი ეგრეთივე და აწ ცარიელი. არს მთა ესე ტყიანი, ნადირიანი. და მდინარე მაშავერი თევზითა არადიდითა სავსე და მთის კერძად კალმახითა. ხოლო დბანისს ქუეით ქციამდე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე, ვენახ-ხილითა, თესლ-მრაცვალთა-თა, ფრინველნი მრავალნი გარეულნი და შინაურნი, ზამთარს თბი-ლი და მშუენი, ზაფხულს შეზავებული, წყარონი ცივნი, მშუენნი, ჭა-ლა-ტყენი, ბალახნი და ყუავილნი მრავალნი.

აღწერა ზურტაკეტისა

არამედ ლუკუნის მთის ჩდილოთ კერძ არს მდინარე ზურ-ტაკეტისა; გამოსდის შამბიანის მთას და მიერთვის ქციას მდი-

ნარეს. ხოლო განჰყოფს ჴეობასა ამას: აღმოსავლით ქციის ჴრა-მი, სამჴრით მთა ლუკუნისა, ცილოთ მთა კჴრიკეთისა და დასავლით მთა შამბიანისა. არამედ მთასა ამას შამბანი ეწოდების შამბ-ბალახ სიმაღლისაგან, რამეთუ.ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არა გამოჩნდების. არამედ არს მთა ესე მაღალი და ვრცელი, ჩდი-ლოდამ სამჴრით, და მდებარებს მარადის თოვლი. გარნა ყუავილე-ბითა მრავალფერ მშუენვარითა და მფშუენითა, და წყაროთა შემ-კული არს; უტყეო, გარნა ჴევთა არყნალნი. აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათჳს. ხოლო სხუა არს ჴევი ფუნდუკისა, სხუა შამბიანისა, სხუა არყნალისა. არყნალ-შამბიანის ჴევს შუა არს წყარო შუენიერი, რომელი მარმარილოთი აღაშენა ჟ˜დ მეფემან ვახტანგ. ამ მთასა შინა არს ირემთა სიმრავ-ლე ჯოგ-ჯოგად და ხროდ, და სხუათა ნადირთაცა. მოინადირა ჟ˜დ მეფემან ვახტანგ, მოკლეს დღესა ერთსა რ˜პ.

ხოლო არს დაბა ველსა ზედა შავი - წყარო – ყარაბუ-ლახი, ამიერ და იმიერ უდის წყაროსაგან მდინარენი სავსე კალმა-ხითა, არამედ სამჴრეთის კალმახი არს შავი და ჩდილოსი თეთრი და უკეთუ ჩასუა ჩდილოსი სამჴრით, გაშავდების და სამჴრეთისა ჩდილოთ ჩასმული განსპეტაკდების. და ამის სამჴრით არს ციხე მა-ღალი, კლდის ზღუდით მოზღუდვილი, წოდებული მუსის ციხე – ყალა; შიგან სდის წყარო, და ზურტაკეტა ამას ქუეით დის ჩდილოთ-

აღმოსავლეთს შუა. ხოლო ამას ეწოდა რადაბრაგანი. და ყარა-ბულახს ქუევით ზურტაკეტას ერთვის საფიქლის-ჴევი, გა-მოსდის ქარვასლის-ჴევთსა, მოერთვის აქ ზურტაკეტას. შე-საყარს ერთვის მეორე საფიქლის-ჴევი. აქა არს დაბა დი-

დი გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი. ზურტაკეტასა შინა არა არს თევზი, თჳნიერ კალმახისა, და იგი მრავალი. კჳრიკეთის მთას უწოდებენ ეკლესიისთჳს, რომელი შენებულ არს თხემსა მთისასა, წმიდის კვირიკესი. და მთა ესე არს ტყიანი და ნადირიანი, არამედ არა. არს ჴეობასა ამას შინა ვენახნი, ხილნი თჳნიერ მთის ხილთაგან კიდე, და ნაყოფითაცა ეგრეთვე, ვითარცა სხუანი მთის ადგილნი.

აღწერა თრიალეთისა

ხოლო ზურტაკეთის ჩდილოთ კერძოს არს თრიალეთი. და განჰყოფს თრიალეთს აღმოსავლით კლდე-კრიდამ გამოკიდებული მცირე მთა ლაკჳსა და მიდგმით ბენდერის მთისა; სამჴრით მთა ბენდერი და გამოკიდებული მის მთისა, რომელი მოადგების ქციის მდინარეს კლდეისის დასავლით, გამომართებით კჳრიკეთის მთისა, ვიდრე ქარვასლის-ჴევის მთამდე; ; ჩდილოთ მთა კლდე-კრისა და ერჯევნისა ვიდრე თორის მთამდე და ბაკულიანამდე; დასავლით მთა შავრაშეთი და ტბის-ყურის გამჭრელი ხაზი, მთა ბარძიმისა და ფარავნის განჭრელი ხაზი ბოლოლის მთამდე.

ხოლო ამ თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქცია, წოდებული ანუ დაბის გამო, ანუ ვინაჲთგან აქცევს ჴიდთა, რავდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს, მის გამო იწოდა. ესე გამოსდის შავრაშეთის მთასა, გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ჴრამსა და მიერთვის ხუნანს მტკუარსა, და მარადის დის აღმოსავლეთად და თრიალეთს

1-26 სტრ., 319
მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დაჴრამდების. და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მჴარი რ˜ მეტი, სიგანით რ˜პ მჴარი და მეტიცა. ეძანს ქუევით და ახალქალაქს ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდამ, ვითარცა ღარიდამ. ძირს აქუს ტბა დიდი. ამას ზემორ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი, არამედ არს მას ზემორ კალმახი, დიდნი და მცირენი, მრავალნი და გემოიანნი.

ჟ˜დ მეფემან ვახტანგ მოინადირა ტბა ესე კირსაგლითა. და იპყრეს ორაგული, თჳნიერ კალმახისა და სხუა თევზთა, მას ერთს დღესა შ˜.

ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შუენიერი, ბალახოვანი, ყუავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა. არა არს აქა ტყე, არამედ ზიდვენ ერჯევნიდამ და ჴმარობენ უმეტეს წივასა; მოსავლით, ვითარცა ტა-

შირი, გარნა ესე უმჯობესი მისა. თჳნიერ აქლემისა პირუტყუნი მრავალნი. ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არარაჲ არს აქა და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხმენ აქა და დადგების ღჳნო კეთილი და გემოიანი.

ეძანს ზეით ერთვის ქციას ბეშკენაშენის -ჴევი ჩდილოდამ. გამოსდის ერჯევნისა და კლდე-კრის მთასა. აღმოსავლით ბეშკენაშენისა არს ტბა ბარეთისა, მცირე, უთევზო. გარემო მისა დაბნები ლაკჳს მთამდე. მას ზეით ერთვის ქციას ჴევი ერან - თურანისა, გამოსდის ერჯევნის მთასა, მოერთვის ჩდილოდამ, საბატეს, ქციას. მას ზეით ქციის კიდეზე არს ეკლესია გუმბათიანი, წალკას დიდი, კეთილნაშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი თრიალეთისა. მას ზეით კოხტა-ცრიცის-ჴევი, სდისვე ერჯევანსა და თორის მთასა, მიერთვის ქციას.

1-26 სტრ., 320
არწივანს, თეზის ჴრამსა შინა, არს მონასტერი, კლდესა შინა წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნული, და აწ არს ცარიელი. მას ზემორ საპონაურისა და ცხურისის-ჴევი, გამოსდის თორის მთას, მოერთვის ქციას თეზის ჴრამსა შინა, პირდაპირ კოხაჯის-ჴევის ქუემორ, სამჴრიდამ ერთვის ქციას ავლადის-ჴევი, გამოსდის ჴევ-ღრმის ჴრამსა, ესე არს ცივი ანუ მყინვარი. მას ქუემორ ერთვის ქციას, ჴევ-ღრმისა და ანდრიაპოლთისის ჴევი. ხოლო ახალქალაქს ქუეით ერთვის ქციას ჴევი აბანოსი ჩდილოდამ. მას ქუევით ერთვის ქციას ჴევი კარწახისა, გამოსდის უზნარიანს, მოდის აღმოსავლეთად. კარწახის-ჴევის შესართავს ქუეით არს ციხე მოდამნახისა, კჳრიკეთის მთის ძირში, ჩდილოთ კერძ, ქციის მდინარის პირს. ამას ზეით არს თრიალეთი მოსავლით, ვითარცა ტაშირი და დბანის-ჴევი დავსწერეთ თაფლითურთ. ჴდიან ესენიცა სელისაგან ზეთსა.

ხოლო ტბა ფარავნისა არს დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხუასტანგნი ქართლისა და კახეთისანი, და ნეხვი მისი გარდნარისაგან თოვლისა შესდის ტბასა მას, და იტყჳან მის გამო უგემურობასა. აქა არს წყარო, რომლისა სმით, უკეთუ იყოს ვინმე მაძღარ ფრიად ანუ დაცონვილ, მოადნობს სმითა, ვითარცა ქონს ცეცხლი.

კუალად ამ ტბას ერთვის წყარო შაორისა, მდინარედ გამომდინარე კლდიდამ, და სავსე არს კალმახითა. ხოლო შაორის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანის ლოდითა ნაშენი. არს კუალად მთა

თავკუეთილი, ჴევ-ღრმა, და საშუალ ფარავნისა და ტბის-ყურისა ბარძიმი დაჭიქიანი.

1-26 სტრ., 321
კუალად არს შავნაბადი შაორსა და თავკუეთილს შუა. არა არს მთათა ამათ ზედა ტყე ანუ ხე, გარნა ჴევთა მცირე არყნალნი, ნადირნი მრავალნი, ირემი და არჩჳ ჯოგად, მშუელი, დათჳ. აქა არს კლდე ფიქალ-ფიქალად დაწყობილი, ვითარცა კაცთა ჴელითა დაწყობილი და ნაშენი მთის ძირიდამ თხემამდე. არამედ რა შედგების კაცი, ნადირი თუ პირუტყჳ, თრთის და იძრვის დაბლიდამ მაღლამდე, და არა დაირღვევის. ესრეთი კლდე შამბიანსა ზედაცა არს მრავალი, არამედ აქა უმეტეს უცხო; უწოდებენ კარკნალსა.

ტბა ტბის-ყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახ-ყუავილიანი წყაროიანი და კალმახითა სავსე, დიდწურილითა და ფრიად გემრიელითა. ხოლო არიან კაცნი თრიალელნი მოსილნი, ვითარცა დბანის-ჴეველნი, სიმჴნე-ჰაეროვნებითაცა ეგრეთნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლითა.

აღწერა ქციის ჴრამისა

ხოლო მოდამნახეს ციხის ქუეით არს ჴრამი ქციისა, ვიდრე ნაჴიდურამდე, მაღალი და განიერი, ვითარცა დავსწერეთ ეძანახალქალაქს შუათი, არამედ ესე უმეტეს მაღალი და განიერი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი, ვენახოვანი, ხილიანი. ახალქალაქიდამ დის ქცია სამჴრის დაბის ქციისამდე. მოდამნახეს ქუეით არს ვარდისუბანს მონასტერი უგუმბათო, შუენიერს ადგილს. მას ქუეით ერთვის ქციას ჴევი კლდეისისა, გამოსდის ბერდერის გამოკიდებულს მთასა. ჴორჴებს არს ქუაბი კლდისა, რომელი არს ზამთარ თბილი, ვითარცა აბანო, და ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ; მას წყაროს ჰყინავს, და არს ყინული ფრიად წმიდა და მრავალი, ზიდვენ ზაფხულს მეფისათჳს. ამის დასავლით არს ციხე, და არა არს აქაცა

1-26 სტრ., 322
ვენახნი და ხილნი. ამ ჴევს ქუეით ქციაზედ არს ლიპარიტის

უბანს მონასტერი მცირე, კეთილშენი. და აწ არიან ორნი მონასტერნი ცარიელნი. აქ ერთვის ქციას ჴევი ძუელ-გომარეთისა, გამოსდის კჳრიკეთის მთას. ესეცა არს უვენახო. უხილო. მის ქუემორ არს დაბა ქცია მდინარის ქციის პირს. აქა არს მონასტერი კეთილი და აწ ხუცის სამარად.

ქუემორ მის არს მონასტერი ფიტარეთს, შუენიერნაშენი;
გუმბათიანი, შუენიერს ადგილს. ზის წინამძღუარი. მის ქუეით ერთ-
ვის ქციას ფოცხვერიანის-ჴევი, ვენახიანი, ხილიანი, ქუეით
მისა, ქციის კიდესა ზედა, ციხე ხულუტისა. მის ქუეით, სამ-
ჴრით, არს ციხე ბერიქალისა, კლდესა ზედა, კლდითავე მო-
ზღუდვილი, შეუალსა და მაგარს ადგილს. ქუემორ მისა ერთვის ქცი-
ას ჴევი ტორნე, ირაგის ჴეობის მდინარე. გამოსდის ბენდერის
მთას, მოდის სამჴრით. არამედ ჴეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი,
ტყიანი, ნადირ-ფრინველიანი, მოსავლიანი, გარნა ბენდერის მთის
კერძოს, ვითარცა სხუა მთის ალაგნი. ამ ჴევზედ სამღერეთს ზეით,
გვიანას, არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარს. მას ქუემორ
მონასტერი ქციის ჴრემსა შინა პირღებულს, კლდე გამოკუეთი-
ლი, დიდითა შენობითა და ყოვლით შემკული. ზის არქიმანდრიტი.
იტყჳან თამარ მეფის ქმნულსა.

მის ქუემორ არს ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამშჳლ-
დე. აღაშენა ქართლოს, და პირველმან მეფემან ფარნაოზ ჰყო სა-
ერისთოდ და ქალაქი. არამედ იყო პ˜გ მეფის სჳმონისამდე ქალაქი.
არს ფრიად მაგარი, სამჴრის უდის ქცია, ჩდილოთ უდის ჭივჭივა;
საშორისსა ზედა არს გარდავლებული ჴრამით ჴრამამდე ზღუდე გა-
ნიერი და მაღალი. კუალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდავლებუ-

ლი, ეგრეთვე დიდროვანითა ლოდითა. ციხესა შინა აღაშენა ეკლესია
გუმბათიანი ლ˜ბ მეფემან მირდატ, შემუსრა ლანგ-თემურ, მერმე
ოსმალთა. ზაფხულ არს ცხელი, ზამთარ ციხი, არამედ მშუენი და
კეთილ-ჰაოვანი. ამის ძირს, ქციის პირს, არს მონასტერი მცირე, აწ
ხუცის სამარ. ხოლო ქციის ჴრამი აქა არს სიმაღლით ს˜ მჴარი და
მეტიცა, და განით ფ˜ჲ მჴარი, და ჭივჭივის ჴრამი ს˜ მჴარი. აქ ჭივ-
ჭავისა ზედა არს კლდე სპეტაკი და მისგან სცვივა ბროლი გათლილი
კუთხედ, მწუეტი ორკერძოვე. ჭივჭივის-წყალი სდის ბენ-
დერის მთასა და მოდის სამჴრით; არს ვენახოვანი, ხილიანი, არამედ
მთისკენ არა. ამის სადინს არს ნადარბაზევი, თამარ მეფის
ნასასახლევი აქა არს ტბა მცირე, ლულუფრისაგან კიდე მას შინა
არარაჲ.

ხოლო სამშჳლდეს ქუეით ქციის ჴრამი ნაჴიდურამდე უმეტეს
განიერი. აქ ნაყოფიერებს სხუათა ადგილთაგან მეტად ბროწეული,
ლეღჳ, ზეთისხილი და სხუანი ხილნი. გაღანამცა ზამთარ არს თბილი
და ზაფხულ ფრიად ცხელი, რამეთუ ზამთარს შეშა არა უჴმს. ნაჴი-
დურს ქუეით დის ქცია გაშლით მინდორსა ზედა, გარნა კბოდე-ფლა-

ტიანსა იმიერ და ამიერ.

არამედ ჴრამთა ამათ შინა არიან მრავალნი ქუაბნი, კლდეთა მა-
ღალთა შინა გამოკუეთილნი სახიზრად; ვიეთნი აწ კაცთაგან მიუს-
ვლელნი არიან, და მას შინა ფუტკარნი მრავალნი, რომლისაგან
გარდმოედინებიან თაფლნი. კუალად არს ქციასა შინა თევზთა სიმ-
რავლე ფრიად და გემოიანნი, პირუტყუნი უამრავნი, ამიერ და
იმიერ დაბნებიანი. ხოლო ჴრამის კიდესა ზედა რომელნი დაბნები
არიან, არა არს მუნ ვენახნი (და) ხილნი. ჩდილოთ კერძ ჴრამსა შინა
აკეთებენ მცირედ აბრეშუმს. არს აქა ფრინველთა სიმრავლე, შინა-
ურ-გარეულთა, და უფროს კაკაბთა.
ნაჴიდურს ქუეით, ქციის ამიერ
და იმიერ კიდესა, სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მოხარკენი და მო-

1-25 სტრ., 324
ლაშკრენი მეფისა, არამედ ბაიდრის სულთანი, რომელი დასხნა შა-
სეფიმ ავლავარს, ქუეით ნაჯბადიმანდე და ეკლესია ნაზარა-სოფლამ-
დე. ხოლო ადგილსა ამას პირველ ეწოდებოდა წყალთა შუა და
აწ ბაიდარი. არამედ არს ფრიად ნაყოფიერი ადგილი ესე. ნა-
ყოფიერებს ყოველნი მარცვალნი თესლთა, ხილნი წალკოტთა და
მტილთა უცთური და მრავალი. აბრეშუმი, ბამბა მრავალ. პირუტ-
ყუნი აქლემიდან თხამდე ყოველნი, ფრინველნი გარეულ-შინაურნი
ყოველნი აურაცხელნი, და ფრინვლით სანადირო წარჩინებული ყო-
ველთაგან.

ხოლო ნაჯბადინს ქუეით არს ხუნანი; აღმოსავლით და
ჩდილოთ უდის მტკუარი, სამჴრით ქცია; აღაშენა ციხე-ქალაქი ქარ-
თლოს, პირველ ეწოდა მტკუარის ციხე, შემდგომად ხუნანი,
და აწ მოჰმადიანნი უჴმობენ ქალის-ციხე-ყიზყალას, დაბის
გამო. ა˜ მეფემან ფარნაოზ ყო საერისთოდ, ვინაჲთგან იყო ქალაქი
და ნაპირის ადგილი. შემდგომად ყრუსა მოოჴრდა ქალაქი, და ციხე
იყო აქამომდე. აქა არს ნაჴიდვარი. ამის გამო აღაშენა პ˜თ მე-
ფემან როსტომ ჴიდი ქვიტკირისა, დიდ-შუენიერი, რომლისა სუეტ-
სა შინა არს სახლი შუენიერი, მჭურეთი ამიერ და იმიერ მდინარისა.
სივრცე ჴიდისა ი˜მჴარი. აქათ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუკ-
ნი დიდნი და კეთილნი, თლილის ქვისანი. ხუნანის ველსა შინა არა
იყო ნაყოფი უწყლოობით. ჟ˜დ მეფემან ვახტანგ გაიტანა რუჲ ქციისა
ნაჴიდურის ბოლოდამ და აღაშენა დაბნები, და ნაყოფიერებს ფრიად.

აღწერა ალგეთის მდინარისა

ხუნანის ჩდილოთ კერძოდ ერთვის მტკუარს დასავლეთიდამ

მდინარე ალგეთი; გამოსდის კლდე-კარს და მოდის აღმოსავლე-

1-24 სტრ., 325
თად. ხოლო იმზღვრების მდინარე ესე: აღმოსავლით მტკურით, სამჴრით ლომთა-გორით და აწ მარნეულის გორის აღმოსავლეთად გულთაფამდე, დასავლით ამისივ გორის წასრული, წრაუთის თავამდე, მიწევნილი სამებამდე, და მისრული ბენდერის მთამდე. და ბენდერი-ლაკჳს გორამდე; ჩდილოთ გორა კუმისისა, მტკუარიდამ მიყოლით კოჟრამდე, განვლის სამადლოს და სხალნარს, მიადგების დიდგორს, და მერმე მთა დიდგორი და ერიქალისა, და მიადგების კლდე-კარს; დასავლით კლდე-კრის გამოკიდებული ლაკჳს გორა, მიდგმით ბენდერისა.

ხოლო კლდე-კარი აღაშენა ლიპარიტ ბაღუაშმან, და არს მაღალს მთის კლდესა ზედა ციხე. ამ მთას გამოსდის ალგეთი. არა არს უწყებული, რით ეწოდა ალგეთი. ამას ქუეით ერთვის ალგეთს საყავრის-ჴევი ჩდოლოდამ. ამას ქუეით ერთვის ალგეთს მჟავის-ჴევი, გამოსდიან კლდე-კარს. ამათ უწოდებენ კლდე-კრის სოფლემად. ამას ქუით არს მანგლისი, ეკლესია გუმბათიანი, აღაშენა დიდმან კოსტანტინემ მირიან მეფის ჟამს და დაასუენა აქა ფერჴის ფიცარი უფლისა; აროდეს შემუსრვილ არს. სამჴრით გუმბათსა შინა არს მაჰმად, ლომსა ზედა მჯდომარე დახატული. იტყჳან მის გამო მოჰმადიანთა არა შეუმუსრავთ. ზის დასმული გორგასლისაგან ეპისკოპოზი, მწყემსი ალგეთის ჴეობისა და ქციის ზემოთისა თრიალეთამდე.

მანგლისს ქუეით ერთვის ალგეთს ჴევი კველთეთისა, გამომდინარე დიდგორის მთისა. ამას ქუით ერთვის ალგეთს ლაკჳს-წყალი. დის ლაკუას ერთს წყაროს ერთი საწისქვილო.

1-26 სტრ., 326
არამედ ადგილი ლაკჳსა არს შუენიერი,ვითარცა თრიალეთი. ამას ქუეით ერთვის ალგეთს დვალთა-ღოლოვნის-ჴევი. გარნა პატივანს ზეით კლდეკარ-დიდგორამდე არა არს ვენახნი და ხილნი, არამედ ვითარცა მთის ადგილნი აღვსწერეთ მოსავლითა. გარნა არს ტყიანი, ნადირიანი. პატივანს ქუეით ვაკეს არს ლოდი, რომელი, გუალვასა თუ გარდააბრუნო და შენამო, მოვალს წჳმა, ხოლო წჳმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გარდააბრუნო, იქმნების უწჳმროზა.

ამას ქუით დის ალგეთი ჩდოლოდამ სამჴრით და ერთვის საშუალს გუდარეხის-ჴევი. ხოლო გუდარეხს არს მო-

ნასტერი უგუმბათო, ბენდერის მთის ძირს, ფრიად შუენიერი, შუენიერს ადგილს, მრავალნი შენობანი; ზის წინამძღუარი. მას ზეით, ბენდერის მთისკენ, არს ციხე და ადგილი კლდოვანი, კლდითავე მარგარნი. ქუეით ამისა ალგეთს ერთვის ამლივის-წყალი თაკჳდამ, დის სამჴრით.

ხოლო ბუჟღულეთს ქუით იწყებს ალგეთი აღმოსავლეთით დინებასა, და ტბისის უკან, ჩდილოდ კერძ, არს ციხე ბირთვისი, კლდესა ზედა შენი და გარემო კლდითა მოზღუდვილი, ეჯ-ნახევარ ოდენ და შეუალი, და დიან მის შორის წყარონი.

ჩხიკუთის სამჴრით არს ეკლესია სამება, წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, არაედ საკურველი, რამეთუ დიდროვანითა ლოდითა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელ არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდედ. ძირს მისსა არს წყარო დიდი და ფრიად კარგი. ძუელად იწოდა გმირთ-ნაკუეთი, და იყო ციხე, ხოლო აწ ეკლესია.

ამას ქუეით ერთვის ალგეთს ჴევი საღირაშენისა,

გამოსდის სხალნარს და მოდის სამჴრით. ამას ერთვის ჴევი ზრბითოშეთისა. მასზედ არს მონასტერი საძელისი. მას ზეით, ზრბითის ჴევზედ, მაღალს კლდეზედ, არს ეკლესია ორბეთი, ხოლო სად ერთვის ალგეთს ჴევი ესე, მუნ არს ციხე ფარცხისი – ფარი ბირთვისის ციხისა, აწ შემუსრვილი.

ამის გამომართებით, სამჴრით არს წინწყარო, ქალაქი მცირე, მოსავლიანი, კეთილ-ჰაოვანი, მაღალს ადგილზედ მდგომი. აქა არს წყარო: უკეთუ მით მოხარშო მარცუალნი რომელნიმე და დღეთა შენთა ხარშო, ვერაოდეს მოხარშავს, გარნა სასმელად და საჴმარად კეთილი. ფარცხის ქუეით ერთვის ალგეთს ჴევი ბოგ ჳსა, გამოსდის სხალნარს, მოდის სამჴრით. მას ქუით ერთვის ალგეთს ჴევი ასურეთისა, გამოსდის სამადლოს. სამადლო იწოდების მუნ ფუნდუკისათჳს. მოდის ჴევი ესე სამჴრით.

კიკეთს ქუეით, ჴევსა შინა, არს მონასტერი კაბენისა. ყოფილ არს დედათა, გუმბათიანი, შუენიერი, აწ არს ხუცის სამარ. აღაშენა მეფემან თამარ. სამჴრით, მას ზემორ, არს ციხე აზეულასი, და აწ კოჟრისა, თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამჴრით არს სასახლე მეფისა კოჟორი. აღაშენა პ˜თ მეფემან როსტომ, უმეტეს ჟ˜ა მეფემან გიორგი და ჟ˜დ მეფემან ვახტანგ. დგე-

ბოდნენ ზაფხულს მეფენი.

ღოუბნის-ჴევი გამოსდის კოჟრის ციხის გორას და ერ-
თვის ასურეთს-ჴევს. ასურეთის ჴევს ქუეით, სამჴრით, არს დურ-
ნუკი. აქა არს კარკნალი და დარანნი დიდ-დიდნი. ეგრეთვე მარ-
ნეულს, სადაცა არსაფთარნი მრავალნი. მარნეულს არს ნაციხვა-
რი, მის გამო იწოდა ძუელადვე ლომთა-გორა. მის სამჴრით არს

დაბა ეკლესია, და სიცხისათჳს, ჯოჯოხეთად წოდებული. აქ ითხ-
რების მიწა, და ჴდიან გუარჯილასა, ეგრეთვე იაღლუჯის მთასა ში-
ნაცა მიწისაგან ჴდიან გუარჯილასა.

ხოლო ალგეთს მსახლობლის ბარათიანთაგან ეწოდების ამ ად-
გილთა საბარათიონო აწინდელს ჟამსა, თჳნიერ დბანის-ჴე-
ვისა, თრიალეთისა, ტაშირისა და სომხითისა, ჟამსა ამათ.

ხოლო ალგეთს შესართავის ჩდილოდ, იაღლუჯამდე, მტკურის
პირს, სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მთესველნი ბრინჯისა, ბამბისა
და ყოვლისა თესლ-მარცულისა. აკეთებენ აბრეშუმსა. მოხარკენი
არიან მეფისა, სავსენი ყოვლითა პირუტყჳთა. საყალტუთნის და-
სავლით არს იაღლუჯის მთა უტყეო და უწყლო, და სადაცა სდის
წყარო მცირე, იგიცა მწარე და მლაშე. არამედ არს ფრიად ბალახო-
ვანი, ზამთარ-ზაფხულს მოუკლებელი, რომელსა ზედა იზრდებიან
არვენი, მროწლენი, ჯოგნი და აქლემნი. იპოვების მგზავსი იამანის
ქვისა, დიდი და მცირე, მრავალფერნი. აქა არს ბალახი კალია, რომ-
ლის ძირს დასწვენ, და ნაცრითა მისითა ადუღებენ საპონს უმჯობეს-
სა, კუალად ჴმარობენ სხუაფერცა.

ამის მთის დასავლით, ხოშაგერმას იქით, არს ობის-ციხე
ველსა ზედა, და აწ შემუსრვილი, და ამის ჩდილოდ კერძ არს ტბა
კუმისისა, მლაშე, შესდის წყარო კოდისა, კუალად ერთვის კოჟ-
რისა და გოდელისის-ჴევის წყალი. ამ ტბის დასავლით არს კუმი-
სი, დაბა დიდი, ვენახოვანი, ლეღჳანი ბროწეულიანი, ხილიანი.
ამის მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი ბრინჯ-ბამბას გარ-
და; კანაფი უმუშაკოდ სცენდების. კუმისის თავს, კლდესა შინა, არს
გამოკუეთილნი ქუაბნი.

კუმისის აღმოსავლით, მტკურისაკენ, არს თელეთები და
ეკლესია წმიდის გიორგისა სასწაულთმოქმედი. მტკურის კიდეზედ

არს ჭალა ყურყუთა, და აწ სონღალუღი წოდვილი, ნაყო-
ფიერი ყოვლითავე. ამ ჭალიდამ იაღლუჯამდე, და კუმისის ტბამდე,
და მტკურამდე არს მინდორი დიდი, აწ წოდებული სარვანისა,
მეფეთ აქლემთა დგომისათჳს, უწყლოობით უნაყოფო.

აღწერა სკჳრეთის მდინარისა

ხოლო კოჟრის ჩდილოთ კერძ არს სკჳრეთის მდინა-
რე, აწ წოდებული ვერე; გამოსდის დიდგორის მთას, მოდის აღ-
მოსავლით, ერთვის მტკუარს დასავლიდამ, ტფილისის ჩდილოდ
კერძ. შესართავსა ზედა არს ლურჯი მონასტერი. და ჴეობა
ესე დიდგორის მთის კერძო არს უვენახო, უხილო ვანათამდე, მას
ქუეით ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინვლიანი. ვა-
ნათს ქუეით არს ციხე წვერისა, სამჴრით, აქავ არს ჴევი
გელიყარისა; მას ქუეით, წყდულეთს, ერთვის ვერეს ჴევი, და
ამ ჴევის თავს, მთაში, ჩდილოთკენ, არს ციხე ლასტისა. ამას
ქუით, სამჴრით, ყოვლად წმიდის მონასტერი ბეთენია, გუმბა-
თიანი, მაგარს ადგილს თამარ მეფის აღშენებული, აწ ხუცის სამარ.
მუნ ერთვის ჴევი ვერეს სამადლოდამ. ამასზედ არს რკინის-ცი-
ხე, უქვიტკირო, კლდისაგან მოზღუდვილი. ამას ქუეით არს ახალ
დაბა და მის დასავლით უძო, ეკლესიაწმიდის გიორგისა, მა-
ღალს გორასა ზედა, მჭურეტი კოჟრისა და ტფილისისა.

არამედ არს ჴეობა ესე ფრიად მაგარი და მოსავლით და პი-
რუტყჳთ შემკული, გარნა იცის სეტყუა ჴშირად, რამეთუ მოადგს
დიდგორი. ხოლო მთა დიდგორისა არს მაღალი და თხემთა
უტყეო, კალთათა ტყიანი, ბალახ-ყუავილითა და წყაროებითა შემ-
კული, ნადირნი მრავალნი. აქა არს წყარო – ცივებით გაყვითლე-

ბულმან უკეთუ სუას და დაიბანოს პირი, წამს განჰკურნებს. იყო
ძუელად მეფეთა სადგური ზაფხულს, აწ არს მეფეთა ცხენთა საბმუ-
რი ზაფხულს. არს მრავალთა ადგილთა მჭურეტელი ამისი ჩდილოთ
კერძი მეოთხე სადროშოსი, ხოლო სადროშოსი, ხოლო სამჴრით კერძი ამის სადროშო-
სი ამის პირისპირ, სამჴრით, მთა ბენდერისა, ეგრეთვე ტყიანი
და ბალახ-ყუავილოვან-წყაროიანი, და თხემთა უტყეო, და თრია-
ლეთისაკენ სრულიად უტყეო. ხოლო ესენი, რომელნიცა აღვსწე-
რეთ, ძუელად არს ორ საერისთოდ.

გარდაბანისა და გაჩიანის
საერისთონი

რამეთუ გარდაბანი არს საზღვრით: აღმოსავლეთით
მტკუარი და ხუნანის გამართებით, ბერდუჯის აღმოსავლეთის მცი-
რე მთა; სამჴრით შულავრისა, ჭაპალისა და ბოლნისის გორაები;
ჩრდილოთ მტკურიდამ ტფილისის გორაები ტაგნაგეთამდე; დასავ-
ლით ჴევი ასურეთისა, წინწყაროს გამომართებით ნაჴიდურამდე და
ბოლნისის მცირეს მთამდე. იწოდების ქართლოსის ძის გარდაბანის
გამო, რომელსა მისცა დედამან თჳსმან ხუნანი და ესენი, და მან
უწოდა სახელი თჳსი, ამასვე უწოდეს შემდგომად აგარანი. არამედ
შემდგომად განდგომისა გრიგოლი მთავრისა, ამას დაედვა გრდანი,
ლილო და მარტყოფი, და იწოდებოდა ესენი გარდაბანად. და არს
საერისთო ხუნანისა: წინთქმული გარდაბანი, სომხითი, ბერდუჯის მდინარე, ტაშირი
და ბამბაკი.

ხოლო მეორე საერისთო სამშჳლდისა -არს სა-
ბარათიანო, დბანის-ჴევი, სკჳრეთი, თრიალეთი, რომელი იყო წილი

გაჩიოსი, გარდაბანი ზეითი. ამან აღაშენა ქალაქი გაჩიანი. იყო ესე
ძე ქართლოსისა, რომელსა მისცა დედამან ობის-ციხე, და სკჳრე-
თიდამ ვიდრე ფანავნამდე და აბოცის თავამდე. და განყოფილებად-
მდე იყო ესრეთ საერისთოდ, არამედ უწოდებდნენ დღემდე სომხით-
საცა, თჳნიერ თრიალეთისა,ორთა საერისთოთა, რამეთუ, ვინაჲთ-
გან ხოსროვანთა შემდგომად დაიპყრეს ბაგრატ მეფისამდე სომხი-
თის მეფეთა ადგილნი ესენი, ვითარცა მოგვითხრობს ცხორება, ამის-
თჳს უწოდეს სომხითი. ხოლო აწინდელს ჟამსა იყო ერთ სასპასპე-
ტოდ, რომელნი შეიცვალებოდნენ სპასპეტნი.

ბოსტან-ქალაქი და გარეჯის მთის აღწერა

კუალად იაღლუჯის აღმოსავლით და მტკირის გაღმართ არს
ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი, ხოლო აწ ნა-
გები. ესე აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან ციხე-ქალაქი. შემ-
დგომად კ˜ჱ მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია კეთილი. გორგასალ
დასუა აქა ეპისკოპოზი, და იყო ჲ˜დ მეფის დავითისამდე, არამედ
გამოსვლასა ბერქა ყეენისასა მოოჯრდა, და აწცა არს ოჯერ. ამ ჟამ-
თა ქმნა სასახლე ჟ˜ბ მეფემან ერეკლემ, მერმე შემუსრა ჟ˜დ მეფემან
ვახტანგ. ხოლო საზღვარი ამისი არს: დასავლით მტკუარი, ჩდილოთ
ჴევი ლოჭინისა, აღმოსავლით მთა გარეჯისა, ვიდრე მწარე-
წყლადმდე, სამჴრით მწარე-წყალი.

ნაგების აღმოსავლით და სამჴრით არს ველი დიდი ყარაიისა,
სავსე ქურციკითა, რომელსა მოინადირებდენ მეფენი წლითი წლად.

ხოლო მტკურის კიდეთა ჭალა დიდი, სავსე ეშჯთა, მშულითა, დათჯთა, მგლითა და წურილის ნადირითა. ირემი იმყოფის ჟამად, და ჯოჯობნი მრავალნი. გარეჯის მთას არს მონასტერი, კლდესა შინა

გამოკუეთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი, ზამთარ თბილი, ზაფხულს გრილი.

ნათლის მცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს
ზის წინამძღუარი, დავით გარეჯას არქიმანდრიტი, ბერთ
უბანს წინამძღუარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი,
ვიდრე მწარე-წყლამდე, და მოწესითა სავსენი, ხოლო აწ არს ხუთი
მოწესითა მყოფი. არა არს აქა წყალი, არამედ იპყრობენ წჯმისაგან
კლდის ჭათა შინა და სმენ მას. არა არს ტყე, რამედ ძეძჯ, მით ხარშვენ და აცხობენ. არს ეკლესიანი, შემკულნი დადახატილნი ძუელითგანვე. მონასტერად ქმნული არს ი˜გ მამათაგანისა დავითისაგან, მერმე შემკული, მომატებული მეფეთაგან. ნაგებიდამ დაიღო ჟ˜დ მეფემან ვახტანგ რუ მტკურისაგან, და მიერ ჟამითგან ნაყოფიერებს ჭალებს ქუეითი მინდორნი.

ყარაიის ჭალას ქუეით, მტკურის კიდეს, ესახლნენ ელნი დემურჩიასალნუ, სავსენი პირუტყჯთა, რამეთუ ზამთარ სითბოთი და ტყითა და ბალახითა მოუკლებელი არს ადგილი ესე, და პირუტუნი მათნი დგებოდნენ გარეჯის მთასა ზედა, რამეთუ რაოდენნი წყარონი სდიან მთასა მას, მლაშენი არიან და პირუტყუთა შემრგონი.

არს მთასა ამას ზედა თუთუბო, კაპარი მრავალი. ხოლო რაოდენნი ელნი დავსწერენით, ქართლს, ზამთარ არიან ამ ადგილებთა შინა და ზაფხულს აღვლენან ყიაყულისა და პალაკაციოს მთასა ზედა. არამედ აჰყარა შანადირ და დასხნა ხორასანს. და არს ესეცა სასპასპეტო საბარათიანოსი. ნაგების ჩდილოდ, მტკურის კიდეზედ, არს ჭალა ყარაღაჯისა, ეგრეთვე ნადირიანი და ჯოჯობფრინვლითა სავსე. იდგა ჯოგი მეფეთა, და უწოდებნენ საჯოგის ჭალას.

არამედ ესე ადგილნი ნაგებს ზეით არს ძუელად კუხეთისა, რომელი მისცა დედამან კუხოსს. ხოლო ნაგებს ქუეითი ჰერეთისა არს, და აწ უწოდებენ ყარაიას, და გარეჯის მთას მასვე ძუელს სახელს. ხოლო მსახლობელნი არიან სომხით-საბარათიანოს მთავარნი და აზნაურნი, ვითარცა ნიშანი გვიდვია რუკასა ამას. არამედ არიან

მშჯდნი, მორჩილნი, ბრძოლასა შემმართებელნი, შუენიერ-ჰაეროვანნი, ეგრეთვე ქალნიცა უმეტეს ნაზნი.

ხოლო თათარნი, რომელნიცა დავსწერენით, არიან სუნნი, ქცევითა ვითარცა შუენის პირუტყუთა მწყემსთა, გარნა მჴნენი, შემმართებელნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი; უწოდებენ თარაქამად, ვინაჲთგან ბრიყუნი, უცოდინარნი არიან, ქალნიცა ეგრენითვე, არამედ მოშავგვრემონი, მჴნენი და მბრძოლნი უფროს კაცთა, ცხენითა თუ ქუეითად.

აღწერა მეოთხე სასპასპეტოსი

ხოლო არს მეოთხე სასპასპეტო ტფილისიდამ, ვიდრე ტაშისკარამდე, მეფისა თანა მყოფნი, და იმზღვრების: აღმოსავლით ლილოს საზღვრით, რომელი განვლის ხაზი შარობის ლილოსასა აღმოსავლით-სამჴრითკენ ლოჭინამდე, რომელსა ეწოდების ომანის-ჴევი, მუნით განვლის სამგორსა და ჩადივარს შუა, და მრავალწყაროსა და სათის-ჭალასა შუა, და მიადგების ბერთუბნის ღელესა, ხოლო ლილოდამ ჩდილოთკენ მიადგების ჴევ-ძმარს, და ჴევ-ძმარი მტკუარს მიადგების, და მტკურის კიდე მცხეთამდე. სამჴრით ლოჭინის-ჴევი და გამოღმართ კრწანისის გორა, შინდისისა და წავკისის გორა, და წყნეთის გორა, სკჳრეთის ჩდილოდ კერძი სხალ-დიდამდე, და სხალ-დიდიდამ დიდგორის მთამდე მიყოლით: ერიქალის მთა, კლდე-კარი, ერჯევანი, თორის მთა და გაყოლით ნარიანის ხაზი ტბის-ყურამდე; ჩდილოდ მტკუარი და დასავლით, დამჩხერალოდამ სადგერსა და თორს შუა, ბაკულიანის მთამდე და ტბის-ყურამდე. ხოლო ტფილისის სამჴრით ერთვის მტკუარს კრწანისის-ჴევი, დასავლეთიდამ, კუმისისა და შინდისის მცირე მთებიდამ გამომდინარე.

აღწერა ტფილისისა

ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი – ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკუარი კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის

ჩდილოთ-აღმოსავლით, ტფილის – ჩდილოთ და ისნს – დასავლით და სამჴრით. ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი, რომელი გამოსდის წავკისისა და კოჟრის მთებსა, სამჴრით და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით ტფილისს.

არამედ პირველ იყო დაბა. კ˜ზ მეფის ვარზაბაკურის ჟამსა შინა

აღაშენა შურის-ციხე მცხეთისათჳს ერისთავმან სპარსთამან. შემდგომად გორგასალ დადვა საფუძუელი, დაჩიმ, ლ˜დ მეფემან, ქმნა ქალაქად და ტახტად მეფეთა, და მურვან ყრუს შემდგომად შემუსრეს ხაზართა, და აღაშენა ამირ აგარიანმა. შემდგომად შემცირებისა მცხეთისასა და აოჴრებისა მისისასა, უმეტეს ტახტი იქმნა ბაგრატოვანთა.

ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ არს მით აბანონი ექუსნი და დიდშენნი, ავაზიანნი. მარადის მომდინარე ცხელი წყალი. აქ, თაბორს, ყოფილა ციხე. არამედ აწ შემუსრვილი არს. აქ დასხნა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს. ყოფილან ეკლესიანი დიდშენნი, არამედ აწ შემუსრვილნი არიან.

კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა, და ჩამოზღუდვილი სალალაკის-ჴევის კარს უწოდებენ განჯის კარად. მაღალს ციხეში არს ეკლესია გუმბათიანი წმიდის ნიკოლაოზისა და სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შუენიერნი. არამედ დაუტევა პ˜თ მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა კალა ციხიდამ ჴიდის ყურამდე და მისცა სპარსთა; მიერითგან უპყრავთ მათ. და თავისა თჳსისათჳს სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, მტკუარის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა. ჟ˜დ მე-

1-13 სტრ., 335
ფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შუენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდ-მხატვრობითა, დაჟუარდითა და მარმარილოს კედლითა, შემუსრეს ოსმალთა.

არს კალას ეკლესია გუმბათიანი, დიდი, დიდად შუენიერი, სიონი წოდებული, ღვთისმშობლისა, რომლისა საფუძველი დასდვა ლ˜თ მეფემან გურამ: შემდგომად შეასრულა ქურივმან ვინმე და მოქალაქეთა, და მ˜ა მთავარმან ადარნარემ, ხოლო აწ, დარღუევასა ზედა მიჴდილი, განაახლა და აღაშენა ძირიდამ გუმბათითურთ ჟ˜დ მეფემან ვახტანგ. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ტფილისის სამჴრით ქციისამდე. არს კუალად ეკლესია ჯუარისა, გუმბათიანი, შუენიერი. განაახლა აწ იმერლისშვილმან. არს კუალად ანჩისხატი დიდი, უგუმბათო, კათალიკოზისა; შემუსრვილი აღაშენა კათალიკოზმან დომეტიმ, ძემან ქაიხოსროსამან, არს ნათლისმცემლის.

1-14 სტრ., 336
გუმბათი მოარღვია პ˜თ მეფემან როსტომ, სხჳთ განაახლა ჟ˜დ მეფემან ვახტანგ.

არს კუალად დაბალს ციხესა შინა ეკლესია გუმბათიანი და აწ
ცარიელი, და სხუანი გუმბათიანნი არიან. გ~ უპყრავთ სომეხთა.
უგუმბათო აღაშენა კარის საყდრად პ~თ დედოფალმან მარიამ. კუა-
ლად აღაშენა ჟ~დ მეფემან ვახტანგ ორი უგუმბათო. ჟ~ დედაფალ-
მან როდამ აღაშენა ერთი უგუმბათო. კუალად უგუმბათო ოთხი აწ
უპყრავთ სომეხთა. ხოლო ჴიდის ყურს აღაშენა მეჩითი შაისმაილ.
პ~თ მეფემან როსტომ აღაშენა ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა
თჳსსა ერთი და განჯის-კართან ერთი. ურუმთ ქრისტესა ჩ~ღკზ
აღაშენეს სამი, არამედ შემუსრნა შანადირ.

ისნს არს, კიდესა მტკურისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკ-
ლესია მეტეხი, ღვთისმშობლისა, გუმბათიანი, დიდშუენიერნა-
შენი, საარქიმანდრიტო; შემუსრვილი აღაშენა ჲ~ვ მეფემან დიმიტ-

რიმ. ჟ~ბ მეფემან ერეკლემ მისცა სპარსთა, და არს უქმად. აქ გან-
ვალს ჴიდი კალიდამ ისნს, ციხიდამ ციხესა. ხოლო ჴიდის ყურის სამ-
ჴრით არს საფლავი წმიდის აბოსი, რომელი იწამა სპარსთაგან ტფი-
ლისს. ხოლო ისნის ციხე ყოფილ არს დიდი, რომელსა განაახ-
ლებდნენ ოსმალნი ქრისტესა ჩ~ღკზ და დაშთათ უსრულნი. ისნს არს
ეკლესია ერთი უგუმბათო, არამედ გუმბათიანი ორი, და უგუმბათო
ერთი უპყრავთ სომეხთა. ყოფილან ძუელდ მრავალნი ეკლესიანი
ტფილის, კალასა და ისნს, არამედ აწ შემუსრვილნი არიან.

კალა მოზღუდა მეორე შააბაზ, პირველი შემუსრვილი. სამ-
ჴრით მოავლო სალალაკის კლდეზედ; დასავლით ქმნეს ორი კარი,
ჩდილოთ ორი კარი. ზღუდეს გარეთ უჴმობენ აწ გარეთ-უბანს,
სადაცა არს ასპარეზი. აქა არს ეკლესია გუმბათიანი ბ~, უგუმბათო
ბ~ და უპყრავთ სომეხთა, ხოლო უგუმბათო ბ~ უპყრავთ ქართველთა.
კალას არს რომალეთა ეკლესია ერთი და მონოზონნი. ხოლო აწ უწო-

დებენ ოთხთავ ქალაქთა აწ ტფილისს და განყოფით: კალას-ტფილის-
სა, ტფილისს-სეიდაბადს და ისნს-ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს
ტფილისისა. მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰ-
მადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სომეხნი და მცირედ ქართველ-
ნი, ქცევა-ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა
და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართული.
არამედ ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვიტკირისანი არიან. ჰავითა
არს მშუენი და მხიარული, ერნი შუენიერნი და მშჳდნი, ქალნი
ფრიად კეკლუცნი. გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრა-
ვალნი, ყოვლის ხილითა და ყუავილითა სავსე. გარნა ქალაქი ვიწ-

რო, ფოლორცნი უშუერნი, ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ციხი. გაზაფხულ-შემოდგომა მშუენი და სატრფო. სანადირონი მრავალნი ახლოს, ფრინველთა და ნადირთა. ხოლო კუალად დასავლით, იშიტუტრუქის კლდესა შინა, არს მონასტერი მთაწმიდისა და აწ ცალიერი.

ხოლო ტფილისის სამჴრ-აღმოსავლით არს ნავთლუხი. მუნ დის ნავთი კიდესა მტკურისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ აიღების. აღმოსავლით ტფილისისა არს ლილო. არა არს მუნ ვენახნი და ხილნი მთობისაგან, და არს უმდინარო წყაროებითა, და ნაყოფიერებს მთურად. ტბანი არიან მცირენი და უთევზონი, მყურითა სავსე; სხდების წერო და ბატი მრავალი.

ტფილისის ჩდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენი-ტერფი. ტფილისაიდამ მცხეთადმდე უწყლო, არამედ მოსავლიანი. კუალად ტფილისის ჩდილოთ არს ლურჯ-მონასტერი, ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუმბათო, დიდი, აწ ხუცის სამარ. ვერესა ზედა არს ჴიდი დიდი ქვიტკირისა. გარნა ვერე წყნეთამდე წალკოტითა შემკული და მრავალნი.

1-24 სტრ., 339
მის სამჴრით არს ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ, ვერიდამ მოტანილი, და აწ უმისოდ უნაყოფო არს.

მას ზეით არს ტბა ლისისა, და მის დასავლით მთა სხალდიდისა, კეთილი აგარაკი და შუენიერი ყოვლითა. ამის სამჴრით ჴეობა დიღმისა. გამოსდის ამისი წყალი სხალდიდსა და სათოვლიას მთას და დის აღმოსავლით, მიერთვის მტკუარს დასავლიდამ. არს წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი და მას ზეით მთებრი.

სამჴრით არს ველი დიდი დიღმისა, უნაყოფო, არამედ ბალახოვანი, და ზამთარს იზრდების ცხოვართა და ზროხათა სიმრავლენი. ნაბულქევს ზეით არს დევის-ნამუხლი – კლდე, გაჭრილი გზად. მას ზეით მუხათ-გუერდი. მას ზეით, მცხეთის ჴიდის სამჴრით, არს მონასტერი ახალ ქალაქური, ყოვლადწმინდისა, უგუმბათო, კეთილს ადგილს; იდგნენ მოწესენი. მის დასავლით მცირე ჴევი ქართლისა, სდის მისსავე მთას და მოდის ჩდილოთ. აქა არს ციხე, რომელი აღაშენა ქართლოს და უწოდა სახელი თჳსი, არაოდეს შემუსრვილი მტერთაგან, რომელი დადგა ყრუს მოსლვასაცა. ამ ადგილის გამო ეწოდა ამ ქუეყანათა ქართლი. ა˜ მეფემან ფარნაოზ აღმართა აქა კერპი არმაზ, სახელისა თჳსისა, და მის გამო ეწოდა არმაზი ადგილსა ამას. და დაეფლა ქართ-

ლოს აქავე, და ფარნაოზცა წინაშე კერპისა თჳსისა. არამედ კერპისა ამის მსახურნი რომელნი იყვნენ, იგინი იყვნენ საქართველო. ხოლო შემდგომად შემუსრნა კერპი ესე წმიდამან ნინო. არამედ იყო ქალაქი არმაზი აქითგან ვიდრე ნაქულბაქევამდე, და ყრუსაგან და შემდგომად მისა მოოჴრდა, ხოლო აწ არს დაბნები.

1-21 სტრ., 340

აღწერა მცხეთის ზემოთისა

დასავლით არმაზისა არს ციხე-დიდი. მის დასავლით ჴევი ძეგვისა. სხდიან სხალდიდს, მიერთვიან მტკუარს სამჴრიდამ. არს ღჳნო და მბალი მუნებური კეთილი. კუალად ამის დასავლით ჴევი ნიჩბისისა, გამოსდის დიდგორს, დის ჩდილოთ, ერთვის მტკუარს სამჴრიდამ.

ნიჩბისისათჳს

ნიჩბისს არს შენობა დიდი და მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ. ამ ნიჩბისის-წყლის შესართავზედ, მტკუარზედ, არს კოწა-ხურას ფონი, მუხრანს გამსვლელი.

კავთის ჴევისათჳს

ნიჩბისის დასავლით ჴევი კავთისა. გამოსდის დიდგორს, დის ჩდილოთ, ერთვის მტკუარს სამჴრიდამ. ქვათაჴევამდე ვენახოვანი, ხილიანი. ქვათაჴევს არს მონასტერი ყოვლადწმინდისა, გუმბათიანი, შუენიერ ნაშენი.ზის არქიმანდრიტი. და არს ადგილი შემკული, ზაფხულს გრილი, წყაროიანი; ზამთარ თბილი; გარემოს მთა ტყიანი, შენობა მრავალი. ამას შინა შეჰყარნა ლანგთემურ მოწესენი და შეასხა ეჟუანნი [რომელნი იტყოდნენ: „ვაი ჩუენს დედაბრობასა, ეს რა გვეჟღარუნებიან!“], და გამოსწუნა ყოველნი ეკლესიასა შინა, და ჩანს დღესაც იატაკსა ზედა ჴელნი. ფერჴნი, თავნი და გუამნი. არავინ შევალს ფერჴცმული, არამედ ფერჴშიშუელნი, სიწმიდისათჳს.ამას ზეით, დიდგორის კალთას, არს ციხე კავთისა, მა-

1-23 სტრ., 341

ღალს კლდესა ზედა შენი. კავთას ქუეით ერთვის ამ ჴევს ჴევი ბოტისისა. ქვათაჴევ-წინარეხს ქუეით ერთვის ამავ ჴევს ჴევი გუდარეხისა. წინარეხის აღმოსავლით და გომიჯურის ზეით არს მონასტერი ლავრა, გუმბათიანი, შუენიერს ადგილს და აწ უქმად. გუდარეხის ჴევზედ არს თუალივს სასახლე მეფეთა, ნაშენობა დიდი.

თემმისათჳს

ხოლო დასავლეთით კავთისჴევისა დის მდინარე თემმისა, გამოსდის ჭვარებსა და თორის საშუალს მთასა, და დედაციხემდინ დის აღმოსავლით, მერმე დის ჩდილოთკენ და მიერთვის მტკუარს სამჴრიდამ. აქ მტკუარს კიდეს არს მოანსტერი ყოვლადწმიდისა, გუმბათიანი, დიდი მეტეხი კეთილშენი გორგასლისაგან, საარქი-მანდრიტო. ამას ზეით არს სხერტის ჭალა. ამის სამჴრით არს თემამზედ ახალქალაქი. ამის ზეით ეკლესია გუმბათიანი, ერთა წმიდისა, სასწაულთ-მოქმედი. ამის აღმოსავლით არს ციხე ცხირეთისა, ნასასახლევი მეფეთა. ერთაწმიდის და-სავლით არს ციხე დრისა, მაღალს კლდესა ზედა, მაგარი, მდი-ნარესა ზედა თემმისასა.

კრკონის აღწერა

ამის სამჴრით, ზემოთ თემმის მდინარესა ზედა, არს კრკონს მონასტერი გუმბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუალს ადგილს. აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იტყჳან ვერცხლსაცა. ზის წინა-მძღუარი. აქამომდე არს თემამივენახ-ხილითა ნაყოფიერი. ამას

ზეით ვითარცა თრიალეთი ჭვარებითურთ. კრკონს ზეით, ჴევე-ღრმას, არს მონასტერი.

დედა ციხის აღწერა

მას ზეით, ერიქალის მთის ქუეშ არს დედაციხე, კლდით მოზღუდვილი, ფრიად მაგარი. და მდინარესა ამას შინა არა არს თევ-ზი, თჳნიერ კალმახისა, და იგი მრავალი. გარნა წყალდიდობას შე-მოვალს კაპოეტნი და ჟამად ორაგულნიცა. გომიდამ მეტეხამდინ არს ჭალა სხერტისა, და არს ჴოჴობი მრავალნი.

ხოვლესათჳს

თეზმის დასავლით არს ჴევი ხოვლესი, გამოსდის რაზმი-თის მთას, მოდის ჩდილოდამ, ერთვის მტკუარს სამჴრიდამ; არს ვე-ნახოვანი, ხილიანი და ნაყოფიერი. თეზმიდამ ატენის წყლამდე მინ-დორი დოესისა,რომელი ირწყვის თეზის რუთი, და არს ფრიად მო-სავლიანი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა.

ატენისათჳს

ამის დასავლით არს ჴეობა ატენის მდინარისა. ტანა გა-
მოსდის ჯამჯამს და საცხენისის მთას, დრის-ჴევამდე დის აღმოსავ-
ლით, მერმე დის ჩდილოთ, ერთვის მტკუარს სამჴრიდამ. მტკურის
სამჴრით დასავლეთიდამ ერთვის ატენის-წყალს წედისის-ჴევი.
წედისს არს ციხე მცირე, და არს ჴეობა ესე ვენახოვანი, ხილია-
ნი, კუალად ატენის-წყალს მოერთვის აღმოსავლიდამ ვერის ჴე-
ვი. აქა არს ციხე მაღალს კლდესა ზედა. და ჴეობა ესე არს ვენახო-

ვან-ხიიანი; ვერის დაბის დასავლით არს, დანახვისის მთის
ძირს, მონასტერი კეთილშუენიერი ყოვლადწმიდისა. ამას ზეით
ატენი, მცირე ქალაქი. მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი.
არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, ნაშენი დიდი, და ციხის გორის სამ-
ჴრით არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაც დგება ღჳნო წარჩინე-
ბული; ჩდილოთ კერძ სდის თბილი წყალი, მკურნალი ბუგრისა, და
სდის სხუაცა ცივი წყარო.

ატენის სამჴრით არს მონასტერი სიონი, გუმბათიანი, კეთილ-
ნაშენი, და აწ სმენ გარდამდგარს ეპისკოპოზს ახტალის მაგიერ, ვი-
ნაჲთგან იგი უქმ არს, და აწ არს ნიში მისი. სიონის პირისპირ, და-
ნახვისის ძირში, არს მონასტერი ნათლისმცემელისა. დანახვისი
დგას მაღალს მთასა ზედა, ეკლესია წმიდის გიორგისა, მჭურეტი ქარ-
თლისა. ამას ზეით, მოერთვის ტანას ჴევი დრისა, გამომდინარე
რაზმითის მთისა; და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა
უტყეო. აქა არს საფლავი ჯაფირისა, რომლისა სიგრძე ხუთი ადლი,
და სცოცხლებდა ჟამსა როსტომ მეფისასა.

ხოლო ბობნავს ზეით ერთვის ტანას ღუის-ჴევი, გამომდი-
ნარე საცხენისის მთისა. და ბობნავამდე ჴეობა ესე. არს ვენახოვანი,
ხილიანი; მას ზეით მთური, ვიწრო და მაგარი, კლდიანი, ტყიანი
და ცხელი. კოწახური არს ტყედ. ბობნავს ზეით, ჩდილოთ კერძ, არს
ციხე კიკანათ-ბერი, კლდით მოზღუდვილი, და წყარო შიგ გა-
მომდინარე, და ფრიად მაგარი. ამ ციხის დასავლით, მთასა შინა, არს
ეკლესია წმიდის გიორგისა ახალი -ჯუარი, სასწაულმყოფი,
რამეთუ არს მარადის კარნი დაუჴშველნი და მცველნი არაოდეს. ვერ
შევალს მპარავნი და ვერცა ნადირნი.
ხოლო მდინარესა შინა ატენი-

სასა ზის კალმახნი გემოიანნი, მრავალნი, დასხუა თევზნი არა. წე-
დისის ჩდილოთ და გორის პირისპირ არს ეკლესია წმიდის გიორგი-

სა, მაღალს გორასა ზედ ნაშენი, სასწაულთმოქმედი. თავი წმიდის გიორგისა მდებარებს ჯუარსა შინა, უწოდებენ გორიჯუარს. არა იყო მუნ წყალი, ჟ˜დ დედოფალმან რუსუდან მოიტანა ბურეთს მთიდამ.

აღწერა საციციანოსი, ხუედურეთ ზეით,
და მჩხერალომდე

დასავლით გორიჯურისა არს ჴევი სკრისა, და მიერთვის სამჴრიდამ მტკუარს. ამ ჴეობის დასავლით არს ხუედურეთის ჴეობა. გამოსდის საცხენისის მთას და მიერთვის სამჴრიდამ მტკუარს. და არიან ესე ორნი ჴეობანი ვენახოვანნი, ხილიანნი.

ხუედურეთის დასავლეთით არს მონასტერი ყინცვისს წმიდის ნიკოლაოზისა, გუმბათიანი, დიდშუენიერად ნაშენი, მაღალს ადგილსა ზედა; ზის წინამძღუარი. ამის სამჴრით, მთასა შინა, არს სარკეს მონასტერი უგუმბათო, ფრიად კეთილნაშენი და აწ უქმი. ყინცვისის დასავლით არს ძამის ჴეობა. გამოსდის თორის მთასა, მოდის საგლონის ჭალამდე აღმოსავლით, მას ქუეით დის ჩდილოთ, მიერთვის მტკუარს სამჴრიდამ. მტკურის კიდესა ზედა არს ციხე სამწევრისს, დიდი, შიგ ეკლესია კეთილშენი. სამწევრისის სამჴრით მოერთვის ძამას იმერჴევის-ჴევი, გამოსდის საცხენისის მთას. აქა არს მონასტერი ძამისა, და აწ ხუცის სამარს. იმერჴევის დასავლით, ძამაზედ, არს მძორეთი, მცირე ქალაქი. მოსახლენი სომეხნი, ურიანი, ციხე არს მაღალს კლდესა ზედა ნაშენი. ესე არს ძამის-ციხე. ამ ციხის ქუეშ სასახლე ციციანთა. მძორეთის დასავლეთს, გვეძინეთს, ერთვის ძამას ჴევი

მუხალეთისა. აქა არს ციხე. კუალად გვეძინეთის დასავლით მოერთვის ჴევი აბუხალოსი აქა არიან ქუაბნი გამოკუეთილნი მაღალს კლდესა შინა მრავალნი. მას შინა ეკლესია კეთილი და კაცთა შეუვალი სიმაგრით. აქიდამ გარდავალს გზა გუჯარეთს რაჭის ხევზედ. აბუხალოს დასავლით გარდავალს გზა გუჯარეთს. ამ გზის დასავლით და ქოზიფას ზეით არს კლდე ფრიად შუენიერი, ყვითელი და ბრწყინვალე, ვითარცა ოქრო, და მის ქუეით არს მონასტერი ქოზიფას, უგუნბათო, კეთილშენი, მთასა შინა, და აწ უქმი. არამედ გვეძინეთამდე არს ჴეობა ესე ვენახოვანი, ხილოვანი და მას ზეით მთური. მძორეთის ჩდილოთ, გორას იქით და სამწევრის ზეით, არს მონასტერი ყოვლადწმიდისა წრომს, გუნბათიანი შუენიერი, სოფიის კენჭი ჩაწყობილ-დახატული, და ხუცის სამარ. ხოლო ამას ქუეითს მინდორს რწყავს რუ ძამისა და ნაყოფიერებს. წრომის და-

სავლით არს ჴევი მიწობისა. მის დასავლით არს კრისის-
ჴევი, ამის დასავლით ჴცისის-ჴევი. და არიან ჴევნი ესენი
ვენახოვანნი, ხილიანნი.

ხოლო დამჩხერალოდამ ტფილისამდე, მტკურის კერძო მთამდე,
არს ნაყოფიერი, ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი მარცვალნი, რო-
მელნი აღვსწერეთ, ხილნი და ვენახნი მრავალნი; ღჳნო აქაური უმ-
ჯობესი ყოვლისა ქართლისა, და უმეტეს ატენური ყოველთა საქარ-
თველოს ღჳნოთა; პირუტყუთა სიმრავლე ყოველთავე, თჳნიერ აქ-
ლემისა. ჰაერი კეთილი და შემკული, და მთათა დაბნები ეგრეთნი, ვი-
თარცა მთისანი დავსწერენით, ნაყოფითა და პირუტყჳთა, ტყიანი,
ნაძოვან-ფიჭოვანი და ნადირიანნი. მთა დიდგორისა და ერიქალისა

ჩდილოთ კერძო არს იმ ადგილისა, და ნადირიანნი არიან, და ერიქა-
ლის მთასა შინა არს მეტი სხუათა თხა. კლდე-კრის დასავლით არს
მთა ერჯევნისა, მაღალი და თხემთა უტყეო, ჭვარების კერ-
ძოსაკენ ტყიანი. არს, დიდნი და მცირენი ნადირნი მრავალნი. აქ,
მთის თხემსა ზედა, არს წყარო თუცა სუას დაცონილმან, ჰგონებს
სამ დღე უჭმელობასა. და შემკული არიან მთანი ესენი შუენიერე-
ბითა. ხოლო კუალად წრომის ჩდილოს, მტკურის კიდესა ზედა, არს
დაღალულა მინდორი, და ნაშენი და ფრიად ნაყოფიერი.
ზამთარ პირუტყუთა ბალახნი მოუკლებელი, და ფრინველთა სხუა-
დასხჳთა სავსე, გარნა ზაფხულს გაუძლისი. ტფილისიდამ გორამდე
მტკურის კიდე აქათდა იქით არს ჭალიანი, ლდიანი; ნადირნი და
ჴოჴობნი მრავალნი. გორიდამ დამჩხერალომდე ფლატოიანი და
ჭალიანი, ვითარცა დაღალულა.

აღწერა თორისა და აწ გუჯარეთისა

ხოლო ჭვარების დასავლით და მძოვრეთის სამჴრით არს მდინა-
რე და ჴეობა თორისა, რომელი გამოსდის ჭვარებსა და ამას
შუათს მთასა და მიდის დასავლით, მერმე მომგრგუალდების ჩდი-
ლოთ სადგერს ზეით და მიერთვის მტკუარს სამჴრიდამ, და აწ გან-
ყოფილი არს სადგერად და გუჯარეთად. ამ ადგილის
კაცნი ყოფილან მბრძოლნი ძლიერნი, აწცა არიან მჴნენი; გომარეთს
ზეით ჭვარებამდე არს ჴეობა გუჯარეთისა, და ყოფილ არიან მრა-
ვალნი შენობანი და ეკლესიანი, გარნა აწ შემურვილნი. გუჯარეთის
სოფელს ქუეით კიმოთისმანამდე, თორის წყალზედ, აქათ და იქით,
არს კლდე, რომელი აიყრების დიდ-დიდი ფიცარი ფიქალ-ფიქალი
შავი, და ბურვენ მით სახლებსა.

1-27 სტრ., 347
არს გუჯარეთის ჩდილოთ, მაღალს მთის თხემსა ზედა, ციხე თოთხამი, მჭურეტელი ქართლ-იმერეთისა. ამას ქუეით არს ციხე მომწვარის, და ეკლესია მცირე, და შენობანი დიდნი.

არს კუალად, სარბიელას ზეით, ციხე, სარბიელას-ჴევის თავს, მაღალს მთის წუერზედ, არს ციხე ალეწისა, მაგარი და მჭურეტი ქართლ-იმერეთისა.

ხოლო ადგილნი ესენი იყო უშენი, მცირეთაგან კიდე. აღაშენა ჟ˜დ მეფემან ვახტანგ. არა არს აქა ვენახნი და ხილნი, თჳნიერ მთის ხილთა, და სხჳთ ნაყოფიერი მთისებრ, ბალახ-ყუავილითა, ტყითა და წყაროებითა შემკული; ნადირნი მრავალნი, წყალი კალმახით სავსე. მოერთვიან სამჴრიდამ და ჩდილოდამ ჴევნი თორის წყალსა. აწ იყო ნარიანიცა ამისი, სადაცა დგების ზაფხულს ცხოვართა და პირუტყუთა სიმრავლე, ვიდრე ტბის-ყურამდე, ადგილსა ვაკესა და შუენიერსა. დის ქცია საშუალს ნარიანისა, კალმახით სავსე [იტყჳან ტბის-ყურისას თამარ მეფემან ჰყო ტბად, ვინაჲთგან ჩანს ნარუალი, რომელი გაიტანაო ქციიდამ და აქ უქმი არს].

ხოლო არს სასპასპეტო ესე შემკული მთითა, ბარითა, პირტყჳთა, ნადირ-ფრინველითა. მოსავალნი, რომელნიცა აღვსწერენით, მრავალნი ნაყოფიერებს. კაცნი და ქალნი შუენიერნი, მშჳდნი, მორჩილნი და ვიეთნი შფოთის მოყუარენი, მბრძოლნი ძლიერნი. სამწყსონი კათალიკოზისანი. სახლობენ მთავარნი ოთხნი და აზნაურნი მრავალნი. აწ ვიწყებთ სხუასა.

აღწერა მესამე სასპასპეტოსი

მესამე სასპასპეტო არს, რომელი იწყების მცხეთიდამ. ხოლო კათალიკოზი, ვინაჲთგან მეფისა თანა მყოფი არს, და არს მეოთხე სასპასპეტოსი, არამედ მუხრანი, ორი არაგჳ, კსნის-ჴევი და მამული მისი მესამე სასპასპეტოსი არს.

1-26 სტრ., 348
ხოლო მუხრანმან მოიგო სახელი ესე მუხათაგან, სადაცა არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხანი. გარნა საზღვარი მუხრანისა არს ძეგვის-წყლიდამ დიღმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლით მზღვრის არაგვჳ, სამჴრით მტკუარი, ჩდილოთ ციხე ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გორა ოკამისა, სამჴრითკენ გარდაჭრილი ხაზი შავ-ტყესა და წლევისა კასპის ბოლომდე.

აღწერა მცხეთისა

ხოლო მცხეთა არს ორს მდინარეს შორის: სამჴრით უდის მტკუ-
არი, აღმოსავლით არაგჳ, და მუნ შეკრბებიან. აღაშენა მცხეთოს, ძე-
მან ქართლოსისამან, და უწოდა სახელითა თჳსითა. შემდგომად
იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა უწოდებდნენ დედა-ქალაქსა. მერმე
მოზღუდა არმად, ერისთავმან სპარსთამან; მანვე აღაშენა ჴიდსა ზე-
და ციხე და ჩდილოთ ციხე. კუალად არმაზიდამ წარმოზღუდა მტკუ-
რადმდე. ამის გამო ისწავლეს ქართველთა ქვიტკირი. და იმყოფოდა
ქალაქსა ამას შინა უხუცესი ყოველთა საქართველოსი, და მორჩი-
ლებდენ ამას. შემდგომად აზონ მოარღჳა ზღუდე, ა˜ მეფემან ფარ-
ნაოზ კუალად მოზღუდა, და მეფენი ჟამითი-ჟამად ამაგრებდნენ.
ხოლო მირიან აღაშენა ეკლესია მოციქულთა, ხისა, სამოთხესა
შინა თჳსსა, სადაცა არს კუართი უფლისა, რომელი მოიღო ელიოზ,
და ხალენი ელიასი. და კ˜ვ მეფემან მირდატ აღაშენა მონაკუეთსა
სუეტისასა გარემო ქვიტკირის სუეტი, და ამისგან ეწოდა სუეტი
ცხოველი ეკლესიასა ამას, და აღმართა მას ზედა ჯუარი, რო-
მელსა სდიოდა მირონი სამკურნალო, და აწ უწოდებენ სამირონესა.

და ჩდილოთ ამისა მირიანვე აღაშენა ეკლესია მაცხოვრისა
ღვთაებისა, სამთავრო, ქვიტკირისა, გუმბათიანი, დიდშუენიე-
რი, და დაეფლა მირიან მუნ, და მ˜გ მეფე მირ. ამას შინა დასუა გორ

1-22 სტრ., 349
გასალ ეპისკოპოზი, და აწცა ზის მთავარეპისკოპოზი, მწყემსი რე-
ხულას ზეით დიდ ლიახვამდე. ვახტანგ გორგასალ აღაშენა მცხეთა
ქვიტკირითა და შეამკო დიდად. მანვე დასუა კათალიკოზი. შემდგო-
მად, ძრვით დარღვეული, აღაშენა ო˜ა მეფემან გიორგი, მერმე შე-
მუსრა ლანგთემურ, აღაშენა ო˜ მეფემან გიორგი, მერმე შემუსრა
ლანგთემურ, აღაშენა ო˜ვ მეფემან ალექსანდრე. არს სიგრძით ...ად-
ლი და განით..., ფრიად მაღალი. შემდგომად შთამოვარდა გუმბათი
და მოაშენა პ˜თ მეფემან როსტომ. ჟ˜დ მეფემან ვახტანგ შეამკო კა-
რი სამირონესი ოქროთა, მინითა და ვერცხლითა, და ჰყო მოფენილ-
მოფარდაგულ ზეზით კერილითა. დაფლულ არიან მეფენი გორგასალ,
დავით ლაშას ძე, დიმიტრი თავდადებული, დიდი ლუარსაბ, სჳმონ
და გიორგი [აწცა ეფლვიან, არამედ უშუერ არს].

აქავ ლ˜ა მეფემან არჩილ აღაშენა ეკლესია სტეფანწმიდისა.
აღმოსავლით, არაგჳს კარსა ზედა, ყოფილან ეკლესიანი მრავალნი,
არამედ შემუსრვილნი არიან. არიან შენობანი დიდნი, პალატნი დიდ-
დიდნი. ხოლო აწ არღარა არს ქალაქი, არამედ დაბა, რამეთუ შემ-
დგომად ყრუსა მოოჴრდა [იტყჳან მძლავრებისათჳს მოჰმადიანთა

არღარა ჰყვეს ქალაქი, რათა არა მათ იპყრან, და შეიგინოს სიწმი-
დე]. ხოლო არს ზამთარს ცივი, ქარიანი, ზაფხულ ცხელი, არამედ
ჰავით მშუენი, მთებთა შორის მდგომი, რამეთუ აღმოსავლით აქუს
მთა ჯუარ-ზედაძნისა, დასავლით მთა სარკინეთისა, სამჴრით მთა
ქართლისა და კარსნისა.

1-22 სტრ., 350

აღწერა მუხრანისა

ხოლო სარკინეთი არს მცხეთის დასავლით, სადაცა
აღაშენეს ქალაქი ძლიერი თურქთა და, მოსლვასა ალექსანდრე მაკე-
დონელისასა, განხურიტეს მთა ესე სხალტბისაკენ და ივლტოდნენ
კავკასეთად. მერმე შემუსრა ალექსანდრემ. და არიან ქუაბნი გამო-
კუეთილნი კლდისაგან, მრავალნი, და კლდე ესე არს, ვითარცა ნაშე-
ნი ქვიტკირისა. არს აქა მონასტერი დიდი, გუნბათიანი და მღჳმე
მას შინა, რომელსა შინა სცხოვრებდა წმიდა შიო, ი˜გ მამათაგანი.
ზის აწ არქიმანდრიტი. არს მღჳმესა შინა საფლავი წმიდისა შიოსი
სასწაულთმოქმედი, რომლისა გარემოს მისა ვერ იკადრებს მჴეცნი
შეჭმად პირუტყუთა მონასტრისათა. არს აქა კუალად ეკლესია დიდი,
უგუმბათო, კეთილნაშენი. ხოლო იტყჳან, ზუელად იდგა ჭ˜ მონა-
ზონნი ამათ ადგილთა შინა. არამედ მთა ესე არს ტყიანი, ღელე-ღრა-
ტოიანი, უწყლო, ნადირიანი. თჳნიერ ირმისა, ყოველნი. სამჴრით
კერძი მტკურისა უმოსავლოიანი, ხოლო ჩდილოთ კერძი მოსავლია-
ნი, ვენახ-ხილიანი. და იწყების მთა ესე მცხეთიდამ და მივალს გო-
რამდე, და ვიდრე ალამდე.

ხოლო მცხეთას განჰკუეთს არაგჳ, გარნა მოებმის ზედაძნის
მთა და მივალს ქისიყამდე. ხოლო მდინარე არაგჳ განჰყოფს
ქართლსა და კახეთსა. და ეწოდა სახელი ესე ამ მდინარეს თჳსითავე,
ვინაჲთგან დის ჩქარად, მოგვის და იმღვრევის შავად: „ხედავ არა
გვის ეს წყალი ამ ჴევთა!“. არამედ არს მდინარე ურგები, თევზი,

1-27 სტრ., 351

თჳნიერ ორაგულისა, არარაჲ და იგიცა ჟამად. გამოსდის მაღრან-
დვალეთის ქნოღოს კავკასის მთიდამ, და ციკარიდამდის აღმოსავ-
ლეთ-სამჴრეთს შუა, ვიდრე გუდამაყრის ჴევამდე და მუნიდამ სამ-
ჴრით დის მტკურამდე. ამიერ და იმიერ ჭალანი ჯღარდლოვანნი, ეკ-
ლოვანნი, ნადირითა, ეშჳთა და ჴოჴბითა სავსე.

ხოლო მცხეთის ჩდილოთ არს ციხე ბელტისა, აღაშენა
არდამ ერისთავმან. ამის ჩდილოთ არს ღართის-კარი, ჴევი ღრმა და
მშრალი. მის ჩდილოთ არს მდინარე ნარეკუავისა, რომე-

ლი გამოსდის ალევის მთასა და დის სამჴრით ტყჳლიანამდე, მერმე აღმოსავლიეთით და მიერთვის არაგუს დასავლეთიდამ. ესე გამოვლის შორის მუხრანსა. არაგჳს დასავლით, ნარეკუავსა ზედა, არს ჭალა ნარეკუავისავე, ნადირითა და ჴოჴბით სავსე. და არს მდინარე ესე უჟანამდე ვენახითა და ხილითა ნაყოფიერი. ხოლო ნარეკუავის ჩდილოთ, არაგჳს პირს, არს საფურცლე და საფურცლის ჩდილოთ მისაქციელი, მთის ძირს. ამის დასავლით, ამ მთის ძირს, არს ეკლესია წილკანს, ღვთისმშობლისა, გუმბათიანი და შუენიერი. აღაშენა კ˜ე მეფემან ბაქარ, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი მუხრანისა, ორისავე არაგჳსა და ბაზალეთისა. ტყჳლიანიდამ ისო წილკანელმან, ი˜გ მამათაგანმან, წარმოიღო ყავარჯნის თრევით რუ, რომელსა მოსდევდა უმუშაკოთ წყალი, და მოიღო წილკანს და დის დღემდე. დაფლულ არს წმიდა ისო მუნ. ხოლო ირწყვის მინდორი ამისი რუჲთა მით და ნაყოფიერებს ფრიად. ტყჳლიანის ჩდილოთ არს მონასტერი მჭადის-ჯუარისა, საბურდიანოსა შინა, გუმბათიანი და აწ უქმი. კუალად ნარეკუავის შესართავის დასავლით, სარკინეთის მთის ჩდილოს გიერდი, ვიდრე ქანდა-ციხის ძირამდე, არს ვენახოვანი, ხილიანი, ბალახიანი და ტყიანი, ხოლო ციხისძირს ჩამოუდის კსანი. ოძისამდ არს მუხრანისა, ოძისის ჩდილოთ კერძი კსნის

1-31 სტრ., 352
ჴევისა. ციხის-ძირის სამჴრით არს ციხე მტკუარისა, სარკინეთის მთასავე ზედა, რომელი აღაშენა ო˜თ მეფის კოსტანტინეს ძემან ბაგრატ. ამ ციხის სამჴრით, მტკურამდე და ნასპარსევამდე, არს მინდორი ნასპარსევისა წოდებული. ოდეს დაისხნენ თურქთა მოსვლასა სპარსნი, და მოსწყჳდნა ალექსანდრე დიდმან, მათ გამო ისახელა. არს უწყლოობით უნაყოფო, არამედ ზამთარ ბალახიანი, და იზრდებიან ცხოვართა და ჯოგთა სიმრავლე.

ხოლო კსანი მდინარე ერთვის მტკუარსა ჩდილოდამ, ციხეს ქუეით. ციხის-ძირს ზეით ერთვის კსანს შიოს-უბნის წყაროს-წყალი აღმოსავლეთიდამ. არამედ შიოს-უბანს არს შენობა დიდი სასახლეთა. ხოლო ოსმალთა აღაშენეს ციხე ქრისტესა ჩ˜ღლ. აწ არს სახიზრად. ამის ჩდილოთ ქსორისი. მუნ არს აღებული რუ, და რწყავს ორთა ამათ მთათა შორისთა მინდორთა, სარკინეთისა და ციხე-ბოდავის მთათა შორისსა, და ნაყოფიერებს მით ფრიად. მას ზეით ოძისი და, დასავლით კსნისა, ირტო-თეზ-ოკმის მინდორი და ჩანგილარ-ბეგთათავისა; ირწყვის კსნის რუთივე და ნაყოფიერებს. ხოლო ციხის-ძირის დასავლით, კსანს იქით, ასტყდების მთა თხოთისა, რომელსა ზედა მოიქცა მეფე მირიან ქრისტეანედ. აწცა არს მუნ ნიში ჯუარისა, რომელი აღმართა წმიდამან ნინომ, სუეტისაგან გამოკუეთილი. ამ მთის მობმით მთა წლევისა

წარვალს გორამდე. ამ მთათა სამჴრით არს, მტკუარამდე და კასპამდე კსნიდამ, მინდორი აღაიანისა, უწყლო, უნაყოფო, გარნა ბალახიანი და ზამთარს მზრდელი ცხოვართა და ჯოგთა. ხოლო მდინარემან კსანმან მოიგო სახელი ესრეთ, რამეთუ მდინარე ესე არს სხუათა მდინარეთა ერთი კსანი. და არს სარგებლიანი მდინარე და თევზიანი. არამედ ესე მუხრანი ფრიად შემკული არს ზამთარ სითბოთი, და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი, ზაფხულს მშუენი, კეთილ-აგარაკობანი, ცივნი წყარონი, ჰავით მშუენი. მოსავალნი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს. პირუტყუნი, აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი, რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან.
ფრინველნი გარეულნი და შინა-

ურნი მრავალნი, სანადირონი მოუკლებელნი. სახლობენ გურიანნი აზნაურნი და კაცნი მჴნენი და მბრძოლნი, არამედ მპარავნი. პირველ იყო მეფეთა სადგური; აწ უპყრავთ, შემდგომად ბაგრატისა, მუხრანის ბატონსა, ამასვე აქუს დროშა სასპასპეტე არაგუ-კსნისა.

აღწერა არაგჳს-პირისა და ბაზალეთისა

ხოლო კუალად არაგჳს პირს არს ოჴერ-ჴიდა, რომელსა ეწო-და პირველ ჴიდარი, სადაცა აღაშენა ვარზაბაქარ ციხე და უკუჯდა ჴევსა კახეთისასა და არაგჳს პირს. მისაქციელიდამ და ოჴერ-ჴიდიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი, და ოჴერ-ჴიდის ჩდილოთ არს ბოდორნას ქუაბნი გამოკუეთილნი და ციხე მაგარი. ამის ჩდილოთ ურია, მოსახლენი ვაჭარნი. ჩდილოდ მისა, არანისთან, ზანდუკლის ჴევი, მას ზეით ვეძათჴევის ჴევი. ამ ჴევისა და არაგჳს კიდეზედ არს ანანური. ძუელად იყო ეკლესია მცირე, არამედ წელსა ქრისტესა ჩ˜ღდ აღაშენა გიორგი ერისთავმან ეკლესია გუმბათიანი, დიდი. გარემო მოავლო ზღუდე ქვიტკირისა, და მაღალს კლდესა ზედა ქმნა კოშკი და ციხე. ჰგონებდა სიმაგრედ თჳსად და მომავალთა თჳსთა, არამედ ექმნა საბრჴედ და მომწყუედელ ძეთა და ნათესავთა მისთა. ვეძათჴევის დასავლით არს საფერშეთი და ალევი, მთასა ზედა; და ალევი არს მთა მაღალი, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი. ესე წარივლის სამჴრით ოძისამდე და ჩდილოდ ლომისამდე. ესე მთა ჰყოფს ქსნის-ჴევსა და ბაზალეთსა. ამ ალევის მთის თხემსა არს ეკლესია უგუმბათო, მჭურეტი ქართლ-კახეთისა. ამას შინა არს სიმრავლე ხატთა და ჯუართა ოქროჲსა და ვერცხლისათა, და სამსახურებელნი ეკლესიისანი მრავალნი კარნი აქუს ოქროსი, რომელი უქმნეს სპარსთა, რაჟამს წა-

1-27 სტრ., 354
რიღეს ხატი მისი, მუნ სასწაულის მხილველთა, უქმნეს კარნი ოქ-
როჲსნი და დასდვეს ურემსა ჯარბმულსა, და მოიღო მუნ. ამ მთას
გასდის ნარეკუავი.

არამედ ჯეობა ამას ბენის-ჭილუტამდე ეწოდების გრემის
ჯევი. არა არს გრემის ჯევს ვენახნი და ხილნი, სხჳთა ყოვლითა მო-
სავლიანი. და ამ სიმგრგულვეს შორის არს ბაზალეთი, რომელ-
სა ეწოდა დაბის გამო. აქუს ბაზალეთს აღმოსავლით არაგჳ, სამჴრით
ციხე ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გრემის ჯევი და ალევის
მთა, ჩდილოთ ჭართალის მთა. არს აქა ტბა ბაზალეთისა დუ-
შეთის წინარე მდებარე, და არს ურგები და უთევზო, და წურბელი
მრავალი. სხდებიან ფრინველნი მრავალნი. აიან ტბის გარემოს,
მუხრანის კერძ, არაგჳსკენ, გრემის კერძ და ანანურის კერძოდ, დაბ-
ნები ვენახოვანნი, ხილიანი, მოსავლიანი და უწყლოობით არა მრა-
ვალნაყოფიერნი.არიან მცირე წყარონი დაბნებთა. ჰავითა მშუენი
და კეთილი. კაცნი მბრძოლნი და მჰარავ-ავაზაკნი და უშიშნი ღვთი-
სა. წილკნის მთის ზეით, ვიდრე ანანურამდე, უმეტეს ტყიანი, ღელო-
ვან-ჴრამოვანი. ხოლო ანანურს ზეით ერთვის არაგუს დასავლიდამ
ჭართალის-ჯევი. მის ჩდილოდ არს მთიულთ-კარი, სი-
მაგრე მტკიცე; მას ზეით ნასასახლევი მეფეთა და ხანდოს-ჯევი,
რომელი გამოსდის ლომისის მთას, ერთვის არაგუს დასავლეთიდამ.

აღწერა გუდამაყრისა

მის ზეით ერთვის ჯევი გუდამაყრისა არაგუს ჩდილო-
დამ; გამოსდის კავკასს გუდამაყარსა, ჯევსა და ძურძუკს შორისსა.
და არს გუდამაყრის ჯეობა მაგარი, მოსავით ვითარცა სხუა მთის
ალაგნი და უფროს მწირი. კაცნი და ქალნი მგზავსნი მთიულთა, ჯე-
ლოსანნი, მშჳლდთ-მოქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისა-
გან და ჯართაგან.

1-25 სტრ., 355
ხოლო გუდამაყრის-ჯევის შესართავს ზეით, დასავლეთ-ჩდი-
ლოს შუა, არს მთიულეთი. ამ მთიულეთსა და კსანის-ჯევს გან-
ჰყოფს ცხრაზმასა და ჯანდოს ლომისის მთა, გუდამაყრის ჯევს ზეით,
სამჴრიდამ, მოერთვის არაგუს ამირთ-ჯევი: კუალად მოერთვის
სამჴრიდამვე ჩოხელთ-ჯევი. ამას ზეით მოერთვის არაგს ცეცხ-
ლის-ჯუარიდამ ჯარჯელთ- ჯევი. ამას ზეით არს ნაღუარე-
ვი, მეფეთა ნასასახლევი, შენებულება დიდი. მას ზეით მოერთვის
არაგუს ღუდოს-ჯევი. ამას ზეით არს მონასტერი ყოვლად-

წმიდისა და აწ უქმი. და ეს ჴევნი გამოსდიან ლომისის მთას. მონასტრის სამჴრით, მთის თხემსა ზედა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა, წოდებული ლომისა [და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე], არამედ უგუმბათო არს და არიან მრავალნი ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი, დახიზნულობით. უჭურეტს სამჴრით კსანსა, ჩდილოთ მთიულეთს. თა ესე უტყეო არს და ბალახ-ყუავილიანი, კალთათა ტყიანი. ხოლო ღუდოს-ჴევის ჩდილოთ, არაგუს გაღმა, არს დაბა ჴადა, მაღალსა კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე. მის ჩდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და ჲ˜კოშკოვანი გარემოს, და არს მუნ ეკლესია მცირე. ამ ციკარას დასავლით გარდავალს გზა ჴევსა შინა. ხოლო ციკარის აღმოსავლეთით არს ნასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი, და ამას ქუეით იყოფის ციკარას წყალი ორად და მიერთვის არაგუს ჴარჴელის ზეით და ქუეით ჩდილოდამ.

ხოლო ჩდილოთ წარმოივლის კავკასი და განჰყოფს მთიულეთს გუდამაყრისა და ჴევისაგან. და არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა; ამის გამო მაგარი და შეუვალი არს, უვენახო, უხილო, მცირე მო-

სავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდამ ტკბილსა, შთაასხნემ აქა და ლომისას, და დადგების ღჳნო კეთილი, თეთრი და ტკბილი. არა არს აქა აქლემი, კამბეჩი და ვირი; არს ცხოვარი უდუმო-კუდიანი, ძროხა და ცხენიცა არა მრავალ, სივიწროვის გამო. ჰავითა არს ფრიად კეთილი და შუენიერი, წყარო-წყლითა და მწუანითა. წყალთა შინა კალმახი, მრავალნი, ჴორცნი, თევზნი და ფრინველნი გემოიანნი, პური ნოყიერი, ეგრეთვე ქრთილიცა. კაცნი ჰაეროვანნი, მჴნენი და მბრძოლნი, ერთგულნი, ბრიყუ-უსაქციელონი, საჭურველთ-მოყუარენი, სამოსელითა და იარაღთა გამწყონი. ქალნიცა შუენიერნი, არამედ უგბილად მოსილნი. აქა არს ქვა, რომელი აიყრების კლდისაგან ფიქალ-ფიქალად, და ასხედს მას ქვასა სიბრტყეზედ ჴშირად მუწუკთაებრ, ვითარცა ოქრო და ვერცხლი, ანუ ნარევი და მბრჭყვინავი ფრიად, ივლებენ ამას ზღუდეს გარემოთ, და არს პატიოსნება მათ შინა ესე.

აღწერა ჴევისა

ხოლო მთიულეთის ჩდილოთ არს ჴევი. გარდავალს გზა ჴევს, ჴადის დასავლეთიდამ, კავკასსა ზედა. არამედ არს დაბალი და უტყეო; ზამთარს ვერა ვლისა მას ზედა ცხენი თოვლის სიდიდითა; ზაფხულ არს ბალახიანი, ყუავილიანი. ამას უწოდებენ ყელს. ხოლო ჩდილოთკენ ერთვის ჴევის მდინარეს ჴევი, და უწოდებენ შთა-

სავალს. აქა არს წყარო სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და ჰყრია ბროლი მრავალი, მგზავსი გათლილისა, და სცვივა კლდესა. აქა იპოების ბროლი და სჭვირს წითლად, და გასტეხო – არს შიგ წითელი ბროლი. არამედ მდინარესა ჴევისასა ეწოდების არაგჳვე ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის-მდინარე ძუელადვე, და აწ უწოდებენ თერგსა; გამოსდის ქურთაულისა, ზახისა და მაღრან-დვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდამ, კავკასის მჴრიდამ, დის აღმოსავლეთად ჩასავალამდე.

1-29 სტრ., 357
ამ ჩასავალს ზეით არს თრუსო სამ ჴევად. აღმოსავლით აქუს ჴევი, დასავლით ზახა და მაღრან-დვალეთი, სამჴრით მთიულეთი, ჩდილოთ ქურთაული, და მოზღუდვილ არს კავკასით, თჳნიერ ჴევიდამ. მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი. შთასავალს ქუეით მოდრკების არაგჳ და დის ჩდილოთ, ვიდრე ქისტის-წყლამდე, და მიდის ფრიად მსწრაფლად. ამ დინების გამო არა არს თევზი მდინარესა ამას შინა, თჳნიერ კალმახისა. და არს ჴეობა ესე მოზღუდვილი კავკასითა, რამეთუ დასავლით აქუს მყინვარი, უმაღლეს ყოველთა კავკასთა, და მარადის ყინულით შეკუერცხილი. და განჰყოფს მთა ესე თაგაურს, ჩიმსა და ჴევსა. აღმოსავლით უძეს კუალად კავკასი, იგიცა მარადის თოვლიანი. განჰყოფს მთა ესე ქისტს, ძურძუკს და ჴევსა. სამჴრით აქუს კუალდ კავკასი, და განჰყოფს ესე გუდამაყარს, მთიულეთს და ჴევს.

ხოლო ჩასავალს ქუეით არს, ჩდილოთ კერძ, არაგჳს დასავლით, ციხე არშისა, თჳნიერ კაცთა ჴელთაგან ქმნული, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე და შეუალი კაცთა, მყინვარის კალთასა ზედა.

აღმოსავლეთიდამ არაგუს ერთვის, არშას ქუეით, აჩხოტის ჴევი. აქა არს ციხე ღუდუშაურისა მცირე, არამედ ფრიად მაგარი. ამ ჴევიდამ გარდავალს გზა გუდამაყარს. ამის ჩდილოთ არს სტეფან-წმიდა, დაბა კარგი. ამის დასავლით არს გერგეთი, არაგუს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მყინვარის კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუმბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესუენა ნინოს ჯუარი, შუენიერნაშენი, შუენიერს ადგილს.

მყინვარის კლდესა შინა არიან ქუებნი გამოკუეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭჳ რკინისა, გარდმოკიდებული ქუაბიდამ, და მით აღვლენ. იტყჳან უფლის აკუანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა,

1-27 სტრ., 358
მდგომსა უსუეტოდ, უსაბლოდ, და სხუათაცა საკჳრველთა. არამედ მე ვდუმებ.

კუალად ძირსა მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკუეთილი უდაბნოდ, და აწ ცარიელი. გერგეთს ქუეით, ჩდილოთკენ, დასავლეთიდამ ერთვის ჴევი გელათისა, ძუელად ესრეთ წოდებული დაბისა ამის სახელი, ხოლო აწ უწოდებენ გუელეთს.

ამ გუელეთს ქუეით ერთვის არაგუსვე ჴევი, სამჴრ-აღმოსავლეთიდამ, გამოსდის გუდამაყრისა და ძურძუკის კავკასსა, მოდის დასავლეთს-ჩდილოს შუა და არს უშენი. გარდავალს ამ ჴევიდამ გზა ძურძუკსა და ქისტეთს, ძნელი, საჭირო. კუალად გარდავალს გზა გუდამაყარსაცა. ამ ჴევს ქუეით დავიწროვდების ჴევი ესე კლდითა, და აქა არს ციხე დავითისა, არაგჳს აღმოსავლით კიდესა ზედა, აღმაშენებლის აღშენებელი. ამას ქუეით არს დარიელა არაგჳს აღმოსავით, კიდესა ზედა, გ˜ მეფის მირვანის მიერ. შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათჳს, რათა უმისოდ ვერღარა ვიდოდნენ [და არს სახელი ესე მომრევი]. ამას ქუეით ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშკრიან ოვსეთად, მუნ დადგიან.

ხოლო ჴეობა ჴევისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთილისა, სელისა, შვრივისა შთასავლით გუელეთამდე. არა არს აქა ხილნი, თჳნიერ მთის ხილთა; არს კოწახური, მოცხარი, კლდის მერსენი და სხუანიცა ბალახთა ხილნი. არს ვარდი ჭალათა მრავალფურცლოვანი და წითელი მრავალი, და სხუანიცა ყუავილნი მთისანი მრავალნი. პირუტყუნი, რაც ოდენ ეტევის, მრავალნი. ცხვარი უდუმო. არს აქა მჯიხჳ მრავალი ჯოგად და არჩჳ. არს ფრინველი შურთხი, გნოლი და ზაფხულს მწყერი ურიცხუნი. იტყჳან ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა. არა არს ტყე აქა, არამედ ზიდვენ გუელეთის ქუემოდამ. ჰავით არს კეთილმშუენი. კაცნი არიან მბრძოლ-

1-29 სტრ., 359
ნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი, ვიტარცა მთიულნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლითა. სარწმუნოებით ქართველთა თანა, არამედ მისიცა უმეცარნი.

აღწერა კსნის-ჴევისა და
მამულისა მისისა

ხოლო მდინარე კსნისა ოძის ზეით, ბაზალეთისა და ალევის მთის

დასავლით, დის და გამოსდის ქნოღოს ჟმურის საშუალს კავკასს. ქარ-
ჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქაჩოხს ქუეით სამჴრით გაივლის
მუხრანს და მიერთვის მტკუარს. ხოლო ოძის ზეით არს მონასტერი
ხოფა, უგუმბათო, დიდშენი კეთილად და აწ ცარიელი. მის ჩდი-
ლოთ არს მცირე ქალაქი ახალგორი. მსახლობელნი არიან სო-
მეხნი, და სასახლე კსნის ერისთვისა. მას ზეით, კსნის დასავლით კი-
დესა ზედა, არს ციხე დაბასა წირქვალს. ამის სამჴრით, ბოლსა
და ახალდაბას შუა, არს ახალდაბის ციხე ამილახორისა.
წირქვილს ზეით, ჩდილოთ, არს მონასტერი კაბენი, გუმბათიანი,
ყანჩეითს, კეთილად ნაშენი, შუენიერს ადგილს და აწ ხუცის
სამარ. ჩდილოთ ყანჩიეთისა, ზებეყურის მთის ძირს, არს ხადის
ციხე, მაგარი. ზებეყურის მთა არს თხემთა უტყეო და კალ-
თათა ტყიანი. ეს მთა ჩამოადგების ცხჳრად კსანს დასავლიდამ და
აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხჳრი, და დაავიწროვებს კსანსა
კლდითა.

ამ კლდეს ქუეით მტკურამდე კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი,
მოსავლიანი, ვითარცა სხუანი აღვსწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო
და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხუანი მთის ალაგ-
ნი მოსავალითა, ტყიან-კლდიანობითა. ამავ კლდის ჩდილოთ, სა-
ძეგურს, ერთვის კსანსა აღმოსავლეთიდამ ჴევი, ალევის მთის გა-
მომდინარე. საძეგურის ჩდილოთ არს მონასტერი ლარგვისი,
წმიდის თევდორესი, აღმოსავით უდის კსანი, სამჴრით ჭურთის წყა-
ლი, უგუმბათო, შემკული ყოვლითა, აწ ხუცის სამარ; აქა ჰყო შან-

1-26 სტრ., 360
შემ ციხე, არამედ ურგებად თჳსად. ამის ჩდილოთ ერთვის კსანს
აღმოსავლეთიდამ ცხრაზმის ჴევი, გამოსდის ლომისას. და არს
ადგილი ესე მოსავლიანი, მთის ალაგთაებრი. და ამ ჴევს ზეით, ჩდი-
ლოთკენ, არს ციხე ქარჩოხის ა, კსნის პირსა ზედა, ლომისი-
დამ ჩამოსულს კლდესა ზედა. უდის სამჴრით კსანი და აღმოსავლით
ჴევი, ლომისის მთის გამომდინარე, და აღვალს აქედამ გზა ლომისის
ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს. ხოლო ქარჩოხის დასავ-
ლით არს კსანსა ჟამური. აწ მსახლობელნი არიან ოსნი. სა-
შუალს ჟამურისა არს ციხე, ბერციხედ წოდვილი, კსანსა ზედა
და კლდესა ზედა მდგომარე. არამედ მთიულეთსა და ამას შუა არს მთა
მარადის თოვლიანი, უტყეო, კალთათა მცირე არყნალი. ჟამურის
მჴარეს ამ მთასა ზედა არს კოშკნი წარიგებულნი მრავალნი მაღალნი
და კეთილნაშენნი. მოსავლით ვითარცა სხუანი მთის ადგილნი. ცხვა-
რი აქაცა უდუმო, პირუტყუნი არა ეგოდენ მრავალნი.

ხოლო სამჴრით ჟამურისა არს მთა, გამყოფელი ჭურთისა და

/ჟამურისა, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი და ნადირიანი. ამ მთის სამჴრით არს ჭურთის-ჴევი, რომლისა წყალი გასდის ამავ მთა-სა, და სად ერთვის ამ წყალს ცხრაწყაროს-წყალი, მუნ, ამ ორთა წყალთ შუა, არს ციხე წინკიბე, ფრიად მაგარი. ამ ორთა ჴევთა უწოდებენ ჭურთას, და მიდის აღმოსავლეთად და მიერ-თვის მონასტერს კსანსა. ამას შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით ქართველნი, ეგრეთვე კსნის-ჴევისა და ცხრაზმისა. მოსავლით არს ჭურთა, ვითარცა სხუანი მთის ალაგნი. კაცნი და ქალნი ამ სამთა ჴეობათანი არიან, ვითარცა დავსწერეთ მთიულნი, მათნი მიმგზავსე-ბულნი, და ისინი ყოვლითა უმჯობესნი, ხოლო ესენი ქურდნი, მპა-რავნი, მძარცველნი, უსირცხონი.

1-25 სტრ., 361

აღწერა ქოლოთ ქვიტკირისა

კუალად ცხრაწყაროს სამჴრით არს მთა, კსნიდამ ისროლის-ჴევის მთამდე მდებარე, აღმოსავლიდამ დასავლეთად, თხემთა უტ-ყეო, კალთათა ტყიანი. ამ მთას გაზრდის სამჴრით რეხულა, და არს აქა ციხე მცირე, და მას ციხეს ქუით ქოროთ ქვიტკირი. ესეცა არს მთის ალაგთაებრ, ვიდრე ზახორამდე.

აღწერა ისროლ-ჴევისა

ხოლო კუალად ჭურთისა, ცხრაწყაროსა და ქოლოქვიტკირის დასავლით არს ისროლის-ჴევი. ბიყარის-ჴევს ზეით არს მამუ-ლი კსნისა. ეს მდინარე არს მეჯვდა. გამოსდის ჟამურის მთასა, დის სამჴრით დაბის მეჯვდამდე. ჟამურის მთის კალთასა არს აშა-ტურთ-კარი და ციხე. ხოლო განჰყოფს ამ ჴეობასა, ქოლოთ-ქვიტკირს და ჟამურს მთა ჴერულისა, მდებარე ჩდილოდამ სამჴრით, ტყიანი და ნადირიანი. აშატურთ-კარს ქუემოთ ერთვის მეჯვდას დასავლიდამ მერის-ჴევი. გამოსდის ბენდერის მთას. ხოლო ამ ჴევის სამჴრით, მახისიდამ, წარივლის მთა ტყიანი და ნადი-რიანი ორბოძლის მთამდე. ხოლო ორბოძალი არს თხემთა უტ-ყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. ამ ორბოძალსა ზედა არს ბა-ლახი. უუეთუ მოძოს არა მუნებურმან ცხენმან, მასვე წამს მოჰ-კლავს, ეგრეთვე თივაცა მისი მოაკუდინებს. და არს ესე ბალახი ამ მთებთა ზედა ყოველგან მრავალი.და მივალს ესე ორბოძალი, ვიდრე ბენდერის მთამდე. მერეს-ჴევს ქუეით ერთვის მეჯვდას ბიყრის-ჴევი აღმოსავლეთიდამ, გამოსდის უსანეთს. და ამ ბიყარს ზეით არს ისროლის-ჴევი, ვითარცა სხუანი ამ მჴრის მთის ადგილნი, იწრო, ტყიანი და მწირი. ხოლო კუალად ორბოძლის მთის სამჴრით არს,

1-24 სტრ., 362
მთის კალთასა შინა, იკორთას. მონასტერი დიდი, გუმბათიანი,
კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს; ზის არქიმანდრიტი.

აღწერა გუერდის-ძირისა

ამ მთის სამჴრით კერძს, ჯარიაშენიდამ ვანათამდე, უწოდებენ
გუერდის- ძირს, და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მო-
სავლიანი. ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი სცენდების ნაყოფიერად,
ვითარცა დავსწერეთ ქართლისასა,არამედ ღჳნო აქაური თხელი და
მომჟავო, გარნა საამო სასმელად.

აღწერა პატარა ლიახვის ჴეობისა

ხოლო ისროლის-ჴევის და ჟამურის დასავლით არს პატარა
ლიახვის ჴეობა. ამათ განჰყოფს მთა ბენდერისა, წიფორისა
და ქნოღოსი. მდებარებენ მთანი ესენი ჩდილოდამ სამჴრით კავკა-
სიიდამ. ამ მთებს უძეს აღმოსავლით ისროლის-ჴევი, ჭურთა და ჟა-
მური, დასავლით – პატარა ლიახვი. გამოსდის პატარა ლიახ-
ვი ქნოღოს ზეით მცირეს ტბას და მოდის ფოტორისამდე/ სამჴრეთად, მერმე საცხენის
ქუემოთამდე დასავლეთად, მერმე
კიდევ სამჴრით. ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვს ჴევი
გერისა. გამოსდის მშხლების მთას და დის სამჴრით. ამას ზედა
მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს.
ხოლო ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრი-
სის-ჴევი, ღრმა და კლდიანი, ძნიად განსავალი. გამოსდის გერისა
და შუა-ცხვირის მთას. შუა ცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი.
ამ ფოტრისას-ჴევს ზეით არს აწერის-ჴევი. აქ აღაშენა შანშემ
ციხე-სიმაგრედ თჳსად, არამედ ექმნა გალიად, რამეთუ გამოიყვანეს
ცოლი და დედაწული მისი მუნიდამ. მას ზეით მოერთვის ჴევი

1-30 სტრ., 363
შამბიანისა ლიახვს აღმოსავლიდამ. გამოსდის ჟამურის მთას
და დის დასავლეთად. ამ ჴევს ზეით ერთვის ლიახვს ჴევი ჩაბა-
რუხეთისა. გამოსდის გერის მთას, დის აღმოსავლით, ერთვის
ლიახვს დასავლიდამ. ამ ლიახვის შესასთავს, ორსავ წყალს შუა,
არს ციხე ბეყჩოსი. ამ ციხეს ზეით არს ქნოღო სამ ჴეობად,
აღმოსავლიდამ, ჩდილოდამ და დასავლით-ჩდილოდ შუადამ. ხოლო
ტბა ქნოღოსი არს მცირე, რომელსა სდის ლიახვი. ამ ტბიდამ
ვანათამდე არს ლიახვის ჴეობა უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწე-
რეთ მთის ჴევნი, და სივიწროვით ესე უფროს მწირი, არამედ აწე-
რის-ჴევს ზეით არიან მოსახლენი ოსნი სრულიად.

აღწერა მაღრან-დვალეთისა

ხოლო კუალად ქნოღოს ჩდილოთ კერძოდ არს მთა დიდი კავკასი. ამ კავკასის ჩდილოთკენ არს მაღრან-დვალეთი. და იმ-ზღვრების ესე მაღრან-დვალეთი: აღმოსავლეთით კავკასით, მთიულეთსა და მაღრან-დვალეთს შუათითა; სამჴრით კავკასით, ქნოღო-მაღრან-დვალეთის შორისით; ჩდილოთ კავკასით და მთათა უმდაბლესითა, თრუსო-ზახასა და მაღრან-დვალეთს შორისით; დასავლით მთით, ჩამოსულით კავკასიდამ, ჟბასა და მაღრან-დვალეთს შორისით. აქ მაღრან-დვალეთს გამოსდის დიდი ლიახვი თრუსოსა და ზახის კავკასსა, და დის სამჴრეთს-დასავლეთს შუა. და არს მაღრან-დვალეთი სამ-ჴეობა, მოსავლით, ვითარცა ამ მჴრის მთის ადგილნი დავსწერეთ. მსახლობელნი არიან ოსნი. ხოლო კსნის მამულნი, რომელნი დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა და ტყითა. არს მთანი შემკობილნი ყუავილითა და ბალახითა. კაცნი ჰგონე, ვითარცა არაგჳსანი, არამედ ისინი უმჯობესნი. ამ მთის ადგილებთა შინა, რომელნი აღვსწერენით, დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭმლის მომდნობნი და მომნებელნი, და სმენ მუნებურნი; უწოდებენ ვეძას, პირუტყუთ შემრგო, გამასუქებელი. ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულმან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან

გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაჲთგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან. არამედ ჩუელებასა ამ ოსთასა დავსწერეთ მის ადგილს, ოსეთის აღწერასა შინა.

აღწერა მეორე სასპასპეტოსი და საამილახვაროსი

ვიწყებთ მეორეს სასპასპეტოს, მემარჯუენეს, შიდა ქართლის ნაკუეთსა, რომელი არს აწის ზემო-ქართლი. ხოლო საზღვარი ამისი არს: აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ ხაზი კასპიდამ წარსრული ჩდილოს, გამჭრელი წლევისა, შავტყისა და მისრული კსნის კიდემდე და ბოდადმდე; სამჴრით მდინარე მტკუარი; ჩდილოთ, რომელი აღვსწერეთ კსნის მამულის საზღვარი, და მერმე კავკასი; დასავლით ძირულას იქითი მთა კოლბეურისა, მცირე, რომელი მიჰყვება ჩდილოთ კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერწო-კუდარამდე და ესევ მთა კოლბეურისა; ჴეფინისჴევსა და ამაშუკეთს შუა, მიჰყვების სამჴრით ვერტყვილამდე; ვერტყვილიდამ ხაზი ჩხერიმელის დაბის

ქუაბამდე, და მუნიდამ მახვილოს მთის განმჭრელი დვირადე და ბა-
კულიანის მთამდე. ხოლო მუხრანს თხოთის მთიდამ მოსდევს მთა,
დასავლეთად, მტკურის კიდესა, გორის ქალაქამდე, და ეწოდების
მთა წლევისა, მერმე კუერნაქი. არს ამ მთისა ჩდილოთ
კერძო ტყიანი, ვიდრე ზეგანამდე, მას ზეით კუერნაქი უტყ[ე]ო, გო-
რამდე, და სამჴრით კერძო სრულიად უტყე[ო], გარნა ბაახიანი
ზამთარცა და თბილი. კლდენი მაღალნი და ქუაბნი გამოკუეთილნი
მრავალნი. კლდე ესე აშურიანამდე, ვითარცა სარკინეთისა, მერმე
თირი.

ხოლო წლევის მთას გასჭრის მდინარე რეხულა, ქოლოთ-
ქვიტკირის ქუეით დის ლეხურა სამჴრით, ერთვის კასპს მტკუარს
ჩდილოდამ. კასპი აღაშენა პირველად ქალაქი უფლოს, მცხეთო-

სის ძემან, და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო არ არს დაბა დიდი. კასპს
ზეით, წლევის მთაში, არს მონასტერი მამებას, სტეფანწმი-
დისა, თათესაგან, ი˜გ მამათაგანის, ქმნული. დაფლულია წმიდა თათე
მუნ. იტყჳან ამის ნაწილის აღმოსლვასა, ვითარცა წმიდის შიოსას,
არამედ აწ დეკანოზის მიზეზით დაყენებული. და აწ არს ხუცის სა-
მარ. მას ზეით არს ციხე, სადითგან გამოიყვანეს ოვსთა გორგასლის
დაჲ. ამის ზეით, ჴორჴებთან, ერთვის რეხულას ჴევი უსის ტყისა
და გამოსდის მჴურვალეთის მთას. ამის ზეით არს, რეხულას აღმო-
სავლით, სამთავისი, ეკლესია დიდი, გუმბათიანი, დიდშუენიე-
რად შენებული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კსნისა და ლეხურს ჴეო-
ბისა. ქმნული არს ი˜გ მამათაგანისა ისიდორესგან, და დაფლული არს
იგი მუნვე. ხოლო სამთავისის ჩდილოთ, ჭალას, შენობა დიდი სა-
სახლეთა. ჭალის აღმოსავლით არს ციხე ცხვილოსისა,
მთის ძირსა ზედა. და წარივლის მთა ესე ჩდილოთ ზებეყურამდე და
დასავლით უსანეთამდე, და არს ტყიანი და ნადირიანი. ჭალას ზეით
არს დაბა რეხი, რომლისა გამო იწოდა მდინარე ესე. ამ რეხის
აღმოსავლეთით არს მონასტერი ქუაბისმანი. ზის წინამძღვარი.

აქამდენ არს რეხის ჴეობ[ა] ხილიან-ვენახიანი და ნაყოფიერი.
ამას ზეით ქოლოთქვიტკირითურთ, ვითარცა სხუა მთის ალაგნი.
რეხის დაბის ზეით ერთვის რეხულას ჴევი წოლდისა, და გან-
ჰყოფს ამას მთა წინჴსენებული ცხოვილოსისა. ჩდილოთ ამ მთისა არს
წოლდი, სამჴრით ბერშოეთ-კირბალი და სხუანი. წოლდის-ჴევი
გამოსდის უსანეთის მთას. უსანეთის მთის თხემს არს ეკლე-
სია წმიდის გიორგისა, უგუმბათო. ამის გამო ეწოდა მთასა ამას სა-
ხელი ესე. ამის აღმოსავლით, ზემორ, არს ზახორი, ზახორს ზეით
ციხე კაბერი, და ამ ციხეს ზეით ქოლოთქვიტკირი. ხოლო კუა-

ლად ჭალასა და რეხის დასავლეთად, მჯურვალეთს ზეით, არს მთაში მონასტერი კეთილნაშენი, აწ უქმი.

1-27 სტრ., 366
ამ მთის მიყოლვით, დასავლეთისაკენ მეჯვდამდე და ვიდრე დიდ ლიახვამდე, და კუენაქის მთის შორისი მინდორი დიდი და უტყეო, გარნა დაბნებთა არს წალკოტნი, ნიგვზნარნი და ვენახნი მრავალნი; და ირწყვის მინდორი ესე მეჯვდის აღმოსავლეთისა მეჯვდის რუთი. მოვალს ყოველნი მარცვალნი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა. მთის ძირის დაბნებნი ეგრეთვე ვენახოვანნი და ხილიანნი, პირუტყუთა სიმრავლე, თჳნიერ აქლემისა, არს ყოვლისავე. ამ ადგილსაწ უწოდებენ საამილახოროსა. კუალად კასპის დასავლით მინდორი მტკუარსა და კუერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლოობით უნაყოფო, უფლისციხემდე, არამედ ზამთარს ბალახიანი, და იზრდების ცხოვართა, რემათა და მროწლეთა სიმრავლე, და ტფილი ზამთარ. აშურიანს ზეით არს უფლის-ციხე, კუერნაქის გამოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკურის კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე; აწ არს შემუსრვილი. არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკუეთილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისაგანვე; გჳრაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკურამდ[ე], დიდი, დასავლით აქუს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკუეთილნი ქუაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუალ არს, აქა არს ბუზნი. გამოსული იხილვების სპა-ლაშკარნი შუბოსანმშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშკრებულნი, ნიშვნენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს.

აღწერა გორის ქალაქისა

ამის დასავლით არს ქალაქი გორი. ამან სახელი მოიგო გორისაგან, რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი, ლიახვის მდინარის კიდესა ზედა. და მოსდგამს ამ გორას აღმოსავლით კუერნაქი, ჩდილოთ მთა რუისისა, ლიახვის დასავლეთად, რომელი იწოდების კუერნაქადვე, სამჴრით მთა ბურეთისა და გორიჯურისა. და ამ მთის

სტრ., 367
ძირს, გორსა და მთას შუა, დის მდინარე მტკუარი. ხოლო ქალაქს გორს ჩაუდის დასავლით მდინარე ლიახვი, და მიერთვის ლიახვი მტკუარსა ჩდილოდამ. არამედ არა არს უწყებული, ვისით აღშენდა პირველ, გარნა ცხორებასა წერილ არს: „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო (რომელი არს ოქროს მთა) და ჰყო საფლველად საგანძურთა“. არს გორასა ზედა ციხე დიდი. დასავლით არს გჳრაბი, ჩატანილი ლიახვამდე, ქვიტკირისა. ამის გარდამხვეული ლიახვიდამ

ლიახვამდე ქალაქი პ~გ მეფემან სჯმონ წარუხუნა ოსმალთა და შე-
მუსრა ციხე. პ~თ მეფის როსტომის მეფობას აღაშენა შასეფიმ კუა-
ლად ციხე, და მიერით ეპყრათ ყიზილბაშთა. ჟ~დმეფის ვახტანგის
ჟამსა იყო ცარიელი, შემდგომად დაიპყრეს ურუმთა, მერმე შანა-
დირ დაარღვივა ციხე; არამედ დაძალყოფილი ოსმალთა, და ლეკთა,
და ყიზილბაშთაგან შემცირდა ქალაქიცა. და არს შენობა უმეტეს
ქვიტკირისა, ეკლესიანი კეთილშუენიერნი ჱ~, გარნა ერთი შემუს-
რეს ოსმალთა სომხისა. აქა პ~თ მეფემან როსტომ ქმნა სასახლე ყი-
ზილბაშთა რიგისა, წალკოტ-სავარდითა, დიდი, ავაზანი წყლიანნი
დიდ-დიდნი, შუენიერნი. ჟ~დ მეფემან ვახტანგ განაახლა; შემუსრეს
ოსმალთა. არამედ არს ადგილი ჰავითა შუენიერი, წყალი კარგი, გა-
რემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი ზაფხულ კეთილი, ზამ-
თარს ცივი ქარიანი; სანადირო მოუკლებელი ფრინველითა, თევზი-
თა და სხჳთაცა. ხილნი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანი. მსახ-
ლობელნი არიან ქართველნი და სომეხნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი,
შუენიერნი, ამაყნი და დიდის მთქმელნი.

მეჯვდის მდინარის აღწერა
ბიყრამდე

აქ ციხის ძირს, ერთვის ლიახვს მეჯვდის მდინარე. არს ბიყრამ-
დე მეჯვდა ვენახოვანი, ხილიანი. ამიერ და იმიერ დაბნები მრავალ-

ნი; თესლთა, მარცვალთა მოსავლით ნაყოფიერი. გორს ზეით ბერ-
ბუკს, ერთვის მეჯვდას სველნეთის ფშანი. არს მეჯვდა-
ზედ, იკორთისა და კირბალის მთის ძირს, დაბა მეჯვდა, რომლისაგან
ისახელა მდინარე ესე. გორიდამ ჩდილოთკენ მეჯვდას ზეით არს,
უსანეთის მთის ძირში, მონასტერი წმიდის თევდორესი, აწ ხუცის
სამარ. ამას ზეით არს მონასტერი, მეჯვდის მდინარის დასავლეთად,
მთის ძირში, ბიეთს, მონასტერი კეთილს შუენიერს ადგილს. ამას
უდის ჴევი, გამომდინარე მერის მთისა, და მიერთვის მეჯუდას და-
სავლიდამ. უზის ბიეთს წინამძღუარი. ბიეთს ზეით არს ჴევი მახი-
სისა. აქამომდე ჴეობა მეჯვდა ვენახოვან-ხილოვანი, მოსავლია-
ნი. ამას ზეით არს ბიყარი და ისროლის-ჴევი, ვითარცა აღვწერეთ.

აღწერა დიდის ლიახვისა და პატარა
ლიახვისა ვანათამდე

ხოლო გორიდამ ლიახვის მდინარის სიგრძე არს მაღრან-დვა-
ლეთამდე და დის მაღრან-დვალეთიდამ, აღმოსავლეთიდამ დასავ-
ლეთად, მუგუთამდე; მუგუთიდამ დის სამჴრით გორამდე, და გორს

მცირეთ ქუემოთ მიერთვის მტკუარს ჩდილოდამ. არამედ არს მდი-
ნარე ლიახვი სარგებლიანი, მრწყველი ველთა იმიერ და ამიერ
ლიახვისათა, ჩქარად მომდინარე და რიყიანი, და ჴმოვანი, სასმე-
ლად შემრგო და გემოიანი, მარადის ცივი, გარნა ვერ განჰყინავს ზამ-
თარს სიჩქარისათჳს. თევზნი მრავალნი. რომელნი ველნი ირწყვიან
ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და
გემოიანი, და სპეტაკი. გორს ზეით ლიახვს ერთვის გორისავე ჭალი-
სა და ნაჭარმაგევისა წყალნი. ნაჭარმაგევი იყო სადგური მე-
ფეთა და კეთილსანადირო, და აწ კარალეთად წოდვილი, ად-
გილი ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. არა-

1-28 სტრ., 369
მედ არ გორს ზეით არღარა არს კაკაბი, გარნა მცირედთა ადგილებ-
თა თუ მოიპობის. გორს ზეით, კარალეთის პირისპირს, ლიახჳს
დასავლით, რუისის მთის ძირს, არს თედო წმინდა. მცირედ მას
ზეით ერთვის დასავლეთიდამ ლიახუს ვარიანის ფშანი და
ახალდაბისა. ამ ფშანსა შინა იპყრობის კალმახი ყვითელი
და ფირად კარგი.

ვარიანს ზეით ერთვის ლიახუს აღმოსავლეთიდამ პატარა ლიახჳ.
ამის გამო ეწოდა დაბასა ამას შერთული. ვანათამდე არს ვე-
ნახიანი, ხილიანი, დაბნებიანი და მრწყველი ველთა გორს ზეითისა,
მეჯუდის მდინარისა და პატარას ლიახუს შუათთა, გუერდის-ძირამ-
დე. შერთულს ზეით არს ეკლესია არბო-წმიდისა, სასწაულთ-
მოქმედი, პატარა ლიახჳს კიდეზე, დასავლით. ამ არბო-წმიდის
ზეით ერთვის პატარა ლიახუს აღმოსავლიდამ მერის-ჴევი. ამ ჴევზე
აღმოსავლეთით არს, ორბოძლის მთის კალთასა ზედა, კულბით-
ის ციხე. კულბითს ქუეით მოერთვის ამ ჴევს ლაფაჩების-
ჴევი. გამოსდის ორბოძალს. ამ ჴევს ერთვის სნეკვის-ჴევი,
დიდი და ღრმაკეთილი შემრგო, რომელიცა გამოსდის სნეკვსავე. და
არს სნეკვი, და ლაფაჩები, და მერე კსნისავე. ამ მერისჴევს ზეით,
ჩდილოთ კერძ, არს ვანათი, პატარა ლიახჳს კიდესა. მაღლა გო-
რასა ზედა არს ციხე, სნეკვიდამ წამოსულს მცირეს მთასა ზედა. ეს
მთა გაჰყოფს კულბითს-ვანათამდე სოფლებსა, და საცხენისსა, და
ბელოთს, და პატარა ლიახუს, და მიადგების ორბოძალს. ჩდილოთ
უდის პატარა ლიახჳ, სამჴრით აქუს კულბითი და ვანათი. ვანათის
ციხე შემუსრვილი განნახლა შანშემ. შემუსრეს კუალად ყიზილბაშთა.
ციხის უკან, ჩდილოთ, არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჭურეტი ლი-
ახჳსა, და მას შინა ქუაბნი გამოკუეთილნი მრავალნი.

ხოლო კუალად შერთულს ზეით, დიდს ლიახუზედ, არს მეღვ-
რეკისს მონასტერი უგუმბათო, უზის წინამძღუარი, დასავლით

1-25 სტრ., 370
მეღვრეკისისა, ლიახუს გაღმა, არს ნიქოზს ეკლესია ღვთაებისა დიდი, გუმბათიანი, აღაშენა გორგასალ და დადვა მას შინა გუამი წმიდისა რაჟდენისა. მანვე გორგასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასუა ეპისკოპოზი; ზის დღესაც, მწყემსი კავკასიანთა, დუალთა და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა-ღებითურთ. და არს ეკლესია დიდშენი, კეთილს ადგილს, შუენიერი. ამ ნიქოზის ჩდილოთ, დიდის ლიახჳს კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქცხინვალი, კეთილ-ჰაოვანი. მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. გარემოს წალკოტოვან-ვენახოვანი, საზრდელით მაძღარი. ლიახუს გაღმა, აღმოსავლეთით ქცხილვანისა, ასტყდების მთა ტყიანი, და ეს მთა მიჰყვების ჩდილოთკენ მშხლებამდე. ამ მთის ძირს, ქრცხილვანის აღმოსავლით, პატარა ლიახჳსაკენ, არს ერედვს ციხე და ეკლესია მას შინა, წმიდის გირგისა, სასწაულიანი, მის ჩდილოთ, მთის კალთას, არს ციხე მცირე სხუა. ამ ერედვის ჩდილოთ განჰყოფს მთა ესე ვანათ-გერის-ჴევსა და დიდს ლიახუსა. კუალად ერედვის ჩდილოთ, ამავე მთასა შინა, არს, ქრცხილვანისაკენ, მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, კარგს ადგილსა და შუენიერსა, საბაწმიდა, დიდნაშენი და აწ ხუცის სამარ. მის ზეით, ამავე მთაში, არს აღმოსავლისკენ, უდაბნო, მაღალს კლდესა შინა გამოკუეთილნი ქუაბნი ეკლესიით; ძეს მოწესე მკუდარი, დღემდე დაუშლელი, კუბოსა შინა კლდისასა, ანაფორითა. აქა არს კარკალი, სადაცა ზამთარ დნების თოვლი, ხოლო ზაფხულს ჰყინავს, და ჴმარობენ ზაფხულ ყინულად.

კუალად ქცხილვანს ზეით არს, ლიახჳს დასავლით, თამარაშენი, მცირე ქალაქი. მსახლობელნი სომეხნი, ურიანი და ქართველნი. თამარაშენს ზეით ერთვის თირის მონასტრის-ჴევი.

1-28 სტრ., 371
ამ ჴევზედ, გორის ძირს, არს აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა. ამის დასავლით არს, მთაში თირის მონასტერი, უგუმბათო, არამედ ფრიად კეთილშენი, კეთილს ადგილს. ზის წინამძღუარი. აჩაბეთს ზეით, კეხვს, არს მთის კალთას, ციხე კეხვისა. და მთა ესე ასტყდების დასავლეთის კერძოდ ქცხილვანიდამ, და წარმოივლის ჩდილოთ, და კეხვს ზეით მოვიწროვდების კლდითა, და მერმე წარვალს დასავლით, და მიადგების პერანგის წარმოსრულს, წონისა და ფაწას შორისს, მთასა. და კუალად ქცხილვანიდამ წარვალს დასავლით, და მივალს ბეყმარამდე. ხოლო კეხვს ზეით, მოვიწროვებულსა ზედა, არს ჴიდი სვერისაკენ გამსლველი, და ამ ჴიდს ქიეუთ ჴიდთა მუსრავს ლიახჳ მტკიცესაცა. და გორიდამ სუერამდე არიან ლიახჳს იმიერ და ამიერ დაბნები ხილიან-ვენახიანნი. არამედ

არს ღჳნო თხლი და მომჟავო, სასმელად მშუენი.

კეხვის აღმოსავლეთიდამ ლიახუს ერთვის ჴევი სუერსა და
ქემერტს შუა; ჩამოვარდების ჩდილოდამ. გამოსდის ამასა და გერის
შორისსა მთას. ამ მთის თხემზედ არს ეკლესია სპარსის
წმიდის გიორგისა, და არს ხატი დიდი ოქროსი, სპარს-
თაგან ქმნული, სასწაულისათჳს მის მიერ ქმნულისა, და აწცა არს
სასწაულიანი. კუალად სუერიდამ წარივლის მთა ტყიანი ჩდილოთ,
და სადაცა მოდრკების ლიახჳ, მოდრკების მთაჲ ესეცა, და წარივ-
ლის აღმოსავლით, და მიადგების გერის მთასა. სუერის ჴიდს ზეით
ჩამოვარდების ითრაფულა დასავლეთიდამ და მიერთვის ლი-
ახუს. ამას ზეით, გუფთას, არს ნაციხვარი. გუფთას ზეით მოერ-
თვის ლიახუს მდინარე ფაწა. გამოსდის ერწოსა და ამას შუ-
[ა]თს მთას, მიდის აღმოსავლეთად. და ამ ჴევს მოერთვის სხუა ჴევი
სამჴრიდამ, გამოსდის მასვე მთას, მოდის აღმოსავლეთად. ამ ჴევის
შესართავს ზეით ერთვის ფაწას პატარა-ჯავის ჴევი, გა-
მოსდის დულათ-გორასა. ამას ზეით ერთვის ფაშას სოხოს-ჴევი.

1-27 სტრ., 372
სოხოს-ჴევს ზეით ფაწასვე მოერთვის ქეშელთის-ჴევი. და
სდიან ეს ჴევნი დუალთ-გორასა.

ხოლო პატარა ჯავასა და ხწვეს შუა არს მთა ტყიანი, დულთ-
გორიდამ ფაწამდე სამჴრით მდებარე. ფიწის შესართავს ზეით არს
სხლები და ჯავა. ჯავას ზეით ერთვის ლიახუს დასავლეთიდამ
სწვის-ჴევი, სდის დუალთ-გორასა. სწვის პირისპირ, ლიახუს
გაღმა კიდურს არს მიწა სასუნებელი, და უდის სუნი ფრიად ძნელი,
არამედ ჰკურნებს ქარსა, სევდასა და ინთიღას სუნებითა, გარნა
მსუნებელი შებნდების სუნითა. ხწვეს ზეით ერთვის ჴევი მუგუ-
თისა ლიახუს, დასავლიდამ, და გამოსდის დულათ გორასა. აქ
აღაშენა ციხე მაჩაბელმან, შეუმუსრეს ურუმთა, რომელი იყო მა-
ღალს კლდესა ზედა. მცირედ ამ მუგუთს ზეით მოდრკების ლიახჳ,
და მიერთვის მუნ ჴევი კოშკისა. მას ზეით მიერთვის ლიახუს
როკის-ჴევი. როკას ზეით მიერთვის ლიახუსვე ბჟის-ჴევი.
და სდიან ეს ჴევნი დუალთ-გორასა, და დიან სამჴრეთად. ხოლო
ბჟის-ჴევი სადაცა სდის კავკასსა, მუნ დამდაბლდების ზეკარის კავ-
კასი, და გარდავალს გზა ზამთრისა და ზაფხულისა ზახას და დუა-
ლეთს. კუალად ლიახუს ერთვის ბჟას ზეით, სამჴრიდამ, მშხლე-
ბის-ჴევი და გამოსდის გერის მთას. და ამას ზეით არს მაღრან-
დუალეთი, ვითარცა აღვსწერეთ. არამედ სუერს ზეით რომელი ლია-
ხჳს ჴეობა აღვსწერეთ, არს უვენახო, უხილო; მსახლობელნი არი-
ან ოსნი, დუალნი; მოსავლით მთის ალაგებრი და პირუტყუთაცა

ეგრეთი, ხოლო ქცხილვანის დასავლით არს, წინჴსენებულის მთის ძირს, თიჴრევის-ჴევი, გამოსდის ძარს, დის სამჴრით, არა-მედ მინდორად ვერღარა დის. ტბეთს ზეით არს ნაციხარი. ამას ზეით ითხრების ქვა შავი დუდეთს. ამ ქვით ბურვენ ეკლესიებ-თა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათჳს. გარნა არიან ქცხილვანის

1-23 სტრ., 373
ჴეობის კაცნი შუენიერ-ჰაეროვანნი, მებრძოლნი, სირცხვილის მდევარნ, ამაყნი, ერთგულნი. სახლობენ თავადნი და აზნაურნი, და ქალნიცა ეგრეთვე რიცხვე
.

აღწერა გორისა და ლიახვის ზეითისა

ხოლო კუალად გორის დასავლით არს მთა რუისისა, ტი-ნის ჴიდით, თედო-წმიდით სასირეთამდე და მტკურამდე, მცირე ადგილს ტყიანი, საჴნავი და მოსავლიანი ნაყოფიერად, უწყლო, და ადგილ-ადგილს დის წყარონი მცირენი. მტკურის პირად ღრა-ტოიან-კლდიანი. და ამ მთის დასავლით, მტკურის კიდესა ზედა, არს ურბნისი. აღაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ყრუსადმდე, ხოლო აწ არს ეკლესია დიდი, უგუმბათო, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი დიდის ლიახჳსა, და რომელი ირწყვის ლი-ალხჳთა მით. შემუსრვილი აღაშენა და განაახლა ჟ˜დ მეფემან ვახ-ტანგ და შეამკო ხატი მისი წმიდის სპეფანე პირველმოწამისა. მოზ-ღუდა ქვიტკირითა. ურბნისის დასავლით, დუდეს, დის წყარო ფრიად დიდი კიდესა მტკურისასა, რომლით ბრუნვენ დიდნი წის-ქვილნი ზამთარცა, ვინაჲთგან ვერ განჰყინავს.

სამჴრით ურბნისისა არს რუისის მთის ძირს, დაბა დიდი რ უ-ი ს ი და ეკლესია ღვთაებისა, გუმბათიანი, დიდი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ რუისისა ზეითის ქართლისა, ლიხ-ტაშის-კარამდე, და აწ ესევე მწყსის ჴეობასა და სადგერს, ვინაჲთგან მა-წყუერელი არღარა არს. შემუსრა ლანგთემურ; აღაშენა ეკლესია ესე ო˜ვ მეფემან ალექსანდრემ. შემდგომად კუალად განაახლა და

1-24 სტრ., 374
შეამკო პ˜თ დედოფალმან მარიამ. და ამ რუისის მთის სამჴრე-თის მინდორი ხიქოზამდე და ლიახვითა დვანის-წყლამდე ირწყვის ორის ლიახჳს რუთი, თამარ მეფის ქმნულითა, და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი. ხოლო სალთვისის რუ განაახლა ჟ˜დ მეფემა ვახტანგ, არამედ აწ უქმი იყო. ხოლო რუისი არს უწყ-ლო, თჳნიერ წყაროსა ერთისა, რომელი არს ეკლესიისა თანა. არამედ სცხოვრებენ მით რუთი, და ირწყვის მინდორი ურბნისამდე ამითვე.

აღწერა დვანის წყლისა

რუისის დასავლიტ არს დვანის-წყალი. ეს გამოსდის თი-
რის მონასტრიდამ წარსრულს მთას, დის ჩდილოდამ სამჴრით, ერთ-
ვის მტკუარს ჩდილოდამ. მტკურის ჩდილოთ, ამ მდინარის აღმო-
სავლით, არს ბრეთს მონასტერი უგუმბათო, რომელი ჰქმნა პი-
როს, ი~გ მამათაგანმან, და დაფლულ არს იგიცა მუნვე. არს აწ ხუ-
ცის სამარ. ბრეთის დასავლით, წვერიდამ, ასწყდების მთა კვერნაქი
და მივალს ფცის-წყლამდე, რომელსა ეწოდა ცეცხლის-ჯუა-
რი. წვერს ქუით, არადეთს, არს ჭია მარიამული, რომელი
ჰჯურნებს ბრაზიანის ნაკბენს სმითა. ამის ჩდილოთ და ამ წყლის და-
სავლით კიდესა არს დირბს მონასტერი, სადა ზის არქიმანდრი-
ტი იერუსალიმის ჯუარის მონასტრისა. არამედ მეფენ[ი] ქართლი-
სანი დასმენ ქართველთა, და ყოველსა საქართველოსაშინა არს მა-
მული მისი, და ჰფლობს ესე, და მოსავალს გზა[ვ]ნის ვერცხლად იერუ-
სალემს. ამას ზეით, დვანს, ამ წყალს ერთვის ჴევი ჭოლიბუ-
რისა. ამ ჴევს ზეით ერთვის ამ წყალს ჴევი წუნარისა. წუ-
ნარს არს კელესია გუმბათიანი, აწ უქმი. წუნარის-ჴევს ზეით არს

1-26 სტრ., 375
ეკლესია ერკნეთს; დგანან მთაწმიდის მონაზონნი ბერძენნი.
აქ ამ წყალს მოერთვის დასავლეთიდამ ნულის-ჴევი. არს
ნულს ციხე. ამ ჴევს ზეით მოერთვის აღოსავლიდამ ყორნი-
სის-ჴევი, გამოსდის ძარის მთას. ყორნისს არს ქუაბნი კლდისანი
და კოშკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა. ყორნისს ზეით, წორ-
ბისს , ერთვის ამ წყალს ხტანის-ჴევი. წორბისს ზეით, ამ
წყალზედ, მთასა შინა, არს ციხე საქართლისა, მაგარი.
არამედ ჴეობა დვანისა არს ვენახოვანი, ხილიანი, მარცვლითა ყო-
ვლითა ნაყოფიერი.

აღწერა ფცის-წყლისა

დვანის-წყლის დასავლით არს ფცის-წყალი და დის ლო-
ხიოსა-პერანგას მთათაგან, მოდის სამჴრით და მიერთვის მტკუარს
ჩდილოდამ. კიდესა მტკურისასა არს ქუენა -ტკოცა, მას ზეით
ბერძენაული. ამას ზეით მოერთვის ამ წყალს ტკოცის
ჴევი დასავლიდამ. ამას ზეით, ფცის ზემორ, ამ წყალს მოერ-
თვის აღმოსავლიდამ ღოღეთის-ჴევი, სდის დებეურის მთას.
ამას ზეით, ავლევს, მოერთვის ამ წყალს დასავლიდამ ბრე-
ძის-წყალი. არს ბრეძას მცირე ციხე. გამოსდის ეს წყალი
პერანგას, მოდის სამჴრით ბრეძამდე, მერმე აღმოსავლით. აბანოს

ერთვის ამ წყალს წაღვლის- წყალი, და ბრეძას მოერთვის აბანოს-წყალი. ეს გამოსდის მშჳდლაურის მთას, მოერთვიან ორნივ ბრეძის-წყალს დასავლეთიდამ. აბანოს დის თბილლი წყალი, ჰკურნავს ქარით დახუთვილსა და ბუგრსა-მუწუკსა. ბრეძის ჩდილოთ არს ეკლესია ატოცს, წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. ავლევს ზეით, ფცის წყლის აღმოსავლით, არს ოქონას მონასტერი დიდი, გუმბათიანი, არამედ უცხო არს, რამეთუ ძრვისაგან

წახრით მდგომარებს ჩდილოთკენ და არა დაირჭუევის, ადგილსა შუენიერს, წყაროიანსა. აქა არს ნიგოზი; გასტეხო რა, ნებალი მისი არს ნახევარი ნიგოზი და ნახევარი თხილი.

დასავლით მეტეხისა და ფცით-წყლისა არს თიღვას ჯუარის მონასტერი, რომელი აღაშენა ასულმან აღმაშენებლისამან თამარ, გუმბათიანი, დიდშუენიერი, კეთილად ნაშენი. შენობანი გარემოს მრავალნი, და აწ ხუცის სამარსა. ამის ჩდილოთ კერძ არს ძაღინა. აქა არს ლითონი ვერცხლისა, არამედ უსარგებლობისათჳს დაუტევეს. აქავ, მდინარის კიდეს, არს მუხაური; მოსახლენი არიან ურიანი და სომეხნი ვაჭარნი. მუხაურის ბოლოს ეყრების ფცის-წყალს ხტანის-ჴევი. ძაღინას არს ციხე და სასახლე. ხოლო ფცისა და დვანის-წყალს ჰყოფს მთა ლებეური, რომელი ასტყდების დაბის ფციდამ და მდებარებს ხტანამდე სამჴრიდამ ჩდილოთ, ტყიანი და ნადირიანი. მუხაურს ზეით არს მონასტერი ფცისა და ოჟორის-წყალთა შუა, წოდებული ოჟორისა, უგუმბათო, შემკობილს ადგილ[ს], და აწ ხუცის ამარად. ხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა, წოდებული გომართა, აწ ცარიელი. მუნიდამ წარვალს გზა ლოხოისის მთასა ზედა, და პერანგის მთასა ზედა გარდავალს იმერეთის ჭალასა შინა.

აღწერა ალის-წყლისა

ხოლო ფცის-წყლისა დასავლით არს ალის-წყალი. გამოსდის ლიხის მთას, მოდის სამჴრით, ერთვის მტკუარს ჩდილოდამ. ამის შესართავთან არს დაღალულა. ამ მტკურის კიდეზედ, სამჴრით, არს სომანეთი. ამ სომანეთის სამჴრით არს ვაყა. ვაყას ზეით არს ნაბახტევი და ნაციხვარი. სომანეთსა და ქუენა-ტკოცას შუა არს მოხისი, დაბა დიდი, ცეცხლი-ჯურის მთს ძირს; და ამისი მინდორი მტკურამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა. ნაბახტევს ზეით ერთვის ალის-წყალს ბრილის-წყალი; დის ბრილს ერთის წყაროდამ და აბ-

1-29 სტრ., 377
რუნებს წისქვილს. აქ, ბრილს, ითხრების კაჟი ფრიად კეთილი, მო-
სპეტაკო, ჩახმახისათჳს. ბრილის-წყლის შესართავს ზეით არს
ალის-წყალზედ, დასავლით, კიდესა ზედა, ალი, ქალაქი მცირე,
მსახლობელნი არიან სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი. გა-
ზაფხულ-შემოდგომას ჭყვაპიან-ტალახიანი, ზამთარ ცივი, ზაფ-
ხულს ცხელი, არამედ ჰავით კეთილი, მხიარული. ალს ზეით არს,
ლიხის მთის კალთას, ციხე ალისა. ციხეს უკან არს სოფელი უწ-
ლევი, მთაში. აქ აკეთებენ ჭურსა ღჳნისასა კეთილსა, ყოველთა
უმჯობესსა. ამავ ციხეს ზეით ერთვის აღმოსავლიდამ ალის-წყალს
ჭერათჴევის-ჴევი, არამედ უშენობო. ამ ჴევს ზეით არს მო-
ნასტერი ულუმბას, უგუმბათო, დიდი, დიდშენი, მიქელ ი˜გ მა-
მათაგანის ქმნული, და დაფლული არს მიქელ მუნვე. ზის წინა-
მძღუარი.

აღწერა სურამის წყლისა

ხოლო კუალად ალის-წყლის დასავლეთით არს წყალი სუ-
რამისა. გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის ჩდილოდამ მტკუარს,
ოსიაურის ზეით. აქა არს ჭალა სურამისა, მტკურის კიდესა, დაღა-
ლულადამ შოლამდე. არამედ გაჰკაფა ჟ˜დ მეფემან ვახტანგ და ქმნა
დაბნები. ოსიაურს ზეით, ხაშურს, ერთვის სურამის-წყალს ქე-
მერტის-წყალი, აღმოსავლიდამ. გამოსდის ლიხის მთას. ამ
ჴევის შესართავის დასავლით, შინდარას დასავლით, არს სურამი,
მცირე ქალაქი, მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი.
არს საშუალს ციხე მაღალს კლდესა ზედა, მტკიცე. არს ჰავითა მშუ-
ენი და მხიარული. სურამს ზეით, სამჴრიდამ, მოერთვის ამ წყალს
უთხვის-ჴევი. მას ზეით არს იტრიას მონასტერი ყოვლად-
წმიდისა, უგუმბათო, დიდშენი, აწ ხუცის ამარად. სურამის ბეკმი-
დამ ასტყდების მაღალი გორა, მდებარებს დასავლით წიფამდე და
ლიხამდე. ამ მთის სამჴრით არს ბეკამი, ტეძერი, ვიდრე შო-
ლამდე; ჩდილოთ სურამის ჴეობა. შოლის მდინარე გა-

1-28 სტრ., 378
მოსდის ლიხის მთას, მიდის აღმოსავლეთად, მიერთვის მტკუარს
ჩდილოდამ. შოლის პირიდამ დატანა ჟ˜დ მეფემან ვახტანგ რუჲ,
რამეთუ იყო მინდორი ესე უწყლო, და ჰყო წისქვილნი, და სმენ
პირუტყუნი. შოლის პირის დასავლით, შოლისავ კიდეზედ, არს
ქვიშხეთი, ზაფხულს ჰავითა ამო, შუენიერი, ზამთარ ციხი, ქა-
რიანი, საჭირო. ქვიშხეთს ზეით, შოლაზედ არს ციხის ძირს
ციხე. ქვიშხეთის სამჴრით არს, მთის ძირს, მტკურის ახლო, დაბა

ტაშისკარი.

და ლიახჳს მდინარეს აქათ ტაშისკარამდე, რომელნიცა მდინა-
რე-ჴევნი აღვსწერენი, უწოდებენ, თჳნიერ შოლისა, ფრონეთა. ამ
ფრონეთა შინა შემოვალს წყალდიდობას მრავალნი კაპოეტნი, იქმ-
/ნების ჟამად ორაგულნიცა, და წყალცოტაობას არს მათ შინა წუ-
რილნი თევზნი მრავალნი, და მთის კერძოდ კალმახნი ფრიადნი და
გემოიანნი. არამედ გორს ზეითნი ადგილნი ესენი არიან მოსავლია-
ნი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა, ვენახითა, ხილითა და ყოვლითა მარ-
ცვლითა. აკეთებენ მცირედს აბრეშუმსაცა. პირუტყუნი მრავალნი,
აქლემს გარდა ყოველნი, არამედ არა ეგდენად, ვითარცა აღვსწე-
რეთ სომხით-საბარათიანოსი, ზამთრისათჳს, რამეთუ არს სამ თუე
თოვლი, და ზაფხულს ვერ სთიბვენ თივას, საჴნავთ გამო მიწათა
და მთათა შინა მცირეთა არა საკმაოთა. ჰავითა მშუენი და ამო. სას-
მელი და საჭმელი აქაური უმეტეს გემოიანი სხუათა ადგილთაგან.
კაცნი არიან ჰაეროვანნი, ამაყნი, მჴნენი, შემმართებელნი, მხია-
რულნი, უხუნი, სტუმართმოყუარენი. ქალნი ეგრეთვე, ვითარცა
სხუანი დავსწერენით. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი მრა-
ვალნი.

აღწერა მთას-იქითისა

ხოლო კუალად სურამის დასავლით, ლიხის მთის საშალსა ში-
ნა, არს დაბა ფონა.
ამ ფონას გასდის ჩხერი მელის მდი-

ნარე და მიდის დასავლეთს-სამჴრეთს შუა მებოძირის ზეითამ-
დე. მას ქუეით დაბის ქუაბამდე არს ქართლისა. მებოძირს ზეით ამ
ჩხერიმელას ერთვის ჴევი ჩდილისა. ამ ჩდილის-ჴევს ერთვის
ჴევი ნუნისისა სამჴრიდამ, ამისა და ჴეობის შუას მთის გა-
მომდინარე. ჩდილის-ჴევი გამოსდის მცირეს ლიხის მთას, სად გას-
დის იქით შოლა. ნუნისს არს ეკლესია-მონასტერი, შუენიერი,
შუენირს ადგილს. უზის წინამძღუარი. ხოლო ჴევნი ესენი არიან
ვენახოვანნი, ხილიანნი.

აღწერა ჴეფინის-ჴევისა

კუალად ფონას ზეით და სურამის დასავლით ლიხის მთას გას-
დის ჴეფინის-ჴევის წყალი და მიერთვის ძირალას აღმო-
სავლეთიდამ, ხოლო ძირულა გამოსდის მთასა პერანგას და
დის ღოდორამდე სამჴრით და მუნიდამ მომგრგვალვით დასავლე-

თად. არამედ არს ვერტყვილამდე ქქართლისა, და უწოდებენ ვერ-
ტყვილიდამ ნადაბურამდე ჴეფინის-ჴევსა. და მას ზეით არს ულუმ-
ბის მონასტრსა, არამედ აწ მიხმული აქუს იმერთაგან, გარნა აძ-
ლეველ ცვილისა, ზეთისა და საკმლის ფასსა აწცა. ვერტყვილას მო-
ერთვის სამჴრიდამ ვერტყვილისავე ჴევი. ხოლო ვერ-
ტყვილას და ამაშუკეთს შუა არს მცირ[ე] მთა, მისრული კოლბეურის
მთამდე, და ესე არს საზღვარი ქართლ-იმერთა აწინდელი. ამ ვერ-
ტყვილის ჴევს ზეით ერთვის ძირულას ბჟინევის-ჴევი. აქა
არს, სამჴრით, მონასტერი გეთსამანია, გუმბათიანი, კეთილ-
შენი, საწინამძღურო. მას ზეით ჴევი გრიგალეთისა, ერ-
თვის ძირულას; მას ზეით ჴეფინის-ჴევის წყალს ერთვის ჴევის-
ჯურის-ჴევი. მას ზეით ამასვე ერთვის ჴევი წაქვისა. და
ჴევნი ესენი ყოველნი სამჴრეთიდამ ერთვიან, გამომდინარე ფონის
გამდინარის ჩხერიმელისა და ჴეფინის-ჴევის შუა მთიდამ.
და არს

1-29 სტრ., 280
ჴეობა ესე ჴეფინის-ჴევი მოსავლიანი, ვენახოვანი, ხილიანი. ქართლი-
საგან მეტი არს აქა ღომი, ხურმა, წაბლი. რომელი მთას იქითი დავს-
წერეთ, ქვიშხეთს დასავლით, იგინიცა ესრეთვე ჰგონე. არს ცხოვა-
რი უდუმო, სთესვენ სიმინდსა მრავალსა. ხოლო ადგილები ესენი,
რომელნი აღვსწერენით, ლიხის მთის შორისი, ეგრეთვე ჰგონე, ვი-
თარცა აღვსწეროთ იმერეთი.

აღწერა მტკურის ჴეობისა

ხოლო ტაშისკარის სამჴრით ჩამოვალს დასავლეთიდამ მთა
მახჳლოსი ცხჳრ-ცხჳრად, და აღმოსავლიდამ ყერძენის
მთის წუერი, და მოავიწროებს მტკუარს კლდითა. აქ, მოვიწრო-
ებულსა შინა, არს განსავალი კარი და კოშკი მას ზედა, ქართლიდამ
ჴეობასა შინა სავალი. ამის მიერ ეწოდა ტაშისკარი (ესე არს
ქვისკარი). და ამის პირისპირ, სამჴრიდამ, ერთვის მტკუარს სარ-
მანიშვილის-ჴევი, გამოსდის ყერძენსა და ამს შუას მთა-
სა. ამის დასავლით არს ახალდაბა, მცირე ქალაქი, მტკურის
იმიერ-ამიერ, მოსახლენი ქართველნი და ურიანი. აქა არს ჴიდი
მტკიცე. ახალდაბის სამჴრით არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, დიდ-
ნაშენი და მაგარი. ახალდაბას ქუეით მტკუარს მოერთვის ჩდილო-
დამ ჴევი ნემჳსა, გამოსდის ამასა და მთას იქითს შუას მთას.
კუალად ახალდაბას ზეით ერთვის მტკუარს სამჴრიდამ ჴევი ქი-
მერეთისა. გამოსდის ყერძენის მთას, ქიმერეთის ჴეს ზეით ერ-
თვის მტკუარს სამჴრიდამვე ჴევი კორტანეთისა. გამოსდის
მასვე მთას. ჩდილოდამ მოერთვის მტკუარს ზანავ-რვილის

ჴევი, ამასა და მთას იქითის მთიდამ გამომდინარე.

აღწერა სადგრის ჴეობისა

ამ ჴევს ზეით ერთვის მტკუარს თორის-წყალი სამჴრი-
დამ. ამ შესართავს სამჴრით არს სადგერს ეკლესია წმიდის გი-
ორგისა. ამას უდის აღმოსავლით თორი მდინარე, დასავლით შავ-
წყალი; და შავწყალი გამოსდის ბაკულიანისა და კოდიანის მთა-

სა, და მიერთვის მტკუარს სამჴრიდამ. გომარეთამდე შავწყალსა და
თორისწყალს უწოდებენ აწ სადგერის ჴეობას. არამედ სადგერი არს
მაგარი და შეუვალი, ეკლესია შემუსრვილი აღაშენა და შეამკო ხატი
მისი ჟ˜დ მეფემან ვახტანგ. ამ სადგერს ზეით, დასავლით, არს დაბა
თორი, მას ზეით ციხის-ჯუარი, და ციხე მისი შავს-წყალსა
ზედა, დასავლისაკენ. კუალად სადგერს ზეით მოერთვის თორის-
წყალს სამჴრიდამ ბაკულიანის-წყალი, გამომდინარე ბა-
კულიანის მთისავე. აქა, თორის-წყლის აღმოსავლით, არს კიმო-
თისმანს მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, შუენიერს ად-
გილს. ზის წინამზღუარი. ხოლო ეს სადგერს ჴეობა არს უვენახო
და მოსავლით, ვითარცა აღვსწერეთ გუჯარეთის ჴეობა, ესეცა
სცან, ეგრეთვე ნაყოფიერი, მთითა, ნადირითა და პირუტყჳთა. კი-
მოთისმანს ქუეით არს ციხე, თორის-წყლის აღმოსავლეთის კიდესა
ზედა, უზნარიანისა, ფრიად მაგარი.

კუალად ჴეობის აღწერა

ხოლო კუალად ჩდილოდამ ჴეობაში მტკუარს ერთვის ეშ-
მაკთ-უბნის ჴევი, გამომდინარე ამასა და მთას იქეთის მთის
შუადამ. ამას ზეით, ნუას, მოერთვის შავწყალი. ნუას ზეით, ჭა-
ლის პირისპირ, სამჴრიდამ, ერთვის მტკუარს დღვაშის-ჴევი.
გამოსდის კოდიანის მთას. მას ზეით არს, მტკურის კიდესა ზედა, სამ-
ჴრით, პეტრეს-ციხე, ფრიად მაგარი და შეუვალი მტრისაგან. ამ
ციხეს დასავლთ უდის ყვერბილის-ჴევი, მოერთვის სამ-
ჴრიდამ მტკუარსა, გამოსდის კოდიანსა. პირისპირ ციხისა მოერ-
თვის მტკუარს ჩდილოდამ ლიკანის-ჴევი, გამოსდის მახჳლო-
ფერსათს. ამ ჴევთ ზეით არს ჭობის-ჴევი. და არს დვირამდე
ქართლისა. არამედ არს ესე მტკურის ჴეობა ვენახიანი, ხილიანი,
ვიწრო და მწირი, მაგარი და შეუვალი მტრისაგან. კაცნი ჰაეროვან-
ნი, ტანოვანნი. მთანი ნადირიანნი, ნაძოვან-ფიჭოვანნი.
ირემი,

1-30 სტრ., 382
თხა, არჩჳ და სხა ნადირნი მრავალნი. ჩდილოთ მთ აქუს ღადოსი
და მახჳლოს წამოსული აღმოსავლით ვიდრე ტაშისკარამდე, სამ-
ჴრით კოდიანიდამ წამოსული აღმოსავლეთს-ჩდილოს შუა მთა,
ამასა და სადგერის ჴეობას შუათი.

საერითაოსა, სასპასპეტოსა და
სადროშოსი, ვითარ არს და იყო

ხოლო ტაშისკარსა და ლიხის მთას ქუეითი არაგუ-ტფილისამდე
არიან სამნი ესე სასპასპეტონი: მემარცხენე მუხრანისა, მემარჯუენე
ქართლისა, მეფისთანა მყოფი, ტფილისს ზეით, მტკურის სამჴრეთი-
სა და თრიალეთი-ფანავრამდე, არიან წილნი უფლოსისა, მცხეთოსის
ძისა; და უფლოსისაგან ეწოდა ზენა-სოფლები შიდა-ქართლს. და
ესენი პირველ იყო ერთი სასპასპეტო, და ყოველთა ერისთავთა და
სპასტეტთა ზედამხედველი. შემდგომად თამარ მეფისა ქართლისა
ერისთავი სხუა, კსნისა სხუა. და შემდგომად განყოფისა ესრეთ სამ
სადროშოდ იქმნა. არამედ რაოდენნი ეკლესიანი ანუ მონასტერნი
აღვსწერენით, ანუ პალატნი, არა არს არცა ერთი, რომელნი არა
იყოს თლილის ქვითა ნაშენნი, რამეთუ ყოველნივე თლილის ქვითა
არიან აღშენებულნი. კუალად არა არიან დაბანი ანუ აგარაკნი, რო-
მელსა შინა არა იდგეს ეკლესია თლილის ქვისა, უგუმბათონი, მცი-
რენი და დიდნი, და მით იცნობების ნასოფლარნი, სადაცა დგას ეკ-
ლესია. ხოლო მონასტერნი, რომელნი ცარიელნი დავსწერენით, აწ
ხუცის სამარად, მამულნი მათნი მიუხუამთ აწ მთავართა ანუ აზნა-
ურთა, მათნი შეწირულობანი, ანუ მეფეთა ხიზრად მოსულნი დაუ-
სადგურებიათ მუნ, და ჟამთა ცვლილობითა შერჩომიათ მათ, არღა-
რა დაუსუამთ წინამძღუარი და უსაზრდელობითა მონაზონთათა აწ
ცარიელნი არიან. კუალად რომელნი ეკლესიათა აღმაშენებელნი არა
მოვიჴსენიეთ, ვინაჲთგან დავსწერეთ მეფენი ეკელსიათ მაშენე-
ბელნი, მათ მიერ არიან აღშენებულნი ყოველნი, ხოლო ზოგნი მთა-
ვართა და ხუროთმოძღუართაგან, ვითარცა ზედვე ეკლესიათა წე-
რილნი აჩენენ.

1-26 სტრ., 383
შემდგომად განყოფისა სამეფოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთვაროდ
ცხოვრება, და ქმნილება მეფეთა ქართლისათა

ო˜თ მეფე კონსტანტინე ლ˜ვ წელი მეფა

დასაბამითგან ჰრომაულსა ჭ˜უიზ, ბერძნულსა ხ˜შოზ, ქ˜ესა ჩუჲთ
ქართულსა რ˜ნზ ინდიკტიონსა ბ˜

შემდგომად მეფისა გიორგისა დაჯდა ძე მისი კოსტანტინე. არა-
მედ ვინაჲთგან გამეფდა ბაგრატ იმერეთს, ამან კოსტანტინე მოუ-
წოდა ათაბაგსა ბაადურს და ჰერ-კახთა, და არღარა მოვიდა ათაბაგი,
რამეთუ დაეპყრა სამცხე კლარჯეთი, გარნა ეპისკოპოზთა მისცა
ნება: და არცა ჰერ- კახთა ინებეს, არამედ გარდამოიყვანეს დიდო-
ეთიდამ დავით და აკურთხეს მეფედ, და იქმნა მიერ ჟამითგან სამე-
ფოსა განხეთილება სამად, რამეთუ ერთი მეფე დაჯდა იმერეთს,
ერთი კახეთს და ნეშთი დარჩა მეფესა ქართლისასა: და არცაღათუ
ესე კმა საყოფელ ჰყვეს არამედ განსდგა თავადად ათაბაგი, და მან დაიპყრა საა-
თაბაგო, რომელ არს სამცხე კლარჯეთი კუალად განდგა იმერთა-
გან თავადად დადიანი, გურიელი, შარვაშიძე, და სუანნი, და ამათ
დაიპყრნეს საზღვარნი თჳსნი. ვიდრე აწამდე არღარა იქმნა შე-
კრება მისი, არამედ კუალადცა უფროსად დაკნინებანი.
მაშინ ამის-
მან მხილევალმან კოსტანტინემ ჰგონა უმეტეს საქმისა თჳსისა წარ-
მართებად, შემოიკრიბნა ქართლისა კათალიკოზ- ეპისკოპოზნი, მთა-
ვარნი და დიდებულნი და მოერთვნენ სამცხე-კლარჯთა ეპისკოპოს-
ნიცა, და რომელნიმე ჰერ- კახთანი და ეგრეთვე წარჩინებულნიცა და
ეკურთხა ტფილისს მეფედ, შემჭირვებული განხეთქილებისათჳს მე-
ფობისა. გარნა არა უტევებდა დავითს პყრობად ხერკს, საგურამოს,
მარტყოფს, და იმერთა ლიხის მთის კერძოთა, და ათაბაგსა მტკურის
აღმოსავლეთსა.

1-26 სტრ., 384
ხოლო იმერთა მეფემან ბაგრატ მოკვდა რა დადიანი ლიპა-
რიტ, შემოიკრიბნა სპანი შთამოვიდა და დაიპყრა ქართლი, კუალად-
ცა მაშინ კოსტანტინე განამაგრა ტფილისი, სომხითი, და ლორე
მოიმწო ათაბაგი ბაადურ და ბრძოდენ ურთიერთს, ამისთჳს ბაგრატ
ეზრახა კახთ-ბატონს გიორგის, რათა იყოს შეერთებული მისთანა და
დაიპყრას გიორგიმ კერძონი კახეთისანი. ხოლო გიორგიმ ზავ-ჰყო
ბაგრატის თანა და დაიპყრა კერძონი კახეთისანი. ამისა შემდგომად
მოკუდა ათაბაგი ბაადურ, არამედ მანუჩარ ათაბაგმან სრულიად არ-
ღარა ინება მწეობა კოსტანტინესი, და იყო წელსა ხუთსა მათ შორის
შფოთი, ვინაჲთგან კოსტანტინეს ეპყრა ტფილისი, მთიულ-მოჯევე-
ნი, სომხითი და ლორე ხოლო ბაგრატს ქართლი და კახნიცა ერჩდენ
ნებასა მისსა, განათუ მეფენი არა იბრძოდენ, არამედ სპანი მარადის.
ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜უოზ, ქარ. რ˜ჲე იწყო ვამიყ დადიანმან კირთე-
ბა და ბრძოლა იმერთა, რა იხილა განდიდება ბაგრატისა. ამისი
მხილველი ბაგარატ უკუნ-იქცა ქართლიდამ და შთავიდა ოდიშს, ხო-
ლო მუნ განმარჯუებისა შემდგომად უძლიერესად მოვიდა ქართლ-
სავე.

უზუნ-ასან ყეენი

ხოლო წელსა ქ˜ეს ჩ˜უჲზ, ქარ. რ˜ნვ, დაჯდა უზუნ- ასან ყეენად თურქთა გუარისა, ამანნ დაიპყრნა ორნივე საყეენონი და თავრიჟი და სხუანიცა თემნი, რამეთუ აქამომდე, თუმცა იყო ყეენობა, არამედ არა სრულიად სპარსეთისა ეგრეთვე ძენი ბაიაზეთისანი, სულტანნი სტამბოლისანი პირველწოდებულისა კოსტანტიპოლისანი ბრძოდ- ნენ უმეტე ს ფრანგთა და ამის გამო იყო საქართველო უვნოდ მტერ- თაგან, არამედ თჳსთაგან ესრეთ ვნებულნი.

ესე უზუნ-ასან ყეენი შევიდა საბერძნეთს, აღიღო ტრაპიზონი,

1-29 სტრ., 385
მოაოჯრა ქუეყანანი, უკუნ-იქცა სპარსეთადვე. შემდგომად წელსა ქ˜სა ჩ˜უოჲზ, ქარ. რ˜ჲვ მოვიდა სომხითს, შემუსრა იგი, და შემოვიდა ქართლის სომხითს, მოვიდა ორბეთის ძირს და მძლედ დახუდენ მე- ფე კოსტანტინე ბარათიანითა, ვერარაჲ შემუსრა და მოადგა ტფი- ლისს ხოლო კოსტანტინე მეფე ეკირთებოდა საბარათიანოთი მარ- ბიელთა ყეენისათა, მაშინ ყეენი ეზრახა კოსტანტინე მეფესა, რათა მივიდეს მის თანა და მიანიჭოს ყოველი ქუეყანა მისი და დაიცვას უვენებლად. ამისთჳს განზრახვითა წარჩინებულთათა მივიდა კოს- ტანტინე ბარათიანითურთ, და მისცა ციხე ტფილისისა. ხოლო ყეენ- მან პატივ-სცა დიდად, და მიანიჭნა ბოძნი დიდ-დიდნი და შეადგინნა ციხესა მცველნი თჳსნი. იხილა ესე ბაგრატ, რამეთუ ვერღარა წინა- აღუდგების, და წარვიდა რაჭას. ხოლო ყეენი მივიდა და დადგა მუხ- რანს, წარავლინნა მუნიდამ მარბიელნი, მოარბიეს ქართლი და ხერ- კი, საგურამო და თიანეთი, მოსწყჳდეს და მოაოჯრეს. არამედ რის- ხჳთა ღვთისათა შეედვა სენი სასიკუდინო უზუნ-ასანს, აიყარა და წარვიდა. ხოლო კოსტანტინეს მიათუალა ტფილისი მცველი- თურთ, მისცნა ნიჭნი დიდნი და ბარათიანნი აღავსნა საბოძურითა და გამოუტევნა ხოლო მცირედისა მოკვდა უზუნ-ასან და დაჯდა მის წილ ასანბეგის ძე იაყუბ ყეენად.

იაყუბ ყეენი

სცნეს რა ციხოვანთა სიკუდილი ყეენისა, დაუტევეს და წარვი- დნენ ნებითა მეფისათა. არამედ მოკუდა ამასვე წელსა ბაგრატ იმერ- თა მეფე. ხოლო მეფე კოსტანტინე განძლიერდა და დაიპყრა ტფი- ლისი და ციხენი მიხმულნი თათართაგან; მერმე უბრძანა ბარათიან- თა და სომხითართა, და მიუჯდნენ ელთა, დატევებულთა ყეენისაგან საზღვართა ქართლისათა, სრულიად მოსრნეს და ტყუე-ყვნეს, აღი-

ღეს ალაფნი დიდძალნი და შემოიქცენ გამარჯვუბულნი. შემდგომად შემოიკრიბნა სპანი კოსტანტინე მეფემან და დაიპყრა ქართლი ქ~სა ჩ~უოთ, ქარ. რ~ჲზ, აღიღო გორი და ყოველნი სხუანი ციხენი,

1-29 სტრ., 386
გამოასხნა იმერნი, და შეაყენა მცველნი თჳსნი შემდგომად კუალად გამო იყვანნა კავკას მთიულნი მეფემან, და განზრახვითა დადიანისათა შთავიდა იმერეთს ვერ წინა აღუდგა ალექს ანდრე აღიღო ციხენი იმერეთისანი და დაიპყრა იმერეთი, მოერთუნენ ქუთათისს დადიანი ვამიყ, დაგურიელი კახაბერ, რამეთუ შურობდენ ალექსანდრეს ბაგრატის გამო. მაშინ მეფემან შეაყენნა ქუთათისს მცველნი თჳსნი, წარმოვიდა და წარმოიყვანნა დადიანი ვამიყ სპითა, და იმერნი და შეკრებული ქართლიდამ მიუჴდა ათაბაგს ჯავახეთს ქ~სა ჩ~უპა ქა რ~ჲლ ამას ვერ წინა აღუდგა მანუჩარ ათაბაგი, და მიუხუნა მეფემან სამცხე არსიანს აქეთი, განიმაგრა და მოვიდა ქართლს, და განუტევა დადიანი, და იმერნი წელსა მოკვდა დადიანი ვამიყ, და იქმნა შფოთი კუალად იმერეთს.

ამისმან მხილველმან ათაბაგმან მანუჩარ დაიპყრა კუალად სრულიად სამცხე, ამისთჳს კოსტანტინე მეფ ემან შემოიკრიბნა სპანი მივიდა მოსწრაფედ სამცხეს გარნა მანუჩარ კუალად ვერ იკადრა ბრძოლა, არამედ ნებითა მისითავე ეწყო ყვარყვარე მეფესა, და იქმნა ბრძოლა ძლიერი ფიცხელი ქ~სა ჩ~ოჰდ ქარ. რ~ოა

იძლია მეფე და მოვიდა ტფილისს მხილველმან ალექსანდრემ, ძემან ბაგრატისამან აღიღო ქუთათისი, და ეკურთხა მეფედ იმერთა, დადაიპყრა იმერეთი ქ~სა ჩ~უპგ ქარ. რ~ობ მაშინ მეფემან სცნა აქამომდე წარმართება სჳსა და აწ უკუნ ქცევა მიუთხრა კაცთა რათა შეერთდენ, არამედ კახ ბატონმან გიორგი არა ინება და ათაბაგმან უმეტეს.

მოსლვა იაყუბ ყეენისა

შემდგომად მოვიდა იაყუბ ყეენი სამცხეს ქ~სა ჩუპვ. ქარ. რ~ოდ ამან წარმოავლინნა აწყურიდამ სპანი, ესენი დაესხნეს დაბნისს ქვეშის ჯევს მოსტყვენეს დაწარვიდენ სცნეს ბარათიანთა გარდაუდგნენ სიმაგრეთა და ბრძვეს ძლიერად და ძალითა ზენათი მოსრნეს და წარიქციენეს, რომელ ერთისაგან ასნი წარიო-

1-29 სტრ., 387
ტებოდენ და მოისპოდნენ, და დაჰყრიდენ ნატყვენავთა და თჳსთაცა მრავალთა და მცირედნი ივლტოდნენ. მაშინ მჴნედ იყო სულ

ხან ბარათაშვილი, რამეთუ სხუათაგან კიდე მოკლა წარჩინებული,
ერთი ყეენისა რომელსა ზედა სპანი ყეენისანი მკიდარებდნენ. რომელისათჳსცა
დამძიმდაცა ფრიად ყეენი და ესრეთ შემოიქცნენ ბარა
თიანნი მეფისა თანა გამარჯჳებულნი;

ხოლო შემდგომად წარსლვისა იაყუბ ყეენისა ეცა ჟამი კუალად
მეფესა კოსტანტინეს, და მოსრვიდენ გარემოთა თათართა

მოკვდა ათაბაგი მანუჩარ, და დაჯდა ყუარყუარე ჟამთა ამათ
კუალად ეზრახა ლიპარიტ დადიანი მეფესა კონსტანტინეს დაპყრო-
ბად იმერეთისად, ესე სთნდა მეფესა და კუალად გამოიყვანნა მთი-
ულ-კავკასნი, შემოიკრიბნა სპანი თჳსნი და შთავიდა იმერეთს, ხო-
ლო ალექსანდრე ვერ წინააღმდგომა მოსლვისათჳს დადიანისა წარ-
ვიდა სიმაგრეთა და მეფემან კოსტანტინე კუალად დაიპყრა იმერე-
თი, მოვიდა და აღიღო ქუთათისი, და მოერთო დადიანიცა მუნ და მოს-
ცნეს ციხენი ყოველნი მეფესა კოსტანტინეს ქ˜სა ჩ˜უპზ, ქარ. რ˜ოე.
მაშინ გამოუტევნა მეფემან მთიულნი, და თჳთ დადგრა მუნ, რათა
განიმაგროს იმერეთი, რამეთუ ქართლი აქუნდა მშჳდობით.

შემოსლვა თათართა

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜უპზ, ქარ. რ˜ოვ. წარმოავლინნა იაყუბ ყე-
ენ მან სპასპეტი თჳსი ხალილბეგ სპითა. ესე მოვიდა და უწყო შენე-
ბა ქაოზიანსა და აღჯაყალის ციხესა. აცნობეს კოსტანტინე მეფესა
და უბრძანა ბარათიანთა მტერობა მათი, და ამათ უწყეს ბრძოლა
თათართა ჴოცა და სრვანი მრავალთა დღეთა. მცნობმან ყეენმან
აშუელნა სპანი, უდიდესნი. მაშინ ესენი მოვიდნენ და მოადგნენ
ტფილისს, და ბრძოდენ ძლიერად; ამისი მსმენელი მეფე კოსტანტინე
წარვიდა იმერეთიდამ და წარმოავლინნა წიანრე ქაიხოსრო ციცი-
შვილი და ჯავახიშვილი ჯავახი სპითა შუელად ბარათიანთა მოს-
წრაფედ. მოსლვასა ამათსა შეკრბნენ ქაიხოსრო, ჯავახი და ბარა-
თიანნი და დაესხნენ ჭანდარს მგომთა თათართა. მოსცათ ღმერთ-

მან ძლევა და მოსრნეს სრულიად, რამეთუ ვერცაღათუ მატყვი განე-
რა და შემოიქცნენ ალაფითა სავსენი.

მიესმათ ტფილისს მდგომთა თათართა ესე სპათა თჳსთა სრუ-
ლიად მოწყუედა და მოსლვა მეფისა კოსტანტინესი, მოეცალნენ
ტფილისს, და წარვიდნენ.მაშინ გარდაუსწრეს კუმისის ბოლოს ქაი-
ხოსრო ციციშვილმან და ბარათიანთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი.
შემდგომად იძლივნენ თათარნი და მოსრვიდნენ ქართველნი, რამეთუ

თავთა მათთა აცმიდიან ღობე-მარგილთა ზედა არამედ უკანა მსვლელნი ნაწყუედთა ქართველთა მოესწრნენ თათრანი და შეიყარნეს შუაში ქართველნი, მაშინ განჴმდნენ ბარათაშვილი სულხან, ქაიხოსრო ციციშვილი და ჯავახიშვილი ჯავახი, ვითარცა წინათნი გმირნი რომელნიმე, და გამოავლინეს ბრძოლითა თათარნი ყოველითა სპითა თჳსითა. გარნა, გარნა ცოდვათა ჩუენთათჳს რომელნიმე სხუანი ქართველნი აოტნეს და მოსწყჳდნეს თათართა, ხოლო სხუანი თურქნი უღონოთა ორბეთის ძირს მდგომთა დაესხმოდნენ. არამედ მარადის ბარათიანნი მძლე ექმნებოდიან თათართა, ამისთჳს ძლეული ხალილ ბეგ წარვიდა წინაშე ყეენისა, და აუწყა ესე ყოველი.

ხოლო შემდგომად წარმოსლვისა იმერეთიდამ კოსტანტინე მეფისა მოიმწო ალექსანდრემ სუანნი, მოირთო რაჭა-ლეჩხუმი, ჩამოვიდა და დაიპყრა ქუთათისი, ეზრახა დადიან გურიელსა და დაიზავნა იგინი, და დაიპყრა ლიხს იქითი უმეტეს პირველისა:

შემოსლვა თათართა

ხოლო შემდგომად წელსა ქ˜სა ჩ˜უჟ, ქარ. რ˜ოჱ წარმოავლინა კუალად სპანი ყეენმან. ამისთჳს ეზრახა მეფე კოსტანტინე კუალად ათაბაგსა და კახთა, რათა ჰყონ შეერთება თათართა ზედა ანუ მოსცნენ სპითა შეწევნა. არამედ მათ არა ინებეს, რამეთუ ენებათ დამდაბლება მეფისა. მერმე განიზრახა მეფემან დიდებულთა თჳსთა თანაბრძოლისათჳს თათართა. – მაშინ წარჩინებულნი ეტყოდნენ

არა ბრძოლასა პირისპირ, გარნა გამაგრებასა ციხე-სიმაგრეთასა და სადაცა ჯერ იყოს ბრძოლასა, რათა არამარცხითა უმეტესად შევკნინდეთ. სთნდა ესე მეფესა და განემზადნენ ეგრეთ; ხოლო თათარნი იგი მოვიდნენ ორბეთის ძირს, ვერარაჲ შემუსრნეს და მოადგნენ კოჟრის ციხესა, და უწყეს სროლა თოფთა. მას ღამესა მოვიდა თოვლი დიდი, ამისთჳს უკუდგნენ თათარნი ციხისაგან. მაშინ შემჭირვებულნი მეციხოვნენი გამოვიდნენ მასვე ღამესა, რომელთა თავ მათდა იყო სოლაღაშვილი და ივლტოდნენ თჳს-თჳსად. დილასა იხილეს თათართა ციხე უკაცური, შევიდნენ და შემუსრეს ციხე, მერმე მოადგნენ ტფილისს.

ჟამსა ამას მეფე კოსტანტინე იდგა ნიჩბისს და აძლევდა ძალსა სპათა ბარათიანთა და ამაგრებდა მათ. ხოლო თათართა, ვითარ ვერ შემუსრეს ტფილისი მეფის ახლორე ყოფისათჳს, წარმოავლინეს ჩ˜ფ˜ რჩეული მჴედარნი და სხუანი სპანი მრავალნი მორბევად ორბეთის გარემოთა. მაშინ შემოუჴდნენ თათარნი მთის დაბნებთა და,

რომელნიცა პოვნეს, მოსწყჳდნეს და მოსტყუევნნეს.

ესე ყოველი მიესმათ ბარათიანთა ენაგეთს მდგომთა და მათ თანა ქაიხოსრო ციციშვილსა, თურმანიძეს ქაიხოსროს და თავსა მათსა სულხან ბარათაშვილსა. ესენი წარვიდნენ მსწრაფლად და მიეწივნენ თათართა. მისლვასა და კუეთებასავე წარიქცივნეს ამათ თათარნი და შესჯარნეს ღრატე-კლდოვანთა და ღელოვანთა შინა და მოსრვიდნენ და სწყუედდნენ, ვითარცა ქათამთა, რამეთუ დიოდიან სისხლნი მათნი რუდ. მაშინ დარჩა მერაბს ბარათაშვილს მოყუასი ყეენისა ფრიად წარჩინებული, არამედ ჩუენთა ტყუეთაგანცა მოისრვოდნენ თათარნი და მოჰყვანდათ თჳთ დატყუევებულთა მათგან იგინივე ტყუედ. კუალად ქაიხოსრო ჯავახი, ქავთარ და სოლაღაშვილი მოესწრნენ უკანმსლველთა სამასთა თათართა ოცნი ესე ქართველნი; მოსცათ ღმერთმან ძლევა, წარიქცივნეს თათარნი და მოსწყჳდნეს, ვითარ მცირედნიღა გარდაეხუეწნენ.

1-29 სტრ., 390
ესმათ ესე მოწყუედა სპათა თჳსთა ტფილისს მოდგომილთა თათართა, მყის მოეცალნენ და წარვიდნენ მოსწრაფედ თჳსად. არამედ ერდგულობისათჳს ქუეყნისა და მეფისა თჳსისათჳს მოსცათ ძლევა ღმერთმან ბარათიანთა, რამეთუ მოსრნეს, მსწყჳდნეს და აოტნეს მძლავრნი მტერნი, რამეთუ მიერ ჟამითგან ვერღარა იკადრეს მოსვლად თათართა ქართლსა შინა. გარნა თუ არა მოეჭირვათ ბარათიანთა, შიდა ქართლსაც შემოებრძოლებოდნენ თათარნი და მეფისა და ქუეყანისა ფრიად შემაწუხებელ იქმნებოდნენ.

ხოლო შემდგომად თათართა წასლვისა შემოიკრიბნა მეფემან კოსტანტინე სპანი, მიუჴდა და მოსრნა ელნი გარემონი, შემუსრა და დაარღვივა აღჯაყალა და ქაოზიანი, აღიღო ალაფი მათი და მოვიდა ტფილისს. შემდგომად შემოიკრიბნა კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თჳსნი და განიზრახვიდა, თუ რაჲ ჰყონ განდგომილებისათჳს ქუეყანათა და ვითარ მოაგონ კუალად მეფობასავე თჳსსა, მაშინ დიდებულნი იტყოდნენ „ვინაჲთგან მტკიცედ დგანან ერთგულებასა ზედა თჳსთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი და კუალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთჳს არა გაგიზრახავთ ბრძოლასა; რამეთუ თუმცა მრე ვექმნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეროე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კუალად აგოს ღმერთმან მეფობასავე შენსა“.

ხოლო იხილა რა ესე-ვითარება თჳსთაგანცა მეფემან, ამისთჳს აღირჩია მშჳდობა, რამეთუ ამ ჟამებთა მოკუდა კახთ ბატონი გიორგი, ხოლო კახთ ბატონმან ალექსანდრემ და მეფემან კოსტანტინემ

ყვეს მშჳდობა სიყუარულისა, კუალად ათაბაგისა თანა და შემდგო-
მად ალექსანდრე იმერთა მეფისა თანა და რომელნი აღვწერენით
საზღვარნი დაიპყრნეს ეგრეთ. გარნა მეფე კოსტანტინე მცდელობ-
და შენება-მაგრებასა ქუეყანისასა.

კუალად გარდაიცვალნენ ჟამსა კოსტანტინე მეფისასა კათალი-
კოზნი დავით და ნიკოლაოზ, და დასუა მეფემან აბრაამ. კუალად ამავ

მეფის კოსტანტინეს ჟამსა შინა, წელსა ქ˜სა ჩ˜უჟდ, ქარ. რ˜პგ შურ-
აგო ათაბაგმან ყუარყუარემ შაქსა, შემოვლო კახეთი და ქართლს და-
ხუდნენ ციციანნი და შიდა ქართველნი, იძლივენ ქართველნი და
წარვიდა ათაბაგი მშჳდობით.

ამის მცნობს მეფესა კოსტანტინეს დაუმძიმდა მოწყუედა სპა-
თა და კუალად შლილობა ათაბაგისა და შერისხნა, რომელთა ყვეს
ესე თჳნიერ მისსა. ხოლო ესხნეს მეფესა კოსტანტინეს ძენი თამარ
დედოფლისაგან დავით, გიორგი, ბაგრატ, ალექსანდრე და მელქი-
სედეკ (რომელი შემდგომად კათალიკოზ იქმნა). არამედ შემდგომად
დამშჳდებისა ქუეყანათა ამან კოსტანტინემ მეფა წელი ი˜ბ მშჳდო-
ბასა და კეთილმეფობასა შინა.

კუალად ჟამსავე ამისსა გამოჩნდა შაჰ ისმაილ ძე შიხისა ქ˜სა
ჩ˜უჟვ, ქარ. რ˜პდ, 1496 თათრულსა ქორონიკონს შ˜ა. დაიპყრა ამან არდა-
ველი, გამოვიდა მუნით და დაიწყო პყრობა ქუეყანათა. ხოლო შიხი
იგი იყო ჟამსა თემურისასა არდაველს და აუწყეს მანქანება მისი
ლანგთემურს და თემურ მივიდა ხილვად მისა. მაშინ შიხმან უჩუენა
საქმე ეშმაკისა ოთხნი საკჳრველნი, განცჳფრდა თემურ და ეტყოდა
„რაჲ გნებავს მთხოვე, რათა მოგანიჭო“. ხოლო შიხმან მან გამოს-
თხოვნა ტყუენი, რომელნი დაეტყუევნეს თემურს შამელნი ი˜ბ ჩ˜
(12 000) და ქალაქი არდაველი; თხოვნისაებრ მიანიჭა თემურ ყო-
ველნი. ხოლო ტყუენი ათავისუფლნა შიხმან; შემდგომად პაპასა შაჰ
ისმაილისასა აღუდგა მტრად შირვანსა და მოკლა იგი. მერემ კუა-
ლად მოიკლა ძეცა მისი მამა შაჰ ისმაილისა უკეთურებისათჳს და
შემდგომად მამისა შაჰ ისმაილისა სდევნიდა საკუდავად მეფე თავრი-
ზისა, და ესე მცირე ყრმა წარიყვანეს გილანს და დამალეს მუნ. მერმე
რა მოიწიფა, გამოვიდა და დაიპყრა არდაველი და იწყო პყრობად

ქუეყნისა. არამედ განძლიერდა წელსა ქ˜სა ჩ˜უჟთ, ქარ. პზ თათ-
რულსა ქორონიკონსა შ˜ე, და მიერთნენ ყოველნი იგი შამელნი
ტყუენი, რომელნი განათავისუფლნა შიხმან. კუალად წელსა ქ˜სა

ჩ˜ფ, ქარ. რამეთუპჲ, 1500 თათრუს ქორონიკონს შ˜ზ ამან შაჰ ისმაილ დაიპყრა ადრიბეჟანი და უკუნიქცა და დაიპყრა სპარსეთი; მერმე წარვიდა ბალხბუხარას და ქობულს. ხოლო შემდგომად ამათ ჟამებთა შინა გარდაიცვალა მეფე კოსტანტინე, ქ˜სა ჩ˜ფე, ქარ. რამეთუჟგ.

პ˜. მეფე დავით, ჲ, ი˜თ წელი მეფა

შემდგომად კოსტანტინე მეფისა დაჯდა უხუცესი ძე მის დავით მეფედ. ამან შემოიკრიბნა კათალიკოზნი და ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თჳსნი და ეკურთხა ტფილისს მეფედ. არამედ ესე დავით მეფე იყო ლმობიერი, ბრძოლა-შლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყუარე მშჳდობასა. ამან დაიპყრა ქუეყანა, რომელი დაეტევა მამისა თჳსისაგან და განაგებდა კეთილად და მშჳდობით.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფთ, ქარ. ჟზ გარდმოვიდა სპითა ალექსანდრე მეფე იმერთა, მოადგა გორს. შეუძნდათ ესე ყოველთა და ეტყოდნენ მეფესა დავითს ბრძოლასა მისსა. არამედ დავით მეფემან არა ინება, მეტყუელმან მათმან „რამეთუ მიეგების მეშფოთეთა შფოთი“, ხოლო ალექსანდრემ აღიღო გორი და დაიპყრა თჳთ და განამტკიცა უმაგრესად.

შემდგომად ერთისა წლისა მოკუდა მეფე იმერთა ალექსანდრე. ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფია, ქარ. ჟთ მოკლა კახთბატონი ალექსანდრე ძემან თჳსმან გიორგიმ. ამ ჟამს იდგა დავით მეფე ატენს ტაძ-

1-29 სტრ., 393
რეულითა და მცველითა თჳსითა, მოუჴდა ავგიორგი ატენს მეფესა დავითს. ხოლო დავით, უსპობით ვერღარა მბრძოლი, შევიდა ციხესა შინა ატენისასა, და მოადგა ავგიორგი გარს. არამედ იხილა გიორგიმ ვერ-შემუსრვა ციხისა და სპანიცა შემოკრბებოდიან შემწედ მეფისა დავითისა, უკუნიქცა ავგიორგი და წარვიდა კახეთს. გარნა არა იკმია სიბოროტე და კუალად იწყო კირთება, რბევა და ოჯრება ქართლისა, რამეთუ ჟამითი ჟამად მოვიდის და აოჯრებდის.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფიბ, ქარ. რ˜ს, მოვიდა სპა ხონთქრისა დიდძალი სამცხესა და იმერეთსა ზედა. ამასვე წელსა მოუჴდა მეფე ბაგრატ იმერთა მოხისს ვახტანგს. სძლო ვახტანგს. არამედ დავით მეფემან ზავ ჰყო მათ შორის და წარიყვანა ბაგრატ ძმა თჳსი და წარვიდა იმერეთს. ხოლო ვითარ არა დასცხრა ავგიორგი ქუეყნის ოჯრებად, ეტყოდნენ ძმანი მეფესა დავითს წინააღმდეგობასა გიორგისასა; ხოლო იგი მიუგებდა „სიბოროტისა თჳსისა ნაცვალი მიეგების, რად ვყოთ ჩუენ შფოთი“. არამედ ბაგრატ, ძმა დავით მეფისა,

მიუგებდა „მიგვიხუნა კახეთი და აწ ნებავს ქართლისაცა“. და გამო-
სთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგჳსა და კსნის ჴევნი მთიულ-
მოჴევითურთ თჳსსა მორჩილებასა ქუეშე [რომელი არს მიერითგან
ერთ სასპასპეტოდ ანუ სადროშოდ, კუალად იტყჳან მიერ ჟამითგან
იქმნა ქართლი ოთხ სადროშოდ]. და მე აღუდგები მტრად ავგიორ-
გის“. მაშინ იძულებულმან მეფემან ნება სცა ბაგრატს . წარმოვიდა
ბაგრატ და აღაშენა მუხრანს ციხე მტკურისა. ამისი მცნობელი ავ-
გიორგი მოვიდა სპითა თჳსითა და მოადგა ციხესა მას შინა მყოფს
ბაგრატს სამ თთუე და შეამჭირვა ფრიად ბაგრატ. მაშინ ავგიორგიმ
წარუვლინა ღჳნო ლიტრითა ბაგრატს. „ხარ ძე მეფისა და არს ჟამი
მრავალი, რომელ არა გისუამს, აწ იჴმიე“. ხოლო ბაგრატს ჰყვა ჭასა
შინა ორაგული ცოცხალი, წარმოუგზავნა ავგიორგის იგი და მოუთხ-
რა „სამთ თუე მყოფობ კსანსა ზედა და არა გიგემებია, იგემე, რამე-
თუ ცოცხალ არს“. განჰკჳრდა ავგიორგი და ჰგონა საზრდელთა

1-28 სტრ., 394
სიმრავლე, უკუნიქცა, მოაოჴრა ქუეყანა და შთავიდა კახეთად. შემ-
დგომად კუალად გამოვიდა ავგიორგი, ვითარცა ჩუეულ იყო, მოარ-
ბივა ქართლი და ვითარ არავისი. აქუნდა შიში, წარავლინნა სპანი
თჳსნი წინარე და თჳთ ნადირობითა და მცირედითა კაცითა მოვი-
დოდა. მაშინ ბაგრატ სპითა თჳსითა მზირ-ეყო ჴევსა შინა ძალისი
სასა და, მოვიდა რა მუნ ავგიორგი, იცა ჟამი მარჯუე ბაგრატ, მიეტევა
და მოსრნა მისთანანი და შეიპყრა ავგიორგი და პატიმარ-ჰყო მტკუ-
რის ციხესა შინა, ქ˜სა ჩ˜ფიგ, ქარ. რ˜სა. 1513 მერმე ამასვე ქორონიკონსა
მოაშთვეს, ანუ მოკუდა.

ხოლო ვინაჲთგან არღარავინ იყო მეპატრონე კახეთისა თჳნიერ
ავგიორგისა, შემოიკრიბნა მეფემან დავით სპანი თჳსნი და შთავიდა
კახეთს. ვერვინ წინააღუდგა და დაიპყრა თჳთ კახეთი, მერმე მოიქცა
ტფილისსვე. ხოლო ზე ავგიორგისა, მცირე ყრმა წლისა შჳდისა, მცირე ყრმა წლისა
შჳდისა, და-
მალა დედით მისით ჩოლოყაშვილმან გარსევან, ვინაჲთგან ნათესავი
იყო დედა მისი გარსევანისა. სცნა მეფემან დავით ყოფნა ავგიორგის
ძის ლევანისა კახეთსვე. ამისთჳს წარავლინა ძმა თჳსი ბაგრატ მის
ქუეშე დაწესებულითა სპითა და ამილახორითა, რათა მოიძიონ ლე-
ვან და მოართუან მას. შთამოსრულმან კახეთს ბაგრატ დასდვა შიში
დიდი კახთა და ყოველთა მკჳდრთა მათ შინა. არამე დმათ ყოველთა
ფუცეს უცნობელობა მისი აღთქმითა დიდითა. არამედ გარსევან ჩო-
ლოყაშვილმან ჰყო
ხვანჯი და ცბიერება დიდი, რამეთუ ლევან ჰყო მეწდედ უშუერითა სამოსლითა და
იმსახურებდა ჟამსა სერისასა
სტუმრებულის ბაგრატის წინაშე და, შეუთქუეს რა გარსევანს ლეო-

ნისთჳს, მან ფუცა ძლიერითა ფუცვითა „რომელი არა გეხილვოთ თქუენ თჳნიერ მისსა, არცა მცირე და არცა დიდი არავინ მყვეს და არცა უწყოდე“. ესე ირწმუნა ბაგრატ და წარმოვიდა ქათლს. მაშინ გარსევან არავლინა ლეონ ოჩანის ციხესა შინა და დამალა მუნ. ხოლო კახეთი ეპყრა დავით მეფესა ნებასა შინა თჳსსა.

1-25 სტრ., 395
შემდგომად წელსა ქ˜სა ჩ˜ფიწ, ქარ. ს˜ვ წარმოემართა შაჰ ისმაილ ყეენი დაპყრობად და მოჯრებად ქართლისად. რამეთუ ამან შაჰ ისმაილ დაიპყრა სპარსეთი, ბალხი, ბუხარა და ქობული, ამანვე უწოდა სპარსთა ყიზილბაში, რომელი დააბურა თავსა ზედა თაჯი და დოლბანდი, ამათ გამო გამოაჩინა და დაუდვა რჯული შიისა სპარსთა (რათა განეყოს ხონთქარსა სუნთა). და თჳთ იწოდა ძედ ალიასი და ამისთჳს რწამდათ სპარსთა ძენი შაჰ ისმაილისანი, ვითარცა ძენი იმამისა მათისანი, და თაყვანი-სცემდნენ მათ, ვითარცა იმამთა.

ამისმან მსმენელმან მეფემან დავით აღიღო ძღუენი დიდი და ძე თჳსი რამაზ წარავლინა წინაშე ყეენისა და აღუთქუა მორჩილება, რათა არა მოაჴროს ქართლი და ქუეყანა. იხილეს რა კახთა საქმე ესე, გამოიყვანეს ლევან ციხიდამ, შთამოიყვანეს და დაიპყრა კახეთი ლევან. ხოლო მეფემან დავით უცალომან და მოლოდინემან ძისა თჳსისამან, თუ რაჲ უყოს ყეენმან, მიუშუა კახთა ყოფად ამისა ეგრეთ. არამედ ყეენმან შეიწყნარა ძე მეფისა რამაზ პატივითა დიდითა და მისცა ნიჭი დიდი და წარმოგზავნა მშჳდობით ზავისა მყოფელმან და დაიჴსნა მეფემან დავით ქართლი ოჴრება-ტყუეობისაგან (ესე ჰყო ყეენმან, რამეთუ ბრძოლად მივიდოდა ხონთქრისა, რათა არა დიარბექირი, ეწყო მუნ ხონთქარი სულტან სელიმი, იძლია შაჰ ისმაილ და მოსწყდნენ სპანი მისნი; მოვიდა ყეენი ყაზმინს, დაჯდა და არღარა გამოვიდა ჟამამდე.

ხოლო დავით მეფე რა იქმნა სარწმუნო ყეენისაგან, შმოიკრიბნა სპანი თჳსნი და შტავიდა კახეთს, ვერ წინააღუდგა ლევან. არამედ შევიდა ციხესა მაღნარისასა, მივიდა მეფე და მოადგა გარს და შეამჭირვა ფრიად და ლამოდენცა მოცემასა ციხისასა.

1-28 სტრ., 396
ამ ჟამს მოერთუა ამბავი მეფესა დავითს მოსლვა ოსმალთა ქართლსა შინა. არამედ მეფე დაუფარვიდა სპათა თჳსთა და წარავლინა მთავარ-ეპისკოპოსი და ამილახორი, რათა მოსცენ ციხე; უკეთუ არა, მოსწყდეთ სიყმილითა. მისრულთა ციხოვანნი აღუთქმიდენ მოცემასა. არამედ მთავარ-ეპისკოპოსმან აზრახა იდუმალ დედასა ლეონისასა მეამბორესა ჴელსა ზედა მტავარ-ეპისკოპოსისა „ნუ

გეშის, ღამესა ამას წარვალთ, განმაგრდი“. მსმენელი დედა ლეონისა იტყოდა ვარ ძისა მაგრებასა და მიუცემლობასა“.

ესე მოუთხრეს მეფესა, უკმოიქცა და მოვიდა ქართლს. აქ ეწყო ოსმალთა, მოსცა ღმერთმან ძლევა, აოტა და მოსწყჳდნა მრავალნი, აღიღო ალაფი მათი დიდი და მოვიდა ტფილისს. შემდგომად კუალად შემოიკრიბნა სპანი და წარვიდა კახეთს, მისრულს მეფესა საგარეჯოს მოერთუნენ მიუნებურნი და შთავიდა ქისიყს და მოერთოდენ მუნცა გარეთნი ყოველნი, შეუჴდა ქისიყს. ხოლო ლეონ ეწყო მცირედითა სპითა ქ˜სა ჩ˜ფკ, ქარ. ს˜ჱ; 1520 იძლივნენ სპანი დავით მეფისანი, წარმოვიდა მეფე და მოვიდა ტფილისს.

კუალად იდგა გორს მეფე დავით და მოართუეს ამბავი სპათა მოსლვისა ფერსათიდამ, რამეთუ გამოვლო გურიელმან მამიამ მწეობითა ათაბაგისათა მთა ღადო, რათა შემწე ეყოს ლევანს დავით მეფესა ზედა ზავითა ანუ ბრძოლითა და მივიდეს მის თანა. მსმენელი დავით მეფე განრისხნა და წარვიდა მის ზედა სპითა, რავდენნი დაესწრნენ მუნ. ხოლო გურიელი, არა მგონე მეფისა, ეწყო მოხისს ძლიერად; იძლია დავით მეფე და მოვიდა ტფილისს. მუნ კუალად შემოიკრიბნა სპანი, რათა მიაგოს შური მის წილ გურიელსა. ხოლო გურიელი მივიდა მუხრანს და ლევანცა მოვიდა მის თანა და არა რას ავნებდნენ ქუეყანათა, და დავით მეფეცა მოვიდა ნიჩბისს სპითა თჳსითა და წარავლინა ბაგრატ ძმა თჳსი მის ქუეშე დაწესებულითა და ამილახორით, რათა მოვიდეს მეორე დღე ბაზალეთიდამ მათ ზედა, და თჳთ სპითა თჳსითა მივიდეს პირისპირ. არამედ წარმოევ-

1-24 სტრ., 397
ლინა წარჩინებული თჳსი გურიელსა მეტყუელსა „რამეთუ მოვედ ვედრებად თქუენ წინაშე, რათა ვყოთ ზავი თქუენსა და ლევანს შორის. გარნა იქმნა უმეცრად ბრძოლა თქუენი; აწ გევედრებით, ვინაჲთგან არა რაჲ მივნია ქუეყნისათჳს, ამით ვარ მართალი, რათა ჰყოთ ზავი და სიყუარული თქუენ შორის, რამეთუ არიან მტერნი ძლიერნიო გარემოს, ვითარცა ყეენი, რომელი იპყრობს ქუეყანათა“. მაშინ გარნა თუ მეფესა არა ენება ესე და წადიერ იყო ბრძოლისა, არამედ განაზრახებდენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი ყოფად ზავისად. ამისთჳს სათნო იყო მეფემანცა და ჰყვეს ზავი და განაჩინეს საზღვარი და სიყუარული ურთიერთთა, მტერობა და მოყურობა ერთბამად მტერთა და მოყუარეთა ზედა. მერმე იხილნეს ურთიერთნი, უძღუნეს და წარვიდნენ თჳს-თჳსად.

ხოლო გარდაიცვალნენ კათალიკოზნი დავით მეფის ჟამსა შინა აბრაამ და ბასილი და დასუა ამან მეფემან დორათეოს. ხოლო შემ-

დგომად ამისა მშჳდობით ყოფასა შინა წელსა ქ˜ს ჩ˜ფკბ, ქარ. ს˜ი წამოემართა შაჰისმაილ ყეენი, რამეთუ მოჩილებასა ქართლისასა. არამედ ესმა კირთება ქართველთაგან მაჰმადიანთა. კუალად ვინაჲთგან სძლო სულტანმან სელიმ, რათა არა მიერთუნენ ქართველნი ხონთქარსა, ამისთჳს მოვიდა და დადგა აღჯაყალასა და იწყო შენება მისი. მაშინ ევედრა დავით მეფე მშჳდობასა. ხოლო ყეენმან მიუწოდა მეფესა წინაშე თჳსსა „მოგცე ნიჭი დიდი, ქუეყანა და განგიტეო მშჳდობით“. არამედ ვინაჲთგან ატევებინებდა ყეენი ქრისტესა და ჰყოფდა მაჰმადიანად, ამისთჳს არა ინება მეფემან მისლვა. განა მოიცა ძალი მესხთა და კახ-ბატონის ლევანისაგან. კუალად

1-28 სტრ., 398
გამოიყვანნა კავკასნი და მთიულნი, განამტკიცა ტფილისი და ყოველნი ციხენი და სიმაგრენი ქართლისანი.

ესმა რა ესენი შაჰ ისმაილს მაგრება და სპათა შეკრება მეფისაგან, წარმოავლინა სპასპეტი თჳსი ყარაფილ სპითა დიდითა, და მოუდგინა მას კუალად მისკარბაში ელიასბეგ სპითა და მერმე შეუდგა ამათ თჳთცა სპითა თჳსითა, ვინაჲთგან რიდი დიდი აქუნდა ქართველთა სიმჴნისა. ამისი მსმენელი დავით მეფე განვიდა თელეთს ყოვლითა სპითა თჳსითა და ნიჯადითა. მოვიდა პირველად ყარაფილ, ეწყუნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ მრავალნი და ივლტოდნენცა ყიზილბაშნი, ლტოლვილნი ემთხვივნენ ელიასბეგს. მან მოაქცივნა, მოვიდნენ და იქმნა ბრძოლა უძლიერესუსასტიკესი და ფიცხელი. ხოლო იხილა რა ლუარსაბ ძემან მეფისამან ძლიერება ყიზილბაშთა, განვიდა სითა თჳსითა და ეკუეთა ძლიერად მარცხენით ყიზილბაშთა, მაშინ ძალითა ჯუარისათა განხეთქა რაზმი მათი, შევლო და მოსწყჳდნა მრავალნი. ხოლო ყიზილბაშნი ივლტოდნენ და მოსრვიდნენ ქართველნი და ალაფობდნენ ალაფთა მათთა. ხოლო ლუარსაბ სდევნიდა და სრვიდა. არამედ შაჰ ისმაილს წარმოევლო მთა იაღლუჯისა და დამალულ იყო ღელესა შინა და რა იხილნა სპანი თჳსნი მოწყუედილნი და ლტოლვილნი, შეუძნდა ფრიად და უბრძანა ყარა-ყოინლუს მისლვა და ბრძოლანი. წამსვე მოეტევნენ ზურგით კერძო იგინი ქართველთა და ეკუეთნენ ძლიერად. გარნა მაშურალნი და ნაალაფევნი ქართველნი ბრძოდნენ უფიცხესად. არამედ ცოდვათა ჩუენთათჳს იძლივნენ დავით მეფისანი და წარმოვიდა მეფე ქართლს. ხოლო ლუარსაბ განვლო მტკუარი ყარაის ბოლოს, შემოვლო და მოვიდა მამისა თჳსისა თანა. არამედ მეფე, კუალად შემკრები სპათა ბრძოლა-მაგრებისთჳს, ჰგონებდა სიმტკიცესა ტფილისისასა. არამედ შაჰ-ისმაილ, შემდგომად ბრძოლისა რა მოადგა ტფილისს, აღუთქუა ციხისთავსა ნიჭი დიდი და

1-28 სტრ., 399
ციხისთავმან მისცა ციხე-ქალაქი. შემოვიდა, შემუსრნა ხატნ
ჯუარნი და განძარცვა სიონის ღვთისმშობლის ხატი და შთააგდო
მტკუარსა შინა (რომელი შემდგომად ჰპოვა ბატონმან ლევან, ნათ-
ლუღის ჭალასა შინა), მოსწყჳდა ქალაქი და ტყუე ყვნა. აღაშენა მე-
ჩითი ჴიდის ყურსა ზედა, ციხესა შინა შეაყენნა მცველნი თჳსნი და
დაიპყრა თჳსად. კუალად წარავლინა ტფილისიდამ სპანი, ვითარცა
მარბიელნი და მოსწყჳდეს სამცხე, სადაცა ვინ ჰპოვეს. მერმე უკუნ-
იქცა და წარვიდა სპარსეთად.

ხოლო მეფე დავით შეკრებული სპითა ლამოდა კირთებასა და
ჴდომასა სპათა ყეენისათა. არამედ უმჯობესად აღირჩია, ვინაჲთგან
წარსლვად იყო ყეენი, ბრძოლანი ციხეთანი, რომელნიცა დაიპყრა
ყეენმან. შემდგომად მიუჴდუნნა მეფემან სპანი და მოსრნა გარემო-
ნი თათართა ელნი და მარადის ბრძოდა ტფილისს.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფკგ, ქარ. ს˜ია, თათრულსა შ˜ლ მოკუ-
და შაჰ-ისმაილ, დაჯდა ძე მისი შასთამაზი ი˜ წლისა. ამას ჯერეთ
არა ეძლო ბრძოლა და ლაშკრობა. მერმე მოადგა მეფე დავით ტფი-
ლისს, აღიღო იგი, მოსრნა ყიზილბაშნი, კუალად აღიღო აღჯაყალა,
შემუსრა იგი და განასხნა თათარნი და დაიპყრა საზღვარნი თჳსნი
ყოველნი. შემდგომად ამისა განიხილა მეფემან დავით სოფლისა სი-
მუხთლე და უსუეობა თჳსი, დაუტევა მეფობა და იქმნა მონოზონ,
და დაშთნენ ძენი სამნი თამარ დედოფლისაგან ლუარსაბ, დემეტრე
და რამაზ. არამედ მისცა მეფობა ძმასა თჳსსა გიორგის და თჳთ და-
ვით მეფე შევიდა ტფილისსვე მონასტერსა შინა და შემდგომად მო-
კუდა მონაზონი წელსა ქ˜სა ჩ˜ფკე, ქარ. ს˜იგ

ო˜ზ. გიორგი თ˜, ძმა დავით მეფისა,
ი˜ წელი მეფა

ხოლო შემდგომად დავით მეფის შემონოზონებისა დაჯდა ძმა
მისი გიორგი მეფედ, ქ˜სა ჩ˜ფკდ, ქარ. ს˜იბ, ეკურთხა მცხეთას კა-

1-27 სტრ., 400
თალიკოზ-ეპისკოპოს და დიდებულთა შემოკრებითა. ესე გიორგი
მეფე დაემეგობრა უმეტეს დავით მეფისა კახთ ბატონს ლევანს და
იყო სიყუარული მის თანა, ეგრეთვე ბაგრატ იმერთა მეფისა თანა
და ყუარყუარე ყვანდა, ვითარცა მორჩილი თჳსი. ამან დაიპყრა სა-
ზღუარი თჳსი და იყოფებოდა მშჳდობით გარემოთაგან. მოკუდა კა-
თალიკოზი დორათეოს და დასუა მეფემან ძმა თჳსი მელქისედეკ. შემ-
დგომად ამათთა წარმოევლინა სულტანს სულეიმანს სამთა ამათ

მეფეთა თანა დესპანი გიორგის ქართველთა, ბაგრატ იმერთა და ლევან კახთასა „რამეთუ ადგილი სჯულისა თქუენისა იერუსალიმი დაიპყრეს უსჯულოთა, აწ მიმინიჭებიეს თქუენდა, მოვედით და განასხენით იგინი და დაიპყრენით თქუენდა“ (ესე ჰყო ხონთქარმან, რამეთუ ბრძოდა დასავლით. მეორედ, ვინაჲთგან შიხის ძე ყეენი და იგი მტერობდნენ, რათა ამით დაიპყრას მან ყოველი საქართველო და არა მიერთნენ შიხსა).

ამისნი მსმენნი მეფენი სიხარულით შეკრბნენ სპითა თჳსითა, ვინაჲთგან იყვნეს სიყუარულსა მტკიცესა ზედა და ათაბაგი ყუარყუარე მოერთო მეფესა გიორგის და წარვიდნენ მსასოებელნი ღვთისანი. მისრულთა იერუსალიმსა შინა მყოფთა მოუთხრნეს „გვაუწყეთ; უკეთუ ხართ მტერნი, მცირედ გვიჩანთ და, უკეთუ სტუმარ, მრავალ ხართ“. ხოლო მეფეთა მიუთხრეს „მბრძოლნი ვართ ძალითა მაგავ ადგილისათა“. ამისი მსმენელნი გამოვიდნენ ქალაქით იერუსალიმით და ეწყუნენ ურთიერთთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი. სძლეს საქართველოსათა, მოსწყჳდნეს და აოტნეს და შეჰყვნენ ქალაქად, წარუხუნეს ქალაქი, მოსწყჳდნეს და განდევნნეს იგინი ხოლო ნეშტნი დაიპყრნეს და აღიღნეს ალაფნი დიდნი და ნატყუენავნი.

სცნა ესე ყოველი ხონთქარმან, მოანიჭნა ნიჭნი დიდძალნი და წმიდანი ადგილნი. საფლავი ქრისტესი, გოლგოთა, ბეთლემი და

ჯუარის მონასტერი; ხოლო მეფეთა განათავისუფლნეს იგინი და წარმოვიდნენ გამარჯუებულნი და მოვიდნენ თჳს-თჳსსა სამეფოსა შინა. ხოლო გიორგი მეფე ამაგრებდა ქუეყანათა და ბრძოდა თათართა, ოდესმე იყვის მშჳდობით.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფკთ, ქარ. ს˜იზ, 1529 მოვიდა სულტან სულეიმან ერევანსა ზედა და აღიღო იგი. ამას შეუშინდნენ მკჳდრნი საქართველოსანი. არამედ იჴსნნა ღმერთმან და უკუნიქცა ხონთქარი ბაღდადად. ხოლო მეფე გიორგი მეფობდა კეთილად სიყუარულ-ერთობითა იმერ-კახთ მეფეთა და ათაბაგისა თანა. არამედ შემდგომად ამანცა დაუტევა მეფობა და არა დაუტჳა ძე და მისცა მეფობა ძმისწულსა თჳსსა ლუარსაბს და თჳთ შვიდა მონასტერსა შინა და იქმნა მონოზონ.

ო˜. მეფე ლუარსაბ, ძმისწული გიორგი მეფისა, კუალად მეფა

შემდგომად გიორგი მეფის მეფობის დატევებისა ეკურთხა ლუარ-

საბ ძე დავით მეფისა ტფილისს მეფედ ქ˜სა ჩ˜ფლდ, ქარ. ს˜კბ ხოლო ესე ლუარსაბ იყო მჴნე, ახოვანი, შემმართებელი, უშიში, მორწმუნე, ღუთისმოყუარე, საღ˜თო-სამჴედროთი სრული. ამან იწყო უუფრო-სესი კირთება თათართა და განსხმა მათი და მაგრება ციხე-სიმაგ-რეთა.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფლე, ქარ. ს˜კგ, 1535 შეიპყრა იმერთ მეფემან ბაგრატ ათაბაგი ყუარყუარე და დაიპყრა სამცხე. ესე შეუძნდა მეფე-

სა ლუარსაბს, არამედ ვერარაჲ არგო. გარნა ლუარსაბ მეფემან და-იპყრო ჯავახეთი და კერძონი მისნი. კუალად მოკუდა კათალიკოზი მელქისედეკ და დასუა მეფემან კათალიკოზად გერმანე, და მროვე-ლად გედეონ.

ხოლო შემდგომად შაჰ-ისმაილისა იწყო ბრძოლა შასთამაზ, ქ˜სა ჩ˜ფლბ, ქარ. ს˜კ, 1532. ესე განმდიდრდა და დაიპყრა ქუეყანანი უმე-ტეს მამისა თჳსისა. ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფლვ, ქარ. ს˜კდ, 1536 მოვიდა იდუმალ განჯას სპითა ძლიერითა. ჟამსა ამას იდგა მეფე ლუარსაბ ტფილისს. ამას მწუხრსავე მოკუდა ძე მეფისა მცირე და სიყუარული-სათჳს ძისა წარყვნენ მეფე და დედოფალი და წარიღეს მასვე მწუხრ-სა და დაფლეს მცხეთას და განთაიდ ღამესა ამასვე შემოვიდა შას-თამაზ ტფილისს მოპარვით, რათა შეიპყრას მეფე. არამედ განარინა ღმერთმან მეფე მიზეზითა ძისათა. ხოლო შასთამაზ მოსწვა ტფი-ლისი; ამისთჳს შეუშინდა ციხისთავი ტფილისისა შასთამაზს და მე-ფესა მოწვისათჳს ტფილისისა და გარდმოეშვა ციხიდამ და მოვიდა შასთამაზისა თანა. მხილველნი მეციხოვნენი ვიეთნი ივლტოდნენ და სხუანი მივიდნენ წინაშე ყეენისა. მან ყოველთა მათ დაატევებინა ქრისტე და ჰყო მაჰმადიანად და ტფილისის ციხესა შინა შეაყენნა მცველნი თჳსნი ყიზილბაშნი და თჳთ წარვიდა ყარაბაღსავე. ამ ჟამს ეპყრა სამცხე იმერთა მეფესა ბაგრატს; ესე მივიდა ყარაბაღს წინაშე ყეენისა. ხოლო ლუარსაბ მეფემან ვერ იკადრა ბრძოლა, ვინაჲთგან მოვიდა ყეენი უცნობლად და იხიზნოდნენ ყოველნი ქართლისანი მოსწრაფედ. არამედ დაიცვა ქუეყანა ტყუეობისაგან. ამისა შემდგო-მად მონაზონ იქმნა ბიძა მეფისა ბაგრატ, მპყრობელი მუხრანისა, ქ˜სა ჩ˜ფლთ, ქარ. ს˜კზ, 1539 და დაუტევნა ძენი ვახტანგ, არჩილ, აშოთან და ერეკლე. ხოლო ვახტანგ იქმნა მუხრანის ბატონი.

ხოლო შემდგომად წარსლვისა ყეენისა კუალად უწყო მეფემან ლუარსაბ ბრძოლა ტფილისსა და მოსრვიდა გარემოთა თათართა,

ვინაჲთგან მრავალგზის მოსცა ღმერთმან ძლევა მათ ზედა, და აღი-
ღო კუალად ტფილისიცა და დაიპყრა თავისადვე.

შემდგომად წელსა ქ˜სა ჩ˜ფლთ, ქარ. ს˜კზ, 1539 სომეხნი შეიშალნენ
აღვსებისაგან. ხოლო მაშინ ოდეს ეპყრა მეფესა იმერთასა ბაგრატს
სამცხე, მოვიდნენ ოსმალნი ბრძოლად ბაგრატისად ბასიანს. ამისა-
თჳს ბაგრატ ევედრა ლუარსაბ მეფესა შეწევნასა მათ ზედა და უცი-
ლოდ დაიპყრას მტკურის აღმოსავლეთი ლუარსაბ; არამედ ლუარსაბ
მეფესა, თუმცა არავინ ემწეოდა განძლიერებისა მისისათჳს, გარნა
ლუარსაბს ეძჳნებოდა ტყუეობა საქართველოსი, შემცირება და გან-
ხეთქილება თჳსთაგან და მტერთა მიერ, რატა არა იქმნას მაჰმა-
დიანად ბაგრატისად. ხოლო მისრულთა მეფეთა ბასიანს წყობათა შინა
სპათა ლუარსაბისათა ინებეს წინაბრძოლობა. მაშინ მესხნი ეტყოდ-
ნენ „ჩუენ ვართ წინაბრძოლნი ძუელადვე და აწცა ქუეყანა არს
ჩუენი, ჩუენდავე ჯერ არს“. არამედ არა ინებეს ესე ქართველთა. ამის-
თჳს იშურისმგებლეს მესხთა და არღარა შეეწეოდნენ, და მოსწყდნენ
ქართველნი მრავალნი და ივლტოდნენ მესხნი; შურითა ამით იძლივ-
ნენ ქართველნი ყოველნი ქ˜სა ჩ˜ფმე, ქარ. ს˜ლგ, 1545; და მოვიდა მეფე
ლუარსაბ თჳსსა სამეფოდ.

ამისა შემდგომად შეითქუნენ მეფე ლუარსაბ და კახ-ბატონი
ლევან, ოდეს მოკლა ლევან კახთ ბატონმან ასანბეგ და აუწყეს ესე
მესხთა, მოერთნენ იგინიცა და დაუწყეს რბევა და ოჯრება განჯას, შაქ-
შირვანს და ადრაბაგანსა მრავალთა ჟამთა, და მოიღებდენ ალაფთა
და ნატყუენავთა დიდ-დიდთა, რამეთუ იყო შასთამაზ უცალოდ. შემ-
დგომად მოვიდა შასთამაზ შირვანს, რათა განაგოს საქმე მანდაური,
ქ˜სა ჩ˜ფმჱ, ქარ. ს˜ლვ, თათრულსა ქორონიკონსა შ˜ნე 1548. მერმე მო-
იქცა მუნიდამ ტფილისს (ვინაჲთგან აღეღო მეფესა ლუარსაბს და
ეპყრა თჳსად); მოადგა ყეენი, შემუსრა ტფილისი და ნეშტნი მოს-

წყჳდნა, და შეაყენნა ციხესა შინა მცველნი უმრავლესნი. ხოლო
ტფილისიდამ ეზრახა ათაბაგს, დაიმორჩილა იგიცა, ემზახლა მას და
წარვიდა სპარსეთად. არამედ ესე კახ-ბატონის ლევანისა და ათაბა-
გის დამორჩილება ყეენისა შეუძნდა მეფე ლუარსაბს და ვიეთთა
წარჩინებულთა მესხთა, სახელით იჯუს, შერმაზანს და ვახუშტ დია-
სამიძესა. ამათ მიუწოდეს ლუარსაბ მეფესა. ხოლო შეკრებული სპი-
თა მივიდა მეფე და წარუხუნა ათაბაგსა სამცხე, ჯავახეთი, კოლა და
არტანი და დაიპყრა თჳსად.

ესე ყოველი აუწყა ათაბაგმან ყეენსა და შასთამაზ წარმოემარ-
თა მსწრაფლად შუელად მისად. მოვიდა და შემუსრა შაქი, შემოვლო

ქართლის სომხითი, ვერ წინააღუდგა ლუარსაბ მეფე, შევიდა და დაიპყრა სამცხე, შეიპყრა იჯუ და შერმაზან და მოკლნა იგინი და სხუანი ტყუე ყვნა, ჩავლო სომხითი და წარვიდა ერევანსა ზედა. არამედ მეფე ლუარსაბ შემჭირდებოდა მძლავრებისა ესრეთისათჳს. გარნა არა დასცხრებოდა ბრძოლად კუალადცა თათართა ზედა, რამეთუ, რა იცის ჟამი, ბრძოდა, მოსწყუედდა და ალაფობდა ტყუევნითურთ და მრავალგზით ჰყოფდა ესრეთ. ხოლო უჟამოდ განამაგრნის ციხენი და სიმაგრენი მთათა და ველთანი და ბრძოდა თჳთ ეგრეთ.

შემდგომად გამოვიდა ხონთქარი სულტან სულეიმან. ესე ესმა შასთამაზს, მოვიდა და დადგა არტანს ყენი, მოაოჴრა სამცხე, აღიღო კარი და შემუსრა. მერმე გარდამოვლო სამცხიდამ, მოაოჴრა თრიალეთი, საბარათიანო და მოადგა ბირთვისს (ამისთჳს მტერობდა უფროს მეფესა ლუარსაბს ყენი, რამეთუ არა მორჩილ ექმნა დღეთა მისთა არცა ყენსა და არცა ხონთქარსა, რათა არა სხუანი მორჩილნი მისნი ამძლავროს და დაატევებინოს ქრისტე).

მაშინ შასთამაზ ვერ ამღებელმან ბირთვისისმან შეთხზა ხვანჯი, აღუთქუნა კეთილნი და ნიჭნი დიდნი მეციხოვნეთა, ამით მოაცთუნა და მისცეს ციხე. ხოლო მან უარჰყო ფიცი, მოსრნა იგინი და ტყუე ჰყვნა. მერმე მოვიდა და მოადგა გორს, შემუსრა იგიცა და ციხე

ვერისა და სხუანიცა. შემდგომად მოადგა ატენის ციხესა, აღიღო იგი და გამოყვანა დედა ლუარსაბ მეფისა მუნიდამ და მრავალთა წარჩინებულთა ცოლნი ქ˜სა ჩ˜ფნვ, ქარ. ს˜მდ, 1556 უკუნიქცა და წარიყვანა ყოველნი ტყუენი და დედაცა მეფისა. ესე ესმა ლუარსაბ მეფესა, მთიულეთს მყოფსა, წარმოუდგა ყენსა, ეწია სპათა მისთა და მოსრნა მრავალნი. არამედ დედასა ვერღარაჲ არგო. აღიღო ალაფი დიდი და უკმოიქცა. ხოლო მისრულმან დედამან მეფის ლუარსაბისამან იგრძნა უპატიო ყოფა თჳსი, შესუა სასიკვდინე და მოკუდა.

მაშინ ყენმან დასხნა რანს, მოვაკანს და ერევანს ბეგლარბეგნი და მათ ქუეშეთნი. კუალად დასხნა ხანნი და სულტანნი (რომელნი არიან ბეგლარბეგი ერისთავთ-ერისთავი, ხანი ერისთავი, (სულთანი ჴევისბერი), ამათ უბრძანა „უკეთუ ემტეროს ლუარსაბ მეფე ტფილისს, მწე ეყვნენ ყოველნი“. არამედ ლუარსაბ მეფემან ბრძოლითა განასხნა თათარნი და დაიპყრა ქართლი და სომხითი და ციხენი ყოველნი, თჳნიერ ტფილისისა და მარადის ბრძოდა ტფილისს. ესე აცნობეს ტფილისის მცველთა განჯის ბეგლარბეგს შავერდის, და მან შემოიკრიბნა თჳს ქუეშე დაწესებულნი და სხუანიცა ყოველნი წინთქმულნი და წარმოვიდა ქართლს.

მსმენელი ამისი ლუარსაბ მეფე სპითა თჳსითა დადგა გარისს, რათა შემოიყვანოს იგინი სიმაგრესა, რამეთუ იყო თჳთ მოხუცებული და ესხნეს ძენი სჳმონ და დავით. არამედ სჳმონს მისცნა სპანი თჳსნი და თჳთ მცირედითა მოხუცებულითა და ეპისკოპოსითა დაადგრა გარისს. მივიდა სჳმონ, და ეწყო ყიზილბაშთა და იქმნა ბრძოლა სასტიკი. მოსწყჳდნეს და აოტნეს ქართველთა ყიზილბაშნი და სდენიდნენ და ალაფობდნენ. მაშინ შავერდიხან ლტოლვილმან იხილა მეფე მდგომარე და უღონოებდა წარსლვად შიშისათჳს განრინებად თავისა თჳსისა; მოეტევა მცირეთა ამათ, რათა გარდაიხვეწოს. ამას ზედა განმჳნდნენ მოხუცებულნი მეფისთანანი, ვითარცა ჭაბუკ-

ნი, მოსწყჳდნეს და წარიქციეს სპარსნი. მაშინ მეფესა შეხუდა შავერდიხან და მეფესა გასტეხოდა ჯრმალი და შუბი ბრძოლასა შინა. აძგერა ცხენი შავერდიხანს და გარდავლო მას ზედა მეფემან; და კუალად სხჳსა მიმტევებელსა შთაუარდა ცხენი ნაპრალსა მიწისასა და დაეცა ცხენი მეფითურთ მიწასა. მოუჴდა სპარსი სახელით ზირაქ, და სცა მახვილი მეფესა და მოსწყლა ძლიერად. ხოლო სპათა მეფისათა მოსწყჳდნეს სრულიად ყიზილბაშნი. და ამისი უცნობელი ძე მეფისა სჳმონ, გამარჯუებული და ნაალაფევი მოიქცა. რა იხილა მეფე ესრეთ მყოფი, დამძიმდა ფრიად, მერმე მცირედისაჟამისა გარდაიცვალა მეფე ლუარსაბ, ქ˜სა ჩ˜ფნბ, ქარ. ს˜მვ, 1558 შერაცხილი მოწამეთა თანა, ვითარცა გორგასალ. გარნა ესე მეფე ბრძოდა დღეთა თჳსთა მაჰმადიანთა, რათა არა დაუტეონ ქრისტე ქართველთა და უკეთუმცა მორჩილ მათდა ქმნილ იყო, საეჭუელ იყო, რამეთუ მრავალგზის დიდნი ძლევანი და მაგრებანი შესძინა ქუეყანათა სიმჴნითა თჳსითა. მოიღეს და დაფლეს მცხეთას.

ო˜თ. მეფე სჳმონ, ლ˜დ წელი მეფა

გამეფდა შემდგომად მეფის ლუარსაბისა ძე მისი სჳმონ და ეკურთხა მცხეთას მეფედ. ხოლო მომკუდარ იყო კათალიკოზი გერმანე და მეფესავე ლუარსაბს დაესუა ნიკოლაოზ. მოკუდა ნიკოლაოზ კათალიკოზი და ამან სჳმონ მეფემან დასუა კათალიკოზად დომენტი. ხოლო მეფემან სჳმონ მოიყვანა ცოლად ასული ბატონის ლეონისა ნესტანდარეჯან, ნაშობი შამხლის ქალისაგან, და ჰყო ქორწილი, ქ˜სა ჩ˜ფნთ, ქარ. ს˜მზ, 1559 და დაიპყრნა ყოველნი ნაქონებნი მამისა თჳსისანი, თჳნიერ ტფილისისა.

მაშინ არჩილ ძე ბაგრატ მუხრან-ბატონისა ეკირთებოდა ტფილისს და ავნებდა გარემოსთა მისთა დიდთა.

დღესა ერთსა გამოვიდნენ ტფილისის ციხიდამ სპანი ყიზილბაშ-
ნი, დაესხნენ საფურცლეს მყოფს, ბრძოლასა ძლიერსა იძლია მათგან

1-27 სტრ., 407
არჩილ და შეიპყრეს დედაწულითურთ ქ~სა ჩ~ფნწ, ქარ. ს~მვ, 1560 და წარი-
ყვანეს წინაშე ყეენისა. გარნა თჳინიერ ამისა აქვნდა მეფესა სჯმონს
წელი სამი მშვიდობისა. შემდგომად იწვივა ცოლის ძმა თჯსი გიორ-
გი რათა ბრძოლოს სპარსთა და შეკრბნენ ციხე დიდს. ამისი მცნო-
ბელი შავერდი სულტანი წარმოემართა სპითა და შემოვლო უგრძნე-
ულოდ ქვეყანანი, რამეთუ უშენ იყო გარადბანი და ეპყრათ ტფილი
სი. მათ. ხოლო დარაჯანი მეფისანი გერმანოზის შვილი ფარეშათ და
სხჯთა მისთანათითა იდგნენ დევის ნამუხლარსა ზედა, არამედ ღამე-
სა მას აღდგომისასა აღვიდნენ მუხათგვერდს, რათა ისმინონ დღე-
სასწაული, და ყოფასა მათსა მუნ შემოვლე ყიზლბაშთა და დაესხ-
ნენ უეცრათ მეფესა სჯმონს. მაშინ იქმნა ბრძოლა ძლიერი და ფიცხე-
ლი და მოსწყდნენ სპარსნი უმრავლესნი, არამედ მოკლეს გიორგი ძე
კახთ ბატონის ლევანისა ქ~სა ჩ~ფჲა 1561, და ივლტოდნენ კახნი.
არამედ მოსწყდენ ქართველნიცა მრავალნი, რამეთუ ამილახვართა-
განიცა მოსწყდნენ ცხრანი (და ამისთვის მიუბოძა მეფემან ზემო ეკ-
ლესია მღჯმეს). მხილველი სჯმონ მეფეცა უკმოიქცა ძლეული და ყი-
ზილბაშნი უკუნ იქცნენ გამარჯვებულნი. ამავ ქორონიკონსავე მოუ-
ჴდნენ ფხოველნი მუხრანს. ხოლო აშოტან ძემან ბაგრატ მუხრან-
ბატონისამან ბრძოლა უყო და მოსწყვიდნა იგინი და აოტნა გარნა
მოიკლა იგიცა მათ მიერ.

პ~დ. მეფე დაუთხან, 8 წელი მეფა

ხოლო იხილა რა ძმამან მეფის სჯმონისამან დავითს სპარსთაგან
ძლევა ესე, წარვიდა სპარსეთად, რამეთუ იყო კაცი ჴორცთმოყვარე
მეძავგანმცხრომელ, და იქმნა განმცემელ ქვეყანისა და მივიდა წინა-
/შე ყეენისა. ამას პატივსცა შასთამაზ და ჰყო მაჰმადიანად, უწოდა დაუთ
ხან და ძედ თვისად უხმობდა, მისცა ჯილდო ც~ თუმანი, ხალა-
თად კაბა სარტყელი და ტყავი სამურითა, ოქრო ქსოვილნი, თაჯი,

1-29 სტრ., 408
ჴრმალი, ხანჯალი, საბუხარი მარგალიტისა ცხენი აღკმაზული
ოქროთი, ყოველნი მოოჭვილნი თვლებითა, სურა და თასი ოქროსი
(რომელი შემდგომად დაიდვა და მოსცემდენ მეფეთა ქართლისათა),
წარმოავლინა მეფედ ქართლისად სპითა დიდითა, შემოვიდა ტფი-
ლისს და აქუნდა შემწედ განჯის ხანიცა.

ესე ეძვინებოდა სჯმონ მეფესა და ყოველთა ქართველთა. ამის-
თვის შეიკრიბა სჯმონ სპანი და დადგა დიღვამს. მსმენელი ამისი და-
უთხან გამოვიდა სპითა ყიზილბაშ-ქართველითა რომელნი ეახლნენ
მას. ეკუეთა მეფე სჯმონ ქ˜სა ჩ˜იფზ 1567. იძლია დაუთხან და
მოსრნეს სპანი მისნი და შევიდა ტფილისსვე. მაშინ მეფე მოადგა ტფი-
ლისს, ხოლო შემჭირვებულმან დაუთხან ციხიდან აუწყა ესე უსეინ-
ბეგს. ყარამლუს სპასპეტთა და მოითხოვა შეწევნა მისგან. ამისი
მსმენელი უსეინბეგ შემოვიდა ტფილისს უგრძნეულოდ და მეფე აღ-
ვიდა ტაბახმელას. ამას ზედა განლაღდა დაუთხან, გამოვიდა სპითა
და ეწყვნენ სამადლოსა ზედა ურთიერთს ქ˜ს ჩ˜ფზ ქარ. ს˜ნვ
. სძლო კუალად მეფმან სჯმონ და გაქცეულთა მოსწყუედდენ სპანი
მეფისანი ქართველნი . მოვიდა მეფე და დადგა კუალად ტაბახმელესა,
ვინაითგან მუნვე ტფილისს შეიხვეწა დაუთხან.

ეზრახა სჯმონ ქართველთა, რომელნი იყვნენ დავითისა თანა
ციხესა შინა გამოშერებად მისგან. არამედ მათ არაინებეს. მერმე
სცნა მეფემან ვერ აღება ტფილისისა და უკმ მოიქცა მისგან. ხოლო
დაუთ ხან აცნობა შასთამაზს ესე ყოველი მაშინ ყეენმან მოუწერა
განაჯაშამახიის ბეგლარბეგთან წარმოუვლინა ნიჭნი დიდნი, რა-
თა გამოიყვანონ შამხალი ლეკითა და ჩერქეზნი. ხოლო მათ მისცეს
საგანძურნი იგი და გამოიყვანნეს გინი და შეკრბნენ ესე ყოველნი
და მოვიდნენ ხუნანს. ამისი მსმენელი სჯმონ მეფე დადგა შეკრებული
სპითა აწუფისს და იგინი მოვიდეს ფარცხისს. მაშინ განივლტო
ყორღანაშვილი კახაბერ და გულდებულ ყვნა ყიზილბაშნი მეფესა
ზედა, რამეთუ აქუნდათ მათ შიში დიდი, მოუძღვა და ეწყო მეფე

ფარცხისს მას. იყო ბრძოლა სასტიკი და მოსწყდნენ ურიცხვნი თა-
თარნი და ივლტოდნენ ფიცხლად. არამედ მეფე კადნიერებით მიეტე-
ვა გუნდსა მათსა, ჰკრა ოროლი მხედარსა მოსპო იგი და განხეთქა
გუნდი მათი და მიეტევა სხუასა. იცნა მეფე კახაბერ ყორრანაშვილმან
და ეტყოდა ყიზილბაშთა ეგე არს მეფე, შეიპყარით. მასვე წამსა გა-
რემოერტყნენ და შეიპყრეს მეფე სჯმონ, ძლიერად მბრძოლი ქს˜ა
ჩ˜
ფთ 1569 და წარიყვანეს. ხოლო ქართველნი ივლტოდნენ
თვისთვისად. და სპარსთა დასვეს დაუთხან მეფედ ტფილისს და წარ-
ვიდნენ და მიგვარეს მეფე სჯმონ შას თამაზს. მან პატივ-სცა და უთქ-
მინდა დატევებისა ქრისტესა, ხოლო მან არა ინება. ამისთვის წარ-
გზავნა ციხესა შინა ალამუტს პატიმრად, მერმე წრგზავნა არჩილცა
ცოლშვილით შირაზს პატიმრად ქ˜სა ჩ˜ფოგ 1573.

ხოლო დაუთხან დაიპყრა ქართლი. არამედ ვიეთნიმე მთავარნი

განდგნენ და არა მორჩილებდნენ. და დაჯდა დაუთხან ქუეშის ციხესა შინა და განცხრებოდა ხორციელად; და ოდესმე იყვის ტფილისს, არა რისა მზრუნველი სულისა და ქუეყნისათვის, არა რაის პატივს უყოფდა დედოფალსა, ცოლსა სჳმონ მეფისასა. ამისი მხილველნი ამილახორი და კსნის ერისთავი [სათნოთი ალექსანდრე კახბატონისათი, რამეთუ სიმამრი იყო ამილახორი ალექსანდრესი და ალექსანდრე მტერობდა დასა თვისსა ძმასა თვისთათვის და ცოლიცა დაუთხანისა ნთესავი იყო ალექსანდრესი], მოუხდნენ დედოფალსა სჳმონ მეფისასა, კავთისხევს მდგომსა, და წარუხვნეს სრულიად ქონებანი და აიალაფეს, რომელი არა ჯერ იყო საყოფლად (მაშინ იტყოდიან თემნი „ვაი სჳმონ მეფისა საქონელსაო“). ხოლო სპასპეტი საჩინო ბარათაშვილი არა ერჩდა დაუთხანს და მოვიდოდა კოჟრიდამ. ამას ემთხვივა ყორრანაშვილი კახაბერ, შეიპყრა იგი და ეტყოდა „უკეთუ კეთილ არს განცემა მეფისა და ქუეყნისა, იხილე აწ შენცა“. და გარდააგდო იგი კლდესა გელიყარისასა (მაშინ თემნი იტყოდნენ „ყორღანასძე ქარაფინდა, ხელი კრეს და გარდაფრინდა“). ხოლო კუალად შასთამაზისაგან მოწყუედა სამცხისა და განყოფა ქუეყანა-

თა მისგან და ხონთქარისაგან დავსწეროთ თვისსა ადგილსა, ვიანითგან მას ჟამსა არა მოვიდა ქართლსა შინა. მერმე მოკვდა შასთამაზ ყეენი ქ˜სა ჩ˜ფოვ 1576, თათრულს ქორონიკონსა შ˜ჰდ. და დასუეს ყეენად ძე მისი შაისმაილ. ამან შაისმაილ მოიყვანა მეფე სჳმონ და არჩილსა ცოლშვილით შირაზიდამ. არამედ მესისხლობისა და სუხობისათვის მოკლეს ყიზილბაშთა შაისმაილ, ქ˜სა ჩ˜ფოზ ქარ. ს˜ჲე1577, თათრულსა ქორონიკონსა შ˜პე. და დასუეს შაჰხუდაბანდა ყეენად, ძე შასთამაზისავე.

ჟამსა ამას გამოვიდა სპანი ხონთქრისანი და დაიპყრეს ერევანი, განჯა და თავრიზი, რამეთუ იყო შაჰხუდაბანდა ბრმა და ბედითი და ვერშემძლე საქმისა.

კუალად წელსა ქ˜სა ჩ˜ფოჱ 1578 გამოჩნდა კუდიანი ვარსკულავი, ამასვე ქორონიკონს გამოვიდა ლალაფაშა სულტან მურადისა სპითა ძლიერითა. ამან გამოვლო სამცხე და მოვიდა ტფილისს, ვერწინააღუდგა დაუთხან, მიოსწვა ტფილისი თვით და წარვიდა სიმაგრეთა. ამისთვის ლალაფაშა ინება წარვლინებანი სპათა შიდა ქართლს და დედოფალსა ზედა. არამედ მუხრანის ბატონი ვახტანგ იყო უფლისწულობით ვითარცა განმგე ქართლისა და მორჩილებდნენ ყოველნი. ამან მოიყვანა ამილახვარი ბარძიმ და კსნის ერისთავი ელიზბარ ლალაფაშისა თანა, და დაიხსნა ამან ქართლი და თემი მოსწყუედისაგან. ხოლო ლალაფაშამ ამათ თვისნი მამულნი მიანიჭნა

და მეოთხესა დღესა განუტევა პატივითა. გარნა სომხითართა დიდი ავნეს ოსმალთა და მოსწყვიდნეს მრავალნი.

კუალად წარმოავლინა ლალაფაშამ სპანი იმერეთსა ზედა და დახუდნენ მთასა ზედა ლიხისასა იმერნი. ომსა ამასა დაესწრა ძე არჩილისა ერეკლე, მოსწყვიდნეს მრავალნი ოსმალნი აოტნეს. ხოლო ერეკლეს ათერთმეტი ჴრმალი და ორმოცი ისარი მოუჴდა. გარ-

ნა ჯაჭვი და მუზარადი ვერ გაუტეხეს არამედ მოსწყვიდნეს აზნაურნი მისთანა და ლტოლვილნი ოსმალნი მცირედნიღა წარვიდნეს.

მერმე კუალად წარმოავლინა ლალაფაშამ სეკდენბერსა შინა სპანი იმერეთს. ხოლო იმერთა მოსწყვიდნეს მასვე მთასა ზედა და ლტოლვილთა ოსმალთა დახუდნენ ქართველნი და მიოსრნეს უმრავლესნი.

შემდგომად წარვიდა ლალაფაშა შირვანს და მუნიდამ მოქცეული დადგა მუხრანს. მაშინ შაჰხუდაბანდა ვერა რისა მყოფელი, ამისთჳს დედამან მისმან (რომელი იყო ასული ოთარ შალიკაშვილისა) დაახვივა ჴრმალსა ლეჩაქი და წარმოუგზავნა სჳმონ მეფესა (ვითარცა წესი არს ქართველთა) და მოუთხრა „რომელიცა გნებავს, აღირე და წარვედ ქუეყანასა შენსა ნიჭთა დიდითა და ბრძოდე ოსმალთა). წარმოავლინეს და მოსცეს წინთქმული დაუთხანისა ყოველნი და მის ზედა დაურთეს ცხრა ათასი თუმანი და ტყუენი ყოველნი საქართველოსანი მუნ დატყუევებულნი. ამისმან მხილველმან დაუთხან იხილა რა დატევება თვისი ყიზილბაშთაგან ეზრახა ლალაფაშას და მისცნა ყოველნი ციხენი ქართლისანი და თვით წარვიდა წინაშე ხონთქრისა სტამბოლს (შემდგომად ჟამთა რაოდენთამე მოკუდა დაუთხან მუნ). ხოლო ოსლამთა დაიპყრეს ქართლი და ჰყვეს ტფილისი საფაშოდ. გორი არაშენეს და ჰყვეს სანჯახად, სამშვილდეს შემუსრეს ეკლესია სიონი გუმბათიანი ვინაითგან მუნ ავნეს დიდი ოსმალთა და განამაგრეს სამშვილდე და დბანისი.

ამავ ქორონიკონს მოვიდა მეფე სჳმონ ოკდონბერსა შინა და მოიყვანა არჩილ ზე ბაგრატისა და ტყუენი ყოველნი დატყუევებულნი ქართლისანი და დადგა სომხითს. ეზრახა ლალაფაშას და, ვინაჲთგან ავადმყოფობდა მეფე, ვერ იხილა. შემდგომად წარვიდა ლალაფაშა მუხრანიდამ სამცხეს, ხოლო სჳმონ მეფემან დაიპყრა ქართლი, რამეთუ მსურველ იყვნენ მისთვის ქართველნი. შემდგომად აღიღო ლორე, გორი და ყოველნი ციხენი, თვინიერ ტფილისისა, მეფემან.

1-31 სტრ., 412
მაშინ მეფე სჳმონ ლამობდა შურისგებასა ამილახორის და კსნის ერისთვისასა. არამედ ვახტანგ მუხრანის ბატონი ურჩი და წინა-თქმულთათვის წინაშე სჳმონ მეფისა, იწყინა მეფემან და ამავ ქორო-ნიკონსა შეიპყრა მათთა ეჭვისათვის ვახტანგ და პატიმარ-ჰყო კეხვის ციხესა შინა; მერმე შეიპყრა ამილახორი ბარძიმცა; შეშინდა კსნის ერისთავი ელიზბარ და შეუვრდა დედოფალსა; შესძღუნდა სრულიად მინატაცი და სხვანიცა მრავალნი. კუალად ახალგორი და მეჯვდა და ამილახვარმანკასპი და კარბი. შეოწყალა დედოფალმან და ევედრა მეფესა შენდობისათვის, სეიწყალა მეფემანცა და აფუცა ერთგულო-ბასა ზედა და განუტევა. შემდგომად ამისა განუტევა ვახტანგცა. ხო-ლო სცნა რა ლალაფაშამ საქმე სვინონ მეფისა, წარმოავლინა მანუ-ჩარ მირმარითა და ქართლს ვერღარა ჩამოვიდა სჳმონის გამო, და დაესხნენ სადგერს და მოსწუეს იგი. წარხდა განძი ეკლესიისა, არა-მედ ტყუენი ვერ ტყუე-ჰყუეს. კუალად ჩამოვიდა მანუჩარ სანჯახი-თა, დასხმისგვარ მოარბია ქართლი და წარვიდა.

ხოლო ბატონს ალექსანდრეს აქუნდა შური სჳმონ მეფისა თჳსის დის გამო და დაუთხანცა მოყურობდა სარწმუნოდ; კუალად ამილახო-რიცა სიმამრი მისი იყო, შეუტყობრად მოუხდა სპითა თჳსთა დიღ ვამს მდგომს სჳმონ მეფესა ქ˜სა ჩ˜ფპ 1580. მაშინ სჳმონ ივლ-ტოდა უსპობისათვის ედა ალექსანდრე იავარჰყო დედოფალი დაჲ თვისი და ნიფხავი ააცუა შუბსა ზედა და წარვიდა იკადრა უკად-რო, არა ჯერ საყოფი ვითარცა ავაზაკმან მრისხანემან სჳმონ მე-ფემან შეიკრიბნა სპანი და მიუთხრა ალექსანდრეს „ჰქმენ საქმე უშუერი რამეთუ თუცა ექმნა სხუასა, ჯერ იყო შენგან ძიება შური-სა; აწ განემზადე ხვალისად ბრძოლად, რამეთუ ვიძიებ შურსა“).

დღესა მეორესა მივიდა ჭოტორს მყოფს ალექსანდრეს ზედა, მო-ეგება იგიცა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და ივლტოდა ალექსანდრე. მაშინ შეიპყრნეს ყოველნი წარჩინებულნი კახეთისანი და აღიღო ალა-ფი მათი, წარმოვიდა და მოიყვანა კახნი მცხეთად აფუცნა ყ-ველნი იგინი „ღმერთმან ნურას ჟამს მისცეს ძლევა კახთა ქართველ-თა ზედა“. მერმე მისცნა ბოძნი და განუტევნა ყოველნი.

1-29 სტრ., 413
ამავ ქორონიკონს მოკუდა ვახტანგ ბატონი მუხრანისა. ამასვე ქორონიკონს ოკტომბერს ათაბაგი ყუარყუარე და ბექა მოუჯდნენ ლორეს, მოარბივეს და წარვიდეს. შემდგომად ამისა მოვდა მაჰმად ფაშა ანუ სინან, და სპათა ამისთა აღირეს ლორე და ამან აღიღო გო-რის ციხე, შეაყენნა მცველნი და თვით დადგა მუხრანს.

კაულად გიორგი იმერთა მეფე სიტყვითა ფაშისათა მოუჴდა ზე-
მო ქართლს, მოჰყუვნენ დადიანი და გურიელი, ვერ ჰპოვეს ხიზანნი,
მოწვეს გაღმართი და გამორმართი და წარვიდნენ. ხოლო მეფემან
სჳმონ არა მიხედა მათ, არამედ დაესხა სინან ფაშას მუხრანს სპითა
თვისითა და მიოსწყვიდნა სპანი მისნი, ივლტოდა ფაშა და შევიდა ტფი-
ლისს ციხესა შინა, ქ˜სა ჩ˜ფპა ქართ ს˜ჲთ 1581.

შემდგომად კუალად შემოიკრიბმა მეფემან სპანი და თჳსთა წარ-
ჩინებულთა ცოლნი მოიყვანნა, წარიყვანა დედოფალი და იგინი და
აღვიდა ლილოსა ზედა. წარავლინნა სპანი მცირენი ართა წარმოიღონ
მროწლენი ტფილისისანი. ხოლო მათ ჰყვეს ბრზანებული. მაშინ გა-
მოვიდნენ ტფილისიდან სპანი ოსმალთანი სიმრავლით დევნად მათ-
და და, რა მოვიდნეს სიმარჯჳესა, მიეტევა მეფე სპითა თჳსთა და
სჭურეტდნენ ჰარნი ქალთა ჯალაბთანი; მოსწყვიდნა და აოტნა ოს-
მალნი და მცირედნი შევიდნენ ტფილისს მიჰყვნენ ქართველნი კა-
რადმდე, არამედ ციხე ვერ წარუხუნეს და შემოიქცნენ ალაფითა. მერ-
მე შეკრებული სპითა მოვიდა მეფე ლორეს, მოეგება ფაშა მუნებური,
ეკუეთა მეფე და მოსწყვიდნა სიმრავლე მათი. გარნა ციხე ვერ წარუ-
ხუნა, არამედ ქუაბი აღიხუნა ქ˜სა ჩ˜ფპბ, ქარ. ს˜ო 1582.

ხოლო იხილა ათაბაგმან ყვარყვარემ და მანუცარ ძმამან მისმან
განძლიერება სჳმონისა, ეზრახნენ და დაემზახლნენ. მოვიდა მანუ-
ჩარ სჳმონ მეფისა თანა და ამასვე ქორონიკონსა მისცა ასული თჳსი
ელენე მანუჩარს ცოლად მეფემან, აქორწინა და წარვიდა მანუჩარ
სამცხეს. ამასვე ქორონიკონსა მოადგა მეფე ლორეს და აღიღო იგი
აპრილსა ა, და დაიპყრა თავისად. მერმე მოვიდა და დადგა ტაბა-

ჴმელას. ესე სცნა სინან ფაშამან, გამოვიდა ტფილისადამ დასხმად
სპითა მეფისატა. აგრძნა სჳმონ მეფემან და ეკვეთა ძლიერად, მოსცა
ღმერთმან ძლევა, მოსწყვიდნა და აოტნა და ნეშტნი შეივლტოდენ
ტფილისსვე (თქქმულ არს კაცი ცხენითურთ გარდაიჭრა კლდესა ტა-
ბაჴმელილსასა და ეგნენ ცოცხალი ორნივე). მაშინ სჳმონ მეფე მოად-
გა ტფილისს, მცირე ხანსა შინა წარირო და მოსწყვიდნა სრულიად
ოსმალნი ქ˜სა ჩ˜ფპგ 1583, ქარ. ს˜ოა. შემდგომად მოადგა სამშვილდეს რა-
ოდენსამე ჟამსა, შემოაპარა ქურდისკარიდამ სპანი ღამით, მოსრნეს
ოსმალნი და არიღო ციხე შემუსრა და დაიპყრა თავისად მეფემან.
ესენი მიესმნენ ხონთქარს, წარმოავლინა სპანი დიდნი, მოვიდნენ და
მოადგნენ ლორეს, აღიღეს იგი. მერმე შთამოვიდნენ და დაადგნენ ხა-
ტის სოფელს.

მაშინ მოვიდა მათ თანა დესპანად მეფე, მეტყუელი ესრეთ „მო-
გითხრათ მეფემან სჳმონ, ვიკმაროთ სისხლი ესდენი, და ვყოთ ზავი
ჩვენ შორის და ვიქმნე მორჩილ თქვენდა, ღამეთუ უმჯობეს არს ჩემ-
და და თქვენდაცა“. განიხარა ფაშამან მან და აღუთქვა ზავი. ხოლო
ამით განიმსტრო მეფემან და მას ღამესა მოიქცა სპითა ღამითვე მე-
ფე ხატის სოფლის მთიდამ და დილასა დაესხა ძლიერად, სძლო
და მოსწყვიდა და მცირედნი ივლტოდენ, მოიქცა და მოვიდა ნაალაფე-
ვი ტფილისს. შემდგომად მოადგა დბანისს, რამეთუ ჯერეთ ეპყრათ
ოსმალთავე, მცირედთა ხანტა აღიღო იგიცა და დაიპყრნა ყოველნი
ციხენი თვინიერ გორისა და ლორესა. განასხნა ოსმალნი ქართლისა-
გან და შემდგომად ამისა ველარა შესძინეს და იკადრეს მოსვლა
ოსმალთა.

ჟამთა ამათ მოვიდა მანუჩარ ათაბაგი წინაშე სჳმონ მეფისა და
წარიყვანა ცოლი თვისი ელენე, ასული მეფისა სჳმონისა, და წარვი-
და სამცხეს. ხოლო იქმნა მშვიდობა, ვინაითგან არღარა აქუნდა ოს-
მალთა თანა ბრძოლა, ზავ-ჰყო ალექსანდრეს კახ-ბატონის თანა,
რამეთუ ძენი ამათნი იყვნენ მამიდაშვილ-ბიძაშვილნი და ჰყვარო-

ბდნენ ესენი ურთიერთთა და ყიზილბაშთა შეიპყრეს შახუ დაბანდა
ქ˜სა ჩ˜ფპვ 1586, ქარ. ს˜ოდ, თათრულს ქორონიკონსა შ˜ჟე, და დასუეს შაჰ-
აბაზ ძე მისი წლისა ჱ. ამან დაიპყრა სპარსეთი, თვინიერ ბაღდადისა
და ადრიბეჟანისა.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფპზ 1587, ქარ. ს˜ოე, მოვიდა შაჰაბაზ განჯას,
აღაშენა განჯა, უკუნიქცა და წატვიდა. ამავე ქორონიკონსა უშველა
მეფემან სჳმონ მანუცარს ათაბაგს ოსმალთა ზედა, არამედ ვინაჲთგან
აღეღოთ ოსმალთა მძევალნი მანუჩარისაგან, არღარა აბრძოლეს მე-
ფე ოსმალთა. გარნა ურჩნი მანუჩარისანი თემნი მოარბივნა მეფემან
და წარმოვიდა და მოვიდა ქართლს. ამავე ქორონიკონსა მანუჩარ ჩამოვიდა
ლტოვილი და დაადგინა მეფემან ახალდაბას მტკურისასა.

შემდგომად წელსა ქ˜ეს ჩ˜ფპჱ 1588, ქარ. ს˜ოვ შეკრებული მივიდა
სპითა მეფე სჳმონ სამცხეს მოსრნა წინააღმდგომნი მანუჩარისანი
და დასუა ათაბაგად, და თვით წარმოვიდა მეფე ამა ჟამებთა ვინაჲთგან
გარე მტერთა არღარა აქუნდა ბრძოლა მეფესა, მოიხსენა შური გიორ-
გი იმერთა მეფისა და ინება დაპყრობა იმერეთისა, რამეთუ ლევანს
ვერა ეგდენად მორჩილებდნენ. ამისთვის ეზრახა იმერთა და მოსცეს
ვიეთთა პირი მტკიცე. მერმე შეკრებული სპითა შთავიდა იმერეთს.
მაშინ ლევან შეიკრიბნა სპანი და დაადგა გოფანთოს, არამედ არა ემ-
წნენ დადიანი და გურიელი ლევანს.მივიდა სჳმონ მეფე და ეწყუნენ

გოფანთოს ურთიერთს, ძლიერისა ბრძოლისა შემდგომად იძლია ლევან მეფე ქ˜სა ჩ˜ფპ 1588, ქარ. ს˜ოვ, და ივლტოდა სიმაგრედ. ხოლო სჯმონ მეფემან დაიპყრა იმერეთი და დამძლევნა იგინი, უკმოიქცა მძევლითურთ და მოვიდა ქართლს, რამეთუ ფიქრი აქუნდა გორის მეციხოვნეთა ოსმალტაგან ქართლისა. ხოლო ლევან მოვიდა და კუალად დაიპყრა იმერეთი, და აღიხუნა ციხენი სჯმონის მიღებულნი. არამედ შეიპყრა დადიანმან მეფე ლევანი და დასუეს როსტომ. ამა-საც წარუხუნა გურიელმან ქუთათისი და მისცა ბაგრატს.

ესმა ესე სჯმონ მეფესა და შთავიდა სპითა იმერეთს, აღიხუნა ციხენი და გამოიყვანა ქუთათისიდან ბაგრატ და დაიპყრა იმერეთი.

1-28 სტრ., 416
გამოუხუნა კუალად მძევალნი და მოვიდა ქართლსავე მეფე. არამედ კუალად შეწევნითა დადიანისათა დაიპყრა როსტომ კუალად იმერე-თი და აღიღო ქუთაისი. სმენელი სჯმონ მეფე წავიდა კუალად სპითა დიდითა და დიდებითა და ზარბაზნებითა დიდ-დიდითა და აღ-კაზმულობითა ყოვლითა. შთასრულამ იმერეთს აღიხუნა ციხენი სვერი, სკანდა, კაცხი, კუარა. ხოლო როსტომ ვერ წინა აღუდგა და ივლტოდა ოდიშს. მოადგა სჯმონ მეფე ქუთაისს და აღიღო იგიცა, მერმე წარემართა ოდიშს რათა შეიპყრას როსტომ, და დადგა ოფი-შკვითს. მაშინ დადიანმან მოგზავნა წინაშე სჯმონ მეფისა, რათა ჰყოს ზავი მეტყველმან „მიეც როსტომს იმერეთი და დაგვიმონე ვითარცა შენნი, ყოველთა მორჩილებათა შინა“. არამედ მეფე სჯმონ, სპისა სი-დიდისათვის იმერთათა და ქართველთათა და განლაღაბეული ძლევითა განრისხნა მას ზედა და მიუმცნო „მოვალ ბრძოლად თუმცა ძალ-გიცს დამხუდი, თუ მომცე როსტომ, უკუნ-ვიქცე და დავიცვა ქუეყანა შენი უვნოდ“.

ამისა მსმენელი დადიანი როსტომითურთ დილასა დაესხა სჯმონ მეფესა და იქმნა ბრზოლა ძლიერი. სცნა სჯმონ მეფემან ლტოლვა სპათა თვისთვა და მოთხოვა შურდანი, რამეთუ ლთოლვისა ჟამსა შეჯდის შურდანსა ზედა, ხოლო ჟამსა ძლევისასა _ ფალავანსა ზედა. მაშინ იტყოდა თურქისტანის შვილი „მეფეო, არს თურე ჟამი ლტოლ-ვის“, მივიდა თურქისტანიშვილ სცა ოროლი მკერდსა და დასცა მიწასა. არამედ ივლტოდენ მეფისა-თანანი ქ˜სა ჩ˜ფჟ, 1550 ქარ. ს˜ოჩ. მოსრულს მეფეს კოლბეურს ეტყოდა დედაკაცი „აწ ფხიზელ არსა მეფე. აიხლოს ძე ჩემი“. რამეთუ ჩავლო რა მეფემან მას ჟამსა უბრძა-ნა „მთვრალ ვარ კაცითა, არა მნებავს ძე შენი“.

შემნანე საქმეთა ამათთვის მოვიდა სჯმონ მეფე ქართლს, ხოლო კავთისჴევს მაშვრალსა განსვენებად დედაკაცი უმასპინძლებდა და

კითხვიდა მეფესა სპათათვის ქართლისათა, ქმართა და შვილთა

1-24 სტრ., 417
თჳსთათჳს, რამეთუ არა უწყოდა მეფედ. ეტყოდა მეფე უცნობელო-
ბასა მათსა და მშვიდობით ყოფასა მეფისასა. ამისთვის დედაკაცი იგი
მადლობდა ღმერთსა „ვინაითგან ცოცხლებით არს მეფე, იყავნ ყო-
ვენლი ნაცვალ მისად (შემდგომად მეფემან აზნაურ ჰყო იგი სიტყჳსა
ამისთვის).

ამასვე ჟამსა შემოიკრიბნა მეფემან დანაშთომნი სპანი ქართლი-
სანი, რამეთუ ლორის ციხიდამ გამოსულიყვენე ოსმალნი, ვინაჲთ-
გან მეფესა ჰგონებდენ შორს და იხარებდენ ტაშირსა შინა. უეცრად/ დაესხა მათ
სჳმონ მეფე და მოსწყჳდნა სრულიად, აღიღო ციხე ლო-
რეცა და დაიპყრა თჳთ, მოვიდა ტფილისს და დაეზავა როსტომს
იმერთა მეფესა, მისცა მძევალნი იმერეთისანი და გამოუხუნა რო-
მელნი დაშთნენ ბრძოლასა შინა მუნ წარჩინებულნი, აზნაურნი და
გლეხნი, ანუ მეციხოვნენი.

შემდგომად მოადგა სჳმონ მეფე გორს და, ჯდა რა გორიჯვარს,
შთანთქა თრიაქი (რამეთუ დაჩვეულ იყო პატიმრობასა შინა), და სუა
ღჳნო, მოინება მწუანვილი მტილთაგან მეტყუელმან სპათა თჳსთა:
„არა არს თუ სირცხვილი თქვენდა, რამეთუ მნევას მწვანვილი, ვხე-
დავ თვალი და ვერ მიგემებიეს“ ამისნი მსმენელნი სპანი განვიდნენ
გორს, რათა მოიღონ მწვანვილი, მოეტევნენ ციხიდამ ოსმალნი და
იქმნა ბრძოლა და მოსწყდნენ მრავალნი, არამედ უფროს მოსრვი-
დიან თოფ-ზარბაზნითა ციხიდამ. მაშინ მოკლეს პაპის ძმისწული
მეფისა, სპასპეტი მეწინავისა გოჩა (რამეთუ იყო ესე გოჩა ძე გიორ-
გისა, გიორგი ძე კოსტანტინესი, კოსტანტინე ძე ალექსანდრესი,
ალექსანდრე ძე კოსტანტინე მეფისა და ამ გოჩათი ეწოდათ ამათ ძე-
თა გოჩაშვილად), მოართვეს მწვანვილი მეფესა და აყუედრეს მო-

1-30 სტრ., 418
წყუედა სპათა მისთათვის (მიერითგან უწოდეს ხელი სჳმონ მეფე.
ხოლო მაჰმადიანნი უჯმობენ დელი სჳმონს)

შემდგომად წელთა რაოდენთამე მოადგა კუალად გორს და
ბრძოდა ცხრა თთუე. მერე აღიღო ციხე გორისა დ ასგანუტევნა ოს-
მალნი უვნოდ ქ˜ესსა ჩ˜ფჟთ, 1599 ქარ. ს˜პზ და განათავისუფლნა ქართლი
ოსმალთაგან. არამედ მიესმა რა ესე ხონთქარსა, წარმოავლინა ჯა-
ფარ ფაშა სპჳითა მრავლითა. ესე მოვიდა და დადგა ნაჯიდურსა. ხოლო
სჳმონ მეფე სპითა თვისითა საღირაშენს. დაუტოვნა მეფემან სპა-
ნი მუნ და თვით წარვიდა განმსტრობად ოსმალტა ათორმეტითა კა-

ცითა და მებუკითა. მისრული ნაჴიდურის თავს მცირისა ეკლესიისა თანა განიხილვიდა ხვალისად დასხმად მათ ზედა, თუ ვითარ განაგოს. ამისთჳს უბრძანა მებუკესა დაზახებად ბუკისა, რათა სცნას, თუ ვითარ უშიშრად დგანან. მაშინ მსმენელნი ბუკისა ოსმალნი ჰგონებდენ მოსვლასა სპათათა და იწყეს აღკაზმად და აღსხდომად ცხენთა. ამისი მხილველი მეფე წარმოვიდა ფიცხელად, ხოლო ოსმალნი, მოჰყვნენ. არამედ მეფესა მოსრულსა ფარცხისს შთაუარდა ცხენი ლიასა შინა, მიეტევნენ ურუმნი და შეიპყრეს მეფე სჳმონ ქ~სა ჩ~ქ 1600 ქარ, ს~პ. წარიყვანეს და მიგვარეს ფაშას. ხოლო იგი მსწრაფლ აღიყარა და წარვიდა. სცნა ესე ძემან მეფისამან გიორგი და წარმოუდგა ოსმალთა. არამედ ვერღარა ეწია რასა, უკუ მოიქცა და მოვიდა ქართლს. ხოლო ოსმალტა აღიღეს ლორე, დაადგინნეს მათ შინა მცველნი და თჳთ წარვიდენ და მიიყვენეს სჳმონ მეფე სტამბოლს. მაშინ გიორგიმ დაიპყრა თვინიერ ლორისა ყოველი ქართლი და ციხენი მას შინა. შემდგომად წარავლინა სტამბოლოს, რათა დაიჴსნას მამა თჳსი. არამედ ხონთქარი უთქმიდა სჳმონ მეფესა, რათა დაიდვას ხარკი და მორჩილ ექმნას, ამას პირსა ზედა განგიტევო. გარნა სჳმონ მეფემან არა ინება ხარკი ქართლისა. მერე გიორგისაგან მოითხოვეს საჴსარი მეფისა. ხოლო გიორგიმ წარავლინა ყოველნი საჭურჭლენი და საგანძურნი მამისა თჳსისა და ეკლესია მონასტერთანი და წარჩინებულთა ქართველთანი, და ესენი მიიღეს რა სტამბოლს მომკუდარ

1-27 სტრ., 419

იყო მეფე სჳმონ. მოსცეს მკუდარი და წარუხუნეს საგანძურნი ოსმალთა, გარნა ყჰო უჯერო სჳმონ მეფემან, რამეთუ დასდვა კომლს გლეხსა ზედა მარჩილი და ამით მოიყდდა ოვსთა, კავკასთა, ჩერქეზთა და წარუგზავნიდა ყეენსა, ხოლო დაუტევა მეფემან სჳმონ ძენი გიორგი და ვახტანგ, არამედ შემდგომად მოიღეს სჳმონ მეფე და დაფლეს მცხეთას.

პ~ე. მეფე გიორგი, გ~ წელი მეფა

შემდგომად გარდაცვალებისა სჳმონ მეფისა ეკურთხა გიორგი ძე მისი ტფილისს მეფედ ქ~სა ჩ~ქ 1600. შემდგომად შეიკრიბნა სპანი და მოადგა ლორეს, ქ~სა ჩ~ქა თათრულსა ქორონიკონსა ჩ~იბ, აღიღო იგი და დაიპყრა თვისად. ამისა შემდგომად მოვიდა შაჰაბას და მოადგა ერევანს ქ~სა ჩ~ქბ და მოუწოდა მეფესა გიორგის და კახთ-ბატონსა ალექსანდრეს. ამათ შემოიკრიბეს სპანი თვისნი და მივდნენ ერევანს წინაშე ყეენისა. არამედ სამკერძოდ მოადგა სპანი შაჰაბაზისნი ერევანს, და ერთ კერძოს დაადგეს ესენი. შემდგომად როდენისამე დღისა ბრძანა შაჰაბას მიტევება ციხესა ზედა სპათაგან. მაშინ საქართველოსანი პირველ სპარსთაგან შეუჴდ

ნენ ციხესა შინა, მოსწყვიდნეს და წარუხვნეს ქალაქნი შემდგომად შევიდნენ სპარსნი და დაიპყრა ციხე ქალაქი შაჰაბაზ. ამისა შემდგომად მოუთხრა შაჰაბაზ გიორგი მეფესა „რამეთუ მტერ თუ იყო ჩემი ხონთქარი, არამედ უფროსღა შენი, აწ ვინაჲთგან ვსძლეთ ძალითა ჩემითა, ჯერ არს, რათა მომცე ჯილდოდ ლორე ბერდუჯის მდინარით“. შეუძნდა ესე ფრიად მეფესა და მიუგო „ველოდი ჯილდოდ სხუასაცა ქალაქსა სამსახურისათჳს მამისა ჩვენისა და ჩემისა, და არა მიხუმასა საზღვართა ჩემთასა“, არამედ ვინაჲთგან იყო შაჰაბაზ მცბიერი და სწადდა დამცირება ქართლისა, და კუალად ერისთავი ლორისა ლტოლვილი გამაჰმადიანებული აზრახებდა შაჰაბაზს

1-28 სტრ., 420

მოკლებად მისგან ძალსა დიდისა ქართლისასა, ამისთჳს უფროს აიძულებდა, რათა მისცეს ლორე და გამოსავალისათვის ბერდუჯის მდინარისა, მოწსცა ფუშტუკუნი და ხუინი და სამსაი თუმანი ლაიჯანს ყოველს წელს. ამით უღონო ქმნილმან მეფემან გიორგი მისცა ლორე, მერმე ანიჭა შაჰაბაზ მრავალნი (იტყვიან მოართვეს რა მეფესა ხალათი ყეენისა, არა აღიხადა სამოსელი თვისი, არამედ მას ზედა შთაიცვა., ეტყოდენ წარჩნებულნი მეფესა „უკადრო არს ყეენისა ეგე და მწყენარ იქმნების“. ხოლო მეფე მიუგებდა „თქვენ არა იცით არცა ერთი, უკეთუ ვყო ეგრეთ, მერმე მითხრას სხვაცა ნებისა თჳსისა ყოფად, და აწ ამისთვის ესრეთ უმჯობეს არს“). და წარმოავლინა ქართლს ესე მისაგებელი მოაგო შაჰაბაზ გორგი მეფესა ერთგლობისათჳს მამისა თჳსისა და თვისისათჳს. კუალად ჟამსა ამისსა იქნა შფოთი ძეთა შორის კახ-ბატონის ალექსანდრესთა, რაჟამს ისტუმრნა გიორგი მეფემან. რამეთუ ბიძისა ძენი იყვნენ ძენი ალექსანდრესნი გიორგისა, შემდგომად ამისა მცირე ჟამს გარადაიცვა მეფე გიორგი ქ˜სა ჩ˜ქგ ქარ. ს˜ჟა 1603 მოიღეს და დაფლეს მცხეთას.

პ˜ვ მეფე ლუარსაბ ი˜ბ წელი მეფა

ხოლო გიორგი მეფისა შემდგომად გამეფდა ძე მისი ლუარსაბ და ეკურთხა მცხეთას და დაიპყრა ქართლი. არამედ იყო მაშინ ქართლი და მეფე საგანძურთაგან ფრიად ნაკლულევანი, ვინაჲთგან მიეცათ ყოველი საჴსრად სჴმონ მეფისათჳს. არამედ აქუნდა მეფესა ჟამი მშჳდობისა, რამეთუ კახნი მოყუსობდნენ და ყეენი უცალო მწყალობელი იყო და ხონთქარიცა ეგერთვე უცალოებდა.

ამისა შემდგომად სთხოვა შაჰაბაზ ლუარსაბ მეფესა დაჲ თჳსი ცოლად თინათნ. ამან მისცა და წარიყვანეს დიდითა დიდებითა და ნიჭითა. არამედ ამ ჟამებთა შინა განმკჳდრებულ იყვნეს მთავარნი და დაეპყრნათ ჴევნი და ჴეობანი თჳსად უმეტეს ყოველთა სააკაძე გი-

ორგი მოურავი ტფილისისა, ქცხინვალისა და დუალეთისა. ხოლო

1-21 სტრ., 421
იდგა რა მეფე მუარსაბ ქრცხინვალს, რამეთუ ჟამად მოვლიდიან თჳსთა
ქვეყანათა ყოველთა. გარნა ესე მოურავი გიორგი იყო მჴნე, ახო-
ვანი, ძიერი ძალითა და შემმართებელი, უშიში, მცბიერი, მჩურჩ-
ნელი და უნდო. ესე მარადღე თჳთოეულთა კაცთა ფურჩვნიდა და
არა დასცხრებოდა. იხილა ესე მეფემან და აუწყა მოურავსა „რაჲ
არს რომელ არა დასცხრები ფურჩნვად, ანუ რაჲ გნევას ყოფად“. ამისთჳს ევედრა
მოურავი მროველს დომენტის „რამეთუ მეტყჳან
სიკუდილსა მეფისაგან, და არა რაი ვუწყი მიზეზი შეცოდებისა მო-
ნებისაგან კიდე“. ესე ყოველი მროველმან ჰკადრა მეფესა. არამედ მე-
ფე ამისი უცნობელი განჰკჳრდა და ამცნო მროველსა გულდებულ-
ყოფა მოურავისა, რამეთუ არა რაჲ არს მანკიერება მეფესა შინა შენ-
თჳს, გარნა ჰკითხოს ვინ უთხრა იგი. ხოლო მოურავმან არა თქუა
მთქმელი, რამეთუ ფიცებულ ვარ მათ მიერ.

შემოსვლა თათარხანთა

და უდაბნოსა ამას შინა მოართუეს მეფესა ამბავი, ვითარმედ მო-
ვიდნენ სპანი დიდნი თათარხანთა თრიალეთსა ზედა (მას ჟამსა აღე-
ღო ხონთქარსა ბაღდადი და უკუნ ქცეულისათჳს ეთხოვათ ნება წარ-
სვლად გზასა ზედა ქართლისასა. ვინაჲთგან ეთქუა ვისმე მათთჳს
გზის მოკლობა და ალაფ-ტყუეთა სიმრავლენი). მასვე ჟამსა დაუ-
ტევეს ზრახვა იგი და წარავლინა მეფემან იარაღი მძიმე რაღა შეჰკრას გზანი და
მსწრაფლ აცნობოს მეფესა, და თჳთ მეფე მოვიდა ცხირეთს.
მისრული იარაღი ჩამხერგუელი გზისა, განისუენებდა და მძინარესა
დაესხნენ თათარხანნი და მოსწყჳდეს იარაღითურთ ყოველნი, რა-

1-30 სტრ., 422
მეთუ ვერ განერა ერთიცა. მერმე მოვიდნენ და დაწუეს მანგლისი და
კუელთა, შეიპყრეს კულეთას მღუდელი და სცემდნენ ლახტი-
თა, რათა აუწყოს, სადა არს მეფე., ხოლო მღუდელი იტყოდა „არა
ნაცვალი ვყო საწუთო ესე წარუვალსა მას, და არა ვიქმნე განმცემელ
მეფისა და ქუეყანისა“. წარმოუძღვა მღუდელი იგი გოსტიბის თავსა
ზედა და ჩამოიყვანნა ქუენადრისის გზასა. სცნეს თათარხანთა, რა-
მეთუ აცთუნებდათ მღუდელი, ამისთვის მოჰკუთეს თავი და შეირა-
ცხა წმიდათა მოწამეთა თანა.

შთამოსრულთა თათართა მოიცვეს ერთაწმიდა და აქალქალა-
ქი, და მეფე სწვრეტდა ცხირეთიდამ. მეფიდამ წარვიდა მოურავი და
ციციშვილი ზაზა, ამათ შემოიკრიბეს გარემონი და მცნობელნი

ამისნი ამისნი ბარათიანნიცა მოვიდნენ მეფისა თანა. ხოლო მოურავი ჩა-
ვიდა ნიაბის ბოლოს სხერტის ჭალასა შინა., ეკუეთა თათართა და
მოსწყვიდნა სიმრავლით. მაშინ ზაზამ მოჰკლა ფაშა თავის ჭრასა
შინა მოერტყნენ თათარხანნი., იპყრა ზაზამ კბილით წუერი თავისა
მის, შეჯდა ცხენსა და გამოვლო ბრძოლით თათარ ხანნი. მოვიდნენ
წინაშე მეფისა, მოართვნეს თავნი და ასაფნი მათნნი. ხოლო
მეფემან შემოიკრიბა სპანი ქართლისანი და წარუდგა თათაფხანთა. აარა-
მედ თათარხანნი მიმავალნი დღეისის მინდორსა შინა იხილა ტერ-
ტერამან გორელმან, მსწრაფლ უკუნ იქცა და აჰყარა ჯიდი გორისა.

რა იხილეს თათარხანთა ჯიდი აყრილი, შევლეს საციციანოსა ზედა
და სადა ვინ მოაჯელეს მოსწყვიდეს, ტყუე-ჰყვეს და მოაოჯრეს და მი-
ვიდნენ ბრბონას. მუნ დაარღვივნეს სახლნი და განსდევეს ჯიდი მტკუ-
არსა ზედა, განვიდნენ და დადგნენე ტაშისკარის ბოლოს. და მეფეცა
მივიდა ახალდაბას სპითა და არღარა იყო მუნ ჯიდი, რამეთუ მტკუარი
განდიდებულ იყო თთუესა ივნისსა. ამისთა მხილვეთა შეავედრნეს
თავნი ღმერთსა მეფემან სპითურთ და განვიდნენ ცხენის ცურვით უვ-
ნებელად ყოველნი. ჩავლეს კიდე მტკურისა ფარულად და მივიდნენ
სურამის ბოლოს, მუნ შემოეყარნენ სრულიად ქართველნი მტკურის
ჩრდილოეთისანი. მაშინ განზრახჯთა მოურავისათა შემოუსხნეს მე-

1-32 სტრ., 423
თოფენი თხრილსა და თჯთ ცხენოსანნი მივიდნენ განთიად მინდორ-
სა ზედა, ეკუეთნენ ფიცხელად და იქმნა ბრძოლა ძლიერი ქ˜სა ჩ˜ქთ 1609.
ქარ. ს˜ჟზ.

ამ ომსა შინა ფრიად მჯნედ გამოჩნდნენ მეფე ლუარსაბ და უმე-
ტეს მოურავი. მოსცათ მღმერთმან ძლევა და მოსწყჯდნეს ურიცხუნი
და ივლტოდნენ თათარხანნი, რამეთუ მოსაკიდელთა დედანიცა მე-
სამე დღემდე გამოიყვანდნენ ტყოდან თათარხანთა, განაშიშულიან
და განუტევიან, ხოლო მეფემან აღიღო იავარი მათი და მოიქცა და
თავნი წარუვლინა ყეენსა შაჰაბაზს და მან წარმოუვლნნა ნიჭ-
ნი დიდნი.

ხოლო შემოქცეული მეფე ისტუმრა მოურავმან როემლი აქუ-
ნდა მანკიერება გულისა წინათქმულთათჯს და ჰყვა დაჲ შუენიერი და
კეკლუცი. იტყოდა „ვაჩვენო იგი მეფესა და უკეთუ მესიძოს, რაჲ იგი
მნებავს ვყოცა და, უკუეთუ არა ვსცნობ, რამეთუ მართალ არს თქმულ-
ნი იგი წინანი“. და განცხრომასა და ნადიმსა შინა ჰყო დაჲ თჯსი მეწ-
დედ მეფისა. არამედ ვინაჲთგან იყო მეფე ჭაბუკი აღეტყინა ტრფია-
ლებითა დამეორესავე დღესა მოითხოვა ცოლად. ესე მოურავმან
უარ თქვა მცბიერობითა „რამეთუ დიდებულთა ცოლნი არა თავს

იდებენ და სათნო იყოფენ დასა ჩემსა დედოფლად და შემასმენენ წინაშე შენსა მოსპოლვად“. მერმე კუალად ევედრა მოურავი დედასა მეფისასა დედოფალსა მარიამს, ასულსა ლიპარტიანისასა. არამედ მეფემან არა ისმინა და ქმნა ქორწილი.

ხოლო შემდგომად რაოდენთამე თთუეთა არა თავს იდებდენ მტრნი მოურავისანი წარჩინებულნი და უმეტეს შადიმან ბარათა-შვილი მამამძუძე მეფისა, ეტყოდნენ მეფესა განტევებასა ცოლისასა და მოსრვასა მოურავისასა. ამისი არა მნებებელი მეფე ჩამოიყო-ლიეს, და მოუწოდა მოურავსა, რეცა ნადიროზად ყარაიისად წავკისს მდგარმან მეფემან. და მოვიდა რა მოურავი მასვე ღამესა სწადდათ შეპყრობა მისი. ესე ესმა კახაბერს ხერხეულიძეს ფარეშთუხუცესსა მეფისასა და წამსვე აუწყა მოურავსა. მსმენელი მოურავი მყის შეჯდა ჩულიანსა ცხენსა ზედა და ივლტოდა ფიცხად, და მოვიდა ნოსტეს აჰყარნა დედაწულნი თჳსნი და შევიდა მთასა შინა. მასვე

1-30 სტრ., 424
ჟამსა მოუჴდნენ სპანი მეფისანი და დაწუეს ნოსტევი და ეძიებდენ მოურავსა და შეუკრნეს გზანი ყოველნი. არამედ მოურავმან განვლო ღამით ფონი მცხეთისა მალვით და მივიდა დუშეთს ნუგზარისა თანა, რამეთუ ასული ნუგზარისა ჰყავდა ცოლად მოურავსა (ხოლო ესე ნუგზარ იყო ერისთავი არაგვისა, რამეთუ პაპა ამისი იყო აზნაური ვანათელი და პირველსა მეფობასა სჳმონისასა უკუდგა ვანათის ცი-ხის მპყრობელი დ ამან ბრძანებითა მეფისათა შეტყუებითა აღიღ-ო ციხე იგი და მეფემან მიანიჭნა მუნ მამულნი. ხოლო ოდეს შე-იპყრეს ყიზილბაშთა მეფე სჳმონ ამანვე მოიმწო კსნის ერისთავი, დაესხა და მოსწყჳდნა თექთურმანიძე და ჭარმეული და დაიპყრა ბაზა-ლეთი. მოკუდა იგი და ხარჭისა ნაშობმან ძემან მისმან მოსრნა ძმანი თჳსნი ყოველნი, და ესე ნუგზარ ძმისწული ამისი წარიტაცეს ყრმა. შემდგომად აღზრდისა მოიბირნა ნუგზარ კაცნი და მოჰკლეს იგი. და დაიპყრნა ნუგზარ ბაზალეთი, მერმე და იმორჩილა მთიულეთი. ხოლო მოვიდა რა სჳმონ, მისცა პაპასავე ნუგზარისასა მსახურებისათჳს მი-სისა და იყვნენ ამ ჟამამდე ერისთავად).

ამას ნუგზარ განუზრახა მოურავმან წასვლა წინაშე ყეენისა, ვინაჲთგან მუნ ვერ დაუდგმიდნენ მეფესა. ამისთა დამსკუნელთა წარ-ვიდენცა და მოსრულთა აღჯაყალას დაუტევა მოურავმან ცოლშვი-ლი და თჳთ მივიდნენ წინაშე შაჰაბაზისა. მან პატივით შეიწყნარნა და ანიჭნა ბოძნი დიდნი და მიერითგან აზრახებდა ყეენსა მოურავი დაპყრობად ქართლისად. არამედ მას ვინაჲთგან გულად ედვა დაპყ-რობა და გამაჰმადიანება ქართლისა, გამოუტევა ნუგზარ ნიჭითა და მოურავი დაიპყრა მუნ ჟამადმდე.

ხოლო ყეენიდამ მოსრულმან ბატონმა თეიმურაზ კახთამან მოითხოვა დაჲ ლუარსაბ მეფისა ხუარაშან ცოლად. ესე არა ინება მეფემან ნათესაობისათჳს არამედ იძულებითა შაჰაბაზისათა მისცა და ქმნეს ქორწილი დიდებული. გარნა ამ ქორწინებისა ჟამსა შინა მოუწერა შაჰაბაზ ყაზახის შაჰსა „შემოიკრიბე გარემონი ყოვენლი და დაესხი მეფესა ლუარსაბს, მოჰკალი იგი და თავი წარმომიგზავნე

წინაშე ჩემსა“. ეგრეთვე მოუწერა მეფესა. მაშინ მეფემან მსწრაფლ შემოიკრიბნა სპანი და მოუხდა ხანსა მას და მოკლა იგი თავი წარმოუგზავნა შაჰაბაზს. ამის ჯილდოდ წარმოუვლინა შაჰაბაზ მეფესა ნიჭნი დიდნი, ესე ჰყო რათა სცნას ძალი მეფისა, თუ ევნოს ხრიკით და მიზეზ ჰყოს.

შემოსლვა შაჰაბაზისა

არამედ ამისა შემდგომად მოვიდა განჯას უგრძეულად შაჰაბაზ შევლად კახეთს, რამეთუ ეახლა მოურავი და ეუწყა ყეენისათჳს შესვლა ქართლს უმჯობეს არს ზამთარს, ვინაითგან ვერ წარველენ ხიზანნი მთათა შინა და ხელთ იგდებ ყოველთა. მაშინ ეზრახა ბატონი თეიმურაზ მეფესა ლუარსაბს ერთობასა და მეფე, ვერ მნდობი ყეენისა წინათქმულთათჳს დაჰყვა ნებასა და ჰყვეს პირი მტკიცე. არამედ განიპარნენ ნუგზარ და იესე ერისთავნი, ამილახორი ანდუყაფარ, ფეშანგი ფალავანდისშვილი, აღათანგი ხერხეულიძე და მივდნენ განჯას წინაშე ყეენისა.

მერემ მოვიდა თეიმურაზ მუხრანს ლიარსაბისა თანა. ხოლო შაჰაბაზ მოვიდა კახეთიდამ ქართლს, ლამოდენ მეფენი ბრძოლასა, არამედ ქართველ-კახთა არა ინებეს წინათქმულთა და დდიდთა სპათათჳს შაჰაბაზისათა და წარვიდენ მეფენი იმერეთს ქ˜ეს ჩ˜ქიე ქართ/ ტ˜გ თათრულსა ჩ˜კდ. მოეგება მეფე იმერთა გიორგი და ისტუმრა კეთილად. ხოლო შაჰაბაზ მოვიდა გორს და ეზრახა გიორგი მეფესა, რათა მისცეს მეფენი და მან აღავსოს ნიჭითა და საგანძურითა, ამას ზედა წარმოუვლინა გიორგი მეფემან კათალიკოზი მალაქია და აბაშიძე ლევან ძღუნითა მეტყუელმან „გევედრებით რათა პატივს გვცე და მისცე მეფეთა სამეფონი თჳსნი და იმსახურენ მით ვითარცა პირველ მამათა შენთა და თქუენ წარხვიდეთ“. იხილა ესე შაჰაბაზ, რამეთუ ძალითა არღარა ეგების შოვნა მათნი, აწ იჴმივა ხუანჯი და მცბიერობა, მოიჴმო შადიმან, გამზრდელი ლუარსაბ მეფისა იტყოდა მას:

„ვითარმედ უგულებელს ვყოფ სჯმონ მეფის შვილისშვილსა და გიო-
რგი მეფის ძესა. გარნა უწყი, რამეთუ მომიცთუნა თეიმურაზ და აწ
უწყოდე შენ მტკიცედ უკეთუ მოვიდეს ჩემთანა მივსცნე თჳსნი ყო-
ველნი და უმეტესნი სხუანიცა“. ტირილით შეჰფიცა და სარწმუნო
ჰყო შადიმან ხოლო კათალიკოზსა და ლევანს მისანიჭა მრავალნი და
მიუმცნო გიორგი მეფესა „არს მტერი ცემი ძუელადვე თეიმურაზ
და მას ვერ მივინდობ. არამედ უკეთუ მოვალს ლუარსაბ მეფე მივა-
ნიჭებ ყოველსავე მსახურებისათჳს მამა-პაპათა მისთა“. და წარავ-
ლინა ესენი და წარუვლინა ჴმალი მოოჭვილი მეფესა ლუარსაბს
ჴელითა საჭურისისა თჳსისასა და წიგნი დისა ლუარსაბისა მოსლვი-
სათჳს, რათა არა რაჲ აქუნდეს შიში.

მაშინ მისრულმან წინაშე მეფისა შადიმან სარწმუნო ჰყო ყე-
ენისაგან ლუარსაბ მეფე და აღეკაზმაცა მეფე წარმოსვლად. _ ამას
უშლიდნენ მეფენი და წარჩინებულნი იმერნი წარსვლასა და არა უს-
მინა მეტყუელმან „უკეთუ არა წარვიდე, ამიყრის ქუეყანათა და მო-
აოჴრებს, რა მადლი არს ჩემდა“. ესმა რა შაჰაბაზს მოსლვა ლუარსა-
ბისა შეჯდა და გამოვიდა ნადირობად, მჩუენებელი სპათა თჳსთა და
მეფისა ვითარცა მიმგებელი. გარნა რა იხილა ლუარსაბ, შაჰაბაზ იწ-
ყო ტირილი მეტყუელმან „ვითარ გიყოფ ბოროტსა ახოვანსა და
შუენიერსა, ერთგულთა ჩემთა ძესა“. სცა პატივი სწორ თჳსად, და
შემდგომად წარმოვიდა ტფილისს., ეტყოდა მეფესა მუნ დატევებასა.
არამედ ტფილისს ჰრქუა „წარვიდეთ ნადირობად. ყარაიისად“. წარ-
ვიდა და წარიყვანა მეფე.

მაშინ კალის ციხესა შინა დაუტევნა სპანი მცველად ციხისა ცი-
ხისთავითურთ, რომელსა აწ უწოდდენ ქუთვალსა და მიმბაშსა, და
დაიპყრა თჳსად. ხოლო მისრულთა ყარაიას ინადირეს და სჭურეტდა
არამი ყეენისა. მას დღესა მოკლა მეფემან ი˜გ ჯერანი და სხუანიცა
ნადირნი. ამას განკჯრდა შაჰაბაზ და აღეგზნა შურითა, რამეთუ მტერ

იყო ყოველთა ახოვანთა. არამედ მოუმცნო დამან თჳსმან თინათინ-
ცა ცოლმან ყეენისამან, რათა არა ეჩვენოს მჴნედ ახოვნად, გარნა
არა ისმინა მეტყუელმან „უწყი, რამეთუ არრარა განმიტე-
ვებს, ამისთჳს უმჯობეს არს სიკეთისა ჩვენება ვიდრე სიავისა“. გარ-
ნა შაჰაბაზ ლიქნიდა ტკბილად რათა არა განევლტოს მეფე მუნ
და ეტყოდა „ვინაჲთგან ხარ რაინდი და უცდური მოისარი, ვინადიროთ
ყარაბაღიცა“. ხოლო ყარაბაღს ეტყოდა ნადირობასა მაზანდარისასა
და მიიყვანა მაზანდარანს და მუნ აიძულებდა უარისყოფად ქრისტესა.
ხოლო მეფემან არა ინება.

შემდგომად მრავლითა ლიქნითა და ნიჭითა და შინებითაცა უთქმიდა, არამედ მეფე დაადგრა სიმტკიცესა ზედა. ამისთჳს პატიმარ ჰყო მეფე. მაშინ ეზიარა პატიოსანსა სისხლსა და ჴორცსა უფლისასა და ატირნა მთავარნი თჳსნი წესითა ქართულითა ვითარცა მკუდარსა ზედა და მეფე შესხმისა წილ იტყოდა „აგრე ჩემმან სულმან“.

შემდგომად წარავლინა შაჰაბაზ მეფე გულამყალას შირაზს და პატიმარ ჰყო მუნ, მერმე კუალდ არა დასცხრა მძჳნვარებად, წარავლინა შჰაბაზ და მოაშთუეს მუნ ციხესა შინა მეფე ლუარსაბ მშჳლიდის საბლით ქ˜სა ჩ˜ქკბ ქართ. ტ˜ი 1622,
და შეირაცხა წმიდათა მოწამეთა თანა და აწცა არს წმიდა გუამი მისი მუნ.

ხოლო შექცევასა შაჰაბაზისასა ქართლიდამ დაშთა უმეფოდ ქართლი, რამეთუ არა დაშთა ძმა ანუ ძე ლუარსაბ მეფესა და იყოფოდნენ მთავარნი თჳს-თჳსად და განიმკჳდრებდნენ თჳსთა კერძოთა. მერმე რა დაიპყრა კახეთი კუალად ბატონმან თეიმურაზ, ესე ესმა შჰაბაზს, განძჳნდა და მოვიდა კახეთს და მუნიდამ ტფილისს ქ˜ესა ჩ˜ქივ ქარ. ჩ˜ქივ, 1616 თათრულს ქორონიკონს ჩ˜კდ.

1-28 სტრ., 428

პ˜ზ მეფე ბაგარტ გ˜ წელი მეფა

მაშინ ტფილისს დასვა მეფედ ქართლისად ბაგრატ ძე დაუთხანისა, ნაშობი კახთ-ბატონის ნათესავისა, და თვით უკუნ-იქცა შაჰაბაზ, აჰყარა კახეთი და მივიდა ისპაანს.

ხოლო ესე ბაგრატ იყო ფრიად მოჰმადიანი და არა რაჲ კეთილი იყო მისთანა. სძულობდენ ქართველნი და იყო საბარათიანოს და უჴმობდნენ საბარათიანოს ბატონსა, არცაღა თუ ეგნეთ ერჩდნენ და მორჩილებდნენ. შემდგომად ბოლნის ყოფასა შინა მოკუდა ბაგრატ ქ˜სა ჩ˜ქით 1619 ქარ.ტ˜ზ. ხოლო ცოლი მისი ანნა ძით სჳმონით იყოფოდნენ ტფილისს და სომხითს და არცა მას მორჩილებდნენ ქართველნი ეგდენად ვითარცა მოსწყვიდა ბარათამ სახლეულნი თჳსნი და ყაფლან ძმისწული მისი ივლტოდა და მივიდა წინაშე შაჰაბაზისა. ამისთჳს წარმოუგზავნა შაჰაბაზ სპანი და მოეწივნენ ბარათას ფარავანსა ზედა და მოკლეს იგი.

კუალად ამ წინა ჟამებთა მომკვდარ იყო ნუგზარ და დაჯდა ძე მისი ბაადურ ერისთავად. ამას არა მორჩილ ექმნა ძმა თჳსი ზურაბ, განაძო იგი და წარვიდა ცოლით წინაშე შაჰაბაზისა. მან კეთილად

შეიწყნარა შუამდგომელობითა მოურავისათა, რამეთუ იყო აღზრდილი მოურავისა. შემდგომად მისცა ნიჭი შაჰაბაზ და ერისთაობა და გამოუტევნა და დაშთა ცოლი მუნ. მოსრულმან ზურაბ ძალითა ყეენისათა და სჳმონის მწეობითა დაიპყრა ბაზალეთი და განაძო ბაადურ ძმა თჳსი და მივიდა საჩინოს ბაადურ. ხოლო ზურაბ მოიმწო სპასპეტი საბარათიანოსი ბარათა ბარათაშვილი და დაუწყო კირთება მთიულ-მოჴევეთა და დაიპყრნა იგინი და განძლიერდა ფრიად (რამეთუ იყვნეს სახასონი მეფისანი და აქამომდე არა ეპყრათ ჴევი ამათ, არამედ მთიულნი ერჩდენ მცირედ). ხოლო საჩინოს მყოფსა ცოლსა ბაადურისასა ეტრფილადა საზვერელი ჩიჯავაძე და ცოლისა მისისავე ნებითა მოკლა ბაადურ და შეირტო მან ცოლად.

1-24 სტრ., 429
მცნობმან ამისმან ზურაბ წარვლო ფერსათის მთა. არამედ მას ღამესა იხილა სიზმარი ცოლმან ბაადურისამან, რამეთუ მოჰკლეს საზვერელი და ტყვე ყვეს იგი. უთხრა ესე ყოველი საზვერელსა, ხოლო მან არა უსმინა და ქალი იგი შევიდა ციხესა და განამაგრა. დილას დაესხა ზურაბ, მოჰკლა საზვერელი, მოჰკვეთა თავი და წარმოვიდა. გარნა ციხესა ვერ ავნო და მოვიდა გამარჯვებული. იხილა რა ესენი სჳმონ, ძემან ბაგრატისამან, რამეთუ მიიღეს მთავართა თჳს-თჳსნი კერძონი და არღარასა მორჩილებდენ,წამოვიდა წინაშე ყეენისა.

ამისი მხილეველი ზურაბ ერისთავიცა წარვიდა წინაშე ყეენისა, რათა არა შესმენილ იქმნეს. ხოლო ყეენმან განიგულა საქმე მათი და შეუძნდა განდგომილებისათჳს ქართლისა, მოუწოდა მოურავსა და ზურაბს ვინაჲთგან მოურავი სახელოვან იქმნა მის წინაშე ბრძოლათა შინა და იახლა ბაღდადს და ყანდაარს, ამისთჳს სწყალობდა და უსმენდა. ამათ წარმოატანა ყარჩიხან სპითა დიდითა და ამცნო, რათა მოსწყჳდონ კახეთი და აჰყარონ ქართლი და წარუგზავნონ მას. კუალად წარმოატანა სჳმონცა ძე ბაგრატისა მეფედ ქართლისად რათა ვერ სცნან საქმე იგი ქართველთა და მისცა სჳმონს ასული ყორჩიბაშისა ჯანბანუმ ცოლად. ესენი რა მოვიდნენ, აღუძნდათ ქართველთა სპათა სიდიდე. არამედ მოურავმან და ზურაბ ფიცით არწმუნათ, რამეთუ მოგცათ ყეენმან სჳმონ მეფედ და ამის გამო მიენდუნენ სრულიად ყოველნი ქართველნი.

პ˜ჱ. მეფემან სჳმონ ზ˜ წელი მეფა

მერმე მოვიდნენ ტფილისს და დაუტევეს მუნ სჳმონ მეფედ და თჳთ სპითა წარვიდნენ, და დაადგნენ მუხრანს. მუნ მოუწოდეს კახთა და უყვეს, რაი იგი აღვწერეთ და მცდელობდნენ აღყრას ქართლისასაცა. არამედ მოურავმან მონადირემან ლოჭინისა ჴევსა შინ იხილა

1-30 სტრ., 430
შიკრიკი ერთი მომავალი. შეიპყრა იგი და იხილა წიგნი, რომელსა შინა ეწერა ყარჩიღახანისა თანა შაჰაბაზის მიერ „რათა მოსწყჳდონ კახნი და აჰყარო ქართლი; მოკუეთე თავი მოურავსაცა და წარმოგზავნე წინასე ჩემსაცა“. განცვიფრებულმან ამისთვის მოურავმან მოჰკლა შიკრიკი და დაფლა მუნვე და მოვიდა ზურაბ ერისთავისა თანა ფარულად. ეზრახა მოწყვედასა ყიზილბაშისასა და აუყერლობასა ქართლისასა. არამედ ზურაბ მიზეზ-ჰყო ცოლი, რომელი ჰყვა ისპაანს, და მოურავს ძე პაატა. ხოლო მოურავმან აღუთქვა შერთვა ლელა ბატონისშვილისა დისა ბაგრატისა, და მრავლიტა ლიქნითა და იყოლია და ზურაბ დასთმო ცოლი და მოურავმან შვილი და დაასკუნეს ღალატი ყიზილბაშთა.

მერმე მოვიდა მოურავი და აზრახა ყარჩიხანს, რათა მოუწოდონ ქართველთა და აღასრულონ ბრძანებული. ამისთვის ნება-სცა ყარჩიხან და მოწოდებითა შემოკრიბნენ ქართველნი. ხოლო შემოკრებულთა წარჩინებუთა ეტყოდა ზურაბ და აუწყა და ვედრებული ყეენისა, რატა არა ჰონ ესე და არა მოაოჴრონ ქართლი და მიჰყვნენ ნებასა მათსა. მაშინ მათ ყოველთა ფიცით აღუთქვეს, რაი იგი მათ უთხრან იგიცა ჰყონ ყოველთა. არამედ ანდუყაფარ ამილახვარსა ვერ გაანდვეს ესე, რამეთუ ჰყვა ცოლად სჳმონ მეფის ცოლის დაჲ, ასული ყორჩიბაშისა, მონათსავე ყეენისა, და იყო ანდუყაფარ გამოჰმადიანებულცა. ამისთვის შეიპყერს იგი საფურცლის ჭალასა შინა და ცოლიცა მისი წარავლინეს და პატიმარ-ჰყვეს არშას ციხესა შინა. დილას დაესხნენ ყარჩიხანს ქართველნი ზურაბით. ხოლო ყიზილბაშთა შინა მყოფი მოურავი შეუჴდა ყარჩიხანს და მოკლა, და შვილმან მისმან ზურაბ შვილი ყარჩიხანისა და მოსწყვიდნეს ყიზილბაშნი, ვითარ მცირედნიღა გარდაიხვეწნეს ქ˜სა ჩ˜ქკგ, 1623 ქარ. ტ˜ია,
ქართულსა ჩ˜ლდ 1623. და აღივსნენ იავარითა და ალაფითა მათითა (გარნა თუმცა არა ეხილვა მოურავსა წიგნი იგი შიკრიკისა, აყრილმცა იყო ქართლი გარნა იჴსნა ღერთმან ერი თვისი ესრეთ).

დღესა მასვე სიტყვითა მოურავისათა წარვიდენ სპანი ქართლი-

1-27 სტრ., 431
სანი ერთი ახალციხეს, მეორე ზურაბით კახეთს და მოურავი მიუჴ და თფილისს აღიღო ქალაქი, ხოლო ციხეს ვერ ავნო. ეგრეთვე ყვეს ახალციხესაც. არამედ კახეთს ივლტოდა ფეიქარ ხანი რომლისაცა ენებათ ცოლის წაგვრა ლელა ბატონის შვილისა, და მივიდა მუნ ზურაბისა თანა მოურავიცა და მიჰყვნენ ფეიქარხანს ბარდამდე, და მას ვერღარა ეწივნენ, შემოიქცეს მოარბიეს განძა, ყარაბაღი და და მო-

ვიდნენ ალაფიტა სავსენი ქართლს.

მაშინ დაადგინეს განმგებლად ქართლისად ქაიხოსრო ძე მუხრა-
ნის ბატონისა ვახტანგისა. არამედ უწოდეს სახელით ოდენ, გარნა
იყო მოურავი მოქმედი ყოვლისა და მორჩილებდეს მას ყოველნი
ყმურად. ხოლო ამათ მოუწოდეს ბატონს თეიმურაზს და დაიპყრა მან
კახეთი და მოსცა ასული თვისი დარეჯან ზურაბ ერისთავსა სათნო-
ჩენითა მოურავისათა.

მიესმა ესე ყოველი შაჰაბაზს, მოსვრა სპატა თვისთა და დაპყრო-
ბა კახეთისა თეიმურაზისაგან; განრისხებულმან წარმოავლინა ისა-
ხან ყორციბაში სპითა დიდითა ასე მოვიდა და დაიბანაკა ალგეთსა
ზედა. მაშინ შეერთებისათვის კახთა მოიყვანეს ბატონი თეიმურაზ
კახათა სპიტა შეიკრიბნენ და დადგნენ კოჟორსა ზედა. მოვიდა ათაბა-
გი მანუჩარ ლტოლვილი სამასითა კაცითა. ხოლო სპასპეტსა საბა-
რათიანოსასა ბარათა ბარათაშვილის ეშინოდა განლტოლვად ბარა-
თიანთა. ამისთვის განზრახვითა მისითა განთიად კოჟრიდამ დაესხნეს
ყორჩიბაშს და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდა სიმრავლე ორგ-
ნითვე ქ~სა ჩ~ქკდ 1624, ქარ. ტ~იბ, თათრულს ნ~ ლდ, ივნისსა შინა, და ივ-
ლტოდენ ყიზილბაშნი. ხოლო ქართველნი ალაფობდნენ გატეხილ-
ჯიდამდე.

არამედ ამირ გუნახან ერევნის ბეგლარბეგი ვერ მოესწრა ომსა.
და რა ესმა ჯმა ბრძოლისა მოისწრაფა და მოვიდა მარაბდის გორი-

დამ და იხილნა ყიზილბაშნი ლტოლვილნი და მცირედნი ქართველ-
ნი შეკრებულნი ერთად, რამეთუ ზურაბ ერისთაბი დაკოდილი იყო
თავსა ზედა და მას შეეწეოდნენ. მოეტევა ხანი ამათ და იქნა ბრძოლა
კუალად უძლიერესი მცირეთაგა, ვინაითგან დიდად მჯნეს გამოჩნდა
ბატონი თეიმურაზ, მოურავი და მუნ დამსწრენი ქართველნი. მაშინ
ათაბაგი შეხუდა ამირ გუნახანს და ჰკრა თავსა ჯრმალი და გაუპო
თაჯი და ავნი დიდი. ეტყოდა ამირ გუნახანს ათაბაგს „უპურმარი-
ლოვ“, რამეთუ გაეზარდა; გაუშვა ათაბაგმან და წარვიდა. ხო-
ლო მჯნედ მბრძოლი მოკლეს თეიმურაზ მუხრანის ბატონი და გან-
ჯდა ჯმა და ჰგონეს ყოველთა კახთბატონის სიკვდილი და ივლტოდ-
ნენ კახნი და ქართველნი.

ამისნი მხილველნი ყიზილბაშნი უკმოიქცნენ და მოსწყდდენ
უწყალოდ ქართველთა, მოკვდა ამ ომსა შინა ყიზილბაში ი~ჱ ჩ~, ქართველი და
კახი ჱ~ჩ~
და ზურაბისა შ~. შემდგომად ბრძოლისა მო-

ვიდნენ ყიზილბაშნი ტფილისს და გამოვიდნენ ტფილისს ციხესა შინა მდგომი სპანი მორბევად ლისისა. ამათ მოუჴდა მოურავი სამოცითა კაცითა, აოტნა და მოსწყვიდნა შვიდასი და მცირედნი შეიხვეწნენ ტფილისვე.

კუალად გამოვიდა ღართისკარს მოურავი, შთახერგა გზები, და ამაგრებდა ზემო ქართლს. არამედ ყორჩიბაში მცდელობდა გამოყვანასა ამილახვრისასა ცოლით არშიდამ და არა ძალ-ედვა ამის ყოფად. ამისთვის ეზრახა ზურაბ ერისტავსა, რათა გამოაყვანინოს იგინი. მაშინ ზურაბ ნება-სცა პაემანითა ამით, რათა შევლონ გზა მისი არაგუსა ზედა და ცამოვლონ კსანსა ზედა, რათა არა მოჴვრდეს მამული მისი. ესე აღუთქვა ყიზილბაშმან ბიცითა მტკიცითა და უთავა სპათა თვისთა ყორჩიბაშთა ხოსრო-მირზა და წარავლინა (ხოლო ესე ხოსრო-მირზა იყო ძე დაუთხანისა ნაშობი ხარჭისაგან ისპაჰანს ყოფასა შინა და მიერითგან იყო უპატიოდ და უპოვარ ფრიად; და ოდეს იყო მოურავი მუნ, მოვიდა დარვაზობად ხოსრო-მირზა მოუ-

რავისა თანა. რა იხილა მოურავმან, მიეგება და დასვა ადგილსა თჳსსა ზედა და თვით დაუჯდა შორეს. ამის მხილველთა ყიზილბაშთა ჰკითხეს მოურავსა ვინაობა მისი. ხოლო იგი ეტყოდა მათ ძედ პატრონისად თჳსისად.

ამისთჳს აცნობეს ესე შაჰაბაზს და პატივ სცა და მისცნა ნიჭნი და მოურაობა ისპახანისა. არამედ ესე არა ჰყო მოურავმან სიყუარულითა პატრონისათა, გარნა რათა აღუდგინოს ლუარსაბ მეფესა მეტოქი). ხოლო ყიზილბაშთა წიწამურის ბოლოს დახუდა მოურავი და ავნო დიდი ყიზილბაშთა. არამედ სძლეს სიმრავლით, განვლეს და დადგეს მუხრანს. მერმე შევლეს დუშეთი და განველეს მთიელეთი და გარდავიდნენ ჴევს და გაოიყვანეს არშიდამ ანდუყაფარ და ქალი იგი, მერმე გარდმოვლეს მთა ლომისა და შთამოვიდნენ კსანსა ზედა
.
მაშინ შეკრბნენ ერისთავი კსნისა იესე და ძმა ზურაბ ერისთავისა გიორგი. რამეთუ ზურაბ ფიცისათჳს არღარა ინება, და შეჰკრეს გზა კსნისა და მოურავიცა დახუდა კსნის ბოლოს, მოსრვიდნენ ყიზილბაშთა ესერეთ, რამეთუ კსანი იქმნა, ვითარცა სისხლი. შეიპყრეს ხანი ყაზახისა და სულტანი სამი. არამედ მჴნედ იყო ხოსრო-მირზა, რამეთუ ვერ წარგვარეს ქალი იგი, გამოიყვანა და მოგვარა ყორჩიბაშს. მერმე წარავლინა ყორჩიბაშმან სპანი მორბევად სომხით-საბარათიანოსად.

ხოლო მოურავმან განამაგრნა ციხენი კიკანათბერი, ალისა, სუ-

რამისა, კეხვისა და წარვიდა სამცხეს, რამეთუ მუნ ჰყვანდა დედა-
წული თჳსი. კუალად წარავლინა ყორჩიბაშან სპანი დასხმად მოუ-
რავისა; მისრულთა ყიზილბაშთა გარემოიცვეს ასპინძა. მაშინ მო-
ურავი იყო ნადიროაბასა და მუნიდამ იხილა ასპინძა მოცული ყიზილ-
ბაშითა, მოეტევა მცირედითა კაცითა, ეკუეთა და აოტნა ყიზიბაშ-
ნი და მოსწყჳდნა იგინი და მცირედნი ივლტოდნენ. მაშინ ეპყრათ
ყიზილბაშთა ხერთვისი და რომელნიმე ციხენი სამცხისანი. შეუჴდა
მათ მორავი, მოსწყჳდნა მეციხოვნენი და დაიპყრა თჳსად, წარავ-

1-29 სტრ., 434
ლინა წინაშე ხონთქრისა ქავტარიშვილი გიორგი და მოითხოვა სპა-
ნი მისნი, რათა დაიპყრას მან იგი, და ხონთქარსა სთნდა, მოსცნა ნიჭ-
ნი დიდნი მოურავსა და იენგიჩარნი და დაიპყრნეს ციხენი იგინი.

არამედ ყორჩიბაშ იდგა ჟამ-რაოდენმე ტფილისს, მერმე დაუ-
ტევა სჳმონ მეფე ტფილისს და თჳთ წარვიდე ამასვე ქორონიკონსა.
მაშინ მისრულსა ისპაანს მსახურებისა მისისათჳს მისცა შაჰაბაზ ხოს-
რო-მირზა ყულარაღასობა. ხოლო მოურავი იყო სამცხესა, შემდგო-
მად მივიდა იმერეთს გიორგი მეფისა თანა, მერმე ისტუმრა ლევან
დადიანმან, მუნიდამ შემოვლო კუალად იმერეთი და მოვიდა სამ-
ცხესვე.

ამ ჟამებთა მოიმწო ანდუყაფარ ამილახორმან კსნის ერისთავი,
რამეთუ შესწამა შეპყრობისა თვისისა უწყება ღაზნელსა, დაესხა და
მოსწვიდა იგი და განიყვეს მამული მისი, ქოლოთ-ქვითკირი დაი-
პყრა ქსნის ერისთავმან და ნეშტი ამილახორმან. მერმე მოვიდა
მცხეთას ანდუყაფარ, შეიპყრა დეკანოზი მისი და წარუხუნა საგან-
ძურნი მცხეთისანი და აქადებდა დეკანოზ დაძახებასა მუნ მუყრისა-
სა; მუნით მოვიდა ტფილისს დაციხისთავისა თანა მჯდომარე კალის
ციხესა შინა განმზრახი წინათქმულთათვის, აღდგა რა წარმოსვლად, უბრკმა,
დაეცა ლანძვსა, განხეთქ იგი და გარდმოიჭრა ქალაქისაკენ
და მოკუდა ანდუყაფარ ბოროტად. შემდგომად ამისა მოსწყჳდნა იესე
ქსნის ერისთავმან ძმანი თვისნი ცოლშვილითა სრულიად.

ხოლო მოურავი მოვიდა სამცხიდამ ქართლს, კუალად შეკრეს
მოურავმან და ზურაბ ერისთავმან პირი, მოიყვანეს და დასვეს ქაი-
ხოსროვე გამგედ ქართლისად. არამედ იყვნენ იგინი საქმისა მყო-
ფელნი, რამეთუ სჳმონ მეფე ვერ გამოვიდოდა ტფილისიდამ ამათ
მიერ. კუალად ჟამთა ამათ არა მოსცეს დუალთა ბეგარა მოურავსა,
გარადავლო სპითა მოურავმან ზეკარა, შთავიდა და მოსრნა ურჩნი
და ყვნა კუალად მებეგრედ და მოვიდა ქართლს. კუალად მელიქი სომ-
ხითისა ათაბეგ და ზაქუმ ერთგულებდენ ყეენს; მიუჴდა ამათ მოუ-

რავი, ხოლო იგინი ივლტოდნენ და წაგვარნა დედა წულნი და ქონე-

1-31 სტრ., 435
ბანი და წარმოვიდა. არამედ ქაიხოსრო ბარათაშვილი მოყუროობდა როსტომ სპასალარსა და უვლინებდა როსტომ საგანძურსა მრავალსა, ამისთჳს არა ერჩდა მოურავსა. კაულად მოიყვანნა ამათ ხუთასნი მეთოფენი ყიზილბაშნი და შეაყენნა ბირთჳსს ციხესა შინა. ესე შეუძნდა მოურავსა და დილასა ერთსა დაესხა ტბისს და შეიპყრა ქაიხოსრო და ხოსია ძმა მისი მის თანა. მაშინ ქაიხოსროს გამოაყვანინა ყიზილბაშნი ბირთვისიდამ და მოსწყჳდნა ხუთასნივე და ხოსია პატიმარ ჰყო ციხესა შინა კიკანათბერს.

კუალად ეთქუა მუქარა ქუელს წერეთელს მოურავისა. მიუჴდა მოურავი და მოწვა მამაული მისი. წარმოსრულს მოურავს ეწია ქუელი და ბრძვეს ურთიერთს. არამედ მოურავმან განაწონნა სამნი ისარნი მკერდსა და ივლტოდა ქუელი, ხოლო მოურავი მოვიდა გამარჯუებული.

ამისა შემდგომად უმეტესად განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა ერჩდა მოურავსა. ესე შეუძნდა მოურავსა, უფროსად მოუდგა ქაიხოსროს და არღარა ჩამოუშვა ზურაბ ქართლსა შინა. მაშინ ზურაბ მოიყვანა ბატონი თემურაზ და ინება მისთჳს ქართლისა მეფობა. ხოლო კახთა შთააგდეს შური ზურაბსა და ძმასა მისსა გიორგის შორის „რამეთუ გიდგების ღალატად ბრძოლასა ამას შინა, ვინაჲთგან არს იგი ზიშე ქაიხოსროსი (რამეთუ გიორგის ჰყვანდა თეიმურაზ მუხრან-ბატონის ასული ცოლად) და თჳთ ნებავს ერის თაობა“. ირწმუნა ზურაბ, შეიპყრა გიორგი და აღმოჴადნა თუალნი.

ხოლო მოურავმან შეიკრიბნა სპანი ქართლისანი ითხოვა ნიჭადი იმერთა მეფის გიორგისაგან და საფარ ფაშის სამცხელისაგან, და მათ მოსცეს, და შეკრებული ყოვლითა ამით მიუჴდა დუშეთს, შეიბნენ ბაზალეთს და არა დაშთა კაცი, რომელი არა დაიკოდა, თჳთ ბატონი თეიმურაზ მოურავი და ზურაბ. გარნა სძლეს მოურავსა და ივლტოდა სამცხეს ქაიხოსროთით ქ˜სა ჩ˜ქკბ 1626, ქარ. ტ˜იდ. არამედ ცოლშვილი ქაიხოსროსი და ძმისწულნი მისნი წარვიდნენ იმერეთს.

ხოლო ქაიხოსრო და მოურავი წარვიდნენ სტამბოლს წინაშე ხონთქრისა. მისგან მოითხოვეს სპანი რათა დაუპყრან ქართლი და

1-28 სტრ., 436
მუნცა მაჰმადიანი იქმნა მოურავი. მაშინ ზავი იყო ხონთქარსა და ყეენსა შორის და არა ინება ხონთქარმან, არამედ წარავლინა ქაიხო-

სრო და მოურავი სხვასა ქვეყანასა ბრძოლად და, უკეთუ დაიპყრან იგი შემდგომად წარავლინოს ქართლს სპითა დიდითა მისრულთა ვეზირ-აზამისა თანა ქაიხოსრომ და მოურავმან ქუეყანასა მას დიდ-ნი სახელნი ქმნა მოურავმან და დაიპყრა ქუეყანა იგი, და ესე აუწყეს ხონთქრასა. არამედ ცოლი ვეზირ აზამისა იყო დაი ხონთქრისა. ამან მჭმუნვარემან მიუწერა ქმარსა, თვისსა „ რაჲ არს ესე, რომელ განდიდნა სახელი მოურავისა და არა ისმის საჴსენებელი შენი ამისთჳს უმჯობეს არს სიკვდილი შენი ყოფასა შენსა“. განრისხნა ვეზირ-აზამი, შეიპყრა ქაიხოსრო, მოურავი და ყოველნი ქართველ-ნი მათ-თანანი და წარკუეთა ყოველთა თავნი. არამედ გორგასლის შვილს ბეჟანს არა ჰკვეთდენ თავსა, ეტყოდა მამა მისი მტარვალსა მას ნიჭის მიცემითა „მე მომკვეთე თავი დაგანუტევე ძე ჩემი“, რამეთუ იგი განტევებულ იყო ნიჭისა მისთჳს, განუტევა ბეჟან და წარკუეთა თავი გორგასალს და დედა წული მოურავისა დაშთა აზრუმს. ხოლო ბატონმან თეიმურაზ დაიპყრა ქართლი და კახეთი. ესე მტერობდა ძეთა და ძმისწულთა ქაიხოსროსათა და არა უტევებდა მუხრანს, არა-მედ მისცა ძესა თჳსსა დათუნას.

შემდგომად მოკუდა შაჰაბაზ ყეენი ქ˜სა ჩ˜ქკ 1628, ქარ. ტ˜ივ, თათ-რულსა ჩ˜ლ იწყეს ყიზილბაშთა შფოთებად. მაშინ ხოსრო-მირზამ შემოიკრიბნა ყულნი, გამოიყვანა შაჰ-სეფი და დასვა ყეენაად და მოსრნა წინააღმდგომნი. მიერითგან უწოდებდა ყეენი მამად ხოს-როს ესე მოირჭმა და განმდიდრდა ფრიად,

ხოლო შემდგომად შთავარდა შური ბატონს თეიმურაზსა და ზურაბ ერისთავს შორის. გამოიყვანა ზურაბ სჳმონ ტფილისი-დამ და დაიპყრა სჳმონ სრულიად ქართლი. ჟამთა ამათ ჩამოვიდნენ მუხრანს ძენი და ძმისწულნი ქაიხოსროსნი და დაიპყრნეს თჳსნი ყო-

ველნი. ხოლო სჳმონ მეფე უჴმობდა ზურაბს მამასა, და ამის მხილ-ველი და უღონო ქმნილი ბატონი თეიმურაზ წარვიდა წინაშე ყეენი-სა და უფადარიდამ მოსწერა ზურაბს „შეუგვანებელ არს განწირვად სიძისაგან სიმამრისა, გარნა ვიხილოთ უკანასკნელი შენი და სჳმონი-სა“. ესე შეუძნდა ზურაბს, რამეთუ სწადდა რათა იყოს თეიმურაზ კახთ-ბატონად და სჳმონ ქართლისად და ორნივე იყვნენ მავედრენი მისნი, ამისთვის აწ განიზრახა ბოროტი, მოვიდა ღამე ცხჳლოსს შემდგომად სჳმონ მეფისა თანა, შევიდა და მოკლა იგი ქ˜სა ჩ˜ქკთ ქარ. ტ˜იზ. და წარუვლინა თავი თეიმურაზ. მოიქცა თეიმურაზ და დაიპ-ყრა ქართლი და კახეთი.

პ˜დ. თეიმურაზ ა˜, კახთა ბატონი

მაშინ მოიკსენა შური წუქეთის სულტნისა, ხოლო წარსულმან მას ზედა შეიმუსრა ბეჭი, ამისთვის სპათა უთავა ზურაბ ერისთავი მისრულმან მოკჰლა სულტანი და მოსტყვევნა ქვეყანა მისი და მოვიდა თეიმურაზისა თანა. არამედ მიერით ბატონს ტეიმურაზს აქუნდა შური ზურაბ ერისთავისა ოდეს მოკლა სჳმონ და ვინაჲთგან განდიდნაცა ფრიად, ამისთვის უდგა ღალატად მარადის. შემდგომად ზამთარს მდგომმან საფურცლეს იცა ჟამი და მოკლა ზურაბ; მერმე შევიდა დუშეთს წარმოიყვანა ასული თვისი და მისცა ცოლად იმერთა მეფის ძეს ალექსანდრეს მზითვითა დიდითა. შემდგომად შემოიკრიბნა ორნივე სპანი და მიუჴდა და ულუკოსორს, მოსრნა მახჳლითა და მოსტყვევნა იგინი და მოვიდა გამარჯჳებული. კუალად შემოიკრიბნა სპანი ორნივე და დაესხა ყარაბახს მოსწყვიდნა და მოსტუევნა აღიღო ალაფი დიდძალი და მოვიდა ქართლს. ამისთჳს უმეტეს ლაშკრობდა თეიმურაზ რამეთუ აქუნდა სპათა სიმრავლე და რათა განიმკჳდროს ორნივე ქუეყანანი. ხოლო ჯამთა ამათ მოვიდა უნდილაძე დავით განჯის ბეგლარ-ბეგი და ბატონმან თეიმურაზ დასხნა ელითურთ იორის პირსა ზედა. ესე მოითხოვა ყეენმან და არა უკუნსცა ბატონმან თეიმურაზ. ამას ზედა განრისხნა შაჰ-სეფი ყეენი და

1-26 სტრ., 438
წარმოავლინა სპასალარი როსტომ სააკაძე სპითა დიდიტა და წინჴსენებული ხოსრო მირზა მეფედ ქართლისად (და ხოსროს უწოდა როსტომ) დიდითა ნიჭითა კახეთი მისცა სალიმხანს.

ხოლო ესე ყოველნი მოვიდნენ ერთბამად და დადგნენე ხუნანს. ამისმან მსმენელმან ბატონმან თეიმურაზ შემოიკრიბნა სპანი საფურცლეს და ლამობდა ბრძოლასა, ვინაითგან ჰყვა ბარათიანთა ცოლნიცა თჳსთანა მუნ. არამედ ბარათიანთა დაუტევნეს ცოლნი თჳსნი და მივიდნენ წინაშე როსტომ მეფისა. ვინაჲთგან ვახტანგ ძე თეიმურაზისა, მუხრანის ბატონი პირველვე მიეგება როსტომს ნათესაობისათჳს და ესე ჰყევს ბარათიანთაცა ამისთჳს. ამისი მხილველი თეიმურაზ განრისხნა და მოინება დაჭრა ცხვირპირთა ცოლთა ბარათიანთათა. არამედ არა აუფლა ხვარაშან დედოფალმან. გარნა ესე-ვითარებისათჳს ვერღარა წინა აღუდგა თეიმურაზ სპარსთა და წარვიდა იმერეთს. მცნობმან სპასალარმან წარმოუყენა სპანი; ესე ეწივნენ პერანგის მთასა ზედა ხიზანთა, მოსრნეს და ტყუე-ყვნეს და შემოიქცნენ ტფილისს, და სპასალარი როსტომ და როსტომ მეფეცა მოვიდნენ ტფილისს ქ˜სა ჩ˜ქლდ 1634 ქარ ტ˜კბ.

პ˜ე მეფე როსტომ კ˜დ წელი მეფა

ხოლო დასუეს როსტომ მეფედ ტფილისს და სალიმ-ხან კახეთს.
ამავ ქორონკონს აღაშენეს გორიც ციხე და შეაყენნეს მცველნი ყი-
ზილბაშნი; ეგრეთვე სურამის ციხესა შინა მოსცეს როსტომ მეფესა
შეწევნად ყაზახ-შამშადილო ლორეს ხანნი, და თჳთ სპასალარი როსტომ წარვიდა
წინაშე ყეენისა. ხოლო ესე როსტომ იყო მოჰმა-
დიანი და მუნ აღზრდილი, რამეთუ ოდეს მოვიდა მეფედ, ჲ ზ˜ წლისა
იყო, საქმით ხუანჯიანი სოფლის, ფრიად ჭკუიანი, მორჭმულ-მდი-
დარი; რამეთუ აქუნდა ყულარასაღობა ყეენისა, მოურაობა ისპაანისა
და ნიჭვიდა ყეენი ურიცხუსა და უჴმობდა მამად. ამან განაგნა წესსა

1-26 სტრ., 439
ზედა ყიზილბაშთა კარის გამგენი თჳსნი, და არცა მოშალნა ქარ-
თულნი და დაადგინნა ორნივე და მიანიჭებდა ქართველთა ბოძსა
მცირეთა და იერთგულებდა მით, რამეთუ მას ჟამსა იყვენენ ქართველ-
ნი მჴნენი, რჯულმტკიცენი, წრფელნი, ვერცხლის უყუარულნი.

ამან როსტომ მოიყვანნა ყოველნი ტყუენი საქართველოსანი
სპარსეთიდამ გამაჰმადიანებულნი და ამათით შეერიათ ქართველთა
განცხრომა, სმა-ჭამა ყიზილბაშური, სიძვა, მრუშება, ტყუილი,
ჴორცთ-განსუენება, აბანო, კეკლუცობა უგვანი, მეჩანგე, მგოსანი,
რამეთუ ამათ საქმეთა მოქმედთაგან კიდე არავის სცემდენ პატივსა
და მიდრკენ, ვიდრე მღუდელთმთავარნიცა და ჰყოფენ უჯეროთა.

ამან როსტომ მოიყვანა ცოლად აბაშისშვილის გორჯასპის
ასული ქეთევან დაუწოდა გულდუხტარ და იქორწინა ქრისტეანულ-
მაჰმადიანურ, კუალად დაუტევა სასახლე ისნის ციხისა და ჰყო მტკუ-
რის კიდესა ზედა ანჩისხატსა და სიონის ეკლესიათა შორის და მის-
ცა ციხე სრულიად ყიზილბაშთა; შეავლო ჴიდის ყურიდამ ზღუდე
კალის ციხემდე და განჰყო ქალაქი და ციხე, მოავლო მეტეხს ზღუ-
დე და ქმნა ვითარცა ციხე მტკიცე ჴიდითურთ, და შეაყენნა მცველ-
ნი ყიზილბაშნი მას შინაცა. არამედ ამათი მოქმედი მარადის იხა-
რებდა როსტომ და იშუებდა. ამას არა მორჩილებდა ერისთავი არაგ-
ჳსა დათუნა, ძმა ზურაბისა, მოიკრიბნა სპანი როსტომ და მივიდა
მუხრანს. მიუთხრა დათუნას ანუ წარვიდეს წინაშე ყეენისა ანუ მი-
ვიდეს მის თანა. ხოლო დათუნას ძნიად აღუჩნდა ესენი. კუალად წა-
რავლინა გაბაშვილი და თურქისტანიშვილი და ამცნო მათ რათა
მოკლან თავისწინაობის განზრახვასა შინა დათუნა და მოართუან
თავი მისი. მაშინ მისრულთა მათ უყვეს ბრძანებული დუშეთს და მო-
ართუეს თავი მისი; და როსტომ წარუგზავნა ყეენსა, რამეთუ ესე

1-26 სტრ., 440
იყო მაშფოთებელი ქუეყნისა და თჳთ შეუჴდა დუშეთს ქ˜სა ჩ˜ქლ,

1635, ქარ. ტ˜კგ.

მაშინ ძმამან დათუნასმან ზაალ შეკრნა სიმაგრენი და გამოაბ-
რუნა როსტომ და მოვიდა ტფილისს. ამისთჳს წარუვლინა ზაალ ბა-
ტონს თეიმურაზს, რათა მოვოდეს და დაიპყრას ქართლი, რამეთუ
აღუთქუა ფიცით ყოვლისა წარმართება.

ხოლო მოვიდა ქოსთქარი მურად და აღიღო ერევანი ქ˜სა ჩ˜ქლვ 1636,
ქარ ტ˜კდ, უკუნ-იქცა და წარვიდა.

შემდგომად ზავ-ჰყვეს მურად ხონთქარმან და შაჰ-სეფიმ; დაშთა
ხონთქარსა იმერეთი, საათაბაგო და ქურთისტანის ნახევარი. ხოლო
ყეენს დაშთა ერევანი, ქართლი, კახეთი და ქურთისტანის ნახევარი.

კუალად როსტომ მოიჴსენა შური ყიზილბაშთათვის, რომელი
მოსწყჳდნა მოურავმან ბირთჳსს, და შეიპყრა ქაიხოსრო ბარათას-
შვილი სისხლთა მათთათჳს და გარდმოაგდო ციხიდამ განჯის კარი-
საკენ მაღლის გოდლიდამ.

ხოლო თეიმურაზ მოვლო დვალეთი, მოვიდა დუშეთს ქ˜სა ჩ˜ქლვ, 1636
ქარ. ტ˜კდ, და მუნიდამ მცდელობდა ქართლსა. ხოლო როსტომს
აქუნდა ძალი ყიზილბაშთა და ქართველნი, მცირეთაგან კიდე, ყო-
ველნი ერთგულობდნენ დსა ამისთჳს ვერა რაჲ ავნეს. კუალად შემო-
უჩინეს მოღალატენი არამედ როსტომ იყო მცდელი და სოფლის
მანქანი და განერა ყოველთაგან. მერმედ თეიმრაზ და ზაალ, როს-
ტომის მტერობისა ვერა-რისა მყოფელთა მოიბირეს კსნის ერისთა-
ვი და მიუჴდნენ სალიმ-ხანს, განაძეს სალიმ-ხან და დაიპყრა თეი-
მურაზ კახეთი. ხოლო ჟამთა ამათ მოუკუდა როსტომ მეფეს ცოლი
პირველი და დაემზახლა ლევან დადიანსა, და ამან მოსცა დაჲ თჳსი
მარიამ. ესე ჰყო როსტომ რამეთუ ვინაჲთგან ბატონის თეიმურაზის

1-28 სტრ., 441
მოყვარე იყო გიორგი მეფე იმერთა და დადიანი და მეფე იემერთა
მტერობდენ. ამისთჳს დადიანს დაემოყვრა და ვინაჲთგან არა ჰქონ-
დათ გზა სთხოვა როსტომ მეფემან გზა უსუფს, ახალციხის ფაშასა.
მან სიხარულით მოსცა და მივიდა როსტომ კაკას ჴიდსა ზედა ფერ-
სათიდამ და დადიანიცა მოსულ იყო მუნ კაკას ჴიდსა; მოსცა დაჲ
თჳსი და წარმოიყვანა როსტომ მარიამ და მოვიდა ტფილისს და
ჰქმნა ქორწილი მუნ დიდ-დიდებული ქ˜სა ჩ˜ქლჱ, 1638, ქარ. ტ˜კვ, კუალად
ამითი მოაკლო თეიმურაზს ძალი დადიანისაგან. ხოლო მათი მოქ-
მედი როსტომ მოვიდოდა გორს, ცხირეთს, ტფილისს, სომხითს და
მარადის იშუებდა და იხარებდა.

შემდგომად ამისა მოუწოდეს ბატონს თეიმურაზს ზაალ ერის-
თავმან, იოთამ ამილახორმან, ნოდარ ციციშვილმან, გიორგი გოჩას-
შვილმან და კათალიკოზმან ევდემოს დიასამიძემან გამეფებად
ქართლს. და ნოდარ მოვიდა სპითა დოესს და მოელოდა მათცა. მცნო-
ბელი როსტომ მეფე წარვიდა. მისმან მხილველმან ნოდარ ვერღა-
რა იკადრა ბრძოლა, არამედ ივლტოდა. გარნა ორთა ძმათა ჩხეიძეთა
ნოდარისათანა მყოფთა მოყუროზით არა ინებეს ლტოლვა, მოიქ-
ცენ და ჩამოჰყარნეს მჴედარნი. ხოლო იორამ მოურავის შვილმან
ჩამოჰყარნა იგინი, შეიპყრნა და მოართვა როსტომ მეფესა (ესე
იორამ მოიყვანა როსტომ მეფემან აზრუმიდამ კეთილისყოფისათჳს,
რომელი უქმნა მოურავმანმას, და მისცნა მამულნი თჳსნი ყოველნი, ხოლო ნოდარი
ლტოლვილი შევიდა ვერის-ციხესა შინა და მოად-
გა როსტომ, ვერა გამაგრდა ნოდარ, განივლტოდა და მივიდა სამცხეს.
ხოლო მეფემან როსტომ აღიღო ციხე და შემუსრა. მუნიდამ მოიქცა
და დადგა ცხირეთს. ესე აცნობა კათალიკოზმან ევდემოს ბატონს
თეიმურაზს „რაჲ ჰქმენ სივლტოლისათჳს ნოდარისა უკუნ-იქეც აწ
მოვედ და დაესხი როსტომს, რამეთუ ჴელთა შენთა შინა არს (ამ
კათალიკოზის ძმისწული ცოლად ჰყვა ბატონის თეიმურაზის ძესა
დავითს და ამისთჳს ჰყოფდა კათალიკოზი ამას“).

1-27 სტრ., 442
ამისი მსმენელი თეიმურაზ რა წარმოემართა, ესე აუწყა როს-
ტომ ემფესა ვახტანგ მუხრანის ბატონმან და მსწარფლ შევიდა როს-
ტომ გორის ციოხესა შინა. ესმა ესე თეიმურაზ და უკუნ-იქცა. ამას
ვახტანგ მუხრანის ბატონი მოეწია და ავნო დიდი ვიდრე სივლტო-
ლად და მოსწრაფედ მივიდა თეიმურაზ კახეთსვე. ამისთჳს შეიპყრა
როსტომ მეფემან კათალიკოზი ევდემოზ და პატიმარ-ჰყო ტფილისს
ციხესა შინა. შემდგომად გარდმოაგდო განჯის-კარის კოშკიდამ; კუ-
ალად შეიპყრა გოჩასშვილი გიორგი და აღმოჴადნა თუალნი, დაესხა
იოთამ ამილახორსა, ჰგუემა იგი და განუტევა ფიცით და შემუსრა
ციხე ცხჳლოსი და სხუანი ვიეთნიმე განაძო და ზოგნი უმკჳდრო
ჰყვნა. არამედ იოთამჟამტა მჭვრეტი ჟამ იყვის ბატონის თეიმურა-
ზისა თანა, ჟამ როსტომის წინაშე. შემდგომად შემოიკრიბნა როსტომ
მეფემან სპანი თჳსნი და მიუხდა ბატონს თეიმურაზს მაღაროს. არა-
მედ მისგან მცირედითა სპითა იძლია და მოვიდა ტფილისს. გარნა
ამითიცა ვერა რაჲ ავნეს და უმეტესად განძლიერდა, რამეთუ მოირ-
თო ქართველნი ყოველნი და ყიზილბაშნი მონებდენ, ვითარცა ყე-
ენსა.

ამისი მხილველი ზაალ ერისთავი ევედრა როსტომ მეფესა, რა-
თა შეიწყალოს და განუტევოს თეიმურაზ, და მივიდეს წინაშე მისსა.

ამისთვის უბრძანა როსტომ წარსვლა წინაშე ყეენისა, ვინაჲთგან სწადდა როსტომს დამორჩიელბა ქართლისა ყეენისაგან, ვითარცა
სხუათა სახანოებთა, და მისთჳს წარავლინებდა მუნ ყოველთა და განუწესებდა როქსა და განკვეთილსა, რათა მით არღარა უარჰყონ ქართველთა ყიზილბაშნი. მსმენელი ზაალ ერისთავი და უღონო ქმნილი წარვიდა წინაშე ყეენისა. ხოლო ყეენმან პატივ-სცა ზაალს, ჰყო მაჰმადიანად, ანიჭნა და გამოუტევა, მოვიდა დუშეთს და მსახურებდა როსტომს მიერითგან. ხოლო როსტომ დასუა კათალიკოზად ურდუბეგაშვილი ქრისტეფორე, კაცი სახიერი. არამედ კუალად შეს-

1-28 სტრ., 443
ძინა როსოტომ, რამეთუ სჳმონ მოყიდულთა ტყუეთა წარუვლენდა ყეენსა. ხოლო ესე გამოიყვანდა მთავართა და აზნაურთა შვილთა, ვაჟთა და ქალთა და წარუგზავნიდა. ამისთა მხილველთა ქართველთა იწყეს იდუმალ ტყჳს-ყიდვა, ქურივთა და ობოლთა, რამეთუ განმრავლდა სიბოროტე ვინაჲთაგნ არღარა იყო ზრუნვა სულიერი და არა ზრუნვიდა მეფე სუფევისა და ქუეყანისათვის, გარნა განცხრომისათჳს, ვითარცა წესი არს მოჰმადიანთა. ამისთვის მიიტაცეს მთავართა თჳს-თჳსნი მჴარენი, ქუეყანა-ციხე-სიმაგრენი სამეფოთანი და დაბნები.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ქმბ, 1642, ქარ ტ˜ლ, თათრულს ქ˜კნს ჩ˜ნბ მოკუდა შაჰ-სეფი და დაჯდა ძე მისი შაჰ-აბაზ. ამათ ჟამთა შემდგომად შემოიკრიბნა მეფემან როსტომ სპანი შესვლად კახეთად. მაშინ ბატონი თეიმურაზ იდგა თიანეთს, ხოლო როსტომ წარავლინა ვახტანგ მუხრან-ბატონი სასპასპეტოთა თვისითა თიანეთს და ყიზილბაშნი მოგზავნა მაღაროს. მისრულსა ვახტანგს ზაალითურთ ეწყუნენ თიანეთს უღლისს თეიმურაზისანი და ბრძოლასა შინა მოიკლა ამათგან თოფით რევაზ ჩოლაყაშვილი და ივლტოდენ თეიმურაზითურთ, მიუდგა როსტომ და ჩავიდა თეიმურაზ კახეთს.

ხოლო მაღაროს ყიზილბაშთა მოკლეს დათუნა, ძე ბატონის თეიმურაზისა, და მოართვეს თავი როსტომს ქ˜სა ჩ˜ქმჱ, 1648 ქარ. ტ˜ლვ, თათრულს ქ˜კნს ჩ˜ნჱ. არამედ ვითარცა შემპყრობელსა როსტომს ბატონის თეიმურაზისასა მოეგება ხვარაშან დედოფალი, რომელი იყო ბიძის შვილიშვილი როსტომისა. ესე ევედრა, რათა განუტეოს მშჯდობით, ხოლო როსტომ პატივ-სცა მას, ვითარცა დასა და აღუსრულა ნება მისი, მისცნა ცხენნი და ჯორნი, უძღუნნა მრავალნი წარუძღუანა კათალიკოზი და წარგზავნა იმერეთს ღამესა მას, და თჳთ როსტომ შთავიდა კახეთს და დაიპყრა კახეთი. ხოლო თავი დათუნასი წარუვლინა ყეენს და აუწყნა ყოფილნი, მერმე განაგნა საქმენი კახე-

1-32 სტრ., 444
თისა და მოვიდა ტფილისს. ამისთჳს მოანიჭნა ყეენმან ნიჭნი დიდნი
და იშუებდა მარადის როსტომ. გარნა არა ესუა შვილი და შვილად
თჳსად მოიყვანა ისპაანიდამ სჳმონ მეფის ძის ვახტანგის ძე ლუარ-
საბ და ესე ჰყო ძედ თჳსად.

ჩანართი:

1808 წლის ნუსხა m ურთავს ვრცელ შენიშვნას (m294-295)

„არამედ სომეხთ მეისტორიე ზაქარია მთავარი წ˜ის იოანეს მემონასტრე
ჰსწერს ისტორიასა შინა სოემხთასა ამ ლუარსაბის ძეობასა თჳთ ამ მეფის როს-
ტომი(რ)ს ესრეთ რ˜ლ (როსტომ მეფე რ˜ლიც აღუსწერეთ ნათესავთაგან ბაგრა-
ტიონთა ხ˜ შ˜დ დაცემისა მეფობისა მათისა, და შემუსრჳსა ანისს და
ნაშთნი/ნათესავთაგანნი ბაგრატოვანნი წარვიდნენ ქ˜ყანასა ქართლისასა და
შეუდგნენ
მეფეთა მათთა და იქმნა ზედამხედუწლ საქმეთა ზ˜ა ქართლისათა:

ხ˜ ოდეს აღიხოცცა თავისუფლებითი მეფობა ქარლისა და შევარდა ქუწშე ჴელთა
სპარსთასა და იგინი მისცემდიან მეფობასა ბაგრატიონთ გუართა
და ფლობისათჳს ყ˜თა საზღუართა ქართლისათა: ხ˜ შთამოისირნენ ბაგრატო-
ვანნი შვილით შვილად ვ˜ე ამ მეფის როსტომადმდე, რ˜ლნცა შუა ძე ერთი
ცოლისა თჳსისა ლეონ დადიანის ასულის მარიამისაგან, რ˜ლსა ეწოდებოდა საჴე-
ლად ლუარსაბ რ˜ლსა ჰსცჳდა მემკჳდრედ თჳსად:-

ხ˜ დღესა ერთსა წარიყუანა ძე თჳსი მრავლითა სპითა სანადიროდ ადგილსა
მას ყარა იაზად წოდებულსა რ˜ლ არს (შავზაფხული) ჰსდევნიდენ ნადირთა და
ყ˜ნი ისწრაფდნენ კლუასა ნადირისასა და სიმრავლითაგან თოფთა ცემისა მოჰ-
სწყლეს ძე მეფისა ლუარსაბ და მოკუდაცა. ა˜დ როსტომ შეშინებული თავის
თჳსისაგან შეივლტოდა ქალაქად ტფილისად: და შ˜დ ჰყო გამოძიება მკულელთა
ძისა თჳსისათა გარნა ვერ უძლო პოვნად ა˜დ ბრალი დაჰსდუწს ორსა კაცსა
ერთს ეწოდებოდა ბაადურ სომეხი გუარად მამიკონიანთ ნათესავთაგანი (რ˜ლთა
უხმობენ აწ თუმანინათ) და სახელი მეორისა შიოშ ქართუწლი გუარად ბარათა-
შვილი. ამაღ ჰსდებდნენ ბრალსა, თქუენ იყავით ახლოს მის ოდეს იგი მოჰკლე-
სო ანუ თქუენ უწყით მკულელი მისიო და ანუ თჳთ თ˜ქნ მოჰკალითო

ხ˜ განძლიერდა რა ხმა ესე სომეხნი იტყოდნენ ქართუწლსა მოუკლავსო. და
ქართუწლნი იტყოდნენ სომეხსაო. შ˜დ აღიძახეს სამართალიო(ესე არს სამარ-
თალი ბრძოლა ვინ იძლიოს მას მოუკლავს შვილის მეფისაო:-

ხ˜ დაემტკიცა რა სიტყუა ესე მათ შორის რ˜ა განვიდნენ ორნივე მხოლოდ
შეჭურჳლნი საჭურუელითა და ამბორს უყუწს მუხლსა მეფისასა და განვიდნენ

აღმოსავლით კერძო ქალაქისასა კლდესა მას მტკურისასა:

ხ˜ ქუჱგამხედუჱლთა გუართა ქართუჱლთამან ცხადად ასწავეს ორთავ ოდეს განსხდეთ ასპარეზად ნუ შეიბმით ა˜დ მიმოარბიეთ ცხენნი ამიერ და იმიერ-

ნუთუ შეეწყალოთ მეფესა და არა მიგიშუათ საკუდავად ურთიერთისად: ა˜დ ბირება ესე ჭ˜ტი ეგონა ბაადურს.

ხ˜ ვ˜ა არს ჩუჱულება ქართუჱლთა გუართა იდუმალ მისა განაძრახეს შიოშ შენ არა ძალგიძს პირისპირ ბრძოლა მის ამისთჳს არა ხარ ტანითა ეგეოდენი და ძლიერი. ა˜დ უღონო ხარ და ბაადურ არს მძლე ახოვანი ტანითა და ძლიერი, ა˜დ ოდეს ათამაშებდეს იგი ცხენსა შენ ეცადე განგმერასა მისა შუბითა, ნუთუ დასცე იგი ქ˜ყნასა.

შ˜დ ორივენი ზოგად განვიდნენ ასპარეზსა და მეფემან მათ წარატანა სამნი თათარნი და უბრძანა რ˜ლიცა მათგანი დაეცეს ქ˜ყანასა თქუენ დაიფარეთ იგი. და ნუ მიუშუჱბთ საკუდავად.

ხ˜ ბაადურმა წარიხლტუნა რა ცხენი წინ შიოშსა. და იგი შ˜დ მისსა. ა˜დ შიოშ ჩაეკრა უნაგირსა შ˜ა და შუბი მიიმარჯუა პირისპირ ბაადურისა და აძგერა შუბი ჭიპს ქუჱშე და განავლო რა შუბმან ჴორცსა და ტყავსა შუა იმიერ გასჩარა მაშინ ბაადურ გაფიცხდა სიმწარით წაართო შუბი ჴელთაგან შიოშს. და დაადუმა წინ უნაგირის თავსა და დაჰსცა ლახტი. და შემუსრა ტარი შუბისა. და გარდააგდო ქუჱყანათ. და დაშთა შუბი მუცეკსა და შიოშ ევლტოდა ბაა დურს ხ˜ ბაადურმა ჰკრა მათრახი ცხენსა და მოსუდა მსწრაფლად და ჰსცა ლახტი კისერსა ზ˜ა მისსა და დამოეკიდა ცხენსა შიოშ. კ˜დ ლამოდა ბაადურ დაკურასა რადგან ტარი ლახტისა შესრვოდა სისხლთაგან წარსხლტა ჴელთაგან და განვარდა მოიკრა ჯრმალსა ჴელი რ˜ა ჰსცეს რადგან იყო შიოშ გონება მიხ-დილი ლახტისა და შიშისაგან დაეცა ქ˜ყანასა და ბაადურის მოქნეული ჯრმალი მოხუდა ცხენს უკანას გაზებში ს˜დ დაკუჱთა კ˜დ ჰლამოდა დაკურასა.

ხ˜ თათარნი იგი გარდაეფარნენ შიოშს და აღარ მიუშვეს მოსაკლავად ბაადურ.

ამის შ˜დ სომეხნი და თათარნი შეკრებულნი მივიდნენ აღამაღლეს ბაადურ და მიიყუანეს მეფესთან და უბრძანა მეფემან მკურნალთა რათა განკურნონ იგი, და შეიყუარა უმეტეს ზომისა და ბრძანა რ˜ა განთიად განიყუანონ უძლები შიოშ და წულილად აკუჱონ და მისცენ ძაღლთა.

ა˜დ ჰყუანდა მას ძმა ერთი საჴელით ქრისტეფორე რ˜ლ იყო მოძღუარი დედოფლისა რ˜ლიცა შ˜დ იქმნა კათოლიკოსად. ესე შევიდა შეევედრა გამო-

ხსნისათჳს ძმისა თჳსისა დედოფალსა. და დედოფალი ევედრა ქმარსა თჳსსა არღარა მოჰკლეს იგი. გარნა რაჲცა აქუნდა შიოშს მსახურნი მხევალნი სოფელი ვენახნი პირუტყუნი და სხუანი ბრძანა რ˜ა ყ˜ივე მისცენ წერილით ბაადურს. და აღმსრულებელთა ბრძანებისაებრ მისისა ჰყუწს და ამჟამად ქართუწლნი მცირედ რადმე დამდაბლდნენ ამაყობისაგან რა სომეხთა ლექსი გაელექსათ ენითა მათითა და მუხლთა დასასრულ იყო ესე (შიოშ გაიქე ბაადურ მოდის) ოდეს იმღერდნენ ამას ყრმანი მიმდგომთა მისთა ჰრსცხვენოდათ:

ესმა ესე ჴელმწიფესა ერანისასა სანიბას რ˜ლ არს მცირე შააბაზ) უხმო ბაადურს მისცა მას მთავრება დიდი ტფილისის ქალაქისა: იქმნა რიცხუსა სომ

მურსა 1099. ხ˜ ქრისტეს აქეთ: რომელიცა ისტორია ესე არს ეძმიაძინსა შ˜ა და ყოველსა ევროპასა. სომხურსა ენაზედ დაბეჭდილი.“

ჩანართის დასასრული:

არამედ შენებასა შინა გატეხილ- ჴიდისასა იდგა როსტომ ხუ-
ნანს და დღესა ერთსა განვიდა ლუარსაბ მოასაკითა თჳსითა ნადირო-
ბად ყარაიის ჭალისა. ხოლო სროლასა თოფთასა ხროსა ზედა ირმი-
სასა მოხუდა ლუარსაბს და მოკუდა იგი.

ამის მსმენელი როსტომ დამძმდა ფრიად, რამეთუ მოსწყდა
თესლი დიდისა ლუარსაბ მეფისა.
გარნა ეპყრა როსტომს ქართლი,
კახეთი და იყო უფროს განცხრომა- შუებასა შინა. არამედ ოდეს მო-
უკუდა შვილებული თჳსი, არღარა ვინ ჰყვა უახლოესი ტომი თჳსი
და თჳთცა ფრიად მოხუცდა. ამისთჳს გაიშვილა ვახტანგ მუხრანის
ბატონი, ძე თეიმურაზ მუხრანის ბატონისა, რომელი მოკლა მარაბ-
დის ომსა შინა(რამეთუ თეიმურაზ უყო ძე ვახტანგისა, ვახტანგ ძე
ბაგრატისა და ბაგრატ ძე ო˜თ მეფისა კონსტანტინესი. ესე ვახტანგ
წარავლინა როსტომ წინაშე ყეენისა, რათა მისცეს აწ გამგეობა ქარ-
თლისა და შემდგომად მისა მეფობა, ქ˜სა ჩ˜ქნგ ქარ. ტ˜მა. ხოლო
ყეენმან პატივით შეიწყნარა ვახტანგ(ვინაჲთგან უსმენდა როსტომს
რასა იგი იტყოდა) და ჰყო მოჰმადიან და უწოდა შანავაზ. მერმე მის-
ცა ნიჭი დიდი და წარმოავლინა ქართლის გამგედ. მოსრული ვახტანგ
მიერითგან მართავდა საქმესა ქართლისასა. კუალად ქ˜სა ჩ˜ქნვ. ქარ.
ტ˜მდ. ჩამოვარდა გუმბათი მცხეთისა და აღაშენა როსტომ მეფემან.
არამედ ვითარ მოხუცდა, ვითარცა უძლები, დასუა კახეთს ბრძანები-
თავე ყეენისათა სალიმ-ხან, და ზაალ ერისთავს მისცა ერწო-თიანე-
თი. არამედ საქმესაცა კახთასა ჰკითხვიდა სალიმ -ხან ზაალს. ხოლო

1-28 სტრ., 447
მოკუდა რა დადიანი ლევან და დაჯდა ლიპარიტ, მერმე ალექსანდრე მეფემან იმერთამან დასუა ვამიყ, და ამათს შფოთებასა შინა აშუელა ლიპარიტს როსტომ მეფემან საციციანოსი, საავალისშვილოსი და რომელნიმე საბარათიანოსა სპანი, რამეთუ ძმა იყო ლიპარიტ მარიამ დედოფლისა. არამედ ბანძას ბრძოლასა შინა შეიპყრნეს ქართველნი, დააჴსნევინეს ვერცხლითა თავნი და გამოუტევნეს.

შემდგომად იხილა ვახტანგ განმგებელმან მოხუცებულობა და სიკუდიდ მიახლება როსტომისა, აუწყა ყეენსა. ხოლო ყეენმან წარმოავლინა სანდო თჳსი ხილვად როსტომისა. ამ ჟამსა მოკუდა მეფე როსტომ, ქ˜სა ჩქნ˜ჱ ქარ. ტ˜მვ. არამედ სარწმუნომან ყეენისამან რა ვერღარა იხილა ცოცხალი როსტომ, ყეენის ცნობადმდე შეიყვანა დედოფალი მარიამ ციხესა შინა ტფილისს და საგანძურსა როსტომისასა დაადგინა დარაჯნი. ხოლო ზაალ ერისთავი არა მნებებელი ვახტანგის მეფობისა მოვიდა და დადგა ავლაბარს. და ესე ყოველი აუწყა ყეენსა ვახტანგ. არამედ მსმენელმან მისმან ყეენმან მოსცა მეფობა ქართლისა ვახტანგს და ნიჭი დიდნი და საგანძურნი როსტომისანი და დედოფალი მარიამ რათა შეირთოს ცოლად. ამისი მცნობელი ზაალ ერისთავი უკუნ-იქცა დუშეთს და არღარა ინებამონება ვახტანგ ისა და უარჰყო მზახლობაცა მისი, რამეთუ ასული ვახტანგისა მოეთხოვა ზაალს ძისა თჳსისათჳს. ხოლო ვახტანგ შეუმნდა შერთვა მარიამ დედოფლისა, ვინაჲთგან ესუა ცოლი ასული ყაფლანისა როდამ სიკეთითა აღმატებული, არამედ უღონო ქმნილმან განუტევა როდამ და იქორწინა მარიამს ზედა.

პ˜ვ მეფე ვახტანგ ე˜, გინა შაჰნავაზ ა˜,
თვრამეტი წელი მეფა

ხოლო დაჯდა მეფედ ვახტანგ და დაიპყრა ქართლი და განაგებდა კეთილად (წოდებული ყეენისაგან შანაოზ). ხოლო მოკუდა რა ალექსანდერ მეფე იმერთა და მეფობდა ბაგრატ უთუალო, მიუწო-

1-20 სტრ., 448
დეს ვახტანგ მეფესა იმერთა, შეკრბა ვახტანგ და დადგა ფცას. არამედ ზაალ ერისთავმან მოსწყჳდნა ელნი კახეთს და მტერობდაცა ვახტანგ მეფესა. ამისთჳს უკმოიქცა და უბრძანა ძმისწულთა ზაალისათა და დისწულთა თჳსთა, რომელნი განბოროტებულნი იყვნენ მისგან, რათა მოკლან ზააალ. ამათ მისრულთა დუშეთს თავის წინაობასა შინა მოურთეს ექუსთა მახჳლნი და მოკლეს ზაალ ერისთავი ბიძა თჳსი, ქ˜სა ჩ˜ქჲ, 1660 ქარ. ტ˜მჱ, მაისს თ˜, კვირიაკესა.

ამის წილ მეფემან მისცა ოთარს ერისთოობა, ედიშერს-მსა-
ჯულთუხუცობა, იასონს-დედოფლის სალთხუცობა. ხოლო ძენი
ზაან ერისთვისანი ივლტოდენ სამცხეს. მისწივნა მეფემან კაცნი,
შეიპყრნეს ტბისყურსა ზედა და მოართუეს. ხოლო მეფემან წარუგ-
ზავნა ყეენსა იგინი.

კუალად მისცა კსნის ერისთოობა იესეს და დაიპყრა უმეტეს ქარ-
თლი, რამეთუ ერთგულებდნენ ესენი ფრიად.

ამავ ჟამსა შინა განიყვეს იმერეთი მეფემან ვახტანგ და დადიან-
მან ვამიყ და ბუჯის-წყლის აღმოსავლეთის კერძი დარჩა ვახტანგს
და დასავლეთის კერძი დადიანსა, ქ˜სა ჩ˜ქჲ, 1660 ქარ. ტ˜მჱ, და ეპყრა
ვახტანგს ქართლი იმერეთი და კახეთი მიერ ჟამითგან, ოდეს მოსწყჳდნა ზაალ
ელნი

ამასვე ქორონიკონს მოკუდა კათალიკოზი ქრისტეფორე, დასუა
მეფემან ბიძაშვილი თვისი დომენტი, კაცი ღირსი საყდრისა. კუალად

1-29 სტრ., 449
ამათვე ჟამთა მოითხოვა ყეენმან ასული ვახტანგ მეფისა ანუკა ცო-
ლად, მოვიდნენ საჭურისნი ყეენისანი და წარიყვანეს დიდითა დიდე-
ბითა ხოლო მარიამისა თანა არა ესუა მეფესა შვილნი, არამედ რო-
დამის თანა ესხნენ ძენი არჩილ, გიორგი, ლევან, ალექსანდრე, ლუ-
არსაბ, სოლომონ, და ასულნი ანუკა და თამარი. ხოლო ინება მეფე-
მან მოყვანებად დადიანის ასული ცოლად არჩილ ძისა თჳსისათჳს,
მოითხოვა, მან მოსცა და დაიმზახლნენ. არამედ ჰყვა დადიანს ცოლი
გლისპი და აიძულებდა ქმარსა თჳსსა არა ყოფად ამისსა სიშორი-
სათჳს. უსმინა მანცა დ ამისცა ღოღობერიძეს ქალი იგი ცოლად.
გარნა შეჩენითა მეფისათა მოკლეს ღოღობერიძე იმერთა. ამას ზედა
შემოიკრიბნა სპანი ქართლისანი და რომელნიმე კახნი მეფემან, მი-
ვიდა და დადგა ალს. მსმენელი დადიანი შეკრებული სრულიად იმე-
რეთით მოვიდა საჩხერეს და დადგა მუნ. მაშინ მეფე ეზრახა იმერთა,
მოერთო აბაშიძე პაატა, რაჭის ერისთავი პაპუნა და ლაშხისშვილი
ხოსია თავ-ლეჩხუმისა, გარდავლო მეფემან მთა ლიხისა.

იხილა დადიანმან, ვერღარა დაუდგა და წარვიდა ოდიშს. შთა-
სრულმან ვახტანგ მეფემან იმერეთს, შემოიკრიბნა სრულიად იმერნი
და მოადგა სკანდას. ხოლო ბატონი თეიმურაზ ყოველგნით უღო-
ნო-ქმნილი, სკანდას ციხესა შინა მყოფი, ევედრა შანაოზ მეფესა,
თუ წარგზავნოს წინაშე ყეენისა, მოვიდეს მის თანა. ესე მეფემან სი-
ხარულით შეიწყნარა. მერმე მოსრული ბატონი თეიმურაზ, დიდითა
პატივითა მიითუალა და წარმოავლინა ტფილისს და თჳთ მეფე მი-

ვიდა ქუთათისს, აღიღი ქუთათისი და ყოველნი ციხენი იემერეთისანი და შეაყენნა გუშაგნი თჳსნი ქ˜სა ჩ˜ქჲა 1661, ქარ. ტ˜მთ.

შემდგომად შთავიდა მეფე ოდიშს, ვერ წინა აღუდგა დადიანი, არამედ ივლტოდა სვანეთს. ხოლო ბრძანებითა მეფისათა შეუჩინა ლაშხისშვილმან ხოსიამ კაცი და მოლეს დადიანი მუნ. მაშინ მეფემან მოსტყუენა ოდიში და აღიხუნა ციხენი. მერმე მოადგა ჭაქვითს ციხესა შინა მყოფს ცოლშვილსა დადიანისასა. მცირედ ხანსა შინა

გამოიყვანნა იგინი და გამოიხუნა საჭურჭლენი მრავალნი დადიანისანი და ჰპოვა მუნ ხატი ოქონისა, რომელი დაშთა მეფესა სჳმონს. შემდგომად მოვიდა ზუგდიდს, მუნ მოერტო შარვაშისძე აფხაზითურთ დიდითა ძღუნითა. მერმე დასუა დადიანად ოდიშს ლევან. შემდგომად შემოიქცა დიდითა ალაფითა და ტყჳთა, და მოვიდა ქუთათისს. მუნ მოერთო გურიელი დემეტრე, შემოკრებულთა იმერთა ნებითა აკურთხა მეფედ იმერთა ძე თჳსი არჩილ ქუთათის და დაუტევა იემრთა. კუალდ დადიანს ლევანს მისცა ძმისწული თჳსი თამარ ცოლად და თჳთ წარმოვიდა და წარმოიყვანა ბაგრატ მეფე უთუალო და მოვიდა ტფილისს გამარჯუებული. მაშინ წარავლინა ბატონი თეიმურაზ წინაშე ყენისა და წარატანა გივი ამილახორი და მიუძღუანნა არამაღანნი და ტყუენი ოდიშარნი. ამისთჳს განიხარა შაჰაბას და მოსცნა ნიჭნი დიდინი მის წილ მეფესა.

შემდგომად ამისა აცნობა ახალციხის ფაშასა ხონთქარს ვახტანგ მეფისაგან დაპყრობა იმერეთისა. მსმენელმან ხონთქარმან წარმოუვლინა დესპანი ყენსა მეტყუელმან: „არს ზავი ჩუენ შორის და აწ დაუპყრავს იმერეთი შანაოზ მეფესა, და უკეთუ გნებავს ვბრძოთ ურთიერთას“. ამის მიერ მოუმცნო შანაოზ მეფესა ყენმან, რათა წარუვლინოს ძე თჳსი არჩილ და მან მისცეს ქუეყანა უმჯობესი და ნუ იქმნების მშლელი ზავთა მათ შორის. ამისთჳს მეფემან მოიყვანა ძე თჳსი არჩილ და წარატანა გივი ამილახორი და წარგზავნა წინაშე ყენისა ქ˜სა ჩ˜ქჲგ 1663, ქარ. ტ˜ნა.

ხოლო ესე გივი სიძე მეფისა იყო, რამეთუ ასული მეფისა თამარ ჰყვა ცოლად. ხოლო ოდეს მოსრნა ზაალ ერისთავმან ელნი კახეთს, მაშინ მოუწოდა ამ ზაალ ბატონის ტეიმურაზის ძის ძეს ერეკლეს რუსეთიდამ, რათა ჰყოს მეფედ, და ამ ჟამთა მოსრულ იყო თუშეთს და ბრძოდა კახეთს. ესე აცნობა შანაოზ მეფემან ყენსა, და მან მოუმცნო ანუ შეიპყრას ანუ განაძოს ერეკლე, და მოსცნა ყოველნი ხანნი, რომელნი მორჩილებდნენ როსტომ მეფესა. მაშინ შემოიკ-

1-23 სტრ., 451
რიბნა სპანი და უჩინა სპასპეტად დათუნა ძმისწული თჳსი მეფემან და წარავლინა კახეთს.

მოვიდაცა ერეკლე კახთ სპითურთ ურიათუბანს, ეწყუნენ მუნ ქართველნი და ბრძოლასა იძლივენენ კახნი, და ივლტოდა ერეკლე და შევიდა თორღის ციხესა შინა. ხოლო ქართველნი მოვიდნენ წინაშე მეფისა. მასვე ჟამსა შემოიკრიბნა მეფემან სპანი თჳსნი სრულად ხანებითურთ და მოვიდა თორღას და მოადგა გარს. ხანსა რაოდენსამე შინა შემჭირდნენ ციხოანნი. ამისთჳს დედამან ერეკლესამან მოუგზავნა მეფესა ვედრება, რათა განუტევოს ფარულად „რამეთუ უჯერო არს შენდა ტყუეობა და მაჰმადიანობა ჩუენი“. უსმინა მეფემან და განუტევა ფარულად და წარვიდა ერეკლე თუშეთს ქ˜სა ჩ˜ქჲდ 1664, ქარ.ტ˜ნბ.

ხოლო შანაოზ აღიღო ციხე თორღისა და ყოველი კახეთი, დაიპყრა იგი და მოვიდა ტფილის. არამედ არჩილს შთასრულსა მაზანდარანს პატივ-სცა ყეენმან და შეიყუარა ფრიად. მერმე მაჰმადიან ჰყო გივითურთ, მისცნა ნიჭნი დიდნი და კახეთი სამეფოდ, წარმოავლინა და მოვიდა კახეთს ამსვე ქორონიკონსა.

ამ ჟამებთა კუალად იწყო ერეკლემ კირთება კახეთისა. ხოლო ამისი მსმენელი შანაოზ მეფე შეკრებული სპითა მივიდა კახეთს და დადგა აწყუერს. მხილველი ერეკლე ივლტოდა თუშეთადვე. ამისჳს შემდგომად მეფემან განუტევნა სპანი ყოველნი და მცირედითა წარჩინებულითა და სპითა დადგა აწყუერსავე. ესე უსპობა მეფისა ამცნეს კახთა ერეკლეს და მოუწოდეს მას მისცეს პირი მტკიცე. მო-

1-28 სტრ., 452
ვიდა ერეკლე თუშ-კახითა და დაესხა მეფესა ღამესა ბნელსა. არამედ შესცთენ მეფის კარვისა დამსხნელნი დაესხნენ ამილახორისასა. მაშინ გივი ივლტოდა შიდა ქართველით და განჰყვნენ საციციანონიცა და სულტანი ბაიდირსა. გარნა დაშთნენ რომელნიმე მათგანიცა.

ხოლო მეფემან უბრძანა გამაგრება ყოველთა სადგურთა თჳსთა და თჳთ შევიდა ტალავარსა ერთსა ძით თჳსით არჩილით და მოსვრიდნენ მოსრულთა თუშთა ეგრეთ. მაშინ აგინებდა მეფესა თუში ვინმე ბილწად, ამაზე განვიდა თამაზ თურქისტანისშვილი, ბრძო და მოკლა იგი და მოართუა თავი მეფესა. მერმე რიჟრაჟსა ბრძანა მეფემან დაძახება ბუკისა და აღსხოდმა ცხენთა. მსმენელთა თუშთა სცნეს მუნვე ყოფა მეფისა და მყისვე ივლტოდნენ. მიეწია

ციციშვილი ზაზა სპასპეტი საბარათიანოსი მარტო და შეაყენნა იგინი. არამედ მისვლასა სპათასა ეკუეთნენ ძლიერად და შემუსრა ბრძოლითა ზაზამ შუბი ხუთი. გარნა მოსწყჳდნეს სიმრავლითა, რამეთუ აღაგო თავთა მათთაგან კოშკჳი მეფემან და ტყავნი თავთანი წარუვლინა ყეენსა. ამის წილ მოანიჭნა ყეენმან ნიჭნი უზომონი და დიდნი. მერმე შესცვალნა ურჩნი კახეთისანი და დაადგინნა მორჩილნი თჳსნი და დაიპყრნა არჩილ კახეთი მტკიცედ.

შემდგომად ამისა მოვიდა შანაოზ ტფილისს. ხოლო სცნა არჩილ, რამეთუ ოტარი არაგჳს ერისთავი და ძმანი მისნი ეზრახვიან გამეფებად ერეკლეს. ამისთჳს წარუხვნა ერწო-თიანეთი. მაშინ ამას ზედა იფიცეს მათ სამსჭუალსა ზედა უცნობელობისათჳს.

ამისთჳს კუალდ მისცა ერწო-თიანეთი მათვე. შემდგომად ამისა განდგნენ, რამეთუ აქუნდათ მანკიერება და აცნობა ყეენსა ოთარ ერისთავმან ერთგულება და მის წინაშე მისლვა. სთნდა ყეენსა, ვინაჲთგან ვახტანგ განდიდნა ფრიად, გონა ამითი დაკნინება მეფისა და მიუწოდა ოთარს თჳს წინაშე. მისცა მეფემანცა გზა და

წარვიდა ოთარი. ესე შეუძნდა მეფესა, რამეთუ არა ნებითა მისითა ჰყო ესე ოთარმან. კუალდ გოჩაშვილმან იორამ ნებითავე მათითა ინება, რათა იქმნეს მეფედ ყეენის გამო. ამისთჳს შეიპყრა მეფემან და აღმოჴადნა თუალნი და წარუხვნა მამულნი (ესე იორამ იყო ძე გიორგისა, გიორგი ძე გოჩასი, რომელი მოლეს გორს).

შემდგომად ამისა შემოიკრიბნა მეფემან სპანი და შეუჴდა დუშეთს. ხოლო არჩილ კახთა სპითა მოვიდა თიანეთიდამ. არამედ დაუდგნენ სიმაგრეთა შინა ედიშერ და ძმანი მისნი. ბრძოლასა შინა მოსტეხეს ბაყვი პაპუას, ძმასა ოთარისასა, და პყრობილი მოართუეს მეფესა, და სხუანი ივლტოდნენ. ხოლო მეფე შევიდა და დადგა დუშეთს. გარნა არღარა ინება მეფემან სრულიად მოსპოლვა მათი, ვინაჲთგან იყუნენ დისწულნი და ევედრნენ იგინი ჯრმალ-კისერს კიდულნი. ამისთჳს შეუნდო მეფემან და მისცნა მათნი ყოვლნი, უკმოიქცა და მოვიდა ტფილის. შემდგომად მოვიდა ოთარი, რომლისათჳს მიეცა ყეენსა ერისთობა, დაუმტკიცა მეფემანცა, და მიერით სამჭულის ერთგულობდნენ ფრიად. შემდგომად მცირედისა მოკუდა ოთარი და ედიშერ (იტყოდნენ სამსჭულის ტყულიად ფუცვისათჳს) და დასუა მეფემან რევაზ, ბიძა მათი ერისთავად.

ხოლო ესე ვახტანგ მეფე იყო მჴნე, ახოვანი, ჰაეროვანი, გამოცდილი ბრძოლათა შინა და შემმართებელი, მოისარ-მოასპარეზე

რჩეული, ღრმად გამგონე, ღრმად მოუბარ-განმზრახი, უხჯ, ქუირივ
-ობალთა შემწყალე, მრისხანე ჯეროვანი და მოწყალე სვიანი და
ღუთის მოყუარე. ამან მოიწო ქართლი და კახეთი, იმერნი ჟამად
ეპყრნეს, ჟამად მსახურებდნენ და უსმენდნენ, მესხნი მორჩილებ-
დნენ. ამან აღაშენა და განავსო ქართლი, თრიალეთი, ტაშირი, აბო-
ცი, რომელთა შინა კაცნი არა იყვნენ; მატა რჯულსა ქრისტეანო-
ბისასა და ეკლესიათა, რამეთუ მცდელობდა, რათა როსტომის გან-
რყუნილნი მოეგო კუალად კუალსავე თჳსსა, ვინაჲთგან ჟამსა მის-

1-27 სტრ., 454
სა ზიარება სისხლისა და ჴორცისა უფლისა ჩუენისა სირცხჳლად უჩ-
ნდათ, ამან კატალიკოზით დოემნტით კუალად შემოიყვანნა აღსაა-
რებად და ზიარებად. არამედ ვიანაჲთგან მთავართა ქართლისათა ვი-
ეთთა აქუნთად როქნი ყეენისაგან, მის გამო ვერ სცვლიდა მათ თჳნი-
ერ ყეენისა. გარნა ყეენი უსმენდა რაჲ სწადდა მყის, რამეთუ აქუნდა
რიდი ამისი.

შემდგოამდ მოკუდა შაჰაბაზ ქ˜სა ჩ˜ქაზ 1667 ქარ. ტ˜ნე, თათრულს
ქორონიკონსა ჩ˜ოზ და დაჯდა შაჰ-სულეიმან ძე მისი. ამასვე ქო-
რონიკონს იძულებითა არჩილისათა დაიჴსნა მეფემან ასული დათუ-
ნასი ქეთევან ახალციხის ფაშისაგან მოიყვანა ტფილისს და უქმნა
ქორწილი დიდებული. ხოლო შაჰსულეიმან ინება გათხოვება შაჰა-
ბაზის ცოლ-ყოფილის ანუკასი ასულისა მეფისა, და მოინება შიხა-
ლიხან იგი ცოლად და ლორისტნის ხანმან. ჰკითხა ესე ყეენმან შა-
ნაოზ მეფესა, რომლისა უნებს მიცემად. ხოლო მეფემან არა ინება
შიხალიხან, არამედ, ლორის ხანი და მისცეს მას. ამისთჳს აღუდგა
მტრად შიხალიხან და მტერობდა მეფესა.

მერმე წარმოუვლინა ყეენმან მეფესა ვეცხლი დიდი, რათა მო-
ავლოს ზღუდე ტფილისს. ხოლ მეფემან აღასრულა რა, დაადგინეს
კართა მცველნი ყიზილბაშნი მათ. ესე რა იხილა მეფემან აღაშენა
ქალაქის სამჴრით ასპარეზის თავსა ზედა მტკურის კდიესა სასახლე
თჳსად და არღარა შევიდა ტფილისს, არამედ დადგა მუნ. ესე ჰყვეს
ყიზილბაშთა რამეთუ სწადდათ ღამესა ერთსა დაჴშვა კართა და
მოსლვა სპათა მათთა და შეპყრობა მეფისა სახლეულითა სრულიად.
გარნა ვინაჲთგან იხილეს ესე, დაუტევნეს ტფილისის კარნი და წარ-
ვიდნენ. მერმე შემოვიდა მეფე ტფილისსვე, ხოლო გიორგის ძისა
თჳსისათჳს მეფესა პირველვე მოეყვანა ცოლი ელიზბარის შვილის
ასული თაამარი და აწ მოგუარა ლუარასაბს რევაზ არაგჳს ერისთვის

1-31 სტრ., 455
ასული მარიამ ცოლად და უქმნა ქორწილი ლილოსა ზედა დიდებით

წარჩინებული. კუალად ლევანს მოგუარა გურიელის ქაიხოსროს ასული თუთა და უქნა ქორწილი გორს აღმატებული. მერმე არღარა მოსცეს დუალთა ბეგარანი. ამისთჳს მივიდა სპითა ქრცხინვალს შესლვად ოსეთად. მსმენელნი დვალნი შეშინდნენ და მოერთვენენ თავნი მათნი ქრცხინვალს, მოსცეს ბეგარანი და დაემორჩილენენ ვითარცა პირველ.

ხოლო განდიდნა და იქცეოდა ამაყად ზაზა სპასპეტი მეფესა ზედა. ამისთჳს ინება მეფემან წრთვნა მისი, და მოიყვანა იგი. არამედ ძემან მეფისამან გიორგი, რომლისათჳს შეესმინათ უგბიანად ინება შეპყრობა მისი. ხოლო იგი მოწვდილითა ხანჯლითა მიეტევა მონათა მისთა და მოკლა ფავლენისშვილი. ამისთჳს მოკლეს იგიცა ბრძანებითა გიორგი მეფის ძისათა. მსმენელი ამისი დამძიმდა მეფე ფრიად, ვინათთგან იყო ნათესავი (გარნა იტყოდიან მართლისა ამის სისხლისათჳს იქმნა შფოთნი ესე ძეთა შორის მეფისათა ვითარცა დავითისა). ხოლო სპასპეტობა შემდგომად მისსა მისცეს თამაზ ყაფლანიშვილს.

არამედ შიხალიხან არა დასცხრა მტერობად მეფისა და იდუმალ ეზრახოდა ახალციხის ფაშას რათა წარიყვანოს ერთი რომელიმე ძე მეფისა. ხოლო ფაშა ქორიანის გამო, რომელი მწირობდა ქართლს გარდააქცია ლუარსაბ ძე მეფისა დაპყრობად იმერეთისა და წარიყვანა ახალციხეს, რამეთუ ლუარსაბის ცოლი დისწული იყო რაჭის ერისთვის შოშიტასი.

სცნა რა ესე მეფემან, შეუძნდა ფრიად. არამედ ვერა რაჲ არგო, და ვერცა რაჲ შეუძლო ლუარსაბ ყოფად. შემდგომად წარუდგა კუალსა მისსა არჩილ მეფე, ძე შანაოზისა, და იგი ცა მისლვად ახალციხეს და დაპყრობად იმერეთისად. ამისი მცნობი მეფე შანაოზ ფრიად წყინებული წარმოუდგა ძესა თჳსსა და ვერ ეწია მას, არამედ მისწია კათალიკოზი, რათა მოიქცეს და აცადოს დღე სიკუდილისა მეფესა და შემდგომად რა იგი ენებოს ჰყოს. გარნა არჩილ არღარაჲ ისმინა, არცა შეიგონა ვედრება მამისა თჳსისა.

1-28 სტრ., 456
მცნობელი მეფე მოიქცა ტფილისსვე ფრიად გულკლებული ძისაგან. მერმე აცნობა ყოველნი ესე შანაოზ ყეენსა, უგულებელს ყოფა თჳსთაგან, ერთგულება და უცოდველობა თჳსი და, უკეთუ ინების წარსვლა მის წინაშე. ხოლ შაჰ სულეიმან მოუწერა მისლვად მის წინაშე და წარვიდა მეფე დიდებითა დიდითა და ჴელმწიფურითა, რამეთუ იყო მდიდარ ფირად და არა რაჲ დაუტევა ძეთა თჳსთა ურჩებისათჳს მათისა ვინაჲთგან რისხვიდა ფრიად. არამედ

განმგებელად ქართლისად დაუეტევა ძე თჳსი და აუწყა, რათა განაძოს ერისთავი კსნისა იესე, რომელი იყო უკუმდგარი.

ხოლო გიორგის ძესა მეფისასა მამისავე ჟამსა შინა მოეყვანა თუშეთიდამ დათუნა ძე შალვასი და იყო იყოფებოდა მის თანა. ამან გიორგი წარავლინა ძმა თჳსი ლევან შიდა ქართლის დროშით; ესენი შეუხდნენ კსანს და განაძეს იესე და დასუეს დათუნა ერისთავად. ხოლო მეფე შანაოზ შთავიდა ხოშკარს, მუნ სალმობიერ იქმნა და მოკუდა ქ˜სა ჩ˜ქოე1675, ქრ. ტ˜ჲგ.

ამისმან მცნობელმან ყეენმან წარმოავლინა კაცი და აღწერნეს ყოველნი ქონებანი მეფისანი და მისცეს ალექსანდრეს და ანუკას, შვილთავე მეფისათა, რამეთუ ესე ალექსანდრე პირველად წარევლინა ყეენისათჳს მეფესა და იყოფოდა მუნ ტარულად ისპაანისად. შემდგომად მამისა თჳსისა წილ მიუწოდა ყეენმან გიორგის ძესა მეფისასა, წინაშე თჳსსა, რათა მისცეს ქართლი და მეფობა. მსმენელი გიორგი, ძე მეფისა წარვიდა წიანშე ყეენისა და დაუტევა ტფილისს გამგედ ქართლისა ძმა თჳსი ლევან. ხოლო მისრულისათჳს გიორგისა ძისა მეფისათაჳს არღარა ენება ყეენსა მიცემად ქართლი შაჰ-სულეიმანს შიხალიხანის გამო, არამედ ერეკლესათჳს ძის ძისა ბატონის თეიმურაზისა.

ამისი მცნობელ არჩილ მეფე სადგერს მყოფი ჩამოვიდა ქართლს და იწყო პყრობა ქართლისა, არა თუ თჳსად არამედ რათა

სცნას ყეენმან და მოსწრაფედ წარმოავლინოს ძმა მისი გიორგი. ესმა შაჰ-სულეიმანს დაპყრობა ქართლისა არჩილისაგან, განიზრახა განდგომა ქართლისა, მსწრაფლ მოუწოდა გიორგის და მისცა ქართლი და ნიჭნი დიდნი და წარმოავლინა გამაჰმადიანებული დიდებითა მუნებურითა.

ჟ˜ა. მეფე გიორგი ი˜ბ წელი მეფა.

მერმე მოვიდა გიორგი მეფედ ტფილისს ქ˜სა ჩ˜ქოვ 1676 ქარ ტ˜ჲდ, და განაგებდა ქართლს. ხოლო იყო ესე გიორგი მეფე მჯნე,ახოვანი, ძიერი ძალითა და ტანითა, შვენიერ-ჰაეროვანი, პირმხიარული, ენატკბილი, უხჳ და მრისხანე, მოისარ-მოასპარეზე, უებრო. არამედ მომკუდარ იყო კათალიკოზი დომენტი ქ˜სა ჩ˜ქოე 1675 ქარ. ტ˜ჲგ. აწ მეფემან დასუა ძმა გივი ამილახორისა ნიკოლოზ კათალიკოზად. ხოლო ყეენსა ემცნო მეფისათჳს „ანუ შეიპყრას და წარუვლინოს არჩილ მეფე ანუ განაძოს“. არამედ არჩილ შემდგომად ახალციხიდამ გა-

მოლტოლვილი იდგა სურამს და რა აუწყა მეფემან ესე ესრეთ, არ-
ჩილ წარვიდა და დაიპყრა იმერეთი.

მერმე კუალად მოითხოვა ყეენმან ლუარსაბ ძმა მეფისა გიო-
რგისა. არამედ მომკუადრ იყო სიმამრი ლუარსაბისა რევაზ ერისთავი
და დასუა მეფემან ძმა ოთარ ერისთავისა იასონ და წარავლინა მეფე-
მან ძმა თჳსი ლუარსაბ წინაშე ყეენისა. გარნა ესე ყოველნი, რომელ-
ნი აღვსწერეთ ანუ აღვსწერთ, ყეენის მიერობასა იქმნებოდნენ შიხა-
ლიხანისა მიერ, ვინაჲთგან იყო ეთიმადოვლე და ვეზირი აზამი.
უსმენდა ყეენი ფრიად და კუალად დამართა აწცა წინაშე ყეენისა არ-
ჩილისაგან იმერეთის დაპყრობა, რამეთუ გუშლის ხონთქარსა გიორ-
გი მეფე, ვინაჲთგან არჩილ იპყრობს იმერეთს ძალითა და შეწევნითა
მისითა.

1-26 სტრ., 458
ისმინა ყეენმან და წარმოავლინა სპასალარი აჯი ალიხან და ესე
მოვიდა თავრიზს ქ˜სა ჩ˜ქოთ 1679, ქარ. ტ˜ჲზ, რათა გარდაბირნოს ქარ-
თველნი გიორგი მეფისაგან, და გიორგი მეფესა მოსწერა ყეენმან:
„შეიპყარ არჩილ და წარმოავლინე წინაშე ჩემსა ანუ განაძე“. ესე
კუალად აუწყა არჩილს გიორგი მეფემან. ამისთჳს არჩილ წარვიდა
დუალეთს. ხოლო გიორგი მეფემან აუწყა ყეენს განძება მისი. არამედ
კუალად მოუწერა ყეენმან გიორგის მუნიდამაც განძება არჩილისა.
ამას ზედა წარავლინა მეფემან გიორგი ძმა თჳსი ლევან და ამილახო-
რი გივი არჩილ მეფისა თანა, და მიუთხრნა ესე ყოველნი. ამის მიზე-
ზისათჳს არჩილ ითხოვა სამსჭუალი ქრისტესი და სუდარი და საბე-
ლი „უკეთუ მომცეთ, წარვიდე რუსეთს“. ესე შეუძნდათ მეფესა კა-
თალიკოზ-ეპისკოპოსთა და მთავართა. გარნა შემდგომად მას პირსა
ზედა მისცეს ესენი და წარვიდა არჩილ რუსეთს (და მოაკლდა მიე-
რით ნიჭნი ესე ღუთისანი ქართლს). არამედ კუალად არა დასცხრა
შური შაჰ-სულეიმანისა გიორგი მეფესა ზედა და მცდელობდა შემუს-
რვასა მისსა შიხ-ალიხანის გამო, და უბძანა აჯი ალიხანს მტერობა
მეფისა. არმედ სიმჴნითა გიორგი მეფისათა ვერა რაჲ ავნეს ჯერეთ.
ხოლო ჟამთა ამათ ისჯებოდნენ მამაულთა ზედა ციცი და ძმის წულნი
მისნი, ძენი მონადირისანი წინაშე მეფისა კოჟორსა ზედა. მაშინ ციცი
წარმოვიდა ტფილისს აბანოდ და დახუდენ იშიშუტრუქის ჴიდს ზეით
ფარსადან, პაატა, ვახტანგ, ნოდარ და ამილღაბარ ძმანი, მოჰკლეს
ციცი და ივლტოდნენ მამულსა თჳსსა. განრისხებული მეფე მიუჴდათ
არამედ გაესწრნენ იგინი. ხოლო აზნაურნი შემზრახნი მათ თანა
მოსწყჳდნა და მისცნა მამულნი ციცის ძესავე ციცისასა და სიმცი-
რისათჳს მოუდგინა მუხრანის ბატონის შვილი პაპაუა და თჳთ მეფე
მოვიდა კოჟორსა ზედავე.

1-29 სტრ., 459
ხოლო ესე ვახტანგ მივიდა შემდგომად დუშეთს, რამეთუ ქალი
ოთარ ერისთავისა ჰყვა ცოლად (იტყჳან შეჩენითა მეფისათა უკეთუ
მოჰკლას იასონ ვახტანგს მისცეს მამული თჳსი მეფემან, და ამან მო-
აშთო განსავალსა შინა). ხოლო იმერეთს ჯდა გურიელი გიორგი
მეფედ და არღარა მგონებელმან მეფემან არჩილის მოსლვისამან ინე-
ბა რათა ჯდეს ენბისმყოფელი თჳსი იმერეთს ძალისა თჳსისათჳს და
პირევლვე მოპარვით მოვანილი ალექსანდრე, ძე ბაგრატ მეფის
უთუალოსი, ქ˜სა ჩ˜ქოჱ, 1678 ქარ. ტ˜ჲვ, რომელსა ზრდიდა ძეებრ, ინება
აწ ამისი მეფობა იმერეთს, მიუწერა ახალციხის ფაშას, რათა ჰყოს
ალექსანდრე იემრეთს მეფედ. ხოლო ფაშამ აუწყა იმერეთს ხონთქარსა. შემ-
დგომად მოთხოვნითა ფაშისათა წარგზავნა მეფემან ალექსანდრე
დიდითა პატივითა ქ˜სა ჩ˜კპბ 1682, ქარ. ტ˜ო.

ამასვე ქორონიკონსა მოკუდა დედოფალი მარიამ, შემდგომად
მოკუდა დედოფალი თამარი ცოლი მეფისა, რომელი იყო კახთ-
ბატონთა ტომისა, ქ˜სა ჩ˜ქპგ 1683, ქარ. ტ˜ოა.
ხოლო ალექსანდრე მეფემან სძლო რა გურიელს გიორგის რო-
კითს, წარმოუვლინა მეფესა მახარობელი და მადლობა, რამეთუ მის
მიერ ექმნა ყოველნი და აწ ღირს ჰყოს და მისცეს ასული თჳსი მა-
რიამ ცოლად. ესე არა ინება მეფემან არჩილის გამო და მიზეზ-ჰყო
დაწინდვა დავით ერისთვისაგან და მისცა ნიჭი დიდი კაცსა მას და
წარუვლინა. მერმე კუალად მოეთხოვა ალექსანდრეს ელენე, ასული
ლუარსაბ ძმისა მეფისა, და ესე აღუთქუა მეფემან მიცემად.

შემდგომად ამისა ინება მეფემან რაჭის ერისთვის პა-
პუნასი და მოითხოვა ასული მიქელაძის გიორგისა ხუარაშან, რამე-
თუ იყო პაპუნას მამიდასშვილი, მოიყვანა კოჯორსა ზედა და ჰყო
ქორწილი წარჩინებით დიდებული ქ˜სა ჩ˜კბზ 1687, ქარ. თ˜ოე, რათა
აქუნდეს მწედ იგინი. ხოლო აჯი ალიხარ წარიბირნა მთავარნი, რა-
მეთუ არღარა აქუნდათ სიმტკიცე სჯულისა და მეფეთა თჳსთა ერთ-
გულებისა, ვიანჲთგან მცირედითა ნიჭიტა გამაჰმადიანდებოდნენ და

1-27 სტრ., 460
აქუნდათ როქი ყეენისაგან, შემყურე იყვნენ უფროს სოფლის დი-
დებისა, ვიდრეღა სუფევისათჳს ჩვენთჳს დაკლულისა ქრისტესა.
უკუდგა იასონ ერისთავი არაგჳსა, შურიტა გივი ამილახორისათა.

კუალად მელიქი სომხითისა ქამარბეგ ამხილებდა ქმნულსა მე-
ფისასა აჯი-ალიხანს და ძე მნუხრანის ბატონისა ერეკლე, რომელსა
ზრდიდა მეფე, ვითარცა ძესა, და ძმანი მაჩაბელნი, ძენი ზაზასნი,
იესე და ელიზბარ უდგებოდნენ ღალატად მეფესა. არამედ ბრძანები-

თა მეფისათა ჰკრეს თოფი ქამარ ბეგს ფარულად კოჟორსა ზედა, და მოკუდა იგი. ხოლო ერეკლე და მაჩაბელნი შეიპყრა და პატიმარ-ჰყო მეფემან. მაშინ მისცა ასული თჳსი მეფემან დათუნას კსნის ერისთავსა და უქმნა ქორწილი კოჟორსა ზედა, მგონებელმან მომ-ტკიცებისა მისისამან. შემდგომად შეუჩინა იასონ ერისთავსა მეფე-მან კაცი და, განვიდა სამჭირნოსა ბუნებრივსა ზედა, მოაშთვეს მუნ საბლითა, და შემდგომად მისა დაიპყრა გიორგი ძემან ოთარისამან არაგჳ.

ამ ჟამთა წარავლინა მეფემან ორნი ბერნი რუსეთს არჩილისა თანა შფოთებისა ამისთჳს, რათა მოვიდეს და მწე ეყოს ვინაჲთგან კახთა ენებათ და იმერთაცა იგივე მეფედ. მისრულნი მონაზონნი და-ღესტანსა შინა შეიპყრა შამხალმან. მაშინ შეედვა შმახალსა შამხალსა სენი განუსვლელობისა. მცნობმან მონაზონმან დავით თურქისტანის-შვილმან მისცა წამალი და განჴსნა იგი. ამისთჳს შეიყვარა შამხალ-მან დავით და უჴმობდა ძედ. ამის მიერ გამოსთხოვა შამხალს დავით და წარავლინა რუსეთს მეორე იგი ბერი და მეგობარ ჰყო შამხალი გიორგი მეფისა და იყოფოდა დავით შამხალისა თანა არჩილის მოს-ლვისამდე.

ხოლო ესე ვითარებისა მცნობმან ყეენმან მოითხოვა მეფისაგან ლევან ძმა მეფისა, რამეთუ ეუწყა ყეენსა არს იგი საქმისა მისისა წარ-მმართებელი. გარნა ლევანს მოჰკდომოდა ცოლი, ასული გურიელისა

1-26 სტრ., 461
თუთა, ქ˜სა ჩ˜ქოჲ, 1678, ქარ. ტ˜ჲვ, და დაშთნენ ძენი მის თანა ქაიხოსრო, ვახტანგ და დომენტი და ასული ხუარამზე. შემდგომად შეირთო ასუ-ლი გიორგი ავალისშჳლისა თინათინ ქ˜სა ჩ˜ქპ 1680 ქარ. ტ˜ჲჲ, და ესხ-ნენ ძენი მის თანა სჳმონ და თეიმრაზ, ხოლო ესმა რა მეფესა მოთხოვნა ძმისა თჳსისა აღუძნდა ფრიად და ევედრა ყეენსა, რათა დაუტეოს ლევან და წარუვლინოს ძე თჳსი ბაგრატ, ვინაჲთგან არს უმეტეს სარწმუნო, რამეთუ „არა მიჴს თჳნიერ მისსა სხუა ძე“. ჱი სიბოროტე უსჯულო შურისა, რამეთუ მოითხოვა ორნივე ყეენ-მან და მოუწერა, რამეთუ „აწ ვცან ერთგულება შენი ვინაჲთგან არა რიდებ ძესაცა“. ამისთჳს განიგულა მეფემან და ეზრახა კახთა (ვინაჲთგან ეპყრა კახეთ ხანსა და არა კეთილს უყოფდა კახთა), რა-თა მოჰკლან იგი, შეერთდნენ და ჰყო ერთ სამეფოდ. ამას ზედა მოს-ცეს პირი მტკიცე და ფიცი კახთა. ამისთჳს შეიკრიბნა მეფემან სპა-ნი, რეცა წარვლინებად ძისა და ძმისათჳს, მივიდა და დადგა ყურყუ-თას და ღამესა მას ენება მისლვა თოფყარაღაჯს, რამეთუ კახნი შეკ-რებულნი დგნენ, მიმლოდნენი მეფისა. არამედ ღამესა მას განივლტო სპასპეტი თამაზ და შევიდა აღჯაყალის ციხესა შინა. იხილე სიბო-როტე ურწმუნოებისა, რამეთუ იყო დედის ძმა მეფისა და განმზრახი

მისანდო და აღირჩია უსჯულოთა თანა შერთვა, ვიდრეღა მემკჳდრისა და მოანათესავისა თჳსისა მეფისა. გარნა აქუნდა მიზეზი სიბოროტისა, რამეთუ გიორგი ერისთავი არაგჳსა სიძე მისი იყო და უკეთუ ესე აღესრულებინა მეფესა, იგი შეიმუსრვოდა. ამისმან მხილველმან მეფემან წარავლინა ძე და ძმა ლევან წიანაშე ყეენისა, ქ~სა ჩ~ქჰზ 1688, ქარ. ტ~ოვ.

ამისა შემდგომად ეზრახა გიორგი ერისთავსა, რათა მოერთუას. ხოლო მან არა ინება. გარნა მომკუდარ იყო ბიძის ძე მეფისა მუხრა-

1-26 სტრ., 462
ნის ბატონი თეიმურაზ რომელი იყო კაცი დიდ-შემძლე საქმისა, /ერთგული მეფისა და რიდობდენ ყოველნი. და ესრეთ მოაკლდებოდნენ მეფისანი და განმრავლდებოდნენ წიანააღმდგომნი. ამისთჳს განიზრახა მეფემან ამასვე ქორონიკონსა ზედა შესვლა დუშეტს ანუ დაიპყრას და დაიმორჩილოს იგინი, ანუ იქმნას რაჲ იგი ნებავსთ. შეკრებული სპითა მივიდა და დადგა საბურდიანოს და მუნიდამ ეზრახა კუალად დამორჩილებასა გიორგისა. გარნა არა ინება მორჩილება. მაშინ შეუჴდა გზასა ტინისასა მეფე და მათ მოემწოთ კახნი, მოყუარენი მათნი, და შეჰკრეს სიმაგრენი და იწყეს სროლა თოფთა დილით შუადღედმდე. არამედ შეუშვეს სხუანი დროშანი და უმეტეს უწყეს მეფის დროშასა სროლა, მოკლეს ტფილელი იოსებ და ქაიხოსრო ციციშვილი და სხუანი მრავალნი. არამედ სძლიეს მეფისათა და მოსწყჳდნეს იგინი და ივლტოდნენ. შევიდა მეფე და დადგა ბაზალეთს გამარჯვებული და მოწუეს დუშეთი და გარემონი სპათა მეფისათა. იხილა კუალად სიბოროტე და არა კეთილისა წილ კეთილი, რამეთუ დათუნა კსნის ერისთავი წარავლინა მეფემან, რათა მოვიდეს იგი გრემის ხევიდან ბრძოლას ზედა, ხოლო იგი არა მოვიდა. არამედ დაადგრა მჭურეტელი, თუ რაჲ იქმნას. გარნა რა ჟამს ივლტოდნენ იგინი, მოსიწრაფა დათუნამ მეფისა თანა და მას ემთხვია გიორგი და ბარძიმ ძმანი, მცირედითა კაცითა ლტოლვილნი. ხოლო მან არა რაჲ ავნო, არცა ბრძო, არცა შეიპყრნა. არამედ განუეტევნა მშჳდობით და თჳთ დათუნა მოვიდა წინაშე მეფისა და მყისვე აიძულებდა უკუნ ქცევად, რამეთუ გიორგი და ბარძიმ ვედრებად მიწევნილ იყუნენ მეფისად, რათა შეუნდოს. ამის დათუნას მიერ არცაღა მათ ინებეს და კუალად ქუე გამხედველთა დ ა ბოროტთა კაცთა მეფისათა, განზრახჳთავე დაჳთ ერისთვისათა, იჴმიეს მასვე ღამესა შინა ლტოლვა და დაუტევეს მეფე მუნ.

1-26 სტრ., 463
ამისი მხილველი მეფე და უღონო ქმნილი წარმოვიდა თჳთცა მასვე ღამესა მშჳდობით და მოჳდა კოჟორსა ზედა. ესე მიესმა შაჰ-

სულეიმანს, შეიპყრნა თოხჩის მყოფნი ძე მეფისა ბაგრატ ყრმა ლევან და წარავლინა ჰერათს პატიმრად; ეგრეთვე ლუარსაბ ძმა მეფისა წარგზავნა ქირმანს.

ხოლო ამან ლუარსაბ ქმნა ბოროტი, რამეთუ რაჟამს აიძულებდნენ უარყოფასა ქრისტესა არა დაუტევა, არამედ აწ გზასა ზედა შეიმუსრა ცხჳრი და შეისვარა სისხლითა და იტყოდა ჩვენებასა, ვითარმედ მცაო იმამმან ღამესა ამის მეტყუელმან „რაჲსათჳს არა იქმნები მოჰმადიან“. გარნა არა შეურაცხეს ხუანჯი ესე სიმართლედ, ყვეს მაჰმადიანად და წარვლინეს მუნვე. ხოლო გიორგი მეფესა მოუწერა ყეენმან „მოვედ წინაშე ცემსა და მოგცე ქუეყანა სხუა დ ა ნიჭნი დიდნი. არამედ ქართლი მიმიცია ერეკლესათჳს“.

და ესე ერეკლე იყო ისპაანს ი˜დ წელსა, და არა უარჰყო ქრისტე, რამეთუ იყო აღზრდილი რუსეთს, რომელი წინაცა ვაჴსენეთ ამას შეუკრბნენ მისთანა მყოფნი კახნი და უმეტეს მოძღვარი მისი, მონაზონი ნაცვლისშვილი, და ესენი იტჳრთჳდნენ ცოდვასა მას რათა დაუტეოს ქ˜ე. ამისთჳს გამაჰმადიანდა ცოლშვლითა სრულიად და უწოდეს ნაზარ-ალიხან და წარმოავლინეს ნიჭითა ქართლს მეფედ. ამისი მსმენელი თამაზ სპასპეტი შემოჳდა ტფილისის ციხესა შინა და უკუუდგინა ციხე ქალაქი მეფესა. მაშინ მეფემან წარმოავლინა დედოფალი ყორნიის და შემდგომად ხუნანს მოსლვისა ნაზარ ალიხანისა წარჳდნენ ქართველნი მიგებებად ერეკლეს თანა. მერმე გიორგი მეფე მოვიდა ქცხინვალს და მუნიდამ წავიდა რაჭას ლიბის გზასა ზედა, და მთიდამ გამოუტევნა ქართველნი მცირეთაგან კიდე, რამეთუ მოეცა ყეენსა ნაზარალიხანისათჳს მწედ აჯი-ალიხან და ხა-

ნი კახეთს მჯდომი დარაჯად, თხოვნითავე ერეკლესითა, თუშნი და ქისიყელნი, ამისთჳს რამეთუ ვერა ეგდენ ენდობოდა ქართველთა.

ჟ˜ბ. მეფე ერეკლე, ი˜ჱ წელი მეფა. გიორგი მეფის ქართლს ყოფით თჳნიერ მისსა ი˜ა წელი მეფა.

ესე ერეკლე ყეენისაგან წოდებული ნაზარ-ალიხან მოვიდა და დაჯდა ტფილისს მეფედ ქ˜სა ჩ˜ქპჱ 1688, ქარ. ტ˜ოვ. არამედ იყო ქართლისა და წესთა საქართველოსათა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი, ლირწთა და უშვერთა მოუბარი, სმისა და შუება-ლხინთა მოყუარე, მჴნე და ჰაეროვანი, ტანოვანი, მოწყალე და მცირედთა ყურისმიმპყრობი და დიდთა დამამდაბლებელი, არამედ არა ძალ ედვა თჳნიერ ყეენისა, მრისხანე ჟამად და უსისხლო. გარნა ამის ჟამის ჟამამდე არა იცვალებოდნენ კათალიკოზი და ეპისკოპოსნი საყდართა თჳსთა-

გან. ამან შეცვალა და დასხნა თჳსნი, კათალიკოზად დიასამიძე იოა-
ნე, მთავარეპისკოპოსზად ნაცვლიშჳლი, ტფილელად ყაფლანისშვილი
დომენტი, მანგლელად ჯავახიშვილი იოსებ, რომლისა ძმის წული
მოიყვანა ხარჭად თჳსად. კუალად დაადგინა კარისა თჳსისა გამგედ
მსაჯულუხუცესად ბარძიმ, ძმა გიორგი ერისთავისა, სახლთუხუცესად
ბებურისშვილი, ვეზირად ყიასა, ყულარაღასად ყაფლანისშვილი ლუ-
არსაბ. და ამათ მიაგდო საქმენი ყოველნი ქუეყანისანი და თჳთ მარა-
დის იშუებდა და იხარებდა და ნადირობდა. არამედ უმძიმდაცა ფრიად
ესევითარი ცვლილება საქართველოჲსა და სწადდა, რათა აქუნდეს
კახეთი თჳთ და ქართლი გიორგი მეფესა, ვითარცა მემკჳდრეთა. ამას

1-25 სტრ., 465
უთხრეს, რამეთუ არიან ძენი არჩილ მეფისანი ზრამაგას, რათა წა-
რავლინოს სპანი, შეიპყრას იგინი და წარუვლინოს ყეენს. მეორედ,
რამეთუ მწეობა დიდი იქმნების ალექსანდრე იემრთა მეფისა, ვინა-
ჲთგან მეგობროზდენ ესენი გიორგი მეფის მტერობისათჳს.

ესე არა სთნდა ერეკლეს, რამეთუ დისწულნი იყვნენე ძენი არჩი-
ლისანი ამისნი. არამედ რათა არა დამართონ ქართველთა წიანშე ყე-
ენისა, ამისთჳს შეკრიბნა სპანი და უთავა ბარძიმ მდივანბეგი, რო-
მელმანცა გამოითხოვა ამისი ყოფად და წარგზავნა დუალეთ. არა-
მედ მისრულსა ზრამაგას სპიტა ბარძიმს წინა აღუდგა ელიყანაშვილი
და წარავლინნა ძენი მეფისა არჩილისანი დიგორს. ხოლო ბარძიმ
ვერა რაჲსა მყოფელი უკუმოიქცა და მოჳდა წინაშე ერეკლე მეფისა.

კუალად უთხრეს ერეკლეს, რამეთუ არიან ცოლშვილი ლევან
გიორგი მეფის ძმისა ავალისშჳლის გიორგის სახლსა და გამოთხო-
ვითავე ქაიხოსროს ციციშვილისათა, რომელსა უწოდდენ ლოპინას,
წარავლინა იგივე, რათა მოიყვანოს იგინი. არამედ გიორგი ავალის-
შვილმან წარიყვანა სამცხეს ლოგათხევსა შინა იგინი ძმისა თჳსისა
თანა, რომელი იყო მუნ მაჰმადიან. ხოლო ლოპინა დაესხა და იავარ-
ყო ქონება ლევანისა სრულიად, გრანა ერეკლე მეფე მნებელ არა
იყო ამათი, არამედ შიშისათჳს, რათა აარ შეასმინონ ყეენსა მტერ-
თა მეფისა გიორგისათა. კუალად ამათ თჳსთა განმზრახთაგან ამცი-
რებდა ერთგულთა მეფის გიორგისათა და განადიდებდა კახთა, და
ვინამეთა ქართველთაცა. არამედ უმეტეს დაამდაბლა სპასპეტი თამაზ
და მიეგო თხემსავე სიბოროტე, მერმე კუალად უძჳრესი, კუალად
ამილახორი გივი და დავით ერისთავი, აშოთან მუხრანის ბატონი. ხოლო
აღაზუავნა მცველნი ტფილისის ციხისანი ყიზილბაშნი, რამე-
თუ ჰკვლიდენ და წარუხმიდენ ცოლშვილთა, სხუათა ჰყიდ-

1-27 სტრ., 466

დენ და სხუათა მაჰმადიან ჰყოფდნენ და ჭირისა ამისთჳს გარადშენ-
დებოდენ ქართლის გლეხნი და აზნაურნიცა, რამეთუ საწა-
დელი იყო ერეკლესა აღენება კახეთისა.

ხოლო გიორგი მეფე რაჭიდამ ოდიშს, ოდიშიდამ გურიას, გური-
იდამ მივიდა სამცხეს და დადგა ოშორას, მუნიდამ წარმოავლინნა
სპანი თჳსნი, რათა დაესხნენ ალექსანდრეს იმერთა მეფესა, რომელი
იდგა წედისს. ესე სცნა ბეჟან სააკაძემ და ამხილა ალექსანდრეს და
იგი მსწრაფლ შეივლტო ციხესა შინა გორს და სპანი მეფისანი მო-
ვიდნენ ოშორასვე უქმნი. ხოლო ერეკლე მეფემან ყოველი ესე აუწ-
ყა ყეენსა, რაჲცა იგი ჰქმნა გიორგი მეფემან. ამისთჳსი შაჰ-სულეიმან
წარუვლინა დესპანი ხონთქარსა ქალბალიხან „ჳნაითგან არს ზავი
ჩვენს შორის, მომეც არჩილ და გიორგი მეფენი (და მიუძღვანნა ძღუ-
ენნი დიდნი) და ჰყავ ალექსანდრე მეფედ იმერთა“. მაშინ ოსმალთა
ვცეცხლისმოყვარეთა უბრძანეს ახალციხის ფაშას შეპყრობა და მი-
ცემა მათი და გამეფება ალექსანდრესი იმერეთს. ამისი მცნობნი
წარჩინებულნი მესხნი აზრახებდნენ გიორგი მეფესა შესლვად იენგი-
ჩართა შინა და მირებად სჯულთა მათთა, ვინაჲთგან არღარა იყო სხვა რაჲღა ღონე.

შემდგომად მოვიდა ფაშა და მოერტყა გარს მეფესა ზიკილიას
მყოფსა. ხოლო მეფემან ჰყო ეგრეთ, ვითარცა ამცნეს მესხთა სახ-
ლეულთა თჳსთათჳს, რამეთუ უკეთუ თჳთ განრომილ იყო მეფე იგი-
ნი ძნიად განეროდნენ და წარიყვანეს მეფე ახალციხეს. არამედ ვინა-
ჲთგან უპატიო იყვნენ ქართველნი ერეკლე მეფისაგან, ამისთჳს ეზ-
რახოდენ მეესდ გიორგის, რათა მივიდეს ქართლს და დადვან სულნი
თჳსნი მისთჳს და აღუთქმიდენ ფიციტა დიდითა. კუალად უვლინებ-
დნენ მრავალსა საგანძურსა აშოთან მუხრან-ბატონი, გიჳ ამილახო-
რი და ნიკოლოზ მაღალაშვილი, რათა მით დაუყოს პირი მეფემან

ოსმალთა ანგაართა.

1-29 სტრ., 467
და ღამესა ერთსა ნებითა მესხთაჲთა, გარდმოუშვა მეფე ციხის
ზღუდიდამ დოლენჯიმ ხმალაძემ საბლითა და მოვიდა სლესას
ღამითა მეფე, რამეთუ ზიკილიიდამ მუნ მისრულ იყვნენ სიახლოვისა-
თჳს ქართლისა სახლეულნი მეფისანი, მასვე ჟამსა აყარნა დედოფა-
ლნი და დედაწულნი თჳსნი და ჩამოვიდა ქართლს ხეობასა შინა. მაშინ
ალექსანდრეცა მიეწეოდა ფაშას ასცდა მეფე გზასა ზედა
და მსახურნი მისნი შეიპყრნეს მონათა მეფისათა და მოართვეს მეფესა.
მერმე დაუეტევა დედოფალი მუნ ხეობასა შინა დედაწული-
თურთ.

შთამოვიდა გიორგი მეფე კუალად
ქართლსა და დ~ წელი მეფა

წელსა ქ~სა ჩ~ქჟა 1691 ქარ. ტ~ოთ შემოიკრიბნა სპანი გარემონი მე-
ფემან და შთამოვიდა შიდა ქართლს და მოერთოდიან მუნებურნი ყო-
ველნი სიხარულითა ხოლო სცნა მეფემან, რამეთუ დედა და ცოლ-
შვილნი ალექსანდრესნი დგანან რუისს, დაესხა მათ და იავარ-ჰყვნა
იგინი და ძენი მისნი დააპატიმრნა და სხვანი ტყვე ჰყვნა.

ამისი მცნობელი ნაზარ-ალიხან, კოჯორსა ზედა მყოფი
მსწრაფლ შევიდა ტფილისს და გიორგი მეფე მოვიდა დუშეთს და მუ-
ნიდამ თიანეთს, რამეთუ მუნ იდგა გიორგი და ბარძიმ. მოეგებნენ
ორივე წინ, სიხარულითა თაყვანისმცემელნი და ითხოვეს შენდო-
ბა, მერმე უძღვნეს დანაშთუნებულნი ტინისანი და თჳსნიცა მრა-
ვალნი.

მაშინ ქაიხოსრო ლოპინა შეიკრიბნა სპანი თჳსნი, რათა დაეს-
ხას დედოფალსა ახალდაბას, არამედ ძმისწულმან მეფისამან ვახტანგ,
ძემან ლევანისამან, შემოიკრიბნა თჳსნი და მიეგება ბრძოლად, ივ-
ლტოდა ქაიხოსრო და შევიდა ტფილისს ერეკლეს თანა და ძმისწულმან
ქაიხოსროსამან ციციმ დაიპყრა საციციანო და მოერთო მეფესა. ხოლო შეკრებული
მეფე მოვიდა თიანეთიდამ დიდგორსა ზედა და მო-
ერთვენენ სრულიასდ სოხით-საბარათიანონი, მერმე მივიდა და
დადგა კოჯორსა ზედა მეფე გიორგი.

1-29 სტრ., 468
კუალად დაადგინდა კათალიკოზად ნიკოლაოსვე და წარგზავნა
ბარძიმ მსაჯულთუხუცესი იმერეთს შეწევნად არჩილ მეფისად სპითა,
არამედ ვერღარა ესწრა, რამეთღუ არჩილ მოსრულ იყო ერწოს; მიე-
გება მუნ ბარძიმ დიდითა ძღუნითა და მოუძღვა ქცხინვალს არჩილს,
და თჳთ ბარძიმ მოვიდა გიორგი მეფისა თანა. მაშინ მეფე მოადგა
ტფილისს და შეამჭირვა ფრიად და ეზრახა კახთა, რათა იპატრონონ
კუალდვე არჩილ. ხოლო მათ სიხარულით მოსცეს პირი მტკიცე ფი-
ცითა და აცნობეს ესე არჩილს, არამედ მან არა ინება, გარნა განემ-
ზადა წარსვლად რუსეთს. და ქენებითა დისა თჳსისა თამარისათა
დაადგრა მუნვე. ხოლო გიორგი მეფე ფიცისათჳს კახთა განვიდა ლი-
ლოსა ზედა, რათა დაიპყრას კახეთი და მუნიდამ წარავლინა ბარძიმ
თავად სპათა გივი ამილახორი და სპასპეტი თამაზ და ქართველნი.

ამათ მისრულთა ნინოწმიდას მოერთო სახლთუხუცესი ჩოლო-
ყაშჳლი რევაზ მოკიდებულითა თჳსითა და ნინოწმიდელი უმას-
პინძლებდა მათ. არამედ დუშია ქისიყის მოური მოვიდა მთა-მთად

მცირედითა თუშით და ქისდიყითა, არა ბრძოლად, არამედ რათა ჰყოს ზავი მათ თანა.

ხოლო ესე ბარძიმ იყო ამაყი, თავხედი, კადნიერი, და არა რად ვინმე ჩნდა და უმეტეს კახნი. ამისი მცნობი და მგონებელი დუშიასი ბრძოლად მოსლვისა, ღჳნო სმული და მთვრალი განრისხნა ფრიად და არღარა ისმინა ვისიმიე და მიეტევა ბრძოლად. მაშინ დუშიამ ში-შისათჳს იწყო სროლა თოფთა, ჰკრა ბარძიმს მკერდსა და განვლო ბეჭსა მისსა და შეიღეს მოწყლული ნინოწმიდის ზღუდესა შინა და განამაგრეს ყმათა მისთა ზღუდე ეკლესიისა. ხოლო ქართველნი ლტოლვილნი მოვიდეს წინაშე გიორგი მეფისა ლილოსავე. მერმე უკმიქცა მეფე და მოჳდა მცეხთას.

კუალად ეზრახა გიორგი მეფე არჩილს, რათა დაიპყრას კახეთი, რამეთუ ევედრებოდნენ კახნი მისთჳს, არამედ არჩილ არა ინება და წავიდა ოსეთს. ხოლო მეფე გიორგი კუალად დადგა კოჟორსა ზედა

და მოაყენა ქაიხოსრო ძმის წული თჳსი გორს, რამეთუ იოთამ ამი-ლახორი, მას შინა მყოფი, არბევდა მუნიდამ ქართლს.

კუალად ეზრახოდა გიორგი მეფე შამხალსა, რათა მწე ეყოს, და მან აღუთქუა აჰმადბეგ ალიაღის შვილის დესპანიბოთა. ამისთჳს წა-რავლინა ძმისწყული თჳსი ვახტანგ მძევლად შამხლისათანა პაემნი-თა ამით, რათა ოდეს მოვიდეს ძე შამხლისა ქართლს, მაშინ ვახტან გცა მივიდეს შამხლისა თანა. არამედ მოუგზავანა ნიჭი დიდი ყეენმან შამხალსა „ვინათთგან გიპყრავს გზა, წარსრული არჩილ მეფე რუ-სეთს შეიპყარ და წარმოავლინე წინაშე ჩემსა“. ამისთჳს უგულებელ ჰყო ფიცი და პაემანი შამხალმან და, რა შეიპყრეს არჩილ მეფე ჩერ-ქეზს ესე სცნა ვახტანგ ხევსა მყოფმან, წარმოვიდა და მოვიდა გორს ძმისა თჳსისა ქაიხოსროს თანა.

ამ ჟამთა ეზრახა აბაზ-ყულიხანს ნაზარ-ალიხან, რათა დაიპყრას ერწო-თიანეთი. შეკრიბენს ამათ სპანი და მოგზავნეს თიანეთს. ამათ ზედა წარმოავლინა მეფემან პაპუა მუხრან-ბატონი და ერისთავი გიორგი სპითურთ. მისრულთა ჰყვეს ბრძოლა კუეთებითა ძლიერითა და ივლტოდნენ სპანი ჩუენნი. ამისი მცნიბელი მეფე მოვიდა თია-ნეთს სპითა და დაიპყრა კუალდ თიანეთი. ამისთჳს მოვიდა ერეკლე მეფეცა და დადგა იგი ქართლის უბანს. მაშინ ეზრახნენ გიორგი და ერეკლე მეფენი ურთიერთს მნებებელნი, რათ დაიპყრას ქართლი გიორგიმ და კახეთი ერეკლემ და აუწყონ მყეენსა ეგრეთ მორჩილება მისივე და დაასკუნესცა ესე პირი. არამედ არა აუფლეს მეშფოთეთა

ესე ყოფად.

შემდგომად ინება მეფემან გიორგი ბრძოლა და ესეცა არა ინე-
ბა გიორგი ერისთავმან, ვინაჲთგან იყო შეუმართებელი და გემოთ
მოყუარე და განზრახჳთა მისითა უკუმოიქცა მეფე გიორგი სპითა.
ხოლო ერეკლე მეფემან დაიპყრა თიანეთი, არაგჳს აღმოსავლეთი
სრულიად. მაშინ გიორგი მეფე რა თჳთ ვერღარა ეუფლა ბრძოლასა,
წარავლინა ძე იასონ ერისთავისა თეიმურაზ სპითა. ამათ მოსრნეს

ნაზარ-ალიხანისანი აოტნეს და წარუხუნეს არაგჳს კიდენი და დაიპ-
ყრეს თჳთ.

კუალდ წარავლინა მეფემან ზაალ ხერეხეულიძე სპითა. ესენი
მივიდნენ და მოსტყუევნეს მარტყოფი. ესმა ესე ერეკელ მეფესა და
წარმოუდგა ამათ. არამედ ამათ შემოასწრნეს მცხეთას და მოსრული
ერეკლე მეფე მოადგა გარს. ამისი მხილველი გიორგი მეფე მსწრაფლ
წარმოვიდა და არცა აქა აუფლა გიორგი ერისთავმან რათა განვლოს
ღართისკარი და მოსრან იგინი. არამედ მოვლეს სხლატბიდამ. ხოლო
მათ იხილეს რა მიმავალნი სპანი მსწრაფლ განვიდენ ჯუარს და და-

დგა მუნ ერეკლე მეფე და ვერღარა ჰყვეს ბრძოლა სიმაგრეთ-გამო.
არამედ დგნენ იმერ და ამიერ და სპანი ბრძოდენ მარადის ქ˜სა
ჩ˜ქჟდ 1694 ქარ-ტპბ.

შემდგომად მოიღნეს ზარბაზანნი ტფილისადამ მათ და ისროდ-
ნენ გარნა ვერ ავნეს კაცთა. არამედ ეცა მცეთას ეკლესიათა. მაშინ
ამითი რისხვეულ იქმნენ და კვეთებითა მეხისათა იქმნა ყორჩიბაში
ბეჟან ვითარცა მკუდარი. ხოლო ქუე განმხედველ ექმნა გიორგი მე-
ფესა ციცი ციციშვილი და აცნობებდა ყოველსავე ნაზარ-ალიხანს,
რამეთუ იყო ლოპინა მისთანა. ამისთჳს შეიპყრა გიორგი მეფემან
ციცი მოაშთო იგი და მისცა საციციანიო ფარსადანს ნოდარის ძეს.

კუალად შეაპყრობინა მეფემან ქაიხოსროს ძმისწულსა თჳსსა
სააკაძე ბეჟან, ვინაჲთგანა ამხილებდა იგიცა ნაზარ-ალიხანისა თანა
და აღმოხადნენ თვალნ (ვითარცა ძმამან მისმან პირველ ქცხინვალს
ყოფასა შინა, არა მისცა მეფესა ღჳნო ატენიდან, ამისთჳს შეიპყრა და
აღმოჴადნა თუალნი), ხოლო შემდგომად მოეშველა ერეკლე მეფესა
აბაზ-ყულიხან და ამით განგრძელდა ბრძოლა მუნებური და ვერა
რაჲ ავნეს ურთიერთსა. მერმე უკუნიქცნენ ნაზარ-ალიხან და აბაზ-
ყულიხან და მივიდეს ტფილისს.

შემდგომად ამისა გამოვიდა ერეკლე მეფე სომხითს ესე სცნა კრკონს მდგომმან მეფემნა და აცნობდა არჩილს, შეკრბნენ ძმანი და მოვიდნენ ვარხუნას. სცნა მეფემან ბოლნისს ყოფა ერეკლესი და

ინება მისლვა მის ზედა, რამეთუ იყო მცირედითა სპითა; ესე აცნობეს ერეკლე მეფესა და მსწრაფლ წარვიდა ბორჩალუს.

ამასვე ჟამსა მოართუეს მეფესა გიორგის, რამეთუ მოვლენ თუშნი და კახნი სამსანი წინაშე ერეკლე მეფისა. მსმენელნი სპანი წამსვე აღმჴედრნენ სრულიად და მიეტევნენ. მხილვენლი თუშნი შეკრბნენ ტალავრის ბოლოს გორათა ზედა, და მისრულ-მდგომთაგან იქმნა კუეთებული ბრძოლა ძლიერი. გარნა მოსწყჳდნეს და დაიპყრნეს ქართველთა სრულიად. და მათ მოკლეს ჩოლოყაშვილი გივი, შანშიაშვილი ბაადურ და სხვანიცა. კუალდ მოესმათ სხუათა სპათა მოსლვა, და მათ ზედა მყის წარვიდა ვახტანგ ძმის წული მეფისა და მიჰყვნენ სპანი. მისრულთა იხილეს ყიზილბაშთა სპანი. რამეთუ მომკუდარ იყო შაჰსულეიმან ქ~სა ჩ~ქჟბ 1692 ქარ. ტ~ბ თათრულსა 1104. და დაჯდა მის წილ ძე მისი შაჰსულთან უსეინ.

ამას წარმოევლინა ხალათი ერეკლე მეფისათჳს და მონაცვალენი ტფილისს მყოფთა მცველთა ყიზილბაშთანი ამათ მიეტევნენ ქართველნი და მოსრნეს სრულიად. მაშინ ვახტანგ სცა ოროლი და სპარსსა და სხუამან მოუწყო ისარი. იხილა ხერხეულიძე ხოხონამ და დაიფარა მკერდსა ზედა ფარი ვახტანგ,ჰკრა სპარსმან მან და განვლო ფარი იგი და ვერღარა ავნო ვახტანგ.

კუალდ მჴნედ გამოჩნდა სპარსი ერთი, რამეთუ ჩამოყარნა ხუთნი მჴედარნი, მხნე ჭაბუკნი, შემდგომად შეიპყრა იგიცა გოსტაშაბისშვილამ ნიკოლაოზ და განუტევა მშჳდობით სიმჴნისა მისისათჳს, ხოლო ერეკლემ განვლო გემი ყაია. მცნობმან გიორგი მეფემან ინება წინ გარდასწრება და შეპყრობა მისი, არამედ არა აუფლა არჩილ მეფემან და შემოჳდა ერეკელ მეფე ტფილისს.

ხოლო გიორგი მეფე მოვიდა კუალად კრკონს. ამისთჳს წარავლინა ნაზარ-ალიხან ყაფლანისშვილი ლუარსაბ წინაშე ყეენისა და შეასმინა აბაზ-ყულიხან, რამეთუ არს მეგობარი გიორგი მეფისა და არა ნებავს შეწევნა ჩემი და მოითხოვა შეწევნა სპითა. მაშინ შაჰ-

სულთან უსეინს მოეყვანა პატიმრობიდან ლევან და ლუარსაბ, ძმანი მეფისანი და ძე მეფისა გიორგისა ბაგრატ წინათვე მომკუდარ იყო

ჰერათს, რომელიცა უთხრეს მეფესა ახალციხესავე.

ხოლო ერეკლე მფესა უსმინა და წარმოვლინა სპითა დიდითა ქალბალიხან და მოუწერა ერეკლე მეფესა, რათა შეიპყრას აბაზ-ყულიხან და წარგზავნოს მის წინაშე. ხოლ ზამთარსა ამას მიიცვალა დედოფალი ხვარაშან ქ˜სა ჩ˜ქჟე 1695 ქარ. ტ˜პგ. და არჩილ მეფესაცა ამავ ზამთარსა მოერთუა სიკუდილი ძისა თჳსისა მამუკასი მოსკოვიდამ. არამედ შემდგომად გლოვა-მწუხარებისა იყვნენ მეფენიზოგად.

შემდგომად ზაფხულსა ამას მოვიდა ქალბალიხან ხუნანს სპითა გორსა ზედა. არამედ აქაცა არა აუფლეს ბრძოლად გიორგი მეფე, რამეთუ ვინათთგან შეუმართებელნი იყვნენ გიორგი და დათუნა ერისთავნი მინდორსა ზედა, და არცა თამაზ სპასპეტმან ინება ხინწს შემოსულთა ყიზილბაშთა ბრძოლა, რამეთუ იყო მამული მისი, ყიზილბაშთა სისხლთა რიდებითა, და ამთ ყოველთა უფროს სათნოჲთა ყეენისათა არა ინებეს. ხოლო ნაზარ-ალიხან ქალბალიხან შემოვლნეს სომხითი, დბანისჴევი და დადგნენ ყარაბულახს; და გიორგი მეფეცა მივიდა და დადგა კლდეკარს.

მაშინ ერეკლე მეფე და ალექსანდრე იმერთა მეგობრობდნენ. ამისთჳს მოუჴდა ალს და ტყუე ყვნა. მსმენელმან არჩილ მეფემან ტაშისკარს მდგომმან, დევმნა უყო, არამედ მას ვერღარა ეწია და დაყრევინეს ტყვენი. ამისთჳს ეზრახნენ არჩილ და გიორგი მეფენი იემრთა. ხოლო იმერთა შეიპყრეს ალექსანდრე და მოსცეს მეფეთა; ამათ მოიყვანეს და მოაშთვეს იგი რუისს.

არამედ ბრძოლა ქართველთა და ყიზილბაშთა განგრძელდა, რამეთუ ყიზილბაშნი მლოდინენი [იყვნენ] სულმოკლებისა და უკუნქცევისა ქართველთასა. ხოლო ქართველნი წარჩინებულნი არა მნებებელნი ბრძოლისანი და სიმაგრეთა მათთა იემდებულნი, იტყოდნენ: „ვაცადოთ თოვლი და უკუნ-იქცევიან ყიზილბაშნი“. არამედ მეფე წა-

1-26 სტრ., 472
დიერ იყო ბრძოლისა, ვინაჲთგან უწყოდა უკეთუ დასძრეს მუნიდამ, ვერღარა დაუდგმიდნენ სიმაგრეთ მათთა და დაბრკოლდებოდნენ ესე-ჯთარებითა. გარნა შინაგან მცემელნიცა მრავალნი იყვნენ ვითარცა ესე, რამეთუ უბრძანა მეფემან ძმისწულსა თჳსსა ქაიხოსროს მისლვად სპითა და მოსრვა მებალახეთა და წარმოღება ცხენთა მათთა, და ამთთა წარმოდგომილთა სპათა ყიზილბაშთა ეკუეთნენ მერმე სპანი მეფისანი დიდნი და მოსრან იგინი. ესე იმცნეს მათ შინაგამცემელთაგან, და განაწყუნეს მუნ სპანი რჩეულნი. ხოლო მისრულსა ქაიხოსროს ბრძანებისაებრ ეკუეთნენ მზაყოფილნი იგი ყიზილბაშნი და იქმნა

ბრძოლა ძლიერი; და მოსწყდა სიმრავლე და მოუკლეს ქაიხოსროს ცხენი. მაშინ მჴნედ გამოჩნდა ზაალ ფალავანდისშვილი, გარდაჴდა და მისცა ცხენი თჳსი ქაიხოსროს და თჳთ ბრძოდა. შემდგომად აოტნეს სპანი ქართველნი და მოჰკლეს ზაალცა მუნ.

მეორე დღეს წარმოავლინეს ქაიხოსრო ლოპინა სპითა. ამან გარდმოვლო მთა თორისა გუჯარეთსა ზედა და დადგა გვეძინეთს. ამისმან მცნობელმან მეფემან გიორგი წარავლინა ფარსადან ციცი-შვილი და ზურაბ ერისთავისშვილი. არამედ ამათ ვერარად ავნეს ქაი-ხოსროს და დაიპყრა საციციანო მან.

ამისი მცნობელი ქანბალიხან წარმოემართა სპითა. ხოლო მეფე აიძულებდა ქართველთა ბრძოლად. არამედ არა ინებეს კუალად მთა-ვართა. ამისთჳს წარმოვიდა კრკონს, აჰყარა მუნ მდგომნი დე-დაწულნი თჳსნი სახლეულნი და წარვიდა იმერეთსა ქ˜სა ჩ˜ქჟე 1695 ქარ. ტ˜პგ.

ხოლო ნაზარ-ალიხან და ქალბალიხან მოჴდნენ გორს, წარავლი-ნეს და მოარბივეს რომელნიმე ზენა დაბნები. გარნა მთავარნი ვერღა-რა გამაგრდნენ სიმაგრეთა შინა თჳსთა ყმათა თჳსთა გამო და გიორ-

გი ერისთავი და გივი ამილახორი წარვიდნენ დვალეთს და მუნიდამ იემრეთს, და დაჴთ ერისთავი მოიყვანეს ყმათავე თჳსთა მაღარან-დუალეთიდამ წინაშე ერეკლესა. ეგრეთვე პაპუა მუხრან-ბატონი და თამაზ სპასპეტი ძით მამუკათი უღონო ქმნილნი მიჴდნენ ქალბალი-ხანისა თანა.

ესე ყოველნი განზრახვითა ერეკლე მეფისათა წარავლინნა ქალ-ბალიხან წიანშძე ყეენისა. ხოლო ყეენმან წარავლინა პატიმარნი ქირ-შანს. შემდგომად ამათთა მისლვისა მიჴდნენ ყოველნი ქართველნი ერეკლე მეფისა თანა. მერმე უცნობელად ბიძებთა თჳსთა ეზრახა ქაი-ხოსრო, ძე ლევანისა, ქალბალიხანს, რათა წარავლინოს წინაშე ყეე-ნისა და მიჴდეს მის თანა. მან სიხარულით აღუთქვა და მისრული კე-თილად შეიოწყნარა და წარავლინა წინაშე ყეენისა. ამან ყეენმანცა პა-ტივ-სცა, რამეთი იყო მამაცა მისი მუნ. არამედ ვინაჲთგან მტერ იყუენენ ქალბალიხან დაერევნის ხანი,ამისთჳს ეზხრახა ერევნის ხანი გი-ორგი მეფესა, რათა წარვიდეს წინაშე ყეენისა და მან წარმართოს საქმე მისი ყოველი. და მოსცეს ყეენმან კუალდ ქართლი და ნიჭი დი-დი. მსმენელმან მეფემან ამას ზედა მისცა პირი მტკიცე წარსლვისა-თჳს, ხოლ ჩერქეზის ბატონის ასული რუსუდან, როემლი მოეყვანა ძისა თჳსისათჳს მეფესა, ესე პირველვე მიეცა ძმისწულისა თჳსისა

ვახტანგისათჳს, და შემდგომად ქაიხოსროს წარსლვისა წარიყვანა ვახტან იგი და დედინაცვალი თჳსი და ძმანი თჳსნი და მივიდა ხარაგეულს და მუნ ნებითა მეფისათა ჰყო ქორწილი არა დიდებული.

ხოლო ერევნის ხანს მყის ეცნობა ყეენისათჳს მისვლა მეფისა. მსმენელმან ყეენმან ამისთჳს მოსცა ხანსა მას თოფანჩი აღასობა და მეფისათჳს წარმოევლინა მეჰმანდარი. და ესე მოვიდა ალს. მცნობი მეფეცა მივიდა ალს, წარუძღვა მეჰმანდარი დიდითა პატივითა, ჩავლო ქართლი, შევლო ატენი, განვლო თრიალეთი, აბოცი და მივიდა ერევანს ქ~სა ჩ~ქჟვ 1696 ქარ. ტ~პდ. შემდგომამდ მივიდა ისპაანს წინაშე

1-28 სტრ., 475
ყეენისა, პატივ-სცა და კეთილად შეიწყნარა, მისცნა ნიჭნი და გაკუეთილნი, და დახუდნენ მეფესა ძმანი თჳსნი ლევან და ლუარასაბ და ძისწული ქაიხოსრო. არამედ ვახტანგ ძმისწული მეფისა დაშთა სახლეულით იმერეთს.

ხოლო შემდგომად გიორგი მეფის წარსლვისა წარჳდა ქალბა-ლიხან განჯას სპითურთ და ერეკლემ დაიპყრა სრულიად ქართლი, განაყენა კუალად კათალიკოზობიდამ ნიკოლაოზ და დასუა იოანევე კუალად. გარნა თუ ეპყრა კახეთი ქალბალიხანს, არამედ მარადის იყვენენ წინაშე ერეკლესსა და თუშნი, ქისიყი და ერწო-თიანეთი ეპყრა ერეკლეს. კუალად დასუა არაგჳს ერისთავსდ ბაინდურ, კსნისად დავით, ბიძაშვილი დათუნასი, ამილახორად იოთამ, სპასპეტად ლუარსაბ ყაფლანისშვილი, მუხრანის ბატონად კონსტანტინე. კუალად დაამდაბლნა ერთგულნი გიორგი მეფისანი და ზოგთა მიუხვნა მამულნი და აღამაღლნა კახნი უმეტეს პირველისა და მისცნა მამულნი მათნი, და უმეტეს ტფილისის მცველნი განალაღნა და მკჳდ-ჰყო, რამეთუ არღარა იცვალებოდნენ; მერმე გადვა ჴიდი ნაგებს-მტკუარსა ზედა და ეტყოდა შეჭირვებულთა ქართველთა გლეხთა „განვედით აჰა კახეთი მშჳდობისა“. და აღივსებოდა კახეთი ესრეთ. კუალად დაიმორჩილა ესრეთ, რამეთუ რაჲ თუ მცირედი დაკარგული იყო შეიპყრნის სალთხუცესნი კათალიკოზისა მუხრან-ბატონისა არაგუ-კსნის ერისთავთა და ამილახორისა; და მასვე ჟამსა შინა მოაღებინის და ამისი მოქმედი მარადის იყო უმეტეს შუება-გაცხრომასა შინა.

არამედ არა ჰყვა ცოლი, გარნა ხარჭანი და ქართველთა განზრახჳთა მოთხოვნით მოიყვანა, რომელი დაეტევებინა ისპაანს ძით და ასულითა ანნა, რომელი ექორწინა მუვე ასულით ელენეთი. ხოლო ძე მისი დავით დაშთა მუნვე. შემდგომად კუალად აღაშენა ნაგებსა სასახლე და იყოფოდა მარადის ზამთარს მუნ ნადირობით, ნადიმობით და მგოსნითა.

1-27 სტრ., 476
ამავ ჟამთა იპარვიდიან სილაღითა მცველნი ციხისანი, თათარნი ტფილისისა, გორისა და სურამისა ტყვეთა და ჰყიდდიან და შეერიათ ქართველთაცა სყიდვა ტყუეთა და იცვალებოდაცა ქცევაზნენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწესოებითა ქრისტიანეულისათა ცოდვითურთ. შემდგომად მოკუდა კათალიოზი იოანე ქ˜სა ჩ˜ღ, 1700 ქარ. ტ˜პჱ, დასუა ერეკლემ ევდემოზ ძმის წული იოანესივე.

ხოლო მოკლეს კსნის ჯეველთა განზრახჳთა დათუანა ერისთავის დედისათა დავით ერისთავი, შეუძნდა ერეკლე მეფესა, განრისხნა და წარავლინა ზემო ქართლის დროშა, შეუჯდნენ კსანსა და მოარბივნეს და დაიპყრნა ერეკლე მეფემან მამულნი მისნი.

შემდგომად ეშინოდა შესმენა ყეენისა და ამისთჳს მოითხოვა დათუნა ერისთაჳ ყეენისაგან, მოიყვანა მისცა ერისთობა მასვე. ხოლო იმერეთს მოკლეს რა სჳმონ აღუძნდა ესე ერეკლე მფესა, ვინაჲთგან იყო წარვლინებული მის მიერ და შეკრებული ქართველკახთა სპითა მივიდა დაღალულასა შინა, რათა შურ-აგოს აბაშიძეს და მიუხუას ჯეფისნიჯევი, რამეთუ შემდგომად გიორგი მეიფს წარსლვისა მას ეპყრა. არამედ ვინაჲთგან იმერნი მტკიცედ დგნენ აბაშიძისად, ამისთაჳს განზრახჳთა ყიასა ვეზირისა და ლუარსაბ სპასპეტისათა მოიქცა ტფილისადვე.

ხოლო რა ჟამს აღდგნენ ბულუჭ-აზარანი და ავღანნი ესენი მეკობრობით არბევდნენ ქირმანით იეზდამდე და რავდენ გზის წარავლინა ყეენმან სპანი და სარდალნი, მარადის იგინი მძლე ექმნებოდიან.ამისთჳს აიძულებდა ყეენი გიორგი მეფესა, რათა განაგოს საქმე ესე და მიანოჭოს კუალად ქართლი, და არა ინებებდა მეფე. არამედ ქართველნი, რომელნი იყვნენ მის თანა, ევედრებოდნენ ყოფად ამისა. ამისთჳს ინება მეფემან, მისცეს ქირმანი და ნიჭნი დიდნი, ხოლო

1-29 სტრ., 477
მეფემან პირველ წარავლინა ძმა თჳსი ლევან ქირმანს მცირედითა ქართველითა და მისრული ქირმანს ლევან წარვიდა ლუთბარსა ზედა, რომელთა ჰყვათ დედაკაცი სახელოვანი ბრძოლათა და შფოთებათა მათთა. არამედ ლუთბარელნი ვერ წინააღუდგნენ და მოსცეს დედაკაცი იგი და მუნვე მოჰკიდა ძელსა და დაიმორჩლნა იგინი. შემდგომად გამოვიდა მარბიელად სპანი დიდნი ბულუჭთა, ამათ ეწყო ლევან და მოსწყჳდნა სრულიად, რამეთუ ვერ განერა ერთიცა.

კუალად შემდგომად ამისა სამგზის მოსრულნი მარბიელნი სპანი დიდნი მოსრნა ლევან და წარუვლინნა თავნი მათნი ყეენსა. ამისთჳს ანიჭნა დიდნი. შემდგომად შთავიდა მეფეცა არა დიდითა სპითა ქართველითა. არამედ მოგზაურსა მეფესა ძღუნიდიან სრულიად სპარსნი. კუალდ გამოვიდნენ ბულუჭნი და მოაოჴრეს სრულიად ხუარასანი. შემოიკრიბნა ამისთჳს მეფემან სპანი ქირმანისანი და ქართველნი მის თანა, ვლო უდაბნო ძნელი და უწყლო და მოეწია მათ. მხილველნი იგინი განმაგრდნენ კლდე-გორათა ზედა.

მაშინ განყო მეფემან სპანი თჳსნი ლევან და ქართველნი ერთკერძო, ქირმანელნი ერთკერძოდ და თჳთ ერთკერძ, მიეტევნენ ფიცხელად და შეუჴდნენ ქართველნი ბანაკთა მათთა და შემუსრნეს და მოსწყჳდნეს სრულიად, რამეთუ ვერ განერნეს ერთიცა; მოიქცა მეფე ქირმანს და წარუვლინა თავნი მათნი ყეენსა. ამის წილ მოანიჭნა ნიჭნი ურიცხუნი ყეენმან და ლევანს მისცა მსაჯულთუხუცესობა ერანისა და ქაიხოსროს ტარუღობა ისპაანისა და მიუწოდა ლევანს ისპაანს წინაშე თჳსსა. მაშინ აუწყა მეფემან ყეენსა ლევანის გამო „რამეთუ მწირ არს ძე ჩუენი ვახტანგ იმერეთს და უკეთუ არა რაჲ ეყოს შეწევნა ჩვენ მიერ, წარვალს იგი რუსეთს და ამისთჳს ჩუენ უვნო ვიყვნეთ წინაშე შენსა“. მსმენელმან ყეენმან მსწრაფლ მოუწერა ერეკლე მეფესა, რათა მოიყავნოს ვახტანგ ქართლს და მისცეს ყოველნი საუფლისწულონი მამისა თჳსისა ლევანისა. ხოლო ერეკლე მეფე,

დაღათუ არა მნებებელი ამის, ვერ ურჩ ექმნებოდა ყეენსა. ამისთჳს წარმოუვლინა ვახტანგს კატალიკოზი ევდემოზ და სპასპეტი ლუარსაბ და მიუწოდა ვახტანგს. მაშინ ვახტანგს მოსლოდა წარგზავნილი თჳსი ზალია შანშიაშვილი, ძე ბაადურისა, და მამუკა შათირი არჩილ მეფისაგან, რათა წარვიდეს რუსეთს. ამისთჳს ვახტანგ განეზრახა იმერთა წარჩინებულთა წარვიდეს თუ რუსეთს ანუ ქართლს. ხოლო მათ განუზრახეს მისლვა ქართლს. წარმოვიდა და მოვიდა ალს, მუნ შემოჰფიცეს კათალიკოზმან და ლუარსაბ უვნებელობისათვის და მერემ მიჴდა ტფილისს ქ˜სა ჩ˜ღა 1701 ქარ. ტ˜პთ.

მისრული ვახტანგ ერეკლე მეფემან კეთილად შეიტკბო და სცა პატივი დიდი და აუფლა მრძანებულთა ზედა ყოველთა. მერმე მოვიდა სურამს ვახტანგ და მოიყვანა ცოლი და ძენი თჳსნი და სახლეულნი და იყოფებოდა ოდესმე ნაზარ-ალიხანისათანა. რაჟამს ეუფლა ვახტანგ მამულსა თჳსსა, მოსცა აბაშიძემ ჴეფინისჴევი; „ვინაჲთგან მკჳდრი თქუენი არს“.

ხოლო მეფემან გიორგი დაამშჳდნა ყოველნი ურჩნი, რამეთუ ხოსროშა და შადადა მპყრობელნი ბულუჭისანი, მოვიდნენ წინაშე მისსა შიშით შეძრწუნებულნი და თაყვანისმცემელნი. შემდგომად კუალად ინდოთ მესაზღვრენი ავღანნი და ბყლუჭნი მოვიდნენ მორბევად ხორასნისა. ამათ ზედა წარავლინა მეფემან სპანი ქართველ-ყიზილბაშნი. ამათ განვლეს უდაბნო სასტიკი, ეწივნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი. არამედ სუემან მეფისამან სძლო და მოსრნეს სრულიად განურინებელად და მოვიდნენ წინაშე მეფისა გამარჯუებულნი. არამედ შემდგომად ყანდაარის ხანს აღუდგნენ ბულუჭნი და უფროს მირსამანდარ და აოჴრებდიან ყანდაარის გარემოთა. ხოლო ხანმან მან წარავლინა სპასპეტი თამაზ, რამეთუ იყი ბიძა თამაზისა, ბრძოლად მათდა და მრავალგზის სძო მათ თამაზ. შემდგომად დაესხა მირსამანდარ, მოკლა თამაზ და მოსწყჳდნა სპანი მისნი და შემ-

დგომად ამისა ვერღარა წინა აღუდგა ყანდაარის ხანი და მარადის აოჴრებდენ სანახებსა ყანდაარისასა, რამეღთუ ვერღარა გამოვიდის ხანი ციხიდამ. ესე ყოველი რა ესმა ყეენსა, უბრძანა ლევანს რათა მიიღოს გიორგი მეფემან კუალად ქართლი და სპასალარობა ერანისა და განაგოს საქმე ყანდაარისა. ხოლო ლევან მსწრაფლ აუწყა ესე მეფესა და აღუძნდა ფრიად საქმე ესე მეფესა და არა ენება, არამედ აიძულებდენ მის თანა მყოფნი ქართველნი ამის ყოფად. ამისთჳს ნება-სცა ყეენსა ყეენსა, რათა მისცეს აწვე გამეგეობა ქართლისა ვახტანგს და მერმე წარავლინოს ლევან ქართლს, რათა მან განაგოს საქმენი დაშლილნი მანდაურნი და წარუგზავნოს სპანი ქართლისანი. მოჴსენებულმან ყეენმან ესე ყოველი აღუსრულა გიორგი მეფესა და მოსწერა ნაზარ-ალიხანს „მივეც ქართლი გიორგი მეფესავე, ხოლო შენდა მომინიჭებიეს კახეთი და ყულარაღასობა, აწვე წარმოვედ წინაშე ჩემსა“. ამისი მსმენელი ერეკლე მეფე წარჳდა და მიიყვანა ცოლშვილნი მარტყოფს. ხოლო თჳთ მოიქცა ტფილისსვე წარსლვად წინაშე ყეენისა.

ვახტანგ რვა წელი განაგებდა. თათრულსა 1115, მოვიდა ლევან

ხოლო მოვიდა ვახტანგ ტფილისს და დაჯდა განმგედ ქართლისა ქ˜სა ჩ˜ქღგ ქარ. ტ˜ჟა, და ერეკლე მეფე წარვიდა ისპაჰანს მაისსა შინა. შემდგომად ივლისსა შინა ი˜ე მოვიდა ლევანცა. არამედ ესე ლევან იყო სიჭაბუკითგანვე ღუთის-მოყვარე, ბრძენი და სიბრძნის მოყუარე, ეკლესიათა მაშენებელი, მამკობელი, მდაბალი და ბოროტისა არა მომჴსენებელი, მოწყალე, მშჳდი, ღრმად განმსინჯველი და მოუბარი. ამან განაგნა ყოველნი საქმენი ქართლისანი და არცაღა ვის

მიაგო ბოროტებსა წილ ქმნულთა მათთა, რომელი უყვეს მეფესა

1-28 სტრ., 480
გიორგის. შემდგომად კუალად მოჴსენებითა მეფისათა გამოუტევნა ყეენმან გიორგი ერისთაჳ, პაპუა მუხრან ბატონი და სრულიად ქართველნი ნიჭითა, ხოლო ლევან წარავლინა სპანი ქართველნი წინაშე მეფისა გიორგისა ც˜ (2000) მჴედარნი, და ესენი რა შთავიდნენ ქირმანს წინაშე მეფისა წარვიდა მეფე ყანდაარს. გარნა წინათვე წარევლინა სისტანის ხანი და კაცია ძე თამაძისა მეფესა. ამათ მისლვასა ზედა სმოდათ ავღანთა და აზარათა მისვლაცა მეფისა, ამისთვის დამორჩილებოდნენ და არღარა იყო რბევა მათ მიერ. ხოლო წარსრულმან მეფემან განვლო უდაბნო ფიცხელი და მიჴდა სისტანს, მუნიდამ გირიშკს და გირიშკიდამ მივიდა ყანდაარს. მისლვასა მეფისასა დაეცათ შიში და ძრწოლა ყოველთა და მოერთუნენ სრულიად ყოველნი. შემდგომად ბრძანა „ყოველნი მორჩილნი ბრძანებისანი მოვიდნენ წინაშე ჩემსა და მივანიჭო ღისნი პატივნი მათნი; უკუეთუ არა ინებონ, მოვსრნე მახჳლითა უწყალოდ. ამისნი მსმენელნი მოვიდნენ ყოველნი ძღვენითა დიდითა წიანშე მეფისა და დაიმორჩილნა სრულიად და მეხარკე ჰყვნა; მერმე განვიდა ნადიროზად სპითა დიდითა; ესე ჰგონა მირსამარდან, მისლვა მას ზედა მეფისა, მსწრაფლ წარმოვიდა ძმის წულითა და ხუთოდენ მონიოთა და მოჴდა წინაშე მეფისა. ამისთჳს მეფემან პატივ-სცა და მისცნა ნიჭნი და შემდგომად ფიცით მორჩილება მეხარკობასა ზედა პაემანისა დამდები განუტევა.

შემდგომად წარმოევლინა ქობულს მჯდომს იჰდოთ მეფის ძეს დესპანი ძღვნითა დიდითა მშჳდობის მთხოველსა, რამეთუ ჰგონებდა იგიცა მისლვასა მეფისასა თაჳს ზედა. ხოლო მეფემან წარმოუვლინა ძღუენი იგი და წიგნი მისი ყეენსა. ამისთჳს ყეენი ფრიად მადლიერ იქმნა და მიანიჭნა იგინი მეფესა და სხვანი უმეტესნი და კუალად საძღუნოცა მის ინდოთ მეფის ძისა და უბრძანა წარვლინება დესპანისა თჳსისა, და ამისთჳს მისანდობელ იქმნა ფერიად ყეენისა მეფე და შურობდნენ ამას ყიზილბაშნი.

1-19 სტრ., 481
ხოლო ლევან განაგნა დაშლილნი საქმენი ყოველნი ქართლისანი და დაჰყო თთუე ი˜ე ქართლსა და დაუტევა ძე თჳსი ვახტანგ განმგედ ქართლისად და იესე და ძე თჳსი წარიყვანა ისპაჰანს, ქრისტესით ჩ˜ღდ ქართულსა ტ˜ჟბ სეკტემბერს კ˜ვ, თათრულსა 1116. და ესე ვახტანგ იყო ღუთის მოშიში და ღუთის მოყუარე დაფრია მოღვაწე, სამღუდელოთა პატივის მცემელი, ქურივ-ობოლთა და გლახაკთა მიმცემელი, უღონოთა შემბრალე ეკლესიათა მაშენებელი, ხატთა და ჯუართა შემამკობელი, მოწყალე, ცოდნის მოყუარე, ბრძენი, მჴნე და ახოვანი,

შუენირ-ჰაეროვანი მუშაკი, უხჯ და მშჯდი არამედ ჟამად მრისხანე. ამან მოიწყო ყოველნი ქართველნი, გარნა მიეცა კათალიკოზობა მეფესა ნიკოლაოზისათჳსე. არამედ შეითქუნენ ეპისკოპოსნი და არქიმანდრიტი და არღარა ინებეს ნიკოლაოზ, რამეთუ არს სოფლიერი და ევდემოსს დაუდვეს უმეცრება და გამორჩევით დაადგინეს ნებითა ვახტანგისათა კათალიკოზად დომენტი, ძე ლევანისა და ძმა ვახტანგისა, ახლად მოსრული რუსეთიდამ, და აკურთხეს ქ˜სა ჩ˜ღე, 1705 ქარ. ტ˜ჟგ.

ხოლო ვახტანგ აღაშენა და განავსო ქართლი, რამეთუ რომელნი ჟამსა ერეკლე მეფისასა შთასრულ იყვნენ კახეთს ქართველნი, ამან ბრძანებითა ყეენისათა გამოიყავანნა ყოველნი და დასხნა თჳსთავე

ადგილთა ზედა. ამას მორჩილებდენ იმერნი, უსმენდნენ კახნი, მოიღო მბეჭვდელობა ვლახეთიდამ და განამრავლნა წიგნნი საღმთონი, რამეთუ უმეცარნიცა სამღუდელოთა წეეილთა იკითხვიდიან, განაწყუნა სპანი როქითა მცველად თჳსად. დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი,მოშალა ტყჳს ყიდვა, დაამდაბლნა თათარნი, და უმეტეს ტფილისს ციხის მცველნი, აღამაღლნა ქართველნი, გაიღო რუნი და აღაშენნა მრავალნი დაბნები. ხოლო კათალიკოზს დომენტის არა აუფლეს კახთა კახეთს მამული თჳსი. ამისთჳს წარჳდა წინაშე ყეენისა ქ˜სა ჩ˜ღზ 1707, ქარ. ტ˜ჟე. მისრულისა კატალიკოზს პატივ-სცა ყეენმან და მისცნა ყოველნი მამულნი თჳსნი და ნიჭი დიდი. შემდგომად გამოუტევა და მოვიდა ტფილისს ქე˜სა ჩ˜ღჱ 1708, ქარ. ტ˜ჟვ. მერმე შთავიდა კატალიკოზი კახეთს იმამ ყულიხანისა თანა და აუფლეს მამულსა თჳსსა და იყოფებოდა მოსრული მცხეთას.

ხოლო ყანდაარი რა დაამშჳდა მეფემან, კუალად განდგა აზარის სულტანი დაქეზ. ამისი უბრძანა მეფემან მირვეისს ანუ მოკლას იგი, ანუ შეიპყრას და მოართუას მას. მაშინ მირვეისმან მოლა იგი ღალატად და მოართვა თავი მისი და დაიმორჩილა აზარა მეფემან. არამედ თაი დაქეზისა წარმოუვლინა ყეენსა მირვეისით და მოუმცნო რათა არღარა განუტეოს მირვეისი მუნ, ვინაჲთგან ბოროტი მანქანი იყო. ხოლო დიდებულთა ყეენისათა შურითა მეფისათა კუალად განუტევეს და ამცნეს მტეროზა მეფისა და მირვეისი, მოსრული ყანდაარს მარადის ეძიებდა ჟამსა სიკუდილისათჳს მეფისა. არამედ ზარისაგან მეფისა იჩემებდა ფრიადსა ერთგულებასა.

ხოლო მეფემან წარგზავნა იერუსალიმს ორიათასი თუმანი საჯ სრად გოგოთისა დაჯუარის მონასტრისა და სხუანი მრავალნი შესამკონი მათნი. კუალად წარმოგზავნა ხატი ოქონისა და ნაწილნი

და ჯუარნი, რომელნი წინდად ეყო სამცხესა და მესხმან მან მუნ მიიღო ყოველნი და მეფემან მას მიანიჭნა უზომონი ნიჭნი. ხოლო ვახტანგს

1-30 სტრ., 483
რა მოუთუალნა ნაწილნი და ხატი ოქონისა თთუესა ივლისსა ლ˜ განუწესა დღესასწაული.

არამედ რა განისმა ძლიერება მეფისა, მისმოდა ფარიჯან სულ-ტანსა ინდოეთს ლტოლვილსა. ამისთჳს ესე მოვიდა პაპუნა ციციშვი-ლისა თანა, რათა წარავლინოს წინაშე მეფისა, ვინაჲთგან მას ეპყრა სულტნობა იგი. არამედ ქალანთარი იყო სულტანის მტერი, მისცა ქრთამი პაპუნას და მოგზაური მოკლეს სულტანი. ამის მსმენელი მეფე განრისხნა და ბრძანა თავის წარკუეთა პაპუნასი, გარნა ვედრე-ბითა ქართველთათა განერა. ამას ზედა შეშინდა ქალანთარი იგი და განდგა თემით თჳსით. ამისთჳს განრისხებულმან მეფემან წარავლინა მას ზედა სპანი ქართველნი და ყანდაარისანი სრულიად; ამათ უთავა ალექსანდრე, ძე ლუარსაბ ძისა თჳსისა ნაშობი ხარჭისაგან, და თჳთ მეფე დადგა აბდლის სპითა და ატაბრეულითა თჳსითა მიცრედითა ქართველითა. მაშინ ამხილა მეფესა ღალატი მირვეიზისაგან ძმამან მირვეიზისამანვე. არამედ არა უსმინა მეფემან, ხოლო სპათა მეფი-სათა მისრულთა შემუსრეს სიმაგრენი და მოსრნეს წინააღმდგომნი და ტყუე ყუეს, აღიღნეს ალაფნი მათნი დიდნი და დაიმორჩილნეს სრულიად.გარნა აქა მეფისა თანა იდგა ტალად მირვეიზ, ამან იცა ჟამი და მოუწოდა სპათა და მორჩილთა თჳსთა, წარვიდა იდუმალ და მივიდა სპათა თჳსთა თანა, და მოუჴდა აბდლის სულტანსა მეტყუ-ელი „ბრძანება არს მეფისა“, და წარკუეთა თაჳ. რამეთუ არა მორ-ჩილ ექმნებოდა არა თუ ბრძანებითა მეფისათა, ვინაჲთგან ერთგუ-ლებდა მეფესა და უკეთუმცა იგი არა მოეკლა, ვერა რაჲსამცა მყო-ფელი იყო. მერმე მოვიდა მეფესა ზედა.

მაშინ ტალანი მეფისანი აბდალნი და მირსამანდარის ძმის წულ-ნი და მცირედნი ქართველნი და თჳთ მეფე ფიცხლად ბრძოდნენ და ვერ შეუძლო შესლვად მირვეიზმან. ინება მეფემან აღმჴედრება და ეგერე ბრძოლა. არამედ არა აუფლეს ყიზილიბაშთა მდედრგულთა, გარნა მოიჴელოვნა მირვეიზმან, მოჰკუთა ვისმე თავი და ეტყოდა აბდალთა „აჰა მოვკალ მეფე იყავნ ქონება და საჭურჭლენი თქუენდა,

1-26 სტრ., 484
ხოლო კაცნი ჩუენდა“. ამის მრწმუნებელთა აბდალთა აღიღეს სიმ-დიდრე და ივლტოდნენ. შემდგომად მოერტყა მირვეიზი მეფესა სპი-თა და ბრძვეს ძლიერად მეფისათა. არამედ აღუევითა ბანთათა მო-კლეს მეფე გიორგი ქ˜სა ჩ˜ღთ 1709, ქარ. ტ˜ჟზ, დიდსა ხუთშაბათს და

აჰყარნა ხატნი და ჯუარნი მეფესა მირვეიზს და ფსალმუნი,რომელსა იკითხვიდა ჟამსა მას და წარმოუვლინა ყეენსა მეტყუელმან „ესრეთ გაცდუნებდა მეფე“. მერმე მოიქცა ყანდაარს და მცველთა ციხისათა მიუთხრა ყეენისა-მიეროზა სიკუდილი მეფისა, ამისთჳს მისცეს ყანდაარი და დაიპყრა მან.

ესე რა ესმათ ალექსანდრეს და ქართველთა დამძიმდეს ფრიად და განევლტვენენცა ყოველნი ავღანნი, და უკუ მოიქცნენ რა, გზასა ზედა ეწიათ სპანი მირვეისისანი და ეწყოდიან. არამედ მარადის მძლე ექნებოდიან ქართველნი დამოვიდენ ციხესა შინა ლეილ მაჯნურისასა და მუნ ჰსცნეს მირვეისისაგან დაპყროზა ყანდაარისა და წარვიდენ გირიშკს. არამედ ეტიკთა შეაცთუნეს და მოიყვანეს ყანდაარსვე და მუნ შევიდნენ წალკოტის ზღუდესა შინა. მოჯდნენ და მიერტყნენ სპანი მირვეისისანი.

მაშინ ხუანჯითა სიცბილისათა იერმაჰმად ძმამან მირვეისისამან წარიყვანა ალექსანდრე ყანდაარს. მერმე სთხოვეს ქართველთა საჭურველნი და აიძულებდნენ მაჰმადიან ყოფად და დაშენებად მუნვე. შეუძნდა ესე ფრიად ქართველთა და ღამე გამოხურიტეს ზღუდე წალკოტისა, გამოვიდნენ და წარმოვიდნენ და აქცა მრავალგზის მოეწია სპანი მირვეისისანი, გარნა მრე ექმნენ.

არამედ წყალიცა ყანდარიისა შეეკრა სპითა და მოსრულთა ქართველთა იხილეს რა შეიცურვნეს ცხენნი და ერთ ჴმობით განვიდნენ და იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი, მოსცა ღმერთმან ძლევა,აოტნეს და მოსწყვიდნეს მრავალნი. კუალადცა წარმოსრულთა მრავალგზის

ეწივნენ, გარნა ქართველნი მძლე ექმნებოდენ, შემდგომად ეწივნენ ი˜ე ჩ˜ მჴედარნი ქართველთა ხუთასთა ბრძვეს ძლიერად ძალითა ღ˜თისათა მოსრნეს, რამეთუ მცირედნიღა განერნენ ლტოლვილთა და ქართველნი მოვიდნენ გირიშკს გამარჯცებულნი. არამედ საცთურითავე მირვეისისათა არა მისცნეს აქაცა ნავნი, შეიცურნეს კუალად ცხენნი და განვიდნენ უვნოდ. არამედ დაშთა კაცი უძლები მუნ კიდესა ზედა, ამას მოუჴდნენ ავღანნი, ჰკრა ჴრმალი ქუეითმან და განჰკუთა ავღანი ჯავშნისანი სრულიად და შეჯდა ცხენსა მისსა და გამოვიდა იგიცა. ხოლო ავღანთა მიართუეს განკუეთილი ჯავშანი მირვეისსა და ჰრქუეს „ამის მოქმედთა არა ძალგჴძს ბრძოლა“.

ხოლო ქართველნი შევიდნენ გირიშკის ციხესა შინა და განამაგრეს იგი. მერმე აცნობეს ყეენსა ყოველი ყოფილი შეუძნდა ყეენსა ფრიად ესე, მერმე მოუწოიდა ქაიხოსროს ძესა ლევანისასა, მისცა

ქართლი სამეფოდ და სპასალარობა ერამისა, რამეთუ ლევან იყო ფრიად სალმობიერი და ქართველთა მათ წარუვლნა ნიჭი დიდი. არამედ დაუცხრომელმან მანქანამან მირვეის შეიკრიბა ი˜გ ჩ˜ მჴედარნი მოუგზავნა გირიშკს, რათა გარმოდგომილ ჰყონ იგი. მაშინ ქართველთა განიზრახეს გარმოდგომამდე მათთა მიგებება და მათ ზედა დასხმა და მეორეს განთიადს დაესხნენ მათ და მოსწყჳდნეს სიმრავლით, რამეთუ აღაშენეს თავთა მათთაგან კოშკნი და ტყავნი წარმოუვლინეს ბეჟან რატისშვილით ყეენსა.

ჟ˜გ მეფე ქაიხოსრო გ˜ წელი მეფა

ხოლო ქაიხოსრო მეფე, განმზადებული წარსვლად და ამისი მსმენელი იხარებდა. არამედ არღარა ინებეს განმზრახთა ყეენისათა წარვლინება ქაიხოსროსი, ვინაჲთგან მარადის მძლე ექმნებოდენ ავღანთა ქართველნი: კუალად წარუვლინეს ქართველთა ნიჭი და მუნვე

1-29 სტრ., 486
მყოფი მაჰმად ყულიხან სარდარ ჰყვეს და მისცნეს სპანი მუნებურნი, რათა მან ბრძოს მირვეისს. ამან მაჰმად ყულიხან წარუვლინა ალექსანდრეს ყანდაარს წიგნი, რათა გამოვიდეს გამოპარჯთ, ანუ აცნობოს ვითარ ჯერ არს ყანდაარსა ზედა ხოლო წიგნი ესე მიართვეს მირვეისს, განრისხნა იგი და გამოიყვანნა ქართველნი ოცდაათნი და წარჰკუეთნა თავნი. არამედ ალექსანდრე, პაპუნა და ნოდარ იჴსნა ძმამან მირვეისისამან.

ამას ზედა შეიკრიბნა მაჰმად ყულიხან სპანი- ყიზილბაშ ქართველთა და წარჯდა ყანდაარსა ზედა, მისრულსა ეწყო მირვეისი, სადაც ქართველთავე აოტნეს და მოსწყუეტდიან ურიცხუთა. არამედ ერთ კერძ ივლტოდენ ყიზილბაშნი და დაუტევნეს ქართველნი მათ შორის. მხილველთა ქართველთა უყივლნეს ურთიერთთა და გამოვლნეს ბრძლით და მოვიდნენ ესენიცა გირიშკს. ამისთჳს წარავლინეს ბეჟან რატის შვილი წინაშე ყეენისა და აცნობეს ესენი სრულიად. მაშინ ყეენმან წარავლინა ქაიხოსრო სპითა დიდითა და ნიჭითა და მოითხოვნა სპანი ქათლისანი ქაიხოსრო.

ხოლო ვახტანგ მსმენელი სიკუდილისათჳს ბიძისა და მამისა ლევანისა, როემლი მოკუდა ქ˜სა ჩ˜ღთ 1709, ქარ. ტ˜ჟზ, მაისს, მწუხარებდა ფრიად და გლოჯდა შემდგომად წარუვლინა ძმასა თჳსსა ქაიხოსროს ქართველნი ჩ˜ფ˜ მჴედარნი და თჯთ განაგებდა ქართლსა.

არამედ ვინაჲთგან დაამდაბლნა მცველნი ტფილისისანი თათარნი, განდგნენ და დაჴშნეს კარნი ციხისა და იწყეს სროლა თოფ-ზარ-

ბაზნითა. ესე აცნობა ყეენს ვახტანგ, განრისხნა ყეენი, წარმოავლინა მტარვალნი, მოვიდა და ჴელ ხუნდოსანი მოართუნა ყოველნი ვახტანგს მერმე წარიყვანეს ისპაანს და პატიმარ ჰყვეს ალამუტის ციხესა შინა.

ამისთჳს არღარა იყო ტყჳს-ყიდვა. კუალდ ნაზარ-ალიხან, ვითარცა როსტომ მეფე, მრავალგზის წარუვლინებდა ტყუეთა, არამედ ვახტანგ უკეთუ არა მოითხოვდა ყეენი არაწარუვლენდა მასცა უემტეს მოსყიდულთა.

1-30 სტრ., 487
ხოლო მირვეისმან მცნობელმან წარსვლისა ქაიხოსორსამან, გამოუტევა ალექსანდრე და მუნ მყოფნი ქართველნი, მოსცა გუამიცა მეფისა და მჴეველნი მისნი. ესენი მოვოდეს გირიშკს, მუნიდამ წარმოჰყვნენ სრულიად ქართველნი და მოვიდნენ მაშათს.

ესე სცნა ქაიხოსრო სპასალარმან და უბრძანა ქართველთა კუალად შთასვლა გირიშკსვე. აარ,ედ მირვეისმან, რა სცნა ქართველთა მისლვა გირიშკსვე, შემოიკრიბნა სპანი და მოადგა გირიშკს. გარნა სიმრავლისაგან სპისა მისისა ვერღარა იკადრეს ველსა ზედა ბრძოლა ქართველთა და განამაგრეს ციხე-ქალაქი ოთხ თთუე, გარნა დამშვიდნენ, რამეთუ ჴორცი ვირისა ლიტრა სამ მინალთუნად ისყიდოდა (აქა იხილე ზაკულება რამეთუ მირვეისი არსენს დოლენჯიშვილს მოლოზონს უვლინებდა საკმაოსა ფქვილსა).

ესმნა სპასალარს შეჭირვება გირიშკისა, წარმოავლინა ხან-მაჰმად ჭ˜(5000) მჴედრითა შეწევნად მათდა. ხოლო მიმავალს ეზრახა ამას მირვეისი „უწყი, რამეთუ არს მტერი ჩემი სპასალარი, ამისთჳს გენდობი შენ, და მიურვე წინაშე ყეენსია, რათა შემინდოს და მოვიდე შენთანა“. მსმენელმან ხან-მაჰმად განიხარა და შურით სპასალარისათა არღარა განიხალა ზაკულობა. არამედ მიუმცნო „მოვედ და ვყო ყოველნი ნებანი შენნი“. დაუტევა გირიშკი მირვეის და დილასა მივიდა მას ზედა.

მხილველთა სპათა ყიზილბაშთა იწყეს ამჴედრებად რათა ბრძონ. არამედ აყენებდათ ხანი იმედებული პაემნისა. მაშინ მიეტევა მირვეიზი სპითა და მოსწყჳდა სრულიად, რამეთუ ვერვინ განერა თჳნიერ ზაალ ლორთქიფანისძე და არეშის შვილი, იგინიცა სიმჴნითა თჳსითა, ხოლო მირვეიზი გამარჯჳებული მოადგა კუალად გირიშკსავე და მიუტხრა ესე ყოველი ქართველთა და მოითხოვა სეხნია ციციშვილი მძევლად „და წარვალ ყანდაარს“. აღუმნდათ ქართველთა და არა ინებეს. არამედ სეხნიამ დასდვა თავი მათთჳს, რათა გა-

ნერნენ იგინი სიკვდილისაგან და მისცეს სეხნია და წარვიდა მირვეი-
ზი. გარნა დაუტევნა ნუზლნი თჳსნი ყოველნივე მათ.

1-28 სტრ., 488
ხოლო ვახტანგ განაგებდა წინათქმულთაებრ ქართლსა, ნადი-
მობდა და ნადირობდა ზამთარს ყარაია-სომხითსა, შემოდგომა გაზა-
ფხულს გორს და ტფილისსა, ზაფხულს თრიალეთს შამბიანსაზე. გარ-
ნა მოკუდა ძმა მისი თეიმურაზ ქ˜სა ჩ˜ღი 1710, ქარ. ტ˜ჟჳ, დეკემბერს
ზ˜; დამძიმდნენ ყოველნი და იგლოვეს ჟამამდე. ხოლო სპასალარი
მოვიდა მაშათს, მაშათიდამ ფარას, მუნ მოერთო იესე, ძმა თჳსი,
სპითა ქირმანისათა. მაშინ მოეგზავნა მირვეიზს და მოეთხოვა სპა-
სალარისათჳს საჴსარი სეხნიასი და განუტეოს იგი. გარნა სპასალარ-
მან რიდითა ყეენისათა ვერ იკადრა ამისი ყოფა და ამისთჳს წარკუე-
თა თავი სეხნიას მირვეიზმან. ესე შეუძნდა სპასალარსა, მივიდა და
დაიბანაკა მდინარესა ზედა ყანდაარისასა და იმიერ კიდესა დადგა
მირვეიზი სპითა. მუნ სცნა მირვეიზმან, რამეთუ მოვლენან სპასალა-
რისა თანა აბდალთა სულტანი შეწევნად სპითა. მაშინ დაუტევა მუნ-
ვე იერმაჰმად ძმა თჳსი, თჳთ წარვიდა და დაესხა და მოსწყჳდნა წ˜
მჴედარნი აბდალთანი და წარმოვიდა. ხოლო დილასა განაწესა სპა-
სალარმან მარჯუენით იესე ძმა თჳსი, მარცხენით ალექსანდრე და
შევიდნენ მდინარის ფონსა. არამედ ავღანთა იწყეს თოფ-ზამბურაკ-
თა სროლა. გარნა განვლო ალექსანდრე ცურვითა ცხენთათა სპითა
და ივლტოდნენ ავღანნი განსვლასა იესესასა, ეწივნენ და მოსწყჳდნეს
მრავალნი.

ხოლო იერმაჰმად ვერღარა წარმსლველი შეჴდა კლდესა ბაბა-
ველისასა და მოერტყნენ გარს სპანი ყიზილბაშნი. კუალად დამაშუ-
რალი მირვეიზი მომსწრაფებელი სპათა თჳსთა თანა და ამისი მხილ-
ველი ივლტოდა ყანდაარად. იხილა იგი ალექსანდრემ და მიეტევა
მირვეიზს. ხოლო იგი ლტოლვილი შევიდა ციხესა რასამესა შინა შე-
მუსრვილსა. მაშინ ალექსანდრე ლამობდა მიტევებასა ციხისასა დაგა-
მოყვანასა მისსა. არამედ განაზრახეს სპასალარი ყიზილბაშთა „არს
მივეიზი მანქანი, არა არს ესე მირვეიზი. არამედ რა მივეტეოთ,

1-27 სტრ., 489
მზირ ყოფილი იგი გვეკვეთებისა და მოსწყუედს სპათა ჩუენთა“. ესე
ისმინა სპასალარმან და მოუწოდა ალექსანდრეს მის თანა. გარნა
ალექსანდრე დაამტკიცებდა ყოფად მირვეიზს და მიტევებასა მას ზე-
და. არამედ იძულებული წაროიყვანეს ალექსანდრს და მოუდგინეს
ციხესა მცველნი გარემოს.

ამასვე ღამესა გამოვიდა მირვეიზი და შევიდა ყანდაარს. ეგრე-

თვე იერმაჰმად ღამე აოტნა სპანი ყიზილბაშნი და შევიდა იგიცა ყანდაარს. შემდგომად სცნეს, რამეთუ მირვეიზი იყო იგი, დამძიმდენ ფრიად, როლისაგან შეუდგა ბოროტი ქუემო თქმული.

ხოლო მეორესა დღესა მივიდა სპასალარი და დადგა ძირსა ყანდაარისასა და გონებდნენ მირვეიზის გამოსლვასა. არამედ არა გამოვიდა. მერმე წარავლინა სპასლარმან სულტანი შარბაშარისა. ამას მისრულს ეწყო მირვეიზი, აოტა. მხილეველნი იესე და ალექსანდრე მიეტევნენ და აოტეს მირვეიზი და მოსრნეს სიმრავლითა, რამეთუ კართა ზედა ციხისათა მოსჭრიდიან თავთა, და შემოიქცნენ გამარჯვებულნი, დილით მწუხრამდე მბრძოლნი. გარნა იყი სამ თთუე მარადის ბრძოლა და მოისროდენ იმერ და ამიერ სიმრავლითა. არამედ მიუჭრესცა გზანი ყანდაარს. გარნა საზრდელთა სიმრავლითა უჭიროდ იყო მირვეიზი.

შემდგომად შეედვათ სენი მუცლისა ყიზილბაშთა და ქართველთაცა და მოკლება საზრდელთა. ესე იხილა მირვეიზ და შეკრნა გზანი და მოსრულთა მენუზლეთა ყიზილბაშთა სრვიდა. ამისი მხილველი მირსამანდარ, პაემნით აღმთქმელი სპითა მოსლვად წინაშე სპასალარისათა, არღარა მოვიდა და არცაღა მოსცა საზრდელნი. ამისთჳს შემჭირდენ სპანი სენითა და უსაზრდელობითა. ხოლო მირვეიზი განამჴნობდა სპათა თჳსთა. შემდგომად წარმოავლინა მცირედნი სპანი და წარმოუდგა თჳთ უკუნ ფარულად. ამათ ეკუეთნენ ყიზილბაშ-

ქართველნი, ვინ ვის ასწრებდნენ და ივლტოდნენ ავღანნი. არამედ რა მივიდნენ სიმარჯუესა, ამათ მოუჴდა მირევეიზი, აოტნა ჩუენნი და მოსრა სიმრავლითა. გარნა სიმჴნითავე ქართცველთათა განერნენ ნეშტნი, გარნა მიერითგან დაეცათ ზარი ყიზილბაშთა და ვერღარა შემართვიდიან ავღანთა. გამოვიდა კუალად მირვეიზი და ბრძოდნენ. არამედ მირვეიზი სიმაგრესა შინა მყოფი უკეთუ ამჯობინის, გამოვიდის ბრძოლად და, უკეთუ არა, ბრძოდის მუნიდამ. შეუჴდნენ მუნ ქართველნი და მივიდა სოპასალარიცა შუელად, სძლეს მირვეიზს და მოსრნეს სპანი მისნი. გარნა შემაგრდნენ ქუეითნნი ავღანნი კლდეთა და ისროდენ თოფთა.

მაშინ მოვიდა ყიზილბაში ვინმე მეტყუელი „ბრძანება არს სპასალარისა, აცადეთ ბრძოლა და უკუმოიქეცით“. მსმენელთა ყიზილბაშთა დაუეტევეს ქართველნი და წარმოვიდნენ. ამისი მხილველნი ავღანნი კუალად მოეტევნეს და მოსრნეს მრავალნი, მერმე მოკლეს ალექსანდრე მჴნედ ბრძოლი. ამისთჳს შეშინდნენ ფრიად ყიზილბაშნი და აზრახეს სპასალარსა, რათა უკუნიქცეს და განიმრავლოს სპანი

და კუალად მოვიდეს და ბრძოს, ვინაჲთგან განმრავლდა სენი და სვრა
და სიყმილი.

სცნა ესე მირვეიზმან და მოუვლინა ზავიდა პირი სპასალარსა „უკეთუ წარხვიდე,
არა რაჲ გევნოს ჩემი მიერ, და უკეთუ მოგცეს კუ-
ალად სპანი ყეენმან მოვედ“. ამისმან მრწმუნებელმან სპასალარმან
ბრძანა ღამე აყრა, და იესე განაჩინა, რათა არა განუტეოს სპანი გარ-
ნა ბარგნი. მაშინ მაცთურმან მირვეიზ ჩამოგზავნა მეთოფენი დაიწყ-
ეს სროლა თოფთა. ამისი მხილეველნი მდედრნი ყიზილბაშნი ივლ-
ტოდნენ.

ეგრეთვე იესემ არღარა მიხედა ძმასა თჳსსა, ივლტოდა იგიცა
და დაუტევა სპასლარი მცირედითა სპითა. ხოლო სპასლარმან არა
ინება სივლტოლვა და მოეტევა მირვეიზს. ეკუეთა სპსალარი მცი-
რედითა სპითა მოსწყვიდნა და აოტნა იგინი. არამედ იხილნეს სპანი
ყიზილბაშთა ლტოლვილნი ზეიდამ ავღანთა, უყივლეს სპათა თჳსთა

1-27 სტრ., 491
გაქცევა მათი, უკუმოიქცნენ კუალად და მოეტევნენ სპასლარსა.
გარნა მჴნედ გამოჩნდა სპასალარი, რამეთუ მოსრნა მჴედარნი სამნი.
არამედ მერმე სცეს ექუსთა ოროლნი სპასალართა და მოკუდა ქ˜სა
ჩ˜ღია 1711 ქარ. ტ˜ჟთ, ოკდომბერს კ˜ვ. შემდგომად მოჰყვნენ ავღანნი,
მოსწყჳდნეს ყიზილბაშნი და აღიხუნეს სრულიად სიმდიდრენი და
ალაფნი მათნი. ხოლო იესე ქართველითურთ მოვიდა გირიშკს და მუ-
ნიდამ ისპაანს.

ხოლო ვახტანგ გამგე ქართლისა შემდგომად გლოვისა იშუებდა
და ნადირობდა წიანთქმულთაებრ. კუალად აღიმჴედრა სპითა შესლ-
ვად ოსეთს და შევიდა და შემიუსრნა პ˜ კოშკნი, მოსწუა და მოსტყუევ-
ნნა ურჩნი, ჩავლო ზრამაგა და შემოვლო ჟღელის ჴევი და გარდ-
მოევლო კედელასა ზედა და მოვიდა კუდაროს და კუადროდამ ქართლს
გამარჯჳცებული ქ˜სა ჩ˜ღია 1711, ქარ. ტ˜ჟთ, დაიპყრა დუალეთი და დას-
დვა ხარკნი და გორს მდგომნი იშუებდა სხჳსა განმზრახი.

ჟ˜დ. მეფე ვახტანგ გ˜ წელი მეფე

მაშინ მოუმცნო ყეენმან სიკუდილი ძმისა თჳსისა და მოეცა ქა-
რთლი მისთჳს. შეუძნდა ფრიად ვახტანგს და წარჳდა ტფილისს. ხო-
ლო მუნ განუზრახეს განმზრახთა წარსლვა წინაშე ყეენისა. ესე ირ-
წმუნა და მიუწერა ყეენსა წინაშე ყოფა.ამისთჳს აქორწინა ასულნი
თჳსნი თამარ თეიმურაზს ძესა ერეკლე მეფისასა, ხოლო ანუკა
- აბაშიძე ვახუშტის. შემდგომად მოვიდა მეჰმანდარი ყეენისა მიმწო-

დებელი. მაშინ დაუტევა ძმა თჳსი სჳმონ განმგედ ქართლისა და დე-
დოფალი და ძენი თჳსნი დაადგინა გორს და თჳთ წარვიდა მცირედი-
თა კაცითა ქ˜სა ჩ˜ღიბ 1712, ქარ. უ˜ აპრილის კ˜გ. არამედ მისრული წი-
ნაშე ყეენისა პატივცემულ იქმნა დიდითა პატივითა ყეენისაგან და
შეყვარებული ფრიად ყეენისაგან სიკეთისა მისისათჳს, და უთქმიდა
მაჰმადიანობასა და უქადებდა ნიჭსა დიდსა და მსწრაფლ გამოტევე-

ბასა. არამედ მან არა თავს იდვა, მეტყუელმან „მე მოვედ, რათა არა
დამართონ მტერთა და შეირყეს ქართლი. გარნა არიან ძმანი ჩემნი
მაჰმადიანნი და რომელი გნევაბს წარავლინე და მე ვეგო წინაშე
შენსა“. მაშინ ინება ყეენმან წარმოვლინება ვახტანგისა სჯულითავე
თჳსითა. არამედ არა აუფლნეს ომარათა, განმზრახთა თჳსთა, და
არცა ინება იესე ნებითა ვახტანგისათა წარმოსლვა. ხოლო ვინაჲთ-
გან მაჰმადიანთა შინა ცოდვად სჩნდათ ხარკის მიცემა და მსახურება
ქრისტიანეთა, და მეფეთა ქართლისათა მრავალნი ჰყვათ მოხარკენი
და მსახურნი მაჰმადიანნი, ამისთჳს უფროს მაჰმადიან ჰყოფდნენ მე-
ფესა. ხოლო ნიჭნი იყვნენ მათნი წინა თქმულნი დაუთ-ხანისა, და
მისრულისა და წარმოსრულისა და ვიდრე ქუეყანათა მათთა იყვნენ
წარსაგებელნი ყოველნივე მათნი და სამ-დღე მუნ მისრულსა და სამ
დღე გამოტევებულსა მსახურებდენ და მოართჳდენ სანოვაგესა
სამჴრისა და სერისასა ყოველსავე ყეენისასა ჭურჭლითავე მისითა.
ხოლო სჳმონ მასვე ქორონიკონსა მოიყვანა დაწინდული ქაიხოს-
როსი ასული ბარძიმისა ცოლად და იქორწინა, მომტკიცებისათჳს
გიორგი ერის თავისა, და იწყვეს ქუე გამხედველობა ვახტანგისა.

ამასვე ქორონიკონსა, აგვისტოსა ბ˜ იშვა ძე ვახტანგისა გიორ-
გი გორს დედოფლის რუსუდანისაგან. ხოლო იესე აღუდგინა ვახ-
ტანგს, ძმასა თჳსსა ტფილისის გუშაგნი, რომელი იყო თოფჩიბაში
და შეასმენდენ ყეენსა დაწვითა ყორანისათა და სხჳთა მრავლითა
უჯეროთა მაჰმადიანთა ზედა. ამისთჳს მოგზავნა ყეენმან ხოლოფა
ტფილისს, რათა სცნას, რა ბოროტი უქმნიეს მაჰმადიანთა ზედა ვახ-
ტანგს. არამედ იდუმალ ამცნეს ხოლოფას, უკეთუ იცეს ჟამი, თჳთ
დაიპყრას ქართლი და სჳმონ მუნ წარავლინოს. მოსრულის ხოლო-
ფას თანა შეიზრახნენ სჳმონ და მთავარნი ქართლისანი ვახტანგის
ბოროტსა ზედა, რამეთუ რაჟამს დაიპყრა ვახტანგ ოსეთი და განიწ-
ყო მცველნი თჳსნი, მიერით ეშინოდათ გიორგის და დათუნას ერის-

თავთა მამულთა მათთა დაპყრობისა. ამისთჳს მიუწერეს ყეენსა „არა
გვნებავს ვახტანგ, არამედ მოგვივლინე იესე“. ეჰა უცხო, რამეთუ
ქრისტესთჳს იძულებულისა ვახტანგისათჳს ნება-მოწმობა სცეს კა-

თალიკოზმან, ეპისკოპოსთა სამღუდელოთამან. ხოლო ამისა მყოფელთა განკიცხეს ხოლოფა და წარივლტოდა ისპაანსავე“. არამედ ამ ჟამებთა იყო მომსრველი ჟამი ფიცხელი, მკალი მომჭამელი, რამეთუ მფრინალთა დააბნელიან მზე და სიყმილი ძლიერი, და სჯმონ მართვიდა უფროს მოხვეჭით და არა შეიშინეს ღუთისა. არამედ ჰყვეს ესეცა შეიპყრა სჯმონ კათალიკოზი დომენტი ზაკჯთ და წარმოუვლინა ბაქარს, რათა აღმოჴადოს თუალნი. გარნა არა ჰყო ესე დედოფალმა რუსუდან და იყოფოდა მათ თანა პატივითა. ხოლო ყეენსა რა ესმა ვახტანგისათჳს ესენი, აღუძნდა და არა ინება ეგრეთ. არამედ ომარათაგან იძულებულმან წარმოავლინა იესე მეფედ ქართლისად ნიჭითა, ვინაჲთგან აღეთქუა იესე ყეენისათჳს წარვლინებად დედოფალი და ძენი ვახტანგისანი და ხუთასნი ქართველნი ცოლშვილით, რათა დაასახლოს ფარაბათს.

ჟ˜ე. მეფე იესე, ბ˜წელი მეფა

მოვიდა ესე იესე წოდებული ყეენისაგან ალიყულიხან ტფილისს ქ˜სა ჩ˜იღდ 1714, ქარ. უ˜ბ.

ხოლო იყო მჴნე ახოვანი, ჰაეროვანი, მოწყალე, უხჳ, მაღალთა და მდაბალთა მიმცემი, ლხინ-სიხარულთა, შუება-განცხრომათა მოყუარე, სამღუდელოთა პატივისმცემელი, და დალოცეს ყოველთა ქართველთა და გარდააყარეს ოქროჲ და ვერცხლი მრავალი დიდებულთა და წარჩინებულთა.

1-17 სტრ., 494
და იყო ესე ფრიად მიქცეულ მაჰმადინობას ზედა და მქცევი მათებრ მდიდარი და ამაყი. ხოლო დედოფალი და ძენი ვახტანგისნი წარჴდნენ რაჭას და გამოუტევეს კათალიკოზი დომენტი. მოსრულსა იესემ პატივ-სცა და დაადგინა კუალად კათალიკოზად. შემდგომად მიუწერა იესემ ყეენსა „უკეთუ არს წინაშე შენსა ვახტანგ, ვერა ვჰყოფ ბრძანებულსა. არამედ წარავლინე პატიმრად“, შეუძნდა ყეენსა, რამეთუ უყუარდა ფრიად. მერმე მოუწერა ვახტანგს ტკბილად: „წარვედ პატიჴთ ქირმანს, ვფუცავ, რამეთუ გამოგიყვანო კუალად, პატივს-გცე და მოგანიჭო მრავალი“. და წარვიდა დიდითა პატივითა ვითარცა პატრონი მათი. ხოლო იესე იყო მშუებელი და განმცხრომელი უწესოებითა ყრმათა თანა, და უგვანთა მღერათა გარნა მქცევი დიდებულად წაგვარა ცოლი დედის ბიძასა თჳსსა ქაიხოსრო ამირეჯიბს, ბებიის ძმის წული თჳსი, ასული ერასტისა, და შეირთო თჳთ ცოლად. ამხილეს კატალიკოზ ეპისკოპოსთა და უმეტეს იოანე სააკაძემ, გარეჯის ბერთუბნის მამამან,კაცმან ღირსმან. არამედ მან არა უსმინა მეტყველმან „ვარ მაჰმადიან, ესრეთ ჯერ არს

ჩემდა“. შემდგომად მოიყვანა ერეკლე მეფის ასული ელენე ცოლად

1-27 სტრ., 495
ქ˜სა ჩ˜ღიე 1715, ქარ. უ˜გ, და იქორწინა დიდებით გარნა არა კმა-საყო-
ფელ.

ამ ჟამთა გამოვლეს ჭარელთა კახეთი, მოჯდნენ ხუნანს, მოს-
წყჯდეს დაბნები და მოსტუევნეს და წარვიდნენ. ამას ზედა სთხოვეს
იესე კახთა შეწევნა. ამან წარუვლინა სპასპეტი ლუარსაბ საბარათი-
ანოთი. შემდგომად მოვიდა ლუარასაბ ლტოლვილი და მოწყუედილი
წინაშე იესესსა. მერმე წარუვლინა ამილახორი ავთანდილ ზემო
ქართლითა; მივიდა ესე საგარეჯოს, არამედ ესეცა მოიქცა უქმი. ხო-
ლო ვინაჲთგან ვერღარა აღასრულა იესემ დავედრული ყეენისა მა-
შინ მოიყვანა ყეენმან ვახტანგ, მისცა ქართლი და სპასალაროზა ერა-
ნისა და მიაქციეს რჯულსა მათსა ქ˜სა ჩ˜ღივ 1716 ქარ. უ˜დ და წარმო-
ავლინეს თავრიზს, რათა წარავლინოს სპანი ხორასანს და მოსცეს
განმგეობა ქართლისა ბაქარს, ძესა მისსსა, და წარმოავლინეს მტარ-
ვალი, რათა შეიპყრას იესე და მისცეს ბაქარს პატიმრად. რამეთუ მო-
ეთხოვა მეფესა ვახტანს ეგრეთ. ხოლო ბაქარ მოვიდა იმერეთიდამ
მცხეთას, რამეთუ ტფილისს იყო მომსრველი ჟამი და იესე განვიდა
კახეთს. წარავლინა მტარვალი ყეენისა ბაქარ, რათა მოიყვანოს
იესე. არამედ კახთ-ბატონმან იმანყულიმ არა სცა ნება. ესე აუწყა
მამასა თჯსა ბაქარ და მეფემან ყეენსა. განრისხნა ყეენი და წარმო-
ავლინა მურდარი თჯსი. ესე მივიდა, შეიპყრა იესე, მოიყვანა და მოს-
ცა ბაქარს, ხოლო ბაქარ პატიმარ-ჰყო ტფილისს სასახლესა შინა.
კუალად ბრძანებითა მამისათა შეიპყრა სპასპეტი ლუარსაბ. არამედ
იჴსნა ესე დედოფალმან რუსუდან. კუალად შეიპყრა მუხრანის ბატო-
ნი ერეკლე და აღმოჴადნა თუალნი და მისცნა მუხრანი ლევანს, ძესა
პაპუასასა. კუალად მოაშთო პაპუნა დიასამიძე, რომელი იყო მაშფო-
თებელი ძმათა და სხუანი როემელნიმე ექსორია ყვნეს და ესე ყოველი
ჰყო ბრძანებითა მამისათა.

1-26 სტრ., 496
ჟ˜ბ. მეფე ბაქარ, ბ˜ წელ ნახევარი მეფა

არამედ ვინაჲთგან ჰგონებდა მეფე ვახტანგ წარსლვასა ხორა
სანს, ამისთჯს ჰკადრა ყეენსა, რათა მისცეს მეფობა ქართლისა ძესა
თჯსსა ბაქარს. უსმინა და მოსცა და მიაქციეს რჯულსა მათსსა, მხო-
ლო სიტყჯთა და არა საქმითაცა, კოჟორსა ზედა მყოფი ქ˜სა ჩ˜ღიზ
1715, ქარ. უ˜ე. ხოლო ზაფხულსა ამას გამოვიდნენ ლეკნი ჭარელნი სულ-
ხავით ჯ˜ მჴედარნი. ამათ მოსტყვევნნეს ბოლნისნი და ქციის ჴევნი
თავმრგავლამდე. მცნობმან ბაქარ წარავლინა ბიძა თჯსი სჯმონ

(რომელი ჰგლოვდა, რამეთუ მოსირნენე ცოლშვილნი და მსახურნი მისნი მომსრველისა ჟამითა, რომლისასა იტყოდენ კრულვითა კათალიკოზოსათა ყოფასა). მივიდა სჳმონ სამასითა ოდენ მჴედრითა ნაზარას სოფლის ბოლოს, მოეტევნენ ლეკნი და მოერტყნენ გარ. არამედ სემდგომამ თოფთა ცემისა ეკუეთნენ ქართველნი სისქესა მათსა და აოტნეს და სრვიდნენ, ვითარცა ნადირთა. გარნა სიმრავლითა ლეკთათა დაიფანჩნენ ქართველნი. იხილეს ესე ჭარელთა, მოიქცნენ ერთ კერძ და მოსრნეს ქართველნი და აოტნეს სრულიად, მიჰყვნენ მარნეულის გორამდის და უკუნ-იქცნენ, განვლეს ყარაია შოებულთა, არამედ მოისრნენ უმრავლესნი სიცხე-უწყლობითა და მიერით ვერღარა იკადრეს რბევა ჟამამდე. ხოლო მიუღო რა ბაქარ სახლთხუცობა დათუნას კსნის ერისთავსა და მისცა ედიშერს, ძესა ქაიხოსრო ლოპინასასა, მიზეზ-ჰყო ესე დათუნა და უკუ დგა. ამისთჳს წარავლინა ბაქარ ძმა თჳსი ვახუშტი მას ზედა და მისლვასა მისსა მოკუდა დათუნა ერისთავი. ხოლო ძენ მისნი წარვიდნენ კახეთს, და დაიპყრა მამული მისი ვახუშტიმ. არამედ შანშე, ძე დათუნასი წარვიდა წინაშე ყეენისა ყაზმინს და მეფე ვახტანგცა მიეწოდა ყეენსა მუნ წინაშე თჳსსა. თავრიზიდამ შთასრული შანშე ითხოვა მეფემან ვახ-

1-25 სტრ., 497
ტანგ ყეენისაგან, მოსცა ყეენმან და პატიმრად წარმოუგზავნა ბაქარს, ძესა თჳსსა; ესე ბაქარცა პატიმარ-ჰყო ტფილისს. ხოლო შემდგომად ნებითავე ვახტანგ მეფისათა მიუხუნა სპასალარობა ყეენმან და წარმოავლინა ქართლს, რათა განაგოს საქმე ლეკთა.

ჟ˜დ მეფე ვახტანგ, ე˜ წელი აწ მეფა

შემდგომად მოვიდა მეფე ვახტანგ ტფილისს ქ˜სა ჩ˜ღით 1719 ქარ. ტ˜უზ, და დაჯდა ტახტსა ზედა; შეჰფიცეს ყოველთა ქართველთა მეფობისა მისისა მტკიცედ ერთგულებასა ზედა დალოცეს ყოველთა ქართველთა მეფედ და მიულოცეს და გარდააყარეს ოქრო და ვეცხლნი მრავალნი დიდებულთა, წარჩინებულთა, აზნაურთა, კათალიკოზმან და ეპისკოპოს-არქიმანდრიტთა (არამედ ესე წესი ძუელითვე იყო საქართველოსა და უყოფდიან ყოველთა ესრეთ ტფილისს და მიერით უჴმობდენ მეფედ და თჳნიერ მისა არა). ხოლო იყო სიხარული და განცხრომა დიდი მოსლვისათჳს ვახტანგისა, და განაგებდა კეთილად. მაშინ შეიპყრა ძე ქამარ-ბეგისა სომხითის მელიქი და დახვრიტა თოფით კუალად ბაგრატ ციციშვილი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, რევაზისშვილი პაპუნა, ვეშაპიძე და პლატონ, ესენი იჴსნა კათალიკოზმან სიკუდილასაგან და განყიდეს ოსეთს თხებთა ზედა.

ხოლო ვინაჲთგან აქუნდა დავედრებული მეფესა ყეენისაგან საქ-
მე ლეკთა დალეკნი აოჴრებდნენ არა თუ კახეთს, არამედ განჯას,
ბარდას და შირვანს, ამისთჳს შეიყარნენ მეფე ვახტანგ და
კახთ-ბატონი იმანყული, ზავ-ჰყვეს და აღუთქუა ვახტანგ წარვლი-
ნება სპისა კახეთს. შემდგომად გაზაფხულს წარავლინა საბარათია-
ნოს სპითა ერასტი ყაფლანისშვილი. ამან დაჰყო კახეთს თთუე სამი,

1-29 სტრ., 498
არ აბრძოლეს კახთა და მოიქცა ტფილსსვე უქმი. შემდგომად გა-
ნივლტო შანშე და უკუდგა მამულსა თჳსსა. ხოლო მეფემან წარავ-
ლინა მას ზედა ბაქარ, ძე თჳსი, კსანსა ზედა და ვახუშტი ლიახუსა
ზედა, შევიდნენ ესენი და წარუხუნეს ყოველნი. არამედ ჭურთას აოტ-
ნეს მცირედნი სპანი და განმაგრდა მუნ შანშე.

ამისთჳს მიუწოდა მეფემან იმერთა, მოვიდა რაჭის ერისთავი
შოშიტა, აბაშიძენი სჳმონ და ლევან სპითა, შეუჴდა მეფე ჭურთას.
იხილა რა ესე შანშემ, ჴრმალ-კისერ-კიდებული მოვიდა წინაშე ბა-
ქარისა; ამან მოიყვანა მამისა თანა, უკმოიქცა მეფე ტფილისს და გა-
ნუსვენა იმერთა ნადირობა-ნადიმობითა, ანიჭნა დიდნი და განუტე-
ვა, და შანშეცა წარატანა მათ ჟამმამდე. არამედ კუალად განივლტო
შანშე და განმაგრდა ჭურთას.

ამ ჟამს წარმოევლინა ყეენს შირვანის ხანი შუელად კახთა. ესე
რა მოვიდა შაქს, დაესხნენ ჭარელნი, მოკლეს ხანი და მისწყჳდნეს
სპანი მისნი. ამისთჳს მოუმცნო ყეენამ მეფესა შემუსრვა ჭარისა და
მეფე სრულიად შეკრებული სპითა ქართლისათა წარვიდა. ხოლო კახ-
თა მიიყვანეს მ˜ე დღე მაღაროს. მუნ ევედრნენ ჭარელნი მეფესა, რა-
თა შეიწყალოს და დაემორჩილნენ, ვითარცა ნებავს.

მაშინ მოვიდა ყეენი და ბეჟან თაქალ-თოიანი, რათა უკუნ იქცეს
მეფე მათგან. უკმოქეულმან მოინადირა ყარაია და მოვიდა ტფი-
ლისს. ხოლო გაზაფხულს შემოიკრიბნა სპანი მეფესა, მივიდა და
დადგა ზებეყურს. მხილველი შანშე კუალად ვედრებული და ჴრმალ-
კისერ-კიდული მოვიდა წინაშე მეფისა მფიცარი ერთგულებასაზედა,
შეუნდო მეფემანცა და მისცნა მამულნი მისნი სრულიად, მუნიდამ
მოვიდა მეფე გორს, მუნ მოვიდა კაცი ხონთქრისა. რამეთუ ვინაჲთ-
გან ამან წარავლინა დისწული თჳსი ალექსანდრე ახალციხეს ნიჭითა
სამეფოდ იმერეთისად, ამისთჳს მოემცნო რათა მწე ეყოს მას.

ისმინდა მეფემან და წარავლინა ვახუშტი მწედ მისად, ხოლო
ზამთარსა ესმა მეფესა მოსლვა ლეკთა, შეკრბა და დადგა ხუნანს, რა-

1-29 სტრ., 499
მეთუ განჯასაც ბრძოდა სულხავი. მუნიდამ წარავლინა სპანი და გა-
ნარინა განჯა მათგან. არამედ აზნაურთა ჰგონეს ყანდაარსა წარსლვა
და ინებეს მუნ შფოთი, შეიპყრნა მეფემან, ზოგნი მოკლნა, ზოგ-
ნი სტანჯნა, სხუანი უმკჳდრო ყვნა.

ხოლო განძლიერდნენ ავღანნი და და ძე მირვეიზისა მაჰმუდ მოვი-
და ისპაანს ჯ˜ მჴედრითა. მაშინ განვიდნენ ომარანი, ბეგნი და სპანი
რ˜კ ჩ˜ ბრძოლად მისა. ამათ ეკუეთა მაჰმუდ, აოტნა ყიზილბაშნი და
მოიკლა ძმა მეფისა ყულარაღასი როსტომ მჴნედ მბრძოლი ყულით,
მოსწყჳდნა სპანი და მოადგა ისპაანს ქ˜სა ჩ˜ღკბ 1722, ქარ. უ˜ი მარტს.

მაშინ მოუწერა ყეენმან მეფესა რათა მწე ექმნეს. კუალდ მო-
ადგნენ განჯას ლეკნი და განჯელნიცა ევედრებოდნენ განრინებასა.
კუალად მოვიდა წარმოვლინებული რუსთ ხელმწიფისაგან მამუკა,
რათა მივიდეს მეფე მის თანა, ოდეს გამოვიდეს სპარსეთს. ამის
მცნობს ხონთქარს მოემცნო მეფისათჳს, რათა ექმნეს მორჩილი მას.
ესე განიზრახა მეფემან მთავართა თანა ქართლისათა. არამედ ამათ
არა ინებესწარსლვა ისპაანს, რამეთუ დაშთების ქართლი უკაცურიო
და არიან მტერნი მრავალნი . გარნა დაასკუნეს განრინება განჯისა და
წარვიდნენ განჯას. აარმედ რა მივიდა მეფე შანქორს, სცნა სულხავ-
მან, მოეცალა განჯას და წარმოვიდა თჳსად; მოეგება განჯის ხანი,
მოუძღვა განჯას და უძღუნა მრავალი და ევედრა ელთა თჳსთა და-
მორჩილებასა. წარავლინა მეფემან სპანი, მოსრნეს ურჩნი და დაუ-
მორჩილეს ხანსა. მერმე შემოიქცა და მოჳდა ტფილისს მეფე მაისს.
ხოლო აგჳსტოს კოჭორს მყოფს მოუვიდა მეფეს ყეენისაგანა თაჯი
და ჯიღა ჯრმალი და ხანჯალი მოოჭვილნი და სპასპეტობა ადრიბე-
ჟანისა, რათა დაიპყრას შირვანი, რამეთუ აქუნდა ლეკთა დაპყრო-
ბილი.

კუალად მოვიდა თურქისტანიშვილი ბაადურ დიდის პეტერეს
იმპერატორისაგან, ვინაჲთგან გამოსულ იყო სოლახს, რათა მივიდეს
შირვანს მეფე მისთანა. კუალად მოვიდა დესპანი ხონთქრისა დამორ-

1-30 სტრ., 500
ჩილებისა მისისათჳს არამედ განუტევა ყოველნი და აღირჩია რუსთ
მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათასა და ძალსა
ქრისტიანობისასა. ამისთჳს შეკრებული სპითა წარვიდა განჯას, მის-
ცა ყაზახის ხანს ყაზახი და მოუწოდა. არამედ კახთ-ბატონი მაჰმად-
ყულიხან იდგა ყაზახს და მოემცნო მეფისათჳს: „რამეთუ ჩემდა მო-
ცემულ არს ყაზახი ყეენისაგან, აწ ჯერ არს თქუენგანცა არა მიხმად
იგი. არამედ მე მოგცნე სპანი მისნი“. ამისთჳს ნება სცა მეფემან, გარ-

ნა ითხოვა სპა მუნებური და დაასკუნეს შეყრა და ხილვა ურთიერთთა გატეხილ ჯიდსა ზედა. ხოლო მეფესა ძმა თჳსი იესე პირველვე გამოეყვანა პატიმრობიდამ და მისცა მუხრანი და მსაჯულთუხუცესობა. ამას აქუნდა კუალად მანკიერება და რომელთამე ქართველთა და არა ინებეს შეყრა მაჰამდ-ყულიხანისა და მეფისა შფოთისათჳს, ზრახჳთა ამათითა განვლო ღამე გემიყაიას მტკუარი მაჰმად-ყულიხან და მივიდა საგარეჯოს და არცაღა მოსცნა სპანი მეფესა და იქმნა მათ შორის ამისთჳს შური. ხოლო მეფე ვახტანგ მიჳდა განჯას და დაჰყო სამ თთუე მუნ და ვერა რაჲ სცნა ჴელმწიფის პეტრესი.

შემდგომად მოვიდნენ ბაადურ და დესპანი მეფის პეტრესი ტფილისს, რამეთუ თჳთ უკუნქცეულ იყო და აღეთქუა გაზაფხულს კუალად მოსლვა და ესე ყოველი აუწყა ვახუშტიმ მეფესა. მაშინ სპანი მეფისანი და მაჰმად-ყულიხანისანი ბრძოდენ ყაზახსა ზედა. კუალად მოუძღუნა მაჰმად-ყულიხან კახნი ჭარელთა და მოსტყუევნეს ლილოს დაბნები. ამათი მსმენელი მეფე უკმოიქცა და მოვიდა ტფილისს. მერმე წარავლინა ბაქარ და იესე, რათა მოაოჴრონ საგურამო. მოვიდა თეიმურაზ კახითურთ, იზრახნენ და ზავ-ყვეს და მოიყვანეს ტფილისს თეიმურაზ კახითურთ. ამათ იფიცეს წინაშე მეფისა, ეპისკოპოსთა და მთავართა უცილებლობისა და ერთობისათჳს. ხოლო დაერწმუნა მეფე სა განუტევნა ესენი ნიჭითა.

შემდგომად აღიღეს ისპაანი ავღანთა ოკტომბერს ქ˜სა ჩ˜ღკბ 1722, ქარ. უ˜ი, და დაჯდა თავრიზს ძე შაჰსულთან უსეინისა შაჰთამაზ, რომელი ისპაანის გარმოდგომილებასა შინა წარმოგზავნა მუნ ყეენმან.

1-30 სტრ., 501
ამ შაჰთამაზის წინაშე წარგზავნილ იყო სეხნია ჩხეიძე მეფისაგან. ამან სეხნიამ ჰყო სათნო მაჰმად-ყულიხანისა და არა რაჲ აცნობა მეფესა, რამეთუ დამართვიდნენ მეფე და მაჰმად-ყულიხან ურთიერთთა პირველ წინაშე ყეენისა. ხოლო შაჰთამაზ განმზრახთაგან მისცა ქართლი მაჰამდყულიხანს და აღირჩია იგი შაჰთამაზ.

ესე ამცნო მაჰამდ-ყულიხან ტფილისის მეციხოვნეთა, ამათ დაჴშნეს კარნი ციხისანი ღამე და ისროდნენ თოფ-ზარბაზანთა. მაშინ მეფემან წარმოავლინა დედოფალი გორს და თჳთ დაადგრა სპითა ტფილისს. შემდგომად მოჴდა მაჰმად-ყულიხან და დადგა ავლაბარს და მოპარვით შემოვიდა თეიმურაზ მცხეთას და განამაგრეს კახთა იგი. კუალად შემოეპარნენ კახნი და აღიღეს ტფილისის კლდისუბანი, მიეტევა ბაქარს სპითა, აოტნეს კახნი და მოსრნეს იგინი, და დაიპყრა თჳთ და დაადგინა მცველნი. ხოლო მაჰამად-ყულიხან მოიყვანა შემწედ განჯის ხანი და სპანი ერევნისა და ლეკნი, ხოლო მეფე-

მან რაჭველნი და იმერნი აბაშიძენი და იყო ბრძოლა სამ თთუე.

კუალად გამოჯდა მარბიელი თელეთს მსმენელი ბაქარ წარვიდა
მათ ზედა, არამედ იხილეს რა მათ ავლაბრიდამ გამოჯდეს კახნი და
ლეკნი და მოვიდეს მთაბორსა ზედა, მიექცა ბაქარ და ეკუეთა სპითა, აოტნა კახ-
ლეკნი და მოსრნეს მრავალნი, ვინაჲთგან გაკადნიერებულ
იყვენენ. ოდეს მამაუკა თამაზის ძე იდგა ტაბაჴმელას, მოუჴდნენ კახნი,
ხოლო იგი ეკუეთა და იქმნა ბრძოლა, სძლეს მამაუკას და მოსრნეს
მრავალნი, რამეთუ რევაზს ძმასა მამუკასასა ჰკრეს კახთა თოფი,
გარნა განერა და განიკურნა; და აწცა მოკლეს სალთხუცესი ვახტანგ,
ძე გივი ამილახორისა, სრული ყოვლითავე.

ხოლო მოსრულ იყო განჯის ხანი შულავერს, ეოტნა სპანი და
მოესრა შულავერი. მსმენელმან მეფემან წარავლინა ვახუშტი სპითა
საბარათიანო-იმერლითა, მივიდნენ ესენი დამოსრნეს ელნი ბორჩა-
ლუ. გარნა არა გამოვიდა ხანი აღჯაყალის ციხიდან, მერმე მოიქც-
ნენ და დადგნენ წოფას. მეორე დღე განუტევეს მარბიელი. ესე აცნო-
ბეს სომხითართა ხანსა უსპობა ვახუშტისა. მაშინ მაჰამად-ყულიხანს
წარმოევლინა კახნი და ლეკნი ხანისა შეწევნად. მცნობელნი წამსავე

ამჴედრდნენ და წარმოემართნენ თავს დასხმად. სცნა ვახუშტიმ და
მოეგება წინა. არამედ კუეთებულნი უკუდგნენ სიმაგრესა და ბრძოდ-
ნენ მწუხრამდე, არამედ ემატებოდენ სპათა ჩუენთა მარბიელნი. მერ-
მე ეკუთნენ მარცხენით აოტნეს კახ-ლეკნი და მოსწყჳდნეს სიმრავლით და
მოვიდნენ ალაფით ტფილისს. კუალად გამოვიდა მარბიელი
ამათ დაესხა ბაქარ თელეთს, მოსრნა და სხუანი შეიპყრნა სამსანი,
ხოლო უკმოქცეულსა და ხუდნენ ბაქარს კახ-ლეკნი და ყიზილბაშნი,
ეკუეთნენ ესენი და მისლვასავე აოტნეს და მოსწყჳდნეს უმრავლესნი
და სხუანი ლტოლვილნი შევიდნენ სეიდაბადსა შინა. ხოლო ბაქარ მო-
ვიდა ტფილისს.

მერმე წარავლინა მეფემან ვახუშტი მცხეთას, რამეთუ დემეტრე
ყაფლანიშვილს გაედვა ჯიდი და ეუწყა მცხეთელთაგან მოცემა
მცხეთისა, ამისთჳს ეთხოვა სპა მეფისათჳს, რამეთუ პირველ წარევ-
ლინა იესე და გამოსრულ იყუნენ კახნი დასხმად იესესა. არამედ მოს-
რნა იესემ და სხუანი ლტოლვილნი შევიდნენ მცხეთას. არამედ იესე
არა მენებებელი ბრძოლისა წარვიდა მუხრანს. ხოლო ვახუშტი მოვი-
და ქ˜ კაციტა ღამე და მოერტყნენე მცხეთას. მაშინ მლოცველთა ეკ-
ლესიასა შინა კახთა გარდუკლიტნეს კარნი მცხეთელთა, გარნა ის-
როლეს ძლიერად კახთა კუალად. არამედ შეუჴდნენ მოსრნეს და
შეიპყრნეს სრულიად და დაიპყრეს მცხეთა, გამოიყვანნეს მთავარნი

და მოართვნეს მეფესა ტფილისს.

შემდგომად კუალად წარავლინა ბაქარ სპანი და წარუხუნა მთა ბორი ღამე, აღუძნდა ესე მაჰამდ-ყულიხანს, ვინაჲთგან იდგა სეიდა-ბადს, ამჴედრდა დილას და მოგზავნა თუშნი და ლეკნი მკჳრცხლნი თაბორსა ზედა, აღირეს მათვე თაბორი და მომართეს ბაქარს. მაშინ ბაქარ ეკუეთა მაჰმად-ყულიხანს და მისლვასავე ივლტოდენ და მოს-წყუედდენ ქართველ-იმერნი და შესჯარნეს ვიწროსა მტკურისასა, არამედ უფროს მოიშთოდნენ მტკუარსა შინა, ხოლო დევნად არღარა აუფლეს მთავართა ბაქარ ზაკჳთ, ვინაჲთგან მცირე დევნითა შეიპ-ყრობდა მაჰმად-ყულიხანს, რათა არა მოსპოს მეტოქი თჳსი, აღიღეს დროშანი და ალაფი მისი და მოადგნენ ტფილისს, რამეთუ შევიდა

1-31 სტრ., 503
ვერ-განმსწრე თეიმურაზ ციხესა შინა (ამისთჳს იქმნა ბოროტი ქუე-მოთქმული უბოროტესი). ხოლო მაჰამდ-ყულიხან განვლო გემიყაია ნავით და მიჳდა მარტყოფს და მუნიდამ ქისიყს სპისათჳს ლეკთა, რამეთუ აქუნდა შიში ყეენისა, ვინაჲთგან მოცთუნებით ყო შფოთი ესე.

ხოლო მეფე მოადგა სეიდაბათიდამ ციხესა და დამშჳდდა ფრიად. კუალად წარავლინა ვახუშტი მარტყოფს, მოსტყუევნა იგი და მო-ვიდა ტფილისს. მაშინ იდგა აზრუმის ფაშა ყარსს შემუსრვად ერევ-ნისად და დაპყრობად ადრიბეჟანისა. ესე უვლინებდა მეფესა, რათა არა მწე ეყოს მათ და მოანიჭოს ხონთქარმა ნიჭი დიდი. ამისთჳს წარუვლინა როჭიკაშვილი ედიშერ და აღუთქუა არა შუელა მათი, ვი-ნაჲთგან იმედეულ იყო გაზაფხულს რუსთა მეფის მოსლვასა. მერმე მოჳდნენ და მოერთუნენ მეფესა ყოველნი წარჩინებულნი კახნი სე-იდაბადსა შინა. ხოლო მისრულმან მაჰმად-ყულიხან აღუთქუა ლეკთა ვეცხლი დიდიძალი, წარმოიყვანნა და დაესხნეს ტფილისს მეფესა.

იხილე ორგულობა, რამეთუ ტალანი მრავალ, მტკუარი განდი-დებული და ჴიდი იწრო; მუნ მდგომმან სჳმონ არა აჰყარა ჴიდი, არცა განამაგრნა საფარნი. ეგრეთვე ქართველთა დაუტევეს მეფე ჴელთა შინა მტრისათა.

რა იხილე ჟამი ესრეთი, და ივლტოდნენ ყოველნი; ამისმან მხილველმან მეჯინიბემან მოართვა ცხენი მეფესა, ეგრეთვე ბაქარს და წარმოჳდნენ. მაშინ მჴნედ იყო როსტომ ფალავანდისშვილი, ჩა-მოუდგა მეფესა და არა აუფლებდა ლეკთა მოსლვად. კუალად ლეკთა მოსრნე ქართველნი და კახნი მრავალნი, და მოადგნენ ქალაქს, ხო-ლო მეფე მოჳდა მცხეთას და ბაქარ წარვიდა დუშეთს, რათა მოეს-

წრას სპითა ტფილისს. არამედ ერისთავმან გიორგი გამოუტევა უცხენოდ. ხოლო მისცეს მაჰმად-ყულიხანს ქალაქნი და შევიდნენ ლეკნი, იავარ-ყვნეს და მრავალნი ტყუე ყვნეს. ეგრეთვე გამოვიდნენ მცველნი ციხის თათარნი დ დაწუეს სიონი და შემუსრეს ხატი ყოვლად წმიდისა ღუთის მშობლისა სიონისა (ლევან შეამკო კოსტანტინემ შემუსრა). ჲ. რაოდენნი ქალწულნი განიხრწნენ და ჭეშმარიტნი დედანი

1-25 სტრ., 504
და მოწესენი ბოროტთაგან და სისხლი მართალთა დაითხია უსჯულოთაგან ქ˜სა ჩ˜ღკგ 1723, ქარ. უ˜ა.

ხოლო ბაქარ მოვიდა მამისა თანა და წარმოვიდენ გორს და დაიპყრა ტფილისი მაჰამდ-ყულიხანს. მიუწოდა ქართველთა და არავინ ინება მისლვა, რამეთუ ბარათიანთა სპანიცა ლეკთა გამოუსია; გარნა კუალად არა მივიდნენ. არამედ გიორგი ერისთავი მივიდა შურითა მეფისათა; შემდგომად მივიდა შანშეცა კსნისა, მერმე ვიეთნიმე ბარათიანნიცა და საციციანონი. ხოლო ზემო ქართლისანი არცა ერთი. ამისთჳს წარმოავლინა მაჰმად-ყულიხან თეიმურაზ ძმა თჳსი კახ-ლეკითა. მაშინ მეფემან წარავლინა დედოფალი იმერეთს და თჳთ დაადგრა ქცხინვალს და განუტევა დესპანი რუსთ ჴელმწიფისა ბაადურითურთ მუნიდამ და ევედრა მწე ყოფასა.

ხოლო ესე ყოველი ეცნა სარასკარს, ყარსს მყოფს და წარმოემართა, ვინაჲთგან იხილა ჟამი მარჯვე და მოუმცნი მეფესა „წარმომივლინე ნათესავთაგანი შენი, მე ვაოტო მაჰმად-ყულიხან და დაგმტკიცო კუალად ქართლი ხონთქრისაგან“. ამისთჳს წარმოულინა მეფემან იესე, არამედ შემდგომად მისა წარვიდა ბაქარცა და მიეგება შამბიანს სარასკარსა. გარნა მოვიდაცა თეიმურაზ ჭალას.

მაშინ განემრავლა მეფესა სპანი, რამეთუ მოვიდა სჳმონ აბაშიძე იმერლით და ზემო ქართველნი ყოველნი და ლამობდა მისლვასა თეიმურაზსა ზედა. არამედ ეცნათ მოსლვა ურუმთა, უკუნ იქცა თეიმურაზ ტფილისსვე.

ხოლო ოსმალნი ჩამოვიდნენ ივნისში და დადგნენ ყურყუთას. იხილა მაჰმად-ყულიხან რამეთუ ვერ ავნებს, მიეგება და მიართუა კლიტენი ციხექალაქისანი, რათა მისცეს ქართლი მას. მოგზავნა სა-

1-27 სტრ., 505
რასკარმან იენგიჩარნი და შეაყენნა ციხესა. მეორეს დღესა შეიპყრა მაჰამად-ყულიხან თხოვნითა ბაქარისათა და პატიმარ-ჰყო. ხოლო ციხის მოსახლეტა სპარსთა შეუსია იანბიცარნი, იავარჰყვეს საქონ-

ლით და ქონებით და გამოაძნეს ციხიდან ყოველნი ცარიელნი და მოსცეს ქალაქი და ქართლი ბაქარს. ამისთვის მოუგზავნა მამასა, რათა წარუვლინოს ქრთამი ოსმალთა. მაშინ მეფემან წარუვლინა ი˜ბ ჯორი კიდული ოქრო-ვერცხლითა და მოოჭვილითა.

შემდგომად პატიმარ-ყოფილი მაჰმად-ყულიხან ევედრა ბაქარს, რათა განუტევოს და აღუთქუა ფიცით ვითარცა მონა იყოს მისდა. მან გამოაპარა და მოჯდა კახეთს. მერმე სეიპყრა ბრძანებითა მამისათა და სარასკრისათა ერისთავი გიორგი ძით და სალთხუცით თეიმურაზით; შემდგომად მოჰკუეთა თავი გიორგი ერისთავსა და წარმოვიდენ ოსმალნი შემუსრვად და მოსტყვევნად დუშეთისა.

მაშინ აიძულებდნენ ოსმალნი მეფესა ხილვად ქეასსა და დადგა მეფე ოკამს და ოსმალნი დგნენ შიოს უბანს; აქა მოვიდა მეფის ხილვად ქეაჲ და შემოჰფიცეს მეფესა ოსმალტა მოუშლელობისათჳს მეფობისა მისისა და დაასკუნეს შესლვა დუშეთს. ამისთჳს მოვიდა მეფე კსნის-ჴევს შესლვად გრემის ჴევიდამ. იხილა ოთარმან, ძემან გიორგი ერისთავისამან, მისცა ქრთამი ქეას და აღუთქუა მორჩილება და მივიდა წინაშე ქეასსა. ხოლო ქეამ პაემნითა ამით განუტევა ოთარი და თჳთ მივიდა ტფილისს. არამედ შემდგომად ქცხინვალს მდგომს მეფეს მოერთუა რამეთუ ლეკთაგან ლტოლვილი თამარ, ასული მისი, თეიმურაზით მოვიდა ანანურს და წარვიდა მეფე, შუელად მისა და დადგა არღუნს დუშეთს აქათ. ხოლო ლეკნი უკუნქცეულ იყვნენ. ხოლო ოთარი მოვიდა წინაშე მეფისა დ ფუცა ერთგულებასა ზედა მეფისასა. ამისთჳს მისცა მეფემან ერისთობა და მამულნი მისნი ყოველნი და განუტევა.

1-28 სტრ., 506
არამედ მას ღამესა მოვიდნენ ლეკნი, მოსტყუევნეს გრემის ჴევი და აღიღეს ალაფი კახთა ხიზანთა და წარვიდნენ. ამათ წარმოუდგა მეფე ეწივნენ სპანი და აოტნეს ლეკნი და მოსრნეს მრავალნი და ნეშტი მათი შევიდა წილკნის ზღუდესა შინა; და მერმე კუალად გამოვიდნენ წილკნიდან მცირენი და იწყეს ცემად თოფთა.

მაშინ ივლტოდენ სჳმონ და შანშე, და მოსლვასა მეფისასა შეიხუეწნეს მუნავე და ლამობდნენ სპანი მიტევებასა და შემუსრვასა ზღუდისასა. არამედ მოსრულმან შანშემ არღარა აუფლათ, უკუნ იქცა მეფე და დადგა ქსოვრისს, კუალად მოვიდნენ სხუანი ლეკნი და მოსტყუევნნეს საამილახორო და უკუნქცეულნი შევიდნენ შიოს უბანს.

ამ ჟამთა მოსრულ იყო სჳმონ აბაშიძე სპითა მცირითა წინაშე მეფისა საქმისა რისთჳსმე. შეიკრიბნენ ოთარ ერისთავი და ქარ-

თველნი, და აიძულებდნენ მეფესა ბრძოლად. არამედ შანშე მტერ იყო ოთარისა, და ვინაჲთგან სპანი ოთარისა უმეტესობდნენ, არა ენება შანშეს ბრძოლა, რამეთუ იქმნების გამარჯუებისა მიზეზი ოთარი და მივიდნენ რა გამოჯდნენ ლეკნი შიოს უბნიდამ, ეკუეთნენ ამათ იმერნი და მოსწყჳდნეს და აოტეს. ესე იხილა შანშემ, წამს უკუნიქცა და ივლტოდა, მოჰყვნენ ლეკნი და მოკლეს სჳმონ აბაშიძე და მოსწყჳდნეს იმერნი, არამედ უმეტეს ქართველნი, ხოლო მეფესა იძულებულსა წარმოსლვად უბრკმა ცხენსა და დაეცა. მაშინ მოართუა ცხენი თჳსი სიამარადისშვილმან და მოჯდა ქცხინვალს და იხილა რა მეფემან ესე ვითარებანი ქართველთა იწყო სხჳსა განზრახუა. ამისა შემდგომად ქრთამთაგან და ურუმთა უჯეროთა საქმეთაგან შემჭირვებული ბაქარ გამოვიდა ტფილისიდამ ურუმთაგან. მერმე მოვიდა მუხრანს სპითა მოწყვედად ლეკთა, არამედ ვერღარა ეწია, რამეთუ გაესწრათ ლეკთა საგურამოს, უკმოქცეული მოვიდა ალს მამისა თანა. შემდგომად მიიქცა მცხეთას და მუნ მოვიდა მაჰამდ-ყულიხანცა და ყვეს აღთქმა-ერთობა სიყუარულისა და წარჯდნენ თჳს-თჳსად. შემდგომად წარ-

1-25 სტრ., 507
გზავნა ბიძა თჳსი იესე ტფილისს ურუმთა შინა. ხოლო იესე მიიქცა სჯულსა მათსა ზედა, რამეთუ ოდეს პყრობილ იყო, მოიქცა ქრისტიანედვე და აწ ყო ესე ვინაჲთგან იყო ჯორცთმოყვარე. ამისთჳს მიენდვნენ მას ურუმნი, და წარმოავლინეს სპითა ღორის თავს მდგომს ბაქარსა ზედა. ხოლო ბაქარ უსპობითა ვერ დაუდგა და წარვიდა ატენს, და ოსმალთა დაიპყრეს საბარათიანო. არამედ გაზაფხულს წარავლინა ბაქარ სპანი ამათ მოსწყჳდნეს თრიალეთს მყოფნი ოსმალნი და ფოკას მოსრნეს ფ˜ მჴედარნი ტფილისს მომავალნი. ამისთჳს კუალად წარმოავლინეს იესე და ისაყ, ახალციხის ფაშა სპითა, ვერ წინა აღუდგა ბაქარ, არამედ შევიდა მთათა შინა. ხოლო ოსმალნი მოჯდეს გორს, მოარბიეს გარემონი, დაიპყრეს გორი. უკუნქცეულთა შთავლეს საამილახორო, მუხრანი და მივიდნენ ტფილისს. შემდგომად კუალად წინაძღოლითავე იესესითა მოვიდნენ ქცხინვალს, მოსწვეს და მოსტყუევნეს ოსმალთა და წარვიდნენ.

წარვიდა მეფე ვახტანგ რუსეთს.

ჟამთა ამათ მოვიდნენ წარვლინებულნი რუსეთიდამ ნაზარაშვილი დავით და ფრანგისტან და მოართვეს მეფესა წარსლვა რუსეთს. მსმენელი მეფე იმედებული ჴელმწიფობისა მათისა აღეკაზმა, წარვიდა და მოვიდა რაჭას ქ˜სა ჩ˜ღკდ 1724, ქარ. უ˜იბ. ამას განჰყვნენ ქართველნი ყოვლისა სახლიდამ და კახნიცა მრავალნი, ვითარ ჩ˜უ და ზოგნი უმეტეს დედაწულითურთ, ხოლო რაჭიდამ მივიდა მეფე ვახტანგ დიგორს, მუნ მოეგება ცოლის ძმა თჳსი ჩერქეზის ბატონი,

მუნიდამ ჩერქეზს შთასრულს მოეგება სპა დიდი რუსთა და მივიდა
სოლახს ახალსა ციხესა შინა აგვისტოს კ˜ზ, ოკდომბერს ჩაჯდა ნავ-
სა და განვიდა აშტრახანს ნოემბერს ზ˜.

1-28 სტრ., 508
ხოლო შემდგომად მეფე ვახტანგისა შეკრბნენ ქართველნი, მო-
იყვანეს მაჰმად-ყულხან კახით, თუშით, ფშაველ-ჴევსურითა და და-
დგნენ თედოწმიდას, ამის მცნობთა ოსმალთა წარმოიძღუანეს იესე
საბარათიანოს სპითა და წარმოვიდნენ. ხოლო ქართველნი მიეგებ-
ნენ გუფთას, ეკუეთნენ და ივლტოდნენ ურუმნი. მოუჴდა იესე, მოაქ-
ცია ოსმალნი, ეკუეთა კუალად, მოსრნა და ივტოდა გივი ამილახო-
რი და წარმოიყვანა ამან მაჰამდ-ყულიხან, მოყვნენ ოსმალნი, მოს-
წყჳდეს ესოდენ, რამეთუ თავნი ურმებითა წარიღო ერასტი ყაფლა-
ნიშვილმან ტფილისს რაჯაბ ფაშისა თანა, რომელმან მოსცა ოცდა-
ათი დრაჰკანი ჯილდოდ, და დაიპყრეს ყოველი ქართლი. არამედ
იესე თუცა არა უწოდდენ მეპატრონედ, გარნა მასვე ჰკითხვიდნენ და
იქმოდნენ საქმესა ქართლისასა მის მიერ. გარნა იგი ხუეჭდა და იღებ-
და ქუეყანათა ნარდად და ამით მოირჭვაცა ფრიად, ხოლო ვინაჲთგან არღარავინ
ჰყუათ წინააღმდგომნი ოსმალთა, აღწერეს ქართლი სრუ-
ლიად და და სდვეს ხარკი კაცს სულზედ დრაჰკანი, ცხვარზედ ორი შა-
ური, ზროხაზედ აბაზი, კამბეჩსა და ცხენზედ ექუსი შაური, მოსავალ-
სა ზედა ხუთისთავი ხილითურთ და ამის გამო იქმნა ჭირი დიდი და
მიექცათ სიცრუვე თხემსავე, რამეთუ წაართვეს ოთარს ერისთობა და
მისცეს თეიმურაზს ძესა იასონისასა. ხოლო ლტოლვილი ოთარ მო-
ვიდა აშტრახანს მეფისა თანა და სტყვენვიდიან მამულსა შანშესასა
ოსმალნი.

ხოლო იხილა რა ესე ვითარება კათალიკოზმან დომენტიმ, წარ-
ვიდა ლორეს, რამეთი ჯერეთ ოსმალთა არა დაეპყრათ, და ბესარიონ
დაიპყრა იესეს გამო კათალიკოზობა, შემდგომად მოინდო ფაშამ კა-
თალიკოზი დომენტი. არამედ კათალიკოზი ევედრა, რათა წარავლი-
ნოს წინაშე ხონთქარისა, რამეთუ ჰგონებდა მუნიდამ ლხინებასა რა-
სმე ქართლისასა, მან წარავლინა მისრულსა სტამბოლს მისცეს
პატიჯ დიდი უმეტესი პატრიარქთა და უსმინეს ყოველნი. არამედ
ისაყ ფაშას, რომელი დასუეს ვითარცა მეფე ტფილისს, ახალციხისა,

1-25 სტრ., 509
შეუძნდა პატივი კათალიკოზისა და ქართველთა მოწმობითა შეასმი-
ნა ხონთქარსა. ამისთჳს პატიმარ-ჰყვეს კათალიკოზი ჭალაკსა შინა
თენადოსს დ ბესარიონ იქმნა კათალიკოზად ქართლს.

ხოლო მეფესა ვახტანგს მიუწოდა დიდმან პეტრემან პეტრებუხს;

მისრულსა ცარიცინს, ესმა სიკუდილი დიდისა პეტრესი, დამძიმდა ფრიად. არამედ წარვიდა და მივიდა მოსკოვს; მუნ დახუდა დარეჯან ასული არჩილ მეფისა და შეიტკბნენ ფრიად. შემდგომად მივიდა პეტრებუხს იმპერატორიცის ეკატერინას წინაშე და მან პატივ-სცა მეფებრ დიდებით და მიანიჭნა ურიცხუნი. მერმე გაზაფხულს წარმოავლინა გილანს, რათა ზავ-ჰყოს ყეენსა და მათ შორის. ამისთჳს მიუწოდა დედოფალსა მეფემან მოსკოვს. და მოსრულსა მოსკოვს მეფესა დახუდა დედოფალიცა მუნ. დაუტევა მუნ დედოფალი და თჳთ წარმოვიდა გილანს. ხოლო დარუბანდს მოსრულს მეფეს მოართუეს ანდრიის კავალერია ლურჯი იმპერატრიცისაგან. მერმე მოვიდა გილანს; მაშინ მოერთუნენ გილანელნი სრულიად და აცნობა ყეენსა ყოველნი მეფემან.

ამა ჟამებთა მოსრულ იყო ნადირ-ავშარი წინაშე ყეენისა, ამან ბრძანებითა ყეენისათა მოკლა ფათალიხან ყაჯარი და დააპყრობინა ყეენსა მაშათი. ამან ყეენმან უწოდა თამაზ და მისცა ყორჩიბაშობა. შემდგომად დაიპყრა ხორასანი. არამედ ვერა რისა მყოფელ იყო თჳნიერ მისსა ყეენი. მაშინ კითხვა-სათნოჩენითა მისითა მოუმცნო მეფესა ყეენსა ზავის ყოფად, ვითარცა ნებავს, და მოეგზავნაცა ნიჭი.

ხოლო მიიცვალა ეკატერინა იმპერატრიცა და დაჯდა ძის ძე დიდისა პეტრესი პეტრევე წლისა ი˜გ. ამან მიუწოდა მეფესა მოსკოვს

1-25 სტრ., 510
და მივიდა მეფე ქ˜სა ჩ˜ტკჳ 1728, ქარ. უ˜ივ. ხოლო ამ ქორონიკონის წინას წელს მოკუდა იესე. მაშინ ისაყ ფაშამ განჰყო ქართლი, სომხით-საბარათიანო მისცა ერასტი ყაფლანისშვილს, მცხეთას ზეითი ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი გივს ამილახორს, მუხრანი და საერისთონი მათთავე მთავართა და ამათ მიერ მოიღებდა ხარკსა და სხუათა რაჲ იგი უჴმდათ, არამედ შურითა ურთიერთთათა ქართველთათა იყო უუფროსესნი ჭირნი და ართმიდიან და ძრცვიდიან ოსმალნი შესმენითა მათითა, კუალად უმეტესად ოჯრებითა და ტყუეობითა ლეკთათა; გარნა დაიმორჩილეს ამ მთავრთ გამო ოსმალთა ესრეთ, რამეთუ უკეთუ მალე მსრბოლისად არა მიეცა მყის ცხენი, შესხდიან თჳთ მას ზედა ვითარცა უყვეს მანუჩარ ყაფლანისშვილსა და გიორგი ქავთარისშვილსა, აღუდვეს ლაგამნი, შესხდნენ და ჩხულეტდენ დეზითა წარსლვად. კუალად უკეთუ ავნის ვინმე ოსმალთა ჩამორჩვნიან ანძასა და გარდააჴდევიან ვეცხლი დიდძალი, ვითარცა უყვეს დემეტრე ამილახორისშვილსა, რომელი ჩამოაცვეს ანძასა ორითა მსახურითა.

კუალად განადიდა მელიქი ტფილისისა აშხარბეგ ისაყ ფაშამან, რამეთუ მოჳდნენ დარბაზობად მისა სპასპეტი ლუარასაბ და მთავარნი ქართლისანი ყოველნი. არამედ მან არა მიხედნა არცა იხილნა და გამოუტევნა.

ხოლო მაჩაბელი თეიმურაზ არა ერჩდა ამილახორსა და სწყუედდა ოსმალთა, სადა ვის მოიჴელთდის.

კუალად განდგა კსნის ერისთავი შანშე და თეიმურაზ არაგჳს ერისთავიცა განაძესა ოსმალთა და დასუეს რევაზ; და ეს რევაზცა არა ერჩდათ ოსმალთა, ამისთჳს უბრძანა ისაყ ფაშამ მაჰმად-ყულიხანს და წარმოავლინა ახალციხის სპანი. მოვიდნენ ესნი, განაძეს რევაზ და

დასუეს პაპუა ზურაბისძე. მერმე მოვიდნენ კსანი მოარბიეს და მოადგნენ ვანათის ციხესა და ქუაბიდამ მოსრვიდნენ მრავალთა ოსმალთა, არამედ ღამესა მას განივლტვენ ქუაბიდამ; იხილა შანშემ, მისცა ქრთამი ოსმალთა, ზავ-ჰყო მათთანა, ხოლო ამილახორმან წარმოიყვანა მაჰმად-ყულიხანითურთ ოსმალთა სპანი და დაესხა მაჩაბელს მუგუთს, შემუსრეს ციხე სვერისა, რომელი აღაშენა თეიმურაზ მაჩაბელმან. გარნა მუგუთს მოსრნეს მრავალნი ოსმალნი. შემდგომად მისჭირდა და განივლტო მაჩაბელი და მივიდა რაჭას ცოლშვილით. ხოლო ოსმალთა მოსწყჳდნეს, მოსტყვუევნნეს, შემუსრნეს ციხნი და მოვიდნენ გორს და ენებათ ოსმალთა მოტყუება და შეპყრობა მაჰმად-ყულხანისა, ვინაჲთგან მუნ იახლნა ლეკნი. სცნა მაჰამ-ყულიხან და წარვიდა კახეთს. არამედ ოსმალთა დაიმორჩილეს ქართლი უმეტეს და განიყვნეს დაბნები.

ამ ჟამთავე მოადგნენ ლეკნი ჭალას, მოკლეს ამილახორის რევაზის შვილი ერასტი და შემუსრეს ჭალა, გამოიყვანეს ჩ˜ სულნი ტყუედ და წარვიდნენ, გარნა თჳნიერ ამისა და ამათ ჭირთა შინა, რომელ იყო ოსმალთაგან გაზაფხულ-შემოდგომას მარადის ატყუევებდნენ ლეკნი, რამეთუ ჯარად და ჯარად გამოვიდიან ჩ˜, და უმეტესნი და უმცირესნი.

ხოლო ესმა უსუფ-ფაშას, ძესა ისაყისასა, გამოსლვა ლეკთა, წარმოვიდა სპითა ოსმალ-ქართველთათა და ეკუთა მუხრანს ლეკთა, მოსრნა იგინი და ნეშტნი შევიდნენ შიოს უბანს, მოაფგა გარს და შეესივნენ და სრვიდნენ ლეკთა. არამედ ესე ომის ბრძოლის ჴმა ესმათ სხუათა მომავალთა ლეკთა მოუჴდნენ და აოტეს უსუფ-ფაშა, რამეთუ კნინღა გარდაიხუეწა და მოსრნეს ლეკნი ოსმალნი უმრავლესნი. კუალად ნადარბაზევს ეკუეთა ლეკთა მაჰმად-ბეგ ოსმალ-ქართველითა

სპითა, არამედ ლეკნი ივლტოდნენ, სადაცა მზირ-ეყოთ ტყეთა შინა;

1-24 სტრ., 512
და რა მივიდნენ ოსმალნი, უწყეს ლეკთა იმიერ-ამიერით თოფთა ცემა, მოსწყჳდნეს ოსმალნი და აოტნეს, ვითარ მცირედნი განერნენ.

კუალად გორიდამ მომავალთა ოსმალთა სპათა ემთხვიათ ლეკნი ნიჩბისის ბოლოს, კვეთებასავე აოტნეს ლეკთა და მოსწყჳდნეს უმრავლესნი. ხოლო მკუდართა აჴმარნეს ჩიბუხნი თჳსნი უკანა კარით. განძლიერდენ ესრეთ, რამეთუ უწყეს სამცხე-ჯავახეთს რბევა და ტყუევნა ლეკთა. ვინაჲთგნ არღარა დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლსა და საციციანოს და ადგილ საბარათიანო-სომხითსაცა, თჳნიერ სიმაგრეთა რამეთუ მუშაკობათცა პარვით-მალვით ჩამოვიდიან და მათნი მხილეველნი ივლტოდიან სიმაგრეთა. გარნა კუალად მრავალგზის მოსწყჳდნეს ოსმალთა, ვითარ ვერღარა წინაღუდგნენცა.

კუალად მოერბიათ ჯავახეთი, ჰსცნეს ქართველთა და აცნობეს ოსმალთა, მოვიდნენ ქართველნი და შეუკრეს დიდგორის კოშკის ყელნი. და რა მოვიდნენ ლეკნი, უწყეს თოფთა ცემა და მრავალნი მოსრნეს. ხოლო მათ დაჰყარნეს ნატყუენავნი სრულიად და ივლტოდნენ. მაშინ თელადგორის ბოლოს დახუდნენ ოსმალნი და უფროსად მოსწყჳდნეს. არამედ კუალად მათგანვე უფროსად ტყვევნა და ოჯრება და ბრძოლისაცა უმეტეს იგინი მრე ექმნებოდიან, ვინაჲთგან განმრავლდა სიძვა-მრუშება, სოდომია, ტყჳს ყიდვა, შური სრვა ურთიერთთა და სხუანი ბოროტნი და ამისთჳსცა მოუშვა ღმერთმან ბოროტი, რამეთუ მჴეცნიცა მოეტევნენ და სჭამდენ ურიდად მრავალთა. კუალად მოვიდა სირი ჭივჭავი, რომელთა დააბნელიან მზე სიმრავლით და მოჭამა ნაშრომი სრულიად, რომელი არა თქმულ არს

1-27 სტრ., 513
საუკუნით. კუალად იყო სრვაცა მომსრველი, ჟამი ძლიერი, გარნა არავინ შეიშინებდა ღუთისასა.

ხოლო შემდგომად ლტოლვისა ისაყ-ფაშისა მოჳდა თოფალ ფაშა. ამან უბრძანა ქართველთა საჭურველით ყოფა და პატივთა უყოფდა და ასწავებდა ერთობასა და ვედრებასა ღუთისასა. მაშინ სპანი მისნი მარადის მრე ექმნებოდენ ლეკთა და მოსწყუედნენ. არამედ შემდგომად მცირედისა წარავლინეს ბაღდადს და შემდგომად მისა კუალად მოვიდა ისაყ-ფაშავე და იქმნა ვითარცა პირველ, გარნა უძჳრესიცა.

ხოლო რაჟამს გარდაიცვალა მეორე პეტრე იმპერატორი და დაჯდა იმპერატრიცა ანნა, ამან მიუწოდა მეფესა ვახტანგს პეტე-ბუხს, მისცა ნიჭი და წარმოავლინა დარუბანდს, რათა დაიპყრას შა-მახია და მერმე ქართლი. წარმოსრული გამოვიდა დარუბანდს ქ~სა ჩ~ღლდ 1734, ქარ. უ~კბ.

არამედ წინ ჴსენებულმან თამაზ ხან პირველვე დაიპყრა ხორასანი და განასხნა ისპაანიდამ ავღანნი და დასუა მუნ შათამაზ. კუალად აღიღო ოსმალთაგან თავრიზი და დაუტევა ყეენი ბრძოლად ერევნი-სა, და თჳთ წარვიდა ხორასანს.

არამედ შაჰთამაზ აოტეს ურუმთა ერევანს და ლტოლვილი მი-ვიდა ისპაანს. ესე სცნა თამაზ ხან, მივიდა ისპაანს და შეიპყრა შაჰ-თამაზ. რამეთუ იყო მემთვრალე და უბადოდო მქცევი. ხოლო თამაზ ხან წარვიდა ბაღდადს, მოკლა თოფალ-ფაშა და მივიდა ისპაანს და განემზადებოდა წარსლვად ბაღდადსა ზედა. არამედ ესმა წარსვლა მეფისა ვახტანგისა დარუბანდიდამ შამახიასა ზედა, დაუტევა ბაღ-დადი და მოჳდა უცნობელად შამახიას, აღიღო იგი სულხავისაგან და მერმე შეუჴდა სულხავს კულმუხსა, მოსწყჳდნა და მოსტყუევნა, აღიღო ალაფი მისი, გარდამოჳდა შაქს და მუნიდამ მოადგა განჯას.

1-27 სტრ., 514
მიუვლინა დარუბანდს ვახტანგ მეფესა კაცი, რათა მივიდეს მის თანა. არამედ ვახტანგ არა ინება და განჳდა აშტარხანს, ვინაჲთგან მისცეს რუსთა ყოველი სპარსეთისანი თამაზ-ხანს. გარნა თამაზ ხან ვერ აღიღო განჯა ზამთარსა ამას. მაშინ ქართველთა მოსწყჳდნეს ოს-მალნი ტფილისის გარეთნი სრულიად, ეგრეთვე გივი ამილახორი შე-ეტყუა გორის ციხეს ოსმალთა და მოსრნა იგინი და დაიპყრა ციხე. მერმე მოერთუნენ ქართველნი განჯას თამაზ-ხანს, არამედ მან მცი-რედითა პატივ-სცა ნიჭთა, წარმოატანა ხანჯალხან სპითა,რათა ბრძოს ოსმალთა, მოვიდნენ ესენი შეკრბნენ კუალად და დადგნენ ავჭალს.

მაშინ გამოვიდა ტფილისიდამ მაჰმადბეგ სპითა ოსმალთათა, ამათ ეკუეთნენ ყიზილბაშ-ქართველნი, აოტნეს ოსმალნი და მოწ-ყჳდნეს და სხუანი შევიდნენ ტფილისს. შემდგომად დადგნენ კოჟორ-ზედ ყიზილბაშ-ქართველნი და ტალანი ამათნი წავკისს. მოვიდნენ ოსმალნი ღამე და მოსრნეს ტალანი სრულიად და დილას დაესხნენ ყიზილბაშ-ქართველთა და ეკუეთნენ ესენიცა. არამედ ივლტოდნენ ოსმალნი და მოსრვიდნენ, მოჰყვნენ და მოადგნენ ტფილისს. ხოლო გაზაფხულსა ამას დაუტევა თამაზ-ხან განჯა თჳთ და გარმოდგო-მილ-ჰყო სხჳთა სპითა. მან შემოვლო სომხითი, და დბანისი, გარადვ-

ლო ყაიყულს და მივიდა ყარს. მაშინ მწ მოსრულ იყო სარასკრად ქოფრული სპითა დიდითა, ხოლ ვერარისა მყოფელი ყარს თამაზ-ხან მოიქცა და დადგა ერევანს ზეით.

ხოლო მესამის დღის დილასა მოვიდა ქოფრულიცა სპითა ეწ-ყუნენ და იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი, მოლეს ქოფრული და ივლ-ტოდნენ ოსმალნი, რამეთუ ერთი ასთა შეიპყრობდა. ამის მხილველ-თა ოსმალთა მისცეს ერევანი, განჯა, ლორე, ტფილისი და დაიპყრა თამაზ-ხან და ქართველთა მიუწოდა ერევანს, არამედ მუნ შეიპყრნა

1-26 სტრ., 515
ყოველნი თჳნიერ ქაიხოსრო ყაფლანიშვილისა, რომელი იყო მას ჟამსა სპასპეტი, და პატიმარნი წარმოავლინა ტფილისს.

კუალად აჰყარა ყაიყული სრულიად და წარგზავნა ხვარასანს, მერმე თჳთცა ტფილისს ქ˜სა ჩ˜ღლე 1735, ქარ. უ˜კგ. ხოლო ქართველნი მოგზაურნი განივლტვნენ თჳნიერ ვახუშტი აბაშიძისა. ხოლო ტფი-ლისიდამ წარავლინა სპანი და მიუჴდნენ ბარძიმს არაგუსა ზედა, მუნ აოტნენ ყიზილბაშნი. არამედ ზემო ქართლს და საციციანოს აჰყარნა სულნი მრავალნი და წარგზავნა ხორასანს. იხილე რისხუა, რამეთუ არა კმა იყო პირველ, არამედ ხილხილიდამ ინჯამდე სამასი დედა-თაგან მოგდებულ ჩჩჳლნი ეყარნენი მკუდარნი. ხოლო თამაზ-ხანს, სრულიად აოჴრებისა ქართლის განმზრახსა, მოესმა მოსლვა თათარ-ხანთა დარუბანდს, ამისთჳს დაუტევა ქართლი, ჩავლო კახეთი ოჴ-რებით და მივიდა დარუბანდს. არამედ თათარხანნი უკუქცეულ იყვ-ნენ და ამან შემუსრა უცმი და მოვიდა მუღამს, და მუნ გაჴელმწიფდა და იწოდა კუალად შანადირ. მერმე მიჴდა ისპაჰანს წარსლვად ყან-დაარს. ხოლო ქართლს დაეტევა ალიმირზა ძე იმანყულისა, ვითარ-ცა ვალი და სეფი ხან.

ამან სეფი ხან მოიტყუვნა გორს ქართველნი, შეიპყრა თეიმუ-რაზ, გივი ამილახორი, ბარძიმ ერისთავი და სხვანი, ხოლ შანშე ივლტოდა და წარუვლინა ისპაანს შანადირს. ხოლო მან არა რაჲ ავ-ნო და წარიყვანა ყანდარს. შემდგომად მისცა ხანჯალხანს ხანობა ქართლისა, წარმოატანნა ქართველნი და გამოუტევა. ხოლო თჳთ აღიღო ყანდაარი და წარვიდა ინდოეთს. მაშინ მოსრულმან ხანჯალ-ხან დასდვა ხარკი და ჭირი დიდი, რამეთუ ხეთა, ვენახთა, საჴნავთა და პირუტყუთა, ამათ ყოველთაგან იღებდნენ, და ამით დაიპყრნეს სპანი და უწოდეს ნოქარი; და მთავართაცა საჴელოთივე მათითა

1-27 სტრ., 516
პატივ-სცეს და მიუხუნეს მამულნი და მსახურებდენ ტფილისის ხან-

სა, რამეთუ ამისივე განსაგო იყო კახეთი, ბორჩალუ და ყაზახი.

კუალად მოჰკრეფდიან ტყუეთა და წარუვლენდიან შანადირსა. ხოლო შანშე ჟამად ერჩდის და ჟამად უკუდგის. ხოლო მეფე ვახტანგ დადგა აშტარხანს და წარავლინა ბაქარ ძე თჳსი ქართველითურთ მოსკოვს და მოიყვანა დედოფალიცა მუნ და იყო განსუენებით წელი ერთი. შემდგომად გარდაიცვალა ქ~სა ჩ~ღლზ 1737, ქარ. უ~კე, მარტს კ~ვ და დაფლეს დიდითა პატივითა და ჴელმწიფურითა. შემდგომად მისა წარვიდა დედოფალიცა მოსკოვს და დაშთენ იგინიცა მუნ.

ხოლო მოკუდა ბესარიონ კათალიკოზი. შემდგომად მოვიდა კათალიკოზი დომენტი სტამბოლიდამ იმერეთს, მოიყვანეს იგივე კათალიკოზად. მოსრულს მიეგება ხანჯალ ხან და ყოველნი წარჩინებულნი და ქალაქი და სცეს პატივი დიდი.

ხოლო მოკუდა რა ხანჯალხან, მისცეს ალავერდის ხანობა ძესა იესესასა ნაშობსა ხარჭისასა; და, ვინაჲთგან არა ერჩდათ შანშე, მოადგნენ ყიზილბაშნი, ვერ დაუდგა შანშე დ აივლტოდა დედაწულით იმერეთს და მუნიდამ რუსეთს. მისრული მოსკოვს არღარა შეიწყნარა ჴელმწიფემან და მოვიდა ქართლსავე და დაიპყრნა მამულნი თჳსნი, მოიყვანნა ლეკნი და აოჴრებდა ქუეყანათა, არამედ ლტოლვილსა შანშესა წაგვარეს იესეს, ძმასა მისსა ცოლი არაგჳს ერისთავთა და მისცეს ყიზილბაშთა.

ამისთჳს შეიკრიბნა შანშემ ლეკნი და მოადგა ანანურს, შემუსრა, აღიღო იგი და მოსწყჳდნა არაგჳს ერისთავნი სრულიად, რამეთუ არავინ განერა. იხილე, რამეთუ გიორგი ერისთავის ცოლი მარიღის ქვით კიდული წარიქციეს. გარნა არა დასცხრა შანშე და ატყუევებდა ქართლს ლეკით. ესე ლეკნი მოვიდნენ ტაშირს, სცნა სეფი ხან ყაზახს

მდგომმან, რომელი პირველ იჯდა ტფილისის ხანად და შესმენითა ქართველთათა რისხჳთ წარიყვანა შანადირ. ესე მოვიდა ჭ~ კაცითა დბანისს, წარიძღუანა ქაიხოსრო სპასპეტი და მოუსწრა ტაშირიდამ გარდმომავალთა ლეკთა, ეკუეთა და მოსწყჳდნა, რამეთუ მცირედნი ივლტოდნენ. კუალად გარდაუსწრა კახეთს და ქართლიდამ გარდმოსულნი მოსწყჳდნა მრავალნი. არამედ ყიზილბაშთაცა მრავალჯერ მოსწყჳდნეს ლეკნი, გარნა აქუნდათ სადგურად კსანი და მარადის იყო მათგან რებევა და ტყუევნა, რამეთუ არღარაცა იყო მოსახლე, ვინაჲთგან შეშინდნენ ფრიად ლეკთაგან, რამეთუ ხუთმან ლეკმან ჩხიკვთას დაჰყვეს ზამთარი ტყჳთ დედაკაცებით, მიდგომილთა ლეკ-

თაგან შობეს და ზაფხულს აჰკიდეს მათვე შვილნი მათნი და წარვიდ-
ნენ (ამისთჳს მიუშუა ღმერთმანცა, ვინაჲთგან იყო უშიშრობა ღუ-
თისა).

შემდგომად მოიქცა რა შანადირ ინდოეთიდან მოვიდა და მო-
ადგა ლეკეთს, წარმოავლინა სპანი დამოადგნენ შანშეს; გამოიყვა-
ნეს ამათ აწერის ხევის ციხიდამ ცოლშვილი შანშესი და ტყვენი
მრავალნი. ხოლო შანშე ივლტოდა ახალციხეს და ალიყულიხან,
რომელი იყო თავ სპათა და ხანი ტფილისისა, შეჴდა მაღრან-დუა-
ლეთს, მოსრტყუევნა იგი და მთანი შანშესანი. არამედ ჟამურის ოვ-
სთა აოტეს ხანი და მოსწყჴდნეს სპანი მისნი. ხოლო თხოვნითა შა-
ნდირისათა მოსცეს ოსმალთა შანშე მას. არამედ შანადირ ინება
განტევება მისი თავმდებობითა ქართველთათა.გა-
რნა ქართველთა არა ინებეს, და წარგზავნა ხვარასანს. არამედ მოგზაური შანშე გა-
მოიპარა, შეიპყრეს კუალად და აღმოჴადნეს თუალნი ძმითურთ.

ხოლო ქართველნი იყვნენ წინაშე შანადირისა მარადის დარუ-

ბანდს. მაშინ მოვიდა კათალიკოზიცა დომენტი და პატივით შეიწყ-
ნარა და წარმოავლინა ქართლსავე კათალიკოზად.

არამედ ქართლს იყო ჭირი დიდი საზრდელთათჳს, ვინაჲთგან
თთუესა ერთსა მიაღებინა სამასი ათასი კოდი პური და ქერი, რამე-
თუ ჰყვათ წარჩინებულთა ცოლშვილნი ტფილისს და ვერვინ იკად-
რებდა ურჩებად. ხოლო ქართველთა შეასმინეს ალიყულიხან და
მოგზავნა შაჰნადირ ყოჯახან ტფილისს. მაშინ მოსრნეს ყაფლანიან-
თა ვაჭარნი ქარავნისა ოსმალთა, შესჩივლეს შაჰნადირს, შეიპყრა
ელიზბარ და მოაშთო იგი; ხოლო ქაიხოსროს მიუღო ფ˜ თუმანი და
მისცა მათ ვაჭართა. კუალად დაჰკუთეა ბარათიანთა ყურნი საზრ-
დელთათჳს.

შემდგომად მისცა გივს ამილახორს კსანი და ვექილობა ქართ-
ლისა, ბეჟანს ერისთოობა არაგჳსა და უბრძანა მოსლვა ლეკთა ზედა
კახეთის მთიდამ. ხოლო მოვიდნენ რა ტფილისს სრულიად ქართველ-
ნი წარჩინებულნი ამ ჟამსა მიიცვალა კათალიკოზი დომენტი ქ˜სა
ჩ˜ღმა, ქარ. უ˜კთ და დაფლეს მცხეთას, არამედ დასუა თჳთ მანვე
კათალიკოზად ნიკოლაოზ ხერხეულიძე.

[ესე იყო უმეცარი და საეროთა უფრო განმწყობი, ვიდრე სამ-
ღუდელოთა; და მოყურობდა თათართა, ვიდრე ქრისტეანეთა. ამან
ომფორი ოქროქსოვილი, სჳმონ ბატონისშვილის ცოლის ანნას მოგ-

ზავნილი მცხეთისა, დასჭრა და ბეჟან ერისთჳს ცოლსა ქათიბად შე-
აკერვინა და მიუბოძა და საქადაგო ხატი მურასად მოოჭვილი შე-
მუსრა, გჳრგჳნი საპატრიახო ლევან დადიანის შემოწირული და
ომფორი სხჳლ-მარგალიტთულით შემკული და სხუანი ხატნი და
ჯუარნი და სამსახურებელნი კათოლიკე ეკლესიისა მცხეთისა შემუს-
რნა და განყიდნა. არა ჯეროვნად იქცეოდა სამღვდელოთა წესითა.
თუმცა ღმერთმან მიუშუა და ქმნა ბოროტი უსჯულომან დასაბამითგან არა-
სმენილმან, უკეთურმან მაჰმადიან ყოფილმან თაზის-
შვილმან ტარიელ მახჳლითა მოკლა; ვინაჲთგან საქართველოს პირ-
ველი მღუდელმთავარი იყო, ვერ შეეხებოდა ჴელი მოსიკუდიდ.]

1-26 სტრ., 519
ხოლო გივი ამილახორი ემზახლა ბეჟან ერისთავს და დაიპყრა
კსანი დამორჩილებდა ბეჟან გივს. არამედ ვინაჲთგან ერწმუნა შაჰ-
ნადირს მისთჳს ქართლი, მოითხოვნა ქურივნი ქალნი, ქალწულნი
ქალნი და ვაჟნი სამას-სამასნი, ხუთასი კომლი კაცი და ოცი ათასი
ხარვარი პური. ამისთჳს ეზრახა გივი ქართველთა „არა ძალგჳს
ყოფად და განვდგეთ ვინაჲთგან ვერა ნებისაებრ დაიპყრნა შაჰნადირ
ლეკნი“, ხოლო მათ მისცე პირი მტკიცე. ამისთჳს განაზრახა ხანი
წარსლვად ლეკსა ზედა და განვიდაცა ხანი ყიზილბაშ-ქართველითა.
მაშინ გივი გამოივლტო ცოლშვილით ტფილისიდამ სიმაგრეთა იმე-
დებული და მოვიდა კსნის ჴევსა შინა. არამედ ქართველნი არღა-
რავინ გამოჰყვნენ, არცა უკუდგნენ. ესე რა ესმა ხანსა, მოიქცა ტფი-
ლისსავე და მოთხოვნილისათჳს მთავართა შეამჭირვებდა და მრავალ-
თა გუემა და პყრობილება შეამთხვივა და მოუჴდა გივს, ვერ შემუს-
რა, მოაოჴრნა გარემონი და მოიქცა ტფილისსავე.

ჟამსა მას წარმოევლინა იმპერატრიცას ელისაბედს პეტროვნას
ძე ვახტანგისა ბაქარ აშტრახანს. ესე ჰგონა გივმან მისასლველად
ქართლს მეფედ, წარუვლინა ბარძიმ ბიძის ძე თჳსი და მოუწოდა ბა-
ქარს, რათა მოჳდეს და დაიპყრას ქართლი, ხოლო შაჰნადირ ბრძო-
და ლეკთა ერთ წელ, შეამჭირვა და შეაძრწუნა ფრიად, რამეთუ
ჰყიდდენ შვილთა თჳსთა და სჭამდნენ ჴორცსა ღორისასა. არამედ
იყო სიყმილი ძლიერი სპათაცა შორის შაჰნადირისათა, რამეთუ
ოთხი კოდი პური სამ თუმნად იყიდოდა. ამისთჳს უკუნ იქცა შაჰნა-
დირ და წარვიდა სპარსეთად.

ხოლო ბაქარს მიუწოდეს კუალად პეტრებურხსავე და მივიდა
მუნ. გარნა გივი არა დასცხრა ბრძოდა ხანი ტფილისისა და აოჴ-/რებდენ ქუეყანათა
იგიცა და ესენიცა. ამისთჳს მოიყვანა გივმანცა
ლეკნი ნიჯადად თჳსად და მოსწყჳდნა რაოდენნიმე ყიზილბაშთა

1-23 სტრ., 520
სპანი. არამედ აოჴრებდა უმეტეს ქუეყანათა. ხოლო შემდგომად შე-
ჩენითა კახთათა მოიკლეს ბეჟან ერისთავი ყმათავე მისთა და მიერ-
თუნენ თეიმურაზს და წარუხუნეს მთიულთ ქონება გივს ამილა-
ხორს და გამოაძეს ცოლშვილნი მისნი ჴადიდამ. გარნა გივმან კუა-
ლად განამაგრნა კსნის ციხე, ქცხჳლოსისა, კეხვისა და სურამისა და
წარჳდა ქართლს და კუალადცა არა დასცხრა გივი ოჴრებად ქუეყა-
ნათა ლეკითა.

ესე ყოველნი ამცნო თეიმურაზ შაჰმადირს და შაჰმადირ მოს-
ცა არაგჳს საერისთო თეიმურაზ. ესე მოვიდა და დადგა ტინს და
ბრძოდა კსანს. მაშინ ლეკეთით ლყოლჳლი ყეენის ძედ წდებული
წარვიდოდა ოსმალთა შინა და ეტიკმან მისმან შეაცთუნა და მოიყ-
ვანა თეიმურაზისა თანა. ხოლო თეიმურაზ შეიპყრა იგი და წარუძ-
ღუანა ძე თჳსი ერეკლე და წარავლინა წინაშე შაჰნადირისა, რამეთუ
მაშინ ჰბრძოდა ოსმალთა მუსულს. ამისთჳს მადლიერ იქმნა შაჰნა-
დირ, მოსცა ნიჭი დიდი და წარმოუვლინა ერეკლე ნიჭითა. არა-
მედ ბიძაშვილმან გივისმან რევაზ მისცნა ციხენი კსნისანი თეიმუ-
რაზს და თჳთ აზნაურითა და გლეხითა შთავიდა კახეთს, რამეთუ
მრავალნი წარჩინებულნი აზნაურნი და გლეხნი დაეშენებოდნენ
ქართველნი კახეთს, ვინაჲთგან მან უმცირესი ჭირი იყო თათარ-
თაგნ.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ღმდ 1744, ქარ. უ˜ლბ, წარმოევლინა ხონთქარს
განძი დიდი ლეკთათჳს და მოვიდა უსუფ ახალციხის ფაშა ი˜ე ჩ˜
სპითა ქართლს, რათა წარუვლინოს ლეკთა იგი; ამას მიერთო ამი-

1-21 სტრ., 521
ლახვარი გივიცა. ესმა ესე ხანსა ტფილისისასა, შეიკრიბა ყიზილბა-
შით და მოუწოდა ქართველთა და თეიმურაზს; მერმე შეკრებულნი
ყოველნი მოვიდნენ გორს, ხოლო ურუმნი მოჳდნენ თედო წმიდას.
მიეგება ხანი თეიმურაზით და ქართველით, იძლივნენ ოსმალთაგან
და შემოვიდნენ გორს. მოჳდნენ ურუმნი და მოადგნენ გარს და წარ-
გზავნეს სპითა დიდითა საგანძური იგი ლეკთა შინა.

ესე აცნობა ხანმან თეიმურაზის ძეს ერეკლეს: ესე შეკრბა კახი-
თა და ავღნით და შეუკრა არაგჳს პირის ჭალა მოსრულთა ურუმთა.
ამათ უწყეს ცემა თოფთა, აოტნეს ოსმალნი და მოსრნეს მრავალ-
ნი. გარნა წრიღეს საგანძური იგი და მივიდნენ გორს ლტოლვილ-
ნი. ამისი მხილველი უსუფ ფაშა აღიყარა და წარვიდა, ვითარცა მე-
ოტი. ხოლო ხანი და თეიმურაზ გამოვიდნენ გორიდამ და აღიღეს
ალაფი ოსმალთა მრავალი. შემდგომად მოიქცნენ ესენი ტფილისს

და აცნობეს ყოველი ყოფილი შაჰნადირს. ესე განიხარა ფრიად შაჰ-
ნადირ და მოსცა თეიმურაზს ქართლი, ხოლო ერეკლე, ძესა მის-
სა_ კახეთი. მერმე მოვიდა თეიმურაზ ტფილისს ქ˜სა ჩ˜ღმდ 1744, ქარ.
უ ˜ლბ.

ამის შემდეგ (ქ˜სა ჩ˜ღმდ ქართ. უ˜ლბ) უმატებს

ამასვე ქორონიკონსა 1744 წ. აგვისტოს 11-ს მოკუდა კათალიკოსი ნიკოლაო
ხერხეულიძე ნახჳლითა უღმრთოსა თაზიშვილის ტარიელისაგან
და დასუეს კათალიკოსად ანტონი ძე მეფისა იესესი რომელი იყო პირველ ქუთა-
თელ მიტროპოლიტად, და ბიძამან ამან თეიმურაზ და ძმამან ანტონისმან ერეკლე
და ძემან ამის მეფის თეიმურაზი-

1-18 სტრ., 522
სამან მეფემან კახეთისამან ერეკლემ ორთავე მისცეს კათალიკოსობა და
ნება ჰსცეს შაჰნადირმანცა. ხოლო წელსა ქ˜ეს 1745 ქართ. 433 იცხო მეფედ
ცხებულით თეიმურაზმან ოქტომბერს 1 მცხეთას რომელსაცა ჰსცხო და აკურთხა
გჳრგჳნოსნებით დისწულ-
მან თჳსმან კათალიკოს- არხიეპისკოპოსმან მეფის
ძემ ანტონი დავითიან -ბაგრატიონმან თანჴმა ყოფითა
ქართლის და კახეთის ეპისკოპოს- წარჩინებულთათა:

ამის შემდეგ მოყვანილია R ში ის შენიშვნა რომელიც გვაცნობებს რომ
ისტორია ქართლისა ვახტანგს ეკეთებინა და ვახუშტის დაესრულებინა:

ხოლო ესე ქართლის ცხოვრება პირველივე მეფეს ვახტანგს თჳთ
ეკეთებინა ქართლს მყოფობასა და მერმე რუსეთს ძველთა გუჯრებთა და ცხოვ-
რებათა და მოხუცებულ მახსოვარ- მეცნიერთა საქართველოს კაცთაგან დიდის
გამოკვლევით და გამოძიებით გულსმოდგინედ ეკეთებინა, რომ საქართ-
ველოს ცხოვრება ნოეს შვილის იეფეთის ქართლოსიდამ აქამომდე რა როგორ
ყოფილა, ან მეფენი ვინა მსხდარან და ან რა ჟამები და დრონი ყოფილან.

ბატონიშვილის ვახუშტის თანხლებით ეკეთებინა და აღარ დასცალე-
ბოდა თანამდებობისაგან სიკვდილისა. მერმე ასტრახანს გარდაცვალებუ-
ლიყო, ბატონიშვილს ვახუშტის შეესრულებინა და არს აქ მეფის ირაკლისამდე,
და ამას იქით, რაც იქმნას ქვეყანასა ამას საქართველოსა შინა, მატიანეთა მწე-
რალთ აღწერონ.

1-23 სტრ., 523
აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა,
კუალად თუშეთისა და დიდოეთისა

სახელთათჳს.

ხოლო ქუეყნისა ამის სახელნი არიან სამნი: რამეთუ ჰერეთი ეწოდა თარგამოზის ძის ჰეროსის გამო, რომელსა ძმათა თჳსთა შორის წილად ხუდა ქუეყანასა ესე და დაიპყრა საზღვარი თჳსი, ვითარცა აღვწერეთ. ხოლო კახეთი და კუხეთი არიან წილნი ქართლოსისა, რამეთუ, შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა, განუყო დედამან მათმან ძეთა თჳსთა ქართლოსის წილი ქუეყანა. და მისცა კახოსს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, თურდო-შტორის ჴევი, ვიდრე კავკასამდე; და სავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკუეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგჳ, და ჩდილოთ მთა კავკასი. და ამათ-შორისი ქუეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა, და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ჴევსურსა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი), თიანეთს, ერწოს, ირტოს-ჴევს, პანკისის ჴეობას, საყდრიონს და ალონს.

ხოლო კუხოსს მისცა საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა: სამჴრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწრივ გულგულადმდე; დასავლით მტკუარი და არაგჳ; ჩდილოთ იგივე მთა კახეთისა. და ამათ-შორისს ქუეყანას ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმის ჴევს (რომელსა ეწოდებოდა ხერკი ამის გამო, ოდეს ლტოლვილნი

1-24 სტრ., 524
ნაბუქოდონოსორისაგან მოსრულნი ჰურიანი დასხნა აქა მცხეთელ მამასახლისმან და ყვნა მეხარკედ), კუალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანის ჴევი, ყარაღაჯი და ნაგები და ყარაია. ხოლო ხოსროვანთ გარდავლინებისა შემდგომად, განდგა რა გრიგოლი მთავარი, ამან მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად. და ამათ მთავრობასა შინა ჯუარს ქუეითს, სამჴრის კერძს, ეწოდა გარდაბანად, არამედ შემდგომად კჳრიკემ, დაიპყრა რა ჰერეთიცა, იწოდა კახთ მეფედ, გარნა ჰერეთს აქუნდა თჳსივე სახელი მოუსპელი.

ხოლო შემდგომად განდგომილებისა, ქ˜სა ჩუჲვ, ქარ. რ˜ნდ, მოისპო სახელი ჰერეთისაცა, და იწოდნენ საკუთრად კახთ მეფედ; და ჰერეთს უწოდებენ შემდგომად აწამდე განყოფით ესრეთ: გაღმა მჴარს, ელისენსა, შიგნით-კახეთს, ქისიყს და გარეთს-კახეთს. და არს სრულიად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამჴრით დიდის ალაზნისა და პატარას ალაზნის შესართავი და მუნიდამ ხაზი კავკასამდენ გავლილი და კუალად ხაზი მტკურამდე მისული; აღმოსავლით

მთა კავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორისი; დასავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვსწერეთ, და მწარე წყალს ქუეით, მტკუარი, და ჩდილოთ მთა კავკასივე.

და მდებარებს ქუეყანა ესე სიგრძით ჩდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა, და არს ქართლისა, რანისა, მოვაკანი-სა და ლეკეთს შუა მდებარე. ხოლო ქუეყნისა ამის საშუალს არს მთა, რომელი გამოჴდების ფშავ-ღლიღვისსა-შორისის კავკასიდამ და გამოვლის მახჳლის ჴევსა და ფშავს შორის, კუალად ერწო-თია-

ნეთსა და ირტო-საყდრიონს შორის, და ჟალეთის ბოლომდე მდება-რებს ჩდილოდამ სამჴრით, მერმე წარმოვალს და მივალს მაღარო-ხორნაბუჯამდე, აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა მდებარებს და უძეს აღმოსავლით შიგნით-კახეთი, სამჴრით ქისიყი, დასავლით გარეთ-კახეთი და ერწო-თიანეთი. და ეწოდების მთასა ამას კავკასის კერ-ძოსაკენ მთა კახეთისა, მერმე გომბორი, შუამთა და ცივი. არამედ მთა კუხეთისა ანუ აწ ზედაძნისა უმეტს საჩინოდ შემოერთდების მთასა ამას, და მთა ზედაძნისა მობმული არს მთისა სარკინეთისა, რომელსა კუერნაქადცა უწოდებენ თჳნიერ განკუეთისა არაგჳსაგან, ამისთჳს უწოდებენ გომბორის მთასაცა ქისიყამდე კუერნაქად.

არამედ მთასა ამას და კავკასს შორისი ქუეყანა არს ტყიანი შა-ქამდე და მცირე-ველოვანი, და ამისი დასავლით კერძი, საგარეჯოს ქუეით უტყეო, მცირეთაგან კიდე, ჩალიან-ბალახიანი, ლერწმოვანი, უმდინარო. თჳნიერ იორის მდინარისა, და მცირე-წყაროიანი. ხო-ლო ჰავითა არიან მშუენნი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ, მცირე-თოვლიანი, უყინულო, უყივნო, ვინაჲთგან ვე-როდეს განჰყინავს მდინარეთა, და არცა დაადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო. არამედ ალაზნის და იორის კიდენი და მისნი ქუე-მოთნი ფრიად ხაშმიანნი, ცხელნი და გაუძლისნი.

ნაყოფთათჳს და კაცთა

ხოლო ქუეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვ-ლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყჳთა, ნადირითა, ფრინვლითა და თევზითა, არამედ უფროს ჰერეთი, და უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ თჳნიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმონისა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვსწერე-ნით, აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით, და ხურმა და წაბლი იმერეთი-

საგანცა აქ უმჯობესი არს.გარნა არა სთესვენ ღომს, და არცა არს კირჩხიბი აქა. ხოლო ხილნი ვიეთნი აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისასაცა, და თაფლი იმერეთისა უმჯობეს და უმრაბლეს აქაურთა. ხოლო კაცნი და ქალნი შუენიერნი, ჰაეროვანნი და მგზავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა, ჩუეულებით და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა, და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი.

ქუეყანა- წყლისათჳს

ხოლო არს ქუეყანასა ამას შინა უდიდესნი მდინარენი ალაზანი და მეორე მცირე ალაზანი ანუ იორი, რომელთა მოიგეს სახელნი ალონის გამო, არამედ იორი გაორებისათვს, ვინაჲთგან აქუთ სახელი ერთი-„იორი ამ მდინარემ“. ხოლო გამოსდის ალაზანი თუშ-ფშავსა და ძურძუკს შორის კავკასსა, და დის ჩდილო-დასავლეთიდამ აღმოსავლეთ-სამჴრეთ შუა. და მიერთვის მტკუარს განჯის ბოლოს. აქ მტკურისა და ალაზნის შესართავს შორის არს მოვაკანი რომელი აღაშენა მოვაკანოს, და ამის გამო ეწოდა წილსა მისსა მოვაკანი, ვითარცა აღაშენა ბარდა ბარდოს და უწოდა სახელითა თჳსითა წილსა თჳსსა. ხოლო მტკურისა და ალაზნის შესართავს ზეით, ჩდილოთკენ, მოერთვის ალაზანს მცირე-ალაზანი ანუ იორი, და ამათ შესართავს შორის არს ჰერეთი, რომელი აღაშე-

ნა ჰეროს, ქალაქი თვსისა სახელისა, და ამის გამო ისახელა ქუეყანაცა ესე, და აწ უწოდებენ ამას ადგილსა ხორანთას. და იყო ქალაქი და ციხე ყრუდმდე და ბერქამდე, შემდგომად მოოჴრდა და აწცა ოჴერ არს.

იორის მდინარისათჳს და მის ქუეყანათა

ხოლო იორი გამოსდის ფშავისა და თიანეთის შორის მთას და დის ჩდილოდამ სამჴრით უჯარმამდე, მერმე ჩდილოთ-დასავლეთიდამ აღმოსავალ-სამჴრით შუა, გარნა უფროს აღმოსავლით. არამედ იორს და მტკუარს შუა ასტყდების მცირე მთა ხორანთიდამვე, რომელსა ეწოდების გძელ ტბა და გარეჯა. ეს მთა აწ ჰყოფს ქართლისა და კახეთს: ხორაუგიდამ მწარე-წყლამდე და მტკუარამდე კახეთისა, ხოლო მწარე-წყალს იქით ნახევარი, აღმოსავლეთის კერძი, კახეთისა, და ნახევარი, დასავლეთის კერძი, ქართლისა. ეს გარესჯის მთა მიადგების სათის-ჭალას კუხეთის მთას და მერეთ,

ჩადივრის გორაებით, მიადგების ლილოს, და ლილოს მთა მიადგებისს ეგრეთვე კუხეთის მთას. მდებარებს მთა ესე, ვითარცა მდინარე იორისა, და არს უტყეო, თჳნიერ ძეძუთა, და თუთუბოთა, და ეგეთთა სხუათა მრავალთა. არა სდის მდინარე და იშჳთ წყარო-ტბანი, არამედ თუ სადამე არს, მლაშენი და მწარენი. გარნა არს ბალახიანი ზამთარც, და გამოიზრდებიან სიმრავლე არვეთა, მროწლეთა, ჯოგთა, რემათა იმიერ და ამიერ. გარნა არს ზაფხულ ცხელი და გაუძლები.

1-22 სტრ., 528
ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინაჲთგან აღმოვლენან რუნი, და ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი და დასდევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი, და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს ჴოჴობნი. გარნა იყო ალაზნის შესართავადმდე და ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოოჴრდა გამოსლვასა ბერქასსა და შემდგომად ლანგ თემურისაგან, რომელნი ჩანან დღესაც. შემდგომად დასხნეს ელნი ამათ ადგილთა აწინდელთა მეპატრონეთა, ვითარცა ბატონმან თეიმურაზ და ხანებმან, და სთესდენ ესენი ყოველსავე; და ესენიცა წარიყვანა შანადირ და დასხნა ხორასანს. ხოლო იორს არარაჲ ვითარი მდინარე ერთვის ანუ ჴევი საგარეჯომდე, და არს მუნამდე ალაზნიდამ ველი. და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალახიანი, მცირე-თოვლიანი, ნადირ-ფრინვლიანი, ჰავითა მშუენი, ხოლო ზაფხულის ცხელი, ხაშმიანი, გაუძლისი. იორის პირს ყოფილა სასახლე, დამპალას, აწინდელთა კახთა მეპატრონეთა, საზამთროდ ნადირობისათჳს, არჩილ ა˜ მეფისამდე, კეთილს ადგილს, შუენიერს, წყაროიანსა.

გარეთ- კახეთისათჳს

ხოლო დამპალას აღმოსავლით-ჩრდილოთ არს, ჰერეთის მთის ძირს, მანავი, სადაც აღაშენა სასახლე იმამ-ყულიხან. მთის ძირად არს ძუელადი ციხე და აწ შემუსრვილი. არამედ ღჳნო მანავისა კეთილი. მანავს ქუეით ქისიყამდე, ცივგომბორის მთის კალთათა,

1-17 სტრ., 529
არიან შენობა-დაბნები ვენახ-ხილიანი.უძეს იორისკენ საჴვნელნი, ველნი და უკან მთა ტყვიანი, უწყლო. მოსახლენი არიან მთავარნი, აზნაურნი, გლეხნი. ადგილი ნაყოფიერებით აღმკული, გარნა წყლისათჳს შემჭირნობს, თჳნიერ წყაროთა, დაბნებთა შინა უსაკმარობით, ვინაჲთგან არა აქუს მთას მდინარე, ვერარაჲთ რწყვენ ველთა. არამედ არს აქა პირუტყუთა სიმრავლე: ცხოვარნი, ცხენნი, ძრო-

ხა, კამბეჩი, ვირი. ხოლო მანავის დასავლით არს ჴევი გიორგი წმიდისა; გამოსდის შუამთას და დის ჩდილოდამ სამჴრით. ამან მოიგო სახელი, ოდეს შესწირეს გარეჯის უდაბნოს დაბნები ესე, უწოდეს საგარეჯო. ამის დასავლით ერთვის იორს ნინოწმიდის ჴევი, გამოდის მასვე მთას და მოდის ეგრეთვე. ამ ჴევზედ არს ნინოწმიდა, ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, რომელი აღაშენა გორგასალ და დასუა ეპისკოპოზი, და ზის აწამდე, მწყემსი ამ ქუეყნისა ქისიყადმდე.

ამის სამჴრით და იორის მდინარისა არს გარეჯის მთასა შინა, ნათლისმცემელსა და დავით გარეჯას შუა, მონასტერი დოდო, რომელი ქმნა მამამან წმიდამან დოდომ, რომელიცა იყო ნა-

1-24 სტრ., 530
თესავით და ქუეყნით კახი, მოწაფე დავით გარეჯელისა, და დაფლულია იგი მუნვე.
და მონასტერი ესე არს, ვითარცა სხუა გარეჯის მონასტერნი აღვსწერეთ. უზის წინამძღუარი.

ხოლო კუალად ნინოწმიდას ზეით ერთვის იორს სამების ჴევი, ეგრეთვე გამომდინარე და მომდინარე, ვითარცა წინათნი ჴევნი. და ამის შესართავზედ, ხაშმს, ყვეს მონასტერი და ციხე ნათლისმცემლის მონაზონთა. ამას ზეით, ამ ჴევზედ, არს ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, სამებისა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამას ზეითის ქუეყანისა ერწოდმდე (და იტყჳს გარეჯის უდაბნოს თჳსად.) ესევე ჴევი არს საზღვარი ჰერეთისჯა და კახეთისა. ამ ჴევზედ არს ციხე ვერენისა, მაგარი, და გარდავალს გზა შიგნით-კახეთს შუამთაზედ. კუალად ამ ჴევს ზეით არს, იორსა ზედა, უჯარმა, ორთა მთათა შორის კახეთისა და კუხეთისასა, რომელი აღაშენა კ˜გ მეფემან საურმაგ, ციხე-ქალაქი, და კუალად განაახლა გორგასალ და ყო სიმაგრე და ქალაქი დიდი. არამედ აწ არს დაბა, რამეთუ შემდგომად განყოფისა სამეფოთასა მოოჯრდა.

ერწოსათჳს

უჯარმას ზეით, ჩდილოთ, და იორის აღმოსავლით არს ბოჭორმა ციხე. და ბოჭორმიდამ უჯარმამდე არს ჴეობა ფრიად მაგარი, მთოვანი, კლდოვანი, ძუელად შენობიან-ეკლესიანი. ხოლო ბოჭორმა აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან და უწოდა დედაციხე. ესე არს მაღალს კლდესა ზედა. გამოდის ციხესა შინა წყარო. არს შენობა დიდი და მაგარი (ესე არს, რომელი წილად ხუდა კახოსს და შენებასა ჩელეთისასა მისცა კუხოსს, და შეეწია კუხოს შენებასა

1-26 სტრ., 531
ჩილეთისასა კახოსს).შემდგომად უწოდეს ვეჭორმა, ესე იგი არს: „ვეჭ, ორმა ძმამ ცილება ყვეს ამ ციხესა ზედა“. მერმე უწოდეს ბოჭორმა.

ხოლო ბოჭორმას ზეით ერთვის იორს დასავლეთიდამ ერწოს წყალი. გამოსდის ხერკისა და ერწო-თიანეთის შუას მთას და მოდის აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა. ამ წყალზედ არს მონასტერი მცირე, შუენიერი, შუენიერს ადგილს და აწ ხუცის ამარ. და არს ჴეობა ესე იმიერ და ამიერ შენობა-დაბნებიანი. კუალად ამავ წყლის შესართავს ზეით, იორის პირზედ, არს, აღმოსავლით კერძ, ჟალეთი, შენობა დიდი და შემუსრვილი. ვგონებთ ამას ჩელეთად, რომელი აღაშენა კახოს ქალაქი, რომელსა პირველ ბერ ერქუა. შემდგომად გორგასალ აღაშენა ეკლესია კეთილშუენიერი, გუმბათიანი და დასუა ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ჴევსურისა და ხერკისა. ხოლო ჟალეთს ზეთი მოვიწროვდების იორი ხერკის მთიდამ წარმოსულის მცირეს მთით, და ამას ქუეით ბოჭორმამდე არს ერწო და მზღვრის: აღმოსავლით მთა კახეთისა, საყდრიონსა და მას შორისი; სამჴრით მთა კუხეთისა, იალონიდა(მ) წამოსული უჯარმამდე; ჩდილოთ მთა მცირე, თიანეთსა და მას შორისი, ხერკის მთიდამ წარმოსული; დასავლით მთა ხერკისა.

თიანეთისათჳს

ხოლო კუალად ჟალეთს ზეით იორს მოერთვის თიანეთის წყალი, რომელი გამოზდის თუალივს ქუეით ხერკის მთას და აწ თიანეთისას, და მოდის აღმოსავლეთს-სამჴრეთ შუა, და მოერთვის იორს დასავლეთიდამ. ხოლო ამ წყლის სათავისა და საშიშის თუალივის იქით, თეთრის არაგჳს მჭურეტად არს ხარჭაშოს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი ზის ეპისკოპოზი, მწემსსი ერწო-თია-

1-24 სტრ., 532
ნეთისა, ფშავ-ჴევსურისა და თუეშითა, რამეთუ შემუსრვასა ჩელეთისასა მოსცვალეს აქა (ანუ ესე არს ჩელეთი). კუალად ამ თიანეთის წყლის შესართავს ზეით, იორზედვე, არს მთაში ციხე ოჩანისა, მაგარი და შეუალი, და შენი არს ორთა მდინარეთა შორის. ხოლო ეწოდების თიანეთი ვიდრე ერწოს საზღვრადმდე, და არს შენობიანი და დაბნებიანი. და მზღვრის ამას: აღმოსავლით ამას და კვეტერა-პანკისს შორისი მთა; სამჴრით ერწოს საზღვარი, და ნოკორნისა და ბოკოწნის შორისი გორა, ხერკის მთიდამ არაგუამდე მისული. არამედ ამას ზეითი ჟინვანამდე იყო ხერკისა ძუელად, ხო-

ლო აწ თიანეთისა; ჩდილოთ ფშავსა და ამას შორისი მთა; დასავ-
ლით შავი და თეთრი არაგჳ. გარნა სახელი ეწოდა თიანეთს, ვი-
ნაჲთგან არს ძუელივე, ვგონებთ, ძეთაგან კახოსისათა.

არამედ არიან ორნივე მთანი უვენახონი, უხილონი, გარნა ნა-
ყოფიერნი, პირუტყჳანი, ნადირიანი, ბალახოვან-ყუავილოვანი, წყა-
როიანი, ვითარცა თრიალეთი, თჳნიერ სიმცირისა. ხოლო ამ იორის
მდინარესა შინა, უჯარმას ზეით, არს უმეტეს კალმახი და მრავალ-
ნი, და მას ქუეით სხუა თევზნიცა და არა ეგოდენ მრავალი, მდინა-
რის სიმცირისათჳს. ხოლო კუალად ხარჭაშოს, საშიშს დასავლით,
დის თეთრის არაგჳს მდინარე. ესე გამოსდის ძურძუკს-ფშავს შორისს
კავკასსა და მოდის ჩდილოდამ სამჴრით, და მიერთვის ჟინვანს აღ-
მოსავლიდამ შავს არაგუს.

ჴევსურეთისათჳს

ამ ჟინვანს ზეით და ხარჭაშოს ზეით მოერთვის თეთრს არაგუს
ჴევსურეთის წყალი. გამოსდის ესე ძურძუკისა და ამას შო-
რისს მთას კავკასს, მოდის ჩდილოდამ სამჴრით. ამას მოერთვის

ჴევნი იმიერ და ამიერ.და განჰყოფეს ჴევსურეთს: აღმოსავლით კავ-
კასიდამ ჩამოსული მთა სამჴრეთად, ამასა და ფშავს შორისი; სამ-
ჴრით ფშავის საზღვარი; ჩდილოთ კავკასი, ამასა და ძურძუკს შო-
რისი; დასავლით კავკასიიდამ ჩამოსული სამჴრეთად მთა, ამასა და
გუდამაყარს შორისი.

ფშავისათჳს

ხოლო ხევსურეთის აღმოსავლის მთას იქით არს ფშავი,
რომელსა შუაში უდის თეთრი არაგჳ, და მოერთვიან ჴევნი
აღმოსავლით დასავლეთიდამ. აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის
ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და
ჯუარნი ოქრო-ვეცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ
ლაშას ჯუარს, და აქუთ სასოება მას ზედა ფრიად, რამეთუ
ვერცა ფშავი, ვერცა ჴევსური, უკეთუ იშოვნოს ოქრო ანუ ვეცხლი,
ვერარაიდ იჴმარებენ თავისად, არამედ მიუძღუნის ლაშას ჯუარსა.
და არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ
სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვი-
თარცა ხელქმნილი, და ღაღადებს მრავალსა მაგიერად წმიდის გი-
ორგისა, და რასა იგი იტყჳს, სთნავთ და ჯერ იჩენენ უმეტეს ჭეშმა-
რიტებისასა. და არიან ყოვლითა, ვითარცა მთიულნი აღვსწერეთ.

არამედ ესენი ვერად ქებულნი ბრძოლასა შინა, და უფროსად ჴევსურნი, და უმეტეს ბრიყუნი მთიულთაგან და უზნეონი, მებატონეთა თჳსთა ერდგულნი. და ვინაჲთგან ფრიად მაგარ არს ქუეყანა ესე და უბრძოლველი მთითა, და კლდითა, და ტყვითა, ამისთჳს იმყოფიან მშჳდად და სიმწირისათჳს მონებენ ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ.

1-22 სტრ., 534
ხოლო მზღვრის ფშავს: აღმოსავლით მთა კავკასიიდამ ჩამოსული; სამჴრით კავკასივე, ამასა და მახჳლოს-ჴევს შორისი; სამჴრით მთა, ამას და თიანეთს შორისი; ჩდილოთ კავკასი, ამასა და ღლიღუს შორისი; დასავლით მთა კავკასიდამ ჩამოსული სამჴრით, ამასა და ჴევსურეთს შორისი. არამედ ძუელად ეწოდა ამ ორთა ჴეობათა ფხოველნი, და აწ უწოდებენ ესრეთ. გარნა სდებენ ამათ გამო კაცნი ძურძუკთა, ღლიღუთა და ქისტთა თჳსად, გარნა მათ არა უწყიან ესე მიერ ჟამით, ოდეს განდგნენ. ხოლო ჟინვანი არს შავისა და თეთრის არაგჳს შესაკრებელოს შორის ციხე შენი და მაგარი, და იყო ქალაქი და აწ უქმ არს.

დანარჩომი თიანეთისათჳს, არამედ პირველ იყო კუხეთი

და ამ ჟინვანს ქუეით ერთვის შავს არაგუს ჴევი ბოდავისა. გამოსდის წინაჴსენებულს ხერკის მთას და აწ თიანეთისას, მიდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ბოდავს არს მონასტერი გუმბათიანი, დიდშენი, შუენიერს ადგილს და აწ ცარიელი. ამას ქუეით ერთვის არაგუსვე წირდალის ჴევი, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. ამას ქუეით ერთვის არაგუს ნოკორნის ჴევი, გამომდინარ-მომდინარი მისვე მთისა ეგრეთვე. ამის თავს არს ნოკორნა, მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, დიდი. ესე აღაშენა მ˜დ მეფემან არჩილ და ყო მონასტრად. შემდგომად წამებისა მისისა ცოლმან მისმან დაფლა წმიდა გუამი მისი მუნ. არა-

1-22 სტრ., 535
მედ ბოკოწნის ჴევს და ამ ჴევს შორის ჩამოვალს მცირე მთა, წინთქმულის მთიდამ, დასავლეთად. ეს მთა არს თიანეთისა და ხერკის საზღვარი, და აქამდე აწ უწოდებენ თიანეთს, გარნა პირველ იყო ჟინვანამდე წილი კუხოსისა

ხერკისა და საგურამოსათჳს

ხოლო ბოკოწნის ჴევი ერთვის ჯიღაურს არაგუს. გა-

მოსდის ერწოსა და მის შორისს მთას, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამას ქუეით ერთვის არაგუს ხერკის ჴევი ანუ თეზმის ჴევი. გამოსდის კუხეთის მთას ანუ იალონს, მოდის დასავლეთად. ხოლო ამის შესართავს და ნარეკუავის შესართავს ქუეით არს, არაგჳს დასავლით, მთა სარკინეთისა და, აღმოსავლით, მთა მაღალი კუხეთისა, გაკუეთილი არავჯთ. ორნი ესე მთანი პირისპირ მდებარენი და მერმე იალონად წოდებული ამისთჳს, რამეთუ, თუმცა მას მთასა ზედა არს მცირეცა ღრუბელი ანუ ნისლი, არა იქმნების, თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი დიდი. ამ მთის თხემსა ზედა, მჭურეტელი არაგჳსა, მუხარნისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, აღაშენა ციხე დ~ მეფემან ფარნაჯომ და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზადენი. შემდგომად ი~გ მამათაგანმან მამამან იოვანემ ჰყო აქა მონასტერი და ეკლესია სადგურად თჳსად, და დაფლულ არს მუნვე. ამ ეკლესიის კამარიდამ სწუეთს წყალი, და უდგს ქუემორ ავაზანი ქვისა, და შეიკრიბვის მას შინა, არა გარდმოედინების და არცა

1-24 სტრ., 536
აღმოვსებით მოაკლდების, უკეთუ აღმოიღო რითმე, და ჰკურნებს სენთაცა.

ხოლო მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძნისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთბამდების ერწოს მთასა, რომელი არს ხერკისა. და არს ამათ შორის ხერკი, არამედ აწ საგურამო ანუ თეზმის ჴევი აქუს ხერკს: აღმოსავლით მთა ერწოსა და ამას შორისი; სამჴრით მთა ზედაძნისა; ჩდილოთ ნოკორნა-ბოკოწანს შორისი გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდამ არაგუამდე; დასავლით არაგჳ. ხოლო მთა ზედაძნისა წარვალს უჯარმამდე, და მივალს, და დამდაბლდების ხორაუგს. აღმოსავლით აქუს ამ მთას ერწო, დასავლით გრდანი. ხოლო ზედაძნის მთას უძეს სამჴრით გრდანი და ჩდილოთ ხერკი, და არს ტყიანი მთა ესე და ნადირიანი, მცირე-წყლიან-მდინარიანი. კუალად ზედაძნის სამჴრით არს, ამავ მთის განკიდულს გორასა ზედა, მცხეთის პირისპირ, აღმოსავლით, არაგჳს კიდესა, მაღალს კლდესა ზედა ჯუარის მონასტერი, კეთილი, დიდშენი. აქ დაასუენა წმიდამან ნინომ ჯუარი, სუეტისაგან გამოკუეთილი. შემდგომად გურამ კურადპალატმან, ლ~თ მეფემან, იწყო ეკლესია, ვიდრე ნაჲთგან აქამდე ჯუარი უეკლესიოდ ესუენა, და ძემან მისმან დიმიტრიმ შეასრულა. ზის არქიმანდრიტი. ამის დასავლით, მუნვე კლდესა შინა, დის წყარო წმიდის ნინოსაგან, სასმისად კეთილი და ჰკურნებს სენთა. და არს გარემონი მისნი მლაშე და მწარენი და იგი ფრიად ტკბილი.

ამას ქუეით, გრდანამდე, არს ველი მთასა და მტკუარს შორი-
სი, და არს დაბნები მთასა შინა მცირე წყაროთი, უვენახო, უხილო.

1-23 სტრ., 537
ხოლო ჯეობა გრდანისა და მდინარე მისი გამოსდის ზედაძნის შე-
სართავს ერწოს მთას, დის გრდანამდე ჩდილოდამ სამჯრით, მერმე
აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ავჭალას აღმოსავლიდამ
მტკუარსა. ავჭალა არს მტკურის კიდესა ზედა, სანადირო კე-
თილი. ამ ავჭალის ბოლოს არს ჯევძმარი, ჩამოვარდების მშრალი
ჯევი ქვიტკირის-ლილოდამ მტკუარამდე. და ეს არს საზღვარი აწინ-
დელი ქართლ-კახეთისა. აქამდე უწოდებენ საგურამოს ხერკითურთ
გურამიანთ გამო. გარნა არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვე-
ნახით, მარცვლით, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა, პირუტყჳთა, ნადირი-
თა. ფრინვლითა, ტყითა, ველითა და მთით შემკობილი. არამედ არ
აკეთებენ აბრეშუმს აქა. განჰყოფს გრდანს: აღმოსავლით ერწოს
მთა; სამჯრით ჯევძმარი, ლილო, მარტყოფი; ჩდილოთ მთა იალო-
ნი; დასავლით მტკუარი და არაგჳ.

მარტყოფისათჳს

ხოლო ამას ქუეით, ლილოს მთისა და კუხეთის მთის შორის,
არს მარტყოფი. გამოსდის წყალი მისი ამასვე მთას. საცხენი-
სის ჯევამდე -მარტყოფისა, ხოლო მას ქუეით მტკურამდე უწო-
დებენ აწ ლოჭინსა, არამედ ძუელად ეწოდა ომანის ჯევი.
ხოლო მოერთვის ამას ლილოს მთის წყარო დასავლეთიდამ, და
ამას ქუეით ერთვის ამავ მარტყოფის წყალს ჯევი, გამომდინარე კუ-
ხეთის მთისა, მომდინარე აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამ ჯევსა ზე-
და არს სამჯრით ეკლესია ღუთაებისა, გუმბათიანი, დიდ-
შენი, გარ ზღუდე-გოდლოსანი, მგზავსი ციხისა, კეთილს შუენიერს

1-23 სტრ., 538
ადგილს. აქ დაადგრა ი˜გ მამათაგანი ანტონი და ჰყო მონასტრად
ესე, ხოლო თჳთ მცირედ განშორებით ქუაბსა შინა მყოფობდა მარ-
ტოდ, და მით ეწოდა ადგილსა ამას მარტომყოფი და აწ მარტყოფი.
ხოლო შემდგომად, რაჟამს მოოჯრდა რუსთავი, მუნებური ეპის-
კოპოზი მოსცვალეს აქა, და ზის აწამდე, და არა შეუცვალეს სახელი,
არამედ იგივეს რუსთველს უწოდებენ. მწყემსი არს მარტყოფ-საგუ-
რამო-ხერკისა. არამედ აწ აქუსცა დროშა სასპასპეტო; და არიან
ამის სასპასპეტოსანი გარეთ-კახეთი ქისიყამდე და მარტყოფ-საგუ-
რამო, და არს მემარცხნე ბრძოლასა. ამ ჯევს ქუეით ერთვის ჭო-
ტორის ჯევი, გამომდინარე უჯარმისა და ამას შორისის კუხე-
თის მთისა, და მომდინარე დასავლით. ამ ჯევს ქუეით ერთვის საც-

ხენისის ჴევი, მისვე მთის გამომდინარე და ეგრეთ მომდი-
ნარე.

არამედ არს ესე მარტყოფი ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა შემკული, ვითარცა საგურამო. ჰავითა მშუენი. ხოლო საცხენისის და ლოჭინის სამჴრით არს სამგორის ველი და ჩადივა-
რი. და სამგორს უწოდებენ სამის გორისათჳს, რომელი არს ველსა სწორესა ზედა, ბალახოვანი და უწყლო სათის-ჭალამდე და გარე-ჯის მთამდე. სათის-ჭალის ზეით, კუხეთის მთის კალთას, არს ხო-რაუგი. კუალად სამგორს აქუს დასავლით ჩადივარი და აღმოსავ-ლით კუხეთის მთა; და ხორაუგიდან დამდაბლდების კუხეთის მთა და მივალს გარეჯის მთამდე. ხოლო ხორაუგის აღმოსავლით დის იორის მდინარე, ვითარცა აღვსწერეთ.

1-22 სტრ., 539
კაკისა და ელისენისათჳს

ხოლო აწ კუალად ვიწყებთ ალაზნის შესართავიდამ. სად არს ხორანთა, მას ქუეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშის-წყა-
ლი, რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და ჰერეთს შორისს, და მოდის გიშამდე ჩდილოდამ სამჴრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავ-ლით. არამედ გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთო წუ-ქეთისა, და ეკლესია დიდი, გუმბათიანი, და იჯდაცა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა, არამედ მიუხუნა შააბაზ კახეთს და ჰყო სასულტნოდ, და ამას ეწოდა წუქეთი, და აწ უწოდებენ ალის-სულთნად. კუალად გიშის წყლის შესართავს ზეით, ამ გიშის-წყალს მოერთვის ჩდილოდამ ქურმუხის-წყა-
ლი; გამოსდის მასვე კავკასსა და მოდის ჩდილოდამ სამჴრით. ამ წყალზედ არს ქურმუხი, სიმაგრე დიდშენი, და აწ სახლი ალის-სულტნისა (იტყჳან, მივიდა ვახახისშვილი წინაშე შაბაზისა ქრის-ტესსა ჩ˜ფპზ, ქარ. ს˜ოე, გამოჰმადიანდა და, მოსლვასა ერევან,ს მიუღო ალექსანდრეს და დასუა სულტნად იგივე აქა)

კუალად ხორანთას ზეით ალაზანს ერთვის წყალი ფიფი-ნეთისა; გამოსდის იმასვე კავკასს, მოდის ფიფინეთამდე ჩდილო-დამ სამჴრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით, მერმე ჩდილოდამ სამჴრით. ხოლო მთის ძირს არს ფიფინეთი, სად დასხნა ე˜მე-ფემან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიიდამ ყინული, და იყო არჩილამდე ეგრეთ. შემდგომად იწოდა ჭარი, და ყვეს სი-

1-23 სტრ., 540
მაგრე, და იქმნენ სახელოვან ბრძოლათა შინა. აქ, ჭარს ზეით, არს

მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, კარგს ადგილს,არამედ მათ გამო უქმი, ხოლო ამ წყლის შესართავს ზეით არს ალაზანი ყურედ და ყურედ, და მომდინარე მომგრგუალვით, და დაუტევებს შიგნით ადგილსა დიდსა, ვითარცა კარით შესავალსა, და მორტყმული არს წყლითა. ამ ადგილს უწოდებენ მოსაბრუნს. აქ ჭარის პირის-პირ და ყარაღაჯის ბოლოს, აღაშენეს ხანთა სასახლენი დიდშენნი, არამედ აწ არს ოჯერ.

ამას ზეით, ბოეთანს, ერთვის ალაზანს ბელაქნის წყა-ლი. ამ წყალსა და გიშის-წყალს შორის, ალაზნამდე და კავკასამდე, არს ელისენი, არამედ აწ ქურმუხს აქეთი.

და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახ-ხილითა, რამეთუ ტყენიცა სავსე არიან ხილითა. ნადირნი, პირუტყუნი, ფრინველნი მრავალნი. აბრეშუმი, ბრინჯი, ბამბა მრავ-/ლად. გარნა ჰავითა ცხელი, ხაშმიანი ზაფხულს. არამედ მთის კერ-ძნი კეთილ-აგარაკოვანნი და მშუენნი. ხოლო ზამთარს კეთილ-ჰა-ოვანი, თბილი, უთოვლო, უყინულო. მზღვრის ელისენს აღმოსავ-ლით მთა კავკასი, კულმუხსა და მის შორის; სამჴრით ალის-სულტ-ნის საზღვარი; ჩდილოთ წყალი ბელაქნისა; დასავლით ალაზანი. ხოლო ბელაქნის წყალი გამოსდის ხუნზახსა და ამას შორისს კავ-კასს, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. აქ, მთის კალთას, არს ციხემაკაბელი და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირ-ველ ნოხპატო. აქ აღაშენა მ˜დ მეფემან არჩილ ციხე და ეკლე-სია შუენიერი, უგუმბათო, და არს აწცა. ამ წყალს ამ ციხესთან მო-

1-23 სტრ., 541
ერთვის სხუა ჴევი, ეგრეთვე გამომდინარე და მომდინარე.და არს ადგილი ესე ფრიად კეთილი აგარაკი და მაგარი. აწინდელთა ჟამთა დაეშენნენ ჭარელნი, გარნა მოსრნა იგინიცა შანადირ, და აწ ოჯერ არს.

ყარაღაჯისა და ქისიყისათჳს

ხოლო ბოეთნის პირისპირ და ალაზნის დასავლით არს ყარა-ღაჯი, სასახლე, რომელი ყვეს ხანთა, ვითარცა მცირე ქალაქი, და შემდგომად ოსმალთა და ჟამთა ჰყვეს ციხე, და აწ ჯერეთ ოჯერ არს. კუალად ყარაღაჯის სამჴრით, ალაზნის კიდურთა ზედა, ასტყ-დების კბოდეს და მივალს ვიდრე ხორანთამდე, და არს ალაზნისკენ მცირეტყვიანი და ბალახიანი, და აღვსილი ნადირითა დიდ-მცირეთი. და კბოდეს ზეით არს ველი ხორანთიდამ ქისიყამდე, წოდებული კბოდეს ქუეით, ალაზნისკენ, წინამინდორი, ხოლო ზეითს,

ყარაღაჯითურთ, უფადარი. და არს ესე სანადირო კეთილი. გარნა ყოფილ არსცა ძუელად შენობა დაბნებთა, არამედ შემდგომად ბერქას გამოსვლისა ოჯერ არს. კუალად ყოფილ არს ალაზნის მოსაბრუნითა შინა ძუელად შენობა ქრისტეანეთა, და შემდგომად დასხნეს ელნი, და უმეტეს ხანთა-ელი ფადარი, დიდი, მრავალი. გარნა იგიცა აჰყარა შანადირ იორის-პირის ელითურთ.

ხოლო ყარაღაჯის სამჴრით, სადაცა დასწყდების ჰერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი, და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ, კლდესა ზედა, შენ არს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქას გამოსლვასა მოოჴრდა. ხორნაბუჯის დასავ-

1-15 სტრ., 542
ლით არს ბოდბის ჴევი, პირველ წოდებული ბოდა, გამომდინარე ცივის მთისა; მოდის ჩდილოდამ სამჴრით და ვერ მდინარებს ველსა ზედა სიმცირით. ამ ჴევსა ზედა არს ბოდბეს ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, შუენიერი აქ მიიცვალა წმიდა ნინო და დაეფლა აქავე. აღაშენა და შეამკო საფლავი მისი და ეკლესია კ˜ე მეფემან ბაქარ. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე, აქუს სასპასპეტო დროშაცა, და არიან სადროშონი მისნი ქისიყით კონდოლამდე და მანავადმდე, და არს ბრძოლასა მეწინავე. ბოდბელი არს პირველი ეპისკოპოზი კახეთისა, პატივისათჳს წმიდისა ნინოსა, ბოდბეს ზეით, ამ ჴევზედ, არს მაღაროს სასახლე მეფეთა საზაფხულოდ. ამავ ბოდბის დასავლით არს ლაკბის ჴევი, მისვე მთის გამომდინარე და ეგრეთვე მომდინარე, და ვერცაღა ეს მდინარებს ველსა ზედა. კუალად ხორნაბუჯის ჩდილოთ წმიდამან სტეფანემ დიდ-კეთილშენი. დაფლულ არს მუნვე წმიდა სტეფანე. ზის წინამძღუარი.

1-22 სტრ., 543
არამედ საქუაბე-ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხუევია მთასა, ცივის მთიდამ ჩამოსულსა . ამას ეწოდა პირველ კამბეჩოვანი, კამბეჩთა სიმრავლისათჳს, შემდგომად ქისიყი უსაქციელობისათჳს-„მქის იყო“. არამედ არიან კაცნი მბრძოლნი, მჴნენი, ახოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა. და უძეს ქისიყს აღმოსავლით ველი შირაქი ალაზნამდე; სამჴრით-უფადარი და წინამინდორი ხორანთა-იორამდე; ჩდილოთ მთა ჰერეთისა. ხოლო მზღვრის აღმოსავლით ალაზანი; დასავლით ლაკბის ჴევი და ხაზი მისი იორამდე გასული; სამჴრით იორი ანუ მტკუარი; ჩდილოთ მთა ცივისა, კარდანეხსა და ქისიყს შორისი, და ხაზი ასანურ-საქუაბეს შორის გასული ალაზნამდე.

გაღმა მჴრისა და შიგნით- კახეთისათჳს

ხოლო კუალად ბელაქნის წყლის შესართავს ზეით მოერთვის
ალაზანს მაწის წყალი, გამოსდის ხუნზახსა და ამას შორისს
კავკასს, მოდის ჩდილო-აღმოსავლეთს შუადამ დასავლით სამჴრეთს
შუა. და ჴევზედ არს, მთასა შინა, თოღა, სასახლე მეფეთა, ფრიად
მშუენვარე ზაფხულს. ამას ეწოდა მაჭი. აქ ეყრების ჴევი სხუა, მო-
დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე მისვე კავკასიდამ.
ამ ჴეობათა ზედა ყოფილა შენობა კაცთა სიმრავლით, არამედ შემ-
დგომად შააბაზისა ლეკთა მიერ ოჴერ არიან. ამ მაწის წყლის ჩდი-
ლოთ არს ველსა ზედა ციხე ტრაწყალისა და აწ უქმი.
ამას ზეით, ჩდილოთ კერძ, ველსა ზედა, ციხე ლაკუათისა,

1-14 სტრ., 544
მ˜დ მეფის არჩილისაგან ქმნული, და აწ ლაგოეთად წოდებული;
მაგარი, დიდშენი, გარნა აწ ოჴერი. ამან მეფემანვე აღაშენა საძმო-
რის ციხე და ეკლესია. კუალად მაწის წყლისა და ამ ციხეთ ზეით
მოერთვის ალაზანს ნეინის წყალი; გამოსდის ლეკეთსა და ამას
შორისს კავკასსა, და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, და ველსა
ზედა ფრიად გრეხით. ამ წყალზედ არს ჭიაური და ქუაბლო-
ვანი. ამას ზეით მოერთვის ალაზანს დასავლეთიდამ კარდანე-
ხის წყალი, გამოსდის ჰერეთისას ანუ ცივის მთას, მოდის დასავ-
ლეთიდამ აღმოსავლად. ხოლო ნეინის წყლის ზეით, ჩდილოთ კერძ,
ველსა ზედა, არს ციხე კართუბანისა და აწ ცალიერი. მას
ზეით, ჩდილოთკენ, ველსა ზედა, გორის წყლის ციხე და აწ
უქმი. ამათ ზეით ერთვის ალაზანს ბედიყრის წყალი, გამოს-
დის კავკასის კალთას, დის ჩდილოთ-აღმოსავლის შუადამ, მოდის
დასავლეთს-სამჴრეთს შუა. ამაზედ არს სტეფანწმიდა მო-

1-23 სტრ., 545
ნასტერი, მამათგან ანუ წმიდის ეფთვიმესაგან აღსენებული.ხო-
ლო ამ წყლის შესართვის ალაზნის დასავლით, ცივის მთის ძირს,
არს ვეჯინი. მას ზეით, მთის კალთას, კლდესა ზედა, არს ციხე შე-
ნი მაგარი და დიდ-გებული, შიგ გამომდინარე წყაროთი და ეკლე-
სიით. კუალად ალაზანს ერთვის, ბედიყრის წყლის შესართავს ზეით,
გავაზის წყალი, გამოსდის ამასა და დიდოეთს შორისს კავ-
კასსა და მოდის აღმოსავლეთ-ჩდილოთ შუამად სამჴრით-დასავ-
ლეთს შუა. ამას ზეით მოერთვის ალაზანს ყვარელისწყალი,
გამომდინარე მისვე კავკასისა და მომდინარე ეგრეთვე.

ამ წყალზედ, ყვარელს ზეით მთასა შინა, არს ნეკრესი. დ˜
მეფის ფარნაჯომისაგან აღშენებული ქალაქი იყო. შემდგომად მე-

ფემან თრდატ აღაშენა ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი. აქა დაადგრა წმიდა აბიბოს, ი˜გ მამათაგანი, და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა-მჯრისა დიდოთურთ. ამან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი; ესევ ეწამა სპარსთაგან, ვითარცა მოგვითხრობს მეტაფრასი, და დაფლულ არს სამთავროს. და არს აწცა საეპისკოპოზო, და ზის ეპისკოპოზი, არამედ არღარა არს ქალაქი. ამასვე აქუს დროშა სასპასპეტო, და არიან სადროშონი მისნი გაღმა-მჯარნი ელისენით და მემარჯუნე. ხოლო კუალად ყვარელის წყლის შესართავს ზეით ალაზანსვე ერთვის ჩელთის წყალი, გამომდინარე მისვე კავკასისა და მომდინარე ეგრეთვე. ხოლო ამის შესართავის პირისპირ, მცირედ ზემორ, დასავლეთიდამ მოერთვის ჭერემის წყალი, გამომდინარე ცივის მთისა და მომდინარე ჭერემამდე ჩდილოთ და-

1-23 სტრ., 546
სავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამჯრეთს შუა, მერმე დასავლეთ-სამჯრეთ შუადამ აღმოსავლეთ-ჩდილოთ შორის. ამ წყალსა ზედა არს, ალაზნის დასავლით, ველსა ზედა, ველის ციხე, და აწ უქმი. ამავ წყალზედ არს, ცივისა ანუ ჰერეთის მთის საშორისსა, ჭერემი; იყო ქალაქი, სადაცა აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი და ქალაქი მაგარი, და დასუა ეპისკოპოზი, მწყემსი შიგნით-კახეთისა, და ზის დღესცა. ხოლო ამ ჭერემის სამჯრით, მთას იქით, არს მანავი; კუალად ჭერემს-ვეჯინს შუა და ვეჯინის ჩდილოთ, მთის კალთას, არს ახტალა, რომელსა იტყჳან ნასოფლარსა და რისხჳთ დანთქმულსა, აღმოდის კუპრი, ვითარცა მდუღარე, და აღმოაქუს ჟამად კოვზი, ჯამი და საჴმარნი გლეხთა. ხოლო კუალად ჩელთის წყალს ზეით ალაზანს ერთვის საბუე-გრემის წყალი, გამომდინარე დიდოეთსა და ამას შორის კავკასს და მომდინარე, ვითარცა წინანი მდინარენი. ამ წყალზედ არს გრემი, რომელი ქმნეს ქალაქად ქრისტესსა ჩ˜უჲვ, და განდგომილებისა კახთ მეპატრონეთა, და მყოფობდენ მუნ. აწცა არს შენობა და ეკლესია შეუმუსრავი. ოდეს მოაოჯრა შააბაზ, მიერით არს დაბა და არღარა ქალაქი. აქა არს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, მთავარანგელოზთა, და არს ე˜მეფე ლევან დაფლული მას შინა. ამ გრემის წყლის შესართავის პირისპირს მოერთვის ალაზანს დასავლეთიდამ აკურას ჴევი, გამოსდის გომბორისა და ცივის მთას.

ამ ჴევს ზეით მოერთვის კუალად ალაზანს კისის ჴევი, გამოსდის გომბორის მთასა, მოდის დასავლით-სამჯრეთს შუადამ

1-25 სტრ., 547
ჩდილო-სამჯრეთ შუა. ამ ჴევზედ კლდეში არს ქუაბნი მრავალნი გამოკუეთილნი. აქავ ღჳნო კონდოლისა წარჩინებული. ამას

ზეით ერთვის ალაზანს ლოპოტის ჴევის წყალი, გამოსდის თუშეთსა და მას შორის კავკასსა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლად. ამ ჴევზედ მთაში არს ლოპოტი, კლდე დიდი და კლდითავე მოზღუდვილი, მაგარი და შეუალი მტრისაგან, რომელი დადგა მოსლვასა ყრუსასა, აქ მოერთვის ჴევი, დიდოსა და ამას შორის კავკასიდამ გამომდინარე. ამ ჴევს ერთვის კავკასიდამ ჴევი. ამ ორთა ჴევთ შორის არს ლოპოტი. კუალად ამ ლოპოტის წყლის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის თურდოს ჴევი, გამომდინარე შუამთიდამ. ამ ჴევზედ არს გულგულა, რომელსა ეწოდა პირველ ტყეტბა. ეს ჴევი არს საზღვარი ჰერეთისა და კახეთისა. ამ ჴევის სათავეს ზეით, მთაში, არს, შუამთას მონასტერი კეთილი, გუმბათიანი, რომელი აღაშენა ე˜მეფის ლევანის ცოლმან, გურიელის ასულმან თინათინ, და დაეფლა მუნვე. ზის წინამძღუარი, და უწოდებენ მოძღუართ-მოძღუარს.

ხოლო მთა ესე ამის სამჴრით ხორნაბუჯამდე არს მთა ჰერეთისა, თხემთა შიშუეული და უტყეო, ბალახ-ყუავილოვანი, მცირეწყაროიანი, კალთათა ტყვიანი და ნადირიანი. მთის ძირად კალთას, იმიერ და ამიერ, შენობა-დაბნებიანი, ვენახოვან-ხილოვან-მოსავლიანი. არამედ შუამთა ეწოდა საშუალობისათჳს გზისა გარდასულთა სამებიდამ თელავს. და არს ადგილი შუენიერი, ყუავილოვანი. ამას ქუეით მთა გომბორი იწოდა უმაღლესობისათჳს, და ამას ქუეით მთა ცივისა კარდანეხის ჴევამდე არს, ვინაჲთგან აქუს იქით და აქათ ცხელნი ადგილნი. და მთა ესე არს მაღალი.

1-22 სტრ., 548

აგარაკოვანი, ბალახოვან-ყუავილოვანი, წყაროიანი და გრილი ფრიად. ხოლო გულგულას ქუეით, თურდოს ჴევის სამჴრით, არს თელავი, რომელი ჰყო კჳრიკემ, პირველ გამეფებულმან კახეთს და ჰერეთს, სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი, ხოლო მისცვალა მცირედ თ˜მეფემან არჩილ და განაახლა. აწცა არს სასახლე და ციხე, და მაგრობენ მას შინა. კუალად თურდოს ჴევის ჩდილოთ არს იყალთოს ჴევი, გამომდინარე კახეთის მთისა და მომდინარე აღმოსავლეთად, არამედ ვერ მიერთვის ალაზანს სიმცირით. ამ ჴევზედ, კახეთის მთის კალთას, არს იყალთოს მონასტერი, კეთილშენ-გუმბათიანი, ქმნული ი˜გ მამათგანის წმიდის ზენონისა, და დაფლულ არს მუნვე; და წმიდა არსენცა, რომელი იყო ქუეყანით კახი. კუალად თურდოს ჴევის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის შტორის ჴევი, გამოსდის თუშეთსა და ამას შორის კავკასსა და მოდის აღმოსავლიდამ დასავლით. თორღის ციხესთა ერთვის ამ ჴევს სხუაჲ ჴევი, გამომდინარე მისვე კავკასისა. თორღის ციხე არს მაგარი და კლდესა ზედა ნაშენი, არამედ აწ უქმი. სად მიერთვის ეს

ჴევი ალაზანს, მუნ არს ლალის-ყურის ციხე (ვგონებ ნახ-
ჭევნად). ამ შტორის-ჴევისა და თურდოს-ჴევის ჩდილოთი ქუეყანა
არს კახეთი, ამათ სამჴრითი---ჰერეთი.

ამ შტორის ჴევს ზეით, ალაზნის დასავლით, არს ალავერ-
დი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, ზღუდე-პალატე-
ბიანი, გუმბათიანი, რომელმან მოიგო სახელი ალონის გამო, რომელ

არს ალონგუერდს, და შემდგომად ყრუსა უწოდეს ალავერდი. აღა-
შენა ი~გ მამათგანმან წმიდამან იოსებ და ყო მონასტერი წმიდის
გიორგისა, და დაფლულ არს მუნვე. და იყო მონასტერი განდგომი-
ლებისამდე, ქრისტესსა ჩ~უჲვ, და ამათ ყვეს ეპისკოპოზი და მწყემსი
თურდოს-ჴევს შტორს ზეით კახეთის მთად კავკასამდე, და უპირვე-
ლეს კახთა ეპისკოპოზად. დაიქცა ძვრით. როსტომ იწყო შენებად,
არჩილ შეასრულა. კუალად დაიქცა ქრისტესსა ჩ~ღმა ძვრითვე.

ხოლო ალავერდს ზეით ერთვის ალაზანს ახმეტას-ჴევი.
გამოსდის კახეთის მთას, ამასა და თიანეთს შორისს, მოდის დასა-
ვლეთიდამ აღმოსავლეთად. და ახმეტის ღჯნო კეთილი. კუალად ახ-
მეტის ჴევს ზეით ერთვის ალაზანს უტოსჴევი, გამომდინარე
კახეთის მთისა და მარილის-პანკისის შუათის მთისა, მომდინარე
კუეტერის ციხემდე ჩდილოდამ სამჴრით, მერმე დასავლიდამ აღმო-
სავლეთად. ამ ჴევს კუეტერის ციხესთან მოერთვის სხუა ჴევი, გა-
მომდინარე ჩდილოდამ სამჴრით. ამ ორს ჴევს შორის არს ციხე
კუეტერისა, ფრიად მაგარი და დიდშენი. ხოლო უტოს-ჴევის
შესართავის პირისპირ, ალაზნის აღმოსავლეთის კიდესა ზედა, არს
ციხე ბახტრიონი ანუ მაღრანისა, რომელმან მოიგო სახელი
დაბნებთაგან მის გარემოსთა მყოფთა (ვგონებთ ლორწობანსა-
ცა ამას, ანუ ამას ზეით, მთასა შინა). ესე ყოფილ არს დიდშენი და
მაგარი, გარნა აწ უქმი. ამ ციხესა და ლალის-ყურს შუა არს ველი
ალონად წოდებული და სანადირო კეთილ ფრიად. კუალად უტოს-
ჴევს ზეით ერთვის ალაზანს ჴევი, გამომდინარე პანკის-კუეტერას

შორის მცირეს მთისა. ამ ჴევის სამჴრით არს მარილისი. ხოლო
მარილისის დასავლით მთაში არს, ქაჩალაურს, მონასტერი კე-
თილი და აწ ცარიელი. ამის სამჴრით არს მონასტერი წმი-
დის მარინესი, ფრიად შუენიერ-კეთილ-ნაგები. ამის დასავ-
ლით არს კუალად მონასტერი გუმბათიანი, დიდშენი, ყოვლადწმი-
დისა, ცხრაკარად წოდებული, შუენიერს ადგილს და აწ ხუცის
ამარ.

პანკისისათჳს

ხოლო მარილისის ჩდილოთ ჴევი რომელი აღვსწერეთ, მის ჴევის ჩდილოთ კერძი არს პანკისის ჴეობა, რომლისა შორის დის ალაზანი. და აღმოსავლით აქუს პანკისს კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი; დასავლით მთა კახეთისა, ფშავს, თიანეთსა და ამას შორისი; ჩდილოთ კავკასივე, ღლილუსა და ამას შორისი; სამჴრით ჴევი წინთქმული და მთა მცირე, კახეთის მთიდამ ჩამოსული, აღმოსავლეთად ალაზნამდე, და მერმე იქიდამ ხაზი, გასული კავკასამდე. ხოლო კახეთის მთიდამ ჩამოსულის მთის ზეით ერთვის ალაზანს ჴევი და გამოსდის კახეთის მთას, მოერთვის დასავლეთიდამ ალაზანს. ამ ჴევს ზეით ერთვის სხუა ჴევი. გამოსდის თუშეთსა და ამას შორისს კავკასსა, მოდის დასავლეთად. ამ ჴევიდამ გარდავალს გზა თუშეთს. ამ ჴევს ზეით განიყოფის ალაზანი ორად, და ამ ორთა წყალთა შუა არს ციხე ხორჯისა ანუ მახჳლი, მაგარი და შეუალი, არამედ აწ უქმი.

ხოლო ჴეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი და ბაღიანი, და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი. თევზნი-კალმახნი,

1-28 სტრ., 551
ტყე ნადირიანი, მარცვალთა ნაყოდიერნი, თჳნიერ ბრინჯ-ბანბისა.

პირუტყუნი მრავალ, გარნა ღორი უმრავლეს. ხოლო პანკისის ჴეობის სამჴრით, ვიდრე ქისიყის საზღვრამდე, უწოდებენ შიგნით-კახეთს, რომელი იმზღვრების: აღმოსავლით ალაზნის მდინარით; სამჴრით ქისიყის ხაზის საზღვრით; დასავლით ჰერეთისა და კახეთის მთით; ჩდილოთ პანკისის საზღვრით. და არს ადგილი ესე ტყიანი, მცირედ ველიანი, გარნა ტყე უმეტეს ხილიანი. მცირე წყლიანი-მდინარიანი, ვენახოვანი, ხილიანი, ღჳნო კეთილი და კარგი. ფრინველნი, თჳნიერ დურაჯისა და კაკაბისა, რომელნი ტყეთა გუაროზენ, მრავალნი, პირუტყუნი,-ცხოვარი მცირედ,-სხუანი მრავლად, არამედ ღორი უმრავლეს, რამეთუ ერთ გლეხს ჰყავს ს˜, უ˜, ჩ˜ და ც˜. ნადირნი მრავალნი. მოსახლენი არიან თავადნი და აზნაურნი, და არს შენობიანი მთის ძირად. კაცნი ზნით აღწერილისაებრ გულის-ჴმა ჰყავ. ხოლო ამის აღმოსავლით არს გაღმა-მჴარი, რომელსა მზღვრის: აღმოსავლით კავკასი ლეკეთისა, დიდოეთისა და თუშეთისა და ამას შორისი, სადაცა გარდავლენანცა გზანი მათ შინა გაღმა მჴრიდამ; სამჴრით ელისენის საზღვარი; დასავლით ალაზნის მდინარე; ჩდილოთ მთა კავკასი, ამასა და თუშეთს შორის, სადაცა გარდავალს გზა თუშეთს, და საზღვარი პანკისისა. და არს ქუეყანა ესე

შემკული ყოვლითა და უმეტეს კახეთის ადგილთა, წყლითა, წყარო-
თი, მდინარითა, ტყითა, ველითა, სიმაგრითა, მოსავლის ნაყოფიერე-
ბითა ვენახითა, ხილითა, რამეთუ ტყენიცა ხილნარითა სავსე არი-
ან; ნადირნი, ფრინველნი, თევზნი მრავალნი, და უმეტეს კალმახი
მთის კერძოდ. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი და არიან მჴნედ
მბრძოლნი. და ჰერეთის ქუეყანას აკეთებენ ყოველგან აბრეშუმს,
არამედ უფროს გაღმა-მჴარსა შინა და უმეტეს ელისენში; ეგრეთვე
ბამბასა და ბრინჯსა სთესენ, გარნა იორის პირსაცა ზედა მრავალსა
სთესვენ ბრინჯ-ბამბასა.

1-26 სტრ., 552

დიდოეთისათჳს

ხოლო თუშნი და დიდონი, უკეთუ არიან წილნი ლეკოსისა, არა-
მედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილი, ვითარცა ვიხი-
ლავთ, და მოხარკენი მათნი, და უკანასკნელის განდგომილებისა, ვი-
ნაჲთგან დავითსა ზედა დაშთნენ ნამსახურად დიდონი, და მიერით-
გან მორჩილებენ კახთ მებატონეთა. არამედ შემდგომად თუშეთი
დაიპყრა ე˜მეფემან ლევან, ამისთჳს აწცა ჯერ არს აღწერა კახეთსა
ზედა. ხოლო დიდოეთი არს ლოპოტისა, გრემისა, შილდა-ყვა-
რელისა და ჭიაურის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩდილოთ კერძო-
სა შინა. და არს დიდოეთი ორ ჴეობად, და დის მის შორის მისივე
მდინარე, რომელსა ლეკეთს ეწოდების ყოზლუხი, და უმეტეს ვა-
კესა შინა. ამ ჴევის აღმოსავლეთით არს მეორე ჴევი, და განჰყოფს
ამ ორს ჴევს კავკასი მათვე შორისი, და ამის მდინარეცა მიერთვის
მის მეორეს ჴევის მდინარესა. ხოლო მზღვრის ამ ორ ჴეობასა დიდო-
ეთისასა: აღმოსავლეთით კავკასი ჰავარისა, ლეკეთისა და ამას შო-
რისი; სამჴრით მდინარე ამისივე და კავკასიდამ ჩამოსული კავკასივე,
ჩდილოთ მდებარე; დასავლით მთა კავკასი, ამასა და გაღმა-მჴარის
კახეთს შორისი; ჩდილოთ კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი.

და არს ქუეყანა ესე ფრიად მაგარი და შეუალი მტერთაგან, მწი-
რი, ვითარცა აღვწერეთ ოსეთი, და უმეტესადცა მისსა. გარნა ესენი
უბილწესნი ზნითა, ქცევითა, ჰაეროვნებითა და სახითა. ენა აქუსთ
თჳსი საკუთარი, სარწმუნოებით არიან კერპნი და უმეტეს ეშმაკის
მორჩილნი, რამეთუ იტყჳან, ოდეს დიდმან ალექსანდრემ შემუსრა
სარკინეთი, განჴურიტეს მთა იგი ამათ, მოვიდნენ და დაეშენნენ აქა;
და მიერითგან არიან მასვე რჯულსა და წესსა ზედა, ვითარცა ჩანს
ქცევა-ზნითა მათითა, რამეთუ არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა

1-27 სტრ., 553

ნათესავი და ნათესაობა, ყოველსა სულიერსა სჭამენ. მოგურის მამა

თჳსი მცირესა ძესა თჳსსა ცოლსა და, ვიდრე აღიზრდების ძე მისი იგი მცირე, თჳთ მამა თანაეყოფის აღრევითა დედაკაცსა მას; ხოლო ოდეს აღიზრდების ძე მისი, მაშინ მისცემს მას ძესა დედაკაცსა მას ცოლად და განუყოფს შვილთაცა, რომელნი უვის მის დედაკაცისა თანა შობილი მამასა, ნახევარს მისცემს ძესა, და არს ძე ძისა მისისა, და ნახევარსა დაიპყრობს თჳთ, და ძმა არს მისისა, მის ქალის ქრმისა.

და სხუანიცა მრავალნი უკეთურებანი არიან; უვისთ მოხუცებულნი; იგინი ბჭობენ, განარჩევენ და განაგებენ და დააწყნარებენ შფოთსა და ბრძოლასა შინა შეუმართებელნი და ურგებ-უძლურნი არიან, ავად მოსილნი, ავმოიარაღენი, ყოველნი სრულიად შავით მოსილნი, ეშმაკის კერძობისათჳს, შალითა და ნაბდითა. არამედ სიმაგრის გამო არიან მშჳდობით და მტერთაგან უვნოდ. ჴელოვნება უწყიან ოსთავე მგზავსად, და ამათი ჩოხა-ნაბადი სხუაგვარი: ჩოხა უხაო და ნაბადი ბოჭკო-მაღალი, ვითარცა ქუნთისა, გარნა შავი და არა სხუა ფერი. ხოლო ლეკის მჴარე დაიპყრნეს რომელნიმე ლეკთა და მოჰმადიან ყვეს, და სხუანი ჰგიეს, და არიან ეგრეთვე. და კახეთის მჴრისანი ჰყობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშკართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინაჲთგან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა, საშიშლოსა და საჴმარსა თჳსსა.

თუშეთისათჳს

ხოლო თუშეთი არს ლოპოტისა, თორღისა და პანკისის აღმოსავლეთით, კავკასის მთის ჩდილოთ კერძოთა შინა, და არს ორს ჴევად და მდებარებს ჩდილო-დასავლეთის შუადამ აღმოსავლეთს-სამჴრეთს შორის, და უდის შორის მდინარე თჳსი, და მიერთვის სონა მდინარეს, რომელი განვლის ჩაჩანს და მიერთვის ბორა-

ღანს თერგის მდინარეს. ხოლო პანკისის გარდასწორ, კავკასს იქით, არს წოვა; წოვას ქუეით გომეწარი და მის ქვეით ჩაღმა. და ჩაღმიდამ გარდავალს გზა თორღასა და ლოპოტის ჴევზედ. და არიან დაბნები ესენი უმჯობესნი, და სხუანი დაბნები არიან ლ˜ზ. ამის ჩდილოთ არს ფარსმანის თუშეთის ჴევი, რომელთა უძეს შორის კავკასივე. და არს ფარსმანის თუშეთს დაბანი ლ˜ვ, და განჰყოფს ფარსმანსა და წოვა-გომეწარ-ჩახმართის ჴევთა ქისტ-ღლიღვიდამ წამოსული კავკასი, აღმოსავლეთ-ჩდილოთ შუა მდებარე. და მზღვრის ორსავ თუშეთს: აღმოსავლით კავკასი ჰავარსა, ჩაჩანსა და ამას შორისი; სამჴრით კავკასი, ამასა და დიდოეთს შორისი; დასავლით მთა კავკასი, ამასა და კახეთს შორისი; ჩდილოთ კავკასი,

ამას და ღლიღუ-ქისტს შორის. არამედ არს ქუეყანა ესე ყოვლითავე, ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი, სიმაგრით, მოსავლით, პირუტყჳთ, ნაყოფიერებით და ჴელოვნებით. არამედ კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინაჲთგან აქუთ ზაფხულს თჳსთა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა-მჴარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა.

ხოლო ფარსმანი უფროს მწირ არს, გარნა ამათ მიერ იგინიცა გამოიზრდებიან კახეთით, რამეთუ მათ მოჰყავთ და ვაჭრობენ. არამედ იგინი არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა, ხოლო ესენი მორჩილნი, მოლაშკრენი და მეხარკენი არიან; და არიან ბრძოლასა შემმართებელნი, მჴნენი, ძლიერნი, მჴედარნი წარმატებულნი და უსაქციელონი, ბრიყუნი. რამეთუ, ოდეს შობს დედაკაცი, არავინ მიეახლებისს, არამედ განუტევებენ შორს მარტოდ, და შობისა შემდგომად მ~ დღეთა მოიყვანებენ შობილითურთ. ხოლო უკეთუ ვინ მდედრი იყოს გულითა კაცთაგანი და ივლტოდეს ბრძოლასა შინა, ამას აჭმევენ ძაღლთა თანა გობასა შინა ძაღლთასა და არღარა კაცთა თანა.

ხოლო სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა. აწ მწყსის ალავერდელი, მიმტაცე ხარჭაშნისა. არს ეკლესია მცირე, აღშენებული ძუელითვე, და უვისთ ხუცესნი, არამედ უმეტეს უცნობელნი

1-10 სტრ., 555
ჭეშმარიტებისანი, რამეთუ აქუსთ კლდე დიდი და მაღალი, და დღესა ილია წინასწარმეტყუელისასა მივლენ და შესწირვენ მას კლდესა ცხოვარსა და ძროხასა, და თაყუანისცემენ კლდესა მას, და რა იგი ესმის კლდისა მისგან, რწამთ უმეტეს ყოვლისა იგი. ხოლო რომელნი არიან მჴარეთა ქისტთა და ღლიღუთა, უწყიან ენანი უფროს მათნი. გარნა ფარსმანის ჴევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი. არა იქნების მათ შინა სიძუა ანუ მრუშება და, უკეთუ მძლავრის ვინმე და შეეყოს მის თანა, მოიკლავს თავს დედაკაცი იგი, და კაცსა მას მოჰკულენ თემნი, და მცნობი არა ილტვის სხუათა ქუეყანასა.

1-24 სტრ., 556
ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა

ხოლო რაჟამს მოვიდა ჰეროს წილსა თჳსსა ქუეყანასა, აღაშენა ქალაქი ორთა ალაზანთა შესაკრებელთა შორის და უწოდა სახელითა თჳსითა ჰერეთი და დაიპყრა ქუეყანა წილხდომილი თჳსი. სამჴრით ხორანთისაგან მტკურამდე და კავკასამდე საზღვარი მოვაკანისა, ჩდილოთ ხუნანიდამ გულგულამდე და კავკასამდე, აღმო-

სავლით კავკასი, დასავლით მტკუარი. ამათ შორისი ქუეყანა არს ჰერეთი, რომელსა შინა დაეშენა და შემდგომად განითესნენ ნათესავნი და ძენი მისნი ქუეყანასა ამას შინა და იყვნენ თჳთ იგი და ნათესავნი მისნი მორჩილებასა შინა ქართლოსისასა და მცხეთელ მამასახლისისასა, ჟამად-ჟამად განდგომილნი, ვითარცა აღვსწერეთ, ეგრეთვე კახოს და კუხოს და ნათესავნი მათნი, ვიდრე პირველისა მეფისა ფარნაოზისამდე.

ხოლო მეფემან ფარნაოზ დასუა კახეთისა და კუხეთის ერისთავი ერთი და შემდგომად დასუეს ჰერეთის ერისთავი სხუა და თუშთა, დიდოთა და ხუნზახთა სხუა, ვითარცა იწერვის ჟამსა შინა მ˜დ მეფისა არჩილისასა. არამედ ოდესმე დასმიდნენ ძეთა თჳსთა მეფენი, ვითარცა მისცა მირიან რევს და ბაქარ რევის ნათესავთა და შთამომავალთა. ხოლო ვახტანგ გორგასალ მისცა ძესა თჳსსა დაჩის და შემდგომად ადარნასე ხოსროვანი ერისთობდა ჰერეთს, ჟამსა შინა მეფისა გურამ კურადპალატისასა. გარნა იყვნენ მარადის ესენი მორჩილებასა და მსახურებასა შინა მეფეთა ქართველთათა.

ხოლო შემდგომად იოანეს და ჯუანშერის გარდაცვალებისა განდგა გრიგოლი მთავარი და დაიპყრა კახეთი და გარდაბანი; და ესე იყო პირველი განდგომა თავად და ამის განდგომილებიდამ დავით

აღმაშენებელის ერთმეფობამდე ისხდნენ მთავარნი კახეთს და მეფენი ი˜დ. არამედ ჰერეთი დაიპყრეს ძმისწულთა ადარნასე ბრმისათა, რომელთა დასწუნეს თუალნი მამის ძმისა, და არჩილ მოწამემან მიუბოძა ამას შაკიხი და ცოლი აბუხოსროსი; და ამის ძეთა დაიპყრეს შაკიხიდამ გულგულამდე და შემდგომად ჯუანშერის სიკუდილისა დაიპყრეს სრულიად ჰერეთი და იწოდეს მეფედ და დასხნეს ერისთავნი, ვითარცა იწერვის: ერისთავი შტორისა, ერისთავი ხორნაბუჯისა, ერისთავი ვეჯინისა, ერისთავი მაჭისა. გარნა არა არს უწყებული, თუ რავდენნი მეფენი ისხდნენ და სახელნი მათნი, ვიდრე კჳრიკეს ვ˜ქორიკოზისამდე. არამედ ამ შლილობაებთა შინა იყვნენ იგინი მშჳდობით და ოდეს მოვიდიან მძლავრნი, მისცემდიან ხარკთა და დაიმშჳდიან. ხოლო წელსა ქ˜სა შ˜იზ, ქარ. რ˜ლზ მოიჯსენებისა სახელი ადარნასე პატრიკისა და ძისა მისისა დინარ დედოფლისა ქრმისა და ძისა მათისა იშხანიკისა, რომლენიცა აღვსწეროთ რიგოვანად თჳს რიგსა ზედა.

მთავართათჳს კახეთისათა

ა˜. გრიგოლი, ლ˜ზ წელი მთავრა

ხოლო წელსა ქ˜სა ღ˜პზ, ქარ. ზ˜მოკუდა ჯუანშერ ერისთავთ-
ერისთავი და შემდგომად მისსა განდგა გრიგოლი მთავარი და ამან
დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. ამანვე მოსპო სახელი კუ-
ხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად, და ბრძოლასა
შინა აშოტ კურადპალატისასა იძლია გრიგოლი და დაშთა გრიგოლის
კსნის აღმოსავლეთის მჴარი და ესე გრიგოლი მთავრობდა ლ˜ზ

1-24 სტრ., 558
წელთა მეგობრობასა შინა ჰერეთის მეფეთათა, რამეთუ ჰერეთი და-
იპყრეს ჟამთა ამათვე ადარნასეს ძმისწულთა და გამეფდა მუნ: ხოლო
შემდგომად მოკუდა მთავარი გრიგოლი ქ˜სა, ყ˜კზ, ქარ. მ˜ზ

ბ˜. ვაჩე, ი˜ბ წელი მთავრა

და შემდგომად გრიგოლისა შეითქუნენ გარდაბანელნი და განა-
ჩინეს ვაჩე ქობულის ძე და უწოდეს ქორიკოზად კახეთისად; და ესე
ვაჩე ქორიკოზობდა კეთილად კახეთს. შემდგომად მოკუდა ქ˜სა
ყ˜ლთ, ქარ. ნ˜თ.

გ˜. სამოელ, კ˜ბ წელი მთავრა

შემდგომად ვაჩესა გამოირჩიეს გარდაბანელთა და დასუეს სა-
მოელ დონაური. ეს სამოელ შეება გავაზს ხალიღს. ამან უშუელა
მაჰმედს, ამანვე გარდაუყენნა გარდაბანელნი ბუღა თურქს ჯუარის
ბოლოს, შემდგომად მოკუდა, ქ˜სა, ყ˜ ჲა, ქარ. პ˜ა

დ˜. გაბრიელ, კ˜ წელი მთავრა

შემდგომად სამოელისა დაჯდა ქორიკოზად გაბრიელ დონაური,
ძმისწული მისვე სამოელისა და ესე ქორიკოზობდა ისე შიხის ძის ჟა-
მსა შინა, ამასვე მიუღეს გარდაბანი, შემდგომად მოკუდა ქ˜სა ყ˜პა,
ქარ. რ˜ა.

ე˜. ფადალა, ი˜ე წელი მთავრა

მერმე დაჯდა ქორიკოზად ფადალა არელმანელი ბრძენი, გონი-
ერი და საქმისა მეცნიერი. ამან კუალად დაიპყრა გარდაბანი. შემდ-
გომად მოკუდა ქ˜სა ყ˜ჟგ, ქარ. რა˜იგ, არამედ იგონების ამას ქუეითნი
მპყრობელნი კახეთისანი ამისი ძენი და შთამომავალნი არიან, ვი-
თარცა სახელით წარმოიჩინებიან.

1-24 სტრ., 559

ვ˜. კჳრიკე, კ˜ვ წელი მთავრა

შემდგომად ფადალასა დაჯდა კჳრიკე ქორიკოზად. ჟამსა ამისსა შემოვიდა კახეთს ამირ აგარიანი. ამ ამირ აღიღო უჯარმა და ბოჭორმა. ხოლო კჳრიკე მივიდა წინაშე ამირისა. არამედ აქამომდე ჰერეთთა მეფეთა სახელნი არა არიან წარმოჩენილნი და ქმნულებანი მათნი, და არა მოიჴსენნა, ვინაჲთგან იყვნენ მშჯდობით და თჳსად. ხოლო აწ შეემტერა რა ესე კჳრიკე ქორიკოზი კახეთისა ადარნასე პატრიკსა, ჰერეთის მყრობელსა; და ვინაჲთგან შეიწყნარა კჳრიკე ამირ აგარიანმან, და მოიცა ამირისაგან კჳრიკემ ძალი. არამედ ადარნასემ ამით ვერღარა იკადრა მეფობით წოდებად თავისად, გარნა პატრიკად. ხოლო შემდგომად მტერად ადარნასესა მოიყვანა კჳრიკემ მეფე აფხაზთა კოსტანტინე ქ˜სა შ˜იე, ქარ. რ˜ლე. მერმე დაზავდნენ ვეჯინს, ვითარცა აღვსწერეთ, და დაშთა ჰერეთი ადარნასე პატრიკსა, ხოლო კახეთი კჳრიკეს. შემდგომად მოკუდა კჳრიკე ქორიკოზი ქ˜სა შ˜იჱ, ქარ. რ˜ლჱ. ხოლო ადარნასე პატრიკმან მოგუარა ცოლი ძესა თჳსსა ასული ადარნასესი და დაჲ გურგენ ერისთავთ-ერისთავისა ძის ძის ძისა აშოტ კურადპალატისა სახელით დინარ, და ამის ძის იხშანიკისამდე იყო ჰერეთი მწუალებელი ქასრეს ჟამითგან აქამომდე. ხოლო ამან დინარ დედოფალმან მოაქცია ჰერეთი სომეხთა წუალებისაგან მართლმადიდებლობისა აღმსაარებლად.

ზ˜. ფადალა, ი˜ა წელი მთავრა

ხოლო კუალად კახეთს შემდგომად კჳრიკესა დაჯდა ძე მისი ფადალა ქორიკოზად. ჟამსა ამისსა მოვიდნენ სარკინოზნი საჯნი და მოსტყუევნნეს კახეთი და წარიღეს საჯთა ჯუარი დაჭრილი. არამედ

1-24 სტრ., 560

რა იხილა შეავება ფადალასი ძემან ადარნასესამან და ქმარმან დინარ დედოფლისამან, კუალად დაიპყრა კჳრიკესა და კოსტანტინე მეფისაგან მიღებულნი ჰერეთისა თჳთვე და იწოდა კუალად მეფედ. ხოლო ამან ფადალა ქორიკოზმან უშუელა აფხაზთა მეფესა გიორგის, რაჟამს მოადგა უფლისციხეს ძესა თჳსსა და შემდგომად ამისა მოკუდა ფადალა ქორიკოზი ქ˜სა შ˜კთ, ქარ. რა˜მთ.

ჱ, კჳრიკე, მ˜ზ წელი მთავრა

და დაჯდა კახეთს ქორიკოზად კჳრიკე ძე ფადალასი. ამას განუდგნენ გარდაბანელნი და მოიყვანეს გიორგი მეფე აფხაზთა; შეიპყრა კჳრიკე გიორგი მეფემან და დაიპყრა კახეთი თჳთ. ხოლო შემ-

დგომად გიორგი მეფის სიკუდილისა და ლეონ ძისა მისისა სიკუდილისა დაიპყრა კჳრიკემვე კახეთი. შემდგომად ამან კჳრიკემ მისცა ადარნასე ძასა მისსა დიმიტრის აფხაზთა მეფესა. კუალად ამანვე კჳრიკემ გამოიყვანა უფლისციხიდამ მეფე ბაგრად და დედა მისი გურანდუხტ. ესე კჳრიკე დაეზავა დავით კურადპალატსა. შემდგომად ამისა მოკუდა ქ˜სა შ˜ოვ, ქარ. რ˜ჟვ.

თ˜, დავით, ლ˜დ წელი მთავრა

შემდგომად კჳრიკესა დაჯდა ძე მისი დავით ქორიკოზად. ესე დავით ქორიკოზი და მეფე ბაგრად შეიბნენ და იძლია ბაგრატისაგან დავით. არამედ შემდგომად კეთილ-ქორიკოზობისა მოკუდა დავით ქ˜სა, ჩ˜ი, ქარ. ს˜ლ.

ი˜. კჳირიკე დიდი, კ˜ წელი მეფა

ხოლო შემდგომად დავითისა დაჯდა ძე მისი კჳრიკე ქორიკოზად. ესე კჳრიკე შეიპყრა მეფემან ბაგრად და დაიპყრა კახეთი თჳთ. ხო-

1-29 სტრ., 561
ლო ჰერეთს მომკუდარ იყო იშხანიკ და არღარავინ იყო მკჳდრი, თჳნიერ დინარ დედოფლისა. მოვიდა ბაგრად მეფე, დაიპყრა თჳთ ჰერეთი და წარიყვანა დინარ დედოფალი და დასხნა ერისთავნი თჳსნი. ხოლო შემდგომად ბაგრად მეფის სიკუდილისა ამან კჳრიკემ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა. გარნა თუ ისხდნენ ერისთავნი ჰერეთს. არამედ ამან კჳრიკე მეფემან უფროს განამტკიცნა და დასხნა სამი კახეთს და ოთხი ჰერეთს; და კახეთისა ერთი რუსთავს, და მისცა სრულიად კუხეთი, რომელ არს ნაგები, ყარაია, ჩადივარ, სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი და თიანეთი, არაგჳს კერძო ჟინვანამდე. მეორე დასუა კუეტერისა და მისცა უჯარმას ზემოთი ორთა მთათა შორისი, რომელ არიან კახეთისა და კუხეთისა, ვიდრე კავკასამდე და გარდაღმად. ესე არს ერწო-თიანეთი, ფხოველნი, ძურძუკი და ღლიღჳ. მესამე პანკისისა ანუ მარილისისა და მისცა ჰერეთის საზღვრის ზეითი კავკასამდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ.

ხოლო ჰერეთს დასუა პირველი ხორნაბუჯს ანუ ხორანთას და მისცა ქისიყი და გარეთ-კახეთი კუხეთის საზღვრამდე, ალაზანსა და მტკუარს შიგნით და ჰერეთის მთისა. მეორე ვეჯინს და მისცა ქისიყის საზღვარს ზეითი თურდოს ჴევამდე და ალაზანსა და ჰერეთის მთის შიგნითი, რომელ არს აწ შიგნით-კახეთი. მესამე მაჭისა და მისცა მაჭის წყლის ქუეთი და ალაზნის აღმოსავლეთი შაკი-

ხითურთ და ხუნზახითურთ. მეოთხე დასუა შტორისა და მისცა შტორის ჴევიდამ მაჭის წყლამდე ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ, რომელ არს აწ გაღმა-მჴარი, და ამანვე შეაერთა კახეთი და ჰერეთი.

კუალად ამანვე ჰყო სასახლე თიანეთს ჴელოვანი, ამანვე ჰყო თელავი სასახლედ და ტახტად კახეთისა და ჰერეთისა. განმდიდრდა კჳრიკე და მოირჭმა ყოვლითურთ და ამისთჳს ეწოდა დიდი კჳრიკე, რამეთუ გამეფდა ესე პირველად და ყვნა ესენი, რომელი დავსწერეთ.

1-26 სტრ., 562
ამანვე უშუელა მეფესა ბაგრატს რანთა ზედა, ამასვე კჳრიკე მეფესა მოუჴდა ოვსთა მეფე ურდურე. ამან ურდურე გარდმოვლო გზა ძურძუკთა და ღლიღუთა და შთამოვიდა თიანეთს და მოაოჴრა კახეთი. ამას ეწყო კჳრიკე მეფე შეკრებული სპითა და ბრძოლასა ძლიერსა იძლივნეს ოვსნი და მოჰკლეს კახთა ურდურე, მეფე ოვსთა, და მოსწყჳდნეს ოვსნი. არამედ შემდგომად კეთილ-მმართველ მეფობისა იყო კჳრიკე მეფე ნადირობასა შინა განმსუენე ფიდართ გორთან და მოკლა ვინმე ოვსმან მონამან დიდი კჳრიკე მეფე კახთა, სისხლთათჳს ოვსთა მეფისა ურდურესა ქ˜სა ჩ˜ლთ, ქარ. ს˜ნთ.

ი˜ა. გაკი, ი˜თ წელი მეფა

ხოლო კჳრიკე მეფესა არა ესუა ძე, არამედ გაეშვილა დისწული თჳსი სომეხთა მეფის სამშჳლდელის დავითის ძე გაკი, და შემდგომად სიკუდილისა კჳრიკე მეფისა დაჯდა ესე გაკი კახთა მეფედ. ამან გაკი უშუელა ბაგრად მეფესა ტფილისის მოდგომასა ზედა, ესევე გაკი შეება მეფესა ბაგრატს მიქელ გაბრიელის მთასა ზედა. ესევ მოვიდა წინაშე ბაგრატ მეფისა დარბაზობად, რაჟამს აღიღო ტფილისი ბაგრატ, ესე გაკი შუელოდა ლიპარიტს ბაღუშს ბაგრატ მეფესა ზედა. არამედ ჟამად ეპყრა მეფესა ბაგრატს ჰერეთი და გაკის კახათე. ხოლო შემდგომად მოკუდა გაკი ქ˜სა ჩ˜ნჱ, ქარ. ს˜ოჱ.

ი˜ბ. აღსართან, კ˜ვ წელი მეფა

შემდგომად გაკისა დაჯდა ძე გაკისა აღსართან მეფედ კახთა. არამედ ჟამსა ამისსა დაიპყრა მეფემან ბაგრატ უმეტესად ჰერეთი და შემდგომად მოსლვისა სულტანისა მივიდა აღსართან წინაშე სულტნისა და იქმნა მაჰმადიან. ამისთჳს მისცა სულტანმან კახეთი და ჰერეთი სრულიად ნაქონები ბაგრატ მეფისა. ამასვე აღსართანს მოგუარეს ფადალა განძისა ლტოლვილი და იქმნა რა იგი აღვსწერეთ.

1-24 სტრ., 563
ამანვე აღსართან უშუელა გიორგი მეფესა ლიპარიტსა და სარკი-
ნოზთა ზედა, ხოლო შემდგომად გიორგი მეფის მოსლვისა სულტნი-
დამ და სპათა შემოცლისა ვეჯინის ციხისაგან წარვიდა ესევე აღსარ-
თან წინაშე სულტნისა და უმეტესად დაიმტკიცა და წინადაიცვითა
რჯულითა მაჰმადისათა, ამისთჳს მოსცა მასვე სულტანმან ჰერეთი და
კახეთი. მერმე მოვიდა და დაიპყრა ორივე და მართვიდა თჳთ. არა-
მედ შემდგომად მოკუდა აღსართან ქ˜სა ჩ˜ჰდ, ქარ. ტ˜დ.

ი˜გ. კჳრიკე, ი˜ჱ წელი მეფა

დაჯდა შემდგომად აღსართანისა ძე ამისი კახთა მეფედ კჳრიკე.
ესე კჳრიკე იყო მჴნე, ახოვანი და მეფობისა ღირსი და ჭეშმარიტი
ქრისტეანე. ამას კჳრიკეს მოუღო დავით აღმაშენებელმან ციხე ზედა-
ძნისა, არამედ შემდგომად კეთოლ-მეფობოსა მოკუდა კჳრიკე
ქ˜სა
ჩ˜რბ, ქარ. ტ˜კბ.

ი˜დ. აღსართან, გ ˜ წელი მეფა

გამეფდა ძე კჳრიკესი აღსართან. არამედ იყო ესე უგვანი, ცუ-
ნდრუკი, ხელადმქცევი და შეუმგზავსი მეფობისა. ხოლო შემდგომად
სამისა წლისა ამ აღსართანის მეფობისა შეიპყრეს წარჩინებულთა
ჰერ-კახთა უგუნურებისა მისისათჳს ესე აღსართანი და მისცეს მე-
ფესა დავით აღმაშენებელსა. მაშინ დავით აღმაშენებელმან დაიპყრა
სრულიად ყოველი ჰერეთი და კახეთი და ამიერ ჟამითგან იყო ერთ-
მეფობასა შინა, ვიდრე ო˜ჱ მეფის გიორგისამდე წელი ტ˜ჲგ. არამედ
ესე აღვსწერეთ მოკლედ, ვინაჲთგან ერთობისა ქარტასა შინა აღგვი-
წერია, გარნა აქა წარმოვაჩინეთ უცხადესად.

1-27 სტრ., 564
აღმოჩენა და პყრობა აწინდელთა მეპატრონეთა
კახეთისათა

ხოლო განუდგნენ რა ო˜ჱ მეფესა გიორგის ქ˜სა ჩ˜უჲვ, ქარ.
რ˜ნდ, და დავით დაიპყრა კახეთი. არამედ ამ დავითისასა, არა ვითარ-
ცა კახნი იტყჳან, სარწმუნო არს და საგონებელი ეგრეთ, რამეთუ
იყო ესე დავით ძე ალექსანდრესი ძისა დავითისა და ამან ალექსანდ-
რემ განჰყო ძენი თჳსნი: უხუცესსა ბაგრატს მისცა იმერეთი, მეო-
რესა გიორგის მისცა ქართლი, სომხითი და სამცხე-კლარჯეთი, მე-
სამეს ამ დავითს მისცა ჰერეთი და კახეთი. არამედ ამას ვიხილავთ
არა ესრეთ, რამეთუ ვინაჲთგან არა იყო ჩუეულება მეფეთა და უფ-

როსღა ბაგრატიონთა შინა, რათამცა განხეთქილება ექმნათ სამეფოსა. გარნა უფროს განუხეთქელობასა მცდელობდნენ და არცა რიდებდნენ სისხლთა. ვითარცა საჩინო არს. გარნა თუ ძეთა დასხმიდნენ არა მეფედ, არამედ ერისთავად და მორჩლად მეფეთა. და ვინაჲთგან არცა ეგდენ დიდ არს, რათა დგეს წინაშე მტერთა სამ სამეფოდ. მეორედ ვიუწყებთ ცხოვრებათა, გუჯრებთა და ქრონიკონებთაგან, რამეთუ იყო ერთმეფობა ბრწყინვალის მეფის გიორგიდამ, ვიდრე ო˜ჱ მეფის გიორგისამდე, ვითარცა ჟამსა ბაგრატ მეფისასა, მოსლვასა თემურისასა და ალექსანდრეს მცხეთის აღმაშენებელისასა; რამეთუ არა ძალ-ედვათ ქმნად იგინი, რომელნი აღწერილ არიან და სხუანიცა. მესამედ, არა იყო იგი ალექსანდრე მეფე ქართლისა არცა ძე დავითისა, არამედ იყო ძე ბაგრატისა, მიქელ მეფის ძისა იმერთასა, და არცა ესუა ამ ალექსანდრეს სამნი იგი ძენი, არამედ მხოლოდ დიმიტრი, და ამ დიმიტრის ძე ბაგრატ განუდგა გიორგის ო˜ჱ მეფესა, და უკეთუ მცხეთის აღმაშენებელის ალექსანდრეს ძენი იყვნენ იგინი, არა ესუა ალექსანდრეს იგინი, არამედ ვახტანგ შემდგომად მისა მეფე, ბ˜გიორგი, ო˜ჱ მეფე, და მესამე დიმიტრი, რომე-

1-30 სტრ., 565
ლი წარავლინა წინაშე ყეენის და პატივცემული მოუვლინა. ესენი ყოველნი გუჯრითა და ქრონიკონებითა ესრეთ არიან. და კუალად უკეთუ მის ზეითის ალექსანდრეს ძე იყოს დავით, ვერ მოსწუდებიან დავით, გიორგი და ალექსანდრე ავგიორგისამდე, ვინაჲთგან ვსცნობთ ქრონიკონსა სიკუდილსა ალექსანდრესსა ავგიორგისაგან, რომელს რიცხუს მოკლა, რამეთუ გარდაჴდნენ მის ალექსანდრედამ ავგიორგისამდე წელნი რ˜კბ. მეოთხედ, რამეთუ მცხეთის აღმაშენებელის ალექსანდრესი წარმოვაჩინეთ. გარნა ესეცა იუწყე, რამეთუ ამის წინათთა მეფეთა ჟამთა შინა, ანუ ცხოვრებათა, ანუ გუჯართა და ქრონიკონებთა შინა არა სადა ვიხილავთ კახთა მეპატრონეთა მოჴსენებასა, არათუ შემდგომად ალექსანდრე ო˜ვ მეფისა.

კუალად ვინამენი იტყჳან ძეთა აღსართანისათა ყოფად მათ. არამედ ესე უმეტეს შეუმგზავსებელ არს თქმად. ვინაჲთგან აღსართანის ნათესავი მოსწყდა ჟამსავე დავით აღმაშენებელისასა, ვითარცა ითქუა. მეორედ არა იქმნას გუარი ტ˜ჲგ წელსა, არა თუ იყოს ჩინებული და დაადგრეს მოსაჴსენებელად. მესამედ, რამეთუ არა სადამე ვიხილავთ კუალად მოჴსენებასა, ანუ ყოფნასა მათსა აღმაშენებელიდამ ო˜ჱ მეფის გიორგისამდე. ხოლო არამედ ბაგრატიონთა ჩამომავლობა მათი ძალ-უცს ყოფად, ამისთჳს რამეთუ ჩუეულება იყო საქართველოს ნათესავთაგან მაშინ, რამეთუ არა ვისმე იპატრონებდიან. უკეთუ ჰყავთ მემკჳდრე მეფეთა ნათესავი. გარნა უკეთუ განდგა გრიგოლი და მას ჟამსა შინა სხუანი არღარა ვინ იყო მეფეთა

ნათესავი. მეორეს, უკეთუ მონათესავეთაგანი მეფეთა არა იყოს
დავით, მასვე ჟამსა ვერ იკადრებდა მეფედ წოდებად და სწორყოფად
და ვერცა გუარობათა მეფეთასა, ვითარცა ათაბაგი, დადიანი და გუ-
რიელი და სხუანი. არამედ თუცა ესენიცა განდგნენ, გარნა არა მე-
ფედ, არამედ მთავრად, ვინაჲთგან განმკჳდრებულნი აქუნდათ საე-
რისთონი თჳსნი პირველვე. გარნა ზნენი მათნი ჰფარვენ, ვინაჲთგან
არიან მესისხლენი მამა-ძმათა თჳსთა ცუდად და კეთილშემძლებელ-
თა წარჩინებულთა თჳსთა და სხუათა მიყოლითა და მინდობითა საქ-

მეთა თჳსთა განმართვენ და ჰყოფენ, და არა თჳთ თავით თჳსით.
რამეთუ არა საცა ცხოვრებასა შინა ვიხილავთ ესრეთთა ბაგრატი-
ონთა ტომსა. არამედ ვინაჲთგან ბნელი და უჩინო არს ცხოვრება და
ძნიად გამოსაკულეველი. გარნა რაოდენ შესაძლებელ არს გუჯრებთა,
სიგლებთა და ქრონიკონებთაგან წარმოვაჩინოთ, რამეთუ ესე დავით
ანუ არს ჰერთა და კახთა ერისთავთაგანი ერთი განდგომილი, ვი-
თარცა გრიგოლი მთავარი. არამედ ესე უღონოებს, ვინაჲთგან საგო-
ნებელ არს სხუათა ერისთავთა არა დამორჩილებად მისდა. ხოლო
უკეთუ გრიგოლისას იტყჳ, იგი იყო თჳთ კახეთის ერისთავი და და-
იპყრა კახეთი და არა ჰერეთი, რამეთუ არა ერჩდა ადარნასე. გარნა
ვსწერთ ჩუენ მეფის ალექსანდრეს მცხეთის აღმაშენებელის ძის დი-
მიტრის ძედ დავითს, რომელსა აქუნდა საერისთოდ ანუ საუფლის-
წულოდ (ვითარცა ჩუეულება არს საქართველოსი) კახეთს ანუ ჰე-
რეთსა შინა. ამისთჳს რამეთუ ალექსანდრეს მცხეთის აღმაშენებელს
არა ესუა ძე, თჳნიერ რომელი ზეით აღვსწერეთ, მოწმობითა მითვე
აღწერილითა და ამითი ბაგრატიონობა მისი და ჩამომავალთა მის-
თა დიმიტრისაგან და თჳნიერ მისა არა. და თუ ვის გნებავს უმეტეს
ამათგანი ანუ მოწმობითა სხუა იგულვეთ. ხოლო ჩუენი გამოკულე-
ული ქუემორე საჩინოდ არს.

ცხოვრება აწინდელი მეპატრონეთა

ა˜. მეფე დავით, ე˜ წელი მეფა

ხოლო რაჟამს იძლია ო˜ზ მეფე გიორგი ჩიხორს ბაგრატისაგან
და შემდგომად თავრიჟ გილაქის თემურისაგან, მერმე შეპყრობილ
იქმნა ყუარყუარე ათაბაგისაგან და დაიპყრა ქართლი ბაგრატ მეფე-
მან იმერთამან და იწყო პყრობად კახეთისად. ამისთჳს შეიზრახნენ
მაშინ ჰერკახთა წარჩინებულნი და ერისთავნი და არა ინებეს მეფედ

თჳსად ბაგრატ, ვინაჲთგან განდგნენ სხუანიცა და გამოირჩიეს მუნვე

მყოფი ერისთავთაგანი ანუ გამოკულეული ჩუენი ესე ო˜ვ მეფის ალექსანდრეს ძის დიმიტრის ძე დავით და დასუეს, ვითარცა მეფე, რათა აქუნდესთ თავისუფლება შლილობათა ამათ შინა. ხოლო ოდეს განთავისუფლდა ო˜ჱ გიორგი მეფე, შეკრებული სპითა ათაბაგით-ურთ მოვიდა დავითს ზედა.

მაშინ კუალად დაუტევეს ჰერ-კახთა დავით და მიერთუნენ მეფესა გიორგის, და დაიპყრა მეფემან გიორგი ჰერ-კახნი. ხოლო დავით ივლტოდა დედაწულით თჳსით დიდოეთს და დიდოთა შეიწ-ყნარეს იგი და პატივ-სცეს კეთილად. მაშინ გიორგი მეფემან ვერღა-რა ავნო დავითს მუნ, ვინაჲთგან აქუნდა შინაგანი განუსუენებლობა. არამედ შემდგომად სიკუდილისა მეფისა გიორგისა ჩამოიყვანეს კუ-ალად დავით დიდოეთიდამ ჰერ-კახთა და დასუეს უმეტეს მტკიცედ მეფედ კახთა და იტყჳანცა, რამეთუ აკურთხეს ბოდბეს ქ˜ეს ჩ˜უჲთ, ქარ. რ˜ნზ. რამეთუ იხილეს განსუენება თჳსი ჰერ-კახთა ამის გამო, ვინაჲთგან კოსტანტინე მეფესა აქუნდა მას ჟამსა დიდი განუსუენებ-ლობა. არამედ კურთხევასა კოსტანტინესსა წარვიდნენ რომელნიმე ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი ჰერ-კახთანი, და არცა უტევებდა კოსტანტინე მეფე ჰყრობად დავითს მარტყოფს, საგურამოს, და ხე-რკსა, და ვერ ბრძო დავით კოსტანტინეს, ვინაჲთგან ეშინოდა ერის-თავთა თჳსთაგან, არამედ მცდელობდა განმკჳდრებასა ჰერ-კახთასა, გარნა მცირედისა შემდგომად დასნეულდა ვითარებასა შინა და მო-კუდა ქ˜სა ჩ˜უოა, ქარ. რ˜ნთ.

ბ˜.მეფე გიორგი, კ˜ა წელი მეფა

შემდგომად დავითისა დაჯდა ძე მისი გიორგი მეფედ კახთა (ანუ ვითარცა სხუანი იტყჳან ლევან) და ეკურთხა ბოდბეს. ხოლო ესე გი-ორგი, ვინაჲთგან მცდელობდა მეფე კოსტანტინე ჰერ-კახთა ერის-თავთა თანა კუალად შეერთებასა და ერთმეფობასა, ამისთჳს მიერ-თო იმერთა მეფესა ბაგრატს და დაიპყრა სრულიად კახეთი. მაშინ

1-29 სტრ., 568
მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა, ვითარცა არიან დღემდე: მოურავი ქისიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდა-ყუარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხუანიცა, და გან-ჰყო ოთხ სადროშოდ, ვითარცა აღვსწერეთ, და მისცა დროშანი ეპისკოპოსთა, რათა არა განიმკჳდრონ მთავართა და დაიპყრან შე-უცვალებელად, და ამით ერთგულ-ყვნა მრავალნი.

კუალად ჰყო ალავერდელი ეპისკოპოსად, რამეთუ იყო აქამომ-

დე ამბა და მონასტერი და მისცა სამწყსო და ხარისხი თავ კახთა ეპისკოპოსთა. კუალად ჰყო გემი ქალაქი და ტახტი ჰერ-კახთა და შენობა დიდი. ამანვე მოსპო სახელი ჰერეთისა და იწოდა, ვითარცა აღვსწერეთ, არა მისცა მთავართა ძალი, არამედ თჳთ დაიპყრა. გარნა თუ იწოდა თჳსთაგან მეფედ. არამედ გარემონი თჳსნი კახ-ბატონად უწოდებდენ. ამათ არა მორჩილებდნენ თუშნი და ფშავ-ჴევსურნი. არამედ დიდოეთი ერთგულებისათჳს დავითისა ერულებდენ ამათ და მსახურებდნენ.

ხოლო მოსლვასა უზუნ-ასან ყეენისასა, რა მოსრნეს ხერკი, საგურამო, მარტოფი და თიანეთი, ამან გიორგი უძღუნა ყეენსა ძღუენი დიდი და ტყუენი ქალ-ყრმანი და აღეთქუა მორჩილება და დაადგრა მშჳდობით. ხოლო შემდგომად ეზრახა გიორგის მეფე კოსტანტინე მწეობასა სპარსთა და სარკინოზთა ზედა და არა ინება გიორგიმ, რათა არა იქმნას კუალად შეერთება. მერმე მოსლვასა იაყუფ ყეენისასა ეგო კუალად გიორგი მშჳდობით. გარნა მცდელობდა ურჩთა შეცულასა და თჳსთა ამაღლებასა. აღაშენა კახეთი და განავსნა, ვინაჲთგან აქუნდა მშჳდობა: შემდგომად მოკუდა მეფე გიორგი ქ˜ესა ჩ˜უჟბ, ქარ. რ˜პ.

გ˜. მეფე ალექსანდრე ა˜, ი˜თ მეფა

დაჯდა შემდგომად გიორგისა ძე მისი ალექსანდრე, მკურთხევი ბოდბესვე მეფედ (ვინამენი იტყჳან ალავერდს). ესე ალექსანდრე იყო

1-29 სტრ., 569
 შუენიერი, ჰაეროვანი, ახოვანი, მოისარ-მოასპარეზე, საჩინო და უებრო, კეთილ-უბოროტო, მოწყალე, მშჳდი და მდაბალი.ამას ესხნეს ძენი: გიორგი და დიმიტრი. ესე დაზავდა მეფესა ქართლისასა კოსტანტინეს და განაჩინეს საზღვარი აღწერილი და იყო მიერით მშჳდობა და მეგობრობა ურთიერთთა.

ხოლო ჟამსა ალექსანდრესსა გამოჩნდა შაჰისმაილ, ძე შიხისა, და აღიღო შაჰისმაილ ადრიბეჟანი და შირვანი ქ˜ესა ჩ˜ფ, ქარ. რ˜პ‰, თათრულსა ქრონიკონს შ˜ზ. ამან ალექსანდრემ წარუვლინა შაჰის მაილს შირვანს ძე თჳსი დიმიტრი ძღუნითა დიდითა და ტყჳთა ქალყრმითა და მიუმცნო მორჩილება. ხოლო შაჰისმაილ პატივით შეიწყნარა და წარმოუვლინა დიმიტრი ნიჭითა და ზავითა მშჳდობისათა.

ამანვე ალექსანდრემ უმეტესად დაიმშჳდა კახეთი და მოიმტკიცა თჳსად, აღაშენა და განავსო და მართვიდა კეთილად, არამედ ძე მისი გიორგი იყო ბოროტ-მეშურნე და მესისხლე. გარნა ვერ იჩენდა

შიშითა მამისათა, გარნა ეტყოდა მამასა კირთებასა ქართლისასა და გარემოსთა თჳსთა. ხოლო ალექსანდრე არცაღათუ ისმენდა და ასწავებდა ძესა სიმშჳდესა და უშფოთველობასა, რამეთუ აქუს აღძრვა დიდი რისხჳსა ღუთისა შფოთსა. არამედ გიორგი ამისი არა მსმენელი ეშურვა მეფობასა მამისასა, რათა ჰყოს წადიერება თჳსი. გარნა იცა ჟამიცა მარჯუე საფურცლეს მდგომის მამისა ზედა უგრძნეულოსა ძისაგან ესე ვითარისათჳს, მოკლა ღალატად გიორგიმ მამა თჳსი, მეფე ალექსანდრე და შეიპყრა ძმაცა თჳსი დიმიტრი, რათა არა ივლტოდეს სპარსეთად, რამეთუ აქუნდა შური მიერ ჟამითგან, რაჟამს წარავლინა მამამან თჳსმან წინაშე ყეენისა და აღმოჴადნა მასცა თუალნი ქ˜სა ჩ˜ფია, ქარ. რ˜ჟთ, და მიერ ჟამითგან უწოდეს ავგიორგი.

დ˜. მეფე გიორგი, ბ˜ წელი მეფა

და დაჯდა მამისა და ძმისა მკლველი ესე გიორგი მეფედ კახთა და დაიპყრა კახეთი სრულიად. არამედ კმა იყო სიბოროტე იგი

1-29 სტრ., 570
და კუალად აღივსო შურითა და იწყო კირთებად დავით ქართველთა მეფისა და რბევად და ოჴრებად შიდა ქართლისა მონათესავეთა და ერთსჯულთა თჳსთა, ვითარცა აღვსწერეთ. ხოლო შემდგომად მოკლეს ავგიორგი ქ˜სა ჩ˜ფიგ, ქარ. ს˜ა.

ე˜. დავით ქართლის მეფე, ზ˜ წელი მეფა

მაშინ შთამოვიდა მეფე დავით კახეთს და დაიპყრა სრულიად კახეთი. ხოლო ყრმა მცირე ძე ავგიორგისა შჳდის წლისა ოდენ დედით თჳსით დამალა სალთხუცესმან ჩოლაყაშვილმან გარსევან(დაჰყო ერთგულება დიდი) სახლსა თჳსსა და ზრდიდა მას. ხოლო დედა მისი ცოლი ავგიორგისა მეყვისი ნათესავი იყო გარსევანისა. ხოლო შემდგომად ყრმისა ამის ლევანისა ყოფნა ეუწყა მეფესა დავითს და ამისთჳს წარმოევლინა ბაგრატ ძმა თჳსი სპითა. ესე ჩამოვიდა კახეთს, ამან დასდვა შიში დიდი და შეიფიცნა სრულიად არა ყოფისა და უწყებისათჳს ლევანისა. არამედ გარსევან ჰყო მცბიერობა იგი, რომელიცა აღვსწერეთ, და მერმე გულპორიბილი ბაგრატ უკუნიქცა ქართლსავე სპითურთ. ხოლო გარსევან წარიყვანა ლევან ციხესა შინა ოჩანისასა. არამედ შემდგომად მოსლვისა შაჰისმაილ ყეენისასა ქ˜სა ჩ˜ფიზ, ქარ. ს˜ვ გამოიყვანეს ლევან ოჩანის ციხიდამ ზემოურთა კახთა და ჩამოიყვანეს კახეთს. მაშინ მიერთუნენ ყოველნი კახნი და დაიპყრა ყოველი კახეთი.

ამისმან მცნობმან მეფემან დავით გარდმოვლო გომბორი სპითა დიდითა. არამედ ვერ წინააღუდგა ლევან და შევიდა ციხესა შინა თავსა მაღრანისასა, ამას მოადგა დავით მეფე და შეამჭირვა ფრიად. არამედ ზაკვითა მთავარეპისკოპოზისათა განმაგრდა დედა ლევანისა ციხესა შინა და უკუნიქცა დავით მეფე ქართლს ოსმალთა ზედა. მაშინ გამოვიდა ლევან ციხიდამ, შემოიკრიბნა კახნი და წარუვლინა ფარულად კაცი გურიელს მამიას და მოითხოვა ასული მისი თინათინ ცოლად და ითხოვა მწე-ყოფად მისგან: რამეთუ ჟამსა მას მეგობარნი იყვნენ ათაბაგი და გურიელი. ხოლო გურიელმან მოსცა ასული

თჳსი და აღუთქუა მწე-ყოფად, არამედ, მოსრნა რა ოსმალნი დავით მეფემან, შთამოვიდა კუალად კახეთს სპითურთ და მოადგა ლევანს მაღაროს მყოფსა, რამეთუ მიერთუნენ დავითს ზემოურნი კახნიცა. ეწყო მუნ ლევან სიმაგრით-გამო მცირითა სპითა, იძლია დავით მეფე და წარვიდა ლტოლვილი ტფილისს. მაშინ ლევან შემოიკრიბნა ყოველნი სრულიად კახნი, მივიდა ბოდბეს და ეკურთხა მეფედ ქ~სა ჩ~ფკ, ქარ. ს~Ჩ.

ვ~. მეფე ლევან ნ~დ წელი მეფა

ხოლო დაჯდა ლევან კახთა მეფედ და დაიპყრა საზღვარი კახეთისა. მაშინ ესმა, რამეთუ ეძლო გურიელს დავით მეფისათჳს და იდგა მუხრანს, წარვიდა სპითა ლევან მსწრაფლ და მივიდა მუხრანს. არამედ გურიელი აიძულებდა და განაზრახებდა, რათა ჰყოს ზავი და სიყუარული დავით მეფისა თანა, ვინაჲთგან დავით მეფე წადიერებდა კუალად ბრძოლასა და შურ-გებასა გურიელისასა. სთნდა ესე ლევანს და ეზრახნენ დავით მეფესა და მისცეს, რა იგი ინება, და ჰყვეს ზავი განჩინებითა საზღვრისათა და მტერ-ყოფა მტერთა ზედა, და სიყუარული მტკიცე, და შემდგომად ურთიერთთა ხილვისა წარვიდა გურიელი თჳსად. ხოლო ლევან მოვიდა კახეთს და წარავლინა მოყვანებად ცოლისა. არამედ ქალსა მას ეხილვა სიზმარსა შინა, „რამეთუ წარგიყვანს დიდებული, ვინმე ცოლად და მთასა ერთსა იხილო მოგზაურმან შინდი თეთრი, მდგომარე შუენიერს ადგილს, აღაშენე მუნ მას ზედა მონასტერი ღუთისმშობლისა“. ხოლო წარმოყვანილი მოიყვანეს რა შუამთას, გარდაჴდნენ განსუენებად და სამჴრობად, მაშინ იხილა თინათინ შინდი იგი სიზმარხილული და აღუთქუა აღშენება ტაძრისა, ვითარცა სმენოდა: მუნიდამ მოიყვანეს გრემს და ჰყო ქორწილი ჯეროვანი ლეონ.

ხოლო ამან ლეონ აშუელნა დავითს ქართველთ მეფესა სპანი

1-28 სტრ., 572
შაჰისმაილსა ზედა. ამანვე ლევან იხილა სიზმრივ ხატი სიონისა ღუ-
თისმშობელისა, რომელი განძარცვა შაჰისმალ, რამეთუ არს ნათ-
ლუხის ჭალასა შინა, წარვიდა და ჰპოვა იგი და წარმოიღო და შეამ-
კო და წარავლინა კუალად ტფილისსვე სიონსა შინა.

ხოლო შემდგომად ლევანს უშვა ცოლმან თინათინ ძე ალექსან-
დრეს ქ˜სა ჩ˜ფკზ, ქარ. ს˜იე. შემდგომად კუალად უშვა ძე იესე, მერმე
განუტევა ცოლი თჳსი თინათინ ლევან, ნებითავე თინათინისათა, ვი-
ნაჲთგან იყო ლევან ფრიად მეძავი და არღარა ინება მეუღლეობა მის
თანა. მრისხანემან ამისთჳს ლევან წარატანა ძენიცა თინათინს.

ხოლო თინათინ მოვიდა შუამთას და აღაშენა მონასტერი შინ-
დსა მას ზედა მზითვითა თჳსითა და დაუდგინა მოძღუართ-მოძღუარი
და შესწირნა დაბნები მოყიდულივე თჳსი და იყოფოდა მუნ სიკუ-
დიდმდე.

ხოლო შემდგომად მისა მოიყვანა ლევან ცოლად ასული შამხ-
ლისა და იქორწინა მის თანა; და შემდგომად, მიდგომილმან უშვნა
ოთხნი ძენი შემდგომად შემდგომადი: გიორგი, ელიმურზა, ვახტანგ
და ხოსრო. ხოლო ესე ლევან მეფე, გიორგი და ბაგრატ მეფენი წარ-
ვიდნენ იერუსალიმს, ვითარცა აღვსწერეთ, და შემდგომად ოდეს მო-
ვიდა შაჰთამაზ და შემუსრა ტფილისი, უკუნიქცა და დადგა ყარაბაღს,
მივიდა მუნ ლევან წინაშე შაჰთამაზისა ქ˜სა ჩ˜ფლვ, ქარ. ს˜კდ.

ამას პატივ-სცა შაჰთამაზ, ანიჭა და გამოუტევა თჳსადვე, არამედ
მპყრობელი შაქ-შირვანისა ასანბეგ მორჩილებდა შაჰთამაზს და გან-
ზრახჳთა ყეენისათა ეკერთებოდა კახეთს ასანგებ, რამეთუ უკეთუ
ავნოს ლევანს, იქმნას მის მიერ ნიჭული ასანბეგ, ვინაჲთგან კახეთი
იყო ფრიად შენი და მაგარი. ამისი მხილველი ლევან ეზრახა მშჳდო-
ბასა და არა ინება მშჳდობა ასანბეგ, ამისთჳს შემოიკრიბნა სპანი
ლევან და მიუჴდა შაქს, ეკუეთა ასანბეგ და ბრძოლასა ძლიერსა იძ-
ლია და ვერღარა გაუსწრა და მოკლეს ასანბეგ და მოსწყჳდნეს სპანი

1-27 სტრ., 573
მისნი, მოაოჯრა და მოსტყუევნა შაქი, აღიღო ალაფი დიდი და მო-
ვიდა გრემს ლევან.

არამედ ამას წინათთა კახთა მეფეთა არღარა მორჩილებდნენ
ფშავ-ჴევსურნი და თუშნი; და ამან ლევან დაიპყრნა არა ძალითა,
არამედ აღუთქუა, რათა ცხოვარნი მათნი უვნოდ მძოვარ იყვნენ კა-
ხეთს, და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთს შინა, და მი-

ერითგან მოსცემდენ ლაშკარსა და ბეგარისა.

კუალად ოდეს დაიპყრა რუსთა მეფემან იოანე ყაზანი და აშტარ-
ხანი და თერგი და დასხნა ყაზახნი თერგს და თარღუს მცველნი
თჳსნი, ამან ლევან წარუვლინა და ითხოვა სპა მისი მცველად ციხე-
თა კახეთისათა. მან მოუვლინა და დაადგინნა რუსნი. არამედ გან-
ძლიერდა რა შაჰთამაზ, წარგზავნნა სპანი რუსნი რუსეთადვე და
აუწყა განძლიერება შაჰთამაზისა, რათა არა მოსწყდენ სპანი თქუ-
ენნი ქუეყანასა ჩემსა.

ხოლო შემდგომად მოტყუევნისა შაქისა ლევანისაგან ქ˜სა,
ჩ˜ფმზ, ქარ. ს˜კე ეზრახნენ მეფე ლუარსაბ და მესხნი ლევანს მტერო-
ბად სპარსთა. მაშინ ლევანცა აღუთქუა ასანბეგის ყოფილისათჳს და
უწყეს სამთავე რბევა და ოჯრება ადრაბაგანსა მრავალთა ჟამთა.

ხოლო შირვანელთა დაისუეს ძე ასანბეგისა დავრიშ-მაჰმად, და
ესე არა დაემორჩილა შაჰთამაზს. არამედ განამაგრნა ციხენი და სი-
მაგრენი, და დაადგრა თჳსად. ამისა შემდგომად მოცალე შაჰთამაზ
მოვიდა ყარაბაღს სპითა და იწყეს საქართველოსათა მაგრებად ციხე-
სიმაგრეთა. მხილველი შაჰთამაზ ეზრახა ფიცით ლევანს: „უკუეთუ მო-
რჩილ მექმნე, იყო თავისუფალ ქუეყანით შენით უვნოდ და მოგანი-
ჭო ნიჭნიცა დიდნი“. ამისმან მსმენელმან ლევან და მტერობისათჳს
დავრიშ-მაჰმადისა და ფიცისა და ქუეყანისა თჳსისა უვნებლობი-
სათჳს განუტევა სიყუარული საქართველოსათა და მივიდა ყარაბღს

1-25 სტრ., 574
წინაშე ყეენისა. მან პატივ-სცა და ანიჭნა დიდნი. მერმე წარავლინა
ყეემან სპანი შირვანს, ამათ დაესხა დავრიშ-მაჰმად და მოსწყჳდნა
სრულიად სპანი შაჰთამაზისანი ქ˜სა ჩ˜ფმზ, ქარ. ს˜ლვ, თათრულს
შ˜ნე.

ესმა რა შაჰთამაზს, აღიმჴედრა და შევიდა შირვანს, ეზრახა
დავრიშ-მაჰმადს დამორჩილებასა და მიუტეოს ყოველნი შეცოდება-
ნი. ხოლო მან არა ინება. არამედ დაესხა კუალად სპათა შაჰთამაზი-
სათა და იძლია მათგან დავრიშ-მაჰმად და ლტოლვილი შევიდა ცი-
ხესა შინა გულისტანს. მაშინ წარავლინა სპანი და მეფე ლევან სპი-
თა თჳსითა ყეენმან მოდგომად გულისტანისად და ბრძოლად ძლიე-
რად. ხოლო მცირედისა შემჭირდა დავრიშ-მაჰმად და განივლტო ცი-
ხიდამ. მცნობი ლევან ეწია სპითა თჳსითა და მოკლა დავრიშ-მაჰმად
და მოსწყჳდნა მისთანანი და მოართუა თავი მისი შაჰთამაზს. ამის-
თჳს მიანიჭა ნიჭი დიდი ლევანს და გამოუტევა კახეთს: ხოლო შაჰ-
თამაზ დაიპყრა შირვანი და დასუა ბეგლარბეგი და სულტანნი თჳსნი

და განვიდა კუალად ყარაბაღს. მუნიდამ მისრულმან აღიღო ტფილი-
სი, ეზრახა ათაბაგს, მოიმტკიცა იგიცა და წარვიდა სპარსეთად.

ხოლო ლევან მდიდარი და ქუეყანა-აღვსილი იყო მშჳდობით.
არამედ უკეთუ კავკასთა ლეკნი ლევანს არ მორჩილებდენ, გარნა
ვერცარას ჰყოფდენ სავნოს მისსა. გარნა თქმულ არს, რამეთუ ჟამ-
სა ლევანისასა მოუჴდა ლეკი ვინმე დაღისტნისა გაღმა მჴარს და წა-
რიყვანა ზროხა ერთი. ჰსცნა ესე ლევან, შემოიკრიბნა იდუმალ სპა-
ნი გაღმა მჴარსა შინა და წარვიდა ეტიკითა, ვლო დღე და ღამე, მი-
უჴდა და შეიპყრა კაცი იგი დედაწულითა და ქონებითა, წარმოიყვანა
და მოვიდა მესამეს დღეს მუნავე და მოსწყჳდნა იგინი, რათა არა კა-

დნიერ იქმნენ სხუანი კუალად კირთებად კახეთისა. ამანვე ლევან მო-
იყვანა ლეკნი და დასხნა ფიფინეთს ზიდვად ყინულისად ზაფხულის
კავკასიდამ, რომელთაგან შეუდგა ბოროტი ქუემორე თქმულნი.

ხოლო შემდგომად მოვიდა კუალად შაჰთამაზ შირვანს და მი-
ვიდა წინაშე მისსა ლევან. და ამან შეიწყნარა პატივით, მერმე გამო-
უტევა ლევან და ძე მისი იესე წარიყვანა სამცხეს. არამედ უკუნ-იქცა
რა შაჰთამაზ წარმოუვლინა იესეცა ლევანს ნიჭითა. ხოლო კუალად
მოსლვასა შაჰთამაზისასა სამცხეს და მოტყუევნასა ქართლისასა და-
ადგრა ლევან მშჳდობით ქუეყანითურთ.

კუალად მოკლეს რა ლუარსა მეფე, განიზრახა ლევან, რამეთუ
ოდეს მოვიდა შაჰთამაზ და არა მივიდა მისთანა და სიკუდილისა ლუ-
არსაბისასა მოსწყდნენ სპანი ყეენისანი უმრავლესნი, ესე არა მიზეზ
ჰყო ყეენმან შურისგებად, ვინაჲთგან მზახლებუცა იყო სჳმონ მე-
ფისად და მიეცა ასული თჳსი შამხლის ქალის ნაშობი და კახეთიცა
ენება მისგან შობილისათჳს და არა განტევებულის ძის ალექსანდ-
რესათჳს. ამ მიზეზთათჳს წარავლინა ძე თჳსი იესე წინაშე ყეე-
ნისა ძღუნითა და ტყჳთა ქალ-ყრმითა და აუწყა თჳსი არა რისა შე-
ცოდება ქ˜სა ჩ˜ფნჳ, ქარ. ს˜მვ. ხოლო მეორესა წელსა აქორწინა
ასულსა თჳსსა ზედა მეფე სჳმონ და მისცა დიდითა მზითვითა. შემ-
დგომად წელსა ქ˜სა ჩ˜ფჲა, ქარ. ს˜მთ ეზრახა ლევანს სჳმონ მეფე,
რათა მწე-ეყოს განხმად ქართლისაგან სპარსთა ზედა, არამედ ლე-
ვან სათნოთი ყეენისათი ვერ მყოფი ამისი. გარნა ძე მისი გიორგი
მივიდა სპითა ძეგუს სჳმონ მეფისა თანა. ამათ დაესხა შავერდი სულ-
ტანი, მოკლეს გიორგი და მოსწყჳდნეს კახნი ნეშტნი მოვიდნენ
წინაშე ლეონისა.

მსმენელმან ლევან იგლოვა მწუხარემან მწარედ ძე თჳსი, რამე-

თუ ენება კახეთი მისთჳს. არამედ შემდგომად ამის მეფობდა კუა-
ლად უშფოთველად და აღამაღლნა ძენი შამხილის ქალის ნაშობნი და

1-27 სტრ., 576
დაამდაბლა ალექსანდრე და მოუდგინნა ყოველნი კახნი მათ.ხოლო
ალექსანდრე იყო დედით თჳსით შუამთას დაბნებთა შინა. არამედ
სლვითა ყიზილბაშთა შინა კახთა ისწავეს წესნი მათნი, სმა, ჭამა,
განცხრომა და უშუერი კეკლუცობა, ტანთმოსმა მათი. ამით დაუტე-
ვებდენ მცირედ მცირედ ზნეთა საქართველოსათა და შემოიღებდენ
სპარსთასა, გარნა უფროსად ალექსანდრეს და თეიმურაზის ჟამთა
შინა.

ხოლო შემდგომად ამისა მოკუდა ლევან მეფე სავსე სიბერით
ქ˜სა ჩ˜ფოდ. ქარ. ს˜ჲბ, და დაუტევე ქუეყანა სრულიად შენი. არამედ
შემდგომად მისსა დაიპყრა კახეთი ძემან მისმან ელიზურმან, ხოს-
რომ და ვახტანგ. ხოლო ალექსანდრე შემოიკრიბნა ზემოურნი კახ-
ნი, მოვიდა და ეკურთხა ბოდბეს მეფედ. არამედ ამ ალექსანდრეს
პირველვე მოეყვანა ასული ბარძიმ ამილახორისა ცოლად და მო-
ყურობდა დაუთხანცა მეფე ქართლისა. ამათ ეზრახა შეწევნად ალექ-
სანდრე და ნებითა დაუთხანისათა მოვიდნენ ამილახორი ბარძიმ და
კსნის ერისთავი ელიზბარ სპითა შემწედ.

ამისნი მხილველნი კახნი მრავალნი განივლტოდენ ელიმურ-
ზისა და ძმათა მისთაგან და მოერთოდნენ ალექსანდრეს. ხოლო მათ
მოიცეს ძალი შამხლისაგან და ლეკთაგან და ეწყუნენ თორღას ურ-
თიერთს, და ბრძოლასა ძლიერსა იძლივნენ ელიმურზა, ვახტანგ და
ხოსრო და მოსწყჳდნენ სამნივე ძმანი მუნ და მოსრნეს მათთანანი
სპანიცა და ალექსანდრემ დაიპყრა კახეთი ამასვე ქრონიკონსა.

ვ˜. მეფე ალექსანდრე ბ˜, ლ˜ბ წელი მეფა

დაჯდა ალექსანდრე მეფედ კახთა და დაიპყრა სრულიად კახეთი.
ხოლო ესხნეს ძენი ოთხნი: დავით, გიორგი, ერეკლე და კოსტანტინე
და ნათესავი ალექსანდრესი ჰყვა დაუთხანს ცოლად. არამედ ძემან
მისმან ერეკლემ იკლო რაიმე და გაპარვით წარვიდა წინაშე სულტ-

1-30 სტრ., 577
ნისა სტამბოლს(იტყჳან სიამაყითა ძმისა თჳსისა დავითისაგან).ეს-
მა ესე შასთამაზს და ჰგონა განდგომა ალექსანდრესი, განრისხნა და
წარმოემართა კახეთსა ზედა, მოვიდა ყარაბაღს და მიუწოდა ალექ-
სანდრეს. მაშინ განიზრახა ალექსანდრემ: „თუ რაი ჰყოს“. არამედ
ეტყოდა ჩოლაყასშვილი ოთარი კახთა ამისთჳს: „თქუენ იტჳრთეთ

რაოდენი სისხლი დაინთხეს და მე განვარინო კახეთი მოსრვისაგან“. მაშინ აღუთქუეს კახთა ფიცით. „ჩუენ მივაგოთ ქრისტესა სიტყუა შენთჳს, ოდეს მოვიდეს განსჯად ცხოველთა და მკუდართა“.

ხოლო ვინაჲთგან მომკუდარ იყო ქაიხოსრო ათაბაგი და ძენი მისნი იყვნენ მცირენი და პატრონობდა დედისიმედი სამცხეს და უწყოდა გლისპობა მისი ოთარმან, ამისთჳს მიუწერა: „რამეთუ ნებავს ვარაზას სიკუდილი შენი და ძეთა შენთა და თავისად დაპყრობა სამცხისა, ამისთჳს მოჰყავს შასთამაზ, რათა მოსრნასცა ურჩნი თჳსნი, რამეთუ თჳთცა უწყი რავდენგზის მოგაყივნა ბოროტად“. ამისმან მსმენელმან დედისიმედმან არღარა გამოიკითხა და მოკლა ვარაზა. ხოლო მსმენელს შასთამაზს აღუძნდა სიკუდილი ვარაზასი, რამეთუ იყო ცოლის ძმა, დაუტევა კახეთი, შევიდა და მოსწყჳდა სამცხე და უმეტეს ოცხე ქ˜სა ჩ˜ფოდ, ქარ. ს˜ჲბ და უკმოქცეულსა წარუვლინა ალექსანდრემ ძე თჳსი კოსტანტინე ძღუნითა დიდითა და ტყჳთა და აუწყა: „რამეთუ ძე ჩემი წარვიდა ურჩებიდა ჩემითა და მე ვარ წინაშე შენსა უცოდველი“. მაშინ დამცხრალმან მრისხანებისაგან შასთამაზ შეიწყნარა ძღუენი და ტყუენიცა და წარიყვანა კოსტანტინე და წარვიდა სპარსეთად და დაუტევა კახეთი უვნოდ, და შემდგომად შასთამაზის სიკუდილისაცა იყო ალექსანდრე მშჳდობით, რამეთუ ჟამსა ამისსა ესრეთ შენ იყო კახეთი, ვითარ ძნიად სადამე იპოებოდა სანადირონი და ალექსანდრე ფრიად მოყუარე იყო ნადირობისა, რამეთუ იტყოდაცა: „ახ, ნეტარძი ოჯერ მექმნეს კახეთი, რათა მაქუნდეს სანადირონი მრავლად“, რომელიცა ექმნა ძის ძესა მისსა თეიმურაზს. არამედ ვერცაღა თუ იგი მოცალეობდა ნადირობად. გარნა ალექსანდრესაცა ამ ჟამთა მოერთუა ბაზიერთაგან უცხოთა ფრინ-

1-25 სტრ., 578

ველთა მოსლვა ალონსა შინა. მსწრაფლ წარვიდა და იხილნა ფარშამანგნი, ინება შეპყრობად მათი ცოცხალთა. არამედ არცა ერთმან მიხედა ბაზმან, თჳნიერ წითლის ქორისა, და მით შეიპყრნა ყოველნი რაოდენნიცა იყვნენ, მოიყვანნა გრემს და მოშენდნენ მათგან მრავალნი. გარნა დაუსახევდა კახეთს, ვითარცა არაკთა იგავთა შინა ცხოვრისა მისლვა ყაპუზუნათა ქუეყანასა.

გამოსლვა ლალა ფაშისა

შემდგომად გამოვიდა რა ლალა-ფაშა ქ˜სა ჩ˜ფოჲ, ქარ. ს˜ჲვ, ტფილისიდამ ეზრახა ალექსანდრეს. ხოლო მან აღუთქუა მისლვა მის თანა და წარჰყვესცა სპითა შირვანს, უკეთუ დაუტეოს კახეთი უვნოდ. ამან მოსცა პირი მტკიცე და მიეგებდა სათისჭალას ალექსანდრე სპითა ლალა-ფაშას და წარუძღუა შირვანს. ხოლო ლალა-ფა-

შამ აღიღო შირვანი, შაქი, ურჩნი მოსრნა და აღაშენა ციხე შირვანს, შეაყენნა მცველნი თჳსნი და დასუა ფაშა. მერმე უკუმოიქცა, შემოვლო მტკურის პირი მიჰყვა ალექსანდრე არაგუამდე, მერმე გამოუტევა ალექსანდრე და მოვიდა კახეთს მშჳდობით: ხოლო ლალა-ფაშა დადგა მუხრანს და სჳმონ მეფეცა მოვიდა ტყუეობისაგან.

ამისთჳს ივლტოდა დაუთხან სტამბოლს და ლალა-ფაშაცა წარვიდა და დაიპყრა ქართლი სჳმონ. მერმე შურ-აგო ამილახორსა. ამათმან უთმინომან ალექსანდრემ და დისა თჳსისა არა კეთილის-მნებებელმან შემოიკრიბნა სპანი თჳსნი კახნი და უგრძნეულად დაესხა დიღვამს სჳმონს ქ˜სა ჩ˜ფპ, ქარ. ს˜ჲზ. ხოლო სჳმონ ივლტოდა და შეუსია დასა თჳსსა და აიალაფა სიმდიდრე სჳმონისა და წარვიდა გამაუპატიო დისა თჳსისა.

შემდგომად მცირედისა მოუჴდა სჳმონ ჭოტორს და ალექსანდრეცა ეკუეთა სპითა, იძლია ალექსანდრე უჯერო-ყოფისათჳს და

მოვიდა მაღაროს, არამედ სჳმონ შეიპყრნა კახნი და უყო რა იგი აღვწერეთ. გარნა საგანძურნი ალექსანდრესნი არღარა წარმოსცნა.

ამავ ქრონიკონსა მოვიდა ძმა ალექსანდრესი იესე, რამეთუ არა დაეტევა ქრისტე და გამოეშუა ყეენსა, არამედ შემდგომად მცირედისა მოკუდა იესე.

ხოლო მოეყვანა ალექსანდრეს ძისა თჳსისა დავითისათჳს ცოლი ასული აშოთანისა ქეთევან, და იყო აშოთან სანდო და გამზრახი სჳმონისა. ამან აშოთან ზავ-ჰყო და დაიზავნენ სჳმონ და ალექსანდრე და შემდგომად იყო მათ შორის სიყუარული და ერთობა დიდი.

შაჰბაზ გაჴელმწიფდა

ხოლო სპარსთა შეიპყრეს შახუდაბანდა და დასუეს შააბაზ ქ˜სა ჩ˜ფპზ, ქარ. ს˜ოე, თათრულს შ˜ჟე, ძე შახუნდაბანდასი და მან იწყო პყრობად ქუეყანათა. ხოლო მოითხოვა მანუჩარ დადიანმან ასული ალექსანდრესი ნესტანდარეჯან და ალექსანდრემ მისცა ზითვითა დიდითა ქ˜სა ჩ˜ფჟა, ქარ. ს˜ოთ. არამედ შემდგომად შობისა ყრმისა ლევანისა მოკუდა ნესტანდარეჯან. ხოლო ალექსანდრემ შემდგომად წარმოიყვანა ყრმა იგი ლევან და ზრდიდა თჳთ. შემდგომად მოვიდა შააბაზ დაპყრობად ერევნისა, ქ˜სა ჩ˜ქბ, ქარ. ს˜ჟ, თათრულს ჩ˜იბ. და მიუწოდა ალექსადნრეს სპითა თჳსითა. მაშინ წარსლვად

იყო ქართველთა მეფე გიორგიცა, შეკრბნენ ესენი და წარვიდნენ ზოგად ერთობისათჳს. ხოლო შააბაზ პატივ-სცა დიდად. არამედ შემდგომად აღებისა ერევნისა მიუღო ალექსანდრეს კაკი და მის წილ მოსცა შჳდასი თუმანი ყოველს წელს, კუალად მოსცა ნიჭი და გამოუტევა კახეთს.

ამ ჟამებთა მოეგზავნა იერუსალიმის პატრიაქსა და მოეთხოვა საჴსრად ვალთა თჳსთათჳს ვეცხლნი. ესე აუწყა ალექსანდრემ კახთა და მათ აღუთქუეს და დაადგინეს ალავერდელი ძმა ოთარ ჩოლაყაშვილისა, რათა შეკრიბოს და წარიღოს იერუსალიმს. ხოლო მან

1-29 სტრ., 580
შეკრიბა ხუთიათასი დრაჰკანი და წარვიდა. არამედ იყო დაჲ ალექსანდრესი, რომელსა აღერჩია ენკრატისობა და სცხორებდა ალავერდს. გარნა ამას ფარულად თანაეყოფოდა ალავერდელი. ხოლო ქალმან მან სცნა წარსლვა ალავერდელისა და მიდგომით ყოფა მისი, აღუძნდა და მსწრაფლ მოსწია კაცი თჳსი და აუწყა ალავერდელსა. არამედ ალავერდელი მიწურვილ იყო მისლვად, და სცნა რა ესე უკმოიქცა, წარიპატა ქალი იგი და წარვიდა იმერეთს. ხოლო ოქრო იგი წარმოუვლინეს ალექსანდრესვე და კრულ-ჰყო პატრიაქმან ალავერდელი. შემდგომად მიიყვანა ალექსანდრემ ბერი იგი, ვინაჲთგან განკრეჭილ იყო და ექორწინა ქალი იგი, მისცნა მცირედნი მამულნი და იყოფოდა მას შინა.

ხოლო ვინაჲთგან იყვნენ სიყუარულსა მტკიცესა ალექსანდრე და გიორგი მეფენი და გიორგი მეფე ძეთა ალექსანდრესთა უფროს მონათესაობდა, ისტუმრნა გიორგი მეფემან დავით და გიორგი ძენი ალექსანდრესნი ტფილისს. მისრულთა მოეგება და დაასადგურნა ისნს, რომელ არს ავლაბარი და მარადღე ანადიმებდა, ანადირებდა და ასპარეზობდნენ. ხოლო დღესა ერთსა კუალად ნადიმსა ზედა იწვია გიორგი მეფემან ტფილისს ესენი. მაშინ განეზრახა ზრახუა ბოროტი გიორგის და არა ინება წარსლვა მიზეზითა ღჳნისწყენისათა, და წარვიდა დავით. ხოლო ესე დავით იყო ამაყი, ლაღი, მრისხანე, და სძულობდნენ კახნი. არამედ გიორგი იყო შუენიერ-ჰაეროვანი უხჳ, მშჳდი და ტკბილი ყმათათჳს. მაშინ გიორგიმ ჰგონა სიმთვრალე დავითისა, ამისთჳს განაცხადა მანკიერება თჳსი და მიუწოდა კახთა. შემოიფიცნა მოკლვად ძმისა თჳსისად და დაპყრობად კახეთისად. ესმა ესე ბარამ ჩოლაყაშვილსა, რომელი იყო ღ˜თის მოშიში, წარვიდა და აუწყა დავითს ნადიმსა ზედა მჯდომსა. მსმენელი დავით მყის ადგა და წარმოვიდა და მოვიდა კარავსა გიორგისასა და იხილა რამეთუ იჭურვოდა და მისთანანიცა, შერისხნა დავით გიორგის და რქუა: „იჭურვი სიკუდიდ ჩემდა და აწ ვარ წინაშე შენსა და რაი

1-24 სტრ., 581
იგი ძალგიძს ჰყავ“. შეიპყრა გიორგი ძმა თჳსი დავით და მისთანა-
ნი ყოველნი ქ˜სა ჩ˜ქგ, ქარ. ს˜ჟა, წარმოიყვანა და პატიმარ-ჰყო
თორღას ციხესა შინა და ათორმეტი ფუცებულნი გიორგისანი გარ-
დმოჰყარნა ჭოეთის ციხიდამ და სხუანი პატიმარ-ჰყვნა.

ვ˜. მეფე დავით ბ˜

არამედ ჰყო ბოროტი ესე დიდი და შეიმოკლნა დღენი, რამეთუ
მიუღო მამასა თჳსსა მეფობა და პატიმარ-ჰყო მამა თჳსი და მართ-
ვიდა თჳთ კახეთსა დამპყრობელი მისი. გარნა შემდგომად ექუსისა
თთჳსა მოკუდა დავით და გამოვდა ალექსანდრე პყრობილებისაგან,
დაიპყრა კახეთი მანვე და გამოიყვანაცა ძე თჳსი პატიმრობისაგან,
რამეთუ არღარა ჰყვა ძე თჳნიერ გიორგისა. ხოლო დავითს დაშთა
ქეთევანის თანა ძე მხოლო თეიმურაზ და ზრდიდი მას პაპა ფუფუ-
ნებით დედისა თანა. არამედ ვინაჲთგან მოხუცებული იყო ალექსან-
დრე, ამისთჳს განიზრახა ქეთევან, რამეთუ „თუ მოკუდეს ალექსან-
დრე, დაიპყრას გიორგიმ კახეთი და შურ-აგოს ძესა ჩემსა“. ამისთჳს
მოიყვანა ჩოლოყაშვილი შერმაზან, აფუცა და წარატანა ძე თჳსი და
წარგზავნა წინაშე შააბაზისა.

ხოლო შააბაზ კეთილად შეიწყნარა და პატივსა უყოფდა თეი-
მურაზს და ისწავებდა წიგნსა და ენასა სპარსთასა. არამედ შააბაზ
განიზრახა, ვინაჲთგან არს თეიმურაზ ჴელთა ჩემთა და კახეთი არს
უმკჳდრო თჳნიერ ორისა, იჴმია ხუანჯი, რათა მოსრნას იგინი, რა-
მეთუ ენება დამორჩილება ქართლ-კახეთისა და მაჰმადიანობა მათი.
მოიყვანა კოსტანტინე ძე ალექსანდრესი პირველ წარვლინებული,
რომელი იყო ფრიად მაჰმადიანი და შემყუარე სჯულთა მათთა. ეტ-

1-25 სტრ., 582
ყოდა შააბაზ: „მომკუდარ არს დავით ძმა შენი და არს მამა შენი მო-
ხუცებული და ძმა შენი გიორგი, აწ ვინაჲთგან ხარ შენ რჯულსა ჩემ-
სა მტკიცედ და მეფობისა ჩემისა სარწმუნო, მოგცნე სრულიად სპა-
ნი შირვანისანი შემწედ, ხალათი და ნიჭი მამისათჳს, წარვედ და
მოჰკალ ორნივე და შენ დაიპყარ კახეთი და ჰყავ მაჰმადიან“. ხოლო
კოსტანტინემ აღუთქუა ყოფად ყოველნი და წარმოვიდა ნიჭითა და
დიდებითა დიდითა. არამედ ამასვე ჟამსა წარმოევლინა მანუჩარ და-
დიანსა წარჩინებული თჳსი, წარყვანებად ძისა თჳსისა ლევანისად;
შეწუხდა ალექსანდრე, გარნა წარუვლინა ნიჭითა დიდითა და მიიყ-
ვანეს დადიანისა თანა ლევან. ამავ ჟამსა მოერთო მახარებელი ძის
მოსლვისა, მხიარულმან შემოიკრიბნა სპანი და მიეგება ბაზარს მოს-

რულს კოსტანტინეს და იყო სიხარული და შუება დიდი ყოველთა-
გან, შთაიცვა ხალათი ყეენისა ალექსანდრემ და იხარებდა ძისა თანა.

ხოლო დღესა ერთსა ეტყოდა კოსტანტინე მამასა: „მაქუს სიტ-
ყუა თავისწინაობასა შინა ბრძანებული ყეენისა“. ამისთჳს ალექსან-
დრემ უბრძანა ყოველთა კახთა განსლვა. გარნა დაშთნენ რუსთველი
და ძმა მისი აბელ მუნვე. მაშინ გამოვიდნენ პაემნით მობირებულნი
სპანი და მოურთნეს მახჳლნი და მოკლეს მეფე ალექსანდრე და ძე
მისი გიორგი მისთანა და კუალად რუსთველი და აბელცა მათ თანა
ქ˜სა ჩ˜ქე, ქარ. ს˜ჟგ.

ზ˜. მეფე კოსტანტინე

ხოლო იხილეს რა ესე ივლტოდნენ კოსტანტინესაგან კახნი
სრულიად, არამედ ეზრახა კოსტანტინე და აღუთქუა ნიჭი დიდი და
ზოგთა შიში ყეენისა გამო და მიერთმოდიან კახნი და იწყო დაპყ-
რობა კახეთისა. მერმე მოუგზავნა ქეთევანს, ცოლსა დავით ძმისა

1-24 სტრ., 583
თჳსისასა: „რამეთუ ჯერ არს სჯულსა მაჰმადისასა შერთვა რძლისა
და აწ მე დავიპყარ კახეთი ნებითა ყეენისათა, შემირთევ და იყავ კუ-
ალადცა დედოფალი და, უკეთუ არა ინებო, მე ძალით ვყო ესე“.ამის
მსმენელსა ქეთევანს შეუძნდა ესე და ევედრა კახთა: „რათა შე-
ეწიონ არა-ყოფად ამისად და, უკეთუ არა, წარვიდეს სამშობლოსა
თჳსსა ქართლს“. ამისთჳს კახნი შემოკრბნენ წინაშე ქეთევანისა და
ყვეს ფიცი და აღთქმა წინაშე ღ˜თისა ამის არა-ყოფისათჳს.

ესმა ესე კოსტანტინეს და მომართა სპითა ბრძოლად. ეკუთნენ
კახნი, ქეთევანისა თანა მყოფნი, და სძლეს კოსტანტინეს, მოკლეს
კოსტანტინე და მოსწყჳდნენ სპანი მისნი პირითა მახჳლისათა და მო-
ვიდნენ კახნი გამარჯუებულნი წინაშე ქეთევანისა. მიერითგან განა-
გებდა კახეთს გრემს მყოფი ქეთევან დედოფლობით. ამანვე მოიღო
ალექსანდრე ძით გიორგით და დაფლა ალავერდს. ხოლო მიესმა შა-
აბაზს ყოველი ყოფილი კახეთისა, შეუძნდა და განიგულა განდგომი-
ლება კახთა და მკჳდრობა ქართველთა მეფისა, რათა არა დაიპყრას
მეფემან ქართლისამან. ამისთჳს მიუწოდა მყის თეიმურაზს და ეტ-
ყოდა: „ბოროტსა კოსტანტინეს მოუკლავს მამა და ძმა თჳსი, რო-
მელი წარვავლინე მშვიდობის ყოფად და ხილვად მამა-ძმისად. არა-
მედ აწ მისდაცა უგიათ პასუხი ყოფად კახთა და მოუკლავთ იგიცა. აწ წარ-
ვედ შენ მოსწრაფედ, რათა არა შფოთი რაიმე იქმნას კახეთს მათ
შორის“. მისცნა ნიჭნი დიდნი და წარმოავლინა(იხილე აქა ზაკულე-
ბა ბოროტი). ხოლო უცნობელად მოვიდა მალემსრბოლად ქისიყს

თეიმურაზ ყოვლითა თჳსითა მუნ მყოფითა კახით. ქისიყს ისტუმრა გლეხმან ერთმან და უძღუნა ცხრა წულნი აკუნით, მუნიდამ აცნობა

დედასა თჳსსა ქეთევანს დედოფალსა მისლვა თჳსი. შემდგომად მი-
ვიდა გრემს და იყო სიხარული დიდი დედაშვილისაგან და ყოველთა
კახთა. მერმე მივიდა და ეკურთხა ბოდბეს ქ˜სა ჩ˜ქე, ქარ. ს˜ჟგ(მეფე
არჩილ იტყჳს მცხეთას, არა სარწმუნოდ).

ჱ˜. მეფე ბატონი თეიმურაზ ა˜, ი˜ წელი მეფა

ხოლო დაჯდა მეფედ ბატონი თეიმურაზ. მაშინ იყო წლისა ი˜ვ
და განაგებდა კახეთსა. მერმე მოიყვანა ცოლი ასული მამია გურიე-
ლისა ანნა და ჰყო ქორწილი დიდებული თორღას. არამედ ვინაჲთგან
იყო კახეთი მორჭმული და შენობიანი, მარადის იშუებდა თეიმურაზ
და ნადირობდა და ნადიმობდა; ხოლო შემდგომად მიუდგა ცოლი მი-
სი და უშვა ძე ლევან; კუალად მიუდგა და უშვა ძე ალექსანდრე. და
მოკუდა ანნა ქ˜სა ჩ˜ქი, ქარ. ს˜ჟჱ. ამისთჳს ჰყო თეიმურაზ მწუხა-
რება და გლოვა დიდი. ესე ესმა შააბაზს და ამისთჳს მიუწოდა თეი-
მურაზს, რათა განაგდოს გლოვა და იხარბდეს მის თანა.

მაშინ თეიმურაზს სარწმუნოდ სჩნდა შააბაზ და წარვიდა მის
წინაშე შავით მოსილი. ხოლო პირველად დედისაგან წარგზავნილმან
შესძღუნა ძმა და ტყუენი შააბაზს თეიმურაზ, და აწ მისრულმან დაჲ
თჳსი და ტყუენი ქალ-ყრმანი წარჩინებულთა კახთა შვილნი. ხოლო
შააბაზ კეთილად შეიწყნარა და პატივ-სცა და ნიჭვიდა მრავალსა.
განძარცვა გლოვა, ანადიმებდა და ანადირებდა მარადღე. შემდგო-
მად ეტყოდა შააბაზ თეიმურაზს საიდუმლოდ: „შეირთევ დაჲ ლუ-
არსაბ მეფისა და იქმენ ქჳსლ ჩემდა და მოყუარე მისი, რათა არღარა
იყოს თქუენ შორის შური“. ამისთჳს თეიმურაზ მიუგო ვედრებით:
„რამეთუ არს პაპაის ასულისა ჩემისა ძის ძე და ესე არა ჯერ არს

რჯულსა ჩუენსა ყოფად“. განრისხნა შააბაზ და აიძულებდა თეიმუ-
რაზს ყოფად ამისად. მაშინ ვინაჲთგან არღარა იყო სხუა ღონე დარ-
თო ამანცა ნება(ესე ჰყო შააბაზ, რამეთუ მიზეზობდა და რათა და-
ამდაბლოს და ნებისა თჳსისად ჰყოს, რათა შერიოს რჯულითა და
მერმე მაჰმადიანი ჰყოს და კუალად იხილოს, თუ მისცეს ლუარსაბ დაჲ
თჳსი, რომელი არა წარუვლინა მას უხუცესი, არამედ უმრწემესი).

და კუალად მისწერა შააბაზ ლუარსაბ მეფესა, რათა მისცეს დაჲ
თჳსი თეიმურაზს. შემდგომად გამოუტევა თეიმურაზ ნიჭითა დიდი-

თა, მოვიდა კახეთს და მოითხოვა ხუარაშან. მაშინ მოსცა ლუარსაბ დიდითა დიდებითა და ქმნა ქორწილი გრემს თეიმურაზ ქ˜სა ჩ˜ქიბ: ქარ. ტ˜, და განაგებდა კახეთს ნებისაებრ.

არამედ უკეთუ მტერობდნენ ლეკნი, გარნა ვერ იკადრებდენ ცხადად თჳნიერ პარვით. ამისთჳს წარავლინა თეიმურაზ ომანიშვილი ქაიხოსრო, რამეთუ იყო იგი ახოვანი, შემმართებელი. ესე შევიდა დაღისტანსა შინა და დადგა მთასა ზედა, უწყო რბევა, სრვა და ოჴრება, და ვითარ ვერ წინააღუდგნენ, ითხოვა ბუკი თეიმურაზისაგან, რამეთუ მოშიშარ იქმნებიან უფროსად . არამედ კახთა შეასმინეს ბატონს თეიმურაზს: „ნებავს კახეთი და მისთჳს ითხოვს ბუკსაცა“. ამისთჳს მოიყვანა ქაიხოსრო და მოჰკლა იგი ღალატად.

ამის მხილველთა კახთა რომელთამე იწყეს ქუეგამხედველობა მეფისა. ხოლო შააბაზს მიერ ჟამითგან,ოდეს მოკლეს კახთა კოსტანტინე, შურ აქუნდა და ვერ ჰპოვა ჟამი შურ-გებისა უცალოებითა შინაგანითა, ვინაჲთგან ვერ სრულ ექმნა ნება თჳსი. გარნა აწ ჰპოვა მიზეზი, წარმოემართა და მოვიდა უცნობელად განჯას ქ˜სა ჩ˜ქიე, ქარ. ტ˜გ, თათრულსა ჩ˜კდ.

მოსლვა შააბაზისა

განჯიდამ მოუმცნო თეიმურაზს: „მე მივალ ბრძოლად ოსმალთა. ამისთჳს აწ მომეც მძევლად ძე შენი, რათა არა ემწო ოსმალთა,

ვითარცა ჰყო პაპამან შენმან, და ვსცნა ამით ერთგულება ჩემი შენგან“.ესმა რა ესე თეიმურაზს, უცხოდ აღუჩნდა, რამეთუ არა იყო ბრძოლა ოსმალთა, გარნა იცოდა მანკიერება მისი, რამეთუ იყო ესე მიზეზი და შააბაზ იყო მცბიერი, ხუანჯიანი, უნდო და მტერი ყოველთა მემკჳდრეთა.

მაშინ თეიმურაზ ეზრახა კახთა და მათ ყოველთა განუზრახეს წარვლინება მისა. გარნა არა ინება თეიმურაზ. არამედ იძულებითა კახთაგან წარუვლინა უმრწემესი ძე ალექსანდრე და წარატანაცა დედა თჳსი ქეთევან და ნოდარ ჯორჯაძე, ჰგონებდა პატივის ცემასა დედისასა შააბაზისაგან, რათა ევედროსცა შეწყალებად და უკუნქცევად. ხოლო შააბაზ რა იხილნა იგინი, განრისხებულმან მოუთხრა კუალად თეიმურაზს: „არათუ ვარ ძიძა და მზრდელი ძისა შენისა, წარმომივლინე ძე შენი უხუცესი(რამეთუ ენება სრულიად ყოველთა ჴელთგდებად), უკეთუ გნებავს ერთობა ჩემთანა, და მე ვსცე პა-/ტივი დედასა შენსა და უკუნ-ვიქცე“. შეუძნდა ფრიად თეიმურაზს

და არღარა ლამობდა წარვლინებასა, ვინაჲთგან მოემცნო დედასაცა თჳსსა არა წარვლინებად მეორისა ძისა. არამედ კახნი აიძულებდნენ და ეტყოდნენ, „არა ორგზის იყავა მისთანა, მოგცა ნიჭი და პატივი დიდი, რად მოსწუედ კახეთსა ერთისა ყრმისათჳს, ვინაჲთგან უწყიათ, რამეთუ ავნებს არარასა“. მაშინ უღონო ქმნილმან თეიმურაზ წარუვლინა უხუცესიცა ძე თჳსი ლევან და წარატანა დავით ასლანისშვილი. მერმე რა ჴელთ იგდო იგინი შააბაზ, აუწყა თეიმურაზს: „აწ ვსცან, რამეთუ ხარ ერთგული დიდი ჩემი, ვინაჲთგან არა რიდე ძეთა შენთა ჩემთჳს, მოვედ შენცა და აღგავსო ნიჭითა და განგიტეო ქუეყნითურთ მშჳდობით“.

ამისი მსმენელი თეიმურაზ და კახნი იუწყებდენ ზაკუასა შააბაზისასა, რამეთუ ნებავს მოსრვა მათი და მოოჴრება კახეთისა. ამისთჳს ეზრახა თეიმურაზ მეფესა ლუარსაბს, რათა შეეწიოს: „ვინაჲთგან სწადს მოოჴრება საქართველოსი. იხილე რამეთუ მტერი შენი

მოურავი არს მის თანა, რომელსა მოჰყავს ყეენი მტრად შენდაცა“. ხოლო ლუარსაბ მოსცა პირი მტკიცე და შემოიკრიბნა თეიმურაზ სპანი კახთანი და გაავლო მუკუზნიდამ გაღმა მჴრამდე ჯებირი და დადგა. ესმა შააბაზს მაგრება თეიმურაზისა, წარმოავლინა იდუმალ სპანი და გარდმოადგინა ჟალეთს, და თჳთ გამოვიდა მტკუარს და მოამართა კახეთს, შემპყრობილთ კახთა მწყემსთა ყიზილბაშთაგან მისცნა ხალათნი და გამოუტევნა. იხილეს რა ესე კახთა ივლტოდნენ თეიმურაზისაგან და მიერთმოდნენ შააბაზს, და იგი ფრიად პატივს უყოფდა და მისცემდა ბოძსა. ამისთჳს თეიმურაზ ვერღარა წინაააღუდგა და წარმოვიდა დედაწულით. ხოლო მომავალმან იხილა ჟალეთს სპანი ყიზილბაშთანი, ეკუეთა ძლიერად, სძლო და მოსწყჳდნა უმრავლესნი და სხუანი ივლტოდნენ, აღიღო ალაფი ყიზილბაშთა მათ და მოვიდა მუხრანს ლუარსაბ მეფისა თანა. ხოლო ლტოლვილნი ყიზილბაშნი მივიდნენ წინაშე შაჰაბაზისა, განძჳნდა და წარმოემართა ორთა მეფეთა ზედა. არამედ ესენი წარვიდნენ იმერეთს, რამეთუ უკეთუ ენებათ მეფეთა ბრძოლა, გარნა არა ინებეს ქართველთა და კახთა ბრძოლა შააბაზისა. ხოლო შააბაზ შემოვლო კახეთი, ქართლი და დადგა გორს და იქმნა რა იგი აღვსწერეთ. გარნა უკუნ იქცა რა, დაუტევა განმგედ კახეთისა ნოდარ ჯორჯაძე და დავით ასლანისშვილი, და თჳთ მისრულმან აშრაფს წარავლინნა დედა და ძენი თეიმურაზისანი შირაზს პატიმრად, რომელნი გაჯიდამვე წარავლინნა აშრაფს. არამედ თეიმურაზ იყო იმერეთს პატივით გიორგი მეფისაგან. გარნა შემდგომად სამისა თთჳსა წარუვლინეს ნოდარ და დავით ბატონს თეიმურაზს კაცი და მიუთხრეს: „მოვედ და ეპატრონე კახეთს საბატონოსა შენსა“:

მოვიდა თეიმურაზ კახეთს, ექუს ი თთუე მეფა

წარმოსრულს იმერთიდამ თეიმურაზს მოჰყვნენ თჳთ გიორგი მეფე, ლევან დადიანი და მამია გურიელი არაგუამდე უვნებლობისათჳს ქართველთასა და მუნ მოეგებნენ ყოველნი კახნი სრულიად.

1-26 სტრ., 288
ხოლო იმერთა მეფე და მთავარნი უკუნ-იქცნენ თჳსადვე და თეიმურაზ დაიპყრა კუალად კახეთი. ესე მიესმა შააბაზს, განრისხნა და წარმოემართა სპითა ძლიერითა. არამედ წინარე წარმოავლინა ალი-ყულიხან მსწრაფლად სპითა დიდითა შეკრვად არაგჳს პირისა, რათა არა ივლტოდეს თეიმურაზ კუალად იმერეთს.

სცნა თეიმურაზ მოსლვა ალი-ყულიხანისა არაგუსა ზედა, შემოიკრიბნა სპანი და დაესხა შუადღე წიწამურს ზეით და ძლიერითა ბრძოლითა ივლტოდნენ ყიზილბაშნი და მოსრვიდნენ კახნი, რამეთუ მცირედნიღა გარდაეხუეწნენ და აღიღო ალაფი და საჭურველი და საჭურჭლე მათი თეიმურაზ. არამედ ლტოლვილნი ყიზილბაშნი მივიდნენ წინაშე შააბაზისა. ხოლო იგი განძგდა, ვითარცა ვეშაპი, და წარმოვიდა მსწრაფლად. მაშინ კახთა მგონებელთა, ვითარცა უყოთ წინარე შააბაზ უვნებელობა და ბოძნი, მისთჳს არცა აწ ინებეს ბრძოლა და მაგრება. ამით უღონო იქმნა თეიმურაზ, წარვიდა იმერეთსავე, გარნა განჰყვნენ მრავალნი დიდნი და მცირენი დედაწულითურთ.

ბ~ მოსლვა შაჰაბაზისა

ხოლო შააბაზ მოვიდა კახეთს და მუნიდამ ტფილისს ქ~ესა ჩ~ქივ, ქარ. ტ~დ, თათრულს ჩ~კდ. ეზრახა ლეკთა: „რამეთუ მნებავს მოწყუედა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქუენ კერძთა მთათა შინა, თქუენ მოსრენით და ტყუე-ყვენით იგინი და აღგავსნე მეცა ნიჭითა“. მსმენელთა მათ სიხარულით აღუთქუეს.

მაშინ შააბაზ წარმოავლინა ტფილისიდამ სპანი დიდნი ხერკსა და ერწო-თიანეთსა ზედა. ხოლო თჳთ ჩამოვიდა კახეთს, მოსრნა, მოსტყუევნა, აჰყარნა და მოაოჴრნა, განძარცუნა ეკლესიანი, ხატნი და ჯუარნი შემუსრნა და სამკაულნი მათნი ჰყო ხარჭათა თჳსთა აღსამკობელად. გარნა ვიეთნიმე მორჩნენ ფშავს, ჴევსურეთს, თუ-

1-29 სტრ., 589
შეთს და სიმაგრეთა, კლდეთა, ტყეთა და მთათა შინა.არამედ ლეკთაცა უყვეს ეგრეთ, ვითარცა აღუთქუეს შააბაზს.

ფეიქარ ხან კახთა

შემდგომად დაუტევა ფეიქარხან სპითა კახეთს და თჳთ წარვი-
და და წარიყვანნა აყრილნი კახნი ტყუედ და დასხნა რომელნიმე მა-
ზანდარას, ხუარასანს და ფერიას (რომელნი უძღოდენ ძეთა მისთა
ჯაზაირჩად), გარნა თეიმურაზის ყოფასა იმერეთს იქმნა სიყმილი
დიდი. შემჭირვებულმან თეიმურაზ წარავლინა კაცი წინაშე ხონთ-
ქარისა სტამბოლს და ითხოვა სადგური და შეწევნა მისგან. შემდგო-
მად მცირედ ამისა, ჩავიდა გურიას, ისტუმრა მამია გურიელმან და
პატივსა უყოფოდა. ხოლო მუნ მოუვიდა წარგზავნილი სტამბოლიდამ
და აღეთქუა შუელა და მწე-ყოფა ხონთქარსა და მოებოძა გონია და
ახალციხის გარემოს რომელნიმე დაბნები.

მაშინ გურიულთა შთააგდეს შური მამია გურიელისა თანა, რა-
მეთუ ნებავს თეიმურაზს გურია, ვინაჲთგან მოსცა ხონთქარმანცა
გონია. ამისი მცნობი თეიმურაზ წარვიდა ახალციხეს მოცემულთა
დაბნებთა შინა და მუნ ისტუმრა ათაბაგმან მანუჩარ კეთილად. შემ-
დგომად განიზრახა წარსლვა სტამბოლს, ვინაჲთგან აღეთქუა ხო-
ნთქარს შეწევნა და აუწყა ესე ათაბაგს. ხოლო ათაბაგმან მისცა ოლ-
თისი, მივიდა მუნ თეიმურაზ და დაუტევა დედოფალ ხუარაშან და
დედაწულნი კახთა ოლთისს და მოუდგინა ნოად სალთხუცესი და
თჳთ წარვიდა შჳდასითა კაცითა აღკაზმულითა ფრიად მდიდრად.
ესე ესმა შააბაზს და ჰგონა მწე-ყოფა სულტნისაგან ბატონის თეი-
მურაზისა. ამისთჳს მოიყვანნა ძენი თეიმურაზისანი ისპაანს და გა-
მოასაჭურისნა ქ˜სა ჩ˜ქკ, ქარ. ტ˜ჱ. (ალექსანდრე მოკუდა მით, ხო-
ლო ლევან იქმნა ხელ და ვიდოდა უპატიოდ, შემდგომად მოკუდა
იგიცა).

კუალად უბრძანა შააბაზ ამირ-გუნახანს, ერევნის ბეგლარბეგს:
„წარვედ და დაესხი ოლთისს თეიმურაზის დედოფალს სპითა და წარ-

მოგზავნე წინაშე ჩემსა ტყუედ“.მაშინ იყო ზამთარი, გასთხარა მთა
თოვლიანი ამირ-გუნახან. არამედ იხილა სიზმრივ დედოფალმან ხუ-
არაშან, რამეთუ დაესხნენ სპანი და იავარ-ჰყვეს იგი; მყის განიფარ-
თხო და შევიდა ციხესა შინა ყოვლითა თჳსითა და განამაგრა ციხე.
ხოლო განთიად დაესხა ამირ-გუნახან სპითა და, ვითარ ვერღარა
რაჲ ჰპოვა, უკუნ-იქცა და წარვიდა.

არამედ მას ჟამსა მუნ არა იყო ნოდარ; სცნა რა, შეიკრიბნა მუ-
ნებურნი და კახნი მისთანა მყოფნი, დევნა უყო ამირ-გუნახანს, მიე-

წია, მოსრნა სპანი მისნი, და ივლტოდა ამირ-გუნახან. აღიღო ალაფი მათი და მოვიდა წინაშე დედოფლისა გამარჯუებული.

ხოლო თეიმურაზ მისრული სტამბოლს, კეთილად შეიწყნარა სულტანმან მუსტაფამ. შემდგომად სთხოვა შეწევნა, არამედ ხონთქარს აქუნდა ბრძოლა დასავლით, არღარა მოსცა სპანი, არამედ ანიჭნა დიდ-დიდნი და გამოუტევა.

მას ჟამსა იყვნენ ანატოლსა შინა ჯალადნი მრავალნი და ესენი უყოფდენ თეიმურაზს ბრძოლასა მრავალგზის, არამედ მარადის მძლედ მოსწყჳდნა თეიმურაზ, რამეთეუ დღესა ერთსა შჳდგზის ეკუთნენ სხუადასხუანი. გარნა ყოველნი მოსრნა ძალითა ზენათი, რამეთუ ერთიცა კაცი არა დამკლე ექმნა თეიმურაზს და მოვიდა ოლთისს მძლეველი. გარნა დახუდენ მუნცა ძლევა-შემოსილნი მშჳდობით. მერმე კუალად მოვიდა გონიას თეიმურაზ და იყოფოდა მუნ წარსლვად რუსეთს შავის ზღჳთ.

ხოლო კახეთი იყო ხიზნვით და ფეიქარხან აშენებდა მოსაბრუნს და ასახლებდა ელთა და მცდელობდა დამორჩილებასა და მონდობასა კახთასა. გარნა რომელნიმე იყვნენ მისთანა. შემდგომად მოვიდა მოურავი ყარჩიხანით ქ~სა ჩ~ქკგ, ქარ. ტ~ია, და დადგნენ საფურცლეს და მიუწოდეს კახთა, მისრულთა შეიყვანდენ მოვლებულს თე-

ჯირსა შინა წინაშე ხანისა, რეცა ხალათის მიცემად. არამედ მოჰკუეთდენ მუნ თავსა და მოსწყჳდნეს მრავალნი. შემდგომად სცნეს კახთა და იკრნეს ჴრმალნი, გამოვლნეს ბრძოლით და განერნეს, მერმე მოკლეს ყარჩიხან მოურავმან და ზურაბ, მიუვლინეს თეიმურაზს, რათა მოვიდეს და დაიპყრას კახეთი. ისმინა, წარმოვიდა და დაიპყრა კახეთი.

მოსლვა თეიმურაზისა გონიადამ კახეთს
ი~ა წელი მეფა

ხოლო ქართველთა რა ვერღარა შეიპყრეს ფეიქარხან წაგურად ლელა ბატონიშვილისად, ამისთჳს სთხოვეს მოურავმან და ზურაბ თეიმურაზს ასული თჳსი დარეჯან ცოლად ზურაბისათჳს. ამით განიგულა თეიმურაზ დაპყრობა ქართლისა და მისცა ასული თჳსი ზურაბს. მერმე მოიყვანეს თეიმურაზ მეფედ ქართლს და ეპყრა კახეთიცა.

ესმა შააბაზს, წარმოავლინა ყორჩიბაში სპითა დიდითა, მოვიდა

და დაიბანაკა ალგეთსა ზედა და იქმნა ყოფილი, ვითარცა აღვწერეთ, და შემდგომად მარაბდის ლტოლვისა წარვიდა თეიმურაზ იმერეთს და კახეთი იყო თჳსად. და შემდგომად წარსლვისა ყორჩიბაშისა ჩამოვიდა კუალად კახეთს ბატონი თეიმურაზ და დაიპყრა კახეთი ქ˜სა ჩ˜ქკვ, ქარ. ტ˜იბ.

ამ ჟამთა კახთა მცირედ იწყეს შენობა და მოსახლეობა, არამედ კუალად მიესმა ესე ყოველი შააბაზს, განრისხნა და განძჳნდა, მიუწერა შირაზის ბეგლარბეგსა, რათა გაამაჰმადიანოს დედა თეიმურაზისა ქეთევან დედოფალი, და უკეთუ არა ჰყოს გმობა ქრისტესი, მოკლას ტანჯვითა ფიცხელითა. და ამან მოკლა ქრისტესთჳს ტან-

ჯვითა ფერად-ფერადითა, ვითარცა მოგვითხრობს მეტაფრასი მისი ქ˜სა ჩ˜ქკდ, ქარ. ტ˜იბ, სეკდენბერს ი˜ბ. ხოლო შთავარდა რა შური მოურავსა და ზურაბსა შორის, მაშინ მოუწოდა ზურაბ ერისთავმან ბატონს თეიმურაზს დაპყრობად ქართლისად და მივიდა დუშეთს. არამედ მოვიდა მოურავიცა სპითა ძლიერითა და დიდითა. გარნა იყო თეიმურაზისა თანა ზურაბ ერისთავი, ამილახვარი იოთამ და კახნი მისნი. გარნა ბრძოლასა შინა აღასრულა თქმული თჳსი ედიშერ, რომელი ეტყოდა კახთა და სპათა: „ეცადენით სიკუდილსა მოურავისასა, რამეთუ იგი აღაშფოთებს ყოველთა“. მისრულმან ედიშერ ჰკრა შუბი მოურავსა და დალეწა მკერდსა მისსა ზედა. ხოლო მოურავმან ჰკრა თავსა შიშუელსა და განუპო ჴრმლითა, მერმე მოვიდა მოურავი, ჰკრა ბატონს თეიმურაზს ლახტი ბეჭსა ზედა, არღარა დაადგრა და წარვიდა. არამედ სძლეს მოურავსა და ივლტოდა ქ˜სა ჩ˜ქკგ, ქარ. ტ˜იდ. ამათ მოსრნეს და შეიპყრნეს მრავალნი, ხოლო პყრობილთა დაჰკუენთა ცხჳრნი და რომელთამე ყურნი ბატონმა თეიმურაზ და განუტევნა, და თჳთ ჩავიდა და დაიპყრა ქართლი და განაგებდა მწეობითა ზურაბისათა.

შასეფი. თათრულსა ქ˜კნს ჩ˜ლჱ.

ხოლო ქ˜სა ჩ˜ქკჱ, ქარ. ტ˜ივ. თათრულს ჩ˜ლჱ მოკუდა შააბაზ და დაჯდა ძის წული მისი შასეფი. ამ ჟამად განდიდნა ზურაბ ერისთავი და არღარა მორჩილ ექმნა ბატონს თეიმურაზს. გამოიყვანა

სჳმონ მეფე ტფილისიდამ და თეიმურაზ ჩამოვიდა კახეთს და მცირედისა ჟამისა მივიდა უფადარს წარსლვად წინაშე ყეენისა. არამედ მოუწერა ზურაბს: „მე წარსრულ ვარ, გარნა ვსცნობ შემდგომსა შენდა სჳმონისასა, რამეთუ არა ჯერ იყო განწირვა სიძისაგან სი-

მამრისა“. შემდგომად მცირედთა დღეთა უფადარს მოართუეს თავი სჳმონ მეფისა ზურაბის წარმოგზავნილი თეიმურაზს და კუალად მიეწოდა დაპყრობად ქართლისა და მოეთხრა: „ვითარცა გაგწირევდი უკუდავად“. უკმოიქცა თეიმურაზ და დაიპყრა ქართლი.

ხოლო ვინაჲთგან არღარავინ ჰყვა მეტოქი და წინააღმდგომი და უმრავლდებოდა სპანი ქართლ-კახეთისა პყრობითა, მოიჴსენა შური წუქეთის სულთნისა, რამეთუ ოდეს აჰყარა შააბაზ კახეთი, მან უბოროტესნი უყო კახთა და წარვიდა სპითა დიდითა. არამედ ალონსა შინა მორბედსა ცხენსა ბატონის თეიმურაზისასა უბრკმა და შემუსრა ბეჭი მისი. ამისთჳს მტკივნეული ვერღარა წარვიდა თჳთ. გარნა წარავლინა ზურაბ ყოვლითა სპითა.

ესე მივიდა და დაესხა უგრძნეულოდ და გამაგრდა სულტანი ძლიერად. მაშინ უბრძანა ზურაბ ყოველთა სპათა მკჳრცხლად შეჴდომად სულტანისა და მათ მყის აღმასრულებელთა წარუხუნეს სიმაგრენი, მოჰკლეს სულთანი და მოსწყჳდნენ მისთანანი ყოველნი და მოაოჴრნეს სანახებნი მისნი და წარმოვიდნენ გამარჯუებულნი ალაფითა დიდითა და მოვიდნენ წინაშე თეიმურაზისა.

ამისა შემდგომად მოიჴსენა შური ზურაბ ერისთავისა ბატონმან თეიმურაზ და საფურცლეს მდგომმან ღალატით მოკლა იგი, მერმე შევიდა დუშეთს და წარმოიყვანა ასული თჳსი დარეჯან და დადგა საფურცლესავე. ეზრახა მეფესა გიორგის იმერთასა, რათა შერთოს ასული მისი დარეჯან ძესა მისსა ალექსანდრეს. სათნო იყო გიორგი მეფემან და წარმოუვლინა ძე თჳსი ალექსანდრე. ესე მოვიდა საფურცლეს, აქორწინა ქინძარას მცირეს ეკლესიასა შინა და განუტევა მზითვითა დიდითა ქ˜სა ჩ˜ქკთ, ქარ. ტ˜იზ.

1-28 სტრ., 594
შემდგომად შეიკრიბნა სპანი ორთავე ქუეყანათა თეიმურაზ და მიუჴდა ულუკოსორს, რამეთუ იგინი უჴდებოდნენ, აოჴრებდნენ და სტყუენვიდნენ კახეთს, მოსწყჳდმა, მოსტყუევნნა და მოაოჴრნა და მოვიდა გამარჯუებული. კუალად შეიკრიბნა სპანი ორნივე, წარვიდა და მოსტყუევნა არაზს შიგნითი, ბარდა, ყარაბაღი, შამშადილო და ყაზახი, და მოვიდა ალაფითა და იავარითა დიდითა გამარჯუებული.

ხოლო იყო უნდილაძე დავით განჯის ბეგლარბეგი, ესე ერთგულ და ნამსახურ იყო შააბაზისა. არამედ შაჰსეფიმ მიზეზითა ცუდითა შეიპყრა ძმა მისი და მოკლა იგი და ძეთა მისთა აღმოჴადნა თუალნი. შეშინდა ესე დავით და მოვიდა თეიმურაზისა თანა სპითა და დედაწულითა ყაჯარისათა. ხოლო თეიმურაზ შეიწყნარა და დაასადგურა

იორის პირსა ზედა. ესმა ესე შასეფის და მოითხოვა იგი ბატონის თეიმურაზისაგან. გარნა მან არა მისცა, არამედ ევედრა, რათა შეიწყალოს და მიუტეოს შეცოდებანი. მსმენელი ამისი შასეფი განრისხნა, მოუწოდა ხოსრო-მირზას, მისცა მას ქართლი და წარმოატანა როსტომ-ხან სპასალარი და მოვიდნენ ხუნანს. ამისთჳს მოიყვანა თეიმურაზ ბარათიანთ ცოლნი საფურცლეს, რათა არა მიერთნენ როსტომს და ლამობდა ბრძოლასა. არამედ მას ღამესა განივლტვნენ ბარათიანნი და მივიდნენ წინაშე როსტომისა. მაშინ ინება ბარათიანთა ცოლთა დაჭრა ცხჳრპირთა თეიმურაზ. არამედ არა აუფლა ხვარაშან დედოფალმან და წარვიდა იმერეთს ქ~სა ჩ~ქლდ, ქარ. ტ~კბ. თჳთ ბატონმან თეიმურაზ შთაუსწრა იმერეთს. ხოლო ეწივნენ ხიზანთა სპანი ყიზილბაშნი, მოსწყჳდნეს და ტყუე-ჰყვნეს, უკუნ-იქცნენ და მივიდნენ ტფილისს.

ხოლო როსტომ დაიპყრა ქართლი, წარმოავლინეს სალიმხან და დასუეს კახეთს, არამედ ვერ მიენდვნენ კახნი თჳთოთაგან კიდე და იყოფოდა სალიმხან მოსაბრუნს. შემდგომად მოკლა როსტომ მეფემან დათუნა ერისთავი. წარუგზავნა ზაალ ძმამან დათუნასმან ბატონს

1-28 სტრ., 595
თეიმურაზს ფიცი და აღთქმა დიდი, რათა მოვიდეს და მეფედ ჰყოს ქართლს. ესე ირწმუნა თეიმურაზ, წარმოსრულმან მოვლო დუალეთსა ზედა, რამეთუ ქართლს ვერღარა გამოვლიდა როსტომის გამო და მოვიდა დუშეთს ქ~სა ჩ~ქლვ, ქარ. ტ~კდ.

მოსლვა ბატონის თეიმურაზისა დუშეთს.
ი~ბ წელი აწ მეფა

მაშინ იწყეს მტერობა როსტომისა და ვერა რაჲ, ავნეს, მერმე კუალად შეუჩინეს მოღალატენი და ვერცა რაჲ მით ავნეს, რამეთუ აქუნდა ძალი დიდი ყეენისაგან და მორჩილებდენ ყიზილბაშნი. ამისთჳს დაუტევეს როსტომ და მოუჴდნენ სალიმხანს, მპყრობელსა კახეთისასა, მაშენებელსა მოსაბრუნსა შინა სასახლისასა. აგრძნა სალიმხან და ივლტოდა, არამედ მოსწყჳდნეს სპანი მისნი და აღიღეს იავარი მისი, მოიქცა და დაიპყრა კახეთი, მოვიდა და დადგა კუალად დუშეთსვე და მცდელობდა მტერობასა როსტომისასა სამს წელს დუშეთს მდგომი. არამედ განიგულა სიკუდილი ზაალისა და დაპყრობა არაგუ-ბაზალეთისა და განიზრახვიდა კახთა თანა: „თუ რომლის ძლით ჰყოს ესე“. უთხრეს ესე ზაალს და ფარულად მოასმინეს განზრახუა თეიმურაზისა. ამისთჳს იწყო ზაალ კრძალვა მისგან. ჰსცნა ბატონმან თეიმურაზ უნდობლობა ზაალისა და წარმოვიდა და ჩამოვიდა კახეთს ქ~სა ჩ~ქლთ, ქარ. ტ~კზ, და იწყეს უმეტეს აწ შენო-

ბად და მოსახლობად კახთა, რამეთუ ჩამოვიდოდნენ ხიზანნი და დაეშენებოდნენ.

ამ ჟამებთა წარუვლინა ყეენსა ბატონმან თეიმურაზ ძღუენი დიდი და ითხოვა შენდობა. ხოლო ყეენმან შეიწყნარა ძღუენი, და მოსცა კახეთი თეიმურაზს და ხალათი და მოემცნო პირველისა შენდობა და აწ ერთგულად ყოფნა. და ესრეთ მრავალგზის წარუვლინებდა ძღუენსა, ხოლო შასეფი ნიჭვიდა და სწყალობდა და დაზავდა მის თანა. არამედ იხილა ამით, რამეთუ აქუს მცირედი სიმშჯდე, განიზრახა

1-30 სტრ., 596
თეიმურაზ შესლვად დიდოეთს, რათა მოაქციოს კერპობისაგან და ყოსცა გზა რუსეთისა და შეიწიოს იგინი.შემოკრებულჯთა კახითა შეუჯდა და შემუსრნა რაოდენიმე კოშკნი და მოწუა დაბნები. არამედ დიდოთა მოიმწნეს ლეკნი და დაუწყეს ბრძოლა ისრითა და საგორავებითა, მოკლეს რუსთველი წინაშე მეფისა, და მასვე ჟამსა ცხენი თეიმურაზისა, და მოსწყჯდნეს მრავალნი კახნი, ივლტოდნენ და მოვიდა თეიმურაზ კახეთს მტირალი და მეტყუელი: „ვაი დარბაისელ ეპისკოპოს მოწყუედილსა“. ქ˜სა ჩ˜ქმ, ქარ. ტ˜კჳ.

შემდგომად ამისა მიუწოდეს ბატონს თეიმურაზს კათალიკოზმან ევდემოზ, ზაალ ერისთავმან, ამილახორმან და ნოდარ ციციშვილმან. ხოლო მივიდა რა მუხრანს თეიმურაზ, გაემარჯჳა როსტომს ნოდარსა ზედა, ამისთჳს უკუმოიქცა და მოვიდა კახეთსავე. მერმე კუალად მოემცნო კათალიკოზს ევდემოზს გაქცევისათჳს ნოდარისა: „რად უკუნიქეც, აწ მოვედ და ჰყოცა რა იგი გნებავს“. კუალად ირწმუნა თეიმურაზ და მივიდა მუხრანს, მუნ მოერთო ზაალ ერისთავიცა. არამედ სცნეს, რამეთუ როსტომ შესრულ იყო ციხესა შინა გორს და ამათ არა ძალ-ედვა გარდამოდგომა მისი, ვინაჲთგან აქუნდა ნიჭადი ყეენისაგან დიდი. ამისთჳს უკმოიქცა თეიმურაზ. არამედ ავნო დიდი მუხრანის ბატონმან ვახტანგ და მოვიდ კახეთს.

ხოლო შემდგომად მოუჯდა როსტომ მეფე სპითა დიდითა მაღაროს მყოფს მცირე-სპოსანს, თჳნიერ ქისიყელთაგან, ბატონს თეიმურაზ და შემოუსია სპანი ქ˜სა ჩ˜ქმგ, ქარ. ტ˜ლა. მაშინ ეწყუნენ სიმაგრით გამო კახნი და აოტნეს სპანი როსტომისანი და წარვიდა როსტომ ტფილისს. ხოლო კახთა აღიღეს ალაფი და მოვიდნენ წინაშე თეიმურაზისა. გარნა ამითცა ვერცარა ავნეს როსტომს და ეგო მტკიცედ. იხილა ესე ზაალ ერისთავმან და დამორჩილდა როსტომს. ხოლო როსტომ წარავლინა ზაალ წინაშე ყეენისა და შემდგომად მოსლვისა ზაალისა ისპაანიდამ და მცირედისა შემდგომად შემოიკრიბნა კუალად როსტომ სპანი ძლიერნი და წარმოემართა ბატონს

თეიმურაზსა ზედა.

1-29 სტრ., 597
მაშინ იდგა თიანეთს თეიმურაზ, შემოკრიბნა მანცა სპანი თჳს-
ნი. არამედ მტერ იყვნენ რევაზ სალთხუცესი და ბიძინა სუფრაჯი
ჩოლოყაშვილნი, და არა ინება ბიძინამ მორჩილება რევაზისა, ვინა-
ჲთგან რევაზ თავ სპათა იყო: „უკეთუ სძლოს რევაზ იქმნების მიზე-
ზი ძლევისა“. ამისთჳს აიძულებდა ბატონს თეიმურაზს ბიძინა: „რა-
თა წარავლინოს იგი ერწოს და მუნ ბრძოს მან, რამეთუ უკეთუ და-
იპყრან მათ ერწო, ვერცა ჩუენ დავმაგრდეთ თიანეთს“, არა ენება
ესე თეიმურაზს. გარნა იძულებულმან მისცა ნება, რათა არა იქმნეს
მუნ სპათა მისთა შორის შფოთი ბრძოლათა შინა და წარვიდა ბიძინა
ერწოს, და ამით განეყო სპანი თეიმურაზს. მაშინ მოვიდა ვახტანგ
მუხრანის ბატონი და ზაალ ერისთავი მისთანა უღლისს, ეწყო რევაზ
და იყო ბრძოლა ცემითა თოფთათა ძლიერი, ვიდრე უკუდრკენცა
იგინი. არამედ დაადგრა ვახტანგ მუხისა თანა ერთისა მცირითა სპი-
თა, მუნიდამ მოხუდა რევაზს თოფი და განვლო ზურგით კერძ. ესე
არა აგრძნა სპათა, გარნა განამაგრნა იგინი, მოვიდა და ამბორს უყო
ჴელსა ზედა თეიმურაზს, მერმე მივიდა და მოკუდა მუნვე.

იხილეს სპათა ჩუენთა და მოუძლურდებოდნენ. ხოლო იგინი
მოეტევნენ და ივლტოდნენ კახნი, და ჩამოვიდა ბატონი თეიმურაზ
შიგნით-კახეთს და ბიძინაცა უკუმოიქცა უქმად, მოუდგა როსტომ
თეიმურაზს. არამედ ამავეს დღესა ეწყუნენ მაღაროს ძესა თეიმურა-
ზისასა დავითს სპანი ყიზილბაშნი, მოგზავნილნი როსტომ მეფისა-
გან, იძლია მუნ დავითცა და მოკლეს იგი და სპანი მისთანანი მოსრ-
ნეს ქ˜სა ჩ˜ქმჱ, ქარ. ტ˜ლვ, თათრულს ქ˜კნს ჩ˜ნჱ და მოადგნენ თე-
იმურაზს ორგნითვე.

ამისმან მხილველმან თეიმურაზ და უღონო ქმნილმან წარავ-
ლინა დედოფალი ხვარაშან ვედრებად როსტომისა თანა(რამეთუ
იყო ბიძის ძის ასული როსტომისა), მისრული შეიტკბო და პატივსცა
კეთილად და მოსცა საჩუქარი საკიდარნი და წარუძღუანა კათალი-
კოზი და განუტევა იმერეთს. მოეგება სიძე თჳსი ალექსანდრე და და-

1-28 სტრ., 598
ასადგურა პატივითა. მაშინ უთხრეს სიკუდილი ძისა თჳსისა დავი-
თისა თეიმურაზს, ჰყო გლოვა და მწუხარება დიდი.

როსტომ მეფემან თ˜ წელი მეფა

ხოლო როსტომ დაიპყრა კახეთი და მისცა ზაალ ერისთავსა

ერწო-თიანეთი და ხერკი. არამედ კახნი უმეტეს იყვნენ თჳსად და ზაალის თანა, ხოლო თეიმურაზ შემდგომად გლოვისა იწვია ლევან დადიანმან(რამეთუ იყო პაპის ასულის წული ლევან თეიმურაზისა). წარსლვისა არა მნებელსა თეიმურაზს განუზრახვიდა მეფე ალექსადნ-დრე, რათა ჰყოს მათ შორისცა ზავი. ესე განიხილა თეიმურაზ თჳსად უმჯობესად, რამეთუ უკეთუ შეართოს იგინი, მოიცეს მათგან ძალი. ამისთჳს წარვიდა და მისრულსა მოეგება დადიანი ლევან, პატივ-სცა, უმასპინძლა, ანადიმებდა და ანადირებდა, გარნა ჩუენებასა შინა სა-ჭურჭლე-საგანძურისასა. უძღუნა მხოლოდ სახტიანი. შემდგომად ეტყოდა თეიმურაზ ლევანს ზავ-ყოფასა ალექსანდრესსა და განტე-ვებასა მამუკასსა თავსმედობითა თჳსითა. ესე ინება ლევან დადიან-მანცა, არამედ შორად განკიდებულ ჰყო წუწკამან.

ამისი მხილველი თეიმურაზ წარმოვიდა და მოვიდა იმერეთსა-ვე. მაშინ ალექსანდრე მეფემან სთხოვა ძის ძე გიორგი თეიმურაზს შვილად თჳსად. მისცა ამან და ზრდიდა იგი მემკჳდრედ. არამედ შემ-დგომად მცირედისა მოკუდა ყრმა იგი და და იგლოვეს მწარედ ზოგად მეფეთა.

ხოლო იყო მეფე თეიმურაზ იმერეთს წელსა შჳდსა და როსტომ უმეტეს განძლიერდებოდა. ამისთჳს წარავლინა რუსეთს ძის ძე თჳსი ნიკოლაოზ. ამას მისრულსა ჩერქეზს დაეცნენ მეკობრენი, მოსრნეს მისთანანი და წარგუარნეს მჴევალნი. ხოლო ყრმა ნიკოლაოზ წარი-ტაცეს ყმათა მისთა და მიიყვანეს თერგს, მერმე მიიყვანეს მოსკოვს.

ამისა შემდგომად იხილა თეიმურაზ, რამეთუ არღარა არს სხუა ღონე, წარვიდა თჳთცა რუსეთს ვედრებად რუსთა ჴელმწიფისად,

1-28 სტრ., 599
რათა შეეწიოს ქ˜სა ჩ˜ქნვ, ქარ. ტ˜მდ, და დაუტევა დედოფალი დედაწულით იმერეთს, განვლო თჳთ რაჭა, დიგორი, ჩერ-ქეზი და მივიდა თერგს, მერმე აშტარხანს, მუნიდამ მოსკოვს, მის-რულსა ჴელმწიფემ ალექსიმ პატივ-სცა მეფებრ და შეიწყნარა ვედ-რება მისი. შემდგომად უბრძანა მიზეზი, რომელი არა იყო შეწევ-ნისა. ამისი მსმენელი თეიმურაზ გამოეთხოვა, მან მოსცა ნიჭი დიდი და წარმოვიდა. მოსრულს აშტარხანს უთხრეს სიკუდილი ძის ძისა თჳსისა ლუარსაბისა, რომელი იყო შუენიერი, კისკასი და სატრფო, მწუხარედ გლოვისა. შემდგომად დაუტევა ნიკოლაოზ წინაშე ალექსი ჴელწმიფისა მოსკოვს, თჳთ წარმოვიდა და მოვიდა იმერეთს ქ˜სა ჩ˜ქნთ ქარ. ტ˜მზ, და აქაცა დახუდა დედოფალი ხვარაშან მიცული-ლი. იგლოვა უმეტეს მწუხარედ და იყოფოდა იმერეთს, ვინაჲთგან ალექსანდრე მეფეცა მომკუდარ იყო.

სალიმხან

ხოლო კახეთს შემდგომად სიბერისათჳს როსტომისა დასუეს სალიმხან ე˜სა ჩ˜ქნზ, ქარ. ტ˜მე. არამედ ზაალსავე ეპყრნა ზემოთქმულნი ქუეყანანი და კითხვითა მისითა მართვიდა სალიმხან კახეთსა. ამან სალიმხან მოიყვანნა ელნი და დასხნა შიგნით-და გარეთ-კახეთს და დაიპყრეს ამათ ბახტრიანი, ალავერდი და განრყუნეს წმიდანი ეკლესიანი, რამეთუ იყვნენ არვე-მროწლეთა მათთა სადგურად და იყო ჭირიცა დიდი მათგან კახეთსა შინა და ქურდთა ლეკთაგან. არამედ სალიმხან ჯდა ყარაღაჯს უზუნველი კახთათჳს და განისუენებდა უზრუნველი მტრის ვნებისაგან. ხოლო დღესა ერთსა მღუდელი ვინმე მოვიდოდა შიგნით კახეთს, შეიპყრეს იგი თათართა და განხრწნეს სოდომურითა და განუტევეს. შეიწრებული მღუდელი იგი მოვიდა წინაშე ზაალისა მეტყუელი ესრეთ: „შენდა რწმუნებულ არს კახეთი კნინღა პყრობად, აწ შემამთხვიეს თათართა უჯერო, ამისთჳს შენვე პასუხ-უგე ქრისტესა დღესა მას დიდსა განსჯისასა“. ამისმან

1-26 სტრ., 600
მსმენელმან ზაალ ერისთავმან შემოიფიცა საყმონი თჳსნი და ფშავ-ჴევსურ-თუშნი, და ბიძინა სუფრაჯი და ერისთავი კსნისა შალვა ძმით ელიზბარ(რამეთუ სიძე იყო შალვა ზაალისა), შეკრიბნა ესე ყოველნი, წარუძღუანა ძე თჳსი და მიუჴდნენ პირველად ბახტრიანს, მოსრნეს და მოსწყჳდნეს თათარნი, მერმე ალავერდს და შემდგომად ყოველსა კახეთსა შინა მოსწყჳდნეს, რამეთუ არცაღათუ დაუტევეს აკუანთა შინა მწოლარენი და განათავისუფლეს კახეთი, არამედ ყარაღაჯს არღარა მივიდნენ, წარსრულ იყო სალიმხან და იჯდა მუნ მურთუზალიხან და მოიქცნენ გამარჯუებულნი ქ˜სა ჩ˜ქნთ, ქარ. ტ˜მზ.

მურთუზალიხან

ხოლო შემდგომად ზაალ ერისთვის სიკუდილისა შეშინდნენ ბიძინა, შალვა ძმით ელიზბარით და არღარა მივიდნენ ვახტანგ მეფისა თანა. არამედ შთავიდნენ მურთუზალიხანთან ყარაღაჯს. მაშინ ხანმან შეიპყრნა იგინი და წარავლინა წინაშე ყეენისა. ხოლო ყეენმან მისცნა იგინი მესისხლეთა, რომელნიცა მოსწყჳდნეს მათ ელნი და მათ აწამეს იგინი ქრისტესთჳს, ვითარცა წერილ არს მეტაფრასსა მათსა. არამედ კახეთი თუცა ეპყრა მურთუზალიხანს, გარნა უფროს მორჩილებდენ მეფესა ვახტანს და იყვნენ წინაშე მისსა.

ხოლო შემდგომად ალექსანდრე იმერთა მეფისა დაშთა ბატონი

თეიმურაზ ციხესა შინა სკანდას ფრიად უპოვარი და შთასლვასა ვახტანგ მეფისასა იმერეთს ეზრახა თეიმურაზ ვახტანგს, რათა წარავლინოს წინაშე ყეენისა და მივიდეს მის თანა. მან სიხარულით აღუთქუა და მისრულსა თეიმურაზს პატივ-სცა ვახტანგ დიდად და წარმოუძღუანა ამილახორი გივი და მოიყვანეს ტფილისს ქ˜სა ჩ˜ქაჲ, ქარ. ტ˜მთ.

1-29 სტრ., 601
ხოლო მო-რა-იქცა ვახტანგ იმერეთიდამ, წარავლინა თეიმურაზ ისპაანს და წარატანა გივი ამილახორი, მისრული თეიმურაზ პატივითა შეიწყნარა ყეენმან შააბაზ და ანადიმებდა და ანადირებდა თჳსთა თანა და ნიჭვიდა მრავალსა. დღესა ერთსა ეტყოდა თეიმურაზს შააბაზ, რათა დაუტეოს ქრისტე. ხოლო თეიმურაზ არცაღა-თუ ისმინა. კუალად ნადიმობასა შინა ეტყოდა ჭამასა ჴორცისასა, რამეთუ იყო მარხუა, არცა ესე ინება თეიმურაზ. განრისხნა შააბაზ და შეაქცია თასითა ღჳნო პირსა ზედა ჴელითა თჳსითა თეიმურაზს. იწყინა კადრება ესე თეიმურაზ. არამედ დამშჳდდა შააბაზ მეტყველი: „ჰკადრებს ძე მამასა უკადრსა. გარნა არა განრისხნების მამა“. მეორეს დღეს წარვიდა შააბაზ აშრაფს და თეიმურაზ წარავლინა ასტარაბადს პატიმრად.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ქიბ, ქარ. ტ˜ნ, მოვიდა ძის ძე თეიმურაზისა დავითის ძე ნიკოლაოზ, რომელსა ეწოდა ერეკლე, თუშეთს, რამეთუ ამას ზრდიდა რუსთა ჴელმწიფე ალექსი, ვითარცა ძესა. გარნა ზოგნი იტყჳან მოწოდებითა ზაალ ერისთვისათა, რათა ჰყოს მეფედ. ხოლო სხუანი იტყჳან მოწოდებითა მამიდისა თჳსისა დარეჯანისათა, რათა ჰყოს იმერთა მეფედ. ამას მიერთნენ კახნი.

ესე სცნა შანაოზ მეფემან და წარმოავლინა სპითა მუხარნის ბატონისშვილი პაატა და ერისთავი ოთარი. ესენი მოვიდნენ ურიათუბანს ეწყო მუნ ერეკლე კახ-თუშითა და შემდგომად ბრძოლისა იძლია ერეკლე და ლტოლვილი შევიდა თორღის ციხესა შინა. ხოლო ქართველნი გაბრუნდნენ და აუწყეს შანაოზს. მან შემოიკრიბნა სპანი და შთამოვიდა კახეთს და მოადგა ციხესა თორღისასა. მაშინ შემჭირდნენ მეციხოვნენი, რამეთუ იყო დედით ერეკლე მუნ. ამისთჳს ევედრა დედა ერეკლესი შანაოზ მეფესა, რათა მისცეს გზა და განუტეოს: მან უსმინა და განუტევა ფარულად და მივიდა კუალად თუშეთსვე. ხოლო შანაოზ დაიპყრა კახეთი და წარვიდა ტფილისს ქ˜სა ჩ˜ქიგ, ქარ. ტ˜ნა. არამედ ერეკლე იმყოფოდა თუშეთს მწირობასა

1-27 სტრ., 602
შინა, ვერ წარმსლველი რუსეთს და ვერცა მდგომი მუნ. ხოლო მის-

რული ასტარაბადს ბატონი თეიმურაზ მასვე ზამთარსა გარდაიცვალა შემონაზონებული და სქემოსანი ქ˜სა ჩ˜ქჲგ, ქარ. ტ˜ნა. შემდგომად ევედრნენ ყეენსა კახნი მუნ მყოფნი, რათა წარმოიღონ გუამი თეიმურაზისა კახეთს. ხოლო ვინაჲთგან მეფესა ვახტანგსაცა მოეთხოვა ყეენისათჳს, ამისთჳს ყეენმანცა ნება სცა, წარმოიღეს და მოიღეს ალავერდს. მაშინ შეკრბნენ კათალიკოს-ეპისკოპოზნი ქართლ-კახეთისანი ბრძანებითა მეფისა ვახტანგისათა და დაფლეს ალავერდს ქ˜სა ჩ˜ქჲდ, ქარ. ტ˜ნბ, თათრულს ქ˜კნს, ჩ˜ობ.

თ˜. მეფე არჩილ ი˜ა წელი მეფა

ხოლო ამასვე ქორონიკონსა მოსცა შააბაზ კახეთი ძესა ვახტანგ მეფისასა არჩილს და მოვიდა დიდითა დიდებითა, მიეგებნენ ყოველნი წარჩინებულნი კახნი, დაჯდა მეფედ დაიპყრა ყოველი საზღვარი კახეთისა.

ესე არჩილ იყო ახოვნებითა, შუენიერებითა, სიმჴნითა და ყოვლითა სამჴედრო-სანადიმო ზნითა სრული, რომლისა ისარი ი˜ბ მუჭი სიგრძითა, შემმართებელი, ძლიერი, ლაღი და ამაყი, მონადირე და მოასპარეზე წარჩინებული და საღმრთოთი აღმატებული. ამან განასხნა თათარნი ურჩნი თჳსნი და განაგებდა კეთილად. არამედ მეორესა წელსა იწყო კირთება განზრახჳთა კახთათა ერეკლემ კახეთისა. მცნობელი შანაოზ მოვიდა ძისა თჳსისა თანა სპითა დიდითა და დადგა აწყუერს. ხოლო ერეკლე ვერ წინააღმდეგი წარვიდა კუალად თუშეთს და დასცხრა კირთებისაგან. იხილა ესე შანაოზ და განუტევნა სპანი. ესე აცნობეს კახთა ერეკლეს და მოუწოდეს თავს დასხმად შაჰნაოზისად. ამისთჳს ერეკლემ შეიკრიბნა თუშნი და წარმოსრულს მიერთუნენ კახნი, მომწვეველნი მისნი და დაესხნენ ბნელსა ღამესა შინა, და იქმნა რა იგი აღვწერეთ.

1-31 სტრ., 603
არამედ ერეკლე წარიტაცეს თუშთა და მიიყვანეს კუალად თუშეთსვე. მაშინ შაჰნაოზ შეაფიცნა სრულიად კახნი ძესა თჳსსა არჩილს და დაუტევა იგი კახეთს და თჳთ წარვიდა ქართლს. ხოლო ერეკლეს შესჭირდა მწიროობა თუშეთს და წარვიდა კუალად რუსეთსვე და არჩილ, მყოფი კახეთს, ნადირობდა და ნადიმობდა და შენდებოდა კახეთი, ვინაჲთგან იყო სიმშჳდე და უმტრობა და ნიჭვიდა და სწყალობდა ყეენი არჩილს, რამეთუ ვერცაღათუ ლეკნი იკადრებდნენ ჴმოდასა.

არამედ განმსუენეთა კახთა ეძჳნებოდათ თეიმურაზის ძის დავითის ასულის ქეთევანის წინდად ყოფნა სამცხეს და საქმობითავე და-

რეჯან დედოფლისათა იხილეს არჩილ უცოლო, ეტყოდნენ სიკეკლუ-
ცესა და შუენიერებასა ქეთევანისასა, რათა შეირთოს ცოლად. მსმე-
ნელი არჩილ ეტრფიალა, და ევედრა მამასა, რათა მოგუაროს ცოლად
იგი, რამეთუ უმეტეს მკჳდრად დავიპყრობ კახეთსა. შემდგომად დი-
დისა უარყოფისა შაჰნაოზ მეფემან წარავლინა ტფილისელი ვაჭარი
და დაიჴსნა ქეთევან ც˜თუმნად, მოიყვანა ტფილისს და უქმნა ქორ-
წილი დიდებული ქ˜სა ჩ˜ქჲზ, ქარ. ტ˜ნე, შემდგომად მოიყვანა კა-
ხეთს.

ამან არჩილ ჰყო სასახლე თელავს და განაახლნა ეკლესიანი ყო-
ველნი კახეთისანი და დასხნა ეპისკოპოზნი, მატა სჯულსა და შენო-
ბასა ქუეყნისასა და იყო შუებასა და ნადირობდა-ნადიმობასა, ზოგჯერ
მამისა თჳსისა თანა ქართლს და უმეტეს კახეთს.

ხოლო შემდგომად იწყეს ლეკთა ჭურმუტთა ავაზაკობით კირ-
თება გაღმა მჴართა და ელისენთა შინა, შეიკრიბნა არჩილ სპანი,
მოიყვანნა ქართველნი, წარავლინნა და მიუჴდნენ ჭურმუტს, შემუს-
რნეს სიმაგრენი, მოსწყჳდნეს, მოსტყუევნეს და მოვიდნენ გამარ-
ჯუებულნი. ამისთჳს მარადის ემატებოდა და შენდებოდა კახეთი და
იყვნენ შეერთებულნი ქართველთა თანა ყოვლითურთ.

ხოლო შემდგომად უქმნა არჩილ ქორწილი ძმასა თჳსსა ლუარ-
საბს ლილოსა ზედა, რევაზ ერისთავის ასულსა ზედა. არამედ მუნ
მოუღეს ჭარელთა ცხენით ყინული, შეიპყრნა და სტანჯნა იგინი,

1-29 სტრ., 604
აჰკიდა კუალად ტჳრთად და მოაღებინა კუალად მუნიდამეც ტჳრ
თითავე ყინული.
ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ქოდ, ქარ. ტ˜ჲბ მოვიდა ყე-
ენისაგან მოწოდებული რუსეთიდამ კუალად ერეკლე თუშეთს წარ-
სლვად წინაშე ყეენისა(რამეთუ მოკუდა შააბაზ რა, შიხალიხან გა-
ნუზრახა შაჰსულეიმანს მტერობითა ვახტანგ და არჩილ მეფისათა
მეტოქად მოყვანა ერეკლესი, რათა დაამდაბლონ გაძლიერებული
ვახტანგ), თუშეთიდამ მოიწვია არჩილ და ისტუმრა სიყუარულითა
დიდითა ერეკლე, ანადიმა, ანადირა მრავალდღე, მერმე უძღუნა და
წარატანა კახნი და წარავლინა ისპაანს.

ხოლო კახნი იყვნენ ამ ჟამებთა შუებასა, განცხრომასა, გან-
სუენებასა და მშჳდობასა შინა. კუალად მოიჴსენეს ხუანჯი და ხრი-
კი. ეტყოდნენ არჩილს იმერეთის დაპყრობასა, ვითარცა ეპყრა პირ-
ველ. „ რამეთუ სახელი არს დიდი შენდა, იყო რა ქრისტიანედ და მის-
ცე მოყუარესა სამკჳდრო თჳსი, რამეთუ არა სცნობს ყეენი დატევე-

ბასა შენგან კახეთისასა, მასვე ჟამსა მისცემს ერეკლეს და გამოუტე-
ვებს კახეთს“.

ხოლო არჩილ მოძულე მაჰმადიანთა და მოძულემან მაჰმადი-
ანობისამან სათნო იყო განზრახუა ესე და მოვიდა თიანეთს ქ˜სა
ჩ˜ქოე, ქარ. ტ˜ჲგ, უცნობელად მამისა თჳსისა. შემდგომად მუნიდამ
წარვიდა ახალციხეს, ევედრა მამა არა ყოფად ამისად, არამედ არა
უსმინა, ხოლო შემდგომად არჩილის წარსლვისა მორჩილებდნენ
კახნი შანაოზ მეფესა. არამედ ყეენი ეტყოდა დატევებასა ქრისტესსა
ერეკლეს და წარმოვლინებასა კახეთს. გარნა მან არა დაუტევა ქრის-
ტე. მერმე წარვიდა ჩოლოყაშვილი რევაზ წინაშე ყეენისა, იქმნა მაჰ-
მადიან, ამას მიათუალეს კახეთი და გამოუტევეს. არამედ ვინაჲთგან
არჩილ იწყო ქართლისა პყრობად და კუალად იყო ქართლს, განაზ-
რახეს ყეენსა, რათა არა მიერთნენ არჩილსვე კახნი. ამისთჳს წარ-
მოავლინეს ბეჟანხან, ესე მოვიდა და დაჯდა ყარაღაჯს ქ˜სა ჩ˜ქოზ,
ქარ. ტ˜ჲე.

1-21 სტრ., 605

ბეჟან ხან, ვ˜წელი იყო

მიერთუნენ ყოველნი კახნი. ამან ქმნა სასახლე სპარსთა რიგისა
ყარაღაჯს და უბრძანა კახთაცა მუნ სახლთა გებანი. ხოლო ჟამთა
ამათ მოშენებულ იყო კახეთი და მთავრობდნენ მთავარნი და არა
ნებისაებრ მისისა მსახურებდნენ ხანსა. იხილა რა სიამაყე ესე კახთა
ხანმან, იწყო მოწამლვით და რომელთამე ცხადად სიკუდილი. ამის-
თჳს კახთაცა იწყეს კრძალვა და ფრთხილობა.

ხოლო გიორგი მეფემან არა მნებებელმან ამისმან შემოუჩინა
კახი ხანსა, ჰკრეს თოფი და მოსტეხეს მჴარი. არამედ დაეხწა სიკუ-
დილსა. მერმე წარმოუვლინა გიორგი მეფემან დოსტაქარი. მაშინ
ხანი იტყოდა: „უმჯობეს იყო არცა სიკუდილი და არცა კურნება“,
ამისთჳს განბოროტებულმან ხანმან მისცა ნება და ძალი ლეკთა და
უწყეს კახეთს კირთება და ტყუევნა, არათუ ლაშკრით, არამედ ავაზა-
კობით.

კუალად აღაზავნა უმეტეს ჭარელნი და ელი ფადარი დასხმულნი
ხანთაგანვე, რამეთუ თუცა მოკლიან კახნი ლეკთა ანუ თათართა შე-
რისხვიდა ხანი, ანუ მოაკუდინებდა, ანუ მიაცემინის სისხლი, მეტ-
ყუელი: „რამეთუ არა ჯერ არს გაურთაგან მუსულმანის სიკუდილი
და თუცა მოჰკლიან თათართა კახი არა რაჲ ავნის, რამეთუ ესრეთ
ჯერ არს და იყო ამით ჭირი დიდი. გარნა კახნი უდგნენ მაგრად და
სრვიდნენ სადა ვინ მოაჴელიან.

1-28 სტრ., 606
ამ ჟამებთავე თაობდნენ კახეთს ჩოლოყაშვილი რევაზ, მოურა-
ვი ქისიყისა აბელ, მოურავი ელისენისა მერაბ და სხუანიცა, და გა-ნეგებოდა
ხანისაგან კახეთი ამათით. კუალად მოკუდის თუ ეპისკო-
პოზი, ამათითვე და ეპისკოპოზთაგან აღრჩევით მისცის ხანმან ეპის-
კოპოზობა და წარუვლინიან ქართლის კათალიკოზსა მცხეთსა და
მან აკურთხის და გამოუტევის. ხოლო შემდგომად ვედრებითა კახ-
თათა და ნებითა ხანისათა წარმოავლინა ყეენმან სხუა ხანი და იგი
წარიყვანეს, ესე მოვიდა და დაჯდა ყარაღაჯს ქ~სა ჩ~ქპგ, ქარ.
ტ~ოა.

ხანი, ე~ წელი იყო

არამედ ესეცა ვიდოდა კუალთა წინათათა ხანთათა. შემდგომად
ეზრახა გიორგი მეფე სამთა ამათ წარჩინებულთა ქ~სა ჩ~ქპჱ, ქარ.
ტ~ოვ, რათა ჰყონ ერთმთავრობა მის თანა, მოკლან ხანი და იავარ-
ჰყონ სიმდიდრე მისი. ხოლო კახთა ამისთჳს მისცეს პირი მტკიცე,
მგონებელთა, რამეთუ რაჟამს ჰყონ ესე, წამსვე წარმოავლენს ყეენი
ერეკლეს. არამედ განუდგა რა გიორგი მეფესა თამაზ სპასპეტი, ვერ-
ღარა მყოფელთა დაიდუმეს ესე. ამისმან მცნობელმან ხანმან იწყო
უფროს მტეროზა კახთა. არამედ ესმა კუალად ყეენსა ვერ-თავსდება
კახთაგან ხანისა. ამისთჳს მისცა კახეთი განჯის ბეგლარბეგს აბაზ-
ყულიხანს და მოვიდა ესეცა ყარაღაჯს ქ~სა ჩ~კპჱ, ქარ. ტ~ოვ.

აბაზ-ყულიხან, ვ~ წელი იყო

ხოლო ესე აბაზ-ყულიხან იყო ფრიად მდიდარი, რამეთუ განჯა-
ცა ამასცე ეპყრა და ნიჭვიდა კახთა მრავალსა და მეგობრობდენ გი-
ორგი მეფე და აბაზ-ყულიხან. გარნა ეპყრა ერწო-თიანეთი არგჳს
ერისთავსავე.

ამისა შემდგომად მოვიდა ერეკლე მეფედ ქართლისად და ამას
ნებითა ხანისათა მიეგებნენ რომელნიმე კახნი ყაზახსა შინა, ვინაჲთ-
გან მიეცა ყეენსა თუშნი და ქისიყელნი ტალად ერეკლესათჳს და კა-
ხეთი სრულიად ეპყრა აბაზ-ყულიხანს. გარნა უსმენდა განდიდება-

1-32 სტრ., 607
დამცირებასა აბაზ-ყულიხან ერეკლე მეფესა კახთასა და ვიეთნიმე-
ცა იყვნენ წინაშე მისსა, და შენდებოდა კახეთი ქართლიდამ. არამედ
ლეკნი კუალადცა ეკირთებოდნენ მარადღე და, სადაცა შეხუდიან კახ-
ნი, მოსწყუედდენ.

შემდგომად ეზრახა მეფე გიორგი კოჟრიდამ კახთა, რათა ჰყონ არჩილვე მეფედ. ამისთჳს კახთაცა მისცეს პირი მტკიცე და მოვიდნენ ქართველნი ნინოწმიდას დაპყრობად კახეთისად. არამედ დუშია მოურავმან აოცნა რა იგინი, მისთჳს განადიდა იგი აბაზ-ყულიხან და ჰყო თავ კახთა. ამისთჳს განვიდა სახლეულით თჳსით ჩოლოყშავილი სახლთხუცესი რევაზ და რომელნიმე მიმდგომნი მისნი გიორგი მეფისა თანა.

ამისა შემდგომად ეზრახა ერეკლე მეფე ბრძანებითა ყეენისათა აბაზ-ყულიხანს და მოვიდა ერეკლეცა ყარაღაჯს და დაასკუნეს წართმა ერწო-თიანეთისა, და ამ პირსა ზედა ერეკლე მეფე წარვიდა კუალად ტფილისს. ხოლო აბაზ-ყულიხან წარავლინა კახნი და დაიპყრეს ერწო-თიანეთი და იქმნა რა იგი აღვსწერეთ.

შემდგომად მოვიდა აბაზ-ყულიხან კახითა და განჯის სპითა მეშუელად ერეკლე მეფისა თანა ჯუარს ბრძოლად გიორგი მეფისა. არამედ ვერა რაჲსა ვნებისა შემდგომად გიორგი მეფისა მოვიდნენ ერეკლე და აბაზ-ყულიხან ტფილისს. ხოლო მომკუდარ იყო შასულეიმან და დაჯდა შასულთან უსეინ ქ˜სა ჩ˜ქჟბ, ქარ. ტ˜პ. ამას შეასმინა ერეკლე მეფემან აბაზ-ყულიხან: „რამეთუ მეგობრობს გიორგი მეფესა და ამაგრებს და არცა ნებავს ბრძოლა მისი“. მსმენელი განრისხნა ყეენი და უბრძანა ერეკლე მეფესა პატიმად-ყოფა აბაზ-ყულიხანისა, წართმა ქონებათა და წარგზავნა წინაშე მისსა. ხოლო ერეკლე მეფემან აღასრულა ბრძანებული. არამედ კახეთი დაშთა უპატრონოდ და ვიეთნიმე იყვნენ წინაშე ერეკლე მეფისა, ვიეთნიმე წინაშე გიორგი მეფისა და ვიეთნიმე თჳსად. გარნა უფროს მორჩილებასა შინა იყვნენ ერეკლე მეფისასა. ამ ჟამებთა წარვიდნენ თუშნი და რომელნიმე კახნი წინაშე ერეკლე მეფისა და მოსრნეს ჭაპალას სპათა გიორგი მეფისათა. ესენი კუალად აცნობდა ერეკლე მეფემან ყეენსა.

1-30 სტრ., 608
ქალბალი- ხან, ჱ˜წელი იყო

ხოლო მან წარმოავლინა ქალბალი-ხან სარდლად და მისცა განჯის ბეგლარბეგობა და კახეთი და, მოვიდა რა იგი ყაზახსა შინა ქ˜სა ჩ˜ქჟე, ქარ. ტ˜პგ, მუნ მიეგებნენ სრულიად კახნი შეკრებულნი სპითა, მან პატივით შეიწყნარნა და წარიყვანნა სრულიად სპითა გიორგი მეფესა ზედა და იქმნა რა იგი აღვსწერეთ.

ხოლო შემდგომად კლდეკარისაგან გიორგი მეფის წარსლვისა

ჩამოვიდნენ ტფილისს ერეკლე მეფე და ქალბალი-ხან. მაშინ ევედ
რნენ კახნი, რათა ნება სცეს ჭარელთა ზედა და შემუსრონ იგინი, ვი-
ნაჲთგან იგინი უმეტესად მძლავრობდნენ ენისელს გაღმა მჴარსა
და იყვნენ მესადგურე ეტიკნი დაღისტნელთა და იყო ამათ მიერ ტყუ-
ევნა, ოჯრება და კლვანი კაცთა, მზიროზით, ავაზაკობითა და პარ-
ვითა, შემდგომად არჩილ მეფისა ვიდრე აქამომდე. არამედ არა აუფ-
ლებდა ქალბალი-ხან აწ ყოფად ამისად. კუალად ერეკლე მეფეცა ეტ-
ყოდა: „გვაცადეთ, ვიდრე გიორგი მეფის ზავ-ყოფადმდე და მერმე
მოვიდე მეცა და უყოთ, ვითარცა გნებავთ“. არამედ კახთა არა ინე-
ბეს, მეტყუელთა: „რად გვნებავს მათ ზედა მეშუელნი, ჩუენ გვეცით
ნება, რამეთუ არს კახეთი მათგან ოჯერ“. მაიძულებელთა ნება სცეს
და შეიკრიბნენ სრულიად კახნი და მივიდნენ ენისელსა შინა, ევედ-
რნენ ჭარელნი და აღუთქმიდენ მორჩილებასა და ხარკსა, რათა არა
მოსწყჳდონ. ესე არა ინებს კახთა და შეუჴდნენ, ვერ წინააღუდგნენ
ჭარელნი და ამათ მოსწყჳდნნეს, მოსტყუევნნეს და შემუსრნეს სი-
მაგრენი მათნი და ნაალაფენი, დადგნენ ჭარსა შინა, რამეთუ განეზ-
რახათ სამდღე მუნიდამ რბევა და ტყუევნა მარად დღე. არამედ გლეხ-
თა რა იხილეს ალაფი დიდი აღიტჳრთვნენ და წარმოვიდნენ. აღუძ-
ნდათ ესე მთავართა ფრიად, გარნა არღარა უსმინეს. ამის მხილველ-
თა ჭარელთა უწყეს თჳთოეულმან ცემა თოფთა, მოკლეს დუშია და
მრავალნი წარჩინებულნი, და ივლტოდნენ კახნი და მოსწყუედდნენ
ლეკნი, მერმე აღიღეს ალაფი თჳსი და უმეტესი კახთა, და კახნი მო-
ვიდნენ თჳს-თჳსად ქ˜სა ჩ˜ქჟე, ქარ. ტ˜პგ.

1-25 სტრ., 609

ესმა ესე ქალბალი-ხანს, განიხარა, ვინაჲთგან ენება დამდაბლე-
ბა კახთა. არამედ ერეკლე მეფე დამძიმდა ფრიად და ამისა შემდგო-
მად იწყეს უმეტესი კირთება, ტყუევნა და რბევა კახეთისა ლეკთა.
ხოლო შთასლვასა ქალბალი-ხანისასა განჯას მარადის იყოფოდნენ
წარჩინებულნი კახნი მის წინაშე და ევედროდენცა შეწევნასა ლეკთა
ზედა. არამედ იგი უზრუნველ იყო, რამეთუ აძლევდნენ მას ხარკსა
და მორჩილებდენ, და კახთა ეტყოდა ტკბილად და ნიჭვიდა მრავალ-
თა. გარნა კახნი კუალად მჴნედ უდგნენ მარადის ლეკთა და მოსრულ-
თა მძლე-ექმნებოდიან და მოსრვიდიან, ვინაჲთგან ამ ჟამებთა აღივ-
სებოდა ქართლიდამ კაცით კახეთი და აღშენდებოდა მრავალნი უშენ-
ნი დაბნები და აგარაკები. გარნა ჟამთა ხანებთათა შემოჴდა უმეტეს
პირველისა ქცევა და ზნენი ყიზილბაშთა და დაუტევებდნენ ქარ-
თულთა; იწყეს კეკლუცობა, განცხრომა, მათებრ სმა-ჭამა, სიბილ-
წე, ტყჳს სყიდვა, მრუშება ვიდრე სოდომიადმდე, რამეთუ პატივი-
სათჳს და როქთათჳს იქმნებოდიან მაჰმადიან და მიიღებდიან ყეენი-
საგან როჭიკსა. გარნა თუ მარადის ბრძოლა-ჴდომათა შინა იყვნენ,
არამედ ჟამიცა აქუნდათ განსუენებისა ხანებთა გამო ქცეულებისათჳს

ეგრეთისა. შემდგომად ამისა ქ˜სა ჩ˜ღგ, ქარ. ტ˜ჟა, მისცა ყეენმან ერეკლე მეფესა კახეთი და ყულარაღასობა თჳსი და გამოვიდა ტფილისიდამ მარტყოფს,მოიყვანა დედოფალი თჳსი ანნა, რამეთუ ესე ანნა იყო, ოდეს ერეკლე მყოფობდა ისპაანს, მოითხოვა კახეთიდამ ქალი და არავინ წარჩინებულთაგანმან ინება წარვლინება, რამეთუ ჰგონებდენ ხარჭად. არამედ რომელი ვაჴსენეთ ალავერდელი, მისგან იყო ჩოლოყაშვილი და მან წარუვლინა ასული თჳსი ანნა. ხოლო ერეკლემ შვა მისგან ძე დავით და ასული ელენე და შემდგომად, რა

1-23 სტრ., 610
განუგრძდა ყოფა ისპაანს, უიმედომან წამოსვლისამან იქორწინა მუნ მისა თანა და, წარმოავლინეს რა ქართლს ერეკლე, ესე ანნა დაუტევა მუნავე ძით და ასულით გამაჰმადიანებულნი ყოველნი ერეკლეს თანა და დავითს უწოდეს იმამ-ყული და ელენეს ბანჯანუმ. ხოლო იმამ-ყული და მაჰმადყული იყვნენ საჭურისთა თანა ყეენისათა და მუნ იზრდებოდნენ. შემდგომად ანნა და ასული ელენე წარმოუვლინეს ქართლს და უშვა ერეკლეს ტფილისს ანნამ ძე თეიმურაზ.

ესენი დაუტევა კახეთს და მივიდა ტფილისვე და მერმე წარვიდა ისპაანს. მისრული კეთილად შეიწყნარა ყეენმან. შემდგომად ევედრა ერეკლე მეფე ყეენსა, რათა მისცეს ძესა მისსა დავითს კახეთი და განუტეოს, რამეთუ სცნა თჳსი არღარა გამოტევება. უსმინა ყეენმან და მისცა დავითს იმამ-ყულიხანს კახეთი და წარმოგზავნა ნიჭითა დიდითა წელსა ქ˜სა ჩ˜ღგ, ქარ. ტ˜ჟა, თათრულსა ჩ˜რიე.

ი˜.მეფე დავით გ˜, ი˜ წელი მეფა

მოვიდა დავით იმამ-ყულიხან წლისა კ˜ე, დაჯდა ყარაღაჯს მეფედ და დაიპყრა სრულიად კახეთი. არამედ იყო ესე დავით პირშუენიერ-ჰაეროვანი, ტანმცირე, არა ძლიერი და მიქცეული სრულიად წესსა ზედა და სჯულსა მაჰმადისასა, რამეთუ არარაი სწამდა ქრისტეანეთა, უმეცარი ზნეთა და სამჴედროთა საქართველოჲსათა. არამედ წიგნნი და ენანი უწყოდა ორნივე წარჩინებულად. ამან დაამშჳდა ჭარი და აღუთქუეს მოცემა ხარკთა. გარნა იწყო ზნეთა ქართლისათა სწავლა, რამეთუ მოღობა ასპარეზი და მას შინა ასპარეზობდა უხილაობისათჳს კაცთა და ნადიმობდა კახთა თანა.
არამედ

1-30 სტრ., 611
თჳთ არა სმიდა ღჳნოსა მაჰმადიანობისათჳს, რამეთუ იყო, ვითარცა სჯულისთავი მათი. გარნა სენიცა იყო მის თანა, რომელ აწყინებდა, და ცოლიცა ესუა შამხლის გუარისა ისპაანს მამა-პაპით აღზრდილი,

ტომითაც მაჰმადიანი.

ხოლო ამას აზრახეს კახთა, რათა მოვლოს საზღვარი თჳსი და მიიღოს მიხმულნი კახეთისა. სთნდა ესე კახთაგან და მოვლო ერწოთიანეთი და მივიდა ჯუარს, მუნიდამ განვიდა და იხილა მცხეთა. ხოლო მცხეთას მოვიდა ვახტანგ განმგებელი ქართლისა და დარბაზობდენ ურთიერთს. ზავ-ჰყვეს ამათ სიყუარულსა ზედა, მერმე წარმოვიდა ჯუარიდამ და მოვიდა მარტყოფს, მუნიდამ ყარაღაჯს.

ამ ჟამთა მოვიდა ამყრელი ყეენისაგან, რომელნი შთამოსრულ იყვნენ კახეთს ქართველნი, რათა მიაქციონ ქართლსავე. შეუძნდათ ესე კახთა და ევედრნენ ყეენსა, არამედ არა უსმინათ, და წარმოავლინეს უმეტესი მძლე. ამან აჰყარნა სრულიად ჩამოსრულნი ქართლისა აზნაურნი და გლეხნი, თჳნიერ რომელთა დაიჴსნეს თავნი ანუ მოიყიდეს თუ კახთა და მისცეს ქართველთავე.

არამედ ვინაჲთგან ლეკნი დაუცხრომელად მტერობდნენ და უმეტეს ჭარელნი, განუზრახეს იმამ-ყულიხანს კახთა, რათა შემუსროს ჭარი და დააცხროს ჭირი ესე კახეთისა, მერმე დაიპყრას საზღვარი კახეთისა. მან უსმინა და შემოიკრიბნა სრულიად სპანი კახეთისანი თუშ-ფშავ-ჴევსურთა, განვიდა და დადგა ვარდიანს ქ˜სა ჩ˜ღვ, ქარ. ტ˜ჟდ, რათა მუნიდამ ბრძოს მარადის. მოერთუნენ მუნ ჭარელნი და ევედრნენ მოუწყუედელობასა და მისცენ ხარკნი ნეშტნიცა და დამორჩილდენ, ვითარცა ნებავს.

ესე ინება იმამ-ყულიხან მათთა მაჰმადიან-ყოფისათჳს, არამედ არა აუფლეს კახთა, ვინაჲთგან აქუნდა შური დიდი. მერმე შეუჴდნენ ჩარდახს, მოსწყჳდნეს იგინი და გარემონი დაბნები მოწუეს ცეცხლითა და მოსტყუევნნეს ვიდრე კავკასამდე და ვერვინ წინააღუდგათ.

არამედ ჭარელთა სამოც-ოდენ კაცთა იხილეს მეფე მცირედითა სპითა, რომელსა უცემდენ ქოს-დაფდაფ-ბუკთა, მოეპარნენ და უწ-

ყეს ცემა თოფთა, მსინჯველთა თუ რაჲ ჰყონ, რამეთუ არა ვითარ ჰგონებდენ ლტოლვასა, არამედ, ვინაჲთგან გამოუცდელ იყო იმამ-ყულხან, არა იპყრნა თჳსთა თანა სპანი რჩეულნი, გარნა უგვანნი, და ამ ჟამსა ვერა რაჲსა მყოფელთა შექმნეს შფოთება და მათ უმეტეს უწყეს ცემა თოფთა. ხოლო ამათ იწყეს ლტოლვა.

განრისხნა დავით და მცდელობა ბრძოლასა. არამედ რა იხილეს თუშთა ლტოლვანი, გამოიტაცეს დავით და მოიყვანეს ყარა-

ღაჯს. ამისნი მსმენელნი ივლტოდენ კახნი.

მაშინ შემოერივნენ ლეკნი და სრვიდნენ უწყალოდ, მოკლნეს მრავალნი წარჩინებულნი და უმრავლესნი გლეხნი და სხუანი ტყუე-ყვნეს, აღიღეს სიმდიდრე იმამ-ყულიხანისა და ალაფი კახთა მრავა-ლი და ამის მიერ განძლიერდნენ და ქმნეს სიმაგრე ჭარელთა. შემდ-გომად გამოვიდნენ და დაიპყრნეს გარემონი თჳსნი და იწყეს უმეტე-სი კირთება, რბევა, ტყუევნა, ოჯრება და კლვანი გაღმა-მჴართა და კახეთს განუსუენებლად.

ხოლო იმამ-ყულიხან, სრულიად კახითურთ მწუხარემან აუწყა ყეენსა და მან წარმოუვლინა ნიჭი ნუგეშინის ცემისა. არამედ ლეკნი თუცა მძლავრობდნენ, გარნა კახნიცა, სადა ვის მოუჴდიან ჴოცდენ და მოსწყუედდენ, რამეთუ არა ძალ-ედვათ მინდორთა დამართება კახთა ლეკსა. შემდგომად მოვიდა ყარაღაჯს კათალიკოზი დომენტი, რამეთუ მიეცა ყეენსა მცხეთის შეწირულობა, რა იგი არს კახეთსა შინა მიიღო იმამ-ყულიხან და მისცა ყოველი ნებასა მისსა და განუტევა. არამედ ლეკთა ოდესმე ზავ-ჰყვიან და ოდესმე იწყიან მტერობა. გარნა შემდგომად დაიპყრეს ელისენი და იწყეს ლაშკრობა და მოაოჴრნეს მრავალნი დაბნებნი, ესრეთ რამეთუ დაუტევა იმამ-ყულიხან ყარაღაჯი და ჰყო სასახლე თჳსი თელავს და მანავს, და იყოფოდა ზამთარს მუნ, ხოლო ზაფხულს მაღაროს. არამედ ნიჭვი-და ყეენი და უვლინებდა ესეცა ტყუეთა კახთა წარჩინებულთა ძეთა

და ასულთა, და ითხოვდა შეწევნასა(არა თუ ამან დასდვა ტყუენი, არამედ იყო გიორგისაგან და ლევანისაგან და უმეტეს ემატებოდა).

ხოლო იმამ-ყულიხანს უქეს აბანო ტფილისისა, არღარა რაჲ გა-მოიკითხა და მივიდა უცნობელად ვახტანგისა. აგრძნა ვახტანგ და წარმოუდგა კოჟრიდამ, უთხრეს ესე იმამ-ყულიხანს და წარმოვიდა მსწრაფლად და, გარდაჴდა რა, მოვიდნენ მოციქულნიცა ვახტანგისა და ამანაცა წარუვლინა ბოდიშით. არამედ, თუმცა მოსწეოდნენ, მის-ცემდნენ სირცხჳლსა დიდსა. შემდგომად მოკუდა მეფე ერეკლე ქ˜სა ჩ˜ღი, ქარ. ტ˜ჟჲ, ისპაანს.

ხოლო შემდგომად გლოვისა აღირჩია იმამ-ყულიხან წარსლვა წინაშე ყეენისა ანუ მოიცეს ძალი ანუ ეგოს მუნ, რამეთუ უმჯობეს სჩნდა მუნ ყოფა. ამისთჳს ევედრა ყეენსა, რათა მიუწოდოს. უსმინა ყეენმან და მიუწოდა მესტუმრით. ხოლო წარსრული იწვია ვახტანგ ტფილისს ქ˜სა ჩ˜ღია, ქარ. ტ˜ჟთ. პატივით ანადიმებდა და განუსუ-ენებდა, იმძახლეს და მოსცა ვახტანგ ასული თჳსი თამარ ცოლად

თეიმურაზს, ძმასა დავითისასა(არამედ თეიმურაზს განატევებინეს ასული ბაინდურ ერისთავისა სათნო-ჩენითა სამღუდელოთათა და ჰყვეს ესრეთ. მერმე სიყუარულ-ერთობისყოფისა მოსცა ვახტანგ საჩუქარი და წარვიდა იმამ-ყულიხან ისპაანს. არამედ თეიმურაზ დაუტევა კახეთს განმგედ. გარნა იყო დედოფალი დედა მათი ანნა მოქმედი.

ამ ჟამთა იწყეს გლეხთა მძლავრებისათჳს ლეკთა ლტოლვად და მისლვად ლეკთა თანა, რამეთუ იკლიან რაჲმე მეპატრონეთა თჳსთაგან, და მუნ მისრულნი ეტიკობდნენ და დაესხმიან დაბნებთა, არვე-მროწლეთა, კაცნი მოსრნიან, ტყუენი და საქონელნი წარიყვანიან. ხოლო კახნი ეწეოდნენ მდევრობით, ხან მათ სძლიან და ოდეს-მე ამათ და იყო მარადღოვანი ესევითარ ჴდომა. გარნა დაზავდიანცა და კუალად იწყიან უძჳრესნი ჴდომანი.

ამ ჟამთა წელსა ქ˜სა ჩ˜ღიბ, ქარ. უ˜წარვიდა თეიმურაზ ტფილისს დიდებით, რამეთუ წარსლვად იყო ვახტანგ ისპაანს, იქორწინა

და დიდითა დიდებითა და ზითვითა მოიყვანა თამარ მანავს და ქმნა კუალად ქორწილი ჯეროვანი.

შემდგომად იწყეს, ვითარცა წესი არს კახთა, კერძობა ერთმანმეორისა და მტერობა ურთიერთთა და არა განიხილვიდნენ რისხუასა. არამედ თჳთცა ამასვე ჰყოფდენ, რამეთუ განძლიერდნენ ლეკნი ქურდობა-ავაზაკობით და აწ უმეტეს იწყეს ლაშკრით სლვა თჳთ კახთაგანვე, ვითარცა ჰყო ქისიყის მოურავმან რევაზ, რამეთუ დაასხა ელისენთ მოურავს მერაბს სპანი ლეკთა. ხოლო მერაბ ივლტოდა სახლის ერდოდამ და წარიღეს ლეკთა ალაფი მისი. არამედ მერაბცა უყო რევაზს ეგრეთვე. ამითი გაგულოვნდნენ ლეკნი და აოჯრებდნენ ქუეყანათა. გარნა თუცა დაზავდიან კუალაცა იწყიან ლაშკრობა და აცნობებდიან კახნი უპირობასა. არამედ იგინი მოუთხრობდნენ ჯეილთა ჰყვეს (ესე არს ყრმათა ჰყვეს). და უკეთუ კახნი მძლე ექმნებოდიან, მოჰყვნიან იგინი, ესენი წაურთმევდნენ ნატყუენავსა და მისცემდიან. ამით მოუძლურდნენ კახნი და განძლიერდნენ ლეკნი.

კუალად იყო ტურა რამაზაშვილი, ესე ავაზაკობდა ლეკთა შინა და ავნებდა მათ. ამან მოიყვანა ნატყუენავი, განწყრა პაატა მანდატურთ-უხუცესი და დაადგინა კაცი, რათა მისცეს სრულიად. ხოლო იგი ევედრა მცირედ დაცადებასა, რამეთუ ეშვა ცოლსა მისსა და მოკუდებოდა. არამედ არა ინება პაატამ მტერობითა. ამისთჳს განგუ-

ლისებული განვიდა ტურა ჭარსა შინა და იწყო მან თავობა ლეკთა და კირთება ლაშკრობით კახეთს, ვინაჲთგან უწყოდა ადგილნი და სიმაგრენი და მისავალ-წამოსავალნი. გარნა ეტიკობითა მისითა მრავალგზის სძლეს ჭარელთა. მერმე კუალად მოუჴდა ტურა და წარუდგა ამას პაატა მოთავედ კახთა, იხილა ტურამ, ივლტოდა და მზირ-უყო სიმაგრეთა ტყეთასა და, რა მოვიდა სიმარჯუესა პაატა, მიეტევა ტურა თოფთა ცემითა, ივლტოდნენ კახნი და ჩამოვარდნილი პაატა მოკლა ტურამ თჳსითა წიხლითა. ხოლო სხუანი მოსრნა და წარვიდა ალაფითა.

არამედ იყვნენ დედოფალი და თეიმურაზ თელავს, მანავს და

მაღაროს მჭმუნვარენი და თავობდა ალავერდელი ნიკოლაოზ, რომელი უჩნდათ დიდ-სათნოდ, რამეთუ იყო ფრიად ხუანჯიანი.

ხოლო იმამ-ყულიხან იყო ისპაანს წელსა ხუთსა წინაშე შაჰ-სულთან-უსეინისა ვერა რაჲსა მყოფელი, თჳნიერ აცილებდნენ ვახტანგს, რათა იქმნეს მაჰმადიან. შემდგომად ქ˜სა ჩ˜ღიე, ქარ. უ˜გ წარმოავლინეს კახეთსვე და მოსრული ყაზახსა შინა ისტუმრა იესემ ტფილისს, ანადირებდა და ანადიმებდა და განუსუენა, იმზახლნენ და მისცა ელენე დაჲ თჳსი ცოლად იესეს ბრძანებითა ყეენისათა; შემდგომად მოსცა საჩუქარი და წარმოსრული მოვიდა თელავს.

მაშინ მისცა ქისიყის მოურაობა და კახთა სპათა თავობა ყიასა-ვეზირს. ამან დააწყნარნა ლეკნი მცირე ჟამსა, მერმე მანავს მყოფის იმამ-ყულისხანისათჳს წარმოევლინა იესეს მენიშნენი, მანდატურთ-უხუცესი ზურაბ, ავალაშვილი ზაზა და რევაზ ყაფლანისშვილი. მაშინ გამოვიდნენ ჭარელნი რბევად. ესე ესმა კახთა, წარვიდნენ და წარჰყვნენ მენიშნენიცა; მისრულთა აოტნეს ლეკნი და მიჰყვნენ წყუეტით კახნი. არამედ აოტნეს ლეკთა ერთკერძი და მოსწყჳდნეს. მხილველნი სხუანი კახნიცა ივლტოდენ, მოჰყვნენ ლეკნი, მოკლეს ელისეთ მოურავი მერაბ, ზაზა და რევაზ და კუალად სხუანი წარჩინებულნი კახნი და გლეხნი მრავალნი, აღიღეს ალაფი და წარვიდნენ.

ამისთჳს კახნი შემჭირვებულნი განიზრახვიდენ თუ რაჲ ჰყონ; ვინაჲთგან არავინ შეეწივნენ, განიგულეს ხრიკი განზრახჳთა ალავერდელისათა და დაასკუნეს, რათა მისცენ ეტიკი ლეკთა და უწყონ ჴდომა და ოჯრება ქართლს, ყაზახს, შამშადილუს და ყარაბაღს და შირვანს, რამეთუ მორჩების ამით ქუეყანა ჩუენი ოჯრებისაგან, და მათ ქუეყანათა მრისხანედ უწყონ მტერობა ჭარელთა.

ამავ წელსა მოვიდა იესე მარტყოფს, ქმნა ქორწილი ქრისტია-
ნულ-მაჰმადიანური, წარიყვანა ელენე დიდებითა და წარვიდა ტფი-

1-31 სტრ., 616
ლისს. შემდგომად მოტყუევნისა ხუნანისა ჭარელთაგან ითხოვა
იმამ-ყულიხან შეწევნა იესესაგან და მან წარმოუვლინა სპასპეტი
ლუარსაბ სპითა საბარათიანოთი. მოვიდნენ და დადგნენ მაღაროს
კახთა სპითურთ შესლვად ჭარს. მაშინ გამოვიდნენ ჭარელნი მორ-
ბევად.

მცნობნი ქართველნი და კახნი აღიჭურნენ და წარვიდნენ მათ
ზედა. არამედ ლეკთა მზირ-უყვეს და ესენი არღარა ლამოდნენ
ბრძოლასა. გარნა ვიეთთამე ჭაბუკთა ქართველთა და კახთა შეუტი-
ვეს და, ვითარ ვერღარა მოაქცივნეს, მიჰყვნენ ესენიცა, რათა გა-
ნუმაგრონ ზურგი. ამისნი მხილველნი ლეკნი მცირენი მოეტევნენ მე-
წინავეთა და აოტნეს იგინი; ეცნენ ესენი დიდთა მათ რაზმთა, ვერ-
ღარა დაუდგნენ და ივლტოდნენ სრულიად, მიჰყვნენ ქისიყის ბო-
ლომდე და მოსრვიდნენ უწყალოდ. მერმე აღიღეს ალაფი დიდი და
წარვიდნენ. ხოლო ქართველნი მწუხარენი მივიდნენ ტფილისს.

შემდგომად კუალად წარმოავლინა იესემ ამილახორი ავთანდილ
ზემო ქართლის სპით. ესენი მოვიდნენ და დადგნენ საგარეჯოს რაო-
დენიმე თთუე, მერმე წარვიდნენ უქმნი. არამედ კახეთი იყო მარადის
ჴდომა-ბრძოლასა შინა.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ღივ, ქარ. უ˜დ მოკუდა გაზაფხულს დედო-
ფალი ანნა, მოვიდნენ იესე და ელენე მოტირლად პატარძეულს და
დაფლეს ანნა ალავერდს.

ამავ ქორონიკონს მოვიდა იესე ხიზნად თელავს. ესე ესტუმრა
პატივით და წარავლინა კახი და ევედრა ყეენსა, რათა მიუწოდოს
იესეს წინაშე მისსა, და უკუნ-აქცივა ყულიცა ყეენისა, ბაქარისაგან
წამოვლინებული, ამისთჳს მოვიდა მორდარი ყეენისა და წარიყვანა
იესე, რამეთუ ვერღარა სიტყუა-უგო იმამ-ყულიხან და წარჰყვა ცო-
ლიცა თჳსი ელენე და წარატანა თეიმურაზ ლილომდე პატივისათჳს.

ამ ჟამთა მოადგნენ ლეკნი შილდა-ყუარელს. ხოლო განმაგრდნენ
მდაბიურნი და მოსრნეს მრავალნი ლეკნი, შემდგომად შემუსრნეს და
წარუხუნეს სიმაგრენი ლეკთა და გამოსწუნეს სულნი მრავალნი კოშ-
კებთა შინა, მოსტუევნნეს და წარვიდნენ, არამედ ვერღარა მიუს-

1-32 სტრ., 617
წრეს კახთა მდევართა. მაშინ დაამტკიცეს განზრახუა ალავერდელი-
სა წინთქმული, მისცეს კახთა ეტიკნი ჭარელთა, მივიდნენ და მოსწ-
ყჳდნეს ბოლნისები და თჳთ ზავ-ჰყვეს მათ თანა. კუალად ყარაბაღს,
შაქს, შირვანს მარადის არბევდნენ. მერმე წარვიდნენ და მოსტყუ-
ევნეს არდაველი და მოვიდნენ ალაფითა დიდითა.

შემდგომად შეიპყრა ყიასა ვეზირი იმამ-ყულიხან, წარუღო ქო-
ნება და პატიმად-ჰყო პანკისს. არამედ განივლტო ყიასა და მივიდა
ტფილისს, შეიწყნარა ბაქარ, მისცა სასახლე მისი და არღარა მოსცა
იმამ-ყულიხანს. ამისთჳს იქმნა მათ შორის შური და დამართვიდნენ
წინაშე ყეენისა. ხოლო კახთა და ლეკთა ზავთა შორის, ამ ჟამთა
წარვიდნენ თუშნი, მოსრნეს რაოდენნიცა ჰპოვეს ლეკნი და მწყემ-
სნი და წარმოიღეს არვე დიდძალი, ეწივნენ ჭარელნიცა. არამედ
მოსრნეს თუშთავე და აოტნეს იგინიცა და მოვიდნენ მშჳდობით.
ამისთჳს მოგზავნეს ჭარელთა: „არს მშჳდობა ჩუენ შორის, რად
ჰყვეს თუშთა ესე“. განრისხნა იმამ-ყულიხან და ბრძანა მიცემა მო-
ნაღებისა. ხოლო თუშთა არა ინებეს. კუალად წარავლინა მოურავი
მათი და არცა მას უსმინეს, ამჴედრდა თჳთ იმამ-ყულიხან და მივი-
და და უბრძანა ცემა თოფთა, არამედ მათ რა იხილეს იმამ-ყულიხან,
შეაქციეს ზურგი და დადგნენ უსაჭურველონი და მსროლელთაცა
არღარა თუ იკადრეს მიხედვად. ამისთჳს შეიწყალა მეფემან და არ-
ღარა მოსრნა, გარნა წარუხუნა ნატყუენავნი და მისცა ლეკთა არ-
ვითურთ.

შემდგომად მოვიდა მეფე ვახტანგ საფურცლეს ქ˜სა ჩ˜ღით,
ქარ. უ˜ზ, დეკემბერს, რამეთუ ემცნო ყეენსა განგება საქმისა ლეკ-
თასა და მივიდა იმამ-ყულიხანცა საგურამოს და დადგა არაგჳს პირ-
სა ზედა. იხილეს ურთიერთი, განაახლეს სიყუარული და ჰქმნეს პი-
რი, და მოსცა სპანი ვახტანგ და წარვიდნენ თჳს-თჳსად. გაზაფხულს
წარმოავლინა ერასტი ყაფლანისშვილი სპითა საბარათიანოსათი,
მოვიდა და დადგა კარდანეხს, დაყვეს თთუე ოთხი. გარნა გამოვიდ-
ნენ ლეკნიცა და არა აბრძოლნეს კახთა. არამედ შემდგომად წარ-
ვიდნენ უქმნი. კუალად ამავე ზამთარს წარმოავლინა ყეენმან შირ-
ვანის ბეგლარბეგი შემუსრვად ჭარისა. ამან მოუმცნო იმამ-ყული-

1-32 სტრ., 618
ხანს, ვითარ ჯერ არს მისლვა, რათა აუწყოს. არამედ განზრახჳთა
კახთათა არა რაჲ აუწყა და არცა მისცა ეტიკნი: „რამეთუ უკეთუ
ევნოს რაჲ, ჩუენ არარაჲ გვაბრალოს ყეენმან“. ხოლო იგი მოვიდა
შაქსა სპითა შირვანისათა. დღესა ერთსა დაესხნენ ჭარელნი, მოკლეს
ბეგლარბეი და მოსწყჳდნეს სპანი მისნი და აღიღეს ალაფი და იავა-

რი ურიცხუნი, რამეთუ აქლემს ყიდდენ ჭარელნი ოთხ მილანთუნად. ესე ესმა რა ყეენსა, მოუწერა ვახტანგს, რათა წარვიდეს და შემუსროს ჭარი.

მცნობნი კახნი წარვიდნენ, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი, და ევედრნენ ვახტანგ მეფესა, რათა ჰყოს ბრძანებული ყეენისა. მან აღუთქუა და წარმოვიდა სპითა დიდითა ქ~სა ჩ~ღკა, ქარ. უ~თ, იანვარს. ამასვე ღამეს მოვიდნენ ლეკნი ხაშმს, ვიდრე უჯარმამდე, უჯერო ჰყვეს, რამეთუ არა აცნობეს ვახტანგს ესრეთ განმზრახთა; რამეთუ უკეთუ ესენი მოსრას, დაშთების ჭარი უვნოდ, მგონეთა უკუნქცევად. კუალად განზრახჯთ მოიყვანეს ორმოცდახუთ დღე მაღაროს, რათა დასახლდნენ და მოშენდეს ქუეყანა და შემდგომად შევიდნენ ჭარს. ხოლო მაღაროდამ მოვიდა ხილვად იმამ-ყულიხანისად ვახტანგ, რამეთუ სნეულებდა დავით და განიზრახეს რა იგი ჯერ იყო. არამედ ეზრახნენ ვახტანგს ჭარელნიცა დამორჩილებად. გარნა ბრძანებითავე ყეენისათა უკუნ-იქცა და იქმნა ჭმუნვა დიდი კახთა შინა, რამეთუ აღიყრებოდიან და ჰყოფდენ ციხე-სიმაგრეთა და გამაგრდებოდიან მათ შინა თელავს, ალავერდს, ლალისყურს, შილდაყუარელს, გავაზს, ვეჯინს, საგარეჯოს, ხაშმს და სხუათა ადგილებთა შინა და ოჯრდებოდა ქუეყანა რბევა-კირთებითა.

ხოლო ამ ვითარებასა შინა მოკუდა მეფე დავითცა ქ~სა ჩ~ღკბ, ქარ. უ~ი, წარიღეს და დაფლეს ყუმს. მაშინ განიყვნენ კახნი, ზოგთ ინებეს თეიმურაზ და ზოგთ მაჰმად-ყულიხან, გარნა მართვიდა თეიმურაზ სათნოთი იმამ-ყულიხანისა ცოლისთა კახეთს. ხოლო იმამ-ყულიხან დაუტევნა ორნი ძენი მაჰმად-მირზა და ალი-მირზა და ასული ერთი.

ამ ჟამთა მოვიდნენ ლეკნი და მოსტყუევნეს თიანეთი; ამათ წარმოუდგა თეიმურაზ კახითურთ და ლეკნი დადგნენ სიმაგრესა ერთსა,

1-28 სტრ., 619
და მისრულა სრვიდენ მრავალთა, მოკლეს ხარჭაშნელი ფილიპე ჩოლოყაშვილი.
შემდგომად შეუჯდნენ კახნი, შემუსრეს სიმაგრე, მოსრნეს და მოსწჯდნეს ლეკნი, რამეთუ მცირედნიღა განერნენ. ხოლო კახთა აღიღეს ნატყუენავი და მოვიდნენ გამარჯუებულნი. არამედ კუალადცა მარადის იყო ესევითარ კირთება ლეკთაგან კახეთსა შინა.

ი~ა. მეფე კოსტანტინე ბ~, ვ~ წელი მეფა

წელსა ქ˜სა ჩ˜ღკგ, ქარ. უ˜ია, წარმოავლინა ყეენმან მაჰმად-ყულიხან ძე ერეკლე მეფისა, ნაშობი მჴევლისაგან, რომელსა ეწოდა კოსტანტინე, მეფედ კახთა. ესე მოვიდა და დადგა ყაზახსა შინა, რამეთუ მიეცა ყეენსა ერევანი, შამშადილო და ყაზახი და წარვიდნენ კახნი წინაშე მისსა. ხოლო იყო ესე მაჰმად-ყულიხან ფრიად მაჰმადიანი, ლაღი და ამაყი, მდიდარი და მესისხლე, რამეთუ არა რიდებდა მცირესა ზედა კაცთა სიკუდილისა.

ამისა შემდგომად მისცა მეფესა ვახტანგს ყეენმან სარდლობა ადრიბეჟანისა. ამას წარმოევლინა ყაზახსა შინა ხანი, და ესე არა უტევა მაჰმად-ყულიხან. არამედ აუწყა ვახტანგს: „რამეთუ მოცემულ ჩემდა არს“. მანცა ნება-სცა და მოუმცნო, რათა მისცეს სპანი. ამისთჳს ჰყვეს პირი მტკიცე ორთავ, რათა შეკრბნენ ხუნანს, ზავისა და სიმტკიცისათჳს. ხოლო მოვიდა რა ვახტანგ სპითა ხუნანს, წარემართა მისლვად მაჰმად-ყულიხანცა; ამას მოგზაურს მოერთუა წიგნი იესესი და რომელთამე ქართველთა, რათა არა მივიდეს ვახტანგისა თანა: „რამეთუ გიდგებისო ღალატად სიკუდილსა“. ამისთჳს უკუნ-იქცა, განვლო მტკუარი, ყარაია ღამითვე და მივიდა საგარეჯოს. მუნიდამ წარუვლინა თეიმურაზ კუალად ზავისათჳს, თჳთ ეზრახა ლეკთა, დაიზავნა ჭარელნი და მოიყვანნა რაოდენნიმე, და იყვნენ წინაშე მისსა. მერმე მოვიდა თეიმურაზცა, რამეთუ ებრალა ვახტანგს ტეხა პირისა და ემცნო აწცა კუალად ერთობისა პირი. არა-

1-31 სტრ., 620
მედ შემდგომად მოსრნეს გოგჯალულს ელთა რაოდენნიმე მებარგულნი ქართველთანი და არცაღა წარუვლინა მაჰმად-ყულიხან სპანი ყაზახთა ვახტანგს.

ამისთჳს წარმოავლინნა სპანი ვახტანგ მეფემან ყაზახსა შინა. ესე სცნა მაჰმად-ყულიხან და ამანცა წარავლინნა კახნი და ბრძოდნენ ყაზახს. კუალად მოიყვანა ლეკნი, წარუძღუანნა კახნი და მოსტყუევნეს სრულიად ლილოები.

ამისა შემდგომად მოსწყჳდნა ვახტანგ გოგჯალონი და წარიღეს ქონება მაჰმად-ყულიხანისა ერევნიდამ მონაქონნი. ესე აღუძნდა მაჰმად-ყულიხანს და მისცა ჭარელთა განძი, მოიყვანნა იგინი და წარუძღუანნა კახნი. ამათ განვლეს ყურყუთას ღამით და დილას დაესხნენ წინწყაროს, მოსწყჳდნეს, მოსტყუევნნეს და წარმოიღეს ჯოგიცა სამეფო, აღიღეს ალაფი დიდი, გამოვლეს ხუნანს მტკუარი და მოვიდნენ. მერმე მოვიდნენ ბაქარ და იესე მცხეთას და არბევდიან საგურამოს. ხოლო მაჰმად-ყულიხანი წარავლინა თეიმურაზ და აქუნდათ ბრძოლა მცირეხანს. შემდგომად ზავ-ჰყვეს მათ ნებითა

მაჰმად-ყულიხანისათა და წარიყვანეს თეიმურაზ და კახნი ეპისკო-
პოსნი და მთავარნი ტფილისს; მუნ უმეტეს ზავ-ჰყვეს და ფიცით
აღუთქუეს ვახტანგს არღარა ორგულება, არამედ სიმტკიცე სიყუა-
რულსა ზედა და ერთობასა. მერმე ანადიმნა, ანადირნა, მისცათ
ნიჭნი და წარმოავლინნა და მოვიდნენ მაჰმად-ყულიხანისა თანა. გა-
ნიხარა ამანაცა შემტკიცებისათჳს და მშჳდობისად. არამედ შლილო-
ბათა ამათ შინა დამართვიდიან ვახტანგ და მაჰმად-ყულიხან წინაშე
ყეენისა ურთიერთთა, რამეთუ აღიღეს ისპაანი და იყო შასთამაზ, ამან
განმზრახთა თჳსთაგან აღირჩია მაჰმად-ყულიხან და მოსცა ქართლი.

ამისთჳს შემოიკრიბნა მაჰმად-ყულიხან კახნი, თუ რაჲ ჰყოს,
რამეთუ ეტყოდა: „ფიცვართ და ვჰგონებ იმყოფის ამით შფოთი დი-
დი. აწ მნებავს, რათა წარუგზავნო რაყამი და ვაცნობო ვახტანგს
(ვითარცა ჰყო მანცა), ამითი იქმნას უმეტესი სიმტკიცე ჩუენ შორის,
მერმე ვაუწყოთ ყეენსა ზოგად სიმტკიცე ჩუენი“. არამედ კახთა მსმე-
ნელთა და უმეტეს ალავერდელმან უარჰყო ესენი, ჰგონებდენ დაპ-

ყრობასა ქართლისასა და მერმე ამითი შემუსრვასა ლეკთასა და გან-
თავისუფლებასა მათგან; უსმინა მაჰმად-ყულიხანცა და მივიდა და
დადგა ავლაბარს, და იქმნა რა იგი აღვსწერეთ. არამედ კახეთი იყო
მარადის ჴდომა-ტყუეობა-ოჯრებასა შინა ლეკთაგან.

ხოლო შემდგომად შეპყრობისა მაჰმად-ყულიხანისა ოსმალ-
თაგან ტფილისს გამოივლტო ციხიდამ, გამოვლო მცხეთის ჴიდი და
მოვიდა მარტყოფს, აჰყარა მუნ სახლეული და დედაწული თჳსი და
მივიდა თელავს და ეზრახოდა ლეკთა და ოსმალთა ზავსა.

არამედ მოუჴდნენ ოსმალნი მარტყოფს ქ˜სა ჩ˜ღკგ, ქარ.
უ˜ია, მოსწყჳდნეს, მოსტყუევნნეს, ხატნი და ჯუარნი შემუსრნეს,
მოსწუეს და მოაოჯრეს და წარვიდნენ ტფილისსვე. არამედ გაზაფ
ხულს იყო ლაშკრობა ლეკთაგან ძლიერი, ჴდომანი, სრვანი, ტყუევ-
ნანი, ოჯრებანი დაუცადებელნი და იავარნი კახეთსა შინა. ამის მიერ
ვერღარა მდგომი მაჰმად-ყულიხან თელავს წარვიდა დედოფლით
და დედაწულით და წარჩინებულით თიანეთს. ამას მოუდგნენ ლეკ-
ნიცა. არამედ ვინაჲთგან არღარა იყო სხუა ღონე, ეზრახა მაჰმად-
ყულიხან ჭარელთა მეგობრობისა და კეთილისათჳს წინასა. მათ უს-
მინეს, მოვიდნენ და წარიყვანეს ქისიყს. ხოლო თეიმურაზ და უმე-
ტესნი კახნი დედაწულით და ეპისკოპოსებით მივიდნენ ანანურს
(არამედ რომელსა ეტჳრთა ნაწილი წმიდათა, უბრკმა ცხენსა მისსა
არაგუსა შინა და წარიღო ნაწილნი იგი და დაიკარგა ქეთევან დედო-
ფლის ნაწილითურთ).

ხოლო ლეკნი მოვიდნენ და მოადგნენ ანანურს. მაშინ განამაგრეს კახთა ანანური და ვერ ავნეს ლეკთა და უკუნ-იქცნენ. გარნა დაშთა თეიმურაზ ანანურს ცოლით და სახლეულით თჳსით, და კახნი წარვიდენ წინაშე ვახტანგისა.

შემდგომად მცირედისა შეკრბნენ ჭარელნი მოსლვად ქისიყსა ზედა. ესე იხილა მაჰმად-ყულიხან არა კეთილად თჳსად, ივლტოდა და მოვიდა ქისიყს. მაშინ ჭარელნი შემოესივნენ დედოფალსა და ქონებასა მისსა და ვერ მპოვნელნი მაჰმად-ყულიხანისა წარვიდნენ ალაფითა თჳსად. მერმე წარმოიყვანა დედოფალიცა მაჰმად-ყული-

ხან და დადგა თელავს. მუნიდამ ეზრახა ჭარელთა: „სტუმარმონდობილ ვიყავ თქუენდა, არა ჯერ იყო ესე თქუენგან“. ხოლო მათ პასუხუგეს, რამეთუ უცნობელად ჩუენდა ჰყვეს ჯეილთა, გარნა ვსტანჯოთ იგინი“. გარნა მოსცეს რაიმე ნააფევნი და მოუთხრეს: „ჩუენ კუალად ვართ მეგობარნი შენნი მტკიცედვე“. არამედ იყო მარადის ლაშკრობა ლეკთაგან და ოჯრება კახეთსა შინა.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ღკდ, ქარ. უ˜იბ, იანვარს წარავლინა მაჰმად-ყულიხან თეიმურაზ ბაქარისა თანა, ვინაჲთგან ეზრახოდნენ ურთიერთს, და შემდგომად მივიდა თჳთცა მცხეთას, ყვეს პირი ერთობა-სიყუარულისა და წარმოვიდა თელავსვე. ამისთჳს წარავლინა სალთხუცესი საზუერელი მაჰმად-ყულიხან წინაშე ყეენისა და აცნობა ესე და მოითხოვა ნიჭნი საგანძურთა, რათა ბრძოდნენ ორნივე ოსმალთა, უკეთუ შეეწიოს. ამისა შემდგომად წარვიდა კახთა და ლეკთა სპითა ყაზახსა შინა.

ამისნი მცნობელნი ოსმალნი მოვიდნენ და დაესხნენ ხილხილას მდგომს, ივლტოდა მაჰმად-ყულიხან და წარიღეს მისნი ყოველნი ხარჭებითურთ ოსმალთა. ხოლო მაჰმად-ყულიხან მოვიდა განჯას და განჯელთა არა შეუშუეს ქალაქსა შინა(რამეთუ იჯდა ძმისწული მაჰმად-ყულიხანისა მაჰმად მირზა მის წილ, რამეთუ მიუხუნა რა ერევანი, ყეენმან მოსცა მის წილ განჯა), ვინაჲთგან ეშინოდათ განჯელთა ოსმალთაგან. გარნა უძღუნეს დიდნი გარექალაქისა; მერმე წარმოვიდა კახეთს. არამედ აქუნდა შიშიცა ლეკთაგან და ივლტოდა ღამე მტკურის კიდესა ეტიკობითა ტურასითა და მოვიდა საგარეჯოს. მაშინვე მოადგნენ ლეკნი და ვერღარისა მყოფელი განივლტო ღამით და მივიდა თელავს და განამაგრა იგი.

ხოლო ლეკთა დაიპყრეს კახეთი, მაჰმადიან ჰყვნეს და დაუგინ-

ნეს მოლანი მათნი დაბნებთა, ციხე-სიმაგრეთა შინა. არამედ შემდგომად ვახტანგ მეფისა წარსლვისა რუსეთს ეზრახნენ ქართველნი მაჰმად-ყულიხანს, რათა მივიდეს სპითა კახეთისათა, განაძონ ოსმალნი და იყოს მეფედ მათდა. ესე ირწმუნა მაჰმად-ყულიხან და შემოიკრიბნა კახნი, თუშნი, ფშავნი და ჴევსურნი(და თეიმურაზ იყო

ანანურსავე) და წარვიდა და მივიდა მუხრანს, მუნ მოეგებნენ არაგუ-კსნის ერისთავნი. მერმე მივიდა თედოწმიდას და მუნ მოერთუნენ ზემოქართლ-საციციანონი სრულიად და იქმნა, ვითარცა აღვსწერეთ.

შემდგომად მუნით ლტოლვილი მოვიდა ახალგორს და მიიყვანა დედოფალიცა თჳსი, რამეთუ ვერღარა შთავიდოდა კახეთს ლეკთა გამო, ვინაჲთგან მათ დაიპყრეს. ხოლო მოვიდა საზუერელი და მოართუა რომელიცა მოენიჭა ყეენსა ი˜გ-ათასოთხასი დრაჰკანი, და წარაგო მაჰმად-ყულიხან მუნ მრავალნი, რამეთუ დაუძჳრეს ყოველნი საზრდელნი კსნის-ჴეველთა. ამისთჳს შემდგომად წარმოვიდა, რამეთუ ვერღარა იტჳრთა უპატიურობა შანშესაგან და მოვიდა ფშავს და წარიყვანა ძმაცა თჳსი თეიმურაზ დედაწულითურთ, და იყოფებოდნენ მუნ წელსა ერთსა იწროებითა დიდითა. გარნა თუცა დაიპყრნეს ლეკთა კახეთი, არამედ იყვნენ მკრძალველნი და მოფრთხილენი მათგან კუალადცა. ამისთჳს შეკრბენ ჭარელნი და მოიყვანეს დაღისტნელნიცა და მოადგნენ თელავს სპანი დიდნი და ბრძოდეს კვირა ერთი. მისჭირდათ თელაველთა და განწირნეს თავნი და გამოვიდნენ განზრახჳთა ვისმე ხუცისათა, რომელი ეტყოდა ძლევასა ლეკთა ზედა; ეკუეთნენ თელაველნი და მოსრნეს ბანაკნი მათნი, აოტნეს და აღიღეს ალაფნი მათნი. ამის მხილველთა კახთა მოსრნეს ყოველნი თჳსთა შინა მყოფნი ლეკნი და განთავისუფლდნენ და კუალად სიმაგრეთა შინა მყოფნი დაადგრნენ მტკიცედ.

მერმე მოუწოდეს მაჰმად-ყულიხანს, ჩამოვიდა და დაემორჩილნენ ყოველნი თელავს მყოფს. მაშინ ზავ-ჰყო მაჰმად-ყულიხან ლეკთა თანა, ვინაჲთგან იხილეს მათცა მაგრობა კახთა და ქართლი უპატრონოდ და მდიდრად. ითხოვეს ყოლაუზი მაჰმად-ყულიხანისაგან, დაუტევეს კახეთი და ბრძოდენ ქართლსა მარადის.

გარნა არცაღა თუ კახეთი იყო მათგან მშჳდობით. ამისთჳს ჰყვეს ციხე მაღაროს ქისიყელთა და შევიდნენ მას შინა. არამედ ქართლისა ნატყუენავის წილს მოსცემდნენ ლეკნი მაჰმად-ყულიხანს ხუთისთავსა ეტიკობისათჳს და უწოდდა თავთა მათთა მეგობრად, ძმად და მეყჳსად. ამისა შემდგომად მოუვლინეს ოსმალთა, რათა

1-31 სტრ., 624
ულაშკროს მათ ერისთავთა ზედა ქართლისათა. არამედ ვინაჲთგან მტერ იყო მაჰმედ-ყულიხან შანშესი უპატიოყოფისათჳს წინთქმულთა, ამისთჳს შემოიკრიბნა სპანი კახთა და წარიყვანნა ნიჴადად ლეკნი მრავალნი, და მივიდა თიანეთს; და რა მოადგნენ ოსმალნი დუშეთს, და ვერღარა დაუდგა რევაზ ერისთავი და წარვიდა მთიულეთს.

ხოლო მაჰმად-ყულიხან შევიდა ანანურს, გამოიღო ზარბაზნები და წარმოგზავნა თელავს და დასუეს ერისთავად მუნ პაპუა ოსმალთა. მერმე მოვიდნენ ვანათს, შემდგომად ლიახუსა ზედა მუგუთს და იქმნაცა, ვითარცა აღვსწერეთ. არამედ უკუმოიქცნენ რა მუნიდამ, ინებეს ოსმალთა ღალატით შეპყრობა მაჰმად-ყულიხანისა და მიუწოდეს გორს. ამისი მცნობი მაჰმად-ყულიხან წარმოვიდა ღამით და მოვიდა თელავს და იყოფოდა მუნ ზავითა ოსმალთა და ლეკთა თანა.

კუალად ამისა შემდგომად წარმოვიდა უსუფ-ფაშა ხილვად სულხავისად, რამეთუ მოსლვად იყო იგიცა ყარაღაჴს და მიუწოდა მაჰმად-ყულიხანს უსუფ-ფაშამ, რათა დაუმტკიცოს ხონთქარისაგანცა კახეთი და მივიდეს მის თანა და მწეცა ეყოს ლეკთა ზედა. ესე არა ინება კოსტანტინემ წინათქმულთა ღალატობისათჳს მისლვა მის თანა, არამედ ლტოლვა კუალად ფშავსავე. გარნა დაარწმუნებდა ალავერდელი და თარხანი ლუარსაბ ფიცით, რამეთუ ესენი იყვნენ შუამავალნი: «და უკეთუ არა მივიდეს მაჰმად-ყულიხან, მოვიდეს მუნით სულხანი და აქათ ოსმალნი და მოსრან კახეთი და მერმე ჴელთ გიგდონ შენცა». ამისთჳს შემოიკრიბნა სპანი და მივიდა უსუფ ფაშას თანა ბეჟანბაღს. მან პატივ-სცა და წარმოავლინა, რათა მზა ჰყოს სპანი და მივიდეს კუალად. არამედ აღმჴედრდებოდა რა, განგვრიმა მაჰმადბეგ მესაჭურჭლემან ისაყ-ფაშისამან და მოკლეს მაჰმად-ყულიხან ქ˜სა ჩ˜ღკთ, ქარ. უ˜იზ. მერმე მოეტევნენ ოსმალნი კახთა, მოსწყჳდნეს და ტყუე-ყვნეს მრავალნი, შეიპყრეს ალავერდელიცა და რევაზ ერისთავი, რომელიცა ლტოლვილი მაჰმად-ყულიხანისა თანა იყო და წარჰკუეთნეს თავნი წინაშე უსუფ-ფაშისა, ეგრეთვე მაჰმად-

1-31 სტრ., 625
ყულიხანს და სხუათაცა მრავალთა, და წარუვლინეს ისაყ-ფაშას და მან წარგზავნა წინაშე ხონთქარისა.

ხოლო უსუფ-ფაშა მივიდა სულხავისა თანა, იხილა იგი და პა-

ტივ-სცა, მერმე წარმოავლინა იგი შიგნით-კახეთსა შინა, თჳთ უკუნ-იქცა და მივიდა ტფილისს. ხოლო სულხავი მოვიდა და მოადგა თე-ლავს, გამოიყვანა ცოლშვილი მაჰმად-ყულიხანისა ნებითვე მა-თითა. მერმე შემუსრა შილდა, ყუარელი და გავაზი, მოსრნა, მოსტ-ყუევნა, წარიყვანნა მრავალნი სულნი და წარვიდა თჳსადვე. ამათი მხილველი თეიმურაზ წარვიდა ფშავს და იყოფებოდა მუნ.

შემდგომად ამისა მოვიდნენ ოსმალნი ყარაღაჯს, აღაშენეს ცი-ხე, განამგარეს ზარბაზნებითა და შეაყენნეს გუშაგნი, და სპანი და-უდგინნეს და სხუანი წარვიდენ. ესე აღუძნდათ ჭარელთა და მრა-ვალგზის ეკირთებოდნენ. გარნა ვერა რაჲმე ავნეს. ამისთჳს შეიკ-რიბნეს ჭარელნი, წარვიდნენ და მოსტყუევნნეს ბოლნისვე. ამათ წარმოუდგა ისაყ-ფაშა და მოეწიათ ყარაის ბოლოს მეწინავენი, გაბ-რუნდნენ ლეკნი, ჰგონებდნენ სიმცირესა მათსა. მაშინ მეწინავენი იგინი ივლტოდნენ. ამათ მოჰყვნენ ლეკნი და მიიყვანეს სისქესა შინა ოსმალთასა, მოსრულთა მოეტევა ისაყ-ფაშა და მოსყჳდნეს ურიც-ხუნი ლეკნი, აოტნეს და მოყვნენ ჴოცითა და სრვითა დღე და ღამე ალაზნადმდე, ვითარ მცირედნიღა გარდაეხუეწნენ, და უკუნ-იქცა გამარჯუებული ისაყ-ფაშა ტფილისსვე. არამედ ჭარელთა მიერით-გან ვერღარა იკადრეს რბევად და კირთებად და დაიპყრეს ყარაღაჯს მდგომთა ოსმალთა ელიფადარი, ართმიდიან ხარკსა და ალაშკრებ-დიან.

ხოლო თეიმურაზ იყო ფშავს ფრიად უპოვარი და მოინება წარ-სლვა რუსეთს, არამედ არა უტევებდნენ კახნი. მერმე ჩამოიყვანეს კუალად თელავსვე ქ˜სა ჩ˜ღლა, ქარ. უ˜ით.

ი˜ბ. თეიმურაზ ბ˜, ი˜გ წელი მეფა

მაშინ თეიმურაზ ეზრახა ისაყ-ფაშას უვნებელობისათჳს, რამე-თუ ძესა მისსა უსუფ-ფაშას აქუნდა კახეთი მიცემული ხონთრისაგან, გარნა სახელითა ოდენ და ვერა რის მოქმედებითა. ხოლო ისაყ-ფა-

შამ აღუთქუა უვნებელობა თეიმურაზს და მიუწოდა ტფილისს და განზრახჳთა და იძულებითა კახთათა მივიდა მის თანა ტფილისს. მან კეთილად შეიწყნარა და წარმოავლინა კუალად კახეთსავე, რათა დაადგრეს ერთგულებასა ზედა და იყოფებოდეს თელავს. არამედ იყო კუალადცა კახეთი ესევითარსავე ბოროტებასა შინა და სიმაგრეთ გამო მაგრებოდიან ჟამითა-ჟამად. შემდგომად რა მოვიდა თამაზ-ხან და აღიღო შირვანი, მერმე შეუჴდა კულმუხს და მუნიდამ გამარ-ჯუებული მოადგა განჯას ქ˜სა ჩ˜ღლდ, ქარ. უ˜კბ.

ამისმან მცნობმან ისაყ-ფაშამ წარმოავლინა სპანი ოსმალთა და მოვიდნენ ესენი ქისიყს. მაშინ შეითქუენენ კახნი აბელ მოურავისა თანა და ღამით დაესხნენ ოსმალთა, მოსრნეს მრავალნი, აღიღეს ალაფნი დიდძალნი და წარმოვიდნენ ღამითვე. ხოლო დილასა აღიყარნენ ოსმალნი და წარვიდნენ მოსწრაფედ ტფილისს.

ამ ჟამთა წარმოავლინა თამაზხან განჯიდამ კაცი და მოითხოვა ასული იმამ-ყულიხანისა, რამეთუ თოფალ-ფაშისასა და ამითი ჰგონეს ამათ ნამსახურ-ყოფნა და წარუვლინეს ქალი იგი. ამისა შემდგომად შემოიკრიბნა თეიმურაზ კახნი, ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი და წარვიდა წინაშე თამაზხანისა. არამედ მოსრულსა თეიმურაზს და კახთა არა წესისაებრ პატივ-სცა თამაზხან, გარნა მცირედითა ნიჭითა.

ხოლო აღვსებასა მოვიდა დესპანი რუსთ ჴელმწიფისა მთავარი სერგი გალიცინი მოსმენად წირვისად თეიმურაზისა თანა. რამეთუ არა იყო სხუა ეკლესია მუნ თჳნიერ მისის კარვისა. ესე ისტუმრა თეიმურაზ და მერმე მანცა ისტუმრა, და მოუძღუნა თეიმურაზს არმაღანი მუნებური. შემდგომად მოსცა თამაზხან სპანი დიდნი და წარმოავლინა შემუსრვად ჭარისად. ამის მცნობთა ოსმალთა დაუტევეს ყარაღაჯის ციხე და ივლტოდნენ ტფილისს.

იხილეს ესე კახთა, მივიდნენ და შემუსრეს ციხე ყარაღაჯისა, წარმოიღეს ზარბაზნები და რომელნიმე შემუსრნეს და დაუტევნეს. მერმე შეკრბნენ და მიეგებნენ თეიმურაზს, შეუძღუნენ ყიზილბაშთა ჭარსა შინა და შეუჴდნენ. არამედ განმაგრდნენ და წინააღუდგნენ

ჭარელნი. გარნა სძლეს ყიზილბაშთა და კახთა და მოსწყჳდნეს მრავალნი, შემუსრნეს კოშკნი და სიმაგრენი მათნი და მოსტყუევნნეს, აღიღეს ალაფი დიდი და წარმოვიდნენ. ხოლო შემდგომად სძლო რა ქოფრულსა თამაზხან, მიუწოდა თეიმურაზს ერევანს, წარვიდა თეიმურაზ და, მივიდა რა მცირეს ხანს უკან, შეიპყრა და წარმოგზავნა ტფილისს, რათა მოიყვანოს ცოლიცა თჳსი თამარ მუნ. არამედ მოვიდა რა ყურყუთას თეიმურაზ, გამოივლტო და მოვიდა თელავს და მოვიდაცა ტფილისს თამაზხამ. მერმე ესმა მოსლვა დარუბანდს თათარხანთა, წარმოვიდა კახეთსა ზედა. ამისთჳს წარვიდა თეიმურაზ ყოვლითა დედაწულითა თჳსითა ფშავს და თამაზხან მოვიდა კახეთს და დაამშჳდა კახეთი. მერმე წარმოავლინა მარბიელად სპანი და აჰყარნა სულნი მრავალნი და სხუანი მოსრნეს. ხოლო ტყუენი წარგზავნა ხორასანს და წარვიდა თჳთცა დარუბანდს, გარნა ავნეს დი-

დი სპათა თამაზხანისათა ჭარელთა.

არამედ წარყვანებულთა კახთა ტყუეთა რომელთამე ქართველ-
თა თანა იცეს ჟამი მარჯუე, მოსრნეს მტარვალნი თჳსნი, განთავი-
სუფლდნენ და მოვიდნენ კახეთსავე, და ქართველნი ქართლს და სხუ-
ანი რომელნიმე წარიყვანეს ხორასანსავე. ხოლო გაჴელმწიფდა რა
თამაზხან მუღამს, მერმე წარვიდა შანადირ ისპაანს, შთამოვიდა თე-
იმურაზ კახეთს და დაიპყრა კახეთი. მაშინ ეზრახა ხანი ტფილისისა
თეიმურაზს ფიცით, რათა მივიდეს მის თანა და ჰყონ ზავი და დაუმ-
ტკიცოს კახეთი ყეენისაგან და გამოუტეოს ნიჭითა უვნოდ. ესე კახთ
პირველ კეთილად შეიწყნარა, მერმე შეიპყრა ღალატად, და წარ-
გზავნა ქართველით პყრობილითურთ წინაშე შანადირისა ისპაანს ქ˜სა
ჩ˜ღლზ, ქარ. უ˜კე.

ხოლო მისრულსა შანადირ არა რაი ავნო, ვინაჲთგან ნებითა
თჳსითა მისრულ იყო და ღალატით შეეპყრა ხანსა. არამედ მისცნა
ნიჭნი მცირენი და წარიყვანა ყანდაარს. მუნ ყანდაარს ყოფასა შინა
სთხოვა თეიმურაზს შანადირ ძე და ასული, რათა მიიყვანოს იგინი
მის თანა და თეიმურაზ გამოუტევოს კახეთსავე. ესე აღუძნდა ფრიად
თეიმურაზს, გარნა არა რაჲ იყო სხუა ღონე მიყვანისაგან კიდე, მო-

ავლინა კაცი და წარიყვანა ერეკლე ძე თჳსი და ასული თჳსი ქეთევან.

ხოლო შანადირ წარიყვანა ერეკლე ინდოეთს და ქეთევან მისცა
ძმისწულსა თჳსსა ალი-ყულიხანს ცოლად და გამოუტევა თეიმურაზ
კახეთს.

არამედ ძე იმამ-ყულიხანისა ალი-მირზა, რომელი დაუტევა შა-
ნადირ ტფილისს, ვითამ ვალი, შთავარდა ამასა და ხანს შორის შუ-
რი დიდი, ვერღარა დადგა ტფილისს ალი-მირზა, წარმოვიდა და მო-
ვიდა კახეთს. ამან ალი-მირზამ ინება განზრახჳთა აბელ მოურავი-
სათა განდგომა ყეენისა და თჳთ დაპყრობა კახეთჳსა და ამისთჳს
ეზრახაცა თამარს, რათა ჰყონ ესე. არამედ თამარ არა ინება, რამეთუ
ვინაჲთგან იყვნენ ქმარი მისი თეიმურაზ და ძე მისი ერეკლე ყანდა-
არს წინაშე შანადირისა.

ესე აცნობა თამარ ქისიყელთა და თუშთა არა-ყოფად ამისა ეს-
რეთ. მაშინ იგინი მტკიცედ დაადგრნენ ერთგულებასა ზედა თამარი-
სასა გივის ჩოლოყაშვილის მიერ და ამისთჳს მივიდა თამარცა ქისიყს.
ხოლო მათ რა იხილეს ესე ესრეთ ვერღარა რაი იკადრეს ქმნად, რა-
მეთუ ვინაჲთგან იქმნებოდა შფოთი დიდი და სისხლის დანთხევა

კახთა შორის, განიფანტნენ და წარვიდნენ თჳს-თჳსად. ამისთჳს
ალი-მირზა ვეღარ დამყოფელი კახეთსა შინა წარვიდა წინაშე შანა-
დირისა ყანდაარს და წარჰყვა ინდოეთს და მუნ მოკუდა.

ამისა ქმნისა შემდგომად მოვიდა თეიმურაზცა კახეთს ყანდაარი-
დამ ქ˜სა ჩ˜ღლჱ, ქარ. უ˜კვ, მოეცა შანადირს კახეთი, არამედ მორ-
ჩილებასა შინა ტფილისს მჯდომის ხანისასა. ხოლო შემდგომად წე-
ლსა ქ˜სა ჩ˜ღლთ, ქარ. უ˜კზ წარმოემართა სპასალარი ერანისა და/ ძმა შაჰნადირისა,
რომლისთჳსცა ერჩმუნა ადრიბეჟანი, ვითარცა
მპყრობელად შემუსრვად ჭარისა. ამან მიუწოდა სპითა კახთათა თე-
იმურაზს და ქართველთაცა.

ხოლო თეიმურაზ წარვიდა მსწრაფლად სიხარულითა შეკრებუ-
ლი კახთა სპითა და მივიდა წინაშე სპასალარისა, შეუჯდნენ ჭარს,
მოსრნეს, მოსწყჳდნეს, მოსტყუევნნეს, მოაოჯრნეს და მოსწუნეს.
მერმე შევიდნენ პატარას ჭარსა შინა და მასცა ეგრეთვე უყვეს და

გამაგრებული კოშკები შემუსრნეს და მოაოჯრნეს ვიდრე კავკასამ-
დე.
არამედ განეგულა სპასალარსა სამ დღე მუნ დგომა და ოჯრება და
რბევა მათი. გარნა რა იხილა მოსრვა მათი და წინააღმდგომი არ-
ღარა ვინმე მტრად, ამისთჳს არღარა ინება მოცდა და ბრძანა წა-
რმოსლვა სპათა. ამას უშლიდნენ ბეგლარბეგნი და ბეგნი, არამედ არა
ისმინა მათი და გამოუტევა სპანი და თჳთ მცირედითა კაცითა დაად-
გრა და მომავალი სპასალარი გარდაჯდა ღელოვანსა ერთსა ველსა ზე-
და შუენიერსა, რათა მოსწიოს ყალიონი და სუას ყავა. იხილეს მზირ-
ყოფილთა ლეკთა და სცნეს სპასალარობა მისი, შემოეპარნენ, ჰკრეს
თოფი და მოკლეს სპასალარი მუნვე, და მის თანა მყოფნი ივლტოდ-
ნენ მკჳრცხლად. ხოლო ჭარელნი შესხდენ ცხენთა მათთა, ეწივნენ
დიდთა მათ სპათა და სრვიდნენ უწყალოდ. კუალად მლტოლვარენი
ეცნენ სხუათა მათ სპათა ყიზილბაშთა და ივლტოდნენ სრულიად
ყოველნი. მოჰყვნენ ლეკნი და მოსწყუედდენ შეუწყალებლად. ვიდ-
რე ალაზნადმდე. მერმე აღიღეს სიმდიდრე სპასალარისა და ალაფი
სპათა და იავარი დიდძალი. არამედ კახნი და ქართველნი წარმოვიდ-
ნენ უვნოდ შოებულნიცა ყიზილბაშთა ალაფისა. გარნა კუალად ამით
ჭარელთა იწყეს მაგრება და განძლიერდნენ. ხოლო კახეთს იყო კუ-
ალადცა დაღისტნელთა ლეკთაგან ტყუევნა, კლვა და ოჯრებანი, და
მცდელობდნენ მათ ზედაცა კახნი სიმაგრით გამო წინააღდგომობასა,
ნაცვალგებასა. ხოლო მერმე, მორაიქცა შაჰნადირ ინდოეთიდამ, წა-
რმოავლინა ერეკლე ნიჭითა კახეთს, მოვიდა მშობელთა თჳსთა თანა
და განიხარეს სიხარულითა დიდითა და მოგუარეს ცოლად ასული

ვახტანგ ყაფლანისშვილისა. გარნა მიზეზითა რითამე განუტევა იგი და მოიყვანა იმერეთიგამ ასული ზაალ ფხეიძისა და იქორწინა მის თანა.

შემდგომად მოვიდა შაჰნადირ არდაველს ქ˜სა ჩ˜ღმა, ქარ. უ˜კთ, მიუწოდა მუნ თეიმურაზს, მივიდა რა თეიმურაზ, მოსცა სპანი და წარმოავლინა ჭარსა ზედა. ესენი შეუჴდნენ კუალად ჭარს, შემუსრნეს, მოსწყჳდნეს კნინღა დაბოლოებამდე მათთა, წარმოიყვანეს ტყუენი მრავალნი, რომელნიცა დასხნა შაჰნადირ დედანი ჭარელთა როსკიპად სპათა შორის თჳსთა. ხოლო თეიმურაზ მოვიდა კახეთს და იყოფებოდა თელავს. წარმოავლინა შაჰნადირ ქარ-

1-31 სტრ., 630
თველნი დარუბანდიდამ და მოსცა გივს ამილახორს ვექილობა. ეს გივი ეზრახა თეიმურაზს, რათა უკუდგნენ შაჰნადირისაგან. არამედ თეიმურაზ არა უსმინა ესე. ამისთჳს შეასმინა გივმან თეიმურაზ ტფილისის ხანსა, ვინაჲთგან მოსლვად იყო ხანი ლეკთა ზედა დაღისტანსა შინა და მიუწოდა თეიმურაზს, რათა წარუძღუეს იგი. არამედ არა მივიდა მუნ თეიმურაზ, გარნა მიუთხრა: „ოდეს მოხვალ კახეთს, მაშინ მოვიდე“. განრისხნა ამისთჳს ხანი და წარმოავლინა სპანი. ესენი მოვიდნენ და მოსტყუევნეს და მოსწყჳდნეს საგარეჯო. მერმე შეასმინაცა შაჰნადირს ხანმან თეიმურაზ უკუდგომით ყოფა მისი. არამედ თეიმურაზ შფოთისა ამისთჳს წარვიდა წინაშე შაჰნადირისა. ხოლო შაჰნადირს რა ესმა უკუდგომა თეიმურაზისა, მიუწოდა წინაშე თჳსსა და მივიდა თეიმურაზცა დარუბანდს. მაშინ ვითარ სცნა შაჰნადირ რამეთუ მიწოდებისა მისისაგან პირველვე წარვიდა თეიმურაზ წინაშე მისსა, ამისთჳს პატივ-სცა და ანიჭნა ბოძნი. გარნა მოუთხრა, რათა მოიყვანოს ცოლიცა თჳსი თამარ, შეუძნდა ფრიად თეიმურაზს. გარნა არა იყოღა სხუა ღონე, მიიყვანა იგიცა დარუბანდს. ხოლო შაჰნადირ პატივ-სცა კეთილად და მიანიჭნა ნიჭნი და წარმოავლინა კახეთსვე, წარმოვიდა, გამოვლო დაღისტანი უვნოდ და მოვიდა თელავს. ამისა შემდგომად უბრძანა შაჰნადირ თეიმურაზს მზა-ყოფა სპითა, რათა მოვიდეს მთით კავკასიიდამ დაღისტანსა ზედა და გამოუტევა.

მაშინ შეჰკუეთეს ხარკი კახეთს, ვითარცა იყო ქართლსა შინა, და დაადგინეს მით ხუთასნი ნოქარნი კახნივე და როქსა მისცემდნენ ხარკთაგან კახთასა. არამედ მორჩილებასა და ბრძანებასა შინა იყვნენ ესე ნოქარნი თეიმურაზისასა. ხოლო შემდგომად უკუნ-იქცა რა შაჰნადირ სპარსეთად, თეიმურაზ იყო კახეთს. მაშინ მოხედნა რისხუამან და შეიძრა ქუეყანა ქ˜ სა ჩ˜ღმბ, ქარ. უ˜ლ, და დაირღუა და შეიმუსრა ალავერდის ეკლესია, კუალად ციხე ხოდაშენისა. არამედ

ესეოდენს ძრვასა შინა არა რაი შეიმუსრა თჳნიერ მათთა. ხოლო შემდგომად ბრძოლასა შაჰნადირისასა ბაღდადის კერძოდ ოსმალთა ზედა მოსულს, უკუდგნენ რა შაჰნადირისაგან ასტარაბადი, შირაზი

1-31 სტრ., 631
და შამახია, არამედ შამახიელთა მოიყვანეს შეწევნითა ლეკთათა შაჰსულთან უსეინის ძედ წოდებული ვინმე [რ˜ისათჳს პირველივე დაეკუეთნეს ცხჳრი და ყურნი ძესა შაჰნადირისასა] და დასუეს კეენად.

სცნა ესენი შაჰნადირ და წარმოავლინა ძე თჳსი სპითა. ამას მიეგებნენ ლეკნი მტკუარს იქით, ეკუეთნენ სპარსნი და მოსრნეს სრულიად ლეკნი, რამეთუ ვერვინ განერა მატყვიცა და დაიპყრა შამახია ძემან შაჰნადირისამან, და ყეენის ძედ წოდებული იგი ივლტოდა დაღისტანსა შინა. ხ˜შ˜დ ამისა მოკლეს ყმათა მისთა ბეჟან ერისთავი არაგჳსა, მერმე საერისთონი იგინი მოერთუნენ თეიმურაზს.

ესე ამცნო შაჰნადირს თეიმურაზ. მაშინ მოსცა თეიმურაზს საერისთო ესე და შევიდა თეიმურაზ მუნ მათ შინა.

მხილველი ამისი ამილახორი გივი ივლტოდა და თეიმურაზ მოადგა ციხითა მისთა კსანსა ზედა. ხოლო რევაზ ბიძაშვილმან გივისამან მოსცნა ციხენი თეიმურაზს და თჳთ რევაზ ჩამოვიდა ყმითურთ კახეთს. არამედ ვინაჲთგან უმეტესი ჭირი იყო ქართლს ყიზილბაშთაგან და ლეკთაგან, ამისთჳს ჩამოვიდოდიან მრავალნი მთავარნი, აზნაურნი და გლეხნი კახეთს და აღშენდებოდა დაბნები.

ამისა შემდგომად ყეენის შვილი იგი ლტოლვილი დაღისტანსა შინა ვერღარა დაადგრა მუნ და წარმოვიდა კახეთსა ზედა, რათა მივიდეს ოსმალთა შინა. ესე შეაცთუნა ეტეკმან მისმან გზისაგან მისისა, წარმოიყვანა და მოგუარა სამოც-ოდენ კაცითა თეიმურაზს ტინს მდგომსა. ამან შეიპყრა იგი ყმითურთ და წარუძღუანა ძე თჳსი ერეკლე და წარავლინა შაჰნადირისა წინაშე.

ამისი მხილველი შანადირ მადლიერ იქმნა თეიმურაზისაგან ფრიად, უწოდა დოვლათშარიქი და მოსცა ნიჭი დიდი. მერმე შემდგომად უსუფ ახალციხის ფაშის მოსლვისა ქართლს შინა გორს და არაგუსა ზედა ერეკლესაგან მოწყუედისა ოსმალთა და ყოფილისა, რომელნიცა იგი აღვსწერენით ქართლსა ზედა, მოსცა შაჰნადირ თეიმურაზს ქართლი და ძესა მისსა ერეკლეს კახეთი. მაშინ მივიდა თეიმურაზ და დაჯდა ტფილისს ქ˜სა ჩ˜ღმდ, ქარ. ყ˜ლბ. ხოლო ძე თეიმურაზისა ერეკლე დაჯდა კახეთს.

1-21 სტრ., 632
აღწერა აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა
შინათა

სახელისათჳს

ქუეყანა ესე, რომელსა აღსწერთ, წილხდომილ არს კავკასოსი,
ძისა თარგამოსისა. ხოლო მოვიდნენ რა ორნი ესე ძმანი, ლეკანი და
კავკასოს, ლეკან დაიპყრა წილი თჳსი, და გამოსლვასა ხაზართ მეფი-
სასა, მისცა მამის ძმისწულსა თჳსსა ხაზართ მეფემან ტყუენი რანი-
სა და მოვაკანისა, და ლეკანის წილი ქუეყანა, და დაეშენა თჳსითა
და მით მუნ. ხოლო ხოზონის, რომელი უწარჩინებულ იყო ნათესავ-
თა ლეკანისათა, შემოვიდა მთათა შინა და აღაშენა ქალაქი, და უწოდა
სახელი თჳსი ხოზონხეთი და ხარკს მისცემდა ხაზართა. ხოლო კავ-
კასოს დაიპყრა ქუეყანა ლეკანის საზღვრიდამ, ვიდრე პონტოს ზღუ-
ამდე, კავკასის მთის ჩდილოთი ველითურთ, და ამისგან ეწოდა მთას-
ა კავკასი და ველსა ოსი, ბოლოს მონაწყუედი კავკასოსი, ვითარმ მი-
სი გამოსლვამდე ხაზართა. არამედ ხაზართა მეფემან მისცა ქუეყანა
კავკასოსი ძესა თჳსსა ურბანოსს და ტყუენი ქართლ-სომხითისანი.
ამან მოსწყჳდა ნათესავი კავკასოსი, და დაეშენა აქა თჳსითა და
ტყჳთა მით და უწოდა ოვსეთი. ესე არს ხაზარულად „ზოგი თეს-
ვად“, ვითარმ-„ზოგი მოსვწყჳდე და ზოგი დავსხი თესვად“. ვი-
თარცა უწოდეს ბარდოსის წილსა რანი, ესე არს წყლულნი, რამეთუ
მოსწყჳდნეს უამრავნი, მძორთა უტევარნი.

1-23 სტრ., 633
ხოლო ძე ტინენისა, დურძუკოს, უწარჩინებულეს იყო ნათესავ-
თა შორის კავკასოსთა, შემოივლტო კავკასის მთასა შინა, აღაშენა
ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი. ამის გამო უწოდა არაგჳს აღმოსავ-
ლის კერძს, ლეკეთის საზღვრამდე, ძურძუკეთი, ხოლო არაგჳს
დასავლით, რომელ არს მდინარე ლომეკი და აწ თერგი, რომელი დის
ჴევიდამ კავკასთა შინათა, უწოდა დუალეთი, მისვე ურბანოსისაგან
ხაზარულად, ესე იგი არს „ორი წელიწადი“, ესე იგი არს; რამეთუ ვი-
ნაჲთგან ძურძუკეთსა შინა მცხოვრებელნი და კავკასთა შინა მცხო-
რებელნი ხარკსა მისცემდნენ ურბანოსს, ამისთჳს ორნი წელნი უწო-
დეს, რამეთუ ორის წლისა შემდგომად ხარკსა გამოართმიდენ, რო-
მელნი დღესაც ეგრეთვე მოხარკენი არიან თჳს-თჳსთა უფალთა,
რომელსა უწოდებენ საჩუქარსა აწინდელს ჟამსა. ხოლო შემდგომად
ფარნაოზის გამეფებისა, დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დუალეთი, და/ სხუანი ჴევნი
იგინი დაშთნენ მეფეთა ოსთასა, და იწოდნენ ჴევნი
იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე.
ხოლო შემდგომად კუალად განიყო ძურძუკეთი ძურძუკად, ქისტად

და ღლიღუად, და ისახელა ესრეთ ანუ ძურძუკოს ძეთაგან ანუ შემო-
სულთა ოვსთაგანვე.

არამედ დუალეთიცა განიყოფების ჴევ-ჴევად და იწოდების ჴევნი
ესრეთ: კასრის ჴევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად,
ზროგოდ და ზახად. ხოლო რომელნი დაშთნენ მეფეთა ოვ-
სთა, სახელნი მათნი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაუ-
ლი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი, და სა-
ხელნი ესენი ეწოდნენ ანუ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა

ოსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზ ყეენთა მოსლვისა, ბათო
ყეენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოჴრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდ-
ნენ კავკასიათა შინა, და იწოდნენ სახელითა მათითა ჴეობანი ესენი
ესრეთ, ვითარცა აჩენს გუარნი მათნი, რამეთუ უწარჩინებულესნი
გუარით არიან ოვსნი, და გუარნი ოვსთანი ესენი არიან: ბასიანი, ბა-
დელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჭახილიძე.
ხოლო შემდგომად მოოჴრებისა ოვსეთისა და შემოსლვისა მათისა
კავკასიასა შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად და ანუ ყაბარდად, და კავ-
კასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოვსეთად, რამეთუ აწცა
გურიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხუათა უგუაროთა-კუ-
ალად დუალადვე. არამედ ჴევი, რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა,
არს დუალეთისავე, გარნა ვინაჲთგან მტკიცედ დაიპყრეს მეფეთა
ქართლისათა, იგი უწოდეს შეცვლილითა სახელითა ჴევად, ვინაჲთ-
გან არს ჴევი შუენიერი. არამედ თრუსო კუალად არს დუალეთისა-
ვე, და ეგრეთ საცნობი ესეცა.

ხოლო აწინდელისა ამის ოვსეთისა საზღვარი არს: აღმოსავ-
ლით თრუსოსა და ჴევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და
ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამჴრიდამ ჩდილოდ, და დასწყდე-
ბის ჴევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდი-
ნარე, ვიდრე ხეთაძე-ჩერქეზის მთამდე; სამჴრით მზღვრის კავკასი,
ჴევის ყელიდამ წარსრული დასავლეთად, რომელ არს ბრუც-საბძე-
ლამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიანს შორისნი კავკა-
სნი; ხოლო ჩდილოთ ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი, და ჩერ-
ქეზის კერძოდ ტყიანი და ოსეთის კერძოდ უტყეო, არამედ ღელეებ-
თა შინა მცირეტყიანი; და დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჭასა
და ჟღელეს შორისი, მერმე ბასიანსა და სუანეთს შორისი.

ქუეყანისათჳს

ხოლო ქუეყანა ესე არს მაგარი და შეუვალი უცხოს მტერთა-
გან, მაღლის მყინვარისა და თოვლიანის მთის მიერ, რომლისა ყი-
ნულის სიმაღლე არს კ˜და ლ˜მ3არი ზაფხულის, კუალად სივიწრო-
ვისაგან და მაღლის კლდის ქარაფოვანთაგან, და მდინარეთა დიდთა
და ჩქართა მომდინარეთაგან, რამეთუ ძნიად განვალს ცხენი ფონად,
თჳნიერ ჴიდისა, არამედ მცურავთაგანცა არა ძალ-იდების ცურვად.
არა არს აქა ტყე, მცირეთაგან კიდე, და იგიცა უმეტეს არყნალი, გა-
რნა მდინარეთა კიდეთა და ღელოვანთა შინა, რამეთუ სივიწროვე-
სიცივისა და კლდოვანობის გამო ვერ იზრდების, გარნა ვიეთნი ზიდ-
ვენ ჩერქეზის მთიდამ, და სხუანი სწვენ წივასა.

ხოლო სიგრძე ამის ქუეყნისა არს ჴევიდამ სუანეთის კავკასამ-
დე და განი ქართლის კავკასიდამ ჩერქეზის მთამდე. არამედ ნაყოფი-
ერება ამ ქუეყნისა არს მცირედი, ვინაჲთგან არარაჲმე მარცვალნი
ნაყოფიერებენ თჳნიერ ხორბლისა, ქრთილისა და შვრივისა, სიცი-
ვისა, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისათჳს. გარნა ამასაც
ვერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო. გარნა,
რა იგი დასთესონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად, და უკეთუ მო-
ვიდეს სეტყუა, რომელი ჴშირობს მათ შინა, მოყმდებიან ძლიერად.
კუალად არარაჲ მოვალს, და არა უწყიან მტილისანი ანუ წალკოტნი
და ხილნი, გარნა ვიეთთამე ადგილთა იპოების კოწახური, კლდის
მერსენი, უელი და ასკილი. პირუტყუნი არიან: ცხოვარი უდუმო-
კუდიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა, ღორი, არამედ არა მრავ-
ლად, გარნა არიან ფრიად გემოიანნი სხუათა ადგილებთაგან უმეტეს.

1-24 სტრ., 636
და ვინაჲთგან აქუთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამისთჳს ვერ
ინახვენ ცხოვართა, თჳნიერ კ˜,მ და რ˜კიდე, ეგრეთვე ცხენთა და
ძროხათა ი˜, კ˜ და მ˜და უფროსი არღარა. ხოლო არიან ვეძანი,
რომელ არს წყარო ანკარა მლაშე, და მრავლად ყოველსა ოვსეთსა
შინა. ამას სმენ კაცნი და პირუტყუნი, და ფრიად ერგებისთ, გარნა
უფროს პირუტყუთა, რამეთუ პოხიერ ჰყოფს, და გემოიან, და ურ-
ბილებს მატყლსა. ფრინველნი ჰყავთ ქათამნი და სხუანი არარანი,
და გარეულნიცა წურილთა სირთაგან კიდე არარაჲ არს მუნ. გარნა
არს ფრინველი შურთხი სახელით, რომელი ყოველსა კავკასიასა ში-
ნა გუარობს, მგზავსი სახით კაკბისა და სიდიდით ორის ქათმისა. ეს
შურთხი შეიკრებს თჳსად საზამთროდ ბალახსა მრავალსა, და ამას
ზამთარს შეუჭამს ჯიხჳ, ხოლო შურთხი გამოიზრდების კურკლითა
მისითა. და არს ესე შურთხი ფრიად გემოიანი. ნადირნი არიან ვიეთ-
თა ადგილთა ირემი, არჩჳ, მშუელი, ფოცხუერი, მელი, მგელი, ტუ-
რა, მაჩჳ, დათჳ, კურდღელი, და არა მრავლად. ხოლო ჯიხჳ, რომე-
ლი მგზავსობს თხასა, არამედ არს ფრიად უდიდესი მისსა და

შუენიერი სახითა და რქითა, ესე გუარობს კავკასთა ამათ შინა ყოველგან, ჯოგად და ჯოგად. ესე ვალს კლდესა ზედა ქარაფსა და მაღალსა, რომელსა ზედა ვერარაჲ ცხოველი შემძლებელ არს განსლვად: აღვალს იანვრის ტეხვრა-ქარიშხალსა შინა უმაღლესს კავკასსა ზედა, შეაქცევს ცხჳრს ქარსა, და დაწვების ეგრეთ, და არარაჲ ევნების. არს აქა ფუტკარი და ჰყავთ, და არა ეგდენ მრავლად, რათამცა კმა ეყოსთ თაფლნი. არიან აქა ლითონნი ვეცხლისა, ბრპენისა, რკინისა, გოგირდისა, გუარჯილისა და ქვისა ბროლისა. არა-

1-25 სტრ., 637
მედ არა უწყიან ჴელოვნება გამოღებისა, რათამცა იჴმარონ მრავლად. არა არს თევზნი აქა მდინარეთა შინა, ჩქარად დინებისაგან, თჳნიერ ვიეთთამე ადგილებთა იპოვების კალმახნი.

კაცისა და ჩუელებისა, ზნისა და
ჴელოვნებისათჳს

ხოლო კაცნი და ქალნი არიან შუენიერნი, ჰაეროვანნი, შავ-თუალ-წარბანი, შავ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, ტანოვანნი, წერწეტნი, გარნა უმეტეს ქალნი წერწეტნი, მკჳრცხლად ფიცხელნი, თჳსთა ქუეყანათა შინა მცირედ მჭამელნი, რამეთუ კმა იყოფენ თჳნიერ წყალსა და პურსა და შრატსა, სხუათა ადგილთა და სტუმრობათა შინა გაუძღომელნი, ვერ შემმართებელნი ბრძოლასა შინა, რამეთუ ეშინისთ ლაშკართაგან ფრიად. არამედ ღამით შემმართებელნი და შემპარავნი ლაშკართა შინა და გამომსლველნი, უსაქციელონი, ბრიყუნი, ქუეყანათა თჳსთა ლაღნი და ამაყნი, სხუათა ქუეყანათა შინა მდაბალნი, გონიერად მოუბარნი, ქურდნი, მპარავნი, მტყუარნი, ხარბნი, მომხუეჭნი, მესისხლენი, მემრუშავნი, ტყჳს მყიდველნი, გარნა არა თჳსთა ჰყიდიან. არამედ ქალნი მათნი იცვენ ქალწულებასა ვიდრე შერთვადმდე ქრმისა, და მერმე სახელ არს მათ შორის რაოდენნიცა უვისთ კურონი, რამეთუ სირცხჳლად აქუსთ დღისით ხილვა ცოლშვილთა თჳსთა ქრმისაგან.

ხოლო ცმულნი არიან ხამის პერანგით, საყელო ბერულად მოჭრილითა, ნიფხავი ხამისავე. მას ზედა ჩოხა მოკლე მოჴლადმდე და პაიჭიცა შალისა. არამედ ჩოხა ნაოჭიანი და უგუჯასტო, ჩოხას ზეით ნაბადი მოსხმული; ფერჴთა ზედა ტყავთაგან აცვიათ, რომლისა არს ლანჩა გამობანდული დახეულის ტყავისაგანვე, და მას შინა შთასდე-

1-23 სტრ., 638
ბენ თომსა, და ჩაიცმენ ეგრეთ, რათა არა მოუსხლტეთ ფერჴი ყინულსა, კლდესა და ბალახთა ზედა. უდიდესნი იცმენ წუღასა, და ბუ-

რავსთ თავსა ქუდი მგრგუალი და ბეწოსანი შალისაგანვე. ბოდიშო-
ბენ ურთიერთს და მიემშჳდებიან ქუდის მოჴდით. სხედან სკამთა ზე-
და. არამედ უწარჩინებულესნი მათნი იცმენ იმრიგადვე, ლეინსა და-
რაიას, დარაიბაფთს, ყუნთსა და რაჲსაც ლარს იშოვიან. ეგრეთვე
მგზავსად იცმენ ქალნიცა, არამედ უგრძესად, და ბურავთ მათცა ქუ-
დი იგივე, აცვიათ წუღა-პაიჭი და არა ნიფხავი. მოირტყმენ სარტ-
ყელსა კაცნი და ქალნიცა, ვითარიცა ძალუცთ შოვნად. სარწმუნო-
ებით არიან ძუელად ქრისტეანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი, და
უფროს დუალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დუალნი სახელით ოდენ
ქრისტეანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხუასა, ხატთა, ეკლესიათა,
და სამღუდელოთა პატივსა უყოფენ და თაყვან-სცემენ, და სხჳსა
სრულიად უმეცარნი. არა უვისთ მღუდელი, და უნათლისღებონი
არიან, თჳნიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მოინათლვიან. ხოლო
თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასია-
ნელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მაჰმადიან-
ნი, და დაბალნი გლეხნი ქრისტეანენი, გარნა უმეცარნი ორივეს რჯუ-
ლისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა,
არიან ქრისტეანენი, და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მაჰმა-
დიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მგზავსი კერპისა, რომელსა უწო-
დებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა და ჯორცსა შესჭა-
მენ თჳთვე, ხოლო ტყავსა გასჭიმვენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყ-

ვანი-სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლი-
ნოსთ ელიამ სეტყუანი და მოსცეს ნაყოფნი ქუეყანისანი.

კუალად არიან, ვითარცა ნადირნი, უწიგნონი, უცოდინარნი.
ენა აქუთ ძუელი, დუალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვი-
ნაჲთგან ჩერქესთა ენა სხუა არს. ვიეთთა მოთავეთა და ქართლსა
და რაჭას მსლველთა უწყიან ქართულნი, ხოლო ჩერქეზსა შინა
მსლველთა უწყიან ჩერქეზული და თათრული ჯაღათასი. შეირთვენ
მდიდარნი ორსა და სამსა ცოლსა და დაბალნი-ერთსა, არამედ თუ
მოკუდეს ძმა ერთი, შეირთავს მეორე ძმა თჳსს ძმის ცოლსა, ვინა-
ჲთგან მისცემენ სახლის პატივად ქალის სახლეულს ი˜, კ˜, ლ˜ და მ˜
ძროხასა, ამისთჳს არღარა განუტევებენ სხჳს შერთვად, არამედ ირ-
თვენ თჳთვე. უწყიან გუარნი, და უწარჩინებულესნი გუარითა არიან
ოვსნი.

ხოლო ესე ოვსი განიყოფების ესოდენ გუარად: სიდამონად, ჭახი-
ლიძედ, თაგაურად, ქურთაულად, ბადელიძედ, ჩერქესიძედ, ბასიანად,
და არიანცა ესენი უწარჩინებულესნი სხუათა ზედა. და ამათ გუართა
იციან გუართა თჳსთა ნიჯადი, ერთმან მეორესა ზედა ლაშკრობა,

შუელა, მესისხლობა, რამეთუ უკეთუ მოკლას ერთმან, არა დასცხრე-
ბის მეორე იგი გუარი შვილით შვილადმდე უკუნისამდე, თუმცა არა
მოკლას მანცა, და მკლველი მოკლულსა მათთჳს გუარსა ჩასძახებს
საფლავსა შინა: „მოვკალო მკლველი შენი“, და რწამთ ესე საცხო-
ნებლად მისად. არამედ უკეთუ დაზავდნენ ბრჭეთაგან და მისცეს სის-
ხლი, გარნა კუალადცა მოჰკლავს და უკუნ-სცემს სისხლსა, მინაცემ-

სა თჳსსა. არამედ დუალნი უმდაბლესნი არიან გუარითა, გარნა თუ
განდიდნეს ანუ განმდიდრდეს ოვსი ანუ დუალი, ანუ შეირთავს ორ
სამს ცოლსა, ანუ აღაგებს კოშკსა, ანუ მოკლავს კაცსა, და უკეთუ
მძლეველ ექმნას მესისხლე თჳსი, შევალს კოშკსა შინა და არღარა
გამოვალს სიკუდილადმდე.კუალად უწყიან პატივი მოხუცებულთა
თჳსთა ფრიად, და უვისთ, ვითარცა პატრონნი თჳსნი. ამათ მოხუ-
ცებულთაგან ჰყოფენ ბრჭობასა და ზავსა და ყოველსავე სამჭირნოსა
თჳსთა განაგებენ მათით. სიმდიდრე მათი არს თოფი, ჴრმალი, ჯაჭჳ,
ჯავშანი; სპილენძი და ოქრო და ვეცხლი მცირედ. არა უწყიან თეთ-
რი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხუარი, ძროხა
და ტყუე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით. არცა უწყიან ადლი,
არამედ მწყრთა; უწყიან უცხოთა სტუმართა პატივი და უვნებელო-
ბით დაცვანი, რამეთუ ვერავინ რაჲსა ავნებს ერთისა ვისმე სტუმარ-
სა, ვინაჲთგან მოსწყდებიან მისთჳს გუარით. არამედ თჳთ გამოუხ-
მენ, რაოდენნი ძალ-უცს სტუმარსა, და ამას უწოდებენ საჩუქარსა,
რომელიცა ჯერ არს მათგან, იგინივე მიუხმენ. უწყიან ჴელოვნებანი
ტყავისა, ქსოვა შალისა, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა. იციან
მჭედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა, სახლთ შენება, არამედ არ-
ღარა ჴმარობენ ქვიტკირსა. გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმელოდ,
და მრავალსა ერთმანერთსა ზედა, და კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მი-
წით, მაღალს კლდე-გორიანსა ზედა, ვინაჲთგან გამოუნახავთ უმ-
ჯობესად ზუავისა კუეთებისათჳს, რამეთუ არღარა ეკუეთვის, გარნა
ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღუევის, არამედ
დგას მტკიცედ.

ხოლო ძუელადნი არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტკირი-
სანი, მეფეთგან ნაშენნი და უმეტეს, იტყჳან თჳთ იგინივე, თამარ

მეფისაგანსა. გამოიღებენ მიწიდამ ბრპენსა, გუარჯილასა, გოგირდ-
სა. ქალთა მათთა უწყიან კერვანი წმიდა და კეთილნი. არა არს ქუ-
ეყანათა მათთა შინა მარილი, სელი, კანაფი, და ბამბა და აბრეშუმი,
რათამცა ყონ სამოსნი თჳსნი. ამისთჳს უმეტესნი სცხოვრებენ ცხო-
ვართა ტყავითა, გარნა ამათაც ზიდვენ ქართლიდამ, რაჭიდამ და

ჩერქეზიდამ. და ამისთჳსცა მორჩილებენ თჳს-თჳსთა მჴარეთა და კუალად უმეტესად საზრდელთათჳსცა. ჴდიან მცირედს ლუდსაცა, არამედ არა არს მათ შინა სვივა, და იგიცა მიაქუთ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ. კუალად ჴდიან და აკეთებენ იყსა, ბოზასა, პურთა და ქერთაგან, და სმენ დღესასწაულსა თჳსსა და სტუმრობასა შინა. უწყიან სულთა მკუდართა მათთა საჴსრად და მოსაჴსენებლად, რომელსა უწოდებენ დოღსა, რამეთუ ცხენოსანთა კაცთა ორის სამის დღის სავლიდამ გამოუშვებენ, და რომელი მათგანი უპირველეს მივალს, მას მისცემენ ნიჭსა და გარდაიჴდიან პურობასა და ლხინსა დიდსა, ვის რაჲ ძალ-უცს, და ჰგონებენ ამას სალხინებელად და საცხორებელად სულთათჳს მკუდართა მათთა.

ალაგებთათჳს

ხოლო მთათა, ჴევთა, მდინარეთა, წყალთა და შენობათა აღწერანი ესენი არიან, და დავიწყებთ ჴევიდამდე. ხოლო ჴევის ბოლოს არს ლაზური. მას ქუეით, ჯარიეხს, მოერთვის ჴევის არაგუს ქისტ-ძურძუკის წყალი. მას ქუეით არს ხეთაძე.

1-21 სტრ., 642
ჩიმისათჳს

არამედ ამ ქისტის წყლის შესართავს, არაგჳს დასავლით, მაღლა მთის ძირს, არს ჩიმი, დაბა დიდი და კოშკოვანი. მოსახლენი არიან ოვსნი, სიდამონნი გუარითა, და არიან აწ თავნი მათნი მაჰმადიანნი, ჩერქეზთა შინა სლვისათჳს, არამედ არიან მისიცა უმეცარნი.

თაგაურისათჳს

ამის ჩიმის დასავლით და ჴევის დასავლით არს თაგაურის ჴეობა. ამისი მდინარე გამოსდის მყინვარსი კავკასსა და ხოხისასა. სიგრძით არს ხოხიდამ ჩერქეზამდე და დის სამჴრიდამ ჩდილოთ, და მიერთვის არაგუს დასავლეთიდამ. ხოლო ამ თაგაურის მდინარეს ერთვის ჩიმითის წყალი, რომელი გამოსდის ახოტის კავკასს.
ამ ჴევზედ არს ჩიმითი, დაბა დიდი და კოშკოვანი, ვითარცა ჩიმი ყოვლითავე. ამ ჴევის შესართავს ზეით თაგაურის წყალს მოერთვის ყავანს სხუა ჴევი, რომელი გამოსდის მყინვარის კავკასს, და ამ ჴევს მოერთვიან მყინვარის კავკასიდამ ჴევნი. არამედ ყაბანი არს ამ ორთა მდინარეთა შორის, დაბა დიდი, კოშკოვანი. მას ზეით თაგაურის წყალზედ არს, დასავლეთის კიდურზედ, ეკლესია მცირე, ძუელადვე აღშენებული მეფეთგან. ამას ზეით, ამავე წყალზედ, არს ჯიბღიზი, დაბა დიდი, კოშკოვანი, და ციხე, აღშენებული მეფე-

თაგან, მაგარი, შეუალი მტრისაგან. მას ზეით არს ყაყიდური,
დაბა დიდი, კეთილი, კოშკოვანი, და ხოხის კავკასის ჩამოსულს ძირ-

ში, გორა-კლდესა ზედა, ციხე, აღშენებული მეფეთგან, ფრიად მაგა-
რი. და არიან ჴევნი ესენი შენობიანნი და დაბნებიანნი.

ქურთაულისათჳს

ხოლო თაგაურის დასავლით არს ქურთაული, რომლისა წყა-
ლი გამოსდის ხოხისავე მთასა, და მოდის სამხრეთიდამ ჩდილოთ
დ გასჭრის ჩერქეზის მთასა, ვითარცა თაგაურის წყალი, და მიერ-
თვის ლომეკსა ანუ თერგსა. ხოლო სად გასჭრის ჩერქეზის მთასა, მის
მთის ჴევს ზეით, დასავლეთით, ამ წყლის კიდურზედ, არს ეკლესია
მცირე. მას ზეით, ამ წყლის აღმოსავლით კიდურზედ, არს ქურ-
თათა და ციხე მაგარი, ნაშენი კლდესა ზედა. აქ მოერთვის აღმო-
სავლიდამ ამ წყალს ჴევი. ამ ორს წყალს შუა არს ქურთათა. ქურ-
თათას ზეით მოერთვის დასავლიდამ ჴევი ქურთაულის წყალსა. ამ
ორს ჴევს შუა დაბა ჯაბა. ამას ზეით არს ჩიმი. ამ წყალზედვე
არს კუარა, დაბა კეთილი, კოშკოვანი, და ციხე დიდი და მაგარი,
შენი მეფეთა. კუარადამ გარდავალს გზა ხოხის კავკასსა ზედა, ნა-
რასა და ზროგოს. ხოლო ქურთაულსა და თაგაურს განჰყოფს მთა,
ხოხიდამ ჩამოსული ჩდილოთ კერძოდ ჩერქეზის მთამდე, ქურთაულ-
თაგაურს შორისი; და თაგარუსა და ჴევსა განჰყოფს მთა მყინვარი
და ახოტი, და მთა ახოტიდამ ჩამოსული ჩდილოთ კერძოდ, ჩიმსა და
თაგაურს შორისი.

ვალაგირისა - აფაიქომისათჳს

ხოლო ქურთაულის დასავლით არს ჴეობა ვალაგირისა და
ფაიქომისა, რომელი იწოდა დაბნებთ გამო, მუნ მყოფთა. და

წყალი ვალაგირისა გამოსდის ხოხისვე კავკასსა და დის სამჴრიდამ
ჩდილოთ. ამას მოერთვიან ჴევნი მცირენი. და არს ჴეობა ესე დაბ-
ნოვანი, მოსახლენი-სიდამონნი და ჭახილიძენი. ხოლო განჰყოფს
ვალაგირსა და ქურთაულს მთა ხოხიდამვე ჩამოსული, ჩდილოთ მდე-
ბარე ჩერქეზის მთამდე, ვალაგირსა და კასრის ჴეობას შორისი. არა-
მედ სამთა ამათ ჴეობათა მზღვრის: აღმოსავლით მთა, რომელი დავ-
სწერეთ, ჴევსა და თაგაურს შორისი ჩერქეზის მთამდე; სამჴრით მთა
ხოხის კავკასი, ფრიად მაღალი, და მყინვარი, და უმაღლესი ბრუცა-
ზელ-ზეკარისა. ამან მოიგო სახელი თჳსი ხოხვით სლვისათჳს, რა-

მეთუ ძნიად გარდავალს ცხენი მას ზედა, გარნა მკჳრცხლნიცა-
ჭირითა. და მდებარებს მთა ესე აღმოსავლიდამ დასავლეთად, მყინ-
ვარის კავკასიდამ კასრის ჴეობამდე. და კუალად მზღვრის ჩდილოთ
კერძ მთა ჩერქეზის და დასავლით კასრა-ვალაგირს შორისი მთა.

კასრის ჴევისათჳს

ხოლო ვალაგირისა ანუ ფაიქომის დასავლით არს კასრის
ჴეობა, რომელი იწოდების აწცა დუალეთად. და აქუს სიგრძე
დუალეთს ზეკარის კავკასიდამ ვიდრე ჩერქეზამდე. და მდინარე ამი-
სი გამოსდის ზეკარისა და ზახა-თრუსოს შორისს კავკასთა და მო-
დის სამჴრიდამ ჩდილოთ. ხოლო კასრის ჴეობასა შინა მოერთვიან
ამ წყალს, დიგორისა და ამის შორისის კავკასიდამ, ჴევნი და გარ-
დავლენან მას ზედა გზანი დიგორს. ეგრეთვე ვალაგირსა და ამის შო-
რისის მთიდამ მოერთვიან ჴევნი, და გარდავლენან გზანი ვალაგირ-
სა და ფაიქომს. და არს ჴეობა კასრისა, კასრის კარიდამ ჩერქეზის
მთამდე, შენობიან-დაბნებიანი. ხოლო კასრის კარი არს ქუემო ზრა-

მაგას ქუეით, სად მოვიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის კლდი-
თა, და გლოლისა და ამის შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა. და
არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი,
მდინარესა ზედა, მეფეთგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თჳნიერ
მათსა ოვსნი. და არს ჴეობა ესე ფრიად მაგარი და შეუალი. აქა არს
ლითონი ბრჳენისა მრავალი, რომელსა სწურვენ იგინივე. კუალად
არს გოგირდი ფრიად კარგი. არს ლითონიცა ვეცხლისა, არამედ არა
უწყიან გამოღება. კუალად კლდის ნოტიობისაგან აკეთებენ გუარჯი-
ლასაცა.

ჟღელის ჴევისათჳს

ხოლო ამ კასრის კარს ზეით მოერთვის ქუემო ზრამაგას, ჟღე-
ლის ჴეობის წყალი დასავლეთიდამ. გამოსდის კედელის კავ-
კასს, მოდის სამჴრიდამ ჩდილოთ. ამ წყალს მოერთვიან აღმოსავლი-
დამ და დასავლეთიდამ ჴევნი მცირენი. და ჟღელესა და გლოლას შო-
რისს კავკასზედ ამ ჴევებიდამ გარდავლენან გზანი გლოლას. ამის
მდინარის სათავიდამ გარდავალს გზა კედელის კავკასსა ზედა კუ-
დაროს, და რაჭას, და ქართლს. და არს ჴეობა ესე შენობიან-დაბნე-
ბიანი. აქა არს ქალაქას დაბას წყარო დიდი, რომელი ჟამ რაო-
დენმე დის, და ჟამ რაოდენმე დადგების, და არღარა გამოსდის, მერ-
მე კუალად გამომდინარდების და კუალად დადგების. ხოლო განიყო-
ფის ჴეობა ესე აღმოსავლეთიდამ ზეკარიდამ ჩამოსულის მაღლის

მთით ქუემო ზრამაგამდე, ჟღელე-ზრამაგას შორისითა, სამჴრიდამ

ჩდილოთ კერძოთ მდებარითა, და სამჴრით ზეკარა-კედელის კავკა-
სითა; დასავლით ამას და გლოვას შორისით კავკასითა, კუალად
კედელის კავკასითა; ჩდილოთ ამას და გლოლის შორისის კავკასი-
დამ ჩამოსულის მთით, რომელი შეჰკრავს კასრის კარსა.

ზრამაგათათჳს

ხოლო ქუემოზრამაგა არს კასრისა და ჟღელის წყლების
შესართავს შუა, და ციხე დიდი, ფრიად მაგარი; იტყჳან აღშნებულ-
სა თამარ მეფისაგან, და დაბა კოშკოვანი.

ნარასათჳს

ხოლო ქუემო ზრამაგას ზეით ერთვის ნარისჴეობის წყა-
ლი. გამოსდის ხოხის კავკასსა, დის აღმოსავლიდამ დასავლეთად.
და აქუს ამ ჴეობას აღმოსავლით ხოხის კავკასი; სამჴრით ხოხიდამ
ჩამოსული მთა მაღალი, ამას და ზროგოს შორისი; დასავლით ზრა-
მაგის ჴევი და ჩდილოთ ხოხისავე კავკასი. ამ ჴევში არს დაბა ჶ˜
მოსახლენი. ხოლო ამის შესართავს ზეით არს ზემო ზრამაგა, დაბა
კოშკოვანი და ეკლესია მცირე. აქ მოერთვის ჴევი ზეკარიდამ მომ-
დინარე და მოერთვის დასავლეთიდამ. და ამ ორთ ჴევთ შორის არს
ზრამაგა.

ზროგოსათჳს

ხოლო ამ ზრამაგას ზეით მოერთვის ზროგოს-ჴეობის
წყალი. გამოსდის ხოხისავე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ და-

სავლეთად, და აქუს ჩდილოთ ნარის მთა და სამჴრით ზახის მთა, აღ-
მოსავლით ხოხის კავკასი და დასავლით ზრამაგის-ჴევი, და არს და-
ბოვან-შენობიანი.

ზახისათჳს

ხოლო ამის შესართავს ზეით მოერთვის ზახის-ჴეობის
წყალი. გამოსდის თრუსოსა და ზახას შორისს კავკასსა, მოდის
აღმოსავლიდამ დასავლეთად, არამედ ბოლოს მოდრეკების და მიერ-
თვის ზრმაგის-წყალსა. ამ ზახის-წყალს მოერთვის სამჴრეთ-ჩდი-

ლოდამ ჴევნი, და არიან დაბანი კოშკოვანნი. აქა არს ეკლესია მცი-
რე. აქიდამ გარდავალს გზა თრუსოს, მაღრა-დუალეთს და ჟბას,
დიდ ლიახუზედ. ამას აქუს აღმოსავლით თრუსოს მთა; სამჴრით კავ-
კასი ზეკარისა; ჩდილოთ ამასა და ზროგოს შორისი, ხოხიდამ ჩამო-
სული მთა; დასავლით ჴევი ზრამაგისა. კუალად ამ ზრამაგის-ჴევის
სათავიდამ გარდავალს ზეკარაზედ გზა ქართლს დიდ-ლიახუზე.

თრუსოსათჳს

ხოლო ზახის აღმოსავლეთის მთის იქით არს თრუსო, რო-
მელსა აქუს აღმოსავლით მთა, ხოხიდამ და ჴევის ყელიდამ ჩამო-
სულნი მთანი შთასავალამდე, და მთანი ესენი განჰყოფენ ჴევსა და
თრუსოსა: სამჴრით კავკასი, მთიულეთსა, მაღრან-დუალეთსა და
თრუსოს შორისი; ჩდილოთ მყინვარი და ხოხის კავკასნი; დასავ-
ლით თრუსოსა და ზახას შუათი მთა. და არს თრუსო სამ ჴეობად,
გამოსდის ერთი ზახის მთასა, მეორე მაღრან-დუალეთის კავკასსა
და მესამე ხოხის კავკასსა. ამ ჴეობაზედ, ხოხისაკენ, არს ეკლესია
ყოვლად წმიდისა მცირე. და არიან ამ ჴევთა დაბნები ფ~

1-23 სტრ., 648
არამედ ჴეობანი ესენი, რომელნი აღვსწერეთ მაღრან-დუალეთით-
ურთ, არიან დუალეთი. და კუალად დიდის ლიახჳსა, პატარას ლიახ-
ჳსა, კსნის ჴევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დუალნივე, ამ
დუალეთიდამ გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი, და
დღესაც მონათესავენი ურთიერთთა.

ხოლო ამ დუალეთს მზღვრის: აღმოსავლით მთა თრუსოსა და
ჴევს შორისი,და კასრის ჴევსა და ვალაგირს შორისი მთა; სამჴრით
კავკასი მაღრან-დუალეთისა, ზახისა, ბრუც-საბძლისა, ზეკარისა
და კედელისა (არამედ ბრუც-საბძელი ეწოდა, ვინაჲთგან არს
მგზავსი საბძლისა და უქმი, ხოლო ზეკარა კარსავით მყოფისა,
სადა გავლის მას შორის გზა, და კედელა-ამართებით ყოფი-
სათჳს კედელსავით. არამედ ქართლიდამ ესე კავკასნი უმეტეს ყო-
ველთა კავკასთგან უმაღლესად მჩენარებენ და დიდად, და ამისთჳს
უწოდესცა სპარსთა იალბუზი, ქარმყინვარე, და მარადის მყინ-
ვარედ იხილვებიან, რამეთუ ზაფხულს გზებთა ამათ ზედა ვლენენ
ცხენით, გარნა ჭირითა, და თჳნიერ ზაფხულისა ვერცა ერთი სუ-
ლიერი). ხოლო ჩდილოთ მზღვრის დუალეთს ხოხის კავკასის მთა
და, კასრის ბოლოს, ჩერქეზის მთა; დასავლით-მთა კავკასი, კე-
თილიდამ წამოსული, რაჭასა, გლოლასა და ამას შორისი, მერმე
დიგორსა და ამას შორისი, ვიდრე ჩერქეზის მთამდე. არამედ რო-
მელნი აღვსწერენით-ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირ-ფაი-

ქომი და დუალეთი, ამათ ყოველთა მდინარენი ჩადიან ჩერქეზსა შინა და მიერთვიან ლომეკსა ანუ თერგს სამჴრიდამ.

1-23 სტრ., 649
დიგორისათჳს

ხოლო კასრის ჴევის დასავლით არს დიგორი, რომელი განიყოფის ორად-ჩერქეზიძედ და ბადელიძედ. და არს სიგრძე ამისი რაჭის კავკასიდამ ჩერქესამდე. ამისი მდინარე გამოსდის ღებისა, გლოლისა და ამის შორისსა კავკასსა, მოდის სამჴრიდამ ჩდილოთ კერძოდ და ჩადის ჩერქეზში, მიერთვის ლომეკს. ამას უწოდებენ რიონსავე, ვინაჲთგან მასვე კავკასსა გამოსდის აქათ და იქით-რიონი იმერეთისა. და ამ მდინარეს, ჩერქეზის მთას ზეით, ერთვის ჴევი, გამომდინარე ბასიანის მთისა, და მოერთვის დასავლეთიდამ. ამას ზეით ერთვის სხუა ჴევი, გამომდინარე კასრის ჴევისა და ამას შუათის მთიდამ, და დის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ეს ჴევი არს ბადელიძისა. ამ ჴევს რიონის შესართავს ზეით, ერთვის სხუა ჴევი, სიგრძით ჩერქეზის მთიდამ მომდინარე, და მოერთვის ჩდილოდამ. ამ ჴევიდამ გარდავალს გზა ჩერქეზსა შინა. ამ ჴევს ზეით კუალად მოერთვის სხუა ჴევი სამჴრიდამ. ამათ შესართავს შუა, კლდეზედ, არს ციხე და მცირე ეკლესია. არამედ ესენი, რომელნი დავსწერეთ ჴევნი, არიან ბადელიძენი, და არიან შენობიანი და დაბნებიანნი და კოშკოვანნი მრავლად, რომელთა შინა მოთავენი მათნი არიან ყმიანნი მებატონენი. ხოლო ამ ბადელიძის წყლის შესართავს ზეით, რიონზედ, არიან ჩერქესიძენი, და მას ქუეთ, ჩერქეზის მთამდე, კუალად ბადელიძენივე. და ამ ბადელიძის წყლების სათავიდამ გარდავალს გზა კასრის ჴევში, ჟღელის ჴეობაში და ქელმაჰმადის სოფლიდამ ჩერქეზესა შინა.

1-24 სტრ., 650
ხოლო ამ ბადელიძის წყლის შესართავს ზეით მოერთვის რიონს აღმოსავლიდამ მდინარე რიონივე. გამოსდის გლოლასა და ამას შორისს კავკასსა, მოდის სამჴრიდამ ჩდილოდ. ამას მოერთვის სხუა ჴევი აღმოსავლიდამ, გამოსდის ამასა და ბადელიძეს შორისს მთას. ამაზე გარდავალს გზა ბადელიძეებში. ამას ზეით მოერთვის კუალად სხუა ჴევი აღმოსავლიდამ, მისვე მთის გამომდინარე. ამ რიონის სათავიდამ გარდავალს გზა კავკასზედ გლოლას, სადა არს, კავკასის ძირში, დიდს მაღალს კლდესა შინა, ქუაბნი გამოკუეთილნი დიდ-დიდნი. მოგზაური მივალს მას ქუაბსა და დილასა წარვალს, ჩავალს გლოლას. ეგრეთვე მუნიდამ მოსრულნი მუნ განისუენებენ და შრომისათჳს. და მეორის ამის რიონიდამ გარდავალს გზა ღებს. არამედ ამ გზებზე ზაფქულით ცხენით ვლენან, გარნა ჭირითა დიდითა, და

თჳნიერ ზაფხულისა-ვერც ქუეთნი. და ამ ჴეობასა ზედა არიან დაბნები და შენობანი. და მზღვრის დიგორს: აღმოსავლით კავკასი, ამასა და კასრა-ჟღელეს შორისი; სამჴრით კავკასი, ამასა და გლო-ლა-ღებს შორისი; ჩდილოთ მთა, ამასა და ჩერქეზს შორისი, მაღალი და დიდი; დასავლით კავკასი, ამასა და ბასიანს შორისი.

ბასიანისათჳს

ხოლო დასავლით დიგორისა არს ბასიანი, ჴეობა დიდი, რო-მელსა შინა დის მდინარე, გამომდინარე რაჭისა და ბასიანს შორი-სის კავკასიდამ, და მიდის სამჴრიდამ ჩდილოთ კერძოდ, სიგრძით კავკასიდამ ჩერქეზის მთამდე. ამის მდინარეს მოერთვიან ჴევნი აღ-მოსავლიდამ გამომდინარენი, ამასა და დიგორის საშუალის კავკა-სიდამ, და დასავლეთიდამ სუანეთისა და ამის შორისის კავკასიდამ.

1-27 სტრ., 651
და ამ ჴევებიდამ გარდავლენან გზანი სუანეთს და დიგორს. და ამის წყლის სათავიდამ გარდავალს გზა რაჭას, ღებს და ლუხუნზედ. და მზღვრის ბასიანს: აღმოსავლით მთა კავკასი, ბასიანსა და დიგორს შორისი; სამჴრით მთა კავკასი, ამასა და რაჭას შორისი; ჩდილოთ მთა ჩერქეზისა, ბასიანსა და ჩერქეზს შორისი; დასავლით მთა კავ-კასი, ამასა და სუანეთს შორისი. და არს ესე ბასიანი შენობანი, დაბ-ნებიანი და უმეტეს გუარიანნი სხუათა ყოველთა ოსთაგან, და არიან მებატონენი ყმიანნი. და მდინარე ესე ჩადის ჩერქეზსა შინა, მერმე მიერთვის თერგის მდინარესავე. არამედ რაოდენნი კავკასნი აღვს-წერენით, სცან მარადის მყინვარედ და თოვლიანად, ვითარცა სხუა სახელდობ გამოვაჩინეთ კავკასთა მთანი. კუალად რაოდენნი დაბანი ციხოვან-კოშკოვანნი დავსწერეთ, იგინი მათ უწოდებენ ქალაქად. არამედ ვინაჲთგან არა აქუსთ მართველობა და განწყობილება ქა-ლაქთა, აქა დაბად ვთქჳთ.

ქისტისათჳს

ხოლო აწ ვიწყებთ ჴევის აღმოსავლეთის კერძოთა კავკასიელ-თა, ვინაჲთგან შევასრულეთ დასავლეთის წილი. გარნა ჴევის ბო-ლოს, სადა დაიკავებს მდინარე არაგჳ ანუ ლომეკი, ამ არაგუს, ხე-თაძის დაბის ზეით, ერთვის ქისტეთის წყალი და ძურძუკისა. ესე მოერთვის აღმოსავლეთიდამ, გამოსდის ძურძუკეთსა და ფშავ-ჴევსურეთს (რომელი არს ფხოველი) შორის კავკასსა, დის სამჴრიდამ ჩდილოთ და მცირედ ჩდილო-დასავლეთ შუა. სიგრძით არს კავკასი-დამ ლომეკამდე. ხოლო სად იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შუაში ჯარიეხი, კლდე დიდი, მოვლებული ველსა დიდსა გა-

რე, ქარაფოვანი, და ამითი არს ფრიადი მაგარი, და შენი არს კოშკი დიდი, ზღუდოვანი, ვითარცა ციხე, და ამ წყალსა ზედა, ჯეობაში, ამ ჯარიეხს ზეით, არს ქისტეთი დაბნებიანი, შენობანი.

1-23 სტრ., 652
ძურძუკისათჳს

კუალად ამის სამჴრით, ქისტეთს ზეით, არს ძურძუკი, შენობიანი, დაბნებიანი, კოშკოვანნი ორნივე. ამ ჯეობათა მზღვრის: აღმოსავლით კავკასი, ქისტ-ძურძუკსა და ღლიღუს შორისი; სამჴრით კავკასი, ფშავ-ჯევსურსა და ძურძუკს შორისი; დასავლით კავკასი, ქისტ-ძურძუკსა და ჯევს შორისი; ჩდილოთ მთა ჩერქეზსა და ქისტეთს შორისი. და გარდავლენან გზანი ქისტ-ძურძუკიდამ ამ კავკასებთა ზედა ჯევს, ფშავ-ჯევსურეთს, ღლიღუეთს და ჩერქეზთა შინა.

ღლიღჳსათჳს

ხოლო ამ ქისტ-ძურძუკის აღმოსავლეთად არს ღლიღუეთი, ღლიღოსისაგან, ძურძუკოს ძის ძისაგან, სახელდებული ანუ უმოსელობისათჳს წოდებული, რომლის მდინარე გამოსდის ფშავისა და ღლიღჳს შორისს კავკასსა, და მოდის სამჴრიდამ ჩდილოთ და მიერთვის.... წყალსა, მერმე მიერთვის ბორაღნის წყალსა. ამ წყალზედ არს ანგუსტი, დაბა დიდი. და არს შენობიანი ჯეობა ესე და დაბნებიანი. და მზღვრის ღლიღუს: აღმოსავლით მთა ღლიღჳსა და... შორისი; ჩდილოთ მთა ჩერქეზსა და ღლიღუს შორისი; სამჴრით კავკასი, ღლიღუსა და ფშავს შორისი; დასავლით მთა, ღლიღუსა და ძურძუკს შორისი. ხოლო ანგუსტის მოსახლენი არიან მგზავსნი ჩერქეზთა, რჯულით მოჰმადიანნი, სუნნი. ხოლო ამ ღლიღუს აღმოსავლით არს....ჯეობა, რომლისა მდინარე გამოსდის ამასა და პანკის შორისს კავკასსა, მოდის სამჴრიდამ ჩდილოთ, მიერთვის ღლიღჳს წყალსა, და მერმე მიერთვიან ბორაღნის წყალს

1-21 სტრ., 653
დასავლეთიდამ. და არს ჯეობა ესეცა შენობიან-დაბნებიანი. და მზღვრის ამას: აღმოსავლით თუშეთსა და ამას შორისი კავკასი; სამჴრით კავკასი პანკისსა და ამას შორისი; ჩდილოთ მთა ჩერქეზისა, ამასა და ჩერქეზს შორისი; დასავლით მთა, ამასა და ღლიღუს შორისი. არამედ ეს ჯევნი, რომელნი აღვსწერეთ, პირველ იყო ყოველთა სახელი ძურძუკეთი, ხოლო აწ ესრეთ განიყოფებიან.

კაცთა და ქალთათჳს

ხოლო არიან ჴეობანი ესენი ფრიად მაგარნი და შეუალნი მტერ-
თაგან, მთით, კლდითა, სივიწროვითა, და მდინარითა, ხოლო ტყი-
თა მწირი და მოუსავლიანი, მცირე-პირუტყჳანი, ვითარცა აღვსწე-
რეთ ოსეთი. ეგრეთვე კაცნიცა რჯულითა, სარწმუნოებითა, ზნითა,
ქცევითა, ჩუეელბითა სცან ოსთაებრ. არამედ აქუსთ ენა თჳსი სა-
კუთარი, და ქალნი მათნი მოსილნი სხუებრ. არცა უწყიან კლვა და
მესისხლობა ურთიერთთა, გარნა თუ შეიმთხუეს, მოხუცებულთა
მათთა განბრჭობითა ზავ-ჰყოფენ. და არიანცა უმეტეს პირისწყლი-
ანნი ოსთაგან, კაცით ქალამდე. არამედ იციან ორ-სამ ცოლობანი
და მრუშება ქრმიანობასა შინა, გარნა ქალწულთა-არაოდეს, ვი-
თარცა ოსთა. უწყიან ქვიტკირნი, და მით აღიშენებენ სახლთა, კოშ-
კთა და სიმაგრეთა. ხოლო მორჩილებენ და აძლევენ ხარკთა ჩერ-
ქეზთა, მემჴრეთა თჳსთა, უსაზრდლობისა, საშიშლოსა და მარილი-
სათჳს.

1-26 სტრ., 654
ცხოვრება

ხ˜ოდეს მოვიდა კავკასოს წილხდომილსა თჳსსა, და დაეშენა ამათ ქ˜ყანთა.
და დაიპყრა მან, და ძეთა მისთა, და ძის ძეთა მისთა, განმრავლდენ ესენი,
და იყვნენ მორჩილებასა შ˜ა მცხეთელ მამასახლისისასა, და ოდესმე განდგომილ-
ნი და მტერნი ვ˜ა აღვსწერენით, გამოსლვადმდე ხაზართა მეფისა. ს˜ოდეს
გამოვიდა ხაზართა მეფე, მისცა ქ˜ყნა ესე ურბანოსს ძესა თჳსსა (რ˜ნ უწო-
და ოვსეთი), და ტყუენი რანისანი და სომხითისანი. მაშინ მოვიდა ურბანოს
ტყჳთა მით, და დაეშენა თჳთ, და ტყუენიცა იგი დააშენნა აქა ველსა ამას. ა˜დ
ძურძუკოს ძემან ტინენისამან, რ˜ლი უწარჩინებულეს იყო ძეთა შ˜ს კავკა-
სოსთა, ჩამოვიდა ესე ძურძუკოს კავკასიასა შ˜ა, და ჰპოვა ადგილი ფ˜დ მა-
გარი, და აღაშენა ქალაქი, და უწოდა სახელი თჳსი ძურძუკი, და ხარკთა მის-
ცემთა ხაზართა, და ეწოდა შ˜დ მისსა ძურძუკეთი ჴევის აღმოსავლეთთა ჴეო-
ბათა. ხ˜ჴევოს დასავლეთისათა კავკასნი, ანუ შ˜დ მისა ძურძუკეთი, ანუ დუ-
ალეთი, რ˜ლთა შ˜ა დაეშენნენ კავკასოს ძეთაგანნი და ნათესავთაგანნი, და
იყვნენ ყ˜ნი ძურძუკოსის მორჩილებასა შ˜ა, და შ˜მისსა ჩამომავალთა მის-
თა, და ესენი მორჩილებასა შ˜ა მცხეთელ მამასახლისისასა, ვ˜ე პ˜ლისა მე-
ფისა ფარნავაზისამდე: ხ˜ფარნავაზ მოიყვანა ნათესავი ძურძუკოსი ქალი
ძურძუკეთიდამ, და შეირთო თჳთ ცოლად, და დაიმორჩილა კ˜დ უმეტესად
ძურძუკეთი ამით და შ˜დ ფარნავაზ მეფისა, ვ˜ა აჩენს ცხოვრება, იყვნენ
მორჩილებასა შ˜ა, და მომცემელნი ხარკთა მეფეთა ქართველთასა: ძურძუკი,
ჴევი, დუალეთი, კასრის კარს ზეითი. ხ˜სხვანი იყვნენ მორჩილებასა შ˜ა
ოვსთა და ორხანისაგან მოისრნენ და მოოჴრდნენ ქალაქნი, და შენობანი მათნი,
და მეფობა ოვსთა იქმნა მთავრობად, და შემოივლტოდნენ ოვსნი ამ კავკა-
სიათა შ˜ა, და უმეტესად უდაბნო იქმნენ, ვ˜ა არს დღეს ჩერქეზი. და
კ˜დ შ˜დ მოსლვისა ლანქ-თემურისა და აღებისა კოსტანტინუპოლისა, ემძ-

ლავრნენ ოვსთა იქით თათარხანნი და აქეთ ლაქთემურის ელნი მაჰმადიანნი,

1-9 სტრ., 655
და შემოივლტოდნენ კავკასიასა შ˜ა და დაიპყრნეს კავკასთა ნათესავნი, რ˜ლ არიან დუალნი, და ოვსეთს მიერით ეწოდა ჩერქეზი, ანუ ყაბარდი, და ამის-თჳს განირყუნა და იქმნა მრავალ სამთავროდ. ეგრეთვე განყოფსა ქართლი-სასა სამ სამეფოდ, დაშთა ჴევი და დუალეთი ქართველთა მეფეთა, რ˜ლნი მოსვემენ დღედმდე ხარკთა მეფეთა, და მთავართა მისთა ადგილნი ესე, ხ˜ ძურძუკს ქისტს სდებენ თჳსად კახნი და ღლიღუსაცა, ა˜დ არა რაჲს მორჩი-/ლებენ ხარკით, და არიან მორჩილებასა შ˜ა უფროს ჩერქესთასა. ეგრეთვე სხუანი ოვსნიცა, გარნა დიგორი მცირედ რასამე ჰმორჩილებს რაჭის ერის-თავს, ვინაჲთგან უპყრიეს მას რაჭაჲ, და არს დღეინდელად დღედმდე ესრეთ, და წარმართი უწყის ღ˜თნ.

1-20 სტრ., 656
აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი

ადგილებთა სახელის წარმოჩენისათჳს

ხოლო ქუეყნისა ამის სახელი არს საკუთარი ქართლი ამისთჳს, რამეთუ არს წილივე ქართლოსისა, და მისგანვე ეწოდა ქართლი და, შემდგომად სიკუდილისა მისისა, საქართლო ანუ საქართველო, და იწოდების დღედმდეცა ეგრეთვე. არამედ, ვინაჲთგან ჟამითი-ჟამად შეეძინნენ სახელნი მრავალნი განყოფილებისაგან და ადგილებთა განყოფისათჳს, და ისახელნეს ესრეთ. რამეთუ შემდგომად ქართ-ლოსის სიკუდილისა ცოლმან მისმან, განყო რა ძენი თჳსნი, და მის-ცა უხუცესსა ძესა თჳსსა მცხეთოსს ტფილისისა და არაგჳს დასავ-ლეთი, და ფანავრის ტბის დასავლეთის ქუეყანა, წილი ქართლოსი-სა, ზღუამდე სპერისა, და ტაოსა და კლარჯეთს შორისის მთამდე, და დაიპყრა მცხეთოს ქუეყანა ესე; ამან მცხეთოს უწოდა ტფილისის და არაგჳს დასავლეთს, ლიხის მთამდე და ტაშისკარამდე, შიდა ქართლი და ტაშისკარსა და ფანავრის დასავლეთს ზღუამდე უწო-და ზემო ქართლი, და განყო იგივე ქართლოსის საჴელი ესრეთ. ხოლო შემდგომად მცხეთოს განუყო სამთა ძეთა თჳსთა წილი თჳსი და მისცა უფლოსს, ძესა თჳსსა, რა იგი აღვსწერეთ, და ძესა თჳსსა ოძრახოს მისცა ტაშისკარს ზეითი და მტკურის დასავლეთი, ვიდრე ზღუამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ სამცხე, გუ-

1-22 სტრ., 657
რია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკეტი, ოლთისი და ტაო;
და ამათ ადგილებთა უმეტეს ეწოდა ზემო ქართლი.

ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკურის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკურისა, მისცა მცხეთოს ძესა თჳსსა ჯავახოსს, და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი. და არიან ამათ ადგილთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკურის აღმოსავლეთი; ხოლო კლარჯეთი არა არს წილი ამათი, არამედ ფარნაოზ დაიპყრა შემდგომად აზონის სიკუდილისა. და არს საზღვარი ამისი: აღმოსავლით მთა, რომელი განვლის კლარჯეთსა და ტაოს შუა ზღუამდე; სამჴრით მთა იგი, რომელს სდის მდინარენი და ერთვის ჭოროხსა; დასავლით მთა აზრუმ-ბასიანის შორის განვლილი ზღუამდე, და ჩდილოთ შავი ზღუა. და არიან ამათ შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი [არამედ უცნობელ არს, რით ეწოდა სახელი ესე, გარნა საგონებელ არს ღულარჭნილთა და კლდოვან ღრატო-ღრიღოვანებისა მიერ და მაღალთა მთათაგან, რამეთუ მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, ჟამისა ანუ ნახევარჟამისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი].

და ესრეთ განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად. არამედ აწ ოძრახოს წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს, მცხეთოსისა და ქალაქის მცხეთის გამო, პირველვე წოდებულს მცხეთის მორჩილებისათჳს [კუალად იტყჳან: ოდეს აღაშენა

1-20 სტრ., 658
სუმბატ ბივრიტიანმან ციხე დემოთს, სამთა ციხეთათჳს ლომ(ს)ისა , ოძრახესა მეპირისპირედ, ესე იგი სამციხეთა, ამით იწოდა სამცხე].ხოლო ამისვე წილი გურია აღვსწერეთ იმერეთსა ზედა, მუნ იხილავ. ხოლო ჭოროხის მდინარე იწოდა ქვა-ყრილობით და რიყოვანობით მას შინა მყოფთასა, რამეთუ მის მიერ დის მჩქეფრად და ჩქარად, და ჴევსა მისსა-ლიგანის-ჴევად, კლდოვან განლიგებისათჳს ანუ დაბისაგან; ეგრეთვე შავშეთი-ვითამ შავში და არა სპეტაკში, მთა-კლდოვან ტყის გამო, და არტანუჯი-შუენიერებისათჳს: „არა ტანი, არამედ უნჯი“, ანუ იწოდნენ ძეთაგან ოძრახოსათა, რომელთა ეწოდათ სახელნი ესენი, და დაიმკჳდრეს რა ადგილნი ესენი, უწოდეს სახელნი თჳსნი. არამედ ჯავახეთს უწოდებენ მასვე ძუელს სახელს. ხოლო არტანი ეწოდა მისვე ჯავახოსაგან, ვითამ ჯავახეთის „არა ტანი, არამედ პირი“. და კოლა იწოდა მუნ მცირე ქალაქის გამო. ხოლო ქუეყანასა კლარჯეთისასა ეწოდნენ სახელნი იგინი დაბნებთა და ქალაქებთაგან, მუნ მყოფებთა, ანუ ძის ძეთაგან ჰაოსისათა; და ჭანეთს ეწოდა მათგანცე, ანუ შემდგომად მლიქნელობისა და მდედრობისა მათთათჳს ჭანად, არამედ ბაგრატიონთ მეფობასა შინა ყოველთა ამათ ადგილებთა და ქუეყანათა კრებით ეწოდა მესხნი, იგივე ძუელი სახელი სამცხეთოსი, და სიმოკლისა-

თჳს მესხნი ითქმის. ხოლო ბრწყინვალე მეფემ გიორგიმ მისცა რა

1-24 სტრ., 659
ათაბაგობა და მის ქუეშე დააწესნა მის ქუეყნის ერისთავნი, მიერით იწოდა საათაბაგო, და უმეტეს განდგომილებისა ყუარყუარე ათაბაგისაგან, და ისახელების დღემდე საათაბაგოდ.

ხოლო სიგრძე ქუეყნისა ამის არს ქართლის საზღვრიდამ ქართლის ყელამდე და ბაიბურდისა და ჭანეთის საზღვრამდე, და განი დევაბოინისა, და ირიჯლუს, და ყალნუს მთებიდამ ღადოსა და გურიის მთადმდე და ზღუამდე. და მზღვრის ქუეყანასა ამას: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვსწერეთ, და მთა ყარსისა, არტან-კოლასა და ყარსს შორისი; სამჴრით მთა წინჴსენებული, სომხით-ქართის საზღვარი, რომელი აწ ისახელების ირიჯლუსა და დევაბოინის მთად; ჩდილოთ მზღვრის მთა ღადო ანუ ფერსათი, და მთა აჭარა-გურიის შორისი, და ზღუა პონტოსი; დასავლით მთა აზრუმისა, ეზინგისა და საქართველოს ყელს შუა წავლილი, ანუ რკინის პალოსი, და მისრული ზღუამდე, რომელი აღვწერეთ ტრაპიზონისა და ჭანეთის საზღვარი.

ქუეყანისათჳს

ხოლო არს ქუეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, კლდიანი, ჴევიანი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბ-შროშნიანი, მდინარიან-წყაროიან-ტბიანი და მცირედ ველოვანი. ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქუს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თჳნიერ აგარაკთა. ჰავით მშუენი და კეთილი, არამედ ზღჳს კიდეთა არა ეგრეთი. ნაყოფიერებს ქუეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველგან.

1-26 სტრ., 660
ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ. და ხილნი, რომელნიცა აღვსწერეთ, არიან მრავლად და კეთილნი. არიან წალკოტნი, მტილნი და სავარდენი. გარნა ტყეთა, მთათა და ველთა ვიეთთა ადგილებთა შინა მრავალ არიან, ვინაჲთგან მთა და ველნი შროშნითა ფშვიან. პირუტყუნი ყოველნი მრავალნი და ნადირნი მრავლად, არამედ ქურციკი არა არს. ფრინველნი ურიცხუნი, გარნა დურაჯი, შხერო, ასკატა არა არს აქა. ჩიტნი და სირნი უამრავნი. მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი. წყარონი ტკბილნი მშუენნი და კარგნი. ტბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წურილნი. არამედ ზუთხი არა არს მდინარე-ტბათა ამათ შინა,

არცა კირჩხიბი. მწერნი და მძრომელნი ადგილ-ადგილ მრავალნი და ადგილად არა ეგდენნი. ფუტკარნი მრავალნი, და თაფლნი კარგნი და მრავალნი.

კაცისათჳს

ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მჴნენი, შემმართვებელნი, შუენიერნი, ცოდნა-ჴელოვნების მოყუარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა. სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტესა ჩ˜ქკვ, ქართულისა ტ˜იდ-მდე სრულიად ქრისტეანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტეანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი; გარნა ვინანიცა არიან ქრისტეანენი, იგინიცა უმწყსელნი არიან, ვინაჲთგან არღარა რაისა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა, და ბერძენთა არა სცალს მათთჳს. ამისთჳს უეფისკოპოზონი და უხუცონი არიან, თჳნიერ რომელნიმე ქართს იკურთხიან. ენა

საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თჳსთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყჳან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან წარჩინებულნი და მოჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი, და ქრისტეანენი ვითარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ვიეთნიმე მესხნიცა, ვითარცა თრიალელნი. და გულისჴმა ჰყავ ეგრეთვე ქალნიცა მათნი.

სამცხისათჳს

ხოლო ქუეყანასა ამას შინა არიან მდინარენი უდიდესნი მტკუარი და ჭოროხი, რამეთუ მტკუარს მოერთვიან ყოველნი მდინარენი სამცხისანი, ჯავახეთისანი და კოლა-არტანისანი, და ჭოროხს სრულიად კლარჯეთის მდინარენი, თჳნიერ ჭანეთისანი. ამისთჳს ჩუენ კუალად ვიწყებთ მტკურიდამვე აღწერასა, ვინაჲთგან დაგვიშთა ქართლიდამ სრულიად აღწერა მისი. და მდინარე ესე მტკუარი გამოსდის კოლას ზეით არსიანის მთას, და აწ წოდებულსა ყალნუს და ყარსის მთასა, და მუნიდამ მიდის სამჴრეთიდამ ჩდილოეთად, ვიდრე აღმოსავლეთად და მიდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად ჭობის-ჴევამდე; და მას ქუეთი აღვსწერენით ქართლსა ზედა. გარნა ესე მტკუარი დის ერუშეთის მდინარი შესართვიდამ, ვიდრე ჭობის-ჴევამდე, ქართლისაგან უმეტეს ჩქარად, და კლდოვანსა, და

ჴრამსა ქვიანსა შინა. და ერუშეთის მდინარის შესართავს ზეით, არ-
ტანსა და კოლასა შინა, ფრიად მდორედ და გრეხით სივაკის გამო.
და არსცა თევზთა სიმრავლე მას შინა, მთის კერძოდ უფროს

1-29 სტრ., 662
კალმახნი დიდნი და წურილნი. სასმისად არს გემოიანი და შემრგო,
უფროს ქართლისაგან, და სხუად არარამდე საჴმარი.

ხოლო ამ მტკუარს ჭობის-ჴევს ზეით მოერთვის ჩდილოდამ
ქუაბის-ჴევის, გამომდინარე ფერსათჳს მთისა. ამ ჴევის დასავ-
ლით, მტკურის კიდეზედმ არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი (ვგო-
ნებთ ამას დემოთის ციხედ, რომელი აღაშენა სუმბატ ბივრი-
ტიანმან და განავსნა სპითა, შემწედ წუნისათჳს, და შურად ოძრა-
ხოსა და ლომსიასთჳს, და რათა ვერღარა ვიდოდნენ სპანი ქართ-
ლისანი მას ზედა, ვინაჲთგან ჯავახეთი ეპყრა მასვე). ამ ციხეს ზეით
მორთვის მტკუარს ჴევი ბობნავისა, გამომდინარე კოდიანის
მთისა. მოდის ჩდილოდამ სამჴრით მტკურამდე. ამას ზეით მორთ-
ვის მტკუარს სლევის ჴევი ჩდილოდამ. გამოსდის ფერსათს და
მოდის სამჴრით (ამ ჴევთაგან ერთს ვგონებ ღოგად-ჴევად).
სლესი ჴევს ზეით მოერთვის მტკუარს სამჴრიდამ თიხრევის
ჴევი, გამომდინარე კოდიანისა და მომდინარე ჩდილოდ. ამ თიხ-
რევის ჴევს მოერთვის ყინცვისს სხუა ჴევი, გამოსდის კოდიან-
სავე. თიხრევის ჴევს ზეით, მტკუარს კიდეზედ, სამჴრით არს აწ-
ყუერი, ქალაქი და ციხე დიდშენი. მოსახლენი არიან მესხნი, სო-
მეხნი და ურიანი ვაჭარნი, არამედ წარჩიენბულნი-მოჰმადიანნი.
აქა არს ეკლესია დიდშენი, შუენიერად ქმნული, გუმბაიანი, ყოვ-
ლადწმიდის ღვთისმშობლისა. იჯდა მიტრაპოლიტი, მწყემსი ყვი-
ბის-კორტანეთს ზეითისა, და მტკურის ჩდილოეთისა, და ბოცოს
წყლის ჩდილოეთის კერძოსი, ვიდრე გურიის მთისამდე. გარნა აწ
უქმი არს, არამედ ციხესა შინა დგანან იენგიჩარნი. აქ არს ჴიდი
მტკუარსა ზედა.

ამის ზეით მტკუარს მოერთვის ზიკილიის ჴევი, ჩდილო-
დამ, აგარას. გამოსდის ფერსათს და მოდის სამჴრით. ამ ჴევს ზეით,
ჴიდისთავს, მტკუარს მოერთვის სამჴრიდამ ხოსპიოს ჴევი, გა-
მომდინარე კოდიანისა და მომდინარე ჩდილოთ.
ამის პირისპირ,

1-30 სტრ., 663
მცირედ ზემორე, ჩდილოდამ, მოერთვის მტკუარს წინუბანს აბა-
ნოს ჴევი, გამოსდის ფერსათს და მოდის სამჴრით. ამ ჴევს ზეით,
წნისს ერთვის მტკუარს წნისის ჴევი, გამომდინარე ფერსათის

მთისა. ეს მოდის პირველ ჩდილო-დასავლეთიდამ აღმოსავლეთ-
სამჴრეთს შუა, მერმე ჩდილოდამ სამჴრით. ამ ჴევზედ არს წნისს
ზეით, მონასტერი მაღალს კლდესა ზედა, კეთილშენი, გუმბათიანი
და აწ უქმი. ამ ჴევის სათავეს, მთასა შინა, არს ჭვინტის დასავლეთად
ჯუარის ციხე, მაგარი და დიდშენი. ჭვინტას არს მონასტე-
რი კეთილი, შუენიერშენი და აწ უქმი. წნისს არს მტკუარზედ ჴიდი
კარგი. ამ ჴიდს ზეით მომდოვრდების მტკუარი და მოდრკების სამ-
ჴროდამ აღმოსავლთეად; სად მოდრკების, მოერთვის მტკუარს მუნ
ახალციხის წყალი, და ახალციხის წყალი ეწოდების კვანჯ-
ღამდე ამ წყალსა, და მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად.

ხოლო კვანჯღას ზეით ახალციხის წყალი განიყოფის ოთხ
მდინარედ, და ეწოდების თჳს-თჳსნი სახელნი. ხოლო ამ ახალციხის
წყალს, მტკუარს ზეით, მოერთვის ოლდამის ჴევი მარდაებ-
თან. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის სამჴრიდამ ჩდილოთ. ამ ჴევს
ზეით, ახალციხეს ერთვის ურიებთან ბორჯომის ჴევი, მისვე
მთის გამომდინარე და მომდინარე ეგრეთვე. აქა არს ახალციხე
ქალაქი, ფერსათის მთის კერძოდ ჩამოსულს კლდესა ზედა. არს
ციხე ქალაქის თავს (ამას ვგონებ ლომსიად, ვინაჲთგან, ისახე-
ლების რა ახალციხე ცხორებასა შინა, არღარა მოიჴსენების მერმე
ლომსია).

ამ ახალციხეს უდის წყალი თჳსი სამჴრით, და დასავლით ლი-
კანის ჴევი, რომელი გამოსდის ფერსათს და მოდის სამჴრეთად.
ხოლო ქალაქი არს მოზღუდვილი ციხიდამ ქვიტკირის სამის ზღუ-
დით. მას შინა მოსახლენი არიან წარჩინებულნი და ჩენილნი მოჰმა-
დიანნი, და ვაჭარნიცა. გარნა სახლობენ სომეხნი, ურიანი და მცი-
რედნი მესხნიცა. ჰავით არს მშუენი, ზამთარს ცივი და თოვლიანი,
ზაფხულს არა ეგდენ ცხელი. გარემოს ქალაქისა წალკოტნი, ვე-

ნახნი და ხილნი მრავალნი. აწ მჯდომარებს ფაშა მუნ, რომელსა
უწოდებენ საქართველოსანი კუალად ათაბაგადვე, ხოლო ოსმალნი
ახალციხის ფაშად, და უპყრავს ამას სრულიად სამცხე-საათაბაგო.

ხოლო ახალციხეს ზეით, კვანჯღას, მოერთვის ახალციხის
წყალს ოცხის წყალი. ეს გამოსდის ფერსათს და მოდის ჩდი-
ლოთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთს-სამჴრეთ შუა. ამ ოცხის
წყალს ერთვის, ვაშლობს, პანტნოვანის ჴევი, გამომდინარე
ფერსათისა, და მოდის ჩდილოდამ სამჴრით. ამ ჴევის ზეით, მთის
ძირში, არს ოძრახე, რომელი აღაშენა ოძრახოს ქალაქი და ციხე,
და უწოდა სახელი თჳსი. ამისგან ეწოდაცა საერისთოსა ამას საე-

რისთო ოძრახოსი, და იყო ქალაქი და ციხე, განყოფილებისამდე სა-
მეფოსა, საერისთოდ, და შემდგომად მისა-დაბად; ხოლო აწ არს
ოჯერ, და ციხე შემუსრვილი. მცირედ ამის ქუეით, სამჯრით, არს
მთის კალთას წყაროდ გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მდუ-
ღარის მგზავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. მას ზედა არს შენი
აბანო, და ბანობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთ-
ვილსა ძლიერსა, მუწუკსა და ბუგრსა, ძნიად საკურნებელსა მკურ-
ნალთაგან. გარდავალს აქედამ გზა კაკას ჯიდზედ, ბაღდადს. ამ გზას
ეწოდა, მთით, რკინის ჯუარი.

ამ ოცხის წყლისა და ახალციხის წყლის შესართავს ზეით იყ-
რებიან ერთად ქუაბლოვანისა და ბოცოს წყალნი, და მოერთვიან
ოცხე-ახალციხის წყალსა. და ქუაბლოვანის წყალი დის
ოცხეს წყლის სამჯრით და გამოსდის გურიის მთასა, მოდის ჩდილო-
დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამჯრეთს შუა, და ამის სამჯრით
დის ბოცოს წყალი. ეს გამოსდის გურიისა და აჭარის მთასა,
მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. და ამ ბოცოს წყალს, ხვა-
ნას ზეით, ერთვის სხუა ჯევი, რომელი გამოსდის გურიისვე მთასა.
ესეც მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. ამას ზეით, ბოცოს
წყალზედ, არს ნაოჯარს სასახლე თამარ მეფისა, დიდშენი, შუე-

ნიერს ადგილს და აწ ოჯერ. ბოცოს წყალსა და ქუაბლოვანის წყალს
შორის, ხვანასა და უდეს შორის არს მთა, წარსრული გურიის
მთიდამ აღმოსავლეთით. ამ მთასა შინა არს ვანას მონასტე-
რი, შუენიერი, კეთილ-ნაგები, მუნვე ქუაბნი გამოკუეთილნი,
დიდ-დიდნი, კლდესა შინა და აწ უქმნი. ამავ მთაში არიან ზეგანის
დაბნები.

ხოლო ბოცოს და ქუაბლოვანის წყლის შესართავს ქუეით ამ
წყალს ერთვის ჯაყის წყალი, გამოსდის არსიანის მთას და მო-
დის აღმოსავლეთად, და მოერთვის ბოცო-ქუაბლიანის წყალს სამ-
ჯრიდამ. და ამ ჯაყის წყალს, ჭვინტას ქუეით, მოერთვის ტყის
სოფლის ჯევი. გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის სამჯრით.
ამ ჯევს ზეით ჯაყის წყალსავე, წურწყუმას, მოერთვის ფოცხვის
ჯევი. გამოსდის ერუშეთსა და მის შორის მთასა, მოდის დასავლე-
ბათიანი, კეთილ-შუენიერად ნაგები და დიდი. იჯდა ეპისკოპოზი,
მწყემსი ბოცოს წყლისა და ახალციხის წყლის სამჯრეთისა, ვიდრე
მტკურადმდე, და ერუშეთისა, და არსიანის მთამდე. წურწყუმს ზეით,
ჯაყის წყალზედ, არს ყუელს ციხე, მრავალჯერ შემუსრვილი და
აწ ოჯერი. ყუელს ზეით, მთაში, არ ზარზმას მონასტერი გუმ-
ბათიანი, კეთილშენი, შუენიერს ადგილს და აწ უქმი. ხოლო ქუაბ-

ლოვანისა და ბოცოს წყლის სათავიდამ გარდავლენან გურიას და აჭარას გზანი, და ჯაყის წყლის სათავიდამ გარდავალს აჭარასა და შავშეთს გზანი, და ფოცხვის წყლის სათავიდამ გარდავალს ერუშეთს გზა. არამედ აწ, ვინაჲთგან აღვსწერეთ ახალციხის დასავლეთი, ამისთჳ კუალად ვიწყებთ მტკურიდამვე და აღვსწერთ მის შემრთველს წყალსა.

ახალციხის წყლისა მტკურის შესართვს ზეით მტკუარს მოერთვის ცუნქის ჴევი. გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის.ამ ჴევს ერთვის ღრელის ჴევი, მისვე

1-28 სტრ., 666
მთის კალთის გამომდინარე. ამ ჴევზედ არს საფარას მონასტერი, შუენიერად დიდშენი, გუმბათიანი, ყოვლადწმიდისა. ეს იყო შემკული ყოვლითა საეკლესიოსა და წმიდათა ნაწილებითა, და დაეფლოდნენ ათაბაგნი, და აწ არს ხუცის ამარ. ამავ ჴევს ზეით, ცუნქის ჴევს მოერთვის ჭობარეთის ჴევი, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე (ამას ვგონებთ ხინგის მდინარედ). ამ ჴევს მოერთვიან, ჴევაშენებს, ორნი ჴევნი, დასავლეთიდამ მომდინარენი. ხოლო ხობას ზეით არს, ცუნქა-ღელის ჴევთ შორის, თმოგუს, კლდესა ზედა, ციხე შენი; თმოგჳ იყო ქალაქი, არამედ აწ არს დაბა. კუალად მტკუარს მოერთვის, ცუნქის ჴევის შესართავის პირისპირ, აღმოსავლიდამ, ინწყორას ჴევი, გამომდინარე კოდიანის მთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამ ჴევს მოერთვის, გიორგი-წმიდას, სხუა ჴევი სამჴრიდამ მცირე. ხოლო ცუნქის ჴევს ზეით, მტკურისა და წითელის კლდის დასავლეთით, არს მონასტერი გუმბათიანი, დიდშუენიერი, შუენიერს ადგილს და აწ ცალიერი. კუალად მტკუარს მოერთვის, წითელ კლდეს ზეით, ღობიეთის პირისპირ, ოშორის ჴევი. ესე გამოსდის კოდიანის მთას და მოდის დასავლეთად. ამ ჴევზედ, ზემო ოშორას ზეით, არს მონასტერი გუმბათიანი, დიდკეთილად ნაგები და აწ ცარიელი. ოშორას ჴევის შესართავს ზეით, ინდუსას, არს ჴიდი მტკუარზედ. მას ზეით მოერთვის მტკუარს სუელის ჴევი დასავლეთიდამ.

ამა ზეით ერთვის მტკუარს ასპინძის ჴევი აღმოსავლეთიდამ, გამოსდის კოდიანისას ანუ ჯავახეთის მთას. ამის შესართავთან არს ჴიდი მტკუარსა ზედა. ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი. ასპინძის ზეით, ჩდილოთ კერძოთ, არს მგელ-ციხე, მაგარი, დიდშენი. ამავ ჴევზედ, ოთას არს კლდესა შინა გამოკუეთილნი ქუაბნი დიდ-დიდნი, სახიზრად. ოთას ამ ჴევს ერთვის ჯაბოეთის ჴევი.
გამოსდის ჯავახეთის

1-32 სტრ., 667
მთას. და ასპინძის ჴევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს მონასტერი უგუმბათო, შუენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფიის კენჭით და აწ ცალიერი. ასპინძის ჴევის შესართავს ზეით მოერთვის მტკუარს ვარენთის ჴევი. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის დასავლეთად. ვარენთას არს ციხე მაგარი, კლდესა ზედა შენი. ამ ჴევის შესართავს ზეით, მტკუარს მოერთვის აღმოსავლიდამ კოხტის ჴევი, გამოსდის ჯავახეთის მთას ანუ კოდიანს და მოდის დასავლეთად.

კოხტას ამ ჴევს მოერთვის სხუა ჴევი, მისცე მთის გამომდინარე. ამ ორს ჴევს შორის არს ციხე კოხტისა, დიდშენი და მაგარი. კუალად მტკუარს მოერთვის, კოხტის ჴევის შესართავს ზეით, დადეშის ჴევი, გამომდინარე ერუშეთის მთისა. დადეშს არს მონასტერი გუმბათანი, კეთილ-შუენიერს ადგილს შენი, აწ ცალიერი. ამ ჴევის შესართავს ზეით, ნიჯგორის პირისპირ, მტკუარს მოერთვის შულავრის ჴევი, გამომდინარე ერუშეთის მთისა.

ამ ჴევს ზეით, ხერთვისს, ერთვის ჯავახეთის მდინარე მტკუარს, რომელსა უწოდებენ ჯავახეთის მტკუარად, და ამ მდინარეს მოერთვიან ყოველნი ჯავახეთის მდინარენი. ხერთვისს არს ჴიდი მტკუარსა ზედა. ამ ჴიდს ზეით მოერთვის მტკუარს ჭაჭარაქის ჴევი. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის აღმოსავლეთად. ამ ჴევს ზეით მოერთვის მტკუარსვე ქარზამეთის ჴევი, გამომდინარე მისცე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. ქარზამეთს არს მონასტერი გუმბათიანი, მდიდრად შენი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერი. ამას ზეით არს ვარძიას მონასტერი, კლდესა შინა გამოკუეთილი, სენაკ-პალატებითურთ, და მას შინა აღშენებული ჲ˜ა მეფის გიორგისაგან და შესრულებული თამარ მეფისაგან. ესე შემკული იყო საეკლესიოს სიმდიდრითა და ყოვლის წესიერებითა. დაფლულ არიან ჲ˜ა მეფე გიორგი, ო˜ე მეფე კოსტანტინე და სხუა-

ნიცა. არამედ აწ ცალიერი.

ხოლო აქამომდე რომელნი აღვსწერენით, ესე არს უმეტესად ზემო ქართლი და შემდგომად სამცხე წოდებული, და აწცა სამცხედვე ისახელების. და მზღვრის ამ სამცხეს: აღმოსავლით საზღვარი

1-28 სტრ., 668
ქართლისა და მთანი კოდიანისა, შარვაშეთისა და საზღვარი ჯავახეთისა; სამჴრით მთა ერუშეთისა და სამცხეს შორისი, მერმე არსი-

ანის მთა, შავშეთსა და ყუელს შორისი. ხოლო არსიანის მთა მდებარებს სიგრძით აჭარის მთიდამ არტანამდე, აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუადამ ჩდილოთ-დასავლეთს შუა. და არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. გამოსდიან მდინარენი ამიერ და იმიერ. არს ყუავილოვანი, ბალახოვანი, წყაროიანი, ნადირიანი, ფრინვლიანი. არტანიდამ მოდრკების არსიანის მთა და წარვალს სამჴრით, მიად-გების ყარსის მთას. ამ არსიანის მთას უწოდებენ არტანს-ქვა-ყრილს, და კოლას-ყალნუ-მთას. ამ მთას აქუს აღმოსავ-ლით კოლა, არტანი, და დასავლით არტანუჯი და ფანასკეტი. და არს მთა ესე არსიანსავით, არამედ უმეტესად უტყეო. ხოლო დასავლით მზღვრის სამცხეს მთა გურია-აჭარისა, რომელი მდებარებს ჩდილო-დამ სამჴრით, ფერსათის მთიდამ არსიანამდე, და არს ესეცა თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, წყარო-მდინარიანი, შამბ-ყუავილია-ნი, ნადირ-ფრინვლიანი. და ჩდილოთ მზღვრის მთა ფერსათი, არა-მედ პირველ წოდებული ღადო და ლომსია, და ქართლის კერ-ძოდ ეწოდების მახჳლო, რომელი არს უმაღლესი და მარადის თოვლიანი, მყინვარი, და სიმაღლე-სიწურილისათჳს ეწოდა მახჳლო./ და ძეს მთანი ესე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, ქართლის ჴე-ობიდამ გურიის მთამდე. არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, გარნა რომელთამე ადგილთა თოვლიანი, ყინულიანი მარადის, ბალა-ხოვანი, შამბნოვანი, ყუავილოვანი, წყარო-მდინარიანი, ნადირ-ფრინვლიანი მრავლობით. ჩდილოთ აქუს იმერეთი და სამჴრით სამ-ცხე. და ამ საზღვართა შორისი არს სამცხე, შიგნით მთიანი, გორია-ნი, ღრატოიანი, ჴევიან-კლდიანი, მაგარი მთა-ბართა სიახლოვითა, ვენახიანი, ხილიანი, მრავლად. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ, პირუტყუნი მრავლად, არამედ ცხოვარნი უმრავლესად. ჰავით მშუ-ენი და შემკული, აგარაკოვანი. თევზნი, თჳნიერ ზუთხისა, მრავალ-

ნი და გემოიანნი ყოველნი. კაცნი და ქალნი, ვითარცა აღვსწერეთ, იუწყე ეგრეთ. არამედ გლეხნი კუალადცა მაჰმადიანდებიან ჭირი-სათჳს დიდისა.

ჯავახეთისისათჳს

ხოლო აწ ვიწყებთ ჯავახეთს. და სად ერთვის მტკუარს ჯავა-ხეთის მტკუარის, ამ ორს მდინარეს შორის არს ხერთვისი, მტკურის აღმოსავლეთის კიდეზე და ჯავახეთის მტკურის სამჴრით. და შენი არს ციხე ფრიად მაგარი, და დგანან აწ იენგიჩარნი. არა-მედ ეს ჯავახეთის მტკუარი გამოსდის ფანავრის ტბას და მოერთვის საღამოს ტბასა, კუალად გამოსდის საღამო ტბასაცა და მოდის აღ-მოსავლეთ-სამჴრეთს შუადამ ჩდილოთ-დასავლეთს შორის. სიგრ-

ძით არს საღამოს ტბიდამ ხერთვისამდე, და დის ფრიად ღრმასა და კლდიანს ჯრამსა შინა, რომლისა იმერ და ამიერ არიან გამოკუეთილნი კლდესა შინა ქუაბნი მრავალნი სახიზრად. ხოლო ხერთვისის ზეით ამ ჯავახეთის წყალს ერთვის გოკიის მდინარე, გამოსდის შარვაშეთის მთას ანუ ჯავახეთისას, მოდის გოკიამდე ჩდილოდამ სამჴრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ჯავახეთის მტკუარს ჩდილოდამ. გოკია არს ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი. გოკიას ქუეით ამ გოკიის წყალს ერთვის ოლდამის წყალი, გამომდინარე შარვაშეთის მთისა და მომდინარე ჩდილოდამ სამჴრით. ხოლო კუალად გოკიის წყლის შესართავის, ჯავახეთის მტკურის სამჴრით, მაღლა მინდორსა ზედა, მთის ძირად, არს ტბა კარ წახისა, დიდი და აღვსილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა. ამ ტბას მოერთვის წყალი ფოსოსი, რომელი გამოსდის ყარსის მთას და მოდის ჩდილოთ კერძოთ. ამ წყალზედ არს, ტბის მჭურეტი, წყაროსთავს, ეკლესია ფრიად დიდ-შუენიერი, გუმბათიანი, რომელი აღაშენა მირდატ გორგასლის ძემან. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი მტკუ-

რის აღმოსავლეთისა არტანითურთ, ვიდრე ყარსის მთამდე და ხავეთამდე ამავ წყალზედ არს ფოსო ანუ ჩუღურეთი. იმ ფოსოს აქუს აღმოსავლით მთა ნიალის-ყურისა, სამჴრით მთა ყარსისა, დასავლით მთა არტანისა და მას შორისი, ჩდილოთ მთა ნიალის-ყურისავე, წყაროსთვის სამჴრით, რომელსა გასჭრის წყალი ფოსოსი. და არს ეს ფოსო უვენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ყოვლითა მოსავლითა, პირუტყჳთ და კაცითა.

ხოლო კუალად გოკიის წყლის შესართავს ზეით, ჯავახეთის მტკუარსა ზედა, სამჴრეთისაკენ, კიდეზედ, არს წუნა, რომელი აღაშენა ციხე-ქალაქი, მტკიცედ მოზღუდვილი, ჯავახოს, მცხეთოსის ძემან. ამასცე უწოდეს ჰური, შემდგომად უწოდეს ამასვე სომეხთა ქაჯთატუნი, და მერმე ეწოდა ქაჯთაციხე. იყო ქალაქი და ციხე და საერისთო ერთმეფობამდე. არამედ აწ არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე არს. ამ წუნას ზეით, ჴრამის თავს, მინდორზედ, სამჴრით კერძოდ, არს კუმურდოს ეკლესია, გუმბათიანი, ფრიად დიდ-შენი, შუენიერად ნაშენი, რომელი აღაშენეს კოსტანტინეს მოგზავნილთა ჟამსა მირიანისასა. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი სრულიად ჯავახეთისა, ხერთვისს ზეითისა. ხოლო წუნას ზეით ჯავახეთის მტკუარს მოერთვის ჩდილოდამ ბარალეთის მდინარე, რომელი გამოსდის ფანავრის ტბისა და სანსრების შორისს მთას და მოდის აღმოსავლეთად. ამ წყალზედ, მტკურის შესართავს ზეით, არს ბარალეთი, მცირე ქალაქი. მოსახლენი არიან

მესხნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი. ბარალეთის ზეით ამ წყალს, კაჭი-
ოს, მოერთვის აზავრეთის ჴევი, გამომდინარე შარვაშეთის

1-26 სტრ., 671
მთისა და მომდინარე სამჴრეთად. ამას ზეით ამავ წყალს ერთვის,
ბოჟანოს ქუეით, ბუშათის ჴევი. გამოსდის მასვე მთას და მოდის
ეგერთვე. ამას ზეით, მასვე ბარალეთის მდინარეს მოერთვის მოდე-
გის ჴევი, მისვე მთის გამომდინარე და მომდინარე ეგრეთვე.

ხოლო კუალად ბარალეთის წყლის შესართავს ზეით მოერთვის
ჯავახეთის მტკუარს, სამჴრიდამ, ახალ ქალაქის წყალი, რო-
მელი გამოსდის აბოცის დაბის მცირეს ტბას და მოერთვის მცირედ
მუნვე ხავეთის ტბასა, და კუალად, მის ტბის გამომდინარე, მოდის
აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუადამ ჩდილოთ-დასავლეთს შორის.

ხოლო ახალ ქალაქი არს ამ ორთა მდინარეთ შესართავს
შორის. ესე იყო ქალაქი მოზღუდვილი და ციხე ძლიერი, არამედ შე-
იმუსრა მრავალგზის. გარნა აწ აღაშენა კუალად შავშეთის ბეგმან
ქართლიდამ. ამ ახალქალაქს ზეით არს ამირანის გორა, მტკუ-
რის სამჴრის კიდეზედ. მუნ არს მტკუარსა ზედა ჴიდი. ამას ზეით
ამისთჳს, რამეთუ არს ანკარა და ქვიანი. ამის სამჴრით არს ტბა
ფანავრისა, რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა. და ამ ფანა-
ვარს გამოსდის ჯავახეთის მტკუარი, დაბას გასადინარსა.

ესე არს ჯავახეთი. და არიან ამ ტბებთა და მდინარე-ჴევთა ზე-
და და დაბნები და მოსახლენი. ხოლო მზღვრის ჯავახეთს: აღმოსავლით
საზღვარი ქართლისა, რომელიცა აღვსწერეთ; სამჴრით მთა ნია-
ლის-ყურისა, რომელი მდებარებს გოლის ტბიდამ ანუ ხავეთიდამ
ყარსის მთამდე ანუ ფოსოს წყაროსთავამდე, აღმოსავლეთიდამ და-
სავლეთად. და არს მთა ესე სრულიად უტყეო, ბალახ-შამბ-ყუავი-
ლიანი და წყაროიანი, ხოლო ფოსოს კერძონი და წყაროსთავის კერ-
ძო მტკურამდე-ტყიანი, ნადირიან-ფრინველიანი. ხოლო დასავლით
მზღვრის ჯავახეთს ძუელად მტკუარი, და აწ ნიჯგორს ხერთვისს

1-24 სტრ., 672
ზეით, და წყაროსთავის დასავლით წარსრული მცირე გორანი; ხო-
ლო ჩდილოთ პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდამ წარსრუ-
ლი მცირე მთა ნუსხამდე, და მერმე ხაზი მის გასწურივ მტკურამდე,
და აწ კოხტის მდინარის აქეთი სამჴრის კერძოს მცირე მთა, ნიჯგო-
რის თავამდე და კოდიანამდე. არამედ არს ესე კოდიახის მთა ტყია-
ნი, ნადირიანი, მდინარიანი, რომელი წარმოვალს ბაკულიანიდამ და
ჭობის-ჴევიდამ და მოვალს კოხტის-თავამდე, მერმე დამდაბლდების

და დასწყდების ნიჯგორს ზეით ჯრამზედ.

ხოლო ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწუენ წივასა, და მოსავლითად ეგრეთივე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მგზავსი, გარნა უმჯობესიცა ზამთარი დიდ-თოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი. თევზნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მთათა გუაროზენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი. კაცნი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შუენიერ-ჰაეროვანნი, უსაქციელონი ბრიყუნი; სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტეანენი სრულიად, არამედ არღარა უვისთ მწყემსი ეპისკოპოზი, გარნა ჰყავთ მღუდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისათჳს ოსმალთა.

ერუშეთისათჳს

ხოლო აწ კუალად ვიწყებთ მტკურიდამვე. ვარძიად ზეით, ჯრამის თავს, სამღერეთს, მტკუარს მოერთვის ერუშეთის მდინარე.
ეს გამოსდის ერუშეთსა და ფორჩხის ჯევის შორის მთასა. მოდის ჩდილოთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთს-სამჯრეთს შუა.
ამ

1-23 სტრ., 673
წყალზედ არს, სამღერეთის დასავლით, ნაქალაქევი, სადაცა იყო ქალაქი, და აწ არს დაბა. აქ აღაშენა ეკლესია გუმბათიანი, შუენიერი, წარმოგზავნილმან დიდის კოსტანტინესამან, წარსაგებელითა კეისრისათა, რომელნი მოვიდოდნენ მირიან მეფისა თანა, და დაასუენეს მას შინა სამსჭუალი ქრისტეს უფლისა. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ერუშეთისა და არტანისა, მტკურის დასავლეთისა, აწცა არს ეკლესია დაურღუეველი, არამედ ცალიერი.

ხოლო ერუშეთს მზღვირს: აღმოსავლით მტკუარი და მთა ამისი და სამცხეს შორისი, და გარდავლენან მას მთასა ზედა გზანი სამცხეს; სამჯრით არსიანიდამ ჩამოსული მთა აღმოსავლეთ სამღერეთამდე, ერუშეთს და არტანს შორისი; დასავლით მთა არსიანი, სადაცა გარდავლენან გზანი შავშეთს და ტბეთს; ჩდილოთ მთა ამასა და ფოცხვის-ჯევს შორისი, და ამასა და სამცხეს შორისი. ამ მთაზედ გარდავლენან გზანი ფოცხვის-ჯევსა და სამცხეს შინა. და არს ეს ერუშეთი უვენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ეგრეთვე მოსავლითაცა, პირუტყჳთ, ნადირითა და მდინარე-თევზითა, არამედ მთანი არიან ტყიანნი გარემოს მისსა და ყუავილოვან-ბალახოვან-წყაროიანნი.

არტანისათჳს

ხოლო სამღერეთისა და ერუშეთის წყლის შესართავს ზეით არს არტანი, ქალაქი მცირე, რომელიცა აღაშენა ჯავახოს, ძემან მცხეთოსისამან, მტკურის დასავლით კიდეზედ, და ციხე მაგარი. შემდგომად, მეფობასა შინა ბაგრატიონთასა, იჯდა ერისთავი არტანისა

და კოლისა. აქა არს ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, შუენიერი და აწ ცალიერი: ამას ზეით, მტკურის კიდესა ზედავე, არს დასავლით ჯინჭრობი. ამ ჯინჭრობს ზეით ჩამოვალს მთა ქვაყრილის მთიდამ აღმოსავლეთით მტკურამდე, ეგრეთვე ფოსოს მთიდამ მტკურამდე. ეს მთანი არიან საზღვარნი არტანისა და კოლისა. და ამ არტანს შინა მოერთვიან მდინარენი მტკუარს ქვაყრილისა და ფოსოს მთიდამ, რომელთა ზედა არიან დაბნები და მოსახლენი.

ხოლო მზღვირს არტანს: აღმოსავლით მთა, ამასა და ფოსოს შორისი; სამჴრით მთა, ამასა და კოლას შორისი; დასავლით არსიანი, და აწ ქვაყრილად წოდებული, სადაცა გარდავალს გზა არტანუჯს; ჩდილოთ მთა მცირე, ამასა და ერუშეთს შორისი. ხოლო არს არტანი ვაკე და უტყეო, ბალახყუავილიანი, მოსავლით, ვითარცა ჯავახეთი, და მთანიცა უტყეონი, მცირე არყნალთაგან კიდე.

კოლისათჳს

ხოლო არტანისა და კოლის საზღვარს ზეით, მტკურის კიდის დასავლეთით, არს მცირე ქალაქი კოლა, და ზის აწ ფაშა კოლას, და უწოდებენ კოლის ფაშას. ამ კოლას ზეით, მტკურის კიდეზედ, დადეშს, არს ეკლესია დიდ-შუენიერ გუმბათიან-შენი, და აწ უჴმობენ დორთქილისიას. იჯდა ეპისკოპოზი სრულიად კოლისა, და აწ უქმი არს. ხოლო მტკურის სათავეს ზეით, ყალნუს მთის ძირზე, არს ციხე შენი ქუმურლუსი, მაგარი და შეუალი(ვგონებ ბეჭის ციხედ). აწ ცალიერ არს. ამას ზედა გარდავალს გზა ბანას და ფანასკეტს. არამედ კოლის ადგილებთა შინა მოერთვიან

მტკუარს მდინარენი ყარსისა და ყალნუს მთიდამ, და მათ ზედა შენ არიან დაბნები.
და მზღვრის კოლას: აღმოსავლით მთა ყარსისა, რომელი მდებარებს ყალნუს მთიდამ ნიალის ყურის მთამდე, დასავლეთს-სამჴრეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის. და არს მთა

ესე მცირეტყიანი, და არს ბალახ-შამბ-ყუავილოვანი, წყაროიან-
ნადირიანი. გარდავლენან მას ზედა გზანი ყარსის ადგილებთა შინა;
დასავლით მზღრის კოლას არსიანის მთა, და აწ ყალნუდ წოდებუ-
ლი, რომელსა ზედა გარდავლენან გზანი ბანას, არტანუჯსა შინა.
და არს მთა ესე მაღალი და მცირეტყიანი, წყაროიან-ბალახ-შამბ-
შროშნიანი და ზაფხულის ფრიად შუენიერი; ჩდილოთ მზღვრის კო-
ლას არტან-კოლას შორისი მცირე მთა.

და არს ადგილნი კოლისანი მოსავლით, პირუტყჳთ და პავით, ვ˜ა
ჯავახეთი, და კაცნიცა ჰგონე ეგრეთვე, არამედ აწ უმეტესნი მოჰმა-
დიანნი. ხოლო იყო პირველ ჯავახეთი, არტანი და კოლა ერთი სა-
ერისთო და შემდგომად იქმნა ორ საერისთოდ ბაგრატიონობასა ში-
ნა-წუნისად და არტანისად. და აწ ზის ჯავახეთს ნიჯგორს მჯდო-
მი ფაშა და კოლას ფაშავე, გარნა მორჩილებასა შინა ახალციხის ფა-
შისასა. და ესენი არიან აღწერანი მტკურის შემდინარის მდინარეთა
და ქუეყანათა, რომელთაცა ძუელად ეწოდებოდა ზემო ქართლად,
ამისთჳს მტკუარი ვინაჲთგან ქართლს მიმდინარე არს, შესავალ-გა-
მოსავალი ამ ორთა ქუეყანათა დაუბრკოლებელი აქუსთ.

ჭოროხისათჳს

ხოლო აწ ვიწყებთ კლარჯეთს. და ამ ქუეყანასა შინა უდი-
დესი მდინარე არს ჭოროხი, რომელი გამოსდის ირიჯლუს მთასა
და დის სამჴრიდამ ჩდილოთ, მცირედ აღმოსავლეთით მიწეულად,

ხვარამზეს ჴიდამდე. მას ქუეით მოუხვევს და დის, უმეტეს ართვანი-
დამ, ჩდილოთ-დასავლეთს შუა, და მიერთვის ბათომს ქუეით შავს
ზღუას. სიგრძით არს ზღჳდამ ირიჯლუს მთამდე, და დის ფრიად ჩქა-
რად ქვიანსა, კლდიანსა და ჴრამოვანსა შინა. და არს თევზიანი, გარ-
ნა მთის კერძოდ უმეტეს კალმახნი, სასმისად შემრგო, გემოიანი და
სხუებრ ურგები, ვინაჲთგან არა რაი კეთდების ანუ ირწყვის,
თჳნიერ ერგეს, გონიას და ბათომს. არამედ ვინაჲთგან აღვსწერენით
ბათომი, გონია, და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ,
აჭარის წყლის შესართავიდამ.

აჭარისათჳს

ხოლო ჭოროხს მოერთვის აჭარის წყალი აღმოსავლეთი-
დამ. და გამოსდის ზარზმა-აჭარას შორისს მთასა, მოდის აღმოსავ-
ლეთიდამ დასავლეთად. ამ წყლის კიდეზედ, ამ ჴეობის საშუალს, არს
მცირე ქალაქის მგზავსი დაბა, ქედა. მოსახლენი არიან ვაჭარნი.

ხოლო მოერთვიან ამ აჭარის მდინარეს, გურიის მთიდამ და აჭა-
რასა და ლიგანის ჴევის შორისის მთებიდამ, ჴევნი, და მათ ზედა არი
ან დაბნები შენნი. არამედ მზღვრის: აღმოსავლით მთა აჭარასა და
ზარზმას შორისი, და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს; სამჴრით
მთა აჭარასა და ლიგანის ჴევს შორისი; დასავლით მდინარე ჭორო-
ხი; ჩდილოთ მთა გურიასა და აჭარას შორისი, სადა გარდავლენან
გზანი გურიას. და არს აჭარის ჴეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავ-
ლიანი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლითა, არს ტყიანი,
კლდიანი, იწრო, ჴრამოვან-ღრატოიანი; მთანი ტყიან-ნადირიანი;

1-22 სტრ., 677
კაცნი ჴელოვანნი ხის მუშაკობითა. აქ აკეთებენ ყუელს-ერთი იქ-
მნების ი˜, ი˜ე და კ˜ლიტრა, არაოდესვე წაჴდების, არცა დაობდების,
რაჟამს გნებავს, შემგბარი კეთილ-საჴმარ არს.

ფორჩხის ჴეობისათჳს

ხოლო აჭარის წყლის შესართავს ზეით მოერთვის დასავლეთი-
დამ ჭოროხს ფორჩხის ჴევის მდინარე, გამომდინარე ბაი-
ბურდისა და ფორჩხის ჴეობის საშუალის მთიდამ, მოდის დასავლე-
თიდამ აღმოსავლეთად. ამ ჴევს მოერთვიან ჭანეთისა და ისპირის
მთიდამ ჴევნი, და შენ არიან დაბნები. ამ მდინარეზედ არს, ჭოროხის
დასავლეთად, დაბა დიდი ფორჩხა. ამის გამო იწოდა ჴეობაც ესე
ესრეთ. ხოლო მზღვრის ფორჩხის ჴეობას: აღმოსავლით ლიგანის
ჴევი; სამჴრით მთა ისპირისა, სადაცა გარდავლენან გზანი ისპირის
ჴეობასა შინა; დასავლით მთა ბაიბურდისა და ამას შორისი; ჩდი-
ლოთ მთა ჭანეთსა, და მას ზედა გარდავლენან გზანი ჭანეთს. არა-
მედ არს ჴეობა ესე ვენახოვან-ხილიანი, ვიწრო და კლდიანი და მო-
სავლიანი, რაოდენნიცა მიწანი იჴვნიან, პირუტყჳან-ნადირიანი, მთა-
ბარნი ახლორებენ ფრიად.

ანჩა

ხოლო ფორჩხის ჴეობას ზეით არს მცირე ჴევი; გამოსდის ის-
პირის მთას, მოდის სამჴრიდამ ჩდილოთ, მიერთვის ჭოროხს. ამ
ჴევზედ, აღმოსავლით და ჭოროხის დასავლით, ისპირის მთის კალ-
თას, არს ეკლესია ღუთაებისა ანჩა, გუმბათიანი, დიდ-შუენიერად

1-23 სტრ., 678
ნაგები, კარგს ადგილს. იჴდა ეპისკოპოზი, მწყემსი ლიგანის ჴევი-
სა გაღმა-გამოღმართისა გონიამდე, ფორჩხის ჴეობისა და აჭარისა,

და აწ ცალიერი არს.

ანაკერტი

ამას ზეით მოერთვის ჭოროხს ანაკერტის ჴევი აჭარის
მთიდამ. ამ ჴევზედ არს, ჭოროხის აღმოსავლით, აჭარის მთის კალ-
თასა, ანაკერტი, დაბა დიდი და კარგი. ამას ზეით მოერთვის
ჭოროხს შავშეთის მდინარე აღოსავლეთიდამ. აქა არს ფანაკა-
რის ციხე ორთა მდინარეთა შორის.

ნათლის მცემლის მონასტრისათჳს

ამ შავშეთის წყლისა და ანაკერტის შორის, ჭოროხის აღმოსავ-
ლით, აჭარის მთის კალთასავე, არს მონასტერი ნათლისმცემლისა.
ამას შინა იყო ჴორჴი ნათლისმცემლისა, და იყო დიდ-ჴელოვანებით
ქმნული და შენებული. ამისნი შედეგნი ი˜ბ მონასტერნი, და თავი
იყო, სადა ესუენა ჴორჴი. იდგნენ მონაზონნი მოწესენი მრავალნი,
და იყო ფრიად შემკული და მდიდარი ყოვლითა საეკლესიოს წესითა
და მამულითა შეწირულობითა, და აწცა არს დიდ-სენებულებანი,
არამედ უქმ-ცარიელ არს. ამას უწოდებენ ოპიზის მონასტ-
რად, რომელი აღაშენა მეორედ გურგენ, აშოტ დიდის კურადპალა-
ტის ძემ, და დაეფლა თჳთცა მას შინა.

შავშეთისათჳს

ხოლო შავშეთის წყალი გამოსდის ერუშეთსა და შავ-
შეთს შორისს არსიანის მთას.
ეს დის პირველად აღმოსავლეთიდამ

1-25 სტრ., 679
დასავლეთად, მერმე მოდრკების და დის აღმოსავლეთს-სამჴრეთს
შუადამ ჩდილოთ-დასავლეთს შორის. ამას, ჭოროხის შესართავს
ზეით, მოერთვის მდინარედ ჭილოვნის ჴევი, გამოსდის არსია-
ნის მთას, მოდის ჩდილოდამ სამჴრით გრეხით. ამ ჴევიდამ გარდა-
ვალს გზა ზარზმას და ყუელს. ამავ ჴევის სამჴრით სახლობს აწინდე-
ლი შავშეთის ბეგი. ამათ მდინარეთ შესართავს ზეით მოერთვის ჭი-
ლოვნის ჴევს შავშეთისავე მდინარე სათლესი და ტბეთი-
სა. ესეც გამოსდის არსიანსავე და მოდის ტბეთამდე აღმოსავლე-
თად, და მერმე, ვითარცა შავშეთის წინათი მდინარე, ეგრეთ ესეცა
დის. ამ წყალზედ არს სათლე, ქალაქი მცირე, და მოსახლენი ვა-
ჭარნი მას შინა.

ამ სათლეს ზეით არს ტბეთი, სამჴრით ამ მდინარის კიდესა, რომელმან მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან. ტბეთს არს ეკლესია გუმბათიანი, მდიდრად ნაგები და დიდ-შუენიერი. ეს აღაშენა აშოტ კუხმან ბაგრატიონმან. იჯდა აქ ეპისკოპოზი, მწყემსი ანაკერტს ზეითისა, სრულიად შავშეთისა და არტანუჯისა. ტბეთის პირისპირ, ჩდილოთ კერძ, მდინარის გაღმა, არს ციხე თუხარისი, რომელი აღაშენა პირველ ოძრახოს, ძემან მცხეთოსისამან, შემდგომად კ˜ვ მეფემან მირდატ აღაშენა ეკლესია ციხესა შინა; მერმე, ყრუსაგან მოოჴრებული, აღაშენა მტბევარ ეპისკოპოზმან. არამედ მოიგო სახელი სიმაგრით სიმტკიცისათჳს-

„თუ ხარ შენ ციხე და არა სხუა“.

ხოლო ამ ორთა შავშეთის მდინარეთა ზედა არიან დაბნები შენი დიდ-მცირენი.
და მზღვრის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიანი,
და გარდავლენან მას ზედა გზანი ერუშეთს, ფოცხვის ჴეობას და

ზარზმა-ყუელს; სამჴრით მზღვრის კლდე არტანუჯსა და შავშეთს შორის, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდამ დასავლეთად, ვიდრე კნინღა ჭოროხამდე, და განვლის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი, და თჳნიერ მისა არა არს გზა; დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი; ჩდილოთ მთა, არსიანიდამ ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე. და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი, ღელე-ღრატოიანი, იწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მრაცვალნი,თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა. პირტყუნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის, რაოდენიც იჴმარების სივიწროვედ.

ართვანისათჳს

ხოლო შავშეთის მდინარის შესართავს ზეით ჭოროხს მოერთვის დასავლეთიდამ ისპირის მდინარე, წოდებული ჭოროხადვე.
და ამ ისპირის მდინარის შესართავს ზეით, ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ, არს ართვანი, ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან ვაჭარნი.

ლიგანის ჴეობისათჳს

და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ჴეოიბის იმიერი და ამიერი იწოდების ლიგანის ჴეობად.

და არს ეს ლიგანის ჴეობა, თჳნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმონით, ზეთისხილით, ბროწეულითა, ლეღჳთ, ვენახით, ხილით შემკობილი, და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს, გარნა სივიწროვით ვერ სთესვენ ბრინჯ-ბამბას. ჰავით არს ზაფხულს ცხელი, ზამთარს

1-23 სტრ., 681
ფრიად თბილი. ახლორებენ მთანი თოვლიანნი და აგარაკნი, შუენიერებით აღმკულნი, ჟამისა და ნახევარჟამის სავალთა, წყაროებითა. პირუტყუნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი, და ყოვლითა ნაყოფიერებით აღვსილი.

იშხანისათჳს

ხოლო ართვანს ზეით მოერთვის ჭოროხს დასავლეთიდამ ჴევი, რომელი გამოსდის თორთომ-ისპირის მთასა,მოდის აღმოსავლით. ამ ჴევზედ არს იშხანს ციხე, ფრიად მაგარი, დიდშენი და ეკლესია გუმბათიანი, დიდ-შუენიერად ნაგები. აქ იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპიზონის მთამდე, და აწ ცალიერ არს. ამ ჴევს ზეით არს ჭოროხზედ ხვარამზეს ჴიდი, ქვიტკირისა, მრავალთუალი, შუენიერად გებული.

არტანუჯისათჳს

ამ ჴიდს ზეით მოერთვის ჭოროხს მდინარე არტანუჯისა. ესე გამოსდის ქვაყრილის მთას, მოდის არმოსავლეთიდამ დასავლად. ამ წყალს მოერთვის ჩდილოდამ, ჭოროხს ზეით, სხუა წყალი არტანუჯისავე. ესეც გამოსდის ქვაყრილის მთას, და არტანუჯსა და შავშეთს შუათს კლდეს. ამ წყლის შესართავის ზეით, წინათქმულს წყალზედ, არს არტანუჯი, ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშნი. ეს აღაშენა გორგასალ, შემდგომად შემუსრა ყრუმ, მერმე აღაშენა და განაახლა აშოტ კურადპალატმან, და აღაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პავლესი; მოკლეს მას შინავე და დაფლეს მუნვე.

1-21 სტრ., 682
არს არტანუჯს ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-დიდ-შუენიერ ნაგები. ეს იყო მონასტერი და აწ არს უქმნი, კუალად აქავ არტანუჯს აღაშენა გორგასლან მონასტერნი მერისა, შინდობისა და ახიზისა, ფრიად შუენიერნი. კუალად ქმნა ახიზს ქუაბნი კლდისა გამოკუეთილნი, ფრიად მაგარნი და შეუალნი.

ხოლო ამ არტანუჯის მდინარეთა მოერთვიან სხუანიცა მდინა-
რენი, და მათ ზედა შენებულ არიან დაბნები. და მზღვრის არტანუჯს:
აღმოსავლით მთანი ყალნი-ქვაყრილისა, და გარდავლენან გზანი მათ
ზედა კოლა-არტანს; სამჴრით ფანასკეტსა და არტანუჯს შორის ჩა-
მოსული მთა ყალნუს მთიდამ დასავლეთად, ვიდრე ჭოროხამდე; და-
სავლით მთა მცირე არტანუჯსა და ჭოროხს შორისი, და თჳთ მდი-
ნარე ჭოროხი; ჩდილოთ კლდე შავშეთსა და არტანუჯს შორისი.
არამედ არს არტანუჯი ვენახიანი, ხილიანი, მარცვალნი ყოველნივე
ნაყოფიერებს, ვითარცა სხუათა ამათ ადგილებთა; ტყიანი ფრიად და
მცირე-ველოვანი. პირუტყუნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი
მრავალნი. ჰავით მშუენი, კეთილ, ზამთარ თბილი და დიდ-თოვ-
ლიანი, ზაფხული არა ეგოდენ ცხელი. კაცნიცა ჰგონე ეგრეთვე სარ-
წმუნოებითა და ენითაცა. არამედ არტანუჯი, შავშეთი და ლიგანის
ჴევი არს ოძრახოს[ის]ავე წილი, და საერისთო მისი, ხოლო შემდ-
გომად იქმნა არტანუჯის ერისთავი სხუა, შავშეთით, და აწ უზისთ
თჳს-თჳსი ბეგი, ოსმალნი.

1-23 სტრ., 683
კალმახის ციხისათჳს

ხოლო კუალად, არტანუჯის მდინარის შესართავს ზეით, ჭო-
როხს მოერთვის თორთომის მთიდამ გამომდინარე წყალი, რომელი
მოდის აღმოსავლეთად. ამ ჴევზედ არს ციხე კალმახისა, რო-
მელი აღაშენეს პატიახშთა, დიდ-შენი, მაგარი და შეუალი. იყო სა-
ერისთო ტაოსი. ამას ზეით მოერთვის ჭოროხს მდინარე ბანა-ფანა-
სკეტისა, გამომდინარე ყალნუ მთისა და მომდინარე აღმოსავლეთი-
დამ დასავლეთად.

ფანასკეტისათჳს

ამ წყალზედ, ჭოროხის აღმოსავლით, არს ციხე ფანასკე-
ტისა, კლდესა ზედა, დიდ-შენი, მაგარი. აქ იჯდა ერისთავი ფანას-
კეტ-ოლთისისა, და აწ არს დაბა. ამას ზეით, ამ წყალზედ, მთაში,
არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაქს. აქა არს ეკლესია გუმბათიანი,
დიდი, შუენიერად ნაგები, კეთილ-შუენიერს ადგილს. აღაშენა მეფე-
მან ადარნასემ, და დაფლულ არიან მეფენი. იჯდა ეპისკოპოზი,
მწყემსი ფანასკეტისა და სრულიად ტაოსი, ტაოსი, ოლთისისა და ნარუმაკი-
სა და აწ არს ცალიერი.

ოლთისისათჳს

ამას ზეით, ჭოროხის აღმოსავლეთის კიდეზედ, არს ოლთისი,

ქალაქი კარგი და კეთილ-ჰაოვანი. აქ არს ციხე მაგარი და დიდშენი. არს მეორე საჯდომი ათაბაგისა, ვითარცა ახალციხე. ოლთისს ზეით, ჭოროხის აღმოსავლის კიდეზედ, არს ნარუმაკი და აწ ნარიმანი, დაბა დიდი. აქამდე არს ფანასკეტი-ოლთისი ხილიანი, ვენა-

ხიანი, ვითარცა სხუანი აღვსწერეთ. ხოლო ნარუმაკს ზეით კუალად, ჭოროხის აღმოსავლის კიდეზედ, არს დაბა დიდი იდი, კეთილი, ამას ზეით არს, ვითარცა მთის ადგილნი ნაყოფითა.

ტაოსათჳს

არამედ ართვანს ზეითი, იდამდე, ჭოროხის დასავლეთისა, თორთომის მთის აღმოსავლეთით არს პარხალი ანუ ტაოს კარი, ანუ ტაო. და მზღვრის ამას: აღმოსავლით ჭოროხის მდინარე; სამჴრით თორთომიდამ ჩამოსული მთა იდამდე; დასავლით თორთომის მთა; ჩდილოთ ჭოროხი და ისპირის მთა. და არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, და მთის კერძოთ, ვითარცა ჯავახეთი. არამედ არს მთიანი, გორიანი, ღელოვანჴრამოვანი, ღრატოიანი, წყლიანი და იწრო. და არიან ჴევთა დაბნები. კაცნიცა ეგრეთნივე. გარნა იდი და ნარუმაკი არიან ვითარცა თრიალეთი ანუ ჯავახეთი ყოვლითურთ.

ბასიანისათჳს

ხოლო ოლთის-ნარიმანისა და იდის სამჴრით არს, ირიჯლუს მთას იქით, ბასიანი. და ესე ბასიანი თუმცა არს სომხითისა, არამედ, შემდგომად ბაგრატიონთა მეფობისა, რა დაიპყრეს მთა, არს მიერით სამცხისა. და არს ბასიანი რახსისა ანუ არაზის სათავესა ზედა. პირველად ეწოდა ქალაქსა ამისსა ბასიანი, და მის გამო ეწოდა სახელიცა ესე ამ ადგილთა. ხოლო აწ უწოდებენ მას ქალაქსა ასანყალას. და არს საშუალ ბასიანისა, არაზის კიდესა ზედა, ჩდილოთ კერძ, არა დიდ ქალაქი. და მზღვრის ამას ბასიანს: აღმოსავლით მთა, ჩამოსული სამჴრეთის მთიდამ, რომელი არს სომხითის მთა; დასავლით მთა ირიჯლუ-დევაბოინისა; ჩდილოთ მთა ირიჯლუ-ყალნუსი; სამჴრით მთა, დევაბოინიდამ წამოსული-სომხითის მთა. და ადგილთა ამათ შორის მოერთვიან რახს იმიერით და ამიერით მდი-

ნარენი მთებთაგან. და შენებულ არიან დაბნები. არს უვენახო, უხილო და მარცვლის მოსავლითაცა ვითარცა ჯავახეთი, არამედ ესე უმჯობესცა ჰავითაც. უტყეო, თჳნიერ მცირე არყნალნი. სწვენ წი-

ვას და ზიდვენ ხესა და შეშას რახსის ჴრამიდამ. ამ ასანყაას ქუ-
ეით არს ჴოდო რახსსა ზედა, და ვლენან ქარავანნი, თჳნიერ მისა ვერ
განვალს არაზს.

ისპირისათჳს

ხოლო ისპირის ჴეობის მდინარე გამოსდის, ბაიბურდს
ზეით, ტრაპიზონის მთას. სიგრძით არს ტრაპიზონის მთიდამ ჭო-
როხამდე, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად, ჴევსა კლდიანსა
და ქვიანსა შინა. და ამ ისპირის წყლისა და ჭოროხის მდინარის შე-
სართავს ფრიად ზეით, ამ ისპირის მდინარეს მოერთვის სამჴრიდამ
თორთომის ჴეობის მდინარე. და ამ თორთომის მდინარის შესართავს
ზეით, ისპირის მდინარის კიდეზედ, არს ქალაქი მცირე ისპირა,
და ამის გამო სახელ-იდვა ჴეობა ესე და მდინარე. ამას ზეით მოერ-
თვის კუალად ისპირის მდინარეს საქართველოს-ყელის მდინარე ანუ
გურჯი-ბოღაზისა. და ამ მდინარეს ზეით არს მთა, რომელი მზღვრის
ბაიბურდსა და ისპირსა. ხოლო ამ ისპირის მდინარეს მოერთვიან
ამიერ-იმიერით ჴევნი ისპირისავე მთებიდამ, და არიან დაშენებულნი
დაბნები მათ ზედა.

და მზღვირს ისპირის ჴეობას: აღმოსავლით ისპირის მთებიდამ
ჩამოსულნი მთანი, სამჴრით ჩდილოეთიდამ ისპირსა, ტაოსა და ლი-
განის ჴევის შორისნი. და არს მთანი ესენი ტყიანნი, კლდიანნი, ღრა-
ტოიანნი, ჴევ-ქარაფიანნი და ნადირიანნი; ხოლო სამჴრით მზღვირს
მთა ისპირისა, ისპირსა და თორთომის ჴეობას შორისი, და
გარდავლენან გზანი თორთომის ჴებასა შინა. და მდებარებს მთა
ესე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. არს თხემთა უტყეო და ად-
გილს თოვლიანი, და კალთათა ტყიანი, წყაროიანი, ბალახ-ყუავი-
ლიანი და ნადირიანი. ეგრეთვე დასავლით მზღვრის მთანი, ისპირის
მთებიდამ ჩამოსულნი, ისპირისავე მდინარემდე, სამჴრით ჩდილოე-

თიდამ, ბაიბურდსა და სპერს შორისი. და არიან მთანი ესენი ტყიან-
ნი, კლდიანნი, და მივლენან გზანი ბაიბურდს; ჩდილოთ მზღვრის მთა
ისპირისავე, რომელი მდებარებს აღმოსავლიდამ დასავლეთად, ფორ-
ჩხის ჴეობასა და ისპირას შორისი, და გარდავლენან მას ზედა გზანი
ფორჩხას. და არს მთაცა ესე თოვლიან-ტყიანი, ვითარცა პირისპირი
ამისი ისპირის მთა.

გარნა არს ესე ისპირის ჴეობა ქარაფოვან-კლდიანი, ღელე-ღრა-
ტოიანი, იწრო, ტყიანი, მცირე ველოვანი, მოსავალ-ნაყოფიერი,
ვითარცა აღვსწერეთ ლიგანის ჴევი, ყოვლითა ნაყოფიერებითა და

მარცვლითა. ჰავით ზაფხულს ფრიად ცხელი, არამედ აქუს მთანი და აგარაკნი ახლორეს. ზამთარი თბილი. კაცნი იუწყე მგზავსნი სამცხისანი, და აწ მოჰმადიანნი სრულიად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა.

თორთომისათჳს

ხოლო თორთომის მდინარე გამოსდის დევაბოინის მთასა და მოდის სამჴრიდამ ჩდილოდ, გასჭრის სპერის მთას და მიერთვის ისპირის მდინარეს. ამ ისპირის მთას ზეით არს თორთომის ჴეობა. და ამ ისპირის მთის ფრიად ზეით მორთვის დასავლეთიდამ თორთომის მდინარეს ჴევი, შიფაქლუს მთის გამომდინარე, და მოდის პირველ სამჴრიდამ ჩდილოდ, მერმე დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. ამ ჴევზედ, შიფაქლუს მთის კალთას, არს ეკლესია-მონასტერი ხახულისა, ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, დიდი, გუმბათიანი, დიდ-შუენიერად გებული, შუენიერს, კარგს ადგილს. ეს აღაშენა დავით კურადპალატმან, ბაგრატ მეფის მამობილმან. აქავ არს ეკლესია ფრიად შუენიერი, დიდშენი, რომელი აღაშენა მ~ჲ მეფემან დავით. არამედ აწ უქმ-ცალიერ არიან, და ხატი ამისი არს გელათს, რომელი შეამკო აღმაშენებელმან, მერმე თამარ მეფემა. ამ ჴევს ზეით, თორთომის მდინარეზედ, არს ციხე თორთომისა, მაგა-

რი, კლდესა ზედა დიდშენებული. ამის მიერ იწოდა ჴეობა ესე თორთომის ჴეობად. ამ ციხეს ზეით არს ხენძორეთი, დაბა დიდი და გზა აზრუმისა. არამედ ამ თორთომის მდინარეს მოერთვიან ჴევნი თორთომისა და შიფაქლუს მთიდამ, და არიან დაბნები მათ ზედა შენნი, დიდ-მცირენი.

ხოლო მზღვირს თორთომის ჴეობას: აღმოსავლით მთა თორთომისა, თორთომსა და ტაოს შორისი, რომელი მდებარებს სიგრძით სამჴრეთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის, გამოვალს ირიჯლუს მთიდამ და მიადგების ისპირის მთას, და არს ისპირის მთის კერძოდ თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი და მას ზეით სრულიად უტყეო, წყაროიან-მდინარიანი, ბალახშამბ-შროშნიანილ გარდავლენან გზანი ტაოს შინა. ხოლო სამჴრით მზღვირს მთა ირიჯლუ-დევაბოინისა, რომელი ეგრეთვე უტყეო არს. დასავლით მთა შიფაქლისა, თორთომსა და ქართლის-ყელს შორისი, რომელი მდებარებს სამჴრიდამ ჩდილოდ, გამოვალს დევაბოინის მთიდამ და მიადგების ისპირის მთას. და არს ხახულამდე უტყეო და ყოვლითურთ, ვითარცა სხუანი მთანი; ხახულს ქუეით ეგრეთი ისპირის მთამდე, ვითარცა თორთომის მთის კერძი დავსწერეთ. ჩდილოთ

მზღრის მთა ისპირისა, ამასა და ისპირს შორის, და გარდავლენან გზანი ისპირის ჴეობასა შინა. არამედ თორთომის მდინარის კიდე, ხახულს ზეითამდე ანუ ციხემდე, ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ხოლო მთის კერძონი ყოველგნით, ვითარცა ჯავახეთი აღვსწერეთ, გარნა არს მოსავლიანი, პირუტყჳანი, ფრინვლიან-ნადირიან-თევზიანი, შემკობილი მთით და ბარით. კაცნი ვითარცა მესხნი, და აწ სრულიად მოჰმადიანნი, ენითა ქართულითავე, არამედ უბნობენ თურქულსა.

1-27 სტრ., 688
გურჯი- ბოღაზისათჳს

ხოლო ამის დასავლით არს და შიფაქლუს მთის იქით გურჯი-ბოღაზის ჴეობა ანუ საქართველოს ყელისა, რა-
მეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა აზრუმი, მიერ ჟამით უწოდეს სახელი ესე. სიგრძით არს დევაბოინის მთიდამ სპერის მდინარემდე. გამოსდის დევაბოინის მთასა, მოდის სამჴრიდამ ჩდილოთ. და ხენძორეთის გარდასწვრივ არს გურჯი-ბოღაზი დასავლეთით; და ეს ჴევი არს საზღვარი, ბაიბურდის მთამდე, საქართველოსა და ბერძენთა. და ჴეობა ესე არს ფრიად ვიწრო, კლდიანი და ტყიანი.

ბაიბურდისათჳს

ხოლო სადაცა მიერთვის ისპირის მდინარეს გურჯი-ბოღაზის მდინარე, მას ზეით არს ისპირის მთებიდამ ჩამოსულნი მთანი, ისპირისა და ბაიბურდის საზღვარი, ვითარცა აღვსწერეთ. ამ მთებს ზეით არს ბაიბურდი, ყოველგნით მთით მოხუეული და თჳთცა მთა.
ამას შინა დის ისპირისავე მდინარე. ამ წყალზედ, შუას ადგილს, არს ქალაქი ბაიბურდი, არა დიდი, და არიან აწ სრულიად მოსახლენი მაჰმადიანნი, მცირედი თუ ვინმე ქრისტეანენი. ამ ქალაქის გამო იწოდების ადგილიცა ესე ბაიბურდად. ხოლო მოერთვიან ბაიბურდის ადგილთა შინა ისპირის მდინარეს, აჭარა-ეზინგის მთებიდამ, მდინარენი, და არიან მას ზედა შენნი დაბნები. არამედ მზღვრის ბაიბურდს: აღმოსავლით მთა ისპირსა და მის შორისი; სამჴრით მთა ეზინგსა და ბაიბურდს შორისი, რომელი მდებარებს აღმოსავლიდამ დასავლეთად, უტყეო; დასავლით მთა ტრაპიზონისა; ჩდილოთ მთა ჭანეთისა, ბაიბურდსა და ჭანეთს შორისი. და არს ეს ბაიბურდი, ვითარცა ჯავახეთი, მთებრი მოსავალ-პირუტყჳთა. გარემოს მისა მთანი უტყეონი, და ზიდვენ ჭანეთის მთიდამ ხესა და შეშასა, უმეტესად სწვენ წივასა. ჰავით ზაფხულის კეთილ-ამო და შუენიერი, ზამთრივ

1-29 სტრ., 689

ცივი, თოვლიანი და გაუძლისი. გარდავლენან გარემოს მთებთა ზედა გზანი ადგილებთა შინა, რომელი აღვსწერეთ, მის გარემო. კაცნი არიან სრულიად მაჰმადიანნი და ზნითაცა მათითა.

ჭანეთისათჳს

ხოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამჴრით, ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავის ზღჳს კიდის წადევნებით, გონიიდამ ტრაპიზონის სამზღვრამდე. გონიის დასავლით მოერთვის ზღუას მდინარე, ჭანეთში გამომდინარე ჭანეთის მთისა, რომელი მდებარებს ჭანეთსა და ფორჩხის ჴეობას შორის, და მოდის ჩდილოთ. ამ მდინარის იქით არს ხოფჯა, ქალაქი მცირე, ზღჳს კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხობჯოსა, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. კუალად მოერთვის ზღუას მდინარე, ხოფჯას იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთისა, რომელი არს ბაიბურდსა და ჭანეთს შორის, და მომდინარე ჩდილოთ კერძოდ. ამ მდინარის დასავლით არს ქალაქი მცირე რიზა, ზღჳს კიდეზედ. მოერთვის მუნვე მდინარე მისივე ზღუასა, და გამოსდის მასვე მთასა და მოდის, ჩდილოთ. ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინღა ზღუამდე, ჭანეთის მთიდამ. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინის პალო, აქავ სატყეპელა. აქ აღაშენა მეფემან არჩილ მოწამემან ციხე შემდგომად ყრუს შემოსლვისა(ვგონებ რიზას).

ხოლო მთა ჭანეთისა ძეს დასავლიდამ აღმოსავლეთად, მცირედ ჩდილოთ მიწევით, და მივალს ვიდრე ჭოროხამდე. არს თხემთა უტყეო. და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. გარნა ჭანეთიცა ფრიად ტყიანი, გორა-მთა-ღელეიანი, არამედ ხილიანი, ვენახიანი, მარცვლებით მოსავლიანი ბრინჯ-ბამბითურთ, და ნაყოფიერებს ფრიად. პირუტყუნი, ნადირნი ფრიად მრავალნი; ფრინველნი და თევზნი ურიცხუნი; მწერნი მრავალნი, ფუტკარი და თაფლი ბევრად. ჰავით ზღჳს კიდური ცხელი, მთის კერძონი კეთილ-ჰაოვანნი. ზამთარი თბილი,

1-20 სტრ., 690
ზაფხული არა გაუძლისი. კაცნი არიან ჴელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით აწ სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპებიან ქრისტეანენი, არამედ იციან კუალად ქართულნი ენა ვიეთთამე. ხოლო მზღვრის ჭანეთს: აღმოსავლით გონიის საზღვარი; სამჴრით მთა ჭანეთისა, ფორჩხა-ბაიბურდსა და ჭანეთს შორისი; დასავლით მცირე მთა იგი ქართლის საზღვარი, ჩდილოთ ზღუა შავი.

ესე არს აღწერა სამცხე-საათაბაგოსი ჩინელთა ადგილებთა, რო-
მელნი იცნობიან რუკასა ზედა ამისსა. არამედ არა არს ციხე, ანუ
დაბანი, ანუ აგარანი, რომელსა შინა არა იდგეს საყდარი ანუ ეკლე-
სია, თლილის ქვით ნაშენნი, ორი ანუ სამი, დიდნი და მცირენი, და
ეგრეთვე ყოველთა ადგილთა საქართველოსა შინა, რომელნიცა აღ-
ვსწერენით. კუალად არიან გორა-მთათა ზედა შენნი ეკლესია-საყ-
დარნი, სადაცა ძნიად ხუდებიან კაცნი, თჳნიერ დღესასწაულთა მათ-
თა, ამისთჳს რამეთუ, ვინაჲთგან კერპობასა შინა მათ მთა-გორათა
ზედა იყვნენ კერპნი აღმართებულნი, და დღესასწაულობდენ მუნ სი-
ღოდობითა, და ქრისტეანობასა შინა შემუსრნეს კერპნი, არამედ
კუალად არა დასცხრნეს მუნვე განცხრომასა სიმთვრალითა, სიღო-
დითა და როკვითა, აღაშენეს მათ ზედა მუნ ეკლესიანი, რათა თაყვა-
ნის-ცენ ამათ და არღარა მოიჴსენონ კერპნი სიღოდა-განცხრომითა.

1-23 სტრ., 691
ცხოვრება სამცხე კლარჯეთისა

ხოლო ოდეს მოვიდნენ ძენი მცხეთოსისანი ოძრახოს და ჯავა-
ხოს ხუედრთა თჳსთა ქუეყანათა შინა, ამათ აღაშენეს რომელნი აღ-
ვსწერენით და დაეშენნე იგინი, და ძენი და ნათესავნი მათნი განი-
თესნეს ქუეყნებთა ამათ შინა. და იყვნენ მარადის ნათესავნი და ჩა-
მომავალნი ამათნი მორჩილებასა შინა მცხეთის მამასახლისისასა და
თაყუანისმცემელნი ქართლოსის საფლავისანი და მფუცავნი ქართ-
ლოსისანი, ვიდრე ფარნაოზ პირველის მეფისამდე. ხოლო გამეფდა
რა ფარნაოზ და დაიპყრა ყოველი საქართველო, ამან ფარნაოზ დას-
ხნა ერისთავნი თჳსნი: ერთი ოძრახოსს და მისცა წილი ოძრახოსი,
მეორე წუნას და მისცა წილი ჯავახოსი, მესამე კლარჯეთს და მის-
ცა სრულიად რომელი თჳთ დაიპყრა. და იყო ქუეყანა ესე ესრეთ
სამ საერისთოდ მრავალთა წელთა, თჳნიერ მიხუმისა სომეხთა მე-
ფის იარანისაგან წუნისა და არტანისა, რომელი კუალად დაიპყრეს
აზორკ და არმაზელ მეფეთა. და კუალად შემდგომად ჟამსა მეფის
ვარზა-ბაქარისასა მიუღეს რა მას სპარსთა რანი და მოვაკანი, მაშინ
უკუდგნენ მისგან კლარჯნი და მიერთუნენ ბერძენთა და იყვნენ მორ-
ჩილებასა შინა მათთა რაოდენმე წელ. ხოლო ორნი იგი საერისთონი
იყვნენ ქართველთავე მეფეთა მორჩილებასა შინა.

ხოლო შემდგომად დაიპყრა გორგასალ მკლავითა თჳსითა და
გამოუხუნა ბერძენთა და შემდგომად სიკუდილისა თჳსისა მისცა ძე-
თა თჳსთა სამნი ესე საერისთონი ლევანს და მირდატს, ბერძნის კე-
ისრის ქალის ნაშობთა. და შემდგომად მოკუდა რა ლეონ გაუცვალა

1-28 სტრ., 691

დაჩი მეფემან ძმასა თჳსსა მირდატს ქუეყანა და დაიპყრა თჳთ ეგ-
რისის მდინარის იქით დასავლეთის წილი, და მირდატს მოსცა ჯა-
ვახეთი ფანავრიდამ მტკურამდე და დაიპყრა მირდატ ტაშის კარი-
დამ ზღუამდე და ერისთავთ-ერისთაობა ქუეყანათა ამათ, და მორ-
ჩილებდა მეფეთა ქართველთათა. ხოლო ამ მირდატისა თანა მოვი-
და ნათესავი დავით წინასწარმეტყუელისა შჳდთა ძმათაგანი გურამ
და ითხოვა მისგან მკჳდრობა მის თანა. ხოლო მირდატ შეიწყნარა
და შეიყუარა იგი სიკეთისა მისისათჳს და მისცა დაჲ თჳსი გურამს
ცოლად და სამკჳდრებელი ტაო, რომელსაცა შემდგომად უწოდა
ტაოს ერისთავად, და მორჩილებდა ესე გურამ ყოვლითავე მირდატს.

არამედ ესე გურამ ნათესავ-ჩამომავალი იყო დავით წინასწარ-
მეტყუელისა ესრეთ, რამეთუ მეფემან დავით შვა სოლომონ, სო-
ლომონ შვა რობოამ, რობოამ შვა აბია, აბიამ შვა ასა, ასამ შვა
იოსაფატ, იოსაფატ შვა იორამ, იორამ შვა ოქოზია, ოქოზიამ შვა
იოას, იოას შვა ამასია, ამასიამ შვა ოზია, ოზია შვა იოათამ, იოა-
თამ შვა აქაზ, აქაზ შვა ეზეკია, ეზეკიამ შვა მანასე, მანასემ შვა ამონ,
ამონ შვა იოსია, იოსიამ შვა იექონია, იექონიამ შვა სალათიელ, სა-
ლათიელ შვა ზორაბაბელ, ზორაბაბელ შვა აბიუდ, აბიუდ შვა ელია-
კიმ, ელიაკიმ შვა აზორ, აზორ შვა სადუკ, სადუკ შვა აქიმ, აქიმ შვა
ელიუდ, ელიუდ შვა ელიაზარ, ელიაზარ შვა მატათა, მატათამ შვა
იაკობ, იაკობ შვა იოსებ და კლეოპა, კლეპამ შვა ნაომ, ნაომ შვა
სალა, სალამ შვა რობოამ, რობოამ შვა მუხთარ, მუხთარ შვა ელია-
კიმ, ელიაკიმ შვა ბენიამენ, ბენიამენ შვა იერობემ, იერობემ შვა მო-
სე, მოსემ შვა იუდა, იუდამ შვა ელიაზარ, ელიაზად შვა ლევ, ლევმან
შვა იორამ, იორამ შვა მანასე, მანასემ შვა იაკობ, იაკობ შვა მიქია,
მიქიამ შვა იოაკიმ, იოაკიმ შვა იურობემ, იურობემ შვა აბრაჰამ, აბ-
რაჰამ შვა იობ, იობ შვა აქაბ, აქაბ შვა სჳმონ, სჳმონ შვა იზაქარ,
იზაქარ შვა აბია, აბია შვა გაად, გაად შვა ასერ, ასერ შვა ისააკ, ისა-

აკ შვა დან, დან შვა სოლომონ, სოლომონ შვა შჳდნი ძმანი ესენი:
ბაგრატ, აბგავარ, მობალ, გურამ, საააკ, ასამ და ვარზავარდ. ესენი
წარმოვიდნენ ფილისტიმიდამ და მოვიდნენ რაქაელ დედოფლისა თა-
ნა. ამან რაქაელ დედოფალამ ნათელ-სცა ამათ და ბაგრატ შეიყვა-
ნა თჳთ სიძედ და აბგავარ და მოაბალ ამზახლა სომეხთა მეფესა.

ხოლო ოთხნი ესენი გურამ, საააკ, ასამ და ვარზავარდ მოვიდ-
ნენ ქართლს. გურამ დაისიძა მირდატ ძემან ვახტანგ გორგასილისა-
მან ქ˜სა ფ˜ფ&. ქრ. ს˜ჲ, და სამნი განვიდნენ კახეთს, საააკ ემზახლა ბა-
კურს ძესა ნერსესსა და ორნი ასამ და ვარზავარდ მივიდნენ კამბე-
ჩოვანს, გარდაუქციეს ერი ვეზანს ერისთავსა სპარსთასა და მოკლეს

იგი და დაიპყრეს ამათ კამბეჩოვანი და ცხორებდნენ ხორნაბუჯს
ძენი მათნი, ვიდრე სტეფანოზისა და ადარნასეს ხოსროვანისამდე.

ხოლო გურამ ტაოს ერისთოობასა შინა შვა ძე მირდატის დისა-
გან და უწოდა სახელად ბაგრატ, ძმისა თჳსისა ბაგრატის სახელი.
კუალად შვა მისგანვე მეორე ძე, რომლისა ძის ძემან შემდგომად
სტეფანოზისა დაიპყრა რომელნიმე კლარჯეთისა და ჯავახეთი, რო-
მელსა მისცა მეფემან არჩილ მოწამემან ძმისწული თჳსი მირ მეფის
ასული ცოლად. არამედ შემდგომად ერისთავთ-ერისთავი მირდატ
მოკუდა ქ˜სა ფ˜კზ. ქარ. ს˜ოთ. ხოლო გურამ ტაოს ერისთაობასა
შინა მოკუდა ქ˜სა, ფ˜ლბ, ქარ. ს˜ჰდ, და დაუტევნა ძენი ტაოს, მორ-
ჩილებასა შინა მირდატის ძისათა.

და შემდგომად მირდატის სიკუდილისა დაიპყრეს ძეთა მირდა-
ტისთა ნაქონები მამისა თჳსისა. ამათ მორჩილებდა ძე გურამისა
ბაგრატ და ძენი მირდატისნი მორჩილებდნენ ქართველთა მეფეთა.
ხოლო შემდგომად მოვიდა სპარსთა მეფე ქ˜სა ფ˜ლვ, ქარ. ს˜ჱ. და
დაემორჩილა სპარსთა მეფესა მეფე ფარსმან ქართლისა, და ძენი
მირდატისანი განდგნენ ფარსმან მეფისაგან და მიერთუნენ ბერძენ-
თა.

მიერითგან განიყვნენ ძენი გორგასლისანი: მეფენი ქართლისა-
ნი ერჩდნენ სპარსთა და ძენი მირდატისანი ერჩდნენ ბერძენთა. ხო-

ლო შემდგომად მოკუდა ბაგრატ ერისთავი მორჩილებასა შინა მირ-
დატის ძისათა ქ˜სა ფ˜ჲჱ, ქარ. ტ˜კ, და დაუტევა ძე გურამ სახელით.
არამედ ამათვე წელიწადებთა მოსწყდნენ ძენი მირდატისანი, ძისა
ვახტანგ მეფისანი, და ამათ არა დაუტევეს ძენი, რომელთა დაუმ-
კჳდრეს სამკჳდრებელნი თჳსნი პაპიდისწულსა თჳსსა გურამს და
უწოდეს მირდატოვანი. და ამან გურამ ძემან ბაგრატისამან შემდგო-
მად მათსა დაიპყრა ნაქონები მათი ტაშისკარ-ფანავრიდამ, ვიდრე
ზღუამდე, და მერმე შეიცვალა სახელი მირდატოვნობისა ბაგრატიო-
ნად მამისა თჳსისა სახელისთჳს.

ხოლო მოსვლასა სპარსთა ქასრე აბარვეზირისასა მიევლტო ეს
გურამ უმეტეს ბერძენთა, ვიდრეღა სპარსთა, და ამისთჳს კეისარმან-
ცა მოსცა სიგლითა ქუეყანა ესე და კურადპალატობა გურამს. და
შლოლობასა ამას შინა იყო გურამ მსახურებასა და მორჩილებასა
ბერძენთასა და ეპყრნენ წინჴსენებულნი ქუეყანანი. ხოლო წელსა
ქ˜სა ფ˜ოე, ქარ. ტ˜კზ, თხოვნითავე ქართველთათა მოსცა ამ გურამ
კურადპალატსა მეფობა საქართველოსი კეისარმან იუსტინე, და

გამეფდა, ვითარცა აღვსწერეთ, და ამით კუალად შეერთდა სამცხე-კლარჯეთი და ყოველი საქართველო ერთ სამეფოდ.

ხოლო მოკუდა ესე გურამ ქ~სა ქ~,ქარ. ტ~ნბ, და დაუტევა ძენი ორნი: სტეფანოზ და დიმიტრი. დიმიტრი აღესრულა, ვითარცა აღვსწერეთ, ხოლო სტეფანე ერისთავთ-მთავარი მოკუდა ქ~სა ქ~ით. ქარ. ტ~ოა. და მიუხუნეს ბერძენთა სპერი და ბოლო კლარჯეთის ზღჳს პირნი.

ამას დაუშთა ძე ერთი გურამ. ამან გურამ შემდგომად მამისა თჳსისა დაიპყრა კუალად კლარჯეთი და მსახურებდა ბერძენთა და

1-27 სტრ., 695
მერმე დაიპყრა სამცხეცა. ამავ გურამის ჟამსა შინა გამოვიდა მურვან ყრუ.

ამან ყრმუ მოაოჴრა ყოველი ქუეყანა კლარჯეთისა, შავშეთისა, ტაოსი, სამცხისა და ჯავახეთისა. მაშინ ამან გურამ ავნო დიდი სპათა მისტა და განერა კლარჯეთსა შინა თჳთ უვნოდ მისგან. ამას გურამს კეისარმან კოსტანტინემ სიმჴნისა მისისათჳს მოსცა კუალად კურადპალატობა და ქუეყანა, რომელი ეპყრა პირველ პაპასა მისსა. ამავე ჟამებთა მოსცა მეფემან არჩილ მოწამემან ამ გურამის პაპის მამის ძმისწულს და გურამ კურადპალატის ბიძის ძის ძეს, რომელსა ამავ კურადპალატისაგან აქუნდა ერისთობა მას ჟამსა შინა კლარჯეთისა და ჯავახეთისა, ასული მირ მეფისა ცოლად და თჳთ არჩილ მეფემან შეირთო ასული ამ გურამ კურადპალატისა(არამედ საგონებელ არს ადარნასე, რომელი დადგინებულ იყო არეთა სომხითისათა და მოვიდა არჩილ მეფისა თანა, იყო ამათგანივე ბაგრატიონი, რომელსაცა მისცა არჩილ მეფემან ასული მირ-მეფისა და კუალად რომელნიცა არა შეუშვნა ამან გურამ კურადპალატმან კლარჯეთს და მათ აღაშენეს ციხე კალმახი, იგინიცა იყვნენ ამათგანნივე).

ხოლო ამისა შემდგომად მოკუდა გურამ კურადპალატი ქ~სა ქ~ოჱ, ქარ. უ~ლ, და დაუტეცა ძე ერთი ვარზაბაკურ. ამან ვარზაბაკურ დაიპყრა ნაქონები მამისა თჳსისა, მერმე მოსცა კოსტანტინე კეისარმან ანთჳპატობა და შემდგომად მეფემან არჩილ მოსცა ვარზაბაკურს გარდაბანი და ამან მოქაცივნა სარწმუნოებასა ზედა ჭეშმარიტსა გარდაბანელნი.

შემდგომად მოკუდა ვარზაბაკურ ქ~სა ღ~ე, ქარ. უ~ნზ, და დაუ-

ტევა ძე მხოლოდ ნერსე და ნერსემ დაიპყრა ყოველი ესე ქუეყანა
და ერისთავთ-ერისთაობა მორჩილებასა შინა ბერძენთასა.

1-29 სტრ., 696
შემდგომად მოკუდა ნერსე ქ˜სა ღ˜მბ, ქარ. უ˜ჟე, და დაშთნენ
ძენი სამნი: ადარნასე, სტეფანოს და ფილიპე. არამედ ადარნასემ
დაიპყრა ერისთავთ-ერისთაობა და ქუეყანა მამისა თჳსისა და მის-
ცა ძმათა თჳსთა ერისთობა კლარჯეთს და მორჩილებდა ბერძენთა.

ხოლო ამ ადარნასეს ესხნენ ძენი ორნი: აშოტ და გურგენ, და
ასული ერთი ლატავარ. ეს ემზახლა ძე არჩილ მეფისასა ჯუანშერს
და ამან ჯუანშერ შეირთო ცოლად ლატავარ. შემდგომად ამანვე
ადარნასემ იცვალა ნასამალი ჯუანშერისაგან კლარჯეთისა, შავშე-
თისა, აჭარისა, ნიგალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემო ტაოსი.
და კუალად ციხეთაგან, რომელი აქუნდა ძის ძეთა ვახტანგ გორგას
-ლანისათა. მერმე მივიდა კლარჯეთს და მოკუდა ადარნასე ქ˜სა
ღ˜ოთ, ქარ. ფ˜ლა და დაუტევა ძენი ორნი აშოტ და გურგენ.

ხოლო ამან აშოტ დაიპყრნა ყოველნი წინჴსენებულნი ქუეყა-
ნანი და მისცა ძმასა თჳსსა გურგენს ერისთობა, რამეთუ წინჴსენე-
ბულნი იგინი ყოველნი მოწყუედილნი იყვნენ. შემდგომად განძლი-
ერდა აშოყ და მორჩილებდა ბერძენთა.

ამას აშოტს მოსცა კეისარმან კურადპალატობა და შემდგომად
დაიპყრა ქართლი და გამეფდა, ვითარცა აღვსწერეთ. არამედ მეფო-
ბასა შინა მოკლეს არტანუჯის ციხის ეკლესიასა შინა აშოტ ქ˜სა
ყ˜კვ, ქარ. მ˜ვ და დაუტევნა ძენი სამნი: ადარნასე, ბაგრატ და გურამ
მამფალი. და შემდგომად აშოტის სიკუდილისა დაშთნენ ესენი არ-
ტანუჯის ციხესა შინა და იზრდებოდნენ მუნ. გარნა წარუღეს გარე-
მონი ყოველნი სარკინოზთა და შემდგომად აღიზარდნენ რა, დაიპ-
ყრნეს მათვე ყოველნი ნაქონებნი მამათა თჳსთა, თჳნიერ ქართ-
ლისა.

ხოლო მოვიდა რა მაჰმად, მოვიდა მის წინაშე ბაგრატ ძე აშო-
ტისა და მან მაჰმად მოსცა მეფობა და დაიპყრა ქართლი ბაგრატ და
ზემო ქართლი, რომელ არს სამცხე, და ადარნასემ ძმამან მისმან
კლარჯეთი და გურამ მამფალმან ძმამანვე მისმან ჯავახეთი თრი-

1-30 სტრ., 697
ალეთი, აბოცი და რომელნიმე სომხითისანი, რამეთუ გურამ მამ-
ფალსა ესუა ცოლად ასული სომეხთა მეფისა და მორჩილებდნენ
ბაგატს, ვითარცა აღვწერეთ.ხოლო გურამ მამფალს ესხნენ ძე-

ნი: აშოტ და ნასრ, და ასული ერთი, რომელი შეირთო ცოლად აფ-
ხაზთა მეფემან ადარნასემ, და ამისთჳს შუელოდა გურამ მამფალი
აფხაზთა მეფესა. არამედ ნასრ მოკლა დავით მეფე და შემდგომად
მისთჳს მოკლეს ნასრცა ქ~სა ყ~პჲ, ქარ. რ~ჲ, და მოკუდა გურამ
მამფალი მამა მის ნასრესი ქ~სა ყ~პბ. ქარ. რ~ბ. და ძე მამფალისა
ამის აშოტ მოკუდა ქ~სა ყ~ჲთ, ქარ. პ~თ. ამათ არა დაუტევეს ძენი და
მოსწყდნენ თესლნი მათნი.

ხოლო ადარნასეს, ძესა აშოტ კურადპალატისასა ესხნენ სამნი
ძენი: გურგენ, სუმბატ და აშოტ კეკელა. და ამ გურგენს მოსცა კეი-
სარმან კურადპალატობა და შემდგომად მოკუდა ეს გურგენ ქ~სა
ყ~ჟა, ქარ. რ~ია, და ამან გურგენ დაუტევნა ძენი ორნი: ადარნასე
ერისთავთ-ერისთავი და აშოტ კუხი. მოკუდა ეს აშოტ კუხი ქ~სა
შ~იჲ, ქარ. რ~ლჲ. ამან არა დაუტეცა ძე. მოკუდა ადარასე ერის-
თავთ-ერისთავი ქ~სა ყ~ჟვ, ქარ. რ~ივ. და ამან ადარნასემ დაუტევნა
ძენი გურგენ ერისთავთ-ერისთავი და დავით ერისთავთ-ერისთავი.
გარდაიცვალა ეს გურგენ ერისავთ-ერისთავი ქ~სა შ~იდ, ქარ. რ~ჲა,
მოკუდა ძმა მისი დავითცა ერისთავთ-ერისთავი და არა დაუტევნეს
ამათ ძენი. ხოლო მოკუდა აშოტ კეკელა, ძე ადარნასესი, ქ~სა ყ~ჲზ,
ქარ. პ~ზ და არა დაუტეცა ამან ძე. ხოლო სუმბატს, ძესა ადარნასესა,
მოსცა კეისარმან ანთიპატობა და დაიპყრა ამან არტანუჯი. ამისთჳს
ეწოდა არტანუჯელი.

მოკუდა ეს სუმბატ არტანუჯელი ქ~სა ყ~პთ. ქარ. ს~ჲ. ამან და-
უტევნა ძენი: ბაგრატ არტანუჯელი მამფალი და დავით, რომელი
შემდგომად მონაზონ იქმნა. ხოლო მოკუდა ბაგრატ მამფალი არტა-
ნუჯელი ქ~სა შ~თ, ქარ. რ~კთ. ამან დაუტევნა ძენი: ადარნასე, აშოტ,
დავით ერისთავთ-ერისთავი და გურგენ ერისთავი. არამედ ესე ადარ-
ნასე შემონაზონდა და უწოდეს ბასილი. მოკუდა ესე ბასილი ქ~სა

შ~მე, ქარ. რ~ჲე. მოკუდა აშოტ ძმა მისი ქ~სა შ~ლთ, ქარ. რ~ნთ;
მოკუდა დავით ერისთავთ-ერისთვი, ძმა ამათი, ქ~სა შ~ჲ, ქარ.
რ~კჲ. და ამათ არა დაუტევნეს ძენი. მოკუდა გურამ ერისთავი, ძმა
ამათი ქ~სა შ~კგ, ქარ. რ~მგ. ამან დაუტეცა ძე გურამ, მოკუდა ესე
გურამცა ქ~სა შ~ჲ, ქარ. რ~პჲ.

ხოლო სუმბატ ანთიპატისა დავით, რომელი მონაზონ იქმნა,
მოკუდა ქ~სა შ~ჲგ, ქარ. რ~ჲგ, და ამან დაუტევა ძე სუმბატ. მოკუდა
ესე სუმბატ ქ~სა შ~კჲ, ქარ. რ~ჲ. და ამან დაუტევნა ძენი დავით და
ბაგრატ; მოკუდა ესე დავით და არა დაუტევა ძე. ხოლო მოკუდა ბაგ-
რატცა ქ~სა შ~პჲ. ქარ. ს~ჲ. და დაუტევა ამან ძენი გურგენ და სუმბატ.

და ესენი შეიპყრნა მეფემან ბაგრატ და დაიპყრა სრულიად სამ-
ცხე და კლარჯეთი და ჰყო ერთ სამეფოდ ქართლისა თანა.

ხოლო მოკუდა გურგენ ქ˜სა ჩ˜იბ, ქარ. ს˜ლბ, და ამან დაუტევა
ძე დიმიტრი; მოკუდა სუმბატცა ქ˜სა ჩ˜ია, ქარ. ს˜ლა, და დაუტევა
ამან ძე ბაგრატ. ხოლო ესენი ბაგრატ და დიმიტრი შეპყრობისა თანა
მამათა მათთასა წარივლტოდენ კონსტანტინეპოლედ და მუნ მოსწ-
ყდნენ. ხოლო ბაგრატ მეფე, ძე აშოტ დიდის კურადპალატის მეფისა,
რომელიცა გამეფდა ქართლს და აღვწერეთ ცხორება და სიკუდილი
მისი მეფე თანა ქართლისათა, ამან მეფემან ბაგრატ დაუტევნა ძენი
სამნი, დავით, აშოტ და ადარნასე, მოკუდა ესე ადარნასე ქ˜სა ყ˜ოდ,
ქარ. ჟ˜დ, მოკუდა აშოტ ძმა მისი ქ˜სა ყ˜პე, ქარ. რ˜ე და ამათ არა
დაუტევეს ძენი, ხოლო დავით იქმნა მეფედ და კურადპალატად. ეს
დავით მეფე მოკლა ნასრ, ბიძის ძემან თჳსმან, ვითარცა აღვს-
წერეთ.

ხოლო დავით მეფემან დაუტევა ძე ერთი ადარნასე, რომელი
მეფე იქმნა. მოკუდა ძე დავით მეფისა ადარნასე მეფე და დაუტევა
ამან ძენი: სუმბატ, აშოტ, დავით და ბაგრატ. მოკუდა ძე ადარნასე
მეფისა დავით, რომელი მეფედ იქმნა ქ˜სა შ˜ლზ. ქარ. რ˜ნზ. მოკუ-
და აშოტ ძმა მისი, რომელსა მოსცა კეისარმან კურადპალატობა ქ˜სა

შ˜ნდ. ქარ. რ˜ოდ, და ამათ არა დაუტევნეს ძენი. ხოლო ბაგრატს,
ძმასა მათსა, მოსცა კეისარმან მაგისტროსობა და კურადპალატობა.

არამედ ეს ბაგრატ შემდგომად ძეთა თჳსთა მონაზონ ჰყვეს და
მოკუდა შემონოზნებული ქ˜სა შ˜მე, ქარ. რ˜ჲე. და დაუტევა ამან ძე
ადარნასე. ამ ადარნასეს მოსცა კეისარმან მაგისტროსობა და მოკუ-
და ესე ადარნასე მაგისტროსი ქ˜სა შ˜ოა. ქარ. რ˜პა, და დაუტევა
ამან ძენი ბაგრატ, და დავით ერისთავთ-ერისთავი. მოკუდა ესე
ბაგრატ ქ˜სა შ˜ოთ, ქარ. რ˜პვ, და ამათ არა დაუტევნეს ძენი. ხო-
ლო ძე მეფისა ადარნასესი სუმბატ მეფე იქმნა, ამას სუმბატს მოსცა
კეისარმან კურადპალატობა, ვითარცა აღვსწერეთ. მოკუდა ესე და
დაუტევა ამან ძენი ბაგრატ რეგუენი და ადარნასე. მოკუდა ესე ადარ-
ნასე, ძე სუმბატისა, ქ˜სა შ˜პგ, ქარ. ს˜გ და დაუტევა ამან ძე დავით.

და ამან დავით დაიპყრა ტაო, ბასიანი, თორთომი, სომხითი და
ადგილთა კლარჯეთს, შავშეთს, ჯავახეთს ეპყრნეს ციხენი და ქუე-
ყანანი. ამასვე მოსცა კეისარმან კურადპალატობა. ესე დავით იყო
ღუთისმოყუარე და სიკეთით აღმატებული. ამან დავით იშვილა ბაგ-

რატ, ძის ბაგრატ რეგუენისა, მეფეთ-მეფისა გურგენის ძე, ვითარცა აღვსწერეთ. მოკუდა ესე მეფე დავით კურადპალატი ქ~სა, ჩ~ა. ქარ. ს~კა, და არა დაუტევა ამან ძე, თჳნიერ ბაგრატ ნაშვილებისა თჳსისა.

ხოლო ბაგრატ რეგუენი იქმნა მეფედ და კურადპალატად და მოკუდა ეს ბაგრატ, ვითარცა აღვსწერეთ, და დაუტევა ამან ძენი გურგენი და სუმბატ. მოკუდა ესე სუმბატ ქ~სა შ~ჟბ, ქარ. ს~იბ, და არა დაუტევა ამან ძე. ხოლო გურგენ შეირთო ასული გიორგი აფხაზთა მეფისა ცოლად გურანდუხტ. ამ გურანდუხტისაგან შვა ძე ბაგრატ და ეს ბაგრატი იშვილა მეფემან დავით კურადპალატმან. ესევე ბაგრატ გამეფდა პირველად ქართლს, მერმე აფხაზეთს. ხოლო გურგენ, მამა ბაგრატისა, შემდგომად მამისა თჳსისა გამეფდა. არამედ ვინა-

1-29 სტრ., 700
ჲთგან ძე თჳსი უჯდა მეფედ, ამისთჳს ამას გურგენს უწოდეს მეფეთ-მეფედ.

მოკუდა ესე გურგენ მეფეთ-მეფე, ვითარცა აღვსწერეთ, და დაიპყრა ბაგრატ ძემან გურგენისამან ნაქონები მამა-პაპათა თჳსთა. არამედ ამ მეფის ბაგრატისამდე რაოდენნი მეფენი, კურადპალატნი, ერისთავთ-ერისთავნი და ერისთავნი ბაგრატიონნი აღვწერენით და რომელთამე სახელნი წარმოვაჩინეთ, სადაცა მეფობდნენ და სხუანი რომელნიმე იყვნენ ტაოს, კლარჯეთს, ისპირს, შავშეთს, არტანს. ხოლო მეფეთა ქართველთა ბაგრატიონთა ეპყრათ მარადის ზემო ქართლი, რომელ არს სამცხე, და ამისთჳს ისახელებოდნენ მეფედ ქართველთა უმეტესად. და კუალად წილნი მათნი ამათ ადგილებთავე შინა ეპყრათ და ჟამად ქართლი, ვითარცა აღვსწერეთ. არამედ ამის ბაგრატის ჟამამდე რომელნიმე გარდაცვალებულ იყვნენ და რომელნიმე ამის ჟამსა შინა გარდაიცვალნენ ყოველნი წინჴსენებულნი, თჳნიერ გურგენისა და სუმბატისა. ხოლო ესენი შეიპყრა მეფემან ბაგრატ და პატიმარ-ჰყო თმოგუს ციხესა შინა. და ძენი ამათნი წარვიდნენ კოსტანტინეპოლეს, და ბაგრატ მეფემან დაიპყრა ყოველი ესე ქუეყანა და შეაერთა კუალად ქართლსავე, ვითარცა აფხაზეთი და ჰერკახნი, და ჰყო ყოველნი ერთ სამეფოდ თჳს მეფობასა შინა, და იყო ყოველი ესე ივერია ერთ სამეფოდ, ერთისა მეფისა ქუეშე მორჩილება-მონებასა, ვიდრე ლაშას გიორგის ძის მეფის დავითისამდე წელი ს~ჲდ.

ხოლო ამან დავით მეფემან შეიპყრა რა სარგის ჯაყელი და განატევებინა სარგის ყეენმან დავითს მეფესა, მაშინ მოვიდა სარგის სამცხეს, განდგა დავით მეფისაგან ქ~სა ჩ~სჲჱ, ქარ. უ~პჱ. ამან სარ-

გის ჯაყელმან დაიპყრა სამცხე და მორჩილებდა ყეენსა. არამედ დავით მეფესავე ეპყრა ჯავახეთი, კოლა, არტანი და კლარჯეთი და შემდგომად მისა ძესა მისსა დიმიტრი მეფესა, ვითარცა მოვიდნენ კურთხევასა მისსა ჯავახნი, ტაოელნი, შავშნი და კლარჯნი და არა

1-25 სტრ., 701
სარგის ჯაყელი. გარნა მეფეთა ძღუნითა პატივს სცემდა და უსმენდა სარგის. კუალად ამანვე დიმიტრი მეფემან წარავლინა ძე თჳსი მცირე გიორგი ციხესა შინა იშხანს და შემდგომად დიმიტრისა, ვითარცა წერილ არს, ვახტანგ დაიპყრა კარნიფორიდამ დარუბანდამდე.

ხოლო მოკუდა სარგის ჯაყელი ქ˜სა ჩ˜სპე, ქარ. ფ˜ე. შემდგომად მისსა დაიპყრა ძემან სარგისისამან ბექამ სამცხე და მორჩილებდა ყეენსა. ესე ბექა უმეტესად განდიდნა სარგისისაგან. ამ ბექას მოუწოდა მეფემან დავით, ძემან დიმიტრისამან, კურთხევასა თჳსსა ზედა. არამედ არა წარვიდა ბექა. გარნა წარუვლინა ძე თჳსი სარგის ძღუნითა დიდითა და წარუვლინაცა საჭურჭლენი დიმიტრი მეფისა.

ხოლო შემდგომად განდგომისა დავით მეფისაგან თათართა ამან ბექამ დაიპყრა ტაშისკარს ზეითი სამცხე და კლარჯეთი სრულიად და განდიდნა ფრიად. რამეთუ შეირთო ასული ამისი ბერძენთა მეფემან და მან მოსცა ბექას ტრაპიზონს აქათი ჭანეთითურთ. არამედ ბექა უსმენდაცა დავით მეფესა და მორჩილებდა ყეენსა, ვითარცა აღვსწერეთ. შემდგომად მოკუდა ბექა ყოვლითა სიკეთითა აღმატებული ქ˜სა ჩ˜ტვ, ქარ. ფ˜კვ. და დაიპყრეს ძეთა ბექასათა ყოველნი ნაქონებნი ქუეყანანი მამისა თჳსისა.

ხოლო შემდგომად დაჯდა რა მეფედ ბრწყინვალე გიორგი, ამას გიორგის მისცა ყეენმან ძენი ბექასნი და დაიპყრა ბრწყინვალე მეფემან გიორგი მორჩილებასა შინა თჳსსა ძენი ბექასნი და სრულიად სამცხე-კლარჯეთი. არამედ აქამომდე სარგისის განდგომიდამ გარდაჴდნენ წელნი ნ˜. და შემდგომად ვიდრე ო˜Ე მეფის გიორგისამდე იყო ყოველი სამცხე და კლარჯეთი და ძენი ბექასნი და ძის ძენი

1-29 სტრ., 702
მისნი ყოველნივე მორჩილებასა და ერთმეფობასა შინა ქართველთა მეფობასა შინა, ვითარცა აღვსწერეთ.

ესრეთ რამეთუ მოკუდა სარგის ჯაყელი, ძე ბექასი, ქ˜სა ჩ˜ტლდ. ქარ. კ˜ბ და დასუა ბრწყინვალემან მეფემან გიორგიმ ყუარყუარე ძე სარგისისა, მოკუდა ესე ყვარყვარე ქ˜სა ჩ˜ტჲა, ქარ. მ˜თ, დასუა ძე

ყუარყუარესი დიდმან მეფემან ბაგრატ ბექა, მოკუდა ესე ბექა ქ˜სა ჩ˜ტჟა, ქარ. ო˜თ, და დასუა იოვანე, ძე ბექასი, დიდის ბაგრატის ძემან გიორგიმ. მოკუდა ესე იოვანე ქ˜სა ჩ˜უმდ, ქარ. რ˜ლბ და დასუა აღბუღა, ძე იოვანესი, მეფემან ვახტანგ. მოკუდა ესე აღბუღა ქ˜სა ჩ˜უნდა, ქარ. რ˜ლთ და დასუა ო˜ზ მეფემან გიორგიმ ყუარყუარე ბიძა აღბუღასი. ხოლო აქამომდე იყვნენ ერთმეფობისა მორჩილებასა შინა ქართველთა მეფეთასა წელნი რ˜მე, და ესრეთ დასხმიდიან და შესცვლიდიან მეფენი ვითარცა აღვსწერეთ.

წარმოჩენა ბაგრატიონთ ნათესაობისათჳს

ხოლო უკეთუ ვისმე უცხოდ აღგიჩნდესთ ცხოვრებისაგან რომელი ჩუენ აქა ბაგრატიონთა ნათესავ-ჩამომავლობანი აღვსწერეთ, ამისთჳს გვაქუს ჩუენცა მისვე ცხორებისაგან აღმოჩენით მოწმობანი და ვიმოწმებთ ესრეთ. რამეთუ პირველად წერილ არს ცხორებასა შინა, რამეთუ გურამ იყო დისწულისაგან მირდატ გორგასლანის ძისა, და თუმცა ეს გურამ, რომელი გამეფდა, შჳდთა ძმათთაგანი იყო, არღარა ასულის წული იქნების ვახტანგ გორგასლანისა, ვინაჲთგან სოლომონს ფილოსტიმესა შინა არა ესუა ვახტანგ მეფის ასული ცოლად და არცა შჳდნი იგი ძმანი, ძენი სოლომონისნი, იყვნენ ასულის წულნი ვახტანგ მეფისანი. რამეთუ გურამის მეფობამდე ვახტანგ მეფიდამ გარდაჴდენ წელნი ო˜ვ, რამეთუ ვახტანგ მეფე გარდაიცვალა ქ˜სა უ˜ჟთ. ხოლო გურამ გამეფდა ქ˜სა ფ˜ოე და მოკუდა მეფე გურამ ქ˜სა ქ˜. ამ რიცხჳთ იქმნებოდა გურამ ოდეს გამეფდა რ˜ა წლისა და ესე ურწმუნებელი არს.

გარნა კუალად წერილ არს კურადპალატობა მეფის გურამისა.

1-31 სტრ., 703
ჰსცან, რამეთუ არა იგი შჳდთა ძმათაგანი იყო კურადპალატი, არამედ ესე გამეფებული გურამ.

კუალად წერილ არს ცხოვრებასა შინა, რამეთუ არჩილ მეფემან მისცა გურამ კურადპალატის ძმის ძის ძეს ასული მირ მეფისა. ესეც სცან, რამეთუ შჳდთა ძმათაგანსა გურამს არა ესუა მამის ძმა, არცა მამის ძმის ძე, ვინაჲთგან შჳდნი ძმანი მოვიდნენ და არა ბიძა ძმისწულნი. და უკეთუ სტეფანოზის ძის გურამ კურადპალატისას იტყჳს ცხორება, არა ესუა გურამის ძესა დემეტრეს, მთავრის სტეფანოზის ძმასა, ძე, ვინაჲთგან სნეულ იყო და უცოლო. არამედ იტყჳს, რომელი გამეფდა მისას ბაგრატის ძესა, რომელსა ჰყვა მამის ძმა, ვითარცა წარმოვაჩინეთ.

კუალად იტყჳს ცხორება ბაგრატიონობასა ამათსა, რამეთუ ესე გურამ არა მის ბაგრატისაგან იყო, რომელიცა შეიყვანა რაქაელ დედოფალმან სიძედ, არამედ გურამისაგან, ძმისა მისისა, რომელი მოვიდა ქართლs. და ამისგან ჯერ იყო გურამიანობა და არა ბაგრატიონობა. და კუალად ამითიც საცნობელ არს, რამეთუ რომელნი გავიდნენ კახეთს და კამბეჩოვანს არა აჳსენებს ცხორება მათ ბაგრატიონად. გარნა არს ამ ბაგრატისაგან, ვითარცა აღვსწერეთ. ხოლო ვინაჲთგან უწოდა ძმისა თჳსისა სახელი ძესა თჳსსა გურამ, ამისთჳს მუნცა აღწერს მის-მიერსა ბაგრატიონობასა.

კუალად მეხუთე ესეცა წერილ არს. რამეთუ დავით აღმაშენებელი იყო მესამეოცდაათვრამეტე ნათესავი დავით წინასწარმეტყუელისაგან, და უკეთუ ესრეთ არა იყო, ვითარცა აღვსწერეთ, გურამ, ბაგრატ და გურამ მოაკლდების ორი ნათესავი დავით წინასწარმეტყუელიდამ აღმაშენებელისამდე, და არღარა სწორე იქმნების თქმული. არის აღმოჩენისათჳს ჭეშმარიტ არს აღწერილი ჩუენი და არა სცბის. ხოლო ცხორებასა შინა მკითხველსა ჯერ უჩნს ესრეთ განრკუევით გულისჴმიერებით წარკითხვა.

ა~. ყუარყუარე, დ~ წელი მთავრა

ხოლო მოკუდა რა ათაბაგი აღბუღა, ამან დაუტევა ძე თჳსი ყუარყუარე. არამედ ბიძამან აღბუღასამან ყუარყუარემ მოიბირნა მეს-

ხნი და ვაზირნი გიორგი მეფისანი და იქმნა გიორგი მეფისაგან შეწევნითა ვაზირთათა ათაბაგად. გარნა იყო ესე ყუარყუარე ქედმაღალი, დიდებისმოყუარე, მჩურჩნელი და მეშფოთე, გარნა ახოვანი და შემმართებელი. ამან ყუარყუარემ იწყო მობირვად მესხთა და ქუეგამჭურეტელობა ფარულად გიორგი მეფისა; მერმე ეზრახა ერისთავთ-ერისთავსა იმერთასა ბაგრატს, რათა განდგეს იგი გიორგი მეფისაგან და ამაზედ მწე ეყოს ყუარყუარე ყოვლითა ძალითა თჳსითა, ვინაჲთგან ბაგრატსაცა ენება ამის ყოფად. მსმენელსა ბაგრატსა სთნდა ესე, განიხარა და განდგა და დაიპყრა იმერეთი.

მაშინ ამისმან მსმენელმან გიორგი მეფემან უბრძანა ყუარყუარეს (რამეთუ ჰგონებდა სარწმუნოდ თჳსად და არა მის-მიერობასა) შემოკრებად სპათა სამცხე-კლარჯეთისათა და მოსლვად ფერსათის მთიდამ იმერეთსა შინა. ხოლო ყუარყუარე შემკრებული სპითა წარვიდა ნელიად, რათა იხილოს მეფის გიორგისა და ბაგრატისა თუ რაჲ იქმნების, და აღვიდა მთასა ჩასლვად რა იმერეთს, ესმა ძლევა ბაგრატისაგან გიორგი მეფისა, უკმოიქცა და მოვიდა სამცხესვე.

ამისთჳს ამან ყუარყუარემანცა იწყო განდგომად მეფის გიორგისა-
გან და დამორჩილებად ერისთავთა ამ ქუეყნისათა სამცხე-კლარჯე-
თისათა.

ამისი მსმენელი მეფე გიორგი მოვიდა სპითა სამცხეს. მაშინ
ვერ წინააღუდგა ყუარყუარე ამ ქუეყნის ერისთავთ გამო და წარვი-
და იმერეთს წინაშე ბაგრატისა. ხოლო ბაგრატ შეიწყნარა შურითა
გიორგი მეფისათა და, შემდგომად თავრიჟ გილაქის მოსლვისა, მო-
ჰყვა ბაგრატ სპითა თჳსითა ყუარყუარეს და დაიპყრა კუალად ყუ-
არყუარემ სამცხე-კლარჯეთი ქ~სა ჩ~უჲგ, ქარ. რ~ნა. ხოლო ბაგრატ
უკუნიქცა იმერეთსავე. არამედ მოსცემდა ბაგრატ მარადის შეწევ-
ნასა ყუარყუარესა, რამეთუ ეშინოდა ყუარყუარეს ერისთავთაგან
ამა ქუეყნისათა, რათა არა მიერთნენ კუალად გიორგი მეფესავე.
ამისთჳს ეზრახა გურიელს კახაბერს და მისცა აჭარა, ჭანეთი, რათა
მწე ექმნას ერისთავთა ზედა ამის ქუეყანისათა. ესე განიხარა გური-
ელმან და მიიღო ქუეყანანი იგინი და, ვინაჲთგან ბაგრატცა მწე იყო
ყუარყუარესი ამის მიერ, მოვიდა გურიელი სპითა თჳსითა და ბრძო-

დენ ერისთავთა, რომელნი არა ერჩდენ ყუარყუარეს. მაშინ ვიეთ-
ნიმე მოსრნეს, ვიეთნიმე დაიმორჩილნეს და ვიეთნიმე ივლტოდნენ,
ვითარცა ზაზა ფანასკეტელი წარვიდა ქართლს წინაშე გიორგი მე-
ფისა და სხუანიცა.

ხოლო ყუარყუარემ დაიპყრნა ქუეყანანი და ციხენი სამცხე-
კლარჯეთისანი თჳსად და უწოდა სახელითა თჳსითა უმეტეს პირვე-
ლისა საათაბაგო. ესე აღუძნდა ფრიად გიორგი მეფესა, შეკრებული
სპითა მოვიდა და დადგა ტბასა ფანავარსა ზედა. ეზრახა ათაბაგსა
და მესხთა, რათა ჰყონ კუალად მორჩილება და არა განდგომილება
და შეერთდენ მასვე, და ამით გარდაიბირვიდა მესხთა მეფე ყუარ-
ყუარესაგან. ამის შიშისათჳს ყუარყუარე შემწითა თჳსითა დაესხა
მეფეს გიორგის უგრძნეულად, მაშინ იძლია სპანი მეფისანი და შეიპ-
ყრა ყუარყუარემ მეფე გიორგი ფანავარსა ზედა ქ~სა ჩ~უჲე, ქარ.
რ~ნგ, წარიყვანა და პატიმარ-ჰყო მეფე, და უმეტესად დაიპყრა ქუ-
ეყანანი ესენი სრულიად და განამტკიცა საათაბაგოდ. არამედ შემდ-
გომად მოკუდა ყუარყუარე ქ~სა ჩ~უჲვ, ქარ. რ~ნდ იანვარს.

ბ~. ბაადურ, თ~ წელი მთავრა

შემდგომად მისსა დაჯდა ძე ყუარყუარესი ათაბად ბაადურ.
ამან ბაადურ იხილა რა განძლიერება ბაგრატ იმერთა მეფისა და და-
იპყრა ხონთქარმან ტრაპიზონ-აზრუმი და ეკირთებოდენცა ოსმალ-

ნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთსა, ამის მიერ შეშინდა ბაადურ ათაბაგი: „უკეთუ განძლიერდეს ბაგრატ და ინებოს მანცა დაპყრობა
საათაბაგოსი, ვერღარა წინააღუდგეს ბაადურ ბაგრატს ოსმალთა უცალოების გამო და შეკრებისა ქუეყანათათა, და კუალად დაიმორჩილოს მის მეფობასა ქუეშე“. ამისთჳს ეზრახა ბაადურ გიორგი მეფესა, რათა არღარა მოიჴსენოს შური მამისა მისისა ყუარ-
ყუარესი და არცაღა მიუღოს მთავრობა იგი მისი, ამის პაემნითა გა-

1-30 სტრ., 706
ნუტეოს მეფე და მორჩილ ექმნას ბაადურ მტერსა ზედა მოლაშკრედ და მივიდნენ და დაიპყრას მეფობა ქართლისა და ჰერ-კახთა. მსმენელმან გიორგი მეფემან უღონო ქმნილმან მისცა პირი მტკიცე ამათ ყოველთათჳს.

მაშინ შემოიკრიბნა ბაადურ ათაბაგმან სპანი, შთავიდა გიორგი მეფე ბაადურითურთ და დაიპყრა ქართლი და ჰერ-კახნი. ხოლო ბაადურ უკმოიქცა სამცხესვე. ამისნი მხილველნი მესხნი განუტევებდნენ მეფესა თჳსსა და დაემორჩილებოდნენ ათაბაგსა, რამეთუ მისცემდა მთავართა კერძოთა თჳსთა ადგილებთა სახასოთა მეფისათა და მონასტერ-ეკლესიათა და მოიმტკიცებდა სარწმუნოდ თჳსად ათაბაგი.

ხოლო შემდგომად მოკუდა რა მეფე გიორგი და დაჯდა მის წილ ძე მისი კოსტანტინე, ამან მიუწოდა ათაბაგს ბაადურს კურთხევასა ზედა თჳსსა. გარნა ათაბაგმან არა ინება წარსლვად, არამედ ეპისკოპოსნი იტყოდნენ: „არა ძალ გვიძს, რათა არა მივიდეთ, რამეთუ ვართ კურთხევასა ქუეშე კათალიკოზისასა“. ამისთჳს მისცა ნება ათაბაგმანცა და წარვიდნენ, და მათთანა ვიეთნიმე მესხნიცა მტკურის აღმოსავლეთისანი. ხოლო ესე აღუძნდა ბაადურ ათაბაგსა და იწყო შემცირებად ეპისკოპოსთა და მიხმად მამულთა, და განადიდებდა და უფროსად პატივს უყოფდა მთავართა ეპისკოპოსთაგან, არამედ ჯავახეთი და მტკურის აღმოსავლეთი რომელიმე ეპყრა კოსტანტინე მეფესა და ოდესმე მწე ექმნებოდაცა ბაადურ ათაბაგი კოსტანტინე მეფესა ფიცისათჳს გიორგი მეფისა და თჳსად განიმაგრებდა სამცხეს. შემდგომად მოკუდა ვითარებასა ამას შინა ბაადურ ათაბაგი წლისა კ˜ა, ქ˜სა ჩ˜უოე, ქარ. რ˜ჲგ.

გ˜. მანუჩარ, ი˜ბ წელი მთავრა

შემდგომად ბაადურისა დაჯდა ათაბაგი მანუჩარ, ძე ყუარყუარესივე და ძმა ბაადურისა. ამან მანუჩარ სრულიად არღარა ინება

სათნო და მწეობა კოსტანტინე მეფისა და შლილობასა შინა იმერთა
თანა და მოსლვასა უზუნასან ყეენისასა მიუხუნა ამან მანუჩარ კოს-

1-29 სტრ., 707
ტანტინე მეფესა მტკურის აღმოსავლეთი და დაიპყრა თჳსად. ხო-
ლო შემდგომად რა დაიპყრა კოსტანტინე მეფემან იმერეთი, შეიკ-
რიბნა სპანი, მოჰყვა დადიანიცა და ქართლიდამ მოუჴდა ჯავახეთს
ქ˜სა ჩ˜უპა, ქარ. რ˜ჲთ. მაშინ მანუჩარ ვერ წინააღუდგა. არამედ გა-
ნამაგრნა ციხენი და სიმაგრენი საათაბაგოსანი. ხოლო მეფემან კოს-
ტანტინემ მიუხუნა კუალად მტკურის აღმოსავლეთისანი სრულიად
და უკუნიქცა ქართლსავე. შემდგომად იხილა შფოთება იმერთა კოს-
ტანტინე მეფესა ზედა მანუჩარ ათაბაგმან, შეიკრიბნა სპანი და წა-
რუხუნა კოსტანტინე მეფესა მტკურის აღმოსავლეთი კუალად. ამი-
სი მსმენელი მეფე კოსტანტინე მოსწრაფებით მოვიდა სპითა. გარ-
ნა მანუჩარ კუალად არა ინება ბრძოლა მეფისა. არამედ ყუარყუა-
რემ, ბიძის ძის ძემან მანუჩარისამან, სთხოვა, რათა იგი ეწყოს მე-
ფესა, და მიეგება ესე ყუარყუარე ნებითა მანუჩარისათა მეფესა სპი-
თა თჳსითა, ეწყო ძლიერად და იძლია მეფე კოსტანტინე ყუარყუა-
რესაგან ქ˜სა ჩ˜უპჳ, ქარ. რ˜ოა. და მოვიდა გამარჯუებული ყუარ-
ყუარე. მაშინ მეფე კოსტანტინე ეზრახა მანუჩარს ერთობა-მორჩი-
ლებასა. არამედ მანუჩარ ყუარყუარეს გამო არა ინება.

ხოლო წელსა ქ˜სა, ჩ˜უპვ, ქარ. რ˜ოდ მოვიდა იაყუბ ყეენი, გა-
მოვლო აბოცი და მოადგა ახალქალაქს და აოჴრებდა გარემოთა ქუე-
ყანათა მოწყუედითა და ტყუე-ყოფითა. ამას მანუჩარ ვერ წინა-
აღუდგა და ვერცა რასმე ავნებდა სპათა მისთა. გარნა მცდელბდა
მაგრებასა ციხე ქალაქისასა. არამედ ყეენმან მცირეს ხანსა შინა შე-
მუსრა ახალქალაქი და გამოიყვანნა მუნით მესხნი წარჩინებულნი და
ტყუენი მრავალნი მუნ მყოფნი სრულიად. მერმე მოწუა ქალაქი და
მუნიდამ მოადგა ახალციხეს. აღიღო იგიცა და უყო ეგრეთვე მასცა.
შემდგომად მოადგა აწყუერსა და შეამჭირვა ფრიად. მაშინ მოქალა-
ქეთა ვერა-რაჲსა შემწისა მპოველთა ითხოვეს ზავი ყეენისაგან, რა-
თა არა ტყუე ჰყვნას და არც შემუსროს ეკლესია, მისცენ ქალაქი
ყეენსა.

1-29 სტრ., 708
ამისთჳს ყეენმან მისცა პირი მტკიცე, ვინაჲთგან მჴსინვარებდა
ჰაერი და მისცეს მოქალაქეთა აწყუერი ციხით სეკდემბერს კ˜ე. არა-
მედ არა მოვიდნენ სპანი ყეენისანი მოწყუედილნი ქართლის სომხი-
თიდამ, განრისხნა ყეენი და არღარა აღუსრულა პირი მესხთა, ტყუე-
ჰყვნა აწყუერისანი სრულიად და აწყურის ღუთისმშობელი. მერმე
კუალად მოაოჴრა ქუეყანა ესე და დაუტევა ეკლესია აწყუერისა უვ-

ნებელად, უკუნიქცა და წარვიდა. ხოლო მანუჩარ ათაბაგსა აღუძნდა დატყუევება აწყუერისა ღუთისმშობელისა, წარავლინა ვეცხლი დიდ-ძალი და დაიჴსნა და დაასუენა აწყუერსავე. არამედ შეიმჭირვებდა მოოჴრებისათჳს ქუეყნისა და შიშობდა კოსტანტინე მეფისაგან შურისგებისათჳს და ამაგრებდა ციხე-სიმაგრეთა. არამედ შემდგომად მოკუდა მანუჩარ ათაბაგი ქ˜სა, ჩ˜უპზ, ქარ. რ˜ოე.

დ˜. ყუარყუარე, ი˜გ წელი მთავრა

და დაჯდა შემდგომად მანუჩარისა ათაბაგად ძე აღბუღა ათაბა-გისა ყუარყუარე წლისა ნ˜თ. ამან დაიპყრა სრულიად საათაბაგო, რა-მეთუ იყო მშჯდობის-მოყუარე, გარნა მჴნე, ახოვანი და შემმრათე-ბელი. ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜უჟ, ქარ. რ˜ოჱ, ეზრახა ამას მეფე კოს-ტანტინე, რათა შეერთდნენ, ანუ მისცენ შეწევნა თათართა ზედა. არამედ არა ინება ყუარყუარემ.

შემდგომად ამისა მოკუდა დედისიმედი ქ˜სა ჩ˜უჟა, ქარ. რ˜ოთ, დეკემბერს ი˜ჱ.

ხოლო შემდგომად წარსლვისა თათართასა ქართლიდამ იხილა კუალად განძლიერება მეფისა კოსტანტინესი ყუარყუარემ, ეზრახა და დაეზავა და ჰყო მშჯდობა მისთანა.

შემდგომად კუალად ამავ მეფის კოსტანტინეს ჟამსა შინა იყო ვინმე ვაჭარი მესხი შაქს ყიდვად აბრეშუმისად. არამედ შეექმნათ ლალვა და შფოთი მუნებურსა მედუქნესა და მესხსა მას, მრე-ექმნა შაქელი და გუემა მესხი იგი. მაშინ მესხმან აქადა სიმჴნე და ძალი ათაბაგისა და დასთხოვა მუქარ. ამისთჳს გარნისხნა შაქელი და უწ-

1-30 სტრ., 709
ყალოდ ჰგუემა მესხსა, მიუხუნა ქონებანი და განაძო მეტყუელმან: „არ მიმიბას ყური სამსჭულითა დუქანსა ჩემსა და დამიცეს წიხლი დარაბასა ამას ჩემსა ათაბაგმან შენმან ამისთჳს“. ხოლო უღონო ქმნილი და მტირალი მესხი იგი მოვიდა წინაშე ათაბაგისა და მოუთ-ხრა ყოველი ყოფილი. მსმენელმან ათაბაგმან დაიდუმა ჯერეთ. მერ-მე შემოიკრიბნა სპანი, აღმოარჩინა მათ შორის ფ˜ჭაბუკნი და და-უდგინნა მათ თავად მოხუცებულნი, გამოცდილნი ბრძოლათა შინა, და შესხნა სრულიად იგინი ურას კჳცთა ზედა, წარვიდა და განვლო მათით დბანისჴევი, განვიდა მტკუარს და მივიდა შაქს უცნობელად, და უყო ყოველნიცე თქმულნი ვაჭრისა შაქელსა მას ვაჭარსა სრუ-ლიად და მისცა მესხსა ქონება თჳსი, გარნა სხუა არა რაჲ ავნო ქუე-ყანათა და მოქალაქეთა, მოიქცა, შემოვლო ყარაია, გამოვლო მუხ-

რანი, და რა მოვიდა შიდა ქართლს, სცნა ესე ციცემ ციციშვილმან, აცნობა შიდაქართველთა, შემოკრბნენ და მოეწივნენ ათაბაგს, ვითარცა მდევარნი. მხილველმან ათაბაგმან მიუვლინა მეტყუელმან: „რამეთუ არა რაჲ მივნიეს ესეოდენთა ქუეყანათა, ვიდრე ქათმისამდე. არამედ უმეტეს განვადიდე სახელი ქართველთა, ვინაჲთგან უმტერე მტერსა. ამისთჳს ჯერ არს თქუენდაცა სიხარული, რამეთუ ვარ მკჳდრი და მონათესავე თქუენი, აწ მიტევეთ, რათა წარვიდა მშჳდობით“. მსმენელთა ამისთა ქართველთა მოევლინათ მროველ-ეპისკოპოსი და მოეთხრათ: „ანუ მოვედ და მორჩილ ექმენ მეფესა ჩუენსა, ვინაჲთგან ხარ მკჳდრი, ანუ შეგიპყრობთ, რამეთუ ჴელთა შინა ჩუენთა ხარ“. ამას შეპყრობასა ათაბაგი უარ-უთქმიდა და ცდასა ამისსა ცუდსა და ეტყოდა მშჳდობასავე.

მოუგო მროველმან: „არა უწყი, რამეთუ ძალი ჴნავს აღმართსა?“. ამისთჳს მიაქცივა ათაბაგმან მროველი ბრძოლისა პირსა ზედა, მაშინვე მოეტევნენ ქართველნი, და აქით ეკუეთნენ მესხნი არადეთის გორასა ზედა(რომელსა მიერ ჟამითგან ეწოდა ცეცხლის ჯუარი ფიცხელ-ძლიერისა ბრძოლოსათჳს), და იქმნა ბრძოლა სასტიკი, რამეთუ არა დაშთნენ მესხნი, რომელი არა დაიკოდა, ანუ არა დაჰ-

კოდა, და თჳთ ათაბაგმან მოჰკუეთა მკლავი ჴელნავიანად. კუალად ჰკრა შუბი შალიკაშვილმან მაჩაბელსა და გარდააჭრუნა ცხენიდამ და შესძახა: „აწყურისა ღუთისმშობელმან, თუმცა ურას კჳცს არა მჯდარ ვიყავ, გამეთხარამცა მუნით კერძ“. მაშინ მაჩაბელმან მჩოქარემან მოუჴრა ჴრმალი და წარუკუეთა კისერი ცხენისა მისისა და დაასო ჴრმალი უნაგირისა ტახტასა მეტყუელმან: სპარსმან წმიდამან გიორგიმ, არათუმცა ყოფილ ვიყავ ჩამოვარდნილი შუამცა განმეკუეთე (არამედ იქმნენ სხუანიცა მრავალნი საჴსოვარნი, გარნა სიგრძისათჳს დავიდუმეთ)“.

ხოლო იძლივნენ ქართველნი და შეიპყრეს მროველი, და დაუწყეს თრევად მეტყუელთა: „უკეთუ ჴნავს ძალი აღმართსა, ნებამ დაფარცხოს თავდაღმართი“. ვინაჲთგან არა ჰყო მღუდელთმთავარმან მშჳდობა, მიაგეს ესრეთ. არამედ ათაბაგი მოვიდა გამარჯუებული სამცხეს და შემდგომად ამისა მთავრობდა მშჳდობით და სიყუარულითა და ერთობითა მეფეთა თანა. ხოლო მოკუდა ყუარყუარე ათაბაგი წლისა პ˜ბ, ქ˜სა ჩ˜ფ, ქარ. რ˜პჱ, იანვარსა ა˜.

ე˜. ქაიხოსრო ბ˜, ა˜ წელი მთავრა

შემდგომად მისსა დაჯდა ათაბაგად ძე ყუარყუარესი ქაიხოსრო.

ამან ქაიხოსრომ იწყო მეგობრად გარემოსთა მისთა მეფეთა და დაიპყრა საათაბაგო და განაგებდა მორჩილებასა შინა თჳსსა. არამედ ჟამსა ამისსა იწყეს კირთება აზრუმ-ტრაპიზონის ფაშათა საათაბაგოსი და ჭანეთისა, და ამშჳდებდა ქაიხოსრო ათაბაგი მორჩილებისა პირსა ზედა, და სძღნობდა მარადის. გარნა მოკუდა ქაიხოსრო ათაბაგი წლისა ნ˜გ, მაისს ვ˜, ქ˜სა ჩ˜ფბ, ქარ. რ˜ჟ.

ვ˜. მზეჭაბუკი დიდი, ი˜დ წელი მთავრა

ამის ქაიხოსროს შემდგომად დაჯდა ძე ამისი ათაბაგად დიდი მზეჭაბუკ. ესე მზეჭაბუკ დაეზავა მეფესა კოსტანტინეს და პატივ-

სცემდა და უსმენდა. არამედ გურიელს კნინღა თუ მიუღეს ოსმალთა ჭანეთი. ხოლო ესე მზეჭაბუკ დაეზავა ოსმალთა მორჩილებისა პირსა ზედა. ამით მიუხუნა გურიელსა ბრძოლითა აჭარა და ჭანეთი და დაიპყრა თჳთ. ხოლო შემდგომად წელსა ქ˜სა ჩ˜ფიბ, ქარ. ს˜კ წარმოავლინა სულტან სულეიმან სარასკარი, რომელ არს თავი სპათა ანუ სპასალარი, სპითა დიდითა და ძლიერითა დაპყრობად გიორგიისად. ესენი მოვიდნენ და მოადგნენ საათაბაგოს. მაშინ მზეჭაბუკ განამაგრნა ციხენი და სიმაგრენი და დახიზნნა ხიზანნი და თჳთ განზრახჳთა მესხთათა ეზრახა სარასკარსა და მივიდა წინაშე მისსა. ხოლო სარასკარმან პატივით შეიწყნარა და ითხოვა მზეჭაბუკისაგან საზრდელი და ყოლაუზობა იმერეთსა ზედა. ამან მზეჭაბუკ აღუსრულნა ყოველნი და წარუძღუა იმერეთს. ჩავიდნენ და ჰყვეს რა იგი აღვსწერეთ, და კუალად უკმოქცეულთა გამოვლეს სამცხე-საათაბაგო უვნოდ ოსმალთა და წარვიდნენ. ამით დაეზავა ესე მზეჭაბუკ ოსმალთა და აღუთქუა მორჩილება და მსახურება. მერმე კუალად დაიშენნა ხიზანნი და აღაშენა საათაბგო და მართვიდა კეთილად. ესე მეგობრობდა დავით მეფესა ქართველთასა. არამედ ამას დიდს მზეჭაბუკს ამისთჳს უწოდდენ, რამეთუ დღეთა თჳსთა არა აღაფრინა ქათამიცა უსამრთლოდ საათაბაგოსა შინა და სცხორებდა თჳსთა მეზობლებთა თანა სიყვარულითა და მეგობრობითა. კუალად უკმოიხუნა საათაბაგონისა ყოველნივე და დაიპყრა თჳთვე. კუალად მძლავრთა ოსმალთა დაეწყო და ჰყო ქუეყანა მათგან უვნოდ. შემდგომად მოკუდა დიდი მზეჭაბუკ ქ˜სა ჩ˜ფივ, ქარ. ს˜დ.

ზ˜. ყუარყუარე დ˜, ი˜ წელი მთავრა

დაჯდა შემდგომად მზეჭაბუკისა ძე ამისი ყუარყუარე ათაბაგად. ესე ყუარყუარე დაემეგობრა უმეტეს ყოველთა დავითს ქართველთა მეფესა. ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფკ, ქარ. ს˜Ჩ მოვიდა სპა ხონთქრისა

და მოადგა საათაბაგოს. არამედ ყუარყუარე ათაბაგმან განამაგრნა ციხე-სიმაგრენი საათაბაგოსანი და დახიზნა ხიზანნი. მაშინ ოსმალთა რა ვერღარა რაჲ ჰპოვეს სამცხეს, გარდავლეს სამცხეს და შთა-

1-27 სტრ., 712
ვიდნენ თრიალეთს და მერმე ქართლს, და მუნ მოსწყჳდნა დავით მეფემან და ლტოლვილთა გამოვლეს კუალად საათაბაგო. ამათ ყუარყუარე ათაბაგმან არა რაჲ ავნო, არამედ მისცნა საზრდელნი და განუტევნა მშჳდობით. ამისა შემდგომად ამან ყუარყუარემ მისცა შეწევნა სპითა მეფესა დავითს შაჰისმაილსა ზედა. ხოლო მოადგა რა შაჰისმაილ ტფილისს, ამან წარმოავლინა სპასპეტი თჳსი დევალ მარბიელობით და მოსრნა და მოსტყუევნნა სამცხე. არამედ ყუარყუარემ ვერა რაჲ ავნო, რამეთუ მსწრაფლადვე უკუნიქცნენ.

ამანვე ყუარყუარემ ოდეს მოვიდა მაწუეველი ხონთქრისა მეფეთა თანა დაპყრობად იერუსალიმისად, აღირჩია ქართველთა მეფე გიორგი და მივიდა მისთანა სპითა თჳსითა, მიჰყვა მას იერუსალიმს და მოიქცა მისთანავე გამარჯუებული. არამედ შემდგომად ამისა მოიჯსენა შური იმერთა მეფემან ბაგრატ მზეჭაბულ ათაბაგისა, რაჟამს მიჰყვა ოსმლათა იმერეთსა ზედა და კუალად ყუარყუარესიცა, რამეთუ მიჰყვა გიორგი მეფესა იერუსალიმს და არა ბაგრატს. და კუალადცა იხილა შეავება სამცხისა შაჰისმაილისაგან და მოოჯრება, და რამეთუ მოკუდაცა გიორგი მეფე ქართველთა. ამისთჳს ეზრახა დადიან-გურიელსა და აღუთქუა გურიელსა რომელიცა ეპყრა პირველ სამცხისანი.

ესე განიხარა გურიელმან და მიერთო ბაგრატს. ხოლო დადიანი უნებლიეთად შიშისათჳს მოერთო იგიცა ბაგრატს. ამათ ყოველთა შეკრებულთა გარდმოვლეს მთა ფერსათისა სპითა სრულიად იმერეთისათა, რათა დაიპყრას სამცხე ბაგრატ და შურ-აგოს ათაბაგსა ყუარყუარეს. მცნობმან ყუარყუარემ შემოიკრიბნა სრულიად სპანი საათაბაგოსანი, და ეწყუენენ ურთიერთს მურჯახეთს და იქმნაცა ბრძოლა ძლიერი, ქ˜სა ჩ˜ფლე, ქარ. ს˜კგ, და მოსწყდნენ ორგნითვე ურიცხუნი. არამედ შემდგომად იძლია ათაბაგი ყუარყუარე, შეიპყრეს

1-24 სტრ., 713
ყუარყუარე და მიართუეს ბაგრატს. ხოლო ბაგრატ პატიმარ-ჰყო ყუარყუარე იმერეთს და მოკუდა პატიმრობასა შინა ყუარყუარე ათაბაგი.

ბაგრატ მეფემან იმერთამან დაიპყრა სამცხე

და ბაგრატ მეფემან დაიპყრა სამცხე თჳსად და იყოფებოდა სამ-
ცხეს. მაშინ მისცნა გურიელს აღთქმულნი აჭარა და ჭანეთი. წარვი-
და გურიელი და დაიპყრნა მან იგინი. არამედ შალიკაშვილმან ოთარ-
მან წარიყვანა ქაიხოსრო ძე ყუარყუარე ათაბაგისა სტამბოლს და
აუწყა ყოველი ყოფილი ბაგრატისაგან ხონთქარსა, რამეთუ სამსა-
ხურისა მისისათჳს უყო ბაგრატ ესე ყოველი, ოდეს ჩაუძღუა იმე-
რეთს ათაბაგი სპათა მისთა. ამისთჳს განრისხნა სულტანი სულეიმან
და წარმოატანა მუსტაფა ფაშა სპითა დიდითა და ზარბაზნებითა
დიდ-დიდითა და რა მოვიდნენ ესენი, ეწყო ამათ ბაგრატ-გურიელით,
აოტნა და მოსრნა ოსმალნი ქ˜სა ჩ˜ფმა, ქარ. ს˜კთ. ხოლო ქაიხოს-
რო და ოთარი ლტოლვილნი წარვიდნენ კუალად სტამბოლს. ამისი
მსმენელი სულტანი განრისხნა მოწყუედისათჳ სპათა თჳსთა და
წარმოავლინა აზრუმისა და დიარბექირის ფაშანი სპითა სუაზს აქა-
თითა და ქაიხოსრო და ოთარი მათთანავე.

ხოლო ესე რა სცნა ბაგრატ მეფემან, მოიყვანა მეფე ლუარსაბ
და ეკუეთა ბასიანს სოხოისტასა ზედა ოსმალთა ქ˜სა ჩ˜ფმე, ქარ.
ს˜ლგ. მაშინ იძლივნენ საქართველოსანი მუხთლობითა მესხთათა,
რამეთუ არღარა მწე-ეყვნენ მცილებლობისათჳს მეწინაობისა და
წარვიდნენ ლტოლვილნი მეფენი თჳს-თჳსად. ხოლო ოსმალნი შე-
მოვიდნენ და დაიპყრეს ციხენი საათაბაგოსანი განზრახჳთა ოთარ

1-23 სტრ., 714
შალიკაშვილისათა, რამეთუ ეტყოდა ოსმალთა: „უკეთუ დაიპყრათ
ციხენი, გერჩდენ ქუეყანა ესე საუკუნოდ“, ვინაჲთგან ეშინოდა ბაგ-
რატისაგან კუალად დაპყრობისა, რამეთუ ბაგრატს ჰყვა მწედ მეფე ქართლისაცა.

ჱ˜. ქა[ი]ხოსრო, კ˜ჱ წელი მთავრა

მაშინ მოსცეს ოსმალთა ათაბაგობა ქაიხოსროს და თჳთ წარ-
ვიდნენ. არამედ ამცნეს ათაბაგსა მტერობა ყიზილბაშთა. ხოლო ქა-
იხოსრო ათაბაგი ესიძა ვახტანგს, მუხრანის ბატონსა, და მოიყვანა
დაჲ მისი დედისიმედი და იქორწინა მისთანა. გარნა ოსმალთა წესი-
სა მათისაებრ იწყეს მძლავრებად ქუეყანათა. შეუძნდა ესე ქაიხოსრო
ათაბაგსა და ოთარს და განმზრახველთა თავისუფლებისაჳს თჳსთა
მიუწერეს შასთამაზს ყეენსა, რამეთუ „არს ქუეყანა ჩუენი სპარსთა,
აწ ვინაჲთგან მოგეცა ძლევა, მოვედ, ჩუენ მოვსრნეთ ოსმალნი ძა-
ლითა შენითა და დაიპყარ ქუეყანა ესე“. მსმენელი შასთამაზ წარ-
მოემართა. ხოლო ესე ყოველი მიესმა სულტან სულეიმანს ხონთ-
ქარსა და მოვიდა იგიცა მოსრვად სამცხისად.

ამისნი მხილველნი ქაიხოსრო და ოთარი შეშინდნენ და იჴმიეს

ხუანჯი და მიუწერეს შასთამაზს ვედრებითა დიდითა, რათა მოუწეროს ამათ წიგნი რისხჳსა. ესე უსმინა შასთამაზ, ვინაჲთგან არა ენება ბრძოლა ხონთქრისა, რამეთუ არა ძალ-ედვა მაშინ წინააღდგომა მისი და მოუწერა ოთარს: „ვინაჲთგან მიეც ქუეყანა ჩემი ოსმალთა, ამისთჳს მოვიდე და მოვსრა ქუეყანა შენი და შენცა ვერვინ განგარინოს ჴელთაგან ჩემთა, მოგკუეთო თავი და მივსცე მძორი შენი ძაღლთა“.

1-25 სტრ., 715
ხოლო ოთარმან წიგნი ესე მსწრაფლად წარუვლინა სულტანს მეტყუელმან: „მოგეც ქუეყანა ციხეებითურთ ფს დაგემორჩილენით ყოველნი. ამისთჳს ამის მცნობელი ყეენი მოსრულ არს მტერად ჩუენდა და აწ თქუენცა გნებავსთ მოწყუედა ჩუენი, რომელნი ველოდით მოწყალებასა. აჰა წიგნი შასთამაზისა, უკეთუ ვართ რისამე შემცოდენი“.

ამისი მხილველი ხონთქარი განკჳრდა, მოსცა ათაბაგსა შეწევნა და თჳთ წარვიდა და დაშთა ქუეყანა უვნოდ, ვინაჲთგან შასთამაზცა უკუნიქცა სპარსეთად. ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფმვ, ქარ. ს˜ლდ კუალად მოვიდა ბაგრატ იმერთა მეფე. არამედ ვერღარა დაიპყრა სამცხე, გარნა წაასუენა აწყურის ღუთისმშობელი ციხეჯუარს და წარვიდა თჳთცა. მერმე ტყუე-ჰყო ლევან დადიანი. მაშინ შეუჩინა ქაიხოსრო ათაბაგმან ჩხეიძე ხოფილანდრე. ამან გამოაპარა ლევან დადიანი და მოიყვანა სამცხეს. ამისთჳს ეზრახა ათაბაგი გურიელსა, რათა მისცეს გზა ლევანს დადიანს. ხოლო გურიელმან სიხარულით წარიყვანა და ჰყვეს დადიანად ლევან ოდიშსავე.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფმზ, ქარ. ს˜ლე ლუარსაბ ქართველთა და ლევან კახთა მეფენი მტერობდნენ სპარსთა: ამას ზედა შეიზრახნენ ქართველნი. კახნი და მესხნი და დაუწყეს რბევა და ტყუენვა ადრაბაგანსა მრავალთა ჟამთა, ვინაჲთგან შასთამაზ იყო ქუემოთ უცალოდ. ამისა შემდგომად მოვიდა შასთამაზ, აღიღო ტფილისი ქ˜სა ჩ˜ფმჱ, ქარ. ს˜ლვ. და ტფილისიდამ ეზრახა ქაიხოსრო ათაბაგსა, რათა მისცეს ასული თჳსი ცოლად. არამედ ათაბაგს არა ესუა ასული, გარნა მისცა ასული ოთარ შალიკაშვილისა, რამეთუ ნათესავი ახლოს იყო ქაიხოროსი. ამით დაემზახლა შასთამაზ და მოსცა ნიჭი დიდძალი

1-26 სტრ., 716
ყეენმან ათაბაგსა და წარვიდა სპარსეთად, რამეთუ ჰყო ესე ყეენმან ძმაცჱთ საქართველოთა შინა.

მერმე ამის მიზეზისათჳს ეზრახა მეფე ლუარსაბ იჯუს, შერმა-

ზანს და ვახუშტი დიასამიძეს და ამოვან მესხთა. მოვიდა და მიუღო ათაბაგს ჯავახეთი და მტკურის აღმოსავლეთის კერძი და დაიპყრა თჳთ.

კუალად ესმა ხონთქარსა დამოყურება ქაიხოსრო ათაბაგისა და ყეენისა. ამისთჳს წარმოავლინა სპანი, მოვიდნენ და დაიპყრეს ქუეყანა ტაოსი სრულიად ქ˜სა, ჩ˜ფნ, ქარ. ს˜ლჱ. ამასცე წელსა უშვა დედისიმედმან ქაიხოსროს ძე მანუჩარ.

შემდგომად კუალად მოვიდნენ ოსმალნი და დაიპყრეს არტანუჯი არსიანამდე. კუალად დაიპყრეს ფარაკანი და სრულიად არტანი და აღაშენეს ფარაკანი ქ˜სა ჩ˜ფნბ, ქარ. ს˜მ. არამედ სამცხეს ვერ გარდმოვიდნენ ძალითა აწყურისა ღუთისმშობლისათა და ამაგრებდაცა ქაიხოსრო ყოველთა და აცნობა ესე ყოველნი ქმნულნი მეფისა ლუარსაბისაგან და ოსმალთაგან შასთამაზს და კუალად მომავალობა ისკანდარ აზრუმის ფაშისა.

მოსლვა შასთამაზისა

ამისი მსმენელი შასთამაზ ვინაჲთგან წარმოავლინებდა სპათა შირვანს ზედა, თჳთ წარმოემართა, მოვიდა, შემუსრა შაქი, შემოვლო ქართლი, მიეგება ქაიხოსრო ათაბაგი, ჩამოვიდა ყეენი, აღიღო ვარძია, თმოგჳ, ვანის ქუაბნი, ასპინძა, ვარენთა და სრულიად სამცხის ციხენი და აწყურის ღუთისმშობელი ტყუე-ჰყო. არამედ ციხენი მოსცნა ქაიხოსრო ათაბაგსა და კუალად ვედრებითავე მოსცა აწყურისა ღუთისმშობელიცა. ხოლო უღონოქმნილი იჯუ, შერმაზან, ვახუშტი და ამოვან მიენდნენ ყეენსა. მან შეიპყრნა იგინი,

1-25 სტრ., 717
მოკლა იჯუ და შერმაზან, და ვახუშტი და ამოვან წარიყვანნა ტყუედ განზრახჳვე ათაბაგისათა, რამეთუ ბრალეულ-ჰყოფდა მათ ქაიხოსრო. უკუნიქცა ყეენი, ჩავლო ერევანი და წარვიდა სპარსეთად ქ˜სა ჩ˜ფნგ, ქართულსა ს˜მა.

ამასვე ქორონიკონსა მოვიდა იმერთა მეფე გიორგი, მოარბივა და მოსწუა სამცხე, ტყუე-ჰყო აწყურისა ღუთისმშობელი, წაასუენა და წარვიდა. შემდგომად მოვიდა სულტანი სულეიმან, აღაშენა კარი, მოსრნა ურჩნი, უკუნიქცა და დადგა ბასიანს ქ˜სა ჩ˜ფნვ, ქარ. ს˜მდ. ამას მოუდგა შასთამაზ და დადგა არტანს. ხოლო სულტანი სულეიმან წარვიდა სტამბოლს.

ბ˜ მოსლვა შასთამაზისა

მაშინ შასთამაზ წარავლინა ძე თჳსი ისმაილ. ამან გარდამოდ-
გომითა აღიღო კარი, შემუსრნა, მოსწყჳდნა და მოსწუნა ცეცხლი-
თა. არამედ შასთამაზ შემუსრნა ციხენი სამცხისანი, მოსრნა და გა-
ნასხნა ოსმალნი, მოაოჴრნა ეკლესიანი, შემუსრნა ხატნი და ჯუარნი
და მოსცა ქუეყანა ქაიხოსრო ათაბაგსა. მერმე აქეთგან უკუნქცე-
ულმან ტყუე-ჰყო დედა ლუარსაბ მეფისა და წარვიდა თჳსად. მაშინ
მოვიდნენ ხიზნად აწყუერს ძმანი დედისიმედისანი: ვახტანგ, არჩილ
და აშოთან და განერნენ აქა.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფჲბ, ქარ. ს˜ნ ზავ-ჰყვეს იმერელთ მეფემან
გიორგიმ და ქაიხოსრო ათაბაგმან, მოსცა აწყუერის ღუთისმშობე-
ლი და მოასუენეს აწყუერსავე, შემდგომად წარავლინა ქაიხოსრო
ათაბაგმან ყუარყუარე ძე თჳსი ოდიშს. მოსცა ლევან დადიანმან
ასული თჳსი მარეხ და იქორწინა მუნვე ქ˜სა, ჩ˜ფჲდ, ქარ. ს˜ნბ, და
წელსა მეორესა მოიყვანა ყუარყუარემ ცოლი თჳსი სამცხეს.

1-26 სტრ., 718
ამავ წელსა უშვა მარეხ ყუარყუარეს ძე ქაიხოსრო. არამედ
უკეთუ ათაბაგობდა ქაიხოსრო, გარნა ტაო, შავშ-კლარჯნი ეპყრათ
ოსმალთა და ხედვიდა ქაიხოსრო მძლავრებასა და კირთებასა მათ-
გან ქეუყანათასა და ვერა რაჲსა შეწევნისა მპოველი ვნებად მათდა,
ამისთჳს წარვიდა წინაშე შასთამაზისა, რათა მოიცეს ძალი მისგან
ქ˜სა ჩ˜ფო, ქარ. ს˜ნჳ. მისრული ყეენმან პატივით შეიწყნარა და
იყოფედობა მუნ.

ხოლო აქა ძემან ქაიხოსროსმან მზეჭაბუკ იქორწინა გურიელის
გიორგის ასულს როდამსა ზედა ქ˜სა ჩ˜ფოა, ქარ. ს˜ნთ და მეორესა
წელსა მოკუდა მზეჭაბუკ. ხოლო ქაიხოსრო ათაბაგისათჳს აღეთქუა
შასთამაზს შეწევნა და ნიჭვიდა ნიჭთა დიდ-დიდთა. არამედ ყაზმინს
ყოფასა შინა მოკუდა ათაბაგი ქაიხოსრო ქ˜სა ჩ˜ფოგ, ქარ. ს˜ჲა, და
დაუტევა ძენი: ყუარყუარე, მანუჩარ და ბექა.

თ˜. ყუარყუარე ე˜, თ˜ წელი მთავრა

დაჯდა ყუარყუარე ათაბაგად ძე ქაიხოსროსი და ათაბაგობდა.
არამედ დედისიმედი, დედა მისი, იყო პირველ და აწცა და ვარაზა
ოთარ შალიკასშვილის ძე მოქმედნი ყოვლისავე. რამეთუ ესე დედის-
იმედი იყო ამაყი, გლისპი, მრისხანე და გაუსინჯავი; რამეთუ მოვი-
და რა შასთამაზ განრისხებული კახ-ბატონს ალექსანდრესა ზედა
განჯას, მაშინ ჰყო ხრიკი ოთარ ჩოლოყაშვილმან, ვითარცა აღვსწე-
რეთ. ამან დედისიმედმან არღარა გამოიკითხა გლისპობით ზაკუა

იგი, შეიპყრა ვარაზა და მოკლა იგი, რამეთუ ესე ვარაზა იყო ცო-
ლის ძმა შასთამაზისა.

გ~ მოსლვა შასთამაზისა

ესე სცნა შასთამაზ, დაუტევა კახეთი და მოუჴდა სამცხეს, მოს-
წყჳდნა და მოაოჴრნა, ტყუე-ჰყვნა. გარნა უმეტეს ოცხე. ხოლო

1-30 სტრ., 719
დედისიმედი და ძენი მისნი გარდაიხუეწნენ აჭარას და მუნ განერნეს,
ქ~სა ჩ~ფოდ, ქარ. ს~ჲბ. მაშინ ეზრახა შასთამაზ ხონთქარსა, მისცა
სამცხე-საათაბაგო, ყარსი და იმერეთი ხონთქარსა, თჳთ უკუნიქცა
და წარვიდა სპარსეთად. ხოლო დედისიმედი და ძენი მისნი მოვიდ-
ნენ და დაიპყრეს კუალად სამცხე.

არამედ ვარაზას ძემან კოკოლამ და ვიეთთამე მესხთა უწყეს
ზრახუა ხონთქარსა. ესე სცნა მანუჩარ და აუწყა ყუარყუარე ათა-
ბაგს, წარმოვიდნენ ორნივე ძმანი და მეფის ძე ერეკლე, ბიძის ძე
მათი, და მოვიდნენ მგელციხეს ქ~სა ჩ~ფოვ, ქარ. ს~ჲდ, მუნით ყეენ-
თან დესპანი წარავლინეს და აუწყეს უცოდველობა თჳსი და ითხო-
ვეს შეწევნა მისგან. თჳთ მოვიდნენ და დადგნენ სამწუფ-ღელესა ში-
ნა. ხოლო ესენი ოლდამის ქუაბიდამ შედანის შვილმან იასონ აცნო-
ბა ვარაზას ძეს კოკოლას და ძმასა მისსა და მის ბიძას გურგაქს და
ლაშკართა. ამათ ეახლნეს ელიაშვილი, დიასამიძე ავთანდილ და
შერმაზან. კუალად ამატაკის შვილი ამატაკ და აბულყაფარ და ძმის-
წული მათი როსტომ და ამატაკის ძე სეხნია შეკაზმულნი ფ~კაცით
ორთუალის ჴიდს ბოგირს გამოვიდნენ. მუნ ფანასკეტელი იობის ძე
ჯირასონ შეეყარათ. ამან ჯირასონ სცნა ბატონის თავდასხმად მოს-
ლვა მათი და წამსავე ამცნო ყანდურალის, და ყანდურალ აუწყა
ქათმის ყივილის ჟამს ბატონებს. ესენი შეიკაზმნენ და უკუდგნენ ოხე-
რათ-თავს სიმაგრესა შინა, ივნისის ლ~; მოვიდნენ იგინი, დაესხნეს
ჩუენს სადგურს და თუხარლის კარავი აიალაფეს, ჩუენ კაცი მოუკა-
ლით, ერთი დავიჭირეთ და წარვიდნენ იგინი.

არამედ ესე ეცნათ ჩუენთა და შემოგვეკრიბნენ. მერმე მივედით
თმოგუს, ქალაქი მოვარბივეთ, თმოგუს მოვიდა დედისმედიცა. ორ-
შაბათს ვანის ქუაბებს მოვადექით, ოთხშაბათს შესევით ავიღეთ, პა-
რასკევს რჩეულიანნი შევყარეთ, კჳრას ოლადის ქუაბნი ავიღეთ და
კარწახს მოვედით, ივლისს ი~თ. ერეკლე წლისა ი~ვ შევკაზმეთ, ფო-
სოს მიუჴედით, მოვსწყჳდეთ და ავიალაფეთ, მარბიელნი გაუძახეთ,
რღუევის ხიზანი და ალაფი ავიღევით. მოვედით პალაკაციოს, დავ-

1-26 სტრ., 720
დექით, თეთრ-ციხის გარემოსი დავწვით. იქიდამ ალბუტი და კამა-
როვანიც მოვსწვით, მერმე შასთან დესპანი წარვგზავნეთ. ამავ
თთუეს კ~ზ შალიკაშვილმან ზემბრის ძემ მათივე ნაქონები ოთის
ციხე წარგვიღო და ჩუენთა შინა ოსმალნი ჩამოვიდნენ, გამოუდე-
ქით, მგელ-ციხეს მოვედით და შერმაზანის წყაროზედ დავდექით.
იქიდამ აწყუერს მოვედით, აგვისტოს ლ~ა ვარენთის ციხეს უღალა-
ტეს, მგელციხიდამ ენკენისთვეს რ~ დიასამიძის დემეტრეს საღალა-
ტოდ აზნაურნი წარვგზავნეთ, ვეღარ უღალატეს. არამედ ი~ზ ჴელთ
დარჩნენ ციხისთავს შალიკაშვილს. მანუჩარ და ერეკლე მგელციხეს
იყვნენ და შალიკაშვილთ აზნაურთ ძეთა თავს დაესხნენ, აზნაურნი გარდეხუეწნენ,
ერეკლემ კაცი ჩამოაგდო, ცხენი იშოვნა, სამცხიდამ
მოვედით, შარაშიანთ წყაროზედ დავდექით, ფოსოს ჩაუდექით და
მოვსრენით. შასთან დესპანი წარვგზავნეთ, და სამცხესვე მოვედით
წელსა ქ~სა ჩ~ფოზ, ქარ. ს~ჲე.

მიგვიჴდა კოკოლა, ახჩის ქუაბნი წარგვიხუნა. მოვიდნენ მანუ-
ჩარ და ერეკლე, კუალად წარუხუნეს. ამისა შემდგომად კოკოლას
თჳსი ძმისწული გურგაქ უკუუდგა და მანუჩარს მოერთო ქაჯისცი-
ხითა და ფიცითა დიდითა. არამედ კუალად სტეხა ფიცი და უკუდგა
მანუჩარისაგან. მოვიდა მანუჩარ ზავისათჳს, მან არა ჰყო ზავი და
ფოსო დაუწვიათ. მერმე ლაშკრით ქაჯისციხეს მოვადექით. ბ~ოქ-
ტომბერს გურგაქ შემორიგდა და ველი მოსცა. გავბრუნდით, კოკო-
ლას კერძი ურთის ციხე წავართვით და დავარღვივეთ, სიმაგრე დავ-
სწვით და ეკლესია დაუტევეთ. კუალად ფოსო მოვარივეთ. შასთან
დესპანი წარვგზავნეთ და მგელციხეს მოვედით, ბოსტაღანის ძემ
მატამ ძმა თჳსი მოკლა, მას მანუჩარ თუალნი დასწუნა ყმითურთ.
შემდგომად მანუჩარ და ყუარყუარე ათაბაგი მგელციხეს მოვიდნენ
და დედისიმედიც მუნ მოვიდა. დეკემბერს ამბავი მოვიდა შასთამაზ

1-29 სტრ., 721
მომკუდარიყო ოკდომებრს კ~გ. ხოლო დეკემბერს ლ~ა ყუარყუარე
და მანუჩარ თმოგუს მოვიდნენ წელსა ქ~სა ჩ~ფოც, ქარ. ს~ჲვ, იან-
ვარს ე~. დედისიმედი და ბექა ყუელს მოადგნენ ზ~ იანვარს. ყუელი
და თმოგჳ აიღეს.

კოკოლამ ყარახან შეიპყრა თმოგჳს მოსაშუელებლად. არამედ
ვეღარ მოუსწრა, დედისიმედიც ყუელიდამ თმოგუს მოვიდა, იქიდამ
მანუჩარ ჯავახეთს წარვიდა, ფოსო და ჯავახეთი დაარბივა და გურ-
გაქს ქაჯისციხე გაუმაგრა საზრდელითა. მერმე ყუარყუარე და მა-
ნუჩარ ახალციხეს წარვიდნენ და დედისიმედი თმოგუს დადგა, თმოგჳ
საზრდელით გაამაგრა.

ყეენთან დესპანი წარგზავნეს, ციხეების აღება აცნობეს და ოს-
მალთა აშლა. ამისა შემდგომად დავარდა ოსმალთა მოსვლა, დედის-
იმედი სამცხეს მოვიდა, ყუარყუარე ავად იყო, ზღუდერს ჩავიდა, ვერ
წავიდა და მანუჩარ და ერეკლე, სპა-შეკრებულნი, ოსმალთა პირს
მიუდგნენ. ოსმალნი ფ~ჩ~ კაცნი ფებერვალს კ~ვ ყარახანს დაესხნენ,
ყარახან გაუდრკა, მიეწივნენ ოსმლანი, ი~ვ კაცი მოკლუს, მოიქც-
ნენ ოსმალნი და გორი დასწუეს და ზარიბატსა შინა დადგნენ. ყარა-
ხან ქ~კაცით თავს დაესხა, ამოსწყჳდნა ოსმალნი, გააქცივნა და
აღივსო იარაღ-ალაფითა. და ბატონი მანუჩარ აწყუერს ჩავიდა მაისს
ი~ბ, წარვიდა ერეკლე ქართლის დედოფლის თანა და დედოფალი
სურამს იდგა ფრიად უპოვარი და მას თანა იყოფებოდა ერეკლე წელ-
სა ქ~სა ჩ~ფოფ, ქარ. ს~ჲვ, აგჳსტოს ზ.

ლალა ფაშა მოვიდა

ლალა ფაშა სპითა მგელციხეს მოადგა, ვ~ დღე ბრძოლა, ვერ
აღიღო და ქაჯისციხიდამ სრულიად შემოეჴოცნენ ოსმალთა; თ~აგ-
ჳსტოს ძურმანს და წინწყალს შუა აზრუმ-ვანის ფაშანი მოვიდნენ,
სულტანი და ყარახან ბაზუქლუ და მუღალუს ბატონი იქით შეიყარ-
ნენ, მაჰმად სულტანი გორაზედ წარმოდგა სპითა თჳსითა და სხუანი
შემოაბა ოსმალთა. პირველ სძელს ყიზილბაშთა და მოსრვიდნენ

1-28 სტრ., 722
ოტებულთა ოსმალთა. არამედ შემდგომად აოტეს ოსმალთა და გარ-
დაიხუეწა მაჰმად სულტანი. ხოლო მანუჩარ ქაჯისციხისათჳს შე-
მოიკრიბნა სპანი, გარნა ვერცა ომსა და ვერცა ციხის აღებას მიუს-
წრა: მაშინ ამილახორის შვილი ქოია მიეგება ლალა ფაშას არტანს
და ორი ციხე შესძღუნა.

კუალად არფაქსად ვ~ ციხით მიერთო ფაშას, ხერთვისი და~ე
ციხე მისცა. ხოლო ფაშამ ხახულის სანჯახობა მისცა, აგჳსტოს
ი~ფ მანუჩარ თმოგჳს ციხე მისცა. არამედ ახალქალაქი უწინვე წა-
ართვეს, რომელსა შინა კოკოლას მეციხოვნენი იდგნენ. გაიარა ფა-
შამ, ტფილისსა ზედა წარვიდა, მანუჩარ თან წარიყვანა.

ხოლო შემდგომად მოქცევისა ლალა-ფაშამ მუხარნიდამ გამო-
უტევა მანუჩარ და სამცხეს ჯარმან იწყო მოდენა. ყვარყვარე წინ
მიეგება ლალა-ფაშას, მოვიდა ფაშა ლუკზედ დადგა, და მუნ დედის-
იმედმან ნახა. მერმე აიყარა ფაშა, ყუარყუარე თან წაიყვანა და აღარ
დააბრუნვა, ოლთისი სანჯახად მოსცა, მანუჩარ გამოუშვა, აწყუერს
მოვიდა. ამისა შემდგომად ლალაფაშას ლაშკარი და მირმარი წარ-

მოეგზავნა მანუჩარისათჳს, ქართლზედ გაესია, ქართლს ვეღარ ჩავიდნენ ესენი, სადგერი მოსწყჳდნეს, და ეკლესიის განძი წარჴდა. კუალად წარმოეგზავნა სანჯახი ფაშას, ჩაუჴდენ ქართსლ და მოარბივეს.

ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფოთ, ქარ. ს˜ჲზ მანუჩარ წარიყვანეს აზრუმს და იქიდამ ყუარყუარე და მანუჩარ აპრილს კ˜სტამბოლს წარიყვანეს. მაისს ი˜გ სამცხეს ჟამი მომსრველი გაჩნდა, ოკდომბერს მანუჩარ გამოეშვათ, ნოემბერს მოვიდა, ხონთქარს ფაშობა და სრულიად მამული მისი ებოძა. ყუარყუარე ბ˜თთუეს თორთომიდამ არ გაეშვათ. მერმე წელსა ქ˜სა ჩ˜ფპ, ქარ. ს˜ჲჱ, იანვარს ჱ˜ბექა ვალიდამ გადგა, ლალა-ფაშას წარსრულიყო და ბექა, ოლთისს დამდგარიყო. ყუარყუარესათჳს ხონთქარს ფალავანი ერკინა, ყუარყუა-

რეს დაეცა. ამისთჳს ქრისტეანობით გამოეშვა და თჳსი საბატონო მოეცა.

მარტს მოვიდა ყუარყუარე, ოკდომბერს ი˜ე ბექას მოვიდა, ორნივ ლორეს წარვიდნენ, ლორე მოარბივეს, გამარჯუებულნი მოვიდნენ. მეორეს წელს სინან ფაშა მოვიდა, ტფილისს წარვიდა სპითა, ორნივ თან წარიყვანა, ყუარყუარე თრიალეთიდამ იმერეთს გააბრუნა, რათა ემტერნენ იმერნი ქართლს, და მანუჩარ თან წარიყვანა. არამედ მოსრნა რა სჳმონ მეფემან სპანი სინან ფაშისანი, ეზრახნენ ყუარყუარე და მანუჩარ სჳმონ მეფესა და მივიდა მანუჩარ სჳმონ მეფისა თანა და მან მოსცა ასული თჳსი ელენე ცოლად და უქმნა ქორწილი ქ˜სა ჩ˜ფპბ, ქარ. ს˜ო. ხოლო ფებერვალსა შინა წარიყვანეს ბექა სტამბოლს. ამავე ჟამსა მოვიდა არჩილ დიდი ხნის უნახავი დედისიმედისა და დაჲ თჳსი ნახა და წარვიდა ოკდომბერსა შინა, და ნოემბერს მოკუდა ყუარყუარე ათაბაგი ქ˜სა ჩ˜ფპბ, ქარ. ს˜ო

ი˜. მანუჩარ, ლ˜ბ წელი მთავრა

დაჯდა ათაბაგად ძმა მისი მანუჩარ. ამავ წელს მანუჩარს აწყუერს მყოფს უღალატეს ოსმალთა. არამედ სძლო მანუჩარვე, ფაშები მძიმედ დაიკოდნენ, გააქცივნა და ალაფი და ქუეყანა დარჩა მანუჩარსავე უვნოდ. ხოლო წელსა ქ˜სა ჩ˜ფპდ, ქარ. ს˜ობ მოიყვანა მანუჩარ მარტს კ˜დ მეფის სჳმონის ასული ელენე სამცხეს. ამისა შემდგომად მოვიდა შააბაზ ქ˜სა ჩ˜ფპბ, ქარ. ს˜ოე, აღაშენა განჯა, მანუჩარს მოსცა ჩალაბუთი და დედისიმედს ხუთი დიდი სოფელი, ამასვე ქორონიკონს გორი და ახალციხეს აღაშენეს ოსმალთა. და აგჳსტოს ჩუენ მძევალნი გამოგვიხუნეს. ამისთჳს მოვიდა სჳმონ მეფე მე-

შუელად, აღარ აბრძოლეს, თემი მოარბია სჳმონ და წარვიდა.მერმე

1-28 სტრ., 724
მანუჩარც მოღალატეთ გამო ვეღარ დადგა და ახალდაბას ჩავიდა, დედისიმედი და ყუარყუარეს ძე ქაიხოსრო საკანაფის ციხეში დადგნენ, დიასამიძე ელია დემოთის ციხეს საავალიშვილოს შეუყენეს, წაართვა ამან ციხე და განძი მრავალი და საფაროც დაიჭირა. გოგორისშვილმან ბეჟან ჯუარის ციხე ფაშას მისცა და ჩუენც ახალდაბას ჩამოვედით. მერმე მარტს ი~ე, ქ~სა ჩ~ფპზ, ქარ. ს~ოვ მოვსრენით ჩუენნი მოღალატენი და ნიჯადითა მეფის სჳმონისათა დავიპყარით სრულიად სამცხე და ოსმალთაც დავეზავენით, და წარვავლინეთ კაცი წინაშე ხონთქრისა. მოეცა ხონთქარსაც ქრისტეანობით ათაბაგობა და დავიპყარით ყოველი. არამედ მძლავრობდნენ ოსმალნი და იყო ჭირი დიდი მათგან. არამედ დაითმენდა მანუჩარ. ხოლო შემდგომად მურად ფაშის მოსლვისა მოვიდა შააბაზ აღებად ერევნისად, ამან მანუჩარ მძლავრებისათჳს ოსმალთა წარუვლინა შააბაზს ძე თჳსი მანუჩარ, რათა მწე ეყოს, და მისცა ხერთვისი და რომელნიმე ციხენი და შეაყენა ყიზილბაშნი მწედ თჳსად, არამედ ოსმალთა ეტყოდა, რათა არა მოსწყჳდოს სამცხე შააბაზ, ვითარცა ჰყო შასთამაზ.

ხოლო შემდგომად უკუნიქცა რა შააბაზ, დაუტევა ძე ათაბაგისა მანუჩარ ერევანს ამირგუნახანისა თანა და ზრდიდა იგი. ხოლო წელსა ქ~სა ჩ~ქთ, ქარ. ს~ჟზ მოვიდა გურიელი მამია და დაიპყრა აჭარა. არამედ მანუჩარ ჯერეთ ვერ შურ-აგო, ვინაჲთგან მიიქცეოდნენ და დაუტევებდნენ წესსა და რიგთა და სჯულსა მესხნი მძლავრებითა ოსმალთათა. გარნა ეძჳნებოდა მანუჩარს და მცდელობდა ყოვლითა ძალჳთა თჳსითა, რათა მოაგოს კუალსავე პირველსა. არამედ შემდგომად ამისა მოკუდა მანუჩარ ათაბაგი ქ~სა ჩ~ქიდ, ქარ. ტ~ბ.

ი~ა. მანუჩარ, ი~ა წელი მთავრა

მაშინ მესხთა მოიყვანეს მანუჩარ ძე მისი ერევნიდამ ბრძანებითა ხონთქრისათა და დასუეს ათაბაგად. ამან მანუჩარ დაიპყრა ქო-

1-27 სტრ., 725
ნებანი მამისა თჳსისა. ამის ჟამსა მოვიდა ბატონი თეიმურაზ, დაასადგურა ოლთისს. არამედ გარდიცვლებოდენ წესნი და ვიეთნი ზოგნი პატივისათჳს ნებით, ზოგნი მძლავრობით ოსმალთათა გამაჰმადიანდებოდნენ და იქმნებოდიან უმორჩილონი ათაბაგისა. ხოლო მანუჩარ მძლავრობდა მათ და არა პატივსა უყოფდა. ამისთჳს შეასმინეს ოსმალთა და ამთ აზრუმის ფაშასა.

მაშინ აზრუმის ფაშამ წარმოავლინა სპანი ქ˜სა ჩ˜ქკდ, ქარ. ტ˜იბ, ვერ წინააღუდგა მანუჩარ და ჩამოვიდა ახალდაბას. მუნ ესმა ბრძოლად წარსლვა მარაბდის და მივიდა ქართველთა თანა ტ˜მჯედრითა და ჰყო მუნ რა იგი აღვწერეთ. და შემდგომად ლტოლვისა მოვიდა ახალდაბასვე, ეზრახა ოსმალთა, ზავ-ჰყო მათ თანა, მოვიდა და დაიპყრა სამცხე. არამედ იხილა შემდგომითი შემდგომად შფოთნი ესე-ვითარნი და არღარა რაი სხუა ღონე შეწევნისა. ამისთჳს წარვიდა სტამბოლს წინაშე ხონთქრისა. ამ ჟამთა მოვიდა მოურავი გიორგი და ასპინძას გაემარჯუა ყიზილბაშთა ზედა, მერმე შეუჴდა და აღიღო ციხე ხერთვისი და სხუანიცა, რომელნი ეპყრნეს ყიზილბაშთა, და მისცა ოსმალთა.

ხოლო მანუჩარ შეიწყნარა ხონთქარმან, მოსცა ქრისტეანობით ათაბაგობა და წარმოავლინა, არამედ მოგზაურს მომავალსა დახუდა ბიძა თჳსი ბექა, რომელი პირველ წარსრული იმყოფებოდა მუნ. ამან ბექამ ისტუმრა და კეთილად შეიტკბო მანუჩარ. გარნა განმზრახველმან ოსმალთა მძლავრებისამან და თჳნიერ მათსა სხჳსა ღონისა არღარა რისამე შემძლებელმან, შეურთო საჭმელსა მანუჩარისასა სამსალა და მოკლა მანუჩარ, და თჳთ მივიდა სტამბოლს, იქმნა მაჰმადიან, მოსცა ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე-საათაბაგოსი და უწოდეს საფარ ფაშა და პატივსცეს ორითა თუღითა. მერმე წარმოავლინეს და მოვიდა სამცხეს, ქ˜სა ჩ˜ქკე, ქარ. ტ˜იგ.

1-30 სტრ., 726
ი˜ბ. ბექა გ˜ ანუ საფარ ფაშა, ი˜ წელი იფაშა

და დაჯდა ესე საფარ ფაშა და დაიპყრა სრულიად საათაბაგო, რომელნიცა საზვარნი აღვწერეთ, და მართვიდა, ვითარცა წესი არს ოსმალთა. ამან აღწერა ქუეყანა და შეჰკუეთეს ხარკი ქრისტეანეთა სულზედ დრაჰკანი და ყოველსა მოსავალსა ზედა ხილითურთ შჳდისთავი, ცხვარზედ ბ˜შაური, ზროხაზედ აბაზი, ცხენსა და კამბეჩზედ ექვსი შაური. ხოლო საფაშოდ ხარკი დრაჰკნის მესამედი, რომელ არს ათი შაური წესისამებრ ოსმალთა. არამედ ეპისკოპოსნი და მონასტერნი წინათვე შლილობათა ამათ შინა ათაბაგებთათა და უმორჩილებითა ქართლის კათალიკოზისათა შემცირდებოდნენ ურწმუნოებითა მესხთათა, რამეთუ მიუხმიდენ მამულ-შეწირულეობათა, შემცირდებოდნენ და მოიშლებოდნენ მთავართაგან და შემდგომად უმეტეს დაპყრობისა ტაო-კლარჯეთისა და შავშეთ-არტანუჯისა ოსმალთაგან, არღარა მოიპოებოდა მუნ, ვინაჲთგან მიუხუნეს ოსმლათა სრულიად მამულ-შეწირელობანი და არღარავინ იყო მეტრფე მონოზონებისა და წარაქუნდათ მუნიდამ სიწმიდენი ხატთა,

ჯუარითა და ნაწილთა სამცხეს, ქართლს, იმერეთს. ეგრეთვე აწცა მხოლოდ სამცხეს უმეტესად იქმნებოდნენ, რამეთუ არღარა იყო ეპისკოპოსნი ანუ მონასტერნი, ვინაჲთგან რისხჳთა ღუთისათა გამაჰმადიანდებოდნენ ყოველნი წარჩინებულნი ამ ქუეყანისანი და დაიწყეს მიერით თათრობა, რამეთუ ჟამთა ამათ მოაკლდებოდა ქრისტეანობასა. არა იყო მორჩილება კათალიკოზისა ანუ ეპისკოპოსისა და სამღუდელოთა, არამედ ოჴრება ეკლესია-მონასტერთა და შენება ჯამთა. ხოლო მორწმუნენი ჰფარვიდნენ და მალვიდნენ ხატთა, ჯუართა და ნაწილთა წმიდათათა და სხუათა წარაქუნდათ პირველისაებრ იმერეთს და ქართლს და ივლტოდიანცა წარჩინებულნი, რომელნი სძულობდენ მაჰმადიანობასა, რამეთუ განაგებდა საფარ ფაშა ნებითა ოსმალთა ყოველსავე.

ამას საფარფაშას სთხოვა მოურავმან სპანი და მოვიდნენ ლტოლვილნი სპანი ამისნი, და მოურავიცა მოვიდა მისთანა. მერ-

1-22 სტრ., 727
მე წარვიდა სტამბოლს. ხოლო შემდგომად ესრეთის განგებისა მოკუდა საფარფაშა წელსა ქ˜სა ჩ˜ქლე, ქარ. ტ˜კგ. არამედ ამის ქუემოთნი არღარა იწოდებოდნენ ათაბაგად, თჳნიერ საქართველოსაგანთა, გარნა ახალციხის ფაშად. ხოლო ვინაჲთგან მოეცა ხონთქარსა ფარმანი მკჳდრობისა საფარფაშისათჳს, შემდგომად სიკუდილისა მამათა მათთასა წარვიდიან სტამბოლს და მისციან ქრთამი და მათ წარმოავლინიან ფაშად.

ი˜გ. უსუფ ფაშა, ი˜ა წელი ფაშა

და შემდგომად სიკუდილისა საფარ ფაშისა წარვიდა ძე მისი უსუფ სტამბოლს, მოსცეს ფაშობა და მოვიდა ახალციხეს. არამედ ესე უსუფ ფაშა იყო ფრიად მაჰმადიანი, მართვიდა საათაბაგოსა მორჩილებითა და ყოვლითა ნებითა ოსმალთათა და უმეტესად აზრუმის ფაშისათა და იყოფებოდა მშჳდობით. ამას უსუფს სთხვა მეფემან როსტომ ქართლისამან გზა, ამან მისცა და უმასპინძლებდა პატივით. გარნა ესე უსუფ ფაშა მოიძულვებდა ქრისტეანობასა და შესძინებდა მაჰმადიანობასა და აღმოიფხურებოდენცა წესნი და რიგნი ქრისტეანობისანი ყოველნივე და შეემატებოდნენ მაჰმადს, ვინაჲთგან განაგებდა და გარდავლიდა დღეთა თჳსთა ნებითა მათითა და რჯულითა. შემდგომად მოკუდა უსუფ ფაშა წელსა ქ˜სა ჩ˜ქმზ, ქარ. ტ˜ლე.

ი˜დ. როსტომ ფაშა, ი˜ბ წელი ფაშა

მაშინ წარვიდა როსტომ ძე მისი, ნაშობი მჴევლისა სტამბოლს.

ამას მოსცა ხონთქარმან ფაშობა. მოვიდა და დაჯდა ახალციხეს და

1-24 სტრ., 728
მართვიდა, ვითარცა მამა ამისი.გარნა თუმცა წარჩინებულნი მაჰ-
მადიანნი იყვნენ, არამედ ცოლნი მათნი და მჴევალნი იყვნენ ყო-
ველთა ქრისტეანენი. ხოლო ჟამსა როსტომ ფაშისასა მოუვლინა
ხონთქარმან ბრძანება, რათა იქმნენ ცოლნიცა მათნი, რომელნი
მაჰმადიან არიან, მაჰმადიანად. ესე უთხრეს ცოლსა როსტომ ფაში-
სასა. ხოლო მან არა ინება, არამედ აიძულებდენ ყოფად მაჰმადიანად
და ამისთვს დაითმინა მრავალნი ტანჯვანი. მერმე განივლტო, რა-
თა გარდაიგდოს თავი კლდესა ზედა. სცხნეს ესე, შეიპყრეს და არა
უტევეს. კუალად ინება მოშთობა თავისა თჳსისა და მცნობელთა
არცა ამას ზედა მიუშუეს. ხოლო შემდგომად სიყმილისა და მრავლი-
სა ქენჯნისა მოიპოვა ღონე, რამეთუ ჰგონა, ვითარცა თჳთ თავისი
ყოფნა ეგრეთცა სხუათაცა. და ამის მიზეზისათჳს იტყოდა: „უკეთუ
დაატევებინოთ ყოველთა წარჩინებულთა ცოლთა უწინარეს ჩემსა
ქრისტე, მერმე დაუტეო მეცა, უკეთუ არა არცა მე“. მაშინ შეუთ-
ქუეს რა წარჩინებულთა ცოლთა, მათ ყოველთა შიშისათჳს ტანჯვი-
სა და დაუტევეს ქრისტე და გამაჰმადიანდნენ ყოველნი სრულიად და
უღონო ქმნილი გამაჰმადიანდა იგიცა.

არამედ იქმნა რისხუა ღუთისა ცოდვათა ჩუენთათჳს, რამეთუ
აწ უმეტესადრე მოოჴრდებოდნენ ეკლესიანი დიდშუენიერნი და იქმ-
ნებოდნენ პირუტყუთა სადგურნი და ივლტოდიან კუალადცა, რომელ-
თა არა ინებეს მაჰმადიანობა ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კა-
ხეთს და წარაქუნდათ ხატნი და ჯუარნი და წმიდათა ნაწილნი, მო-
ისპოდნენ ეპისკოპოზნი, თუ სადმე იყო, და მონაზონნი და მწყემსნი.
გარნა თჳნიერ ადგილ-ადგილ იპოვებოდნენ მღუდელნი. და შეიქმნა

1-25 სტრ., 729
სრულიად მაჰმადიანობა წესითა და რჯულითა მათითა და აღშენ-
დებოდიან მეჩითნი. არამედ დაშთნენ გლეხნი და იგინიცა უმწყსელ-
ნი, ვითარცა პირუტყუნი.

კუალად ჟამსავე ამისსა განაწესეს სპანი და შეჰკუეთეს მამული-
ანთა გამოსაღებითა მათითავე ფაშას, ბეგს, ალაიბეგს, სანჯახს და
აღას; და რაოდენნიცა კაცნი დააწერეს, უწოდეს ჯრმალი და, სადაცა
უჴმდათ წარიყვანიან, არათუ ქრისტეანეთა, არამედ მაჰმადიანთა
მოლაშკრედ.

ხოლო მოვიდა ამ როსტომ ფაშისა თანა დადიანი ლიპარიტ
ლტოლვილი; ამან მისცა და აშუელნ სპანი. არამედ კუალადცა მო-

ვიდა ლტოლვილი; შემდგომად მოვიდა გურიელი ქაიხოსრო სტამბოლიდამ. ამან როსტომ ბრძანებითა ხონთქრისათა მისცა სპანი და ჰყო კუალად გურიელად ქაიხოსრო, რამეთუ აქუნდათ ამათ ბრძანება ყოველთა საქმეთა ზედა იმერეთისათა და მართვიდნენ ესენი. არამედ ძნელოვანთა აუწყებდნენ აზრუმის ფაშასა და მით განმართვიდნენ, შემდგომად მოკუდა როსტომ ფაშა წელსა ქ˜სა ჩ˜ქნთ, ქარ. ტ˜მზ.

ი˜ე. ასლან - ფაშა, კ˜ წელი ფაშა

ამისა შემდგომად წარვიდა ძე როსტომისა ასლან სტამბოლს, მოსცა ხონთქარმან ფაშობა, მოსრული ესე ახალციხეს მართვიდა საათაბაგოსა, ვითარცა წინთქმულნი. ესე ასლან-ფაშა ნებითა იმერთათა ჩავიდა იმერეთს, დასუა მეფედ ბაგრატვე უთუალო, შეიპყრა დარეჯან და ვახტანგ, წარმოიყვანა იგინი და შოებული მოვიდა ახალციხეს და დაასადგურნა იგინი ოლთისს. ხოლო რაჟამს დაიპყრა ვახტანგ მეფემან იმერეთი და დასუა არჩილ, არღარა რას მორ-

ჩილებდენ ასლანს. ამისთჳს შეასმინა ხონთქარსა და ბრძანებითა მისითა აღვიდა მთასა ზედა ფერსათს სპითა ქ˜სა ჩ˜ქჲგ, ქარ. ტ˜ნა.

არამედ იმერთა რა დასუეს ბაგრატვე, მოუძღუნეს ქრთამი დიდი, რათა უკუნიქცეს, ვინაჲთგან უზისთ მეფევე თჳსი. უკმოიქცა ასლან და აუწყა ესენი ხონთქარსა. ამანვე მისცა სეხნია ჩხეიძეს იენგიჩარნი და შეაყენნა ქუთათისს ციხესა შინა. შემდგომად რა განაძეს ბაგრატ იმერთა, ამას ასლან-ფაშას ევედრნენ ვახტანგ და დარეჯან დედოფალი, რათა ჰყოს იგინი მეფედ იმერთა და მოსცეს კ˜ჩ მარჩის წინდად ქეთევან, რამეთუ ჟამთა ამათ სრულიად მიქცეულ იყვნენ მესხნი წესთა და სჯულთა ოსმალთათა და იყვნენ ვეცხლის მოყუარენი პირისა და ფიცის მტეხელნი, მეძავ-მემრუშე-სოდომიანნი, ვითარცა წეს არიან ოსმალთა. მიიღო ქრთამი ასლან-ფაშად, ჩავიდა იმერეთს და ჰყო ესენი მეფედ, ვითარცა აღვსწერეთ.

შემდგომად კუალად ამანვე მისცა სეხნია ჩხეიძეს იენგიჩარნი და შეადგინნა ციხესა ქუთათისს. ამავ ასლან-ფაშისაგან მოითხოვა შავნაზ მეფემან ქეთევან დაწინდული დარეჯანისაგან ქ˜სა ჩ˜ქჲზ, ქარ. ტ˜ნე, და მოსცა ოთხმოცი ქესა და წარიყვანა ქეთევან.

შემდგომად ვედრებითა გურიელისათა შთავიდა იმერეთს ქ˜სა ჩ˜ქობ, ქარ. ტ˜ჲ, კუეთებული ბაგრატ შეიპყრეს და მოართუეს ასლანს.

მაშინ ბაგრატ მოსცა ძე თჳსი ალექსანდრე მძევლად ქრთამისა
წილ, დაუტევა იგივე მეფედ და მოვიდა სამცხეს.

შემდგომად ამასთანავე მოვიდა ძე შანაოზ მეფისა ლუარსაბ სა-
მეფოდ იმერთა, მოსცა ძღუენი ასლან-ფაშასა. არამედ სცნა, რამეთუ
აცთუნებს ასლან-ფასა და წარვიდა ქ˜სა ჩ˜ქოდ, ქარ. ტ˜ჲბ. ამის მე-
ორეს წელს მოვიდა ძე შანაოზ მეფისავე არჩილ დაპყრობად იმერთა

1-23 სტრ., 731
და პატივით შეიტკბო ასლან-ფაშამან. არამედ მოვიდა გურიელიცა
სამეფოდ იმერთავე. ესე აუწყა ასლან ხონთქარსა და მცდელობდა
არჩილისათჳს იმერეთსა, რამეთუ მოყურობდა ქეთევანისა გამო.
გარნა არა ინება ხონთქარმან არჩილ წინათქმულთათჳს შესმენისა და
უბრძანა შეპყრობა არჩილისა. ამან დასუა პატიმარსავით ახალციხეს
და გურიელი განუტევა გურიას. მერმე განზრახჳთა მესხთათა გამო-
პარვით გამოუტევა არჩილ. ხოლო ამა ჟამებთა შინა არღარა იყო
სახელნი თავადთა, მთავართა და აზნაურთა. არამედ უწოდდენ ფა-
შად, ბეგად, ალიბეგად, სანჯახად და აღად, რამეთუ ახალციხეს და
ოლთისს იყო ათაბაგი ახალციხის ფაშად წოდებული; კოლას ჴდა
ფაშას, შავშეთს, აჭარას ბეგნი და სხუათა ადგილებთა ალიბეგნი და
აღანი, გარნა მორჩილებასა და ლაშკრობასა ქუეშე ახალციხის ფა-
შისასა. შემდგომად მოვიდნენ ასლანისა თანა ბაგრატ და გურიელი,
ლტოლვილნი არჩილისაგან და აღუთქუეს ქრთამი დიდი. ამან აუწყა
ხონთქარსა. ხოლო განრისხებულმან ხონთქარმან წარმოავლინა აზ-
რუმის ფაშა სუაზს აქათითა სპითა. ესე მოვიდა და ჩამოუძღუა ას-
ლან-ფაშა იმერეთს და რა იგი აღვსწერეთ იქმნა. მაშინ კვაცხუთს
მდგომს აზრუმის ფაშას მოერთო წინგნი არჩილისა: „ვქმენ ყოველი,
რა იგი ვყავ ასლან ფაშისაგან, რამეთუ მიმიღო საგანძური დიდძალი
სახონთქროდ და მით მომცა იმერეთი და აწ რაი არს შეცოდება ჩე-
მი“. ესე მისწერა აზრუმის ფაშამ წინაშე ხონთქრისა და ხონთქარ-
მან ამისთჳს მოუწერა თავის მოკუეთა ასლან-ფაშას. მაშინ კვაც-
ხუთს მოჰკუეთა თავი ასლან-ფაშას, წელსა ჩ˜ქოზ, ქარ. ტ˜ჲე და წა-

1-21 სტრ., 732
რავლინა თავი სტამბოლს. ხოლო აზრუმის ფაშა და მესხნი მოვიდ-
ნენ სამცხეს. არამედ ძე ასლან-ფაშისა, მცნობი ამისი, წარვიდა სტამ-
ბოლს, მისცა ქრთამი დიდი; ამისთჳს მოსცეს ფაშობა და მოვიდა/ ახალციხეს.

ი˜ვ. უსუფ - ფაშა, ი˜ წელი ფაშა

დაჯდა ესე უსუფ-ფაშა წელსა ქ˜სა ჩ˜ქპ, ქარ. ტ˜ჲჱ და იწყო

განგება, ვითარცა წინათთა. არამედ ამ ჟამებთა უკეთუ ვინმე მოი-
ქონის ვეცხლი, წარვიდის სტამბოლს, მისცის ქრთამი
და იშოვნის მკჳდრად მამული და დაიპყრიან, ვითარცა ჰყო ფირია-
ღისშვილმან, რომელი განჰყიდა გურიელმან მღუდელი. მან მღუ-
დელმან მოიგო ვეცხლი მაჰმადიანობით, წარვიდა სტამბოლს, მისცა
ქრთამი; მოსცეს ჯავახეთი და უწოდეს ფაშად, ამან და ძეთა ამის-
თა დაიპყრეს ჯავახეთი და არიან დღედცა ფაშად. ამით იწყეს წარ-
ჩინებულთა მესხთა შემცირებად და ამაღლებად უგვანთა და უგუა-
როთა.

ამის მიერ უმეტეს მოოჯრდებოდნენ ეკლესიანი და აღშენდე-
ბოდნენ ჯამნი და დაიტევებოდა ზნენი ქართულნი თჳნიერ ენისა,
და განდიდნებოდა მათ შორის მაჰმად და ნეშტანი ხატთა და ჯუართა
შეიმუსრვოდა და იმყოფებოდა დედათა მათთა სამკაულად, რომელ-
თაგან იქმნებოდენცა სასწაულნი მრავალნი, გარნა არავინ მიუპ-
ყრობდა ყურთა. არამედ ესრეთთა ვერღარა შემუსრვიდენ, გარნა
განყიდდენ მთელსა, სხუათათჳს არღარა არს ჟამი აქა მოჴსენებად.

1-23 სტრ., 733
ხოლო ამ უსუფ-ფაშას მოსცა გიორგი მეფემან, ალექსანდრე,
ძე ბაგრატისა, და ამან მეფედ ჰყო იმერეთს ქ˜სა ჩ˜ქპგ, ქარ.ტ˜ოა,
და თჳთ მოვიდა ახალციხეს. ამანვე წარავლინა შავშეთის ბეგი და
ღალატით მოჰკუეთა ქაიხოსრო გურიელს თავი და გურიას დასუა
ძმა მისი გურიელად მამია ქ˜სა ჩ˜ქპე, ქარ. ტ˜ოგ. შემდგომად მოკუ-
და ესე უსუფ-ფაშა წელსა ჩ˜ქჟ, ქარ. ტ˜ოწ.

ი˜ზ. სალიმ ფაშა ი˜ა წელი ფაშა

მაშინ წარვიდა ძმა მისი სალიმ სტამბოლს, ამას მოსცეს ფაშო-
ბა ქრთამით, მოვიდა ახალციხეს და განაგებდა ეგრეთვე. ამის ჟამსა
შინა მოვიდა მეფე გიორგი. ამან ისტუმრა და პატივ-სცა. შემდგო-
მად ბრძანებითა ხონთქრისათა წარატანა მუსალიმი სპითა მეფე გი-
ორგის, ჩავიდნენ და ჰყვეს არჩილ მეფედ. მერმე კუალად მოვიდა გი-
ორგი მეფე დედაწულით, ამან დაასადგურა ოშორას. შემდგომად
ბრძანებითა ხონთქრისათა მოერტყა ოშორას სპითა სალიმ-ფაშა,
შეიპყრა გიორგი მეფე და პატიმარ-ჰყო ახალციხეს. არამედ მესხთა
გააპარეს გიორგი მეფე წელსა ქ˜სა ჩ˜ქჟა ქარ. ტ˜ოთ.

ამასვე წარმოუვლინა ნაზარ-ალიხან ალექსანდრე. ამან შეიკრიბ-
ნა სპანი ბრძანებითა ხონთქრისათა შთაიყვანა იმერეთს და ჰყო
ალექსანდრე მეფედ და განამაგრა უმეტესად ქუთათისი და შემუსრა
ეკლესია, და უკმოიქცა ახალციხესვე. შემდგომად ნებითავე ასლან-

ფაშისათა და ქრთამითა განაძეს არჩილ იმერთა და დასუეს გიორგი. ხოლო იყო ჭირი დიდი იენგიჩართაგან, ციხეთა შინა მყოფთა მესხთა ზედა. გარნა თუ მაჰმადიანი იყვნენ, არამედ ჰკლვიდიან კაცთა

1-24 სტრ., 734
და დედათა ძალყოფდიან, ეგერეთვე ყრმათაცა, და ართმიდიან მრავალთა უსამართლოდ. ამან სალიმ-ფაშამ წარავლინა ქრთამი დიდი სტამბოლს შეწევნითა მესხთათა და ითხოვა განყვანა იენგიჩართა და მუნ დადგინებად ყულთა. უსმინეს და დაადგინეს ყულნი და განთავისუფლდნენ ჭირისა მისგან.

ხოლო განაძეს იმერთა გიორგი და დასუეს არჩილ. ესე აღუძნდა ასლან-ფაშას, რამეთუ უნებლიედ მისსა ჰყვეს და აუწყა წინაშე ხონთქრისა. განრისხნა ხონთქარი და უბრძანა განძება მისი. მაშინ სალიმ-ფაშამ მოიყვანა ნაზარ-ალიხანიდამ სჯმონ, ძე ალექსანდრესი, ქ˜სა ჩ˜ქჟწ, ქარ. ტ˜პვ, შთაიყვანა იმერეთს და ჰყო მეფედ. შემდგომად ამანვე სალიმ-ფაშამ მისცა იგივე სჯმონ გურიელს მამიას, რათა ჰყოს მეფედ და ამასვე წელსა მოკუდა სალიმ-ფაშა წელსა ქ˜სა ჩ˜ღა, ქარ. ტ˜პთ.

ი˜წ, ისაყ ფაშა, დ˜ წელი ფაშა

ხოლო ძე უსუფ-ფაშისა წარვიდა სტამბოლს ისაყ, შესძღუნა ქრთამი დიდი, მისცეს ფაშობა და მოივდა ახალციხეს და მართვიდა თქმულთაებრ. ამან ისაყ-ფაშამ მოიყვანა გიორგი, ძე ალექსანდრესი, ნაზარ-ალიხანიდამ და ჰყვანდა თჯსთანა ყოფად იმერთა მეფედ. ხოლო ფაშანი ესენი, რომელნი მოვიჯსენეთ, უმეტეს ამისთჯს აშფოთებდიან იმერთა, რამეთუ უკეთუმცა არა ჰქონდათ იმერეთს ლაშკობანი, წარიყვანდნენ სადაცა უნებდათ ლაშკრად და ექმნებოდათ ჭირი დიდი სიშორე გზისა, და აქა ლაშკრობითა აღივსებოდიან ნიჭითა და ტყჯთა, ვინაჲთგან არღარა რაიდ სჩნდათ ოჯრება, ტყუევნა, კლვა ქრისტეანეთა მაჰმადიანობით. ხოლო ისაყ-ფაშას აღუძნდა

1-25 სტრ., 735
რა მორჩილება აბაშიძისა და განდიდება მისი, შეასმინა წინაშე ხონთქრისა.
ამისთჯს ხონთქარმან წარმოავლინა სარასკრად აზრუმის ფაშა სპითა დიდითა, და მოვიდა ქეჰა მისი ახალციხეს სპითა, და თჯთ სარასკარი მოვიდა გურიას, განვლო ჭოროხი ნავის ჯიდით, რამეთუ აქუნდა ბრძანება შჯდ წელ ყოფა იმერეთსა შინა და სრულიად მოოჯღება ციხეებითურთ. მაშინ ისაყ-ფაშამ და ქეჰამ გარდავლეს ფერსათი სპითა. არამედ კაკას ჯიდზედ შეეკრათ იმერთა სი-

მაგრე. უწყეს ამათ დიდ დიდთა თოფთა ცემა, ვერღარა დაუდგნენ იმერნი და შთავიდნენ ესენი იმერეთს და ჰყვეს რაჲ იგი აღვსწერეთ. ხოლო მოკუდა სულტან მუსტაფა და დაჯდა აჰმად. ამან უბრძანა სარასკარს უკუნქცევა იმერეთიდამ. მაშინ ამათ დაუტევეს მეფედ გიორგი ძე ალექსანდრესი და ზავ-ჰყვეს აბაშიძისა თანა, აღაშენეს თხმელის ციხე ბაღდადს, შეაყენნეს იენგიჩარნი და უკმოიქცნენ ქ~სა ჩ~ღგ, ქარ. ტ~ჟა. გარნა დახუდენ იმერნი მთასა ზედა და მოეწივნენ უკან. არამედ ესენი არღარა უკუბრუნდნენ ბრძანებისა და ზამთრისათჳს და მოსრნეს იმერთა მრავალნი და დაკოდეს ისაყ-ფაშა ჴელსა შინა და მოკლეს კოლის ფაშა და აღიღეს ალაფი მრავალი და მესხნი მოვიდნენ ახალციხეს. ხოლო ქეჰა წარვიდა აზრუმს სპითა, ვინაჲთგან გურიიდამ წარსრული სარასკარიცა მისრულ იყო აზრუმს.

ამისა შემდგომად ისაყ-ფაშას მართვიდა და განაგებდა საათაბაგოსა და ამას არა ეგდენ ერჩდა ფაშა კოლისა და ემჴნვებოდა ისაყს, რამეთუ იყო ხონთქრისაგან მორჩილებასა შინა მისსა. ამისთჳს წარავლინა კაცი და მოკლა იგი ღალატად. ხოლო მემკჳდრეთა მისთა უღაღადეს ხონთქარსა, რამეთუ თუმცა განსაგო იყო, არამედ ვერ

1-21 სტრ., 736
მოაკუდინებდა სარგოსათჳს თავისა თჳსისა, თუმცა ხონთქრისა შარავანდედობისა სვიანობისათჳს, ვერცა ფაშასა ანუ ბეგსა, ალიბეგსა, აღასა და მოლაშკრესა.
ამისთჳს განრისხნა ხონთქარი, წარმოავლინა მტარვალი, რათა მოჰკუეთონ ისაყ-ფაშას თავი. სცნა ესე ისაყ-ფაშამ, განივლტო, მივიდა სტამბოლს და დაიმალა მუნ წელსა რაოდენსამე. ხოლო ახალციხეს წარმოავლინეს ფაშად ასლან, ძე სალიმ ფაშისა, ბიძისა ისაყ-ფაშისა.

ი~თ. ასლან ფაშა, გ~ წელი ფაშა

წელსა ქ~სა, ჩ~ღე, ქარ. ტ~ჟგ მოვიდა ასლან ფაშა და დაჯდა ახალციხეს და განაგებდა წესსა ზედა მათთა, რამეთუ ამ ჟამებთა არღარავინ იყო ქრისტეანე თჳნიერ გლეხთა, არამედ იგინიცა მცირედ სამცხეს, თჳნიერ ჯავახეთისა, და უმცირესად შავშეთს, აჭარას და არტანს. გარნა ვაჭარნი რაოდენნიმე იყვნენ ყოველგან საათაბაგოსა შინა. არამედ იყო შენობა დაბნებთა და აგარათა, ვინაჲთგან ესეოდენთა ჟამთა იქმნა მშჳდობა ქუეყანათა ამათ შინა, აყრილნი ქართლიდამ და სომხითიდამ სახლდებოდიან აქა და უმეტესნი ჯავახეთს. კუალად უფროსად ტყუეთგან იმერთათა განმრავლდებოდნენ ფრიადად თათრობითა, ვინაჲთგან ხარკთაგან კიდე ვერა რაის ავ-

ნებდნენ გლეხთა. ხოლო შემდგომად განცხადდა ისაყ-ფაშა სტამ-
ბოლს, რამეთუ დაჯდა სხუა ვეზირ, მისცა ქრთამი დიდი და
მოსცეს ფაშობა ისაყ-ფაშასავე და ასლან-ფაშა წარვიდა სტამბოლს.

1-21 სტრ., 737
ი˜ჱ. ისაყ - ფაშა, ჱ˜წელი ფაშა

მოვიდა ისაყ-ფაშა წელსა ქ˜სა ჩ˜ღჱ, ქარ. ტ˜ ჟვ, და დაჯდა ახალ-
ციხეს. ამან დაამდაბლნა მიმდგომნი ასლან-ფაშიდანი მოხუეჭითა და
წართმითა თეთრთათა და უპატიოყოფითა და აღამაღლნა. თჳსნი
წელსა ქ˜სა ჩ˜ღიბ, ქარ. უ˜, მოვიდა გიორგი იმერთა მეფე, რათა
მწე-ეყოს. ხოლო ისაყ-ფაშამ აღუთქუა. არამედ შემდგომად ნებითა
ფაშისათა წარვიდა და დაიპყრა იმერეთი: კუალად წელსა ჩ˜ღიგ,
მოვიდა იგივე გიორგი. გარნა შემდგომად გურიელის სიკუდილისა
ნებითა ფაშისათანავე დაიპყრა იმერეთი ქ˜სა ჩ˜ღიგ, ქარ. უ˜ა

ი˜თ. ასლან -ფაშა , ბ˜ წელი ფაშა

ხოლო წელსა ჩ˜ღივ, ქარ. უ˜დ მისცეს კუალად ასლან-ფაშას
და მოვიდა ახალციხეს. ხოლო ისაყ-ფაშა წარვიდა სტამბოლსვე.
ესე ასლან ფაშა ქრთამითა და ვედრებითა ბეჟან დადიანისა და ზურაბ
აბაშიძისათა ჩავიდა იმერეთს სპითა და, იქმნა რა იგი, აღვწერეთ იმე-
რეთს. მერმე მოვიდა ახალციხეს. არამედ უყო ამანცა ეგრეთვე ისაყ-
ფაშის მიმდგომთა, ვითარცა მან ამისთა უქმნა.

ი˜ჱ. ისაყ - ფაშა, ი˜თ წელი ფაშა

შემდგომად წელსა ჩ˜ღიჱ, ქარ. უ˜ვ მოსცეს კუალად ისაყ-ფაშას
ახალციხეს ფაშობა, მოვიდა და დაჯდა. არამედ ასლან-ფაშა წარ-
ვიდა სტამბოლს, რამეთუ ვედრებითა და ქრთამითა ისაყ-ფაშისათა
მისცეს სხუა ფაშობა ასლან ფაშასა, რათა არღარა შემცილე ექმნას

1-26 სტრ., 738
ისაყ ფაშასა. შემდგომად ისაყ-ფაშისა თანა მოვიდა გიორგი იმერთა
მეფე სტამბოლიდამ, წელსა ჩ˜ღით, ქარ. უ˜ზ. ამან წარატანა მუსა-
ლიმი თჳსი სპითა, ჩავიდნენ იმერეთს და იქმნა ყოფილი იგინი, დაუ-
ტევეს გიორგი მუნ და წარმოვიდნენ მესხნი.

ხოლო შემდგომად გიორგი მეფის სიკუდილისა წარავლინა ისაყ-
ფაშამ შავშეთის ბეგი ვახტანგ მეფისა თანა და ითხოვა ძე გიორგისა
ალექსანდრე. მან წარმოუვლინა ნიჭითა და შემდგომად წელსა ჩ˜ღკა,
ქართ. უ˜თ ბრძანებითა ხონთქრისათა შთავიდა იმერეთს და იქმნა

აღწერილისაებრ. მერმე დასუა მეფედ ალექსანდრე, მოუდგინა ბეჟან დადიანი და თჳთ მოვიდა ახალციხეს. ხოლო წელსა ჩ˜ღკგ, ქარ. უ˜ია წარმოავლინა ხონთქარმან აზრუმის ფაშა სარასკარად სპითა დიდითა დაპყრობად ადრიბეჟანისად. ესე მოვიდა ყარსს და მიუწოდა ისაყ-ფაშას. შემდგომად შთავიდნენ ტფილისს და იქმნა ყოველი, ვითარცა აღვსწერეთ ქართლსა ზედა ყოფილნი. ხოლო ახალციხეს ჯდა მუსალიმი და განაგებდა ნებითა ისაყ-ფაშისათა. არამედ იქმნა ესე ისაყ-ფაშა შემდგომად იესეს სიკუდილისა მპყრობელი და განმგებელი ხონთქრისაგან სრულიადისა ძალითა ყოვლისა საქართველოსი, სახელით სამცხე-საათაბაგოსი, სრულიად იმერეთისა, ქართლისა, ლორე-ყაზახ-შამშადილისა და კახეთისა. არამედ ვინაჲთგან იყო ქართლი ჭირსა დიდსა, აღშენდა ჯავახეთი და სამცხე მუნიდამ ვინაჲთგან გარდმოშენდებოდნენ და განმდიდრდენცა ბეგნი, ალაიბეგნი, აღანი და ფაშანი ხუეჭითა მათითა. არამედ აქუნდაცა ჭირნი ჯავახ-სამცხელთა მოგზაურთა სპათაგან. შემდგომად გარდმოვლეს ქართლი ლეკთა და სტყუევნიდენ სამცხე-ჯავახეთსა, ვიდრე კოლამდე და მიაქუნდათ ნატყუენავნი უამრავნი. მრავალგზის ეწივნენ მესხნი და ეწყუნენ. არამედ იგინი მრე-ექმნებოდიან მარადის და მოსრ-

1-23 სტრ., 739
ვიდიან სპათა ანუ სადაცა ვის მოიჯელთიან და წარაქუნდათ ალაფი დიდძალი.
ხოლო შემდგომად მოადგა რა თამაზხან განჯას, უკუდგნენ ქართველნი ისაყ-ფაშისაგან, მისცეს ნება ყიზილბაშთა და უჴდებოდნენ ქართველნი სამცხეს და ჯავახეთს მარად დღე და სტუენვიდნენ. კუალად დღესა ერთსა მოუჴდნენ და წარიღეს ნატყუენავი. ამათ წარმოუდგა მუსალიმი, დაესხა დვირს, მოსრნა და მოსწყჳდნა ქართველნი, ტყუე-ყვნა მრავალნი, უკმოიხუნა ნატყუენავნი და მოვიდა გამარჯუებული. ხოლო სძლო რა თამაზხან ქოფრულსა, მაშინ რითა თჳსითა და დაჯდა ახალციხეს. შემდგომად ზავ-ჰყვეს რა ხონთქარმან და შანადირ, ამით იქმნა კუალად მეგობრობა ქართველთა და მესხთა შორის. არამედ ისაყ-ფაშას არღარა აქუნდა ვეზიროზა სამის თუღითა, გარნა იყო ორთუღიანი პირველისაებრ. ამ ისაყ-ფაშამ წარავლინა ძე თჳსი უსუფ-ფაშა სტამბოლს, შესძღუნა ქრთამი დიდი ვეზირსა, მოსცეს ახალციხეს ფაშობა უსუფ-ფაშას, წარმოვიდა და მოვიდა ახალციხეს.

კ˜. უსუფ ფაშა ზ˜ წელი ფაშა

წელსა ჩ˜ღლზ, ქარ. უ˜კე, დაჯდა უსუფ-ფაშა ძე ისაყისა. ხოლო ისაყ-ფაშა იყოფებოდა განსუენებით თჳსად და მართვიდა უსუფ-ფაშა, თჳნიერ დიდთა საქმეთაგან, და ამას ჰკითხვიდა მამასა თჳსსა.

ამან უსუფ-ფაშამ წარავლინა კაცი აჭარას საქმისა რისათჳსმე. ხო-
ლო მათ შეურაცხ-ჰყვეს კაცი იგი, განრისხნა უსუფ-ფაშა, წარავლი-
ნა მაჰმად-ბეგ სპითა. ესე დაესხა აჭარას და მოსწყჳდნა სულნი
ურიცხუნი უწყალოდ, აღიღო ალაფი მათი და მოვიდა უსუფ-ფაში-

1-23 სტრ., 740
სა თანა. მაშინ ნეშტნი აჭარელნი წარვიდნენ სტამბოლს და ევედრ-
ნენ ხონთქარსა. ამისთჳს წარიყვანეს უსუფ-ფაშა სტამბოლს. არა-
მედ ამანვე სძლო მათ, მისცა ქრთამი დიდი ვეზირსა, მან გამოუტევა
და მოვიდა ახალციხეს ფაშადვე. ხოლო ალექსანდრემ მეფემან იმერ-
თმან, შეიპყრა ვახუშტი აბაშიძე. მოვიდა ისაყ-ფაშისა ვედრებად
ანუკა მეფის ასული: ამან აღუთქუა განტევება მისი და წარუვლინა
მეფესა ალექსანდრეს ცხენი აღკაზმული და ქურქი და მიუტევა კ˜ქესა
ხუშტი. ხოლო მან არა ინება, არცა პატივ-სცა. ამისთჳს წარავლინა
ფირიაღის-შვილი ჯავახეთის ფაშა, სიძე თჳსი, იმერეთს სპითა წელსა
ჩ˜ღმა, ქარ. უ˜კთ. შთავიდა რა იმერეთს, მოეგება დადიანი, ერისთა-
ვი და ზურაბ. ხოლო ალექსანდრე ივლტოდა ქართლს. ამათ მოიყვა-
ნეს გიორგი, ძე გიორგისა და ძმა ალექსანდრესი, დასუეს იგი მეფედ
და წარმოვიდნენ.

ამასვე წელსა მოვიდა შანშე ლტოლვილი ყიზილბაშთაგან. ამის-
თჳს წარმოევლინა კაცი შანადირს ისაყ-ფაშისათჳს, რათა წარუვლი-
ნოს კრული შანშე. მაშინ ისაყ-ფაშამ აღირჩია მშჳდობა, რამეთუ
ეშინოდა მისგან მორბევისა და მოოჯრებისა ქუეყნისა, შეიპყრა შან-
შე და მისცა კრული. ამასვე წელსა წარმოევლინა ალექსანდრეს ისაყ-
ფაშისათჳს, რათა ჰყოს იგივე იმერთა მეფედ. უსმინა ისაყ-ფაშამ წი-
ნათქმულთათჳსვე, წარატანა ალექსანდრეს სპანი, ჩაიყვანეს და
ჰყვეს იგი მეფედ და სპანი მოვიდნენ სამცხეს. ხოლო შემდგომად
წელსა ჩ˜ღმბ, ქარ. უ˜ლ, რა სძლო შანადირ კუალად სარასკარს,
ყარსს წარმოავლინა და მოარბივეს ჯავახეთი, არტანი, კოლა, წარი-

1-9 სტრ., 741
ღეს სრულიად პირუტყუნი და ქონებანი. არამედ ტყუენი არა ტყუე
ყვნეს და მოუწივეს ვიდრე მტკურადმდე მარბიელთა. შემდგომად
წელსა ჩ˜ღმდ, ქარ. უ˜ლბ წარმოევლინა ხონთქარსა საგანძური დიდი
ლეკთათჳს, რამეთუ შანადირ ებრძოდა მუსულის ქალაქსა, შეიკრიბა
უსუფ-ფაშა, წარვიდა სპითა დიდითა და შთავიდნენ ქართლს. ხოლო
მისრულთა თედოწმიდას, იქმნა რა იგი აღვსწერეთ ქართლსა ზედა.
შემდგომად მოვიდა ძლეული უსუფ-ფაშა აწყუერს და მოკუდა მუნ.
ამისი მსმენელი ისაყ-ფაშა დამძიმდა ფრიად, გარნა მართვიდა იგივე
ქუეყანათა.

1-23 სტრ., 742
აღწერა ეგრისის ქუეყანისა, ანუ აფხაზეთისა,
ანუ იმერეთისა.

სახელისათჳს

ქუეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგ-
რისი, მეორეს აფხაზეთი, მესამედ იმერეთი. რამეთუ ეგ-
რისი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმა-
თა შორის თჳსთა ხუდა წილსად ქუეყანა ესე, და იწოდებოდა სახელი-
თა ამით, ვიდრე ხოსროვანთ გარდავლინებამდე. ხოლო აფხაზე-
თი- ლევანის გამო, რომელი შემდგომად პირველის ლეონისა, მე-
ორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს ქრისტესსა ღ˜პე, ქართულსა ე˜.
ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და
დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა
თჳსსა, და მოიღო საერისთოსა თჳსისა სახელი ეგრისი ზედა. არა-
მედ იმერეთი-ბაგრატიონთა მიერ, რამეთუ, რაჟამს დაიპყრეს
სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს
ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი, უმეტესად
შეერთებისათჳს, და აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთსა. ხოლო
ესე აფხაზეთი ანუ იმერეთი განიყოფების ადგილებად, და ეს განყო-
ფით ადგილებთა სახელები დავსწეროთ თჳს-თჳსთა რიგთა ზედა.
არამედ ოსმალნი და სპარსნი საყოველთაოდ ამ ქუეყანას უწოდებენ
ბაშაჩუხს, რომელ არს თავაჴდილი, უქუდობისათჳს, რომელთა ჰბუ-
რავთ მცირე რაიმე ნაჭრისაგან ლართა, ვითარცა მდებარედ თავსა
ზედა.

1-26 სტრ., 743
ქუეყანისათჳს

ხოლო სიგრძე ქუეყანისა ამისი არს ლიხის მთის თხემიდამ შავს
ზღუამდე, და მერმე კიდევ ეგრისის მდინარიდამ ვიდრე ზღუამდე. ხო-
ლო განი ჭოროხის მდინარიდამ ალანის კავკასამდენ და, ლიხის მთის
კერძოდ, ფერსათის მთის თხემიდამ რაჭა-სუანეთის კავკასის მთის
თხემამდე. და მზღვრის ქუეყანასა ამას: სამჴრით ღადოს მთა ანუ
ფერსათი; ჩდილოთ კავკასიის მთა, და მდებარებს ორთა ამათ მთა-
თა შორის, დასავლით უმდებარეს შავი ზღუა; აღმოსავლით მთა
მცირე ლიხისა. ხოლო მთა ლიხისა მდებარეს ჩდილოდამ სამ-
ჴრით, კავკასიდამ ღადომდე, და არს ტყიან-ნადირიან-ფრინვლიანი,
და გაზდიან მდინარენი, ამიერ–ყვირილა, ძირულა, და ჩხერიმელა,
იმიერ–ფაწა, ოთხნი ფრონენი და შოლა, და არს ქუეყანა ესე ფრიად
ტყიანი, რამეთუ იშჳთ არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი,

თჳნიერ საჴვნელთაგან. არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი, ჰავითა კეთილ-მშუენი. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინაჲთგან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თჳნიერ ადგილთა რომელთამე. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყჳ ანუ მეტყუელი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მჴარი და უმეტესიცა. თუალთა ქუეშე შუენიერება ეგოდენ არა მჩენარობს ტყის გამო, თჳნიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ, უკეთუ დახედო მაღლის მთიდამ, იხილავ სრულიადს იმერეთს ტყედ და არასადა შენობასა.

მარცვალთათჳს

ხოლო მარცვალნი, რომელნიცა დავსწერენით, ყოველნი ნაყოფიერებენ ფრიად, გარნა ბრინჯ-ბამბას სთესენ იშჳთ და ეგრეთვე

ხორბალსა და ქრთილსა, და ღომსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიანცა მით.
და სხუათა მარცვალთა სიმრავლენი იმყოფიან,
რამეთუ ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი კაცი, მხოლოდ წალდ--თოხისა მქონებელი, დასახლდების, მოიყვანს საზრდელსა ჯალაბთასა და გარდაიჴდის ბეგარასაცა.

აბრეშუმს აკეთებენ და ქსოენ ლარს არა დიდფასსა, უოქრომკედოსა, და ჴმარობენ სხუებრცა. ეგრეთვე ბამბასა და კანაფთაგან – ტილოსა ,არამედ სხუათა ქუეყანათაგანი უმჯობესნი არიან.

ხის ნაყოფთა და პირუტყუთათჳს

წალკოტნი არა არიან აქა, არამედ ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალნი ამისთჳს, რამეთუ ტყეთა შინა მრავლობს ყოველნი. აქა არს ხურმა, წაბლი და ვაშლ-ატამი ქართლზედ მეტი, და სხუანი, რომელნი აღვსწერეთ, მრავალად. ეგრეთვე მტილოვანნი ყოველნივე, რამეთუ მელსაპეპონი და პუნპულა უმუშაკოდ ნაყოფიერებენ. სავარდე არა უწყიან, არამედ ველთა და ტყეთა შრომანნი ვარდითურთ აურაცხელნი და ფშონი. სოკონი მრავალნი სხუადასხუანი, გარნა ნიყვი არს, რომელი აღმოჴდების სპეტაკის ბუდით, მერმე გასქდების. და არს სოკო ნარინჯი მას შინა, ფრიად გემოიანი. პირუტყუნი, თჳნიერ აქლემისა, არიან ყოველნი, და არა ეგდენ მრავალ, ვითარცა სხუათა საქართველოთა შინა. გარნა ცხოვარნი უდუმონი და კუდიანნი, მარადის მშობელნი ტყუბთა, და ოდესმე სამ-ოთხთა, და არცა

ჰყავთ არვედ. არამედ ძროხა, კამბეჩი მროწლედ, ცხენი ჯოგად, რამეთუ არა უჴმთ თივა, ვინაჲთგან ზამთარცა მძოვრად არიან, თჳნიერ არგუეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა. ნადირნი ყოველნი, რომელნი

1-23 სტრ., 745
აღვსწერეთ, ფრიად მრავალ არიან თჳნიერ ქურციკისა და აფთრისა. ფრინველნი – წერო, ბატი, სავათი, ლაკლაკი, კაკაბი, დურაჯი, ასკათა, სუავი, ხოლო ყაჯირი არა არს აქა, და სხუანი ყოველნი მრავალნი; არამედ სირნი, ჩიტნი და ტრედნი ესეოდენ, რომელ იპყრობს კაცი ერთი წამოსაკრავის ბადით ფ˜ ერთგზის, და სხჳთა მახეებითა – სირთა და ჩიტთა, და სძეს ბეგრათ გლეხთა ტ˜, უ˜, და უფროსნიცა.

თევზთათჳს

მდინარენი არა მრავალნი, არცა ეგოდენ დიდ, არცა თევზთა სიმრავლე მათ შინა, არამედ რიონსა შინა საკურდღლიამდე იპყრობენ ზუთხსა მაისსა, ივნისსა და ივლისსა შინა და, თჳნიერ ამ თთუეთაგან კიდე, არა. სხუანი თევზნი არიან: ლოქო, გოჭა, ბოლო-წითელი, კობრი, მწერი, და წურილნი თევზნი, და კალმახნი მრავალნი. ხოლო ზღჳს კიდეთა შინა იპყრობიან ანდაკია და სხუანიცა. არამედ კირჩხიბი ყოველგან მრავალნი და ფრიად გემოიანნი.

მწერთა და მძრომთათჳს

მწერნი მრავალნი და გაუძლებნი, არამედ ფუტკარი სარგებლობს ფრიად თაფლთა და ცჳლთა სიმრავლითა; და თაფლი კეთილი, რამეთუ ვიეთთა ადგილთა სპეტაკი და შეყინული, სისქით ვითარცა შაქარი, რომელსა უწოდებენ კიპრუჭსა. მძრომნი და გუელნი მრავალნი, არამედ გუელი უწყინარი და უვნო.

კაცთათჳს

ხოლო კაცნი და ქალნი, ვითარცა ვსთქუთ, ეგრეთცა იუწყე, გარნა უშუენიერესადცა და უუჰაეროვნესადცა, ვინაჲთგან გლეხთაცა

1-26 სტრ., 746
შვილნი მიგვანან წარჩინებულთა შვილთა.სუფთანი, სამოსელთ გამწყსონი; ეგრეთვე ცხენთა, და იარაღთა, და საჭურველთა; ცქჳტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემმართებელნი და ძლიერნი, და არა სულგრძელნი მას შინა და სხუათა შინაცა, უხუნი და მომხუეჭნი, დღეისის მძიებელნი, ხუალისის არა გამომკითხველნი, მომღერალ-მგალობელნი და მწიგნობარნი წარჩინებულ-

ნი. და უმეტესნი კეთილჴმოვანნი და სხუათა და სხუათა შემძინებელნი. სარწმუნოებითა და ენით არიან ქართველთა თანა აღმსაარებელნი, არამედ უცქჳტესად მოუბარნი. გარნა უზისთ კათალიკოზი თჳსი, და არა საჩინოდ უწყებული ცხორებიდამ, თუ როდეს განთავისუფლდა. არამედ მწერალი იტყჳს ცხორებისაგანვე: ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძლურებულ იყვნენ ბერძენნიცა; და ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისთაგან, განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინაჲთგან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა, და არა ეგრისისა და იმერეთისასა. ხოლო სხუანი ზნენი იმერთა დავიდუმეთ, ვინაჲთგან არიან და არა მტკიცითა ანაგებითა.

ქუეყნის აღწერისათჳს

ხოლო აწ ვიწყებთ წერად მთათა, ველთა, ტყეთა და მდინარეთა. არამედ ამ ჟამად, ვინაჲთგან უწოდებენ ცხენისწყალს-ზეითს იმერეთს, აღმოსავლეთის კერძსა, ვიდრე ლიხის მთამდე, პირველად დავსწერთ ამას. და განიყოფის ესე იმერეთი: ვაკედ, ფერსათის კერძოდ, არგუეთად, ოკრიბად, რაჭად და ლეჩხუმად.

რიონის მდინარისათჳს

არამედ აქა ვინაჲთგან უდიდესი ყოველთა მდინარეთა არს რიონი, და ამას მიერთვიან ყოველნი მდინარენი იმერეთისანი, პირ-

ველად ვიწყებთ ამას და მერმე მას შინა შემდინარეთა, ცხენის წყლის შესართავიდამ, ვიდრე გლოლა-ღებამდე.

ესე რიონი გამოსდის სუანთა, დიგორისა, ბასიანისა და რაჭის საშორისსა კავკასსა, და დის ესე რიონი: კავკასიდამ გლოლის-წყლისამდე აღმოსავლეთს-სამჴრეთს შუა; გლოლის-წყლიდამ უწერამდე დასავლეთს-სამჴრეთს შუა; უწერიდამ ჴომლის კლდემდე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მცირედ ჩდილოს კერძ მიწეულად; ჴომლის კლდიდამ ყვირილის შესართავამდე ჩდილოეთიდამ სამჴრეთად; ყვირილის შესართავიდამ აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიწეულად ჩდილოს კერძოდ. და მიერთვის ფოთს ზღუასა; და გამოვლის რაჭას, ლეჩხუმს, ოკრიბას, ვაკესა და სალომინაო-საჩინოს შუა, და განჰყოფს ოდიშსა და გურიას; და სიგრძე აქუს კავკასიიდამ ზღუამდე, ესრეთ გრეხის დინებითა.

ხოლო სიგრძე იმერეთისა არს ლიხის მთის თხემიდამ უნაგირამ-

დე ძუელად, და აწ ქართლის საზღვრიდამ, რომელი აღვსწერეთ, ცხენისწყლამდე, და განი ფერსათის მთის თხემიდამ რაჭა-ლეჩხუმისა და სუანეთს შორის კავკასიის თხემადმდე.

ხოლო სახელი მოიგო მდინარემან რიონმან დაბის რიონის გამო, ანუ ონისაგან – „რაი ონი“, – ანუ ჩქარად დინებისაგან – „რიონ“ იგი ჩქარა დინებამ[ა]ნ, არამედ ბერძენნი უწოდებენ ფასონს. და მოდის სათავიდამ ქუთაის-კახნიაურამდე ფრიად ჩქარად და მსწრაფლად. არცა არს თევზი მას შინა, არცა ფონი, ორ-სამთა ადგილთაგან კიდე. ხოლო კახნაიურს ქუეით დამდორდების, და ბაჟს ქუეით ფრიად მდორე და განიერი ზღუადმდე და უფროს ცხენის წყალს ქუეით განვრცელებული, რამეთუ ვლენან ნავებითა ზღჳდამ ბაჟამდე, და იპყრობენ აქამდე ზუთხსაცა ჟამად.

ცხენისწყლისათჳს

ხოლო ამას რიონს მოერთვის ჩდილოდამ აბაშა-ტეხურის მდინარე, უნაგირას მთის ზეით, ისულეთს. ამას ზეით რიონს, ტყვირს,

მოერთვის ჩდილოეთიდამვე ცხენის წყალი. ეს გამოსდის ლეჩხუმისა და სუანეთის შორისს კავკასსა და მოდის აღმოსავლეთს-ჩდილოს შუადამ სამჴრეთს-დასავლეთს შუა. არამედ მდინარისა ამის სახელი არს პირველ მდინარეთა თაკუერისა, ხოლო ოდეს მოაშთო ცხენნი ანაკოფიიდამ უკმოქცეულის ყრუს სპათა ჲ˜ჩ (60.000), ამისთჳს უწოდეს ცხენისწყალი. არამედ წყალი ესე, ვინაჲთგან არა უტევებს ჴიდსა ქვისასა და ხისასა, ამისთჳს შესწვნენ ვაზისაგან და გააბმენ ამიერ კიდით იმიერამდე, და გაუბმენ ვაზისაგანვე საჴელურებსა აქეთ და იქით, და ვლენან ქუეითნი მას ზედა, და ექანების მკიდარებისაგან ფრიად ჴიდი იგი, გარნა უწყიან ოდიშსა შინა ჴშირად ჴიდი ესე, და უწოდებენ ბონდსა.

ლეჩხუმისათჳს

ხოლო ისულეთიდამ ხაზი ცხენისწყლის კიდისა, ვიდრე გორდამდე, არს დასავლის მჴარე ოდიშისა, და აღმოსავლეთის კერძო – იმერეთისა. ხოლო გროდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ჴეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თაკუერად. არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კუერსავით მდებარისა – იხილე ესე მთა კუერი, – ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა მუნვე თაკუერისა. ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის კლდის გამო – ესე არს ლეჩხომი. გარნა ლეჩხუმსა და რაჭას განჰყოფს: გუელის თავის მცირე მთა აღმო-

სავლიდამ; ჩდილოთ მთა კავკასი, ლეჩხუმსა და სუანეთს შორისი; დასავლით მთა კავკასივე და კავკასიდამ ჩამოსული სამჴრეთად მთა გორდამდე; სამჴრით რიონი და მთა ხომლის კლდიდამ წარსრული დასაველთად გორდამდე, ამასა და ოკრიბას შორისი. ხოლო ამ ცხენისწყალს მოერთვის, გორდს ზეით, ჩდილოდამ, კავკასიის გამომდინარე ჴევი, და ამ ჴევზედ არს ციხე თაკუერი, მაღალსა კლდესა

1-32 სტრ., 749
ზედა, დიდშენი და ფრიად მაგარი.ამ ჴევს ზეით მოერთვის ცხენისწყალს სხუა ჴევი აღმოსავლიდამ; გამოსდის ამასა და ლეჩხუმს შორის მთას. ამ ჴევზედ არს ციხე ორბეთისა, კლდესა ზედა შენი, ფრიად მაგარი.ამ ჴევს ზეით, ლეჩხუმის საშუალს, ცხენისწყლის კიდეზედ არს ციხე კლდესა ზედა შენი, დეხვირი, თავი თაკუერისა, რამეთუ რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად. ამის სამჴრით და ცხენისწყლის აღმოსავლით არს ცაგერს ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ლეჩხუმისა და სუანეთისა. ამას ზეით არს მონასტერი, წოდებული მაქსიმე აღმსაარებლისა, და მუნ არს მაქსიმე აღმსაარებელი დაფლული. არს შუენიერ-შენი, კეთილს ადგილს და აწ ხუცის ამარად. მას ზეით, ცხენისწყალზედ, არს კავკასის ძირს მურის ციხე, არვისგან შემუსვრილ-აღებული. მუნიდამ გარდავალს სუანეთს გზა.

ხოლო ამის აღმოსავლით, მთას იქით, არს ჴეობა სხუა ლეჩხუმისა, რომლისა წყალი გამოსდის მასვე კავკასის მთასა და მოდის ეგრეთვე, ვითარცა ცხენისწყალი, და მიერთვის ხომლის კლდესთან რიონს ჩდილოდამ. ამ ჴევს მოერთვიან ამიერ-იმიერიდამ ჴევნი, და არს შენობიან-დაბნებიანი. ამ ჴევის აღმოსავლით არს, მთას იქით, ჭყვისი, მინდორსა კლდე ამოსულსა ზედა, ციხე დიდშენი, მაგარი. ამ ჭყვისის სამჴრით, რიონზედ, არპანს, ძევს ჴიდი, და ამ ჴიდს ზეით და ჭყვისის აღმოსავლით კავკასის მთიდამ, ტოლის დასავლეთად, ჩამოვალს მთა მცირე სამჴრეთისაკენ რიონამდე, და ესე არს გუელისთავად წოდებული. ამ მთის აღმოსავლეთის კერძო არს რაჭა და დასავლის კერძო ლეჩხუმი. არამედ თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა, გარნა სივიწროვისა და კლდიანობისათჳს არა ეგოდენი სიმრავლით. მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი, რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვიტკირისა და შენობანი ყოველნივე ქვიტკირისანი. და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი, და კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემმართებელნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მჴნენი და მორჩილნი უფალ-

1-23 სტრ., 750
თა თჳსთა, არამედ ბრიყუნი, უზნეონი და უწყალონი.პირუტყუნი თჳნიერ აქლემისა და ვირისა, არიან ყოველნი და არა ეგოდენ მრავალ. გარნა ესე ლეჩხუმი, შემდგომად განყოფისა სამეფოთასა, იყო ტალინი იმერთა მეფისა, და აწ უპყრავსთ ჩიქოვანს, რომელიცა არს დადიანი.

საჯავახოსათჳს

ხოლო კუალად ცხენისწყლის შესართავს ქუეით რიონს მოერთვის სამჴრიდამ საჯავახოს წყალი. ესე გამოსდის ფერსათს, და არს შენობიანი ჴეობა და მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, ხილ-ვენახითა, პირუტყჳთა, ნადირითა და ფრინვლითა. ხოლო მზღვრის საჯაოხოს: აღმოსავლით მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული ჩდილოთ კერძოდ, საჯავახოსა და საჩინოს შორისი; სამჴრით ფერსათის მთა; დასავლით ფერსათიდამვე ჩამოსული მთა, გურიასა და საჯავახოს შორისი; ჩდილოთ რიონის მდინარე. ხოლო კუალად ცხენისწყლის შესართავს ზეით სამჴრიდამ მოერთვის რიონს წყალდაფანჩულას ჴევი, სდის საჯავახოს მთას.

გუბის წყლისათჳს

ამას ზეით მოერთვის რიონს ჩდილოდამ გუბის წყალი. გამოსდის ოკრიბასა და ვაკეს შორისს მცირეს მთას, და დის ფრიად ფლატოიანსა და ბარდნალიანს ადგილსა ზედა. ამ წყალზედ არს ფოკე. ამას ზედვე, ამასა და ხონს იქით, ქუტირ-ფარცხანაყანევამდინ, არს გოჭორაური და არს ხონს ეკლესია დიდი, გუმბათიანი, შუენიერ ნაგები. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ვაკისა.ეს იყო ერთობასა

1-25 სტრ., 751
შინა ქართლის მთავარეპისკოპოზისა. შემდგომად განყოფისა დასუეს აქა ეპისკოპოზი. ამ გუბის წყალს ეწოდა სახელი ესე გუბედ მიმდინაროზისათჳს.

საჩინოსათჳს

ამ გუბის წყალს ზეით მოერთვის რიონს სამჴრიდამ, საჩინოს ჴევი. გამოსდის ფერსათს. ამ ჴევს ეყრების, სებეკას ქუეით, სხუა ჴევი. გამოსდის ფერსათსავე. ხოლო სებეკას არს ციხე შენი კარგს ადგილს.

სალომინაოსათჳს

ამ საჩინოს შესართავს ზეით, საკურდღლიას პირსპირ და რო-
კითს ქუეით, მოერთვის რიონს, სამჴრიდამ, სალომინაოს ჴე-
ვი, გამომდინარე ფერსათისა. ამ ჴევსა და როკითს ზეით მოერთვის
რიონს, სამჴრიდამ, ამაღლების ჴევი. გამოსდის ფერსათს. ამას-
ზედ არს მონასტერი ამაღლებას, დიდი, გუმბათიანი, არს
შუენიერს ადგილს, და აწ ხუცის ამარად. ამ ამაღლების ჴევს ზეით
მოერთვის რიონს ნოღის ჴევი, მომდინარე ფერსათის მთიდამ
სამჴრით. ნოღას ზეით არს ვარციხე. ეს ყოფილ არს ციხე დიდი
და დიდშენობა, და გამომდინარობს წყარო შიგ კეთილი.

ხანის წყლისათჳს

ვარციხეს ზეით ერთვის რიონს ხანის წყალი, გამოსდის
ფერსათს, მოდის ჩდილოთ და მიერთვის რიონს სამჴრიდამვე. ამაზედ
აღაშენეს ოსმალთა ციხე თხემლის ხისაგან ქრისტესსა ჩ˜ღგ, ქარ.
ტ˜ჟა. ამისთჳს უწოდეს იმერთა თხემლის ციხე, და პირველ
ეწოდა ადგილსა ამას ბაღდადი. არამედ შემდგომად აღაშენეს
ქვიტკირისა, და დგანან აწ ოსმალნი იენგიჩრით, და არს სავაჭრო

1-27 სტრ., 752
ყოველი, გარნა უფროს ტყუენი.ამ წყალზედ, ციხის სამჴრით, ფერ-
სათის კალთას, არს მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი, და აწ უქ-
მი. ამ წყალზედვე, მთაში, არს კაკას ჴიდი, ფრიად მაღალს კლდე-
სა ზედა, და გზა სამცხისა. არამედ მოიგო სახელი წყალმან ამან და-
ბისაგან მას ზედავე მყოფისა, რომელსა უწოდებენ ხანსა. ხანის
წყლის აღმოსავლით და ყვირილის მდინარის სამჴრით, ფერსათის
კალთას, არს დიმი, სადაცა ჰყო პირველმან მეფემან ფარნაოზ ცი-
ხე მტკიცე, და აწ არს დაბა.

ყვირილასათჳს

კუალად ხანის-წყლის შესართავს ზეით რიონს მოერთვის ყვი-
რილა, აღმოსავლიდამ. მდინარემან ამან მოიგო სახელი ესე თჳსის
ჩქარისა და კლდესა ზედა დინებითა, ვინაჲთგან ჴმოვანებს შორ-
სასმენლად. ხოლო გამოსდის ყვირილა ერწოს ტბას და მოდის
ჩდილოდამ სამჴრეთად ჭალამდე, ჭალიდამ ნავარძეთამდე – აღმო-
სავლეთიდამ დასავლად, გრეხით; ნავარძეთიდამ შორაპნამდე –
ჩდილოდამ სამჴრით; შორაპნიდამ რიონის შესართავამდე – აღმო-
სავლიდამ დასავლეთად და მცირედ ჩდილოთ კერძოდ მიწევით. არა-
მედ საჩხერიდამ შორაპნამდე – კლდოვანსა და მაღალს ჴრამოვანსა
შინა და შორაპანს ქუეით – ფლატოვანს-ჭალოვანსა შინა. ამ ყვი-

რილასა შინა იპყრობს თევზნი, რომელნი დავსწერეთ, ყოველნი თჳნიერ ზუთხისა, ხოლო საჩხერეს ზეით არს კალმახთა სიმრავლე და სხუა არარაი, და არს სასმისად გემოიანი და შემრგო, და სხუებრ უჴმარი.

წყალწითელასათჳს და ოკრიბის წყალთა.

ხოლო ყვირილას, რიონის შესართავს ზეით, მოერთვის წყალ-წითელა ჩდილოდამ, რომელმან მოიგო სახელი წითლის მიწი-საგან, რამეთი მას ზედა დინებითა წითლდების. ეს გამოსდის გაჭრი-

1-22 სტრ., 753
ლის მთას და მოდის ჩდილოდამ სამჴრით. სად მოერთვის ყვირილას, მის ჩდილოთ ერთვის ამ წყალწითელას, კვაცხუთს ზეით მთაში, ცუცხვათის ჴევი. აღმოსავლიდამ დასავლეთად მომდინარე, გამოსდის გოგნის მთასა. ამ ჴევზედ გოდოგანს ზეით არს ცუც-ხვათის ციხე, რომელი შეთხრით აღიღეს ოსმალთა ქრის-ტესსა ჩ˜ღკა, ქართულსა უ˜თ, და უპყრავთ აწცა მათ. ამას ზეით, ტესსა ჩ˜ღკა, ქართულსა უ˜თ, და უპრყავთ აწცა მათ. ამას ზეით, დასავლეთიდამ, ეყრების წყალწითელას მოწამეთას ჴევი, გა-მოსდის კახნიაურს და მის შორის მთასა. აქა არს მონასტერი უგუმ-ბათო, შუენიერი, კეთილს ადგილს. სხენან აქა ტაგურცთა შინა მო-წამენი ქრისტესნი დავით და კონსტანტინე, მდებარენი აწცა ჴორ-ცითავე, რომელნი აწამნა მურვან ყრუმ. უზის წინამძღუარი.

გელათისათჳს

ამ მთის ჩდილოს კერძოდ და წყალწითელას აღმოსავლით, გო-რის კალთას, არს ეკელსია ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, დიდ-შუენირი, დიდნაგები და ქმნული შიგნით სოფიის კენჭითა, გუმბათი-ანი, კეთილ-შუენიერს ადგილსა. აღაშენა აღამშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს გენაათი, და აწ უწოდებენ გე-ლათს. აქა არს ყოვლად წმიდის ხატი ხახულის ღვთისმშობელი, ლუკა მახარებლის დახატული, ყოვლად წმიდის ძითვე, და შემკული ძჳრფასითა ქვებითა აღმაშენებელისა და თამარ მეფისათი. აქავ არს ვარძიის ჯუარი, შემკული, დიდ ფრიად. და არიან ხატნი და ჯუარნი

1-28 სტრ., 754
ოქრო-ვეცხლითა და ქვითა შემკულნი ძუელითვე მრავალნი, და ეკ-ლესია შემკული ყოვლითა საეკლესიო წესითა. ჰკიდავს ზღუდის კა-რი ბჭესა მისსა, რკინისა, აღმაშენებელის მოტანილი დარუბანდიდამ. და ეკლესიის ბჭეს ჰკიდავს კარი მთლად ერთის ვაზისაგან გამოთ-

ლილი, უცხოსა ჴელოვნებით ქანდაკებული. ამას შინა დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით, დავით და სხუანიცა, და აწინდელნი მეფენი შემდგომად განყოფისა იფლვიან იმერთანი. პირველად იყო მონასტერი, შედგომად ჰყო ბაგრატ საეპისკოპოსოდ. ამას მისცა სამწსოდ არგუეთის ნახევარი და ოკრიბა, ქუთათლის სამწყსონი.

კუალად არს გელათის პირისპირ, აღმოსავლეთად, მონასტერი გუმბათიანი, დიდშენი, სოხასტერად ჴმობილი. უზის წინამძღუარი. გელათის სამჴრით, აქავ მთაში, არს ქუაბნი, გამოკუეთილნი კლდესა შინა, მრავალნი, განშორებულთათჳს, და აწ ცარიელ არს. გელათს ზეით წყალწითელას მოერთვის, ყურსებს, საწირის წყალი. ეს გამოსდის ნაქერალას მთას და მოდის ჩდილოთ-აღმოსავლეთს შუა. ამ წყალზედ არს ციხე მიტღოკინისა, ვით სახელი, ეგრეთ მტკიცე. ამას ზეით, ამავ წყალზედ, საწირეს არს ციხე. ამის გარემოს ითხრების რკინა, და არს ლითონი მრავლად. ყურსებს ზეით ეყრების წყალწითელას ახალდაბის ჴევი. გამოსდის გაჭრილის მთას და მოდის ეგრეთვე. ამ ახალდაბის წყალს ეყრების ჯონიის ჴევი, ჩდილოდამ. კუალად ყურსებსვე მოერთვის წყალწითელას ოჯოლას ჴევი, ჩდილოთ-დასავლეთს შუადამ. ამის სათავის ზეით არს ჯუარისა ციხე, არა მტკიცე.

ყვირილას მომრთველი საჩხეიძო-არგუეთის წყალი

ხოლო კუალად ყვირილას მოერთვის წყალწითელას შესართავს ზეით, აღმოსავლეთისკენ, ეკლარის წყალი. ეს გამოსდის, ჭა-

ლის თავს ზეით, ცუცხვათსა და სჳმონეთს შუას მთას და დის ჩდილოდამ სამჴრით. ამ ეკლარის წყალს ზეით მოერთვის ყვირილას აჯამეთას წყალი, ზდის ფერსათს, მოერთვის სამჴრიდამ ყვირილას. აქ, აჯამეთს, არს სანადირო მეფეთა, აღვსილი დიდ-მცირითა ნადირითა, საქებელი ფრიად. ზამთარ თბილი, ზაფხულის ცხელი, გაუძლები. ამ აჯამეთს წყალს ზეით ერთვის ძევრის წყალი, დაბის ძევრისაგან სახელდებული, გამოსდის საღორისა და ველევის მთას, დის სამჴრით და მოერთვის ყვირილას ჩდილოდამ. ძევრს არს ჴიდი ქვიტკირისა. სუეტთა ზედა წერილ არს: „არა მამამან, ძემან და არა სულმან წმიდამან, ძემან და“. იტყჳან, განძსა მდებარესა დანიშნავს ამით. და ძევრის წყალზედ, ჴიდს ზეით, არიან ქუაბნი დიდ-დიდნი, გამოკუეთილნი, მრავალნი, კლდესა შინა, დასავლით. და არს ქუაბი ერთი დიდ-ფრიად, რამეთუ კაცთა ქმნულად გა-

საკჳრვებლად. ამ ქუაბსა შინა გამოსდის მდინარე ორი ნაკადელი წყაროდ, და არს მას შინა კალმახნი მრავალ. ამ ძევრულას, ამ ქუაბს ზეით, ერთვის ჴევი ქუევრულა. სდის ოკრიბა-მუხურას შუას მთას და მოდის სამჴრეთად. ამ ჴევზედ არს ბერ-ციხე, კლდესა ზედა შენი, მაგარი.

ამ ჴევს ზეით, ძევრულსავე, ეყრების ტყირბულის ჴევი. გამოსდის საღორას მთას და მოდის დასავლეთად. ხოლო კუალად ყვირილას ერთვის, ძევრის წყლის შესართავს ზეით, ჩდილოდამ, ჩოლაბური. ეს გამოსდის ნაჯიხურევის მთას და დის ჭალა-ტყემდე ჩდილოდამ სამჴრეთით, და ჭალა-ტყიდამ აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამას, ჭალა-ტყეს ზეით, მოერთვის ზუსა დასავლიდამ, და ყვირილიდამ აქამდე ეწოდების ჩოლაბური კიდეთა ჩალოვანობის გამო, და მას ზეით – ბუჯა. ამ ჩოლაბურს მოერთვის ჩდილოდამ ჩხარულა. სდის თხილთა-წყაროს მთას, მოსდის ჩდილოდამ სამჴრით. ამაზედ არს გო[ფანთო]. კუალად ჩხარს მოერთვის მეორე ჩხარულა. გამოსდის ჩხარის ჩდილოთ კერძო მთას და მოდის სამჴრით. ამ ჴევზედ არს მთას ძირს ჩხარი. ეს ყოფილა ქალაქი, არამედ აოჴრდა ლევან დადიანისგან. აწ არს დაბა. არს აქა ეკლესია უგუმბათო, რომელსა შინა ასუენია ჯუარი

1-32 სტრ., 756
დიდ-ფრიად. მდებარეს მას შინა ბეჭი მთავარმოწამის წმიდის გიორგისა, მარადის სასწაულთ-მოქმედი. ეს ჯუარი პირველ იყო ყორანთას, შემდგომად სამცხეს, მერმე ატოცს და აწ აქა. ჩხარსვე არს წყარო, ორ-ღარად წოდებული და ქებული. ჩხარს ზეით, ჩხარულა-ზედ, არს ციხე მაჭუტაური, მთაში. კუალად ჩოლაბურს მოერთვის, ჩხარულას შესართავს ზეით, ღვანკითის ჴევი. ამ ღვანკითის ჴევს ზეით ერთვის ჩოლაბურსვე ზორეთის ჴევი. და ჴევნი ესენი დიან მუნვე და მოდიან სამჴრეთად.

ამას ზეით არს ჭალა-ტყე. არიან მოსახლენი ვაჭარნი სომეხნი და ურიანი, და ვაჭრობენ. ამ ჭალა-ტყეს ზეით მოერთვის ბუჯას ზუსა. გამოსდის გარჯილას მთას, მოდის სამჴრით ჩდილოდამ.ამ ბუჯაზედ არს, ქვა-ციხეს მდინარის კიდურზედ, წყარო გამომდინარე, რომელსა გაზაფხულს მოუდგმენ გოდორსა და აღივსების წურილის თევზითა, წყაროდამ გამომავლითა, ვითარ ვერ მოასწრებენ აღმოღებასა. სამ თთუე ოდენ ესრეთ, მერმე არღარა, და უწოდებენ ამას ღრუდოს. ამას ზეით არს ხრეითი, და ხრეითიდამ გარდავალს გზა რაჭას ნაჯიხურევზედ. ამ ხრეითის ქუეით, ბიღას, ითხრების კაჟი ჩახმახისა, ფრიად კარგი. ხოლო ზუსას ერთვის საზანოს წყალი. გამოსდის ხრეითსა და მუხურას შუათს მთას, მოდის ჩდილო-

დამ სამჴრეთად. ამ საზანოს წყალზედ არს საზანოს ციხე, კლდესა ზედა შენი, კარგი. არამედ ზუსა გამოსდის გარჯილას მთასა და დის ყამსას ციხემდე ჩდილოდამ სამჴრით, და ყამსას ციხიდამ აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა, და მიერთვის ბუჯას. ამ ციხეს ზეით, ზუსას მდინარის დასავლეთით, არს ჩიხორი, ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი. ამის სამჴრით არს, მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი. ამათ ზეით, ზუსაზედ არს დაბა მუხურა, და მას ზეით, მთაში, არს ციხე მოდამნახე, მაგარი კლდითა და შეუალი, შენი გარჯილის მთიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. მუხურიდან გარდავალს გზა, გარჯილის მთაზედ, რაჭას.

ხოლო კუალად ყვირილასავე მოერთვის სვირის ჴევი და ლომსიათჴევის ჴევი, ჩოლაბურის შესართავს ზეით.გამოს-

დის ფერსათს, დის სამჴრიდამ ჩდილოთ. ამ სვირის ზეით მოერთვის სამჴრიდამვე ყვირილას ტაბაკინის ჴევი. გამოსდის ფერსათსავე, მოდის სამჴრიდამ ჩდილოთ. ტაბაკინს ამ ჴევს ერთვის გენებერულის ჴევი. სდის ფერსათს. და ტაბაკინს არს მონასტერი, კეთილს შუენიერს ადგილს და აწ უქმად.

შორაპნისათჳს

ამ ტაბაკინის ჴევს ზეით ყვირილას მოერთვის, შორაპანს, აღმოსავლეთიდამ ძირულა, რომელმან მოიგო სახელი მთათა ძირთა შინა დინებითა. ყვირილასა და ძირულას შორის შესართავს შინა არს შორაპანი, რომელი აღაშენა ა~ მეფემან ფარნაოზ, ქალაქი და ციხე, და ჰყო საერისთოდ, და არს დიდშენობა ფრიადი. ამას ჩდილოთ-დასავლით უდის ყვირილა, აღმოსავლით-სამჴრით ძირულა. აღმოსავალ-ჩდილოთ შუა აქუს კლდე გორა მცირე და გჳრაბი დიდი, ჩასული წყლამდე. ეს შემუსვრილი აღაშენა გიორგი აბაშიძემ. არამედ შეამუსრვინეს მასვე ოსმალთა. მერმე მისცა ზურაბ აბაშიძემ ოსმალთა, და აწ უპყრავთ მათ. დგანან იენგიჩარნი.

ძირულასათჳს

ხოლო ძირულსა მდინარე გამოსდის პერნაგის მთასა, და ხეფინისჴევის ვერტყვილამდე აღვსწერეთ ქართლზედ, და ხეფინისჴევის ვერტყვილიდამ ხარაგაულამდე დის სამჴრეთს-დასავლეთ შუა და ხარაგეულიდან შორაპანამდე დის აღმოსავლიდამ დასავლეთად. არა არს ძირულაში თევზი, თჳნიერ კალმახისა, და კალმახი

მრავლად. სასმისად არს შემრგო, გემოიანი. ამ ძირულას, შორაპანს ზეით, მოერთვის ფუთს ვარძიის წყალი სამჴრიდამ. გამოსდის ფერსათს. ამ ჴევზედ ვარძიას არს მონასტერი გუმბათიანი, კეთილ-

1-27 სტრ., 758
შენი. ზის წინამძღუარი. ამ ჴევს ზეით ერთვის ძირულსავე მეედნის ჴევი სამჴრიდამ. გამოსდის ფერსათს, მოდის ჩდილოთ. ამასზედ არს მწყერის ციხე, მრავალგზის შემუსრვილი. ამის პირისპირ, ძირულას ჩდილოთ და შორაპნის აღმოსავლიით, არს წევას ეკლესია წმიდის გიორგისა, სასწაულთ-მოქმედი. ვარძიის ჴევს ზეით, ძირულაზედ, არს ხარაგეულს ციხე შენი. ამ ციხესთან ეყრების ძირულას ჩხერიმელა აღმოსავლეთიდამ. და ამ ხარაგეულს ზეით ძირულას მოერთვის შროშის ჴევი ჩდილოდამ. ეს გამოსდის ჯარეულთისა და ძირულას შუათას გორაებსა, მოდის ჩდილოდამ სამჴრით. ამას ზეით მოერთვის ძირულასვე კოლბოურის ჴევი. ეს გამოსდის ჭალის აღმოსავლეთის მთასა, მოდის მანდაეთამდე აღმოსავალ-ჩდილოს შუადამ სამჴრეთ-დასავლეთს შუა. მერმე მოუხუევს და მიდის ძირულამდე ჩდილოდამ სამჴრით. ამ კოლბეურის ჴევის შესართავს ზეით ერთვისვე ძირულას ვაშლების ჴევი და ამაშუკეთისა. და ამას ზეით არს ვერტყვილა ხეფინისჴევი.

ჩხერიმელასათჳს

ხოლო ხარაგეულს ზეით არს, ჩხერიმელაზედ, მლაშე, ჩდილოთ. მლაშეს ზეით, ჩხერიმელა ზედვე, არს სამჴრით ჩხერის-ციხე, მაგარი და მტრისაგან აუღებელი. ამ ციხისაგან ისახელა მდინარე ესე ჩხერიმელად, ანუ წყლის ჩხერისაგან კლდესა დინებითა. ჩხერს ზეით არს გზა ქართლს მიმავალი, მოსაკიდელი სივიწროვისათჳს წოდებული, ვახანამდის. მოსაკიდელს ზეით ერთვის ჩხერიმელას ვახანის ჴევი, ფერსათიდამ მომდინარე ჩდილოთ. ვახანს არს ციხე კარგი. ამ ციხის პირსპირ დაბა ქუაბი. ამას ზეით მებოძირი, რომლის ზემოთი დავსწერეთ ქართლზედ, მთას იქითად. არამედ ეს ჩხერიმელა მებოძირიდამ ხარაგეულამდე მიდის აღმოსავლიდამ დასავლეთად.

1-24 სტრ., 759
შორაპნის ზეით ყვირილას მომრთველთა წყალთათჳს

ხოლო ყვირილას შორაპანს ზეით არს მარტოთუბანი. მას ზეით ბოსლები. მას ზეით მოერთვის ყვირილას კაცხის წყალი. ეს გამოსდის საწალიკეს, მოდის ჩდილოდამ სამჴრით. ყვირი-

ლის შესართავს ზეით ამ წყალზედ არს კაცხს ეკლესია მაცხოვრისა. გუმბათიანი, დიდ-ფრიად, კეთილშენი. ზის არქმინადრიტი. ამის დასავლით არს ციხე კაცხისა, მთის ძირად, კლდესა ზედა, მაგარი. ციხის აღმოსავლით არს კლდე, ჴრამსა შინა აყვანილი, ვითარცა სუეტი, ფრიად მაღალი. მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ჴელოვნება აღსლვისა. კუალად ამ კაცხის წყალს ზეით ყვირილას მოერთვის აღმოსავლიდამ სუერის ჴევი. გამოსდის კოლბეურის სამჴრით წარსრულს გორაებს და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამ ჴევზედ არს ციხე სუერი, არაოდეს ძალით აღებული. ესე დგას კლდესა ზედა და გარემოს მისსა ფრიად დიდ-ჴრამოვანსა. თქმულ არს, ჟამსა ყრუსასა დადგა ციხე არგუეთისა სუერი. ამ სუერის ჴევის შესართავს ზეით, ყვირილის ჩდილოთ კიდურსა ზედა, არს ნავარძეთს ციხე. ამ ნავარძეთს ზეით ყვირილასვე მოერთვის ბჟინევის ჴევი სამჴრიდამ. გამოსდის ბჟინევსვე გორაებს.

მღჳმისათჳს

ამ ბჟინევის ჴევს ზეით, ყვირილის ჩდილოთ კერძ კიდეზედ, არს მღჳმე, კლდე დიდი გამოკუეთილი, და მას შინა მონასტერი უგუმბათო, წითლის ბრწყინვალის ქვით შენი, კახაბერ რაჭის ერისთვისაგან აღშენებული. ქუაბსა შინა დის წყარო დიდი და კეთილი. უზის

1-24 სტრ., 760

არქმინადრიტი.არამედ სუერის წყლის შესართავიდამ მღჳმე-საჩხერემდე, ამ ყვირილას იქით და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე, და არიან მას შინა ქუაბნი მრავალნი, გამოკუეთილნი სახიზრად და შეუალი მტრისაგან, და საკჳრველი, თუ ვითარ უქმნიათ. და დადგა ესენიცა ჟამსა ყრუსასა. ამათ ზეით ერთვის ყვირილას ჯრუჭი ჩდილოდამ. გამოსდის კეცების მთასა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მერმე ჩდილოდამ სამჴრით ყვირილამდე. სადა მოდრკების, მუნ ერთვის ამ წყალს დასავლიდამ სხუა ჴევი. გამოსდის საწალიკეკეცებს შუა მთას. ამ ჴევსა და კეცებზედ გარდავლენან გზანი რაჭას. ძუელად ყოფილა ამას ზედა შენობანი, და აწ ოჯერ არს. კუალად ჯრუჭის შესარათავს ზეით, ყვირილას სამჴრით კიდეზედ, არს საჩხერე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ. ამ საჩხერის პირისპირს, ყვირილას ჩდილოთ არს, მაღალს კლდესა ზედა, ციხე მოდამნახე, მოზღუდველი კლდითა, მაგარი და უბრძოლველი მტირსაგან. კუალად ამ საჩხერეს ზეით, ყვირილას კიდეზედ არს სავანეთს ეკლესია, უგუმბათო, საკჳრველად შენებული, რამეთუ არს მთლად ერთის ქვისა კანკლითურთ. ამ სავანეთს ზეით არს ჭალა. არამედ ჭალიდამ წონამდე არღარა

არს არს შენობა, გარნა პირველ ყოფილა შენობიანი, სადაცა ჩანან ეკლე-
სიანი და ნადაბარნი.

კუალად რიონის შემდინარისა
მდინარისათჳს

ხოლო აწ კუალად ვიწყებთ რიონსავე და მას შინა შემდინარეთა.
სად ერთვის რიონს ყვირილა, მის ჩდილოდ და რიონის დასავლეთით

არს გეგუთი, სადგური ზამთარს მეფეთა. აქა არს მზგავსი შენებული
მეჩიტისა, მრავალ-პალატოვანი, დიდნი და მცირენი, თლილის ქვი-
სა; უწოდებენ ციხე-დარბაზს, იტყჳან აღშენებასა თურქთაგან ნ˜ზ
მეფის გიორგის ჟამსა. ამას ზეით არს, რიონის კიდეზედ, კახნიაუ-
რი აღმოსავლით. ესეცა სადგური აწცა მეფეთა ზამთარს. ამას ზეით
არს ქალაქი ქუთათისი, რიონის გაღმა-გამოღმა, ჰავითა და წყლი-
თა მშუენი, თუალთა ქუეშ შუენიერი ადგილი, რომელი აღაშენა ა˜აფ-
ხაზთა მეფემან ლევან და ჰყო ტახტი. არს ციხე, და ციხიდამ ჴიდი
რიონსა ზედა. აქა არს სასახლე მეფეთაგან, დიდ-შენი შუენიერად,
რიონსა ზედა წაკიდებული. ასპარეზი მოზღუდვილი ვარჯად ჭანდ-
რით. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი. წელსა
ქრისტესსა ჩ˜ქჲვ, ქართულსა ტ˜ნდ მისცა ქუთათისის ციხე ოსმალ-
თა სეხნია ჩხეიძემან, და უპყრავთ აწცა მათ. არამედ შემცირდა ფრი-
ად ქალაქნი მათგან. აქა აღაშენა ნ˜ვ მეფემან ბაგრატ ყოვლად
წმიდისა ეკლესია შუენიერი, გუმბათიანი, სრულიად სოფიის
კენჭით შინაგან ქმნული და მარმარილოთა სპეტაკითა, წითლითა და
ჭრელითა, და სუეტებითა მისითავე, და ყოვლითა შემკობილებითა
სრული, და ფრიად დიდი. დასუა ეპისკოპოზი, მწყემსი იმერეთის და
გურიის, თჳნიერ რაჭა-ლეჩხუმისა. ზის აწცა და არღარა ეგდენითა
სამწყსოთი. დაფლულ არიან ნ˜ვ მეფე ბაგრატ, ნ˜ზ მეფე გიორგი.
არამედ წელსა ჩ˜ქჟბ, ქართულსა ტ˜პ შემუსრეს ოსმალთა, და წარი-
ღეს სუეტნი მისნი და მარმარილონი სამცხეს. თუმცა უჩუენნა სას-
წაულნი, გარნა არარად შეირაცხეს.

ამ ქუთათისის ჩდილოთ და რიონის დასავლით არს ქვიში-
ლეთს ციხე ფრიად მაგარი. ქვიშილეთს ჩდილოთ არს ჩუნე-

ში. ჩუნეშს ჩდილოთ – გუმათი, გუმათის ჩდილოთ – საყორ-
ნე, საყორნის ჩდილოთ არს გოსტიბე, ცხენისწყლის აღმოსავ-
ლით კიდეზედ; ამისა გაღმა გორდი, და ძეს აქ ჴიდი გოსტიბიდამ
გორდს ცხენისწყალზედ. გოსტიბემდე არს ოკრიბა. და კუალად

ქუთათისს ზეით, დაბას რიონს ზეით, მოერთვის რიონის მდინარეს აღმოსავლიდამ ძმუისის-მუყელეთის-ჴევი. ეს გამოსდის წმიდის გიორგის მთას, მოდის დასავლეთს-სამჴრეთს შუა. ამ ჴევზედ, ძმუისის მთაში, არს ციხე კლდესა ზედა შენი და მაგარი. ამას ზეით, რიონის დასავლეთით, მთის ძირს, არს ხომლის კლდე, ფრიად მაღალი. მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკულავის სწორობით. ამ კლდეში არს ქუაბი გამოკუეთილი, მტრისაგან შეუალი. მეფეთა საგანძური სადები. აქამომდე არს ოკრიბისა, მას ზეით ლეჩხუმისა. ძმუისის ჩდილოთ, მთას იქით, რიონის სამჴრით, არს დღნორს ციხე მაგარი, დიდშენი და შეუალი. აქამდიც არს ოკრიბისა.

რაჭისათჳს

ხოლო ამ დღნორსა არს რიონზედ არპანი; არპანს ზეით გუელისთავი. გუელის თავს ზეით რიონს მოერთვის ტოლის-ჴევი. გამოსდის რაჭა-სუანეთის შუას კავკასის კალთას, მოდის ჩდილოდამ სამჴრეთად და მოერთვის რიონს ჩდილოდამ. ამ ჴევზედ, დასავლის კიდეზედ, არს, კავკასიდამ ჩამოსულს მთის კლდეზედ, ციხე ტოლა შენი, ფრიად მაგარი. და არს ჴეობა ესე ხილ-ვენახიანი.

1-21 სტრ., 763
ამ ტოლ-ჴევს ზეით მოერთვის ბარეულის ჴევი რიონს სამჴრიდამ. სდის წმიდის გიორგის მთას. ბარეულს, რიონის კიდეზედ, არს ციხე კეთილ-შენი. ამ ბარეულს ზეით მოერთვის სამჴრიდამ ზნაკვის-ჴევი. გამოსდის ნაქერალას მთას. ზნაკვას არს ციხე შენი და მაგარი. ამ ზნაკვის-ჴევს ზეით მოერთვის რიონს ჩდილოდამ სამდელის-ჴევი. გამოსდის კავკასს რაჭა-სუანთ შორისს და მოდის ჩდილოდამ სამჴრეთად. სადმელს არს ციხე კლდესა ზედა შენი, შეუალი მტრისა. სამდელს ქუეით ამ ჴევს ერთვის ღვიარას-ჴევი. გამოსდის მასვე კავაკსს და დის ეგრეთვე. ტოლისა და ჴევებიდამ გარდავლენან სუანეთს გზანი.

ამ სამდელის ჴევის შესართავს ზეით რიონს მოერთვის ბუგაულის ჴევი სამჴრიდამ. გამოსდის ნაქერალასა და ველევის მთის ქუეითს, ლემანაურის მთას. ბარეულს არს ციხე კარგი და მაგარი. ბარეულს ზეით არს საკეცე. ამას ზეით მოერთვის რიონს სამჴრიდამვე კრიხულას მდინარე, რომელი ისახელა დაბის კრიხისაგან. გამოსდის საღორისა, ნაჯიხურევისა და საწალიკის მთას, მოდის ჩდილოთ კერძოდ რიონის სამჴრით და კრიხულის აღმოსავლით, ამბროლაურს, ყოფილა სასახლე აწინდელთა მეფეთა, ადგილის შემკობილებისათჳს. ამის დასავლით კრიხულას მოერთვის

რიონის სამჴრით ხოტევის წყალი. გამოსდის საღორე-გარჯი-
ლის მთას ქუეით, შაორის მცირეს ტბას წყაროდ და ფრიად ცივს, და

1-19 სტრ., 764
მოდის გრეხით ჩდილოთკენ. კრხულას და ხოტევის წყლის შესარ-
თავს ზეით, ხოტევის წყლის აღმოსავლეთით კიდესა, მაღალს გორას
კლდესა ზედა არს ციხე კვიტაშვილისა, ფრიად მაგარი. ამ
ციხეს ზეით, ხოტევის წყლის დასავლით, არს ხოტევი და ციხე
მისი დიდი, დიდ-შენი, და სახლობენ აქა ურიანი ვაჭარნი და ვაჭ-
რობენ.

ხოტევის ზეით, ამის წყალსვე, ერთვის აგარის ჴევი. ამ ჴევ-
ზედ არს ნიკოლა წმიდა, ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-დიდშე-
ნი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი გლოლას ქუეითის რაჭისა. ამ ჴევის
შესართავს ზეით არს შაორი. აქა ყოფილა საზაფხულო სასახლე
აწინდელთა მეფეთა ადგილის შუენიერობისათჳს, კეთილ-აგარაკო-
ვანი. კუალად კრიხულას ერთვის, კრიხს ზეით, სხოვის ჴევი,
დის სამჴრიდამ ჩდილოთ. ამ ჴევზედ არს ორმო დიდი. ვრცელი და
ღრმა, რომელსა შინა დის წყარო, და ვერ განჰყინავს ზამთარს,
არამედ ზაფხულის ჰყინავს სრულიად, რომელი ამოულეველი არს,
რაოდენცა სუას მრავალმან კაცმან, გარნა თუ შთავიდეს კაცი უც-/ხო, თჳნიერ მუნ
მყოფისა, აცივებს წელსა ერთსა. სხოვის სამჴრით
და კრიხის პირისპირ, აღმოსავლით კიდურს, მაღალს კლდიანს გო-
რასა ზედა არს ციხე კუარასი მტკიცე. ხოლო კუალად კრიხუ-
ლას შესართავსა და ამბროლაურ-ხიმშს ზეით მოვიწროვდების რი-

1-21 სტრ., 765
ონი სამჴრიდამ და ჩდილოდამ კლდითა.მუნ ძეს ჴიდი რიონზედ. ჴი-
დისათვს, კლდის ძირში, არს, რიონის ჩდილოთ კიდესა ზედა, ციხე და
უწოდებენ ჴიდისკარს. ჴიდისკარს ზეით რიონის კიდეზე გამოდის
კლდიდამ თბილი წყალი, არამედ უჴმარი. მას ზეით არს წესი, დაბა
კარგი. აქა იტყჳან ვეცხლის ლითონს. აქავ, რიონის კიდეზედ, არს
ნინიას ციხე, კლდესა ზედა შენი. ამას ზეით მოერთვის რიონს
სამჴრიდამ ჴევი ბარულა. გამოსდის კეცების მთას, დის ჩდილოთ
კერძ. ამ ჴევს ერთვის ჩონისის ჴევი დასავლეთიდამ. ამავ ბარის
წყალს ზეით არს მთაში მრავალძალს ეკელსია წმიდის გიორგი-
სა და ჯუარი დიდი ოქროსი, სასწაულთ-მოქმედი. ამას შესწირა ა˜
შააბაზ ჯრმალი ოქროთ მოოჭვილი, აწცა ძეს მუნ, არათუ სარწმუ-
ნოებით, არამედ სცნან, რამეთუ ჯრმალი მისი ჰკიდავს მუნ. ხოლო
ჴიდისკარიდამ წავალს მცირე მთა კლდიან-ქარაფიანი ჩდილოთ, ვი-
დრე კავკასამდე. ამაზედ არს ეკლესია თხემსა ზედა შენი, წმიდის გი-
ორგისა, სასწაულიანი. უწოდებენ მთითურთ ველიეთსა. ამ ეკლესი-

აზედ გარდავალს გზა სადმელს, თჳნიერ მისა არა სადა, წესიდამ.

ხოლო ბარულას წყლის შესართავს ზეით მოერთვის რიონს ჩდილოდამ მდინარე ლუხუნი, გამომდინარე კავკასისა, რაჭა-სუანეთს შორისისა, და მოდის სამჴრეთად. ყოფილა ამ ლუხუნის ჴე-ობაზედ შენობა დიდი, არამედ აწ მტერობისაგან სუანთა არღარა, და ოჴერ არს.ამ ლუხუნის აღმოსავლით კიდის მაღალს კლდის გო-

1-22 სტრ., 766
რასა ზედა და რიონის ჩდილოთ არს ციხე მინდა, მაგარი და აუღებელი მტრისაგან, და ვის უპყრავს ციხე ესე, არს ერისთავი რა-ჭისა. ამ ციხისავე ძირს კოშკი დგას ლუხუნის კიდესა ზედა მცველად წყლისათჳს. ამ მინდას ზეით მოერთვის რიონს ჩდილოეთიდამ სო-რის ჴევი. ამაზედ არს მონასტერი უგუმბათო, დიდი, კეთილ-შე-ნი, აწ ხუცის ამარად. ამ სორს ზეით მოერთვის რიონს სამჴრიდამ ჴევი ჴეორი.ამ ჴევმან მოიგო სახელი ღრმა ჴევთა შინა დინები-თა. ეს გამოსდის კეცების მთის კალთას, მცირეს ტბასა. პირველ დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მერმე სამჴრეთიდამ ჩდილოთ, ღრმას ჴრამსა და კლდოვანსა შინა. რიონის შესართავს ზეით ჴეორს ერთ-ვის ბოყვის ჴევი აღმოსავლიდამ. ჴეორის სათავის მცირეს ტბის ქუეით, ჩდილოთკენ, კლდეს გამოსდის წყაროდ დიდი მდინარე, და ამ ორის წყლის შესართავს ქუეით არს შქმერი, დაბა დიდი, უვენახო, უხილო, მგზავსი სხუათა მთის ადგილთა და შუენიერ ზაფხულის ფრიად. კუალად ამ ჴეორის შესართავს ზეით მოერთვის რიონს ჯეჯორის მდინარე. ეს გამოსდის კედელას კავკასსა და დის კუდაროს ჩასავლის კარგა ქუეითამდე აღმოსავალ-ჩდილოს შუადამ სამჴრეთ-დასავლეთს შორის, მერმე მოიქცევის და დის სამჴრიდამ ჩდილოდ რიონამდე და მოერთვის მას სამჴრიდამ. რიონის შესართავს ზეით და ჯეჯორის აღმოსავლით კიდურზედ არს ციხე, და ამ ციხეს ზეით და ჯეჯორისვე აღმოსავლით არს დაბა წედისი, და ციხე მცირე. აქ არს ლითონი რკინისა, და იღებენ მრავალსა.

1-21 სტრ., 767
არამედ ჯეჯორის მდინარეზედ, სამჴრიდამ ჩდილოეთად დინე-ბულზედ, არს დაბნები ვენახოვან-ხილიანი და მოსავლიანი. მას ზეით მოსახლენი არიან ოვსნი, და უვენახო-უხილო, ვითარცა სხუანი მთის ადგილნი. უწოდებენ ამას კუდაროს. გულოვანთას ერთვის ჯეჯორს აღმოსავლიდამ სხუა ჴევი, წონასა და ამის შორის მთის გა-მომდინარე. ამ წყალში ზის კალმახი: რა მოხარშო, მგზავსი არს ზაფრანიანისა. ხოლო ამ გულოვანთას აღმოსავალ-სამჴრით, მცირეს მთას იქით, არს წონა, ადგილი გარმოხუეული მთებითა და შინა-გან ვაკე. აქ არს მცირე ტბა. ამას გამოსდის ყვირილა და მიდის, ვი-

თარცა აღვსწერეთ. არს წონა, ვითარცა სხუანი მთის ადგილნი, და მოსახლენი ოსნი. გარდავალს აქიდამ და კუდაროდამ გზა ქცხილვანის ჴეობასა ზედა, დვანის ჴეოაბასა ზედა, ქართლში.

ხოლო ჯეჯორის შესართავს ზეით და რიონის სამჴრით არს ონი. სახლობენ ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ. ონი ჰავით არს მშუენი და ზაფხულის ცხელი, ორთა მთათა შინა კლდოვანთა ყოფითა. არამედ აგრილებს მდინარე რიონი. ამ ონს ზეით მოერთვის რიონს ღარულას ჴევი სამჴრიდამ. გამოსდის კედელის კავკასს. ამაზედ არს შენობა მოსავლიანი, ვითარცა სხუა მთათა ადგილნი. ამან მოიგო სახელი დაბისაგან ღარისა. მუნ რიონის კიდესა დაშენებულისაგან. ხოლო ონის პირისპირ, რიონის ჩდილოთ, მთის კალთასა შინა, მაღლა, არს დაბა ძეგლევი. აქა ეკლესიასა შინა არს ზეთი ჭი-

1-20 სტრ., 768
ქითა და მდუღარებს მარადის და, რაოდენ იღებენ, არ აკლს ჭიქასა მას. ამას ზეით ერთვის საქორიას ჴევი რიონს ჩდილოდამ. ამ ჴევის შესართავთან, რიონის კიდეზედ, არს ციხე მაგარი ფრიად. ამას ზეით არს დაბა უწერა, რიონის ორსავ კიდესა ზედა. აქა, რიონის ჩდილოთ, არს ეკლესია სიონი, დიდი. ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს თმა ერთი ნაწნავი, და იტყჳან თამარ მეფისასა. აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად, რომელი დავსწერეთ ქართლსაც, არამედ ესე უმეტეს ძალიანი, რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მას ზედა ჩამოვარდების სუნისაგან. არს ესე ონსაცა, გარნა ესევე უმჯობესი.

ამას ზეით, ჭიდროთას არს ციხე მცირე, რათა ვერ ვიდოდნენ მთის კაცნი თჳნიერ მის ციხისა რაჭას. ჭიდროთას ზეით მოერთვის რიონს აღმოსავლიდამ გლოლის ჴევი. აქა ძეს რიონზედ ჴიდი.ხოლო გლოლის გამოსდის გლოლასა და ჟღელეს შორის კავკასსა, და მოდის დასავლეთად. ამ ჴევს ერთვის სხუა ჴევი ორი. ერთი გამოსდის ამასა და დიგორს შორისს კავკასსა. არს გლოლა დაბა მგზავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი. შიგ ეკლესია, აღვსილი ოქრო-ვეცხლის ხატითა და ჯუარითა და წიგნებითა, ძუელადვე ხიზნულნი. კუალად ჴევის შესართავს ზეით რიონის სამჴრით არს ჭიორა, დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი

1-23 სტრ., 769
გოდლოვანი. ამას ზეით, ჩდილოთ კერძოდ, დაბა არს ღები, ეგრეთვე ნაშენი. ხოლო ჭიდროთას ზეით ეს ადგილნი, რომელნი დავსწერეთ, არიან ვითარცა სხუა მთის ადგილნი, მოსავლით, ნაყოფით, პი-

რუტყჯთ, მაგარი, ვიწრო და შეუალი მტერთაგან. სარწმუნოებით ქრისტეანენი, ქართველთა თანა, არამედ უმეცარნი ამისიცა.

რაჭის საზღვართათჳს

ხოლო რომელნი აღვსწერეთ, სახელითგან ყოფანი ვთქჳთ, და აწ ვიწყებთ საზღვართა მათთა. რამეთუ მზღვრის რაჭას: აღმოსავლით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარის შორისი მთა, და კავკასი კედელა, და მუნიდამ ჩდილოთ წარსრული კავკასივე, ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჭა გლოლასა და ჟღელეს შორისი; სამჴრით წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდამ, ვიდრე არპანისა და დღნორამდე, გაჭრილი რიონისაგან მუნ. და მთასა ამას საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას, ხოლო განყოფით დღნორს ზეით წმიდის გიორგისას, მერმე გაჭრილს, ნაქერალას, ველევს, საღორეს, გარჯილას, ნაჯიხურევს, საწალიკეს და კეცებს. ამ მთათა ჩდილოთ კერძი არს რაჭისა და სამჴრეთის კერძი – გარჯილა-ნაჯიხურევ-საწალიკე-კეცებისა – არს არგუეთისა, და მდინარენიცა ეგრეთვე; დასავლით მზღვრის საღორის მთიდამ დღნორამდე რომელნი მთანი აღვსწერეთ, და მთა გუელის თავისა. ხოლო მათ მთათა დასავლის კერძო არს ოკრიბისა. და არიან მთანი ესენი მაღალნი და განიერნი, თხემთა უტყეონი და კალთათა ტყიანნი, და ზამთარს დიდთოვლიანნი, სადაცა ვერ ივლის ცხენი, და ზაფხულის უთოვლო, წყაროიანი,

1-24 სტრ., 770

ბალახიან-ყუავილოვანნი, ნადირიან-ფრინველიანნი.და დაბნები რაჭისანი, ამ მთათა კალთათა მყოფნი, არიან, ვითარცა შქმერი აღვსწერეთ, აგარაკად და მთის ადგილად; და ჩდილოთ მზღვრის რაჭას კავკასი, რომელი განჰყოფს გლოლას, ღებს, ჭიორასა და დიგორსბასიანსა, ლუხუნსა და სუანეთსა, სადმელს, ტოლას და სუანეთსა.

და ამ საზღვართ შინაგან არს რაჭა, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, ჯრამითა, ჯევითა და ტყითა, შეუალი გარე მტრისაგან. ჰავით არს კეთილმშუენი, ზაფხულის გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი ყოველნი. რიონის კერძოდ ამიერ და იმიერ, სრულიად რაჭას ესრეთ ნაყოფიერებს, არამედ მთათა კერძონი, ვითარცა სხუანი მთის ადგილნი. პირუტყუნი, აქლემს გარდა, ყოველნი, და არა მრავლად. ცხოვარი უდუმო, ღორი – სიცოცხლე მათი. მდინარეთა კალმახნი მრავალნი, სხუა თევზნი არარაჲ, არცა რიონსა შინა. კაცნი ტანოვანნი, მჴნენი, ბრძოლასა შემმართებელნი, ძლიერნი. უსაქციელო-ბრიყუნი, უშუერ-მქცევნი, სხუათა მაოჳარნი, მომხუეჭნი და ძჳრნი. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი.

ქალნი მშუენიერნი, მქცევნი ეგრეთნივე, რბილნი. პირველად იყო რაჭა შორაპანის საერისთო, მერმე იქმნა თჳთ საერისთოდ, და შემდგომად კახაბერის მოწყუედისა ეპყრათ მეფეთა. მერმე ბაგრატ იმერთა მეფემან მისცა ჩხეიძეს ერისთობა, და აწცა არიან იგინი ერისთავად რაჭას, და არს მესამე სადროშო. ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ: „იხილე, რა ჭაა ადგილი ესე!“

1-25 სტრ., 771

არგუეთის საზღვრისათჳს

ხოლო რაჭის სამჴრით არს, მთა იქით, არგუეთი ანუ მარგუეთი, რომელი იწოდა ქუეყნის ნაყოფიერებისაგან და მრგვლობისა მუშაკობისათჳს – მრგველნი მუნებურნი და არა აღმომფხურელნი. ხოლო საზღვარი არგუეთის არს: „აღმოსავლით ქართლის საზღვარი, ლიხის მთის დასავლის კერძო; სამჴრით ფერსათი, მერმე, ხარაგეულს ქუეით, მდინარე ძირულა და, შორაპანს ქუეით წყალწითელამდე, ყვირილა; დასავლით წყალწითელა კუახჭირის მთამდე და ჩდილოთ წინთქმულნი მთანი – კეცები, საწალიკე, ნაჯიხურევი და გარჯილა. კუალად ჩდილოთ და დასავლეთად მზღვრის არგეუთს საღორე-გარჯილიდამ ჩამოსული სამჴრითკენ მთა ჩხარამდე და მერმე დასავლით წარსრული კუახჭირამდე, არგუეთსა და ოკრიბას შორისი. და ამ საზღვარს შინაგან არს არგუეთი, ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, არამედ ბრინჯს არა სთესენ. ხილნი ტყეთა შინაცა მრავალნი. პირუტყუნი მრვალნი, და არა ქართლისებრ, ვენახი დაბლარი და ღჳნო კეთილი, გარნა ქართლის კერძო ადგილთა – თხელი. ნადირნი და ფრინველნი მრავალნი, თევზნი მდინარეთა არა ეგდენ, არამედ კალმახნი მთათ-კერძოთა მრავალნი, კირჩხიბნი მრავალნი. კაცნი და ქალნი შუენიერნი, მბრძოლნი და იმერეთს უმეტეს სხუათაგან შემმართებელად დიდებულნი, მომჭირნე მუშაკნი, სტუმართ-მოყუარენი. სახლობენ მთავარნი, აზნაურნი მრავალნი. ძუელად იყო საერისთო შორაპნისა, და აწ მთავართა თჳს-თჳსა პყრობითა. არს მეორე სადროშო. ამას შინა დიან მდინარენი ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა, ჩოლაბური და ამათი შემრთველნი მდინარენი.

1-25 სტრ., 772

საჩხეიძო საზღვრისათჳს და
სალომინაოსა

ხოლო არგუეთის სამჴრით არს საჩხეიძო, პირველად არგუეთადვე წოდებული, მერმე ფერსათის კერძოდ. შემდგომად პყრობი-

ლთა მთავართა ჩხეიძეთაგან საჩხეიძოდ ისახელა. არამედ განჰყოფს საჩხეიძოსა და არგუეთს ჩდილოთ ჩხერიმელა, ძირულა და ყვირილა, მერმე საჩხეიძოსა და ვაკეს–მდინარე რიონი საჩინომდე. ხოლო აღმოსავლით მზღვრის საჩხეიძოს ფერსათიდამ ჩამოსული მცირე მთა, ჩდილოთ ძირულამდე, ხარაგეულს ქუეით; სამჴრით მთა ფერსათი, ანუ ღადოთ, ანუ ლომსიათ წოდებული. ხოლო დაბისაგან აწ ფერსათად; თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი, მაღალი და განიერი, ზოგან თოვლიანი და ნადირიანი, ფრინვლიანი. ჩდილოთ კერძო იმერეთისა, სამჴრით კერძო სამცხისა; დასავლით მზღვრის საჩინოსალომიანოს საზღვრის ხაზი, რიონიდამ ფერსათამდე, არამედ სვირს ზეითს, აღმოსავლეთის კერძოს, უწოდებენ აწ ლომსიათ-ჴევს.

და არა ქუეყანა ესე მდინარეთა კიდურნი კბოდოვანი, ფლატოვანი, ჭალიანი; მთის კერძო ვაკე და აყრილ-ტყიანი, ნიგვზნარ-ხილიან-ვენახიანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მაღლარსა ანუ ბაბილონსა. ღჳნო მრავლად და კარგი. აბრეშუმს აკეთებენ, არამედ არგეუთში უფროს. ბრინჯს არა სთესენ და ბამბას, სხუანი მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ. პირუტყუთა აქა უმეტეს სიმრავლე არგუეთ-რაჭისაგან, რამეთუ ზამთარცა მძოვარნი არიან აჯამეთიდამ გურიამდე. ნადირნი მრავალნი, და აღვსილნი ტყენი მცირე-დიდითურთ. ფრინველნი ურიცხუნი. თევზნი, ფერსათის მომდინარეთა წყალთა შინა, კალმახნი მრავალ და სხუა არარაჲ, და ვაკე-

თა კირჩხიბნი. კაცნი მგვანენი არგუეთისანი. მსახლობელნი არიან მთავარნი, აზნაურნი. პირველად იყო არგუეთის საერისთო, და აწ პირველი სადროშო.

საჩიჯავაძოსათჳს

ხოლო საჩხეიძოს დასავლით არს საჩინო და მის დასავლით საჯავახო. მზღვრის ამას იგივე მთა ფერსათი, ჩდილოთ რიონი, რომელი განჰყოფს ვაკესა და საჩიჯავაძოს, დასავლით მზღვრის ფერსათიდამ ჩამოსული მცირე მთა ჩდილოთ კერძ, საჯავახო-გურიის განმყოფელი, ვიდრე რიონამდე, და აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ სალომინაოს და საჩიჯავახოს შორისი ხაზი. არამედ არს ადგილი ესე, ვითარცა აღვსწერეთ საჩხეიძო, და უმეტესადცა ნაყოფიერი და ბარი. კაცნი მათგან ურბნილესნი, და სადროშო მათივე. და ორთა ამათ ადგილებთა დიან მდინარენი, რომელნიცა გამოსდიან ფერსათის მთასა.

ვაკის საზღვირსათჳს

ხოლო საჩიჯავახოს-სალომინაოს, რიონს გაღმით, სამჴრეთით არს ვაკე, და ისახელების მათ ადგილთა სივაკისათჳს. და ამას მზღვრის: აღმოსავლით წყალწითელა ყვირილიდამ კუახჭირის მთამდე; სამჴრით მზღვრის ყვირილა და რიონი; დასავლით ცხენის-წყალი და ცხენისწყლიდამ წასული ხაზი ისულეთამდე და რიონამდე; ჩდილოთ კუახჭირის მთიდამ წარსრული ხაზი დასავლით, კახნიაურს ქუეით, ირიბად, ქუთათისის დასავლით, და მაღლარის და ოფიშკვი-თის აღმოსავლით, და გუბისწყლის სათავის გორაებზედ, ვიდრე გვასტიბის ბოლოდ ცხენისწყლამდე. და არს სამკუთხედ ადგილი

1-24 სტრ., 774

ესე.ამას შინა, ცხენისწყლისა და რიონისაკენ, არს საჭილაო, სამიქელაო. და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა-ვე, რომელნი დავსწერეთ, თჳნიერ ბრინჯისა. პირუტყუნი მძოვარ არიან ზამთარ-ზაფხულს. ფრინველნი ურიცხუნი. თევზნი არასადა, თჳნიერ რიონისა, კირჩხიბი მრავალ. არსადა არს მდინარე, თჳნიერ გუბისწყლისა, და იგიცა მცირე. იზრდებიან ჭით. არამედ ადგილ-ადგილს ჭათა შინა არს ჭია, რომლისა წყლის სმით გამობერავს ყელ-სა, და დაეკიდების კაცსა და ქალსა, ვითარცა პარკი დიდი. უწოდე-ბენ ყიყჳს. ვენახნი დაბლარნი არიან მრავლად, ხილნი მრავალნი ტყეთა შინაცა. ტყენი აყრილნი, და უწოდებენ ეწერს; და ეწერნი არიან არგუეთს, საჩხეიძოს და საჩიჯავაძოსა შინაცა. კაცნი და ქალ-ნი ჰგონე ეგრეთნივე, არამედ უმეტეს მსწრაფლ მოუბარნი, ფრიად მუშაკნი, რბილად მქცეველნი. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი. პირველად იყო საერისთო ციხე-გოჯისა და შემდგომად იქმნა ქუთა-თისისა, ოკრიბისა თანა. აწ ესეცა პირველი სადროშო.

ოკრიბის საზღვრისათჳს

ხოლო ამ ვაკის აღმოსავალ-ჩდილო არს ოკრიბა და არგუ-ეთის ჩდილო-დასავლეთად, რომელი ისახელა თჳსის ადგილობისა-განვე, რამეთუ გარემოთა ადგილებთა თჳსთაგანვე სრულიად მჩენა-რობს ოკრიბა, და ამისთჳს ითქმოდა: „ოო, კრება ესე კეთილ-შუე-ნიერ ადგილ არს“! ხოლო ოკრება ესე იმზღვრების: აღმოსავლით მთით რაჭასა და ამას შორისით, ველევ-საღორის მთით, და საღო-რის მთიდამ წასრულის სამჴრით, ვიდრე ჩხარამდე, მთითა ოკრიბა-არგუეთს შორისით; სამჴრით ჩხარიდამ დასავლეთად წასრულის

1-25 სტრ., 775

მთით კუახჭირამდე, მერმე კახნიაურის ხაზით რიონამდე; ჩდილოთ ველევი, ნაქერალა, გაჭრილი, წმიდა გიორგის მთანი, ვიდრე დღნო-

რამდე, მერმე ხომლის კლდიდამ წარსრული მთა დასავლეთად, ვიდრე გვასტიბემდე; დასავლით კახნიაურიდამ წარსრული ხაზი, ვიდრე გვასტიბემდე, ოკრიბა-ვაკის საზღვარი.

და არს ამათ შინა ქუეყანა, თჳნიერ ბრინჯ-ბამბისა, ყოვლითა მარცვლითა ნაყოფიერი ფრიად, ხილითა, ვენახითა. არამედ ვენახი მაღლარი, ღჳნო მსუბუქი, მხე-გემოიანი. პირუტყუნი არგუეთისაებრ, ფრინველნი და ნადირნი მრავალნი. არს მცირე მთა-გორიანი, ტყიან-ბალახიან-ყვავილიან-წყაროიანი.დის მდინარე წყალწითელა და მისნი შემრთველნი, და ქუთაის ზეით რიონი და მასში შემრთველი ხომლის კლდემდე. თევზნი, თჳნიერ კალმახისა, არარა. კირჩხიბნი მრავალნი. კაცნი და ქალნი ჰგონე ვითარცა ვაკისანი, გარნა უღონო მუშაკნი, ვერ ღონიერნი. არამედ მთავარნი და აზნაურნი მჴნენი, ზნეობიანნი, შემმართებელნი. ეს ოკრიბა რიონის აღმოსავლეთი პირველად იყო არგუეთისა, და დასავლეთისა ნაქალაქევის საერისთოსი, შედგომად იქმნა ქუთათისის საერისთოსი და აწ – მეოთხე სადროშო ლეჩხუმითურთ, მეფისა თანა მყოფნი. და სახელნი ესენი ადგილებთა ამათ, რომელნი აღვსწერეთ, ანუ ეწოდათ ესრეთ ანუ ეგროსის ძეთაგან და ძის ძეთაგან, ვითარცა სხუათა ადგილებთა. და ვინაჲთგან შევასრულეთ იმერეთი, აწ ვიწყებთ ოდიშს.

ოდიშისათჳს

ხოლო ესე ოდიში ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეგრელნი, რამეთუ ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი. ამას სწერენ ევროპელნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარიღო ოქროს რუნი,

1-25 სტრ., 776
ანუ საწმისი.არამედ ჭალაკი იგი აქა არასადა მოიპოების, არცა მატიანე ჩუენი მოიჴსენებს მას, გარნა რამეთუ მას ჟამსა ეგრის-წყალს იქითი, დასავლეთისა, ეპყრათ ბერძენთა, აქა არს ადგილი იგი. ამისთჳს უწოდეს მეეგრელნი. ხოლო ოდიში – განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყოდიან; „ოდეში იყომე ქუეყანა იგი ჩუენი“, და ისახელნენ აწამდე ესრეთ. ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენისწყალი და ხაზი ისულეთამდე, მერმე თაკუერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიდამ ჩამოსული სამჴრით და კუალად თაკუერიდამვე წარსრული კავკასი ჩდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშსა და სუანეთს შორისი; სამჴრით მდინარე რიონი, გურია--ოდიშს შორისი, და კუალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღუა; დასავლით ზღუა შავივე და კუალად ანაკოფიის მცირე მთა, კავასიდამ ჩამოსული სამჴრით ზღუამდე; ჩდილოთ კავკასის მთა. ხოლო ცხენისწყლის დასავლეთის კერძო რომელი დავსწერეთ,

ოდიშისა არს. და ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და
ციხე კეთილნაშენი.

ბანძას ზეით და ცხენისწყლის დასავლით, და მისი მჭურეტი
მაღალს ადგილზედ, არს ჭყონდიდი, ეკლესია გუმბათიანი, დიდ-
შენი, მარტვირისა. ეს აღაშენა ფ~ მეფემან აფხაზთამან გიორგიმ და
შეამკო ყოვლითა შემკობილებითა საეკლესიოსათა. დაფლული არს
მეფე ბაგრატ. ამანვე დასუა მუნ ეპისკოპოზი, და აწცა არს მწყემსი
უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენისწყლამდე. ამათთა დასავლით დის
მდინარე აბაშა, პირველ სხჳს სახელით წოდებული. შემდგომად,
მოიქცა რა ანაკოფიიდამ მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულთა მოაშთო
ამან პ~ჩ აბაში, და მიერითგან იწოდა აბაშა. ამაზედ არს სახარია,

ციხე და სასახლე დადიანისა. ესე სიგრძით არს ტეხურის შესართა-
ვამდე. გამოსდის კავკასს, ოდიშსა და სუანეთს შორისს, და დის ჩდი-
ლოდამ სამჴრით. არა არს მას შინა თევზი, თჳნიერ კალმახისა.

ამის დასავლით დის მდინარე ტეხური. იწოდა ჩქარად დი-
ნებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს ჴიდსა თუ სხუა-
სა რაის. გამოსდის მასვე კავკასსა, მიერთვის ისულეთს ჩდილოდამ
რიონს. ხოლო ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას
მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შხეთს ციხე
დიდნაშენი და სასახლე დადიანისა. ამას ზეით, კიდევ ტეხურისავ კი-
დეზედ, არს სენაკს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, საყოფე-
ლი აფხაზთა კათალიკოზისა. აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს
ნაქალაქევი, ციხე გოჯად წოდებული. ეს აღაშენა ა~ მე-
ფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთოვე
იყო სრულიად რიონის დასავლეთი სუანეთით. შემუსრა ყრუმ, არა-
მედ იყო კუალად ქალაქი, და შემდგომად მოოჴრდა ქალაქი. აწ არს
ციხე კუალად და სასახლე დადიანისა. ხოლო ამ ტეხურის დასავლის
კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს მცირე მთა კავკასამდე, ტყიანი და
ნადირიანი. ამას უწოდებენ უნაგირას. ამ მთას მზღვრიდენ ოდეს-
მე იმერთა და ოდიშთა საზღვრად. და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე
მთის ძირი სალიპარტიანო. არიან ამ ადგილთა შინა მოსახლენი მთა-
ვარნი და აზნაურნი. და არს ქუეყანა ესე მგზავსი ვაკისა და უმეტეს
ნაყოფიერი და ტყიანი.

ხოლო ისულეთს, ტეხურის შესადინარს ქუეით, სადაცა ერთვის
რიონი ზღუას, აქა არს ფოთი. და ამ ფოთის ჩდილოთ კერძ შესდის

ზღუა ხორგის წყალი.მოიგო სახელი დაბის ხორგისა-
გან, ზღჳს კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კა-
თალიკოზისა. გამოსდის მასვე წინჴსენებულს კავკასს და მოდის აღ-
მოსავლიდამ დასავლეთად. ამავ წყალზედ, მთის ძირში, უნაგირას
ჩდილოთ, არს ციხე ჭაქვითი და სასახლე დადიანისა. ხოლო ამ
წყლის ჩდილოთ, მთის ძირს, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და
სასახლე დადიანისა. ამის ჩდილოთ დის ჭანის წყალი, წოდებუ-
ლი ჭელენჯიხის გამო. გამოსდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლი-
დამ დასავლეთად, და მიერთვის ზღუას ხოფს. ამ მდინარის ჩდილოთ
კერძოთ, ზღჳს კიდეზედ არს ხოფი. აქა არს ეკლესია გუმბათიანი,
კეთილშენი და შემკული. აქ ეკლესიასა შინა მსუენარებს პერანგი ყოვ-
ლად წმიდის ღვთისმშობლისა, სასწაულმოქმედი. ამ წყალზედ,
ჩდილოს კიდესა ზედა და ხოფს ზეით, არს ეკლესია ჩაისს, დიდი,
გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ
წყლის სამჴრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონა-ზღუამდე. ამავ
მდინარის ჩდილოთ კერძოდ დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი, სა-
სახლე დადიანთა, დიდშენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი.

ამ ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭელენჯიხი,
ეკლესია გუმბათიანი, დიდშენობა, შუენიერი, კეთილს ადგილს. ზის
ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორი-
სის ადგილთა, კავკასიდამ ზღუამდე. ამის ჩდილოთ დის მდინარე

ეგური, წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასვე სუანეთსა და
ოდიშს შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მი-
ერთვის ზღუას ანაკრიას. ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა ციხე,
ქრისტესსა ჩ˜ღგ, ქართულსა ტ˜ჟა, აწცა უპყრავთ მათვე. ანაკრიის
აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო
გამომდინარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესსა ჩ˜ქმზ, ქართულ-
სა ტ˜ლე, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩ˜ღკე, ქართულსა
უ˜იგ, და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად. რუხს ითხრების
კაჟი ჩახმახისა ფრიად კეთილი და მრავალი. რუხს ზეით, ამ წყალ-
ზედ, მთასა შინა არს სააფაციო სათავიდამ.

კუალად ამ ეგურის ჩდილოთ დის დადის-წყალი, წოდებუ-
ლი დადის დაბის გამო. გამოსდის მასვე აღმოსავლეთის კავკას-
სა, და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზღუას. ამ დადის-წყლის
ჩდილოთ დის ეგრისის წყალი, წოდებული ეგროსის, თარ-
გამოსის ძის, გამო. გამოსდის მასვე კავკასს, დის დასავლეთად და
მიერთვის ზღუას ილორს. ხოლო ზღჳს კიდეზედ, ამ წყლის დასავ-
ლითს კიდეზედ, არს ილორს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას

უდის აღმოსავლით ეგრისი, დასავლით მდინარე მოქჳსა, და უძეს სამჴრით ზღუა და ჩდილოთ ველი. არს ეკლესია უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული. არამედ სილოვანობის გამო, რათა არა შეირყეს ეკლესია, მოუღიათ ქვა დიდ-ფრიადი, ფიქალი და მას ზედა შენი არს სრულიად ეკლესია. აქ მოიყვანს ჴარს ყოველწლივ ი˜ნოემბერს,

რომელსა დაჰკლვენ და განიყოფენ მეფე დიდებულებითურთ. გარნა არს ფრიად სასწაულთმოქმედი ჭეშმარიტსა ზედაცა. არამედ მოსწუეს ოსმალთა ეკლესია ილორისა ქრისტესსა ჩ˜ღლგ, ქართულსა უ˜კა.

ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თჳსი. არამედ ამას შემდგომად უწოდეს ბედია, რომელი დასუა ა˜მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთისა, ვინაჲთგან ჰპოვა ბედი. მერმე აფხაზთა მეფის ლევანისაგან განიყო, და ცხომის ერისთავი სხუა, ბედიისა სხუა, აფხაზთა სხუა, თამარ მეფემდე ესრეთ. შემდგომად რუსუდანისა – ოდიშისა დადიანი, და ბედიელი მას აქეთისა, არღარა ცხომისა. აქავ, ბედიას, აღაშენა ნ˜დ მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდ-შუენიერ გუმბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად. ამისთჳს წერილ არს: „ვისაც გენებოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ ნ˜დ მეფისა, გინიხილე ბედიის ეკლესია და მით სცნობ“. დასუა ეპისკოპოზი ოდიშისა, და აწცა ზის, და მწყემსი არს დადის-წყლისა და მოქვის-წყლის შუათისა ადგილთა. აქავ მოიღო იგივე მეფე ბაგრატ ზვიადა ერისთავმან და დაფლა.

ხოლო ამ ეგრისის მდინარის დასავლით დის მოქჳს მდინარე ჩდილოდამ სამჴრით. გამოსდის კავკასს და მიერთვის ილორს ზღუას. ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს მოქუს ეკლესია გუმბა-

თიანი, დიდნაგები. აღაშენა თ˜მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქჳს მდინარის შორისის ადგილისა. არამედ ეს მდინარე მოქჳსა დის მოქუამდე აღმოსავლიდამ დასავლეთად. ხოლო მოქჳს მდინარის დასავლით დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა. არამედ აწ აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზნი. გარნა მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად,

გამომდინარე კავკასიიდამ, და დრანდიდამ ზღუამდე დის ჩდილოდამ სამჴრით. მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელ არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში.

ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომი-
სა, გამომდინარე კავკასისა, და მოერთვის ზღუას ჩდილოდამ. ამ წყალზედ, მთაში არს ცხომი, და ისახელების მდინარე ესე ამის-
გან. იყო ცხომი ქალაქ და საერისთო, და აწ დაბა. ამ ცხომის და-
სავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავ-
კასისა და მომრთველი ზღჳსა ეგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღ-
მოსავლით და ზღჳს კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია. ეს აღა-
შენეს ბერძენთა. აქავ ერეკლეოს კეისარმან დასუა ერისთავი აფ-
ხაზთა, ეგრისის მდინარის დასავლეთისა ზღუამდე. იყო ქალაქი კე-
თილი, შუენიერი, ზღუასა ზედა წაშენებული, და შემდგომად ბაგრა-
ტიონთაგან უმეტეს განდიდებული, რომლისა ზღუასა შინა სუეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან. არამედ აწ ოჴერ არს; და საზღვარი

ოდიშისა და აფხაზეთისა; ამ ანაკოფიის აღმოსავლით ზღჳდამ მთამ-
დე შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსლვე-
ლობისათჳს, გარნა აწ უქმად არს.

ხოლო სიგრძე ოდიშისა არს კავკასიის თხემიდამ ზღუამდე და ცხენის წყლიდამ ზღუადმდევე, და მეორე – ეგრისის წყლიდამ ანა-
კოფიამდე. და განი მისი რიონის მდინარიდამ ეგრისის მდინარემდე, და მეორე – ზღჳდამ კავკასის თხემამდე. და არს ჰავითა ესე ოდიში მშუენი. ზაფხულს ზღჳს პირნი და ვაკენი ცხელი და არა გაუძლისი, მთის კერძონი გრილნი, აგარაკოვანნი, კეთილნი. ზამთარ თბილი, არამედ ზაფხულცა სუელი, და ნამიანი, ნოტიო, გარნა უწყინარ-
უვნო, უქარო და უყინვო, დიდთოვლიანი. მოსავალნი მარცვალთა ფრიად ნაყოფიერნი მრავლად, რამეთუ ბრინჯი ნაყოფიერებს ურ-
წყავად. ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი, ბროწეული ადგილ ადგილს და სხუანი ხილნი მრავალნი. ვენახნი მაღლარნი, ღჳნო მსუბუქი და კარგი. აქა არს ღჳნო ზარდაგი, ფერისათჳს ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა. აქ ჰყოფენ აბ-
რეშუმს უმეტეს მრავლად იმერეთისაგან. პირუტყუნი – ცხოვარნი მცირედ და სხუანი მრავლად, რამეთუ უვისთ ჯოგად, მროწლედ, და თხა, ცხოვარი და ღორი ერთ არვედ. რამეთუ არა უჴმსთ მწყემ-
სი, და მძოვარ არიან ზამთარ-ზაფხულს ბალახთა. ფრინველნი მრა-
ვალნი; ფუტკართაგან თაფლი და ცჳლნი მრავალნი, ვინაჲთგან ტყე-
თა შინა მრავლად არიან. ნადირნი წურილნი და დიდნი ურიცხუნი, თჳნიერ ქურციკისა, და სანადირო მრავალნი და კეთილნი.თევზნი

1-24 სტრ., 783
მთის კერძოდ კალმახნი მრავლად, ხოლო ვაკეთა სხუანი თევზნი და კირჩხიბნი ურიცხუნი. ზღუასა შინა იპყრობის ანდაკია და სხუანი ზღჳს თევზნი. მდინარეთა შემდინარეთა ზღუათა შინა უწოდებენ მას ადგილს თუალსა, და არიან ნავსადგურნი. მოდგებიან ნავნი და ვაჭრობენ.

ხოლო არიან კუალად ამავ ადგილებთა შინა ჴევნი და მცირე მდინარენი და წყარონი კეთილ-გემოიანნი, რომელნი სიგრძისათჳს დავიდუმეთ. არიან კაცნი და ქალნი შუენიერნი, არამედ იმერთაებრ არა ტანოვანნი, ჴორციანნი და მწითურნი, გულმწყრალნი მყისად და მსწრაფლნი, ბრძოლათა შინა იმერთაებრ ვერ ქებულნი, ბრძოლიდამ გაბრუნებით ქებულნი. სარწმუნოებითა, რჯულითა, და წესითა, და ქცევითა იმერთათა. სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი. ენით არიან – დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თჳსიცა ენა, გარნა წამჴდარი ქართულივე, ვითარცა: ღმერთი – ღორონთი, ჩემი – ჩქიმი. და აქუსთ წიგნი ქართულივე და არს სხუა. ხოლო აწ ეგრისის მდინარემდე უპყრავსთ აფხაზთა, და მას ზეითი სამჴრის კერძო დადიანსა. კუალად ქუეყანა ესე არს ფრიად ტყიანი, მთით ბარამდე, და მცირე ველოვანი. მდინარეთა კიდენი ჭალოვანნი და ვაკეთა აყრილნი ეწერნი, ბარდოვან-ტალახჭანჭრობიანი და ფრიად წჳმიანი. ამისგან არს ფრიადი ნოტიობა, გარნა უვნებელი.

აფხაზეთისათჳს

ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაჲთგან წილი ეგროსისა

1-20 სტრ., 784
არს ზღუამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე. არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძნეთა, მათ უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი. გარნა უმეტეს საგონებელ არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე. ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული ზღუამდე; დასავლით ზღუა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხუანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღუამდე; ჩდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამჴრით ზღუა შავი. სიგრძე ამისი არს ანაკოფიიდამ კაპპეტის მდინარემდე ანუ ზღუამდე; განი ზღჳდამ კავკასის თხემამდე.

ხოლო ანაკოფიის დასავლით დის აღაცოს წყალი. გამოს-
დის კავკასს და მიერთვის ზღუას ჩდილოდამ. ამ აღაცოს წყლის და-
სავლით დის ზუფუს მდინარე, გამოსდის კავკასს, დის სამჴრით,
მიერთვის ჩდილოდამ ზღუას. არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრი,
სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მპყრობლობს აფხაზთა,
არავის მორჩილებასა შინა მყოფი. ამ ზუფუს დასავლით დის მუ-
წის-წყალი. გამოსდის კავკასსავე, მოერთვის ჩდილოდამ ზღუას.
ამ მუწის-წყლის დასავლით არს ბიჭვინტას ეკლესია დიდი,
დიდშენი, კეთილ ფრიად, გუმბათიანი, ზღჳს კიდესა ზედა. ეს აღაშე-
ნა იუსტინიანე კეისარმან შემკობითა დიდითა. პირველ იყო საეპის-

კოპოზო. ჟამსა აფხაზთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ, და აწ
არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ აწ ხუცის ამარად,
ვინაჲთგან აფხაზნი არღარა მონებენ რჯულსა და სარწმუნოებასა
(ამას ვგონებ ნიკოფსიად, და ეკლესიასაცა მასზედ აღშენებულ-
სა მისთჳს, ვინაჲთგან ნიკოფსიას დაფლულ არს მოციქული სჳმონ
კანანელი). ამის ბიჭვინთის დასავლით დის კაპპეტის მდინა-
რე, დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე რაჭის მთას, კავკასსა,
გამოვლის სუანეთს, ალანსა და მას ქუეითთა ორს კავკას-შორისთა
და მოერთვის აქა ჩდილოდამ ზღუასა.

ხოლო ესე აფხაზეთი შემკული არს ყოვლითა ნაყოფიერებითა
და ჰავითა, რამეთუ ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, ხილნი, ვე-
ნახნი, პირუტყუნი და ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი.
არამედ თხა აქაური ფრიად შუენიერნი, ბალნითა წმინდა და ჭრელ,
კანჭმაღალი, ტანად დიდი, რქანი მაღალნი, ვითარ ადლნახევარნი,
წუერნი გძელნი, ვიდრე მუჯლთ დაბლამდე. გარნა არს ესე აფხაზე-
თი ტყიანი, ჭალიანი, ეწროვანი და მცირე-ველოვანი; მთის კერძო-
ნი აგარაკოვანნი. ხოლო კაცნი მგვანენი მეგრელთა და უმეტეს
ცქჳტნი და ტანოვანნი, წერწეტნი, მპარავნი, ავაზაკნი, ზღუათა ში-
ნა მავალნი ოლეჭკანდარებითა, რომელთა შინა შთასხდებიან რ˜,
ს˜ და ტ˜, დაუჴდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად
ოდიშ-გურიასა. არამედ არიან ბრძოლასა შინა მდედრნი, მალ-მიმ-

დრეკნი, ზღუასა შინა მაგარნი და ძლიერნი. სარწმუნოვებით არიან
ქრისტეანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიცხჳან, ვითა-
რცა კერპნი, ვინაჲთგან არა დაჰფლვენ მკუდართა თჳსთა, არამედ
მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოთა
შინა და შესდგენ ხეთა ზედა, და უკუეთუ შტვენს მკუდარი იგი ეშ-
მაკისა მიერ, სწამთ განსუენებულად მერმესა მას. გარნა უწყიან ნა-

თესაობა, ცოლი ერთი, მარხუა, აქუთ სასოება მღუდელთა ფრიად. არა იქმნებიან მათ შორის სიძვა, მრუშება, რამეთუ დასწუენ შემცოდეთა. უყუართ სტუმარი და პატივსა უყოფენ, და შეიწყნარებენ ფრიად. ენა საკუთარი თჳსი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული. სხდებიან სკამთა ზედა და სჭამენ ტაბლასა ზედა. და არიან ერდგულნი ფრიად თჳსთა მეპატრონეთა და მორჩილნი მისნი.

ჯიქეთისათჳს

ხოლო ამ აფხაზეთს იქით, კაპპეტის წყლის დასავლეთს, ბაგრატიონთ ჟამს აქეთ აქამომდე უწოდებენ ჯიქეთს, არამედ გორგასლის ცხორება უწოდებს ჯიქეთს ამ ჯიქეთს ჩდილოთ კერძოს, კავკასის მთის იქითს კერძს ზღუამდე. და ამ აწინდელს ჯიქეთს მზღვრის: აღმოსავლით კაპპეტის წყალი; დასავლით შავი ზღუა; სამჴრით იგივე ზღუა; ჩდილოთ კავკასი. და არს ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა: მოსავლით და ცხოელით, წესით და ქცევითაცა. არამედ კაცნი უმეტეს მჴეცთ მზგავსნი. ყოფილან პირველად

ქრისტეანენი, არამედ აწ უცნობელნი მისნი. გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი, და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერნიცა ჴმარობენ.

სუანეთისათჳს

ხოლო სუანეთი იმზღვრების ყოვლითგან კავკასიის მთით, და არს რაჭა-ლეჩხუმის ჩდილოთ და ოდიშის აღმოსავლეთით. და მზღვრის სუანეთს: აღმოსავლით სუანეთსა და ბასიანს შორისი კავკასია; ჩდილოთ დიდ-ყაბართ-ჩერქესა და ამას სუანეთს შორისი კავკასია; სამჴრით სუანეთსა და რაჭა-ლეჩხუმს შორისი კავკასი; დასავლით სუანეთსა და ოდიშს-შორისი კავკასი და ალანის საზღვარი. სიგრძით არს რაჭის კავკასის თხემიდამ ოდიშის კავკასის თხემამდე და ალანამდე, და განით რაჭა-ლეჩხუმის კავკასის თხემიდამ ჩერქეზის კავკასის თხემამდე, და რაჭისაკენ ვიწრო, ხოლო ლეჩხუმისაკენ განიერი, და მას ქუეით, ოდიშის კერძოდ, უმეტეს განიერი. ამას უდის საშუალსა მდინარე თჳსი, რომელი იქმნების ბოლოს კაპპეტისა, გამოსდის რაჭის მთას კავკასს და მიდის დასავლეთს-ჩდილოს შორის. ამ მდინარეს მოერთვიან ამიერ-იმიერიდან ჴევნი მდინარენი.

ხოლო რაჭა-ლეხუმის სამჴრით არს ლაშხეთი, და ლეჩხუმის სამჴრით და ოდიშის აღმოსავლით არს ეცერი. აქა არს ეკლე-

სია სუეტიად წოდებული, სახიზარი სუეტის ცხოველის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყჳან სუეტის-ცხოველის კანკლის ყოფასა

1-27 სტრ., 788
დღესაცა, რომელი მოიღო გორგასალ ინდოეთიდამ, წითლის იაგუნდისა ქმნილი.
არამედ საჩინოდ არიან აწცა ხატნი და ჯუარნი ოქროვეცხლისანი და მოოჭვილნი ქვითა, მრავალნი და პატიოსანნი, დიდნი და მცირენი, რომელთა ზედა აქუსთ სასოება და პატივ-სცემენ. არამედ უმჯობესი ხატი უბიათ ძეწკჳთა ოქროსათი და იტყჳან: „უკეთუ აუშვათ, დალეწავს ყოველსავე აქა მყოფსა ხატ-ჯუართა“, და ესოდენ უგუნურ არიან თჳსითა უცნობელობითა. არამედ თუ შევიდეს მუნ სასიკუდინო ანუ ტყუე, ვერარაისაღა უყოფიან, გარნა განუტევებენ თავისუფლად. კუალად აღმთქმელსა ანუ მფიცარს მას ზედა დაერწმუნებიან ფრიად.

ხოლო სუანეთი არს მოსავლითა და პირუტყჳთა, ვითარცა აღვსწერეთ დუალი, ანუ აწინდელი ოსეთი, და უმეტესი მწირიცა. სივიწროვით, მთით და კლდით და მდინარეებით ფრიად მაგარი. არამედ სახელი ესე ეწოდა: ოდეს ვერღარა იტევდა ძურძუკეთი კაცთა, ბ˜მეფემან საურმაგ აჰყარა მუნიდამ და მისცა აქა სავანე და დასხსნა სულნი დიდძალნი. ამის გამო იწოდა სავანეთი. არამედ არიან კაცნი დიდ-ტანოვანნი, ახოვანნი, დიდ-მძლედ მუშკანი, ბართა შინა რაზმთა ვერ შემმართებელნი, მთათა სიმაგრეთა და ციხეთა შინა მაგარნი, სიკუდილის არა მომჴსენენი, ავაზაკნი, მეკობრენი, უწყალონი, ბრიყუნი, უზნეონი. სარწმუნოებით არიან იმერთა თანა ქართულითა და უმეცარნი აწ მისნიცა. ენა თჳსი აქუსთ საკუთარი, გარნა უწყიან ქართულიცა. პირველად იყო ეგრისის საერისთო, შემდგომად დასუეს მეფეთა მისი ერისთავი, და აწ უვისთ გელოვანი, ვითარცა პატრონი მათი, და არიან თჳსად და არღარავის მორჩილებასა შინა.

ალანისათჳს

ხოლო ალანი არს სუანეთის დასავლით და ბედიის ჩდილოთ. აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი სუანთა; სამჴრით კავკასი

1-24 სტრ., 789
ბედია-ოდიშს და ამას შორისი; დასავლით კავკასი; ჩდილოთცა კავკასი.უდის შუაში სუანეთის მდინარე. მოსავლით და პირუტყჳთ სცან, ვითარცა სუანეთი. არამედ კაცნი კერპნი, უსჯულონი. გარნა პირველ იყვნენ ქრისტეანენი და აწ კერპნი, და რომელნიმე მოჰმადიანი და მისიცა უმეცარნი. ხოლო კავკასნი, რომელნი აღვსწერეთ

ამ ადგილებთა შინა, კედელის კავკასის მთიდამ, ვიდრე ჯიქეთამდე, არიან ეგრეთივე მყინვარენი მთანი, ვითარცა ქართლისანი და ოსეთისანი, სიმაღლით, მყინვარებით და ყოვლითურთ. არამედ სუანეთი და ალანი იყო კავკასისავე წილნი, და მეფეთა ქართველთა თჳთ განიმკჳდრეს, ვითარცა აღვსწერეთ.

გურიისათჳს

ხოლო გურია არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქართლოსისა. გარნა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა, მაშინ ამათ არღარა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთვისა, რომელნი იყვნენ ძენი სტეფანოზ ბაგრატიონისანი, ადარნასე და ძე მისი აშოტ. ამათგან განდგნენ და მიერთნენ ლეონს, ვითარცა სახელი აცხადებს: „გურიობით განდგომილნი“. და ენა მათი, რომელსა უბნობენ, მესხურ და არა იმერთაებრ. არამედ მზღვრის ამას გურიას: აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, სამჴრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიას შორისი; ჩდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი და დასავლით შავი ზღუა. ხოლო რიონის თუალზედ, სამჴრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა წელსა ჩ˜ღკე, ქართულსა უ˜იგ, ნავსადგურობისათჳს, და დგანან მუნ მჯდომარის ფა-

შით. აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე, და ამ ფოთის აღმოსავლით, რიონის კიდესა ზედა არს ლანჩქუთი. ამ ლანჩქუთის სამჴრით წარმოვალს მთა საჯავახოს მთიდამ დასავლეთად, და, სადაცა დასწყდების მთა ესე, არს ამ მთის მაღალს თხემსა ზედა ეკლესია ჯუმათს, დიდი, გუმბათიანი, დიდშენი, მჭურეტი ზღჳსა და გურია-ოდიშისა. არამედ ზამთარ არს გაუძლისი და ზაფხულ საამო, მშუენი, კეთილ-ჰაოვანი; ზის ეპისკოპოზი, მწყემსი სუფსეის მდინარისა და რიონს შორისის ადგილთა. და არს მთა ესე ჯუმათისა ტყიანი, შენობა-დაბნებიანი, ვენახ-ხილ-მოსავლიანი და ნადირ-ფრინვლიანი.

კუალად ფოთის სამჴრით, ზღჳს კიდეზე, არს ტბა პალიას-ტომისა, დიდი. ამ ტბიდამ შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქიდამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსუენებისათჳს. იპყრობის თევზნი სხუადასხუანი მას შინა ურიცხუნი. ამას იტყჳან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან. კუალად ამ ტბისა და ჯუმათის მთის სამჴრით დის მდინარე სუფსეი, გამომდინარე სამცხე-გურიის შუას მთისა, მომდინარე ბახვის-წყლამდე ჩდილოს-დასავლეთს შუა, ბახვის წყლიდამ ზღუამდე აღმოსავლიდამ დასავლე-

თად და მიერთვის ზღუას აღმოსავლიდამ. არს მდინარე კარგი და თევზიანი. ბახვის წყლის შესართავს ზეით არს ციხე ბერი-ძისა, სამჴრითკენ მას ზეით ჴეობა სურები, ვენახ-ხილიანი, მოსავ-ლიანი; მოსახლენი მჴნენი. სუფსეის სამჴრით და ბაილეთის ჩდი-ლოთ არს გურიანთას ციხე, კლდე-გორასა ზედა შენნი. ამის

1-23 სტრ., 791
სამჴრით დის აკეთ-ბაილეთის წყალი. გამოსდის სურების მთას, მიერთვის ზღუას აღმოსავლიდამ.

ამ მთის ძირში არს ციხე ასკანისა. ამისვე სამჴრით, მთის ძირში, არს შემოქმედი, ეკლესია დიდშენი, გუმბათიანი, შემკუ-ლი ყოვლითა. იყო ესე საარქიმანდრიტო, აწ არს საეპისკოპოზო. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი მას ქუეითის გურიისა. აქა დის მცირე მდინარე, გამოსდის სურებსა და ხინოს შუას მთას, და დის გრეხით, მიერთვის ხინოს წყალს ჩდილოდამ. ამ წყალზედ, შემოქმედს ქუეით, არს ოზურგეთი, სასახლე დიდშენი, კეთილ-პალატოვანი, გურიელი-სა. აქავ სახლობენ ვაჭარნი სომეხ-ურიანი და ვაჭრობენ. ამ ოზურ-გეთის სამჴრით დის მდინარე ხინოსი, გამომდინარე აჭარა-გურიის მთისა. მოდის აღმოსავალ-სამხრეთს შუადამ, ჩდილო დასავ-ლეთს შუა, ლეხეურის ციხემდე. მერმე დის აღმოსავლიდამ დასავლე-თად, მიერთვის ზღუასა აღმოსავლიდამ. ამ მდინარისა და შემოქმედს შუა არს ციხე ლეხეურისა, მთის ძირს. და მას ზეით მთაში, ამ წყალზე ჴეობა ხინოსი არს მაგარი და მთებრი, არამედ ვენახ-ხილიანი და მოსავლიანი. აქ ხინოს არს ეკლესია გუმბათიანი, კე-თილ-დიდშენი, კარგს ადგილს.ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოს-წყლის სამჴრეთის ჭოროხამდე.

არამედ გურია იყო სრულიად ქუთათლის სამწყსო, ხოლო შემ-დგომად განყოფისა სამეფოთა, გურიელთაგან დაიდგინნეს სამნივე ესე ეპისკოპოზნი, თჳსისა დიდებისათჳს. ამ ხინოს მდინარის სამ-ჴრით, მთის ძირს, არს აჭვს ციხე კარგი; და ხინოს მდინარის შე-

1-21 სტრ., 792
სართავთან ზღუაზედ არს ალამბარი, სასახლე შენი, გურიელთა, ფრიად შუენიერს ადგილს. კუალად ალამბრისა და აჭვს სამჴრით დის მდინარე ქობულეთისა. გამოსდის ხინო-აჭარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღუასა ეგრეთვე. ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი. ამის სამჴრით დის ჩაქვის-წყალი. გამოსდის აჭარის მთას, მო-დის დასავლით, ერთვის ზღუას სხუებრთაებრ. ამ წყალზე, ზღჳს კი-დეს, არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალსა კლდესა ზედა შენი.

აქუს გჳრაბი-კლდე, გამოკუეთილი გზად. ამას ზეით არს ამ წყალზე ჩაქვი. და ამ ჩაქვის სამჴრით დის ჭოროხის მდინარე. ზღჳს შესართავზედ და ჭოროხის ჩდილოთ კიდურზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი, აწ უპყრავთ ოსმალთა. ამას ზეით, ჭოროხის ჩდილოსავე კიდესა ზედა, არს ერგე, და ბათომის პირისპირ, ჭოროხის სამჴრეთის კიდეზე, არს გონია, მცირე ქალაქი და ციხე. უპყრავთ ოსმალთა, რომელი აღაშენეს ქრისტესსა ჩ˜ფმზ, ქართულსა ს˜ლე.

ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდამ ზღუამდე და განი ჭოროხიდამ რიონამდე. ჰავით არს კეთილი და მშუენი, ზაფხულის ცხელი. წჳმიანი, სოელი, ნოტიო. ზამთარი თბილი, დიდთოვლიანი, ვითარცა იმერეთი, და უყივნო; მთა-გორიანი, აგარაკიანი, ტყიანი და მცირე-ველოვანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალ-

1-22 სტრ., 793
ნი. კუალად აბრეშუმი, ბამბა არა ეგდენ. ცხოვარნი მცირედ, სხუა პირუტყუნი, თჳნიერ აქლემისა, ჯოგად, მროწლედ, მრავალნი, და მძოვარნი ზამთარ-ზაფხულს უმწყემსოთ. ფრინველნი მრავალნი, ხილნი მრავალნი. და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღჳს კიდესაცა. ვენახნი მაღლარნი, ღჳნო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად. არამედ მდინარეთა წოდებანი არღარა დავსწერეთ, ვინაჲთგან თჳსივე სახელნი აუწყებენ დაბებთაგან.

ხოლო კაცნი და ქალნი მზგავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა. სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი, შემოსილნი ეგრეთვე და შუენიერებითაცა, არამედ უმეტეს კეკელანი და რბილნი, ენა-ტკბილმოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხჳსა. ბრძოლასა შინა შემმართებელნი და იმერთა თანა ვერ შემდარენი, უქურდალნი, უავაზაკონი; ვითარცა ოდიშარნი, სტუმრის მოყუარენი და კეთილად შემწყნარენი, კეთილ-მგალობელ-მწიგნობარნი, მშჳდნი, არამედ მყის გულმწყრალნი. გარნა გურიელს ეპყრა ოდესმე აჭარა, ჭანეთი, არამედ არს სამცხისა. ამისთჳს მუნვე დავსწერეთ.

ხოლო რაოდენნი ქუეყანანი ანუ ადგილნი დავსწერენით – მთათა, ბართა ანუ კავკასთა შინანი – საქართველოსანი, გარნა თუ აქუთ ზოგთა ენა სხუა, თჳსნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსავე აქუს, თჳნიერ ქართულის წიგნისა საკუთრად.

1-26 სტრ., 794

ცხორება ეგრისისა, აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა.

ხოლო ძე თარგამოსისა ეგროს, რა მოვიდა წილხდომილსა თჳს-
თა ძმათა შორის თჳსსა ქუეყანასა, ამან ეგროს ჰპოვა ადგილი ზღჳს
კიდის აღმოსავლეთით მთასა შინა. ამან აქა აღაშენა ქალაქი და უწო-
და სახელითა თჳსითა ეგრი, და ამ ეგროსისაგან განითესნენ ქუეყა-
ნასა ამას შინა ძენი და ძენი ძეთა ეგროსისანი და აღავსეს ქუეყანა
ეგროსისა და იყვნენ ესენი მორჩილებასა შინა მცხეთელ მამასახლი-
სისასა. ჟამად და ჟამად განდგომილნი, ვითარცა აღვსწერეთ. ხოლო
მოსლვასა არდამ სპარსთა ერისთვისასა და დაპყრობასა საქართვე-
ლოსასა, ამისა შემდგომად განდგნენ რა საქართველოსანი სპარსთა-
გან, მაშინ ეგრის მდინარის დასავლეთისათა მოიმწეს ბერძენნი, გან-
დგნენ საქართველოსაგან და მოსწყჳდეს სპარსნი და მიერთუნენ
ბერძნეთა, რამეთუ ძალითა ბერძენთათა ჰყვეს და დაშთნენ და იყვ-
ნენ იგინი მორჩილებასა შინა ბერძენთასა. ხოლო ეგრის მდინარის
აღმოსავლეთი კუალად იყვნენ მცხეთელ მამასახლისის მორჩილება-
სა შინა. ხოლო შემდგომად მოკლა რა პირველმან მეფემან ფარნაოზ
აზონ ერისთავი და დაიპყრა ყოველი საქართველო, არცაღა ამას
მოერთნენ ეგრისის მდინარის დასავლეთისანი არამედ ერჩდნენ ბერ-
ძენთავე და ეგრის მდინარის აღმოსავლეთისანი დაშთნენ ფარნაო-
ზის მორჩილებასა შინა. ამან ფარნაოზ განჰყო ეგრისი თჳსსა მორ-
ჩილებასა შინა მყოფი ორ საერისთოდ და დასუა ქუჯი ერისთავად
ეგრისს, რომელი აღაშენა ეგროს და უწოდა ბედია, ვინაჲთგან ჰპო-
ვა ბედი და მისცა ქუჯის რიონის დასავლეთი და ჩდილოეთი ზღუად-
მდე და ეგრისის მდინარემდე სრულიად სუანეთით. და მეორე დასუა
შორაპანს და მისცა საერისთოდ ნეშტი ეგრისისა, რომელ არს რიო-
ნის აღმოსავლეთი და სამჴრეთი ზღუამდე და ლიხის მთამდე და იყვ-

1-25 სტრ., 795
ნენ ესე ერისთავნი მორჩილებასა შინა მოხარკეობასა შინა მეფე-
თა ქართველთასა. არამედ სიმცირესა შინა ვახტანგ გორგასლისასა
მიუღეს ეგრისისა და ზღჳს პირნი ციხე-გოჯამდე ბერძენთა, გარნა
მერმე ვახტანგვე მიუღო მკლავითა თჳსითა ბერძენთა ჯიქეთი აფხა-
ზეთითურთ, საზღვარი თჳსი ოვსეთიდამ შემოსრულმან.

ამანვე ვახტანგ მისცა ლეონს კეისარსა ეგრისის მდინარის იქითი
საზღვარი ბერძენთა და მერმე ამზითვა კეისარმან ცოლსა ვახტანგი-
სასა ეგრისის მდინარის იქითი და ეპყრათ ხოსროვანთა. ხოლო შემ-
დგომად სტეფანოზ ბაგრატიონის ჟამსა მიუღო ერეკლეოს კეისარმან
კუალად ეგრისის მდინარის იქითი და დასუეს ბერძენთა ერისთავი
თჳსი ანაკოფიას და უწოდეს აფხაზთა ერისთავად, იყვნენ აქა ერის-
თავნი ერისთავი ცვლილებითა. ხოლო მოსვლასა მურვან ყრუსასა იყო ანაკო-

ფიას ერისთავი ლეონ, ამან ლეონ ისტუმრა მირ მეფე და არჩილ, პა-
ტივ-სცა და მსახურებდა მეფებრ და შემდგომად ყრუს უკუნქცევისა
ამ ლეონს მისცა კეისარმან მკჳდრად ერისთობა და არჩილ მისცა ასუ-
ლი მირ მეფისა და გჳრგჳნი კეისრული, აღმთქმელსა მორჩილებისა და
მონებისასა. არამედ შემდგომად ამ ლეონის სიკუდილისა დაჯდა
ძმისწული ამ ლეონისა ერისთავად ანაკოფიას ლევანვე სახელით.
ეს ლევან იყო ასული წული ხაზართა მეფისა და ვინაჲთგან მოუძ-
ლურებულ იყვნენ ბერძენნი აგარიანთაგან, ამან ხაზართა შეწევნითა
გაიმკჳდრა საერისთო თჳსი და მორჩილებდნენ სრულიად ეგრისი
მათთა მეფისა მოყუროზისათჳს და პატივსა უყოფდნენ, და შემდგო-
მად სიკუდილისა იოანესა და ჯუანშერისა განდგა ესე მეორე ლევან
და დაიპყრა ძალითვე ხაზართა და მორჩილებითა ეგრისელთათა სრუ-
ლიად ეგრისი ლიხის მთის იქითი ვიდრე ზღუადმდე და ხაზარეთამდე

1-27 სტრ., 796
და იწოდა მეფედ აფხაზთა და მოიღო საერისთოსა თჳსისა სახელი
ეგრისსა ზედა, ქ˜სა ღ˜პვ, ქარ. ვ˜, და ამათგანნი მეფენი მეფობდნენ
აფხაზეთს ი˜ა ბაგრატიონადმდე ესრეთ.

ა˜.მეფე ლევან, კ˜ წელი მეფა

ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ეგრისი,
არღარა უწოდა ეგრისი, არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი და
აწ აფხაზეთი რვა საერისთოდ:

ა˜. დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამ-
დე და ხაზართა მდინარემდე;

ბ˜. დასუა ცხომს და მისცა ეგრის-იქითი ანაკოფია ალანითურთ;

გ˜. დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენის
წყლამდე;

დ˜. ვინაჲთგან ამასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი, ჭო-
როხის სამჯრეთისანი და განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, უწოდა
გურია და დასუა მუნ ერისთავი თჳსი;

ე˜. დასუა რაჭა-ლეჩხუმისა;

ვ˜. დასუა სუანეთისა;

ზ˜. შორაპნისავე, რიონისა და ხანის-წყლის აღმოსავლეთისა

ლიხამდე სრულიად არგუეთისა;

ფ~. დასუა ქუთათისს ვაკისა, ოკრიბისა და ხანის-წყლის დასავლეთისა გურიამდე და რიონის დასავლით ცხენისწყლამდე.

ამანვე აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე და ჰყო საყდარი აფხაზთა მეფისა, ვითარცა ანაკოფია ჰყო ტახტად მეორედ ესე ქუთათისი. ამისგანვე საგონებელ არს განთავისუფლება აფხაზთა კათალიკოზისა, ნებითავე ბერძენთათა. ამან ლეონ მოიწყო აფხაზეთი და განაგო ყოვლითავე და შემდგომად კეთილმეფობისა მოკუდა ქ~სა ყ~ვ, ქარ. კ~ვ, და დაუტევა ძენი: თეოდოსე, გიორგი და დიმიტრი.

1-25 სტრ., 797

ბ~. მეფე თეოდოსე, ლ~თ წელი მეფა

გამეფდა შემდგომად ლეონისა ძე მისი თეოდოსე. ამან დაიწყო უმეტეს აფხაზეთი; ესე თეოდოსე იყო სიძე აშოტ კურადპალატისა. ამანვე უშუელა კახთა მთავარსა გრიგოლის ზედა აშოტ კურადპალატსა. ესევე ეწყო ბაგრატ მეფეს, ცოლის ძმასა თჳსსა, და ბუღა თურქს კვერცხობს სპითა თჳსითა. შემდგომად ლტოლვილმან გარდმოვლო დუალეთი და მოვიდა აფხაზეთს. შემდგომად კეთილმეფობისა მოკუდა ქ~სა ყ~მე, ქარ. ჲ~ე.

გ~. მეფე გიორგი, ი~ე წელი მეფა

შემდგომად თეოდოსე მეფისა დაჯდა ძმა ამისი გიორგი მეფედ. ამან გიორგიმ დაიპყრა ქართლი და დასუა ჩიხას ერისთავად ტინენ, ძე დიმიტრისა ძმისა თჳსისა, და შემდგომად კეთილმეფობისა მოკუდა გიორგი მეფე ქ~სა ყ~ოზ, ქარ. ჟ~ზ.

დ~. მეფე იოანე, ი~დ წელი მეფა

ხოლო გიორგი მეფისა შემდგომად მეფე იქმნა ძე მისი იოანე. არამედ დედოფალმან დედამან იოანე მეფისამან განიზრახა უმეტეს დამტკიცება მეფობა ძისა თჳსისა და, ვინაჲთგან მომუკვდარ იყოცა ძმა თეოდოსი და გიორგი მეფისა დიმიტრი, ამისთჳს შეიპყრა ძე დიმიტრისა ერისთავი ჩიხისა ტინენ და მოკლა იგი და უმრწემესი ძე დიმიტრისავე ბაგრატ მცირე ჰასაკითა ექსორია ჰყო და მოგზაური ბაგრატ შთააგდეს. ზღუასა შინა. არამედ ღმერთმან განარინა იგი და მიიწია კოსტანტინეპოლეს. ხოლო მეფემან იოანე მოგუარა ძესა თჳსსა ადარნასეს ცოლი, ასული გურამ აშოტ კურადპალატის ძისა და აქორწინა. და შემდგომად მოკუდა იოანე მეფე ქ~სა, ყ~ოთ, ქარ.

ჟ˜თ.

1-26 სტრ., 798

ე˜. მეფე ადარნასე, ჱ წელი მეფა

და იქმნა მეფედ ადარნესე, ძე მეფისა იოანესი. ხოლო ამის მეფობისა შემდგომად ჱ˜ წლისა მოვიდა ბაგრატ ძე დიმიტრისა ექსორია ყოფილი კოსტანტინეპოლიდამ სპითა კეისრისათა და დაიპყრა აფხაზეთი. ამან ბაგრატ შეიპყრა მეფე ადარნესე და მოკლა იგი წელსა ქ˜სა, ყ˜პზ, ქარ. რ˜ზ.

ვ˜. მეფე ბაგრატ, ი˜თ წელი მეფა

დაჯდა ესე ბაგრატ მეფედ. ამან მოიყვანა ცოლი ადარნასე მეფისა, ასული გურამ მამფალისა და შეირთო თჳთ ცოლად. ამანვე ბაგრატ გამოიყვანა ნარსე, ცოლის ძმა თჳსი, და მისცა შეწევნა სპითა მეფე ადარნასესა ზედა. შემდგომად მეფობისა მოკუდა ბაგრატ, ქ˜სა შ˜ვ, ქარ. რ˜კვ.

ზ˜.მეფე კოსტანტინე, ი˜ე წელი მეფა

დაჯდა მეფედ აფხაზთა ძე ბაგრატ მეფისა კოსტანტინე. ხოლო ესე კოსტანტინე და სომეხთა მეფე სუმბატ ბრძოდნენ ქართლსა ზედა. არამედ შემდგომად ჰყვეს ზავი და დაიპყრა ქართლი კოსტანტინემ და შემდგომად მოსლვისა აბულ კასიმისა მიუწოდა კჳრიკემ კახთა ქორიკოზმან ამ მეფეს კოსტანტინეს. ამან მისრულმან შემუსრნა ციხენი ჰერეთისანი, მერმე დაზავდნენ კჳრიკე კახთა, მეფე კოსტანტინე და ჰერთა მეფე და უკმოქცეულმან კოსტანტინე მეფემან მოსჭედა ოქროთი ხატი ალავერდის მთავარ მოწამის წმიდის გიორგისა და შეამკო ფრიად და მოვიდა აფხაზეთს. არამედ შემდგომად მეფობის მმართველი მოკუდა კოსტანტინე მეფე ქ˜სა შ˜კა, ქარ. რ˜მა.

ჱ˜. მეფე გიორგი, ლ˜თ წელი იმეფა

გამეფდა ძე კოსტანტინე მეფისა გიორგი. ამას წინააღუდგა ძმა თჳსი ბაგრატ და იშლებოდნენ წელ-ნახევარსა და არა იყო მშჳდობა

1-26 სტრ., 799

მათ შორის.შემდგომად მოკუდა ბაგრატ და დაიპყრა სრულაიდ აფხაზეთი. არამედ ესე გიორგი მეფე იყო ღუთისმოშიში და მოყუარული, ჰაეროვანი, მჴნე, ახოვანი, მოწყალე, უხჳ, ეკლესიათა მაშენებელი და ქურივ-ობოლთა შემწყნარე. ამან მისცა ასული თჳსი გურან-

დუხტ გურგენს, ბაგრატ მეფის რეგუენის ძესა. ამანვე გიორგი მეფემან შემდგომად მეფის ადარნასე კურადპალატის სიკუდილისა დაიპყრა ქართლი და დასუა ძე თჳსი კოსტანტინე. არამედ მტერ რა ექმნა მამასა თჳსსა ესე კოსტანტინე, გამოიყვანა უფლისციხიდამ გიორგი მეფემან და ჰყო საჭურისად. ესევ გიორგი მეფე შთავიდა კახეთს, შეიპყრა კჳრიკე კახთა ქორიკოზი და დაიპყრა კახეთი თჳთ და იქმნა შემდგომად, ვითარცა აღვსწერეთ ზემოთ. არამედ შემდგომად კეთილმეფობისა მოკუდა ქ˜სა შ˜ნე, ქარ. რ˜ოე.

თ˜. მეფე ლეონ, ბ˜ წელი მეფა

მეფე იქმნა ლევან აფხაზეთს ძე გიორგი მეფისა. ხოლო ესე ლევან მძახლობით დაეზავა კჳრიკეს ქორიკოზსა, და მისცა ასული თჳსი ცოლად დავითს, ძესა კჳრიკე ქორიკოზისასა. არამედ შემდგომად თჳსის ასულის სიკუდილისა კუალად ემტერა კჳრიკე ქორიკოზს ლევან მეფე, და ლაშკრობასა შინა დასნეულდა ბაზალეთს, უკმოიქცა და მოვიდა ქუთათისს და მოკუდა მუნ მეფე ლევან ქ˜სა შ˜ნზ, ქარ. რ˜ოზ.

ი˜. მეფე დიმიტრი, კ˜ბ წელი მეფა

შემდგომად ლეონ მეფისა დაჯდა აფხაზთა მეფედ ძმა ლეონისა დიმიტრი: ესე დიმიტრი მეფე იყო მჴნე, ახოვანი, შემმართებელი და უღმრთო. ამისთჳს ქუეგამხედველ ექმნენ ამას აფხაზნი და მოიყვანეს კოსტანტინეპოლიდამ ძმა დიმიტრი მეფისა, თეოდოსი. არამედ ვერ შეუძლეს შემუსვრა დიმიტრი მეფისა. არამედ შემდგომად დი-

1-27 სტრ., 800
მიტრი მეფემან დაიზავა ძმა თჳსი თეოდოსე, კჳრიკე ქორიკოზის გამო და შუამდგომელობითა სუეტისცხოველისა და მუნ მჯდომის კათალიკოზისათა. გარნა უარ-ჰყო აღთქმა დიმიტრიმ და დასწუნა თუალნი ძმასა თჳსსა თეოდოსეს და შემდგომად რაოდენისამე ჟამთა მეფობისა მოკუდა დიმიტრი მეფე, ქ˜სა შ˜ოთ, ქარ. რ˜ჟთ.

ი˜ა. მეფე თეოდოსე, ვ˜ წელი მეფა

ხოლო შემდგომად დიმიტრი მეფისა უღონო-ქმნილთა აფხაზთა უმკჳდრობისათჳს მეფეთა მათთა, ვინაჲთგან არღარავინ იყო, გამოიყვანეს თეოდოსე უთუალო და დასუეს მეფედ აფხაზთა, არამედ შემდგომად ექუსისა წლისა თეოდოსეს მეფობისა, ვინაჲთგან განირყუნა ყოველნი წესნი აფხაზთანი მეფობასა მისსა, ამის მიერ ითხოვეს დავით მეფის კურადპალატისაგან მეფედ აფხაზთა ბაგრატ ძე გურგენი-

სა, ასულის წული გიორგი აფხაზთა მეფისა. მან მოსცა და მოიყვანეს აფხაზეთს და აკურთხეს ქუთათისს მეფედ. ქ~სა შ~პე, ქარ. ს~ე, და ამ ბაგრატისა შემდგომად იქმნა აფხაზეთს მეფობა ბაგრატიონთა. ხოლო მეფობდნენ აფხაზთა მეფენი იგინი აფხაზეთს წელთა რ~ჟთ. და ამ ბაგრატის პირველი მეფობიდამ ვიდრე ლაშას ძის დავით მეფისა და რუსუდანის ძის ნარინ დავით მეფისადმე იყო ერთმეფობისა ქუეშე სრულიად აფხაზეთი, მეფობასა ბაგრატიონთასა და ამ ორთა დავითის განყოფისამდე სამეფოთა გარდაჴდნენ წელნი ს~ოდ.

ცხოვრება იმერეთისა

ა~. მეფე ნარინ დავით, ლ~ვ წელი მეფა

ხოლო დაჯდა ნარინ დავით მეფედ იმერთა ქ~სა ჩ~სნთ, ქარ. უ~ოთ, ამიერით იწოდა დავით და ამას ქუემოთნი მეფენი იმერთა მეფედ, და არღარა აფხაზთა. ხოლო ნარინ დავით მეფობდა, ვითარცა აღვსწერეთ. და ამ დავითის გამეფებიდამ, ვიდრე ბრწყინვალე მეფის გიორგის იმერეთის დაპყრობამდე გარდაჴდნენ წელნი ო~ბ ესრეთ,

1-24 სტრ., 801
რამეთუ გამეფდა ნარინ დავით ქ~სა ჩ~სნთ ქარ. უ~ოთ და მოკუდა დავით მეფე ქ~კს ჩ~სჟგ, ქართ. ფ~იგ. და შედგომად ნარინ დავით მეფისა დაჯდა მეფედ ძე დავითისა უხუცესი კოსტანტინე.

ბ~. მეფე კოსტანტინე, ლ~დ წელი მეფა

ამას კოსტანტინეს წინააღუდგა ძმა თჳსი მიქელ და არა უტევებდა მეფობად და პყრობად იმერეთისა და მიქელ დაიპყრა რაჭა, ლეჩხუმი და არგუეთი და აქუნდათ დღეთა მათთა მარადის ბრძოლა-შლილობა და შფოთი და ჴდომა ურთიერთთა და იყო ოჴრება ქუეყნისა ამისთჳს შეიჭირვებდენ დიდებულნი ამის სამეფოსანი და ვერა რითა ყვეს ზავი მათ შორის. იხილა დადიანმან გიორგიმ ესევითარება მათ შორის, მაშინ მიიტაცა საერისთო ცხომისაცა და დაიპყრა თჳთ სრულიად ოდიში ანაკოფიადმდე. ეგრეთვე შარვაშიძემ აფხაზეთი და გურიელმან გურია და სუანთა ერისთავმან სუანეთი და განიმკჳრდეს თჳსად და არღარა ეგდენსა მორჩილებასა შინა იყვნენ მეფეთასა. ამისა შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი ქ~სა ჩ~ტკგ, ქარ. ი ა და დაჯდა მის წილ ძე მისი მამია და ამან უმეტესად დაიპყრა ოდიში. შემდგომად ამ შფოთებასა შინა მოკუდა მეფე კოსტანტინეცა ქ~სა ჩ~ტკზ. ქარ. ი~ე.

გ~. მეფე მიქელ, გ~ წელი მეფა

და შემდგომად მისა გამეფდა ძმა მისი მიქელ. ამან იღუაწა კუა-
ლად შეერთებად და დამორჩილებად პირველისაებრ მათ მთავართა
და ერისთავთა. არამედ წართმევითა და ცვალებითა ვერღარა შეუძ-
ლო. გარნა დაიმორჩილნა კუალად ხარკის მოცემითა და მოლაშკრედ
თჳსად. და სხუასა ვერღარა რაისა ეწია, რამეთუ მოკუდა წელსა ქ˜სა
ჩ˜ტკთ, ქარ. ი˜ზ.

1-26 სტრ., 802
და ამას მეფესა მიქელს დაშთა ძე მხოლოდ ბაგრატ, რომელსა
არა ძალ-ედვა მეფობა სიმცირითა და არცაღა მოერთნენ მთავარნი
იგინი წინათქმულნი, არამედ იყო ქუთათისს და მიიტაცებდიან მთა-
ვარნი ქუეყანათა და განირყვნებოდიან ყოველნი წესნი იმერთანი.
ხოლო განძლიერდა რა ბრწყინვალე გიორგი მეფე, ამან გიორგიმ გა-
ნიხილნა ესევითარნი იმერთა საქმენი, ეზრახა იმერთა მეფობისა
თჳსისათჳს. მაშინ იმერნი, ვინაჲთგან შეიწრებულ იყვნენ ჴდომითა
და ოჴრებითა და არცა გიორგი იყო შორეული მემკჳდრე იმერეთისა,
ამისთჳს მისცეს პირი მტკიცე, ჩამოვიდა და დაიპყრა იმერეთი მეფე-
მან გიორგი სრულიად ქ˜სა ჩ˜ტლ, ქარ. ი˜ჱ. და იყო მის ქუეშე და
შემდგომად მისთა იყო ერთ სამეფოდ ქართლისა თანა, ვიდრე ო˜ჱ
გიორგი მეფისა, ზ˜ მეფის ბაგრატისამდე, წელი რ˜ლ. გარნა თუ გან-
დგებოდიან და იწოდებოდიან მეფედ, არამედ ირიცხვის ესრეთ, ვი-
ნაჲთგან არა იყო სიმტკიცე.

ბაგრატ ერისთავი

ხოლო ამ გიორგი მეფისაგან იქმნა ერისთავად ძე მიქელ მეფისა
ბაგრატ, და იყო მორჩილებასა შინა გიორგი მეფისასა შორაპანს.
შემდგომად მოკუდა დადიანი მამია ქ˜სა ჩ˜ტმე, ქარ. ლ˜გ, დასუა მის
წილ ბრწყინვალე მეფემან გიორგიმ ძე მამია დადიანისა გიორგი და-
დიანად. ხოლო ამისა შემდგომად მოიყვანა ცოლად ასული ყუარყუ-
არე ათაბაგისა ბაგრატ მიქელ მეფის ძემან, ქ˜ს ჩ˜ტნჱ, მ˜ვ, და
იქორწინა მის თანა ნებითა დავით მეფისათა და ამან ბაგრატ შვნა
მისგან ძენი სამნი: ალექსანდრე, გიორგი და კონსტანტინე; არამედ
შემდგომად მოკუდა ბაგრატ ერისთაობასა შინა ქ˜სა, ჩ˜ტობ, ქარ. ჲ˜.
ხოლო შემდგომად ბაგრატისა დაადგინა მასვე ერისთაობასა ზედა
დიდმან მეფემან ბაგრატ ძე ბაგრატ ერისთავისა ალექსანდრე, და ესე

1-28 სტრ., 803
ალექსანდრე ერისთაობდა მორჩილებასა შინა დიდისა ბაგრატ მეფი-
სასა.
შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი ქ˜სა ჩ˜ტპდ, ქარ. ო˜ბ. და

მიუბოძა დიდმან მეფემან ბაგრატ ძესა გიორგი დადიანისასა ვამიყს დადიანობა. არამედ შემდგომად მოსლვისა ლანგთემურისასა და შეპყრობისა დიდისა ბაგრატ მეფისა, წარვიდა რა გიორგი ძე დიდის ბაგრატ მეფისა ქართლს, რათა განაგოს მუნებურნი საქმენი, ვინაჲთგან იმერეთი აქუნდა მშჳდობით სიმტკიცესა შინა.

დ~. მეფე ალექსანდრე, ე~ წელი მეფა

მაშინ იცა ჟამი ალექსანდრემ ძემან ბაგრატისამან, ვინაჲთგან მიეღო ძალი გიორგი ძესა დიდისა ბაგრატ მეფისასა, განდგა და დაიპყრა იმერეთი ქ~სა ჩ~ტპზ, ქარ. ო~ე, იწოდა მეფედ და ეკურთხა გელათს (რამეთუ ქუთათისი ჯერეთ ეპყრათ გიორგისავეთა), რათა უმეტესად მოიმტკიცოს იმერნი, და ბრძოდა ციხეთა იმერეთისათა, რომელნი ეპყრნეს მეფესა ბაგრატს და ძესა მისსა გიროგის. მერმე ეზრახა ალექსანდრე დადიან-გურიელსა, შარვაშიძეს და სუანთა. არამედ არა ინებეს, რამეთუ შიში აქუნდათ ჯერეთ ბაგრატ მეფისა და ეგნენ ერთგულებასა მისსა ზედა. გარნა აღიხუნა რომელნიმე ციხენი იმერეთისანი ალექსანდრემ, თჳნიერ ქუთათისისა, და მცირედისა შემდგომად მოკუდა მეფე ალექსანდრე ქ~სა ჩ~ტპთ, ქარ. ო~ზ, და დაუტევა ცოლისა თჳსისა ანნა დედოფლისა თანა ძე ერთი დიმიტრი.

ე~. მეფე გიორგი, გ~ წელი მეფა

და შემდგომად ალექსანდრე მეფისა დაჯდა ძმა მისი გიორგი მეფედ იმერთა, ამან გიორგი უმეტესად დაიპყრა იმერეთი და აღიხუნა ციხენი ბაგრატ მეფისა და გიორგისანი და უმეტესად მცდელობდა დამორჩილებასა და შეერთებასა მათ მთავართასა. ამანვე გიორგიმ დასუა კათალიკოზად არსენი ქ~სა ჩ~ტჟ, ქარ. ო~Ჩ. არამედ რა არღარა ინებეს მთავართა მათ მორჩილება გიორგი მეფისა, ამისთჳს განიზრახა ამან გიორგი ბრძოლა ვამიყ დადიანისა, რამეთუ უკეთუ

სძლოს და დაიმორჩილოს იგი, სხუანიცა ყოველნი დაიპყრას.შემოიკრიბნა სპანი იმერთანი, წარვიდა და შთავიდა ოდიშს. დღესა ერთსა ეწყო ვამიყ დადიანი და ძლიერისა ბრძოლისა შემდგომად იძლია სპანი იმერთა და მოჰკლეს მეგრელთა მეფე გიორგი ქ~სა ჩ~ტჟბ, ქარ. პ~, ხოლო ლტოლვილნი იმერნი მოვიდნენ თჳს-თჳსად. მაშინ განზრახჳთა ვამიყ დადიანისათა ჩამოვიდა გიორგი, ძე დიდისა ბაგრატ მეფისა, და დაიპყრა კუალად იმერეთი. ხოლო კოსტანტინე ძე ბაგრატისა და ძმა ალექსანდრე და გიორგი მეფისა და დიმიტრი ძე ალექსანდრე მეფისა ივლტოდნენ ბასიანს და იმყოფებოდნენ წელსა ოთხსა მუნ მწირად.

ვ˜. მეფე კოსტანტინე, ე˜ წელი მეფა

შემდგომად წელსა ქ˜სა ჩ˜ტჟვ, ქარ. პ˜დ, მოსწყდნენ რა იმერ-
ნი ბრძოლასა შინა ლანგთემურისასა მეფის გიორგისა თანა და ამას-
ვე ქორონიკონსა მოკუდაცა ვამიყ დადიანი და დაჯდა ძე მისი მამია
დადიანად. მაშინ შთამოიყვანეს იმერთა კოსტანტინე, ძე ბაგრატისა,
და ყვეს მეფედ იმერთა. ამან დაიპყრა კუალად იმერე-
თი და აღიხუნა ციხენი, რამეთუ იყო გიორგი მეფე უცალო თემურ-
ლანგისაგან და კოსტანტინე ამით მცდელობდა გამკჯდრებასა იმერე-
თისასა და შეერთებასა თჳსად დადიან-გურიელისასა და სუანთასა.

დიმიტრი ერისთავი

არამედ მოკლეს მეფე კოსტანტინე ჩალაღანს ანუ ჩალიანსა შინა
ქ˜სა ჩ˜უა ქარ. პ˜თ, და ამან არა დაუტევა ძე. არამედ დაშთა დიმიტ-
რი ძმისწული კოსტანტინესი და ძე ალექსანდრე მეფისა და მცდე-
ლობდა მეფობასა. გარნა იყო ყრმა და ვერა ღონიერ და არღარა ვინ
დაემორჩილებოდნენ მეფობისათჳს.

მაშინ ჟამთა ამათ მოცალე იქმნა გიორგი მეფეცა თემურ-ლან-
გისაგან და იხილა იმერეთი ესრეთ, ჩამოვიდა სპითა თჳსითა იმერეთს,
მიერთო დადიანი მამია და ყოველნი იმერნი, შეიპყრეს დიმიტრი და

1-28 სტრ., 805
მისცეს მეფესა გიორგის: ხოლო მან არა რაჲ ავნო.არამედ წარავ-
ლინა ქართლს და დაასადგურა სომხითს სარჩოთი და იმყოფებოდა
მუნ.და იმერეთი სრულიად დაიპყრა მეფემან გიორგი; შემდგომად
გიორგისა ეპყრა მეფესა კოსტანტინეს ნებასა შინა თჳსსა. შემდგო-
მად კოსტანტინესა – ალექსანდრე მეფესა. ხოლო ამას ალექსანდრე
მეფესა, ძესა გიორგი მეფისასა, სიჭაბუკესავე თჳსსა ესმა ქება და შუ-
ენიერება-სიკეკლუცე დიმიტრის დის თამარისა, ეტრფიალა და მო-
იყვანა ცოლად და ქმნა ქორწილი მის თანა; ხოლო მოკლეს რა აფ-
ხაზთა მამია დადიანი ქ˜სა ჩ˜უიდ, ქარ. რ˜ბ და დაჯდა ძე მისი ლიპა-
რიტ, მაშინ მეფემან ალექსანდრემ სიყუარულითა ცოლისა თჳსისა
და ვინაჲთგან უწყოდაცა ვერ შემძლებელობა დიმიტრისა, მისცა კუ-
ალად ერისთობა იმერეთს დიმიტრის და იყო ერისთავად ესე დიმიტ-
რი მორჩილებასა შინა ალექსანდრე მეფისასა, ვახტანგისა და გიორ-
გი მეფისასა. ხოლო მოკუდა ესე დიმიტრი ერისთობასა შინა, ძე მე-
ფისა ალექსანდრესი ქ˜სა ჩ˜უნე, ქარ. რ˜მგ.

და დასუა მეფემან გიორგიმ ძე მისი ბაგრატ ერისთავად, და იყო

მორჩილებასა შინა მისსა. არამედ ათაბაგმან ყუარყუარემ შემდგომად გაათაბაგებისა თჳსისა გიორგი მეფისაგან, იწყო ქუეგამჭვრეტელობა მეფისა გიორგისა. ამისთჳს ეზრახა ბაგრატს ფარულად, რათა განდგეს და აღუთქუას დადიან-გურიელსა განთავისუფლება და მწე ეყოს იგი ბაგრატს. სთნდა ბაგრატს განზრახუა ესე და ჰყოფდა ეგრეთ. ამისთჳს მოსცეს დადიან-გურიელმან აფხაზთა და სუანთა პირი მტკიცე მეფედ ყოფისა იმერეთს.

ზ~. მეფე ბაგრატ, ი~ვ წელი მეფა

მაშინ პაემნითა ამით განდგა ბაგრატ და დაიპყრა იმერეთი, და ვინაჲთგან მეციხოვნენი გიორგი მეფისანი არა ეკრძალოდენ ბაგრატს, რამეთუ ბიძა იყო მეფისა და სანდო, გამოასხნა ყოველნი და დაიპყრა თჳთ და შეაყენა მეციხოვნე გუშაგნი თჳსნი. ამისი მცნობე-

ლი მეფე შეკრებული სპითა ჩამოვიდა იმერეთს და რა არღარა მოერთო ათაბაგი ყუარყუარე, ეწყო სპითა იმერთათა ბაგრატ ჩიხორს, ქ~სა ჩ~უჲბ, ქარ. რ~ნ, და ძლიერისა ბრძოლისა შემდგომად იძლია გიორგი მეფე და ივლტოდა ქართლსავე. ხოლო ბაგრატ გამარჯუებული მოვიდა ქუთათისს, აქა მოერთნენ დადიან-გურიელ-აფხაზნი და სუანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო-ჩინებითა, მეფედ. ამისთჳს აღუსრულა მთავართა მათ აღთქმული თჳსი და განთავისუფლდენ, თჳნიერ ლაშკრობისა და ქუეგანწესებისა მეფისა, და იქმნა იმერეთი მიერით ერთ მეფედ და ოთხ სამთავროდ ანუ სათავადოდ, რამეთუ მიიღო დადიანმან ოდიში, გურიელმან გურია, შარვაშიძემ აფხაზნი და ჯიქნი და გელოანმან სუანეთი, და ბაგრატ მეფობდა მათ ზედა ესრეთ. ხოლო მოვიდა ამ ბაგრატისა თანა ათაბაგი ყუარყუარე, ლტოლვილი გიორგი მეფისაგან, ამან ბაგრატ პატივით შეიწყნარა. არამედ მოვიდა რა თავრიჟ გილაქი და თემურ და მოაოჯრეს გიორგი მეფე. მაშინ უშუელა ბაგრატ მეფემან ყუარყუარე ათაბაგსა, შთავიდნენ სამცხეს და დაიპყრა ათაბაგმან სამცხე და ბაგრატ უკმოიქცა იმერეთსავე. არამედ მარადის აძლევდა ნიჯადსა ათაბაგსა, რათა დაიმორჩილოს ყუარყუარემ ერისთავნი გიორგი მეფისანი. შემდგომად შეიპყრა გიორგი მეფე ყუარყუარე ათაბაგმან. მაშინ შეიკრიბა სპანი ბაგრატ მეფემან და შთავიდა ქართლს და დაიპყრა სრულიად ქართლი, ქ~სა ჩ~უჲვ, ქარ. რ~ნდ, და დაიწყო პყრობად კახეთისა, არამედ განუტევა ბაადურ ათაბაგმან მეფე გიორგი, და მოჰყვა თჳთ სპითა, რათა დაიპყრას ქართლი და ბრძოს ბაგრატ მეფესა გიორგი მეფემან. იხილა რა ესე ბაგრატ მეფემან, არა ინება ბრძოლა, წარმოვიდა და მოვიდა ქუთათისს.

ხოლო მოკუდა დადიანი ლიპარიტ ქ˜სა ჩ˜უო, ქარ. რ˜ნწ და დაჯ-
და ნებითა ბაგრატ მეფისათა ძე მისი შამანდავლე, და წინარე მოკუ-
და მეფე გიორგიცა ქართლისა და მეფე კოსტანტინე არა უტევებდა
ბაგრატ მეფესა ლიხის აქეთს მთის ძიროზათა. ამისთჳს შეიკრიბა მე-
ფემან ბაგრატ სრულიად სპანი იმერთანი და ჩავიდა ქართლს და და-

1-28 სტრ., 807
იპყრა შიდა ქართლი. ხოლო კოსტანტინემ განამგრა ტფილისი და
სომხითი და ბრძოდნენ ურთიერთსა. მაშინ ზავჰყო ბაგრატ მეფემან
კახ-ბატონის გიორგის თანა, რათა მომსმენელ იყოს ბაგრატისა და
მიიღოს კახეთისა, რომელი უპყრავს კოსტანტინე მეფესა.

შემდგომად მოკუდა დადიანი შამანდავლე, ქ˜სა ჩ˜უოდ, ქარ.
რ˜ჲბ და დაჯდა ბიძა მისი ვამიყ დადიანად, სათნოთივე ბაგრატ მეფი-
სათა. ხოლო ამან ვამიყ დადიანმან არღარა ინება განძლიერება უმე-
ტესად ბაგრატ მეფისა, შემოიკრიბნა აფხაზნი და გურიელი და უწყო
კირთება, ოჴრება და დაპყრობა იმერეთსა.

ესმა ესე ბაგრატ მეფესა, ქართლს მყოფსა, და წარვიდა მსწრაფ-
ლად სპითა დიდითა, რამეთუ წარიტანნა ქართველნიცა და მისრულ-
სა ოდიშს ეწყო დადიანი ვამიყ და იქმნა ბრძოლა ძლიერი ქ˜სა ჩ˜უოზ,
ქარ. რ˜ჲე და მოსწყდნენ მრავალნი. შემდგომად იძლია დადიანი ვა-
მიყ; მაშინ შევიდა ბაგრატ მეფე ოდიშს, აღიხუნა ციხენი და დაიპყრა
ოდიში. ამისი მხილველი დადიანი ვამიყ ევედრა და აღუთქუა ერდ-
გულად მორჩილება ფიცით, რათა ჰყოს იგივე დადიანად და, ვინაჲთ-
გან ბაგრატ მეფესა აქუნდა სხუა განზრახუა ქართლსა ზედა, დაად-
გინა ვამიყვე დადიანად, ფუცებული ერდგულობასა ზედა. მერმე წარ-
მოიყვანა დადიანიცა სპითა თჳსითა და მოვიდა ქართლს უძლიერე-
სად და ბრძოდა ციხეთა კოსტანტინე მეფისათა, კნინღა დაპყრობად.

არამედ წელსა ქ˜სა ჩ˜უოწ, ქარ. რ˜ჲვ მოვიდა უზუნ-ასან ყენი.
ამისმან მცნობმან ბაგრატ მეფემან არღარა ინება ბრძოლა უზუნ-
ასან ყენისა, ვინაჲთგან კოსტანტინე მეფეცა მივიდა მის თანა და
მისცა ციხე ტფილისი, უკმოიქცა და მოვიდა რაჭას, დასნეულდა მუნ
და მოკუდა ქ˜სა ჩ˜უოწ, ქარ. რ˜ჲვ და დაფლეს გელათს.

წ˜. მეფე ალექსანდრე, ლ˜ბ წელი მეფა

ხოლო შემდგომად ბაგრატ მეფისა დაჯდა მეფედ ძე ამისი ალექ-
სანდრე და ინება კურთხევა.
ამისთჳს მოუწოდა დადიან-გურიელსა,

1-28 სტრ., 808
შარვაშიძეს და გელოვანს. არამედ დადიანმან არღარა ინება მოსლვა. ეგრეთვე გურიელმან და სხუათა. იხილა ესე კოსტანტინე მეფემან იმერთა შინა-ვითარებანი, შეიკრიბნა სპანი და ეზრახა დადიანსა, ჩამოვიდა იმერეთს ქ˜სა ჩ˜უოთ, ქარ. რ˜ჲზ და მიერთნენ ყოველნი იმერნი; ვინაჲთგან დადიანსა მიეცა პირი მტკიცე, ამისთჳს ვერღარა წინააღუდგა ალექსანდრე და წარვიდა სიმაგრეთა შინა. ხოლო კოსტანტინე მეფემან დაიპყრა იმერეთი, მოერთო დადიანიცა და მისცეს ციხე ქუთათისისა, რამეთუ არა კეთილ იყო ბაგრატის გამო დადიანი ალექსანდრესი, ვინაჲთგან დაამდაბლა ბაგრატ დადიანი.

შემდგომად ამისა მოკუდა დადიანი ვამიყ ქ˜სა ჩ˜უპბ, ქარ. რ˜ო და დაჯდა ძე შამანდავლე დადიანისა ლიპარიტ დადიანად. მერმე კუალად მოკუდა გურიელი კახაბერცა ქ˜სა ჩ˜უპგ, ქარ. რ˜ოა და დაჯდა ძე მისი გიორგი გურიელად. ამასვე წელს იძლია კოსტანტინე მეფე ყუარყუარე ათაბაგისაგან. მაშინ შემოიკრიბა რაჭა-ლეჩხუმი ალექსანდრემ ძემან ბაგრატ მეფისამან, მოვიდა და აღიღო ქუთათისი ქ˜სა ჩ˜უპდ, ქარ. რ˜ობ, დაჯდა მეფედ, ეკურთხა და დაიპყრა იმერეთი. არამედ დადიანმან კუალად არა ინება მეფობა მისი და მოიწვია მეფე კოსტანტინე დაპყრობად იმერეთისად. უსმინა დადიანსა მეფემან კოსტანტინემ და ჩამოვიდა კუალად სპითა იმერეთს ქ˜სა ჩ˜უპზ, ქარ. რ˜ოე; აქეთ მოვიდა ლიპარიტ დადიანი ოდიშით. ამათ ვერღარა ბრძოლა უყო ალექსანდრე მეფემან და წარვიდა კუალად სიმაგრეთა შინა. მაშინ მიერთო დადიანი და სრულიად იმერნი მეფესა კოსტანტინეს. აღიღო კუალად ქუთათისი და მოსცნეს სრულიად ციხენი იმერეთისანი და დაადგრა ქუთათისს, რამეთუ არღარა ენება წარსვლა, რათა განიმაგროს და განიმტკიცოს იმერეთი და ბრძოს ალექსანდრე და მოისპოს იგი. არამედ ქუთათისს მყოფსა მოერთუა მეფესა კოსტანტინეს მოსლვა სპასპეტის ასანბეგისა ყეენისაგან და მოდგომა ტფილისისა მისგან სპითა, ქ˜სა ჩ˜უპჱ, ქარ. რ˜ოვ.

1-28 სტრ., 809
ამისთჳს დაუტევა იმერეთი, წარვიდა ქართლს და ბრძოდა თათართა. ხოლო ალექსანდრე ეზრახა იმერთა და დადიანსა, ჩამოვიდა და დაიპყრა იმერეთი კუალად, აღიღო ქუთათისი და ყოველნი ციხენი იმერეთისანი, ვინაჲთგან კოსტანტინე მეფე უცალო იყო. მერმე დაეზავა დადიან-გურიელსა. ამით დაიმშჳდა იმერეთი და დაიპყრა უმტკიცესად და დაიმორჩილნა აფხაზნი და სუანნიცა. გარნა არა ეგოდენად, ვითარცა ენება.

ხოლო უშვა ალექსანდრე მეფესა დედოფალმან თამარ ძე ბაგრატ ქ˜სა ჩ˜უჟე, ქარ. რ˜პგ. შემდგომად ამისა უშვა ძე დავით.

ამან ალექსანდრემ იხილა ბრძოლითა და შფოთებითა ვერა რაი ბედნიერება თჳსი და დაიმშჳდა იმერეთი. მერმე კოსტანტინე მეფისა თანა ჰყო ზავი და სიყუარული ერთობისა. მერმე შესცვალნა ურჩნი თჳსნი და რომელნიმე მოსპნა და უმკჳდრო ჰყვნა და დაადგინნა ერთგულნი და მისანდონი თჳსნი და მოიმტკიცა ამითი იმერეთი. ეგრეთვე დაიმორჩილნა დადიან-გურიელი და მთავარნი სხუანი იგინი ლაშკრობათა, ნადირობათა და მეფედ მათთა ჴმობითა მსახურებათათა. ხოლო შემდგომად კოსტანტინე მეფის გარდაცვალებისა, მოიჴსენა ალექსანდრე მეფემან შური პირველი, შემოიკრიბნა სპანი, გარდაუჴდა ქართლს და აღიღო გორი, ქ~სა ჩ~ფთ, ქარ. რ~ჟზ და და იწყო პყრობად ქართლისა, რამეთუ არავინ წინააღუდგებოდა, ვინაჲთგან დავით მეფე იყო ლმობიერი და უშფოთველი კაცი, მის გამო. მაშინ ამავე ქორონიკონს მოუჴდენ ჩიხნი იმერეთს და მოარბივეს სრულიად. ესე ესმა ალექსანდრეს ქართლს მყოფს, უკმოიქცა და მოვიდა იმერეთს მოწყუედად მათდა. არამედ მათ არღარა ესწრა და განემზადებოდა შურისგებად და ბრძოლად ჩიხთა ზედა, დასნეულდა სალმობითა ძლიერითა და მოკუდა მეფე ალექსანდრე ქ~სა ჩ~ფი, ქარ. რ~ჟწ, დაუტევნა ძენი ბაგრატ, დავით და ვახტანგ. ამასვე ქორონიკონსა მოკუდა ცოლი მისი დედოფალი თამარ და დამარხეს გელათს.

1-28 სტრ., 810

თ~. მეფე ბაგრატ, ლ~წ წელი მეფა

დაჯდა ძე ალექსანდრე მეფისა ბაგრატ მეფედ იმერთა და დაიპყრა სრულიად იმერეთი. არამედ დადიან-გურიელს ეპყრათ საზღვარნი თჳსნი და იყვნენ მორჩილებასა ბაგრატ მეფისასა, ვითარცა ვთქჳთ.

წელსა ქ~სა ჩ~ფიბ, ქარ. ს~, მეფობასა ბაგრატისასა მეორესა, გამოვიდა სპასპეტი სულტმან სელიმისა სპითა უამრავითა და მოადგა სამცხეს. ამას მიეგება ათაბაგი მზეჭაბუკ, მოუძღუა და ჩამოიყვანა ფერსათსა ზედა იმერეთს. ხოლო ბაგრატ მეფე ვერ წინააღუდგა და უკურიდა სიმაგრეთა შინა და დახიზნა იმერეთი. გარნა მოსრულთა ოსმალთა დაწუეს ქუთათისი და გელათი. მერმე მოაოჴრნეს, მოწუეს, მოსრნეს და მოსტყუევნნეს, სადა ვინ ჰპოვნნეს იმერეთს შინა და უკუიქცნენ მასვე გზასა ზედა და წარვიდნენ.

შემდგომად წარსვლისა მათისა ჩამოვიდა ბაგრატ მეფე, განაგო იმერეთი და დააშენნა ხიზანნი იმერნი. ამასვე ქორონიკონსა მოკუდა დადიანი ლიპარიტ და დაჯდა მამია დადიანად ნებითა ბაგრატ მეფისათა. კუალად მოკუდა ამასვე ქორონიკონს გურიელი გიორგი და

დაჯდა მამია გურიელად, სათნო-ყოფითა ბაგრატ მეფისათა. ამასვე წელსა წარვიდა მეფე ბაგრატ დასხმის გუარად სპითა ქართლს, რამეთუ ძმამან მისმან ვახტანგ იკლო რაიმე ბაგრატისაგანდა წარვიდა ქართლს. ამას ვახტანგის წარჰყვნენ მრავალნი წარჩინებულნი და აზნაურნი. მიუჴდა ბაგრატ მეფე მოხისს მყოფს ვახტანგს. ეწყო ვახტანგ და იყო ბრძოლა ძლიერი. მერმე იძლია ვახტანგ. არამედ შუამდგომელობითა დავით მეფისათა ზავ-ჰყვეს. წარმოიყვანა ძმა თჳსი და მოვიდა იმერეთს ბაგრატ, და იყოფოდა მშჳდობით. შემდგომად შემოიკრიბნა კათალიკოზ-ეპისკოპოზნი იმერეთისანი ბაგრატ მეფემან და ჰყო საეპისკოპოსოდ და დასუა საყუარელიძე მელქისედეკ, ქ˜სა ჩ˜ფით, ქარ. ს˜ზ.

1-30 სტრ., 811
ამისა შემდგომად წარვიდა მამია გურიელი ქართლს, რათა ჰყოს დავით მეფესა და კახ-ბატონს ლევანს შორის ზავი. არამედ ეწყო დავით მეფე და იძლია მეფე, ქ˜სა ჩ˜ფკ, ქარ. ს˜ჱ. მერმე ზავ-ჰყო მათ შორის და მოვიდა გურიას.

ხოლო ეს მეფე ბაგრატ იმერთა, გიორგი ქარველთა და ლევან კახთა წარვიდნენ იერუსალიმს, ვითარცა აღვსწერეთ ყოფილი. შემდგომად შეიკრიბნენ დადიანი მამია და გურიელი მამია და წარვიდნენ ჯიქეთს სპითა, რამეთუ ეკირთებოდნენ იგინი ოდიშს და გურიას. ზღჳთ ნავებითა მისრულთა ჯიქეთს, ეწყუნენ ჯიქნი სიმაგრით გამო, ჰყვეს ბრძოლა ძლიერი და აოტნეს სპანი იმერთა, მოკლეს დადიანი მამია და შეიპყრეს გურიელი მამია და აღიღეს ალაფი და იავარი მათი ქ˜სა ჩ˜ფლბ, ქარ. ს˜კ. ხოლო ნეშტნი, ლტოლვილნი სპანი, მოვიდნენ და დასუეს ოდიშს დადიანად ლევან და გურიელი მამია დაიჭსნა ვეცხლით ძემან მისმან როსტომ და მოვიდა გურიასვე.

ამისა შემდგომად მოკუდა გურიელი მამია ქ˜სა ჩ˜ფლდ, ქარ. ს˜კბ და დაჯდა როსტომ ძე მისი გურიელად. ხოლო ამანვე ბაგრატ მეფემან დასუა ერისთავად რაჭას ჩხეიძე შოშიტა და მისცა რომელნიმე სახასო დაბანი და ციხე მინდა, რამეთუ აქამომდე იყო რაჭა სამეფოდ და კუალად ჰყო საერითოდ. შემდგომად შემოიკრიბნა ბაგრატ მეფემან სრულიად სპანი იმერთანი დადიან-გურიელითა, ვინაჲთგან იხილა შეავება სამცხისა შაისმაილის დევალისაგან კუალად მოიჴსენა შური მზეჭაბუკ ათაბაგისა, რაჟამს მოუძღუა ოსმალთა, და ყუარყუარე ათაბაგისა, რამეთუ მიჰყვა გიორგი მეფესა იერუსალიმს და არა ამას, და წარვიდა დაპყრობად სამცხისა. მისრულს ეწყო მურჯახეთს ათაბაგი ყუარყუარე და იქმნა ბრძოლა ძლიერი, ქ˜სა ჩ˜ფლე, ქარ. ს˜კგ, იძლივა ათაბაგი და შეიპყრა ყუარყუარე ისაკ ართუმელაძემან, მეწდემან გურიელისამან, და მოართუა როსტომ გურიელსა,

და როსტომ მოართუა ბაგრატ მეფესა. ხოლო ბაგრატ მეფემან პა-
ტიმარ-ჰყო ათაბაგი და დაიპყრა სამცხე და იმყოფებოდა მუნ. მაშინ
მისცა გურიელს აჭარა და ჭანეთი, წარვიდა და დაიპყრა გურიელმან

1-30 სტრ., 812
იგინი და ბაგრატ მეფე განაგებდა სამცხესა.ხოლო მოვიდა რა შასთა-
მაზ ლუარასაბ ზედა და უკუნქცეული დადგა ყარაბაღს, წარვი-
და მეფე ბაგრატ ყარაბაღს და მივიდა წინაშე შასთამაზისა და ითხოვა
შეწევნა, და უკუეთუ მოსცეს, დაუმორჩილოს მას ბაგრატ ყოველი სა-
ქართველო.

მაშინ შასთამაზს არა აქუნდა ჟამი, ვინაჲთგან აქუნდა სპარსეთს
განდგომილება. არამედ აღუთქუა შეწევნა ბაგრატს და მოსცა ნიჭნი
დიდნი და წარმოავლინა დიდ-პატივცემული და მოვიდა სამცხესვე,
აღიღო ციხენი სამცხისანი და დაიპყრა თჳსად. ხოლო ქაიხოსროს,
ძესა ყუარყუარესა მოჩივარს მისცა ხონთქარმან მუსტაფა ფაშა
სპითა დიდითა და ზარბაზნებითა დიდ-დიდითა.

ამისმან მცნობმან ბაგრატ მეფემან მოუწოდა იმერთა და შე-
მოკრბნენ მსწრაფლად და გურიელიცა მათ თანა. არამედ დადიანმან
ლევან არღარა ინება მოსვლა სპითა თჳსითა, ვინაჲთგან მიიღო გუ-
რიელმან ქუეყანა. ამისთჳს ამან მიმზეზჰყო: „რა ნიჭი არს ჩემდა,
რამეთუ მოვსწყდე სპითა ჩემითა“. გარნა ბაგრატ მეფე ეწყო ოსმალ-
თა და ბრძოლასა სასტიკ-ფიცხელსა იძლივნენ ოსმალნი და მოსრ-
ვიდნენ იმერნი პირითა მახჳლისათა, აღიღეს ალაფი ურიცხჳ და ზარ-
ბაზნები წარგზავნა იმერეთს ბაგრატ. ესმა ესე ყოველი ხონთქარსა,
განრისხნა მოწყეუდისათჳს სპათა თჳსთა და წარმოავლინა აზრუმ-
დიარბექირის ფაშანი სპითა სუას აქათითა. მაშინ ბაგრატ შეიკრიბა
ყოვლითა ძალითა თჳსითა. არამედ არცა აწ მოვიდა დადიანი მიზე-
ზითა მითვე; ამისთჳს ბაგრატ ევედრა ლუარსაბ მეფესა, რათა მწე
ეყოს. უსმინა ლუარსაბ და მოვიდა სპითა თჳსითა, განიხარა ბაგრატ
და წარვიდნენ ზოგად. ხოლო ოსმალნი დაბანაკებულ იყვნენ ბა-
სიანს. ეწყუნენ ურთიერთს სოხოისტასა ზედა ქ˜სა ჩ˜ფმე, ქარ. ს˜ლგ.
არამედ დაუმორჩილებლობითა და ცილებითა და ღალატითა მესხთა-
თა იძლივნენ საქართველოსანი, ვითარცა აღვსწერეთ, და მოკლეს ძე
გურიელისა ქაიხოსრო და მოსწყჳდნეს სპანი ურიცხუნი. ხოლო ნეშ-
ტნი ივლტოდენ თჳს-თჳსად და ბაგრატ მოვიდა ქუთათისს.

1-29 სტრ., 813
მერმე კუალად გარდავიდა მეორესა წელსა ბაგრატ მეფე სამ-
ცხეს, წარმოასუენა აწყუერისა ღუთისმშობელი ციხეჯუარს და ვერ-
ღარა დაიპყრა სამცხე, ვინაჲთგან ციხენი სრულიად დაეპყრათ ოს-

მალთა; უკმოიქცა და მოვიდა ქუთათისს: შემდგომად მოუწოდა მეფემან ბაგრატ ლევან დადიანსა, რეცა დარბაზობად და შეიპყრა იგი ზაკჳთ, რამეთუ შური აქუნდა მიერ ჟამით, რაჟამს არა შეეწია ბრძოლასა ზედა ოსმალთასა, და პატიმარ-ჰყო, ქ˜სა ჩ˜ფმვ, ქარ. ს˜ლდ. ესე აუწყა გურიელსა: „შევიპყარ დადიანი, წარმოვედ და დავიპყრათ ოდიში და კერძონი შენნი მოგანიჭო, შენ დაიპყარ, ვითარცა გნებავს“. რამეთუ ენება ბაგრატს ჴელთგდება მისიცა და ჰყოს ყოველი იმერეთი ერთ საბრძანებლოდ ვითარცა პირველ. არამედ აგრძნა ესე გურიელმან და განიზრახა: „უკუეთუ მოსრას ტომი დადიანთა და დაიპყრას ოდიში ბაგრატ, მაშინ იქმნას ჩემ ზედაცა მოცალედ და მიმიღოს მეცა გურია“. ამისთჳს მოუცნო ბაგრატს: „ოდეს ვეწყუენით ოსმალთა, მიერ ჟამითგან მიზეზობენ და უმეტეს ათაბაგი; აწ უკეთუ დაუტეო ქუეყანა ჩემი, მოვიდნენ და მიმიღონ. ამით ვერ ძალ მიცს მოსლვა, გარნა განგიზრახავ, რათა შემოიმტკიცო დადიანი ფიცით და განუტეო“.

ამისი მსმენელი მეფე ბაგრატ განრისხნა და ინება აღმოჴდა თუალთა დადიანსა. არამედ შეერთებისათჳს გურიელისა და ოდიშართა ვერღარა ჰყო და პატიმარ-ჰყო გელათს სამრეკლოსა შინა. მაშინ ჩხეიძემ ხოფილანდრემ განზრახჳთა ათაბაგისათა, რამეთუ შურობდა ქაიხოსრო ბაგრატს, გამოაპარა დადიანი და მოიყვანა ახალციხეს. ამისთჳს ათაბაგი ქაიხოსრო ეზრახა გურიელს, ზავ-ჰყო მის თანა, რათა მისცეს გზა დადიანსა. მან აღუთქუა და წარმოიყვანა ოდიშს და დაიპყრა თჳსივე ლევან დადიანმან. ესე შეუძნდა ბაგრატ მეფესა, ვინაჲთგან ვერღარა ეწია თჳსსა ნებასა.

ხოლო შემდგომად მოვიდა სპა ხონთქრისა გურიასა ზედა, რათა შურაგონ, ვინაჲთგან მიჰყვა ბაგრატ მეფესა და მოსწყჳდნა სპანი ოს-

1-29 სტრ., 814
მალთა; მიუღეს გურიელს ჭანეთი, და უწყეს შენება ციხისა ბათომს. ესე აცნობა გურიელმან ლევან დადიანსა და მეფესა ბაგრატს; „უკეთუ მძლონ მე, მოიწევიან თქუენზედაცა, ამისთჳს შემეწივენით“.

მაშინ დადიანმან კეთილისათჳს, რომელი ჰყო მის ზედა გურიელმან, შეიკრიბა სპანი და წარვიდა შეწევნად. არამედ ბაგრატ მეფესა შეუძნდა ესე, რამეთუ არა კეთილობდა მისთჳს გაერთება მათი. გარნა ამანცა წარუვლინა ძმა თჳსი ვახტანგ, ფ˜ მჴედრითა გურიელსა და ამცნო ვახტანგს, რათა ჰყოს ზაკუა ვითარიმე მათ შორის, რათა არა შეითქუნენ დადიან-გურიელი. ხოლო მისლვამდე ამათთა ეწყო გურიელი ოსმალთა და თავდასხმით აოტნა ოსმალნი ჴმელეთსა ზედა და მოსრნა იგინი, და სხუანი შევიდნენ კატარღებთა შინა და

განვიდნენ ჭოროხს იქით. მაშინ მდინარე ჭოროხი მდიდრობდა, რამეთუ მდინარენი განდიდებულ იყვნენ. ამისთჳს ვერღარა განვიდა გურიელი. მივიდნენ ოსმალნი, დაუწყეს შენება უმეტესად ციხესა გონიას. ხოლო ვახტანგ მისრულმან საჯავახოს უწყო ზრახუად დადიანსა რიონის თუალსა ზედა მდგომს სპითა ოდიშ-აფხაზთათა: „ვინაჲთგან ვარ ფუცებული შენდა, აწ უწყოდე თუმცა შეიკრიბნეთ შენ და გურიელი, აქუს გურიელისაგან პირი ძმასა ჩემსა, დაგესხმის იგი, ანუ მოგაკუდინებენ და ანუ შეგიპყრობენ“. მაშინ მეგრელთა არღარა გამოიკითხეს ზაკულება ესე, უკუნ-იქცნენ ფოთიდამ და წარვიდნენ თჳსად და ვახტანგ მივიდა გურიელისა თანა. არამედ გურიელს აღუძნდა უკუნქცევა დადიანისა, რამეთუ ნავებითა თჳსითა არა ძალედვა განსვლა გონიას და ბრძოლა ოსმალთა და განმაგრება გურიისა.

ამისი მხილველი ვახტანგცა წარვიდა იმერეთს. ხოლო ოსმალთა აღაშენეს ციხე გონია და შემოვიდნენ, მოსწყჳდნეს და მოსტყუევნნეს ჭანეთი და აჭარა, და დაიპყრეს თჳსად, რამეთუ ეპყრა იგინი გურიელსა. ამისა შემდგომად მოკუდა მეფე ბაგრატ ქ˜სა ჩ˜ფმც, ქარ. ს˜ლვ და დაუტევნა ძენი ორნი. გიორგი და კოსტანტინე, და დაფლეს გელათს.

1-27 სტრ., 815

მეფე გიორგი ი˜. მეფე გიორგი, ლ˜ზ წელი მეფა

შემდგომად მეფისა ბაგრატისა დაჯდა ძე ამისი გიორგი მეფედ. ამან გიორგიმ მოიწყო იმერეთი და დაიზავა დადიან-გურიელი და იყო მშჳდობით. შემდგომად მოვიდა მეფე ლუარსაბ ლტოლვილი შასთამაზისაგან, ქ˜სა ჩ ფნვ˜, ქარ. ს˜მდ, ხიზნად. შემდგომად მოკუდა ალექსანდრე ძე გიორგი მეფისა ქ˜სა ჩ˜ფნწ, ქარ. ს˜მვ. ამისვე შემდგომად იშვა ძმისწული მეფისა გიორგისა და ძე კოსტანტინესი როსტომ, ქ˜სა ჩ˜ფჲა, ქარ. ს˜მთ. ამასვე წელსა მოკუდა ცოლი გიორგი მეფისა, შემდგომად ზავ-ჰყო გიორგი მეფემან და ათაბაგმან ქაიხოსრომ და მისცა გიორგი მეფემან აწყუერის ღუთისმშობელი, ქ˜სა ჩ˜ფჲბ, ქარ. ს˜ნ. შემდგომად ამისა მოიყვანა გიორგი მეფემან ცოლად ჩერქეზის ბატონის ასული რუსუდან და იქორწინა მის თანა ქ˜სა, ჩ˜ფიგ, ქარ. ს˜ნა. კუალად შემდგომად ამისა მოკუდა გურიელი როსტომ ქ˜სა ჩ˜ფიდ, ქარ. ს˜ნბ და დასუა გიორგი მეფემან ძე როსტომისა გურიელად გიორგი. და იშვა გიორგი მეფესა რუსუდან ძე ბაგრატ, ქ˜სა ჩ˜ფჲე, ქარ. ს˜ნგ.

ხოლო შემდგომად როსტომ გურიელის სიკუდილისა განუტევა ცოლი თჳსნი ლევან დადიანის ძემან გიორგიმ ასული როსტომ გურიელისა და წაგუარა ბიძასა თჳსსა ბათულიას ცოლი სიკეკლუცისათჳს

და შეირთო თჳთ და ამით იქმნა მტერობა მათ შორის, და შემდგომად შფოთებისა ზავ-ჰყვეს დადიან-გურიელმან და მისცა ლევან დადიანმან ასული თჳსი გიორგი გურიელსა ცოლად და იქმნა ამითი მშჳდობა. შემდგომად განუტევა გურიელმანცა ცოლი თჳსი, ასული ლევან დადიანისა, შურისათჳს წინათქმულისა და მტერობითა დადიანისათა ემზახლა მეფესა გიორგის, რამეთუ ჰყვანდა მეფესა გიორგის მუსადია ქურივი და მისცა იგი გიორგი გურიელსა ცოლად და დაიმოყრუნენ ამით. ამისთჳს მოიმწო ვახტანგის ძის ძემ ხოსრომ დადი-

1-28 სტრ., 816
ანი და ამან იშუელა ჭილაძე ვარაზა ლიპარტიანით ოდიშრით. ესენი ყოველნი ღალატად დაესხნენ გიორგი მეფესა იანეთს და იქმნა ბრძოლა ძლიერი. ვერა რაი ავნეს გიორგი მეფესა. არამედ ივლტოდნენ იგინივე ქ˜სა ჩ˜ფჲწ, ქარ. ს˜ნვ და მოისროდნენ მახჳლითა.

მაშინ იწყო მეფემან გიორგი მტერობა გურიელითურთ დადიანსა ზედა. ვერღარა შეუძლო დადიანმან წინააღდგომა და წარვიდა სტამბოლს. შევიდნენ და დაიპყრეს ოდიში მეფემან და გურიელმან. არამედ მწე ეყო დადიანს ხონთქარი, მოსცა აზრუმ-ტრაპიზონის სპანი და მოვიდნენ სატყეპელასა ზედა. შეშინდა გურიელი სიდიდისათჳს სპათათა, და უწყო დადიანსა ვედრება, რათა ზავ-ჰყონ და არა მოუოჴრონ ქუეყანა. არამედ დადიანმან სთხოვა სისხლი განტევებისათჳს ასულისა თჳსისა და აღუთქუა ზავ-ყოფა. უღონო-ქმნილმან გურიელმან მისცა სისხლად ჶ˜ დრაჰკანი; ზავ-ჰყო მისთანა, მოუმღუა გურიელი და დაიპყრა ლევან კუალად ოდიში.

ხოლო მეფემან გიორგიმ მოუწოდა ჯავახს ჭილაძეს, მოკლა იგი შურისათჳს წინათქმულისა, რამეთუ მიმდგომიცა იყო დადიანისა და დაიპყრა მამული ჯავახ ჭილაძისა მეფემან გიორგიმ. ესე აღუმძდათ დადიან-გურიელსა, შეითქუნენ და მოვიდნენ სპითა და არა აუფლებდნენ გიორგი მეფესა მამულსა ზედა ჭილაძისასა. არამედ ნახევარი დაიპყრა დადიანმან და ნახევარი გურიელმან.

ამისა შემდგომად მოკუდა ლევან დადიანი ქ˜სა ჩ˜ფობ, ქარ. ს˜ჲ, რამეთუ უბრკმა ცხენსა მისსა ნადირობასა შინა და შემუსრა კისერი მისი; და დაჯდა ძე მისი გიორგი დადიანად.

ხოლო გიორგი მეფემან მოგუარა ძესა თჳსსა ბაგრატს ცოლად დაჲ დადიანის გიორგისა და ასული ლევანისა და აქორწინა მის თანა ქ˜სა ჩ˜ფოგ˜, ქარ. ს˜ჲა.

ამასვე ქორონიკონსა იშვა ძე გიორგი მეფისა რუსუდანისაგან

ლევან. არამედ ესე შეერთება მეფისა და დადიანისა შეუძნდა გური-

ელს და გარდაბირა დადიანს ძმა მამია და მოიყვანა გურიას, შერთო
დაჲ თჳსი ცოლად. მერმე შემოიკრიბნა სპანი გურიელმან, მიუჴდა
დადიანს ზუგდიდს, ეკუეთა დადიანიცა. არამედ ბრძოლასა იძლია და-
დიანი გიორგი და ივლტოდა აფხაზეთს. ხოლო დაჴდა დადიანად
მამია, ძმა მისი. ეზრახნენ მეფე გიორგის მამია და გურიელი, რათა
სთნდეს ესე ესრეთ და მოსცეს რომელი ეპყრა ჭილაძისეული დადიან-
სა. ესე სათნო იყო გიორგი მეფემან, ვინაჲთგან მამიაცა იყო მძახა-
ლი და მისცათ ნება და ჰყვეს ზავი მეფემან და დადიანმან და გური-
ელმან.

შედგომად იშოვა ნიჴადი გიორგი დადიანმან აფხაზნი, ჯიქნი
და ჩერქეზნი და მოვიდა ოდიშს. ესე აცნობა დადიანმან გურიელსა
და გურიელმან წარუვლინა სპანი თჳსნი მამიას; ეწყო მამია გიორგი
დადიანსა, იძლია კუალად გიორგი და წარვიდა აფხაზეთს.

ხოლო მოკუდა მეფის გიორგის ძე ბაგრატ და დედოფალი დედა
მისი რუსუდან ქ˜სა ჩ˜ფოჳ, ქარ. ს˜ჲვ. ამასვე ქორონიკონსა მოკუდა
კათალიკოზი ევდემონ. ამასვე წელსა გამოვიდა ლალა-ფაშა და ტფი-
ლისიდამ ამან ლალა-ფაშამ წარმოავლინა სპანი იმერეთსა ზედა დაპ-
ყრობად. ამათ შემოვლეს ქართლი. ამისი მცნობი გიორგი მეფე წარ-
ვიდა სპითა მოსწრაფედ და შეუკრა მთა ლიხისა და მოვიდნენ ოს-
მალნიცა, და უწყეს ბრძოლა იმერთა სიმაგრით გამო და მოსრვიდნენ
მრავალთა ოსმალთა: შემდგომად იძლივნენ ოსმალნი და მოსწყუედ-
დიან იმერნი, აღიღეს ალაფი დიდი და მოვიდა გამარჯუებული მეფე
გიორგი ქუთათისს. ხოლო დადიანი გიორგი, უღონო-ქმნილი, ევედრა
გიორგი მეფესა, რათა მწე ექმნას მას, აღუთქუა მეფემან და აუწყა
გურიელსა. მაშინ გურიელმან მოუთხრა მეფესა: „ვითარცა განუტე-
ვე დაჲ მისი და მივეც სისხლი, ეგრეთ მანცა განუტევა დაჲ ჩემი, მომ-

ცეს ნასისხლი ჩემი და მე დავარწმუნო მამიას და ვჰყოთ იგივე დადი-
ანადვე“.

ხოლო ესე ყოველი მიუთხრა მეფემან გიორგი დადიანსა და და-
დიანმან ყოველნი აღუთქუა, არამედ სთხოვა მეფესა ცოლის დაჲ
თჳსი, რომელსა ზრდიდა მეფე, რათა მისცეს ცოლად და მით იქმნეს
სარწმუნოდ. ხოლო უკეთუ არა რით დაერწმუნოს ყოფად ამისა,
ამისთჳს მისცა მეფემან ცოლის დაჲ თჳსი გიორგი დადიანსა და ოქ-

რო იგი ნასისხლი დადიანმან უკუნსცა გურიელსა. და ვინაჲთგან მწი-
რობდა დადიანი და არა აქუნდა ეგოდენი, მისთჳს მისცა ხოფი, ვიდ-
რე ამოვიდეს ფასი ოქროსა მის. მერმე ზავ-ჰყვეს მეფემან და გური-
ელმან ძმათა შორის, მოიყვანეს გიორგი და დასუეს დადიანადვე. ხო-
ლო მამიას მისცეს ჭილაძისა და რევაზის მამულნი, და იქმნა ამითი
სამთავე შორის მშჳდობა.

არამედ შემდგომად ამისა მოიჴსენა შური ბათულიამ, ბიძამან
დადიანისამან, შემოიკრიბა საჯავახო, რამეთუ მას ეპყრა იგი და მო-
იბირნა ვინამენიცა მეგრელნი, წარვიდა, რათა თავსდასხმით ღალა-
ტად მოკლას გიორგი დადიანი. აგრძნა ესე გიორგი დადიანმან და შე-
მოიკრიბნა სპანი. ესე უთხრეს ბათულიას, უკმოიქცა და მოვიდა სა-
ჯავახოსავე. ამისთჳს აუწყა ესე მეფესა დადიანმან და ძმამან მისმან
მამიამ. ხოლო მეფემან გურიელსა მიუთხრა, რათა მოკლას ბათულია
ამის წილ და დაიპყრას თჳთ საჯავახო ორთავე ნებითა. განიხარა გუ-
რიელმან, შეიპყრა ზაკჳთ ბათულია. არამედ თჳთ არა მოაკუდინა და
პატიმარ-ჰყო ოზურგეთს და დაიპყრა საჯავახო თავისად. მერმე კუ-
ალად მოუთხრეს მეფემან და დადიანმან გურიელს მოკლვა ბათული-
ასი. ხოლო გურიელმან არა მოკლა თჳთ, არამედ მისცა მათ ნება; და
ამათ წარავლინეს კაცი და მოაშთვეს ბათულია და იქმნებოდა ესრე-
თი მშჳდობა.

1-26 სტრ., 819
ხოლო რაჟამს მოსლვასა ლალა-ფაშისასა მოსრნა გიორგი მეფე-
მან ოსმალთა სპანი და მერმე ქართველთა, მოვიდა აწ სინან-ფაშა
ქართლსა ზედა. ამან ფაშამან ჰგონა კუალად შუელა ქართველთა
გიორგი მეფისაგან. ამისთჳს წარმოევლინა ათაბაგი ყუარყუარე ქ˜სა
ნ˜ფპა, ქარ. ს˜ჲთ გიორგი მეფისა თანა, რათა ემტეროს სჳმონ მეფე-
სა და ქართლსა. მაშინ განზრახჳთა ათაბაგისათა შემოიკრიბნა გიორ-
გი მეფემან სპანი და მოიყვანა დადიან-გურიელიცა სპითა მათითა;
ვინაჲთგან აქუნდათ ერთობა და ბრძანებულიცა იყო ხონთქრისა,
მიუჴდნენ შიდა ქართლს, ვერა სადა ჰპოვნეს ხიზანნი და დაწვნეს
სრულიად გაღმა-გამოღმართნი. მერმე უკუმოიქცნენ და მოვიდნენ
უვნოდ. ამისა შემდგომად მოკუდა დადიანი გიორგი ქ˜სა ჩ˜ფპბ, ქარ.
ს˜ო და დაჯდა ძმა მისი მამია დადიანად. არამედ გურიელი გიორგი
კუალად არა დასცხრა შურგებად გიორგი დადიანისად, მოიპარა ძე
გიორგი დადიანისა მცირე ლევან, პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეფი-
სასა, განზრახჳთა მამია დადიანისათა. ხოლო ყრმა იგი უთმინოე-
ბითა ტყუეობისათა გარდმოიჭრა ციხიდამ, რეცა განლტოლვად და
მოკუდა. არამედ ესე მიზეზ ჰყო დადიანმან მამიამ გურიელსა ზედა,
შემოიკრიბნა სპანი და მივიდა გურიას. ამას ეკუეთა გიორგი გურიე-
ლიცა და ბრძოლასა იძლია გურიელი და ივლტოდა სტამბოლს. მა-

შინ დადიანმან მოიყვანა ტომი გურიელთა ვახტანგ და დასუა გურიელად ქ˜სა ჩ˜ფპგ, ქარ. ს˜ოა. ამასვე ქორონიკონს შეიპყრა მეფემან გიორგი ძმა თჳსი კოსტანტინე ძით მისით როსტომით, ვინაჲთგან ლევან ძე გიორგი მეფისა მცირე იყო. რათა არა მძლე ექმნას და მცილე ექმნეს მეფობასა, და ჰყო პატიმრად. არამედ მოქმედთა ესე-ვითარებათათა გარნა აქუნდათ მშჳდობაცა ჟამად. შემდგომად მოკუდა მეფე გიორგი ქ˜სა ჩ˜ფპე, ქარ. ს˜ოგ.

1-26 სტრ., 820

ი˜ა. მეფე ლევან, ე˜წელი მეფა

დაჯდა ძე გიორგი მეფისა ლევან მეფედ და ეკურთხა ქუთათისს. ხოლო ბიძა მისი კოსტანტინე თავისუფალ იქმნა ძით თჳსით და დაიპყრა მან რიონის აღმოსავლეთისა კერძონი, რამეთუ ლევან ყრმა იყო წლისა ი˜ბ. შემდგომად წელსა ქ˜სა ჩ˜ფპვ, ქარ. ს˜ოდ მოიყვანა ლევან მეფემან ცოლად დაჲ მამია დადიანისა და ასული ლევანისა მარეხ და ჰყო ქორწილი შემგზავსებული.

კუალად წელსა ქ˜სა ჩ˜ფპზ˜, ქარ. ს˜ოე ნააღდგომევს გაილაშკრა ლევან მეფემან ბიძასა თჳსსა კოსტანტინეს ზედა; ვერ წინააღუდგა კოსტანტინე და ლევან მიუხუნა ციხენი. სკანდა, კაცხი დ სრულიად არგუეთი. შემდგომად ზავ-ჰყო მის თანა და მისცა საუფლისწულონი და იმყოფებოდა მის თანა.

ამავ წელს მოკუდა გურიელი ვახტანგ, მოვიდა და დაჯდა გიორგივე გურიელად შეწევნითა ოსმალთათა, რამეთუ მოსრულ იყო სტამბოლიდამ და იყოფოდა გონიას. ხოლო ჟამთავე პირველთა განძლიერდა მეფე სჳმონ და მოიჯსენა შური გიორგი მეფისა, ეზრახა იმერთა მეფე სჳმონ, რამეთუ მომკუდარ იყო ბიძაცა მეფისა ლევანისა კოსტანტინე და ვინაჲთგან იყო ლევან ყრმა. ამისთჳს ვიეთთამე იმერთა მისცეს სჳმონს პირი მტკიცე. მაშინ წარმოემართა მეფე სჳმონ სპითა თჳსითა იმერეთსა ზედა.

ამისმან მცნობმან მეფემან ლევან შემოიკრიბნა სპანი იმერთა, მოუწოდა მამია დადიანსა და გიორგი გურიელსა. არამედ მათ არა ინებეს მოსლვა, ვინაჲთგან შურობდნენ ურთიერთსა. ხოლო ლევან მეფე დადგა გოფანთოს სპითა თჳსითა. გარდმოვლო სჳმონ ლიხის მთა და მიერთნენ ზემოურნი რომელნიმე, მერმე მოვიდა გოფანთოს სჳმონ, ეკუეთა ლევან და იქმნა ბრძოლა ძლიერი ქ˜სა ჩ˜ფპჱ, ქარ.

1-26 სტრ., 821

ს˜ოვ; იძლია ლევან მეფე და ივლტოდა ლეჩხუმს.ხოლო სჳმონ მე-

ფემან დაიპყრა იმერეთი, გამოუხუნა მძევალნი იმერთა, წარიყვანნა იგინი და წარვიდა.

შემდგომად მოვიდა ლევან მეფე და დაიპყრა იმერეთი და მტერობდა დადიანსა, ვინაჲთგან არა მწე ეყო სჯმონსა ზედა. არამედ განძლიერდა მეფესა და დადიანს შორის მტერობა ძლიერად, შეიკრიბნა ამისთჳს დადიანმან მამიამ სპანი თჳსნი და მოვიდა ქუთათისს. ამას ეკუეთა მეფე ლევან სპითა თჳსითა იმერთათა და ძლიერისა ბრძოლისა შემდგომ სძლო დადიანმან და შეიპყრა მეფე ლევან ქ˜სა ჩ˜ფჟ, ქარ. ს˜ოჱ, წარიყვანა ოდიშს და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა შხეთს; და მოკუდა შემდგომად მეფე ლევან პატიმრობასა შინა შხეთს ციხესა შინა.

ი˜ბ. მეფე როსტომ, ი˜ე წელი მეფა

ხოლო იმერთა მოიყვანეს ძე კსოტანტინესი ძისა ბაგრატ მეფისასა როსტომ და დასუეს მეფედ. არამედ ამან როსტომ ვერა მტკიცედ დაიპყრა მეფობა. ამასვე ქორონიკონს მოკუდა მამია დადიანი და დაჯდა ძამ მისი მანუჩარ დადიანად. ესე მანუჩარ ეზრახა და ემზახლა კახ-აბტონს ალექსანდრეს და მოიყვანა ასული მისი ნესტანდარეჯან მზითვითა დიდითა ცოლად და იქორწინა მის თანა.

არამედ ამავ ქორონიკონს იხილა გურიელმან გიორგიმ საქმე როსტომისა, შეიკრიბნა სპანი, მოვიდა და მოიყვანა ბაგრატ ძე თეიმურაზისა ვახტანგის ძისა; ვერ წინააღუდგა როსტომ, წარუხუნა ქუთათისი და მისცა ბაგრატს, განუმაგრა ციხე ქუთათისი და მოუდგინა ძე თჳსი მამია ბაგრატს და თჳთ მივიდა საჩინოს; მოიყვანნა ოსმალთა სპანი. განსდევნა ჩიჯავაძე, აღიღო ციხე სებეკა, შემუსრა იგი და მუნ დასუა სხუა ჩიჯავაძე და მიიქცა გურიასავე.

1-25 სტრ., 822
ამასვე ქორონიკონსა კუალად მოვიდა სჯმონ მეფე და მიერთნენ იმერნი, მოადგა ქუთათისს, აღიღო და გამოიყვანა ბაგრატ და მას შინა შეაყენნა გუშაგნი თჳსნი და დამძევლნა კუალად იმერეთი და წარვიდა ქართლს; ხოლო როსტომ ამათ ვითარებათა მხილველი და თჳთ ვერა რისა მყოფელი წარვიდა მანუჩარ დადიანისა თანა და ევედრა მას შეწევნასა. მაშინ დადიანმან შეიკრიბნა სპანი, მოვიდა, აღიღო ქუთათისი და დაიპყრა იმერეთი როსტომ.

ესმა ესე სჯმონ მეფესა, გამოილაშკრა ძალითა დიდითა, ზარბაზნებითა და აღკაზმულობითა სპათათა, გარდმოვლო ლიხი და მიერთნენ კუალად იმერნი.ამისთჳს ვერ წინააღუდგა როსტოომ და ივ-

ლტოდა ოდიშსვე. ხოლო სჳმონ მეფემან აღიღო ციხენი: სკანდა, კუარა, კაცხი, სუერი, შეაყენნა თჳსნი და მოადგა ქუთათისს, აღიღო იგიცა. არამედ რა სცნა მეფემან სჳმონ წარსვლა როსტომისა ოდიშს წარვიდა მის ზედა, რათა შეიპყრას იგი და დაიპყრას იმერეთი მკჳდრად, ვინაჲთგან არღარავინ იყო ტომი მათი თჳნიერ როსტომისა და მივიდა ოფიშკვითს.

მაშინ დადიანმან მოუვლინა მეტყუელმან; „გვიმონე ორნივე და მიეც როსტომს იმერეთი და ვიყვნეთ მორჩილ შენდა საუკუნოდ“. არამედ სჳმონ მეფემან მრავალგზის განმარჯუებულობისათჳს იამპარტავნა მეგრელთაგან წინააღდგომა და შერისხჳთ მიუგო: „გნებავს მომეც როსტომ და დავიცვა ქუეყანა შენი უვნოდ, უკეთუ არა, მოვიდე და, თუმცა ძალგიცს, დამხუდი ბრძოლად“. ამის მსმენელსა დადიანს შეუძნდა სიამაყე ესე, შემოიკრიბნა სპანი და როსტომ მის თანა, რაოდენითამე იმერლითა დაესხა გარიჟრაჟს სჳმონ მეფესა, იძლია მეფე სჳმონ და ივლტოდა ქართლს. ხოლო დადიანმან აღიღო

1-26 სტრ., 823
ალაფი და ზარბაზნები წარიღო ოდიშს. მოიყვანა როსტომ და აღიღეს ქუთათისი (აკურთხეს ქუთათისს მეფედ) და ყოველნი ციხენი იმერეთისანი და დაიპყრა როსტომ სრულიად იმერეთი ქ˜სა ჩ˜ფჟ, ქარ. ს˜ოჱ. არამედ შემდგომად ზავ-ჰყვეს როსტომ მეფემან და სჳმონ მეფემან, მისცა ტყუენი და მეციხოვნენი ყოველნი სჳმონს. ხოლო მძევალნი იმერეთისანი უკმოსცა სჳმონ მეფემან და მეფობდა ესე როსტომ მშჳდობით, რამეთუ დადიანი აქუნდა მწედ.

შემდგომად მოუჴდნენ აფხაზნი გურიას ნავებითა. ამათ ეკუეთა გურიელის ძე მამია, სძლო და მოსწყჳდნა სრულიად ქ˜სა ჩ˜ფჟა, ქარ. ს˜ოთ. ამასვე ქორონიკონს უშვა ნესტანდარეჯან დადიანს მანუჩარს წული ლევან. არამედ შობასვე მოკუდა ნესტანდარეჯან. ხოლო მანუჩარ დადიანმან შემდგომად გლოვისა მოიყვანა ცოლად ქურივი ვახტანგ გურიელისა და ასული ათაბაგისა და იქორწინა მის თანა. ხოლო შემდგომად ამისა მოიყვანა ათაბაგის ქალი თინათინ დედოფლად კოსტანტინე მეფემან ქ˜სა ჩ˜ფჟზ, ქარ. ს˜პე და იქორწინა.

ამასვე ქორონიკონს მოითხოვა პაპამან მისმან ალექსანდრემ კახ-ბატონმან აღსაზრდელად მანუჩარ დადიანისგან ძე მისი ლევან. ამან მანუჩარ წარუვლინა და ზრდიდა იგი მას. ხოლო შემდგომად მოკუდა გურიელი გიორგი ქ˜სა ჩ˜ქ, ქარ. ს˜პჱ და დაჯდა ძე მისი მამია გურიელად და იყო მშჳდობა სამთა ამათ შორის: მეფისა. დადიანისა და გურიელისა თანა, და მეფობდა ესრეთ როსტომ. არამედ შემდგომად იხილა რა დადიანმან მანუჩარ კახეთს დავითისაგან საქ-

მე იგი, მოითხოვა ძე თჳსი ლევან ალექსანდრესაგან; ამან წარმოუვ-
ლინა და მოვიდა მამისა თანა ლევან, ქ˜სა ჩ˜ქდ, ქარ. ს˜ჟბ. მაშინ იყო
ლევან წლისა ი˜გ და განიხარა მანუჩარ ხილვითა მისითა. შემდგო-
მად მოკუდა მეფე როსტომ ქ˜სა ჩ˜ქე, ქარ. ს˜ჟგ.

1-23 სტრ., 824

ი˜გ. მეფე გიორგი, ლ˜ წელი მეფა

ხოლო ვინაჲთგან არღარავინ იყო ტომი მეფეთა, მოიყვანეს
ძმა როსტომ მეფისა ნაშობი მჴევლისაგან გიორგი, და დასუეს მეფედ
და აკურთხეს ქუთათისს, და მეფობდა ესე მშჳდობით ჟამ-რაოდენმე.
არამედ ჟამთა ამათ შინა, ვითარცა ვიხილავთ, იქმნა განტევება
ცოლთა, კლვა კაცთა და იდუმალ ტყჳს ყიდვა და უჯერონი სჯულსა
ზედა მრავალნი იმერეთსა შინა. ამისთჳს შეკრბნენ ქართლისა კათა-
ლიკოზი მალაქია, აფხაზთა კათალიკოზი ევდემონ და ყოველნი ეპის-
კოპოზნი იმერეთ-ოდიშისანი. ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყვნენ:
ქუთათელი სჳმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქ-
ველი, დრანდელი ფილიპე, ცაგერელი კოზმან, ხონელი ზაქარია, ნი-
კორწმინდელი იოაკიმ, ჩაისელი კჳრილე. ამათ განაჩინეს მოქმედთა
მათთათჳს ჯეროვანი შერისხუანი, დაწერნეს და შეაჩუენნეს მოქ-
მედნი მისნი, ვითარცა გვაუწყებს აღწერილი მათი.

ხოლო შემოიკრიბნა მამია გურიელმან სპანი, შევიდა აჭარას,
მოსწყჳდნა ოსმალნი და დაიპყრა კუალად თჳთვე აჭარა ქ˜სა ჩ˜ქთ
ქარ. ს˜ჟზ. შემდგომად მოკუდა დედოფალი თინათინ, ასული ათაბა-
გისა ქ˜სა ჩ˜ქი, ქარ. ს. ჟჱ.

შემდგომად ამისა ნადირობასა შინა ხრომან ირმისამან წარიტა-
ცა დადიანი მანუჩარ და მოკლა იგი ქ˜სა ჩ˜ქია, ქარ. ს˜ჟთ და დასუეს
ძე მისი ლევან დადიანად, ნაშობი კახ-ბატონის ასულისა.

შემდგომად ამისა მოვიდნენ ლუარსაბ და თეიმურაზ მეფენი შა-
აბაზისაგან ლტოლვილნი ქ˜სა ჩ˜ქიე, ქარ. ტ˜გ; ისტუმრა კეთილად

1-24 სტრ., 825

გიორგი მეფემან დიდითა პატივითა ქუთათისს. ამათთჳს შააბაზს
წარმოევლინა დესპანი, რათა მისცეს მას მეფემან და, უკეთუ არა, მო-
ვიდეს სპითა ჩარუხ დაჰრაიანითა და მოსპოს ქუეყანა მისი. მაშინ გი-
ორგი მეფემან ჰკითხა: „რაჲ არს ჩარუხი და დაჰრა“: მიუთხრეს
„კოხუნჯი“ და „წალდი“. მიუგო დესპანსა: „ვგონებდი შეშინებასა
სარმუზოსანითა. გარნა კოხუნჯნი და წალდნი აქუსთ მრავლად ჩემ-
თა მარგუელთაცა“. ხოლო იყვნენ წინაშე გიორგი მეფისა დადიანი

ლევან და გურიელი მამია მოწოდებულობით მიცემად მისთჳს პასუ-
ხთა შააბაზისათა.

ამათ განიზრახეს და წარავლინეს კათალიკოზი ქართლისა მა-
ლაქია და აბაშიძე პაატა ვედრებით, რათა მისსცეს ორთავ მეფეთა
მკჳდრნი თჳსნი და ეგრეთ დაიმორჩილოს. ხოლო შააბაზ მოაქცივნა
იგინი დიდითა პატივითა და ნიჭითა. არამედ ლუარსაბ მეფემან არა
ისმინა გიორგი მეფისა და წარვიდა წინაშე შააბაზისა. ხოლო შემდ-
გომად შააბაზის წარსვლისა სპარსეთსვე მიიწვივეს ბატონი თეიმუ-
რაზ კახთა. შემოიკრიბნა მეფემან გიორგი სპანი დადიან-გურიელით
და მიჰყვა არაგუამდე თეიმურაზს, რათა არა რაჲ ევნოს ქართველთა-
გან. მერმე უკმოიქცა და მოვიდა ქუთათისს. შემდგომად კუალად მო-
ვიდა ბატონი თეიმურაზ ლტოლვილთა შააბაზისაგან.

ამ ჟამთა იქმნა სიყმილი დიდი იმერეთს შინა. ხოლო მეფემან
გიორგიმ შერისხა რაჲსამე ზედა წულუკიძეს პაატას და მიუხუნა მა-
მულნი, და პაატა წარვიდა ლევან დადიანისა თანა. რამეთუ ესე ლე-
ვან იყო ბოროტი, ხუანჯიანი, ამაყი, მზაკუარი და ძჳრის მომჴსენე
და იმარჯჳდა ჟამთა. არამედ ამან პაატამ (რომელსა უჴმობდნენ

წუწკად უძლურებისათჳს, რამეთუ იყო კუტი) უმეტესად შთაუდვა
ლევანს მტერობა გიორგი მეფისა და მარადის განუზრახვიდა.

ხოლო გიორგი მეფემან მოგუარა ძესა თჳსსა ალექსანდრეს ცო-
ლად ასული გურიელისა
და აქორწინა იგი ქ˜სა ჩ˜ქიწ, ქარ. ტ˜ვ. შემ-
დგომად უშვა ალექსანდრეს ძე ბაგრატ; არამედ შემდგომად ორისა
წლისა შესწამა ალექსანდრემ ცოლსა თჳსსა, რეცა სიძუად ქუთათე-
ლის ვაჭრისა თანა და განუტევა ცოლი თჳსი და წარავლინა ძით
თჳსით ბაგრატით მამისა მისისა გურიელის მამიას თანა. ესე შეუძნდა
გურიელს და ეზრახა დადიანს ლევანს და მოითხოვა დაჲ მისი მარიამ,
ნაშობნი ათაბაგის ქალისაგან, ძისა თჳსისა სჳმონისთჳს. ხოლო ლე-
ვანს ვინაჲთგან აქუნდა მანკიერება და იმარჯჳდა საქმეთა და ემე-
გობრებოდა აფხაზთა, ჯიქთა და სუანთა, რათა მწე ეყონ, განიხარა
მტერობა გურიელისა და მეფისა და მისცა დაჲ თჳსი სჳმონს ძესა გუ-
რიელისასა და ქმნა ქორწილი სჳმონ ქ˜სა ჩ˜ქკა, ქარ. ტ˜თ.

შეუძნდა მეფისა გიორგის შეერთება დადიან-გურიელისა, და
დაუწყო მტერობა. შემდგომად შემოიკრიბნა სპანი თჳსნი გიორგი
მეფემან და განვიდა და დადგა გოჭორაულსა ზედა. მოვიდა ლევან და-
დიანიცა სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქითა და იქმნა ბრძოლა ძლიერი

და მოსწყდნენ მრავალნი ქ˜სა ჩ˜ქკგ, ქარ. ტ˜ია, იძლია მეფე გიორგი და ივლტოდა. მაშინ დადიანმან შეიპყრნა მრავალნი წარჩინებულნი და მდაბიურნი, აღიღო ალაფი და იავარი დ წარვიდა ოდიშს. გარნა შეპყრობილთა განზრახჳთა წუწკისათა დააჴსნევინა ვეცხლით თავ-ნი, რომელი არაოდეს ქმნილ იყო იმერეთს შინა. და შემოჴდა მიერით ესე ესრეთ.

შემდგომად ამისა განირისხა ღმერთი და მოკლა მამა თჳსი მა-მია გურიელი ძემან თჳსმან სჳმონ, მწოლარე სარეცელსა ზედა ძი-ლად, ქ˜სა ჩ˜ქკე, ქარ. ტ˜იგ და დაიპყრა გურია თჳთ: ხოლო დადიანს

1-26 სტრ., 827
ლევანს ვინაჲთგან ეძლია გიორგი მეფისთჳს, განიზრახა, რამეთუ ჰყო ბოროტი სჳმონ, ნუ თუ ზავ-ჰყოს გიორგი მეფისა თანა და შეითქუნენ ჩემზედა.ამისთჳს აღირჩია გურიელად დასმად ვახტანგ გურიელისა ძისა ქაიხოსროსი, ძმისა მარიამ დისა თჳსისა, შეიკრიბნა სპანი და მივიდა ლანჩხუთს, მიზეზ-ჰყო და მიუთხრა სჳმონ გური-ელსა: „ვინაჲთგან მოჰკალ მამა შენი, არღარა მნებავს მოყუროზა შენი, მომეც დაჲ ჩემი და უკუნვიქცევი“.

არამედ სჳმონ იყო მჴნე, ახოვანი, შემმართებელი, ამანაც შე-მოიკრიბნა სპანი, ეკუეთა დადიანს ლანჩქუთს, ფიცხელ სასტიკის ბრძოლისა შემდგომად იძლია გურიელი სჳმონ და სპანი მისნი. შეიპ-ყრეს სჳმონ გურიელი და მოართუეს ლევან დადიანსა. მაშინ ლევან დადიანმან აღმოჴადნა თუალნი სჳმონს და დასუა გურიელად ქაიხოს-რო. წარმოიყვანა დაჲ თჳსი მარიამ და მოვიდა ოდიშს გამარჯჳე-ბული.

ხოლო ამის წელსა მოვიდა მოურავი გიორგი სამცხიდამ გიორგი მეფისა თანა და მერმე მიიწვია ლევან დადიანმან. გარნა არა დაადგრა და წარვიდა. არამედ ვინაჲთგან სცა პატივი მეფემან და აღუთქუა კეთილნი მისდა, ამისთჳს მოითხოვა სპანი გიორგი მეფი-საგან შეწევნად თჳსად; ამან მეფემან წარუვლინა სპანი ზემომჴ-რისანი და უთავა მათ ბოქოულთუხუცესი მამუკა და აბაშიძე ამილღა-ბარ, უკეთუ განძლიერდეს მოიმწოს იგიცა დადიანსა ზედა, რომლი-საგან ძლეულ იყო. გარნა ცუდ იქმნა განზრახუა ესე და მოვიდნენ სპანი ლტოლვილნი.

შემდგომად ამისა იმზახლენ ბატონი თეიმურაზ და გიორგი მე-ფე, მოსცა ბატონმან თეიმურაზ ასული თჳსი ქურივი ზურაბ ერისთა-ვისა დარეჯან ცოლად ალექსანდრეს, ძესა გიორგი მეფისასა.მივიდა

1-26 სტრ., 828
მუხრანს, ჰყო ქორწილი ქ˜სა ჩ˜ქკთ, ქარ. ტ˜იზ, წარმოიყვანა და მო-
ვიდა ქუთათისს.

ხოლო დადიანმან ლევან განიწყო სპანი და მოიწყნა აფხაზნი,
ვიდრე დაპყრობამდე. განმდიდრდა ფრიად, რამეთუ შემუსრნა ნავნი
ზღჳსანი და ჰყვა მწედ და მორჩილად ქაიხოსრო გურიელი, და განაც-
ხადა მტერობა მეფისა გიორგისა, განზრახჳთა პაატა წუწკისათა, და
უჴდებოდა მარადის დღესასწაულსა შინა იმერეთს და ბრძოდენ მდევ-
რად მრავალგზის იმერნი. გარნა იგინი მრე ექმნებოდიან და ტყუეთა
ანუ პყრობილთა, რომელთა წარიყვანდნენ, დააჴსნევინებდნენ ვეც-
ხლით თავთა. ამით შემოჴდა ცხადად ტყჳს ყიდვა, რამეთუ სპათაცა
მისთა ფარვით იწყეს თათართა ზედა ყიდვა ტყეუთა ნაშოვართა-
თა; და განრავლდებოდა ესევითარი ჴდომა და უჯერობა იმერეთსა
ზედა.

ხოლო ინება როსტომ ქართველთა მეფემან მზახლობა ლევან
დადიანისა და მოითხოვა დაჲ მისი მარიამ ცოლად, ქურივი სჳმონ
გურიელისა, მისცა დადიანმან. არამედ აქუნდა შიში გზასა ზედა გი-
ორგი მეფისა. ამისთჳს შეითქუნენ და მოვიდა როსტომ მეფე ფერ-
სათსა ზედა და დადიანმან შემოიკრიბნა სპანი დიდნი, წარმოიყვანა
დაჲ თჳსი მარიამ, გამოვლო სამიქელაო, ფოკე და განვიდა რიონს,
შევლო და მივიდა კაკას ჴიდსა ზედა. მუნ დახუდა როსტომ მეფე, მის-
ცა დაჲ თჳსი დიდებითა და წარვიდა როსტომ.

არამედ გიორგი მეფემან ჰგონა ჟამი მარჯუე, შემოიკრიბნა სპა-
ნი, რათა ეწყოს ანუ დაესხას დადიანსა და წარვიდა მცირითა კაცითა
განმსტრობად სპათა დადიანისათა, მერმე მოქცეულმან აღასრულოს
წადილი თჳსი. აგრძნა ესე დადიანმან, წარმოავლინნა სპანი ფარუ-
ლად, მოერტყნენ გიორგი მეფესა, შეიპყრეს და მიგუარეს ლევან და-

1-21 სტრ., 829
დიანსა. იგი მსწრაფლ აღიყარა სპითა, წარიყვანა გიორგი მეფე და
წარვიდა ოდიშს და პატიმარ-ჰყო მუნ მეფე. ამისთჳს ალექსანდრემ,
ძემან გიორგი მეფისამან, წარუვლინა კაცი, რათა მოსცეს კაცი, რათა მოსცეს მამა. ხო-
ლო მან მოითხოვნა ვაჭარნი ჩიხორისა და ჩხარის სომეხნი და ჰუ-
რიანი საჴსრად მეფისა გიორგისა. მაშინ ალექსანდრემ უღონო-ქმნი-
ლმან მსიცნა იგინი სრულიად და დაიჴსნა მამაჲ თჳსი, მოვიდა ქუთა-
თისს და შემდგომად ფრიადითა მწუხარებითა და ესე-ვითარება-
თათჳს და ვერარაისა მწეობასა მპოველი მოკუდა მეფე გიორგი ქ˜სა
ჩ˜ქლთ, ქარ. ტ˜კზ და დაუტევნა ძენი: ალექსანდრე, მამუკა და ბერი.

ი˜დ. მეფე ალექსანდრე გ˜, კ˜ე წელი მეფა

ხოლო შემდგომად მამისა თჳსისა დაჯდა ალექსანდრე მეფედ იმერთა და ეკურთხა ქუთათისს. არამედ ლევან დადიანი არა დასცხრა და უჴდებოდა მარადის იმერეთს შობას, ნათლისღებას, აღდგომას და ყოველთა დღესასწაულთა შინა, რამეთუ ეტყოდა პაატა: „არს ძლევა მტერთა შენთა ზედა დღესასწაული შენდა“, ვინაჲთგან უწყოდა დღესასწაულთა შინა განცხრომა, შუება და მოცალეობა იმყოფის განსუენებისათჳს, ამით აოჴრებდა სანახებსა იმერეთისასა, ვიდრე ვერღარა წინააღუდგა ალექსანდრე მეფე და მოავლო ზღუდე ქუთათისს დიდი და მოიყვანა ყოველთა წარჩინებულთა თჳსთა ცოლშვილნი და დაადგინნა მას შინა და თჳთცა იმყოფებოდა მასვე შინა. რათა არა მიერთნენ დადიანსა ჰყო მისთჳს. არამედ ლევან და-

1-26 სტრ., 830
დიანმან, სიმდიდრით აღზუავებულმან, ჰყო სასახლე ი˜ბ ოდიშსა შინა ყოვლითა მოწყობილობითა, რამეთუ არა წარიღოს ერთიდამ მეორესა შინა არარაჲმე საჴმარნი ანუ ცხენნი და გარემო წყაროთა უახლოესთა დადგა ფიალანი ოქროსანი და უშორესთა ვეცხლისა, დაბმულნი ძეწკვებითა, რათა სმიდენ მგზავრნი მით, ვინაჲთგან ვერვინ იკადრებდა ქურდობასა ანუ პარვა-ავაზაკობასა ქუეყანთა შინა მისთა. არამედ იმერთა უყოფდა ესრეთ თანამონათესავეთა, ერთსჯულთა და მეფესა თჳსსა, კუალად განზრახჳთა პაატა წუწკისათა, რამეთუ სძულობდა ცოლი დადიანისა პაატას და მტერობდა წუწკი მას. ამის გამო შეუთქუა ლევან დადიანმან ცოლსა თჳსსა სიძუა მეწდისა თანა თჳსისა, შეიპყრა იგი ძეებითურთ, შთადვა ზარბაზანსა შინა და განტყორცნა, და დაიფანტნენ სრულიად. მერმე მოიყვანა ლევან სხუა ცოლი და იქორწინა. გარნა არა უშუა ძე, არცა ასული და მოსწყდა თესლი მისი. გარნა არცაღათუ დასცხრა ოჴრებად იმერეთისად.

ამ ჟამებთა მოიწიფაცა ძმა ალექსანდრე მეფისა მამუკა; და ესე მამუკა იყო მჴნე, ახოვანი, შუენიერი, კისკასი და შემმართებელი ძლიერი. ამან უწყო ბრძოლა ლევან დადიანსა მცირედ-მცირედ და მოსწყუედდა სპათა მისთა ფრიადად. გარნა მრავალგზისაცა მოსწყჳდნა, ვითარ ვერღარა დამართვიდნენ მეგრელნი მის წინაშე და მხილველნი მისნი მსწარფლად ივლტოდნენ. ამისთჳს ლევან დადიანი მცდელობდა სიკუდილსა ანუ შეპყრობასა მისსა ფრიად.

ხოლო ჰყვანდა მამუკას ცხენი ზერდაგი დიდი, ძლიერი და ფიცხელი, რომელსა ვერ უდგმიდა კუეთებასა მისსა მეგრელთა ლაფშა. დღესა ერთსა მოვიდა ლევან დადიანი სპითა, სცნა მამუკამ, შეიჭურ-

ვა განსლვად. არამედ უტევებდა განსლვად მეფე ალექსანდრე,

1-26 სტრ., 831
რამეთუ ეშინოდა სიკუდილისა მისისა და ამისთჳს დაუმალა ზერდაგი მისი, რათა არღარა განვიდეს. მაშინ მამუკა უთმინოებითა განვიდა სხჳთა ცხენითა და ამისი მხილველნი მეგრელნი ივლტოდნენ. მიეწია მამუკა, სცა შუბი და დასცა კაცი ცხენითურთ მიწასა. არამედ უბრკმა ცხენსა მამუკასასა და დაეცნენ ორნივე. მხილველნი მეგრელნი უკ-მოიქცნენ, შეიპყრეს მამუკა და მიგუარეს ლევან დადიანსა. მან განი-ხარა და წარიყვანა და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა. ხოლო ალექსანდ-რე მეფემან ვერასადათ შეწევნისა მპოველმან, იხილა განძლიერება დიდის რუსეთისა მეფის ალექსისა; განიზრახა, რათა მოიცეს მუნიდამ ძალი. ამისთჳს წარავლინა ხოსია ჯაფარიძე წინაშე მისსა ძღუნითა და ითხოვა შეწევნა.

შემდგომად ამისა მოვიდა ბატონი თეიმურაზ ლტოლვილი ქ˜სა ჩ˜ქმჱ, ქარ. ტ˜ლვ, მიეგება ალექსანდრე მეფე და პატივ-სცა, არამედ შემდგომად გლოვისა იწვია დადიანმან ლევან და განუზრახვიდა ალექსანდრე მეფე წარსვლასა, რათა ზავ-ჰყოს მათ შორის, რამეთუ ალექსანდრე იყო სიძე და ლევან მამიდის წული, და განატევებინოს მამუკა. ამის მიერ წარვიდა ბატონი თეიმურაზ, მან ისტუმრა და პა-ტივ-სცა დიდად. შემდგომად უწყო ზრახუა წინთქმულთათჳს ვედ-რებით, რათა ჰყონ ზავი და დააცადოს ოჯრება ქრისტიანეთა და გა-ნუტევოს მამუკა შუამდგომლობითა მისითა. ამას ზედა პატივ-სცა ლევან დადიანმან და აღუთქუა ყოფად ყოველი. არამედ არა აუფლა წუწკმან ამის ყოფად დადიანი ესრეთ მეტყველმან: „უჯერო არს გან-ტევება მტრისა, რამეთუ, მოიცეს რა ძალსა, კუალადცა არს მტერი“. ამისთჳს ითხოვა შენდობა ბატონის თეიმურაზისაგან დადიანმან ვერღარა ყოფად, ვითარცა აღუთქუა, და წარმოვიდა ბატონი თეი-მურაზ უქმი.ხოლო დიდსა რუსეთისა მეფესა კეთილად შეეწყნარა ხო-

1-25 სტრ., 832
სია და წრმოევლინნა თჳსნი დესპანად ნიკიფორე პავლესშვილი და მდივანი ალექსი იოანეს შვილი ნიჭითა დიდითა. ესენი მოვიდნენ რა-ჭას. ამათ მიაგებნა მეფემან ალექსანდრემ ლომკაცი ჯაფარიძე და გი-ორგი არეშიძე, მერმე მოვიდნენ ქუთათისს წინაშე ალექსანდრესა მეფისა ქ˜სა ჩ˜ქნ, ქარ. ტ˜ლჱ და მოართუეს ნიჭნი მუნებურნი სა-მურნი და ლარნი. შემდგომად წარავლინა მშჳდობით და ევედრა კუ-ალად მწე-ყოფასა. ამისა შემდგომად აღივსო შურითა ლევან დადია-ნი და არა შეიწყალა სიჭაბუკე და შუენიერება მისი, წარავლინა კაცნი და აღმოჴადნა თუალნი მამუკას მეფის ძესა ციხესა შინა პატიმარსა. მერმე მცირედისა ხანისა შემდგომად მოკუდა მამუკა ქ˜სა ჩ˜ქნდ, ქარ.

ტ~მბ.

ხოლო ალექსანდრე მეფესა ვინაჲთგან განეძო ძე თჳსი ბაგრატ დედითურთ მისით და არა ესუა დარეჯანისა თანა შვილი, ამისთჳს მოიყვანა ძის ძე ბატონის თეიმურაზისა გიორგი და ზრდიდა ძედ თჳსად. არამედ მოკუდა იგიცა და უღონო-ქმნილმან ალექსანდრე მეფემან მოიყვანა ბაგრატ ძე თჳსი, შობილი გურიელის ქალისაგან და ჰყვანდა თჳსთანა, ვითარცა სამეფო ძე.

ხოლო ლევან დადიანმან ვინაჲთგან არა შეიშინა ღუთისა და სტყუევნიდა, აოჴრებდა და კლავდა კაცთა ქრისტეანეთა, მისცა მასცა სოფელმან ნიჭი თჳსი და მოკუდა ლევან დადიანი ქ~სა ჩ~ქწზ, ქარ. ტ~მე და დასუეს ოდიშარა ლიპარიტ დადიანად ძმა ლევანისა, ნაშობი ათაბაგის ქალისაგან. ამისმან მსმენელმან მეფემან ალექსანდრემ შემოიკრიბნა სრულიად სპანი იმერთანი და წარვიდა ოდიშს შურისგებად, ამას ვერ წინააღუდგა ლიპარიტ დადიანი, შევიდა ალექსანდრე ოდიშს, მოსწყჳდნა, მოსტყუევნნა, მოაოჴრნა, აღიღო ციხე-

ნი, გამოიღო საგანძურნი და ქონებანი ლევან დადიანისანი, შეიპყრნა წარჩინებულნი სრულიად ოდიშისანი და დააჴსნევინა ვეცხლით ყოველთა თავნი, გამოუხუნა მათვე ძენი მძევლად და დასუა ოდიშს დადიანად ვამაყ, ძე მამია დადიანისა, და თჳთ დაიპყრა უნაგირას-აქეთი აღმოსავლეთის კერძი და უნაგირას-იქითი დასავლეთისა მისცა ვამიყს. მერმე წარმოვიდა ნიჭითა, ალაფითა, იავარითა დიდითა და ტყჳთა და ნატყუენავითა გამდიდრებული და მოვიდა ქუთათისს გამარჯუებული.

ხოლო ლიპარიტ წარვიდა ახალციხეს და ევედრა ათაბაგს როსტომ ფაშას და მეფესა ქართლისასა როსტომს. მათ მოსცეს სპანი, მოვიდა სპითა გურიას, მოჰყვა ქაიხოსრო გურიელიცა სპითა თჳსითა, რამეთუ ძმა ლიპარიტისა იყო და ჭილაძე-მიქელაძენიცა მათთანავე, და გამოვიდნენ რიონს.

ამისმან მცნობელმან ალექსანდრე მეფემან შემოიკრიბნა სპანი იმერთა და განვიდა ცხენისწყალს. მას ღამესა მოუმცნო ალექსანდრე მეფესა ოტია მიქელაძემ: „მაცნობე ხვალისა კურტაკი და ცხენი შენი, არ თუ ხარ ჯაბან, დე მეც ვაცადუნო შუბის წუერი ჩემი სათუალესა ზარადისა შენისასა“. ესენი აუწყა მეფემან და დილასა რაზმთა წყობასა შინა მოუწოდა მეფემან ლევან აბაშიძეს, სიძესა ოტია მიქელაძისასა, შესუა ცხენსა თჳსსა ზედა და შთააცვა კურტაკიცა თჳსი, რამეთუ უცნობელ იყო წინთქმულთა და ლევან განიხარა ნი-

ჭისათჳს მეფისა, რამეთუ იყო შემმართებელი და ერთგული მეფისა და იქმნა ბრძოლაცა ბანძას სასტიკი, ქ˜სა ჩ˜ქნჱ, ქარ. ტ˜მვ და მოისროდნენ ორკერძოვე. მაშინ ოტიამ, მეძიებელმან მეფისმან, ჰპოვა იგი და ჰსცა შუბი ზარადის სათუალესა შინა ლევანს და განვლო კეფასა და შესძახა: „მე ვარ ოტია“. ეჰა უცხო, რამეთუ არა გარდაიჭრა

1-25 სტრ., 834
ლევან, არამედ მიუგო ოტიას: „რას ეტყჳ ასულსა შენსა, უკეთუ შენ ხარ ოტია“.
მაშინ იძლივნენ იგინი ბანძას და ლტოლვილთა მოსრვიდნენ ალექსანდრესანი. არამედ არღარა ივლტოდა ოტია და დარჩა მეფესა ნებითა თჳსითა. გარნა მასვე ჟამსა მუნვე დასწუნა თუალნი ზუმბითა. ხოლო შეიპყრეს ქართველნი, მესხნი, გურიულნი და ოდიშარნი და ლიპარიტ დადიანი და ქაიხოსრო გურიელი წარვიდნენ ლტოლვილნი სტამბოლს.

მერმე დასუა ალექსანდრე მეფემან კუალად დადიანად ვამიყვე და გურიელად დემეტრე, ძე სჳმონ გურიელისა. შემდგომად დააჴსნევინა ქართველთა, მესხთა, გურიულ-ოდიშართა ვეცხლითა თავნი და განუტევა თჳსთა ქუეყანათა შინა; მოვიდა ბანძიდამ ქუთათისს და იყოფებოდა მშჳდობით.

ამისა შემდგომად მოვიდა ქაიხოსრო გურიელი სტამბოლიდამ, და ლიპარიტ მომკუდარ იყო, და ამისი ებრძანა ხონთქარსა ათაბაგისათჳს, რათა მწე ეყოს ქაიხოსროს. მოსცა სპანი ფაშამ და ჩამოვიდა გურიას. ხოლო დემეტრე ივლტოდა იმერეთს და დაიპყრა ქაიხოსრომ გურია. ამას შეუჩინეს მაჭუტაძე მეფემან და დემეტრე გურიელმან; მან მოჰკლა ქაიხოსრო გურიელი ღალატად. წარვიდა დემეტრე და დაიპყრა კუალად გურია. ხოლო ძენი ქაიხოსრო გურიელისანი გიორგი და მალაქია წარვიდნენ წინაშე როსტომ ფაშისა ახალციხეს და იმყოფებოდნენ მუნ მის თანა. შემდგომად ამისა მოკუდა მეფე ალექსანდრე ქ˜სა ჩ˜ქჲ, ქარ. ტ˜მჩ.

ი˜ე, ბაგრატ მეფე, კ˜თთუე მეფა

დაჯდა ბაგრატ მეფედ, ძე ალექსანდრე მეფისა, და აკურთხეს ქუთათისს. ხოლო დედინაცვალმან მისმან დარეჯან დედოფალმან

1-24 სტრ., 835
მისცა ბაგრატს ძმისწული თჳსი ქეთევან დავითის ასული ცოლად და აქორწინა დიდებით და ისიძა გერი თჳსი. არამედ შემდგომად ექუსისა თთჳსა მზაკუართა კაცთა ენითა შეიპყრა ბაგრატ მეფე, გე-

რი თჳსი, დარეჯან დედოფალმან, წაგუარა ცოლი ქეთევან და აღმო-
ჴადნა თუალნი, მოიყვანა ვინმე მეფეთა მონათესავედ წოდვილი ვახ-
ტანგ, რომელსა ჭუჭუნიას შვილობითაც უჴმობდნენ, შეირთო ქრმად
იგი და დაიპყრა თჳთ იმერეთი და ვახტანგს უწოდა მეფედ.

ესე ბაგრატის კერძოთა იმერთა არა სთნდათ და აუწყეს ასლან
ფაშასა. შემოიკრიბნა ასლან ფაშამან სპანი და ჩამოვიდა იმერეთს,
მიეგებნენ დადიან-გურიელი და იმერნი, მოვიდა ფაშა , შეიპყრა ვახ-
ტანგ და დარეჯან დედოფალი და ქეთევან, ცოლი ბაგრატ მეფისა.
ხოლო იმერეთს დასუა ბაგრატვე უთუალო მეფედ და იგინი წარიყ-
ვანნა და მივიდა ახალციხეს, მუნიდამ ვახტანგ, დარეჯან და ქეთე-
ვან წარგზავნნა ოლთისს და დაასადგურა მუნ. ხოლო ბაგრატ მეფე
უთუალობით ვერა ეგდენ მართავდა იმერეთსა. ამისთჳს შეითქუნენ
იმერნი დადიანისა თანა და მოვიდა დადიანი იმერეთს. კუალად აქათ
წარმოდგა მეფე ვახტანგ ქართლისა იმერეთსა ზედა. მაშინ ეზრახა
დადიანი მეფე ვახტანგს და დაიმზახლენ მეფე ვახტანგ და დადიანი
ვამიყ, და დაიპყრა დადიანმან ბუჯის-წყლის დასავლეთის კერძონი
და აღმოსავლეთის კერძონი მისცა ვახტანგ მეფესა და ბაგრატ მეფე
მყოფობდა ციხესა შინა ქუთათისს. განზრახჳთა ცოლისა თჳსისათა
განუტევა მძახლობა ვახტანგ მეფისა დადიანმან ვამიყ და დაწინდუ-
ლი არჩილისა ძისა მისისა ასული თჳსი მოსცა ღოღობერიძეს ბე-
ჟანს. ესე შეუძნდა ვახტანგ მეფესა, ეზრახა გურიელს დემეტრეს, აბა-

1-27 სტრ., 836
შიძე პაატას და ზემომჴრელთა იმერთა. ხოლო ამათ მოკლეს ბეჟან
ღოღობერიძე და მოუწოდეს ვახტანგ მეფესა. იგი წარმოემართა სპი-
თა ძლიერითა, მოვიდა დადიანიცა ვამიყ სპითა თჳსითა საჩხერეს და
შემოიკრიბნა იმერნიცა. არამედ რა გარდმოვლო ვახტანგ მეფემან
მთა ლიხისა, მიერთუნენ სრულიად ზემოურნი იმერნი მას და ლაშხის-
შვილი ხოსია, თავი ლეჩხუმისა. ესე იხილა ვამიყ დადიანმან, ვერღა-
რა დაუდგა ბრძოლად და წარვიდა ოდიშს. შემოვიდა მეფე ვახტანგ,
აღიღო სუერი, კაცხი.

ხოლო სკანდიდამ მივიდა ბატონი თეიმურაზ მის თანა და სკან-
და დაიპყრა ვახტანგ, მოვიდა, მოადგა ქუთათისს, აღიღო ქუთათი-
სი და გამოიყვანა ბაგრატ მეფე. მაშინ მიერთუნენ სრულიად იმერნი
და შემოკრებული ყოვლითა ქართველ-იმერელითა ჩამოვიდა ოდიშს.
ვერ წინააღუდგა დადიანი ვამიყ. არამედ განივლტო სუანეთს. ხოლო
ვახტანგ მოსრნა ურჩნი ოდიშს, მოსტყუევნნა, აღიღო ციხენი და მო-
ადგა ჭაქვითის ციხესა, აღიღო იგიცა. გამოიყვანა ცოლშვილი ვამიყ
დადიანისა და გამოიღო საგანძურნი მისნი, მოვიდა ზუგდიდს და მუნ
მოერთო შარვაშიძე ძრუნითა დიდითა და აფხაზითა. მერმე დასუა

დადიანად ლევან და მისცა ძმისწული თჳსი თამარ ცოლად, რამეთუ შეჩენითა ხოსია ლაშხისშვილისათა მოკლეს სუანეთს დადიანი ვამიყ ბრძანებითავე ვახტანგ მეფისათა.

კუალად შეიპყრა ვახტანგ მეფემან ჭყინდიდელი ჩიქოვანი, ძმა კაციასი, და წარმოიყვანა პატიმრად, მოვიდა ოდიშიდამ კუალად ქუთათისს. აქა მოერთო დემეტრე გურიელი ძღუნითა დიდითა, მოიყვანა ძე თჳსი არჩილ წლისა ი~დ და დასუა მეფედ იმერეთისად და აკურთხა ყოველთა იმერთა სათნოჩენითა ქუთათისს ქ~სა ჩ~ქჲა, ქარ. ტ~მთ. შემდგომად წარვიდა მეფე ვახტანგ და წარიყვანა მეფე ბაგრატ ქართლს.

1-23 სტრ., 837

ი~ზ არჩილ ბ~წელი და ნახევარი მეფა

ხოლო მეფობდა არჩილ და მორჩილებდნენ ყოველნი იმერნი წესისაებრ და ერთგულებდენ სრულიად. არამედ შეუძნდა ესე ასლან ფაშასა ახალციხისასა, რამეთუ არღარა ნებასა ქუეშე მისსა იყვნენ იმერნი, არამედ არჩილსისა, და ამისთჳს დამართა წინაშე ხონთქრისა. მაშინ ყეენმან მოუწერა ვახტანგ მეფესა და მან წარიყვანა ძე თჳსი არჩილ. ხოლო იმერთა სთხოვეს ვახტანგ მეფესა ბაგრატ მეფე, მან მოსცა და დასუეს კუალად მეფედ ქ~ესსა ჩ~ქჲგ, ქარ. ტ~ნა.

კუალად მეფება ბაგრატ, ზ~წელი მეფა.

ხოლო დასუეს რა ბაგრატ, მოადგა ფაშა შთამოსლვად იმერეთს მთასა, რათა განაძოს არჩილ. მაშინ იმერთა აცნობეს მეფობა ბაგრატისა და უკუნიქცა მთიდამ ფაშა და დაშთა ბაგრატ მშჳდობით. არამედ დადიანმან ლევან არა ინება მეფობა ბაგრატისა, ვინაჲთგან მზახალი იყო შანაოზ მეფისა. ამისთჳს ამავე ქორონიკოს შემოიკრიბნა სპანი და მოვიდა, მიეგება ბაგრატ სპითა, ეკუეთა და იქმნა ბრძოლა; იძლია დადიანი, შეიპყრეს და მოართვეს ბაგრატს. ხოლო სპანი მისნი მოსრნეს და ტყუე-ყვნეს. მაშინ შეამჭირვა მეფემან დადიანი, მოაყვანინა ცოლი თამარ, წარგვარა მას და შეირთო თჳთ ბაგრატ ცოლად, და განუტევა თითია, დაჲ თამარისა, რომელი მისცა შანაოზ, რაჟამს წარმოგზავნა იმერეთს, ჯერეთ უქორწინო და ლევან დადიანს მისცა დაჲ თჳსი გოშაძის ნაცოლარი (რომელსა ესევე დადიანი ლევანცა შესწამოდა, რეცა მრუშებად მის ქალისა თანა), უქმნა ქორწილი და განუტევა დადიანადვე.

1-27 სტრ., 838

არამედ ჟამებთა ამათ შინა განდიდნენ მთავარნი და მიიტაცებ-

დიან თჳს-თჳსთა მჴარეთა და არღარა იყო მორჩილება ეგდენი მეფეთა; იწყეს ტყჳს ყიდვა საჯმნოდ ქრისტეს მოსყიდულთა მაჰმადიანთა ზედა. კუალად ჴდომა, შფოთი, კირთება ერთმან მეორესა ზედა და ოჴრება ქუეყანათა.

ხოლო განდიდა ჩხეიძე სეხნია სალთხუცესი. ამან იკლო რაიმე ბაგრატისაგან, იწყო ზრახუა და ერდგულება ფაშისა, მოიყვანა სპანი ოსმალთა, მოიპარა ციხე ქუთათისისა და შეაყენნა ოსმლანი ქ~სა ჩ~ქჲვ, ქარ. ტ~ნდ. ესე აღუძნდა ბაგრატს და ყოველთა იმერთა. არამედ დაიდუმეს ჯერეთ შიშითა ოსმალთათა.

ამასვე ქორონიკონს მოკუდა კათალიკოზი სჳმონ ჩხეიძე და დაჯდა საყვარელიძე ევდემოზ.

შემდგომად ამისა იცა ჟამი მოურავმან ბეჟან ლორთქიფანიძემან, შეეტყუა ქუთათისს ციხესა, მოსრნა ოსმალნი და აღიღო ციხე ქ~სა ჩ~ქჲზ, ქარ. ტ~ნე და მისცა მეფესა ბაგრატს.

ხოლო დარეჯან დედოფალსა წინათვე აღეთქუა კ~ჩ მარჩილი ფაშისათჳს, რათა იგივე ეყოს მეფედ იმერეთს და, ვინაჲთგან არა აქუნდა ვეცხლი, დაეწინდა ძმისწული თჳსი ქეთევან. ხოლო აწ საქმითავე დარეჯანისათა დაიჴსნა შანაოზ მეფემან ქეთევან, წარიყვანა და შერთო ძესა თჳსსა. და რა აღიღო ფაშამ თეთრი იგი, ევედრა დარეჯან კუალად ფაშასა და, ვინაჲთგან მოსწყჳდნეს ქუთათისს ოსმალნი იმერთა, ამისთჳს აღუთქუა და შემდგომასა წარმოემართა სპითა, წარმოიყვანა დარეჯან და ვახტანგ და ჩამოვიდა იმერეთს: მიეგებნენ დადიან-გურიელი და ჩხეიძე სეხნია. ამისთჳს ვერღარა წინააღუდგა ბაგრატ მეფე და წარვიდა ქართლს. მაშინ ოსმალთა მოსრნეს, მოსტყუევნნეს იმერეთი, შემუსრნეს მრავალნი ხატნი და ჯუარნი, მოწუნეს ქუეყანანი და ეკლესიანი ქ~სა ჩ~ქჲწ, ქარ. ტ~ნვ.

1-22 სტრ., 839

დარეჯან და ვახტანგ ჭუჭუნაშვილი

დასუეს დარეჯან და ვახტანგ მეფედ და წარვიდა ფაშა ალაფითა სავსე ახალციხეს. მაშინ დარეჯანს და ვახტანგს ჰყვნეს სანდოდ თჳსად ლაშხისშვილი ხოსია თავი ლეჩხუმისა, და სცხო მირონიცა დარეჯან ხოსიას, და განაგებდნენ იმერეთსა. შემდგომად შეიზრახნენ იმერნი, გარდმოიბირეს ხოსია და შეუჩინეს დარეჯანს და ქუთათისს ციხესა შინა, აღმკაზმელი თავისა თჳსისა დილასა დარეჯან დედოფალი მოჰკლა შუბითა ხოსიამ. ხოლო იმერთა ასპარეზსა ზედა მიმომთხველი ვახტანგცა მოჰკლეს. მოიყვანეს გურიელი დემეტრე

და დასუეს მეფედ, ქ˜სა ჩ˜ქჲჳ, ქარ. ტ˜ნვ.

გურიელი დემეტრე

შემდგომად მცირედისა ჟამისა შეიპყრეს დემეტრე გურიელი იმერთა, აღმოჴადნეს თუალნი და განაძეს. მაშინ ასლან ფაშამ წარმოავლინა ძე ქაიხოსრო გურიელისა გიორგი და დასუა იგი გურიელად. ხოლო შანაოზ მეფესა სთხოვეს იმერთა ბაგრატ მეფე. მან წარმოუვლინათ და დასუეს იგივე მეფედ იმერთა ქ˜სა ჩ˜ქჲთ, ქარ. ტ˜ნზ.

ი˜ე.მეფე ბაგრატ, თ˜წელი მეფა

არამედ კუალადცა ამავ ქორონიკონსა ჩხეიძე სეხნიამ არა ინება მეფობა ბაგრატისა და აღიღო მოპარვით და ზაკჯთ ქუთათისის ციხე და მისცა ოსმალთა და მიერით უპყრავთ დღემდე. მერმე შეიკრიბნა იმერნი სეხნიამ და მოიყვანა დადიანი და მოვიდა მეფესა ზედა. ხოლო ბაგრატ მეფემან შემოიკრიბნა რაჭა-ლეჩხუმი და ოკრიბელნი. შე-
1-27 სტრ., 840
იბნენ ჩხარს, იქმნა ბრძოლა და მოსწყდნენ ორგნითვე, იძლია სეხნია ჩხეიძე, მოკლეს იგი და მოსწყდეს სპანი მისთანანი.

ხოლო დადიანი ივლტოდა ოდიშსავე, და დაიპყრა ბაგრატ უმეტესად იმერეთი. გარნა კუალად არა დასცხრა დადიანი, რამეთუ შური აქუნდა ცოლისა თჳსისა თამარისათჳს, რომელი იყო ფრიად კეკლუცი და აღმატებული სიშუენიერითა სრული უმეტესად, შემოიკრიბა სპანი, მოვიდა და მიერთნენ სრულიად იმერნი. მაშინ მოუჴდა ბაგრატ მეფესა ქუთათისს ქ˜სა ჩ˜ქოა, ქარ. ტ˜ნთ. ხოლო ბაგრატ მეფე წარვიდა რაჭას და დადიანი დადგა გეგუთს, არბევდენ იმერეთსა.

მაშინ ბაგრატ მეფემან შემოიკრიბნა რაჭა-ლეჩხუმი და რაოდენიმე იმერნი მის თანა, ჩამოვიდა, ეწყო გეგუთს დადიანსა; ბრძოლასა იძლია დადიანი, მოსრნეს სპანი მისნი და ლტოლვილი დადიანი შეიპყრეს კუალად და მის თანა მრავალნი სხუანი, მოართუეს ბაგრატ მეფესა და დაიპყრა იმერეთი. მერმე დადიანი აფუცა ერთგულებასა ზედა და განუტევა, ვინაჲთგან ჰყვა დაჲ ბაგრატ მეფისა ცოლად. არამედ გიორგი გურიელი იყო კაცი მჴნე, შემმართებელი, მშჯლდოსან-მოასპარეზე რჩეული, უღმრთო, მესისხლე და ტყჳს მყიდველი უწყალო. ამან მოსრნა მეკობრედ მოსრულნი აფხაზნი გურიას მრავალგზის. გარნა ეტრფიალა ცოლსა ბაგრატ მეფისასა თამარს, მცდელობდა წაგურასა და თჳთ შერთუასა და ვერ ეწია. ამისთჳს ევედრა ფაშასა, რათა წარგუაროს ბაგრატ მეფესა და მისცეს მას და აღუთქუა

ქრთამი დიდი და შეასმინაცა ორგულებასა ზედა ხონთქრისასა ბაგ-
რატ. ხოლო ფაშამ მაჰმადიანობითა და ქრთამისათჳს არღარა რაჲ
გამოიკითხა და წარმოემართა ბაგრატს ზედა. ესე სცნა ჩხეიძემ როს-
ტომ და აუწყა ბაგრატ მეფესა. მაშინვე ბაგრატ წარავლინა თამარ
ცოლი თჳსი ციხესა შინა კუარას და თჳთ შეიკრიბნა სრულიად იმერ-
ნი, მოვიდა ფაშაცა და გურიელი მისთანა ქუთათისს; ეკუეთა ბაგ-

1-29 სტრ., 841
რატ სპითა თჳსითა და იქმნა ბრძოლა.გარნა ივლტოდნენ იმერნი და
ბაგრატ უთუალობითა ვერღარა ივლტოდა. შეიპყრეს და მოგუარეს
ფაშას ქ˜სა ჩ˜ქობ, ქარ. ტ˜ჲ.

მაშინ ბაგრატ ევედრა ფაშას და აღუთქუა ქრთამი დიდი, რათა
ჰყოს იგივე მეფედ. ხოლო ფაშამან იხილა რა, რამეთუ არა ძალ-ედვა
შოვნა თამარისა და შემუსრვა კუარას ციხისა, ამისთჳს მიიღო მე-
ფისა და გურიელისაგან ქრთამი დიდი, მისცა იმერეთი ბაგრატსვე და
ბაგრატ ქრთამისათჳს მისცა წინდად ძე თჳსი ალექსანდრე (რამეთუ
ესე ალექსანდრე იყო შობილი ლეჩხუმელის კოჩილას ცოლისაგან,
რომელსა ბაგრატ მეფე თანაეყოფოდა სიძვად, და ვინაჲთგან არა
ესუა სხუა ძე ბაგრატს, ესე მოიყვანა, უწოდა ალექსანდრე და ზრდი-
და ძედ თჳსად). ხოლო ფაშამ წარიყვანა ალექსანდრე და წარვიდა.

შემდგომად ამისა ზამთარსა ამას შეიკრიბა ბაგრატ მეფემან სპა-
ნი და წარვიდა შურგებად გურიელსა ზედა; ვერ წინააღუდგა გური-
ელი, მოსტყუევნა და მოსწუა გურია და წარმოვიდა ალაფითა და
იავარითა. ხოლო ვინაჲთგან კუალადცა მოყურებოდნენ დადიანი ლე-
ვან და მეფე შანაოზ, და მარიამ ჰყვა ცოლად შანაოზ მეფესა, ამის-
თჳს განაახლეს მზახლობა და სთხოვ ლევან დადიანს ძე მისი მანუ-
ჩარ საქმროდ ძისა თჳსისა არჩილის ასულის დარეჯანისათჳს. ამან
ლევან წარმოუვლინა ძე თჳსი და მისრული მანუჩარ აქორწინეს და-
რეჯანისა თანა. გარნა ყრმა და ქალი იყვნენ წლისა ზ˜. ესე იხილა
ბაგრატ მეფემან, რამეთუ არა კეთილობდა მისდა, აუწყა მსახურთა
ყრმისა მანუჩარისათა: „რამეთუ ჰნებავს შანაოზ მეფესა წარვლინე-
ბად მანუჩარ წინაშე ყეენისა ტყუედ“. შეშინდნენ იგინი და არღარა
გამოიკითხეს ზაკუა იგი, წარმოიპარეს ყრმა იგი და მოგუარეს მამა-
სა თჳსსა. შემდგომად მოადგა ბაგრატ მეფე ქუთათისს, აღიღო ციხე
და გამოიყვანა ოსმალნი ქ˜სა ჩ˜ქოდ, ქარ. ტ˜იბ. ამისთჳს მოვი-
და დესპანი ასლან ფაშის ახალციხელისა და აღუთქუა მოცემა ალექ-
სანდრესი ძისა ბაგრატისა, რათა მისცეს ციხე ქუთათისისა მათვე.

1-27 სტრ., 842
ხოლო ბაგრატ განზრახჳთა იმერთათა მისცა ციხე ოსმალთავე ყოვ-

ლითა მათითა, და დაიპყრეს მათვე. შემდგომად უშუა თამარ დედოფალმან ბაგრატს ძე გიორგი ქ~სა ჩ~ქოვ, ქარ. ტ~ად, და განიხარა ფრიად მეფემან.

ხოლო ჟამებთა ამათ შინა იყო კირთება ოდიშს აფხაზთაგან, რამეთუ ვინაჲთგან განდიდა ჭყონდიდელი ჩიქოვანი, რომელი გამოეპარა ვახტანგ მეფესა შულავრიდამ, მოვიდა და დაიპყრა ჭყონდიდლობავე, და იქმნა მისანდო ლევან დადიანისა ყოველსა შინა. ამან მოიყვანა ძმა თჳსი კაცია და აზრახა ლევანს მიცემად სალიპარტიანოსი, რამეთუ ამისგან დაიპყრას ლეჩხუმიცა ლევან დადიანმან.

ესე კაცია იყო გორდელი მდაბალი აზნაური, რომლისა მამა სუანეთს ტჳრთითა თჳსითა ზიდვიდა თაფლსა და გამოიზრდებოდა. და ესე კაცია ძმის ჭყონდიდელის გამო განდიდნა და იქმნა პატივცემულ მეფეთაგან და ამის გამო უსმენდენ ლეჩხუმელნიცა. მერმე ლევან დადიანმან მისცა სალიპარტიანო და თჳსად მისანდობელ-ჰყო ფრიად, რამეთუ იყო კაცი მჴნე და შემძლებელი საქმეთა, არამედ უღმრთო და მესისხლე; აზრახებდა დადიანს და მოსრვიდიან წარჩინებულთა ოდიშისათა. ხოლო მივიდა რა არჩილ ახალციხეს და გიორგი გურიელიცა, რომელნი მცდელობდენ გამეფებად იმერეთს ორნივე, ესე იხილა ბაგრატ მეფემან, ეზრახა გიორგი გურიელსა და მისცა ასული თჳსი დარეჯან ცოლად, ნაშობი თამარისგან, რათა დაუტეოს ტრფიალებაცა თამარისა და მცდელობა მეფობისა იმერეთისა. მოიყვანა გურიელი და აქორწინა ქ~სა ჩ~ქოზ, ქარ. ტ~ად და მოიმტკიცა ამით გურიელი. ხოლო რა მოვიდა ახალციხიდამ არჩილ სურამს, სურამიდამ ეზრახა იმერთა და მიერთნენ ყოველნი იმერნი არჩილს და დადიანი ლევან, გაღანამცა მოიყვანეს და დასუეს მეფედ ქუთათისს ქ~სა ჩ~ქოჲ, ქარ. ტ~ავ, სეკდემბერში.

1-26 სტრ., 843

ი~ვ. მეფე არჩილ, ა~წელი მეფა

ხოლო ბაგრატ წარვიდა გურიას და დედოფალი თამარ დაშთა ციხესა სკანდას. მოადგა არჩილ მეფე, გამოიყვანა თამარ და მისცა დადიანსავე ცოლად და მოიყვანა ძე დადიანისა სიძე თჳსი და ჰყვანდა თჳსთანა.

მაშინ ბაგრატ შეწევნითა გურიელისათა ევედრა ასლან ფაშას და მან აღუთქუა შეწევნა. ამავე ჟამსა წარიპარა მეფემან გიორგიმ ძე ბაგრატ მეფისა ალექსანდრე ახალციხიდამ და მოსრნეს მონანი ალექსანდრესნი. ესმა რა ბაგრატ მეფესა, შეწუხნა, რამეთუ მომკუდარ იყო ძე მისი გიორგი და არა ესუა სხუა ძე, რათა არა მოკლან

იგიცა. მაშინ ასლან ფაშამ აუწყა ხონთქარსა ყოველი ყოფილი, განრისხნა და წარმოავლინა აზრუმის ფაშა სუას აქეთითა სპითა, მოსრულს ფაშას მიეგება ბაგრატ მეფე და გურიელი.

არამედ არჩილ მეფემან შემოიკრიბნა სრულიად იმერნი, შეიფიცნა და ლამოდა ბრძოლასა. გარნა ჩამოვიდნენ რა აგჳსტოსა შინა ოსმალნი იმერეთს, განევლტვნენ არჩილ მეფესა და მიერთოდნენ ბაგრატს. ამისი მხილველი არჩილ მეფე წარვიდა რაჭას დ რაჭველთა შეკრეს მთა. მიჰყვნენ ოსმალნი არჩილს. მაშინ ხრეითის მთასა ზედა უწყეს რაჭველთა ცემა თოფთა ჯიხურებთ-გამო ოსმალთა და მოჰკლეს საზუერელი ჩიჯავაძე და სხუანი მრავალნი და უმეტეს ოსმალნი მოსწყჳდნეს. არამედ სიმრავლით სძლეს ოსმალთავე, გარდვიდნენ რაჭას, მოსწუნეს, მოსტყუევნნეს, უკმოიქცნენ და დადგნენ კუახჭირს. ხოლო არჩილ მივიდა კულბითს და აუწყა საქმე თჳსი ყოველი აზრუმის ფაშასა. მაშინ აზრუმის ფაშამ მოჰკუეთა თავი ასლან ფაშასა, მერმე მოსტყუევნნა და მოსრნა ურჩნი იმერეთს და დასუა ბაგრატვე მეფედ და წარვიდა თჳთ ქ˜სა ჩ˜ქოთ, ქარ. ტ˜ჲზ.

1-26 სტრ., 844

ი˜ე. ბაგრატ მეფე, ბ˜წელი მეფა

ხოლო ბაგრატ მოიმტკიცნა იმერნი, შემოიკრიბნა და წარვიდა ოდიშს, ეწყო დადიანი ლევან სპითა და ბრძოლასა იძლია დადიანი, წარგუარა კუალად ცოლი თჳსი თამარ და შეირთო თჳთვე, და მოვიდა ქუთათისს გამარჯუებული. მაშინ ლევან დადიანი ეზრახა გურიელს გიორგის და მისცა ძე თჳსი მანუჩარ მძევლად, დაიზავა იგი და დაიპყრა ოდიში მანვე. შემდგომად მცირედისა ხანისა მოკუდა დადიანი ლევან ქ˜სა ჩ˜ქპ ქარ. ტ˜ჲჳ.

მაშინ მოითხოვეს ოდიშართა ძე ლევან დადიანისა მანუჩარ გურიელის გიორგისაგან საყოფლად დადიანად. არამედ ვინაჲთგან არღარავინ იყო მკჳდრი ოდიშისა, ამისთჳს ეზრახა გურიელი ოდიშართა, რათა ჰყონ იგი დადიანად. ხოლო წარჩინებულთა ოდიშართა განამაგრეს ციხენი ყოველნი და მიუთხრეს გურიელსა: „ვიდრემდის ცოცხლებით არს მანუჩარ, არავის მივსცეთ ციხენი და ქუეყანანი“. ამისმან მსმენელმან გურიელმან მოკლა ყრმა იგი მანუჩარ, რამეთუ ჰგონებდა შემდგომად სიკუდილისა მისისა დაიპყრას ოდიში, და წარვიდა დაპყრობად ოდიშისა. გარნა მის გამო ოდიშართა სჩნდათ იგი, ვითარცა მესისხლე თჳსი, ვერ შევიდა ოდიშს და მოვიდა გურიასვე.

ხოლო არჩილ წარვიდა კულბითიდამ დუალეთს და მუნ დაასადგურნა დედაწულნი თჳსნი და თჳთ მოვიდა ჩხერის ციხესა შინა და

ეზრახოდა მუნიდამ იმერთა რვა თთუე. არამედ ვერარაჲსაღა მყოფელი წარვიდა დუალეთსვე. მერმე მივიდა ფაიქომს და იდგა წელსა ერთსა მუნ. შემდგომად უწყებული ძმისა თჳსისა გიორგი მეფისაგან წარვიდა რუსეთს ქ~სა ჩ~ქპა, ქარ. ტ~ჲთ, განვლო დედაწულით სპითა რუსთა მეფისათა ჩერქეზი და მივიდა თერგს, მუნ ჩაჯდა ნავს და განვიდა ასტრახანსა.

1-25 სტრ., 845
მაშინ მოკუდა მეფე რუსთა თეოდორე და დაშთა არჩილ სამ წელ აშტარხანს. ხოლო დღესა ახალწლისასა აღუნთეს ლამპარი დიდი სამსჭუალსა, მოეკიდა ცეცხლი სასუენსა მას, რამეთუ არიან სახლნი სრულიად ხისანი და დაიწუნენ ყოველნი სიწმინდენი და საგანძურნი არჩილისანი. არამედ პოვნეს სამსჭუალნი და ნაწილნი უვნოდ, კუალად დაუჯდომელი, დაუწვავი ცეცხლსა მას შინა. გარნა შემდგომად შეამკო სამსჭუალი კუალად არჩილ მეფემან. მერმე მეფემან იოანემ და პეტრემ მიიყვანეს მოსკოვს არჩილ და პატივ-სცეს მეფებრ, და იმყოფებოდა მუნ პატივცემული.

ხოლო იმერეთს მოკუდა ბაგრატ მეფე ქ~სა ჩ~ქპა, ქარ. ტ~ჲთ და დაფლეს გელათს. და ვითარ არღარავინ იყო ტომი მეფეთა, მოიყვანეს გურიელი გიორგი იმერთა და დასუეს მეფედ.

კ~. გიორგი გურიელი, ბ~წელი მეფა

არამედ ოდიში იყო უპატრონოდ და კაცია ჩიქოვანი იყო თავ და გამგე მათი. ამან მოსრნა მრავალნი შემძლებელნი და წარჩინებულნი ოდიშისანი განზრახჳთა ძმისა თჳსისა ჭყონდიდლისათა, რამეთუ ეტყოდა განზრახუათა შინა: „მას ეყოფის ერთი თოფი“. ესე იგი არს სიკუდილი ვისიცა ნებავსთ. ამით მოიყვანა ოდიში ქუეშე თჳსსა, ვიდრე პყრობამდეცა თჳსად. გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, ვითარცა აღვსწერეთ, და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდოდიან ნავებითა და ჴმელითა და სტყუევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე, და დაეშენებოდენ თჳთ აფხაზნი და არღარა იყო დრანდას და მოქუს ეპისკოპოსნი.

ხოლო შემდგომად მოკუდა კაცია ჩიქოვანი და დაიპყრა ლიპარიტიანობა ძემან კაციასამან გიორგიმ უმეტეს მამისა თჳსისა, და

1-25 სტრ., 846
სრვიდა უწყალოდ და ჰყიდდა ტყუედ ოდიშართა, რამეთუ ემცნო მამასა თჳსსა არა დატევება ჩექმიანისა და კოხუნჯიანთა დაიპყრობს.

ხოლო გიორგი გურიელმან განირისხა ღმერთი, განუტევა ცო-
ლი თჳსი დარეჯან, ასული ბაგრატ მეფისა, და შეირთო სიდედრი
თჳსი დედოფალი თამარი ცოლად. ამას ეპყრა იმერეთი და მცდელო-
ბდა ოდიშსაცა.დაპყრობად.

არამედ გიორგი ლიპარიტიანმან მოიყვანა ძე ლევან დადიანისა,
ნაშობი მჴევლისაგან ლევანვე, და დასუა დადიანად სათნოებისათჳს
მეგრელთა და წინააღმდეგად გურიელისად.

ხოლო გიორგი მეფესა ქართლს ჰყვანდა ძე ბაგრატისა ალექ-
სანდრე, შეუძნდა პყრობა იმერეთისა გურიელისაგან და არა პყრობა
ძმისა თჳსისა არჩილისა. ამისთჳს ეზრახა უსუფ ფაშას, რათა ჰყოს
ალექსანდრე. მაშინ წარუვლინა გიორგი მეფემან ნიჭითა თჳსითა და
პატივითა ქ~სა ჩ~ქპბ, ქარ. ტ~ო. ესე აუწყა ფაშამ ხონთქარსა. ხოლო
ხონთქარმან მოსცა ხალათი და ჴრმალი და იმერეთი ალექსანდრეს
და ებრძანა უსუფ-ფაშისად მეფედ ყოფად მისი იმერეთს. მსმენმან
ბრძანებისამან ჩამოიყვანა ფაშამ ალექსანდრე. ხოლო გურიელი
წარვიდა, ვერ წინააღმდგომი, გურიას და დასუა ფაშამ ალექსანდრე
მეფედ. შემდგომად წარვიდა ახალციხესვე ფაშა და დედოფალი თა-
მარ მივიდა ოდიშს, რათა არა მოერთნენ ოდიშარნი ალექსანდრეს.
არამედ მუნ მოკუდა თამარ დედოფალი ქ~სა ჩ~ქპგ~, ქარ. ტ~ოა (თქმულ
არს, რამეთუ იყო მიდგომილ და შობასა შინა შუა ცეცხლი და მო-
კუდა).

ხოლო შემდგომად კაცია ჩიქოვანის სიკუდილისა ნაცოლარი მი-
სი და დედინაცვალი გიორგი ლიპარიტიანისა, დისწული შოშიტა

ერისთავისა, შეირთო გიორგი გურიელმან ცოლად და ამათ გამო
მცდელობდა პირველ ოდიშს და აწ უმეტეს იმერეთსაცა.

ი~ზ. მეფე ალექსანდრე, ზ~ წელი მეფა

და დაჯდა ალექსანდრე მეფედ ქ~სა ჩ~შპგ, ქარ. ტ~ოა. მაშინ გან-
დიდებულ იყო აბაშიძე პაატა და მორჩილებდენ სრულიად მარგველ-
ნი. ინება ალექსანდრემ მომტკიცება მისი და მისცა დაჲ თჳსი დარე-
ჯან ცოლად, ნაცოლარი გურიელის გიორგისა, და მიქელაძე გიორგის
დისწული იყო პაატა და მოიმტკიცნა იმერნი ამით. არამედ გურიე-
ლის გამო გიორგი ლიპარიტიანმან, შოშიტა რაჭის ერისთავმან და
ბეჟან ლორთქიფანიძემ არა ინებეს მეფობა ალექსანდრესი, შეიკრიბ-
ნენ და მიერთნენ ესენი გურიელსა. არამედ გურიელმან ბრძოლად
წარმოსულმან, განსძარცუა ხატი ვლაქერნისა ღუთისმშობელი,

და ჰყო სამკაულად თჳსად.

შემოიკრიბა გურია, მოვიდა საჩინოს, მიერთნენ ჩიჯავაძენი, მერმე ლიპარიტიანი ოდიშარითა, რაჭის ერისთავი რაჭველით, ლორთქიფანიძენი და ლეჩხუმელნი. ხოლო ალექსანდრეს დაშთა აბაშიძენი და ზემოურნი და მიქელაძე გიორგი და მარგუელნი. ეწყუნენ როკითს ურთიერთს და იქმნა ბრძოლა ძლიერი ქ˜სა ჩ˜ქჰდ, ქარ. ტ˜ობ. დაიკოდნენ და მოისრნენ ორგნითვე უმრავლესნი. შემდგომად მოკლეს გიორგი გურიელი (იტყჳან ვითარმედ უცნაურითა კუეთებითა მოკუდა) და ივლტოდნენ სპანი მისნი. მოკლეს კუალად რაჭის ერისთავი შოშიტა, სხუათა მოსრვიდნენ და შეიპყრობდნენ უამრავთა. ხოლო ლიპარიტიანი ივლტოდა ოდიშს და მოიქცა ალექსანდრე გამარჯუებული. არამედ აქეთ მოკლეს აბაშიძე ლევან და პაატა დაჰკოდეს. შემდგომად პყრობილნი გურიელ-ოდიშარნი და იმერნი დაჰყიდნეს ვეცხლსა ზედა. და დაიპყრა ალექსანდრემ კუალად იმერეთი.

1-29 სტრ., 848
ხოლო გურიას დასუეს მალაქია, ძმა გიორგი გურიელისა გურიელად, და ძენი გიორგი გურიელისანი წარვიდნენ ახალციხეს. მაშინ ალექსანდრე მეფემან წარუვლინა მახარობელნი გიორგი მეფესა: „რამეთუ მექმნეს მე შენ მიერ ყოველნი, აწ მყავ მონად და ძედ შენდა და მომეც ასული შენი ცოლად“. ესმა რა გიორგი მეფესა, განეხარა. არამედ მოემცნო ასულისა თჳსისა დაწინდვა ერისთავისაგან.

კუალად წარუვლინა ალექსანდრემ და მოითხოვა ასული ლუარსაბისა ელენე და ძმისწული გიორგი მეფისა. ესე აღეთქუა მეფესა გიორგის მოცემად. გარნა ალექსანდრეს არა ერჩდა რაჭის ერისთავი პაპუნა, ძე შოშიტასი. ვინაჲთგან მოყურობდა გიორგი მეფე და იყო მეგობარ პაპუნასი და სცნაცა ალექსანდრემ, რამეთუ არა ნებავს გიორგი მეფესა მზახლობა ამისი, ამისთჳს შემოიკრიბნა სპანი იმერთა და წარვიდა რაჭას, რათა ანუ დაიმორჩილოს, ანუ მიუღოს რაჭა. შევიდა და გარდავლო მთა წევისა, ველიეთისა და მოადგა ნინიას ციხესა, და მარბიელთა მოსწუეს, მოსტყუევნნეს დაბნები მრავალნი. მაშინ გიორგი მეფემან მოაშუელა ზაალ ხერხეულიძე სპითა პაპუნას. იხილა რა პაატა აბაშიძემ ნიჯადი პაპუნასი, რამეთუ მიეწურათ მარგუელთა წაღებად ნინიას ციხე, მიზეზ-ჰყო ქართველნი და არღარა ინება მარგუელთაგან ციხის აღება და დაპყრობა მეფისაგან. ეტყოდა მეფესა სპათა მოსლვასა, უსმინა მეფემ და ჩამოვიდნენ იმერთსავე.

შემდგომად მოკუდა პაატა აბაშიძე დაკოდითა მითვე. ხოლო ალექსანდრემ მოიყვანა დაჲ თჳსი დარეჯან, განატევებინა პაპუნა

ერისთავს ცოლი, ასული ბეჟან ლორთქიფანიძისა, და შერთო დარე-
ჯან დაჲ თჳსი და მოიმტკიცა იგიცა. არამედ შემდგომად ძმისა
თჳსისა სიკუდილისა განდიდნა აბაშიძე მალაქია, რომელი იყო ნაბე-
რალი და იწოდა გიორგი. ამან მოიყვანა მეორე ცოლად ნაცოლარი
გიორგი გურიელისა, დაჲ კაცია ჩიქოვანისა, მდიდარი ფრიად, და
შეირთო იგიცა და თაობდა ზემო მჴარსა ზედა უფროს ძმისა თჳსი-

1-29 სტრ., 849
სა.ამას ემზახლა ქაიხოსრო გურიელი და სთხოვა ასული ელენე, რო-
მელი ჰყვანდა პირველის ცოლისა თანა, რამეთუ ესე ქაიხოსრო, ძე
გიორგი გურიელისა, რაჟამს მივიდა ახალციხეს, მოსცა ფაშამან სპა-
ნი, წარმოვიდა და დაიპყრა ქ˜სა ჩ˜ქპე, ქარ. ტ˜ოგ.

ხოლო მალაქია, ბიძა მისი, წარვიდა ახალციხესა. ესე მალაქია
კუალად ფაშამ შემოაწყნარა და აღუთქუა ქაიხოსრომ უვნებელობა
მალაქიასი.არამედ მოსრული გურიას შეიპყრა ზაკჯთ ქაიხოსრომ მა-
ლაქია და აღმოჴადნა თუალნი ბიძასა თჳსსა. ესმა რა ფაშას, აღუძნ-
და ფრიად და მცდელობდა შურისგებასა ქაიხოსროსასა. შემდგომად
წარმოავლინა შავშეთის ბეგი მცირითა სპითა მოკითხვად გურიე-
ლისად და ამცნო ბეგსა, რათა მოკლას იგი. მოსრული ქაიხოსრომ
ისტუმრა ბეგი. შემდგომად ისტუმრა ბეგმან და თავის-წინაობასა ში-
ნა მოკლეს ქაიხოსრო გურიელი ქ˜სა ჩ˜ქპთ, ქარ. ტ˜ოზ, წარიღეს
თავი მისი და წარვიდნენ, და გურიელად დაუტევეს მალაქია უთუა-
ლო. შემდგომად მცირე ჟამისა მოითხოვეს გურიელთა ძე გიორგისა
და ძმა ქაიხოსროსი მამია უსუფ-ფაშისაგან, რომელი მუნვე იყო
ახალციხეს, და აღუთქუეს ქრთამი დიდი. ფაშამ წარმოუვლინა და
ჰყვეს გურიელად. ამასვე წელსა ამან მამიამ მისცა შემოქმედელობა
მალაქიას და ჰყო მონაზონად. მერმე ამანცა მოითხოვა ძმისა თჳსი-
სა დაწინდული გიორგი აბაშიძის ასული ელენე, მიიყვანა და ქმნა
ქორწილი.

ხოლო გიორგი ლიპარიტინმან იხილა, რამეთუ მოსწყდნენ
ძლიერნი იმერეთისანი როკეთის ომსა შინა, იწყო ლევან დადიანისა
გამო ღალატით სრვა და კლვა წარჩინებულთა ოდიშისათა, ყიდვა
უწყალოდ ტყუეთა მაჰმადიანთა ზედა და ეპყრა სალიპარიტიანო, და
ნებითა მისითავე იყო ლევან დადიანად. ამან ლევან მოიყვანა ნები-
თა ლიპარიტიანისათა ცოლად დაჲ ალექსანდრე მეფისა თინათინ,
ნაშობნი თამარ დედოფლისაგან, რათა მოიმტკიცოს ოდიში ძალითა
ალექსანდრესითა. ხოლო ლიპარიტიანმან ამისთჳს, რათა არღარა

1-27 სტრ., 850
მოინებოს ალექსანდრემ ანუ გურიელმან თავისად, არამედ

სახელით ოდენ იყო დადიანი ლევან, გარნა მოქმედი ყოვლისავე იყო ლიპარიტიანი. გარნა იყო ოდიშს ჭირი გიორგი ლიპარიტიანისაგან კლვითა და ყიდვითა ტყჳსათა და უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდიან ლაშკრად და აოჴრებდიან ქუეყანათა ავაზაკობით და ცხადად.
ხოლო
ალექსანდრე მეფემან ცხადად სცნა, რამეთუ არა ნებავს გიორგი მეფესა მოყურობა მისი, განაცხადა მტერობა მისი და მოყურობა ერეკლე მეფისა, მიუთხრა პაპუნა ერისთავსა არა შეხიზვნა გიორგი მეფისა. ესე არა უსმინა პაპუნა ერისთავმან.

ამისთჳს შემოიკრიბნა ალექსანდრემ იმერნი და შევიდა რაჭას, და მოერთუნენ მუნ რაჭველნი და ლეჩხუმელნი თჳნიერ ერისთვისა. მაშინ პაპუნამ განამაგრნა ციხენი და ადგილნი და წარვიდა ონს გიორგი მეფითურთ. და სპათა ალექსანდრესთა მოწუეს რაჭა და მოადგნენ ჯეჯორს; ვერ წინააღუდგნენ გიორგი მეფე და პაპუნა და შევიდნენ გლოლას; მივიდნენ სპანი ალექსანდრესნი და მოწუეს უწერა. მუნით უკმოიქცნენ, კუალად მოწუეს რაჭა ქ˜სა ჩ˜ქპზ, ქარ. ტ˜ოე, და ჩამოვიდა იმერეთს ალექსანდრე მეფე. არამედ პაპუნამ დაიპყრა უმეტესად კუალად რაჭა, რამეთუ მოსწყჳდნა მტერნი თჳსნი და იყოფოდა თჳსად.

ამავ ჟამთა მოვიდა არჩილ მეფე რუსეთიდამ მოწოდებითა ძმისა თჳსისა გიორგისათა და მოიყვანნა ძენი თჳსნი, ალექსანდრე და მამუკა, და იგინი წარავლინნა დუალეთს და თჳთ მოვიდა რაჭას, განიხარეს ძმათა ხილვითა ურთიერთთა. შემდგომად ეზრახნენ იმერთა, რათა ჰყონ არჩილ მეფედ. კ˜დ წარავლინა არჩილ ყირიმის ხანისა თანა დავით თურქისტანისშვილი, რომელი შეიპყრა შამხალმან და აწ ნებითა შამხალისათა მოვიდა ჩერქეზსა შინა არჩილ მეფისა თანა. ამას წარატანეს ძღუენი და არმაღანი დიდი და წარგზავნეს.

1-27 სტრ., 851
ხოლო იმერთა მისცეს პირი არჩილს; მოვიდნე არჩილ და გიორგი მეფენი და რაჭის ერისთავი მათ თანა გუელის თავსა ზედა. მიერთო მათ ლიპარიტიანი გიორგი, ჭილაძე-მიქელაძენი და ბეჟან ლორთქიფანიძე. ხოლო გიორგი აბაშიძემ და სჳმონ ქუთათელმან არა ინებეს, რამეთუ ესე სჳმონ იყო სეხნია ჩხეიძისა და განდიდებული. გარნა თუ იყო მღუდელთმთავარი, არამედ ტყჳს მყიდველი, მეძავ-მემრუშე, კაცის მკლველი, ცრუ-ფიც, უწირავ-ულოცავი, ვითარცა განდგომილი ივლიანე.

ამათ მიერ შემოიკრიბნა ალექსანდრე სპანი და წარვიდა გუელის თავს მეფეთა ზედა. მაშინ, ვინაჲთგან ერისთავსა შიგანმცემ-

ნი მრავალნი ჰყვნეს რაჭასა შინა, და ლიპარიტიანს ოდიშს, და ლეჩ-
ხუმელნი იყვნენ ალექსანდრეს კერძოდ და სპანიცა ალექსანდრესნი
მრავლობდნენ, რამეთუ მათ არა შემოჰკრებოდათ ჯერეთ, ვერღარა
წინააღუდგნენ ალექსანდრეს, არამედ წარვიდნენ ოდიშს. ხოლო შემ-
დგომად ეხრახა ლიპარიტიანს ალექსანდრე მეფე და მისცა თავობა
ლეჩხუმისა და, ვინაჲთგან იყო ლიპარიტიანი უღთო, ცრუ-ფიც, უპი-
რო, ტყჳს მყიდველ, მიერთო ალექსანდრეს.

ხოლო.არჩილ მეფემან სცნა, რამეთუ მივიდა დავით შეწევნითა
შამხალისათა ყირიმის ხანისა თანა და იგი აღძრულ იყო შეწევნად
არჩილისად წინაშე ხონთქრისა. ამისთჳს ინება არჩილ წარსვლა ყი-
რიმს და მივიდა აფხაზეთს, მოეგება შარვაშიძე, ისტუმრა პატივით,
ვითარცა მეფე, და იმყოფებოდა ზუფუს ჟამრაოდემნე. არამედ ვერ-
ღარა მშოვნელი გზისა უკმოიქცა და მოვიდა ოდიშს. გარნა ვინაჲ-
თგან ზავ-ექმნათ ალექსანდრეს და ლიპარიტიანსა, ვერღარა დაად-
გრნენ ოდიშს და მოვიდნენ საჭილაო-სამიქელაოს არჩილ და გიორ-
გი მეფენი და ეზრახნენ ალექსანდრეს, რათა მისცეს გზა წარსლვი-
სა. მიუგო ალექსანდრემ: „უკუეთუ მომცე ფიცი არღარა მეცილო იმე-

რეთსა, განგიტევებ და წარვედ რუსეთს; უკეთუ არა, არა გცე გზა“.
მაშინ ვინაჲთგან არღარა იყო სხუა რაჲმე ღონე, მისცა ფიცი არჩილ
და წარვიდა რაჭას. მერმე მივიდა დიგორს და წარიყვანნა ძმისწულ-
ნი თჳსნი ძენი ლევანისანი: ქაიხოსრო, ვახტანგ, დომენტი და იყო-
ფებოდა დიგორს
.
ხოლო გიორგი მეფე წარვიდა გურიას და გურიელმან მამიამ
ისტუმრა პატივითა დიდითა. არამედ მთავართა მუნებურთა უმეტეს
და მეფეცა ნიჭვიდა მათ. ამისთჳს აზრახეს მამიას: „ნებავს გურია
გიორგი მეფესა თჳსად“. არამედ მამია ვინაჲთგან ყრმა იყო, ისმინა
მათი, რომელნიმე შეიპყრნა და სხუანი უპატიო ჰყვნა. ამისი მხილ-
ველი გიორგი მეფე წარვიდა გონიას, მოეგება თადგირიძე აჰმადბეგ,
რამეთუ იყო გამაჰმადიანებული და დიდითა პატივითა დაასადგურა
და წარსაგებელთა თჳსითა უმასპინძლებდა რაოდენსამე ჟამსა.

ხოლო ამ ჟამებთა მოვიდა დავით სტამბოლიდამ, რამეთუ ეღუ-
აწა ფრიად ყირიმის ხანსა წინაშე ხონთქრისა. ამისთჳს ხონთქარს
წარმოევლინა ყაფუჩი თჳსი და დავით მის თანა: „რათა ჰკითხონ
იმერთა, რომელი ჰნებავსთ არჩილ ანუ ალექსანდრე“. დაუტევა ყა-
ფუჩმან დავით ახალციხეს და თჳთ მოვიდა ალექსანდრე მეფისა თა-
ნა. სცნა ალექსანდრემ ესე-ვითარებანი და ინება მოკლვა ყაფუჩისა.
აგრძნა ესე ყაფუჩმან და ივლტოდა ახალციხეს. ამ ჟამთა მოსრულ

იყო გიორგი მეფეცა ახალციხეს. ამან აღუთქუა ყაფუჩსა ერთგულე-
ბა ხონთქრისა და მისლვა დედაწულითა თჳსითა ახალციხეს და
ქრთამი დიდი. მაშინ განუზრახა ყაფუჩმან, რათა მოსჭრან ბეჭედნი
ყოველთა წარჩინებულთა იმერთანი და დასხან სვინტატიკოსის წიგ-
ნსა ზედა არჩილისათჳს: „და მე წარვმართო ყოველნი საქმენი
თქუენნი“.

1-26 სტრ., 853
ხოლო გიორგი მეფემან ჰყო ეგრეთ და წარავლინა ყაფუჩი;
მოსცა ხონთქარმან ამითი იმერეთი არჩილს, წარმოუვლინა ჯრმალი
და ხალათი და მოიღო მანვე ყაფუჩმან და ებრძანა აზრუმის ფაში-
სათჳს, რათა ჰყოს არჩილ მეფედ. მაშინ აზრუმის ფაშამ წარმოავ-
ლინა ქეჰა თჳსი სპითა დიდითა და მოვიდა ახალციხეს სალიმ ფაში-
სა თანა. შეიკრიბნენ ესენი და წარმოიყვანეს გიორგი მეფე და დად-
გნენ მთასა ფერსათსა ზედა. ესე აცნობეს არჩილს დიგორს მყოფს,
ჩამოვიდა რაჭას, მიეგება ერისთავი და სრულიად რაჭველნი და წარ-
მოვიდა იმერეთს. ხოლო ალექსანდრე, ვერღარა წინააღმდგომი,
წარვიდა ქართლს ერეკლე მეფისა თანა და მან პატივით დაუსავანა.
ხოლო ქეჰამ წარმოატანა გიორგი მეფესა მუსალიმი სპითა დიდითა,
ჩამოვიდნენ იმერეთს და მოვიდნენ ქუთათისს არჩილ მეფისა თანა,
შთაიცვა არჩილ ხალათი ხონთქარისა, და დაემორჩილნენ იმერნი
ქ˜სა ჩ˜ქჳ, ქარ. ტ˜ოჱ თჳნიერ გიორგი აბაშიძისა.

ი˜ვ. არჩილ მეფე, ა˜ წელი მეფა

მაშინ გიორგი მეფემან აღთქმისათჳს მისცა ძმისწული თჳსი
ვახტანგ ოსმალთა მძევლად. კუალად მისცა ელენე ძმის ასული თჳსი
ფრიად კეკლუცი და დაწინდული ალექსანდრე მეფისა ქაიხოსრო
იაშვილსა ცოლად და აქორწინა. და შემდგომად მცირედისა წარვი-
და თჳთცა ახალციხეს და წარიყვანნა დედაწულნი თჳსნი რაჭიდამ
სამცხეს.

ხოლო არჩილ დაიპყრა იმერეთი. არამედ ზამთარსა ამას იხილა
აბაშიძემ გიორგიმ, რამეთუ ვერ ექმნების არჩილს ოსმალნი; ეზ-
რახა გიორგი ლიპარიტიანს, მოიყვანა ალექსანდრე ქართლიდამ.
არამედ არჩილ მეფე არა დაუტევეს პაპუნა ერისთავმან, სჳმონ ქუთა-
თელმან, მიქელაძე გიორგი და ბეჟან ლორთქიფანიძემ. შეიკრიბნენ

1-25 სტრ., 854
და ეწყუნენ გოდოგანს ურთიერთს; იქმნა ბრძოლა ძლიერი, იძლია
ალექსანდრე და ივლტოდა ქართლს.

ხოლო არჩილ მოიმტკიცა იმერეთი და მეფობდა მცდელობით-
ურთ უკეთურებისა მოფხურასა. არამედ ვინაჲთგან ძლიერ იყვნენ
მთავარნი, ვერ შეუძლო. ხოლო ალექსანდრეს, წედისს ქართლს
მდგომს, ესმა სპათა დასხმა გიორგი მეფისაგან, მსწრაფლ აიყარა და
შევიდა გორის ციხესა შინა. ევედრა ერეკლე მეფესა, რათა მწე ეყოს.
ესე ყოველი ნაზარ-ალიხან მიუთხრა ყეენსა, ხოლო ყეენმან დესპა-
ნით ხონთქარსა. და იქნა ყოველი, ვითარცა აღვსწერეთ და შემდგო-
მად შეპყრობისა გიორგი მეფისა მცობმან არჩილ მეფემან შემოიკ-
რიბნა სპანი იმერთა და გარმოადგა ციხესა ქუთათისს, შეამჭირვა
ფრიად, რამეთ ჯღანთა ხარშვიდიან და სჭამდნენ სიყმილისათჳს და
ლამოდენ მოცემასა ციხისასა. არამედ ლიპარიტიანი სპითა თჳსითა
ერთ კერძო მდგომ იყო; ამან მას ჟამსა სთხოვა არჩილს ლეჩხუმი და
მონა იქმნეს საუკუნოდ.

ესე აღუნძდა არჩილს, გარნა აღუთქუა მიცემა. აგრძნა ლიპარი-
ტიანმან, რამეთუ არა ნებავს. ამისთჳს გამოიყვანნა ღამით ოსმალ-
ნი ციხიდამ, მისცნა ყოველნი საზრდელნი თჳსნი და განამაგრა ციხე,
და თჳთ მასვე ღამესა ივლტოდა სპითა ოდიშს.

დილასა იხილა არჩილ მეფემან, შეუძნდა ესე არჩილ მეფესა
დიდ ფრიად და უმეტესისა განდგომილებისა ყოფისათჳს მოეცალა
ციხესა და შემოიფიცნა კუალად იმერნი. გარნა იქმნა საგლოველი,
რამეთუ გამოვიდნენ ციხიდამ ოსმალნი და შემუსრეს ქუთათისის
ეკლესია ყოვლად წმიდისა, დიდ შუენიერად გებული, ვინაჲთგან
ავნებდნენ ციხესა მუნიდამ ფრიად, ქ˜სა ჩ˜ქჟა, ქარ. ტ˜ოთ.

1-25 სტრ., 855
ხოლო გიორგი მეფემან იავარ-ჰყო რუისს ცოლშვილი ალექ-
სანდრე მეფისა და მიაბარა ძენი მისნი სჳმონ და გიორგი დავითს
კსნის ერისთავს, ნაშობნი დიდებულის ქალისაგან. არამედ ალექსან-
დრე მივიდა ახალციხეს, წარმოვიდა ახალციხის ფაშა სპითა და ჩა-
მოვიდნენ იმერეთს. განევლტუნენ არჩილს იმერნი და მიერთუნენ
ალექსანდრეს. ხოლო არჩილს ვერღარა მოუსწრა ბარძიმ მდივანბეგ-
მან სპითა ქართლისათა და ამით ვერღარა იკადრა ბრძოლა და წარ-
ვიდა რაჭას, მუნიდამ მივიდა ქართლს. ხოლო ალექსანდრე დასუა
ფაშამან მეფედ ქ˜სა ჩ˜ქჟა, ქარ. ტ˜ოთ.

ი˜ზ. მეფე ალექსანდრე, დ˜ წელი მეფა

უკუნ-იქცა ფაშა და წარვიდა ახალციხეს. მაშინ არჩილ სცნა,
რამეთუ ვერღარა დაიპყრობს იმერეთსა და კახთა, თჳთ არღარა ინე-
ბა მათი მეფობა, წარვიდა დუალეთს, იქიდამ რუსეთს მცირითა სპი-

თა. არამედ შამხალმან მოიბირა ყილჩიყო ჩერქეზ-ბატონი ყეენის გამო, რათა შეიპყრას არჩილ და მისცეს ყეენსა, ხოლო ყეენმან აღავსოს ორნივე ნიჭითა. მისრული არჩილ ჩერქეზს ისტუმრა ყილ-ჩიყომ პატივითა, მერმე წარატანნა ყოლაუზნი და წარგზავნა. არა-მედ არჩილს ენება ყილჩიყოსი თავისთან მოგზაურობა და ესე არა ინება ყილჩიყომ, რამეთუ აქუნდა მანკიერება. არამედ შეკრებული სპითა ეწივა არჩილს და თჳთ ყილჩიყო არა გამოეცხადა. გარნა სპანი მოვიდნენ და ვითარცა არარაჲ შიში აქუნდა გზისა არჩილს, შეუპყრნეს ორთა კაცთა ჴელნი არჩილს იმიერ და ამიერ და იწყეს სპათა არჩილისათა პყრობა ჩერქეზთა. მაშინ იჴადნეს მახჳლნი, რო-მელნი აქუნდათ დაფარულად მონაზონთა აბაშიძე ნიკოლაოზ და შა-ლიკაშვილმან, სცეს კაცთა მათ და განათავისუფლეს მეფე; იჴადა

1-29 სტრ., 856
მშჳლდ-კაპარჭი მეფემან და მოსრნა მრავალნი.მოუჴდა მეფესა ჩერ-ქეზი, სცა ოროლი. არამედ დაიპყრა გრგოლმან იკისამან და ვერ ავნო მეფესა. შემდგომად განვლო ბრძოლითა მეფემან რაზმი მათი და წარვიდა ლტოლვით. არამედ განსივდა ცხენი მეფისა და ვერღა-რა რბოდა.

კუალად მოვიდნენ და მოერტყნენ მეფესა და ბრძოდა ძლიერად. მაშინ მოვიდა წარჩინებული ვინმე ლეკი და მოქენედ ეტყოდა მეფე-სა: „რად მოიკლავ უებროსა თავსა, კმა არს სიმჴნედ, რომელი დღეს ჰყავ შენ; აწ დაიმდაბლე თავი და მოვედ ჩემდა; ვფუცავ განგარინო ყოვლისაგან“. ისმინა მეფემან და ჰრქუა. „არა მივენდო ჩერქეზთა. გარნა მოვალ შენდა“. და მივიდა მისთანა და წარიყვანეს სახლსა ყილჩიყოსასა. ხოლო ცოლმან ყილჩიყოსამან მასვე ღამესა წარავ-ლინა მეფე ბასიანს და სპანი არჩილისანი დიგორს. ამისი მსმენელი მოვიდა შამხალი, რათა წარიყვანოს მეფე. არამედ ვერღარა ეწია ყილჩიყო მიცემად, რამეთუ ბასიანელთა დედათა მოიჴადნეს საბურ-ველნი თჳსნი და ეტყოდნენ ქმართა თჳსთა: „ანუ დაიბურენით ესე და ქუდნი თქუენნი ჩუენ, ანუ არა მივსცეთ არჩილ ყილჩიყოს“. ამისთჳს გამოუტევეს მას ღამესავე არჩილ ყმითა თჳსითა. ეგრეთვე დიგორელთა გამოუტევნეს ყოველნი პყრობილნი და წარმოსრულნი მოვიდნენ ქართლს და იყოფებოდა არჩილ მეფე ქართლს.

ხოლო ალექსანდრე მეფობდა იმერეთს. მაშინ განუტევა დიდე-ბულის ქალი, ვითარცა ცოლად მყოფი,რომლისა თანა ესხნეს ძენი: სჳმონ და გიორგი უქორწინოდ და შეირთო გიორგი აბაშიძის ასული თამარ ი˜წლისა. ამასვე ქორონიკონსა იქორწინა მის თანა.

არამედ განძლიერდა ლიპარიტიანი გიორგი კლვითა და ტყჳსა

ყიდვითა. არღარა ინება ლევან დადიანი, განაძო იგი და წარვიდა ქართლს არჩილ მეფისა თანა. შემდგომად წარვიდა სტამბოლს და მოკუდა მუნ, და დაიპყრა ოდიში ლიპარიტიანმან და არა იწოდებოდა დადიანად, არამედ ლიპარტიანადვე და თავობდა ლეჩხუმსაცა

1-26 სტრ., 857
კნინღა დაპყრობად. ხოლო ალექსანდრე თუმცა მეფობდა, არამედ არა ეგდენ ნებასა შინა მისსა იყვნენ, რამეთუ ფრიად განდიდნენ მთავარნი და ამან კუალად იწყო მტერობა გიორგი მეფისა და მოყუსობა ერეკლე მეფისა. ამისთჳს ენება კირთება ქართლისა. ხოლო მოვიდა რა ქალბალიხან, ეზრახა ნაზარ-ალიხან ალექსანდრე მეფესა, რათა ემტეროს გიორგი მეფესა. არამედ წარჩინებულნი იმერნი არა აუფლებდნენ ამას ყოფად ალექსანდრე მეფესა. გარნა ალექსანდრე უცნობელად წარჩინებულთა მორჩილითა თჳსითა სპითა მიუჴდა და მოსტყუევნა ალი და წარმოვიდა.

ესმა რა არჩილს, ტაშისკარს მდგომს, წარმოუდგა. არამედ ალექსანდრე მოვიდა იმერეთს და სპათა არჩილისათა დააყრევინეს ტყუენი რაოდენიმე იმერთა. შემდგომად ეზრახნენ არჩილ და გიორგი მეფენი წარჩინებულთა იმერთა, არა ჯერყოფასა ესე-ვითარებისასა. ვინაჲთგან არს ჟამი დიდი, რომელი არღარა ყოფილ არს ჩუენ შორის, და რათა შეანანოს ალექსანდრე მეფესა. რამეთუ იყო ესე ალექსანდრე მჴნე, ახოვანი, ჰაეროვანი და უხჯ, არამედ ხელად-მქცევი, ცუნდრუკი, უღმრთო, ტყჳს მყიდველი. ამისთჳს სძულობდა ცოლი თჳსი თამარ და მიზეზ-უდგა განტევებად, აზრახა მამასა თჳსსა, რათა მისცეს გიორგი მეფესა. ხოლო აბაშიძემ სიყუარულითა ასულისათა არღარა მიხედა უჯერობასა და აზრახა იმერთა, რამეთუ ზნითა წინთქმულითა სძულობდნენ ალექსანდრეს წარჩინებულნი, შეიკრიბნენ კათალიკოზი, ეპისკოპოსნი, ერისთავი პაპუნა და სრულიად წარჩინებულნი იმერეთისანი და მოადგნენ სკანდას მყოფსა ალექსანდრეს, შეიპყრეს და წარგზავნეს მღჳმეს, მერმე სუერს. შემდგომად მისცეს გიორგი მეფესა, მიიყვანეს რუისს, მოაშთვეს და დაფლეს მუნავე ეკლესიასა შინა ქ˜სა ჩ˜ლჟე, ქარ. ტ˜პგ.

1-26 სტრ., 858
ი˜ვ. მეფე არჩილ, ა˜ წელი მეფა

შთამოიყვანეს არჩილ და დასუეს მეფედ. ამასვე ქორონიკონსა მოვიდა გიორგი მეფე საჩხერეს და იყოფებოდნენ მეფენი ზოგად. მაშინ თამარ, ასული აბაშიძისა, ეზრახა გიორგი მეფესა, რათა შეირთოს და დაიპყრას მან იმერეთი. არამედ არა ჰყო სათნოთი არჩილისათი. მერმე ეზრახა აბაშიძე არჩილ მეფესა შერთუად ასულისა

მისისა და დაიმკჳდროს იმერეთი. არამედ არა ჰყო არჩილ უსჯულოებისათჳს და ეტყოდა მოყვანასა ძისა თჳსისა ალექსანდრესასა და შერთვასა მისსა. ხოლო შემდგომად გიორგი მეფის წარსვლისა ისპაანს განიზრახა აბაშიძემ გიორგი, ლიპარტიანისა თანა ნებითა ასულისა თჳსისათა, და მოიპოვეს მონათესავედ წოდებული ვინმე მეფეთა გიორგი ოდიშს, მოიყვანეს და შერთეს თამარ ასული აბაშიძისა და უწოდა მეფედ ქ˜სა ჩ˜ქჟვ, ქარ. ტ˜პდ. ხოლო არჩილ წარვიდა დუალეთს და იყოფოდა მუნ.

ი˜ჱ. მეფე გიორგი, ბ˜ წელი მეფა

ხოლო ესე გიორგი უმგზავსო ყოვლითურთ და შეუგუანი მეფობისა, უზნეო, გამოუცდელი, თჳნიერ გლეხთა მუშაკობისა, და იყო ხეიბარიცა. არამედ მართვიდა აბაშიძე გიორგი და თაობდა ყოველთა იმერთა ზედა, მორჩილებდნენ დადიანი, გურიელი და წარჩინებულნი ს˜დ. ხოლო შემდგომად წლისა ერთისა უშუერებისა მისისათჳს შემძულე იქმნა ქმრისა თჳსისა თამარ და ინება განტევება მისი. მაშინ არჩილ მეფე მოსრულ იყო ერწოს წარყვანებად ძმისწულისა თჳსისა ვახტანგისათჳს დედაწულით, რომელი მყოფობდა სახლსა შინა აბაშიძისასა, რათა წარვიდეს რუსეთს. კუალად მიუთხრა აბაშიძემ არჩილს, რათა შეირთოს ასული მისი თამარ განზრახჳთა თამარისათი და იქმნეს მეფედ მარადის. არამედ არა ჰყო არჩილ და წარიყ-

ვანა ვახტანგ დედაწულით და წარვიდა დუალეთს და იყოფოდა ზრამაგას ზამთარსა მას, მომლოდნე სპათა რუსთასა, მერმე შეითქუნენ აბაშიძისა თანა ყოველნი იმერნი და რაჭის ერისთავი შოშიტა, რამეთუ პაპუნა მომკუდარ იყო, და განაძეს გიორგი მეფედ წოდებული, რომელსა გოჩიად სახელს სდებდენ კიცხევით და მოუწოდეს არჩილს. მან არა ინება ვინაჲთგან უწყოდა მცირეს ჟამის მეფობად, რამეთუ არღარა იყო პირმტკიცობა. არამედ განრყუნილნი, ფიცის მტეხელნი, ტყჳს-მყიდველნი, მჴდომნი, მკრეხელნი, უკეთურნი, არათუ წარჩინებულნი, გარნა მდაბიურნიცა, მოქმედნი ამისნი ყოველთა, რომელთა ვსწერთ. არამედ მაიძულებულთა თჳსთაგანვე წარმოვიდა არჩილ, მიეგებნენ სრულიად რაჭველნი, შთამოვიდა და დაიპყრა იმერეთი ქ˜სა ჩ˜ ქჟჱ, ქარ. ტ˜პვ.

მეფე არჩილ, ვ˜ თთუე მეფა

ამისმან მცნობმან სალიმ ახალციხის ფაშამან აუწყა ხონთქარსა. ხოლო ხონთქარმან უბრძანა განძება არჩილისა. ამისთჳს სთხოვა ერეკლე მეფესა ფაშამ ძე ალექსანდრესი სჳმონ, რამეთუ იგი ზრდი-

და მას პატივით, რათა ჰყოს მეფედ იმერთა. მოსცა ერეკლე მეფემან, მერმე ჩამოიყვანა სალიმ-ფაშამ იმერეთს. არამედ არჩილ ვერღარა წინააღუდგა, ვინაჲთგან იმერნი მიერთუნენ ფაშასა და სჯმონს და წარვიდა მასვე შემოდგომას რაჭას და დაუტევა ვახტანგ ძმისწული თჳსი მუნ, რამეთუ კავკასი თოვლით კრულ იყო და დედაწულით ვერ-

ღარა ვიდოდა.თჳთ არჩილ შევლო ლიახჳ, გარდავიდა თაგაურს, დაჰყო ზამთარი იგი მუნ და გაზაფხულს წარვიდა რუსეთს სპითა რუსთ-ჴელმწიფისა თანა.

მეფე სჯმონ, წელ ნახევარი მეფა

ხოლო სჯმონ დაიპყრა იმერეთი და წარვიდა ფაშა ახალციხეს. შემდგომად შეეზრახა აბაშიძე სჯმონ მეფესა, წაგუარა ნასყიდა იაშვილს ცოლად მოთხოვილი ასული თჳსი ანიკა და შერთო სჯმონ მეფესა და აქორწინა.

ამავ ჟამებთა მოკუდა ცოლი აბაშიძისა პირველი, განუტევა მეორე ცოლიცა და შეირთო ქურივი პაპუნა ერისთავისა. ასული ბეჟან ლორთქიფანიძისა და დედა შოშიტა ერისთავისა, და მოიმტკიცა ამით იმერეთი უმეტესად. არამედ ასულსა მისსა თამარს მსახურებდნენ იმერნი, ერჩდნენ და მარადის იყვნენ წინაშე მისსა. ამას შეუძნდა სჯმონისა და დისა თჳსისა მფლობელობა, ვინაჲთგან თჳთ არღარა ექმნებოდა იგინი და აეშურა მათ. ესე იხილა რა სჯმონ მეფემან, შეშინდა და ივლტოდა ქართლსა. ხოლო იმერეთს თაობდა აბაშიძე და დედოფლობდა ასული მისი, და მორჩილებდნენ სრულიად ყოველნი. მაშინ მომკუდარ იყო კათალიკოზი ევდემონ და შეწევნითა აბაშიძისათა დასუეს კათალიკოზად ბეჟან ლორთქიფანიძის ძე გრიგოლი.

ამ ჟამებთა არა ერჩნდნენ რომელნიმე ლეჩხუმელნი ლიპარიტიანსა და ეკირთებოდნენ ოკრიბასაცა. ესე აუწყა ლიპარიტიანმან აბაშიძეს და ვინაჲთგან იყვნენ მეგობარნი მტკიცენი, შეიკრიბა აბაშიძემ იმერნი, გათხარეს რაჭა-ლეჩხუმისა თოვლიანი და შევიდნენ

ლეჩხუმს, ურჩნი მოსწუნეს, მოსტყუევნნეს და დაუმორჩილა ლიპარიტიანსა. მერმე უკმოიქცა და მოვიდა იმერეთს.

ხოლო ასულმან აბაშიძისამან ინება შერთუა ლიპარიტიანისა და სთნდა ესე ლიპარიტიანსაცა, რათა განუტეოს ცოლი თჳსი, რომლი-

სა თანა ესხნენ ძენი შჳდნი მოწიფულნი, და ამისთჳს წარვიდაცა თა-
მარ ოდიშს, ისტუმრა მიქელაძე გიორგიმ, რამეთუ აბაშიძე იყო დის-
წული მიქელაძისა, და გამოიკითხა სადა-მიმავალობა თამარისა. ხო-
ლო სცნა რა, ეტყოდა თამარს: „რად წარხვალ ოდიშს. ვინაჲთგან
ხარ ასული ჩუენი, მოიყვანე ლიპარიტიანი და მე გიქმნა ქორწილი
ჯეროვანი“. ირწმუნა თამარ და მოუწოდა ლიპარიტიანსა. და იგი
მოვიდა მცირითა კაცითა. მაშინ ეტყოდა მიქელაძე: „განსდიდნი
ეგოდენ მცირითა კაცითა. მაშინ ეტყოდა მიქელაძე: „განსდიდნი
ეგოდენ ჩიქოვანი, რამეთუ უტევებ დასა ჩემსა, აწვე მოგაკუდინო,
უკეთუ არა სცხო მირონი თამარს“. შეშინდა ლიპარიტიანი, სცხო მი-
რონი თამარს. შემდგომად უმასპინძლა, უძღუნა და განუტევა. არა-
მედ შემდგომად მცირედისა წარვიდა თამარ და შეირთო ლიპარიტი-
ანი და განატევებინა ცოლი პირველი. მიერითგან უჴმობდნენ თა-
მარს ოდიშისა და იმერეთის დედოფლად.

შემდგომად განდგნენ რაჭველნი აბაშიძისაგან, შეიკრიბნა სპა-
ნი იმერეთისა აბაშიძემ, შეუჴდა რაჭას, მოსწუა, მოსტყუევნნა, დაი-
მორჩილნა და მოვიდა იმერეთს. ხოლო გურიელმან მამიამ განიზრა-
ხა მეფობა კუალად სჳმონ მეფისა და ეზრახა ფაშას, რათა მოსცეს
სჳმონ და ამან მეფედ ჰყოს იგი. გარნა ვინაჲთგან სანდო იყო ფაშისა
გურიელი, მოითხოვა კუალად სჳმონ ნაზარ-ალიხანისაგან, მოიყვა-
ნა და მისცა გურიელსა. მაშინ გურიელმან განატევებინა ასული აბა-
შიძისა ანიკა სჳმონს და შერთო დაჲ თჳსი ცოლად და აქორწინა.
ესე შეუძნდა აბაშიძეს, მოუწოდა ლიპარიტიანსა და შეკრბნენ საჭი-
ლაოს სპითა და ეზრახნენ გურიელსა, რათა მოჰკლას სჳმონ მეფე, და

ჰყონ გურიელი მეფედ.ხოლო გურიელმან არა ინება და ნება სცა
ამათ. მაშინ წარავლინეს ამათ კაცნი და ცოლისა თჳსისა თანა მწო-
ლი სჳმონ; ოდეს განვიდოდა ბუნებისა სამჭირნოსა ადგილსა, ჰკრეს
თოფი და მოკუდა სჳმონ მეფე ქ˜სა ჩ˜ღა, ქარ. ტ˜პთ.

კ˜დ. გურიელი მამია, ა˜წელი მეფა

მაშინვე მოიყვანეს მამია გურიელი და დასუეს მეფედ იმერთა.
ესმა რა ესე ერეკლე მეფესა, აღუნძდა და მოვიდა დაღალულას სპითა
ქართველ-კახითა მრისხანედ აბაშიძესა ზედა, რათა შეანანოს და მი-
უღოს ხეფინის ჴევიცა, და წარუვლინა ამისთჳს კაცი. ხოლო აბაში-
ძეს, უკუნმთქმელსა ამისსა, ეტყოდა კაცი იგი: „არა ჯერ არს შენ-
და ეგე-ვითარნი, რამეთუ თჳნიერ სხჳსა დიდებისა უძღჳს ი˜ბ ჯინი-
ბნი. მიუგო აბაშიძემ: არა ძალ-უცს ი˜ბ ზედა აღჯდომა მას ერთ-

ბამად. ხოლო მხოლოსა ჩემსა ცხენსა ვსასოებ, უკეთუ მძლოს, ვერ მეწიოს, და უკეთუ ვსძლო, ვერ განმერეს“. არამედ ვაზირთა ერეკლესთა ეზრახოდა აბაშიძე, მათ მიერ უკუნიქცა ერეკლე მეფე, ვერღარა ჩამოვიდა იმერეთს. ხოლო გურიელი მამია თუცა იყო მეფედ, გარნა წარსაგებელითა თჳსითა, რამეთუ ჰყიდდა ტყუეთა გურიელთა და აძლევდა იმერთა. ვინაჲთგან სამეფონი დაბანი, აგარანი და შემოსავალნი ეპყრა აბაშიძეს და ასულსა მისსა თამარს და მოახლედ მათდა იყვნენ წარჩინებულთა და აზნაურთა ძენი და თჳთ იგინიცა, ამისთჳს წარვიდა გურიელი გურიასავე.

კ˜ე. აბაშიძე გიორგი, ე˜წელი მეფა

ხოლო მთავრობდა აბაშიძე და განეგებოდა მის მიერ ყოველი იმერეთი. ზამთარსა ამას ევედრა ლიპარიტიანი აბაშიძეს, რათა შე-

1-28 სტრ., 863
ეწიოს აფხაზთა ზედა, რამეთუ მიეღოთ აფხაზთა ეგრისის მდინარემდე და აოჯრებდნენ ოდიშს კლვითა და ტყუეობითა. უსმინა აბაშიძემ, შემოიკრიბნა სპანი იმერთა, წარვიდა და შთავიდა აფხაზეთს. ვერ წინააღუდგა შარვაშიძე, მოსტყუევნეს აფხაზეთი, აღიღო ალაფი დიდი, დააზავა ლიპარიტიანი და შარვაშიძე, გამოუხუნა ქუეყანა მიღებული და მძევალნი, მერმე წარმოვიდა და მოვიდა იმერეთსავე.

ხოლო სიკუდილისა შემდგომად სჳმონ მეფისა მოიყვანა ისაყ ახალციხის ფაშამ გიორგი, ძმა სჳმონ მეფისა, ერეკლე მეფიდამ და იზრდებოდა ახალციხეს; და ვითარ განდიდნა აბაშიძე და არღარა ეგოდენ მორჩილებდა ფაშასა და არცაღა აქუნდა ქრთამნი ეგოდენნი იმერეთისაგან, დამართა წინაშე ხონთქრისა. განრისხნა ხონთქარი მუსტაფა და წარმოავლინა აზრუმის ფაშა სპითა დიდითა ზღჳთ და ჴმელით, რათა დაჰყონ წელი შჳდი იმერეთს და მოაოჯრონ სრულიად ციხეებითურთ. წარმოემართა აზრუმის ფაშა კერძოთა გურიისათა. ხოლო ქეჰა თჳსი წარმოავლინა სპითა ახალციხეს, რათა შემოიკრიბოს სპანი სამცხისანი და შთავიდეს იმერეთს.

ამისმან მცნობელმან აბაშიძემ შემოიფიცნა სრულიად იმერნი, გურიელ-დადიანითურთ და დახიზნა იმერეთი. მერმე შემოიკრიბნა სპანი და შეკრა გზანი. მაშინ ფაშამ გამოვლო ჭოროხი ნავის ჴიდითა და დადგა გურიას. ხოლო ქეჰა და ახალციხის ფაშა მოადგნენ კაკას ჴიდს. ვერ დაუდგეს იმერთა დიდროვანთა თოფთა ცემისათჳს, გამოვლეს ოსმალთა, ჩამოვიდნენ და დადგნენ ბაღდადს. კუალად გამოვიდნენ ზღჳთ ოდიშს ოსმალთა სპანი. არამედ ვერარაჲ სცნა სარასკარმან სპათა თჳსთა, ვერცა რა ქეჰამ სარასკარისა, ვინაჲთგან

იყვნენ გზანი ყოვლგნით შეკრულნი. მერმე უარჰყო ფიცი აბაშიძისა გურიელმან და მივიდა წინაშე სარასკარისა და მიქელაძესა გიორგის, ვინაჲთგან მტერობდა ლიპარიტიანი წინათქმულთათჳს, იგიცა მივიდა მიმდგომითა თჳსითა წინაშე ქეჰასა. ამან მიქელაძემ ჰყო ყოლაუ-

1-14 სტრ., 864
ზობა და აცნობა ამბავი სარასკარსა ქეჰასი. მაშინ წარმოემართა სარასკარი იმერეთსა ზედა და ქეჰას უბრძანა მისლვა არგუეთს. შემოვიდნენ და მოსწუეს არგუეთი ოსმალთა და მოადგნენ ჭალატყის კოშკებთა, რომელი განემაგრა აბაშიძეს თხრილებითა. განმაგრდნენ მეციხოვნენი და მოსრვიდნენ მრავალთა ოსმალთა.

შემდგომად მოუჴდა ისაყ ახალციხის ფაშა სპათა შემოტევებით, აღიღო თხრილი და მიუდგინნა ქუეშე მთხრელნი და წარმოვიდა თჳთ. ხოლო შემდგომად შეთხრისა მისცეს ცეცხლი და გარდმოაბრუნვეს სამნივე იგი კოშკნი ძირითურთ და დაირღუნენ. ეჰა უცხო, რამეთუ მორჩა კაცი ერთი უვნებელად და განუტევეს ოსმალთაცა. ხოლო ოდიშს შემუსრეს ციხე რუხი და დაადგინნეს მცველნი თჳსნი და მოსტყუევნნეს მრავალი დაბნები და აღაშენეს ანაკრიას ციხე.

არამედ შეიწყალა ღმერთმან კუალად ქუეყანა ესე, მოკუდა სულტანი მუსტაფა და დაჯდა სულტან აჰმად და იქმნა შფოთი დიდი

1-22 სტრ., 865
სტამბოლს. ამისთჳს მოუწერეს სარასკარსა, რათა უკუნ-იქცეს. მაშინ სარასკარმან უბრძანა ქეჰას, რათა დაეზაოს აბაშიძეს და უკუნ-იქცეს. ამისთჳს ქეჰამ იჩემა ნათესავობა აბაშიძისა და ეგრეთვე აბაშიძემ და მიუთხრა ქეჰამ შემუსრვა შორაპანისა და ნახვა ქეჰასი და მისცეს ძღუენი სარასკარსა და მან აღუსრულოს ყოველი წადილი აბაშიძეს. ხოლო აბაშიძემ აღუთქუა ყოველი და ნახვა ქეჰასი, უკეთუ მომატანოთ სპანი ჩემნი. ამისი ნება სცა ქეჰამ და აღმოარჩია იმერთა, რაჭველთა და ლეჩხუმელთა აბაშიძემ ფ˜ მჴედარნი შეჭურვილნი და თავ-ჰყო მათდა ქაიხოსრო იაშვილი, მიიტანნა და მივიდა ქეჰასსა. მაშინ ნახევარნი შეუძღუნენ და ნახევარნი უკანა ჰყვებოდნენ აბაშიძეს. იხილა ქეჰამ, პატივ-სცა, ჰყვეს პირი, რომელიცა აღუთქუა, მერმე ანიჭა ქეჰამ და წარმოვიდა. ამისთჳს შემუსრა აბაშიძემ შორაპანი და მისცა მძევალი და ქრთამი. არამედ აშვილა ქეჰამ გიორგი, ძე ალექსანდრე მეფისა, აბაშიძეს და ჰყო მოურნედ მისსა და დაუტევა მეფედ გიორგი და თჳთ უკუნ-იქცა და წარვიდა. ხოლო იმერთა ბრძანებითა აბაშიძისათა შეჰკრეს მთა ფერსათი და მოსრვიდენ მრავალთა ოსმალთა. კუალად ეწივნენ იმერნი, მოკლეს კოლის ფაშა და დაკოდეს ჴელსა შინა ისაყ ახალციხისა ფაშა, აოტნეს ოსმალნი და აღი-

ღეს ალაფნი ურიცხუნი, ცხენნი, ჯორნი და აქლემნი კიდებულნი და მოვიდნენ წინაშე აბაშიძისა. ხოლო სარასკარმან განვლო გურია და წარვიდა. ეგრეთვე ოდიშითცა წარვიდნენ ოსმალნი და დაიპყრა აბაშიძემ კუალად მთავრობა ქ˜სა ჩ˜ღგ, ქარ. ტ˜ჟა.

1-28 სტრ., 866
ხოლო გიორგი, ძე ალექსანდრე მეფისა, რომელი დაუტევეს მეფედ, შეშინდა აბაშიძისაგან და შევიდა ქუთათისს ციხესა შინა. არამედ მიქელაძე გიორგი ერთგულებდა მას და ჰყვა ასული გიორგი მეფისა, ასულის წული თჳსი, რამეთუ, ოდეს წარვიდა ისპაანს, დაუტევა მის თანა. ამან განუზრახა გიორგის, ქუთათისს მყოფსა: „რამეთუ მოიკლა მამაცა შენი მტერობითა გიორგი მეფისათა და აწ არს მპყრობელი ქართლისა და ძლიერი; მე მოგცე ასული მისი, შეირთე იგი და მწეობითა მისითა დაიპყარ იმერეთი“. ესე სთნდა გიორგის, მოიყვანა სახლსა თჳსსა და აქორწინა როდამის თანა და იყო ქუთათისსვე მწირად ფრიად. არამედ შემდგომად ამისა უვლინებდა ვახტანგ განმგებელი ქართლისა საფასესა მრავალსა. გარნა აბაშიძე უმეტეს განდიდნა და განმდიდრდა, რამეთუ დადიან-გურიელი მოწოდებითა მისითა მის წინაშე იყვნენ მარადის.

ამ ჟამებთა მოიჯსენა თამარ ასულმან აბაშიძისამან შური გიორგი მიქელაძისა და ნება მისცა აბაშიძემანცა, ვინაჲთგან მისცა ასული გიორგი მეფისა გიორგის, ძესა ალექსანდრე მეფისასა; გამოაძეს მიქელაძე მამულისაგან და დაიპყრა საჭილაო-სამიქელაო ლიპარიტიანმან. ხოლო მიქელაძე წარვიდა ქართლს. შემდგომად განევლტო ლიპარიტიანსა ძმა თჳსი იესე, რომელსა ეპყრა ლეჩხუმი ნებითავე ლიპარიტიანისათა, და მივიდა წინაშე გიორგისა ქუთათისს, რამეთუ ამას იესეს ცოლად ჰყვა მარიამ, მამიდა გიორგისა, ასული ბაგრატ მეფისა. ამისთჳს შეშინდა ლიპარიტიანი, მოვიდა ლეჩხუმს, გამოასხნა სანდონი იესესნი და დაადგინნა თჳსნი და მისცა ძესა თჳსსა ბეჟანს ლეჩხუმი და უხუცესსა კაციას დადიანობა და შედეგსა გაბრიელს მონაზონსა ჭყონდიდლობა და თჳთ ლიპარიტიანობდა კუალად და იყვნენ მორჩილებასა შინა მისსა ძენი მისნი. არამედ პირველითვე მიეღოთ ესოდენთა ბოროტებათა შინა მთავართა კერძონ თჳსნი აზნაურნი, დაბანი და ციხენი: ერისთავს რაჭა, გლოლა ჯაფარიძითურთ,

1-26 სტრ., 867
იაშვილს კუარა, წულუკიძეს ხოტევი, აბაშიძეს სუერი.არამედ სუერი მისცა პაატა აბაშიძეს შანაოზ მეფემან, ლიპარიტიანს ლეჩხუმი და საჭილაო-სამიქელაო, გურიელს საჯავახო და ჩიჯავაძენი მარადის იყვნენ წინაშე მისსა.

არამედ დაამშჳდა აბაშიძემ იმერეთი ჴდომა-ოჴრებათაგან ფრიად, რამეთუ ვერვინ იკადრებდა პარვად რისამედ, კუალად ვერცაღავინ იკადრებდა განყიდვად ტყჳსა, თჳნიერ მისსა. არამედ ოდიშს და გურიას იყიდოდა ტყუენი ფრიად და უმეტეს ოდიშს ლიპარიტიანისაგან. ამ ჟამებთა ეზრახა ვახტანგ, განმგებელი ქართლისა, აბაშიძეს მძახლობასა და სთხოვა ძე მისი ლევან ქართლს, რათა მისცეს სააბაშიო ქართლისა. და ასული თჳსი და იყოს სიმტკიცე მათ შორის. ესე განიხარა აბაშიძემ, არამედ მიუთხრეს კაცთა მზაკუართა, უკეთუ წარუვლინოს ძე, მან წარგზავნოს წინაშე ყეენისა. ესე ირწმუნა აბაშიძემ, ვინაჲთგან ჰყვა გიორგის ასული გიორგი მეფისა და სწერდა ვახტანგს მწეობასა მისსა და არღარა იქმნა მათ შორის მძახლობა. ამისთჳს დაუტევა ვახტანგ აბაშიძე და იწყო მწეობა გიორგისა, გარდააბირა კათალიკოზი და გენათელი და ერისთავი შოშიტა, რამეთუ შოშიტას ესუა ცოლად ასულიწული აბაშიძისა ალექსანდრე მეფის ასული, და იყო ქალი იგი ხელ და სულელ და სძულობდა ერისთავი და ენება განტევება მისი, არამედ არა ძალ-ედვა აბაშიძის გამო. ხოლო იხილა რა მიზეზი ესე, შეითქუნენ ამათ მიერ, რომელნი ვაჴსენეთ და გამოიყვანეს გიორგი ქუთათისიდამ და უწოდეს მეფედ ქ˜სა ჩ˜ღზ, ქარ. ტ˜ჟე.

კ˜. მეფე გიორგი ვ˜, დ˜ წელი მეფა

ხოლო დაჯდა გიორგი მეფედ, ძე ალექსანდრე მეფისა; მიუვლინა აბაშიძეს, რათა დაუტეოს სამეფო ყოველი და დაიპყრას მამუ-

1-27 სტრ., 868

ლი თჳსი. მაშინ აბაშიძემ წარუვლინა კათალიკოზი და გენათელი, რათა ჰყონ ზავი და მშჳდობა. არამედ კათალიკოზისა და გენათელის განზრახჳთა არღარა გამოუტევა მეფემან იგინი, რამეთუ ეტყოდნენ: „უკეთუ არა განგვიტეოთ მოგერთნენ ყოველნი იმერნი“, მაშინ დაუტევებდნენ აბაშიძეს და მიერთოდენ გიორგი მეფესა. ამისთჳს ეზრახა აბაშიძე ლიპარტიანსა, მოვიდა ლიპარტიანი სპითა შეკრებული და დადგა ვაკესა შინა. ხოლო ქუთათისს იყო მეფე რაჭის ერისთვით და იმერლით. წარავლინა მარბიელნი, რაჭველნი და იმერელნი რაოდენნიმე მათ თანა და შეესივნენ დაბნებთა ვაკისათა. მცნობელმან აბაშიძემ, უბრძანა სპათა თჳსთა, მოეტევნენ, მოსრნეს და შეიპყრეს უმრავლესნი რაჭველნი, ტყუე-ჰყვნეს და დაყიდნეს სრულიად. მაშინ ერისთავი წარვიდა სპათა განმრავლებისათჳს. ამ ჟამებთა მოკუდა ცოლი ლიპარტიანისა და ასული აბაშიძისა თამარ სენითა ბოროტითა. მაშინ მოიჴსნეს შური მამისა თჳსისა ძეთა ლიპარტიანისათა განტევებისათჳს დედისა მათისა, დაუტევეს მამა და მოერთნენ გიორგი მეფესა. ეგრეთვე ძმისწულნი აბაშიძისანი, რამე-

თუ ვახუშტის მისცა ასული თჳსი გამგებელმან ქართლისამან ვახტანგ
და უკუბირნა ბიძასა, დაუტევეს და მოერთნენ მეფესა ზურაბ, სჳმონ
და ვახუშტი.

არამედ თუმცა ჰყვეს მეფედ გიორგი, გარნა ვერ გამოვიდა ქუ-
თათისიდამ ამ ჟამამდე. ხოლო აწ გამოვიდა და რომელნი არა მიერ-
თოდნენ იმერნი, სტყუენვიდნენ და ეკირთებოდნენ მამულთა მათთა
და წინააღუდგებოდიან აბაშიძისანი და იყო ჴდომა მარადის. შემდ-
გომად მოადგა მეფე კახსა რომელი ეპყრა აბაშიძეს ციხე. მაშინ ლი-
პარტიანი, მხილველი ამისი, მივიდა რაჭას ერისთავისა თანა ძაძო-
სანი, რათა შეეწიოს აბაშიძეს, ეტყოდა: „ძე ხარ მისი და არა ჯერ
არს განწირვად შენგან მისი“.უსმინა ერისთავმან, შეკრბნენ ორნივე

1-28 სტრ., 869
სპითა თჳსითა, მოვიდნენ და დადგნენ ფარცხანაყანევს; აქეთ აბაში-
ძე შეკრებული სპითა წარვიდა მათ თანა, რათა შეკრბნენ და მოვიდ-
ნენ მეფესა ზედა.

ამისთა მცნობთა განაზრახეს მეფე, რათა არა შეკრიბონ იგინი.
არამედ მსწრაფლად ვლეს ღამე იგი და დილასა დაესხნენ ლიპარტიანსა
და ერისთავსა და იქმნაცა ბრძოლა ფიცხელი, სძლეს მეფისათა და
ივლტოდნენ მეგრელნი. მოსრვიდენ და შეიპყრობდნენ, ქ˜სა ჩ˜ღთ,
ქარ. ტ˜ჟზ. აღიღეს ალაფი მათი და პყრობილნი დაჰყიდნეს ვეცხლთა
ზედა. ამის მცნობი აბაშიძე უკმოიქცა და მოვიდა სუერს ციხესა ში-
ნა. ხოლო მეფე მოადგა კაცხსავე, მცირესა ხანსა შინა მოსცა პაატამ,
ძემან აბაშიძისამან, ციხე. არამედ უტეხა პირი, განყიდნა ხიზანნი და
დაიპყრა ციხე თავისად. მერმე მოადგა აბაშიძეს, სუერს მყოფს; არა-
მედ, ვინაჲთგან მტკიცე არს სუერი, ვერარაი ავნო და მოეცალა.
შემდგომად შემოიკრიბნა იმერნი და წარვიდა მეფე რაჭას, ანუ და-
იპყრას, ანუ დაიმორჩილოს; გარდავლო ნაჯიხურევი და დადგა შა-
ორს. არამედ წულუკიძე, იაშვილი და ჯაფარიძენი იყვნენ ერისთა-
ვისა თანა, ვინაჲთგან იყო გიორგი წულუკიძე სიძე ერისთვისა. მაშინ
ღამით შემოეპარნენ რაჭველნი და მოკლეს ჩხეიძე სალთხუცესი;
აღუძნდა მეფესა და წარვიდა ხოტევსა ზედა. არამედ, სცნეს რა სიმ-
ტკიცე ხოტევისა, უკმოიქცა მეფე და მოვიდა იმერეთს. ამისა შემდ-
გომად მოადგა მეფე ნავარძეთს ციხესა აბაშიძისასა. ამ ჟამთა გა-
ნუტევა ერისთავმან შოშიტამ ცოლი და შეირთო ჩიქოვანის იესეს
ცოლი მარიამ, მამიდა გიორგი მეფისა, და დაჲ განუტევა.

ხოლო მოდგომილს ნავარძეთს მეფეს აზრახეს ძეთა ლიპარიტი-
ანისათა კაცია და ბეჟან, რათა ულაშკროს მეფემ და გარდააგდონ მა-
მა მათი და დაიპყრან მათ ოდიში. უსმინათ მეფემ, მოუდგინა ნავარ-

ძეთს ქუელი წერეთელი და თჳთ წარვიდა ოდიშს; ვერ წინააღუდგა ლიპარიტიანი, არამედ ივლტოდა აფხაზეთს. ხოლო ამათ დაიპყრეს

1-29 სტრ., 870
ოდიში და მიჰყვნენ აფხაზეთს, მუნ წინააღუდგა შარვაშიძე, ზავ-ჰყვნეს მის თანა, უკმოიქცნენ ოდიშსვე და დასუეს კაცია დადიანად. მერმე მოვიდა მეფე იმერეთს. ხოლო ქუელმან აღიღო ნავარძეთი და წარგზავნა მეფემან ზარბაზნები მისი კაცხს. გარნა მეფის ოდიშს ყოფასა შინა მოუჴდა ერისთავი ჭალა-ტყეს, რეცა მწე-ყოფისათჳს აბაშიძისად, მოსტყუევნა სრულიად და წარვიდა რაჭასავე. მაშინ, ვინაჲთგან გურიელი არა მწე-ეყოფოდა მეფეს აბაშიძის გამო. ამის-თჳს შეკრებული მეფე წარვიდა მის ზედა. მისრულს ვერ წინააღუდ-გა გურიელი თჳნიერ სიმაგრეთა შინა და მოსტყუევნეს გურია. არა-მედ აოტეს ბეჟან ლეჩხუმელით საჯავახოსა შინა და მოკუდა კაცია დადიანიც, ძმა ბეჟანისა, ოდიშს ხუნაგითა.

ამისთჳს უკმოიქცა მეფე და მოვიდა იმერეთს. მაშინ მოვიდა ლი-პარიტიანი და დაიპყრა მანვე ოდიში. ეზრახა გურიელსა და შეირთო ასული გურიელისა თამარ ცოლად.ხოლო აბაშიძეს, სუერს ციხეს მყოფს, მოუვლინა ვახტანგ ქართლის გამგემ კაცნი და ცხენნი და ყო-ველნი საჴმარნი, წარვიდა და იმყოფებოდა ქართლს, რამეთუ ვახუშ-ტი წინათვე წარიყვანა და მისცა ყოველნი, რომელიცა აღუთქუა აბაშიძეს. ხოლო შემდგომად ამისა დაიზავა მეფემან ლიპარიტიანი. შემოიკრიბნა სპანი იმერთანო ლიპარიტიანითურთ, შევიდა რაჭას, მოსწუა, მოსტყუევნა სხვოდამდე ქ˜სა ჩ˜ღია, ქარ. ტ˜ჟთ. არამედ ლიპარიტიანი იქმნა შინაგანმცემელ. ამისთჳს უკმოიქცა მეფე და ჩა-მოვიდა იმერეთს. არამედ ვინაჲთგან იყო გიორგი მეფე ცუნდრუკი, მომხუეჭელი, ანგაარი, ვეცხლისმოყუარე, შეიზრახნენ გურიელისა თანა ლიპარიტიანი, ერისთავი, და ბეჟან ლეჩხუმის ბატონიცა მოვი-და მამისა თანა. ამას მიჰყვა ზურაბ აბაშიძე, მოიყვანეს და ყვეს მე-ფედ გურიელი ქ˜სა, ჩ˜ღია, ქარ. ტ˜ჟთ.

გურიელი მამია, ა˜ წელი მეფა

ხოლო გიორგი მეფე ვერ წინააღმდგომი წარვიდა ქართლს, ის-ტუმრა ვახტანგ გორს და პატივ-სცა.არამედ იყო აბაშიძეცა მუნ მის

1-26 სტრ., 871
თანა და გურიელმან დაიპყრა იმერეთი. განუტევა ცოლი თჳსი, ასული აბაშიძისა, ელენე. მოიყვანა ერისთვის დაჲ თამარ (რომელ-სა განეტევებინა ქმარი პირველი ფხეიძე პაპუნა), შეირთო იგი და იქორწინა და გურიას დასუა ძე თჳსი გიორგი გურიელად.

ხოლო გიორგი მეფემან გორს მოითხოვა ვახტანგისაგან აბაში-
ძე, რათა მისცეს მესისხლე თჳსი. მაშინ ვახტანგ ზავ-ჰყო მათ შო-
რის, გამოუხუნა აბაშიძეს მძევალნი, ძე და ასული, და აბაშიძე წარ-
მოავლინა იმერეთს და მოვიდა გურიელისა თანა. მერმე წარმოუვ-
ლინაცა მძევალნი, ძე და ასული, აბაშიძეს ვახტანგ.

ხოლო გიორგი მეფე წარვიდა სამცხეს, შეიწყნარა ისაყ ფაშამ
და აღუთქუა მწე-ყოფა, არამედ ეზრახა ახალციხიდამ ლეჩხუმის ბა-
ტონს ბეჟანს, რამეთუ ზურაბ აბაშიძე განლტოლვილი იყო გურიე-
ლისაგან და მოვიდა მეფისა თანა. ვინაჲთგან ეტყოდნენ ზურაბს, რა-
თა განეყოს ბიძასა თჳსსა. არამედ ზურაბს წილნი თჳსნი სრულიად
განეყიდა ტყუედ. ესე შეუძნდა და წარვიდა.

ხოლო ზაფხულს წარვიდა მეფე ახალციხიდამ ზურაბით, გამოვ-
ლეს ღამით არგუეთი, არავის რა ავნეს და მივიდნენ ლეჩხუმს, მუნ
შემოიკრიბა ბეჟან ლეჩხუმლით და წარმოვიდნენ არგუეთსა ზედა.
მცნობი ქუთათისს მყოფი გურიელი წარმოვიდა არგუეთს აბაშიძით,
ერისთვით, იმერლით და გურიელით, რათა არა მიუღონ არგუეთი
და მოვიდნენ ჩხარს. გარდმოვლო მეფემანცა თხილთაწყაროდამ და
იქმნა ბრძოლა ძლიერი ჩხარს ქ˜სა ჩ˜ღიბ, ქარ. უ˜, და მოისრვოდნენ
გურიელისანი კნინღა სივლტოლად. იხილა ბეჟან და ზურაბ, მოუჯ-
დნენ გუერდით კერძოდ და იწყეს ცემა თოფითა. მოკლეს გიორგი
წულუკიძე და ივლტოდა პაატა ფხეიძე და ერისთავი, იძლია გური-
ელი და წარვიდა რაჭას და სხუანი სპანი დაიფანჩნენ არგუეთს შინა.

1-23 სტრ., 872
მიჰყვნენ მეფისანი, მოსრვიდნენ და შეიპყრობდნენ უმეტეს გური-
ელთა და დაიპყრა იმერეთი გიორგიმ.

კ˜. გიორგი მეფე, ი˜ თთუე მეფა

ხოლო პყრობილნი განყიდეს ოსმალთა ზედა და იმღერდიან გუ-
რიულთა: „ჩუენი თეთრი ჩუენვე შემოგვაქციესო“. და აბაშიძე სუე-
რიდამ მივიდა ქართლს და შემდგომად მცირედისა მოადგა მეფე
სუერს, ვერ აღიღო და მოეცალა. არამედ ზურაბ შეუჩინა მეციხოვ-
ნეთა და აღუთქუა ნიჭნი, მისცეს ზურაბს და დაიპყრა მან სუერი.
ხოლო გურიელი ეზრახა ბაქარს, მესა ვახტანგ მეფისასა, რათა მის-
ცეს გზა; მოეგება იგი ქცხინვალს და დიდითა პატივითა წარიყვანა
გორს. გარნა უფროსად უმასპინძლებდა კათალიკოზი დომენტი, უძ-
ღუნეს და წარუძღუანეს კაცნი. მივიდა ჯავახეთს ასან ფაშისა თანა
სიძისა თჳსისა და მუნით მოვიდა გურიას. კუალად აბაშიძეს მისცა

ბაქარ საჴმარნი გზისანი, წარმოუძღუანნა კაცნი, გარდმოვლეს კუ-
დარო და მოვიდა რაჭას შემოდგომას. ხოლო გაზაფხულს მეფეს, გე-
გუთს მყოფს, შეასმინა ზურაბ აბაშიძემ ნიჟარაძე გიორგი, რომელ-
სა ჰყვა ასული აბაშიძისა: „რამეთუ ვალს მის თანა და აცნობებს
საქმესა შენსა აბაშიძეს და უქო ცოლი მისი და ბიძაშვილი თჳსი კეკ-
ლუცობითა და შუენირებითა“. ეტრფიალა გიორგი მეფე, ვინაჲთ-
გან სძულობდა ცოლსა თჳსსა. არამედ ვერ იკადრებდა აქამომდე გან-
ტევებასა მისსა ვახტანგის გამო. მაშინ შეიპყრა ნიჟარაძე, წაგვარა
ცოლი და მას აღმოჴადნა თუალნი. ხოლო ქალი იგი ჰყვა და თანა-
ეყოფოდა. ესე სიხარულად სჩნდა ზურაბს მტერობითა ბიძისათა.

1-24 სტრ., 873
ხოლო აქა ნეშტსა არჩილისასა ვიტყოდეთ. ვინაჲთგან დაუ-
ტევნა თჳსნი იმერეთისათჳს და არცა რაი დაშთა იმერეთისა, ამის-
თჳს მიეცა ცხოვრებისა მისისა აღსასრული აღწერად იმერეთსა ში-
ნა, რადგან დაშთა მხოლოდ ესე. მისრულს აშტარხანს მოეგება ძე
თჳსი ალექსანდრე, რამეთუ ესე ალექსანდრე წარეყვანა დიდს მეფეს
პეტრეს საფრანგეთს და ესწავა ჴელოვნება ზარბაზან-ყუმბარისა და
საცეცხლოსა. მივიდა არჩილ მეფე მოსკოვს და პატივით შეიწყნარა
ჴელმწიფემ. მერმე მისცა მამული დიდი და ფელცეხმეისტერობა ალექ-
სანდრეს (ესე არს მინდვრის ცეცხლის მარიგებლობა, რომელ არს
ზარბაზან-ყუმბარის უხუცესობა).

შემდგომად ალექსანდრე შეიპყრეს ნარვას შვეთთა და წარიყვა-
ნა პატიმრად სთოკოლმას და იყოფოდა მუნ რაოდენმე წელსა და
არჩილ მოსკოვს. მერმე გამოუტევეს ალექსანდრე პაემნითა, რათა
იხილოს მამა და ცოლი თჳსი, რომელი ჰყვა მოსკოვს. არამედ მოს-
რული რიგას მოკუდა ალექსანდრე შირიმის სენითა ქ˜სა ჩ˜ღი, ქარ.
ტ˜ჟზ და მოსწყდა უძეოდ. რა მოიღეს მოსკოვს, მისცა ჴელმწიფემ
სასაფლაოდ დონის მონასტერი და დაფლეს მას შინა. ხოლო შემდ-
გომად დიდისა მწუხარებისა მიიცვალა არჩილ მეფეცა ქ˜სა ჩ˜ღიბ,
ქარ. უ˜ და დაფლეს დონსავე დიდითა პატივითა და დაშთენ დედო-
ფალი ქეთევან და ასული დარეჯან. ამას ეპყრა ყოველი მამული მა-
მისა თჳსისა და იყოფოდა პატივით ჴელმწიფისაგან აღსრულებამდე
თჳსისა.

ხოლო იმერეთს შეიზრახნენ კუალად გურიელი, დადიანი, ერის-
თავი, აბაშიძე და ბეჟან ლეჩხუმით, შეკრბნენ ესენი და მოვიდნენ

1-29 სტრ., 874
ნოემბერს ოკრიბას, ხოლო გიორგი მეფე იდგა ქუთათისს, ზურაბ
აბაშიძე და იმერნი მის თანა შეკრებულნი. დღესა ერთსა წარვიდა

სჳმონ აბაშიძე, რათა იხილოს ტალანი. ხოლო ტალათა მათ ბრძო-
ლა უყვეს და აოტნა იგინი სჳმონ, მოეშუელნენ სპანი გურიელისანი
თჳსთა და აოტეს სჳმონ. ამას მოეშუელა მეფე სპითა, ამისთჳს აღ-
მჴედრდა გურიელიცა სრულიად თჳსითა, ეკუეთნენ და იქმნა ბრძო-
ლა ძლიერი; იძლია მეფე და ივლტოდა; ამათ მოსრნეს სპანი მათნი
და შეიპყრეს უმრავლესნი, და დაჰყიდნეს სრულიად ოსმალთა ზედა
ქ˜სა ჩ˜ღიგ, ქარ. უ˜ა. და იმღერდიან გურიელნი: „იმერელთა ჩუენი
თეთრი ჩუენვე შემოგვაქციესო“. და აღმოიხუნეს გურიელთა ვეცხ-
ლნი თჳსნი.

გურიელი მამია, ბ˜ თთუე მეფა

ხოლო მეფე წარვიდა ქართლს და გურიელმან დაიპყრა იმერეთი
და დაიმორჩილა ურჩნი. გარნა გიორგი მეფე ისტუმრა სჳმონ ტფი-
ლისს, უძღუნა და დაასადგურა ქართლს. შემდგომად წარვიდა ახალ-
ციხეს ისაყ ფაშისა თანა. არამედ მოკუდა გურიელი მამია ქ˜სა ჩ˜ღიდ,
ქარ. უ˜ბ, იანვარს ე˜. წარიღეს გურიას და დაფლეს შემოქმედს სა-
მარხოთა მათთა; და დაჯდა ძე მისი გიორგი გურიელად.

მაშინ ვინაჲთგან ეზრახოდა ბეჟანს მეფე და ზურაბ იყო მის თა-
ნა, ამის გამო შეშინდა ერისთავი შეერთებისათჳს მათთა, გამოიყ-
ვანა ჭყვიშიდამ სიძე თჳსი ბააკა ჩიქოანი და მისცა ჭყვიში ბეჟანს,
და შეიმტკიცნენ იგინი. არამედ ამათ ორთავე ენებათ დანი თჳსნი
მეფისათჳს ცოლად და მეფეს ენება შერთვა აბაშიძის ასულისა, ნიჟა-
რაძის ნაცოლარისა. გარნა ამათ ცდუნებითა ურთიერთისათა განა-
ტევებინეს მერაბ წულუკიძეს ცოლი და, თჳნიერ ნებისა აბაშიძისა და
ქალისა მის, შერთეს მერაბს ქალი იგი, რამეთუ აბაშიძეს უვლინებ-
და მეფე, რათა არა გაუთხოვოს ქალი იგი, რამეთუ აბაშიძეს უვლინებ-
და მეფე, რათა არა გაუთხოვოს ქალი იგი, ამისთჳს მოვიდნენ შეკრე-
ბულნი ესენი და უქმნეს ქორწილი მერაბს ქალსა მას ზედა.

1-27 სტრ., 875

კ˜. მეფე გურიელი, ბ˜ წელი მეფა

და გაზაფხულ ჩამოვიდა მეფეცა, დაიპყრა იმერეთი და შესძინა
შურს ბოროტი და ბრმა ნიჟარაძე გარდმოაგდო კლდესა და მოკუ-
და. არამედ დადიან-გურიელი, ერისთავი და ბეჟან იყვნენ თჳს-
თჳსად და ჰგონებდა ბეჟან დისა თჳსისა შერთვას მეფისაგან. გარნა
მცირედითა მონითა მივიდა მეფე რაჭას. შეირთო დაჲ ერისთვისა,
ქურივი გურიელის მამიასი და განუტევა როდამ გიორგი მეფის ასუ-
ლი, ქართლს მყოფი, ძით და ასულით. მერმე ჩამოვიდა მეფე იმე-
რეთს ერისთვით, მოიმტკიცა დადიან-გურიელი. ხოლო ბეჟან და ზუ-

რაბ უკუდგნენ და ეკირთებოდნენ ქუეყანათა. ამავ წელს ეზრახა იესე მეფე გიორგის დატევებისათჳს ბიძის ასულისა თჳსისა და გიორგი მეფემან აღუთქუა კუალადგებავე მის თანა და ითხოვა ჯუარი ჩხარისა, რომელი იყო ატოცსა. მან მოსცა როდამ და ჯუარი იგი და კუალად სთხოვა დედოფალი ვახატნგისა და ძენი მისნი. არამედ გიორგი მეფემან დაასადგურა როდამ სავანეთს ძითურთ და ჯუარი დაასუენეს ჩხარსვე. ხოლო დედოფლისა და ძეთა ვახტანგ მეფისათა არა ძალედვა მიცემად.

ხოლო ბეჟანის გამო მეფისაგან განდგომილ იყო პაატა ფხეიძე. ამისთჳს მივიდა მეფე და მოადგა ციხესა მისსა საწირეს, შეუთხარეს და მისცეს წამალი, მუნით მეციხოვნეთა ჩამოსთხარეს, შეიტანეს წამალი ციხესა შინა და მოსრნეს შემთხრელნი და მესაფრენი და განმაგრდნენ უმეტესად. იხილა მეფემან და უკმოიქცა გეგუთს. მერმე ევედრა ბეჟან მეფესა და მოსცა წ˜მარჩილი, რათა განაძოს მამა მისი ლიპარიტიანი და ჰყოს იგი დადიანად. მაშინ მეფემან არღარა გამოიძია უმჯობესი ვეცხლისათჳს, განუტევა ერისთავი და აბაშიძე, შემოიკრიბნა იმერნი, კუალად ბეჟან და ზურაბ მისრულთა ოდიშს ვერ წინააღუდგა ლიპარიტიანი და დასუა ბეჟან დადიანად ქ˜სა ჩ˜ღიე,

1-25 სტრ., 876
ქარ. უ˜გ. არამედ ციხენი ეპყრნეს კუალად ლიპარტიანსავე, მოსტყუევნა ოდიში და მოვიდა იმერეთს. შემდგომად კუალად განუტევა ბეჟან და ზურაბ; შემოიკრიბნა ერისთავი და იმერნი, წარვიდა და დასუა კუალად ლიპარიტიანივე დადიანად; მერმე მოვიდა იმერეთს.

შემდგომად მოიყვანა ლიპარიტიანი გეგუთს, რათა დალაშკროს ბეჟან, და განუტევა ლიპარიტიანი ამა პირსა ზედა. ესე იხილა ბეჟან არა კეთილ თჳსად და იჴმია მზაკუარობა და ჰყო კათალიკოზი გრიგოლ შუამდგომელ მამისა თჳსისა თანა და აღუთქუა ფიცით: „რათა ზავ-ჰყოს, იხილოს მამა თჳსი და დამორჩილდეს მას“. ამის პირითა მიენდო ლიპარიტიანი ძესა კათალიკოზის გამო და მივიდა მის თანა მცირედითა მონითა, ისტუმრა კეთილად მამა თჳსი ბეჟან. არამედ ღამესა მას შეიპყრნა ყოველნი მონანი მისნი და მოჰპარნა საჭურველნი მამასა და დილასა შეიპყრა იგიცა და პატიმარ-ჰყო ციხესა შინა. მოიყვანა დედა თჳსი, განტევებული და მოუდგინა ქმარსავე, და იყვნენ ზოგად აღსასრულადმდე მათთა, შემდგომად შეიპყრნა მისანდონი მამისა თჳსისანი, მოსრნა და უმჴკდრო ჰყვნა, სხუანი დაჰყიდნა დედაწულით და დაიპყრნა ოდიში თჳთ და იწოდა დადიანად.

ხოლო გიორგი მეფე ზამთარსა ამას ერისთვით მოუჴდა ზურაბს, მოსტყუევნა მამული მისი და წარვიდა. ამისთჳს ევედრნენ დადიანი

ბეჟან და ზურაბ აბაშიძე ასლანს, ახალციხის ფაშას, და აღუთქუეს ქრთამი დიდი, რათა მწე ეყოს მეფესა ზედა და ჰყოს გურიელი მეფედ. უსმინა ასლან ფაშამან და წარმოვიდა სპითა. ამ ჟამსა მოკუდა ცოლი მეფისა თამარ და დაფლეს გელათს; თჳთ მეფემან შეიკრიბნა სპანი; ხოლო ფაშას მიეგებნენ ბეჟან და ზურაბ; მოსრულთა ვერ წინააღუდგა მეფე და წარვიდა რაჭას, მოვიდნენ ოსმალნი და დად-

1-24 სტრ., 877
გნენ ქვაციხეს შესლვად რაჭას და იდგნენ მუნ თთუე ერთ.მერმე უკუნიქცნენ და დადგნენ ქუთათისს. ხოლო მეფე სპითა რაჭისათა ჩამოვიდა სჳმონეთს. ამისი მცნობი ფაშა მსწრაფლ წარმოვიდა, ეკუეთნენ სჳმონეთს და იქმნა ბრძოლა ქ˜სა ჩ˜ღივ, ქარ. უ˜დ. იძლია მეფე და მოსწყდნენ რაჭველნი და მეფე მივიდა ქართლს. ხოლო ფაშა კუალად დადგა ქუთათისს, მიუჳდნენ სავანეთს ბეჟან და ზურაბ დედოფალს როდამს, იავარ-ჰყვეს და წარვიდნენ.

გიორგი გურიელი, გ˜ თთუე მეფა

მოიყვანეს გიორგი გურიელი და დასუეს მეფედ და ეზრახოდენ ერისთავსა შეერთებად. მაშინ მისცა ასული თჳსი ერისთავმან ძესა ბეჟანისასა ოტიას ცოლად, გულქან, და შეიმტკიცნენ ამითი, და ფაშა წარვიდა ახალციხეს.

მაშინ მოვიდოდა ბარგი გურიელისა გურიიდამ. ამას დახუდნენ რაჭველნი სალომინაოსა შინა და აილაფეს სიმდიდრე გურიელისა და ყვნეს ტყუედ მონანი მისნი და დაყიდნეს. სცნა ესე გურიელმან, ივლტოდა გურიასავე.

მაშინ სამთა ამათ მთავართა განიყვეს იმერეთი თჳს-თჳსნი მჯარენი და დაიპყრნეს. არამედ გიორგი გურიელს აუშურდა დედა თჳსი ელენე, მოიყვანა მონაზონ-ყოფილი ძე თჳსი, გაკრიჭა, უწოდა ქაიხოსრო და ჰყო გურიელად. მოიყვანა ქრთამით დადიანი ბეჟან, ერისთავი და ზურაბ სპითა და განაძო გიორგი. ამათ მოარბიეს გურია, მიიღეს ქრთამი და წარმოვიდნენ. ხოლო გიორგი გურიელი მივიდა ახალციხეს, და იმერეთს ჩამოვიდა გაზაფხულს გიორგი მეფე, ეზრახა სამთა ამათ მთავართა. გარნა მათ არღარა ინებეს მეფობა მისი.

1-25 სტრ., 878
შეშინდა და წარვიდა ახალციხეს. მუნ იმზახლენ გურიელი და მეფე, რამეთუ შემდგომად შეპყრობისა ლიპარიტიანისა, წარვიდა ცოლი მისი, გურიელის ასული თამარ, ახალციხეს და ესე შეირთო გიორგი მეფემან ცოლად. მაშინ, ვინაჲთგან ისაყ ფაშასა და ასლან ფაშასა

აქუნდათ მტერობა და შური, ვერღარა შემწე ექმნნენ მეფესა და გურიელსა. ამისთჳს წარვიდნენ ორნივ სტამბოლს.

წარვიდა სტამბოლს გიორგი მეფე

მისრულთა აზრუმს მოსცა სპანი გურიელისა აზრუმის ფაშამან, მოვიდა და დაიპყრა გურია. ამან განაძო დედა თჳსი ძეებითურთ. ხოლო მეფე წარვიდა სტამბოლს ქ˜სა ჩ˜ღიზ, ქარ. უ˜ე. არამედ გიორგის გურიელობა შეუძნდა გურიის ერისთავს და ნაკაშიძეს ბეჟანს, რამეთუ ამათით განაძო დედამან. ამათ მოუწოდეს ბეჟანს დადიანსა, რამეთუ ასული დადიანისა ჰყვა ბეჟან ნაკაშიძის შვილს გიორგის. მოსრულსა დადიანს ვერ წინა აღუდგა გურიელი და წარვიდა ბათომს. ხოლო დადიანმან მოსტყუევნა გურია და წარვიდა. და კუალად დაიპყრა გიორიმვე გურია.

ხოლო ზამთარსა ამას მიზეზჰყო დადიანმან ზურაბ აბაშიძესა ზედა. შეიკრიბნენ ბეჟან და ერისთავი და მოუჴდნენ ზურაბს. ამათ ვერ წინააღუდგა ზურაბ, შევიდა სუერს, ამათ მოსტყუევნნეს მამულნი მისნი (რამეთუ ამას ბეჟანს ენება ყოფად თავი თჳსი, ვითარცა იყო აბაშიძე გიორგი. არამედ ვერ ეწია).მერმე შეუჩინა მსახურნი ერისთვისანი ძმასა თჳსსა მანუჩარს, ბეჟან უგრძნეულობისათჳს შეიპყრა იგი და პატიმარ-ჰყო დეხვირს ციხესა შინა. მაშინ შეიზრახნენ ზურაბ და ერისთავი მზახლობად, წარგუარეს ცოლი ბააკა ჩიქოვანსა, დაჲ ერისთვისა, რომელსა მიუღო პირველ ჭყვიში და შერთეს ძესა

ზურაბისასა დავითს ბიძის ცოლი თჳსი, რამეთუ დაჲ ბააკასი ზურაბს ჰყვა ცოლად და შეიმტკიცნენ ამითი სამნივე.

კუალად ეზრახა გურიელი დადიანისა, რათა მისცეს ასული თჳსი მას, რომელი ჰყვა ცოლად ნაკაშიძესა გიორგის და ზავჰყო ამით. მისცა ნება ბეჟან დადიანმან. მაშინ გურიელმან განაძო ერისთავი თჳსი და მოადგა ციხესა შინა მყოფს ნაკაშიძეს. აღიღო და წარგუარა ცოლი. თჳთ განუტევა ცოლი შარვაშიძის ასული და შეირთო ეს ცოლად და მოიმტკიცა გურია დადიანის გამო. კუალად ერისთავი მოადგა ციხესა კვარას, აღიღო იგი და დიპყრა თჳთ, გამოაძო რაჭიდამ იაშვილნი, დაიპყრნა მამულნი მისნი მანვე. კუალად ზურაბ მოსწყჳდნა ბანაშვილნი, ჩხეიძენი და დაყიდნა დედაწულით მათით, და დაიპყრნა მამულნი მათნი; ეგრეთვე ბეჟანცა მოსრვიდა ოდიშარლეჩხუმელთა და დაიპყრობდნენ ესრეთ.

მოვიდა სტამბოლიდამ მეფე გიორგი

შემდგომად მოვიდა ახალციხეს სტამბოლიდამ მეფე გიორგი, ამას ბრძანებითა ხონთქრისათა მოსცა სპანი ისაყ ფაშამან და ჩამოვიდა იმერეთს აგჳსტოს ქ˜სა ჩ˜ღით, ქარ. უ˜ზ, ვინაჲთგან მარადის ჩამოვიდოდნენ ოსმალნი თთუესა ამასა და დადგა ქუთათისს. მაშინ შეკრბნენ სამნივე ესე მთავარნი და დადგნენ ოკრიბას და არავინ წარჩინებულთაგანი მიერთუნენ მეფესა, თჳნიერ მდაბიურთა. ამისთჳს ეზრახა მეფე სამთა ამათ, რათა ჰყონ მეფედ და დაემორჩილნენ. არამედ მათ არა ინებეს. ხოლო მეფემან აღიმჴედრა ოსმალითურთ და დილასა დაესხა დადიანს, ერისთავს და ზურაბს. გარნა

იგინი ივლტოდნენ და წარვიდა დადიანი ზურაბით ოდიშს და ერისთავი რაჭას.

მაშინ ოსმალთა მოსრნეს და შეიპყრნეს სპანი მათნი მრავალნი. მერმე მოსტყუევნნეს ოკრიბა, შემუსრნეს ციხენი და კოშკნი. შემდგომად წარვიდნენ ოდიშს; ვერ წინააღუდგა დადიანი მუნცა. უყვეს ეგრეთვე და მოწუეს ეკლესიანიცა. ხოლო უღონი ქმნილმან დადიანმან მისცა ქრთამი დიდი, დაიზავა, უკუმოიქცა მეფე და დადგა ქუთათისსავე. მერმე ზავ-ჰყო მთავართა მათ თანა და დაიპყრა იმერეთი. მერმე განუტევა ოსმალნი და იყოფოდა მშჳდობით.

კ˜. მეფე გიორგი, ვ˜ წელი მეფა

ხოლო გაზაფხულს შეიზრახნენ სამნი ესე მთავარნი და შეუჩინეს სჳმონ აბაშიძე გიორგი მეფესა, რათა მოკლას იგი. ამან სჳმონ თხემლის ციხეს მყოფი მეფე ისტუმრა და ნადიმსა ზედა მოკლეს მსახურთა სჳმონისათა გიორგი მეფე, თევდორობის შაბათს ქ˜სა ჩ˜ღკ, ქარ. უ˜ზ. და შეიპყრეს სრულიად მისთანანი და დაყიდეს. ხოლო ერისთავმან აღიღო ციხე კაცხი და გამოიღო საგანძური მისი. მაშინ კუალად განიყვეს იმერეთი სამთა ამათ მთავართა, ვითარცა პირველ,და იყვნენ მშჳდობით. შემდგომად მოუწოდა ვახტანგ მეფემან იმერთა ლაშკრად, წარვიდა ერისთავი, სჳმონ და ლევან აბაშიძენი სპითა. მერმე მოვიდნენ უვნოდ ნიჭითა დიდითა.

კუალად ზამთარსა ამას მოადგა ზურაბ ხარაგეულს და მამუკაშვილი იყო ახალციხეს ალექსანდრეს თანა, რამეთუ ესე ალექსანდრე

იყო გიორგი მეფისა, მყოფი მეფის ვახტანგის თანა ქართლს; რა მოჰკლეს მამა მისი, წარავლინა ისაყ ფაშამან შავშეთის ბეგი და მოითხოვა მეფედ ყოფად იმერეთს ვახტანგ მეფისაგან.მან წარმოუვ-

ლინა ნიჭითა და იყო ახალციხეს წელსა ერთსა. ხოლო ზურაბ ვერ შემუსრა ხარაგეული მწეობითა ქართლის მეფისათა და უკუ-ეცალა, ვინაჲთგან ფაშაც ჩამოსლვად იყო.

ხოლო ებრძანა ხონთქარს ისაყ ფაშისათჳს გამეფება ალექსანდრესი იმერეთს, შემოიკრიბნა სპანი და ჩამოიყვანა ალექსანდრე იმერეთს. მაშინ შემდურებულ იყვნენ ერისთავი და ზურაბ ხარაგეულსა ზედა, ამისგან ბეჟან დადიანიცა, და მეგობრობდნენ დადიანი და ზურაბ, და არა ინებეს ამათ ალექსანდრე მეფედ. არამედ მიეგება ყოვლითა მიმდგომითა თჳსითა ერისთავი ალექსანდრეს და მისცა კაცხი და საგანძურნი მამისა თჳსისა. ხოლო ალექსანდრემ საგანძური იგი შესძღუნა ფაშასა ქრთამად და, ვითარ არღარა მოერთნენ დადიანი და ზურაბ, განზრახჳთა ერისთვისათა მოადგნენ ცუცხვათს ციხესა ზურაბისასა და ბრძოდენ თთუე ერთ. შემდგომად შეუთხარეს და მისცეს ცეცხლი და შეგლიჯა მცირედი ზღუდე. არამედ შეშინდნენ მეციხოვნენი და ივლტოდნენ ყოვლითა თჳსითა. დილასა იხილეს ციხე უკაცური, შევიდნენ ოსმალნი და დაიპყრეს ციხე და დაადგინნეს მას შინა იენგიჩარნი და წარვიდნენ ლეჩხუმს ბეჟანსა და ზურაბსა ზედა. შევიდნენ, მოსწუეს, მოსტყუევნნეს. გარნა თუ ბრძოდა ბეჟან, არამედ ვერ რაი ეგდენი ავნო. მერმე უკმოიქცნენ, გამოვლეს კუალად რაჭა და მოვიდნენ ქუთათისს და ერისთავი დადგა რაჭას. მაშინ ეზრახა ბეჟან დადიანი ფაშას და მისცა ქრთამი ი~ბ ქესა. მან მიიღო ქრთამი, მოჰკუეთა ოტია ჩხეიძეს თავი, რამეთუ იყო

1-22 სტრ., 882
თავმდები ერისთავისა და მტერი დადიანისა.განუტევა ფაშამ ერისთავი, მოიყვანა ბეჟან, ჰყო ალექსანდრე მეფედ იმერთა ქ~სა ჩ~ღკა, ქარ. უ~თ, მოუდგინა ბეჟან მოურნედ, თჳთ წარვიდა ახალციხეს.

კ~ა. მეფე ალექსანდრე ე~, ლ~ა წელი მეფა

ხოლო ალექსანდრემ დაიპყრა იმერეთი, თჳნიერ რაჭის ერისთვისა. მერმე ემზახლა ბეჟან დადიანი ალექსანდრეს და მისცა ასული თჳსი ცოლად მარიამ და აქორწინა. არამედ, თუმცა იყო ალექსანდრე მეფედ, გარნა ბეჟან დადიანი იყო მოქმედი ყოვლისავე.

ამისნი მხილველნი თამარ, ცოლყოფილი გიორგი მეფისა, და ჭყონდიდელი გაბრიელ, ძმა ბეჟანისა, რამეთუ არა რაი ძალუცს ალექსანდრეს, აღიშურვებდენ დიდებასა ბეჟანისასა და წარვიდნენ წინაშე აზრუმის ფაშისა, და შეასმენდნენ ისაყ ფაშასა, რამეთუ მიიღო ქრთამი და მისცა ალექსანდრე ბეჟანს, ვითარცა ტყუე. ამისთჳს მოუწოდა აზრუმის ფაშამ ისაყ ფაშასა და მრავალი ბოროტი შეაჩუ-

ენა თამარ ისაყ ფაშასა, უპატიუროობა და პყრობილება. ამისი მსმენელი დადიანი ვერა რაცხდა ამას კეთილად თჳსად, განუზრახა ალექსანდრეს და მიუწერეს აზრუმის ფაშას განმართლება ისაყ ფაშისა და ქრთამი დიდი, რათა მოსცეს თამარ და ჭყონდიდელი, ანუ დააზაონ. უსმინა აზრუმის ფაშამან, მიუღო ისაყ ფაშას ქრთამი და მეფეს. წარმოავლინა ისაყ ფაშა და წარმოატანა თამარ და ჭყონდიდელი. რათა დააზაოს მათ ხოლო მან, მოსრულმან ახალციხეს, მოსცა კრულნი იგინი ბეჟან დადიანსა. ამან ტყუე-ჰყო თამარ დეხვირს ცი-

1-24 სტრ., 883
ხეში და ჭყონდიდელს მიუღო ჭყონდიდი და განუტევა. ვინაჲთგან იყო მღუდელმთავარი, არა რაი ავნო. არამედ იყო უღთო, მეძავ-მემრუშე , სოდომია და ტყჳსმყიდველი და სავსე ბოროტითა, ხოლო ესე-ვითარებისათჳს წარვიდა აბაშიძე გიორგი ქართლს ვახტანგ მეფისა თანა და მოკუდა ტფილისს წელსა ქ˜სა ჩ˜ღკბ, ქარ. უ˜ი, ოკ-დომბერში, წარმოგზავნეს და დაფლეს კაცხს.

კუალად წელსა ქ˜სა ჩ˜ღკგ, ქარ. უ˜ია, წარვიდნენ აბაშიძენი და რაჭველნი სპითა წინაშე ვახტანგ მეფისა ნიჯადად. მეორესა წელსა მოადგა მეფე ალექსანდრე და ბეჟან დადიანი ჯუარის ციხეს ოკრიბას, რომელი ეპყრა ერისთვის ძმას გედევან გენათელს; შეუთხარეს რა, იწყო რღუევად ზღუდემან, შეშინდნენ მეციხოვნენი და მოსცეს მეფეს ციხე. გარნა თუ ერთგულებდა ბეჟან დადიანი ალექსანდრეს ზეპირ, არამედ მრავალგზის ინება სიკუდილი ალექსანდრესი მუხთლად და ღალატად. გარნა ვერ შეუძლო თჳსის ასულის გამო და ოდესმე ყრმათა ალექსანდრესაგან, ვინაჲთგან ერთგულებდნენ. შემდგომად ამისა მოუჴდა ალექსანდრე მეფესა, სკანდას მყოფს, ერისთავი შოშიტა. ხოლო ალექსანდრე შევიდა ციხესა შინა სკანდას და ერისთავმან მოსრნა, მოსტყუევნა, რაოდენნიცა ჰპოვნა და წარვიდა რაჭასვე წელსა ქ˜სა ჩ˜ღკე, ქარ. უ˜იგ.

გამოვიდნენ ოსმალნი ფოთს, აღაშენეს ციხე და დასუეს ფაშა და კუალად ქმნეს ოდიშს ორნი ციხენი სხუანი. შემუსრეს რუხის ციხე სრულიად და ნარღუევითა მისითა აღაშენეს უმჯობესად ანაკრია, და ფაშასა ფოთისასა მიათუალეს სრულიად ზღჳს პირნი.

ამასვე წელსა შემოიკრიბა ბეჟან დადიანის გამო ალექსანდრემ

1-26 სტრ., 884
სპანი იმერთა და შეუჴდა რაჭას, მოსწუეს საწულიკიძო, ვინაჲთგან იყო ერისთვის კერძოდ, ვერ წინააღუდგა ერისთავი. შევიდნენ ესენი სევამდე, შემუსრნეს კოშკნი მისნი, მოსწუნეს რაჭა და მოსტყუევ-

ნნეს. მერმე უკმოიქცნენ და მოვიდნენ იმერეთს შოებულნი.

კუალად განზრახჳთა ზურაბისათა მოადგნენ მეფე და დადიანი შორაპანს, რამეთუ ეპყრა ლევანს, ძესა გიორგი აბაშიძისასა, და იყო იგი რაჭას, რამეთუ რაჭველთაგან იყო მარადის ჴდომა და კირთება იმერეთისა, არამედ მცირედისა შემდგომად მოსცეს ციხე. გარნა ქონება მუნებური წარიღო დადიანმან და ციხე მისცა ზურაბს წელსა ქ˜სა ჩ˜ღკვ, ქარ. უ˜იდ.

მოკუდა გურიელი გიორგი, დაჯდა ძე მისი მამია, ნაშობი შარვაშიძის ქალისაგან, და მომკუდარ იყო ცოლიცა ერისთვისა, მარიამ, მეფის ქალი. იზრახნენ დადიანი და ერისთავი ყოფად ზავისა. მაშინ იმზახლენ და მისცა ბეჟან ასული თჳსი, გურიელის ცოლყოფილი, ერისთავს ცოლად, დაიზავნენ და ყვეს მშჳდობა.

ესე შეუმნდა ზურაბს და შეასმენდა ისაყ ფაშას. ამისთჳს წარავლინა ძე თჳსი უსუფ ფაშა და ჩავიდა იმერეთს. ამას მოეგება ალექსანდრე მეფე და დადგნენ გეგუთს. მოუწოდეს ბეჟან დადიანსა. ხოლო იგი მოვიდა ურიდლად ძითა თჳსითა, რამეთუ აღეთქუა ფაშას უვნებლობა. შევიდა ბეჟან კარავსა ფაშისასა და თაყვანის-სცა; მაშინ დასცა ბეჭსა ხანჯალი მაჰმად-ბეგ მესაჭურჭლემან ფაშისამან. და განუგრიმა ბეჟან დადიანი და მოკუდა ქ˜სა ჩ˜ღკჱ, ქარ. უ˜ივ. ხოლო ძე მისი ოტია ივლტოდა. დევნა უყვეს ოსმალთა და მოსრნეს მრავალნი ოდიშარნი და თავი ბეჟანისა წარგზავნეს ისაყ ფაშისა თანა და მან წინაშე ხონთქრისა. მერმე მოუწოდა ერისთავსა უსუფ ფაშამ, მოვიდა იგიცა სპითა და შეჰყვნენ კარავსა ფაშისასა სპანი თჳს-

ნი ერისთავს, პატივ-სცა ფაშამან, დააზავა მეფე და ერისთავი და წარვიდა ქართლს ფაშა. ხოლო ოტია ძე ბეჟანისა დაჯდა დადიანად.

შემდგომად მცირედისა შეიშურნენ ოტია დადიანი და ძმა მისი კაცო; შეიპყრა ოტიამ, წარმოუვლინა ერისთავსა და პატიმარ-ჰყვეს კუარას ციხესა შინა კაცო. შემდგომად მოადგა მეფე ციხესა შორაპანს და ვითარ მისწურა წაღებად, მოიყვანა ზურაბ აბაშიძემ სპანი ოსმალთა და მისცა მათ შორაპანი და დადგნენ მას შინა ოსმალნი, და ალექსანდრე წარმოვიდა თჳსად. მერმე მოადგა ერისთავი სადმელს, ციხესა იაშვილისასა. მაშინ წარუვლინა მეფემან ლევან აბაშიძე, რათა მოეცალოს ერისთავი ციხესა, რამეთუ ლევან დედით ძმა იყო ერისთვისა. ხოლო ერისთავმან შეიპყრა ღალატით ლევან და წარუვლინა დადიანს პატიმარი.

მსმენელმან ალექსანდრე, შეკრებულმან სპითა, ღამე იდუმალ გარდავლო მთა. განვლო რიონის ფონი და დილასა დაესხა ერისთავს სადმელს, ივლტოდა ერისთავი. მოსრნეს და შეიპყრნეს მრავალნი, განათავისუფლეს ციხე და წარმოვიდა იმერეთსავე მეფე. ხოლო დადიანმან განუტევა ლევან აბაშიძე და გამოუხუნა მძევალნი. მაშინ მოკუდა ერისთავი შოშიტა და დაჯდა ძე მისი გრიგოლ ერისთავად და ლევან აბაშიძე მოვიდა მეფისა თანა.

კუალად გაიპარა კუარეს ციხიდამ კაცო, ძმა დადიანისა, და მოვიდა იგიცა მეფისა თანა. შემდგომად მოკუდა ცოლი მეფისა, ასული დადიანის ბეჟანისა, და გლოვისა შემდგომად შეირთო მეფემან ასული ლევან აბაშიძისა ცოლად და იქორწინა, ქ˜სა ჩ˜ღლბ, ქარ. უ˜კ, და მისცა გურიელს მამიას ასული თჳსი მეფემან დადიანის ქალის ნაშობი. იხილეს ესე დადიანმან, ერისთავმან და ზურაბ აბაშიძემან. გარდაბირეს მეფეს მამუკა ძმა მისი, მოიყვანა დადიანმან და შერთო დაჲ თჳსი ცოლად. შემოიკრიბნა ოდიშარნი, აფხაზნი და მოვიდნენ იმე-

რეთს. მიერთოთ ერისთავიცა და შეკრებულნი დადგნენ გეგუთს. მუნ მიერთუნენ მარგუელნიცა და აოჴრებდნენ ქუეყანათა. ხოლო ალექსანდრე ვერ წინააღმდგომი შევიდა ქუთათისს ლევან აბაშიძით და ბარის ერისთვით (რამეთუ ესე ბარის ერისთავი იყო გენათელი და ძმა შოშიტა ერისთვისა. ამან წარგუარა ცოლი ძმისწულსა თჳსსა. პაპუნას, ასული ვახტანგ მეფისა, შეირთო თჳთ და მოვიდა მეფისა თანა. ამან შეიწყნარა შურითა ერისთვისათა და მისცა საერისთო მამული იმერეთს-შინანი და უწოდეს ბარის ერისთავად.

ხოლო დადიანი შეკრებული მოადგა ქუთათისს. არამედ მეფე არა განვიდა ბრძოლად და მათ ვერ იკადრეს მოსლვა შიშითა ოსმალისათა, შემჭირდნენ და წარვიდნენ თჳს-თჳსად, და ალექსანდრემ მოიმტკიცნა იმერნი წულუკიძითურთ. ამავ ჟამთა მოვიდა სხუა ფაშა ფოთს სპითა, რათა დაიპყრას ურჩნი ზღჳს-კიდისანი ვიდრე აზავადმდე. ამან მოუწოდა ალექსანდრეს სპითა. ხოლო მეფე აღეკაზმა წარსლვად განმზრახი, რამეთუ შემდგომად მსახურებისა ოსმალთა დაიმორჩილოს მათითი ურჩნი თჳსნი იმერნი და, რა მივიდა ოდიშს, ეტყოდა დადიანი არა წარსლვასა: „ვინაჲთგან არა კეთილ არს დაპყრობა მათგან ზღჳს კიდისა ჩუენთჳს“.

ესე არა უსმინა მეფემან; რამეთუ იყვნენ ადგილნი ყოველნი დადიანისა, ვინაჲთგან არა ერჩდა დადიანი, და მივიდა ფაშისა თანა, მან პატივსცა და წარვიდნენ ოდიშს. გარნა ოდიშარნი სრულიად დახიზნულ იყვნენ აფხაზეთამდე, ვინაჲთგან დადიანი არა იყო ფაშისა

თანა. არამედ არბევდნენ ოსმალნი და იმერნი და სტყუევნიდნენ, სადა ვის ჰპოვებდნენ. შევიდნენ ოსმალნი ილორს. არამედ ხატნი და ჯუარნი და საჴმარნი ეკლესიისანი დაეხიზნათ. შეუდვეს ცეცხლი,

1-25 სტრ., 887
მოწვეს ეკლესია და აღძარცვეს კრამიტი ბრპენისა და მოსპნეს დახატულებანი, და შემდგომად განვლეს და მივიდნენ აფხაზეთს.

მაშინ არა მოენდო შარვაშიძე აფხაზით და ოსმალთა მოარბივნეს და ტყუე-ყვნეს, სადა რაი ჰპოვეს. არამედ შემდგომად მოენდო შარვაშიძეცა, ჰყვეს იგი მაჰმადიანად და ყოველნი მისთანა მყოფნი სრულიად. ხოლო რა განჴდნენ მდინარესა კოდორისასა, ეტყოდა ფაშა მეფესა, რათა წარყვეს ჯიქეთს, და მერმე აზავს. ესე შეუძნდა ალექსანდრეს და იმერთა და ღამესა მას დაუტევეს ყოველნი სამძიმარნი თჳსნი, წარმოვიდეს, ვლეს ორი დღე და ღამე და მოვიდნენ ეგრისის მდინარესა ზედა. მაშინ ეწივნენ ოსმალნი აფხაზითურთ და იმერთა განამაგრეს კიდე მდინარისა.

მერმე შემოვიდა მეფე წარჩინებულთა თჳსითა და გამოჴდნენ მდინარესა და, რაოდენნი დაშთნენ, წარიყვანეს ოსმალთა ტყუედ. გამოვლეს ამათ ოდიში და მოვიდნენ ციხესა შინა კაცოსა და მოგზაურნიცა მოისრვოდნენ ოდიშართაგან. მცნობი ამისი დადიანი მოადგა სპითა ციხესა სამ დღე, მერმე ყვეს ზავი; მისცა მეფემან მძევალნი დადიანსა და წარმოვიდნენ და მოვიდნენ იმერეთს ქ˜სა ჩ˜ღლგ, ქარ. უ˜კა. ხოლო აფხაზთა აიალაფეს ბარგი იმერთა. არამედ შემდგომად ოსმალთა და მათ შორისაცა იქმნა შფოთი, განევლტნენ აფხაზნი და აუწყეს ღამით პარვა, კლვა კაცთა და კირთება ოსმალთა.

იხილა ფაშამ და უკმოიქცა ოდიშსვე, მაშინ დაესხნენ აფხაზნი, მოსრეს ბანაკი ოსმალთა და აოტნეს, რამეთუ ფაშა ივლტოდა ზღჳთ და სხუანი მოსრნეს უმეტესნი და მოიშთუნენ ზღუასა და მდინარესა შინა, აღიღეს ალაფი მათი დიდ-ფრიად და დაუტევეს მაჰმადიანობა და დაიპყრეს აფხაზთა თჳსივე სჯული [არამედ ძლევასა ამას იტყო-

1-27 სტრ., 888
დიან სასწაულსა წმიდის გიორგის ილორისასა, რამეთუ ღამესა ამას ეტყოდა აფხაზთა განსლვად და განაძლიერებდა მათ ბრძოლად].

ხოლო ამისა შემდგომად უკუბირეს კუალად მამუკა მეფესა. დადიანმან, ერისთავმან და ზურაბ, შეკრბნენ სპანი დიდნი და მოვიდნენ ალექსანდრესა ზედა ანუ მოკლან, ანუ განაძონ. მაშინ ალექსანდრემ, ჩიხორს მდგომმან, შემოიკრიბა გურიელი მამია, აბაშიძე ლე-

ვან, ძმა დადიანისა კაცო, ბარის ერისთავი, მერაბ წულუკიძე და იმერნი სხუანი ნეშტნი, დილასა მოვიდნენ იგინი და ეკუეთნენ ურთი-ერთს, იქმნა ბრძოლა და მოსრნენ ორგნითვე უმრავლესნი ქ˜სა ჩ˜ღლდ, ქარ. უ˜კბ. მერმე სძლეს ალექსანდრესთა და მოსრვიდნენ მათ, მიეწივნენ დადიანს, ჰკრეს თოფი და ჩამოვარდა. კუალად დაჰ-კოდეს დავით აბაშიძე; აქათ მოკლეს კაცო, ძმა დადიანისა; მიჰყვნენ ლტოლვილთა, რამეთუ იყო თოვლი დიდი, მოსრნეს. შეიპყრნეს რაჭველნი და ლეჩხუმელნი და ოდიშარნი უმრავლესნი და დაყიდეს სრულიად ოსმალთა ზედა. ხოლო დადიანი წარმოიყვანა მეფემან, დაადგინა მკურნალნი და განჰკურნა და სთხოვდა ლეჩხუმსა. არამედ არა ინება მოცემად. ეზრახა ზურაბის გამო ისაყ ფაშას და მისცა ქრთამი დიდი, რათა მწე ეყოს. მან წარმოავლინა მაჰმადბეგ და გივი ამილახორი სპითა ოსმალ-ქართველისათი და მოვიდნენ ესენი საჩ-ხერეს.

იხილა რა ალექსანდრემ, გამოართვა საჭილაო-სამიქელაო და-დიანს, ზავჰყო ამით ლევან აბაშიძის გამო და განუტევა. მოვიდა საჩ-ხერეს, მისცა დაჲ თჳსი, ნაშობნი თამარისაგან ცოლად მაჰმადბეგს, დაიზავა და წარვიდნენ ქართველ-ოსმალნი ქართლსვე.

ხოლო ამისნი მხილველნი დაეზავნენ მეფესა დადიანი, ერისთა-ვი და ზურაბ და დაიპყრა იმერეთი. მისცა საჭილაო-სამიქელაო ძმა-სა თჳსსა მამუკას. არამედ ალექსანდრემ გაანახლა საქმე ბეჟან და-

დიანისა, რამეთუ ოდეს დასჭირდის თეთრი ოსმალთა ქრთამად ანუ სხჳსა სამჭირნოსათჳს, შეაგდის იმერთა თეთრი იგი მთავართა და აზნაურთა. ხოლო მათ დაჰყიდიან ტყუენი და მისციან და თჳთ, რეცა თუ არა ჰყიდდა ტყუეთა. შემდგომად მოადგა მამუკა ციხესა ბეჟან ჩიჯავაძისასა და მოპარვით აღიღო ციხე სებეკისა. მერმე აღიღო ციხე ბეჟანისა და დაიპყრა საჩიჯავაძო მამუკამ.

ხოლო მოსლვასა ტფილისს თამაზ-ხანისასა ქ˜სა ჩ˜ღლე, ქარ. უ˜კგ, მოუვლინა მეფესა, რათა დამორჩილდეს. არამედ არარა მიუგო გარნა შეშინებულნი ოსმალნი, იმერეთს ციხესა შინა მყოფნიცა, გა-ნამაგრნა არა დატევებად ციხეთა.

შემდგომად ამისა უკუდგა წერეთელი პაპუნა ზურაბ აბაშიძისა გამო, რამეთუ ზურაბ მოიპარა მამუკაშვილის ციხე ხარაგეულისა, მოკლა მამუკაშვილი და დაიპყრა თჳთ. ამისთჳს მოუჴდა მეფე პაპუ-ნას, მოაოჴრა საწერეთლო. არამედ ციხე მოდამნახისა ვერ წარუ-ღო. უკუნიქცა, ეზრახა ხარაგეულის მეციხოვნესა, რომელმან მისცა

ზურაბს, მანვე მოსცა მეფესა იგივე ციხე, შეიპყრა, მოჰკუეთა მას ჴელფერჴნი დ აღმოჴადნა თუალნი და ციხე მისცა მეპატრონისა ძესავე. შემდგომად დაიზავა მეფემან ზურაბ და პაპუნა. არამედ ზურაბ არა მოვიდა მეფისა თანა, გარნა ძე მისი დავით, რამეთუ სიძე იყო ალექსანდრესი. ამას დავითს განატევებინა ცოლი, დაჲ შოშიტა ერისთვისა, და შერთო დაჲ თჳსი; ამ ჟამებთა შეუჩინა მეფემან კუარას ციხეს იაშვილი. ხოლო მათ კრიხულის მეთევზურისაგან აღიღეს ციხე და დაიპყრეს.

სცნა ერისთავმან ნოღას მყოფმან, წარმოვიდა მსწრაფლ და მოადგა კუარას. ღამესა მას შეიდგინნეს კიბე, სადაცა უწყოდენ, შევიდნენ ციხესა შინა, შეიპყრნეს სრულიად მას შინა მყოფნი და დაჰ-

ყიდნეს; და დაიპყრა ერისთავმან ციხე; ამისი მცნობი წარმომართებული შუელად კუარას ციხისად უკუნიქცა. შემდგომად მოიყვანა ალექსანდრემ ძე ზურაბისა დავით და პაპუნა წერეთელი ვარციხეს, მოკლნა ორნივ მუხთლად-ღალატად და წარვიდა მსწრაფლად, რათა დაიპყრას მოდამნახის ციხე. არამედ ცოლმან და ძემან პაპუნასამან განამაგრეს ციხე და ვერ შეუძლო წარღება. ესე იხილეს წარჩინებულთა, რამეთუ ნებავს ყოველთა მოწყუედა და დამდაბლება, და უმეტესად ზურაბ ეზრახა ერისთავს გრიგოლს, რამეთუ ამას ჰყვა ცოლად ასული ვახუშტი აბაშიძისა, ძმისა ზურაბისა. ხოლო ერისთავმან აუწყა დადიანს და შეკრბნენ ალექსანდრე მეფესა ზედა. ამისთჳს ალექსანდრემ მოითხოვა ლეკნი შანშესაგან კსნის ერისთვისა. მან წარმოუვლინა კაცითა თჳსითა ფ˜ ლეკნი. ამათ წარუძღუა ალექსანდრე და იგინი ვერ წინააღუდგნენ, შემუსრნეს ციხენი და მრავალნი კოშკნი, მოსწვეს და მოსტყუევნნეს და შთავიდნენ ოდიშს და უძჳრესნი ბოროტნი ყვნეს, არამედ განზრახჳთა ლევან აბაშიძისათა: „რამეთუ არა კეთილ არს ლეკთაგან შემუსრვა ქუეყანისა ჩუენისა, რაჟამს სცნან ადგილნი, თჳთვე მრავალსა ბოროტსა შეგვაჩუენებენ, ვითარცა უყვეს სხუათა“. უსმინა მეფემან და უკმოიქცა და განუტევნა ლეკნი შოებულნი. არამედ ტყუენი არა წარატანნა იმერეთისანი.

შემდგომად ამისა წარავლინა ალექსანდრემ ძმა თჳსი გიორგი და აბაშიძე ლევან ქართლს, ვახუშტი აბაშიძესა ზედა; უცნობლად დაესხნენ ტეძერს მყოფს და იგი განმაგრდა სახლსა შინა, და იწყო ცემა თოფთა; მაშინ ამათ შეუდვეს ცეცხლი სახლსა მას; იხილა ვა-

ხუშტიმ და მოენდო ბიძის ძესა თჳსსა ლევანს.მან მოგუარა მეფესა და პატიმარ ყვეს ციხესა შინა ნავარძეთს. სთხოვდა მეფე ფ˜ ქესას თეთ-

რსა და ციხესა ვახანს, და ესენი არა ინება ვახუშტიმ მოცემად. მერმე მოვიდა კათალიკოზი დომენტი განტევებისათჳს ვახუშტისა და არა პატივ-სცა ალექსანდრემ. კუალად წარმოევლინა ისაყ ფაშას ცხენი აღკაზმული, ქულქი და ოცი ქესა თეთრი, რათა განუტეოს ვახუშტი და არა ინება მეფემან. ხოლო დადიანმან შურითავე წინათქმულითა იშოვნა სპანი აფხაზთა. მიერთო ერისთავი და ზურაბ სპითა მათითა, ამათ ვერ წინააღუდგა ალექსანდრე, გამოუშუეს მარბიელი ქ˜სა ჩ˜ღმ, ქარ. უ˜კჳ, მოწუეს სასახლე ალექსანდრესი ვარციხეს, მოაოჯრეს და მოწუეს იმერეთი და წარვიდნენ. კუალად აღუსრულა აღთქმული ისაყ ფაშამან ანუკა მეფის ქალსა და გაზაფხულსა წარმოავლინა ფირიაღისშვილი, სიძე თჳსი სპითა. ამას, ჩამოსრულს იმერეთს, მიერთო დადიანი, ერისთავი და ზურაბ. იხილა რა მეფემან, დახიზნნა ხიზანნი თჳსნი ხარაგეულს და თჳთ წარვიდა ქართლს ქ˜სა ჩ˜ღმა, ქარ. უ˜კთ. ამას წარყვნენ მამუკა ძმა თჳსი, ლევან აბაშიძე და ბარის ერისთავი დ ვახუშტიც წარიყვანა, რათა არა შემუსრონ ციხე ნავარძეთისა ოსმალთა და გამოიყვანონ.

მაშინ ოსმალთა მოიყვანეს ძმა ალექსანდრესი გიორგი, ნაშობი გურიელის ქალისა, და დასუეს მეფედ იმერეთს და მოუდგინეს ნებითავე მათითა დადიანი, ერისთავი და ზურაბ, და წარვიდნენ ოსმალნი. ხოლო ალექსანდრე მივიდა აწერის ჴევს შანშე ერისთვისა თანა. მაშინ იყო შანშე უკუმდგარი შანადირისაგან, მოადგა ხანი შანშეს. ესე იხილა ალექსანდრემ, განუტევა ვახუშტი და თჳთ მივიდა ხანისა თანა. მან პირველად პატივ-სცა, მერმე შეიპყრა.

ამისნი მხილველნი მამუკა და ლევან და სხუანი იმერნი ივლ-

ტოდნენ და მოვიდნენ იმერეთს. ხოლო ალექსანდრე მიიყვანა ხანმან ტფილისს. არამედ წარავლინა ვაკის ერისთავი წინაშე შანადირისა ალექსანდრემ დარუბანდის ვედრებად და თჳთ იყო ტფილისს, ვითარცა პატიმარი. მცნობმან შანადირ წარმოუვლინა კაცი რაყმით ისაყ ფაშასა, რათა ჰყოს ალექსანდრევე მეფედ იმერთა. წარიყვანეს ალექსანდრე ახალციხეს. უსმინა ფაშამ შანადირს და მასვე შემოდგომასა ჩამოიყვანეს ალექსანდრე ოსმალთა და ჰყვეს იგივე მეფედ და შეამტკიცეს დადიანი, ერისთავი და აბაშიძე და ყოველნი იმერნი. მერმე წარვიდნენ ოსმალნი. ხოლო გიორგი ძმა ალექსანდრესი წარვიდა ოდიშს და ალექსანდრეს ეპყრა იმერეთი.

არამედ მცირედისა ხანისა უკუდგნენ კუალად დადიანი, ერისთავი და ზურაბ. ამისთჳს ალექსანდრემ მოიყვანა დედინაცვალი თჳსი თამარ და აბრალა მას ყოველნი ყოფილნი, შეიპყრა და მოჰკუეთა

თავი. კუალად შეიპყრა ბარათაშვილი საჩინო, სანდო გიორგი ძმისა თჳსისა, მოჰკუეთა მასცა თავი და დაყიდნა დედაწულნი მისნი და იავარ-ჰყო ყოველნი გიორგის მიმდგომნი.

მერმე შეკრბნენ დადიანი და ერისთავი და მოვიდნენ გეგუთს. ხოლო მეფე მივიდა ქუთათისს და არა განვიდა ბრძოლად მათდა. არამედ წარავლინა ახალციხეს და ევედრა ფაშასა. მან წარმოავლინა მცირე სპანი და, რა მოვიდნენ ბაღდადს, წარვიდა ქუთათისიდამ ლევან აბაშიძე და ბარის ერისთავი გიორგი, მათ თანა ციხის მცველნი ოსმალნი, რათა სცნან ვითარება მათი, რომელნი აოჴრებდნენ ქუეყანათა, არამედ მათ სმენოდათ მოსლვა ოსმალთა და იყრებოდენ მუნითგან. გარნა რა მივიდნენ ესენი, ჰგონეს ტალათა მათთა მისლვა ოსმალთა, აცნობეს დადიანს. მან არღარა გამოიძია და ივლტოდნენ; მიჰყვნენ ესენი და უწყეს ცემა თოფთა და მოსრვიდნენ. მოიქცა ერისთავი, რათა იხილოს ვინაობა მათი. ეცა თოფი და მოკუ-

1-13 სტრ., 893
და ერისთავი გრიგოლ რაჭისა ქ˜სა ჩ˜ღმგ, ქარ. უ˜ლა და სპანი მისნი ივლტოდნენ უმეტესად. ხოლო ამათ აღიღეს ალაფი მათი და მოიქცნენ წინაშე ალექსანდრე მეფისა. მაშინ რაჭას დასუეს ერისთავად ძმა გრიგოლისა ვახტანგ. ამას ეზრახა მეფე, ზავ-ყო მის თანა, შემოიმტკიცა დადიანიცა და ყვეს მშჳდობა და დაიპყრა იმერეთი.

ამისა შემდგომად მოიპარა მაჭავარიანის ქალმან ციხე სუერისა, წარმოვიდა ლევან, რათა მიიღოს მან. არამედ უსწრა მეფემან და მისცა მას და დაიპყრა ალექსანდრემ სუერი ქ˜სა ჩ˜ღმდ. ქარ. უ˜ლბ, და გამოიღო საგანძური ზურაბ აბაშიძისა. ხოლო ლევან მოადგა შრომას ციხეს ძესა ზურაბისასა ზაალს, რათა არა იგიცა დაიპყრას მეფემან, მცირეს ხანს მისცეს ლევანს და დაიპყრა ლევან იგი, განუტევა ზაალ და წარვიდა ქართლს ზურაბ მამისა თჳსისა თანა და იყოფოდნენ ნუნისს.